დეკანოზი თეიმურაზ შიარაღო

რელიგიების ისტორია

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს
ეროვნული უნივერსიტეტი
სეუ

თბილისი
2011

„რელიგიების ისტორიის'' წინამდებარე გამოცემაში განხილულია სხვადასხვა ძველი და ახალი რელიგია. იგი განკუთვნილია რელიგიების ისტორიით დაინტერესებული ყველა მკითხველისთვის.

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი გახლავთ ერთ-ერთი მოკრძალებული ცდა, ქართულ ენაზე გამოქვეყნდეს რელიგიების ისტორიის სახელმძღვანელო. რამდენიმე წლის წინ განხორციელდა ამ პუბლიკაციის პირველი ნაწილის გამოცემა, ამ ეტაპზე კი მკითხველის წინაშეა პირველი და მეორე ნაწილების ერთობლივი გამოცემა. პირველ ნაწილში შემავალი თავები შევსებულია დამატებითი მასალით და დამატებულია ახალი საკითხები, რომლებიც აქამდე არ დაბეჭდილა. ქართულ ენაზე იშვიათია წიგნი, რომელიც რელიგიების ისტორიის შესახებ იქნება დაწერილი. ეს გამოცემა ერთ-ერთი პირველი ნაყოფია იმ ნიადაგისა, რომელმაც მომავალში სხვა არაერთი სამეცნიერო თუ პოპულარული ხასიათის გამოცემა უნდა განახორციელოს.

„რელიგიების ისტორიის" წინამდებარე გამოცემა მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ძველ და ახალ რელიგიას. შესავალი ნაწილის შემდეგ მოცემულია ძველი აღმოსავლეთის ხალხთა (ეგვიპტელების, შუმერების, ბაბილონელების...) რელიგიების განხილვა. ნაჩვენებია ამ რელიგიების ძირები, ღვთაებათა პანთეონი, კულტი, საკრალური წიგნები და ა. შ. მოცემულია პარალელები სხვა ხალხების მითოლოგიებთან და ურთიერთზეგავლენის ფაქტები. შემდეგ მოცემულია ირანული და ინდური რელიგიების განხილვა, რომლებიც დღესაც დასტურდება თანამედროვე მსოფლიოში. ანტიკური რელიგიების (ბერძნულ-რომაული) შემდეგ ვრცლადაა განხილული ელინისტური ხანის რელიგიები (მითრაიზმი, გნოსტიციზმი...). ცალკეა გამოყოფილი შორეული აღმოსავლეთის ხალხთა (ჩინელების, იაპონელების) რელიგიები, აგრეთვე ამერიკის მკვიდრ ხალხთა (აცტეკების, მაიას ხალხთა...) რელიგიები. წიგნში, ბუნებრივია, ადგილი ეთმობა თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი რელიგიების – ბუდიზმის, იუდაიზმის, ქრისტიანობის, ისლამის-შესახებ ინფორმაციას.

თითქმის ყველა რელიგიის შესახებ თავი შედგება ქვეთავებისგან, რომელშიც თემატურადაა მოთხრობილი ამა თუ იმ რელიგიის რომელიმე მხარე. წინამდებარე სახელმძღვანელო დაწერილია არაერთი გამოკვლევის საფუძველზე, ზოგი თავი კი გამოცემული მასალის (რ. ცანავა, ი. ტატიშვილი, ე. ჭელიძე) სისტემატიზაციაა. წიგნს ბოლოში ახლავს ბიბლიოგრაფია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, აგრეთვე-ტერმინთა განმარტებანი.

წინამდებარე სახელმძღვანელო ძირითადად განკუთვნილია საღვთისმეტყველო ინსტიტუტის რელიგიათმცოდნეობის ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, თეოლოგიის სპეციალობის მაგისტრანტებისა და რელიგიების ისტორიით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისთვის.

შესავალი

რელიგია უპირველესად ღმერთისა და ადამიანის ურთიერთკავშირზე მიანიშნებს. იგი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძველი ფენომენია. ურელიგიო საზოგადოება არქაული ეპოქიდან თანამედროვეობის ჩათვლით არ მოიპოვება. რელიგიას აქვს როგორც გარეგანი, აგრეთვე შინაგანი მხარე. იგი გარეგნულად გამოიხატება რთული სტრუქტურის მქონე ერთი მსოფლმხედველობის ქვეშ გაერთიანებულ ადამიანთა ცხოვრებაში, შინაგანად კი უპირველესად ადამიანის სულიერი ცხოვრებაა, რაც პიროვნებას სულში დაფარულ ტრანსცენდენტსა და მარადიულ ცხოვრებას აღმოაჩენინებს.

რელიგიური რწმენა ადამიანს ანიჭებს გამძლეობას, აყალიბებს და აძლიერებს ყველა ღირებულებას, მნიშვნელოვან მენტალურ მოწყობილობებს, ისეთებს, როგორებიცაა ტრადიციის პატივისცემა, ჰარმონიული მსოფლაღქმა, პიროვნული სიქველე და ყოფით უსიამოვნებებთან ბრძოლაში შეუპოვრობა, სიკვდილის შიშის დაძლევა და ა. შ.

ტერმინი „რელიგია" და მისი განსაზღვრება

არსებობს რამდენიმე მოსაზრება, თუ როგორ დამკვიდრდა სიტყვა „რელიგია". რომაელ ორატორს ციცერონს, მიაჩნდა, რომ „რელიგია" ნაწარმოებია ლათინური ზმნისგან „relegare" (ხელახლა შეკვრა, კვლავ განსჯა, ისევ დაფიქსირება), რაც გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს ღვთისმოსაობას ან „რაიმესადმი განსაკუთრებულ ყურადღებასა და პატივისცემას", მოწიწებას. აქედან გამომდინარე, ციცერონისათვის რელიგიის არსი უზენაესი ძალებისადმი, ღვთისადმი მოწიწებაა. ეს მოსაზრება სწორია, რადგან ღვთისმოსაობა, მოწიწება რელიგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ურომლისოდაც რელიგიურობა პირმოთნეობა, ფარისევლობა და მხოლოდ წესების დაცვა იქნებოდა, ხოლო ღვთისადმი რწმენა – უსიცოცხლო, გულგრილი დოქტრინა. იმავდროულად, ძნელია დაეთანხმო, რომ მოწიწება რამე იდუმალისადმი, გნებავთ, ღვთისადმი, რელიგიის არსს წარმოადგენს. ღვთისმოსაობა, მოწიწება-კრძალვა აუცილებელია, მაგრამ ის მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი გრძნობაა, რომელიც ღვთისადმი ადამიანის რელიგიური დამოკიდებულების თანამდევია და მისი არსის გამომხატველი ვერ იქნება.

ცნობილი ქრისტიანი მწერლის, ლაქტანციუსის (IV ს.), აზრით, ტერმინი „რელიგია" წარმოდგება ლათინური ზმნისგან „religare", რაც „შეერთებას", „დაკავშირებას" ნიშნავს. ამიტომაც იგი რელიგიას განსაზღვრავს, როგორც ადამიანის კრძალულებით კავშირს ღმერთთან. ლაქტანციუსი წერს: „იმ პირობით ვჩნდებით ამქვეყნად, რომ ჩვენს გამჩენ ღმერთს ვმორჩილებდეთ, მას ერთადერთს ვაღიარებდეთ და მივდევდეთ. მასთან ღვთისმოშიშებიდ ვართ დაკავშირებულნი. აქედან წარმოდგება ტერმინი „რელიგიაც". ლაქტანციუსის ეს განმარტება რელიგიის არსს განსაზღვრავს: რელიგია არის ღმერთთან ადამიანის სულის ცხოველი ერთიანობა, რომელიც ადამიანის გულის სანახებში აღსრულდება.

ნეტარი ავგუსტინეს განმარტებით, „რელიგია" წარმოიქმნა ზმნისგან „relegare", რაც ნიშნავს „ხელახლა შემოერთებას", თვითონ რელიგია კი ადამიანსა და ღმერთს შორის ოდესღაც არსებული კავშირის აღდგენა-განახლებაა. ნეტარი ავგუსტინე წერს: „ღმერთის ძიებისას ან, უკეთ რომ ვთქვათ, ხელახლა ძიებისას (საიდანაც

წარმოიშვა რელიგიის სახელწოდებაც) ჩვენ მისკენ სიყვარულით მივისწრაფვით, რათა, როცა მივაღწევთ, დავმშვიდდეთ".

როგორ უნდა განისაზღვროს ტერმინი „რელიგია"?! სოციოლოგი გერჰარდ ლენსკი რელიგიას განსაზღვრავს, როგორც „სისტემას რწმენათა ძალებისა, რომლებიც, საბოლოო ჯამში, მართავენ ადამიანის ბედს, და მასთან დაკავშირებული რიტუალებისა, რომლებიც გამოიყენება განსაზღვრული ჯგუფის წევრი ადამიანების მიერ". ეს განსაზღვრება ძალზე ფართოა; სხვა სოციოლოგის, რონალდ ჯონსტოუნის, განმარტება უფრო მისაღები ჩანს: „რელიგია ეწოდება რწმენათა და რიტუალთა სისტემას, რომელთა მეშვეობით ადამიანთა ჯგუფი ხსნის და რეაგირებს იმაზე, რასაც ზებუნებრივად და საკრალურად მიიჩნევს".

რელიგიის ელემენტები

რ. ჯონსტოუნის მიერ ჩამოთვლილია 5 ძირითადი ელემენტი, რომლებიც გვეხმარება გავარკვიოთ, წარმოადგენს თუ არა რელიგიას რწმენათა ესა თუ ის სისტემა. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, რელიგია გულისხმობს მორწმუნეთა ჯგუფის არსებობას. თუმცა ის, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ღრმად პირადულ განცდებთანაც. ჯონსტოუნის ასეთი წარმოდგენაც ახსნადია, ვინაიდან სოციოლოგიის ინტერესის საგანს შეადგენს რელიგიური ჯგუფები და ის, რითაც ისინი სხვა სოციალური ჯგუფებისაგან განსხვავდებიან.

მეორე – რელიგია ასოცირებულია წარმოდგენებთან, რომლებიც საკრალურად ითვლება. იგი ზღვარს აკლებს ყოველდღიური ცხოვრების საგნებსა და უჩვეულო მოვლენებს, სასწაულებს შორის (მაგალითად, ლოცვის გზით ადამიანის გადარჩენა ან იესოს მიერ წყლის ღვინოდ ქცევა). ასეთი მოვლენები მიიჩნევა საკრალურად, ვინაიდან ითვება, რომ ისინი დაკავშირებულია რაღაც ზებუნებრივთან, ისეთ ძალასთან ან არსებასთან, რომლის შესაძლებლობები არ არის შეზღუდული ბუნების კანონებით. სხვადასხვა რელიგიაში არსებობს განსხვავებული საკრალური საგნები. ამერიკელების უმრავლესობისათვის ძროხას ყოველდღიური სამომხმარებლო მნიშვნელობა აქვს, ინდუიზმის მიმდევარი ინდოელები კი მას წმინდა არსებად მიიჩნევენ.

მესამე ელემენტის მიხედვით, რელიგია გულისხმობს რწმენათა განსაზღვრულ ერთობლიობას – სარწმუნოებას. ეს რწმენები ხსნის ადამიანურ ბუნებას, გარემომცველ გარემოსა და ზებუნებრივ ძალებს, რომლებიც საკრალურად ითვლება. მაგალითად, ბუდისტს სწამს, რომ ადამიანთა სულებს შეუძლიათ სრულყოფილებას მიაღწიონ უწყვეტ გარდასახვათა გზით, ამიტომ მის მსოფლმხედველობრივ სისტემაში ხოჭოს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე – ქვეყნის პრეზიდენტს.

მეოთხე – რელიგია მოიცავს რიტუალებისა თუ სხვა ტიპის ქმედებების განსაკუთრებულ ერთობლიობას. რიტუალებს ჯონსტოუნი განმარტავს, როგორც ქცევათა სახეობას წმინდა და ზებუნებრივ ძალთა მიმართ (მაგალითად, ეკლესიასთან ახლოს გავლისას ქრისტიანი პირჯვარს იწერს და ლოცვას წარმოთქვამს), დიურჰეიმმა კი რიტუალები განსაზღვრა ღირებულებებად, რომლებიც ადამიანებს უდგენენ ქცევის წესებს საკრალური საგნების მახლობლად ყოფნისას. თავად რიტუალები თავიანთ თავში აუცილებლად არ მოიცავს რელიგიურ აზრს, თუმცა ისინი რელიგიურ მნიშვნელობას იძენ მაშინ, როდესაც ადამიანები განსაზღვრულ სიტუაციებში იყენებენ მათ საკრალურ ძალებთან კავშირის გამოხატვის მიზნით. მაგალითად, ყოველდღიურ ცხოვრებაში წყალი გამოიყენება ჭურჭლის გასარეცხად თუ წყურვილის

დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ნათლობის საიდუმლოს შესრულებისას იგი საკრალურ სუბსტანციად მიიჩნევა და რელიგიურ საზოგადოებაში ახალი წევრის მიღების სიმბოლიზებას ახდენს.

დაბოლოს, რელიგია თავის თავში მოიცავს განსაზღვრულ წარმოდგენებს ცხოვრების მართლზომიერ წესზე. რელიგიათა უმრავლესობა მორწმუნეებს ქცევის მარეგულირებელ მცნებათა თუ ნორმათა სისტემას უწესებს. ეს ნორმები ადგენს, თუ როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე განსაზღვრულ გარემოებებში. ისეთ მასობრივ და რთულ რელიგიებში, როგორებიცაა ქრისტიანობა, ისლამი ან იუდაიზმი, ფორმულირებულია მკაფიო მორალური პრინციპები. საილუსტრაციოდ, ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს მკვლელობის, მრუშობისა და ა. შ. ამკრძალავი ათი ბიბლიური მცნება (დეკალოგი).

რელიგიათა კლასიფიკაცია

უძველესი დროიდან განვითარდა სხვადასხვა რელიგია. უპირველესად უნდა შევეხოთ პრიმიტიული რელიგიის ცნებას. პრიმიტიული რელიგიის ქვეშ მოიაზრება არქაულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სარწმუნოებრივი სისტემები, სადაც კულტის განვითარების დაბალ დონესთან გვაქვს საქმე. პრიმიტიული რელიგიისთვის დამახასიათებელია რელიგიის ადრეული ფორმები – ტოტემიზმი, ფეტიშიზმი, ანიმიზმი და მაგია. რელიგიის ამგვარი ტიპები გვიან დრომდე შემორჩა აფრიკისა და ავსტრალიის აბორიგენ მოსახლეობაში.

თანამედროვე მსოფლიოს რელიგიურ სამყაროში უნდა გამოვყოთ მსოფლიო და ნაციონალური რელიგიები.

განვმარტოთ, თუ რა იგულისხმება მსოფლიო რელიგიის ცნების ქვეშ. მსოფლიო რელიგია შესაძლოა ვუწოდოთ ისეთ რელიგიას, რომელიც, მიუხედავად იმისა, თუ სად და როდის წარმოიშვა, გავრცელებულია პლანეტის მოსახლეობის დიდ ნაწილში, შესაძლოა ითქვას, რომ მთელ კონტინენტზე, სადაც ადამიანი სახლობს. ამ ნიშნით თუ მივუდგებით, არსებობს სამი მსოფლიო რელიგია: ქრისტიანობა (წარმოიშვა პალესტინაში I საუკუნეში განკაცებული ღმერთის, იესო ქრისტეს, სწავლებიდან), ისლამი (წარმოიშვა VII საუკუნეში არაბეთის ნახევარკუნძულზე და მისი ფუძემდებელია ამ რელიგიის მიმდევართა მიერ წინასწარმეტყველად შერაცხული პიროვნება – მუჰამედი) და ბუდიზმი (წარმოიშვა ძვ. წ. VI საუკუნეში ინდოეთში. მისი ფუძემდებელია შაკია მუნი – ერთ-ერთი ინდური სახელმწიფოს მეფის ძე). ქრისტიანობა გავრცელებულია ევროპის, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის მოსახლეობის დიდ ნაწილში, ისლამი – აფრიკისა და აზიის ქვეყნებში, ხოლო ბუდიზმი – აღმოსავლეთ აზიაში. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქრისტიანები არ ცხოვრობდნენ აზიაში, ან ბუდისტები არ გვხვდებოდნენ ამერიკაში. ზემოთ მოყვანილი ზოგადი მონაცემები ეყრდნობა პროცენტული მაჩვენებლების მეტნაკლებობის პრინციპს. აქვე ვიტყვით, რომ გავრცელების არეალით დღეს ქრისტიანობის შემდეგ დგას ირანული წარმოშობის რელიგია – ბაჰაიზმი, რომელიც საკუთრივ ირანში აკრძალულია.

მსოფლიო რელიგიების გვერდით უნდა განვიხილოთ ნაციონალური რელიგიის ცნებაც. მის ქვეშ მოიაზრება ისეთი რელიგია, რომელიც ისტორიის გარკვეულ ეტაპზე აღმოცენდა ამა თუ იმ ერის წიაღში და იგი დღემდე ამ ერს ეკუთვნის. ნაციონალური რელიგია ერთი ერის კუთვნილებაა და მისი გავრცელების არეალი თითქმის არ სცილდება კონკრეტული ქვეყნის ფარგლებს. ნაციონალური რელიგიის

ნიმუშებია ებრაელთათვის იუდაიზმი, იაპონელთა ეროვნული რელიგია – შინტოიზმი (ზოგჯერ შესაძლოა შეგვხვედეს სინტოიზმი), ჩინური ნაციონალური რელიგიები – კონფუციანელობა და დაოიზმი (მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი ჩინური რელიგიის მიმდევართა საერთო რიცხვი 700 მილიონს აღემატება, მათ მსოფლიო რელიგიად არ განიხილავენ, რადგან ჩინეთის გარდა არსად გვხვდება.

რელიგიათმცოდნეობაში უნდა გამოვყოთ ცოცხალი და მკვდარი რელიგიები. ცოცხალი რელიგიაა ის, რომლის მიმდევრები (მიუხედავად რაოდენობისა) თანამედროვე მსოფლიოში ცხოვრობენ. ასეთებია ხსენებული მსოფლიო და ნაციონალური რელიგიები, აგრეთვე ზოროასტრიზმი, ინდუიზმი, ბაჰაიზმი და ა. შ. მკვდარი რელიგიის ქვეშ მოიაზრება ის რელიგია, რომელიც დღესდღეობით აღარ გვხვდება, მაგრამ იგი ოდესღაც არსებობდა და ხალხთა სულიერი ცხოვრების მასაზრდოებელ ძალას წარმოადგენდა. ესენია ძველი ეგვიპტის, ხეთების, შუმერების, ბაბილონელების, ასურელების, ელამელების, ფინიკიელებისა და რომაელების რელიგიები, აგრეთვე – ბრაჰმანიზმი, გნოსტიციზმი, მანიქეიზმი, მითრაიზმი, ორფიზმი და სხვა რელიგიები თუ რელიგიური კულტები. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მკვდარი რელიგიების წიაღში არსებული გარკვეული შრეები მეტ-ნაკლებად შემორჩენილია ზოგიერთი ცოცხალი რელიგიის სწავლებასა თუ კულტმსახურებაში.

საკითხს იმასთან დაკავშირებით, ამა თუ იმ ქვეყანაში როგორი რელიგიური სურათი იხატება, რა რაოდენობით გვხვდება განსხვავებულ რელიგიათა მიმდევრები სხვადასხვა ქვეყანაში, სწავლობს რელიგიათმცოდნეობის დამხმარე დისციპლინა – რელიგიის სოციოლოგია. ეს უკანასკნელი გვიქმნის რეალურ წარმოდგენას რელიგიური პროცესების შესახებ თანამედროვე სამყაროში. მისი მონაცემების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ, რომ ესპანეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კათოლიკეა, ეგვიპტისა – სუნიტური ისლამის მიმდევარი, ტაილანდისა – ბუდისტი, რუმინეთისა – მართლმადიდებელი, შვედეთისა – ლუთერანი, იაპონიისა – შინტოისტი და ა. შ.

XX საუკუნის დასაწყისში რელიგიის სოციოლოგიაში აღიარება მოიპოვა რობერტ ბელახის ახალმა თეორიამ. მასში წარმოდგენილია რელიგიათა კლასიფიკაციის სისტემა პრიმიტიულიდან თანამედროვე მოძღვრებებამდე ევოლუციის მიხედვით. ბელახმა წარსულისა და თანამედროვე რელიგიათა კლასიფიცირებაში გამოყო 5 კატეგორია:

1) პრიმიტიული: მაგალითად, ავსტრალიური; სიმბოლოთა სისტემა – ადამიანთა და საგანთა საგვარეულო მითიური გამოსახვა; რელიგიური ქცევა – იდენტიფიკაცია, საგვარეულო გამოსახულებებზე ისტორიათა „კვლავწარმოება"; რელიგიის ორგანიზაციის არარსებობა, რელიგიისა და საზოგადოების ერთიანობა; სოციალური მნიშვნელობა – სოციალური სოლიდარობის განმტკიცება;

2) არქაული: მაგალითად, პოლინეზიური და აფრიკული; სიმბოლოთა სისტემა – ძლევამოსილი მითიური არსებები (ღმერთების მსგავსი); რელიგიური ქცევა – თაყვანისცემა და მსხვერპლშეწირვა; რელიგიის ორგანიზაცია – განსხვავებული კულტები; სოციალური მნიშვნელობა – სოციალური კონფორმიზმის მოთხოვნა;

3) ისტორიული: მაგალითად, ძველებრაული; სიმბოლოთა სისტემა – კავშირის გაწყვეტა ბუნებრივისა და ზებუნებრივის შორის; რელიგიური ქცევა – სულის ხსნა კეთილი საქმეების საფუძველზე, თავისუფალი ნების კონცეფცია; რელიგიის ორგანიზაცია – ტაძარი, რელიგიური ორგანიზაციების გამოყოფა საზოგადოების სხვა ასპექტებისგან; სოციალური მნიშვნელობა – დაძაბულობა რელიგიასა და საზოგადოებას შორის;

4) ადრეული მოდერნისტული: მაგალითად, რეფორმაციის ეპოქის პროტესტანტიზმი; სიმბოლოთა სისტემა – პირდაპირი კავშირი ზებუნებრივ ძალასა და ინდივიდს შორის; რელიგიური ქცევა – მთლიანად მოიცავს ცხოვრებას, რწმენის კონცეფცია; რელიგიის ორგანიზაცია – ნებაყოფლობითი წევრობა რელიგიურ ერთობაში; სოციალური მნიშვნელობა – ძირეული ცვლილება სოციალურ სისტემებში;

5) მოდერნისტული: მაგალითად, თანამედროვე რელიგიები; სიმბოლოთა სისტემა – პიროვნება და მისი ვალდებულება; რელიგიური ქცევა – პიროვნული ეთიკური პრინციპების ძიება; რელიგიის ორგანიზაცია – გარკვეულწილად ეკლესიის წევრობა, თუმცა, უმთავრესად, პირადი პასუხისმგებლობა; სოციალური მნიშვნელობა – საზოგადოების კულტურისა და პიროვნული ღირებულებების შესაძლო მუდმივი სრულყოფა.

ეს კატეგორიები არ არის დაკავშირებული „პროგრესთან". ბელახი არ მიიჩნევდა, რომ რთული რელიგიები უფრო სრულყოფილია, ვიდრე პრიმიტიული. კატეგორიები, უბრალოდ, აღწერს რელიგიის მარტივი ფორმებიდან უფრო რთულზე გადასვლას. ისინი არ ითვალისწინებენ თითოეული რელიგიის თვითმყოფადობას; აუცილებელი არ არის, ნებისმიერმა მათგანმა განვითარების ერთნაირი ეტაპები გაიაროს; ცალკეულ რელიგიებს შეიძლება ჰქონდეს ნიშნები, რომლებიც ორი ან მეტი სტადიისათვის არის დამახასიათებელი. გარდა ამისა, მარტივ მოძღვრებათა საფუძველზე ყოველთვის არ ხდება უფრო რთულის ფორმირება; ზოგჯერ შეინიშნება დაბრუნება უფრო ადრეულ სტადიებში ან განვითარების სრული არარსებობა.

საინტერესოა სოციოლოგ მაქს ვებერის (1864-1920) კონცეფცია, რომელიც რელიგიათა კლასიფიცირებას სულის ხსნისადმი მათი მიდგომის საფუძველზე ხსნიდა: რა სახის ქცევა უზრუნველყოფს სამუდამო ნეტარებას სიკვდილის შემდგომ? რა ქმედება წირავს ადამიანს ჯოჯოხეთში მოხვედრის ან მივიწყებისათვის? ვებერმა სულის ხსნასთან დაკავშირებული შეხედულებების ანალიზისას ორ ძირითად მომენტზე გაამახვილა ყურადღება:

1. მოითხოვს თუ არა სულის ხსნა პასიურ განჭვრეტას (მისტიციზმს) ან ადამიანის მიერ თავისი ნების აქტიურ მართვას (ასკეტიზმს);

2. სულის ხსნა ხორციელდება ამქვეყნიურ თუ რომელიმე სხვა სამყაროში (ადამიანის შინაგან სამყაროში თუ მის მიღმა, ზეცაში).

აღმოსავლურ რელიგიათა უმრავლესობის თანახმად, სულის ხსნა მისტიციზმის საფუძველზე ხდება – ინდუისტები ეწევიან მედიტაციას ან იოგას, ხოლო ბუდისტები სულის გასხივოსნებისკენ მიისწრაფვიან. დასავლურ რელიგიებში ძირითადი მნიშვნელობა ასკეტიზმს ენიჭება, რომელიც მოითხოვს თვითშეწირვასა და თვითდისციპლინას უზენაესი იდეალის მისაღწევად. როდესაც მუსლიმები უარს ამბობენ საყვარელ საკვებზე და არ ეწევიან ყოველდღიურ საქმიანობას რამადანის დღესასწაულის დროს, ისინი ასკეტიზმს ავლენენ.

სულის ხსნის მიმართ აღნიშნული მიდგომების ნიადაგზე შესაძლებელია მსოფლიოს ძირითად რელიგიათა კლასიფიცირება გამარტივებული წესით. მხედველობაში მიიღება განსხვავებები, ერთი მხრივ, ამ და მის მიღმა არსებულ სამყაროებს, ხოლო მეორე მხრივ – მისტიციზმსა და ასკეტიზმს შორის. ასეთი კლასიფიკაციით კონფუციანელობა, ინდუიზმი, იუდაიზმი და ქრისტიანობა ერთმანეთისგან განსხვავდება იმდენად, რამდენადაც ხსენებული განსაკუთრებული ნიშნები დომინირებს მათს მოძღვრებებში.

კონფუცის სწავლება სულის ხსნას გვთავაზობს ამქვეყნიურ სამყაროში. ეს მისტიკური მოძღვრება თავის მიმდევრებს მოუწოდებს გარემომცველი სამყაროს განჭვრეტისა და მასთან ჰარმონიის მიღწევისაკენ. ინდუიზმი ასევე შეიცავს

მოწოდებას განჭვრეტისაკენ, თუმცა მასში მთავარია იმქვეყნიურ სამყაროში სულების გადასახლების შესახებ რწმენა.

იუდაიზმში ხაზგასმულია აქტიური ქმედებების, მკაცრი რიტუალის მნიშვნელობა. საბოლოო საზღაური გაიცემა ამ სამყაროში ღვთის წყალობის ან რისხვის შედეგად. დაბოლოს, ქრისტიანები უმთავრესად მიიჩნევენ საიქიო ცხოვრებას; ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა საიქიო ცხოვრების განსახიერებას წარმოადგენს; ეს მოწოდება თვითშეწირვისკენ შემოსილია ასკეტიზმის სულით.

კულტურა, ცივილიზაცია, რელიგია

რელიგია არის კულტურის საფუძველი. კაცობრიობის ნებისმიერ კუთხეში არსებულ კულტურას ფესვები რელიგიის სამყაროში აქვს. კულტურის ქვეშ ჩვენ მოვიაზრებთ ლიტერატურას, მუსიკას, მხატვრობას, არქიტექტურას, ქანდაკებას, ოქრომჭედლობას, ხელოვნების ნებისმიერ დარგს. მაგალითისთვის ავიღოთ ძველეგვიპტური კულტურა. აქ კულტურის ყველა დარგი რელიგიური მსოფლმხედველობის პანორამაა: ეგვიპტური მწერლობის ნიმუშები მოგვითხრობს მითიური ადამიანებისა და ღვთაებების ისტორიებს, არქიტექტურული ძეგლები, მონუმენტური ქანდაკებები, ბარელიეფები გადმოგვცემს რელიგიური სამყაროს სურათებს და ა. შ.

რა განსხვავებაა კულტურასა და ცივილიზაციას შორის? „კულტურა" წარმოდგება ლათინური სიტყვისგან „cultura" და სიტყვასიტყვით ნიშნავს დამუშავებას, მოვლას, ხოლო ლათინური სიტყვისგან „civitas", რომლის მნიშვნელობაა საზოგადოება, მომდინარეობს ტერმინი „ცივილიზაცია". კულტურისა და ცივილიზაციის ცნებათა განსაზღვრა არაერთ მეცნიერს უცდია. აქ შემოვიფარგლებით მათი განმასხვავებელი პარამეტრების განხილვით:

1. ზოგადად, კულტურა, ცივილიზაციისგან განსხვავებით, ვიწრო პარამეტრებით განისაზღვრება. იგი შეზღუდულია დროსა და სივრცეში. თავისი ბუნებით კულტურა ნაკლებკოსმოპოლიტური მოვლენაა. კომუნიკაციის საშუალებად იგი იყენებს ლოკალურ ენებს. კულტურის სისტემა ძირითადად რელიგიურ ორიენტირზეა მიმართული.

2. ცივილიზაცია თავისი ბუნებით კოსმოპოლიტური და კომუნიკაბელური საზოგადოების ფორმაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში თავის საზღვრებს შიგნით აერთიანებს სხვადასხვა ეთნოსსა და ენობრივ ოჯახს. ცივილიზაცია განფენილია დიდ სივრცესა და დროის ხანგრძლივ მონაკვეთში.

მაგალითად, ქართული კულტურა არის ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილი, ჩინური კულტურა აზიური ცივილიზაციის ნაწილია, ეგვიპტური კულტურა – ძველაღმოსავლური ცივილიზაციისა და ა. შ. ასე რომ, საუბარია ქრისტიანულ, ისლამურ, ბუდისტურ ცივილიზაციებზე, მაგრამ ქართულ, ირანულ, ასურულ, ებრაულ, არაბულ, ინდურ, იაპონურ, აცტეკურ, ტიბეტურ, ბერძნულ და სხვა ხალხთა კულტურებზე. ამა თუ იმ ხალხის კულტურაში აღმოცენებული არაერთი გამოგონება ხდება მსოფლიო ცივილიზაციის განუყოფელი ელემენტი (მაგ., ფინიკიელების შექმნილი ანბანური დამწერლობა, ჩინელების მიერ შექმნილი დენთი და ა. შ.).

არსებობს „უნივერსალური" რელიგიის ცნება, რომელიც არ ნიშნავს აუცილებლად მონოთეიზმის იდეის პროპაგანდას. პოლითეისტური სისტემაც შეიძლება იყოს „უნივერსალური" რელიგიის ფორმა, თუკი სახელმწიფო იდეოლოგიის დონეზე არსებობ: 1. ოფიციალური კულტი; 2. გარკვეული სოციალური ფენა, რომელიც ამ კულტის იდეოლოგიის პროპაგანდას ეწევა; 3. საზოგადოების ფართო აღმსარებელი მასები, მრევლი;

4. დაბოლოს, რელიგიური იდეოლოგიის ფიქსირებული წერილობითი ძეგლი, რომელიც საზოგადოების სულიერ, რელიგიურსა და ზნეობრივ კოდექსს წარმოადგენს.

„უნივერსალური რელიგიები" არსებობდა ძველი ეგვიპტის, ბაბილონის, ირანის, ისრაელისა თუ სხვა ქვეყნების წარსულში.

დამწერლობის არსებობა ერის კულტურისა და „უნივერსალური" რელიგიის არსებობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. როგორც ითქვა, განვითარებულ რელიგიაში ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორია წერილობით ფიქსირებული რელიგიური წიგნისა და, ზოგადად, რელიგიური მწერლობის არსებობა. ამგვარი ხასიათის წიგნებად შეიძლება ჩაითვალოს ეგვიპტური „მკვდართა წიგნი", ბაბილონური და შუმერული მითების ჩანაწერები, ინდური „ვედები", ზოროასტრული „ავესტა", ისლამის მთავარი წიგნი „ყურანი", ქრისტიანული „ბიბლია", ბუდისტური ჯატაკები და ა. შ.

ცნობილია ე. წ. „ჩაკეტილი ცივილიზაციების" არსებობაც. ამის ტიპური გამოვლენა იყო ეგვიპტური ცივილიზაცია. ასეთი ცივილიზაციები კონსერვატული აზროვნებითა და სტაბილურობისაკენ განსაკუთრებული მიდრეკილებით გამოირჩეოდა.

ცივილიზაცია თავისი ბუნებით საზოგადოების არამყარი, დინამიკური ფორმაა. შესაბამისად, იგი ელასტიკური და ტრანსფორმირებადია. სხვადასხვა ეთნოსში მაღალი კულტურა არსებობს მაშინ, როდესაც ყალიბდება „უნივერსალური" სახელმწიფო სისტემა, „უნივერსალური" რელიგია და დამწერლობის სისტემა. ასეთი კულტურა საფუძველს ქმნის ცივილიზაციის ფორმირებისათვის. ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციები („მაღალი ცივილიზაციები") გულისხმობს ცივილიზაციის ისეთ სახეს, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში ძალუძს დანერგოს ახალი ღირებულებანი. მეორე მხრივ, არსებობს ე. წ. „დროში გაყინული ცივილიზაციები" (სტატიკური ცივილიზაციები), რომლებიც გამოეთიშნენ ისტორიულ პროცესებს. მათში ფიქსირდება ე. წ. ანაბიოზი, სასიცოცხლო ძალების მაქსიმალური დაქვეითება.

პოლითეიზმი და მონოთეიზმი

პოლითეიზმი (ბერძნ. „პოლის" – მრავალი, „თეოს" – ღმერთი) ნიშნავს მრავალღმერთიანობას. პოლითეიზმი ადრეული რელიგიების დამახასითებელი თვისებაა. იგი თითქმის ძველი დროის ხალხთა ყველა რელიგიაში გვხვდება. რამ გამოიწვია პოლითეისტური ცნობიერების წარმოშობა? მოგეხსენებათ, რომ ღმერთმა ადამიანი გონიერ არსებად შექმნა და სამოთხისეულ ყოფიერებაში უძველესი ადამიანი უფალთან ჰარმონიულად იყო დაკავშირებული. ცოდვით დაცემამ გამოიწვია ადამიანის სულიერი ცხოვრების მოშლა, რაც ცოდვის მომძლავრებით აღინიშნა. ადამიანური აზროვნება დაზიანდა. სამოთხის გარეთ დარჩენილმა ადამიანმა არამართებული გზით დაიწყო ღმერთის ძიება და ამ პროცესში სინამდვილის ასახვის არატრადიციული სურათი შექმნა. ეს იყო წარმართული, ღმერთს დაშორებული, ყალბი შეხედულებების დასაბამი. ადამიანი ბუნების ყველა ძალაში ხედავდა დამოუკიდებელ ღვთაებრივ ძალას. მისი აზრით, წყალს თავისი მფარველი ღმერთი ჰყავდა, კლდეს – საკუთარი, ჭექა-ქუხილს სხვა ღვთაება განაგებდა და ა. შ. ასე ჩაეყარა საფუძველი მრავალღმერთიანობას. ადამიანები ღვთაებრივ სამყაროსთან აიგივებდნენ აგრეთვე სხვადასხვა პლანეტას, ვარსკვლავს, კომეტას, მზეს, მთვარეს (ასტრალური ღვთაებები), აღმერთებდნენ ცხოველებს (ზოომორფიზმი), დედამიწას, მცენარეებს, ბუნებრივ ქვებს (ხთონური არსებები). მრავალღმერთიანობა, ანუ პოლითეიზმი, ადრეული კაცობრიობის ყველა ერის ისტორიაში ღვთაებათა მეტ-ნაკლები სიჭრელით გამოირჩევა. ამის

ნათელ ილუსტრაციას ბიბლია წარმოადგენს. ძველი აღთქმის ისტორიაში ასპარეზზე გამოდის სხვადასხვა ხალხი, რომელთა რწმენაც პოლითეიზმზეა აგებული. მართალი აბრაამი ცხოვრობდა ქალდეველთა ურში, სადაც მისი თვისტომნი მთვარეს ეთაყვანებოდნენ. ბიბლიაში ჩვენ ვხედავთ ბაბილონელთა, ეგვიპტელთა, ასურელთა, ქანაანელთა რელიგიებს, რომლებშიც სხვადასხვა ღვთაების კულტი დომინირებდა. პავლე მოციქული ათენში მოგზაურობისას ნახავს მრავალ კერპს, რომლებსაც ბერძნები აღიარებდნენ.

პოლითეისტურ სისტემაში გამოკვეთილია დიდ და მცირე ღვთაებათა ჯგუფები. ზოგი ხალხის რელიგიაში ღმერთების რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევს. მფარველი ღვთაებები ჰყავთ ადამიანებს, მიცვალებულთა სულებს, ქალაქებს, ტაძრებს, სასახლეებს, მიწისქვეშა და მიწისზედა წყლებს, მნათობებს, ცხოველებს, მცენარეებს, სამეურნეო იარაღებს, ბუნების ძალებს, ეპიდემიებს, საზოგადოებრივი ცხოვრების წეს-ჩვეულებებს და ა. შ. სხვადასხვა რელიგიაში უპირატესობა ამა თუ იმ ღვთაებას ენიჭება. მაგალითისთვის, ეგვიპტელებსა და ხეთებთან წამყვანი ადგილი ეკავა მზის თაყვანისცემას, ჩინელებთან პრიორიტეტი ენიჭებოდა ცას, ქანაანელებთან – მოსაველიანობის მფარველ ღვთაებას და ა. შ. ცალკეულ ღვთაებებს განჩინებული ჰყავდათ ღვთისმსახურები – ქურუმები, რომელთა მოვალეობას რელიგიური წესებისა და რიტუალების დაცვა წარმოადგენდა. ზოგ რელიგიაში გავრცელებული იყო ამა თუ იმ ღვთაების გამოსახულების შექმნა. ეს გამოსახულება ან გრაფიკულ სურათს ჰგავდა, ან ქანდაკება-კერპს. კერპები გავრცელებული იყო ·ხეთებთან, ქანაანელებთან, ბაბილონელებთან, ინდოელებსა და სხვა ხალხებთან. ერთადერთი ხალხი, რომელიც საკუთარი რელიგიის აბსტრაქტული ხასიათის გამო კერპებს არ ქმნიდა, იყო სპარსელები.

ადამიანური გონების პროგრესული განვითარება ზოგჯერ მიისწრაფვოდა მონოთეიზმისაკენ. მონოთეიზმი (ბერძნ. „მონოს" – ერთი, „თეოს" – ღმერთი) ნიშნავს ეროღმერთიანობას, ერთი ღმერთის რწმენას. რელიგიებში ხდებოდა გარკვეული ღვთაებების რელიგიური პანთეონიდან გაქრობა. მაგალითისთვის, ინდოელებს ჯერ სწამდათ 333 ღმერთის, შემდეგ – 33-ის და ბოლოს აღიარეს 3 ძლიერი ღვთაება – ბრაჰმა, ვიშნუ და შივა. ძველ ინდურ ფილოსოფიურ წიგნ „უპანიშადებში" გვხვდება მსჯელობა ერთი ღმერთის შესახებ. ასევე, ბაბილონში განვითარების გვიანდელ ეტაპზე გამოიკვეთება მთავარი ღმერთის, მარდუქის, სახელი, რომელსაც ყველა სხვა ღვთაების თვისებას მიაწერდნენ. ეგვიპტის ფარაონის, ამონხეტეპ IV-ის, პერიოდში, აგრეთვე, შეიმჩნევა ერთი ღმერთის – ატონის – თაყვანისცემის გავრცელება და ყველა სხვა ეგვიპტური ღვთაების აკრძალვა. სპარსეთის მეფის, ქსერქსეს, წარწერაც გვამცნობს, რომ მან სამეფოში ყველა ღვთაება აკრძალა და განამტკიცა სინათლის ღმერთის, აჰურამაზდას, კულტი. ძველ ერებს შორის მარტოოდენ ებრაელები ინარჩუნებდნენ ერთი უზენაესი სამყაროს შემქმნელი ღმერთის რწმენას, თუმცა იგივე ძველი აღთქმა ნათლად ადასტურებს, რომ ებრაელთა რელიგიის მიღმაც იყვნენ ცალკეული ადამიანები, რომელნიც ერთ ღმერთს სცემდნენ თაყვანს (მელქისედეკი, ითრო, იობი...).

პოლითეიზმი დაკავშირებულია უძველეს რელიგიებთან. ძველი რელიგიური სისტემების ფორმებია აგრეთვე: ანიმიზმი, ფეტიშიზმი, ტოტემიზმი და მაგია.

რელიგიის წარმოშობა ერთ-ერთი საკამათო საკითხია მეცნიერებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა ჰიპოთეზა:

1. ნატურალისტური (ლათ. natura – ბუნება) ჰიპოთეზა ჯერ კიდევ რომაელმა პოეტმა და ფილოსოფოსმა ლუკრეციუსმა (ძვ. წ. I ს.) წამოაყენა. ამ ჰიპოთეზის თანახმად, ღმერთისა და რელიგიის იდეა წარმოიშვა ბუნების მრისხანე მოვლენებისადმი ადამიანური შიშითა და გაურკვეველობით, რადგან ადამიანებს არ ესმოდათ ბუნების კანონები და, შესაბამისად – ამ მოვლენების წარმოქმნის მიზეზები;

2. ანიმისტური (ლათ. anima – სული) ჰიპოთეზა გაჩნდა და განვითარდა XIX საუკუნეში. ამ ჰიპოთეზით, რელიგიის წარმოშობის წყაროა სიზმრები, ჰალუცინაციები, სიკვდილი და მსგავსი მოვლენები. მათზე დაკვირვებამ „პრიმიტიულ ადამიანს" გაუჩინა აზრი, რომ არსებობს სხვა რეალური სამყაროც;

3. სოციალური ჰიპოთეზა. მისი არსი გამოიხატება დებულებაში, რომლის თანახმად კლასობრივი ურთიერთობის წარმოშობამ საზოგადოებაში განაპირობა ადამიანთა უთანასწორობის იდეა, რაც რელიგიის წარმოშობის დასაბამი გახდა. აქედან გამომდინარე, სოციალური ჰიპოთეზა მიიჩნევს, რომ რელიგია მხოლოდ საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე შეიძლება გაჩენილიყო, ანუ იგი ადამიანთა საზოგადოების საწყისი მოვლენა არ არის.

აქვე განვიხილავთ გავლენიანი ფილოსოფოსებისა და მეცნიერების მიერ შემუშავებულ თეორიებს, რომელთაც განაპირობეს არაერთი თანამედროვე ჰიპოთეზის ჩამოყალიბება:

ა) ფოიერბახის ჰიპოთეზა – გერმანელი ფილოსოფოსის, ლ. ფოიერბახის, მსოფლმხედველობა კლასიკური გერმანული იდეალიზმის ნიადაგზე აღმოცენდა. მისი ძირითადი შრომებია – „ქრისტიანობის არსება" (1841), „მომავლის ფილოსოფიის საფუძვლები" (1843), „ლექციები რელიგიის არსების შესახებ" (1850). ფოიერბახის ნათქვამი – „ჩემი პირველი აზრი იყო ღმერთი, მეორე – გონება, მესამე და უკანასკნელი – ადამიანი", მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის განვითარების ილუსტრაციაა. იგი ჯერ მორწმუნე იყო, მერე რელიგიის იდეალისტი კრიტიკოსი, ბოლოს მატერიალისტური ფილოსოფია ჩამოაყალიბა. მართლაც, რეალურ, ამქვეყნიურ ადამიანში ეძებდა ფოიერბახი თავისი მსოფლმხედველობის ძირითად გასაღებს. ადამიანის ბუნებიდან სურდა მას აეხსნა არა მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრება, არამედ – მთელი იმქვეყნიური სამყაროც, ამიტომ უწოდებდა ფოიერბახი თავის ფილოსოფიას ანთროპოლოგიას. მისი აზრით, რელიგია ადამიანის აბსტრაქტული ბუნების ცალკეული მხარეებისა და თვისებების განსახიერების შედეგად ამოიზარდა. „რა არის სული? – თუ არა სულიერი მოღვაწეობა, რომელმაც დამოუკიდებელი არსებობა ადამიანის ფანტაზიისა და ენის წყალობით შეიძინა, თუ არა სულიერი მოღვაწეობა, რომელსაც არსება განასახიერებს", – წერდა იგი. ადამიანი ღმერთისა და იმქვეყნიური სამყაროს სახით ასაგნობრივებს თავის წარმოდგენას ბედნიერებისა და მისი მიღწევის გზების შესახებ. ადამიანს სურს, იყოს ბედნიერი. ეს რომ არა, არავითარი რელიგია არ წარმოიშობოდა. ადამიანს უნდა ის, რაც არ არის და, ამავე დროს, იმედი არ აქვს, რომ საკუთარი ძალებით მიაღწევს ბედნიერებას. ამრიგად, ადამიანი საკუთარი წარმოდგენის შედეგიდან ელის შველას. ამით იგი უარს ამბობს შემოქმედებითობაზე. ესაა გაუცხოების შედეგი. ადამიანს საკუთარი აზრის, საკუთარი შემოქმედების ნაყოფი წარმოუდგება, როგორც უცხო რამ, ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებული, რომელიც მასზე განუზომლად ძლიერია, შეუძლია შეიწყალოს და დასაჯოს იგი. ფოიერბახი თავისი სიცოცხლის მიზნად მიიჩნევდა ადამიანის გათავისუფ-

ლებას რელიგიის შესახებ ყალბი წარმოდგენებისგან, მაგრამ საერთოდ რელიგიის უარყოფა მას არ სურდა. მის ანთროპოლოგიურ კონცეფციაში ტრანსცენდენტურის ადგილს ადამიანი იკავებს.

ბ) ფრეზერის ჰიპოთეზა – ინგლისელი ეთნოგრაფი და რელიგიის ისტორიკოსი ჯეიმს ფრეზერი (1854–1941) იკვლევდა ადრეული რელიგიის ფორმებს – ტოტემიზმსა და ანიმიზმს. მისი კვლევის ობიექტი იყო ასევე მომაკვდავი და აღმდგარი ღვთაებების კულტი. იგი იზიარებდა ბ. ტეილორის აზრს, რომ მითი წარმოადგენდა რიტუალის განმარტებას, მაგრამ შემდეგ ფრეზერი მივიდა ასეთ დასკვნამდე: მითი არის რიტუალური მოქმედების გადმონაშთი. ფრეზერის თეორიით, ყველა რელიგიური რიტუალის წესი არის სიკვდილი და ხელახლა დაბადება ღმერთისა ან მეფისა, რომელიც წარმოადგენდა სიმბოლოს და იძლეოდა მიწის ნაყოფიერებისა და ხალხის კეთილდღეობის გარანტიას. ფრეზერისა და მისი მიმდევრებისთვის თემა რიტუალური სიკვდილისა და დაბადებისა ყველა მითის ბაზისად იქცა. ფრეზერის აზრით, მითები წარმოიქმნა იმ რიტუალების განმარტებისთვის, რომლებიც დროთა განმავლობაში გაუგებარი ხდებოდა. მან ძველი აღმოსავლეთის რელიგიები რიტუალური ხასიათის რელიგიებად მიიჩნია.

გ) ფროიდის ჰიპოთეზა რელიგიის წარმოშობის ფსიქოანალიტიკური ახსნაა. ავსტრიელი ფსიქოლოგის, ზ. ფროიდის (1856–1939), ძირითადი შრომებია: „სიზმრების ახსნა" (1900), „გონებამახვილობა და მისი კავშირი არაცნობიერთან" (1905), „ფსიქოანალიზის შესავალი ლექციები" (1920), „მე და იგი" (1923), „ცივილიზაცია და მის მიმართ უკმაყოფილება" (1930). ფროიდზე ადრე ფრეზერმა და ტეილორმა სცადეს რელიგიის იმ თეორიის შესწავლა, რომელიც უფრო ფსიქოლოგიურ ელემენტებს ეყრდნობოდა, ვიდრე – სოციალურს. ისინი ხედავდნენ, რომ პრიმიტიულმა ხალხმაც განავითარა რელიგია, რათა აეხსნა და დაესაბუთებინა გაუგებარი ფსიქოლოგიური განცდები – სიზმრები, ბუნების მოვლენები, მაგიის ეფექტურობა. ფროიდმა 1907 წელს გამოცემულ ნაშრომში „ობსესიური ნევროზი" – ობსესიური ნევროზი, სადაც შეადარა ნევრასთენიკის აკვიატებული მოქმედებები და ის რელიგიური რიტუალები, რომლებითაც მორწმუნე გამოხატავს მოწიწებას (მაგ., ლოცვა და ვედრება). ფროიდისთვის ნევრასთენიკის ურიცხვი პატარ-პატარა ცერემონია (რომელთაგან ყოველი მათგანი ზუსტად რაღაც წესის მიხედვით უნდა შესრულდეს) ისევე, როგორც დაფარული სურვილები, მათ გამო აღელვება და დანაშაულის შეგრძნება, წარმოადგენს მსგავსებას რელიგიასა და ნევროზს შორის. ის მიიჩნევდა, რომ ორივეს ფესვები დაორგუნვის ერთსა და იმავე ფსიქოლოგიურ მექანიზმსა და გადანაცვლებაშია, კერძოდ, სექსუალური იმპულსებისა – ნევროზის დროს და ეგოისტური ან ანტისოციალური იმპულსების – რელიგიის შემთხვევაში. ამ პარალელმა იგი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შესაძლოა ნევროზის აღწერა, როგორც ინდივიდუალური რელიგიურობისა, ხოლო რელიგიის, როგორც უნივერსალური ნევროზისა. ამ სტატიით ფროიდმა ნაბიჯი გადადგა რელიგიისა და რიტუალის შემდგომი შესწავლისაკენ. იგი ფრთხილად გადავიდა ე. წ. ინდივიდუალური ნევროზის (აკვიატებული მოქმედებები) ანალიზიდან ე. წ. უნივერსალური სოციალური ნევროზის (რელიგია) ანალიზზე. დაუშვა რა ამოსავალ დებულებად იდენტურობა ინდივიდუალურ ფსიქიკურ პროცესებსა და სოციალურ პროცესებს შორის, ფროიდმა დაიწყო კაცობრიობის ფსიქოლოგიური განვითარების რეკონსტრუქცია. ამ დროს ის ეყრდნობოდა თავის კლინიკურ ჩანაწერებს კონკრეტული პაციენტების ფსიქიკური ისტორიის შესახებ.

1913 წელს ნაშრომში-„ტოტემი და ტაბუ"-ფროიდმა პირველად დაიწყო იმის

მტკიცება, რომ ის დათრგუნვა, რომელიც იწვევს აკვიატებულ ქმედებებსა და დათრგუნვა, რომელსაც მივყავართ რელიგისაკენ, საბოლოო ჯამში, იდენტურია. ორივე ფენომენისთვის დათრგუნვის შინაარსი იყო ინცესტური სქესობრივი სურვილები. ამგვარი განცხადების საფუძველს იგი ხედავდა პრიმიტიული რელიგიის რიტუალურ ქმედებებში. მისი ყურადღების ცენტრში იყო ექსოგამია, ანუ ერთი ტოტემური ჯგუფის წევრებს არ შეეძლოთ ქორწინება, თუნდაც არ ყოფილიყვნენ სისხლით ნათესავები. ფროიდი ამტკიცებდა, რომ არსებობს ორი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ტაბუ პრიმიტიულ საზოგადოებაში, კერძოდ – აკრძალვა ტოტემური ცხოველის მოკვლისა და სქესობრივი თანაცხოვრებისა ტოტემურ ნათესავთან. მკაცრად აკრძალული, ფროიდის აზრით, ბუნებრივია, რომ ზედმეტად სასურველი შეიძლებოდა გამხდარიყო. უფრო მეტიც, შენიშნა რა, რომ ტოტემი ხშირად ედარება მამასა და წინაპარს, მან დაასკვნა, რომ ორი ტოტემური აკრძალვა, რაც ნიშნავს მამის მოკვლასა და დედასთან თანაცხოვრებას, და მისგან გამომდინარე სურვილები თანხვდება ოიდიპოსის დანაშაულის შინაარსს. აიღო რა „ოიდიპოსის კომპლექსი" ჭაბუკის ფსიქოლოგიური განვითარების საფეხურად, როდესაც ყმაწვილი თრგუნავს დედისადმი ლტოლვასა და მამის მიმართ შურსა და შიშს, ფროიდი ამტკიცებდა, რომ ტოტემური სისტემა განპირობებულია იმავე პირობებით, რომლებმაც ოიდიპოსის კომპლექსი წარმოშვა. ფროიდმა მოგვცა კაცობრიობის განვითარების ადრეული ისტორიის სცენარი: „ერთ დღეს მამისგან გაძევებული ძმები შეერთდნენ, მოკლეს და შეჭამეს მამა, რითაც ბოლო მოუღეს მამის ბატონობას... ტოტემური ნადიმი, რომელიც შესაძლოა დღესასწაულიც კი იყო, გახდა განმეორებადი და სამახსოვრო. მან დასაბამი მისცა ამდენ მოვლენას – სოციალურ ორგანიზებას, მორალურ შეზღუდვებსა და რელიგიას". ფროიდის თეორიით, დანაშაულის გრძნობით შეწუხებულმა ძმებმა გადაწყვიტეს დანაშაულის დაფარვა, უარი თქვეს იმ ქალებზე, რის გამოც მოკლეს მამა და აკრძალეს ტოტემის, როგორც მამის შემცვლელის, მოკვლა. ეს პირველი მკვლელობა იყო ტოტემური კულტის შედეგი, რაც ნიშნავდა აკრძალვას, ტაბუს დადებას საკრალიზებული ტოტემის მოკვლაზე და ილაშქრებდა ინცესტის წინააღმდეგ, რამაც შემდგომში მოგვცა სქესობრივი ურთიერთობის აკრძალვა ერთ ტოტემურ ჯგუფში. ფროიდისათვის ტაბუ არის რიტუალური პრაქტიკისგან განუყოფელი. ტაბუ განაპირობებს რიტუალს.

ბიბლიური ვერსია – ბიბლია, როგორც ქრისტიანული რელიგიის წმინდა წერილი, რომელშიც მოთხრობილია საღმრთო ისტორია, გვამცნობს უზენაესი ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის ამბავს. ძველი აღთქმა მოგვითხრობს პირველ ადამიანთა სამოთხეში ნეტარი ცხოვრების, ცოდვით დაცემისა და სამოთხიდან განდევნის შესახებ. სამოთხის გარეთ დარჩენილი ადამიანებისგან გამრავლებულ კაცობრიობას თანდათან დაეკარგა ცხოველი კონტაქტი შემოქმედთან. წარღვნის შემდგომ ნოეს სამი ვაჟისგან წარმოშობილ ერებში დაზიანებულად იქნა აღქმული ჭეშმარიტი სარწმუნოების მრავალი ელემენტი. ადამიანურ მოდგმას ჰქონდა ხსოვნა ერთიან ღმერთზე, მაგრამ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს პოლითეიზმი, წარმართული კულტები, კერპთაყვანისცემა. სხვადასხვა რელიგიის წარმოშობის მიზეზად, ბიბლიური ისტორიის გათვალისწინებით, შესაძლებელია მივიჩნიოთ ადამიანთა მოდგმის ეტაპობრივი დაშორება ღმერთთან და არასწორი რელიგიური ცნობიერების განვითარება. უძველესი საზოგადოების წიაღში არსებული რელიგიური პლურალიზმის მაგალითები თვით წმინდა წერილშიცაა აღწერილი. აქ ხშირად ერთმანეთს უპირისპირდება მონოთეიზმი, როგორც ტრანსცენდენტური ღმერთის თაყვანისცემის ფორმა, და პოლითეიზმი, როგორც მრავალღმერთიანობის აღიარება.

ა) რელიგია და მეცნიერება – მეცნიერება არის ადამიანური გონის მოღვაწეობის სფერო, რომლის ფუნქციაა სინამდვილის არსებისა და კანონების შესახებ ობიექტური, ჭეშმარიტი ცოდნის სისტემატიზაცია აბსტრაქტულ-ლოგიკური ფორმით; კაცობრიობის ისტორიაში საზოგადოებრივი ცნობიერების ეს ერთ-ერთი ფორმა ყოველთვის ასრულებდა პროგრესის დამაჩქარებლის როლს. მეცნიერების უშუალო ამოცანაა სინამდვილის მოვლენებისა და პროცესების აღწერა, ახსნა და წინასწარხედვა, რაც, ფართო გაგებით, ნიშნავს სინამდვილის თეორიულ ახსნას მეცნიერების მიერ აღმოჩენილი კანონების საფუძველზე. ტერმინს „მეცნიერება" ზოგჯერ ხმარობენ, აგრეთვე, ცალკეული დარგების აღსანიშნავად. მართლაც, არსებობს მეცნიერებათა მთელი რიგი, რომლებიც ბუნებისა და საზოგადოების ვიწრო სფეროებს იკვლევს (საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, სამედიცინო, სოციალური, ჰუმანიტარული და სხვა დარგები). მეცნიერების რთული სტრუქტურა, უპირველეს ყოვლისა, შედგება ემპირიული ცოდნისგან, რომელიც მოიცავს სპეციალური ცდებით (დაკვირვება, ექსპერიმენტი) მოპოვებულ ცოდნას, ასევე თეორიულ ცოდნას, რომელიც ემპირიულ-ფაქტობრივი მასალის სისტემატიზაციაა.

არსებობდა საკმაოდ მყარი აზრი იმის თაობაზე, რომ რელიგია და მეცნიერება, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ეს ორი სხვადასხვა მხარე, ურთიერთგამომრიცხავია. ბუნებრივია, რელიგიას მიზნად არ აქვს, ემპირიული გზებით დაამტკიცოს მეტაფიზიკური რეალობის არსებობა. მისი სფერო უპირველესად რწმენის საუფლოა, მეცნიერება კი უმთავრესად მატერიალურ დროსა და სივრცეში მოქცეულ ნივთიერ სამყაროს იკვლევს და მათ შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას თეორიულად განაზოგადებს. აღსანიშნავია, რომ ის, რასაც ჩვენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას ვუწოდებთ, განვითარდა ეკლესიის წიაღში. უდიდესი თეოლოგები ფრიად გულმოდგინედ იკვლევდნენ ბუნების მოვლენებს, მატერიის აგებულებას, ანთროპოლოგიას. მათს ნაშრომებში ჩვენ გვხვდება პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც მეცნიერებამ XX საუკუნეში გადაჭრა (მაგალითად, გრიგოლ ნოსელის შეხედულება მატერიის აგებულებაზე დაადასტურა თანამედროვე ფიზიკამ).

ყველა დიდი მეცნიერი აღიარებს, რომ სამყაროს ჰყავს გონიერი შემოქმედი, რომელიც უზენაესი ძალით მართავს მას. მეცნიერებისა და რელიგიის დაპირისპირება მხოლოდ ნაძალადევ, მცდარ აზრთა სისტემაშია გაბატონებული. აქვე მოყვანილია რამდენიმე გამოჩენილი მეცნიერის ის ფეისტური აზრი, სადაც ნათლად ჩანს მეცნიერებისა და რელიგიის ჰარმონიული კონტაქტი:

ფრენსის ბეკონი – „ადამიანს მხოლოდ მცირე ცოდნა აშორებს ღმერთს, დიდი კი კვლავ აბრუნებს მასთან".

გალილეო გალილეი – „საღმრთო წერილიც და ბუნებაც ღვთაებრივი სიტყვისგან იღებენ დასაბამს, პირველი, როგორც სულიწმიდის ჩაგონება, მეორე, როგორც აღმასრულებელი უფლის ნებისა".

ისააკ ნიუტონი – „მზის, პლანეტებისა და კომეტების ესოდენ გამაოგნებელი შეერთება შეუძლებელია სხვაგვარად მომხდარიყო, თუ არა მძლეთამძლე და ბრძენთა ბრძენი არსების ზრახვითა და ნებით..., არსებისა, რომელიც მართავს ყველაფერს არა როგორც სამყაროს სული, არამედ როგორც კოსმოსის მბრძანებელი და, თავისი მბრძანებლობის თანახმად, უნდა იწოდებოდეს ასე – უფალი ღმერთი ყოვლისმპყრობელი".

ჩარლზ დარვინი – „შეუძლებელია ვაღიაროთ, რომ ეს დიადი და საოცარი სამყარო ისევე, როგორც ჩვენ – ცნობიერი არსებები – შემთხვევით ვიყოთ შექმნი-

რელიგიური სამყარო წარმოუდგენელია მითოლოგიის გარეშე. მეცნიერებაში არსებობს მითის განმარტების უამრავი მცდელობა. ყველაზე მიღებული დეფინიცია ამგვარია – „მითი არის განსაკუთრებული (კოლექტიური) მნიშვნელობის მქონე ტრადიციული ამბავი". ტერმინი „მითოლოგია" აღნიშნავს მითების ერთობლიობას, როგორც სისტემას, და მათს ინტერპრეტაციასაც. ცნება „მითოგრაფია", ანუ მითების აღწერა, აღნიშნავს ანტიკური სამყაროდან მოყოლებული შემოქმედების სახეს, რომელიც სპეციალურად მითების ჩაწერასა და რეკონსტრუქციას გულისხმობდა. მითოგრაფოსი იწერდა უკვე ცნობილ მითებს და ახდენდა მათს სისტემატიზაციას სპეციალურ კრებულებად.

მითი უნდა განვასხვაოთ ზღაპრისა და ლეგენდისაგან. მართალია, ზღაპარი, მითის მსგავსად, არაა დაკავშირებული არც ერთ კონკრეტულ ავტორთან, მაგრამ მათ შორის დიდი სხვაობაა. მითი ყოველთვის ხსნის გარე სამყაროს რაიმე მოვლენას (სამყაროს წარმოშობა, ღვთაებათა ფუნქციების გადანაწილება, გმირების ისტორია...), რაც მსოფლმხედველობის გარკვეულ საფუძველს ქმნის. ზღაპარს მსგავსი მოვლენები არ აინტერესებს. მითში მოქმედი პერსონაჟები სახელდებულნი არიან, მოქმედება განსაზღვრულია დროსა და სივრცეში, მისთვის არსებითია გენეალოგიები; მასში ყველა ვიღაცის შვილია და ვიღაცის მშობელი. აქ გაყოფილია უკვდავთა და მოკვდავთა ხაზები. ყოველივე ეს უცხოა ზღაპრისთვის. მითი, როგორც ტრადიციული ამბავი, წარმოადგენს ადამიანებით დასახლებული სამყაროს ფუნქციონირების კანონზომიერების განზოგადებას. რაც შეეხება ლეგენდას, იგი ფოლკლორულ ტრადიციაში რეალურად არსებულ ფაქტზე ხალხის ფანტაზიით სასწაულის საბურველში გახვეული ამბავია. ლეგენდის პერსონაჟი ყოველთვის რეალური პირია (უმეტესად – მეფე, გმირი, მაშენებელი...). აქედან გამომდინარე, ზღვარი მითსა და ლეგენდას შორისაც არსებობს.

მითოლოგიის რაობის, მისი არსის შესწავლა უძველესი დროიდან დაიწყო (ჰეკატეოს აბდერელი, ჯ. ვიკო, ი. ჰერდერი და სხვ.). მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გერმანელი ფილოსოფოსის, ფ. შელინგის (1775-1854), ნაშრომი „მითოლოგიის ფილოსოფია". მკვლევრის აზრით, ანალიზს იმის აღიარებამდე მივყავართ, რომ კრიტიკულ-ანალიტიკური პრინციპებისგან ისეთ დაშორებულ აზროვნების ფორმასაც კი, როგორიც მითოლოგიაა, თავისი ფილოსოფია აქვს. ახალ დროში მითოლოგიის ფენომენს იკვლევდნენ ე. კასირერი, ა. ლოსევი, კ. ლევი-სტროსი და სხვები.

ა) მირჩა ელიადე (1907-1986) რუმინელი ავტორია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მითის ფენომენის მეცნიერული შესწავლის საქმეში. მისი არაერთი ნაშრომი ეძღვნება რიტუალის, რელიგიის (განსაკუთრებით – ავსტრალიელთა), იოგას, შამანიზმისა და სხვა პრობლემებს. საკუთრივ მითის თეორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის ორ მონოგრაფიას: „მუდმივი დაბრუნების მითი" (1949) და „მითის ასპექტები" (1963). მ. ელიადე ამოდის იმ პრინციპიდან, რომ მითები შეიცავს ღრმა „მეტაფიზიკურ" ცოდნას, რომელიც, ფაქტობრივად, არქაული ადამიანის ერთგვარ „ფილოსოფიად" შეიძლება განვიხილოთ. მიუხედავად იმისა, რომ ხმელთაშუა ზღვისა და აზიის ყველა დიდ რელიგიას აქვს მითოლოგიები, მათზე დაყრდნობით ძნელია ჩავწვდეთ მითოლოგიური აზროვნების კანონზომიერებებს. ეგვიპტური, ინდური და, განსაკუთრებით, ბერძნული მითოლოგიები ჩვენამდე მოვიდა არა უშუალოდ პირველწყაროდან, არამედ მწერლების, მითოგრაფოსების მიერ ინტერპრეტირებული და სისტემატიზებული, ხშირად გარკვეული ჟანრის ნაწარმოებებში მოქცეული ინფორმაციის წყალობით. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ კულტურების

მითოლოგიები არ შეიცავს აუცილებელ მონაცემებს მითის ბუნების გამოვლენისათვის, მაგრამ მეცნიერული მითოლოგიისათვის უმჯობესია, კვლევა დაიწყოს არქაული და ტრადიციული, ანუ, ჩვენი გაგებით, პრიმიტიული საზოგადოებების მითების შესწავლით. ელიადე გულისხმობს იმ საზოგადოებებს, „სადაც მითები ჯერ კიდევ ცოცხლობს და სადაც ისინი ადამიანის ქცევასა და მოქმედებას ასაბუთებენ ან ამართლებენ". აქ საკმაოდ გარკვევით ასხვავებენ ერთმანეთისაგან „ნამდვილ ამბებსა" და „შეთხზულ ამბებს". პირველი გულისხმობს მითებს, ხოლო მეორე – ზღაპრებს. პირველი გადმოგვცემს იმას, რაც უშუალოდ საზოგადოების წევრებს ეხება, რაც მათი ქცევისა და ცხოვრების წესებს განსაზღვრავს, მეორეს კი ადამიანთა არსებობის პირობებზე არ მოუხდენია მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გავლენა. ელიადე მითის ერთ-ერთ შესაძლო განსაზღვრებას გვთავაზობს: „მითი მოგვითხრობს საკრალურ ამბავს: იგი აღწერს, დასაბამიერი, „საწყისთა" საარაკო დროის მოვლენას. სხვანაირად რომ ვთქვათ, მითი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ ზებუნებრივ არსებათა საგმირო საქმების წყალობით როგორ იქცა რეალობა არსებობად, იქნება ეს საყოველთაო რეალობა, კოსმოსი თუ მისი ერთი რომელიმე ფრაგმენტი: კუნძული, მცენარის ჯიში, ადამიანთა ქცევა. მაშასადამე, თხრობა ყოველთვის რაღაცის „შექმნას" ეხება: მოთხრობილია, როგორ წარმოიშვა რაღაც, როგორ დაიწყო ყოფიერება. მითი გვიყვება მხოლოდ იმას, რაც ნამდვილად მოხდა. მითების პერსონაჟები ზებუნებრივი არსებები არიან. ისინი ცნობილი გახდნენ იმით, რაც გააკეთეს „საწყისთა" საარაკო დროში. მაშასადამე, მითები წარმოაჩენს მათს შემოქმედებით აქტივობას და ფარდას ხდის მათი საქციელის საკრალურობას. მოკლედ, მითებში ხდება დრამატულის, საკრალურის (ან „ზებუნებრივის") შემოჭრა სამყაროში. სწორედ საკრალურის ეს შემოჭრაა, სამყაროს რეალურად რომ ქმნის და მას აქცევს იმად, რაც დღეს არის. უფრო მეტიც, სწორედ ზებუნებრივ არსებათა ჩარევის წყალობით ადამიანი იქცა მოკვდავ, სქესის მატარებელ და კულტურულ არსებად".

საკრალური ამბავი, ანუ მითი, „ნამდვილია", რადგან ამას გვიჩვენებს რეალობა. კოსმოგონიური მითი „ნამდვილია", რადგან მას ასაბუთებს სამყაროს დღევანდელი არსებობა. იგივე ითქმის სიკვდილის წარმოშობის მითზე, რომელსაც ამტკიცებს ადამიანის მოკვდავობა და ა. შ.

ელიადეს აზრით, არქაული საზოგადოებების მითის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: 1. ზებუნებრივი არსებების ქმედებათა ისტორია; 2. ამ ისტორიის მიჩნევა აბსოლუტურ სიმართლედ (რადგან იგი რეალობასთან მიმართებაშია) და საკრალურად (რადგან იგი ზებუნებრივ არსებათა ნამოქმედარია); 3. მითის მოაზრება ყოველთვის რაღაცის შექმნასთან მიმართებაში (იგი გვიამბობს, როგორ მიეცა ქვეყანაზე დასაბამი რაღაცას, ან როგორ ჩამოყალიბდა ესა თუ ის ქცევა. ამიტომ შეიცავს მითები ყველა მნიშვნელოვანი ადამიანური აქტის პარადიგმებს); 4. მითის ცოდნით საგანთა „საწყისთან" გაცნობა, ამის შედეგად მათზე გაბატონება და მათი ნებისმიერად მართვა (ლაპარაკია არა „გარეგნულ", „აბსტრაქტულ" ცოდნაზე, არამედ ცოდნაზე, რომელსაც რიტუალურად „აცოცხლებენ" მითის საზეიმო თხრობით ან მისი დამახასიათებელი რიტუალის აღსრულებით); 5. მითის „გაცოცხლება" იმ აზრით, რომ გარემოცული ხარ საკრალურით.

ლები, რაც ღმერთის არსებობის ყველაზე ნათელ დასტურად მეჩვენება. სამყარო კანონზომიერებებზეა დაფუძნებული და თავის ყველა გამოვლენაში გონების პროდუქტად წარმოგვიჩნდება, რაც მის შემოქმედზე მიგვანიშნებს".

ანდრე ამპერი – „ბუნებაში ჩვენ შეგვიძლია დავუკვირდეთ შემოქმედის ქმნილებებს და მათი მეშვეობით ავმაღლდეთ შემოქმედის შემეცნებამდე. მართალია, ღმერთი თითქმის ისევე იმალება თავის ქმნილებებში, როგორც ვარსკვლავთა რეალური მოძრაობები მათსავე მოჩვენებით მოძრაობებში, მაგრამ ამ მოჩვენებით მოძრაობებს რეალურ მოძრაობათა შეცნობამდე მივყავართ. შემოქმედის საქმეთა შეცნობის წყალობით ზუსტად ასევე ვმაღლდებით შემოქმედამდე და, გარკვეულწილად, თვით მის ღვთაებრივ თვისებებსაც კი ეჭვრეტთ".

ალბერტ აინშტაინი – „ცოდნა იმისა, რომ არსებობს ფარული რეალობა, რომელიც გვევლინება, როგორც უზენაესი სიბრძნე და თვალისმომჭრელი მშვენიერება – დიახ, სწორედ ეს რწმენაა ჭეშმარიტი რელიგიურობის ბირთვი".

ვერნერ ჰაიზენბერგი – „პირველი ყლუპი ბუნებისმცოდნეობის ფიალიდან ათეიზმს ბადებს, მაგრამ სასმისის ფსკერზე ჩვენ გვიცდის ღმერთი".

მაქს პლანკი – „რელიგია და ბუნებისმეცნიერება იმიტომ არიან შეთავსებადნი, რომ ისინი... სინამდვილის სრულიად სხვადასხვა სფეროს განეკუთვნებიან: ბუნებისმეცნიერებას საქმე აქვს ობიექტურ მატერიალურ სამყაროსთან. იგი ჩვენგან მოითხოვს სწორი დასკვნების გამოტანას ობიექტური სინამდვილის შესახებ და მისი კავშირების გაგებას. რელიგიას ღირებულებათა სამყაროსთან აქვს საქმე. აქ ლაპარაკია იმაზე, რა არის გასაკეთებელი და არა იმის გამო, რა არ არის. ბუნების მეცნიერებაში ჩვენ ვარჩევთ ჭეშმარიტსა და მცდარს, რელიგიაში – კეთილსა და ბოროტს, ღირსეულსა და უღირსს. ბუნებისმეცნიერება ტექნიკურად მიზანშეწონილი ქცევის საფუძველია, რელიგია კი – ეთიკისა. კონფლიქტი ამ ორ სფეროს შორის, რაც მეთვრამეტე საუკუნიდან მოდის, მხოლოდ გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს. ეს იმიტომ მოხდა, რომ რელიგიურ წარმოდგენებსა და იგავებს ბუნებისმეცნიერულ მტკიცებებთა გაგება მისცეს, რაც, რასაკვირველია, უაზრობაა. ამ შეხედულების მიხედვით..., ეს ორი სფერო ცალ-ცალკე უკავშირდება სამყაროს სუბიექტურ და ობიექტურ მხარეებს. ბუნებისმეცნიერება ერთგვარად გამოხატავს ობიექტური სინამდვილის მიმართ ჩვენს მიმართება-დაპირისპირებას, რელიგიური რწმენა კი, პირიქით, სუბიექტური გადაწყვეტილებაა ღირებულების შესახებ, რომლის მიხედვითაც განესაზღვრავთ ჩვენს საქციელს ცხოვრებაში".

ბ) რელიგია და პოლიტიკა – პოლიტიკა, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, რომელიც მართავს და აწესრიგებს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმებს, უხსოვარი დროიდან მჭიდრო კავშირშია რელიგიურ სტრუქტურებთან. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ძველი ეგვიპტელების, ბაბილონელების, ხეთების, ასურელებისა და აღმოსავლეთის სხვა ხალხების სახელმწიფოებრივი ისტორია რელიგიისგან განუყოფლად. რელიგია ასრულებდა წამყვან როლს სოციუმის მოწესრიგებაში. იგი არაერთხელ ყოფილა ხელისუფლების იარაღი იდეოლოგიურ ასპარეზზე ხალხის მართვაში. შუა საუკუნეებში რელიგია განსაკუთრებულ როლს ასრულებდა სახელმწიფო ცხოვრებაში. ეს ტენდენცია მეტ-ნაკლებად ახალ დროშიც შენარჩუნდა. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები სულ უფრო და უფრო ამძაფავენებს რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზის ძიების აუცილებლობას.

იმის წარმოსაჩენად, თუ როგორია ამა თუ იმ პოლიტიკური იდეოლოგიის დამოკიდებულება რელიგიის ფენომენისადმი, საინტერესოა პოლიტოლოგ ენდრიუ ჰეივუდის მიერ ჩამოყალიბებული სქემა (იხ. ე. ჰეივუდი – პოლიტიკური იდეოლოგიები, 2004. გვ. 342).

გ) რელიგია და ფილოსოფია – ფილოსოფია არის საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, რომლის მიზანია დასაბუთებული მსოფლმხედველობის მოცემა. იგი ყოველთვის ცდილობდა გაერკვია სამყაროს არსი და ადამიანის ადგილი მასში. ყველა ეპოქაში არსებობდა ფილოსოფიის სხვადასხვა გაგება. იყო დრო, როდესაც ფილოსოფია ზოგადად ყველანაირ მეცნიერებასთან იგივდებოდა, გარკვეულ პერიოდში მისი შესწავლის ობიექტი გახდა შემეცნების პრობლემები, მოგვიანებით კი დაკავდა ანთროპოლოგიით.

ფილოსოფიისა და რელიგიის კავშირი უძველესი დროიდან მყარად ფესვგადგმული ფენომენია. მათი დაახლოების ზენიტი შუა საუკუნეებია, როდესაც თეოლოგიამ გაბატონებული ადგილი დაიკავა. შუა საუკუნეებში ფილოსოფია არსებობდა, როგორც თეოლოგია. არსებობს სხვა, უფრო გავრცელებული განსაზღვრება: ფილოსოფია თეოლოგიის მსახურია.

ფილოსოფია ვერასდროს ვერ უვლიდა გვერდს რელიგიურ საკითხებს. მისი ინტერესის სფეროს მუდამ წარმოადგენდა ტრანსცენდენტური ფენომენი, სული, მარადიულობა, ექსტაზი, გამოცხადების არსი, მორალური ღირებულებები. ფილოსოფიის ისტორიაში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა ღმერთის არსებობის დამამტკიცებელი არგუმენტები. XX საუკუნეში წარმოქმნილი ძლიერი ფილოსოფიური სკოლები ამყღავნებს რელიგიასთან სიახლოვეს. ეს ყველაფერი მოწმობს, რომ ფილოსოფია რელიგიისგან განუყოფელია.

დ) რელიგია და ხელოვნება – ხელოვნების ნებისმიერი სფერო (ლიტერატურა, ფერწერა, არქიტექტურა, ქანდაკება, მუსიკა) რელიგიური სამყაროს სივრცეში შემოქმედების ფართო გასაქანს იძლევა. ყველა ხალხის ისტორიაში ხელოვნება რელიგიური ნიშნების ღრმა კვალს ავლენს. ბიბლიური სიუჟეტები, მსგავსად აღმოსავლური მითიური გადმოცემებისა, მსოფლიო ლიტერატურის მრავალი შედევრის წყარო გამხდარა. ბიბლიურ ისტორიებზე შეიქმნა მსოფლიო ფერწერის უდიდესი ნიმუშები. ყველა ქვეყნის არქიტექტურული საოცრებები რელიგიის საკულტო ადგილებს წარმოადგენს. რელიგიის საკულტო დანიშნულებისთვის შეთხზული ჰანგები ყოველთვის აჯადოებდა მსმენლის გონებას. ხელოვნებისა და რელიგიის ღრმა კონტაქტზე მთელი მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობა მეტყველებს.

რელიგიის ძველი ფორმები
ანიმიზმი

ანიმიზმი არის რელიგიის ერთ-ერთი უძველესი ფორმა და მისი არსი მდგომარეობს სულის ან სულების რწმენაში. ანიმიზმის წარმოშობა განსაზღვრა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანის წარმოდგენამ გარემომცველ ბუნებაზე. ადამიანს თავისი თვისებები და უნარები ირგვლივ არსებულ მატერიალურ საგნებსა და ობიექტებზე გადაჰქონდა და ასულიერებდა მათ. საკუთარი ჩრდილი, წყალში დანახული საკუთარი ორეული, სიზმარი, ჰალუცინაციები მას რეალურად ჰქონდა წარმოდგენილი. ამ მოვლენებზე დაკვირვების შედეგად ის აკეთებდა დასკვნას, რომ ადამიანი არის არა მარტო ფიზიკური არსება, რომელსაც ეხები და ხედავ, არამედ სულიერი და ამ სულს მიეწერება განსაკუთრებული უნარი (სწორედ ეს უნარი გადაჰქონდა უძველეს ადამიანს ბუნების მოვლენებსა და საგნებზე).

ტერმინი ანიმიზმი მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან „anima", რაც „სულს" ნიშნავს. ანიმისტური თეორია ჩამოაყალიბეს XVII-XVIII საუკუნეების ინგლისელმა ფილოსოფოსებმა – თ. ჰობსმა, ჯ. ტოლანდმა და ჯ. პრისტლიმ, რომლებიც რელიგიის საფუძვლად ადამიანის სულის რწმენას მიიჩნევდნენ. შემდეგ ეს ტერმინი დაუკავშირდა ინგლისელ ეთნოგრაფსა და რელიგიის მკვლევარს – ე. ტეილორს, ასევე – ამერიკელ ფილოსოფოს ჰ. სპენსერს. მათ წამოაყენეს რელიგიის წარმოშობის თეორია, რომლის მიხედვითაც ანიმისტური შეხედულებები ნებისმიერი რელიგიის არსებობისათვის აუცილებელ მინიმუმად გამოაცხადეს. ამ ავტორთა აზრით, ესაა რელიგიის უპირველესი ფორმა, რომლისგანაც სხვა უფრო გვიანდელი, რთული ფორმები აღმოცენდა.

უძველეს ადამიანს სული კონკრეტულად და მატერიალურად წარმოედგინა. ზოგი ხალხის ენაში სიტყვა სული ჩრდილსაც ნიშნავდა. არსებობდა წარმოდგენები, სხეულის რა ნაწილში უნდა ყოფილიყო სული. ეთნოგრაფები მოგვითხრობენ, რომ სხვადასხვა არქაულ ტომში არსებობდა მრავალი ურთიერთგანსხვავებული წარმოდგენა ადამიანის სულებზე.

ეთნოგრაფი ე. ტეილორი მიიჩნევდა, რომ ყველაზე ადრე გაჩნდა წარმოდგენა ადამიანის სულზე, ხოლო აქედან განვითარდა წარმოდგენები როგორც მიცვალებულთა (წინაპართა კულტი), ისე ცხოველთა და მცენარეთა სულზე.

ანიმისტურ შეხედულებებში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის იყო, თუ სად მიდიოდა და რას აკეთებდა ადამიანის სული სიკვდილის შემდეგ. ყველა რელიგიაში ვხვდებით სწავლებას საიქიო ცხოვრებაზე, რაც მათი მოძღვრების ერთ-ერთი ცენტრალური ასპექტია. სხვადასხვა რელიგიაში არსებობდა წარმოდგენა მიღმიერი, იმატერიალური სამყაროს შესახებ, რომელიც მიიჩნეოდა მიცვალებულთა განსასვენებლად, მათს სამკვიდრებლად. ეს ადგილი ზოგ ტრადიციაში იყო მიწის სიღრმეში, ზოგან კი – ასტრალურ სივრცეებში. ძველი ებრაელები, ასურელები, ეგვიპტელები, ირანელები, ბერძნები, რომაელები და სხვა ხალხები ერთსულოვნად აღიარებდნენ, რომ ადამიანის სული მოკვდავია და აგრძელებს ცხოვრებას სიკვდილის შემდეგაც. ადამიანის სულზე ზრუნვას განვითარებულ რელიგიებში დიდი ყურადღება ეთმობოდა. სხეულის დაკრძალვის რიტუალებიც სხვადასხვაგვარად განვითარდა ამა თუ იმ კულტურაში. ზოგი ხალხი სხეულს მიწას აბარებდა, ახდენდა გვამის მუმიფიცირებას ან მიწის ზედაპირზე დაუმარხავს ტოვებდა, ხოლო ზოგი მის კრემაციას ახდენდა. დროთა განმავლობაში ანიმისტური წარმოდგენები იმქვეყნიურ ცხოვრებაზე გართულდა. გაჩნდა წარმოდგენები მისაგებელზე, რომლის მიხედვითაც სულს საიქიოში ის მიეზღვება, რაც მიწიერი ცხოვრებისას დაიმსახურა.

ნელ-ნელა რელიგიებში ჩნდებოდნენ მითოლოგიური პერსონაჟები, რომელთაც ევალებოდათ საიქიო სამყაროს განმგებლობა, მიცვალებულთა სულების განსჯა ან მათი ფსიქაგოგიური მისია. ასეთი ღვთაებები ეგვიპტელთათვის იყვნენ ოსირისი და ისიდა, ბერძენთათვის – ჰადესი და პერსეფონე და სხვები.

იცვლებოდა შეხედულებები საკუთრივ სულებზე. თუ სულებს ზოგჯერ მახინჯი ან რაიმე ფანტასმაგორიული სახით (ქიმერა...) წარმოსახავდნენ, მოგვიანებით წარმოდგენამ ადამიანის სულზე ანთროპომორფული სახე მიიღო.

თანდათან ჩნდებოდა წარმოდგენები ავ სულებზე (მათ მიმართ გარკვეული შიში იბადებოდა), რომლებიც მასობრივად ვრცელდებოდა საუკუნეების განმავლობაში. ბევრი ამგვარი წარმოდგენა გადაიზარდა ოკულტურ სწავლებებში.

ტერმინი ფეტიშიზმი პორტუგალიური წარმოშობისაა და გაკეთებულს ნიშნავს. ასე უწოდებდნენ პორტუგალიელი მოგზაურები საგნებს, რომელთაც თაყვანს სცემდნენ აფრიკის ხალხები. ფეტიშიზმი არის რელიგიის ერთ-ერთი უძველესი ფორმა, რომელიც უსულო, მატერიალურ საგნებს ზებუნებრივ თვისებებს მიაწერს. ფეტიშად სხვადასხვა საგანი შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული.

ადამიანები ზებუნებრივ, საკრალურ თვისებებს მიაწერდნენ ხოლმე ქვებს, მინერალებს, ლითონებს, ძვლებს, ბუმბულს, ცხოველთა სხეულის ნაწილებს, რქებს, ჯოხებს, ტყავს, ნიუარებსა და სხვადასხვა საგანს. ხშირად მათ იყენებდნენ მაგიური რიტუალებისას. ფეტიშიზმის კვალი დღესაც შესამჩნევია ბევრ ხალხში. მაგალითად, ავსტრალიელ აბორიგენებში ჯადოქრის სიძლერე განისაზღვრება მისი ბრჭყვიალა ფეტიშების რაოდენობით. აფრიკის ხალხებში ბევრი ნადირობას ისე არ დაიწყებს, თუ რაიმე ფეტიში არ შეარჩია. ფეტიშების გარეშე არ შეიძლება ჩატარდეს არც ერთი მნიშვნელოვანი მოგზაურობა.

ფეტიშიზმის კლასიკური გამოვლენაა ავგაროზებისა და თილისმების თაყვანისცემა და გამოყენება. ავგაროზი და თილისმა სინონიმებად არ უნდა მივიჩნიოთ. ავგაროზი (იგივე ამულეტი) წარმოდგება ლათინური სიტყვისგან „ამოლირი", რაც შემსუბუქებას, აშორებას ნიშნავს. ადამიანი ფიქრობდა, რომ ავგაროზი სულ თუ ვერ ააცილებდა თავიდან უბედურებას, განსაცდელს მაინც შეუმსუბუქებდა. თილისმას საფუძლად უდევს ბერძნული სიტყვა „თელესმა", რაც „განდობას" ნიშნავს. თილისმა არა მარტო აშორებდა მის პატრონს ხიფათს, არამედ აჯილდოებდა კიდეც სხვადასხვა წარმატებით.

ცნობილია თილისმები პლანეტების – ვენერასა და მარსის – გამოსახულებებით. მარსის გამოსახულებიანი თილისმა, ხალხის რწმენით, მის მფლობელს განსაკუთრებულ სიმამაცეს ანიჭებდა. სპილენძის თილისმას წარმატება მოჰქონდა სიყვარულში. ავგაროზებს ჰკიდებდნენ არა მარტო ადამიანებს, არამედ – ცხოველებსაც, რათა ისინი ხიფათისგან დაეცვათ. დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ერცელდებოდა თილისმები და ავგაროზები. მაგალითად, რომში პოპულარული იყო ალექსანდრე მაკედონელის გამოსახულებიანი თილისმები. ხშირად თილისმები ჰქონდა ცალკეულ ქალაქებსაც. ისინი სხვადასხვა დანიშნულებისა იყვნენ. ზოგს ქალაქი უნდა დაეცვა მტრისგან, ზოგს მეთევზეთათვის ხელი უნდა შეეწყო თევზჭერაში და ა. შ.

ადამიანი ხილულ საფრთხეს თუ უხილავ, გრძნეულ ძალებს უპირისპირებს რეალურ საგანში „მომწყვდეულ" კეთილისმყოფელ ძალას, რომელსაც მასთან უწყვეტი, მფარველობითი კავშირი ექნებოდა. ეს „დაპროგრამებული" მაგიური საგანი ავგაროზად, თილისმად, ამულეტად იწოდება. გერმანელი ფსიქოლოგის, ვ. ვუნდტის (1832-1920), კლასიფიკაციით, ავგაროზები ოთხ ჯგუფად იყოფოდა: 1. ადამიანის სხეულის ნაწილები და მათი გამოსახულებანი; 2. ცხოველთა გამოსახულებანი; 3. პირველადი მითოლოგიური წარმოსახვის ასოციაციის გამომწვევი ავგაროზები; 4. ჯადოსნური ნიშნები და წარწერები.

ფეტიშიზმის ერთ-ერთი გამოვლენაა კერპთაყვანისცემა. უძველეს რელიგიებში არსებობდა ამა თუ იმ ღვთაების ქანდაკების დამზადების ტრადიცია. ხშირად კერპი აღიქმებოდა, როგორც დიდი ძალისა და თაყვანისცემის ობიექტი. კერპები მზადდებოდა ხისგან, თიხისგან, ქვისგან, სხვადასხვა ლითონისგან. მათი დიდი ნაწილი აღმოჩენილია ქანაანის, მცირე აზიის, ეგვიპტის ტერიტორიებზე. ბიბლიაში კერპების საწინააღმდეგო მოწოდებად გვევლინება დეკალოგის მეორე მცნება, ფსალმუ-

ნებსა და, განსაკუთრებით, წინასწარმეტყველ იერემიას ეპისტოლეში წარმოჩენილია კერპების უუნარობა, უძლურება, მათი თაყვანისმცემლების უგუნურება.

ფეტიშიზმის ნაკეალევი შეინიშნება მონოთეისტურ რელიგიებშიც. ამის მაგალითია ისლამში შავი ქვის თაყვანისცემა ქალაქ მექაში.

ტოტემიზმი

ტოტემიზმი რელიგიის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. მისი არსი მდგომარეობს იმ წარმოდგენაში, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ან გვარი რომელიმე ცხოველს, იშვიათად მცენარეს ან ბუნების მოვლენას თავის სულიერ წინაპრად მიიჩნევდა. ტოტემი უმეტესწილად გახლდათ ცხოველი. ტოტემური ცხოველის მოკვლა, ჭამა ან სიანის მიყენება იკრძალებოდა.

ტოტემიზმის კვალი განსაკუთებით კარგადაა შემონახული აფრიკის, ინდონეზიის, ოკეანის ხალხებში, ტოტემიზმის კლასიკურ ქვეყნად კი ავსტრალია ითვლება. საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რამ წარმოშვა ტოტემიზმი, მეცნიერთა შორის ბოლომდე არაა გადაჭრილი. ტოტემური ცხოველი ცხადდებოდა ტომის წინაპრად ან მფარველად. შესაძლებელია, ტოტემი ეოფილიყო ლომი, ვეფხვი, კენგურუ, ცხენი, ირემი და ა. შ. რა პრინციპით ირჩევდნენ ტოტემს, უცნობია. თუმცა ავსტრალიაში შესამჩნევია ერთი კანონზომიერება: იმ ადგილებში, სადაც ზღვა ან დიდი მდინარეები იყო, ტოტემად უმეტესად ზღვის ცხოველებს ან დიდ თევზებს ირჩევდნენ, იქ კი, სადაც დიდი წყლები არ იყო, ასეთი ტოტემების რაოდენობა 8 %-მდე დადიოდა. აღნიშნავენ იმასაც, რომ ტოტემთა უმრავლესობა საკვებად გამოდგებოდა.

როგორი იყო ადამიანთა ჯგუფისა და ტოტემთა დამოკიდებულება? როგორც წესი, ტოტემზე ტაბუ იყო დადებული და მისთვის ხელის ხლება არ შეიძლებოდა. ტომის წევრები ყველანაირად გამოხატავდნენ მოწიწებასა და თაყვანისცემას ტოტემის მიმართ და ცდილობდნენ მის გამრავლებას. წელიწადის ერთი დღე განკუთვნილი იყო ტაბუს დროებითი ახსნისა და ტოტემის რიტუალური დაკვლისათვის, რასაც თან ახლდა გარკვეული წეს-ჩვეულებების შესრულება. შემდეგ ტომის ბელადი დაანაწილებდა დაკლული ცხოველის სხეულს და პატარ-პატარა ნაჭრებს აწვდიდა ტომის წევრებს ამ სიტყვებით : „წელს შენ ბევრ ხორცს შეჭამ". ხორცის ჭამის შემდეგ ტომისა თუ გვარის წევრებზე თითქოსდა გადმოდიოდა ის სებუნებრივი ძალა, რაც ტოტემს მიეწერებოდა.

ადამიანთა ჯგუფის დამოკიდებულება თავისი ტოტემისადმი ავსტრალიელთა მაგალითზე კარგად აქვს აღწერილი ცნობილ ინგლისელ ეთნოგრაფსა და რელიგიათმცოდნეს – ჯ. ფრეზერს: „ცენტრალურ ავსტრალიაში,– წერს იგი,– ტომები დაყოფილია ტოტემურ კლანებად. თითოეულ მათგანს ეკისრება თავისი ტოტემების გამრავლება მაგიური წეს-ჩვეულებითა და რიტუალებით. ტოტემი უმეტესად საკვებად გამოსაყენებელი ცხოველია. მთავარი შედეგი, რასაც შესრულებული რიტუალისგან ელიან, არის ტომის ან გვარის უსრუნველყოფა საჭმლითა თუ აუცილებელი საგნებით. ხშირად ასეთი რიტუალების შესრულება სასურველი შედეგის იმიტაციაა... მაგალითად, თეთრი კაკადუს ტოტემის ტომის ბელადი თავის ტოტემს გამრავლებაში იმით „ეხმარება", რომ ხელში უჭირავს ამ ფრინველის ყიტული და ბაძავს მის ყვირილს".

მაგია ზოგჯერ ჯადოქრობასთან იგივდება. იგი რელიგიის უძველესი ფორმაა. თუმცა, მაგალითად, ჯ. ფრეზერი უფრო მეტად მაგიისა და მეცნიერების კავშირზე მიუთითებდა, ვიდრე – მაგიისა და რელიგიის. მაგიას მეცნიერულ ტერმინად იყენებდნენ რენესანსის ხანის მოღვაწეები.

მაგია ადრინდელი რელიგიის ისეთი ფორმაა, რომლის მიხედვით ადამიანსა და ბუნების საგნებს შორის არსებობს ისეთი რამ, რომლითაც დასახული მიზანი მიიღწევა. არსებობს სხვადასხვა ტიპის მაგია. მაგალითად, კონტაქტური მაგიის დანიშნულება იყო ადამიანს ზებუნებრივი ძალა გადასცემოდა უშუალო კონტაქტით, ვთქვათ, თილისმის ტარებით, მაგიური წამლის მოხმარებით, პარციული მაგიის დროს კი ხდებოდა ჯადოქრობა არა უშუალოდ ობიექტზე, არამედ მის რაღაც ნაწილზე, მაგალითად, ფრჩხილზე, ტანსაცმელზე და ა. შ. არსებობდა აგრეთვე სამკურნალო, სასიყვარულო, სამეურნეო და სხვა ტიპის მაგიური კომპლექსები.

მაგიის საგანგებო ფორმად ითვლებოდა ზიანის მომტანი, ანუ შავი მაგია. სხვადასხვა ხალხში მაგიურ იარაღად მიიჩნეოდა ისეთი მცენარეები ან ნივთები, რომლებიც ზიზღს, შიშს იწვევდა ადამიანებში. ასეთი იყო გველის გამხმარი ტყავი.

მაგიის ფენომენი კარგად აქვს გადმოცემული პოლონელ მეცნიერს, ბ. მალინოვსკის, გამოკვლევაში-„მაგია, მეცნიერება და რელიგია". აქ ერთგან წერია: „მაგიური რიტუალის რა ელემენტიც არ უნდა ავიღოთ – გარკვეული ემოციების გამომხატველი ქმედებები, იმიტაცია, საბოლოო შედეგის წინასწარი განჭვრეტა ან უბრალო ჯადოქრობა – ყველა მათგანს ერთი რამ აქვს საერთო: მაგიური ძალა, მისი ზემოქმედება ყოველთვის გადაეცემა მოსაჯადოებელ ობიექტს. რა ძალაა ეს? თუკი მის მოკლე გადმოცემას შევეცდებოდით, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ეს არის ჯადოქრული შელოცვის გარკვეული, მეტად მნიშვნელოვანი ძალაუფლება. ეს ხაზგასმით აღსანიშნავია, რადგან მკვლევრებს ხშირად ყურადღების მიღმა რჩებათ ეს ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება. ჯადოქრული შელოცვა მაგიური რიტუალის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ჯადოქრული შელოცვის საიდუმლო მაგიური საიდუმლოს ნაწილია, რომელიც განდობილისგან (ხელდასხმულისგან) განდობილს გადაეცემა. აბორიგენთათვის მაგიის ცოდნა ჯადოქრული შელოცვის ცოდნას ნიშნავს; მაგალითად, შავი მაგიის ნებისმიერი რიტუალის აღწერა, ფაქტობრივად, იმის დადასტურებაა, რომ მაგიური რიტუალი ჯადოქრობის გარშემო იყრის თავს. ჯადოქრობის ფორმულა მაგიური წარმოდგენის ცენტრალური ნაწილია".

მაგიური წარმოდგენებიდან განვითარდა არაერთი მიმდინარეობა, რომლებიც როგორც ძველად, ისე ჩვენს დროშიც გავრცელებულია, მათ შორის – ასტროლოგია, ალქიმია, მაგნეტიზმი, ტელეპათია, ფსიქომეტრია.

რელიგიების ისტორია, როგორც მეცნიერება

რელიგიების ისტორია არის კომპლექსური მეცნიერების დარგი, რომელიც სისტემურად სწავლობს ამა თუ იმ რელიგიის გენეზისს, ევოლუციას, თეოლოგიას, კულტმსახურებას, სოციოლოგიას. აქედან გამომდინარე, მისი შესწავლის ობიექტი მრავალფეროვანი სამყაროა თავისი ტრადიციებით, აწმყოთი და მომავლით.

რელიგიების ისტორიის მეცნიერული შესწავლის ძირები უნდა ვეძებოთ XVII საუკუნის ევროპელი მოგზაურების, პილიგრიმებისა და დიპლომატების ჩანაწერებში.

მათ მიერ აღწერილი მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა მკვლევრებს შემდგომი ძიებისკენ უბიძგებდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან გერმანიის წამყვან უნივერსიტეტებში დაიწყო ქრისტიანული რელიგიის კვლევა. გამოითქვა ახალი შეხედულებები, შეიქმნა თეორიები, მათ შორის – ბევრი უმართებულოც.

XIX საუკუნეში რელიგიების ისტორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ფ. ბაურმა (1792-1860), ი. ბახოფენმა (1815-1887), ე. რენანმა (1823-1892), ს. რობერტსონმა (1846-1894), ე. ტეილორმა (1832-1917), ჯ. ფრეზერმა (1854-1941), თ. შჩერბატსკოიმ (1866-1942), ს. ოლდენბურგმა (1863-1934) თ. ნელდეკემ (1836-1930), მ. მიულერმა (1823–1900).

XX საუკუნიდან რელიგიების ისტორიის კვლევა ახალ სამეცნიერო სიმაღლეებზე ადის. დასავლეთის უძლიერეს სამეცნიერო ცენტრებში გამოიცა ასობით გამოკვლევა და მონოგრაფია ამა თუ იმ რელიგიის სხვადასხვა საკითხზე. დაარსდა წელიწდეულები და სამეცნიერო ჟურნალები. საფუძველი ჩაეყარა სერიულ გამოცემებს.

რელიგიების ისტორია, როგორც მეცნიერება, მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთ სამეცნიერო სისტემასთან, როგორიცაა ორიენტალისტიკა (აღმოსავლეთმცოდნეობა). ორიენტალისტიკა არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს აღმოსავლეთის ხალხთა ენებს, ისტორიას, ლიტერატურას, ფილოსოფიას, ხელოვნებას, სამართალსა და, ამავდროულად, რელიგიას. იგი შედგება ცალკეული რეგიონალური დარგებისაგან: არაბისტიკა, სემიტოლოგია, არამეისტიკა, ირანისტიკა, ინდოლოგია, შუმეროლოგია, ასირიოლოგია, ხეთოლოგია, არმენოლოგია, ბიზანტინოლოგია, სინოლოგია, მალაისტიკა, იაპონისტიკა, მონღოლმცოდნეობა, კორეისტიკა და ა. შ. ორიენტალისტი, რომელიც იკვლევს აღმოსავლეთის ამა თუ იმ კერძო რეგიონს, ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის ცალკეულ კულტურულ სივრცეში განვითარებულ რელიგიებზე. მათი შრომები გზამკვლევია რელიგიათა ისტორიაში. ბუნებრივია, როდესაც საქმე ეხება ისლამის კვლევას, პოზიტიურ გზას გვიკვლევს იმ სპეციალისტთა შრომები, რომლებიც ფლობენ არაბულ ენას ან ლამაიზმის გაცნობისას გაცილებით სანდოა იმ ორიენტალისტთა გამოკვლევები, რომლებმაც იციან ტიბეტური ენა და მათი ეთნოგრაფია.

რელიგიების ისტორიის მეცნიერული შესწავლა დაკავშირებულია XX საუკუნესთან. ამ დროიდან დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში არსებულ ცალკეულ კათედრებზე ნაყოფიერი მუშაობა გაიშალა. XX საუკუნის დიდ მეცნიერთა შორის უნდა დასახელდნენ: ა. ჰარნაკი, ჰ. იონასი, ჟ. დანიელუ, შ. ანრი-პიუეში, ე. ჰერცფელდი, ვ. ჰენინგი, მ. ბოისი, რ. ტურკანი, ჰ. მასპერო და სხვები.

ეგვიპტური რელიგია

წყაროები

ეგვიპტური რელიგია ძველი აღმოსავლეთის რელიგიებს შორის ყველაზე ორიგინალურია. მისი შესწავლისას უპირველესი წყაროა ძველ ეგვიპტურ ენაზე არსებული ლიტერატურა – პირამიდებისა და ტაძრების ტექსტები, მითოლოგიური თხრობანი, საკრალური კრებულები, ჰიმნები, ამავდროულად, ანტიკური ხანის ავტორთა შრომები, არქეოლოგიური მასალა.

ძველი ეგვიპტე მდებარეობდა აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (თითქმის ემთხვევა ამჟამად ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საზღვრებს) და გადაჭიმული იყო მდინარე ნილოსის ნაპირებზე, მისი სათავეებიდან – დელტამდე. სათავიდან მდინარის შუა წელამდე ტერიტორია ზედა ეგვიპტედ იწოდებოდა, ხოლო შუა წელიდან დელტის ჩათვლით – ქვედა ეგვიპტედ. სიტყვა „ეგვიპტე" ბერძნების მიერ სახეცვლილი ეგვიპტის უძველესი დედაქალაქის – მემფისის – სახელწოდებისგან წარმოდგება (ეგვიპტურად „ხეკა-პტაჰ" ან „ხი-კუპტა" ღვთაება პტახის სულის სავანეს ნიშნავდა, ბერძნულში კი „აიგუიპტოსად" გადაიქცა). თვით ეგვიპტელები საკუთარ ქვეყანას „კემეტად", ანუ „შავ ქვეყნად", მოიხსენიებდნენ. ეს სახელწოდება ეგვიპტეს ნილოსის დაბლობის ნოყიერი ნიადაგის გამო შეარქვეს, ხოლო დაბლობის მოსაზღვრე ქვიშიან უდაბნოს „დეშერეტ", ანუ „წითელი ქვეყანა", უწოდეს.

ეგვიპტე ჩაკეტილი ცივილიზაციის ტიპური გამოვლენა გახლდათ. როცა ადამიანი ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა შორეულ ზღვაში გასვლას, ეგვიპტეს გარე სამყაროსთან მხოლოდ სუეცის ვიწრო ზოლი აკავშირებდა. ამგვარმა იზოლაციამ სწორედ იმ პერიოდში, როცა ისახებოდა ეგვიპტური ცივილიზაციის ძირითადი ნიშნები, განაპირობა მისი თავისებურება და თვითმყოფადობა. ამ გარემოებამ გარკვეული დაღი დაასვა ეგვიპტელთა ეთნიკურ თვითშეგნებასაც, რადგან მისი ფორმირების პერიოდში ეგვიპტელები მხოლოდ კულტურული განვითარების მხრივ დაბალ დონეზე მყოფ მომთაბარე ტომებს ესაზღვრებოდნენ. მათს წარმოდგენაში მტკიცედ ჩამოყალიბდა ეგვიპტური კულტურისა და თვით ეგვიპტელების უპირატესობის რწმენა. ეგვიპტურ ენაზე „რემეჩ" – ადამიანი – ეგვიპტელის სინონიმს წარმოადგენს, დანარჩენი ხალხები კი ველურები იყვნენ.

მანეთონის წყაროზე დაყრდნობით მეცნიერებაში დადგინდა ეგვიპტის ისტორიის პერიოდიზაცია: 1. <u>ძველი სამეფოს ხანა</u> – XXIX-XXIII სს. (1-ლი–მე-5 დინასტიები); ამის შემდეგ მე-6–მე-10 დინასტიები მიეკუთვნება პირველ გარდამავალ პერიოდს; 2. <u>შუა სამეფოს ხანა</u> – XXI-XVIII სს. (მე-11–მე-13 დინასტიები; მე-14–მე-16 დინასტიები, ჰიქსოსების ბატონობის დრო არის მეორე გარდამავალი პერიოდი; 3. ახალი სამეფოს ხანა – XVI–XI სს. (მე-17–მე-20 დინასტიები). ამას მოსდევს გვიანი ხანა – X–VI სს. (25-ე–26-ე დინასტიები). შემდგომ ერთმანეთის მიყოლებით იწყება სპარსელების, ბერძნების, რომაელების, ბიზანტიელების ბატონობა. საბოლოოდ კი ქვეყანაში არაბები გაბატონდნენ.

ეგვიპტური ტექსტების შესწავლამ მეცნიერებს საშუალება მისცა, ეგვიპტური ენის განვითარებაშიც რამდენიმე პერიოდი გამოეყოთ: 1. კლასიკური ეგვიპტური – ძველი სამეფოს ენა; 2. საშუალო სამეფოს ენა; 3. ახალი სამეფოს ენა – ამ დროს კლასიკური ენა უკვე გაუგებარია და საგანგებო შესწავლას საჭიროებს; 4. დემოტური – გავრცელებულია ძვ. წ. 800 – ახ. წ. 200 წლებში; 5. კოპტური – ესაა ძველ ეგვიპტელთა ქრისტიანი შთამომავლების ენა, რომელიც ახ. წ. XVII ს-მდე შემორჩა ცოცხალ მეტყველებაში, ხოლო ამის შემდგომ – მხოლოდ ღვთისმსახურებაში. მეცნიერებაში ეგვიპტური დამწერლობის სამი სახეობაა დადასტურებული: იეროგლიფური, იერატიკული, ანუ ქურუმთა დამწერლობა, და დემოტური, რომელიც გვიან ხანაში იერატიკული დამწერლობისგან წარმოიშვა.

მას შემდეგ, რაც ფ. შამპოლიონიმ გაშიფრა ეგვიპტური იეროგლიფები, მეცნიერებს საშუალება მიეცათ, წაეკითხათ მრავალი ტექსტი, შესრულებული როგორც პაპირუსზე, ასევე კედლებზე. ძველეგვიპტურ ტექსტებში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი რელიგიური შინაარსის ჰიმნები, მაგიური ფორმულები, მითიური ისტორიები. ეს ყველაფერი იძლეოდა მდიდარ მასალას ეგვიპტური რელიგიის სხვადასხვა კუთხით შესასწავლად. მეცნიერებაში არსებული გამოკვლევები და მონოგრაფიები ეგვიპტის რელიგიის მრავალ ასპექტს აშუქებს.

ღვთაებათა პანთეონი და ეგვიპტური კოსმოგონია

ეგვიპტის ძველი სამეფოს პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა რელიგიურ წარმოდგენათა ძირითადი ქვაკუთხედი, რომელიც თითქმის უცვლელი დარჩა ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე (თუ არ ჩავთვლით ეხნატონის რელიგიური რეფორმის მოკლე ხანას XVIII დინასტიის დროს). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტეში, ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მსგავსად, რელიგია სახელმწიფო იდეოლოგიისა და პოლიტიკისაგან განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ეგვიპტური სახელმწიფოს არსებაში, მის ყოფიერებაში გარკვევა შეუძლებელია ეგვიპტელთა რელიგიის შესწავლის გარეშე.

ცნობილია, რომ ეგვიპტური სახელმწიფო ცალკეული დამოუკიდებელი დასახლებების თანდათანობითი შერწყმის შედეგად წარმოიშვა. ძალაუფლების ცენტრალიზაციის შემდეგ სწორედ მათი საზღვრები დაედო საფუძვლად ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულებად (ნომებად) დაყოფას, ხანგრძლივი დამოუკიდებელი განვითარების პერიოდმა ნომებს თავისებური დაღი დაასვა – თითოეული მათგანი თვითმყოფადობით გამოირჩეოდა, საკუთარი მფარველი ღვთაება ჰყავდა, მრავალი საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბებული რელიგიური წარმოდგენები და კანონები ჰქონდა. ნომი ეგვიპტის ყველაზე უფრო შეკრულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ერთიანი ხელისუფლების დაცემის პერიოდებში ეგვიპტე არასოდეს დაშლილა ორ სამეფოდ, ყოველთვის ქუცმაცდებოდა ცალკეულ სამთავროებად, რომელთა საზღვრები ნომების საზღვრებს შეესაბამებოდა. ნომების ამგვარი პოლიტიკური შეკრულობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიასთან. ცენტრალიზაციის დროს სახელმწიფო პანთეონის მთავარ ღვთაებად ყოველთვის ცხადდებოდა სამეფო ოჯახის მშობლიური ნომის ღვთაება. აღსანიშნავია ისიც, რომ ეგვიპტის მთელი ისტორიის მანძილზე, ძალაუფლების უმაღლესი ცენტრალიზაციის პერიოდშიც კი, სახელმწიფო რელიგია არასოდეს გადაქცეულა დოგმად. ამდენად, სახელმწიფო კულტის ღვთაებებთან ერთად თითოეულ ნომში ეთაყვანებოდნენ საკუთარი „მიკროპანთეონის" ღვთაებებს. სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად შევხვდებით გამოთქმას, რომ ეგვიპტეში თითოეულ ნომს საკუთარი რელიგია გააჩნდა და, შესაბამისად, ეგვიპტური ნომების რაოდენობა (42) ემთხვევა „ეგვიპტური რელიგიების" რიცხვს. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ეგვიპტური პანთეონის საოცარი გადატვირთულობა და სიჭრელე.

როგორც უკვე ითქვა, ეგვიპტეში სახელმწიფო იდეოლოგია და რელიგია განუყოფელ ერთიანობას წარმოადგენდა. ამდენად, ყველა პოლიტიკური მოვლენა მაშინვე თეოლოგიურ ახსნასა და გამართლებას პოულობდა. ეგვიპტური რელიგიის ღვთისმსახურები – ქურუმები ყოველთვის ცდილობდნენ ლოკალური რელიგიების ერთგვარ მოწესრიგებასა და მათს შეთანხმებას ერთიან ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიასთან. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციით, ეგვიპტური რელიგია არ მოითხოვდა ქურუმისაგან არავითარ განსხვავებულ ცხოვრების

წესს, არ განიხილავდა არც ასკეზის ცნებას, ამიტომ ხშირად რომელიმე დიდგვაროვანს მაღალ ბიუროკრატიულ თანამდებობასთან ერთად ქურუმის მოვალეობის შესრულებაც შეეძლო. წმინდა საერო და რელიგიური მოვალეობების გაყოფა, როცა ქურუმს აღარ ძალუძდა საერო თანამდებობაზე სამსახური და პირიქით, მოხდა მხოლოდ ახალი სამეფოს დასასრულს. რაც შეეხება გვიანდელ პერიოდს, ქურუმთა ცხოვრების წესი და ასკეტური ყოფა საარაკო გახდა. ამ ეპოქის კულტმსახურთა შესახებ პლუტარქე წერდა: „ქურუმებს ისე ეზიზღებათ ყველაფერი, რაც ნარჩენების ბუნებისაა, რომ ერიდებიან არა მარტო სხვადასხვა ჯიშის ცერცვის, ცხვრისა და ღორის ხორცის ჭამას, არამედ განწმენდის რიტუალის აღსრულების პერიოდში უმარილო საჭმლით იკვებებიან... რაც შეეხება ღვინოს, ჰელიოპოლისის ღვთისმოსავთაგან ზოგიერთს საერთოდ არ შეაქვს ის ტაძარში, რადგან არ შეჰფერით სმა დღისითმზისით ბატონისა და მეფის თვალწინ. სხვები ხმარობენ ღვინოს, მაგრამ ძალიან ცოტას, მათაც აქვთ დღესასწაულები, რომელთა დროსაც ღვინის სმა აკრძალულია. ეს მაშინ, როდესაც სიბრძნეს ეუფლებიან, სწავლობენ და ასწავლიან ღვთაებრივს" (ტრაქტატი ისისისა და ოსირისის შესახებ). ტრადიციის თანახმად, დიდგვაროვანი ოჯახების შვილები განათლებას სატაძრო სკოლებში იღებდნენ, რადგან ამას ეგვიპტეში უძველესი დროიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ ბიუროკრატიული აპარატის უმაღლესი წრე და სატაძრო არისტოკრატია, რომელიც, ფაქტობრივად, ერთი ფენის ორ განშტოებას წარმოადგენდა, მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული და მათ საერთო ინტერესებიც აერთიანებდა.

ძველეგვიპტური მითები და რელიგიური მოძღვრებები ისეა გადახლართული ერთმანეთში, რომ მათი გამოცალკევება არაფრით არ ხერხდება. მითებისა და რელიგიის შერწყმა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ეგვიპტე ერთ სამეფოდ არ იყო გაერთიანებული; საბოლოო სახე მან მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, როცა ეგვიპტეში ცენტრალიზებული ხელისუფლება შეიქმნა და დაქსაქსული, კუთხური რელიგიური მოძღვრებები სახელმწიფოებრივმა რელიგიამ შეცვალა.

ეგვიპტურ რელიგიაში, მსგავსად სხვა ძველი ხალხების რელიგიური წარმოდგენებისა, დიდ როლს ასრულებდა კოსმოგონიური შეხედულებების სისტემა, ანუ მოძღვრება სამყაროს წარმოშობასა და მოწესრიგებაზე და ამ პროცესში ღვთაებათა ფუნქციებზე. ამის მიხედვით ეგვიპტურ რელიგიურ მსოფლმხედველობაში გამოიყოფა სხვადასხვა კოსმოგონიური სქემა (ჰელიოპოლისური, მემფისური, თებესი). ეგვიპტური კოსმოლოგია ცდილობდა, მოეძებნა ყველა საგნისა და მოვლენის არსი. ეგვიპტელის წინაშე გადაშლილი იყო მთელი სამყაროს პანორამა: ციური სხეულები, დედამიწა, სტიქიები, მცენარეები, ცხოველები, მინერალები, ადამიანი. მათი წარმოშობა, ბუნებრივია, უკავშირდებოდა ღმერთების სახელს, რომლებიც, თავის მხრივ, გენეზისს პოულობდნენ ერთ რომელიმე ღვთაებაში, როგორც უზენაეს ძალაში. ასეთი უზენაესი ღვთაება ეგვიპტეში ძირითადად მზეს უკავშირდებოდა და სოლარულ ხასიათს ავლენდა. ძველი დროიდან წამყვანი იყო მზის ღვთაება – რა. ცალკეული მითიური ციკლების თანახმად, სამყაროს შემქმნელად და მზის ღვთაება რას დამბადებლად ცხოველი ან ფრინველი გვევლინება; ერთ-ერთი ვერსიით, მზე ოქროს ხბოს სახით იშვა ცისაგან. ცას განასახიერებდა უზარმაზარი ძროხა, რომელიც პირველქმნილი ქაოსიდან ამოვიდა. ამ ციური ძროხის სხეული ვარსკვლავებითაა მოფენილი. „პირამიდების ტექსტებში" მზის ღვთაება რა მოხსენიებულია, როგორც „ხბო, შობილი ცისაგან". ამის შემდეგ თვით მზის ღვთაება ქმნის მთელ სამყაროს. ცნობილია, რომ ეგვიპტის ფარაონებიც კი მზის ღვთაებასთან იგივდებოდნენ. ამიტომაც ისინი ციური ძროხის შვილებად მოიაზრებოდნენ. ამის დასტურია არაერთი ძეგლი, სადაც ესა თუ ის ფარაონი სწორედ ღვთაებივ ძროხასთანაა გამოსახული; იგი ხან მის ცურს წოვს, როგორც მისი პირმშო, ზოგჯერ კი მის წინ მდგომი გამოისახება, რაც მიგვანიშნებს, რომ ფარაონი ამ არსების მფარველობის ქვეშ იმყოფება. ერთ-ერთი

გადმოცემის მიხედვით, პირველქმნილი ქაოსიდან წარმოიშვა წმინდა ბენ-ბენის ბორცვი, რომელზეც ამოცურდა მზე ჩიტის სახით. ამ მითში მოცემულია ოთხი სტიქია: წყალი, მიწა, ჰაერი და ცეცხლი – ოთხი ძირითადი ელემენტი, რომელთაგანაც ეგვიპტელთა (და არამარტო ეგვიპტელთა) წარმოდგენით, შედგება მთელი სამყარო. მითების სხვა ჯგუფის მიხედვით, მზის მშობლად და, აქედან გამომდინარე, მთელი სამყაროს შემქმნელად ითვლება დედაღვთაება, ქალღმერთი, რომელიც მამაკაცური საწყისის მონაწილეობის გარეშე თვითონ შობს მზეს. ყოველ დილით მისი წიაღიდან დისკო გამოგორდება, ყოველ საღამოს კი იგი კვლავ ყლაპავს საკუთარ პირმშოს, რათა მომდევნო დღეს, დილით, ხელახლა შვას იგი. ამის პარალელურად არსებობს მითების მეორე ჯგუფი, სადაც სამყაროს შემოქმედად, დემიურგად გვევლინება მხოლოდ მამრი ღვთაება ქალური საწყისის მონაწილეობის გარეშე.

კოსმოგონურ სისტემებში უნდა გამოიყოს ჰელიოპოლისური, მემფისური და ჰერმოპოლისური სისტემები. სამყაროს წარმოშობის ჰელიოპოლიტურ ვერსიაში ფიგურირებს უკვე ხსენებული პირველქმნილი ქაოსი (ეგვიპტურად ნუნი). მისგან დაიბადება შემოქმედი ძალა – ატუმი. ეგვიპტურად ზმნა, რომელიც სიტყვა ატუმის ფუძეს შეადგენს, ერთდროულად ნიშნავს „არარსებობასაც" და „სრულ არსებობასაც". ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნება ერთ მთლიანობადაა შერწყმული ატუმის სახელში. ატუმისაგან იქმნება შუ (ჰაერი) და ტეფნუტი (სისველე). თავის მხრივ, მათ შექმნეს გები (მიწა) და ნუტი (ზეცა), ხოლო ამ ღმერთების წყვილმა დასაბამი მისცა შემდეგი თაობის ღმერთებს: ოსირისსა და ისიდას, სეტსა და ნეფტისს – ეგვიპტური პანთეონის უმნიშვნელოვანეს ღვთაებებს, რომლებთანაც რთული მითოლოგიური ციკლებია დაკავშირებული. ჰელიოპოლისური ვერსიის პირველქმნილი ქაოსი ნუნი ზოგჯერ წყლის სტიქიასთან, მსოფლიო ოკეანესთანაა გაიგივებული.

მემფისური კოსმოგონიური ვერსიის თანახმად, სამყაროსა და ღმერთების შემქმნელად გვევლინება ღვთაება პტაჰი, რომელიც ქმნის რვა ღვთაებას, მათ შორისაა აგრეთვე ჰელიოპოლისური ვერსიის დემიურგი – ატუმი. მაგრამ აქ მთავარია საკუთრივ შემოქმედებითობის აქტი, რომელიც არსებითად განსხვავდება ჰელიოპოლისური ვერსიისაგან. მემფისური კოსმოგონიის თანახმად, შემოქმედი პტაჰი სამყაროს ქმნის „გულითა და ენით"; პირველი მეტაფორულად შეესაბამება აზრს, რომელიც გულში ჩაისახება და მეორე კი – სიტყვას, ენით გამოთქმულს. ამაში ის იგულისხმება, რომ ყოველი შემოქმედებითი აქტი გულიდან უნდა მომდინარეობდეს. საკუთარ გულში წარმოთქმული მოგვიანებით სიტყვით უნდა განცხადდეს, რადგან აზრი, საგნები და არსებები, სახელდებულნი გულში, არსებობს მხოლოდ პოტენციაში. იმისთვის, რომ მათ რეალური არსებობა ჰპოვონ, საჭიროა მათი ხმამაღალი სახელდება, მათი სახელების მკაფიოდ წარმოთქმა. სწორედ აზრითა და სიტყვით ქმნის პტაჰი ღმერთებს, ქვეყნიერებას, ხელოვნებას, ცხოვრებას მართალთათვის და სიკვდილს ცოდვილთათვის: „და მიეცა ცხოვრება მშვიდობისმოყვარეს, და მიეცა სიკვდილი ბოროტმოქმედს, და შექმნილ იქნა ყოველი სამუშაო და ყოველი ხელოვნება, ხელითქმნა, ფეხით სვლა, და მოვიდა მოძრაობაში ყოველი ასო მისი ბრძანებით, ჩაფიქრებული გულში და გამოხატული სიტყვით... დაბადა მან ღმერთები, შექმნა ქალაქები, დააარსა ნომები, მიუჩინა ღვთაებებს საკუთარი ტაძრები, დააწესა მსხვერპლი მათთვის, შექმნა მათი სხეული მათი სურვილისამებრ...". ამ კოსმოგონიური მითის მიხედვით, ღვთაება პტაჰი შემდეგნაირად მეტყველებს:

„მოხდა ისე, რომ გული და ენა ამაღლდა ყოველ ნაკვეთზე, რადგან მათ შეიცნეს, რომ პტაჰი ყოველ სხეულშია, ყველა ღმერთის, ყველა ადამიანის, ყველა ცხოველის, ყოველი ცოცხალი არსების პირშია. იგი აზროვნებს და მბრძანებლობს ყოველ საგანზე, რომელზე მბრძანებლობასაც კი მოისურვებს. მისი ცხრა ღმერთი მისთვის იგივეა, რაც კბილები და ბაგეები...".

არსებობს აგრეთვე სამყაროს კოსმოგონიის ჰერმოპოლისური ვერსია, რომელშიც ფიგურირებს საკრალური რიცხვი – 8. ჰერმოპოლისი გაშენებული იყო ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე (კაიროს სამხრეთით, 300 კმ-ში). ჰერმოპოლისური სისტემა განსხვავდება მემფისური და ჰელიოპოლისური სისტემებისგან. ეს კონცეფცია ძირითადად ცნობილია „სარკოფაგების ტექსტებიდან". ჰერმოპოლისური კოსმოგონიის 8 ღვთაება გაერთიანებულია 4 წყვილად:

ნუნი და ნაუნეტი – პირველყოფილი ოკეანე;

ხუხი და ხაუხეტი – უსაზღვრო სივრცე;

კუკი და კაუკეტი – წყვდიადი;

ამონი და ამაუნეტი – უხილავი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნუნი და ნაუნეტი – თავდაპირველი ოკეანის სიმბოლოები, შედიან მემფისურ ღვთაებათა ციკლში, ხოლო ნუნი ფიგურირებს, როგორც პირველყოფილი ოკეანე, ჰელიოპოლისელი ღმერთებისა და ქვეყნიერების შექმნის შესახებ სწავლებაში. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველ შემოქმედ ღმერთებში შემავალი ჰერმოპოლისური ღმერთი ამონი ახალი სამეფოს პერიოდიდან ხდება თებესა და მთლიანად ეგვიპტის უზენაესი ღმერთი, თუმცა ჰერმოპოლისურ კოსმოგონიაში ამონი მესამეხარისხოვან როლს ასრულებდა. ჰერმოპოლისის სისტემაში კოსმოგონიის ზენიტი მზის დაბადებაა. ასევე, არსებობს მეორე ვერსია ჰერმოპოლისური ქვეყნიერების შექმნის შესახებ – იდეა ღვთაებრივ კვერცხზე. მის შესახებ არსებობდა რამდენიმე ვერსია: ერთ-ერთის თანახმად, თოთმა – მთვარისა და სიბრძნის ღმერთმა–დადო მსოფლიო კვერცხი ჰერმოპოლისში. მეორე მითის მიხედვით, თვით თოთი წარმოიშვა კვერცხისგან.

ღვთაება რას აღზევება დაკავშირებულია ძველი სამეფოს IV დინასტიის ეპოქასთან. რას აღორძინებამ ხელი შეუწყო მის დაახლოებას ატუმთან, როგორც შემოქმედ ღვთაებასთან. იქ, სადაც ჰელიოპოლისურ ვერსიაში გვხვდება ატუმის სახელი, მოგვიანებით ჩნდება რა. რას კულტი იმდენად ძლიერი იყო, რომ თვით ფარაონი გამოცხადდა რას შვილად. ამან კიდევ უფრო განაპირობა ღვთაება ატუმის პოზიციის შერყევა, თუმცა ჰელიოპოლისის ქურუმების მცდელობის შედეგად ეს ორი ღვთაება გაერთიანდა. ეგვიპტის ოფიციალურ პანთეონში ჩნდება ახალი ღვთაება – რა-ატუმი, რომელიც უკვე ძლიერდება არქაული ტრადიციების მქონე ატუმისა და ახალი სახელმწიფო ღვთაების – რას – თვისებების შერწყმის შედეგად. საერთოდ, რა არასდროს კარგავდა თავის მნიშვნელობას. V დინასტიის ეგვიპტის სათავეში მოსვლისთანავე რას კულტი კიდევ უფრო გავრცელდა. ამ დინასტიის ფარაონები აშენებდნენ ობელისკის ფორმის საკულტო ნაგებობებს, რომლებსაც რას უძღვნიდნენ. ეს ტრადიცია გაქრა შემდეგი დინასტიიდან და აღარასოდეს გამეორებულა. ძველი სამეფოს ხანაში აგებული მზის ტაძრები რას ძლიერებაზე მეტყველებს. ჩვენს დრომდე შემორჩა ნიუსერ-რას ტაძარი. ამ უკანასკნელის ცენტრალური ნაწილი იყო სწორედ ობელისკი – სოლარული კულტის მთავარი ობიექტი. ობელისკი ბოლოვდებოდა პატარა მოოქროვილი სპილენძის პირამიდით, რომელიც თვალისმომჭრელად ბრწყინავდა მზის სხივებზე.

როგორც ვნახეთ, მზე ცენტრალური პერსონაჟია არამარტო კოსმოგონური ციკლებისა, ღვთაებათა რიგშიც მას თანასწორი არ ჰყავს. ეგვიპტის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე (უდაბნოს ზოლზე მარად მცხუნვარე მზის ჭვრეტა), ეგვიპტელის ფსიქოლოგიაში მზე ყოვლადძლიერი ენერგიის მატარებელ არსებად აღიქმებოდა. მისდამი მიძღვნილ ერთ-ერთ ჰიმნში ვკითხულობთ: „შენ გაასხივოსნე ეგვიპტე შენი სხივებით, როცა გაბრწყინდა დისკო შენი. და აეხილათ თვალი ადამიანებს, როდესაც გამოკრთა შენი მარჯვენა თვალის სინათლე, მარცხენამ კი გაფანტა ღამის წყვდიადი". ყველა კოსმოგონურ ვერსიაში საგანგებოდაა გამოყოფილი მზის ქმნადობა. ძველი ეგვიპტის რელიგიას შესაძლოა მზის რელიგიაც ეუწოდოთ. არქაულ

ეგვიპტეში მზეს თაყვანს სცემდნენ, როგორც რას ან ატუმ-რას, ახალ სამეფოში კი იგი ამონ-რად იქცა. მზის სიმბოლიკა ძალზე მრავალფეროვანია. მას გამოსახავენ ფრთოსანი დისკოს, ხბოს, ადამიანის ან ნავში მჯდომი შევარდნის სახით. მას უძღვნიან მრავალ ჰიმნს. სწორედ მზეს უჭირავს განსაკუთრებული ადგილი ეგვიპტელთა წარმოდგენაში სამყაროს შესახებ. მზე უშუალოდაა დაკავშირებული ცასთან და, ამდენად, სამყაროზე, კოსმოსზე ეგვიპტელთა წარმოდგენის ფორმირებას მზესთან ერთად ცაც განსაზღვრავდა. ცა ღვთაებათა საცხოვრებელ ადგილად მოიაზრებოდა. ეგვიპტელები მიიჩნევდნენ, რომ არსებობს ორი ცა, ორი სუბსტანციური საწყისი ცისა – სიმკვრივე და ნაკადი. სიმკვრივე ასოცირდებოდა საყრდენთან, ხოლო ნაკადი – წყლის ცისფერ ჭავლთან, რომელიც გარს ერტყმოდა სამყაროს. ეს ორი სუბსტანცია ორი ქალღმერთით გამოიხატებოდა. სიმკვრივეს განასახიერებდა ქალღმერთი ჰათორი, რომელსაც ციური ძროხის სახით გამოსახავდნენ, ხოლო ციურ ნაკადს – ნუტი, რომელიც გამოიხატებოდა მიწაზე ხელებითა და ფეხებით დაბჯენილი ისე, რომ მისი ვარსკვლავებით მოჭედილი სხეული ციურ თაღს ქმნიდა. ეყრდნობოდა რა თავისი კიდურებით მიწას, ნუტი ზეციურ და მიწიერ სამყაროებს შორის შუამავლად გვევლინებოდა, იგი (მისი სხეული) განასახიერებდა თაღს, „წყლის დიდ ციურ ნაკადს", „ზეციურ ნილოსს", რომელსაც მზის ღმერთი რა, საკუთარ ნავში მჯდომი, გადიოდა ყოველდღიურად. ამოცურდებოდა რა აღმოსავლეთიდან, იგი მთელი დღის მანძილზე მოგზაურობდა „ზეციურ ნილოსზე", ანუ ნუტის სხეულის გასწვრივ, და ანათებდა ქვეყანას, ხოლო საღამოს დასავლეთით მიეფარებოდა თვალს. ე. ი. დილით იბადებოდა და საღამოს კვდებოდა. ეგვიპტელთა წარმოდგენით, გაივლიდა რა მზის ღმერთი დღის გზას, ახლა მას ღამის გზაც უნდა გაევლო, ეს გზა კი მიწისქვეშა სამყაროზე, საიქიოზე, ეგვიპტურად ამდუატის ქვეყანაზე გადიოდა. ციური და მიწისქვეშა სამყაროები არსებობის ორი სხვადასხვა ფაზაა. მაგრამ, სანამ რა მიწისქვეშა სამყაროში თავის მოგზაურობას დაიწყებდა, იხმობდა ხიბრძნის ღვთაება თოთს და ნიშნავდა მას თავის მოადგილედ მიწის ზემოთ ღამის განმავლობაში. ამგვარად, თოთი განასახიერებს მთვარის ღვთაებას, რომელიც ღამის ცაზე მზის ნათლის ანარეკლად იქცევა. ამის შემდეგ მზე დღის ნავიდან (მესკტეტიდან) ღამის ნავზე (მენჯეტზე) გადაინაცვლებდა. მოგზაურობას განაგრძობდა უკვე მიწისქვეშეთში, ამდუატის ქვეყანაში და „მიწისქვეშა ნილოსს" მიუყვებოდა. გზად მას მიცვალებულთა სულები ეგებებოდნენ. მიწისქვეშეთი, ეგვიპტელთა წარმოდგენით, უზარმაზარი გველის სხეული იყო, სიგრძით 1300 წყრთის ტოლი. მიწისქვეშა სამყაროს ყოველ ნაწილს მზე დროის გარკვეულ მონაკვეთში გადიოდა და ზუსტად 12 საათზე, შუაღამისას, იგი ხვდებოდა თავის მოსისხლე მტერს, გიგანტურ გველს – აპოპს (მისი სიგრძე 450 წყრთის ტოლია), შეებრძოლებოდა მას, ამარცხებდა და გზას განაგრძობდა. გარიჟრაჟისას იგი კვლავ მიადგებოდა აღმოსავლეთს. განიხვნებოდა ჰორიზონტის ბჭე, მზის ღმერთი პირს დაიბანდა იაირუს ტბაში, შემდეგ მეწამული სამოსლით ირთვებოდა, დღის ნავზე გადაინაცვლებდა და ახლად დაბადებული ამოცურდებოდა ცაზე, გაანათებდა ქვეყანას. მზის დღისა და ღამის განმავლობაში მოგზაურობის შესახებ მოგვითხრობს სხვადასხვა ეგვიპტური წყარო: „ღამის წიგნი", „დღის წიგნი", „ამდუატის წიგნი", „ბჭეთა წიგნი", „მზის ლიტანია" და სხვ. მათში გადმოცემულია ეგვიპტური რელიგიური მსოფლმხედველობის არსებითი მომენტები – წარმოდგენები დღისა და ღამის, სინათლისა და წყვდიადის, მათი ურთიერთმონაცვლეობის შესახებ.

ფრანგი მეცნიერი ლ. კოტრელი წიგნ „ცივილიზაციის სამჭედლოში" მართებულად მიანიშნებს: „ეგვიპტეში, სადაც მუდამ მზიანი დარია, თავისთავად ცხადია, რომ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი უნდა გამხდარიყო ღვთაება, რომელიც ცხოველმყოფელ მზეში სახლობს. ხედავდნენ, რომ რა ყოველ დილით აღმოსავლეთიდან აღმობრწყინდებოდა, ზეცას გადაკვეთდა და დასავლეთით ჩაესვენებოდა. მაგრამ ეგვიპტელებს, რომლებსაც მუდამ პრაქტიკული აზროვნება ჰქონდათ, არ შეეძლოთ წარმო-

ედგინათ, რომ მზე ამ დიად მსვლელობას რაიმე ტრანსპორტის გარეშე განახორციელებდა. რადგანაც ტრანსპორტის ყველაზე გავრცელებული სახეობა ნავი იყო, რას სამოგზაუროდ ზეციური ხომალდი უბოძეს".

ხშირად დაბადებულა კითხვა, როგორ. შეიძლება მზე რიგრიგობით იყოს აღწერილი ხან ცეცხლის დისკოდ, ლომად, ზოგჯერ კი – ზღვით მოგზაურად?! რატომ არის, რომ ღმერთს ერთდროულად ჰქვია სხვადასხვა სახელი? ეგვიპტოლოგიის ძველი სკოლა ამ აშკარა შეუთავსებლობას ხსნიდა, როგორც მითების პასიური შეერთების ანდა განსხვავებულ ლოკალურ მითოლოგიათა მექანიკური შერევის შედეგს. ახალი სკოლა კი, პირიქით, თვლის, რომ თავდაპირველად ეგვიპტელი ცდილობდა, შეეცნო ერთი და იმავე ფენომენის გარესახე და დინამიზმი არა პირდაპირი გზით, არამედ – სხვადასხვა მითოპოეტურ ანალოგიათა მეშვეობით. განსხვავებული სურათები, რომლებითაც იგი ამ ფენომენს აღწერს, იმდენად ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, რამდენადაც წარმოადგენს განსხვავებულ შემეცნებით მიდგომებს. სიმართლე რომ ითქვას, არ არის შეუთავსებლობა სინკრეტულ თეორიასა და მიდგომათა სხვადასხვაობის თეორიას შორის. ძნელად უარსაყოფია არქაულ ეპოქაში საკუთარ ნიადაგზე აღმოცენებული ლოკალური რელიგიების არსებობა და უკვე ისტორიულ ეპოქაში ამ რელიგიათა თანაარსებობა.

მზის კულტი, ახლა უკვე სახელშეცვლილი, კვლავ ცენტრალურ ადგილს იკავებს ახალი სამეფოს პერიოდშიც, რომლის ფუძემდებელია ფარაონი იახმეს I. ამ ენერგიულმა მმართველმა შეძლო ქვეყნიდან ჰიქსოსების განდევნა და მოაწესრიგა ქვეყანაში არსებული პრობლემები. მისით სათავე დაედო სახელოვან XVIII დინასტიას – ეგვიპტის ისტორიაში ყველაზე ძლიერ ხანას. ფარაონთა ეს უძლიერესი რიგი სათავეს იღებდა თებედან, რომელიც ნილოსის სამხრეთ წელზე მდებარეობდა. თებეს ნომარქებმა, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით გაბატონდნენ, წინა პლანზე წამოწიეს ღვთაება ამონი – დაკავშირებული აგრეთვე მზესთან. თავდაპირველად ამონი იყო უშუალოდ თებეს მთავარი ღვთაება (მისი სახელი ნიშნავდა „იდუმალს"). მოგვიანებით იგი შეერწყა მზის ღვთაების, რას, კულტს და ამონ-რა ეგვიპტის უზენაესი ღვთაება გახდა. რას მსგავსად, ამონი მიიჩნეოდა შემოქმედ ღმერთად, რომელიც სათავეს უდებდა სიცოცხლეს. ამონის სახელი ფიგურირებს არაერთი დიდი ფარაონისა და სახელმწიფო მოხელის წარწერაში. ამონ-რა იყო ღვთაებათა მეუფე. მას უძღვნიდნენ ჰიმნებს და სამხედრო გამარჯვებებსაც მას მიაწერდნენ. თებეს ღვთაებათა ტრიადა შემდეგნაირია: ამონი – მუტი – ხონსი. ქალღმერთი მუტი, როგორც ამონის მეულლე, მოგვიანებით მოექცა თებეს დიდი ღმერთების წრეში, ღვთაება ხონსი კი, თოთის მსგავსად, მთვარის ღვთაება იყო და გამოიხატებოდა ადამიანად, თავზე მთვარის დისკოთი, განსხვავებით მუტისგან, რომელიც ძერის სახით გამოისახებოდა.

ამონის კულტის აღზევებამ გამოიწვია ცვლილებები ეგვიპტურ რიტუალებშიც. თებეს სამეულის სახელთან დაკავშირებული რიტუალის ამსახველი პროცესია ახალი ტიპის ტაძარში გაივლიდა მზით გაკაშკაშებულ ღია ეზოს, შემდეგ – დაბინდულ სვეტებიან დაბინდულ დარბაზს, განათება თანდათან კლებულობდა და ბოლოს ბნელ საკურთხეველში მთავრდებოდა. ამონის თაყვანისცემისთვის თებეში აიგო ორი გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი – ლუქსორი და კარნაკი. ორივე მათგანი მრავალი ნაწილისაგან შედგება და ამონის კულტის გრანდიოზულ პანორამად წარმოჩინდება. კარნაკის მშენებლობა ჯერ კიდევ შუა სამეფოს პერიოდში დაიწყეს და დაახლოებით ათ საუკუნეს გაგრძელდა. ახალი სამეფოს პერიოდში შეიქმნა კარნაკის ტაძართა ანსამბლის მთავარი ნაწილი, რომელიც, ამონის ტაძრის გარდა, შეიცავს მუტისა და ხონსის კომპლექსებს. კარნაკის განახლება დაკავშირებულია თუტმოს I-ის სახელთან, თუმცა მასში XVIII დინასტიის ყველა ფარაონი ამატებდა ახალ ნაწილებს. ფარაონმა ამონხეტეპ III-მ დაიწყო სახელგანთქმული ლუქსორის ტაძრის შენება, მიძღვნილი ამონ-რასადმი, რომელიც სფინქსების ხეივნით უკავშირდებოდა

კარნაკს. ლუქსორის ტაძრის სამლოცველოს კედლების რელიეფებზე გამოსახულია ფარაონ ამონხეტეპ III-ის ღვთაებრივი დაბადების ამსახველი სცენები: დედამისის შეუღლება ღვთაება ამონ-რასთან და ამ გზით ფარაონის დაბადება.

ამონის ერთგულ თაყვანისმცემლად გვევლინება XVIII დინასტიის ქალი ფარაონი, დედოფალი ხატშეფსუტი. დედოფალი ხატშეფსუტი იყო ფარაონ თუტმოს I-ის შვილის, ფარაონ თუტმოს II-ის, ნახევარდა, რომელზეც იგი დაქორწინდა, რადგან ხატშეფსუტი, მისგან განსხვავებით, თუტმოს I-ს ჰყავდა ღვთაებრივი ცოლის – იახმესისგან. თუტმოს II-მ და დედოფალმა ხატშეფსუტმა ერთად იმეფეს დაახლოებით 18 წელს. ძვ. წ. 1490 წელს ჯერ კიდევ ახალგაზრდა სუსტი ფარაონი გარდაიცვალა. მას ხატშეფსუტისგან დარჩა მხოლოდ ქალიშვილი ნეფრუ-რა; ამრიგად, მომდევნო ფარაონი ხატშეფსუტის სიძე იქნებოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეგვიპტეში ფარაონი ჩვეულებრივ ქორწინდებოდა სამეფო წარმოშობის ქალზე (ხშირ შემთხვევაში საკუთარ დაზე), რომელსაც ბავშვობიდან ჰქონდა მინიჭებული „ღვთაებრივი მეუღლის" ტიტული. ფარაონთან საკრალური ქორწინების შემდგომ იგი ხდებოდა ეგვიპტის დედოფალი და ტახტის კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ მხოლოდ ის ბავშვები, რომლებიც ფარაონს ამ „ღვთაებრივი მეუღლისაგან" ჰყავდა, თუმცა ფარაონებს პოლიტიკური მიზნებით შემდგარი ქორწინებების შედეგად „მეორე რიგის ცოლებისაგან" ჰყავდათ შვილები და მათი გამეფება შეეძლოთ მხოლოდ კანონიერ მემკვიდრეზე ქორწინებით. თუტმოს II-ის სიკვდილის მერე ნეფრუ-რა ცოლად შერთეს მის ვაჟს, რომელიც ფარაონს ასეთი „მეორე რიგის ცოლისგან" ჰყავდა. ამგვარად, ტახტზე უნდა ასულიყო ფარაონი თუტმოს III. იგი და მისი „ღვთაებრივი მეუღლე" ნეფრუ-რა ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ, ამიტომ ქვეყნის მართვა დედოფალმა ხატშეფსუტმა იკისრა. მალე მან თავი ეგვიპტის ფარაონად გამოაცხადა და უბრალო წარმოშობის პირთა აღზევებიო პოზიციები განიმტკიცა. ჰიმნები წარმოაჩენს დედოფალს, როგორც ამონის მადიდებელს. შემორჩენილია ხატშეფსუტის სულის მოსახსენიებელი ტაძარი დეირ ელ-ბაჰარში, რომელიც ნახევრად კლდეშია ამოკვეთილი. მასში გამოხატულია ეგვიპტის სამეფო კართან შეხამებული რელიგიური სცენები: დედოფალ ხატშეფსუტის დაბადება, დედის, დედოფალ იახმესის, ღვთაება ამონ-რასთან ქორწინება და ა. შ. ხატშეფსუტის პოლიტიკური შეცდომებით შეწუხებულმა დიდებულებმა მისი ძალაუფლება დაამხვეს. ტაძრებმა დაგმეს ხატშეფსუტის სახელი, ხოლო მისი გამოსახულებები და წარწერები გაანადგურეს.

ამონის კულტთან დაკავშირებული ქურუმთა წრე არნახულ აღზევებას განიცდიდა. ფარაონთა სამარხებს ტოლს არ უდებდა იმდროინდელ ქურუმთა განსასვენებელი ადგილები. ამონის ძლიერება შეარყია ამონხეტეპ III-ის მემკვიდრის, ამონხეტეპ IV-ის (ეხნატონი), მეფობამ, რომელმაც ტრადიციული რელიგიის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ მისი გარდაცვალებიდან მალე ამონს თავისი უფლებები აღუდგა. XIX დინასტიის ფაქტობრივმა ფუძემდებელმა – ხორემხებმა – დაანგრია ეხნატონის მიერ აშენებული ღვთაება ატონის ტაძარი და მისი ქვის ბლოკები გამოიყენა ამონის ახალი ბრწყინვალე ტაძრის სამი ახალი პილონის ასაგებად. ამონის რეაბილიტაციის შემდეგ თებე კვლავ რჩებოდა ეგვიპტის რელიგიურ ცენტრად, მაგრამ რამზეს II-მ თავისი რეზიდენცია ნილოსის დელტაში გადაიტანა და მას „პერ რამზესი" – „რამზესის სახლი" უწოდა. მანვე გააფართოვა ლუქსორის სატაძრო კომპლექსი. ეგვიპტის ამ ერთ-ერთმა ბოლო ძლევამოსილმა ფარაონმა ააგო აგრეთვე სახელგანთქმული ტაძრების კომპლექსი თანამედროვე აბუ-სიმბელში, სადაც ამონთან ერთად სხვა ღვთაებების დიდებაც კიაფობდა. აბუ-სიმბელის ანსამბლი ორი ნაგებობისგან შედგება: დიდი ტაძარი, რომელიც ფარაონს და სამ ღვთაებას – ამონს, რა-ჰორაჰტეს და პტაჰს ეძღვნება და ქალღმერთ ჰათორის სახელობის მცირე ტაძარი. ეს ქალღმერთი წარმოდგენლია რამზეს II-ის ცოლის, ნეფერტარის, სახით.

ჩვენამდე შემორჩენილია ფარაონ რამზეს II-ის ლოცვა ამონისადმი, როდესაც იგი განსაცდელს განიცდიდა კადეშთან მომხდარი ცნობილი ბრძოლის დროს: „მე მოგმართავ შენ, ამონ, მტრებით გარშემორტყმული. უცხო ქვეყნები ჩემ წინააღმდეგ გაერთიანდა და მე სრულიად მარტო ვარ... მაგრამ ვიცი, რომ ამონი ჩემთვის უფრო მეტია, ვიდრე მილიონობით ფეხოსანი თუ ასი ათასობით ცხენოსანი, გაცილებით მეტი, ვიდრე ათასი ძმა და ვაჟიშვილი...".

როგორც ვნახეთ, ატუმის, რას, ბოლოს კი ამონის აღზევებამ არ გააქრო წინამორბედი მზის კულტი. ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. საზოგადოდ, ძველ ეგვიპტელთა წარმოდგენით, ყველა მოვლენის მიზეზს წარმოადგენდა იმატერიალური, ცნობიერებისათვის მიუწვდომელი სულიერი საწყისი, რომელსაც ისინი აღნიშნავდნენ სიტყვებით – „ბა", „კა" ან „ახ". მისი არსებობის ფორმა მოძრავია – მას შეუძლია სახეცვლა, გადანაცვლება სივრცეში, განსხვავებული ფორმით გამოვლენა, სხვადასხვა მატერიალურ სხეულში ჩასახლება. ამგვარი წარმოდგენის გამო ისინი ადვილად უშვებდნენ, რომ ერთ სულიერ საწყისს შეეძლო რას, ატუმის ან ამონის სახით გამოვლინება. ამგვარად, შედგენილი ეგვიპტური ღვთაებები, როგორებიცაა ატუმ-რა ან ამონ-რა, ორი ღმერთის გაიგივებას ან გაერთიანებას კი არ ნიშნავდა, არამედ ერთი დინამიკური ღვთაების სულიერი საწყისის სხვადასხვა ფორმით გამოვლინების შესაძლებლობას. ეგვიპტური თეოლოგიის ამ თავისებურებას თანამედროვე მეცნიერებაში სინკრეტიზმი ეწოდება. დიდი გერმანელი ეგვიპტოლოგის, ზ. მორენცის, თქმით, „სინკრეტიზმი არამარტო ეგვიპტური რელიგიური მსოფლმხედველობის თავისებურებას გამოხატავს; მასში აისახება ეგვიპტელთა აზროვნების სპეციფიკა და სწორედ ამიტომ გვიჭირს დღეს ამ მოვლენაში გარკვევა". ეს ტენდენცია ნაწილობრივ აისახა ფარაონის გაღმერთებაშიც.

ხელისუფლის საკრალიზაციის ესოდენ მაღალი გამოვლენა აღმოსავლეთის სხვა ხალხებში არ გვხვდება. ეგვიპტის ფარაონი გამოცხადებული იყო ღვთაებად და ღვთაების შვილად. მარადიულად მიიჩნეოდა ფარაონის „ღვთაებრივი სულიერი საწყისი" და არა მისი გამოვლენის მატერიალური ფორმა. ამ წარმოდგენის გასაღებს იძლევა ე. წ. კარტუში (ფრანგ. ვაზნა) – ოვალური ფორმის ჩარჩო, რომელშიც ფარაონის სახელი იწერებოდა. თავდაპირველად ის წრიული იყო, როგორც მარადიულობის სიმბოლო, მოგვიანებით კი მოგრძო ფორმა მიიღო. ამ წარწერებში მოცემული იყო ფარაონის ტიტული. აქ ერთიანდებოდა ზემო და ქვემო ეგვიპტის ყოფილი სამეფოების იკონოგრაფიები: სვავი და კობრა, ღვთაება ხორის სახელი, რომელიც უკავშირდებოდა ფარაონის ძალაუფლებას; მას ემატებოდა სხვა ნაწილებიც.

ეგვიპტის რელიგიის შესწავლისას უნდა გვახსოვდეს, რომ თითქმის არაფერია ცნობილი სახალხო ეგვიპტური რელიგიის შესახებ. აქ საკმარისია ითქვას, რომ ეგვიპტის „არაოფიციალურ" პანთეონს შეადგენდა უთვალავი ლოკალური ღვთაება, რომლებსაც თავიანთი ფესვებით უძველესი დროის ფეტიშებამდე მიეყავართ. საზოგადოდ, ეგვიპტეში გავრცელებული იყო ზოომორფიზმი, ხდებოდა ამა თუ იმ ღვთაების სხვადასხვა ცხოველის სახით აღქმა. ამგვარი საკრალური ცხოველები სშირად ტაძრებშიც ბინადრობდნენ და მათი გარდაცვალების შემდეგ მათს მუმიფიცირებას ახდენდნენ. ყველა ღვთაება განასახიერებდა რომელიმე ცხოველს (მაგ., ანუბისი – ტურას, ჰათორი – ძროხას და ა. შ.). მოგვიანებით მოხდა ღვთაებათა ანთროპომორფიზაციის პროცესი. მაგ., სიყვარულისა და მხიარულების ქალღმერთი ბასტეტი გამოისახებოდა კატისთავიანი ქალის სახით, ქურუმთა ძალისხმევის შედეგად მთლიანად ანთროპომორფულად გამოიხატებოდა ღვთაება პტაჰი და სხვ.

ეგვიპტე იყო ქვეყანა, სადაც მიცვალებულთან დაკავშირებული წარმოდგენები რელიგიის ბირთვს ქმნიდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ გვინდა გავიცნოთ ამა თუ იმ ხალხის რელიგია, უნდა ვნახოთ მათში არსებული დაკრძალვის რიტუალი. ამ პროცესიასთან დაკავშირებული ელემენტები ყველაზე ნათლად ასახავს რელიგიური მსოფლმხედველობის არსებით ასპექტებს. ეგვიპტური რელიგია ამის საუკეთესო სურათს იძლევა.

ადამიანის სიცოცხლე და სიკვდილი არსებობის გარდაუვალ ფაზებად იყო მიჩნეული. ადამიანის არსებობა წრეზე ტრიალად აღიქმებოდა. ეგვიპტელები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანი ცხრა ნაწილისგან შედგება: სხეული – ხეტ, სულიერი ინდივიდუალობა, ადამიანის ორეული – კა, სამშვინველი – ბა, ჩრდილი – ხაი ბიტ, სული – ახ, გული – იბ, სულიერი ენერგია – სეხემ, სახელი – რენ, სულიერი სხეული – სახ. ამათგან ორი, „ბა" და „კა" ადამიანის გარდაცვალებიდან გარკვეული დროის შემდეგ კვლავ უბრუნდება ამ ქვეყანას. „კა" ბრუნდება და ცხოვრობს საკუთარი მუმიის გვერდით, თავის სამარხში (ამიტომაც სამარხებს ეგვიპტელები „კას სახლს" უწოდებდნენ), ხოლო „ბა" პოულობს საკუთარ სხეულს, შედის მასში და აგრძელებს არსებობას. ამ წარმოდგენამ განაპირობა ეგვიპტელების მიერ სხეულის მუმიის სახით შენახვის ტრადიცია. გვამების მუმიფიცირების პროცესი არ იყო მარტივი. ამას მთელი ხელოვნება სჭირდებოდა, რაც ეგვიპტეში მაღალ დონეზე განვითარდა.

ფარაონებისა და დიდებულებისათვის გარდაცვალების შემდგომ იქმნებოდა სპეციალური სამარხები. ამ სიერცეებში ყველაფერი საკრალურად იყო გათვლილი. პირველი ორი დინასტიის მმართველობის პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო აგებული პირამიდები, ფარაონებს სხვა განსასვენებლებში კრძალავდნენ. ეს იყო დიდი, სწორკუთხა ორმო, რომელიც ბორცვით ან დიდი მიწისზედა ნაგებობით გადაიხურებოდა. ზედა ნაგებობა დაყოფილი იყო უამრავი ნიშით. ორმოს ცენტრში განსასვენებელი მდებარეობდა.

პირამიდები ძველი სამეფოს მშვენებაა. მათ შორის გამოირჩევა გიზის ცნობილი კომპლექსი – IV დინასტიის სახელოვანი ფარაონების: ხეოფსის (ხუფუ), ხეფრენისა (ხაფრა) და მიკერინის (მენკაურა) პირამიდები. პირამიდები, როგორც ქვის გრანდიოზული ნაგებობები, მრავალ საიდუმლოს იტევს. მათი აგების ტექნიკური საშუალებები დღემდეა მკვლევართა განსჯის საგანი; პირამიდა შედგება ორი მარტივი გეომეტრიული ფორმისგან – კვადრატისა და სამკუთხედისგან. მის საფუძველს კვადრატი წარმოადგენს, რაც ქვეყნიერების ოთხი კუთხის განსახიერებით მატერიალური სამყაროს ნიშანია, ხოლო ზემოთ მიმართული სამკუთხედი მარადიულობას განასახიერებს. პირამიდები ფარაონთა განსასვენებელი იყო. შემდეგ საუკუნეებში პირამიდების სიმაღლემ იკლო – 70 მეტრს არ აღემატებოდა, რადგან ქვეყანა ვეღარ აუდიოდა გიგანტურ ხარჯებს. თვით პირამიდების გეომეტრია იმაზე მიგვანიშნებს, რომ მისმა შემქმნელებმა კარგად იცოდნენ არა მარტო მათემატიკის, არამედ მთელი სამყაროს ერთ-ერთი ძირითადი კონსტანტა – რიცხვი „პი", რომელიც საკმაოდ გვიან იქნა აღმოჩენილი. პირამიდის ფუძის (კვადრატის) გვერდი ტოლია პირამიდის სიმაღლის ნახევრის ნამრავლისა სწორედ „პი" რიცხვზე.

საზოგადოდ, ეგვიპტის არსებობის მთელ მანძილზე არსებობდა ტრადიცია სულის მოსახსენიებელი ტაძრების აგებისა. ახალ სამეფოში აკლდამებისგან საგანგებოდ გამოიყოფოდა სულის მოსახსენიებელი ტაძრები. არსებობდა ფარაონ ამონხეტეპ III-ის სულის მოსახსენიებელი ტაძარი თებეში, რომელიც მთლიანად დაინგრა. შემორჩა მხოლოდ ფარაონის ორი უზარმაზარი ქანდაკება, რომლებიც „მემნოსის კოლოსების" სახელით არიან ცნობილნი. ნეკროპოლისები ძირითადად ნილოსის დასავლეთით შენდებოდა, თუმცა მოგვიანებით აღმოსავლეთ სანაპიროზეც იწყეს შენება.

სამარხების ფართო გალერეაა გადაშლილი მეფეთა ველზე, სადაც XVIII-XIX დინასტიის სახელოვანი ფარაონების განსასვენებლებია (64 ფარაონია დაკრძალული). მათ შორის დიდი გამოხმაურება მოჰყვა ახალგაზრდა ფარაონის, ტუტანხამონის, აკლდამის გაუძარცვავი სახით აღმოჩენას (1922წ.). ამ ფარაონის სამარხი მთლიანად სავსე იყო ძველეგვიპტური წარმოდგენებით საიქიო ცხოვრებაზე, რაც არსებულ იკონოგრაფიასა და დატანებულ საგანძურში ვლინდებოდა. აქ იყო მუმიფიცირების ღმერთის, ანუბისის, ქანდაკებაც. გამოირჩევა ასევე ფარაონ სეტი I-ის მიერ აშენებული სულის მოსახსენიებელი ტაძრები აბიდოსსა („მკვდართა ქალაქი") და თებეში. რამზეს II-მ თავისი სულის მოსახსენიებელი კომპლექსი – რამესეუმი ააშენა.

იმქვეყნიურ სამეფოში გამგზავრების გარდაუვლობა კარგად ჩანს ერთ ეგვიპტურ ტექსტში:

„განისვენებენ
სამყაროს შექმნის დღიდან იქ წინაპრები.
ურიცხვთა შორის, ვინც ამქვეყნად ნაშენობს ახლა,
ჩვენს ეგვიპტეში ერთი კაციც ვერ დამკვიდრდება:
მარადისობის ქალაქში აქვს გამზადებული
საყუდელი უკლებლივ ყველას.
არ გაგრძელდება წუთისოფლის სტუმრობა დიდხანს!
დრო სიზმარივით იელვებს ჩქარა,
დახდების მზე და
მზის დახდომისას, დაისის ველად
„კეთილი იყოს თქვენი ფეხი და მობრძანება!" –
ეტყვიან ყარიბს".

სხვა ჰიმნში არანაკლები ექსისტენციალური სიმძაფრითაა გადმოცემული ადამიანის მიცვალებასთან დაკავშირებული გრძნობები:

„შეშვენის სიკვდილს სახელად – „მოხვედ!"
ვისაც ის იხმობს გაჩნდება მასთან
და სიკვდილის მოიცავს შიში. არცა ხორციელთ, არცა ღმერთებს
მისი სახის არ ძალუძთ ხილვა.
დიდი და მცირე, ო, ყოველი გასწორდეს მისგან.
არ ასცილდება მისი ბრჭყალი ქვეყნად არავის.
მეტის ხალისით ჩვილს წარტაცებს საბრალო დედას,
ხოლო დატოვებს, დააყოვნებს მწიფე ბერიკაცს,
განმზადებულს, – მიაშუროს მარადისობას.
გულს ვერ მოულბობს ვედრება ლაჩრის
მწედ სასომიხდილს არ მიაშურებს;
ვერა, ვერ გატეხს მოუსყიდველს ქრთამი და ძღვენი".

ეგვიპტელები აცნობიერებდნენ რა სიკვდილის წინაშე ყველას თანასწორობას, ბუნებრივია, ქმნიდნენ მითიურ ციკლებს საიქიო სამყაროზე, მიცვალებულის განსჯაზე, რაც მათი რელიგიური მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი იყო. მართალია, ჩვენ ვისაუბრეთ, რომ ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში თუ მისი სხეული საგანგებოდ იქნებოდა დაცული და ბალზამირებული, მისი სული კვლავ დაუკავშირდებოდა მას და გააგრძელებდა არსებობას, მაგრამ ეს წარმოდგენები მარტივად არ ტრანსფორმირებულა. უძველეს პერიოდში მიცვალებულის კულტი დაუკავშირდა ღვთაება ანუბისის სახელს, რომელმაც შემდეგში გვამების მუმიფიცირების მფარველის ფუნქცია იტვირთა. უფრო მოგვიანებით იმქვეყნიური ყოფიერება მჭიდროდ დაუკავშირდა ოსირისს, რომელიც ეგვიპტის მთელი არსებობის განმავლობაში წარმოადგენდა მიცვალებულთა უმთავრეს ღვთაებას (თუ არ ჩავთვლით ეხნატონის ხანმოკლე მეფობას, როცა ყველა ტრადიციული ეგვიპტური ღვთაების სახელი ქრება

და იკრძალება). ოსირისის სახელი ეგვიპტურ რელიგიურ ტექსტებში V დინასტიის დასასრულიდან გვხვდება. ოსირისთან დაკავშირებული იყო მისი დისა და მეუღლის, ისიდას (ისისის, იზიდას), სახელიც. ზემოთ ხსენებული ჰელიოპოლისური კოსმოგონიის მიხედვით, იგი გებისა და ნუტის შვილია. გადმოცემები ოსირისზე ყველაზე ვრცლად II საუკუნის ბერძენმა ისტორიკოსმა პლუტარქე ხერონელმა ჩაწერა. რელიგიურ ტრაქტატში – „ისიდა და ოსირისი" – იგი თხრობას რეალური ცხოვრების აღწერით იწყებს და შემდეგ მითიური ელემენტებით ამდიდრებს. ოსირისის ისტორია, თუ როგორ დაიმკვიდრა მან მიცვალებულთა ღვთაების ადგილი, შემდეგნაირია:

მიიჩნეოდა, რომ ოსირისი იყო ეგვიპტის პირველი ფარაონი. მან ასწავლა ხალხს ხვნა-თესვა, ვენახის გაშენება და მოვლა, ოქროსა და სპილენძის მოპოვება, ლუდის დაყენება, მკურნალობა, ქალაქთა მშენებლობა და თვით ღმერთების თაყვანისცემაც კი. „ოსირისმა გამეფებისთანავე ხელი ააღებინა ეგვიპტელებს მწირსა და ველურ ცხოვრებაზე, აჩვენა მათ ნაყოფი მიწისა და ასწავლა პატივისცემა ღმერთებისა და დაუდგინა მათ კანონები. შემდეგ მთელი დედამიწა შემოიარა და დაიმორჩილა, ამისთვის იარაღი არც დაჭირვებია, სიმღერასა და მუსიკასთან შერწყმული დამაჯერებელი სიტყვით ხიბლავდა და თავისკენ იბირებდა ადამიანთა უმრავლესობას" (პლუტარქე, „ისისი და ოსირისი", თ. 13). ამ ყველაფრის გამო მას მთელი ხალხი ემადლიერებოდა, მხოლოდ სეტი, მისი უმცროსი ძმა, შურით ივსებოდა მის მიმართ და ცდილობდა ოსირისის დაღუპვას. ამ განზრახვის შესრულება მან მალე შეძლო: ერთხელ, როდესაც აზიაში ომგადახდილი ოსირისი ეგვიპტეში დაბრუნდა და დიდი ლხინი გამართა, სეტიც მოვიდა თავის სამოცდათორმეტ თანამზრახველთან ერთად. სანადიმო დარბაზში სეტმა ძვირფასად შემკული კიდობანი შეიტანა, რომელმაც ყველა აღაფრთოვანა. კიდობნის დაპატრონება ბევრმა ისურვა. სეტმა განაცხადა, რომ ვისი ტანიც ზუსტად მოერგებოდა კიდობნის ზომებს, ის გახდებოდა მისი მფლობელი. დარბაზში მყოფნი რიგრიგობით წვებოდნენ კიდობანში, მაგრამ ზოგისთვის მეტად ფართო იყო, ზოგისთვის კი – ვიწრო. ყველაზე ბოლოს მასში ოსირისი ჩაწვა და ზუსტად მოერგო კიდობანს მისი ტანი. ამის ნახვისთანავე სეტის თანამზრახველებმა მყისვე დაახურეს კიდობანს სახურავი, მჭიდროდ დაგმანეს და ჩაკეტეს. მერე ზედ გამდნარი ტყვია გადაასხეს და ნილოსის ნაპირებს მისცეს. კიდობანი მდინარის ნაპირას აღმართულ ხეს გამოედო და გაჩერდა. აქ იპოვა იგი ისიდამ, მისმა საყვარელმა დამ და მეუღლემ, რომელმაც ცხარე ცრემლებით დაიტირა ის, სასწაულებრივად გააღვიძა ოსირისის სხეულში სასიცოცხლო ენერგია და მისგან შურისმგებელი შვილი – ჰორი ჩაესახა. სხვა ვერსიით, სეტმა ოსირისის სხეული თოთხმეტ ნაწილად აკუწა და მთელ ეგვიპტეში მიმოფანტა. ისიდამ და ნეფტისმა, მეორე დამ, დიდხანს ეძებეს მისი ნაწილები და ბოლოს ყველა მოძებნეს, გაამთლიანეს ოსირისის სხეული და გლოვის შემდეგ ქალაქ აბიდოსში მიწას მიაბარეს. აბიდოსი ამიერიდან მკვდართა ქალაქად იწოდა. ისიდამ მკვდარი ოსირისისაგან მუცლად იღო ჰორი. სეტის შიშით ქალმა ნილოსის ჭაობებში იმშობიარა. ისიდა დიდხანს მალავდა შვილს, რომ სეტს ისიც არ მოეკლა. როცა ჰორი გაიზარდა, შეებრძოლა სეტს. პირველი შერკინებისას სძლია სეტმა და ჰორს თვალი წაართვა, მეორე შებრძოლებისას ამ უკანასკნელმა არა მარტო დაიბრუნა თვალი, არამედ დასცა სეტი. ჰორმა თვალი მკვდარ მამას ჩააყლაპა და გაცოცხლდა ოსირისი, მაგრამ მან აღარ ისურვა სამზეოზე ყოფნა და მეფობა, ეგვიპტე ჰორს დაუთმო, თვითონ კი საიქიოში დაბრუნდა და მკვდართა მსაჯული გახდა. ძველეგვიპტელთა რწმენით, ოსირისი ყოველწლიურად კვდება სეტის ხელით და ცოცხლდება ჰორის მეოხებით. ყოველ გაზაფხულზე მის აღდგომასთან ერთად მიწის პირი მწვანით იმოსება. ეგვიპტელთა რწმენით, გარდაცვლილი ფარაონები ოსირისის არსებას ეზიარებოდნენ.

ამ ამბავში დიდია ისიდას (ისისის) როლი. საერთოდ, ეს მნიშვნელოვანი ქალღმერთი სხვა მითიურ გადმოცემებშიც ფიგურირებს, როგორც ბრძენი. მის მიერ

მკვდარი ოსირისის დატირება ღრმა კაეშნის დასტურია:

„მიწა და ზეცა შერევია ერთიმეორეს.
დედამიწას ეფინება მწუხრის ხეწარი.
გულს მიკიდია ცეცხლი,
რადგან შენ გამემიჯნე
და ჩვენ შორის ჩადგა კედელი –
თუმც არ ყოფილა ბოროტი ჩემში...
მე შევაფარე ლერწმოვანებს შენი ჩვილი,
შენი პირმშო, რათა შემდგომ გვეძია შური".

ოსირისი თავის თავში მრავალ ფუნქციას აერთიანებს. ტექსტებში იგი ზოგჯერ გაიგივებულია მნათობებთან, ნილოსთან, იდუმალებასთან. ამ მომკვდარი და განახლებადი ღვთაების სახეში ყველაზე მეტად საიქიოს გამგებლის მისია შესისხლხორცდა. არსებობდა რწმენა, რომ ნილოსის ადიდება იწყებოდა იმის გამო, რომ ოსირისზე მგლოვიარე ისიდას ცრემლი ნილოსში მოხედა (ზოგი ვერსიით, ნილოსი სწორედ ოსირისის ფეხიდან მოედინებოდა); არაბები დღესაც ნილოსის ადიდებას „ცრემლის ღამედ" უხმობენ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორფეოსის ჰადესში ჩასვლას (ორფიკული რელიგია) და უკან დაბრუნებას, ოსირისი ძველ აღმოსავლეთში ერთადერთი ღმერთი იყო, რომელიც სიკვდილის მერე ცოცხლდება.

ტაძრებში არსებული სცენები ნათლად გადმოგვცემს ე. წ. ოსირისის სამსჯავროს. ცნობილი ეგვიპტური „მკვდართა წიგნი", რომელიც მაგიური ქმედებებისა და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ამბების კრებული იყო, ოსირისს არანაკლებ დიდ ყურადღებას უთმობს. სამსჯავროს გამოსახულებებზე ოსირისი წარმოდგენილია, როგორც ტახტზე მჯდომი მეუფე გვირგვინით, მათრახითა და კვერთხით. აქვე გამოისახება სხვა ღვთაებებიც. გარდაცვლილი წარმოდგენილია ორი ქალღმერთის თანხლებით. ამ ციკლის მთავარი ნაწილია ასევე სასწორი, რომელზეც ღვთაება თოთი და მეორე მხარეს გვამის მფარველი ანუბისი მიცვალებულის გულს წონიან. გარდაცვლილის გამართლების შემთხვევაში მას განსაცდელი არ ელოდა, ხოლო საწინააღმდეგო ვითარებაში საზარელი ცხოველი შთანთქავდა.

ზოგადად, ოსირისი და ისიდა ეგვიპტის გარეთ ყველაზე პოპულარული ღვთაებები იყვნენ. ისიდა ითვლებოდა გონიერ ქალად, რომელსაც მიეწერებოდა ქორწინების მფარველობა, მკურნალობის ნიჭი. ეგვიპტის უძველეს ტაძრებში, პირამიდებში ისიდას იმდენი ქანდაკება იპოვეს, რომ მისი პოპულარობის დასამტკიცებლად ეს შედეგებიც კმარა. ყოველი მოქანდაკე მას იმგვარად „სახავდა, როგორ ფუნქციასაც ადგილობრივი ტაძარი აკისრებდა. პლასტიკურ ხელოვნებაში ისიდა პირველი ქალია, ვისაც კალთაში ჩვილი ყრმა – ჰორი უსის და მომავალს იმედით შეჰყურებს.

ხსენებული „მკვდართა წიგნი" არაა ერთგვაროვანი. მასში ბევრი სხვადასხვა დროის ტექსტია გაერთიანებული. იგი გადმოგვცემს, თუ როგორ და რამდენგზის იცვლება გარდაცვალების შემდეგ სული, მრავალგზის როგორ ხვდება სხვადასხვა ღვთაებას და იღებს განსხვავებულ გარეგნობას (მერცხლის, ოქროს შევარდნის, ყანჩის, ლოტოსის...). ამ წიგნში არსებული სულისკვეთება, გარკვეულწილად, ნათესაურ სულს პოულობს ტიბეტურ „მკვდართა წიგნთან". ამ ერთი და იმავე დასათაურების მქონე წიგნებში აშკარაა საერთო პარალელები. ტიბეტური „მკვდართა წიგნი" მე-7 ს-ის ბუდისტური სახელმძღვანელოა, მაგრამ უძველეს გადმოცემებს შეიცავს, რომელთა მიხედვით სული ისევ ხვდება სხვადასხვა ღვთაებას. ამ წიგნს გარდაცვლილის ცხედართან კითხულობდნენ. ბუდიზმი არ გამორიცხავდა მეტაფსიქოზის თეორიას – სულთა გარდასახვას სხვა სხეულებში, რაც ეგვიპტური ანროფენებისთვის უცხო ჩანს.

„მკვდართა წიგნი" არის პაპირუსი, რომელშიც ორასამდე ცალკეული თავია ისინი წარმოადგენენ მრავალ ფორმულას, ლოცვასა და შელოცვას იმ ყოველგვარი დაბრკოლების გადასალახავად, რაც კი შეიძლება მიცვალებულს შეხვდეს გზაზე. მრავალი ადგილი „პირამიდების ტექსტების" დროს განეკუთვნება. სულისათვის სა-

ბოლოო ნეტარების მიღწევა – იაილუს მინდვრებზე განსვენებაა. ეს ეგვიპტეში სამოთხის ეკვივალენტს წარმოადგენდა. მიცვალებული წარდგებოდა ოსირისის წინაშე. იგი გარშემორტყმული იყო მიცვალებულთა სამყაროს 42 დემონით. იქვე იმყოფებოდა ანუბისი, რომელსაც მიცვალებული იაილუს მინდერებში გადაჰყავდა. აქ გარდაცვლილი წარმოთქვამდა თავისი უცოდველობის დამამტკიცებელ სიტყვას, „ცოდვების უარყოფის" სიტყვას, რომელიც „მკვდართა წიგნის" 125-ე თავშია მოთავსებული. აღსანიშნავია, რომ ძველი აღმოსავლეთის არც ერთ რელიგიაში არ არსებობდა ამგვარი წარმოდგენები, რომელთა მიხედვით ადამიანის დედამიწაზე გატარებული წლების დროს გარკვეული მორალური ნორმების დაცვა სიკვდილის შემდეგ მისი სამუდამო განცხრომის საწინდარი იყო. „მკვდართა წიგნი" საბოლოოდ ჩამოყალიბდა XVIII დინასტიის ეპოქაში. ქვემოთ მოყვანილია ფრაგმენტები ზემოთ ხსენებული 125-ე თავიდან, რომელიც გარდაცვლილის მიერ საკუთარი ცოდვების უარყოფას წარმოაჩენს:

„სალამი შენ, დიადო ღმერთო, ორი სიმართლის მეუფევ. მე მოვედი, რათა შენი მშვენება ვიხილო. ჩემთვის ცნობილია შენი სახელი, ჩემთვის ცნობილია ორმოცდაორი ღმერთის სახელი, რომლებიც იმყოფებიან აქ, ორი სიმართლის მხარეში – ისინი ელიან მათ, ვისაც ბოროტება აქვთ ჩადენილი და სვამენ მათს სისხლს უნეფერის წინაშე წარდგომის დღეს – თქვენ ცნობილი ხართ ჩემთვის, სამართლის მეუფეებო. თქვენთან მოვედი სამართლით, თქვენი გულისათვის უარვყავ უსამართლობა.

მე არ ჩამიდენია ბოროტება.
მე არ ჩამიდენია ცოდვა წმინდა ადგილას.
მე არ მიყვარდა მკრეხელობა.
მე არ დამიჩაგრავს სუსტი.
მე არ გამაჩნია ცოდვა ღმერთების წინაშე...
...ო, უსხ-ნემთუტა, რომელიც იმყოფები ჰელიოპოლისში, მე არ ჩამიდენია ბოროტება.
ო, ჰეპეტ-სეჯეტ, რომელიც იმყოფები ჰეპრი-ახაში, მე არ მომიპარავს.
ო, დენჯი, რომელიც იმყოფები ჰერმოპოლისში, მე არ მჩვევია შური...".

სიკვდილის შემდგომ სულის მოგზაურობას ასახავს „მკვდართა წიგნის" 64-ე თავი, რომელიც, საერთო აღიარებით, არის უძველესი და უმთავრესი. იგი ორი, ვრცელი და მოკლე, ვერსიით არსებობს. ეს თავი უნდა ყოფილიყო უკვე I დინასტიის დროს. ფიქრობენ, რომ მასში გადმოცემულია ის გზა, რომელიც სულმა უნდა განვლოს საიქიოში. ამრიგად, მას საინიციაციო დატვირთვაც აქვს. 64-ე თავი ნაპოვნია მეფე მენკაურას (მიკერინი, IV დინასტია) დროს ქალაქ ხენუმში, ღმერთ თოთის ქანდაკების ფეხქვეშ. ის რკინის ბლოკზე ამოძერწილი და ნამდვილი ლილაქვით (ლაპისლაზული) ინკრუსტირებული იყო. იპოვა იგი ვინმე ნეკომა და ამოიკითხა მისი ფარული აზრი. ქვემოთ მოყვანილია ფრაგმენტი „მკვდართა წიგნის" ხსენებული თავიდან:

„ვისიც სადგომია მარადიული განმავლობა,
შემაძლებინოს წარმოვჩინდე მის წინაშე!
რომ ჩემი მგზავრობა ხეშეოში
მშვიდობიანად წარიმართოს!
რომ გადაეკვეთო თაღი და აღვტაცდე მშვენიერებით
სხივებისა, რომელნიც მაბრმავებენ!
შეეიძლო, ჩიტივით ფრენა ჰაერში და განვსჭვალო,
რას წინაშე ყოველდღე შეკრებილი გაწმენდილი სულები.
შეეიძლო ვიყო დაცული ხელდასხმულთა ლოცვებით ამ მომენტში,
რომელშიც მათი მსუბუქი სანდლები აწვებიან ქვიშას
მდუმარედ მავალნი...
და შენ, სწრაფ მოძრაობათა ძლიერო ყოფიერებავ,

რომელიც წარმართავ ქვეშეთის მხარეებს,
ჩრდილებსა და განწმენდილ სულებს,
გამიშვი, ღმერთთა რჩეულის სახით
მიმოვიარო მშვიდობით მკვდართა მხარე!"

ეგვიპტური რელიგიური წარმოდგენები მიღმიერ, სიკვდილისშემდგომ სამყაროზე არ ყოფილა ცალმხრივი. მართალია, სკეპტიკური განწყობა ეგვიპტელისთვის იშვიათი იყო, მაგრამ შუა სამეფოს ხანიდან მაინც გვხვდება პესიმისტური ელფერის ტექსტები, რომელთა მიზანიც შემდეგში მდგომარეობს: „არავინ დაბრუნებულა დასავლეთის ბნელი ქვეყნიდან, ცხოვრება კი ძალზე სწრაფად გადის, ამიტომ არ შეიძლება საიქიო ცხოვრების იმედით ყოველდღიურ ცხოვრებაზე უარის თქმა". ამ ე. წ. „არფისტის სიმღერებში" ეს ატმოსფერო მკაფიოა. ერთ ასეთ ჰიმნში ვკითხულობთ: „სამარისაგან მოთქმა-ტირილს არავინ უხსნია. და ამიტომაც იზეიმე დღე მშვენიერი. ხედავ, ქონება ჯერ არავის არ წაუღია. ხედავ, წასული ჯერ არავინ დაბრუნებულა".

ამავე განწყობას ასახავს ცნობილი პაპირუსი „იმედგაცრუებული ადამიანის საუბარი თავის სულთან", რომელიც ბერლინის მუზეუმში ინახება. ამ ტექსტის სადარი ინტერესი თითქმის არც ერთ სხვა ძეგლს არ გამოუწვევია. „იმედგაცრუებული ადამიანის საუბარი თავის სულთან" – ეს არის რწმენადაკარგული კაცის ამბავი, რომელიც საიქიოში ეძებს სასუფეველს. მისი სული „ბა" არ ეთანხმება ადამიანს, დიდი ხნის განმავლობაში ცდილობს დაარწმუნოს იგი, რომ ცხოვრება საამურია, ხოლო სიკვდილის შემდეგ მას კარგი არაფერი არ ელის. ქვემოთ მოყვანილია ფრაგმენტი ამ ძველეგვიპტური პაპირუსიდან:

„თუ შენ გადამაფიქრებინებ სიკვდილს, ვერასდროს მოიპოვებ შენ სიმშვიდეს ამის გამო დასავლეთში. მოიდრიკე, სულო ჩემო, ძმაო ჩემო და იყავ მოყვასი ჩემი. მსხვერპლის გამღები, მდგარი ჩემს აკლდამასთან ჩემი განსვენების დღეს და იყავ ჩემი სამარხის მომმზადებელი.

მომაპყრა სულმა ბაგენი თვისნი და მიპასუხა ჩემს ნათქვამზე: „აბა წარმოიდგინე დაკრძალვა: ეს უბედურებაა, ეს ცრემლია, ხალხის გულის დაწყვეტაა; ეს ადამიანის გაძევებაა მისი ფუძიდან, მისი ამაღლებაა და ვერ გამოხვალ გარეთ, მზის სახილველად.

გრანიტის ოსტატები, თავიანთი ნატიფი, მშვენიერი ხელოვნებით პირამიდის დარბაზის აღმმართველები ღმერთებად რომ იქცნენ, მათი სამსხვერპლოები ისევე დაცარიელებულია, როგორც ღატაკებისა, რომლებიც დამბაზე გარდაიცვალნენ მარტოდმარტო, ახლობლების გარეშე. მზემ და მდინარემ წაიღო მათი ნაშთები. მათ ეხმიანებიან მხოლოდ ნაპირის თევზები. მომაპყარ ყური! უკეთესია, დამიჯერო: მხიარულად გაატარე დღე და დაივიწყე დარდი!"

ეგვიპტური მონოთეიზმი

ეგვიპტური მონოთეიზმის ქვეშ იგულისხმება XVIII დინასტიის ფარაონის, ამონხეტეპ IV-ის, მიერ გატარებული რელიგიური რეფორმა და მისი შედეგები. ამონხეტეპ IV-ის მამა იყო ფარაონი ამონხეტეპ III, რომლის მმართველობის დროს ეგვიპტემ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია.

სუსტი აღნაგობის მქონე ამონხეტეპ IV ფიზიკურად ძლიერ კონტრასტს წარმოადგენს XVIII დინასტიის მებრძოლ ფარაონებთან შედარებით. იგი არნახული ენერგიით შეებრძოლა არა მარტო ტრადიციულ ბიუროკრატიულ ფენას, არამედ უძველეს ტრადიციებსა და ეგვიპტის ღმერთებსაც კი, რაც გაკვირვებას იწვევს, თანაც ტახტზე ასვლისას იგი დაახლოებით 16 წლის იყო. ის საუკუნეების განმავლობაში

და დღესაც რჩება მეცნიერთა განსჯის საგნად. ეგვიპტოლოგი ა. ვეიგალი მასზე წერდა: „უკვე სამი ათასი წელია, რაც ის გვაძლევს იმის მაგალითს, თუ როგორი უნდა იყოს მეუღლე, მამა, პატიოსანი კაცი, მან გვიჩვენა, თუ რას უნდა გრძნობდეს პოეტი, რაში უნდა გვარიგებდეს დამრიგებელი, რას უნდა აღწევდეს მხატვარი, რისი უნდა სჯეროდეს მეცნიერს და რაზე უნდა ფიქრობდეს ფილოსოფოსი და როგორც სხვა გამოჩენილი მასწავლებლები, მან ყველაფერი გაიღო „თავისი სარწმუნოებისათვის".

გამეფების პირველივე წელს იგი იწყებს თებეში, ამონის ამ ნავთსაყუდელში, ახალი ღვთაების, ატონის, ტაძრის მშენებლობას, მეექვსე წელს კი გადადის მის მიერ აშენებულ ახალ სატახტო ქალაქში – ახეტატონში („ატონის ჰორიზონტი", თებედან 60 კილომეტრში, ჩრდილოეთით, თანამედროვე თელ ელ-ამარნასთან). ის იღებს ახალ სახელს – ეხნატონს („ატონის მსახური"). სახელს უცვლის ასევე თავის მშვენიერ მეუღლეს – ნეფერტიტს, რომელიც ამიერიდან ხდება ნეფერ-ნეფრუ-ატონი (მშვენიერია ატონის მშვენება) და უარყოფს ეგვიპტის ყველა ღვთაებას, მათ შორის – რას და ამონს, კრძალავს მათი სახელის ხსენებას და სადაც ხელი მიუწვდება, შლის არა მარტო ძველი ღმერთების სახელებს, არამედ სიტყვა „ღმერთებს", რადგან მთელი ეგვიპტე ახალ და ერთადერთ მზის ღვთაებას – ატონს – უნდა ეთაყვანებოდეს. საკმაოდ შთამბეჭდავი იკონოგრაფიით – ესაა მზის დისკო, რომლის სხივები ადამიანის გაწვდილი ხელებით მთავრდება. ატონი უხილავი, ნათელი სხივი იყო, რომელიც დედამიწას ეფინებოდა. ერეტიკოსმა ფარაონმა უარყო მიცვალებულთა გაპატიოსნების ძველი ტრადიციები. ბალზამირებასა და მუმიფიცირებას აღარავინ იყენებდა. კავშირი იმიერ სამყაროსთან გაწყდა. ყველაფერი მონოთეიზმის ამ პირველი წინასწარმეტყველის განსაკუთრებულობასა და უჩვეულობაზე მეტყველებს. „ისტორიაში ამ მოულოდნელობებით აღსავსე კაცმა" (ჟ. ასმანი) ატონისათვის სილამაზის მემორიალი ააგებინა. მისი სახელით შემორჩენილ ატონის საგალობელში ნათქვამია: „შენი სხივები სწვდება მთელ ქვეყანას... შენ მილიონობით ცვლილების მიზეზი ხარ და ერთი ხარ". აქამდე უცნობი რელიგიური ძალა სიმღერით ადასტურებს, რომ მსოფლიოს ისტორიაში უძველესი და უნივერსალური ღმერთის მორჩილება აქედან იწყება. ატონის მზის საგალობელი ძალიან ჰგავს 103-ე ფსალმუნს, რომელიც ძველ აღთქმაში ულამაზესი ჰიმნია.

ამ არაჩვეულებრივი ადამიანის მეფობის დროს მომხდარი რეფორმების შედეგები დღეს ყველაზე ნათლად ჩანს იმდროინდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ეხნატონმა ერთბაშად დაამსხვრია საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ეგვიპტური ხელოვნების კანონები, რომლებიც განსაკუთრებული სიზუსტით უნდა დაცულიყო ფარაონის გამოსახულებებში, რადგან მათს ძირითად დანიშნულებას ფარაონის ღვთაებრიობის ხაზგასმა წარმოადგენდა. ამიტომ ეგვიპტურ ფერწერასა და სკულპტურაში ეხნატონის გამოსახულებები სტერეოტიპულია – მათი სხეული ყოველთვის იდეალურად პროპორციული და ახალგაზრდაა, სახის ნაკვთები – სტილიზებული, ამის გამო ეგვიპტის ფარაონთა გრძელ რიგში გამორჩეულია. ეხნატონის ფიზიკური დეფექტები თვალში საცემი იყო. მას ჰქონდა საკმაოდ სუსტი, წინ წამოწეული ნიკაპი, გრძელი კისერი და ღრმა თვალები. უპრეცედენტოდ ითვლება ფარაონის გაადამიანება ამარნის პერიოდის ფერწერაში, სადაც ეხნატონი გამოსახულია თავის მეუღლესა და ქალიშვილებთან ერთად. ამ გამოსახულებებში საოცარი ექსპრესიითაა გადმოცემული ისეთი ადამიანური ემოციები, როგორებიცაა სიხარული, სიყვარული, სევდა გარდაცვლილ ქალიშვილზე და სხვ. ფარაონის ამგვარი გრძნობებით დაჯილდოება ეგვიპტეში აქამდე წარმოუდგენელი იყო. რელიეფებზე ეხნატონს სხეულის დეტალები გროტესკულად აქვს წაგრძელებული, ქუთუთოები – დამძიმებული. მის ქანდაკებებს, რომლებიც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს 1920-იან წლებში კარნაკში, მკერდი თითქმის ქალური აქვს, გენიტალური ზონა კი – დიფუზიური. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ფარაონს ჰორმონების დარღვევა ჰქონდა. მკვლევარი ი. ველიკოვსკი თვლის,

რომ მას „ჰომოსექსუალური მისწრაფებები ახასიათებდა. მას უნდა ჰყოლოდა ცხრა ქალიშვილი. არსებობს მინიშნებები, რომ მას სექსუალური კავშირი ჰქონდა არა მარტო უფროს ქალიშვილთან, მერიტატონთან, არამედ ვაჟიშვილთან – სმენხკარასთანაც".

საზოგადოდ, ეხნატონს ნეფერტიტთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. ამარნაში ნაპოვნია გამოსახულება, თუ როგორ მიჰქრის იგი მეუღლესთან ერთად მსუბუქ ეტლზე ამხედრებული მზიური ატონის ზეციურ სხივებქვეშ, თუმცა იგი უკვალოდ ქრება ეხნატონის მმართველობის XIII წელს. რასაკვირველია, ეხნატონზე გარკვეული გავლენა ჰქონდათ იმ ადამიანებს, რომლებიც მას ირგვლივ ეხვია. ყველაზე მეტად მათ შორის გამოირჩევა დედამისი ტიი, ამონხეტეპ III-ის მეუღლე, რომელიც უბრალო წრიდან იყო გამოსული.

ეხნატონის რელიგიური რეფორმა ეგვიპტის ცხოვრების ყველა მხარეზე აღიბეჭდა. თავის წარწერებში ეხნატონი საკუთარ თავს ყველგან უწოდებს „სიმართლით მცხოვრებს", ხოლო ატონს – „ჭეშმარიტების მბრძანებელს". ახალი სარწმუნოების კულტსა და რიტუალში, ცხადია, იყო ფარაონის მიერ ატონისადმი ჭეშმარიტების ბოძების ცერემონია. ამ წეს-ჩვეულების თანახმად, ფარაონი შეჰფიცებდა ჭეშმარიტი სარწმუნოების სამარადისო აღსარებას ღმერთს და ამისათვის ისევ მისი ხელიდან იღებდა თავის სამეფო გვირგვინსა და ხელისუფლებას. რელიგიური რეფორმის შედეგად ყველაზე დიდი ზარალი თებეს ამონის ქურუმთა წრემ განიცადა. მათ დაკარგეს პრივილეგიები და გავლენა, რადგან ეხნატონის მიერ ყველა ღვთაების თაყვანისცემა, გარდა ატონისა, აკრძალული იყო. ახალი დედაქალაქი ახეტატონი უჩვეულო დაგეგმარებით გამოირჩეოდა. აქ უფრო თავისუფლად შეიძლებოდა სამეფო ოჯახის ცხოვრებისთვის თვალის დევნება; ქალაქს სამი მხრიდან გარს ერტყა კლდე. მასში აგებული იყო ატონის ტაძრები და სხვა შენობები.

ეხნატონის დროს მდაბიო წარმოშობის პირები აღზევდნენ და მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე დაინიშნენ. იგი ამითაც ცდილობდა თებეს ქურუმობის დასუსტებას. ეხნატონს სურდა, მზის ღმერთის კულტი გაეხადა მეტად სადა, მარტივი და ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი. ატონს, როგორც სიცოცხლის მომნიჭებელს, იგი ქებას ასხამდა. ამასთან, ხაზს უსვამდა, რომ მზის ღმერთი არის ყველაზე უზენაესი ღვთაება.

ატონის კულტის მიმდევართა ენთუზიაზმი უკიდურესი ფორმით გამოხატავდა იმ მიდრეკილებას ღვთისმოშიშობისადმი, რომელიც კულტის დაარსებამდე სულ რამდენიმე ხნით ადრე წარმოიშვა. ჯ. იოიოტის შენიშვნით, „აზრს თუ თეოლოგიური მიმართებით განვავითარებთ, მაშინ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ატონისეული მისტიკა გარკვეულ ასპექტში წარმოადგენს ღვთიური იდუმალების, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მატერიალისტურ" უარყოფას".

ძველ ეგვიპტეზე დაწერილი ურიცხვი შრომის თითქმის მეოთხედი ამარნის სანმოკლე ჰერიოდისადმი არის მიძღვნილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ითვლება, რომ ეხნატონის რეფორმის ძირითადი მიზეზები არ არის გარკვეული, თუმცა ხშირად შევხვდებით აზრს, რომ ეხნატონი პირველი პიროვნებაა კაცობრიობის ისტორიაში. ფარაონის გარდაცვალების შემდეგ ძველმა არისტოკრატიამ ყველაფერი ისევ ძველ რელსებზე გადაიყვანა და ამიერიდან ფარაონის სახელი იდევნებოდა ისევე, როგორც ადრე თვით ეხნატონი დევნიდა ეგვიპტის ღმერთებს. ეს შემოტრიალება საკმაოდ ადვილად განხორციელდა, რადგან ეხნატონი, როგორც ჩანს, არ სარგებლობდა პოპულარობით არც ეგვიპტის უბრალო მოსახლეობაში იმიტომ, რომ ტრადიციული ეგვიპტელის თვალში ძველი ღმერთების შეურაცხმყოფელის როლში გამოდიოდა. ეხნატონის ინერტულობამ საგარეო პოლიტიკის სრული კრახი გამოიწვია, რის შედეგადაც მან უმნიშვნელოვანესი ქალაქები დაკარგა. მითანის სამეფო ამაოდ ელოდა ეგვიპტისგან დახმარებას ხეთების სამეფოს წინააღმდეგ. ეხნატონის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ერთმანეთს ცვლის მისი ორი სიძე – სმენხკარა და ტუტანხამონი.

ორივე ახალგაზრდა გარდაიცვალა. ტუტანხამონის გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლე ანხსენპაატონი, რომელიც ეგვიპტის ტახტის უკანასკნელი კანონიერი მემკვიდრე იყო, შეეცადა ვითარების გამოსწორებას ხეთების მეფის, სუფილულიუმის, ვაჟ სანსანაზე ქორწინებით, მაგრამ ეს უკანასკნელი დაიღუპა ეგვიპტეში მგზავრობის დროს. ამის მერე ანხსენპაატონი დაქორწინდა ხანდაზმულ ვეზირ ეიეზე, რომელიც ატარებდა ტიტულს – „ღმერთის მამა", რის გამოც, ზოგი მეცნიერის აზრით, ეხნატონის სიმამრად არის მიჩნეული. იგი მალე გარდაიცვალა, ანხსენპაატონის შემდგომი ბედი კი უცნობია. ამგვარი კრიზისით სრულდება სახელოვანი XVIII დინასტია. შექმნილ რთულ ვითარებაში ტახტის უხურპირებას ახდენს სამხედრო წრის წარმომადგენელი ხორემხები (ძვ. წ. 1339-1304). იგი ასპარეზზე ჯერ კიდევ ამონხეტეპ III-ის დროს გამოვიდა. გამეფებისთანავე მან მიწასთან გაასწორა ახეტატონი, დაანგრია კარნაკში ეხნატონის მიერ აგებული ატონის ტაძარი და მისი ქვის ბლოკები გამოიყენა ამონის ბრწყინვალე ტაძრის სამი ახალი პილონის ასაგებად. ამით ხორემხებმა საბოლოოდ მოსპო ქვეყანაში ეხნატონის ღმერთის სახსენებელი. ერთ-ერთ სტელაზე უწერია, რომ „ქვეყანამ ავადმყოფობა გადაიტანა". ასე დაიწყო ეგვიპტის კიდევ ერთი უძლიერესი XIX დინასტიის ხანა. ხორემხების შემდგომი ფარაონები – რამზეს I, სეტი I, რამზეს II – ამონის კულტის გაძლიერებას თავგამოდებით ემსახურებოდნენ.

მაგია, რიტუალი, ჰერმეტიზმი

ეგვიპტე უძველესი დროიდან მისტერიული ცოდნისა და მაგიური ხელოვნების ქვეყნად ითვლებოდა. მითიური ატლანტიდის (პირველად მასზე მოგვითხრო პლატონმა დიალოგში – „კრიტია") არსებობაში დარწმუნებულ მაძიებლებს მიანნიათ, რომ ატლანტიდიდან კატასტროფას გადარჩენილნი სწორედ ეგვიპტის ტერიტორიაზე გადმოვიდნენ და აქ განაგრძეს არსებობა. ბერძენი ფილოსოფოსებისთვისაც ეგვიპტე დაფარული სიბრძნის სავანე იყო. ელინისტურ ხანაში შექმნილ წიგნში – „სამგზის ჰერმესი" („ჰერმეს ტრისმეგისტოს") – ეკითხულობთ:

„არ იცი, ო ასკლეპიოს, რომ ეგვიპტე არის ხატი ცისა და გამოხატულება ციერ საგანთა სიმწყობრისა აქ, ქვეყნით? ამიტომაც საჭიროა, რომ შენ იცოდე: მოვა დრო, როცა მოეწყენებათ, რომ ეგვიპტელები ტყუილ-უბრალოდ ჭვრეტდნენ ღმერთების კულტს ასეთი ღვთისმოსავობით და მთელი მათი ღაღადისი იყო ბერწი და მიუდწეველი. ღვთაებრიობა დატოვებს მიწას და ამაღლდება ცაში, მიატოვებს ეგვიპტეს, მის ძველ საცხოვრებელს და დატოვებს იქ დაქვრივებულ რელიგიას, ღმერთებისაგან დაცლილს... და ეს მიწა გაწმინდანებული ამდენი სამლოცველოთი და ტაძრით იქნება დაფარული საფლავებითა და მკვდრებით. ო, ეგვიპტე, ეგვიპტე! შენი რელიგიიდან დარჩება მხოლოდ ვრცელი მოთხრობა, რომელსაც მომავალი აღარ დაუჯერებს და შენი სიტყვები, ამოკვეთილი ქვაზე და მომთხრობი შენი ღაღადისისა".

კლიმენტი ალექსანდრიელის (160-215) მიხედვით, ეგვიპტელებს ჰქონდათ 42 საიდუმლო სიბრძნის წიგნი, დაწერილი ჰერმესის (თოთის) მიერ, რომლებიც ინახებოდა სხვადასხვა ტაძარში. ისინი შეიცავდნენ ჰიმნებს, რიტუალებს, ასტროლოგიურ, კოსმოლოგიურ, გეოგრაფიულ და სამედიცინო პარაგრაფებს.

„ჰერმეს ტრისმეგისტოსი" ეგვიპტური ღმერთების სახელებს ცვლის ბერძნულით. აქ წიგნში ეგვიპტური ღვთაება თოთი უფიყდება ბერძნულ ღვთაება ჰერმესს. ეს წიგნი ელინისტური სამყაროს ნაყოფია, მაგრამ მაინც შეიცავს უძველესი რელიგიური წარმოდგენებისა და ტრადიციების ნაკვალევს. აქვეა მოცემული ეგვიპტური

მისტერიებისა და ხელდასხმის შესახებ ინფორმაცია, რაც ეგვიპტური რელიგიის მაგიურობას გვიცხადებს. ჯერ კიდევ მონოთეიზმზე დაწერილი ქვეთავი გვამცნობდა, რომ ეგვიპტის ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე ძლიერი იყო მონოთეისტური ტენდენციები, ღვთაებათა ანთროპომორფული თუ ზოომორფული ხატებიდან ტრანსცენდენტურ საფეხურამდე ამაღლების ცდები, ღვთაების არსის შეცნობისკენ სწრაფვა. ადამიანი, რომელიც ამ შემეცნების საიდუმლოში განდობის სურვილს გამოხატავდა, საგანგებო შესწავლის ობიექტი ხდებოდა. გამოცდის მერე იგი მიჰყავდათ ტაძართან, სადაც იზიდას (ისისი) ქანდაკება იდგა, დახურული წიგნით ხელში, მის ქვევით კი ჩანდა წარწერა: „ჯერ არც ერთ მოკვდავს არ გადაუწევია ჩემი საბურველი" (დაფარული ჭეშმარიტების სიმბოლო).

ტაძრის შესასვლელთან მისტერიაში განდობის მსურველს აფრთხილებდნენ იმ გზის სირთულეზე, რომელიც მას წინ ედო. ტაძრის ეზოში შესვლისთანავე ამ ადამიანის ზურგს უკან იკეტებოდა კარი და იწყებოდა ხანგრძლივი სულიერი მოგზაურობა მიზნისკენ. შვიდი დღის განმავლობაში იგი მდუმარებით ასრულებდა ყველანაირ სამუშაოს, რასაც ავალებდნენ ქურუმები. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ის მიჰყავდათ საკურთხევლის კართან, რომლის მიღმაც მოწაფე ბნელი ტალანის გავლით მიადგებოდა ღრმა ჭას, რომელშიც კიბე ეშვებოდა. მოწაფე კიბეს ჩაუყვებოდა, მაგრამ კიბე მთავრდებოდა, ჭას კი ბოლო არ უჩანდა. ყველანაირი პირობა იქმნებოდა სასოწარკვეთილებისთვის, მაგრამ მისი დაკვირვებული თვალისთვის არ უნდა ყოფილიყო შეუმჩნეველი იქვე, კედელში, არსებული შეღრმავება, საიდანაც ზევით მიემართებოდა სპირალური კიბე. მასზე ასვლის შემდეგ ეს ადამიანი აღმოჩნდებოდა ფრესკებით შემკულ დარბაზში. მას აქ ქურუმი ელოდა, რომელიც ფრესკებზე გამოსახულ სიმბოლოთა მნიშვნელობას უხსნიდა. ამ განმარტებას მოსდევდა ცეცხლით გამოცდა, მერე კი — წყლით (მოწაფე წყლით სავსე ბნელ სივრცეს გადალახავდა). შემდეგ უნდა დაეძლია მომხიბვლელი ქალისგან მოგვრილი ვნება. თუ ამ უკანასკნელს ვერ დათრგუნავდა, იგი აღიქმებოდა, როგორც მატერიის ტყვე და შემდგომი წინსვლისთვის გზა ეკეტებოდა. ამ ცდუნებას თუ გადალახავდა, მას თეთრ სამოსში გამოწყობილი ტაძრის თორმეტი მსახური ხვდებოდა, მიჰყავდათ ისისის ქანდაკებასთან და მორჩილების ფიცს ადებინებდნენ. ამიერიდან იწყებოდა მისი განსწავლა სხვადასხვა მეცნიერებაში, რათა უკეთ შეეცნო მატერიალური სამყარო. ამგვარად გადიოდა წლები. ბოლოს დგებოდა წამი, ქურუმები მოწაფეს აკლდამაში მიაცილებდნენ, სადაც ცარიელი სარკოფაგი იდგა. ახლა უნდა გაევლო სიკვდილით გამოცდა. სარკოფაგში ჩააწყენდნენ და მარტო ტოვებდნენ სიბნელეში. მას ეუფლებოდა ძილი და ექსტაზი, ჰქონდა გარკვეული ბუნდოვანი ცნობიერება ან ხილვებიც. ზოგი მოწაფე ამას ვერ უძლებდა და მართლა კვდებოდა. ვინც გაუძლებდა და გამოფხიზლდებოდა, როგორც მიღმა სამყაროდან მობრუნებული, ქურუმების შეკითხვებს პასუხობდა, თუ რა ნახა მან ოსირისის სამეფოში. სულ ბოლოს იგი ტაძრის ყველაზე მაღალ საფეხურზე აჰყავდათ, სადაც მთავარი ქურუმი უხსნიდა სამყაროს არსის საიდუმლოს, სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთმიმართების კანონებს, ღმერთის არსებასა და მის გამოვლენას. ეს იყო ე. წ. „თოთის ხილვა", რომელიც არსად არ იყო ჩაწერილი, იგი ზეპირად გადაეცემოდა ტაძრის ერთი მთავარი ქურუმიდან მეორეს. ეს ვრცელი რიტუალი, ბუნებრივია, საგანგებო არქიტექტურულ სივრცეებს მოითხოვდა. „ჰერმეს ტრისმეგისტოსის" ტექსტიდან გამომდინარე, ზოგი ამ რიტუალის ჩატარების ადგილად პირამიდების შიდა, დახლართულ, ლაბირინთის მსგავს ადგილს მიიჩნევდა.

ჰერმეტიზმით დაინტერესება შეიმჩნევა რენესანსის ეპოქის დასავლეთ ევროპაში. აღორძინების ხანის ცნობილი ფილოსოფოსი მარსილიო ფიჩინო (1433-1499) მითიური ჰერმესის მემკვიდრედ მიიჩნევდა ანტიკური ფილოსოფიის უდიდეს წარმომადგენელს — პლატონს, თავად ჰერმესი კი ეგვიპტელი ეგონა. ამავე ავტორმა თარგმნა ე. წ. „ჰერმეტიკული კორპუსი" (ხელნაწერი კოზიმო მედიჩის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა).

ფიჩინოს კაცობრიობის ფილოსოფიური განვითარების გზა წარმოედგინა, როგორც ჰერმესიდან პლატონზე და აქედან ქრისტეს გამოცხადებაზე გადასვლა. მანვე ფილოსოფია და მაგია მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რენესანსის მოღვაწეები მაგიად მეცნიერების პრაქტიკულ ნაწილს სახელდებდნენ. საზოგადოდ, ფიჩინომ პლატონის ნააზრევის კვალი ერთიანად დაინახა ბიბლიაშიც, ორფიზმშიც, „ჰერმეს ტრისმეგისტოსშიც".

თავისი ძირებით ალქიმია უკავშირდება ძველ ეგვიპტეს (ეს ტერმინი არაბულია: ალ-ქიმია, მაგრამ ძირით უნდა უკავშირდებოდეს სიტყვას კემეტ – ეგვიპტე). ალქიმიკოსების უმთავრესი ამოცანა იყო წარმოსახვითი ნივთიერების –„ფილოსოფიური ქვის" მეშვეობით არაკეთილშობილი ლითონების კეთილშობილ ლითონებად გარდაქმნა (ტრანსმუტაცია) და „სიცოცხლის ელექსირის" მიღება, რომელსაც თითქოს შეეძლო ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება. ალქიმიკოსები უშედეგოდ ეძებდნენ „ფილოსოფიურ ქვას". ჰერმეტიკული ძეგლების გარდა, ალქიმიაც თავისი განვითარების აპოთეოსს აღწევს რენესანსის ხანაში. მას ბევრი ცნობილი მოაზროვნე მიმართავდა. საბოლოოდ, ალქიმიასა და ალქიმიკოსებს სახელი გაუტეხავთ, მათი ცდები აბსურდულად იქნა მიჩნეული. ეს სულისკვეთება კარგად აისახა ცნობილი არგენტინელი მწერლის, ხოსე ლუის ბორხესის, მოთხრობაში – „პარაცელსის ვარდი". ნაწარმოებში ალქიმიკოს პარაცელსს მოწაფე სთხოვს, ვარდი დაწვას და ფერფლიდან კვლავ აღადგინოს. პარაცელსი ცდილობს, საუბარი სხვა მხრივ წარმართოს. ბოლოს იგი აღიარებს, რომ ამის გაკეთება არ შეუძლია და მოწაფეც დაცინვით ტოვებს მას.

ეგვიპტური მაგიის ცნობილი ასპექტი გახლდათ ავგაროსების (ამულეტების) გამოყენება პრაქტიკულ საკითხებში. ეგვიპტური ავგაროსები ცნობილია როგორც ეგვიპტის მიწა-წყლიდან, აგრეთვე ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნიდან და ანტიკური სამყაროდან. ოქსფორდის უნივერსიტეტის ორიენტალური ინსტიტუტის ეგვიპტოლოგი ჯერალდ ფინჩი თავის მონოგრაფიაში – „მაგია ძველ ეგვიპტეში" – გვაწვდის ცნობას, რომ ერთ-ერთი ძველეგვიპტური კატალოგი ავგაროსებს 275 მთავარ ტიპად ჰყოფს. ეგვიპტის ელიტარული წრის წარმომადგენელთა საფლავებში აღმოჩენილია ავგაროსები, რომლებიც საგანგებოდ სამგლოვიარო დანიშნულების იყო. ზოგი ავგაროსის მნიშვნელობა განმარტებულია „სარკოფაგების ტექსტებიდან" და „მკვდართა წიგნიდან".

ძველეგვიპტური ავგაროზებიდან უნდა აღინიშნოს პატარა ხოჭო, რომელიც ან ფირფიტაზე გამოისახებოდა, ან ქვისგან საგანგებოდ მზადდებოდა მისი მომცრო ფიგურა. ეგვიპტელები მიცვალებულისთვის აკეთებდნენ თიხისგან დამზადებულ ხოჭოს ფიგურას, რომლის ბრტყელ მხარეს ამოტვიფრული იყო ციტატები „მკვდართა წიგნის" 30-ე ოავიდან. ამ საკრალური წიგნის ეს ადგილები ადამიანს მოუწოდებდა, ცუდი არაფერი ეთქვა მიცვალებულისა და საიქიო სამსჯავროს შესახებ.

ეგვიპტელებს წმინდა მცენარეებად მიაჩნდათ პაპირუსი და ლოტოსი. ლოტოსი, რომელიც ნილოსის ნაპირთან იზრდებოდა და წყლის ზედაპირზე ტივტივებდა, აღიქმებოდა სასწაულებრივ ღმერთთაგან ბოძებულ საჩუქრად. ამ „საჩუქარს" ეგვიპტელი ქურუმები განმარტავდნენ, როგორც კოსმიური სიცოცხლის წყაროს, საზოგადოდ, სიცოცხლისა და აღორძინების სიმბოლოს. იმავდროულად, ლოტოსი განასახიერებდა ადამიანის სულიერ ზრდასა და მის უნარს – ღვთაებრივი სრულყოფისათვის მიეღწია. ეგვიპტელები, საერთოდ, მიიჩნევდნენ, რომ მათი ღმერთები „პირველადი ლოტოსისგან" იშვნენ ისევე, როგორც მზე დაიბადა პირველადი ქაოსიდან. აქვე უნდა ითქვას, რომ ცისფერი წყლის შროშანი უფრო მეტი მოწიწებით იყო გარეცმოცული, ვიდრე – ვარდისფერი და თეთრი, რადგან სწორედ ცისფერი ლოტოსი განასახიერებდა თავმდაბლობასა და სიწმინდეს, ხოლო, ამასთან ერთად, ეგვიპტის დედა მდინარის – ნილოსის სიმბოლოც იყო. ლოტოსებისგან დაწნული გვირგვინი

მკვდრეთით აღდგომაზე მიანიშნებდა და სამგლოვიარო ცერემონიალის დროს ლოტოსის გვირგვინის ტრადიცია სწორედ ეგვიპტელებისაგან გავრცელდა ძველ საბერძნეთში. ეგვიპტელებში ღვთაებრივ საბურველში იყო გახვეული ასევე მდინარე ნილოსი – ქვეყნის მთავარი სასიცოცხლო ძალა. მას მფარველობდა ღვთაება ჰაპი. ჰიმნებში არაერთგან მოიხსენიება ნილოსი, როგორც დიდების ობიექტი: „დიდება, ჰაპი, დიდება შენდა! შენ ამ მიწაზე მოხვედი, ჰაპი, შენ მოგვევლინე, რომ განაცოცხლო, განაცხოველო ეგვიპტე ჩვენი". ჰაპის გარდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ეგვიპტური ღვთაებები იყვნენ გამარჯვების ღვთაება – მონთი, სამართლიანობის ღვთაება – მაატი, დედათა და მშობიარობის ღვთაება – თოერისი, რომელიც ქალის ტანითა და ნიანგის ზურგით გამოიხატებოდა, ხეპერი – კვლავ მზესთან დაკავშირებული ღვთაება, გამოსახული ხოჭოდ ან ხოჭოსთავიან ადამიანად.

ეგვიპტის რელიგიის გაცნობისას საინტერესო სურათს გვიხატავს ეგვიპტური კალენდარი, რომელიც რელიგიური მსოფლმხედველობის ანარეკლია. იგი ერთ-ერთი არქაული კალენდარია, რომელიც ცივილიზაციის გარიჟრაჟზე შეიქმნა და საკმაო სიზუსტით ხასიათდებოდა. მზისა და მთვარის კალენდართა შერწყმის შედეგად წარმოშობილი კალენდარი შედგებოდა 360 დღე-ღამისაგან და იყოფოდა სამ სეზონად. მოგვიანებით, ჩვენს ერამდე 4240 წლის წინ, 360-დღიანი ეგვიპტის კალენდარული წელიწადისათვის დაწესდა 5 დღის დამატება, თანაც, ეგვიპტური რელიგიის თანახმად, ამ 5 დღის დამატება მოკვდავი ადამიანის ნებით კი არ მომხდარა, „არამედ – „ღმერთების ნებით". მითიური გადმოცემით, „ღვთაება რას შეუნიშნავს, რომ დედამიწის ღვთაება გები და ზეცის ქალღმერთი ნუტი ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. რას უბრძანებია, ამიერიდან ნუტს წელიწადის ვერც ერთ თვეში ვერ შეძლებოდა შვილის ყოლა. მაშინ ამ უკანასკნელს სიბრძნის ღვთაება თოთისთვის უთხოვია დახმარება. თოთს მთვარის ქალღმერთთან კამათლით თამაშისას 360-დღიანი წელიწადის ყოველი დღის ერთი სამოცდამეთორმეტედი ნაწილი მოუგია მისთვის. ამ ნაწილთაგან 5 დღე შუქმნია და ეს დღეები წლის ბოლოს თვეებისგან გამოცალკევებულად დაუწესებია. ასე მოიგო ნუტმა 5 დღე და 5 შვილიც შეეძინა: ოსირისი, ჰორი (უფროსი), სეტი, ისიდა და ნეფტისი". უნდა ვივარაუდოთ, რომ ეგვიპტეში სწორედ ამ დროს გაჩნდა თვის ცნება და წელიწადიც დაიყო 12 თვედ. ამაზე ჰეროდოტეც მიანიშნებდა, როცა წერდა, რომ „ყველა ადამიანს შორის ეგვიპტელები პირველები არიან, რომელთაც აღმოაჩინეს წელიწადი და დაყვეს მისი დროები 12 ნაწილად... ეგვიპტელები წელიწადში 30-დღიან 12 თვეს ითვლიან და ამ რიცხვს ყოველწლიურად უმატებენ კიდევ 5 დღეს ისე, რომ დროთა ციკლი მათთან ყოველთვის ერთსა და იმავე დროს მოიცავს". ამრიგად, ეგვიპტური კალენდარი მოიცავდა 30 X 12 + 5 = 365 დღე-ღამეს.

ეგვიპტურ თვეებს თავდაპირველად არ ჰქონია სახელწოდებები, მოგვიანებით კი მათ თეოფორული სახელები ეწოდათ. როგორც აღვნიშნეთ, კალენდარულ წელიწადს ემატებოდა კიდევ ხუთი დღე, რომლებიც ეგვიპტის ღმერთებს ეძღვნებოდა. ეს სუთი დღე განსაცდელთა მომტანად მიაჩნდათ და მათგან თავდასაცავად საგანგებო ლოცვები ჰქონდათ შეთხზული.

ეგვიპტე, როგორც სიწმინდისა და სისუფთავის სამყარო, ანტიკურ ეპოქაში სამაგალითო ქვეყნად ითვლებოდა. ბერძნები აღფრთოვანებულნი იყვნენ ეგვიპტელთა საოცარი მიღწევებით. სხვაგვარად ფიქრობდნენ ებრაელები: მათი აზრით, ეგვიპტური პანთეონი წყვდიადის, ცრურწმენებისა და ჯადოქრობის სიმბოლოთა სამყაროს განსახიერება იყო. ეგვიპტის თვალსაჩინო გამოცდილებას გმობს ბიბლია, აღიქვამს მას, როგორც „ცთომილებებისა და სიცრუის ნიმუშს". ეს თემა წითელ ხაზად გასდევს ძველ აღთქმას. ებრაელები ზიზღითა და გაოცებით უყურებდნენ იეროგლიფების ქვეყანას, ვინაიდან ადამიანები თაყვანს სცემდნენ კერპებს. ცნობილია ის, რომ ეგვიპტელები შესანიშნავად ერკვეოდნენ მათემატიკაში, ასტრონომიასა და მედიცინაში.

ძველი აღთქმის სამყარო ეგვიპტეს დიდ ყურადღებას უთმობს. თავდაპირველად ეგვიპტე გვხვდება დაბადების წიგნის მე-11 თავში, სადაც მოცემულია ნოეს სამი ვაჟის მიერ წარმოშობილი ერების კლასიფიკაცია. აქ ეგვიპტელები მიჩნეულნი არიან ქამის შთამომავლებად. ებრაულ დედანში სახელის ორობითი ფორმა „მიცრაიმ" გულისხმობს ზემო და ქვემო ეგვიპტეს. ეგვიპტე ფიგურირებს აბრაამთან დაკავშირებულ ნარატივში, როდესაც იგი ქანაანში არსებულ შიმშილს განერიდება თავისი სახლეულით. იაკობის მეთერთმეტე ვაჟს, იოსებს, რომელსაც ძმები გაყიდიან, სწორედ ეგვიპტეში ჩაიყვანენ მიდიანელი ვაჭრები. ცნობილია, რომ დაბადების წიგნის ფინალური თავები მოგვითხრობს იოსების ეგვიპტეში აღზევებას, მასთან მოხუცი მამისა და ძმების საცხოვრებლად ჩასვლას, რომლებიც იქ, გოშენის მხარეში, დასახლდებიან. ნაკლებად აქცევენ ყურადღებას იმ ფაქტს, რომ დაბადების წიგნი ისე მთავრდება, ებრაელი ერი ჯერ ერად არაა ჩამოყალიბებული. ეს პროცესი სწორედ ეგვიპტეში განვითარდა. იოსების მიერ ეგვიპტის გამგებლობის შესაძლო ფაქტი დაახლ. ძვ. წ. 1650 წელს უნდა უკავშირდებოდეს. ეს მშფოთვარე პერიოდი „მეორე გარდამავალი ხანაა" (მე-13–მე-17 დინასტიები). დაბადების წიგნში გაკვრით არის ნახსენები ეგვიპტელების მუმიფიცირების, დაკრძალვის, დატირების ტრადიციები.

წინასწარმეტყველ მოსეს ცხოვრების ისტორია უკავშირდება უშუალოდ ეგვიპტის ფარაონის ოჯახს. მართალია, ჩვილ მოსეს სიკვდილი ელოდა, მაგრამ ღვთის განგებამ იგი ფარაონის სამეფო კარზე მიიყვანა, სადაც, მოციქულ სტეფანეს თქმით, „განისწავლა ეგვიპტელთა მთელი სიბრძნით". მალე იგი დაჩაგრული ებრაელი ერის მეთაური ხდება და მრავალი სასწაულებრივი ფაქტის თანხლებით საკუთარ ხალხს ეგვიპტელთა ტყვეობისგან დაიხსნის. უკანასკნელ ხანებში სიღრმისეულად შესწავლილი ეგვიპტური წყაროები ავლენს ამ მოვლენების ანარეკლს. ბიბლიაში ამ დროისთვის მოხსენიებული ეგვიპტური ქალაქები – ფითომი და რამსესი – უკავშირდება XIX დინასტიის ფარაონების – სეთი I-ისა და რამსეს II-ის – სახელებს. თუმცა ეს არაა საკმარისი არგუმენტი იმისთვის, რომ დავასკვნათ, თუ როდის გამოვიდნენ ებრაელები ეგვიპტიდან. ამ საკითხს არაერთი საგანგებო გამოკვლევა მიეძღვნა.

მეცნიერებაში დიდი ხანია წარმოებს კვლევა, არსებობდა თუ არა კავშირი მოსესა და მონოთეისტ ფარაონ ეხნატონს შორის, ხომ არ აკავშირებდა მათ ან ეპოქა, ან საერთო რელიგიური სწავლება (ორივე მონოთეიზმის მკაცრი დამცველი იყო ძველ მსოფლიოში). ჯერ კიდევ ამერიკელი ეგვიპტოლოგი ჯ. ბრესტედი, რომელიც 1884 წელს სადოქტორო ხარისხს იცავდა ბერლინში, ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ებრაელებმა როგორღაც გაიგეს მზის რელიგიის შესახებ. ამ აზრს ეთანხმებოდა გერმანელი ისტორიკოსი ედუარდ მაიერიც. ეს საკითხი კიდევ უფრო ხმამაღლა გააუღერა ზ. ფროიდმა 1937 წელს თავის წიგნში – „კაცი მოსე და მონოთეისტური რელიგია". მასში ის გამოთქვამს აზრს, რომ მოსე სინამდვილეში ატონის მღვდელი იყო ჰელიოპოლისიდან. ეხნატონის რელიგიური პროექტის ჩაეარდნის შემდეგ მოსე ებრაელი მონების ჯგუფმა აირჩია, რათა მას, ასე ვთქვათ,

გაეგრძელებინა ეს საქმე, ოღონდ, უფრო მცირე მასშტაბებით. ფროიდის აზრით, მოსე ეგვიპტელი იყო (მას ეჭვს აღუძრავდა სახელი მოსე, რომელიც ეგვიპტურია).

ბიბლია მკაცრია ეგვიპტური პაგანისტური კულტების მიმართ. ეს ტენდენცია წინასწარმეტყველთა წიგნებშიც აშკარაა. ესაია და ეზეკიელი მკაცრად ხატავენ ეგვიპტის მომავალს, რომელსაც სხვა ხალხებთან ერთად წილად უნდა ხვდეს განსაცდელი და დაღმასვლა (იერ. 44:30; ოსია 9:6; ესაია 19:1-16 და სხვ.).

ახალი აღთქმის წიგნებში ეგვიპტის თემა ისრაელის წარსულთან მიმართებაში წამოიჭრება და, ძირითადად, წარსულის მოვლენებს ეხება, ერთი გამონაკლისის გარდა. ეს არის მართალი იოსების, მარიამისა და ჩვილი იესოს ლტოლვა ეგვიპტეში (კაიროში დღესაც დაცულია ადგილი, სადაც წმინდა ოჯახი ცხოვრობდა). ამ ღირსშესანიშნავი რელიგიური ფაქტორის გამო ეგვიპტე პოზიტიურადაა აღქმული ესაიასთან: „იმ დღეს იქნება უფლის სამსხვერპლო ეგვიპტის ქვეყნის შუაგულში და უფლის სვეტი მის საზღვართან. იქნება ეს ცაბაოთ უფლის ნიშნად და სასწაულად ეგვიპტის ქვეყანაში, რადგან შეჰღაღადეს უფალს დამთრგუნველთა გამო და მოუვლენს უფალი მაცხოვარს და პატრონს და იხსნის მათ" (19:19-20).

იოანე ოქროპირის განმარტებით, ეგვიპტის სულიერი დიდების ბიბლიური წინასწარმეტყველებანი ახდა მას შემდეგ, რაც აქ დაირწა აკვანი ბერმონაზვნობისა. მართლაც, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ (იგი აქ იქადაგა მოციქულმა მარკოზმა) ეგვიპტეში თანდათან შეიმჩნევა სამონასტრო და განდეგილური ცხოვრების სწრაფი აღმავლობა. ეგვიპტეში მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი საეკლესიო ასკეტები, როგორებიც იყვნენ: ანტონი დიდი, მოსე ეთიოპიელი, მაკარი დიდი, პახუმი დიდი, იოანე სინელი და სხვები.

ეგვიპტეში უძველეს პერიოდში ჩამოყალიბებული ანონიმური ღმერთის იდეა (ntr), სავარაუდოდ, აღიქმებოდა, როგორც ის ერთადერთი სულიერი საწყისი, რომელიც ყველაფერში იყო და მრავალი სახით შეეძლო გამოვლინება. ამ სიტყვის დაკავშირება რომელიმე კონკრეტულ ღვთაებასთან ძნელდება. გამოთქმულია აზრი, რომ ntr გამოხატავდა რაღაც საერთოს, რომელიც ყველა ღმერთს გააჩნდა და ერთმანეთთან აკავშირებდა. დასაფიქრებელია ისიც, რომ ბიბლიის კოპტურ თარგმანში არ შევიდა „სულის" მნიშვნელობის მქონე არც ერთი ეგვიპტური სიტყვა (კა, ბა, ახ...) და ისინი ბერძნულმა psyche-მ შეცვალა, ხოლო ძველი და ახალი აღთქმის ღმერთს ეგვიპტელები ისევე ეძახდნენ ntr-ს, როგორც ადრე თავიანთ საიდუმლოებით მოცულ ღვთაებებს.

დღეს ეგვიპტის მოსახლეობის უმეტესობა არაბი ეროვნების სუნიტი მაჰმადიანია. ქვეყანაში საკმაოდ ძლიერია კოპტური ქრისტიანული ეკლესია (მონოფიზიტური მიმართულების). ქრისტიანი კოპტები საკმაოდ დიდი პრივილეგიებით სარგებლობენ. ალექსანდრიაში მდებარეობს აფრიკის მართლმადიდებელი ბერძნულენოვანი საპატრიარქო, რომელიც მთელი კონტინენტის მართლმადიდებელ ეკლესიას განაგებს. მისგან დამოუკიდებლობას ინარჩუნებს მხოლოდ სინის ნახევარკუნძულზე მდებარე წმინდა ეკატერინეს მართლმადიდებლური მონასტერი, რომელიც ძველი დროიდან ავტონომიური უფლებებით სარგებლობს.

შუმერული რელიგია

შუმერული რელიგია ერთ-ერთი უძველესია კაცობრიობის ისტორიაში. მისი შესწავლისას ჯერ უნდა გავეცნოთ შუმერების ეთნოსთან დაკავშირებულ პრობლემებს და იმ გარემოს, სადაც მათ შექმნეს თავიანთი კულტურა.

შუმერების სახელმწიფომ დასაბამი დაუდო მთელ შუამდინარულ ცივილიზაციას. მათ მიერ შექმნილი კულტურის მემკვიდრეები გახდნენ მესოპოტამიაში მოსული სემიტები – ბაბილონელები და ასურელები. შუამდინარული ცივილიზაცია თავისი მონუმენტურობითა და სისრულით მხოლოდ ეგვიპტურს შეიძლება შეეუდაროთ. ამერიკელი შუმეროლოგის, ს. კრამერის, სიტყვებით (რაც მეტისმეტი გადაჭარბება არ იქნება), ისტორია იწყება შუმერში. მართლაც, ბევრ რამეს დაედო აქ საფუძველი: აქ უნდა შექმნილიყო პირველად პიქტოგრაფიის საფუძველზე სილაბური დამწერლობა, საკაცობრიო მნიშვნელობის უდიდესი მონაპოვარი, აქ ჩაისახა ცოდნის ბევრი დარგი – მიწისმზომელობიდან დაწყებული ყარსკვლავთმრიცხველობით დამთავრებული, დამწერლობა, დროის დაყოფა სამოც ერთეულად და ზოდიაქური სისტემა, აქ გაჩნდა პირველად ირაციონალური რიცხვის იდეა და სხვა მათემატიკური ოპერაციების საჭიროება, აქ დაიწერა პირველი ლექსიკონები და გრამატიკული ცხრილები, პირველი ფარმაკოლოგიური რეცეპტები, გაიხსნა პირველი სკოლები და წიგნთსაცავები.

მცდარი აზრი, თითქოს შუმერები დამოუკიდებელ ეთნოსად არ არსებობდნენ, ერთხელ და სამუდამოდ გააბათილა ე. მაიერის შრომამ – „შუმერები და სემიტები ბაბილონში", რომელშიც ეს პრობლემა განხილული იყო არა ფილოლოგიური მეთოდით, არამედ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით. წერილობითი ძეგლები, რომელთა გამოაშკარავება და გაშიფვრა ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა, ნათელს ხდის შუმერული ელემენტის მნიშვნელობას სემიტების სულიერი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის.

შუმერები ცხოვრობდნენ და თავიანთი პირველი სამოსახლოები დააარსეს სამხრეთ შუამდინარეთში, მდინარეების – ევფრატისა და ტიგროსის – ქვემო დინებაში, თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე. აქ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია უძველესი კულტურები, რომელნიც განეკუთვნებიან ძვ. წ. IV ათასწლეულს და III ათასწლეულის დასაწყისს. ამ კულტურის შემქმნელი ხალხი თანდათან განიცდიდა აღმავლობას. სწორედ აქ იბადება კითხვა – რომელ ეთნიკურ გარემოს მიეკუთვნებოდნენ ამ კულტურათა შემქმნელი და მატარებელი ხალხები?! ეს საკითხი შუამდინარეთის ისტორიის ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება. ისტორიულ ხანაში აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლეობდა ძირითადად ორი მოდგმის ხალხი: ჩრდილოეთით – სემიტები, ხოლო სამხრეთით, დაახლოებით 33-ე პარალელიდან სპარსეთის ყურემდე – შუმერები. შუამდინარელი სემიტების ენა, ე. წ. აქადური (რომელსაც ჰქონდა ორი სალიტერატურო დიალექტი – ბაბილონური და ასურული), მიეკუთვნება დღეისათვის კარგად შესწავლილ სემიტურ ენათა ოჯახს, რომელშიც, თავის მხრივ, ერთიანდება ძველებრაული, არამეული, არაბული, ფინიკიური, უგარითული და სხვა დიდი თუ პატარა, როგორც ცოცხალი, ასევე მკვდარი ენა. ეთნიკურადაც შუამდინარეთის სემიტები ამ ენათა მატარებელი ხალხების გარემოს უნდა ეკუთვნოდნენ (თუმცა, ბიბლიის მიხედვით, ისინი ქამის შთამომავლობას ეკუთვნიან. აქ წმინდა წერილი უფრო გათვლილია ამ ხალხთა სულიერ პლასტზე, როგორც ქამიტური თვისებების მატარებელზე). მათი პირველი ტალღა ჩრდილოეთ შუამდინარეთში შემოვიდა დასავლეთიდან, კერძოდ კი – სირიის სტეპებიდან ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში. ადგილობრივ შუმერულ მოსახლეობას ისინი მშვიდობიანად შეერივნენ. კულტურის განვითარების მხრივ, შუმერებთან შედარებით, ისინი დაბალ საფეხურზე იდგნენ. სამაგიეროდ, მათ მალე შეითვისეს ადგილობრივი

მაღალი კულტურა, განსაკუთრებით – დამწერლობა, განავითარეს იგი და გადასცეს მემკვიდრეობად მომდევნო საუკუნეებს. ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში სემიტები უკვე აქტიურ ძალად ჩანან შუამდინარეთის ისტორიაში. ჩრდილოეთში აღმოცენებული მათი ცენტრის – ქალაქ აქადის – სახელის მიხედვით მთელი ეს ოლქი ამიერიდან იწოდებოდა აქადად, განსხვავებით შუმერისაგან, რომელიც სამხრეთ შუამდინარეთის სახელწოდებას წარმოადგენდა. ძვ. წ. XXIV ს-ში მათ მიაღწიეს კიდევაც მთელი შუამდინარეთის გაერთიანებას. ეს მოახერხეს სემიტებმა. მათს მოსელამდე კი აქ, როგორც ითქვა, შუმერები ცხოვრობდნენ, რომელნიც არ უნდა ყოფილიყვნენ ამ ადგილის თავდაპირველი მკვიდრნი. თვით შუმერებიც უნდა მოსულიყვნენ სხვა მხრიდან და მათ აქ სხვა ეთნოსი უნდა დახვედროდა. აქედან გამომდინარე, მეცნიერებაში დადგა პროტოშუმერული მოსახლეობის საკითხი.

მეცნიერების მიერ დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ძველი შუამდინარეთის ტოპონიმიკა – ადგილისა და მდინარეების სახელწოდებანი, არაა შუმერული. ასე, მაგალითად, მდინარე ტიგროსის ძველი სახელწოდებაა „იდიგნა“, ევფრატისა – „ბურანუნი“. ასევე, არაა შუმერული მრავალი უძველესი ქალაქის – ურის, ქიშის, ნიფურის, ადაბისა და სხვათა სახელწოდება. ყოველივე ეს იმის უტყუარი მოწმობაა, რომ შუმერები არ ყოფილან ამ ოლქის თავდაპირველი მკვიდრნი და რომ მათ აქ წინ უსწრებდა რომელიღაც სხვა ხალხი. ზოგიერთი მეცნიერი მათ პირობითად უწოდებს პროტოევფრატელებს. მათ შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, გარდა კულტურის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნისა. დადგენილია, რომ შუმერების მიერ ხშირად გამოყენებული სიტყვები, როგორებიცაა: სიფა – მწყემსი, ენგარ – მიწათმოქმედი, აფინ – გუთანი, სიმუგ – მჭედელი, ქი – მიწა და ზოგი სხვაც, სრულიადაც არაა შუმერული. რა თქმა უნდა, ისინი არც სემიტურ ენებს განეკუთვნება. ეს სიტყვები უნდა იყოს პროტოევფრატელების ენიდან, რომელიც შუმერულთან ჭიდილში დაამარცხა ამ უკანასკნელმა ისევე, როგორც ამ ენაზე მოსაუბრე ხალხი.

ამასთანავე, სავარაუდოდაა მიჩნეული შუმერების შუამდინარეთში მოსვლის თარიღად ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანები. არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება, რომ ისინი ადგილობრივ მოსახლეობაზე მაღლა იდგნენ კულტურის დონით. მათ ხომ მოსვლიდან არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ შექმნეს კაცობრიობის უდიდესი მიღწევა – დამწერლობა. მეცნიერებაში დღემდე გადაუჭრელია საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან მოვიდნენ შუმერები. ბ. პარენის თქმით, „ჯერჯერობით ვერავითარმა ახალმა ფაქტმა ვერ მოჰფინა ნათელი შუმერული საწყისის პრობლემას. არავინ იცის, საიდან მოვიდნენ შუმერები”. თუმცა არსებობს რამდენიმე მოსაზრება, რომელთაგან უკანასკნელი წამოაყენა ამერიკელმა შუმეროლოგმა – ს. კრამერმა. იგი თელის, რომ შუმერები სამხრეთიდან მოსულ ხალხად უნდა მივიჩნიოთ, რომლის დასასაბუთებლადაც ს. კრამერის მიერ მოხმობილია რამდენიმე არცთუ ისე უსაფუძვლო ფაქტი. შუმერთა პირველი სამოსახლოები გაჩნდა სამხრეთ შუამდინარეთში, კერძოდ, სპარსეთის ყურის სანაპიროებზე. ბოლო ათწლეულებში ქალაქ ერიდუს ნანგრევების ადგილზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაასაბუთა ეს ვარაუდი. შუმერულ მითებში ერიდუ იხსენიება შუმერის უძველეს ქალაქად, სადაც თითქოს „პირველად დაეშვა ციდან სამეფო ხელისუფლება”. ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მდინარე ჰინდის ხეობაში აღმოჩენილ კულტურაში ნაპოვნი დამწერლობის უძველესი ნიმუშები, რომლებიც ჯერ კიდევ არაა გაშიფრული, პარალელებს პოულობს შუამდინარეთის ტერიტორიაზე მოძიებულ პიქტოგრაფიული დამწერლობის ადრეულ ძეგლებთან. შესაძლოა, ეს ფაქტი მიუთითებდეს დამწერლობის ამ ნიმუშების შემქმნელი ხალხების ეთნიკურ ერთიანობაზე. მსგავსი მდგომარეობა გვაქვს შუმერული ენის მიმართაც. ერთ საუკუნეზე მეტია, რაც დაიწყო ამ ენის შესწავლა. დღეისათვის საკმაოდ დიდი მიღწევებია **მოპოვებული ამ უძველესი წერილობითი ძეგლებით დამოწმებული ურთულესი ენის კვლევაში.**

შეიძლება, საბოლოოდ შესწავლილად ჩაითვალოს შუმერული ენის შინაგანი სტრუქტურა, სინტაქსური წყობის საკითხები და მრავალი სხვა, მაგრამ დღემდე არ მოხერხდა მისი დაკავშირება მეტად თუ ნაკლებად შესწავლილ ენათა რომელიმე ოჯახთან. გენეტიკური კავშირის დადგენის მიზნით მეცნიერები წლების მანძილზე უდარებდნენ შუმერულ ენას თურქულ-ალთაურ, უნგრულ-ფინურ, ჩინურ-ტიბეტურ, სემიტურ, ინდოევროპულ და სხვა ენათა ოჯახებს. იყო ცდები შუმერული ენის დაკავშირებისა კავკასიურ ენებთან, მათ შორის – ქართულთან (ნ. მარი, მ. წერეთელი). მიუხედავად ქართულისა და შუმერულის გარკვეული სტრუქტურული ნათესაობისა (მსგავსი ლექსიკური და მორფოლოგიური აგებულება), ვერ იქნა გამოვლენილი ამ ორ ენას შორის გენეტიკური კავშირის მატერიალური საფუძველი, ე. ი. მათი ძირითადი ლექსიკური ფონდის სისტემატური მსგავსება. ამითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ შუმერული ენის სახელმძღვანელოში ჯერ კიდევ წერია „დგას განცალკევებით" (ი. დიაკონოვი).

შუმერების ღვაწლზე ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციის შესახებ ზემოთ მეტ-ნაკლებად ვისაუბრეთ. ბუნებრივია, ამ მაღალი კულტურის მატარებელ ხალხს ჰქონდა მდიდარი აზროვნების უნარი, რაც რელიგიურ ცნობიერებაზეც აღიბეჭდა. ძველი აღმოსავლეთის სხვა ხალხთა ფონზე შუმერების რელიგია ფრიად საინტერესო სურათს ქმნის თავისი თვითმყოფადობით. მათს რელიგიურ წარმოდგენებში აშკარაა კვალი ბიბლიური ჭეშმარიტების ზეპირი გადმოცემებისა. შუმერებთან არსებობდა წარღვნის ხსოვნა. ისინი ხუთ ქალაქს – ერიდუს, ბად-თიბირას, ლარაქს, სიფარს და შურუპაკს – წარღვნამდელ ცივილიზაციას აკუთვნებდნენ. ამ ქალაქებში მეფობა მშვიდობიანად გადადიოდა ერთიდან მეორეში, ვიდრე არ მოხდა წარღვნა, რომლის გამანადგურებელ ძალას გადაურჩა მხოლოდ ზიუსუდრა (აქადურად უთნაფიშთიმი). შუმერებთან არსებობდა ასევე ხსოვნა ერთიან კაცობრიობასა და ერთ ენაზე. ეპიკური ძეგლის – „ენერმაქარი და არათას ბატონის" – ერთი ეპიზოდი ისსენებს პერიოდს, როდესაც „მთელი სამყარო, მორჩილი ხალხი, ენლილს ერთ ენაზე ადიდებდა". რელიგიას იმდენად მნიშვნელოვანი როლი ეჭირა შუმერთა ცხოვრებაში, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი ელემენტი განმსჭვალული იყო რელიგიური ნიშნით. მართებულია ბ. პარენის შენიშვნა, რომლის თანახმად, „მესოპოტამიაში აზროვნება, განურჩევლად იმისა, შუმერული ენით იყო გამოხატული თუ სემიტურით, რელიგიურ ჩარჩოებში ვითარდებოდა და არასოდეს გამოყოფია ამ ფარგლებს" (შუმერების მსოფლმხედველობის თავისებურებებზე დაწერილებით იხ. ბ. პარენი, პრეფილოსოფიური აზროვნება მესოპოტამიაში, ჟ. „ახალი თარგმანები", 1992, 2. 154-176). ამ მოსაზრებას განამტკიცებს ასევე ს. კრამერის სიტყვები, რომლის მისედვით, „შუმერებმა ვერ შექმნეს ფილოსოფია ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით. მათ აზრადაც არ მოსვლიათ, ეჭვის ქვეშ დაეყენებინათ საგანთა ჭეშმარიტი ბუნება ან წარმოდგენა საგნებზე. ამიტომაც არ გააჩნდათ ფილოსოფიის ისეთი დარგი, როგორიცაა გნოსეოლოგია (შემეცნების თეორია)...".

შუმეროლოგია, როგორც აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვლევი უბანი, დაიბადა ევროპისა და ამერიკის წამყვანი არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად. თანამედროვე ეპოქაში შუმეროლოგიის შესწავლის მთავარი კერებია ჩიკაგო, პარიზი, მიუნხენი, ჰელსინკი და სანკტ-პეტერბურგი. აქ მოღვაწე შუმეროლოგების (ს. კრამერი, ი. დიაკონოვი, მ. ლამბერი, ბ. ლანდსბერგერი...) შრომები მოიცავს შუმერების ისტორიის, ენისა და რელიგიის ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღსანიშნავია ზ. კიკნაძის მონოგრაფიები და შუმერულ ენაზე არსებული რელიგიური ტექსტების თარგმანები ქართულ ენაზე.

შუმერების რელიგია, ძველი აღმოსავლეთის სხვა ხალხთა მსგავსად, პოლითეისტურია. მათი რწმენით, თვით ღვთაებათა რიგებში იყო მკვეთრი იერარქია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ თოხისა და აგურის ყალიბის ღმერთი ვერ შეედრებოდა მზის ღმერთს, ვერც კაშხლებისა თუ არხების ღმერთი გავიდოდა ერთ რანგში მთვარის ღვთაებასთან. ღვთაებები ანთროპომორფული არსებები იყვნენ, რომელნიც, უკვდავებით დაჯილდოებულნი, ურყევი კანონების შესაბამისად წარმართავდნენ სამყაროს. საკუთრივ ღმერთები, განსხვავებით ელინური ღმერთებისგან, ბედისწერას არ ემორჩილებოდნენ. ტერმინით „დინგირ" შუმერები სწორედ ღვთაებას მოიხსენიებდნენ. შუმერული რელიგიური წარმოდგენებით ღმერთები ისე, როგორც ღვთაებრივი საგნები, მომაკვდინებელი შუქით არიან მოსილნი, რომელსაც მელამი ეწოდებოდა. მელამი თავის გარშემო ქმნის გადაულახავ ზღვარს ღვთიურ და ადამიანურ სფეროებს შორის, რომლის დაძლევა ადამიანებს მხოლოდ ღმერთების დახმარებით ძალუძთ. მელამის გამოსახულება უნდა იყოს რქიანი ტიარა, რომელსაც ატარებენ შუამდინარულ ბარელიეფებზე გამოსახული ღმერთები. შუმერული რელიგიის თანახმად, ღვთაებაც შეიძლება გაქრეს, მაგრამ არ ქრება მისი მელამი.

შუმერულ რელიგიურ პანთეონში პირველ ადგილზე იყო ღმერთების უმაღლესი ტრიადა, რომელშიც ერთიანდებოდნენ: ცის ღმერთი ანუ", მიწის ღმერთი „ენლილ" და წყლის ღმერთი „ენქი".

უპირველესი ღვთაება „ანუ" წარმოადგენდა ცისა და სინათლის განსახიერებას. იგი იწოდებოდა „ღმერთების ღმერთად" და „მამად", რომლის უმაღლეს ფუნქციას შეადგენდა სამყაროში წესრიგის დაცვა. საინტერესოა ის გარემოება, რომ ღვთაება „ანუ", მიუხედავად ასეთი სიძლიერისა, არ სარგებლობდა შესაბამისი ავტორიტეტით. მორწმუნე შუმერელს იგი ყოველთვის წარმოდგენილი ჰყავდა ყოველდღიური მიწიერი ცხოვრებისგან ძალიან შორს, უმაღლეს, მესამე ცაში მჯდომ მკაცრ ღვთაებად, რომლის წინაშეც მუხლს იდრეკდნენ დიდი ღმერთებიც კი. მისი საგანმგებლო მიუწვდომელი იყო უბრალო შუმერელის წარმოდგენისათვის. ანუს მეუღლედ ითვლებოდა ქალღმერთი „ქი" („მიწა"), რომელიც ზოგჯერ იწოდებოდა, როგორც „ნინთუ" („სიცოცხლის მომცემი") ან „ნინხურსაგი" („მთების მეუფე"). შუმერულ ენაში სახელი „ანუ" აღნიშნავდა საკუთრივ ცას. ანუს აბსტრაქტულობაზე მეტყველებს ისიც, რომ იგი ნაკლებად იღებს მონაწილეობას მითიურ ამბებში. ანუ ანიჭებდა ამქვეყნიურ მეფეს სამეფო რეგალიებს – კვერთხს, ტახტს, გვირგვინსა და კომბალს. ანუ წარმოდგენილი იყო „დიდი ხარის" სახით, რომელიც ჰიეროგამიულ კავშირშია „ფურის" სახით გამოსახულ დედამიწასთან. მისი საკრალური რიცხვი გახლდათ 60, ხოლო მთავარი ტაძარი მდებარეობდა ურუქში.

საკმაოდ ადრეული ხანიდან მომდინარე წერილობითი ცნობების მონაცემებით ირკვევა, რომ უმაღლეს ტრიადაში ღვთაება ანის ადგილი დაიჭირა „ენლილმა". იგი ხშირად იწოდებოდა „ღმერთების მამად", „ცისა და დედამიწის მეუფედ", „ყველა ქვეყნის მბრძანებლად", რომელიც ნიშნავს ამქვეყნად მეფეებს, „აძლევს მათ სამეფო სახელსა და კვერთხს, უმზერს მოწყალე თვალით". თავდაპირველად „ენლილი" („მეუფე ჰაერისა") ჰაერის ღვთაებად ითვლებოდა და მხოლოდ შემდეგ, მოგვიანებით, შეიძინა მან მიწის ღვთაების ფუნქციები. მითებში იგი იწოდებოდა „ბედისწერის" გამრიგედაც. ანისაგან განსხვავებით, ენლილი ითვლებოდა კეთილ და ლმობიერ ღვთაებად, რომელსაც მიაწერდნენ ქალაქების, მცენარეთა სამყაროსა და, რაც მთავარია, სამიწათმოქმედო იარაღების – თოხისა და გუთნის – გამოგონებას. მითებსა და ჰიმნებში იგი ყოველთვის კეთილად იხსენიება. მხოლოდ ერთხელ უსაყვედურეს ენლილს შუმერებმა, როცა მან არ მოინდომა, შეეჩერებინა ქალაქ ურის დანგრევა. ენლილის მეუღლედ მიიჩნევდნენ ქალღმერთ ნინლილს („ქალბატონი ჰაერისა").

ენლილის კულტი დაკავშირებული იყო ქალაქ ნიფურთან, სადაც იდგა მისი მთავარი ტაძარი ექური („სახლი-მთა"). შუმერული კოსმოგონიური ნაწყვეტის თანახმად, ენლილმა გააშორიშორა ერთმანეთისაგან ცა და მიწა.

ზოგიერთ ძველ სახელმძღვანელოში გვხვდება აზრი, რომ ენლილი იყო მრისხანე ღვთაება. XX საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ გამოქვეყნებული ჰიმნებისა და მითების ანალიზის შედეგად ცხადი გახდა, რომ ენლილი ადამიანთა მიმართ კეთილგანწყობილი ღმერთი იყო, მამობრივად მზრუნველი კაცობრიობისა და, კერძოდ, შუმერის მოსახლეობის კეთილდღეობისთვის. ენლილისადმი მიძღვნილი ერთი მეტად მნიშვნელოვანი ჰიმნის აღდგენა მრავალი ფირფიტისა და ფრაგმენტის დახმარებით 1953 წელს მოხერხდა. მისი ტექსტიდან ნათელია, თუ რაოდენ უზენაესია ენლილი შუმერებისთვის. მოგვყავს ნაწყვეტი ამ ჰიმნიდან: „ენლილი, რომლის ბრძანებები სამყაროს კიდეებს სწვდება, რომლის სიტყვა წმინდაა, მბრძანებელი, რომლის განგება დაურღვეველია, რომლის განაჩენი მარადიულია, რომლის მზერა მთელ ქვეყნიერებას მოიცავს, რომლის ნათელი მთელი ქვეყნიერების გულში ატანს...".

მომდევნო ღვთაება ენქი ითვლებოდა ძველი შუამდინარეთის უძველეს ღვთაებად. როგორც ფიქრობენ, მისი სახელი მომდინარეობს ძველი შუამდინარეთის თავდაპირველი მკვიდრი მოსახლეობის, პირობითად წოდებული პროტოევფრატელების, ენიდან. ზოგიერთი მეცნიერი (ს. ლენგდენი) მიიჩნევს, რომ შუმერის ადგილობრივი სახელწოდებაც — ქიენქი ან ქიენგი („მიწა (ღვთაება) ენქისა") წარმომდგარი უნდა იყოს სწორედ ამ ღვთაების სახელისაგან. ისტორიულ ხანაში ენქი ითვლებოდა წყლისა და უფსკრულის (შუმერულად აბზუ) მეუფედ. იგი მიჩნეული იყო სიბრძნის მფარველ ღვთაებადაც, რომელსაც მიეწერებოდა ხელოსნობის, დამწერლობისა და ხელოვნების გამოგონება. ყველა ეს სიკეთე მან ხალხს გადასცა. ენქის მეუღლედ თვლიდნენ ქალღმერთ დამქინუს.

შუმერულ პანთეონში მეორე ადგილი ეჭირა ღმერთების მომდევნო ტრიადას, რომელიც პირველთან შედარებით არ იყო მაინცდამაინც გამორჩეული. ამ რიგში ერთიანდებოდნენ ასტრალური ღვთაებები, კერძოდ, მთვარის ღვთაება ნანა, მზის ღვთაება უთუ და ქალღმერთი ინანა. ამათგან პირველი — ნანა — წარმოადგენდა მწყემსთა მფარველ უძველეს ღვთაებას. იგი იყო შვილი ენლილისა და მამა — ღვთაება უთუსი. ეს უკანასკნელი მიაჩნდათ შუმერულ თემიდად — სამართლიანობისა და კანონმდებლობის გამრიგედ. ერთი ჰიმნი შემდეგნაირად მიმართავს უთუს: „უთუ, ბჭეო ქვეყნისავ, ვინც სამართლიან განაჩენს აჩენ!". თუ მზის ღვთაება უთუ მთვარის ღვთაება ნანას ძეა, მაშინ დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს პანთეონში. ღამეს უთუ თავისი დედის სახლში ათევს, საიდანაც კვლავ ამოდის დილით. ამიტომაც მზის ჩასვლას შუმერულ ენაზე გამოხატავდნენ ფიგურალურად: „უთუ — დედის სახლისკენ დაბრუნებული"; უთუ ამ დროს ისვენებს, იგი გათავისუფლებულია დღიური ტვირთისაგან (აღსანიშნავია, რომ „დედასთან დაბრუნება" — ამა-არ-გი შუმერულად „გათავისუფლებას" ნიშნავს).

ამ ტრიადის მესამე წარმომადგენელი ინანა იყო ამომავალი და ჩამავალი მზის განმასახიერებელი ღვთაება, ცხოველთა მეუფე და სიყვარულისა და სიტკბოების ქალღმერთიც. იგი ითვლებოდა შუმერების მთავარ დედა ღვთაებადაც — ნაყოფიერებისა და გამრავლების მფარველად. ეს ფუნქცია ადრე ეკუთვნოდა ღვთაება ანის მეუღლე ნინთუს, ანუ, როგორც იგი ზოგჯერ შუმერულ ღვთაებათა სიებში იწოდებოდა, ნინხურსაგს, მაგრამ როცა ამ უკანასკნელის ადგილი ინტიმურ ურთიერთობაში დაიჭირა ინანამ, დედა ღვთაების ფუნქციაც მასზე გადავიდა. საერთოდ, დედა ღვთაების კულტი ყველაზე უძველესი იყო შუამდინარეთში. იგი შუმერებმა შეითვისეს ადგილობრივი, დამხვდური მოსახლეობისაგან, რომლებმაც შექმნეს ნაყოფიერების ქალღმერთის კულტი და, სხვათა შორის, ამ ქალღმერთის თიხის პირველი ქანდაკებაც (ძვ. წ. IV ათასწლეულის I ნახევარი). ღვთაება ინანას უკავშირდებოდა

ცნობილი კულტი, რომელიც ქალაქ ურუქში სრულდებოდა. ამის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ იქნება ლაპარაკი.

შუმერულ პანთეონში, გარდა ამ ღვთაებებისა, გაერთიანებულნი იყვნენ სხვა ღმერთებიც. მათ შორის გამოირჩეოდნენ ენლილის შვილები — ნინურთა და ზაბაბა, რომლებიც ომისა და ნადირობის ღვთაებებს წარმოადგენდნენ. მათი ძმა ნინგირსუ მიწათმოქმედების მფარველ ღვთაებად ითვლებოდა.

ქალაქის მფარველი ღვთაების კულტის ადგილი იყო ცენტრალური ტაძარი. დროთა განმავლობაში ტაძარს შეაკეთებდნენ ხოლმე, ხელახლა აშენებდნენ, მაგრამ ადგილს არ უცვლიდნენ. ტაძარი ქალაქ-სახელმწიფოს ცენტრი იყო. შუმერში ტაძრებს ძირითადად მაღლობზე აგებდნენ ხშირი, დროდადრო კი კატასტროფული წყალდიდობისგან დასაცავად. ტაძარი იდგა ხელოვნურად შექმნილ ბაქანზე; ტაძრისკენ ორი მხრიდან მიემართებოდა კიბეები. საკურთხეველი, ჩვეულებრივ, სწორკუთხა, ზოგჯერ ოვალურიც, ბაქნის ნაპირთან იყო განლაგებული და შიდა ღია ეზო ჰქონდა. საკურთხეველის სიღრმეში იდგა კულტის ობიექტის ქანდაკება. ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისამდე ტაძრის ყველა ნაწილში შესვლა ნებადართული იყო, მაგრამ მოგვიანებით საკურთხეველსა და მის წინამდებარე ეზოში შესვლა მხოლოდ კულტის მსახურთ შეეძლოთ. ტაძრის დეკორის მთავარი და ერთადერთი ელემენტი იყო როგორც შიდა, ისე გარე კედლების დანაწევრება ვიწრო, სწორკუთხა ნიშნებით. მეტად თავისებური და არატიპურია ურუქში აღმოჩენილი ნაგებობა. ისევე, როგორც სხვა ტაძრების უმეტესობა შუმერში, ისიც ნანგრევების სახით არის მოღწეული. ნაგებობა წარმოადგენდა ვრცელ, დახურულ ეზოს, რომელსაც გარს ერტყა სვეტები და ნახევარსვეტები. ეზოს ერთ ბოლოში ამაღლებული მოედანი მდებარეობდა, რომელზეც გვერდითი კიბეებით ადიოდნენ. სვეტები და ნახევარსვეტები მოკაზმული იყო თეთრწითელი და შავი ფერის მოზაიკით. ამ შენობას განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა.

შუმერული წარმოდგენები საიქიოს შესახებ

ქრისტიანობა გვასწავლის, რომ ადამიანის ცოდვით დაცემამ დედამიწაზე სიკვდილი დანერგა. უძველესი ადამიანი უკვე განიცდიდა შიშს სიკვდილის ფენომენის წინაშე. წარმოდგენები სიცოცხლისა და სიკვდილის, იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ და დაკრძალვის რიტუალები რელიგიური ცხოვრებისა და მსოფლმხედველობის მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენდა. სიკვდილით წყდება კავშირი მატერიალურთან. ადამიანის ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები ჩერდება, მისი სული ემიჯნება სხეულს. ადამიანი ძველ შუმერში მუდმივად მიისწრაფოდა სიკვდილის საიდუმლოს ასახსნელად, შემეცნების პროცესში კი ცდილობდა უკვდავებისაკენ სწრაფვას, რათა გათავისუფლებულიყო აღსასრულის მარწუხებისაგან, თუმცა, შუმერების აზროვნება კარგად ხედავდა, რომ სიცოცხლის გახანგრძლივების შემთხვევაშიც სიკვდილი გარდაუვალი იყო და უკვდავება აუხდენელი ოცნებების სფეროს განეკუთვნებოდა. შემორჩენილია მიცვალებულთა დატირების შუმერული მწუხარე ელეგიები.

შუმერებს ღრმად სწამდათ, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა ღმერთებისგან მკაცრად არის განსაზღვრული და მისი უკვდავებაში გადაზრდა მიუღწეველია. სიკვდილისა და სიცოცხლის ასეთი გაგება კარგად არის გადმოცემული სხვადასხვა მითში. მაგალითად, ისტორიაში, რომელიც უკავშირდება ადაპას სახელს, ნაჩვენებია, თუ როგორ რჩება ადამიანი მოკვდავ არსებად. მართალია, ეს მითი შუმერულია, მაგრამ შემორჩა ბაბილონურ (აქადური ენის ერთ-ერთი დიალექტი)

ენაზე. ადაპა იყო ღმერთებისგან უკვდავებამინიჭებული არსება, ერთხელ ადაპა ზღვის ყურეში ნავით თევზაობდა. უცებ დაუბერა ქარმა და მისი ნავი ზღვის სიღრმეში ჩაიძირა. გაბრაზებულმა ადაპამ დაწყევლა ქარი და მას ფრთები შეალეწა. შვიდი დღე აღარ ქროდა სამხრეთის ქარი. ამით გაიგო ღვთაება ანუმ მომხდარი ამბის შესახებ და ადაპა დაიბარა თავის მკაცრ სამსჯავროში. გამგზავრების წინ ადაპა გააფრთხილეს, რომ არ ეჭამა ღვთაების მიერ შეთავაზებული საჭმელი, ანუმ კი მას უკვდავების მიმნიჭებელი საკვები მიართვა. იცოდა რა ამის შესახებ, ადაპამ ხელი არ ახლო მას, რითაც დაკარგა უკვდავების მოპოვების შესანიშნავი შემთხვევა.

სიკვდილის წინაშე ადამიანის ექსისტენციალური ძრწოლისა და უკვდავების ამაო მოპოვების შემთხვევა კარგად აისახა მითში გილგამეშის შესახებ. შუმერებთან გილგამეშის თაობაზე არსებობს ხუთი სხვადასხვა ძეგლი, ასევე, ბაბილონურ ენაზე შემორჩა ვრცელი პოემა, რომელშიც ნათლად აისახა შუმერების ამ სახელოვანი გმირის ამბავი. გილგამეში იყო ურუქის ამაყი მეფე, ნახევრად ღვთაებრივი წარმოშობისა. მის მეგობრად გვევლინება ქალღმერთ არურუს მიერ შექმნილი პიროვნება, სახელად ენქიდუ. ისინი ერთად ეწევიან საგმირო საქმეებს, მაგრამ ენქიდუ სნეულების შედეგად გარდაიცვლება. გილგამეშს სულის სიღრმემდე შეაძრწუნებს ეს ამბავი. აქედან დაიწყება მისი ტრაგედია. გილგამეში გაიჭრება ველად. იგი ერთი წუთითაც ვერ ისვენებს, აწუხებს ფიქრი: „მეც მოვკვდები, განა არ მოვკვდები ენქიდუს მსგავსად?" სიკვდილის შიშით შეძრწუნებულ გილგამეშს არ ამშვიდებს არც მისი საგმირო საქმეებით მოპოვებული დიდება. იგი ახლა გარემოცულია მხოლოდ ერთი გრძნობით – როგორმე უზრუნველყოს ფიზიკური უკვდავება, თორემ ყველაფერი ამაოებაა. გილგამეშმა იცოდა, რომ უკვდავებას ნაზიარები იყო წარღვნას გადარჩენილი კაცი – უთნაფიშთიმი (შუმერულად ზიუსუდრა). იგი მრავალი დაბრკოლების შემდეგ მოიძიებს მას და დაქანცულს ჩაეძინება. მხოლოდ ექვსი დღის შემდეგ გაეღვიძება გილგამეშს. იგი გრძნობს თავის ადამიანურ სისუსტეს და ეუბნება უთნაფიშთიმს: „სიკვდილი მიზის საძილე სახლში და საითაც გავიხედავ, ყველგან სიკვდილია". უთნაფიშთიმი ურჩევს მას, რომ დაბრუნდეს ურუქში და ხელი აიღოს უკვდავების ძებნაზე, რადგან იგი მიუწვდომელია მისთვის. დაღონებული გილგამეში გამობრუნდება უკან; ამ დროს უთნაფიშთიმის მეუღლე საიდუმლოს გაუმხელს მას, რომ შეიძლება მუდმივი სიცოცხლე მოიპოვოს, თუ იგი იშოვის უკვდავების ბალახს, რომელიც ზღვის ფსკერზე იზრდება. გილგამეში დიდი გაჭირვებით ჩაიგდებს ხელში ამ ბალახს და გახარებული გამოემართება ურუქისაკენ. თუმცა ერთხელ, როცა იგი საბანაოდ ჩავა წყალში, ნაპირზე დატოვებულ ბალახს გველი მოსტაცებს. ამით გაქრება უკვდავების მოპოვების უკანასკნელი იმედი. გილგამეში სასოწარკვეთილი ბრუნდება ურუქში.

განსაკუთრებით საინტერესოა გილგამეშის პიროვნება ენქიდუსთან დამეგობრებამდე და უკვე განსხვავებული – ენქიდუს სიკვდილის შემდეგ. ენქიდუ თავისი გამოჩენით აღვიძებს მასში ზნეობრივ, ხოლო თავისი სიკვდილით – მოაზროვნე პიროვნებას. სწორედ მეგობრის სიკვდილის შემდეგ დაფიქრდება გილგამეში სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ საიდუმლოზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, თუ რაოდენ შეუპოვარი იყო შუმერში უკვდავების მაძიებლობა. თუმცა ყველა ხვდებოდა, რომ სიკვდილი ადამიანის მიწიერი არსებობის გარდაუვალი ფინალი იყო. ამის გამო, ყველა სხვა რელიგიის მსგავსად, შუმერულ რელიგიაშიც იქმნებოდა რწმენა-წარმოდგენების მთელი სერია – დაკავშირებული სიკვდილის შემდგომ არსებულ ყოფიერებასთან. მიცვალებულისათვის აუცილებელი იყო ამქვეყნად მისი ხსოვნის დაცვა და სულის მოსახსენიებლად მემკვიდრის მიერ მსხვერპლის ხშირად შეწირვა. ეს შეხედულება კარგად აისახა ძველ შუმერში არსებულ დაკრძალვის წესშიც. მიცვალებულს მარხავდნენ მიწაში. მას საფლავში არაფერს ატანდნენ. მხოლოდ ურის I დინასტიის დროინდელ შედარებით

მდიდრულ სამარხებში გვხვდება შემთხვევები, როცა ჩაყოლებულია მცირეოდენი სასმელ-საჭმელი და ზოგიერთი ნივთიც, რომლებიც განსაკუთრებით უყვარდა მიცვალებულს სიცოცხლეში.

მიუხედავად ყველაფრისა, შუმერში, განსხვავებით ეგვიპტისაგან, მიცვალებულისათვის ზრუნვა განსაკუთრებით საკრალურ ხასიათს არ ატარებდა. სიკვდილის ღვთაების ფუნქცია ეკისრებოდა ნერგალს, ქვესკნელის გამრიგეს, რომელმაც ეს ფუნქცია შეითვისა ქალღმერთ ერეშქიგალისგან. ნერგალის გახდომა ქვესკნელის მეუფედ მოთხრობილია აქადურ ენაზე შემონახულ მითოლოგიურ ტექსტში. ზოგი შუმერული ტექსტის მიხედვით, ერეშქიგალი ინანას უფროს დად იწოდება. ერეშქიგალი მოიხსენიება ეპითეტებით „ბრწყინვალე", „წმინდა", ზის ლაჟვარდის ქვის სასახლეში და შვიდი ანუნაქის თანდასწრებით სჯის მკვდართა სამართალს. ნერგალი მასალების მიხედვით ორსახოვან ღვთაებად აღიქმებოდა: როგორც ზაფხულის მცხუნვარე მზე, იგი დამაჭკნობელია მცენარეებისა, ხოლო ქვესკნელის, შავეთის მზეობა მას მიცვალებულთა გამრიგედ გვიხატავდა. ამას მოწმობს ერთი ჰიმნის შემდეგი ადგილი: „ზეცაში ბრწყინავ, მაღალია სადგომი შენი. ქვესკნელში დიდობ, ტოლი არა გყავს...".

ქვესკნელის, ანუ მკვდართა სამეფოს, გავრცელებული სახელი იყო არალი, რომლის ეტიმოლოგიაც უცნობია. არალთან კავშირი, როგორც ერთი შუმერული ტექსტიდან ჩანს, ხორციელდება ხვრელის საშუალებით, საიდანაც ღმერთების ნებართვით ნიავით ამოდის მკვდრის სული და ურთიერთობას ამყარებს ცოცხლებთან. ერთი გვიანდელი ასურული ტექსტი მოგვითხრობს, რომ არალი დასახლებულია უამრავი სახის არსებით: აქ გვხვდება ადამიანებისა და ცხოველთა ნაჯვარი ქმნილებები, ასევე ანზუდი – შუამდინარული წარმოდგენებით, ლომსახიანი მითოსური ფრინველი. ენქიდუს სიზმრის მიხედვით, მიცვალებული ქვესკნელში სწორედ ანზუდისსახიან ფრინველს მიჰყავს.

საკრალური ქორწინების რიტუალი

შუმერულ რელიგიაში საკრალური ქორწინების რიტუალი დაკავშირებული იყო ქალღმერთ ინანასა და მოკვდავი მწყემსის, დუმუზის, სახელებთან.

ქალღმერთ ინანას შესახებ ზემოთ მეტ-ნაკლებად იყო საუბარი. გამოირჩევა მისი ორი ასპექტი – სიყვარულისა და ბრძოლისა. ინანას, როგორც სიყვარულის ქალღმერთის, ასტრალური გამოხატულებაა მწუხრის ვარსკვლავი, ხოლო ბრძოლის ინანას ცისკრის ვარსკვლავი გამოსახავს. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ბრძოლა დილით, ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლისას, იწყება და გასტანს საღამომდე, როცა სიბნელე გაყრის მოწინააღმდეგეებს. ამ დროს შემოდის ინანა, სიყვარულის განსასიერება, რომლის ასპარეზი ღამეა. ტექსტებში ის, ვითარცა სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთი, შემკულია შესაბამისი ატრიბუტებით: იგი არის „ვნებით დატვირთული". მისი მუდმივი ეპითეტია ქალწული (შუმერულად ქი-სიქილ – „წმინდა ადგილი").

შუმერული წარმოდგენებით, სწორედ ქალღმერთი ინანა გაუმიჯნურდა მწყემსს, რომელსაც ერქვა დუმუზი (შუმერულად „ძე ჭეშმარიტი"). შუმერულ ენაზე შემორჩენილია მრავალი ტექსტი, სადაც მოთხრობილია დუმუზის სატრფიალო ურთიერთობა ქალღმერთთან, აღწერილია საღვთო ქორწინება (ჰიეროგამია) მათ შორის. ინანას დუმუზი თავისი ძმის, მზის ღვთაება უთუს, რჩევით უყვარდება. დუმუზიც არ ჩანს უგრძნობი ქალღმერთის მიმართ. დუმუზს საძოვრებიდან თავისი სასძლოსთვის

მოაქეს ძღვენი, ინანა ეგებება მას ურუქის ბეღელთან, სადაც იმართება ქორწილი და იშლება საქორწილო სარეცელი. მიუხედავად იმისა, რომ დუმუზი ქალღმერთის რჩეულია, იგი ტრაგიკული ფიგურაა შუმერულ მითოლოგიაში, რადგან განასახიერებს უმიზეზოდ დატანჯული ადამიანის ბედს. დუმუზი ეწირება ინანას. მისი დაღუპვა დაკავშირებულია ამბავთან, რომელშიც გადმოცემულია ინანას ჩასვლა ქვესკნელად.

ერთხელ ინანამ ქვესკნელში ჩასვლა განიზრახა. მას სურდა დაეპყრო ქვესკნელის სადედოფლო ტახტი, რომელზეც სასტიკი და უმოწყალო ერეშქიგალი იჯდა. ინანა მთელი თავისი ბრწყინვალებით, თავისი ყველა სამკაულით შემკული გაემართა ქვესკნელისაკენ. თავზე მანათობელი გვირგვინი ეხურა, ოქროს სალტეები ეკეთა მკლავებზე, მკერდზე ძვირფასი ქვები უკიაფობდა, ნელსაცხებელი ეცხო, სადედოფლო შესამოსელი ემოსა, ხელში ლაჟვარდის არგანი ეჭირა და ასე მიდიოდა. მაგრამ ვიდრე მიადგებოდა ქვესკნელის პირველ კარიბჭეს, იხმო თავისი ერთგული მსახური ნინშუბური და დაარიგა, რომ ქვესკნელში მისი ჩასვლის შემდეგ მოეცლო შუმერის ტაძრები და შეევედრებინა ღმერთებისათვის, არავის მოეკლა ქვესკნელში ჩასული ქალწული ინანა. ნინშუბურს უნდა მიეკითხა ენლილისთვის ნიფურში, ნანასთვის – ურში და ენქისთვის – ერიდუში. ინანამ იცოდა, რომ მხოლოდ ენქი გამოესარჩლებოდა მას და დაიხსნიდა. დაიწყო ქვესკნელში ჩასვლა ინანამ, ნინშუბურმა კი – ტაძრების შემოვლა. ინანას ქვესკნელში შვიდი კარიბჭე უნდა გაეელო და თითოეულ კარიბჭეში თითო სამკაული და შესამოსელი უნდა დაეტოვებინა. ასეთი იყო ქვესკნელის წესი – მისი დედოფლის, ერეშქიგალის, ნება. ასე რომ, ბრწყინვალე ქალღმერთი სრულიად შიშველი უნდა ჩასულიყო ქვესკნელში ისე, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავნი ჩადიოდნენ მკვდართა ქვეყანაში. მკვდართა სამეფოს შვიდივე ბჭე ებარა ნედუს – მცველს, რომელსაც თავი ლომის ჰქონდა, ხელები – ადამიანის, კიდურები – ფრინველისა. პირველ კარიბჭეში კარიბჭის მცველმა გვირგვინი მოხადა ინანას, მეორე კარიბჭეში არგანი ჩამოართვა, მესამეში ყელსაბამი ჩამოხსნა, მეოთხეში ძვირფასი ქვები აართვა მკერდიდან, მეხუთეში ოქროს სალტეები მოხსნა, მეექვსეში სამკერდული შემოაძარცვა, მეშვიდეში სამოსელი გახადა. ასე გაშიშვლებული წარდგა ინანა ქვესკნელის დედოფლის, ერეშქიგალის, წინაშე. ამ უკანასკნელმა მრისხანე შეხვედრა მოუწყო ინანას, სნეულებები შეჰყარა და ინანა მის წინაშე მკვდარი დაეცა. სამი დღე და სამი ღამე ელოდა ნინშუბური ინანას და როცა არ დაბრუნდა ქვესკნელიდან, მის გამო გლოვა გამართა. მერე, ინანას დანაბარების თანახმად, ენლილს ეახლა ნიფურში, ექურის ტაძარში. მოახსენა ენლილს ინანას დანაბარები, რომ ეშველა მისთვის და ქვესკნელიდან გამოეხსნა, მაგრამ ენლილმა ყურად არ იღო ნინშუბურის სიტყვები. არც ნანამ ისმინა მისი. ბოლოს ენქისკენ ერიდუში გაემართა ნინშუბური და მოახსენა ინანას სიტყვები. ინანას გასაჭირმა გულით შეძრა ენქი. მან მიწის მტვერისაგან შექმნა ორი არსება – ქურგარა და გალათურა. ქურგარას გამაცოცხლებელი საზრდელი მისცა, გალათურას გამაცოცხლებელი წყალი. და ორივე გაისტუმრა ქვესკნელისაკენ, თან დაარიგა, რომ ქვესკნელის დედოფლის მიერ შემოთავაზებული არაფერი არ აეღოთ, მოეთხოვათ მხოლოდ კაუჭზე ჩამოკიდებული ცხედარი. როცა ერეშქიგალს ეახლნენ, მათ უარი თქვეს მის შემოთავაზებებზე და ცხედარი მოითხოვეს. როცა მიიღეს ქალღმერთის ცხედარი, ქურგარამ მას გამაცოცხლებელი საზრდო მიაყარა, გალათურამ გამაცოცხლებელი წყალი მიასხურა და ცოცხლად აღადგინა ინანა, თუმცა მისი ქვესკნელიდან ამოყვანა არ იყო ადვილი. ინანას ყველა კარიბჭეში დაუბრუნეს ჩამორთმეული სამოსელი და სამკაულები, მაგრამ საკუთარი თავის ნაცვლად მას ეინმე უნდა გაეცა ქვესკნელში ჩასასვლელად. ეს სანაცვლო დუმუზი უნდა ყოფილიყო. მკვდართა სამეფოდან ამომავალ ინანას თან ქვესკნელის აესულნი ამოჰყვნენ, რომელთაც დუმუზი უნდა ჩაეყვანათ ქვესკნელში.

მართალია, მწყემსი დუმუზი ინანას მიზეზით იღუპება, მაგრამ ეს არ აბრკოლებს ქალღმერთს, ცხარედ დაიტიროს იგი. დატირების ტექსტებში დუმუზი მოხსენიებულია მის არა მხოლოდ სატრფოდ, უდროოდ დაღუპულ ქმრად, არამედ ძმად და შვილადაც კი უკიდურესი სიყვარულის ნიშნად. ინანასთან ერთად დუმუზს დასტირის მთელი შუმერის ქვეყანა. მის დამტირებელთა შორის გამოირჩევა ერთგული და – გეშთინანა. ერთი ტექსტის ბუნდოვანი ფრაგმენტით ვიგებთ, რომ გეშთინანას თავიც კი გაუწირავს ძმისთვის, გაუთავისუფლებია იგი და დაუკავებია მისი ადგილი მკვდართა სამეფოში. ტირილის მიზანი მისი ქვესკნელიდან ამოყვანაც იყო.

ქალაქი ურუქი იყო ქალღმერთ ინანას საკულტო ცენტრი. აქ ეანას სახელწოდებით ცნობილ ტაძარში ინანას სახელს უკავშირდებოდა რელიგიური რიტუალი, რაც გამოიხატებოდა საკულტო ქორწინების (ანუ ჰიეროგამიის) წესის შესრულებაში. მას აღასრულებდნენ ურუქის ქურუმი და საღვთო როსკიპი, რომლებიც განასახიერებდნენ მითოსურ წყვილს – დუმუზსა და ინანას. ამ რიტუალში ისინი დუმუზისა და ინანას როლებს ასრულებდნენ. არა მხოლოდ ურუქში, არამედ ყველგან, სადაც ინანას კულტი გვხვდებოდა, წესად იყო საკრალური ქორწინების რიტუალი. იგი აღესრულებოდა შუმერის უძველეს ქალაქ ლაგაშში. სატაძრო ქალაქში შედიოდა საგანგებო ადგილი, რომელსაც ეწოდებოდა გიპარი (ითარგმნება, როგორც „ბეღელი"). იგი შეუვალ ადგილად მიიჩნეოდა, სადაც მხოლოდ ქურუმს შეეძლო შესვლა საიდუმლო რიტუალის აღსასრულებლად. მოკვდავი წყვილი ბაძავდა ინანასა და დუმუზის მითოსურ ურთიერთობას და იმედი ჰქონდათ, რომ მათი შეუღლება ქვეყანას სიუხვესა და კეთილდღეობას მოუტანდა, რომ გიპარში დაღვრილი თესლი მომავალი უხვი მოსავლის საწინდარი იქნებოდა. ხელისმომკიდე, რომელსაც დუმუზი ქალღმერთთან შეჰყავდა, დედოფალს მიმართავდა სიტყვებით, რითაც ამ შეუღლების მაგიურ დანიშნულებას აცხადებდა: „შენი გულის რჩეულმა მეფემ, შენმა საყვარელმა ქმარმა, შენს წმინდა და საამურ უბეში მრავალი ჟამი გაატაროს. კეთილი ხანი მეფობისა ამოუბრწყინე. სამეფო ტახტი მყარ საძირკველზე დაუდგინე... მისი მეფობისას ბალახი გაჩნდეს, ტბორებში თევზები მრავლდებოდეს, ცაში ფრინველი ჟრიამულობდეს... ჩემო დედოფალო, ცისა და მიწის დედოფალო, ცასა და მიწას რომ მოიცავ, შენს უბეში (დუმუზმა) მრავალი ჟამი გაატაროს".

ეს რიტუალი, რომელიც გარკვეულ დღეს სრულდებოდა, იყო დუმუზისა და ინანას ქორწინების მიბაძვა. იგი ანთროპომორფულად იმეორებს კოსმიურ ჰიეროგამიას, სადაც სიძე არის ცა, სამყაროს მეფე, ხოლო დედამიწა – რძალი, სამყაროს დედოფალი, რომელთა შეუღლების შედეგად წარმოიშვა პირველდაბადებული და მუდამ იშვის ამ სამყაროში. შუმერებთან ამ რიტუალის განსაკუთრებული მნიშვნელობა წარმოაჩინა ს. კრამერმა თავის შრომაში – „საკრალური ქორწინების რიტუალი" (1969).

დუმუზი, როგორც ფართოდ გავრცელებული ღვთაება, შეიჭრა ბაბილონელთა რელიგიაშიც. აქ იგი თამუზის სახელით იყო ცნობილი. ბაბილონელთაგან ეს ღვთაება ერთხანს უნდა მოხვედრილიყო ებრაელთა შორისაც. ძველი აღთქმის ხანაში საღვთო ერი ხშირად იჩენდა მიდრეკილებას უცხო კულტებისაკენ, რასაც მოწმობს წმინდა წერილი. წინასწარმეტყველთა ქადაგებებში ჭეშმარიტი ღმერთისგან ამგვარი განდგომები მძაფრი ტონალობითაა მხილებული. თამუზის სახელი ბიბლიაში მხოლოდ ერთგან გაუღერდება. ეზეკიელ წინასწარმეტყველის წიგნში საუბარია ებრაელების მიერ სხვა ღმერთების მსახურებაზე. თამუზს იერუსალიმში უფლის კარიბჭესთან მსხდომი დედაკაცები განსაკუთრებით „გლოვობდნენ" და ამით განარისხებდნენ უფალს (8:14). ამ შემთხვევაში ტერმინ „გლოვაში" იგულისხმება რიტუალური ტირილი, რომელიც უკავშირდებოდა თამუზის კულტს. ამ პასაჟის მიხედვით ირკვევა, რომ ამ ღვთაების თაყვანისცემა იერუსალიმშიც გავრცელებული ყოფილა.

ბაბილონური რელიგია

ბაბილონელები ასურელებთან ერთად არიან შუამდინარეთში მოსული სემიტები. ისინი შუამდინარეთში მოვიდნენ მაშინ, როდესაც აქ არსებობდა ძლიერი შუმერული სახელმწიფო. ბაბილონელები შუმერების კულტურის გავლენის ქვეშ მოექცნენ. მათ გადაიღეს შუმერების მიერ შექმნილი ლურსმული დამწერლობა და შეითვისეს მათი რელიგიური ტრადიციები. აქედან გამომდინარე, ბაბილონში ღვთაებათა პანთეონი ძირითადად შუმერულია. მათი ინფილტრაცია და ასიმილაცია სემიტურ ღვთაებებთან უძველეს დროშივე მოხდა. ბაბილონელებთან, შუმერების მსგავსად, ღვთაებები დაყოფილი იყო ტრიადებად.

ბაბილონის ახალი სამეფოს აღორძინება უკავშირდება ძვ. წ. VII–VI საუკუნეებს, როდესაც შუმერული ეთნოსი ამ ტერიტორიაზე აღარ გვხვდებოდა. განსხვავებით ძველი ბაბილონის, მეფე ხამურაბის დროინდელი ბაბილონის სამეფოსგან, ბაბილონის ახალ სამეფოს ქალდეურ ბაბილონსაც უწოდებენ, ხოლო მოსახლეობას – ქალდეველებს, რადგან მის შექმნაში დიდი როლი შეასრულეს მოსულმა სემიტურმა ტომებმა – ქალდეველებმა. ბიბლიაში ამ პერიოდის ბაბილონელები ქალდეველებად მოიხსენიებიან. სწორედ ბიბლიის ზოგი წინასწარმეტყველის წიგნი გვაძლევს ფასდაუდებელ ცნობას ბაბილონელთა (ქალდეველთა) რელიგიის შესახებ. გარდა ძველი აღთქმისა გამოირჩევა ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.), კტესიოსის (ძვ. წ. V-IV ს.), სტრაბონის (ძვ. წ. I ს.) და სხვა ბერძენი ავტორების ცნობები. ცალკე უნდა დავასახელოთ ბაბილონელი ქურუმის, ბეროსის (ძვ. წ. IV- III ს.), ბერძნულ ენაზე დაწერილი ნაშრომი, რომლის მხოლოდ ნაწყვეტებიღაა შემონახული.

გვიანი ბაბილონის ნამდვილ მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის 90-იან წლებში, როცა გერმანიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რ. კოლდეეის ხელმძღვანელობით დაიწყო სისტემური გათხრები. მანამდე ფრანგმა მეცნიერმა – ჟ. ოპერტიმ – აღმოაჩინა ნაბუქოდონოსორის სასახლე და ქალაქის გალავნის ნაშთები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რ. კოლდეეის არქეოლოგიურ გათხრებს. მის მიერ ნაპოვნი მატერიალური კულტურის ძეგლები შუქს ჰფენს ბაბილონის დიდებულ წარსულს. ბაბილონის საპროცესიო გზა, უამრავი ტაძარი დეტალურად იქნა შესწავლილი და გამოვლენილი. მან აღმოაჩინა მრავალი ლურსმული წარწერა, მათ შორის – სპარსეთის მეფის, კიროს დიდის, წარწერა-მანიფესტი, რომელიც თიხის ცილინდრზე იყო ამოკვეთილი და მიძღვნილი ბაბილონის აღებისადმი. ბაბილონის ისტორიას და რელიგიას დაუთმეს თავისი მრავალტომიანი ნაშრომების ნაწილი ჯ. რაულინსონმა და ე. მაიერმა. ჟ. კონტენოს მრავალი ნაშრომი დაიწერა ბაბილონზე.

ბაბილონის ახალი სამეფოს აღორძინება დაკავშირებულია ასურეთის სამეფოს დასუსტებასთან. ამით ისარგებლეს ბაბილონელებმა და გაიფართოვეს საკუთარი სახელმწიფოს ფარგლები. ამ პერიოდში მიდიის მეფე კიაქსარმა, რომლის ასულზეც დაქორწინებული იყო ბაბილონის ტახტის მემკვიდრე ნაბუქოდონოსორი, ძვ. წ. 612 წელს იერიშით აიღო ასურეთის დედაქალაქი ნინევია. ასურეთის მეფე სასახლის ცეცხლში ჩაიწვა. ნინევიის დაღუპვა აღწერა ამ ამბების მომსწრე წინასწარმეტყველმა ნაუმმა.

ძვ. წ. 604 წელს მამის, ნაბუფალასარის, გარდაცვალების შემდეგ ბაბილონის მეფე ხდება ნაბუქოდონოსორი. მან იუდეა ჯერ ვასალურ პოლიტიკურ ერთეულად აქცია, ხოლო ძვ. წ. 587 წელს გაანადგურა იუდეის დედაქალაქი იერუსალიმი, დაანგრია მეფე სოლომონის აშენებული უზენაესი ღმერთის ტაძარი და ებრაული მოსახლეობა ბაბილონში გადაასახლა. ტვიროსზე გალაშქვრით მან ეგვიპტეს წაართვა ზეგავლენა პალესტინაზე. ნაბუქოდონოსორი გამოირჩეოდა ფართო აღმშენებლობითი საქმიანობით. მან ააგო მრავალი საკულტო ნაგებობა და ტაძარი სხვადასხვა ბაბილონური ღვთაების სახელზე. მისი მეფობის ხანაში ბაბილონის სამეფომ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია. ნაბუქოდონოსორის მეფობის მომდევნო პერიოდში ბაბილონი ნელ-ნელა სუსტდება. მას ბოლოს მოუღებენ სპარსელები, რომლებიც

იმხანად დაიწყებენ აღზევებას მახლობელ აღმოსავლეთში. ძვ. წ. 538 წელს სპარსეთის აქემენიდური დინასტიის ძლევამოსილი მეფე კიროს II, დიდად წოდებული, ბაბილონში შედის და იქ სპარსულ მმართველობას ამყარებს. აღსანიშნავია, რომ კიროსმა დააბრუნა ტყვეობაში მყოფი ებრაელები პალესტინაში და მისცა მათ ტაძრის აღდგენის უფლება, საკუთრივ ბაბილონში კი მან ღვთაება მარდუქის ტაძარი უფრო გაამშვენა. მარდუქის კულტის მოშლას მხოლოდ აქემენიდური ირანის მეოთხე მეფე ქსერქსე I (486-465) შეეცადა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაბილონელთა რელიგიური მსოფლმხედველობის ძირითადი წყარო იყო შუმერების რელიგია. შუმერების მსგავსად, ღვთაებები აქაც ტრიადებად იყოფოდა. პირველი ტრიადა უზენაესი და კოსმოსის შემქმნელ ღვთაებათა ჯგუფებისგან შედგებოდა, ხოლო მომდევნო ტრიადა ასტრალური ხასიათის გახლდათ. აქ ერთიანდებოდა მთვარის ღვთაება სინი, მზის ღვთაება შამაში და პლანეტა ვენერასთან გაიგივებული ღვთაება – იშთარი (შუმერულად ინანა). შუმერში ინანასთან მჭიდროდ დაკავშირებული დუმუზის სახელი ბაბილონში მოგვევლინა, როგორც თამუზი.

ბაბილონური პანთეონი დროდადრო ივსებოდა დაპყრობილი უცხო ტომების ღმერთებით. მცირე ღვთაებების რიცხვი 3 000-ს აღწევდა.. (ესენი იყვნენ იგიგიები – ცის დემონები და ანუნაქები – ქვესკნელის დემონები. მათ დანაწილებული ჰქონდათ ცა, მიწა და ქვესკნელი, სადაც მიცვალებულთა სამართალს განაგებდნენ. ბაბილონში გვხვდებოდა ე. წ. „ბედისწერის დაფები" (დუბ შიმათი), რომელთა საშუალებითაც განსაზღვრავდნენ კოსმოსისა და კაცთა მოდგმის ბედს. თვით ღმერთები, ელინური სამყაროს ღმერთებისგან განსხვავებით, ბედისწერას არ ემორჩილებოდნენ. სახალხო კულტის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ავი სულების შიში; ისინი ემუქრებოდნენ ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. რელიგიურად ამ ასპექტს უფრო მეტი ადგილი ეთმობოდა, ვიდრე დიდი ღმერთებისადმი თაყვანისცემას. თითოეულ გვარს, ოჯახსა თუ ინდივიდს თავისი მფარველი ღვთაება ჰყავდა, რომელიც იცავდა მას ავი სულისგან..). ქურუმები რამდენიმე კლასად იყოფოდნენ. ერთნი (მათ ეწოდებოდათ ქალუ) ღვთისმსახურებას, ტაძრის მუსიკას განაგებდნენ, მეორენი (აშიფუ) შემლოცველნი იყვნენ, მესამენი (ბარუ) ნათელმხილველნი – სიზმრებსა და სასწაულებს განმარტავდნენ. მათს მოვალეობას შეადგენდა ცოთომილებზე დაკვირვება, კეთილ და უკეთურ დღეთა გარჩევა. იყვნენ ქურუმი ქალებიც, რომლებიც დიდი პატივით სარგებლობდნენ. ისინი საღვთო ქორწინების რიტუალს ასრულებდნენ იშთარის ტაძარში. ეს ტრადიცია ბაბილონში შუმერული გზით შევიდა.

ახალი ბაბილონის რელიგიაში მთავარი ადგილი დაიჭირა ღვთაება მარდუქმა. მასზე ვრცლად იქნება საუბარი ქვემოთ, ბაბილონელთა კოსმოგონიური შეხედულებების განხილვისას. მარდუქის სახელზე არაერთი ტაძარი ააშენეს. მისი კულტის აღზევებისას იგრძნობა მონოთეიზმისაკენ მიდრეკილება, როცა მარდუქს თითქმის ყველა ღმერთის ატრიბუტი მიაწერეს; თუმცა ბაბილონელთა რელიგია ბოლომდე პოლითეისტური დარჩა. მარდუქის, როგორც მეტ-ნაკლებად მეტაფიზიკური ღვთაების, ასპექტებს წარმოაჩენს მისდამი აღვლენილი ლოცვის შემდეგი ფრაგმენტი:

„უფალო, დიდებულო მარდუქ, მოწყალეო უფალო,
კაცთა მოდგმა, ვინც კი სახელით იწოდება,
თავით თვისით რას შეიცნობს?
ვის არ შეუცოდავს, ვის არ დაუშავებია?
გზას ღმერთებისას ვინ შეიცნობს?
უღები ვიყავ წინაშე შენსა,
ღვთაებრივ წესებს გადავედი.
ცოდვა ჩემი სიჭაბუკისა, ნებსითი და უნებლიე, მომიტევე!
გული ჩემი კეთილად აძგერდეს,
ცოდვისგან დამხსენ, ბრალისგან გამათავისუფლე,
არეულობანი ჩემნი განანათლე,
არეულობანი ჩემნი დაწმინდე!..."

გვიანდელ პერიოდში მარდუქზე არანაკლები პოპულარობით სარგებლობდა მარდუქის ძე, ღვთაება ნაბუ (აქად. „გამოცხადება"). ნაბუ ითვლებოდა სიბრძნის, განსაკუთრებით – მწერლობისა და დამწერლობის მფარველ ღვთაებად. მას მიეწერება დამწერლობის შექმნა, რაც ჩანს მის ეპითეტებში – „შემქმნელი დამწერლობის ნიშნებისა", „დაფის ლერწმის უფალი". ნაბუსთან იყო დაკავშირებული რიგი თეოფორული სახელები (ნაბუქოდონოსორი, ნაბიუმნაიდი). ნაბუს თაყვანისცემა არ შემწყდარა ბაბილონის სამეფოს დაცემის შემდეგაც, იგი გრძელდება სპარსელთა ბატონობის დროს და მის მერეც – ელინისტურ ხანაში. შემორჩენილია ანტიოქოს I სოტერის ლოცვა ნაბუს მიმართ აქადურ ენაზე. ასე რომ, მან ყველაზე დიდხანს გაძლო ბაბილონურ ღვთაებათა შორის.

ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს შუამდინარეთში გაჩნდა რელიგიური ტაძრის ორიგინალური ტიპი, რომელიც ზიკურათის სახელით არის ცნობილი. ეს იყო საკულტო ნაგებობა, ერთმანეთზე დადგმული პარალელეპიპედებითა და წაკვეთილი პირამიდებით (სამიდან შვიდამდე) ამოყვანილი ალიზის კოშკი. ზიკურათის მახლობლად ჩვეულებრივი ტაძარი იდგა, მაგრამ ზიკურათმა თანდათანობით მთავარი ტაძრის ფუნქცია შეიძინა. საკუთრივ ქალაქი ბაბილონი ძველი აღმოსავლეთის სხვა ქალაქების ფონზე გამოირჩევა რელიგიური ნაგებობებისა და ტაძრების გასაოცარი სიმრავლით. ერთ-ერთი შემორჩენილი ლურსმული წარწერის მიხედვით, ბაბილონში ღმერთების 53 ტაძარი, მარდუქის მცირე ზომის 55 ტაძარი, 300-მდე მიწისა და ცის ღვთაებათა 600-მდე მცირე სამლოცველო, აგრეთვე, სიყვარულის ქალღმერთის იშთარის 180 და სხვადასხვა ღვთაების 200 სამსხვერპლო იყო.

ქალაქ ბაბილონის ცენტრში მდებარეობდა უზენაესი ღვთაების – მარდუქის – სატაძრო კომპლექსი ესაგილა, რომელიც მოკირწყლული „საპროცესიო გზით" (აიბურშაბუ, 16მ. სიგანისა და 1,5 კმ. სიგრძის) უკავშირდებოდა ქალღმერთ იშთარის კარიბჭეს; გზის ორივე მხარეს აღმართული კედლები მოპირკეთებული იყო ფერადი მოჭიქული ფილებით: ლურჯ ფონზე გამოსახული იყო ყვითელი ფერის ხახადაღებული ლომები, ფასკუნჯები და სხვა ზღაპრული არსებები. ტაძრის მთავარი ეზოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იდგა შვიდსართულიანი ზიკურათი – ეტემენანქი („ცისა და მიწის დაფუძნების სახლი"). ბაბილონის სიმდიდრით ცნობილ სამეფო სასახლეში ყოველდღიურად ზეიმი იმართებოდა, რის გამოც ბიბლიაში მას „ცოდვილი ქალაქი" ეწოდება.

ბაბილონური კოსმოგონია

ბაბილონური რელიგიის კოსმოგონიისა და ანთროპოგონიის საკითხებთან დაკავშირებული მითები მრავალგვარია. ბევრი მათგანი ნათესაურ სულს ამჟღავნებს შუმერულ თეოლოგიასთან, ზოგიც განსხვავებულ, ახალი ტიპის სწავლებებს შეიცავს. ისიც აღსანიშნავია, რომ შუმერული რელიგიური ტექსტების დიდმა ნაწილმა სწორედ ბაბილონური თარგმანებით მოაღწია ჩვენს დრომდე. მითებში ბევრი ცენტრალური მოვლენა დაკავშირებულია სამყაროს წარმოშობასთან. მაგალითად, თხრობაში – „გილგამეში, ენქიდუ და მიწისქვეშა სამყარო" – ვკითხულობთ: „მას მერე, რაც ცა დასცილდა დედამიწას, მას მერე, რაც დედამიწა დასცილდა ზეცას, მას მერე, რაც სახელი ადამიანისა იქნა აღნიშნული..."; აქედან ჩვენ ვიგებთ, რომ ცა და დედამიწა თავდაპირველად გაერთიანებული ყოფილა, რადგან შემდეგ ისინი განაცალკევეს, მაგრამ განცალკევების მიზეზი არ არის ახსნილი. ტექსტიდან არ ჩანს, ვინ დააცილა ცა მიწას. არ ვიცით, ცა და დედამიწა მარადიული ელემენტები იყო

თუ მანამდე არსებული რაიმე საფუძვლიდან წარმოიშვა. ამ კითხვას რომ მესოპოტამიური რელიგიური აზროვნების შესაბამისად გაეცეს პასუხი, საჭიროა, მოვიშველიოთ სხვა წყაროებიც. ერთი მითი, რომელიც ადამიანთა წარმოშობას ეძღვნება, დასათაურებულია ასე – „ცისა და მიწის მთა". მიუხედავად იმისა, რომ ეს თვალსაზრისი უარყოფილიც იყო, მაინც ვეცნობით აზრს, რომლის მიხედვითაც ცა და დედამიწა მთის ფორმით არსებობდა. მითიდან, რომელიც წერაქვის წარმოშობას ეძღვნება, ჩვენ შემთხვევით ვიგებთ, რომ ენლილმა, ატმოსფეროს ღმერთმა, განიზრახა ცისა და დედამიწის დაცილება. მაშასადამე, ცა და დედამიწა გაერთიანებული ყოფილა, ღმერთთა ლექსიკური კრებული კი გვამცნობს, რომ ღმერთქალი ნამუ მიჩნეული იყო „დედად, რომელსაც ჩაესახა ცა და დედამიწა". ეს ქალღმერთი, აბზუს მსგავსად, რომელიც ზოგჯერ იმავე იდეოგრამითაა გამოხატული, წარმოადგენს მტკნარი წყლით სავსე უფსკრულს, რაზეც დაცურავს სამყარო.

ბაბილონური კოსმოგონიები სხვადასხვა ვითარებას ასახავს. ერთი ასეთი კოსმოგონიის მიხედვით, ღმერთები შექმნა ანუმ. მეორეში ლაპარაკია ცისა და მიწის დაცილებაზე, მესამეში კი – იმის შესახებ, რომ „ერთ დროს ყველაფერი ზღვა ყოფილა"

განსაკუთრებული ინტერესის შემცველია სამყაროს შექმნის სიუჟეტის ბაბილონური ვერსია, რომელიც ჩამოყალიბებულია ვრცელი პოემის სახით და სახელდებულია დასაწყისი სიტყვების მიხედვით, როგორც – „ენუმა ელიშ" („როდესაც ზემოთ").

სამყაროს შექმნის არსებული ვერსიებიდან „ენუმა ელიშ" სრულიად განსხვავებულია. მასში არ მოიძებნება რელიგიური გადმოცემების შუმერული ფენა. აქ მოქმედებენ სრულიად სხვა ღმერთები. მასში მოთხრობილია, რომ თავდაპირველად არსებული აბზუსა და ქალღმერთ თიამათისგან შეიქმნენ ღმერთები, რომლებმაც სიმშვიდე დაუკარგეს შემოქმედ აბზუს. ამ უკანასკნელმა მოინდომა ახალი ღმერთების შემუსვრა, რაზეც დაიყოლია თავისი მეუღლე თიამათი, მაგრამ შვილებმა გაიგეს მშობელთა ამგვარი გადაწყვეტილების შესახებ. ერთ-ერთმა მათგანმა – ეამ – მეუღლე დამქინუსთან ერთად გააჩინა ძლიერი ღვთაება, მარდუქი:

„შეჰქმნა იგი ეამ, მამამ მისმა,
დაბადა დამქინუმ, დედამ მისმა...
გრძნეულია ანაგები მისი,
მოკაშკაშეა თვალნი მისნი.
...ცეცხლისმფრქვეველია ბაგენი მისნი.
განიერცნენ ოთხნი ყურნი მისნი,
მსგავსადვე თვალნიც ყოველთა საჭვრეტად".

ამ ამბით შეშფოთებული თიამათი, რომლის პირველობას ამიერიდან საფრთხე შეექმნა, მარდუქის დასაღუპავად შობს ურჩხულს. მითში ამის შემდეგ დაწვრილებითაა საუბარი მარდუქისა და ურჩხულის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შესახებ, რომლიდანაც გამარჯვებული გამოვიდა მარდუქი. ამან ძალზე გაახარა ახალგაზრდა ღმერთები, რომლებიც საგანგებოდ გამართულ ნადიმზე მარდუქს აირჩევენ თავიანთი კრებულის უპირველეს ღვთაებად. ამის შემდეგ მარდუქი დაამარცხებს თიამათსაც:

„განკვეთა უფალმა თიამათის გვამი,
გაჭრა ურჩხული. ნივთნი მშვენიერი შექმნა,
გაკვეთა ორწილად, ვითარცა თევზი,
ერთი ნახევრით ზეცა გადახურა,
მოჭიმა კიდენი, მცველები დაუსხა,
უბრძანა თვალყური: მის წყლებს არ ედინათ".

შემდეგ მარდუქმა მოიარა ზეცა და იქ ღმერთებს გაუნაწილა ადგილები,

გაანათლა ეარსკვლავები, შექმნა წელიწადი თავისი დროებით, ცაზე ამოაბრწყინა მთვარე და დაუსახა მოძრაობა-ცვალებადობის კანონები. ამიერიდან მარდუქმა მიწიერი ცხოვრების მოწყობაზე დაიწყო ფიქრი. მან უთხრა თაეის მამას – ეას, რომ გააჩენდა ადამიანს. „ენუმა ელიშის" მიხედვით, ადამიანის შექმნის არსი იყო ღმერთთა სამსახური, რათა საკუთრივ ღმერთებს განესვენათ.

ღვთაება მარდუქი, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ბაბილონის უმთავრესი ღვთაება გახდა. საკუთრივ მითიური „ენუმა ელიშ" საჯაროდ, საზეიმო ვითარებაში იკითხებოდა. ცნობილია, რომ ბაბილონური კალენდრის მიხედვით, ყოველი თვე 30 დღისაგან შედგებოდა (აქედან გამომდინარე, წელიწადი 354 დღეს შეიცავდა). გაიკვლიდა თუ არა მთვარის წელიწადის 354 დღე-ღამე, მთელ ბაბილონში იწყებოდა მარდუქისადმი მიძღვნილი რელიგიური დღესასწაული.

მარდუქი, მათი რწმენით, ღმერთების მიერ არჩეული მთავარი ღმერთია. იგი მთვარის წელიწადის გასვლის შემდეგ განსაცდელშია ჩავარდნილი და ამიტომაც ჯიუტობს ტიგროსი, არ იწყებს ადიდებას. ბაბილონში წყდება ყოველგვარი საქმიანობა, რადგან მაშინდელი ქურუმებისა და ხალხის რწმენით, თიამათმა (ქვესკნელმა) შთანთქა მარდუქი. იგი თიამათის წიაღში იმყოფება, ყველას მაგივრად წავიდა იქ, რათა ეხსნა ქვეყანა საყოველთაო შთანთქმისგან. ქურუმები პირველ დღეებში ასრულებდნენ ე. წ. მონანიების რიტუალს, ხალხი კი დასტიროდა ღმერთ მარდუქს. ეს დატირება ოთხ დღეს გრძელდებოდა. მეოთხე დღეს, საღამოს, ქურუმები მღეროდნენ „ენუმა ელიშს" – შემოქმედის ჰიმნს. მეხუთე დღეს მეფე შედიოდა მარდუქის ტაძარში და ქურუმთქურუმი მას ჩამოართმევდა ყველა რეგალიას, გააწნავდა სილას და აუწევდა ყურს. ამ მომენტიდან მეფე ხდებოდა რიგითი ერისკაცი. უფლებააყრილ მეფეს უმაღლესი ქურუმი კვლავ დაუბრუნებდა ყველა რეგალიას იმ პირობით, თუ მარდუქი გაადიდებდა მის სამფლობელოს. მეფე თამაშობდა მარდუქის როლს და ფიცს დებდა, რომ აღასრულებდა ქურუმთქურუმის ნებას. მეექვსე დღეს სამეფოს სხვადასხვა ქალაქიდან ბაბილონში ჩამოჰქონდათ თავიანთი ქალაქის მფარველი ღმერთის ან ქალღმერთის ქანდაკება და იკრიბებოდნენ აქითუს სახლთან, საიდანაც წინა დღეებში ხომალდით ჩამოასვენეს მარდუქის ქანდაკება. დელეგატების მიზანი იყო, დასწრებოდნენ „უფლის ძლევით გამოსვლას თიამათის მუცლიდან, ანუ მის მეორედ შობას". მეშვიდე დღეს მარდუქს თავისი შვილი ნაბუ – ღმერთი ქ. ნიფურისა – რაღაც მანქანებით ათავისუფლებდა. მერვე დღეს ტაძრის იმ ნაწილში, რომელსაც „ღმერთების შეხვედრის ადგილი" ეწოდებოდა, მეფის მეთვალყურეობით სიძლიერის მიხედვით განალაგებდნენ ღმერთების ქანდაკებებს. აქ ღმერთები თავიანთ მფარველად ირჩევდნენ მარდუქს, ე. ი. ბაბილონის მეფეს. ამის შემდეგ სრულდებოდა მარდუქისა და თიამათის ბრძოლის ამსახველი რიტუალი. თიამათის როლს ასრულებდა დამნაშავე პიროვნება, რომელსაც მისჯილი ჰქონდა სიკვდილი. იგი მარდუქს მიმართავდა უშვერი სიტყვებით, მარდუქი კი მას უკიჟინებდა, რომ იგი განუდგა ღმერთს. სიტყვიერი შებრძოლების შემდეგ იწყებოდა ნამდვილი ბრძოლა. მეცხრე დღეს მეფე და ქურუმები მიუძღვებოდნენ სადღესასწაულო პროცესიას და ქალაქგარეთ მდებარე საზეიმოდ მორთულ დარბაზში მიჰქონდათ ყველა ღმერთის ქანდაკება. იქ საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ მარდუქმა მოსპო მისი ყველა მტერი. მეათე დღეს მარდუქის ამ გამარჯვებას საზეიმო დარბაზში აღნიშნავდნენ დიდი ნადიმით. საღამოს პროცესია ბრუნდებოდა ქალაქში და ხდებოდა ღმერთისა და ქალაქის შეუღლება. მეთერთმეტე დღეს იმართებოდა ქანდაკებების სახით წარმოდგენილ ღმერთთა მეორე კრება. კრებაზე ღმერთები განსაზღ, ვრაედნენ ახალი წლის ბედს. მეთერთმეტე დღიდან იწყებოდა სამეურნეო სამუშაოები, ქალაქი უბრუნდებოდა ყოველდღიურ ცხოვრებას.

ამრიგად, ბაბილონის ქურუმებმა მოხერხებულად გამოიყენეს წელიწადის დარჩენილი დღეები საკუთარი რელიგიური მიზნებისთვის, თანაც მთვარის თორმეტ-

თვიანი წელიწადი ნაწილობრივ მიუსადაგეს მზის წელიწადს. შორეულ წარსულში ბაბილონის ქურუმები იცნობდნენ შვიდ პლანეტას და სწამდათ, რომ ყოველი პლანეტა ღვთაებაა, განაგებს და მფარველობს თავის დღეს და მოიგონეს დროის უფრო მცირე საზომი ერთეული – შვიდდღიანი კვირა. მათ შვიდდღიანი კვირა მთვარის ფაზებს დაუკავშირეს და რადგან ყოველ შვიდ დღეში მთვარე ერთი ფაზიდან მეორეში გადადიოდა, თვის 7, 14, 21, 28 რიცხვებში თავს იკავებდნენ ყოველგვარი საქმიანობისგან. კვირა იყო შამაშის (მზის) დღე, ორშაბათი – სინის (მთვარის), სამშაბათი – ნერგალის (მარსის), ოთხშაბათი – ნაბუს (მერკურის), ხუთშაბათი – მარდუქის (იუპიტერი), პარასკევი – იშთარის (ვენერას), შაბათი კი – ნინიბის (სატურნის) დღე.

ბაბილონურ რელიგიაში შედარებით ნაკლები ცნობები მოგვეპოვება იმაზე, თუ რა წარმოდგენა ჰქონდათ ბაბილონელებს ადამიანის სულსა და იმქვეყნიურ სამყაროზე. ადამიანსა და საიქიოზე არსებული მონაცემების შეჯერებით აშკარავდება, რომ ბაბილონელები მკაფიოდ არ გამოყოფდნენ ერთმანეთისაგან „სულსა" და „სხეულს" და ადამიანი ერთ მთლიანობად მიაჩნდათ. თუ დავეყრდნობით „ენუმა ელიშის" ტექსტს, ადამიანის შექმნაში მთავარ როლს თამაშობს სისხლი. თუმცა, ამავე დროს, ისე ხშირად ექცევა ყურადღება მოცემულ წყაროებში „სუნთქვას" (ნაპიშტუ), რომ, საბოლოოდ, ეს სიტყვაც სიცოცხლის მნიშვნელობას იძენს. სწორედ ამ „სუნთქვას შთაბერავენ" ხოლმე დაბადებისას ადამიანს, ხოლო როცა მას უკან ართმევენ, ადამიანი გაურკვეველ ჩრდილად – „ეტიმუდ" იქცევა, ჯოჯოხეთში იკარგება ან დახეტიალობს საკვებისა და საფლავის ძებნაში. იმ ტექსტების ფრაგმენტებში, რომლებშიც წარმოჩენილია სხვადასხვა ჯოჯოხეთური ხილვა, ნაკლებადაა ლაპარაკი ადამიანის ბუნების სიღრმეზე. მთხრობელებს უფრო მკვდრების ბედი აღელვებთ, ამიტომ უმეტესად ბნელეთს აღწერენ, სადაც სახლობენ მკვდრები, ანდა ლაპარაკობენ მტვერზე, რითაც მიცვალებულები იკვებებიან. უსაზღვროდ სევდისმომგვრელია ამგვარი ხილვები, თუმცა განსხვავებულ მდგომარეობაში არიან ბრძოლის ველზე დაცემული მეომარი და სამგლოვიარო წესის გარეშე დამარხული მკვდარი. სიკვდილზე დაკვირვებამ ხელი შეუწყო მორალური აზროვნების გააქტიურებას.

მორალური აზროვნება მჭიდრო კავშირში იყო სამართლებრივი ხასიათის ძეგლებთან. ამგვარი ხასიათის ტექსტები ჯერ კიდევ ძველბაბილონური პერიოდიდან უხვად მოგვეპოვება. ერთ-ერთ ფრაგმენტში ვკითხულობთ:

„ყოველდღე ეცი თაყვანი შენს ღმერთს...
ლოცვა, ვედრება, მორჩილება
უძღვენი მას ყოველდღე და მიიღებ ჯილდოს.
თაყვანისცემა ბადებს კეთილგანწყობას,
თავგანწირვა ახანგრძლივებს სიცოცხლეს,
ხოლო ლოცვა წაშლის ცოდვებს".

ტექსტის ზოგი ნაწილი გაურკვევლადაა დაწერილი. გასაგებად დაწერილ ბოლო ნაწყვეტში ლაპარაკია გულგატეხილობაზე, რაც ხშირად გვეუფლება მეგობართა წყალობით. მიუხედავად ტექსტის არეული ლოგიკისა და ზოგჯერ ერთი და იმავე აზრის გამეორებისა, მაინც ნათლად ჩანს, რომ ლაპარაკია პრაქტიკული დანიშნულების მორალზე. ხოლო მაშინ, როცა ავტორი უანგარო შეგონებებამდე მიდის, ამ დროს მისი მზერა ღმერთისკენაა მიპყრობილი, ღმერთს კი მკაცრი ანგარიშმწარმოებლის სახე აქვს. ბაბილონური სიბრძნე აგრეთვე თეოლოგიური ელემენტებითაა გაჯერებული: „შენი საყრდენი არა სიმდიდრე, არამედ ღმერთია", „როცა ღმერთის პატივისცემისათვის ნახავ სარგებელს, შეაქებ ღმერთს და მიესალმები მეფეს", „სასახლის ბრძანება ისევე სარწმუნოა, როგორც ანუსი. მეფეს ისევე, როგორც შამაშს, უყვარს სამართალი და სძულს ბოროტება".

ქანაანური რელიგია

ქანაანის სახელის ქვეშ მოიაზრება ტერიტორია, რომელიც მოიცავდა ლიბანს, ისრაელს, სირიისა და იორდანიის ნაწილებს. თავდაპირველად, როგორც ჩანს, ქანაანი მხოლოდ ზღვისპირა მიწებს ეწოდებოდა, შემდეგ ეს სახელწოდება გავრცელდა ტყიან ზღვისპირეთზეც, რომელიც ამორეველებით იყო დასახლებული. ქანაანურ ტომებად ბიბლიაში მოიხსენიებიან საკუთრივ ქანაანელები, ხსენებული ამორეველები, ხეთები (არ უნდა აგვერიოს მცირე აზიის ხეთებში – ნესიტებში), აგრეთვე გირგაშელები, ფერიზეველები, ხიველები, იებუსეველები. ამ ტერიტორიაზე განსახლებულნი იყვნენ ასევე ლოტის ჩამომავალი ტომები – მოაბელები და ყამონიანელები. აქ შეიქმნა უგარითისა და ფინიკიის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები. აქედან გამომდინარე, ქანაანური რელიგია გულისხმობს ხსენებული ხალხების რელიგიას.

ქანაანელ ხალხებთან ურთიერთობა ჯერ კიდევ მიკენელ ბერძნებს ჰქონდათ. სწორედ ბერძნულ წყაროებში გაჩნდა ტერმინები „ფინიკია" და „ფინიკიელები". ამ სიტყვის ეტიმოლოგიაზე აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი დარგის მკვლევრის აზრით, ტერმინი „φοῖνιξ"-ის ეტიმოლოგია, გარკვეულწილად, უნდა უკავშირდებოდეს და ნიშნავდეს „მუქ ალისფერ ფერს", რაც მიუთითებს ფინიკიაში მაღალგანვითარებული საფეიქრო მრეწველობის არსებობაზე. მეცნიერების ერთი ნაწილი ამ ტერმინის ეტიმოლოგიას განსხვავებულად განიხილავს და ახალ თემას – ხეს, კერძოდ კი, ფინიკის პალმას უკავშირებს. ამ მოსაზრებას ეს არგუმენტი განამტკიცებს: ნუმიზმატიკური მასალებიდან ირკვევა, რომ პალმის ხე ფინიკიურ მონეტებზე ხშირად იყო გამოსახული, როგორც რიგი ფინიკიური ქალაქების სიმბოლო.

ფინიკიელები ქანაანის უძველესი მკვიდრი ხალხია, ვინც დააარსა საკუთარი პოლისები, ჰქონდა რელიგიური ცენტრები და, შესაბამისად, ებრაელებისგან განსხვავებული რელიგიური ორიენტირი. მიუხედავად ამისა, ძველი აღთქმის, ანუ ებრაული ბიბლიის, ავტორები არ ცნობენ ბერძნების მიერ შემოთავაზებულ ტერმინს და ცალცალკე განიხილავენ სიდონის, ტვიროსისა და სხვა ქალაქების ისტორიას, ანუ პოლიტიკური ნიშნით გამოყოფენ ამ ქალაქებს ერთმანეთისაგან. შესაძლებელია, რომ ამ ხაზით ისინი გარკვეულ აქცენტს აკეთებენ თავად ისტორიულ რეალობაზე. ცნობილია, რომ ერთიანი ფინიკიური სახელმწიფო არ შემდგარა, მაგალითად, როგორც ისრაელი. ამდენად, მათთვის ტერმინი „ფინიკია" მიუღებელი იყო, რადგანაც ეს ასახავდა, მათი აზრით, პოლიტიკურად ერთიან რეგიონს, სადაც სინამდვილეში დამოუკიდებელი პოლისები არსებობდა. ეს მაშინ, როცა ელინები განსხვავებულად უდგებოდნენ ამ საკითხს, მათ აქცენტი გადატანილი ჰქონდათ სხვა პარამეტრებზე, კერძოდ, გეოგრაფიული რეგიონისა და ეთნიკურ-კულტურული მახასიათებლების ფაქტორზე. ელინები ამ რეგიონის აღსანიშნავად ერთ ტერმინს გვთავაზობენ და არ აინტერესებთ, ამ დროს „ფინიკია", როგორც პოლიტიკური ერთეული, შემდგარია თუ არა ერთიან სახელმწიფოდ.

ქანაანური რელიგიის შესახებ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბიბლია, რასაკვირველია, საინტერესო ცნობები არის დაცული ასურულ, ბერძნულ-რომაულ წყაროებში; გასათვალისწინებელია არქეოლოგიური მასალაც. რაც შეეხება თავად ქანაანურ წარწერებსა და წერილობით წყაროებს, სამწუხაროდ, დიდი ნაწილი ამ უნიკალური დოკუმენტებისა და მასალებისა, რომლებიც ინახებოდა ტვიროსისა და კართაგენის ცნობილ ბიბლიოთეკებში, მაკედონელებისა და რომაელების შემოსევებს ემსხვერპლა. ფინიკიის ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს: უგარითის გათხრების შედეგად აღმოჩენილი წერილობითი მასალები, თელ-ელ ამარნას არქივში აღმოჩენილი წერილები და სხვადასხვა პერიოდის ეგვიპტური წყაროები. ტვიროსის, არვადის, ბიბლოსისა და სიდონის ნანგრევებში აღმოჩენილი მანუსკრიპტები

მოგვითხრობს ამ ხალხის რელიგიურ წარმოდგენებზე, მმართველებსა და მეფეებზე, ისიც ფრაგმენტულად.

ქანაანის ტერიტორიაზე უძველესი ქალაქი იყო გებალი, რომელსაც ბერძნულ-რომაული ხანიდან ეწოდა ბიბლოსი. ძვ. წ. IV ათასწლეულიდან აქ გაჩნდა ურბანული ტიპის სამოსახლოები, ხოლო ძვ. წ. 3100–2200\2100 წლებში ბიბლოსი იქცა ქალაქური ტიპის დასახლებად. ქალაქს იცავდა საფორტიფიკაციო ქვის კედელი და განფენილი იყო სამ ჰექტარ მიწაზე. მას ჰქონდა ორი კარიბჭე-შესასვლელი და კარგად იყო დაგეგმარებული. იმ პერიოდით თარიღდება ჩრდილოეთ სექტორში ორი მონუმენტური სამლოცველოს აგებაც, რომლებიც ეკუთვნოდა „ბაალატ გუბალს" („ბიბლოსის ქალბატონს") და ე. წ. ლათინური „L"-ის ფორმის ტაძარი, ჩვენთვის უცნობი მამრი ღვთაების სახელზე აღმართული. მოგვიანებით იცვლება სამლოცველოების ტიპი და ჩნდება „ობელისკის ტიპის სამლოცველოები". მაგალითად, ცნობილია ამ არქიტექტურული დაგეგმარებით აშენებული რეშეფის სახელობის საკულტო ტაძარი. „ბაალატ გუბალისა" და „ობელისკის ტიპის" სამლოცველოების არსებობა დასტურდება აგრეთვე ელინისტურ ხანაშიც.

„ფინიკიური მეგაპოლისი" – ტვიროსი, ჰეროდოტეს ცნობის თანახმად, ძვ. წ. 2740 წელს დაარსებულა, ხოლო მისი დამფუძნებლის სახელი ჩვენთვის უცნობია. ტვიროსი მდებარეობდა სიდონიდან სამხრეთით და კარმელის კონცხის ჩრდილოეთით. წყაროები მოწმობს იმაზე, რომ ტვიროსელებს აქტიური პოლიტიკური კავშირები ჰქონდათ ეგვიპტესთან. ძვ. წ. X საუკუნის I ნახევრიდან ტვიროსი ფინიკიის ქალაქებს შორის აშკარა ჰეგემონი ხდება. ეს პერიოდი ისრაელში სოლომონის ზეობას ემთხვევა. ტვიროსის მეფე ჰირამი სოლომონს უხვად უგზავნიდა ხის მასალასა და მეტალებს. სწორედ მის ერთ-ერთ ქალიშვილზე დაქორწინდა სოლომონი, რომელიც მისი წარმართული ღვთაებების მიმართ კეთილად განეწყო და ჭეშმარიტი ღმერთის რისხვა დაიმსახურა. ესაია წინასწარმეტყველი ტვიროსს მოიხსენიებს, როგორც „ხალხების ბაზარს" (ესაია 23:3), სადაც „ვაჭრები მთავრები არიან და მისი სოედაგრები – ქვეყნის დიდებულები" (23:8). ეზეკიელ წინასწარმეტყველი ხატოვნად აღგვიწერს ტვიროსის მშვენებას: „ზღვის გულშია შენი საზღვრები, მშენებლებმა სრულყვეს შენი მშვენება; კვიპროსის ხისგან დაგიმზადეს ფიცრები, ლიბანის კედარი მოგიტანეს, რომ ანძა გაეკეთებინათ შენთვის" (ეზეკ. 27:4-5).

ტვიროსის აკროპოლისი, რომელიც მდებარეობდა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთის სექტორში, ძირითად რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა და აქ აგებული იყო მელკარტისა და ასტარტეს სახელობის ტაძრები. ქალღმერთი ასტარტე, იგივე ბიბლიური აშთორეთი, ქანაანელების დიდი ქალღმერთი იყო. მისი კულტი გავრცელებულია ძვ. წ. II ათასწლეულიდან აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლში, მას ეთაყვანებოდნენ უგარითში, ფინიკიასა და პალესტინაში. ასევე, ამ ქალღმერთის კულტი გვხვდება ეგვიპტეში. ასტარტეს ცნობილი ეპითეტი იყო – „ქალბატონი ზღვისა", ხოლო მისი საკულტო სიმბოლო – კერპი წარმოადგენდა სვეტს – ე. წ. აშერას. ეს წმინდა სვეტები, როგორც რიტუალური და საკრალური სიმბოლოები, ისრაელშიც გაერცელებულა ხიზკიას ძის, მენაშეს, მმართველობის ხანაში: მან „ააგო გორაკები... სამსხვერპლოები აღუმართა ბაალს, გააკეთა აშერა" (IV მეფეთა 21:3). აღნიშნული საკულტო სიმბოლოები აღმოჩენილია ტაძრებსა და სამლოცველოებში. სავარაუდოდ, ამ სიმბოლოებს გარკვეული რიტუალური დატვირთვაც ენიჭებოდა.

ქანაანის სხვადასხვა ხალხს თაყვანისცემის ობიექტად არაერთი ადგილობრივი თუ სხვა კულტურული სივრციდან შემოჭრილი ღვთაება ჰყავდა. მათ შესახებ მდიდარ ინფორმაციას ვხვდებით ბიბლიაში. არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულია ასევე საინტერესო მატერიალური კულტურა.

„მსაჯულთა წიგნში" საუბარია იმაზე, თუ როგორ დაივიწყეს ისრაელიანებმა მამა-პაპათა ღმერთი და მიიქცნენ უცხო ღმერთებისაკენ, „დაივიწყეს უფალი და ემსახურებოდნენ ბაალსა და აშთორეთებს" (მსაჯ. 2:12-13). ასტარტა-აშთორეთის კულტი, როგორც ცნობილია, დაკავშირებული იყო რიტუალურ პროსტიტუციასთანაც. დასავლეთ სიცილიაში, სარდინიასა და ჩრდილო აფრიკაში (ტუნისი) ამ ქალღმერთს დიდ პატივს მიაგებდნენ და მისი სახელობის ტაძრები საღვთო პროსტიტუციის ცენტრებად ითვლებოდა. ერიხის ტაძრის შემორჩენილი დოკუმენტებიდან ხდება ცნობილი, რომ „ერისინიელ ასტარტას" ემსახურებოდა ორი საღვთო როსკიპი, დედა და ქალიშვილი. ცნობილია მათი სახელებიც – ამოთმელკარტი – „მელკარტის მსახური" და არიშუთბაარი – „ღვთის მეუღლე". ორივე ქალბატონი, სავარაუდოდ, ქანაანელი იყო. საღვთო პროსტიტუცია, რომელიც ასტარტას უკავშირდებოდა, იერუსალიმშიც გავრცელებულა: მღვდელმთავარმა მეფის ბრძანებით „გაიტანა აშერა უფლის სახლიდან იერუსალიმის გარეთ... დაანგრია უფლის ტაძართან მდგარი როსკიპთა სახლები, სადაც დედაკაცები კარვებს უქსოვდნენ აშერას" (მეოთხე მეფეთა 23:6-7). ტვიროსელი ასტარტა მრავალსახიანი ღვთაება იყო. სექსუალურ ასპექტებთან იგი მებრძოლი და აგრესიული ფუნქციებითაც გამოირჩეოდა. ამის ნათელი დასტურია ტვიროსსა და ასურს შორის დადებულ ძვ. წ. მეშვიდე საუკუნით დათარიღებულ ხელშეკრულებაში მოხსენიებული მისი სახელი, როგორც მებრძოლი, აგრესიული და დაუნდობელი ქალღმერთისა.

ღვთაება მელკარტი ტვიროსის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა. ბერძნები მას ჰერაკლესთან აიგივებდნენ. ტრადიციულად მელკარტი ასტარტეს პარტნიორად ითვლებოდა ტვიროსში. იგი ზღვაოსნობისა და მეზღვაურების მფარველი იყო. მისი კულტი ფართოდ გავრცელდა კართაგენშიც.

რაც არ უნდა ბევრი ვისაუბროთ სხვა ღვთაებებზე, ქანაანის ტერიტორიაზე ყველაზე ფართოდ გავრცელებული იყო ბაალის კულტი. მისი სახელი საკუთრივ ძველ აღთქმაში ყველა სხვა ღვთაებაზე მეტად ფიქსირდება. ბაალი (ებრ. ba'ɨ-დან, რაც „ბატონს" ნიშნავს) ქანაანის ყველაზე მნიშვნელოვანი მამრი ღვთაება იყო. ზოგადად, ტერმინი ბაალი გახდა ბევრი მამრი ღვთაების საკუთარი სახელი, ხოლო ტერმინის მრავლობითი ფორმა „baalim" შესაძლებელია, მიანიშნებდეს ერთი ბაალის მრავალ ფუნქციაზე, ან ქანაანის სხვადასხვა მამრი ღვთაების კრებითი სახელის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდეს ბიბლიის ტექსტებში.

ბაალიმებს ან ბაალებს მრავალი ასპექტი და ფუნქცია ჰქონდა: ისინი მფარველობდნენ და აკონტროლებდნენ მიწის ნაყოფიერებას, ამრავლებდნენ პირუტყვებსა და მოსავალს. მიწის მუშაკი განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა ბაალს, რომლის კულტი მიწის, ნიადაგის ნაყოფიერებას უკავშირდებოდა, რადგან ამ ღმერთის ნებაზე იყო დამოკიდებული ოჯახის ჭირნახულის ზრდა, კეთილდღეობა და დოვლათი. როგორც ცის ღმერთი, იგი უკვე სხვა ასპექტებით გამოირჩეოდა: არეგულირებდა ამინდს და, ამავე დროს, ქარის, ჭექა-ქუხილისა და წვიმის ღვთაებაც იყო. ზოგიერთი მითის თანახმად, იგი მოკვდავი ღმერთია. მაშინ, როცა ის სიკვდილის საუფლოში იყო, ბუნება დედამიწაზე ძილს მიეცემოდა, აღარ მრავლდებოდა საქონელი, მოსავალს არ იძლეოდა ყანა, აღარ ყვაოდა ყვავილი. იგი სამართლიანობითაც გამოირჩეოდა და კანონის უზენაესობასაც იცავდა. ეშინოდათ მისი დამნაშავეებსა და ბოროტმოქმედებს. წერილობითი წყაროებიდან ნათელია, რომ ამ ბაალებს შორის ფუნქციები მკაცრად გამიჯნული იყო. ზოგიერთი მათგანი უფრო ძლიერი და გავლენიანი ჩანს, ზოგიც შედარებით მოკრძალებული ფუნქციებით გამოირჩეოდა და მხოლოდ ერთ სფეროს აკონტროლებდა.

ბაალის სახელი დოკუმენტურ წყაროებში პირველად ჩნდება ჰიქსოსების ბატონობის ხანაში (ძვ.წ. 1700წ.), შემდეგ კი ამარნას ხანის წერილებსა და რას-შამრას (უგარითი) ტექსტებში (ძვ.წ. 1400წ.). მას ეთაყვანებოდნენ მოაბში ბალაამისა და ბალაკის ხანაში: ბიბლიის თანახმად, მაღალ გორაკებზე იყო აღმართული მისი ტაძრები (რიცხვნი 22:41). მსაჯულთა ხანაში პალესტინაში საკურთხevლები და სამსხვერპლოები აღიმართებოდა ბაალის მსახურებისათვის (მსაჯულნი 2:13; 6:28-32). განსაკუთრებული პატივი ერგო ამ ღვთაებას აქაბისა და მისი ფინიკიელი ცოლის, იზებელის, მმართველობის ხანაში; სამარიაში აუშენა მეფემ ტაძარი ბაალს და იქვე აუგო სამსხვერპლოც (მესამე მეფეთა 16:31-32). ამ პასაჟებში ბაალზე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ბიბლია ბაალის კულტთან დაკავშირებული რიტუალების ფორმებზე; აქაბსა და მის ცოლზე განრისხებული ელია წინასწარმეტყველი ხალხს მოუწოდებს, დაუბრუნდნენ ჭეშმარიტ ღმერთს. ხალხმა რომ გაიგოს, თუ ვინ არის ჭეშმარიტი ღმერთი, ქარმელის მთაზე ბაალის მსახურებს იგი ერთგვარ „გამოცდას" უწყობს; ელიას მოთხოვნით, ორ სამსხვერპლოდ გამზადებულ კურატს შეშაზე მოათავსებენ, ქურუმებმა და ელიამ უნდა მოუხმონ თავიანთ ღმერთებს და ღვთაებებმა პასუხი ცეცხლის გაჩენით უნდა გასცენ. ის ღმერთი აღმოჩნდება ჭეშმარიტი, ვინც სამსხვერპლო ცეცხლს მოუვლენს ხალხს (მესამე მეფეთა 18:22-25). სასწაულის მოლოდინში ხალხი დაიძაბა. წარმართები ბაალის სასწაულს ელოდნენ, ხტოდნენ სამსხვერპლოს წინ, თავიანთი ჩვეულებისამებრ, თავს ისერავდნენ მახვილებითა და შუბებით ისე, რომ სისხლი ჩამოსდიოდათ ტანზე. არ გამოეხმაურა მათ ბაალი, ელიას ღმერთმა კი სასწაული მოუვლინა ხალხს; გაჩნდა წმინდა ცეცხლი და შთანთქა აღსავლენი მსხვერპლი. ამის შემდეგ 450 ბაალის ქურუმი ხალხმა კიშონის ხევში ჩახოცა. ბაალის მიმდევრების დევნის შემდეგ მაინც არ მოეგო ისრაელის ხალხი გონს, იეჰუს მმართველობის ხანაში ისინი კვლავ ეთაყვანებოდნენ ამ ღმერთს. წარმართებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა იეჰუმ. დაიწყო მათი მასობრივი დევნა, საგანგებო „ნადირობა" წარმართებზე (მეოთხე მეფეთა 10). ბიბლიის მიხედვით, სამარიაში ერთ-ერთი ქალაქი ბაალის მთავარი რელიგიური ცენტრი უნდა ყოფილიყო, სადაც მისი საკულტო ტაძარი (სახლი) იდგა. ეს ტაძარი ააოხრა იეჰუმ, ბაალის ქანდაკებები მოსპო, თუმცა მანაც ბოლომდე ვერ დააღწია თავი წარმართობას: – „ვერ დაანება თავი ოქროს ხბოებს ბეთელსა და დანში რომ იყო" (მეოთხე მეფეთა 10:29). იუდეის სამეფოს ერთადერთი მმართველი ქალი – ღოთოლია, მეფე აქაბისა და იზებელის ასული, ისრაელის მეფის, ყომრის, შვილიშვილი, იუდეის მეფის, იორამის, ცოლი იყო. მისი მმართველობის ხანაში ბაალის კულტი კვლავ პოპულარობით სარგებლობდა. ცნობილია, რომ ეს დედოფალი ტაძრიდან გამოსული მოკლეს. ისრაელის დიდი წინასწარმეტყველები სასტიკად კიცხავდნენ ბაალსა და მის მსახურებს. იერემია წინასწარმეტყველის ცნობით, ხალხი ბაალის საამებლად საკუთარ შვილებსაც არ ინდობდა (იერ. 19:4-5).

თანამედროვე გადასახედიდან რთულია „ბაალების" იდენტიფიკაცია და მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, თუმცა ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე ღვთაების ზუსტი სახელი ან ეპითეტი. ბაალცაფონი („ჩრდილოეთის ბატონი") – მას ეთაყვანებოდნენ ჯებელ ელ-აქრაში (სირია), უშენებდნენ ტაძრებს უგარითში, აგრეთვე, მისი კულტი პოპულარული იყო ეგვიპტეში XIX დინასტიის მმართველობის ხანაში.

ქამოში მოაბელებისა და ამორეველების ღმერთს ერქვა. მასზე ცნობებს ვხვდებით რიცხვთა წიგნში (21:29), მსაჯულთა წიგნში (11:24), იერემიასთან (48:7; 13:46). მისი სახელის ეტიმოლოგია უცნობია. ძვ. წ. II ათასწლეულის განმავლობაში მას ეთაყვანებოდნენ ებლასა და უგარითში, ხოლო ძვ. წ. I ათასწლეულში ქამოში მოაბელების „დიდი ბაალი" ხდება. ბერძნები მას არესთან აიგივებდნენ, ამდენად, ის მოაბელების ბრძოლის ღმერთიც უნდა ყოფილიყო. ებლაში მას მიწისქვეშეთის ღვთაებად მიიჩნევდნენ, სოლომონის მმართველობის ხანაში იერუსალიმში დიდ პატივს მიაგებდნენ. თავად სოლომონმა აუგო „სამსხვერპლო ქამოშს, მოაბის სიბრალულს, მთაზე, იერუსალიმის პირდაპირ", რათა პატივი ეცა მისი ერთ-ერთი ცოლისათვის (III მეფეთა 11:7). მოაბელები თავიანთ ღმერთს საკუთარ შვილებსაც სწირავდნენ. მოაბის

მეფემ იმისთვის, რომ გული მოეგო ქამოშისათვის და ისრაელის შემოტევისაგან გადაერჩინა ქვეყანა, თავისი პირმშო აღსავლენ მსხვერპლად შესწირა ღმერთს (IV მეფეთა 3:27). ქამოშის მეორე სახელი უნდა იყოს „ბაალ-ფეღორი", რომლის სამსხვერპლო ფეღორის მთაზე იდგა. ბიბლიური ტრადიცია გადმოგვცემს, რომ მოაბელ ქალებთან სასიყვარულო ურთიერთობებმა ისე გაიტაცეს ებრაელები, რომ მათს ღმერთებს სცემდნენ თაყვანს, დადიოდნენ რელიგიურ დღესასწაულებზე და მათთან ერთად საკლავს მიირთმევდნენ (რიცხ. 25:1-2; ფსალ. 105:28)

დაგონი კიდევ ერთი ქანაანური მამრი ღვთაებაა. მას ეთაყვანებოდნენ უგარითში, ჩრდილოეთ ბაბილონში, სირიასა და პალესტინაში. მისი სახელის ეტიმოლოგია არ არის ბოლომდე ნათელი, შესაძლოა უკავშირდებოდეს „წვიმას", იგი მიწათმოქმედებისა და მარცვლეულის ღმერთიც უნდა იყოს. შუა ევფრატზე მას აღმერთებდნენ, როგორც ამინდის ღვთაებას. ებლაში ის პანთეონის სათავეში იდგა, აგრეთვე, მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ მარში. დაგონის კულტი უძველეს ისტორიულ შრეებს უკავშირდება, ჩნდება ურის III დინასტიის ხანაში, აქადის ეპოქაში მოხსენიებულია ნერგალსა და ნინურთასთან ერთად. დაგონის უმთავრესი საკულტო ცენტრი ნიფურში იყო. ახალი ბაბილონის ხანაში მისი ტაძარი აიგო ისინში, ხოლო ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან მისი კულტი გავრცელდა სირია-პალესტინაში. ბაბილონის სასახლის კედლის ფასადზე იგი გამოხატულია, როგორც ნახევრად ადამიანი და ნახევრად თევზი. მას ეთაყვანებოდნენ ფილისტიმელებიც და მისი სახელი ეწოდა ქალაქ ბეით-დაგონს. ფილისტიმელებისთვის დაგონი უზენაესი ღვთაება გახდა. მას ისინი განსაკუთრებულ მსხვერპლს სწირავდნენ და უმართავდნენ დღესასწაულებს (მსაჯ. 16. 23-24). ხელოვნების ნიმუშებზე იგი უცნობი ქალღმერთის გარემოცვაშიც ჩნდება. არ არის გამორიცხული ის, რომ ჰყავდეს მეწყვილე ქალღვთაება, რომელიც, მეცნიერების აზრით, აშთორეთია.

მოლეხი, ანუ მილკომი (ებრ. ha-molekh), ამორეველების უზენაესი ღმერთი იყო. მოლეხი უძველესი უგარითული წარმოშობის ღვთაებაა, რომელიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მიწისქვეშეთის პატრონთან – ღვთაება მალიკთან. მოლეხი ებრაული ვარიანტია მალიკ-მილკომისა. ამ ღმერთის სახელის ბიბლიური ვარიანტია მოლოქი. ცნობილია, რომ ღვთაება მოლოქის კულტთან დაკავშირებული იყო ბავშვთა მსხვერპლშეწირვა, ამაზე მეტყველებს ბიბლიის ის პასაჟები, სადაც საუბარია, თუ როგორ გაანადგურა მეფე იოშიამ წარმართთა კერპები, „წაბილწა თოფეთი, ჰინომის ძეთა ველზე რომ იყო, რათა არავის გაეტარებინა ცეცხლში მოლოქისათვის თავისი ვაჟი ან ასული" (IV მეფეთა 23:10). აღსანიშნავია, რომ სემიტური სამყაროსათვის უცხო არ იყო ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა. მსხვერპლს სწირავდნენ არამეული წარმოშობის ღმერთს – ჰადადსაც, თუმცა ეს ტრადიცია განსაკუთრებით გავრცელებული იყო ქანაანში, ფინიკიურ-პუნიკურ სამყაროში. არქეოლოგიურმა გათხრებმა კართაგენში ნათელი მოჰფინა ამ საშინელ რიტუალს.

ისრაელის დიდი მეფე სოლომონი პატივით ეექცეოდა ამ ღვთაებას, აუგო სამსხვერპლო „მოლოქს, ყამონელთა სიბილწეს მთაზე, იერუსალიმის პირდაპირ" (III მეფეთა 11:7). მოლოქის საკულტო ცენტრს წარმოადგენდა ბენ-ჰინომონის ველი მეფე მენაშეს მმართველობის ხანაში. იმ ველზე ტარდებოდა საშინელი მსხვერპლშეწირვა ახალგაზრდებისა (II ნეშტთა. 33, 6). ისრაელის ხალხიც ემსახურებოდა ამ ღმერთს. წინასწარმეტყველ იერემიას პირით ესაუბრება უფალი თავის გზააბნეულ და ცოდვაში ჩავარდნილ ხალხს და ამცნობს მოახლოებულ განსაცდელს, რომელიც მათ სამართლიანად დაიმსახურეს, წარმართობას მიეჩვივნენ და „აღმართეს ბაალის საკერპოები, რათა ცეცხლში დაუწვან თავიანთი შვილები ბაალს აღსავლენ მსხვერპლად".

ქანაანის ტერიტორია ებრაელთა აქ გამოჩენის პერიოდიდან ყოველთვის იყო ბრძოლის ასპარეზი. თანამედროვე სამყაროშიც აქ არსებულ სახელმწიფოებში მსოფლიოს სამი დიდი რელიგია გვხვდება და ისინი დროდადრო უპირისპირდებიან ერთმანეთს.

ხეთური რელიგია

ხეთური რელიგია ერთ-ერთი უძველესია კაცობრიობის ისტორიაში. ხეთები ცხოვრობდნენ ცივილიზაციის უძველეს კერაზე – მცირე აზიაში, თანამედროვე თურქეთის სამხრეთით. ხეთების სახელმწიფო, რომლის ბირთვი ცენტრალურ ანატოლიაში შეიქმნა, არსებობდა ძვ. წ. XVIII-XIII საუკუნეებში. პოლიტიკური სიძლიერით ხეთების მბრძანებლები უტოლდებოდნენ ეგვიპტის ფარაონებს და ბაბილონის მეფეებს. ეს უკანასკნელნი ხეთებთან აქტიურ დიპლომატიურ კონტაქტს ამყარებდნენ და პარიტეტულ ხელშეკრულებებს დებდნენ.

საუკუნე-ნახევრის წინ ხეთების შესახებ ცნობილი იყო მხოლოდ ის, რისი ამოკითხვაც შეიძლებოდა ბიბლიაში, სახელდობრ, ძველი აღთქმის სხვადასხვა წიგნში. როგორც დღეისათვის ცნობილია, ბიბლიის „ხეთებში" იგულისხმებიან არა ძვ. წ. II ათასწლეულის მცირე აზიის ხეთები, არამედ მათი შთამომავალნი, ხეთების სახელმწიფოს ნანგრევებზე ძვ. წ. I ათასწლეულში ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ სირიაში (ნაწილობრივ პალესტინაშიც) აღმოცენებულ პატარა სამეფოთა მცხოვრებნი. ძვ. წ. II ათასწლეულის ხეთების იმპერიის შესახებ ბიბლიაში ინფორმაცია დაცული არაა.

მხოლოდ XIX ს-ის 80-იანი წლებიდან მოყოლებული ნელ-ნელა ეხდება ფარდა ხეთების საიდუმლოებას. ცნობილი ხდება, რომ ხეთების იმპერიის ცენტრი იყო ანატოლიაში და რომ ბიბლიის ცნობები ხეთებზე, როგორც ქანაანის ერთ-ერთ ტომზე, ხეთების იმპერიის ნგრევის შემდგომ სიტუაციას ასახავს. დღესდღეობით მეცნიერთა უმრავლესობის მიერ გაზიარებული მოსაზრების თანახმად, ძვ. წ. II ათასწლეულის ხეთების სამეფოს შემქმნელები არიან მცირე აზიაში მოსული ინდოევროპელები, რომელთაც მეცნიერები პირობითად „ხეთებად" მოიხსენიებენ, ხოლო მათს ენას – „ხეთურად". ეს ინდოევროპელი ტომები საკუთარ ენას უწოდებდნენ „ნესურს", თანამედროვე კაისერის ახლოს მდებარე ქ. ნესას მიხედვით. ხეთურ ენაზე მათი ქვეყნის სახელწოდება იყო – ხათი. ცენტრალურ ანატოლიაში ხეთების მოსვლამდე არაინდოევროპული ტომები – ხათები (მათ „პროტოხეთებსაც" უწოდებენ) ცხოვრობდნენ. ხათების დედაქალაქი ხათი შემდეგში ხეთების დედაქალაქად იქცა ხათუსას სახელით. იგი მდებარეობდა დღევანდელი ბოღაზქალეს (ადრინდელი ბოღაზქოი) ადგილას, ანკარადან აღმოსავლეთით, დაახლ. 150კმ-ის დაშორებით. ხათუსა მაშინდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ქალაქს წარმოადგენდა.

ხეთური ეთნოსის ჩამოყალიბების პრობლემა არსებითადაა დაკავშირებული ცენტრალური მცირე აზიის ავტოქთონურ ხათურ (პროტოხეთურ) მოსახლეობასა და უძველესი დროიდანვე მასთან მჭიდრო კონტაქტებში მყოფ ინდოევროპულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებულ ურთიერთობებთან. ახლა უკვე დადგენილია, რომ ცენტრალურ მცირე აზიაში მცხოვრებ ხათურ ტომებთან ინდოევროპელი (ნესური) ტომების მშვიდობიანი თანაარსებობის შედეგად, რაც საუკუნეების განმავლობაში გაგრძელდა, ხათური ენა „შთანთქა" ნესიტურმა, რომელმაც, თავის მხრივ, განიცადა გარკვეული ცვლილებანი ფონეტიკაში, ლექსიკაში, მორფოლოგიაში. ასევე, შეიძლება ითქვას, რომ ხათური რელიგიაც „შთანთქა" ნესიტურმა. ნესიტური (ანუ ხეთური) პანთეონი გამდიდრდა ხათური წარმოშობის ღვთაებებით. ხათური რელიგიური რიტუალები სრულდებოდა მოგვიანებითაც, განიცადეს რა მათ უმნიშვნელო ცვლილებები. ნესიტური (ხეთური) რიტუალების გათვალისწინებით, ნესიტების რელიგიურ დღესასწაულთა დიდი ნაწილი ხათური იყო. ზემოაღნიშნული ორი ეთნოსის შერევა-შეჯვარედინების პროცესში ცენტრალურ მცირე აზიაში ჩამოყალიბდა ხეთური ეთნოსი, ხეთების სახელმწიფოს შემქმნელი, რომელმაც მთლიანად აითვისა ხათების კულტურული ტრადიციები. როგორც ვნახეთ, სხვათა ისტორიის მსგავსად, ხეთების სახელმწიფოც აღმოცენდა სხვა ხალხთან, ამ შემთხვევაში – ხათებთან, ასიმილაციის შედეგად.

ხეთების სამეფოს ისტორია სამეცნიერო ლიტერატურაში სამ პერიოდად იყოფა: ძველი სამეფო (ძვ. წ. XVI ს.); შუა სამეფო (ძვ. წ. 1500-1355); ახალი სამეფო ანუ იმპერია (ძვ. წ. 1355-1200). ხეთები ძლიერების მწვერვალს ახალი სამეფოს ხანაში აღწევენ. ამ პერიოდში ხეთ მეფეებს თავიანთი სამფლობელოების გაფართოება აინტერესებდათ. იმპერიის, ანუ ახალი სამეფოს, ხანა იწყება სუფილულიუმ I-ის მეფობით (ძვ. წ. 1355-1320). მან დაიმორჩილა მითანი და დაიწყო ხანგრძლივი მეტოქეობა ეგვიპტესთან სირიაზე ბატონობისთვის, რაც ძვ. წ. 1275 წელს კადეშის ცნობილი ბრძოლით დასრულდა. ძვ. წ. XIII საუკუნის მეორე ნახევარში თუთხალია IV-ის (ძვ. წ. 1240-1215) აღმშენებლობითი და კულტურულ-რელიგიური საქმიანობა იმპერიის შინაგან განმტკიცებას ისახავდა მიზნად, მაგრამ მისი მემკვიდრეების დროს ქვეყანა ვერ გადაურჩა მოჭარბებულ შინაგან პრობლემებსა და გარეშე მტრებს. ეგვიპტური წყაროები ხეთების იმპერიის დანგრევას (დაახლ. ძვ. წ. 1200) „ზღვის ხალხებს" მიაწერენ, მაგრამ სავარაუდოა, რომ მათ გარდა სახელმწიფოს რღვევა დააჩქარა შინაამლილობამ და ეკონომიკურმა კრიზისმა. იმპერიის დედაქალაქი ხათუსა არ ჩანს ერთბაშად დანგრეული. იგი თითქოს თანდათანობით კარგავდა მნიშვნელობას და ქრებოდა. ხეთურმა ცენტრებმა სამხრეთისაკენ გადაინაცვლა და გვიანხეთური ხანის მცირე სახელმწიფოთა მეფეები კიდევ რამდენიმე საუკუნის მანძილზე ეცილებოდნენ ერთმანეთს „ხეთების დიდი მეფის" ტიტულს.

ხეთური რელიგიის წყაროები

ხეთების რელიგია ჩვენთვის მრავალმხრივაა საინტერესო. ხეთებს ეკუთვნით ჩვენამდე მოღწეული უძველესი ტექსტები, შედგენილი ინდოევროპული ოჯახის ენაზე, რაც თავისთავად განაპირობებს ამ ტექსტების ენათმეცნიერულ ღირებულებას. ხეთური პანთეონისა და რელიგიური კულტის შესწავლა საინტერესოა რელიგიის ისტორიისთვის წინა აღმოსავლეთის ხალხებში რელიგიური ურთიერთზეგავლენის სურათის წარმოსაჩენად. რა წყაროები მოგვეპოვება თანამედროვე ეპოქაში ხეთების რელიგიის შესასწავლად? უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ხელთაა აურაცხელი რაოდენობის თიხის ფირფიტა, შესრულებული ლურსმული დამწერლობით ხეთურ და მცირე აზიის სხვა ენებზე, ამავდროულად, მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები.

ხეთების ცივილიზაციის კვლევასთან დაკავშირებულ აღმოჩენათა შორის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მონაპოვრად ითვლება 1906 წელს „გერმანიის აღმოსავლური საზოგადოების" მხარდაჭერით ჰ. ვინკლერის მიერ ბოღაზქალეში დაწყებული გათხრების შედეგად ხეთების დედაქალაქისა და იქ დაცული სამეფო „არქივის" აღმოჩენა. არქივში იგულისხმება არა მისი დღევანდელი გაგება, არამედ თიხის ფირფიტათა კოლექციები. ასეთი არქივები ხეთების სამეფოს ტერიტორიის სხვა ადგილებზეც იპოვეს, მაგრამ ყველაზე დიდი სათუსას არქივია. დღეისათვის მეცნიერთა განკარგულებაშია აქ ნაპოვნი დაახლოებით 30 000 თიხის ფირფიტა და ფირფიტის ფრაგმენტი. ამ ტექსტების დიდი ნაწილი ლურსმული დამწერლობის ადგილობრივი ნაირსახეობითაა შესრულებული. ხეთურ ლურსმულ დამწერლობას საფუძვლად დაედო აქადური (ასურულ-ბაბილონური) დამწერლობის სახეობა, რომელიც ჩრდილოეთ სირიაში იყო გავრცელებული. ხათუსას არქივში ნაპოვნი ტექსტებით ცოცხლდება უძველესი ინდოევროპული ენა. ხათუსას არქივში გამოვლენილია სხვა ენებიც, მათ შორის – კლასიკური ძველაღმოსავლური ენები – შუმერული და აქადური, ხეთური ენის მონათესავე ძველანატოლიური ენები – ლუვიური და ფალაური, აგრეთვე ხურიტული, ბოლოს კი – ხათური, რომელიც ხათუსას არქივის აღმოჩენამდე სრულიად უცნობი იყო მეცნიერთათვის. ამ ენობრივი სიჭრელის მიუხედავად, სახელმწიფოში

ძირითადი ენა ხეთური (ნესიტური) იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანატოლიის ტერიტორიაზე ჯერ ცხოვრობდნენ ხათები და შემდეგ მოვიდნენ ინდოევროპელები (ხეთები). დღესაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ინდოევროპელთა მცირე აზიაში მოსვლის დროისა და გზების საკითხი.

ხეთების რელიგიური პანთეონის შესასწავლად უმთავრესი წყარო სწორედ ხსენებული თიხის ფირფიტებია. მათი შინაარსი მრავალფეროვანია. აქ გვხვდება მითოლოგიური, სარიტუალო, სამისნო და სხვა ხასიათის ტექსტები. მათი გაცნობითა და ანალიზით ხეთოლოგიაში ჩამოყალიბებულია ხეთების რელიგიის სურათი. დადგენილია მისი ხათური (პროტოხეთური) ფენა, გვიან წარმოშობილი კულტები და ა. შ. ხეთური ტექსტების წარმატებული წაკითხვა და გამოქვეყნება დაკავშირებულია ჩეხი მეცნიერის, ბ. ჰროზანის, სახელთან. თავისი კვლევის წინასწარი შედეგები 1915 წლის 24 ნოემბერს მან გააცნო „წინა აზიის ბერლინის საზოგადოებას". ამ დღეს ასირიოლოგმა ოტო ვებერმა ხეთოლოგიის დაბადების დღე უწოდა.

დასავლეთ ევროპის ბევრ სამეცნიერო ცენტრში მთელი XX საუკუნის მანძილზე ხეთოლოგიის განვითარება წარმატებით მიმდინარეობდა. ეს პროცესი დღესაც შეუქცევადია. ორიენტალისტიკის ეს დარგი წარმატებულია საქართველოშიც. მ. წერეთლის, თ. გამყრელიძის, გ. მელიქიშვილის, ნ. ხაზარაძის ნაშრომებში ხეთებთან დაკავშირებული მრავალი პრობლემაა განხილული. განსაკუთრებით საინტერესოა გ. გიორგაძის მოღვაწეობა. მას არაერთი სამეცნიერო წერილი და მონოგრაფია ეკუთვნის ხეთების სამეფოს შესახებ. მათში განხილულია ხეთების რელიგიასთან დაკავშირებული საკითხებიც. ხეთების რელიგიის გასაცნობად ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო ქართულ სამყაროში არის ი. ტატიშვილის ნაშრომები. სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მისი წერილები საფუძვლად დაედო მონოგრაფიას „ხეთური რელიგია" (თბილისი 2001). მასვე ეკუთვნის ხეთური ენიდან არაერთი ხეთური რელიგიური ტექსტის თარგმანი კომენტარებით. ჩვენს სინამდვილეში, აგრეთვე, მოიპოვება გამოკვლევები ხეთების უძველეს ქართულ სივრცესთან ურთიერთობაზე, ქართულ წარმართულ რელიგიაზე ხეთური ელემენტის გავლენის შესახებ და ა. შ.

ხეთური რელიგიური პანთეონი

ხეთური რელიგიური პანთეონი საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ხეთურ რელიგიაში უპირველესად იგულისხმება მცირე აზიის ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ეთნოსების რწმენა-წარმოდგენების ჯამი, რომელიც შეაკავშირეს ხეთებმა. ხეთური რელიგიის ცნობილი მკვლევრის, ა. გოეთეს, თქმით, პირველივე შთაბეჭდილება, რაც ხეთურ ღვთაებათა სამყაროზე თვალის მოვლებითვე იქმნება, არის ქაოსი – ურიცხვი სახელი ღვთაებათა, რომელთაგან დიდი ნაწილი მხოლოდ სახელია ჩვენთვის და ხშირად თითქმის არაფერი, ან ძალიან ცოტა რამ ვიცით ამ სახელის მიღმა, თუმცა ბევრ მათგანს მთავარი ადგილიც კი უჭირავს ხეთურ ღვთაებათა პანთეონში. თვით ხეთურ ტექსტებშიც კი ლაპარაკია სამეფოს „ათას ღვთაებაზე", რაც გადაჭარბება არ არის.

მართალია, ჩვენამდე მოაღწია რელიგიური შინაარსის მდიდარმა წერილობითმა ტრადიციამ, მაგრამ ხეთური რელიგიის შესახებ ნათელი სურათის შექმნა და მასში გარკვევა არ არის მარტივი. მაგალითად, დღესასწაულებთან დაკავშირებულ რიტუალებში შეიმჩნევა სხვადასხვა წარმოშობის ელემენტები. ხეთებისათვის ეს არ წარმოადგენდა პრობლემას. ისინი არ ცდილობდნენ ამ სიჭრელის დამალვას და ოდესღაც სხვისგან შეთვისებულ ღვთაებებს მათს მშობლიურ ენებზეც კი მიმართავდნენ. ეს გვიადვილებს გამოვყოთ ცალკეული კულტურული ფენები ხეთურ რელიგიაში.

ხეთური რელიგიის შექმნაში ინდოევროპულ ტომებს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ. ნესიტებისა და ლუვიელების კუთვნილ ღვთაებებს გარკვეული ადგილი ეჭირათ ხეთურ ღვთაებათა პანთეონში. მათ გარდა შეიძლება გამოიყოს ღვთაებათა შემდეგი „წრეები", – ხათური, ხურიტული, სირიული, მესოპოტამიური, არიული... მათი ხვედრითი წონა და მნიშვნელობა განსხვავებულია და მერყეობდა საუკუნეთა განმავლობაში.

ყველაზე ძველ და მნიშვნელოვან ფენას ხათური ღვთაებები წარმოადგენდა. ხათური რელიგიური ტრადიცია ხეთურ რელიგიაში – ეს არის მრავალრიცხოვან ღვთაებათა კულტი და კულტის მსახურთა ტიტულები, ღვთაებებისადმი მიძღვნილი დღესასწაულები და მითები, რომლებსაც ყვებოდნენ ამ დღესასწაულებზე. ხათური წარმოშობის ღვთაებები ქმნიდნენ ძვ. წ. II ათასწლეულის ხეთების რელიგიური სისტემის ბაზას, ხეთური სახელმწიფო (ოფიციალური) პანთეონის ძირითად შემადგენელ ნაწილს. როგორ მოხდა ხეთების მიერ ხათურ რწმენა-წარმოდგენათა ასეთი მნიშვნელოვანი დოზით შეთვისება? ამ იდუმალებით მოცული საკითხის ტრადიციული და უფრო გავრცელებული გადაწყვეტა იმაში მდგომარეობს, რომ ანატოლიაში ახალმოსულმა ინდოევროპელებმა შეითვისეს მკვიდრი მოსახლეობის – ხათების – მაღალი ცივილიზაცია. მსგავსი რამ ბერძნებსაც გადახდათ. მათ წინაბერძნული მოსახლეობისგან ბევრი გადაიღეს, მათ შორის – რელიგიაშიც, მაგრამ შეინარჩუნეს პანთეონის სათავეში საკუთარი, ინდოევროპული უზენაესი ღვთაება, ზეესი და მას დაუმორჩილეს მრავალი ადგილობრივი ღვთაება. ხეთებმა (ნესიტებმა) ხათებისაგან მიიღეს არა მარტო უამრავი ღვთაება, მათ შორის, უზენაესიც, არამედ, როგორც ჩანს, მთელი რელიგიური კონცეფციაც.

რელიგიური რეფორმა, რომელმაც სათავე დაუდო ამ პროცესს და გადამწყვეტი როლი ითამაშა ხეთური რელიგიის ფორმირებაში, გარკვეულწილად აისახა ე. წ. „ანითას ტექსტში". ანითა უნდა ყოფილიყო ხეთების უადრესი. დინასტიის წარმომადგენელი. იგი ატარებს რეფორმას, რის შედეგადაც ნესიტებმა გადაიღეს ხათური ღვთაებები, რელიგიური კონცეფციები და ჩამოყალიბდა ის რელიგია, რომელსაც ხეთურს ვუწოდებთ. „ანითას ტექსტში" დაცული რელიგიური ხასიათის ინფორმაციის საფუძველზე სავარაუდოა, რომ ტექსტში ასახულია ხეთების მიერ ხათური რწმენა-წარმოდგენების შეთვისების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი – ინდოევროპელ ნესიტთა უზენაესი ღვთაებისა და ხათურ უზენაეს ღვთაებათა წყვილის, ამინდის ღმერთ თარუსა და მზის ქალღმერთ ეშთანის, შეხვედრა-დაპირისპირება, რაც ამ უკანასკნელთა პანთეონის სათავეში მოქცევით დასრულდა. ნესიტთა (ხეთების) უზენაეს ღვთაებასთან სინკრეტიზმის შედეგად ხთონურმა ხათურმა ღვთაებებმა გარკვეულად იცვალეს სახე, შეიძლება ითქვას, ცად ამაღლდნენ, რაც მათს ეპითეტებსა და იკონოგრაფიაში გამოვლინდა. როგორც ვხედავთ, ხათებს ცალ-ცალკე ჰყავდათ წარმოდგენილი მზისა და ამინდის ღვთაებები, ხოლო ხეთებთან (სხვა ინდოევროპულ ტომთა მსგავსად) უმთავრეს ღვთაებას წარმოადგენდა სინათლის ღმერთი. ყველა სხვა ღვთაება იერარქიულად მასზე დამორჩილებული იყო. ანითა ცდილობდა ამინდის ღმერთის კულტის დამკვიდრებას და, ამავდროულად, ზრუნავდა სინათლის ღვთაების კულტზეც, რომელსაც ტაძარი აუგო ნესაში.

ხეთებთან მზის ღვთაებათა სიმრავლე ერთგვარ გაოცებას იწვევს სხვა ძველ რელიგიათა ფონზე. ტექსტებში მზის ღვთაება მრავალგვარი ეპითეტით არის მოხსენიებული – ცისა, მიწისა, წყლისა, სხვადასხვა ლოკალური. საკულტო ცენტრისა. ხეთურ რელიგიურ ტექსტებში ხშირად გვხვდება „მზე ცისა" და „მზე მიწისა". მკვლევარ ი. ტატიშვილის ვარაუდით, ხეთებს მხოლოდ ერთი მზის ღვთაება ჰყავდათ, რომლის საკულტო ცენტრი უძველესი დროიდან ქალაქი არინა იყო, ხოლო ორი ძირითადი მახასიათებელი – „ცისა" და „მიწისა" – ორ განსხვავებულ მზის ღვთაებას კი არ ეკუთვნის, არამედ ერთი მზის ფუნქციური გამოვლინების ორ

უმნიშვნელოვანეს ფორმას, ორ ძირითად იპოსტასს შეესაბამება. ხეთებთან ეს მზის ღვთაების ორ უძველეს ასპექტს წარმოადგენს. მზის ღვთაების ხათურ ეპითეტებს შორის გვაქვს, ერთი მხრივ, ბრწყინვალება\სინათლე, მეორე მხრივ, „მიწის დედა". ეპითეტებით „მზისა" და „მიწისა" მზე გვხვდება ძველ ხეთურ სარიტუალო ტექსტებში, აგრეთვე, ლუვიურ ენაზე შედგენილ ტექსტებში. იქიზ თეფეს (ცალფას) შუა ბრინჯაოს ხანის სამარხში აღმოჩენილ შუბის პირებზე სიმეტრიულად (ორივე მხარეზე) განლაგებულ ანთროპომორფულ ფიგურებში, რომელთაც თავზე მზის დისკო ადგას, მეცნიერები ხედავენ ტექსტებიდან ცნობილი ცისა და მიწის ღვთაებების უძველეს გამოსახულებებს.

ხეთებთან მზის ღვთაების კავშირს მიწასთან საფუძვლად უდევს წარმოდგენა მზეზე, რომელიც საღამოს ჩაესვენება ჰორიზონტზე, რათა შემოიაროს მიწისქვეშა სამყარო და კვლავ ამობრწყინდეს ცაზე. სავარაუდოა, რომ თავდაპირველი მიწის ქალღვთაება, ღმერთების დედა, დედამიწა – „დიდი დედა" ასტრალიზაციის შედეგად დაუკავშირდა მზეს, პერსონიფიცირებულ იქნა მიწიდან ამომავალ და მიწაში ჩამავალ მზეში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ერთ ტექსტში დადასტურებული გამოთქმა „მიწა – ქალიშვილი მზისა" ან „დედამიწის ქალიშვილი – მზე".

ხეთურ ლურსმულ ტექსტებში „მზე ცისა" და „მზე მიწისა" ქმნის ერთიან სახეს – კოსმიურ მზეს, რომლის სამყოფელი მთელ სამყაროს მოიცავს. ხეთების თქმით, ეს არის „ღმერთების მზე", განმასახიერებელი კავშირი ცასა და მიწისქვეშეთს შორის, უზენაესი გამგებელი ყველა ღვთაებისა და ყოველი სულდგმულისა დედამიწაზე, ერთადერთი წყარო სინათლისა ზეციოთა და დედამიწით შემოსაზღვრულ სივრცეში, „ყველა ქვეყნის მამა (და) დედა". ნიშანდობლივია ეს ბოლო ფრაზა, რომელიც გვიხატავს მზის ღვთაებას, როგორც დაუნაწევრებელ, სრულყოფილ არსს, სისრულეს. ალბათ, გვაქვს საფუძველი იმისათვის, რომ ხეთების მზეში დავინახოთ ანდროგინი ან ღვთაება, რომელსაც ანდროგინის ნიშნები აქვს შემორჩენილი. ბუნებრივია, რომ არ შეიძლება იკონოგრაფიულად გამოხატვა სახისა, რომელშიც ორივე სქესი შერწყმულია და შემთხვევითი არ არის, რომ ხეთებთანაც მსგავსი რამ მზის ღვთაებასთან დაკავშირებულ იკონოგრაფიაში არ მოგვეპოვება. ის ან ქალად არის გამოსახული, ან კაცად. თუმცა ეს არ უნდა გამოხატავდეს მის ორსქესიანობას.

ამინდის ღვთაება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ღვთაებაა ხეთებთან. ამინდის ღვთაების იდეოგრამა ტექსტებში გვხვდება მრავალრიცხოვანი ეპითეტის თანხლებით – ცისა, ელვისა, ჭექა-ქუხილისა, წვიმისა, ნამისა, ვენახისა, ურდულისა, ტაძრისა, ხელშეკრულებისა და ა. შ. იგი წარმოგვიდგება, როგორც „ძლევამოსილი", „შიშის მომგვრელი", „მამაცი". აღსანიშნავია, რომ ამინდის ღვთაება ძლიერ გამოირჩევა სხვათაგან საკულტო ცენტრების სიმრავლით. მათი რიცხვი ტექსტების მიხედვით 104-ს აღემატება. მათგან ტექსტებში ყველაზე ხშირად ხათის, ციფალანდასა და ნერიქის ამინდის ღვთაებებს ვხვდებით.

მზისა და ამინდის ღვთაებები ძირითადია ხეთურ რელიგიაში. ისინი მრავალრიცხოვანი საკულტო ადგილების მთავარ ფიგურებად გვევლინებიან. ლოკალური ადგილების მიხედვით შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა ადგილობრივი პანთეონი. პროტოხეთური და საკუთრივ ხეთური წარმოშობის ღვთაებათა გვერდით გვხვდებოდა სხვა ხალხებისგან შეთვისებულ ღვთაებათა თაყვანისცემაც.

ხათუსას პანთეონი იმ სახით, რა სახითაც ის წარმოგვიდგება ახალი სამეფოს ხანაში, რაც, ხეთების თანახმად, 1000 ღვთაებას ითვლის, ხანგრძლივი და რთული პროცესის შედეგს წარმოადგენს. იგი ყალიბდებოდა და ვითარდებოდა საუკუნეების მანძილზე, ხეთების სამეფოს შექმნისა და მისი ვრცელ იმპერიად გადაქცევის კვალდაკვალ. რაც უფრო დიდდებოდა ხეთების პოლიტიკური გავლენის სფერო, მით უფრო იზრდებოდა სახელმწიფოს რელიგიური პანთეონიც. ღვთაებათა რიცხვი იმატებდა არა მარტო ლოკალური ღვთაებების სახელმწიფო პანთეონში შესვლის

შედეგად, არამედ ხეთების ვასალური სახელმწიფოების ღვთაებათა ხარჯზეც. უცხო ღვთაებათა შემოსვლის გზები კარგად ჩანს ტექსტებში – ისინი ხეთ მეფეებს მოჰყავდათ წარმატებული ლაშქრობებიდან ნადავლის სახით. ხათუსილი I-მა ცალფადან და ჩრდილოეთ სირიიდან ჩამოტანილი ღვთაებათა ქანდაკებები და მათი ატრიბუტები, სხვა საბრძოლო ნადავლთან ერთად, ხათუსაში – არინას, მზის ქალღმერთისა და მისი ქალიშვილის – მეცულას, აგრეთვე, ამინდის ღვთაების ტაძრებში, მოათავსა. მურსილ I-მა ბაბილონის აღების შემდეგ მარდუქის ქანდაკება წამოიღო. ეს მეფეები გაეცნენ სხვა ღვთაებებსაც. ძველ სამყაროში გავრცელებული პრაქტიკის საპირისპიროდ, ისინი არ აღიქმებოდნენ მტრად, ტყვედ. უცხო ღვთაებების ხეთების დედაქალაქში გადმოყვანა იმას ნიშნავდა, რომ მათთვის კულტმსახურება ამიერიდან ხათუსაში უნდა შესრულებულიყო. ამ დროიდან, შეიძლება ითქვას, დასაბამი ეძლევა ხურიტული კულტების შემოსვლას ხეთების სამეფოში. ყოველი ღვთაება, მასთან დაკავშირებული საკულტო ტრადიციით, ბუნებრივად მკვიდრდებოდა სახელმწიფო პანთეონში სხვა, იქ უკვე არსებულ კულტებთან დაპირისპირების, მათი განდევნის გარეშე. ხეთებს სწამდათ, რომ მეზობელი ხალხების ან დამორჩილებული ქვეყნების ღვთაებათა კულტის მიღების გზით, ისინი ზრდიდნენ საკუთარი სამეფოს მფარველ ღვთაებათა რიცხვს, მოიპოვებდნენ ახალ, მტრის ღვთაებათა კეთილგანწყობასაც კი და, ამდენად, დამორჩილებულ მოსახლეობაზე კონტროლის საშუალებას. ხშირ შემთხვევაში ნადავლის სახით მოპოვებულ ღვთაებათა წყალობა ისევე აუცილებელი ჩანს მათთვის, როგორც მათი პანთეონის სხვა ნებისმიერი წევრისა, დაპყრობილი ქვეყნებიდან ღვთაებათა გამოსახულებების ჩამოტანა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ხეთების ტერიტორიული ექსპანსიისა.

მეცნიერებაში კამათობდნენ იმის თაობაზე – არის თუ არა ხეთური რელიგია სინკრეტული ხასიათისა. სინკრეტიზმი რელიგიაში არის ორი რელიგიური სისტემის (ან მათი კომპონენტების) ისეთი შეხვედრა, შერწყმა, რომლის შედეგადაც მიიღება მესამე, მათგან განსხვავებული, თუმცა, ცხადია, ორივეს ნიშან-თვისებების მეტნაკლებად შემცველი ახალი სისტემა. ამ მოვლენისათვის აუცილებელ პირობად ძველ სამყაროში მიჩნეულია განსხვავებულ რელიგიურ შეხედულებათა მატარებელ ხალხთა ხანგრძლივი თანაცხოვრება ერთ რეგიონში, ხოლო დამაჩქარებლად – ხელისუფლების გამიზნული ქმედება. ე. ლაროშის აზრით, სინკრეტიზმის გამარჯვება პოლითეისტურ რელიგიებში არ აიხსნება ხალხის სპონტანური მისწრაფებით კულტთა ერთიანობისაკენ. ის, პირველ რიგში, დამოკიდებულია ძლიერ პოლიტიკურ ხელისუფლებაზე დაყრდნობილ ქურუმთა შეგნებულ ნება-სურვილზე. ქურუმების თუ ხელისუფლების ასეთ ქმედებას გარკვეული სიფრთხილით შეიძლება რელიგიური რეფორმაც ეწოდოს. ეგვიპტისგან განსხვავებით, ხეთებთან თითქოს სრულიად საპირისპირო სურათი იკვეთება: ზოგადად, რელიგია სინკრეტულია, ცალკეული ღვთაებები კი – არა. „ხეთების რელიგიური კონსერვატიზმი იქამდე მიდიოდა, – წერს ა. გოეთე, – რომ უცხო კულტებს მათს მშობლიურ ენაზე უსრულებდნენ კულტმსახურებას იმ დროსაც კი, როდესაც ეს ენები უკვე მკვდარი და ძნელად გასაგები იყო. ღვთაებათა კულტების სინკრეტული შერწყმა არ იყო მათთვის დამახასიათებელი გზა...'' აქვე უნდა ითქვას, რომ ამ აზრს ყველა არ იზიარებს.

საინტერესოა, თუ როგორ არის წარმოდგენილი ამა თუ იმ რელიგიურ ტექსტში ღვთაებათა თანმიმდევრობა. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ თუთხალია IV-ის ხელშეკრულება ქურუნთასთან: „(რაც შეეხება) ამ ხელშეკრულების ფირფიტას, რომელიც მე შენთვის შევქმენი, // შეხედე, ამ საქმისთვის ათასი ღვთაებაა კრებაზე // მოხმობილი. დაე, მათ დაინახონ და ისმინონ // და მოწმეები იყვნენ: მზის ღვთაება ცისა, არინას მზის ქალღმერთი, // ამინდის ღვთაება ცისა, ამინდის ღვთაება ხათისა, ამინდის ღვთაება ლაშქრისა...'' როგორც ვხედავთ, დასაწყისში იხსენიება მზის ღვთაება (მზე ცისა, მზე არინასი), მის გვერდით ამინდის ღვთაება (ცისა, ხათისა) თავისი მრავალი იპოსტასითა თუ ლოკალური გამოვლინებით.

ხეთურ მითებში კარგად იგრძნობა, რომ ხეთებისათვის არც ერთი ღვთაება „ათასი ღვთაებიდან" არ არის კოსმოსის უნივერსალური და სუვერენული მმართველი. პოლითეისტურ თეოლოგიაში, სადაც ღვთაებათა სიმრავლე უკვე გამორიცხავს ერთი ღვთაების სრულ სუვერენობას, ეს არც არის გასაკვირი, მაგრამ აღნიშვნის ღირსი და დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ხათურ-ხეთურ მითებს შორის არ არის არც ერთი, რომელიც მოგვითხრობდა სამყაროს შექმნის შესახებ, მსგავსად ხურიტული მითებისა, სადაც მოცემულია ერთი უზენაესი ღვთაების, ერთი უნივერსალური ღვთაების კონცეფცია და კოსმიური ბრძოლაა აღწერილი ღვთაებათა დინასტიებს შორის ზეცაზე პირველობისათვის. მართალია, უზენაესი ღვთაებები — მზისა და ამინდის — ყველაზე მეტად გრძნობენ პასუხისმგებლობას ღვთაებათა და ადამიანთა წინაშე: პირველები ამჩნევენ, როდესაც კოსმიურ წესრიგს საფრთხე ემუქრება, ყველაზე მეტად არიან შეშფოთებულები იმ ამბით, რომ პანთეონის ერთ-ერთი წევრი იკარგება და თავის ფუნქციას არ ასრულებს, ატეხენ განგაშს, მართავენ ნადიმს, რომელზეც პატიჟებენ და დასახმარებლად მოუხმობენ 1000 ღვთაებას. აქ მთავრდება თითქოს მათი უფლებამოსილება. კოსმიური წესრიგის აღდგენა და ქაოსის დაძლევა მათ არ ხელეწიფებათ ყველა ღვთაების თანადგომის გარეშე. ამა თუ იმ ღვთაების ფუნქციათა გათვალისწინებით შესაძლებელია ხეთური კოსმოგონიის აღქმა. ხეთოლოგთა უმრავლესობა იხრება ხეთური კოსმოგონიის ახლოაღმოსავლური პარალელების ძიებისკენ. როგორც ცნობილია, კოსმოსის სამ ნაწილად დაყოფა (ღვთაებებით დასახლებული ცა, მიწისქვეშეთი და მათ შორის მოქცეული დედამიწის ზედაპირი — ადამიანთა სამყოფელი), ინდოევროპულის მსგავსად, არც შუამდინარული კოსმოგონიისთვის არის უცხო (ამის თაობაზე დაწვრილებით იხ. ი. ტატიშვილი, ხეთების კოსმოლოგიის საკითხები, ჟ. „ენა და კულტურა", 2002, №3, გვ. 141-146.)

განხილული მასალის საფუძველზე იმპერიის ხანის ხეთური პანთეონი ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ: მზისა და ამინდის უზენაეს ღვთაებათა გარშემო, თითქოს მრგვალ მაგიდასთან, შემოკრებილი არიან თანასწორი ღვთაებები, რომელთა ფუნქციათა ერთობლიობა განაპირობებს კოსმიურ წესრიგს. ამ ფუნქციათა სრული და ზუსტი ჩამონათვალის მოცემა არ ხერხდება, მაგრამ მათი შესაბამისი ღვთაებების რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო დიდი. ამ მტკიცებას არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ პანთეონში უამრავი ღვთაებისთვის მოიძებნებოდა ადგილი. მყარი იერარქიული ჩარჩოებისა და ელემენტთა შორის სხვადასხვა სახის მკაცრად განსაზღვრული ბმების არარსებულ პირობებში, სისტემა უმტკივნეულოდ იღებდა ახალ ელემენტებს თავისი არსების, ძირითადი პრინციპების შეუცვლელად. ხეთებს უცხო ღვთაებათა თუ რელიგიური სისტემის სხვა ელემენტთა თავისუფლად შეთვისებაში ხელს უწყობდა არა იმდენად გეოპოლიტიკური სიტუაცია თუ პოლითეისტურ რელიგიათა შორისაც კი გამორჩეული შემწყნარებლობა, რამდენადაც სწორედ მათი პანთეონის რელიგიური სისტემის ღია სტრუქტურა, რაც მკაცრი იერარქიის არარსებობასთან ერთად გულისხმობდა ნებისმიერი რაოდენობის ღვთაებისათვის ადგილს ერთ ფუნქციურ ჯგუფში.

რიტუალი

ხეთური რელიგიური რიტუალები ძველი აღმოსავლეთის სამყაროს საინტერესო სურათს წარმოადგენს. რიტუალებში ხშირად ხდებოდა ამა თუ იმ მითის ცერემონიული გათამაშება. იბადება კითხვა, თუ რა როლი ეჭირათ მითებს ხეთების რელიგიურ ცხოვრებაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მითი ყოველი რელიგიის განუყოფელი და ცოცხალი ელემენტია. ჩვენამდე მოღწეული ხეთური მითები, განსხვავებით შუამ-

დინარული და ბერძნული მითებისაგან, არ ქმნის ერთ მთლიან სისტემას. ხეთებმა ვერ მოასწრეს საკუთარი და მეზობელთაგან გადმოღებული ტრადიციების, „ენუმა ელიშის" ან ჰესიოდეს „თეოგონიის" ტიპის, სისტემატიზაცია-უნიფიკაცია, თუმცა შესაძლოა, ახალ სამეფოში ყოფილიყო გარკვეული მცდელობა ამ მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენამდე მოღწეული სახით ანატოლიურ-ხათური წარმოშობის მითები თუ რიტუალები ხეთების დროს ძირითადად ახალი სამეფოს ხანაში ჩაიწერეს. საუკუნეთა მანძილზე ისინი ზეპირ ტრადიციაში არსებობდა, რის გამოც ვერ გამოვრიცხავთ სერიოზულ ცვლილებათა შესაძლებლობას. შესაბამისად, ჩვენ წინაშეა არა ხათური, არამედ ხათურ მოტივებზე შექმნილი ხეთური მითები. მათი მნიშვნელობა ხეთური რელიგიის, პანთეონის გენეზისისა და ფორმირების კელევისათვის უაღრესად დიდია. ტექსტები, რომლებშიც მეტ-ნაკლებად ვრცლადაა მოთხრობილი ხეთური და ხათური ღვთაებების შესახებ, შეიძლება დაჯგუფდეს ორ კატეგორიად: 1. მითი გამქრალი ღვთაების შესახებ; 2. მითი გველეშაპთან ამინდის ღვთაების ბრძოლის შესახებ.

გამქრალი ღვთაების შესახებ მითის განსხვავებული ვერსია არსებობს, სხვადასხვაა ღვთაებაც, რომელიც ამ ვერსიებში გამქრალი ღვთაების როლში გამოდის. მითის ყველაზე ვრცელი ვარიანტი ეხება ღვთაება თელიფინუს და ამიტომ შესაბამისი ტექსტები თელიფინუს მითის სახელითაა ცნობილი. მითის შინაარსი მოკლედ ასეთია: თელიფინუ განრისხებული მიდის. ამან გამოიწვია ის, რომ ქერი და ხორბალი აღარ ხარობს, საქონელი, ცხვარი თუ ადამიანები ველარ მრავლდებიან. მის წასვლას მოჰყვება გვალეა, ბუნების ჭკნობა; შიმშილით იხოცებიან ადამიანები და ღმერთები; ეს უკანასკნელნი ეძებენ თელიფინუს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს და ბოლოს, მას იპოვის ქალღმერთ ხანახანას მიერ გაგზავნილი ფუტკარი, რომელიც ნესტრით დაჩხვლეტს თელიფინუს და ამით კიდევ უფრო გაზრდის მის რისხვას. მაშინ ქალღმერთი ქამრუსეფა შეასრულებს მაგიურ რიტუალს თელიფინუს რისხვის დასაცხრობად. ამის შემდეგ თელიფინუ ბრუნდება და იწყებს ზრუნვას ქვეყნიერებაზე.

თელიფინუ არის ამინდის ღვთაების შვილი. მას იმავე რიტუალებს უსრულებენ, რომლებსაც ამინდის ღვთაებას. მართებულია ი. ტატიშვილის დაკვირვება, რომლის თანახმადაც თელიფინუ არ შეიძლება სრულიად გაუიგივდეს ამინდის ღვთაებას. მთავარი, რაც თელიფინუს ამ უკანასკნელთან აახლოებს, არის მისი სიცოცხლის მომნიჭებელი ბუნება. თელიფინუს (მსგავსად ამინდის ღვთაებისა) ხელშია მცენარეულობის, ცხოველებისა და ადამიანების სიცოცხლე. მართალია, იგი იმალება და არ კვდება დუმუზის, ატისისა და სხვათა მსგავსად, მაგრამ მისი დამალვით გამოწვეული შედეგები, მეცნიერთა აზრით, იგივეა, რაც ნაყოფიერების ღვთაებათა სიკვდილით — წინააზიურ მითოლოგიაში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მითი ამინდის ღვთაების გველეშაპთან ბრძოლაზე ჩართულია რიტუალურ ცერემონიაში.

რიტუალთა აღწერილობებს მრავალრიცხოვანი (დაახლ. 20 000) ოიხის ფირფიტა მოგვითხრობს. ეს შთამბეჭდავი რიცხვი მიუთითებს იმაზე, თუ რა დიდ როლს ასრულებდა კულტმსახურება ხეთების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ხშირად ეხვდებით ერთი და იმავე რიტუალის აღწერილობის ათამდე ასლს, რომლებიც იგზავნებოდა ხეთების სამეფოს პროვინციებში სარიტუალო ცერემონიების სწორად ჩატარების უზრუნველსაყოფად. გასაოცარია რიტუალთა მრავალფეროვნება. ისინი მოიცავდნენ ცალკეული ადამიანის, ადამიანთა ჯგუფისა თუ მთელი საზოგადოების ცხოვრების ყველა ასპექტს. რიტუალებს ასრულებდნენ სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით, იქნებოდა ეს დაბადება თუ სიკვდილი, ომის დაწყება თუ ოჯახური კონფლიქტი, სამეფო ხელისუფლების განახლების საჭიროება, ტაძრისა თუ სასახლის აგება და სხვა. ხეთების რწმენით, ადამიანთა საზოგადოებასა და ბუნებაშიც ყველაფერი ღვთაებათა ნება-სურვილს ემორჩილება. ამ უკანასკნელთა კეთილგანწყობითა და შემწეობით აიხსნება ყოველი წარმატება, ცალკეული ადამიანისა თუ მთელი ქვეყნის კეთილდღეობა. მათს ხელშია ადამიანის სიცოცხლე, მათი გამრავლება და სხვ. ღვთაებებსავე მიეწერება მტერთან დამარცხება, ავადმყოფობა, ეპიდემიების გავრცელება. ეს მათი

ადამიანებისაგან განდგომის, რისხვის შედეგია. მაგიური ფრაზებითა და მოქმედებებით, კულტმსახურებით ცდილობდნენ ხეთები სხვადასხვა უბედურებისაგან თავის დახსნას, ღვთაებათა გულის მოლბობას.

ხეთური რიტუალები საინტერესოა არა მარტო როგორც წყარო ხეთების ყოფითი ცხოვრებისა მათი საზოგადოების სხვადასხვა კუთხით შესასწავლად, არამედ საყურადღებოა თეორიული ასპექტით — რელიგიურ სისტემაში მითისა და რიტუალის ურთიერთდამოკიდებულების შესასწავლად. ანატოლიური მითები წერილობით გაფორმდა სწორედ სარიტუალო დანიშნულების ტექსტებში. ამდენად, ხეთური რიტუალები (უპირატესად, ხათური წარმოშობის) წარმოადგენს საკულტო სისტემის ყველაზე არქაულ ნიმუშებს, რომლებშიც მითი ჯერ კიდევ არ არის რიტუალისაგან გამიჯნული.

პირობითად შეიძლება გამოიყოს რიტუალების სამი დიდი ჯგუფი: 1. ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებთან დაკავშირებული (დაბადება, დაკრძალვა, მეფის ტახტზე ასვლა... თვით მეფისა და დედოფლის ყოველი ნაბიჯი მკაცრად იყო რეგლამენტირებული და გარკვეულ რიტუალს ექვემდებარებოდა); 2. განსაკუთრებულ შემთხვევაში შესასრულებელი (სნეულებები, ლაშქრობისთვის მზადება, სიზმრები, ბუნებრივი სტიქიები, მიცვალებულის სულთან საუბარი, ტაძრების გაწმენდა...); 3. მესამე ჯგუფს ქმნის ე. წ. „დღესასწაულები", რომელთაც ზეიმობდნენ რეგულარულად, სახელმწიფო დონეზე. დღესასწაულთა ცენტრალურ ფიგურებს წარმოადგენდნენ მეფე და დედოფალი. მათს შესრულებაში მონაწილეობდნენ ღვთაებებიც, რომელთა ქანდაკებები საზეიმო ცერემონიების თანხლებით გადაჰქონდათ ერთი ადგილიდან მეორეზე. რიტუალების აღწერაში ძირითადი ყურადღება გადატანილია ტექნიკურ დეტალებზე — იმაზე, თუ როდის, სად და ვის მიერ სრულდებოდა ესა თუ ის სარიტუალო მოქმედება, რომელ ღვთაებებს სწირავდნენ მსხვერპლს — რა სახის და რა რაოდენობით. მრავალდღიანი რიტუალების აღწერა რამდენიმე ფირფიტაზეა მოცემული. ჩვეულებრივ, თითოეულ დღეს ცალკე ფირფიტა ეძღვნება. ფირფიტათა ფრაგმენტულობა ართულებს დღესასწაულების მთლიანი სურათის რეკონსტრუქციას, სარიტუალო ცერემონიათა მსგავსების გამო კი ძნელია, გავარჩიოთ ერთი დღესასწაული მეორისაგან, გამოვყოთ თითოეულისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ძირითადად, მათ მაინც საერთო სტრუქტურა უნდა ჰქონოდათ. პირველი და მეორე ჯგუფის რიტუალებში მაგია იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, რომ მათ შეიძლება მაგიური ვუწოდოთ. მათი უმრავლესობა ხურიტული წარმოშობისაა. გვაქვს ხათური რიტუალები, რომლებიც, ძირითადად, შელოცვათა ფორმითაა მოღწეული. აღნიშნული რიტუალების შემსრულებელთა შორის ყველაზე ხშირად გვხვდებიან: „მოხუცი ბრძენი ქალი", გრძნეული, ამა თუ იმ ღვთაების ქურუმი, ბებიაქალი და სხვ.

ტექსტები, რომლებშიც სადღესასწაულო რიტუალებია აღწერილი, ხეთური რელიგიური შინაარსის ტექსტების ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს. ისინი, როგორც უკვე აღინიშნა, ფაქტობრივად, რიტუალების ჩატარების „ინსტრუქციებს" შეიცავენ და ღვთაებათა არსთან, ბუნებასთან დაკავშირებით თითქმის არაფერს იძლევიან. ამ დღესასწაულების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მსხვერპლის შეწირვა ღვთაებებისათვის. ღვთაებებს მსხვერპლად სწირავდნენ სასმელებს, პურს, ცხოველს, ცხოველის ხორცს. მსხვერპლის შეწირვის აქტად არის, აგრეთვე, მიჩნეული ე. წ. „ღვთაების დალევა". ეს მოქმედება, როგორც წესი, სრულდებოდა მუსიკალური აკომპანიმენტით და მას პურის შეწირვა ახლდა. სხვაობაა ამა თუ იმ ღვთაებისადმი შეწირული მსხვერპლის რაოდენობაში.

რელიგიური რიტუალების შესრულებაში მნიშვნელოვანი იყო ლოცვის წარმოთქმა. შუა სამეფოს ხანიდან მოყოლებული ლოცვებში აშკარად იგრძნობა ბაბილონური გავლენა, თუმცა დღემდე ბოლომდე გამოვლენილი არ არის ამ გავლენის მასშტაბები. ხეთების დედაქალაქის — ხათუსას — არქივში აღმოჩენილია შუმერული და აქადური ლოცვები ხეთური თარგმანებითურთ. ურთიერთობა ადამიანსა და ღვთაებას შორის ერთი ლოცვის ტექსტში შედარებულია ბატონისა და მისი ყმის ურთიერთობასთან. აღსანიშნავია, რომ ღვთაებებისადმი ხეთების დამოკიდებულება პრაგმატულობით ძველი რომაელებისას ბევრად აღემატებოდა.

ღვთაების თაყვანისცემის ადგილი მრავალფეროვანი იყო. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ღია ცის ქვეშ აღმართული სტელა, მთა, მდინარე, წყარო თუ კლდეში გამოკვეთილი ბუნებრივი სალოცავი. ძირითადად კი, კულტმსახურების ადგილი ღვთაების მიწიერი საცხოვრისი – ტაძარი იყო. აქ გახლდათ მისი სატრაპეზოც და მოსასვენებელიც. ხათუსაში დღეისათვის 30 ტაძარია გამოვლენილი. მათი უმრავლესობა ხეთების ახალი სამეფოს გვიანდელ ხანას განეკუთვნება. არქეოლოგთა ვარაუდით, ისინი შესაძლოა აღმართული ყოფილიყო ძველ საკულტო ნაგებობათა ნაშთებზე, რომლებიც დღემდე გაუთხრელი და გამოუკვლეველი რჩება. ყოველ შემთხვევაში, ხეთებს რომ მისწრაფება ჰქონდათ ახალი საკულტო ნაგებობების ძველის ადგილზე აგებისაკენ, ეს ჩანს წვრილობითი წყაროებიდანაც. ჩვენამდე მოაღწია ტექსტებმა, რომლებშიც აღწერილია ტაძრის განახლების რიტუალები. ფაქტობრივად, საქმე ეხება ძველი ტაძრის საძირკველზე ახალი ტაძრის აშენებას. მიუხედავად იმისა, რომ ტაძრების შემორჩენილი ნანგრევები ერთი შეხედვით განსხვავდება, მათი დაგეგმარება ერთგვაროვანია. თითოეულს ჰქონდა მონუმენტური ჭიშკარი, გარეთა და შიდა ეზო. გარეთა ეზოს ირგვლივ განლაგებული იყო სამეურნეო სათავსოები, სადაც ინახებოდა მსხვერპლის შეწირვისათვის საჭირო პროდუქტები, ხოლო საკულტო დანიშნულების ოთახები თავმოყრილი იყო ძირითადად შიდა ეზოს ირგვლივ. ყველა მათგანის ფუნქცია დღემდე გარკვეული არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო კვარცხლბეკზე მდგარი ღვთაების გამოსახულება ან სიმბოლო. ხეთური ტაძრისათვის დამახასიათებელი თავისებურება, რაც მას განასხვავებდა, მაგალითად, ბაბილონური ტაძრისაგან, იყო ის, რომ ღვთაების დანახვა შიდა ეზოდან არ შეიძლებოდა, მისი ქანდაკების ხილვა მხოლოდ რჩეულთა (მეფე-დედოფალი, სამეფო ოჯახის წევრები, დიდი მოხელეები, კულტის მსახურები) ხვედრი იყო.

ხათუსაში გათხრილი ტაძრების ნანგრევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშენებდნენ საფუძვლიანად, თანაც საკმაოდ დიდი ფართობის კომპლექსს. რაც შეეხება ტაძრის ორიენტაციას ხეთებთან, ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ტაძრები ძირითადად მიმართული იყო ჩრდილოეთისაკენ, ჩრდილო-აღმოსავლეთის ან აღმოსავლეთისაკენ (დაწვრილებით ხეთური ტაძრის აგებულებასა და მოწყობაზე იხ. გ. გიორგაძე, „ათასი ღვთაების ქვეყანა", გვ. 134).

რაც შეეხება საკუთრივ ღვთაების ქანდაკებას, მის კერპს, ვერც ერთმა ვერ მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ ხეთ მწერალთა წყალობით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გამოიყურებოდნენ ისინი, რა ზომისანი იყვნენ, რა ეცვათ (გამოსახულებათა უმრავლესობა ანთროპომორფული იყო, იშვიათად – ზოომორფული), რა ატრიბუტები ჰქონდათ, სად იდგა თითოეული და ა. შ. ამის შესახებ მოგვითხრობს ე. წ. „საინვენტარო" და „სადღესასწაულო" ტექსტებში დაცული ცნობები – „ხეთურ კერპთა აღწერილობები". მათი შედგენის მიზანი იყო ტაძრის კუთვნილი ინვენტარის (სხვადასხვა ძვირფასი ლითონისა და ქვისაგან დამზადებული ნივთების, მათ შორის – ღვთაებათა კერპების) შემოწმება და რელიგიურ დღესასწაულთა დროულად ჩატარების უზრუნველყოფა. ეს უდავოდ უნიკალური ტექსტები, მათი დანიშნულებიდან გამომდინარე, საკმაოდ სანდოა ხეთებთან კულტის ორგანიზაციისა და სატაძრო პერსონალის შესასწავლად.

„ხეთურ კერპთა აღწერილობაში" ჩამოთვლილია ღვთაებათა ფუნქციები, აღნიშნულია მასალა, რომლისგანაც კერპებს ამზადებდნენ. ასეთად გამოიყენებოდა ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა, სპილენძი, ხე, თიხა, ძვირფასი ქვებიდან – ლილაქვა. „აღწერილობებში" ძალზე ხშირად დადგენილია ღვთაების ატრიბუტი, რაც გამოიხატებოდა ღვთაების ორიგე ან ცალ ხელში სხვადასხვა საგნის დაკავებით. ეს არსებითი, დამახასიათებელი თვისება ღვთაების ბუნებას განსაზღვრავდა.

ქალღვთაებებს მარჯვენა ხელში, როგორც წესი, უჭირავთ სხვადასხვა ფორმის თასი, ყურძნის მტევანი და სხვა ნივთები, რომლებიც ხშირად ოქროსაგანაა დამზადებული, მარცხენა ხელში კი მათ უპყრიათ „სიკეთის" სიმბოლო — ოქროს რაღაც საგანი, რომლის გამოსახულება დაუდგენელია. მამაკაც ღვთაებებს მარჯვენა ხელში უჭირავთ ოქროს ცული, ზოგჯერ კი — შუბი, მშვილდი, ფარი.

ხეთური ტექსტებიდან გამომდინარე, ერთ ტაძარში შეიძლებოდა რამდენიმე ქანდაკება მდგარიყო. მათ ესაჭიროებოდათ ყოველდღიური მოვლა-პატრონობა — დაბანა, ჩაცმა, კვება, გართობა. ამ ყოველდღიურ კულტმსახურებას ასრულებდნენ ქურუმები. მათ ჰქონდათ აგრეთვე დაკისრებული სხვადასხვა ვალდებულება, დაკავშირებული ღვთაებისა და მისი ქონების დაცვასთან. ტაძარს ჰყავდა მრავალრიცხოვანი მომსახურე პერსონალი, რომლებიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა სარიტუალო ცერემონიაში. ჩვენამდე მოაღწია უაღრესად საყურადღებო ტექსტმა, რომელშიც მოცემულია „ინსტრუქცია ტაძრის მსახურთათვის". კულტის მსახურები პასუხს აგებდნენ შესაწირის, საკულტო ნივთების, ღვთაების სამყოფელის სიწმინდეზე, ღამითაც დარაჯობდნენ, რათა უწმინდური ცხოველი არ შესულიყო ტაძარში, მის კერაში ცეცხლი არ ჩამქრალიყო და სხვ.

ყოველდღიური შესაწირის გარდა, რაც ღვთაების აუცილებელ საკვებად აღიქმებოდა, ღვთაებები — ტაძართა და მათი ქონების ბატონ-პატრონები — იღებდნენ მრავალრიცხოვან შეწირულობას. საინტერესოა, რომ მსხვერპლშეწირვად აღიქმებოდა თავად ტაძრის აგება ღვთაებისათვის. ერთ-ერთი ტექსტის თანახმად, მეფე, რომელიც ტაძარს უგებს ღვთაებას, შემწირველად — „მსხვერპლის რიტუალის უფლად" მოიხსენიება, ამ მსხვერპლის საფასურად კი ღვთაებამ უნდა უზრუნველყოს მისი კეთილდღეობა, მეფობა, შთამომავლობა.

ხეთური რელიგია და ძართული წარმართობა

„ქართლის ცხოვრებაში" აღწერილია ქართული წარმართული პანთეონის ღვთაებათა კერპების აღწერილობა: „და იხილა წმინდამან ნინო, რამეთუ დგა კაცი ერთი სპილენძისა და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვ ოქროსი, და თავსსა მისსა ჩაბალახი ყარი, და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი, და ხელთა მისთა აჭუნდა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა... და კუალად იყო მარჯუენით მისსა კაცი ოქროხი და სახელი მისი გაცი. და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვერცხლისა, და სახელი მისი გაიმ, რომელნი — იგი ღმერთად უჩნდეს ერსა მას ქართლისასა". არმაზის კერპის აღწერილობასთან პირდაპირ კავშირშია ლეონტი მროველის ისტორიული ქრონიკის შემდეგი ცნობილი ადგილი: „რამეთუ აჰა ესერა, ღმერთნი დიდნი, სოფლის მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წვიმისა მომცემელნი და ქუეყანისა ნაშრომთა გამომზრდელნი ღმერთნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ, ყოველისა დაფარულისა გამომეძიებელნი, ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი, გაცი და გაიმ...". აქვე უნდა მოვიყვანოთ კიდევ ერთი ადგილი ლეონტი მროველის იმავე ნაწარმოებიდან: „და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისისა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა".

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, გამოვყოთ არმაზის კერპის აღწერილობის ძირითადი კომპონენტები: კერპის ანთროპომორფულობა და სქესი, მისი პოზა, მასალა, რომლითაც იგი დამზადდა, ღვთაების ატრიბუტები, ღვთაების ბუნება, მისი ჩაცმულობა, კერპის თანმხლები წყვილი ღვთაების არსებობა. ამასთან ერთად, ისმება საკითხი კერპისა და მისი ადგილსამყოფელის სახელწოდებათა იგივეობის შესახებ. როგორც ვხედავთ, არმაზის კერპის აღწერილობა

მთავარ დეტალებში იმეორებს ხეთურ ღვთაებათა აღწერილობას. არმაზის კერპიც (მსგავსად ხეთური კერპებისა) დამზადებულია ლითონისგან და მდგომარეა. თუმცა, უცნაურია, რომ არმაზის კერპი დამზადებული იყო სპილენძისგან, ხოლო მისი თანმხლები ღვთაებათა კერპები – ოქროსა და ვერცხლისგან. ამგვარი რამ ხეთებთან არ გვხვდება. გ. გიორგაძის აზრით, არმაზი თავის თავში უნდა აერთიანებდეს მცირეაზიური წარმოშობის მეომარ და ამინდის ღვთაებათა ფუნქციებს. აკადემიკოსები კ. კეკელიძე და გ. წერეთელი იხრებოდნენ იმ აზრისკენ, რომლის თანახმად არმაზი ირანული წარმოშობის ღვთაება უნდა ყოფილიყო. გ. გიორგაძე ქართული და ხეთური წყაროების შეჯერების შედეგად ასკვნის, რომ არმაზს ირანულ სამყაროსთან კავშირი არ უნდა ჰქონოდა. ამაზე არაფერს ამბობს ქართული მატიანე. მკვლევრის თქმით, სპარსულ სამყაროს კერპი უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ მისი სახელწოდებით, მაგრამ ესეც იმიტომ, რომ ფარნავაზმა დაარქვა რა უსახელო კერპს თავისი სახელი, „ფარნავაზის" მაგივრად მას „არმაზი" უწოდა, რადგან ფარნავაზს სპარსულად არმაზი ერქვა.

გ. გიორგაძის თქმით, „სიტყვა „არმაზი" შეიძლება დაუკავშირდეს ხეთურ-ლუვიურ სიტყვას „არმა(ს)" – „მთვარე". არმაზის კავშირს აჭარამაზდასთან არც ი. ჯავახიშვილი გამორიცხავდა. ეს კერპი მაინც წინააზიურ სამყაროსთან კონტაქტზე მეტყველებს. ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტსაც, რომ ძველ ირანელებს კერპები არ ჰყავდათ. როგორც ვნახეთ, არმაზისა და ხეთურ ღვთაებათა კერპების აღწერილობები სტრუქტურულად თითქმის ერთნაირადაა აგებული. ზოგადად, დაცულია რა აღწერილობის მცირეაზიური მოდელი, არმაზის „აღწერილობა" შეიცავს თითქმის ყველა ძირითად კომპონენტს, რომლებიც ახასიათებს ხეთურ ღვთაებათა „აღწერილობებს".

მკვლევრები საფუძვლიანად ვარაუდობენ ქართული წარმართული ღვთაებების ხეთურ (მცირეაზიურ) სამყაროსთან კავშირზე. ინდოევროპელ ტომთა გარკვეული ნაკადის, ანდა უფრო სამხრეთიდან ქართველურ ტომთა გადმოსახლება ჩვენში შესაძლებლად მიიჩნევა. მათ თან უნდა მოეტანათ თავიანთი ძველი, ანატოლიასთან მჭიდროდ დაკავშირებული რელიგიური ტრადიციებიც.

ირანული რელიგიები

„ო, რა ვრცელი, ძველი და იდუმალია ირანი"
ს. ჰედაიათი

ირანული სამყარო უძლიერესი კულტურული ტრადიციების მქონე არეალია. ამ კულტურის შექმნაში მონაწილეობდა მრავალი ირანულენოვანი ხალხი – სპარსელები, ტაჯიკები, ბელუჯები, გილანები, თალიშები, ხორეზმელები, სოღდელები, პართიელები, ავღანელები და ა. შ. ირანულმა ლიტერატურამ, ხელოვნებამ, მუსიკამ, არქიტექტურამ, ფერწერამ დიდი გავლენა იქონია აღმოსავლეთის სულიერ განვითარებაზე. როგორც წინარეისლამურმა, აგრეთვე ისლამისშემდგომმა ირანმა შეაღწია დასავლეთის სპირიტუალურ ცხოვრებაში. იგი ყოველთვის რჩებოდა ენიგმატური ნიშნებით აღბეჭდილ ერთგვარ მაგნიტად, რომელიც ანდამატივით იზიდავდა მეზობელ ცივილიზაციებს.

ირანის სივრცეში წარმოიშვა განვითარებული რელიგიები. ირანელთა მსოფლმხედველობა პროგრესულ ელემენტებს შეიცავდა აღმოსავლეთის სხვა ხალხების აზროვნების ფონზე. ძველ ირანელებს არ ჰქონდათ კერპები და მათი რელიგია აბსტრაქტულ და განყენებულ ხასიათს ამჟღავნებდა. მათ მიერ შექმნილ თეოლოგიაში არცთუ იშვიათად გვხვდებოდა მეტაფიზიკური საკითხების განხილვა, რაც, ზოგადად, არიული ცნობიერების ნაკვალევზე მიანიშნებს. ირანელები თავიდანვე მიისწრაფოდნენ სინათლის გაღმერთებისკენ, რაც მორალურ ასპექტში სიკეთესთან ასოცირდებოდა. გ. ჰეგელის (1770–1831) დაკვირვებით, ძველ ირანულ რელიგიაში „სინათლეს ამავე დროს გონითის მნიშვნელობა აქვს. იგი სახეა კეთილისა და ჭეშმარიტებისა, სუბსტანციალობაა ცოდნისა და ნებებისა ისევე, როგორც ყველა ბუნებისეული საგნისა. სინათლე ადამიანს იმ მდგომარეობაში აყენებს, რომელშიც მას არჩევანი ძალუძს, არჩევანის გაკეთება კი მას მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა ნაფლულობისათვის თავი დაუღწევია, მაგრამ სინათლე თავის თავში დაპირისპირებასაც შეიცავს, სახელდობრ, სიბნელეს, მსგავსად იმისა, კეთილს ბოროტი რომ უპირისპირდება. სიკეთე ადამიანისათვის სახეზე მოცემული არ იქნებოდა, ბოროტი რომ არ არსებობდეს. როგორც იგი ჭეშმარიტად კეთილი ვერ იქნება, თუ ბოროტება არ იცის, სინათლეც ვერ არის სიბნელის გარეშე. სპარსელების რელიგიაში ამ დაპირისპირებას ჰორმუზდი და აჰრიმანი ქმნიან. ჰორმუზდი სინათლის საუფლოს, კეთილის ბატონია, აჰრიმანი – სიბნელის სამეფოსი, ბოროტისა. მაგრამ არსებობს უფრო მაღალიც, რომლისგანაც ერთიც და მეორეც არიან წარმომდგარნი და მას ზარვანი ეწოდება, ანუ შეუზღუდველი ყოვლადობა. ეს ყოვლადობა სავსებით აბსტრაქტული რამაა, იგი არ არის თავისი თავისთვის მყოფი და ჰორმუზდი და აჰრიმანი მისგან წარმოშობილნი არიან". მართლაც, მკვეთრად გამოხატული დუალიზმი – დაპირისპირება სიკეთისა და უკეთურების საწყისებს შორის არსებითი მომენტია ირანული რელიგიებისათვის. ამგვარ დუალიზმზე დასავლეთში ნაკლებ მსჯელობდნენ. ეს და მსგავსი კომპონენტები ჰქონდა მხედველობაში არაერთ მოაზროვნეს, როდესაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის აზროვნების საპირისპირო მოდუსებს აქცევდნენ ყურადღებას. აქ მოვიყვანთ კ. იუნგის ცნობილ დებულებას: „აღმოსავლური აზრის ზედაპირული გაცნობაც კი საკმარისია იმისათვის, რათა გამოვლინდეს ფუნდამენტური განსხვავება, გამყოფი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა აღმოსავლეთი ეფუძნება ფსიქიკურ რეალობას, ანუ სულს, როგორც არსებობის მთავარ და ერთადერთ თავისებურ პირობას".

ირანული სამყარო ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მახლობელი აღმოსავლეთის რელიგიურ ცხოვრებაში. ირანული რელიგიების მიღმა უპირველესად უნდა ვიგულისხმოთ ზოროასტრიზმი – ერთ-ერთი ადრეული და დოგმატურ-

იერარქიული კუთხით ჩამოყალიბებული რელიგია. მისი ფუძემდებელია ზარატუსტრა (ზარათუშთრა). იგი ყოველთვის იქცევდა ყურადღებას სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნეებში. მას უკავშირდებოდა რთული გნოსტიკური ტექსტები. განსაკუთრებული პატივით იხსენიებს მას XIV საუკუნის ბიზანტიელი ფილოსოფოსი გეორგიუ გემისტუ პლეთონოსი. საზოგადოდ, პლეთონოსი თავის წინამორბედად მიიჩნევდა ყოველი კულტურის გამოჩენილ წარმომადგენელს. აღსანიშნავია, რომ იგი იწყებს ზარატუსტრასგან (ხმარობს ზოროასტრს) და მას ღვთაებრივ საქმეთა ამხსნელებს შორის უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს. მომდევნო ადგილი მიეკუთვნება ელევსინის მისტერიათა დამდგენ ევლომპის, მას მოსდევს კრეტელთა კანონმდებელი მინოსი, ინდოელი ბრაჰმანები და მიდიელი მოგეები, ელინი მოაზროვნეებისგან – პარმენიდე, ტიმაიოსი, პლატონი, პითაგორა, პლოტინი და სხვები. აქ ვერ შევხვდებით სოკრატეს, არისტოტელეს, პროკლეს, დიონისე არეოპაგელს. ეს საინტერესო ვითარებაა მაშინდელ ბიზანტიაში არსებულ მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებებში გასარკვევად. პლეთონოსის აზრით, ზოროასტრი ცნობილი ნაშრომის – „ქალდეველთა მისნების" – ავტორი და პლატონის დონის მოაზროვნეა.

გარდა ზოროასტრიზმისა, ირანული რელიგიების ციკლს მიეკუთვნება მანიქეიზმი – გნოსტიკური ყაიდის რელიგია, რომელმაც შუა საუკუნეებში შეაღწია თითქმის ყველა ქვეყანაში. საკუთრივ ირანისათვის არაბთა დაპყრობების შემდეგ ისლამი, კერძოდ – მისი შიიტური განშტოება ხდება ოფიციალური რელიგია, თანამედროვე ეპოქის მიჯნაზე კი აქ აღმოცენდება ბაჰაიზმი, დღეისათვის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული რელიგია.

ირანული სამყარო ცნობილმა მოაზროვნემ, ფირდოუსის სახლის ხელმძღვანელმა მ. ნოდუშანმა შემდეგნაირად შეაფასა: „ირანი აზიის ერთ-ერთი ქვეყანაა და, ამავე დროს, დაკავშირებულია მსოფლიო ოჯახთან. მაგრამ ეს გახლავთ მეტად როული ინდივიდუალობის ქვეყანა, რომლის მსგავსი ძნელად თუ მოიძებნება. ეს თავისებურება მის სიძველეში, დახვეწილ კულტურასა და მტკივნეულ ისტორიულ გამოცდილებაშია. სწორედ ამ სირთულის გამო ვერავინ გაბედა, ისეთი წარმოედგინა ირანი, როგორიც სინამდვილეშია. ამიტომ ბევრი ურთიერთგამომრიცხავი რამ თქმულა მის შესახებ".

ირანული რელიგიების (ზოროასტრიზმი, მანიქეიზმი) შესწავლის ისტორიაში დიდი წვლილი შეიტანეს ისეთმა დიდმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: ვ. ჰენინგი, ე. ჰერცფელდი, გ. ვიდენგრენი, ა. ქრისტენსენი, გ. ნიბერგი, მ. ბოისი, რ. ცენერი, ს. ტაყიზადე, შ. ანრი-პიუეში.

ზოროასტრიზმი

არიელების რელიგია და ზოროასტრიზმი

ირანელები ითვლებიან ინდოევროპელ ხალხებად, ხოლო ირანული ენები განეკუთვნება ინდოევროპული ენების ოჯახს. ენათა ინდოევროპული ოჯახი ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჯახია როგორც მასში გაერთიანებული ძველი თუ ახალი ენების, ისე ამჟამად ამ ენებზე მოლაპარაკე ადამიანთა რაოდენობით. ირანულ ენებში ერთიანდება სპარსული, ტაჯიკური, ავღანური, ქურთული, ბელუჯური, გილანური, პართიული, სოღდური და სხვა ენები. საკუთრივ სპარსული ენა, რომელიც ცოცხალი ირანული ენებიდან დღეს ყველაზე გავრცელებულია და ირანის ისლამური რესპუბლიკის (60 მლნ. მეტი მცხოვრები) ოფიციალური ენაა, განვითარების 3 ეტაპს მოიცავს: 1. ძველი სპარსული ენა (უძველესი დროიდან ახ. წ. II საუკუნემდე); 2. საშუალო სპარსული, ანუ ფალაური ენა (II–VIII საუკუნეები); 3. ახალი სპარსული (ფარსი-დარი) ენა (IX საუკუნიდან დღემდე).

საკითხი იმის შესახებ, თუ სად ცხოვრობდნენ პირველი არიელები, აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. იგი გულისხმობს იმ ტერიტორიის გარკვევას, საიდანაც ერთ ენაზე მოლაპარაკე უძველესმა არიელებმა დაიწყეს სხვადასხვა მიმართულებით განსახლება. ინდოევროპელების წინარესამშობლოდ დასახელდა ცენტრალური ევროპა, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი, ურალის სტეპები. შედარებითი ენათმეცნიერების განვითარების შედეგად XX საუკუნის ბოლო მეოთხედში ჩამოყალიბდა აზრი, რომ ინდოევროპულ წინარე ენაზე მოლაპარაკეთა ბინადრობის პირვანდელ არეალად უნდა ეცნოთ ისეთი მხარე, რომელიც საერთოინდოევროპული ენის არსებობის პირობებში (ე. ი. ძვ. წ. IV ათასწლეულში და უფრო ადრეც) თავისი გეოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული მახასიათებლებით შეესაბამებოდა იმ სურათს, რომელიც მიიღებოდა წინარე ენის ლექსიკის ლინგვისტური რეკონსტრუქციისა და ევრაზიის კონტინენტის ცალკეული რეგიონების ისტორიულ-გეოგრაფიული, პალეობოტანიკური და პალეოზოოლოგიური, არქეოლოგიური და კულტურულ-ისტორიული მონაცემების შეპირისპირების საფუძველზე. ამ მონაცემებზე დაყრდნობით დამაჯერებლად გამოიყურება შეხედულება ინდოევროპული ტომების წინა აზიიდან განსახლებაზე (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი). წინა აზიიდან მოხდა ინდოევროპული ტომების განსახლება როგორც დასავლეთით, აგრეთვე აღმოსავლეთით. აღმოსავლეთის მიმართულებით წასული უძველესი ინდოევროპული ტომები ხშირ შემთხვევაში არიელებად იწოდებიან. ამ უზარმაზარი ნაკადიდან ნაწილი განსახლდა ირანისა და შუა აზიის ტერიტორიაზე, ხოლო ნაწილმა გზა კიდევ უფრო გააგრძელა და ინდოეთის სუბკონტინენტამდე მიაღწია. ინდოეთში მიგრირებულ ტომებს იქ დახვდათ მაღალგანვითარებული კულტურა, რომლის შემქმნელებიც იყვნენ დრავიდული ტომები. მათთან არიელების თანაცხოვრებით საფუძველი ეყრება ინდურ ცივილიზაციას. ინდოირანული, ანუ არიული, ტომების ნაწილი კი, როგორც ითქვა, ირანში დარჩა. საკუთრივ სახელი ირანი სემანტიკურად უკავშირდება და აღნიშნავს „არიელთა ქვეყანას". ამ დიადი გადასახლების შესახებ მოგონება, რაც ინდოელებმა შემოინახეს, ირანელებში არ მოიპოვებოდა.

არიელებში არსებულმა გაყოფამ განაპირობა ორი დიდი ეთნიკურ-ენობრივი გარემოს – ირანული და ინდური სამყაროების წარმოშობა. თავის მხრივ, ირანულ და ინდურ სივრცეში მოხდა ცალკეული ენებისა და დიალექტების წარმოშობა, თუმცა ყველა მათგანის ფესვები საერთო ინდოევროპულ ფუძეენაში იკარგება. უძველეს ირანელ ტომებად უნდა დავასახელოთ მიდიელები და სპარსელები. ე. ჰერცფელდის შენიშვნით, თავდაპირველად ისინი ერთად სახლობდნენ ჩრდილო-დასავლეთ ირანში. მხოლოდ მას მერე, რაც განადგურდა ელამის სახელმწიფო, რომელიც სამხრეთ ირანში მდებარეობდა, მათი საცხოვრისი დაიჭირეს სპარსელებმა, ხოლო მიდიელები, შესაბამისად, გაიშალნენ ჩრდილოეთში.

ზოროასტრიზმი ირანული რელიგიაა. მასში ყველაზე ნათლად აისახა ბინადარ ცხოვრებაზე გადასული ირანელების რელიგიურ წარმოდგენათა დაპირისპირება მომთაბარეთა რელიგიასთან. არიელების ინდურ და ირანულ ნაკადებად გაყოფამ რელიგიურ მსოფლმხედველობათა განსხვავებაც განაპირობა.

ძველ ინდურ ენაში (სანსკრიტი) „დევა“ აღნიშნავს ჭეშმარიტ ღმერთს. ამ ცნებით აღინიშნება რიგვედაში ღმერთების მრავალრიცხოვანი კრებული, ირანელებთან კი ზარატუსტრას მოძღვრების გავრცელების შემდეგ დევები (დაივები) უთანაბრდებიან ბოროტ სულებს, დემონებს. საშუალო სპარსულ ენაზე (ფალაური ენა) შექმნილი რელიგიური ძეგლების მიხედვით, დაევები ბოროტების ღვთაების, აჰრიმანის, ქმნილებები არიან. როგორ აიხსნება ამგვარი ბიპოლარული ომონიმია? ამას საფუძველი სწორედ არიული ტომების ორ – ინდურ და ირანულ ნაკადად გაყოფაში აქვს. მომთაბარე არიელების რელიგიას დაუპირისპირდა ბინადარ ცხოვრებაზე გადასული არიელების რელიგიური წარმოდგენები. აქედან გამომდინარე, მომთაბარეთა მიერ ღვთაებებად მიჩნეული არსებები ბინადართა ცნობიერებაში ავსულებს გაუიგივდნენ.

თვით ზოროასტრელთა მთავარი რელიგიური წიგნიდან – ავესტადან – ჩანს, რომ ზარატუსტრას დროს არსებობდა ორი ერომანეთისგან განსხვავებული რწმენა. გარეულ, მოხეტიალე ტომებს სწამდათ დევა (დევი, დაევა. სანსკრიტზე იგი, როგორც არსებითი სახელი, ნიშნავს ცას, ხოლო ზმნური მნიშვნელობით – ბრწყინვას), ანუ ძველი არიული ღმერთები, რომელთაც ისინი ცხოველებს სწირავდნენ, ბინადარი ცხოვრების წესზე გადასულ ირანელებს კი – ჯოგის მფარველი ღვთაება აჰურა და საქონლის მოვლა-მოშენება წმინდა საქმედ მიაჩნდათ. ამ გარემოებამ განაპირობა დევების ბოროტ სულებად მოხსენიება ავესტაში. მოგვიანებით ამ სახელით ზოგადად მოიხსენიებოდნენ არამაზდეანური ღვთაებები. ამის ნათელი ნიმუშია აქემენიდი მეფის, ქსერქსე I-ის, ცნობილი წარწერა პერსეპოლისში.

ზარატუსტრას ცხოვრების დრო და ადგილი

ზოროასტრული რელიგიის ფუძემდებლად ითვლება ზარატუსტრა. მისი ცხოვრების ბევრი დეტალი ბურუსითაა მოცული. ბოლო დრომდე სამეცნიერო ჰიპოთეზების სფეროს განეკუთვნება საკითხი ზარატუსტრას ცხოვრების ეპოქისა და ადგილის თაობაზე. დიდი ხანია, უარყოფილია აზრი ზარატუსტრას მითიურობაზე და ეჭვს არ იწვევს, რომ ის ისტორიული პირია. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ მისი მოღვაწეობის ხანად უმეტესად მიიჩნევენ წინარეაქემენიდურ პერიოდს, ხოლო ადგილად – აღმოსავლეთ ირანს, თანამედროვე ავღანეთს ან მის ჩრდილო ტერიტორიას. ეს უნდა ყოფილიყო დრო, როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ირანში არ ზიარებოდა საქალაქო ცივილიზაციას და მისდევდა მესაქონლეობას.

მ. ბოისი მიიჩნევს, რომ ზარატუსტრა ცხოვრობდა ძვ. წ. 1700-1500 წლებს შორის, ბ. გაფუროვის აზრით, არაუგვიანეს VII საუკუნისა, ვ. აბაევის ვარაუდით კი, I ათასწლეულის I ნახევარში. ი. დიაკონოვი ზარატუსტრას მოღვაწეობას აქემენიდების წინარე ხანას უკავშირებს. მისი შეხედულებით, ავესტაში არაა არავითარი ხელჩასაჭიდი ფენა, რომ იგი აქემენიდების თანამედროვედ მივიჩნიოთ. ავესტას მატერიალური კულტურა არქაულია, აქ არაა მინიშნებული დიდი ქვეყნები, ფულის ერთეული და ა. შ.

ე. ჰერცფელდი ზარატუსტრას აქემენიდური ირანის ძლევამოსილი მეფის – დარიოს I-ის (522–486), თანამედროვედ მიიჩნევდა.

ტრადიცია ზარატუსტრას მიაკუთვნებს სპიტამის საგვარეულოს. გვიანდელი

გადმოცემა ასახელებს ზარატუსტრას მშობლებისა და შვილების სახელებსაც (მას უნდა ჰყოლოდა 3 ვაჟი და 3 ქალი). საკუთრივ სახელი ზარატუსტრა ძველი სპარსულია. ეტიმოლოგიურად იგი, ერთი ვერსიით, შესაძლოა აიხსნას, როგორც „მფლობელი ოქროს აქლემებისა"; ვ. აბაევი ამ სახელს თარგმნიდა „ძველი აქლემების მფლობელად"; ამერიკელი ირანისტი რ. ფრაი ასე განმარტავდა: „ის, ვინც აქლემებს ატარებს". ერთი რამ უდავო იყო – ამ სახელში აშკარად ფიგურირებდა სიტყვა „აქლემი". ევროპაში ბერძნების გზით მისი სახელის ფორმად დამკვიდრდა ზოროასტრი.

ზარატუსტრას ცხოვრების ხანაზე თითქმის ფანტასტიკურია ანტიკურ ავტორთა აზრები. ყველა მათგანი ერთსულოვანია იმ საკითხში, რომ იგი უძველეს დროში მოღვაწეობდა. ბერძნული წყაროები ასახელებს არარეალურ ციფრებს, რის გამოც მათზე დაყრდნობა უსაფუძვლოა. მათთან საყურადღებოა მხოლოდ ერთი ასპექტი – ზარატუსტრა უკვე ანტიკურ ეპოქაში არქაულ ეტაპზე მოღვაწედ მიიჩნეოდა. ჰ. ნიბერგი თვლიდა, რომ ზარატუსტრას ცხოვრების წლებად საუკუნეების წინარე პერიოდის მიჩნევა ემსგავსება ირანულ წარმოდგენას კოსმიური არსებობის 12000 ციკლზე. მართებული არ უნდა იყოს აზრი, რომ სპარსელები ბერძნებს საგანგებოდ ატყუებდნენ და არ აწვდიდნენ მათ სწორ ინფორმაციას ზარატუსტრაზე. უფრო დამაჯერებელია, რომ ბერძნებთან კონტაქტის დროს სპარსელებმა თვითონვე არ იცოდნენ ზუსტი ხანა ზარატუსტრას ცხოვრებისა. მკვლევრები, აგრეთვე, არ იზიარებდნენ X საუკუნის ცნობილი შუაზიელი მეცნიერის, ალ-ბირუნის, ცნობას, რომლის მიხედვით ზარატუსტრა ალექსანდრე მაკედონელამდე 258 წლით ადრე ცხოვრობდა.

ზოროასტრული გადმოცემების თანახმად, ზარატუსტრას 30 წლის ასაკში უნდა ჰქონოდა გამოცხადება. ეს დიდებული მოვლენა აღწერილია გათებში, ამ რელიგიის საგალობლებში, რომელთა ავტორობა თვით ზარატუსტრას მიეწერება და ავესტის კანონიკურ ტექსტს ეკუთვნის: „ოდეს გცან, ჰოი მაზდავ, წმინდანად, მოვიდა ჩემთან ვოჰუმანა და მკითხა: ვინა ხარ? ვისი ხარ? რით გსურს ანიშნო განკითხვის დღე შენიანებს' და თვით შენი? და ჯერ ვუთხარ მას: „ზარათუშთრა". მე ვარ, რაც შეიძლია, მტერი დრუგიანელთა, მაგრამ მტკიცე საყრდენი აშაიანელთა, – მოსაპოვებლად უსაზღვრო მეუფეობისა, სანამ გაქებ, მაზდავ და გადიდებ" (გათა 43). ზარატუსტრას სამოციქულო მისიისთვის გამორჩევა, აგრეთვე, აღწერილია ფალაურ ენაზე დაწერილ თხზულებაში – „ზადსპრამი". მისი ცნობების თანახმად, ერთხელ ზარატუსტრა მონაწილეობას იღებდა შეკრებაში, რომლის მონაწილენიც გაზაფხულის დღესასწაულს ზეიმობდნენ. განთიადისას ზარატუსტრა მდინარეში შევიდა წყლისთვის, რათა მოემზადებინა ჰაომა. როდესაც იგი ნაპირზე დაბრუნდა, მის წინ გაზაფხულის დილის ჰაერში აღმოცენდა ჩვენება. მან იხილა ბრწყინვალე არსება, რომელმაც თავი ვოჰუმანად (კეთილი აზრი) გამოაცხადა. ვოჰუმანამ ზარატუსტრა წარადგინა აჰურამაზდასან და ხუთ სხვა ელვარე არსებასთან. ამ შვიდი ღვთაებისაგან ზარატუსტრას განეცხადა ჭეშმარიტება და მასზე დაკისრებული მისია.

გათებიდან ზარატუსტრა ჭეშმარიტების მაძიებლად გვევლინება. იგი მსოფლმხედველობრივ კითხვებზე პასუხს აჰურამაზდასგან ელის:

„ამასა გკითხავ, ჰოი, აჰურავ! მითხარ სიმართლე:
ვინ იყო პირველშემქმნელი, მამა აშასი?
ვინ წესყო გზა მზისა და ვარსკვლავთა
და ვინ – მთვარისა ნება და ცხრომა?
ესაა, ჰოი, ბრძენნო, რაც მსურს ვიცოდე
ამასა გკითხავ, ჰოი აჰურავ! მითხარ სიმართლე:
ვინ დაიცვა ძირს მიწა და ზე ცა დავარდნისაგან?
ვინ – წყალნი და მცენარენი?
ვინ შეაუღლა სისწრაფე ქარისა და ღრუბელთა?
ვინ არს, ბრძენო, შემქმნელი კეთილი აზრისა?

ამას გკითხავ, ჰოი, აჰურავ! მითხარ სიმართლე:
რომელმა შემოქმედმა შექმნა ნათელი და ბნელი?
რომელმა – ძილი და ღვიძილი?
ვინ შექმნა დილა, შუადღე და საღამო,
გონიერს რომ თავის მოვალეობას მოაგონებენ?" (გათა 44).

ზარატუსტრას მიერ ქადაგებული რელიგიური მოძღვრება მკვეთრად გამოხატული დუალიზმით ხასიათდებოდა. იგი მიჯნავდა კეთილ და ბოროტ საქმეებს, რომელთაგან პირველს – სინათლის სამეფოდ, ხოლო მეორეს წყვდიადის გამოვლენად თვლიდა. მანვე მიანიშნა ადამიანის უმაღლეს დანიშნულებაზე – გაეკეთებინა არჩევანი ამ ორ საწყისს შორის. ზარატუსტრა მომსწრე უნდა ყოფილიყო მომთაბარე არიელთა თავდასხმებისა მშვიდობიან, ბინადარ მოსახლეობაზე. მომთაბარენი ძარცვავდნენ მოსახლეობას და ხოცავდნენ პირუტყვს. ამიტომ ახალ რელიგიაში სიბნელის სამეფოს საქმიანობად მიიჩნეოდა საქონლის განადგურება, ხოლო მისი გამრავლება სიკეთედ აღიქმებოდა. მომთაბარე არიელების მიერ თაყვანცემული ღვთაებები – დაევები ზარატუსტრამ თავიდანვე დემონურ ქმნილებებად გამოაცხადა.

ახალ რელიგიას იმ ტერიტორიაზე, სადაც ზარატუსტრა ცხოვრობდა, წარმატება არ უნდა ჰქონოდა. ზოროასტრულ ტრადიციაში არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად ზარატუსტრამ მიატოვა სამშობლო და გაიქცა სხვა მხარეში, სადაც ერთ-ერთი სახელმწიფოს მეფე კავი ვიშტასპიმ იგი პატივით მიიღო და გახდა კიდევაც მისი სარწმუნოების მიმდევარი.

როგორც აღვნიშნეთ, საკითხი ზარატუსტრას სამშობლოს შესახებ საკამათოა. ზოროასტრიზმში არსებული მითიური გეოგრაფიული პუნქტების ქვეშ შესაძლოა ვიგულისხმოთ სხვადასხვა ადგილი. უფრო სავარაუდოა აღმოსავლეთ ირანი, თუმცა ტრადიციული გადმოცემები არც აზერბაიჯანის ტერიტორიას არ გამორიცხავს. ხორასანში არსებობდა კიპარისის ხე, რომელსაც ვიშტასპის ზოროასტრიზმზე მოქცევის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. სხვა გადმოცემა ზარატუსტრას დაბადებას მიაკუთვნებს თეირანთან ახლოს მდებარე ქალაქ რეის და გვამცნობს ზარატუსტრას ჰიჯრაზე აღმოსავლეთში, სადაც მისი სწავლება გაიზიარა მეფე ვიშტასპიმ.

საზოგადოდ, გათებში ვიშტასპი სამართლიანობისა და ჭეშმარიტების მომხრე მმართველის სახით წარმოჩინდება: „ადამიანთაგან ვინც სპიტამა ზარათუშთრას პატივსა სცემს, იგი ღირსია ქებისა: მას მაზდა აჰურა უბოძებს მეორე სიცოცხლეს, მას გაუმრავლებს საქონელს ვოჰუმანა... ჰოი, ზარათუშთრა! რომელი მორწმუნეა შენი მეგობარი დიად კავშირში? ანუ ვის სურს გაითქვას სახელი? – ესაა კავი ვიშტასპა, საბოლოო გამარჯვების მონაწილე. შენ შეკრებ მათ შენს სამყოფელში, ჰოი, მაზდა აჰურავ! მოვუწოდებ მათ კეთილი სულის ბრძნული სიტყვით" (გათა 46). „კავი ვიშტასპიმ იმთავითვე უთაოსნა მორწმუნეებს, მიიღო რა მოძღვრება ვოჰუმანას ნაკვალევზე, აშასთან ერთად, აჰურამაზდამ რომ შექმნა" (გათა 51). სხვაგან ვიშტასპი ზარატუსტრას ვაუსა და ფრაშაოშტრასთან ერთადაა დასახელებული, რომელიც, ასევე, ზარატუსტრას მომხრე იყო, როგორც რელიგიის წინამძღოლი: „კავი ვიშტასპა, ზარათუშთრას ძე – სპიტამა და ფრაშაოშტრა სარწმუნოებას გზას უკაფავენ, აჰურამაზდამ რომ დააწესა" (გათა 53). სწორედ გათებიდან გამომდინარე ცდილობდა ე. ჰერცფელდი ისტორიული რეალიების პოვნას ზარატუსტრას ბიოგრაფიაში, როდესაც მისი მოღვაწეობა დაუკავშირა დარიოს I-ის მეფობას ირანში. დარიოს I-ის მამასაც ერქვა ვიშტასპი, რომელიც განაგებდა სისტანის სატრაპიას. მისი რეზიდენცია იყო ნიშაბურში. მკვლევარმა გარკვეული მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე გააიგივა ზარატუსტრას მფარველი ვიშტასპი დარიოსის მამა ვიშტასპისთან. მეცნიერთა უმრავლესობამ ეს მოსაზრება არ გაიზიარა.

ზარატუსტრა თავის თავს გათებში მოიხსენიებს, როგორც ზაოტარს, რაც მიანიშნებს, რომ იგი იყო კულტის მსახური. რელიგიათა ფუძემდებლებში ის მოციქუ-

ლიცაა და მღვდელმსახურიც. ზარატუსტრა უნდა ყოფილიყო ძველი არიული რელიგიის ქურუმი. აშკარაა, რომ ახალი რელიგიის ქადაგებისას მან შემოინახა არიული რელიგიის ბევრი ელემენტი, განსაკუთრებით – რიტუალურ სწავლებებში. მან შეინარჩუნა „ქურუმობის" ინსტიტუტი, აგრეთვე გათების ძველი პოეტური ფორმა, რომელიც ძალიან ჰგავს ვედების მეტრიკას. ზარატუსტრამ ასევე მიიღო ართას არიული გაგება, რაც სიმართლეს ნიშნავდა. ავესტაში მისი შესატყვისია აშა (ინდ. rta). ზოროასტრიზმში არაერთი ტერმინი იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, რომელიც მათ არიულ რელიგიაში ჰქონდათ. არსობრივი სხვაობა რიგვედასა და ავესტას შორის ის არის, რომ გათებში ერთმანეთისგან გამიჯნულია თაყვანისმცემელი (თვით ზარატუსტრა) და ღვთაება. გ. ვიდენგრენი გათების შექმნის ადგილად არალის ზღვის სანაპირო რეგიონს მიიჩნევდა, ჟ. დიუშენ–პერონი – სოღდის ტერიტორიას, ხოლო მ. დიაკონოვი უპირატესობას ბაქტრიას ანიჭებდა.

ზოროასტრული მოძღვრება

ზოროასტრიზმი იყო მკვეთრად გამოხატული დუალისტური რელიგია, რომელიც არსებულ ყოფიერებას სინათლისა და წყვდიადის სამეფოთა ურთიერთბრძოლის ასპარეზად აცხადებდა. როგორც აღინიშნა, ამ რელიგიის წარმოშობაში აშკარაა ერთგვარი დაპირისპირება არიელების რელიგიასთან. ეს უპირველესად არიული ღმერთების – დაევების ბოროტ სულებად გამოცხადებაში გამოიხატა.

ზოროასტრიზმის შესასწავლად უპირველესი წყაროა მთავარი საკრალური წიგნი – ავესტა, რომელიც სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება. მასში აისახა ამ რელიგიის თეოლოგიური დოქტრინის არქაული ფენა. სასანიდურ ეპოქაში შექმნილი რელიგიური წიგნები აირეკლავს ზოროასტრიზმის მიერ მოგვიანებით ათვისებულ სწავლებებს. ამ პერიოდის ზოროასტრიზმში გამოიყოფა ყველა რელიგიის დინამიკური თვისება – მოძღვრების განვითარება, კულტის გართულება, პარალელურად არსებული თეორიების შერწყმა.

ზოროასტრიზმის თანახმად, სინათლისა და სიკეთის სამეფოს გამგებელია ღვთაება აჰურა მაზდა („სიბრძნის ბატონი"; ფალაურად ohrmazd), ხოლო ბოროტებისა და წყვდიადის სამეფოს მართავს ღვთაება ანჰრა მანიუ (ფალაურად ahriman). ორივე საწყისს გარს ახვევია ამალა დამხმარე ძალებისა, რომელთა სახელებშიც ინდოირანელთა უძველესი პანთეონის კვალი იკითხება.

აჰურას სახელი, სავარაუდოდ, ზარატუსტრამდე გვხვდებოდა არიელებში. თუმცა ეპითეტით – მაზდა, იგი ზარატუსტრას დროიდან გვხვდება. ზარატუსტრამ გაამდიდრა მისი მნიშვნელობა. ზოგი მეცნიერის აზრით, ადრეულ ეტაპზე ამ ღვთაებასთან შერწყმული იყო მითრაც, რასაც ის ფაქტიც უნდა მოწმობდეს, რომ გათებში მითრას სახელის ხსენებაც არაა.

ღვთაება აჰურამაზდას სახელი ავესტას ტექსტებში იწერებოდა ცალ-ცალკე: <აჰურა მაზდა> და მხოლოდ მოგვიანებით დამკვიდრდა ტრადიცია მისი სახელის ერთად დაწერისა: <აჰურამაზდა>. მას უპირისპირდებიან დევები აჰრიმანის მეთაურობით.

აჰურამაზდა უსხეულოა და შეუძლებელია მისი ხილვა. იგი ყოველგვარი სიკეთის შემქმნელია. სულიერი სამყაროსათვის თავდაპირველად მან შექმნა ვოჰუმანა და შემდეგ სხვა ამეშასპენტები, ხოლო მატერიალურ სამყაროში შექმნა ცა, წყალი, მიწა, მცენარეები, ცხოველები, ადამიანი, ვარსკვლავები, მთვარე, მზე, ცეცხლი და „ყოველგვარი სიკეთე", ასევე, სულიერი სახეები ყველა იმ ქმნილებისა, რომლებიც ხორციელი სახით ებრძვის ბოროტ სულებს და შექმნა ათი თევზი, რომლებიც იცავდნენ წმინდა ხეს – ჰაომას. მან დააბრკოლა მავნე ქმნილებების გამრავლება

დედამიწაზე. მისგან იღებს სათავეს ყველაფერი, რაც ადამიანისთვის სასარგებლოა. აჰურამაზდამ შექმნა ასევე ყველაზე ღირებული – ადდგომა, როდესაც მკვდრები იხილავენ მზის სინათლეს, მაშინ აჰურამაზდა მოევლინება ქვეყნიერებას პირველ ქურუმად და ყველაფერი აღორძინდება, რის შემდეგაც სამყარო სამუდამოდ გახდება უკვდავი. ჯ. დარმსტეტერი აჰურამაზდას „ცის ღვთაებად" მიიჩნევს, ვინაიდან მისი მრავალი თვისება ციურ წარმოშობაზე მიუთითებს. ის „თეთრია, ნათელი, ხილული შორიდან, მზე მისი თვალებია, მდინარეები – მეუღლენი, ელვა – მისი ვაჟი. ის მოფენილია ვარსკვლავებით, დაფარულია ცით და ცხოვრობს უსასრულო ნათელ სივრცეში".

ადამიანები აჰურამაზდას ქმნილებათა რიცხვს განეკუთვნებიან, ამიტომ მის დამხმარე ძალებად გვევლინებიან ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში. აჰრიმანის მიერ სამყაროში მოტანილი ბოროტების გამო აჰურამაზდამ შექმნა სწავლება – მაზდეანური რწმენა, რომელიც მან გადასცა ზარატუსტრას, ამ უკანასკნელისგან კი შეითვისა მისმა მფარველმა – ვიშტასპამ. აჰურამაზდა „ფიქრობს სამართლიანობაზე" და მისი საქმეებია „მოწყალება, სიკეთე და სამართლიანობა". მისი სურვილია, რომ ადამიანებმა იცნონ იგი. თხუთმეტი წლის ასაკში პიროვნებამ უნდა იცოდეს, რომ იგი ეკუთვნის აჰურამაზდას. ადამიანი მხოლოდ მაშინ დაუახლოვდება აჰურამაზდას, თუ გამოიჩენს გონიერებას, სიმართლეს, კეთილშობილებას, მადლიერებას, ზომიერებას. სამოთხეში ცხოვრებისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, რომ „ყველაფერი კარგი აჰურამაზდას მიერ არის შექმნილი". აჰურამაზდას თვისებებია ყველაფრის ცოდნა, მართვა, შემოქმედებითობა. იგი მომთმენი და უვნებელი ღვთაებაა. მას, როგორც „შემოქმედს", ეძღვნება ყოველი თვის პირველი დღე, მის სიმბოლოდ ულასმინის ყვავილი მიიჩნევა.

ბოროტების მეუფე აჰრიმანი აჰურამაზდას მეტოქეა. მისი ეპითეტებია: დაწყევლილი, ბოროტების მსურველი, სიკვდილით აღვსილი, დამანგრეველი. მისი თვისებებია: უვიცობა, დაბნეულობა და შიში მართალთა წინაშე; იგი არაა ყველაფრის მცოდნე. მკვიდრობს სიბნელეში და ამოძრავებს ნგრევის ენება. აჰურამაზდასგან განსხვავებით, „ის იყო, არის, მაგრამ აღარ იქნება". აჰრიმანს აქვს „კუნძისმაგვარი ხელიკის" („ბაყაყი") სხეული. „შაჰ-ნამეს" მიხედვით, მეფე ტაჰმაურუპი 30 წლის განმავლობაში მას იყენებდა ცხენად. ზოროასტრელმა ვირაფმა აჰრიმანი იხილა ჯოჯოხეთში, სადაც იგი ცოდვილებს დასცინოდა.

აჰრიმანი მკვიდრობს ჯოჯოხეთში, რომელიც მდებარეობს „დედამიწის ცენტრში", სადაც „მან გახვრიტა მიწა და ჩამოვარდა იქიდან". აჰურამაზდასთან ბრძოლაში დასახმარებლად აჰრიმანმა დევები შექმნა. მათი მეშვეობით იგი ზიანს აყენებდა სინათლის სამეფოს მესვეურებს. მანვე შექმნა სიცრუე და აჰურამაზდას ყველა ქმნილებას ბოროტებას უპირისპირებდა. მის შექმნილად მიიჩნეოდა ყველა პლანეტა, რის გამოც ისინი ბოროტი თვისებების მატარებლებად მოიაზრებოდნენ. აჰრიმანისგან იღებდა სათავეს სნეულებათა მთელი წყება. გვიანდელი გადმოცემებით, აჰრიმანის ძალის გამოვლენად აღიქმებოდა ალექსანდრე მაკედონელი თავისი დამანგრეველი ქმედებებით. აჰრიმანი ცდილობდა ზარატუსტრას ცდუნებას, თუმცა ამას ვერ მიაღწია.

აჰრიმანთან ბრძოლისას აჰურამაზდას მთავარი დამხმარეები არიან ადამიანები. აჰრიმანი ცდილობს, რომ მათგან საკუთარი თავი დაიფაროს. ადამიანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა არ მოექცეს აჰრიმანისა და დევების ზეგავლენის ქვეშ. აჰრიმანი იკვებება ადამიანში არსებული ნეგატიური ემოციებით. მისი დემონები ხალხში ვლინდებიან ისეთი გრძნობების სახით, როგორებიცაა: „სიძუნწე, რისხვა, შური, სირცხვილი, სიბილწე, სამაგიეროს გადახდა, სიზარმაცე, ცთომილება და ცილისწამება". ადამიანებს აჰრიმანი უგზავნის სიბრმავესა და სიყრუეს. მასში კონცენტრირებულია ბოროტი საქმეები, ჯადოსნობა, ცრუ მოძღვრებათა გავრცელება. სუსტი ნებისყოფის ადამიანი აჰრიმანსა და დევებს ჯოჯოხეთში მიჰყავთ, მაგრამ გონების ძალით შესაძლებელია აჰრიმანის დამარცხება.

როგორც ვხედავთ, დაპირისპირება სიკეთისა და ბოროტების საწყისებს შორის ყველაფერში ვლინდება. მთელი კოსმოსი მათი ურთიერთშეჯახებისა და დაპირისპირების პანორამულ სურათს წარმოადგენს. ზოროასტრიზმის ესქატოლოგია ბოროტების სრულ განადგურებას ქადაგებს.

აჰურამაზდას ბრძოლაში უპირველესად ექვსი წმინდა სული ეხმარება. ესენი არიან: ვოჰუ მანა (კეთილი აზრი, ფალაურად ბაჰმანი), აშა ვაჰიშტა (ფალ. არდვაჰიშტ), ხშათრა ვარია (შაჰრივარ), სპენტა არმატი (ფალ. ისფენდარმად), ხაურვატატი (ფალ. ხორდად) და არმტატი (ფალ. მორდად). ამათგან ხუთს ვედებში ჰყავს შესაბამისი მონაცვლე: ვასუ, ვასიშტხა, ქშატრა, სარასვატი და ამრიტა, რაც მიგვანიშნებს მათს, როგორც დამოუკიდებელი ღვთაებების, ინდოირანულ წარმოშობაზე.

ამეშასპენტები გაჩნდნენ აჰურამაზდას მიერ. თავდაპირველად მან შექმნა ვოჰუ მანა, ხოლო მისი დახმარებით – დანარჩენი ქმნილებანი. ამეშასპენტები არსებობენ და მოქმედებენ არამატერიალურ სამყაროში, „სულიერ ჭრილში". ისინი მკვიდრობენ „დაუსრულებელ ნათელში" აჰურამაზდასთან ერთად. „ბუნდაჰიშნის" თანახმად, ამეშასპენტები სხედან ზეცაში აჰურამაზდას გვირგვინის წინ – მარჯვნივ განლაგებულნი არიან მამრობითი სქესის ვოჰუ მანა, აშა ვაჰიშტა, ხშათრა ვარია, ხოლო მარცხნივ – მდედრობითი სქესის სპენტა არმატი, ხაურვატატი და არმტატი (თავი XXVI). დღეში სამჯერ ამეშასპენტები ჩამოდიან მატერიალურ სამყაროში და იკრიბებიან ცეცხლის ტაძარში, სადაც ტოვებენ სამართლიანობასა და სათნოებას. ამიტომ საჭიროა ტაძარში სიარული და მიღება იმ მადლისა, რომელიც ამეშასპენტებმა იქ დატოვეს. ამეშასპენტები არა მხოლოდ ეხმარებიან ადამიანებს სწორი გზის ძიებაში და აჯილდოვებენ სამოთხეში, არამედ ახსენებენ მათს სამომავლო აღდგომას. აღდგომის შემდეგ, როდესაც აჰურამაზდა შეერკინება აჰრიმანს, თითოეული ამეშასპენტი დაამარცხებს თავის მოწინააღმდეგეს ბოროტების სამეფოდან, სადაც მათი რიცხვი აგრეთვე ექვსია – აკა მანა (ბოროტი აზრი), ანდარა, სავარა, ნაკაედა, ტარიჩა და ზარიჩა. აჰურამაზდა და მის მხარეს მყოფი ამეშასპენტები უსხეულონი არიან, მაგრამ თითოეულმა მათგანმა მატერიალურ სამყაროს მისცა თავისი წარმომადგენელი, რომლის მეშვეობით დედამიწაზე ახორციელებენ იმას, რაც სამყაროს სულიერს ხდის. ვოჰუ მანა მფარველობს პირუტყვს, აშა ვაჰიშტა – ცეცხლს, ხშათრა ვარია – ლითონს, სპენტა არმატი – მიწას, ხაურვატატი – წყალს, არმტატი – მცენარეებს. ადამიანმა უნდა იზრუნოს დასახელებულ სტიქიებსა და საგნებზე და ამ გზით აამებს ამეშასპენტებს, თავის სულს კი დაიხსნის აჰრიმანისა და დევებისაგან. ამეშასპენტების შემდეგ თაყვანისცემის ობიექტები არიან იაზატები. განსხვავებულია სულიერი და ხორციელი იაზატები. პირველთა სათავეში კვლავ აჰურამაზდა დგას, ხოლო მეორეთა წინამძღვრად თვით ზარატუსტრა გვევლინება. ამ უკანასკნელთა რიგს განეკუთვნება აგრეთვე მზე, რომელიც აჰურამაზდას თვალად მიიჩნეოდა (ისევე, როგორც მითრასი), ვარსკვლავი სირიუსი, ღმერთქალად პერსონიფიკაციაქმნილი ზეციური მდინარე არდვისურა ანაჰიტა და სხვები. იაზატების მომდევნო საფეხურზე დგანან წმიდა, მფარველი სულები, რომელთაც ფრავაშები ეწოდებოდა. მათი რიცხვი უაღრესად დიდია. ისინი იცავენ ყოველ ადამიანსა და კეთილ ქმნილებას.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ამეშასპენტებს წყვდიადის სამეფოდან უპირისპირდებიან მოწინააღმდეგე ძალები – ავესტის თანახმად, დაევები, ფალაური წარმოთქმით, დევები. არსებობს ზემოხსენებული 6 მთავარი დაევა: აკა მანა, ანდარა, სავარა, ნაკაედა, ტარიჩა და ზარიჩა. მთავარ დევებს მიეკუთვნება ასევე აეშმა – რისხვის დევი; დევებს ჰყავთ დამხმარე ბოროტი სულები – დრუგები და პარიკები. აჰრიმანმა დევები შექმნა მას შემდეგ, რაც სიცრუე დაბადა. ერთი ვერსიით, ისინი სოდომური ცოდვის შედეგად შეიქმნენ. ფალაურ მწერლობაში იხსენიება არაერთი დევის სახელი. დევები პლანეტებთან ერთად ებრძვიან აჰურამაზდას ქმნილებებს. მათი თავშეყრის ადგილი ჯოჯოხეთია, სადაც ისინი მონაწილეობენ ცოდვილთა დასჯაში. ზოგჯერ

დევები შედარებულნი არიან ფინიკის ხესთან. ფაქტია, რომ ისინი ანთროპომორფულ იერს არ ატარებენ. დევების საქმე ბოროტებითაა სავსე. ბევრი მათგანი სამყაროში საღამოობით მოდის. მათი განდევნა რიტუალების სწორად შესრულებას ძალუძს.

მართალია, ბოროტებისა და სიკეთის უმთავრესი ღვთაებები – აჰურამაზდა (ჰორმუზდი) და ანჰრამანიუ (აპრიმანი) თანაბარძალოვან საწყისებად გვევლინებიან, მაგრამ პირველი მათგანი მარადიულად იქნება, ხოლო ბოროტება მარცხდება. ეს ყველაფერი მოხდება სამყაროს ესქატოლოგიურ ფინალში, ანუ, ზოროასტრული რწმენით, მომავალში, მაგრამ იბადება კითხვა: როგორია სწავლება ამ ღვთაებათა გენეზისზე? ისინი დაუსაბამოდ არიან მიჩნეულები თუ არა? ზოროასტრიზმის განვითარებამ ამ პრობლემის ახსნის აუცილებლობა დააყენა, რომლის გადაჭრამ ეს რელიგია ირანული წარმოშობის განსხვავებულ მოძღვრებასთან დააახლოვა. ეს იყო ზარვანიზმი.

ზარვანი (ფალ. zurvan) ნიშნავს დროს. იგი ძველ ირანულ წარმოდგენებში აბსტრაქტული და განუსაზღვრელი დროის ღვთაება იყო. მასთან დაკავშირებული რელიგიური სწავლებების სერია წინარესასანიდურ ხანაში დამოუკიდებელ ირანულ რელიგიად არსებობდა. ზარვანიზმის რელიგიას საკუთარი მოგვები უნდა ჰყოლოდა. გ. ვიდენგრენის შენიშვნით, სასანიდების პერიოდიდან ხდებოდა ზარვანისტ მოგვთა და ზოროასტრ ქურუმთა შერევა. ამის შემდეგ ირანში ზარვანიზმის ისეთმა ტალღამ იმძლავრა, რომ ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ ზარვანისტული ყალიბით მოჭრილ ზოროასტრიზმზე. „ბუნდაჰიშნი" შეიცავს სხვადასხვა ზარვანისტულ სწავლას, მაგრამ გადამუშავებულს ზოროასტრელთა მიერ. ზარვანის სახელს დაუკავშირეს აჰურამაზდასა და აჰრიმანის წარმოშობა. ამ გვიანდელი მითის შესახებ მოგვითხრობს როგორც ფალაური წყაროები, აგრეთვე – სომეხი ერესიოლოგი ეზნიკ კოლბელი.

ზარვანიზმთან შერწყმული ზოროასტრული დოქტრინით, მაშინ, როდესაც არ არსებობდა არაფერი, იყო მხოლოდ ზარვანი, რომელიც 1000 წლის განმავლობაში მსხვერპლს სწირავდა, რათა შესძენოდა ძე, რომელსაც უნდა შეექმნა სამყარო. ბოლოს, როცა შეეჭვდა, ჩაესახნენ ტყუპები – აჰურამაზდა მსხვერპლშეწირვის შედეგად და ანჰრა მანიუ კი – ეჭვის. ზარვანმა აღთქმა დადო, რომ ვინც პირველი გამოცხადდებოდა მის წინაშე, ის მიიღებდა მეფობას. აჰურამზადამ განჭვრიტა მისი ფარული აზრები და გულუბრყვილოდ გაუმხილა აჰრიმანს. ამ უკანასკნელმა არ დააყოვნა, მყისიერად წარუდგა მამას. ზარვანმა უარყო იგი, რადგან ბნელის წილი იყო, ეტყობოდა, ბოროტების ქმნა ეყვარებოდა. ამასობაში ბუნებრივი წესით დაიბადა აჰურამაზდა, ნათელი და კეთილსურნელოვანი. ზარვანი მიხვდა, რომ ის იყო მისი ჭეშმარიტი ძე, რომელსაც უნდა შეექმნა მშვენიერი სამყარო. აჰრიმანმა ზარვანს შეახსენა აღთქმა, რომლის თანასმად ზარვანი მეუფებას პირველ ძეს ჰპირდებოდა. ზარვანი იძულებული გახდა, ორივესთვის მიეცა შემოქმედების ნიჭი, თუმცა განჭვრიტა, რომ მათ შორის მუდმივი პაექრობა იქნებოდა, ვიდრე აჰურამაზდა საბოლოოდ არ ძლევდა აჰრიმანს. ამის შედეგად ქმნილებებში ორივე ძალის ანარეკლია: აჰურამაზდამ შექმნა ცეცხლი, აჰრიმანმა მას შურით კვამლი დააყოლა; აჰურამაზდამ გადმოადინა მტკნარი და გემრიელი წყლები, აჰრიმანმა – უგემური და მწარე; აჰურამაზდამ გააჩინა ცხოველები, აჰრიმანმა მათ სისასტიკე ჩაუნერგა; აჰურამაზდამ შექმნა სიმართლე, აჰრიმანმა – სიყალბე; აჰურამაზდამ შექმნა და ირგვლივ შემოიკრიბა ამეშასპენტები, აჰრიმანმა კი – უწმინდური არსებები – დევები და დაავალა მათ, ხელი შეეშალათ კეთილი სულებისათვის. ასე ებრძვიან ერთმანეთს ნათელი და ბნელი ძალები, ხოლო ადამიანს ევალება, არჩევანი გააკეთოს მათ შორის.

ამგვარია ზარვანისტული ახსნა ნათელი და ბნელი საწყისების წარმოშობაზე. ორთოდოქსულმა ზოროასტრიზმმა მიიღო ეს შეხედულება, თუმცა ავესტაში არაფერია ნათქვამი ზარვანის ამ ფუნქციაზე. ტყუპი ღვთაებების შესახებ სწავლება სასანიდების დროს დაკანონდა. ზოროასტრული კოსმოგონია თავის თავში მოიცავს ერთგვარ დილემას: აქ ყველაფერი ადამიანის ჩათვლით განმსჭვალულია მრჩობლი ბუნებით.

კოსმოლოგიურ აქტში განხორციელდა სამყაროს მოწესრიგება მისი შემადგენელი ელემენტების მეშვეობით. ცისა და წყლის შემდეგ აჰურამაზდამ შექმნა მიწა, რომელიც მდედრობითი სქესისაა. ის დამყარდა კოსმიური სივრცის ცენტრში, მსგავსად „კვერცხის წიაღში მყოფი კვერცხის გულისა". აჰრიმანის შემოტევისას მიწა შეზანზარდა და მისგან მთები აღმოცენდა. მდედრობითი სქესისაა ასევე წყალი, ხოლო ცა, ქარი, ცეცხლი და ლითონი – მამრობითი სქესისა. ეს უკანასკნელი პირველმა ადამიანებმა აღმოაჩინეს ქვაში, დაამუშავეს და მისგან ნაჯახი გააკეთეს. ლითონი მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე აპოკალიპტურ მოვლენებში. აღდგომისას გამდნარი ლითონი დედამიწაზე მდინარის სახით გადმოიღვრება და მასში ყველა ადამიანი განსაწმენდელად შევა. მართალთათვის ეს თბილ რძეში სიარულის მსგავსი იქნება, ხოლო ცოდვილთათვის იგი ავარვარებულ ლითონად გადაიქცევა.

კოსმოგონიის შემდეგ უნდა განვიხილოთ ამ რელიგიის კოსმოლოგია და ესქატოლოგია. ზოროასტრული წარმოდგენა სამყაროს არსებობაზე უკავშირდება სწავლებას ზოროასტრული ეპოქების შესახებ: სამყარო შემოფარგლულია დროში. შარადისობა წინ უსწრებს დროს, როგორც მისი პირველმიზეზი. შემოფარგლულ დროში მიმდინარეობს სამყაროული, ისტორიული მოვლენები. როდესაც მათ ზღვარი დაედება, კვლავ დადგება მარადიულობა, დაუსაბამო ჟამის სუფევა. გ. ვიდენგრენი აქ ხედავს ზარვანიზმის ძლიერ ფილოსოფიურ ფუნდამენტს, თუმცა ზარვანი ყოველთვის აბსტრაქტული პრინციპის საზღვრებს არ სცილდებოდა. აქედან გამომდინარე, მარტივი გასაგებია ის ფაქტი, თუ რატომ არ სწირავდნენ მას მსხვერპლს კულტმსახურებისას. მაზდეანური თეოლოგიის მიხედვით, კოსმოსის არსებობაში უმეტესად სამი, ზოგჯერ კი ოთხი ეპოქა გამოიყოფა. თითოეულის ხანგრძლივობა 3000 წელს გრძელდება. ამდენად, წყაროები სამყაროს ხანგრძლივობას ხან 9000 წლით განსაზღვრავს, ხან – 12000 წლით. ე. ბენვენისტის აზრით, 9000 წელიწადში იგულისხმება არამაზდეანური, ზარვანისტული კონცეფცია, ხოლო 12000-ში – მაზდეანური. ჰ. ნიბერგის მიხედვით, პირიქითაა: 12000 წელიწადი ზარვანისტულ დოქტრინას მოასწავებს, 9000 – მაზდეანურს, მიუხედავად იმისა, რომ „ბუნდაჰიშნი" თავის არაზარვანისტულ ნაწილში 12000-წლიან სისტემას წარმოგვიდგენს. ა. ქრისტენსენის თანახმად, ქრონოლოგიური განსხვავება არ შეესაბამება საერთო განსხვავებას მაზდეანობასა და ზარვანიზმს შორის. ორივე დოქტრინას შეეძლო საწყისი 3000 წელიწადი ჩაერთო თავის თავში ან გამოერიცხა. იგივე 12000 წელიწადი მოცემულია ალ-ბირუნის მიერ მოგვთა რელიგიის აღწერაში. მსგავსი პოზიცია უჭირავს თანამედროვე ზოროასტრელების (პარსების) მოძღვრებასაც. ამერიკელი ირანისტი რ. ფრაი 12000 წელიწადს, ზოგადად, არიულ წარმოდგენებს უკავშირებს, ხოლო 9000 წელიწადს – ზოროასტრულ ესქატოლოგიას. 12000-წლოვან ციკლზე წარმოდგენა შემდეგ ეტაპებად დაიყოფა: I. 3000 წელი – აჰურამაზდა მეფობს; II. 3000 წელი – აჰრიმანი უტევს აჰურამაზდას (ამ დროის მოვლენათა სიმეტრიის ცენტრია ზარატუსტრას გამოცხადება და მისი სწავლების მოტანა); III. 3000 წელი – აჰურამაზდა და აჰრიმანი გათანაბრდებიან; IV. 3000 წელი – აჰურამაზდა დომინირებს (საბოლოო განახლება). აჰურამაზდას მეფობას უკავშირდება მითიური მეფის, იამას, ზეობა. ის იყო პიროვნება, რომელმაც პირველად იგემა სიკვდილი ისტორიაში. აჰურამაზდას ძლიერების შერყევისას დედამიწაზე მის მიერ გამორჩეულია პიროვნება – ზარატუსტრა, რომელიც შეახსენებს ადამიანურ მოდგმას ჭეშმარიტებას. მისი ქადაგების მუდმივი თემაა ადამიანების განშორება წყვდიადის საქმეებისგან. ზარატუსტრათი იწყება მესიათა სერია, რომელთა რიცხვიც სამია. მათგან უკანასკნელი – სიაოშიანტი ყველაზე სრულყოფილია. ზოროასტრიზმის ეს მესიანისტური ფენა ნათესაურ სულს პოულობდა ძველი აღთქმის რელიგიასთან, რის გამოც ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან არ გვხვდება ირანული სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა. ერთი ვერსი-

ით, მაცხოვრის თაყვანსაცემად ჩასული მოგვები, რომელთა ისტორიაც მოთხრობილია მათეს სახარებაში, ზოროასტრელი ქურუმები იყვნენ. მათი რელიგია მესიის შობის მოლოდინს არ გამორიცხავდა.

ირანული ესქატოლოგიური სურათი, ჰ. ნიბერგის აზრით, მოკლებულია ჭეშმარიტ ესთეტიკურ მიმზიდველობას. მკვდართა აღდგომისას მარადიულ ნეტარებას მიეცემიან ჭეშმარიტების ერთგულნი. ირანულმა სამყარომ, ინდურის მსგავსად, არ ცნო სამყაროთა პერიოდულად განახლების იდეა. მისი სწავლებით, კოსმოსის ფინალში ბოროტება და წყვდიადი განადგურდება და დამყარდება აჰურამაზდას სრული ტრიუმფი.

ზოროასტრიზმის თანახმად, მკვდართა აღდგომამდე გარდაცვლილი სულები, რომლებიც ჭეშმარიტ რელიგიას მისდევენ, სინათლისა და დიდების სამყოფელში მოხვდებიან, სადაც აჰურამაზდა მეფობს, ცრუმოძღვარნი და კერპთაყვანისმცემელნი კი – ბნელეთში, სადაც დემონები მკვიდრობენ. ის, ვინც კეთილ საქმეებს აკეთებს, ანადგურებს მავნე ცხოველებს, გველებს, მტაცებლებს, გულმოდგინედ ამუშავებს მიწას, რგავს სასარგებლო ხეებს, სიკვდილის შემდეგ გაბრწყინებულ ცაზე ამაღლდება, ბოროტი ადამიანი კი სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში ხვდება. ჯოჯოხეთის ცნება ზოროასტრიზმში არ ჰგავს ქრისტიანულ წარმოდგენებს მასზე. მისი დანიშნულება ცოდვებისგან განწმენდაა. ე. ბერტელსის აზრით, ზოროასტრული ჯოჯოხეთი ცეცხლის მორევს არ წარმოადგენს. იგი უმეტესად უსასრულო უდაბნოა. ზოგადად სიკვდილის შემდეგ საიქიო ცხოვრებაზე ზოროასტრული წარმოდგენები აისახა ფალაურ ენაზე დაწერილ ძეგლში – „არდა ვირაფ ნამაკი". იგი სასანიდების პერიოდში, დაახლოებით V საუკუნეში, შეიქმნა. მასში აღწერილია ზოროასტრელი ვირაფის მოგზაურობა იმქვეყნიურ სამეუფოში; ვირაფი, რომელსაც ჰყავდა შვიდი და (შვიდივე მისი ცოლი იყო, რაც მაზდეანობაში არ იზღუდებოდა), შვიდი დღე-ღამის განმავლობაში მოგზაურობს იმ ქვეყნად. წიგნში აღწერილია, რომ ვირაფის სული დატოვებს სხეულს და გავა ჩინვატ-ხიდზე (მკვდართა ხიდი). ზოროასტრული წარმოდგენით, იგი სამყაროს ცენტრში აღმართულ მთაზე, ჩატაკ დაიტიკზე იყო და მასზე გარდაცვლილთა სულები გადიოდნენ. ვირაფი თვითონ ჰყვება თავის თავგადასავალს. იმ ღვთაებათა შორის, რომლებიც მას იქ უვნებლად იცავდნენ, ვირაფი ასახელებს მითრასაც. აქ ცოდვილნი სხვადასხვა სასჯელის ქვეშ იმყოფებოდნენ: სიცოცხლეში ქმრის ურჩი ცოლი ჰაერში ენით იყო ჩამოკიდებული, ბავშვების უარმყოფელ მამას დევები ტანჯავდნენ, მექრთამე და სიცრუისმოყვარე კაცი თვალდათხრილი ფეხებით იყო დაკიდებული და თავში ლურსმანი ჰქონდა ჩარჭობილი და ა. შ. ეს თხზულება ფალაური ენიდან ქართულად თარგმნა პროფ. თეო ჩხეიძემ (კრებული არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, ტ. II). ეს საინტერესო ძეგლი, რომელიც ერთგვარი ზოროასტრული ღვთაებრივი კომედიაა, მნიშვნელოვანი წყაროა ზოროასტრული ფსიქოლოგიის შესასწავლად.

ზოროასტრული კულტი

ბუნებრივი სტიქიები, რომლებიც აჰურამაზდას ქმნილებებად მიიჩნეოდა, ზოროასტრულ კულტში მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებდა. კულტის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი იყო წყალი. დიდი ყურადღება ექცეოდა მის სუფთა ჭურჭელში შენახვას. მისი გაჭუჭყიანება დიდ ცოდვად აღიქმებოდა. ამის მოქმედი ჯოჯოხეთში სასტიკად ისჯებოდა. მას ეკეტებოდა სამოთხის კარი. თუ ადამიანი შესცოდავდა წყლის ერთი წვეთის წინაშეც კი და არ შეეცდებოდა მის გამოსყიდვას, ვერ აცდებოდა ამ სასჯელს. იმ ადამიანთა სულები, რომლებიც წყალობდნენ წყალს, მიწასა

და სხვა წმინდა ელემენტებს, სამოთხეში გაბრწყინებულ ადგილებს იმკვიდრებდნენ, ხოლო მათ წინაშე წყლის, მიწის, მცენარეთა და ცხოველთა სულები იდგნენ და ლოცავდნენ. წყლის დიდება იზრდებოდა, როცა დედამიწაზე კლავდნენ მავნე ქმნილებებს. წყალს ეძღვნებოდა აბანი, ზოროასტრული კალენდრის მერვე დღე. ზოროასტრელებს ეკრძალებოდათ წყლის დასხმა ჭუჭყიანი ხელებით, წვიმიან ამინდში გარეთ გამოსვლა, აუზში ბანაობა.

რაც არ უნდა ბევრი ვიმსჯელოთ წყლის, ლითონისა და სხვა სტიქიების თაობაზე, უმთავრესი რიტუალური ფუნქცია ენიჭებოდა ცეცხლს (ავესტაში atar, ფალაურად adur). ცეცხლი ზოროსტრული კულტის განუყოფელი კომპონენტია. იგი ისევე, როგორც ცა, ლითონი და ქარი, „მამრობითი სქესისაა" (თავისი აქტიურობის მიხედვით). ცეცხლი, როგორც სტიქია, რამდენიმე ჰიპოსტასით ვლინდება. ბუნდაჰიშნი, ავესტაზე დაყრდნობით, ჩამოთვლის ცეცხლის ხუთ სახეს. ცეცხლი ურევია მცენარეთა და ცხოველთა შედგენილობაშიც, ამიტომ მას „აჰურამაზდას ცეცხლი" ეწოდება. აჰურამაზდასა და აჰრიმანის მეტოქეობის დასაწყისში, როცა ეს უკანასკნელი ანადგურებდა ყოველ კეთილ ქმნილებას, მან შეურია „ცეცხლს კვამლი და სიბნელე". ცეცხლი, როგორც გამწმენდი საშუალება, სამყაროს მცველია. ცეცხლს, რომელსაც ბაჰრამის ცეცხლი (ataxsi Vahram) ეწოდებოდა, დიდი ტერიტორიის ცენტრალურ სიწმინდეს გულისხმობდა. არსებობდა ასევე ცეცხლი სასახლისა, ლოკალური ტაძრებისა. მისი ტაძრების აგებაში მონაწილეობდნენ თვით მეფენი. იმ ადგილების მოვლა, სადაც ცეცხლი იყო, ითვლებოდა ზოროასტრელთა მოვალეობად. ის, ვინც ცეცხლს ჩააქრობდა, ზოროასტრული სწავლებით, ჯოჯოხეთში დაისჯებოდა.

ყოველდღიური ლოცვებისა და რიტუალებისათვის იგებოდა უფრო დაბალი რანგის ტაძრები, სადაც იყო ცეცხლის საკურთხეველი (ფალაურად adurgah). ტაძარში სიარული და ლოცვა აუცილებელი იყო დღეში სამჯერ ან უფრო მეტადაც, ვინაიდან ამეშასპენტები დღეში სამჯერ იკრიბებიან ცეცხლის ტაძარში და ტოვებენ იქ სამართლიანობას. ვინც ხშირად დადის ტაძარში, უფრო მეტ მადლს მიიღებს. ლოცვა, დიდება და მადლობა ბაჰმანისა ან სხვა ცეცხლისა საჭიროა დილით, შუადღისას და საღამოს. ცოდვის ჩადენისას აუცილებელია სინანული. ცეცხლის ტაძარში სიარული ასევე საჭიროა იმიტომაც, რომ განაგდო უსხეულო დემონი და სიზარმაცე. მავნე ქმნილებების განადგურების გვერდით ცეცხლის დაცვა ერთ-ერთი გზაა ცოდვებისაგან გამოსყიდვისა. ცეცხლის დიდება იზრდება მაშინ, როდესაც ნადგურდება მავნე ქმნილებები. ცეცხლს მორწმუნეებმა ისევე უნდა მოუარონ, „როგორც უვლიან არასრულწლოვან ბავშვებს, ცოლსა და პირუტყვს". ცეცხლი უნდა დაიცვან წყლისაგან; მას შეიძლება დააყაროონ კეთილსურნელოვანი ნივთიერებები და შვიდწლიანი ხეების შეშა. ცეცხლის წინაშე რელიგიურ რიტუალებში ხშირად იკითხებოდა ავესტა, კეთილსურნელების მიყრის დროს წარმოითქმებოდა სიტყვები: „კეთილი აზრი, კეთილი საქმე, კეთილი სიტყვა". ცეცხლზე არ შეიძლებოდა იმის მომზადება, რაც „ძალითაა ხალხისგან წართმეული". ვინც ამას იცავს, ის აამებს ცეცხლს და, შესაბამისად, მის მფარველ ამეშასპენტ აშა ვაჰიშტას (ფალ. არდვაჰიშტ). ზოროასტრიზმში იკრძალებოდა ნაგვის ცეცხლში დაწვა. საჭმლის მომზადებისას არც ერთი წვეთი წყალი არ უნდა ჩავარდნილიყო ცეცხლის ალში.

უძველეს პერიოდში სპარსელებს ტაძრები, სადაც კულტმსახურებისთვის შეიკრიბებოდნენ, არ ჰქონდათ. ტაძრების აშენება მათ მოგვიანებით დაიწყეს. აქემენიდური და სასანიდური ხანიდან შემორჩა მათი ნაშთები. ცეცხლს საგანგებოდ დამზადებულ ქვის ან ლითონის საკურთხევლებში ინახავდნენ. თანამედროვე ირანში, ქალაქ იაზდში დგას ზოროასტრული ტაძარი, სადაც კულტმსახურება დღესაც მიმდინარეობს.

ზოროასტრულმა რელიგიამ მოახერხა იერარქიული სტრუქტურის მოწესრიგება. ეს უკავშირდება სასანიდების ეპოქას. ამ პერიოდის წერილობითი ძეგლები შეიცავს ცნობებს მაზდეანობის იერარქიაზე. მათი მეშვეობით ვიგებთ, რომ მოგვები შე-

ადგენდნენ ქურუმთა კლასის ყველაზე უფრო დაბალ და მრავალრიცხოვან ნაწილს. ფალაურ ძეგლებში დასახელებულია ქურუმთა მოვალეობები (მტკიცე რწმენა, ღვთაებათა თაყვანისცემა შესაბამისი სახით...). მათ ევალებოდათ რიტუალების ჩატარება.

სასანური წყაროები მოწმობს კიდევ ერთი რელიგიური კლასის – ჰერბადების – არსებობას. სხვადასხვა ცნობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჰერბადს, მოგვების მსგავსად, ევალებოდა რიტუალის შესრულება, ტრადიციის დაცვა. გ. ვიდენგრენის დაკვირვებით, უკვე III საუკუნის II ნახევრიდან იწყება მობედებისა და ჰერბადების შერწყმა. ამის ტიპურ მაგალითად მას მიაჩნია კარტირი, რომელმაც დაიწყო თავისი მოღვაწეობა, როგორც ისტახრელმა ცეცხლქურუმმა, შემდეგ კი მიაღწია მთელი ირანის მობადობას.

დასტურები (ფალ. dastvar), რელიგიური დოქტრინის მცოდნეები იყვნენ მრჩევლები, რომელთაც მიმართავდნენ გაურკვეველი, საეჭვო შემთხვევების განმარტებისას. ზოგჯერ ამ ტერმინით აღნიშნავდნენ ზოროასტრული რელიგიის ყველა კულტმსახურს.

მობადან-მობადი იყო უმაღლესი ძალაუფლებით მოსილი ქურუმი. მას ევალებოდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა. ის გახლდათ მეფის მრჩეველი რელიგიის საკითხებში და ამიტომ მას, როგორც მის სულიერ წინამძღოლს, ჰქონდა უდიდესი გავლენა მეფეზე. მობადან-მობადს ირჩევდა და ნიშნავდა მეფე.

ზოროასტრული რიტუალები სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებით სრულდებოდა. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ლოცვას. ეს რელიგია მორწმუნისაგან მუდმივ ლოცვას მოითხოვდა. ლოცვა შეიძლებოდა ყველგან – ტაძარში, სახლში, ბუნების წიაღში. ლოცვისას ადამიანი იყურებოდა ჩრდილოეთით. ყოველდღიური ლოცვები უნდა წაეკითხათ ავესტადან, სადაც მითითებული იყო ლოცვის წესი, დრო, რაოდენობა. ყოველ ლოცვაში ფიგურირებდა მიმართვა აჰურამაზდასადმი. მთავარი ლოცვები ხუთგზის აღესრულებოდა (ეს ტრადიცია ისლამმა განავითარა).

ზოროასტრიზმში სიცოცხლე განიხილებოდა, როგორც აჰურამაზდას მიერ ბოძებული სიკეთე, ხოლო სიკვდილი – აჰრიმანისგან გამომავალი ბოროტება. ზოროასტრელთა შეხედულებით, მშობიარობა, ტკივილები, ბავშვის დაბადება ითვლებოდა ორგანიზმის სიწმინდის შებილწვად, ადამიანის იდეალური მდგომარეობის დარღვევად. მშობიარობისას ქალის სიახლოვეს ანთებდნენ ცეცხლს, რომელიც ბოროტ სულებს დევნიდა. მათი ტრადიციების მიხედვით, ნამშობიარებ ქალებს ერთგვარი „ტაბუ" ჰქონდათ დადებული. ისინი ოთახის ბნელ კუთხეში იატაკზე უნდა მსხდარიყვნენ წმინდა საგნებისგან დისტანციურად. მათთან მიახლოების უფლება ოჯახის დანარჩენ წევრებს არ ჰქონდათ. ისინი განსხვავებულ საკვებს იხმევდნენ. ეკრძალებოდათ ცისკენ გახედვა. ახალშობილი მასთან მხოლოდ ჭამის დროს მიჰყავდათ. ეს ტრადიცია თითქმის XX საუკუნემდე გაგრძელდა. განწმენდის პერიოდი, ებრაული წესის მსგავსად, 40 დღეს გრძელდებოდა. როდესაც ბავშვი 12 წელს გადააბიჯებდა, უსრულდებოდა ინიციაცია, ანუ ხდებოდა ზოროასტრელი მოზარდის ზიარება ზოროასტრიზმთან. ამის სიმბოლური გამოვლენა იყო წელზე ძაფისგან შეკერილი წმინდა ქამრის შემორტყმა. ეს წარმოადგენდა პიროვნების რელიგიასთან შერწყმას.

გარდაცვლილ ადამიანთან შეხების უფლება მხოლოდ განმბანველს ჰქონდა. ჯერ კიდევ მომაკვდავ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი უნდა ყოფილიყო მოშორებული დანარჩენი ადამიანებისა და წმინდა საგნებისგან. მიცვალებულს მეოთხე დღეს, ავესტაში მითითებული წესების დაცვით, მზის ამოსვლისას, კრძალავდნენ. განსხვავებული იყო დაკრძალვის რიტუალი სხვადასხვა დროს. სასანიდების ეპოქაში არსებობდა ტრადიცია მიცვალებულის გვამის დაფლეთვისა ფრინველთა მიერ. ამის მერე მას ე. წ. დუმილის კოშკში აგდებდნენ. იკრძალებოდა მიცვალებულის დამარხვა ან დაწვა. მოგვიანებით დაიწყეს გვამის მიწაში დაფლვა. მიცვალებულთან

დაკავშირებით არსებობდა განწმენდის წესი, რომელიც იწყებოდა თავის, შემდეგ ჯერ მარცხენა, მერე კი მარჯვენა ყურის, სახისა და კისრის დაბანით. თუ ადამიანი ზამთარში გარდაიცვლებოდა, მის სახლში ცეცხლი შეჰქონდათ მეცხრე დღეს, ხოლო თუ გარდაცვალება ზაფხულს დაემთხვეოდა — ერთი თვის მერე. ცეცხლზე მსხვერპლშეწირვის ნიშნად ასხამდნენ ცხიმის რამდენიმე წვეთს. მიცვალებულის მოხსენიება ხდებოდა მე-10, 30-ე დღეს და ერთი წლის შემდეგ. მოხსენიებისას ჭამდნენ და გლახაკთათვის შესაწირავს იღებდნენ.

განწმენდის მარტივი რიტუალი აუცილებელი იყო ყველა ზოროასტრელისთვის. არსებობდა განწმენდის რთული წესი, რომელსაც კულტმსახურის თანდასწრებით ასრულებდნენ. ამ დროს ჩვეულებრივი წყლით დაბანის შემდეგ იბანდნენ ლიმონისა და დაფნის წვენით. შემდეგ იკითხებოდა ლოცვა და ტანს იზელდნენ ქვიშითა და ძროხის შარდით.

ზოროასტრული დღესასწაულები საზეიმო ხასიათს ატარებდა. ისინი უკავშირდებოდა აჰურამაზდასა და ამეშასპენტებს. ზოგი მათგანის აღნიშვნა მასობრივ იერს იძენდა. სადღესასწაულო ვითარებაში ტაძარში ამაღლებულ ადგილას თითბრის ან სპილენძის ჭურჭელში ენთო წმინდა ცეცხლი. იქვე, ლარნაკში, ეწყო ყვავილები, ქილით ცივი წყალი და ლანგრით ცხელი პური. მობედი ასრულებდა მსახურებას. მას ეხმარებოდნენ ჰერბადები. მთავარი კულტმსახური ნელ-ნელა შემოტრიალდებოდა მზის მოძრაობის მიმართულებით და იმეორებდა ლოცვის სიტყვებს. როცა იგი გაუსწორდებოდა საკურთხეველს, მარჯვენა ხელს ხან ზევით აწევდა, ხან ქვევით და ლოცულობდა. მასთან ერთად ლოცვას იასნადან ყველა იქ მყოფი იმეორებდა. ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ არიგებდნენ პურს, ხილსა და ბოსტნეულს. შემდეგ მიდიოდნენ კულტმსახურის სახლში და სადილობდნენ.

ახალი წლის, ანუ ნოვრუზის, დღესასწაული, რომელიც აქემენიდების ეპოქაში იღებს სათავეს, საკრალურ მნიშვნელობას ატარებდა. დღესასწაული გრძელდებოდა 13 დღის განმავლობაში. დილით მობედის სახლში ცეცხლს ანთებდნენ, რაც ახალი წლის დასაბამს აუწყებდა ხალხს. მღეროდნენ ჰიმნებს ავესტადან. ზოროასტრელები იკრიბებოდნენ სადღესასწაულო ტრაპეზთან, რომელიც სავსე იყო სხვადასხვაგვარი ტკბილეულით. სუფრაზე უნდა ყოფილიყო შვიდი სხვადასხვა საჭმელი.. ოჯახის უფროსი იტყოდა: „დაე იყოს სინათლე!" და დღესასწაული იწყებოდა, რასაც თან ახლდა ურთიერთმილოცვა. მე-6 დღეს ზეიმობდნენ ზარატუსტრას შობას. სპეციალური დღესასწაულები ეძღვნებოდათ მითრასა და ჰაომას — წმინდა მცენარეს.

რელიგიურ საბურველში იყო გახვეული ასევე ქორწინების რიტუალი. ზოროასტრიზმის მიმდევრები, საზოგადოდ, ქორწინდებოდნენ 25—30 წლის ასაკში და თხოულობდნენ 14—19 წლის ქალიშვილებს. წარსულში ხდებოდა ადრეულ ასაკში ყრმების დანიშვნაც. ქორწინების თანხმობას კულტმსახური იძლეოდა. პატარძლის სახლი ირთვებოდა ყვავილებით, რაც ქალწულობისა და სიწმინდის სიმბოლო იყო. დღესასწაულში დიდ როლს თამაშობდა სარკე. ინდოეთის ზოროასტრელებში ვაჟი და პატარძალი ერთმანეთს პირველად სარკეში ნახულობდნენ, ხოლო ირანში სიძეს პატარძლის სახლში მიჰქონდა სარკე, რომლის ორივე კუთხეში ენთო სანთელი. ქორწინების რიტუალისას პატარძალი იხედებოდა სარკეში. ზოროასტრელთა ქორწინება ძირითადად მონოგამიურია, თუმცა იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც მოჰყავდათ მეორე ცოლიც. ეს იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ პირველი ცოლი უშვილო იყო. ზოროასტრიზმში იკიცხებოდა უქორწინებლობა და ქალწულობა. ირანის ისლამიზაციის შემდეგ თუ ზოროასტრელი ქალი მუსულმანზე გათხოვდებოდა, იგი ერთმორწმუნეთა რიცხვიდან ამოიშლებოდა. ასეთი ფაქტები იშვიათი იყო. ზოროასტრული ოჯახი მემკვიდრეობის დიდ წილს უმცროს შვილს უტოვებდა.

განვითარებულ რელიგიაში უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს საკრალური წიგნის არსებობა, რომელშიც გადმოცემული იქნება ძირითადი სარწმუნოებრივი მოძღვრება და ცხოვრების წესი. ზოროასტრიზმში ასეთი წიგნია ავესტა. იგი სხვადასხვა დროს შემუშავებული ტექსტების კრებულს წარმოადგენს. ავესტას უძველესი ნაწილები განეკუთვნება ძვ. წ. I ათასწლეულს. ავესტას შინაარსი ევროპას პირველად ფრანგმა მეცნიერმა ანკეტილ დიუპერონმა (1731 – 1805) გააცნო. ანკეტილ დიუპერონმა 1755-1805 წლებში იმოგზაურა ინდოეთში, გუჯარეთის შტატში, ზოროასტრელი ქურუმების მეშვეობით შეისწავლა ავესტას ენა და 1771 წელს გამოაქვეყნა ავესტას ფრანგული თარგმანი. XIX საუკუნეში მას მოჰყვა გერმანული თარგმანი, შესრულებული ფ. შპიგელისა და კ. გელდნერის მიერ. ანკეტილ დიუპერონის თარგმანი გამოქვეყნდა „ზენდ-ავესტას" სახელწოდებით, რის გამოც დამკვიდრდა არასწორი ტერმინი „ზენდური ენა"; „ზენდ-ავესტა" ნიშნავს ძირითად ტექსტს კომენტარებითურთ და მომდინარეობს საშუალო სპარსული „აპასტაკ" (ფუძე-, ანუ ძირითადი ტექსტი) და „ზენდ" (ცოდნა, განმარტება) ფორმისაგან. გადმოცემით, ე. წ. დიდი ავესტა, რომელიც ირანში ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე არსებულა, შეიცავდა 21 წიგნს; მათი შინაარსი მოთხრობილია ზოგიერთ საშუალო სპარსულ ძეგლში. ავესტა თავდაპირველად არშაკიდების დროს (ძვ. წ. 250 – ახ. წ. 224წწ.) ჩაიწერა. საბოლოოდ ჩამოყალიბდა VI საუკუნეში, სასანიანთა დროს.

ენა, რომელზეც შესრულებულია ავესტა, ახლოს დგას ძველ სპარსულ ენასთან. შესაძლოა, ისინი ერთი ენის ორ სხვადასხვა დიალექტად მივიჩნიოთ. როგორც ითქვა, უკანასკნელი დროის ეტიმოლოგიით ავესტა (ძვ. უპასტჰა) საფუძველს, ფუძეს, ძირითად ტექსტს ნიშნავს. მასში გადმოცემულია ზოროასტრული რელიგიის დოგმები. იგი ერთგვარი ზოროასტრული ბიბლიაა. მისი უძველესი ნაწილების – გათების შეთხზვას თვით ზარატუსტრას მიაწერენ.

ავესტას ძირითადი ნაწილებია – იასნა, ვისპრედი, ვენდიდადი, იაშტა და ხურდა ავესტა.

იასნა (იასნა – ლოცვა, თაყვანისცემა) – ავესტას ძირითადი, ლიტურგიკული ნაწილია, შედგება 72 თავისაგან. მათგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ე. წ. გათები – სალექსო საზომით დაწერილი საგალობლები, რომელთა ავტორობა თვით ზარატუსტრას მიეწერება. გათების გარდა აქ არის ლოცვები, რომლებიც, ბუნებრივია, ღვთისმსახურების დროს ქურუმების მიერ გამოიყენებოდა - იქნებოდა ეს მსხვერპლშეწირვა, შელოცვა ბოროტ სულთა განდევნისათვის, სხვა დანიშნულებისათვის. გათების ავტორობა მიეწერება ზარატუსტრას. მართლაც, ისინი არ უნდა იყოს ხალხური შემოქმედების ნაყოფი, აშკარად ინდივიდუალური ტონითაა გამსჭვალული და ერთი კაცის ნამოღვაწარს წარმოადგენს. გათები რთული ჰიმნებია (საბოლოოდ არაა ამოხსნილი მათში არსებული ბევრი სიმბოლო, ცალკეულ სიტყვათა და ტერმინთა მნიშვნელობა). გათები, როგორც საღვთო საგალობლები, საუკუნეების განმავლობაში ზეპირად გადაიცემოდა. ფიქრობენ, რომ თითოეულ გათას წამძღვარებული ჰქონდა პროზაული ქადაგება და გათა–საგალობელი კი ერთგვარ დასკვნას წარმოადგენს წამძღვარებული ქადაგებისა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ამით აიხსნება გათებში ბუნდოვანი ადგილების არსებობა, რაც მათს გაგებას აძნელებს და საფიქრებელია, რომ გათების წარმომთქმელთა დიდ ნაწილს მკაფიოდ აღარ ესმოდა საუკუნეების წინათ შეთხზული საგალობლების მთელი რიგი ფრაზები და ადგილები. ტექსტების ჩაწერა, რომლებიც, ცხადია, თავდაპირველ რედაქციას საგრძნობლად დაშორებული იქნებოდა, უფრო მოგვიანებით უნდა მომხდარიყო – არშაკიდებისა და სასანიდების (224–651 წწ.) ხანაში. ყოველივე ამან გამოიწვია გათებში ძნელად გასაგები ან სავსებით გაუგებარი ადგილების გაჩენა. ამიტომაა, რომ სხვადასხვა

ენაზე შესრულებული თარგმანები ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებულია. ყოველივე ამის გამო, როგორც რუსი ირანისტი ევგენი ბერტელსი აღნიშნავს, გათების პრობლემა ჯერ კიდევ არ შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს.

ავესტას ამ ნაწილში (იასნა) ასახულია ირანული ტომების უძველესი წარსული, აზროვნებისა და ცხოერების დონე. გათების შესწავლით ვიგებთ, რომ იმ დროს ხალხი სამ ფენად იყო დაყოფილი (ქურუმები, მეომრები და მიწათმოქმედნი). გათები არ იცნობენ ქალაქის, ვაჭრობის, რკინის და არც ფულის არსებობას. მიწათმოქმედებთან ერთად ჩვენ ვხედავთ მომთაბარე ხალხსაც. კ. ზალემანი აღნიშნავდა გათების მსგავსებას ვედურ ჰიმნებთან. გათებისთვის რითმა უცნობია.

ვისპრედი (ყველა მსაჯული) — შეიცავს 24 თავს, რომლებიც სხვადასხვა ღვთაებისადმი მიძღვნილ ლოცვებს წარმოადგენენ. ვისპრედი იასნას დამატებაა. ისინი მნიშვნელოვან რელიგიურ ცნობებს არ შეიცავენ და ავესტას საგულისხმო ნაწილად არ გამოდგება.

ვენდიდადი (დევთა საწინააღმდეგო კანონი) — შეიცავს 22 თავს. აქ გადმოცემულია აჰურამაზდას მიერ ქვეყნის შექმნის, ოქროს ხანისა და მეფე იამას ლეგენდები. მასში უმთავრესად აღწერილია მორწმუნე ზოროასტრელთათვის სავალდებულო ქცევის ნორმები. ვენდიდადის უფრო სწორი დასათაურებაა „ვიდევდატ".

იაშტა (ქება) — შინაარსით ავესტას უძველესი ნაწილია; შედგება ბუნების ძალებისა და ციური მნათობებისადმი მიძღვნილი 22 ლოცვა-ჰიმნისაგან. მასში შემონახულია მითოლოგიური სახეები და სიუჟეტები (ანაჰიტა, მითრა). იაშტას თითოეული ჰიმნი ეძღვნება ამა თუ იმ ღვთაებას. მაგალითად, გვაქვს აჰურამაზდას (ზოროასტრული რელიგიის უმაღლესი ღვთაება), ხვარშაიტის (მზის), მთვარის, სირიუსის, მითრასა და სხვათა ჰიმნები. იგი ჩვენ თვალწინ გადაშლის მთელ ზოროასტრულ პანთეონს. ზოგიერთი იაშტა ლექსადაა დაწერილი, თუმცა, გათების მსგავსად, არც იაშტები იცავს რითმებს. ე. ბერტელსი იაშტებიდან საგანგებოდ გამოყოფს მე-19 იაშტას, რომელსაც „მიწის ჰიმნი" ეწოდება (ზამიად-იაშტა). აღნიშნულ ჰიმნში ჩვენ გვხვდება უძველესი ირანული საგმირო ეპოსის წარმომადგენელთა სახელები და მათი ისტორიები, რომლებიც აისახა ფირდოუსის (X ს.) „შაჰ-ნამეში". ასე, მაგალითად: აქ გვხვდება ჰაოშიანჰა (ფირდოუსის ჰუშანგი), რომელიც დევთა წინააღმდეგ მებრძოლ გმირადაა გამოყვანილი. აღნიშნული იაშტა იცნობს აგრეთვე „შაჰ-ნამეს" გმირს — თაჰმურასს (ტაჰმაურუპი), რომელმაც აჰრიმანი დაიმორჩილა, შეკაზმა და მას მიწის პირზე ცხენივით დაატარებდა. აქვეა მოთხობილი მეფე ჯემშიდის ამბავიც (იიმა ჰშაიტა).

ხურდა ავესტა (საშ. სპარს. — მცირე ავესტა) — იგი ძველ სპარსულ ენაზე კი არ არის დაწერილი, არამედ საშუალო სპარსულზე, ანუ ფალაურზე. იგი შედგება იმ მცირე მოცულობის ძეგლებისაგან, რომელთა ცოდნაც აუცილებელია საერო პირთათვის.

ავესტა შესრულებული იყო სპეციალური დამწერლობით, რომელსაც ავესტურ დამწერლობას უწოდებენ. იგი 50 ნიშნისაგან შედგებოდა. ავესტა არამხოლოდ რელიგიური თხზულებაა; იგი, რა თქმა უნდა, საინტერესოა ზოროასტრული რელიგიის ისტორიისა და მისი დოგმების გასაცნობად, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ძველი ირანის ხალხთა ენის, ზნე-ჩვეულებების, მათი მსოფლმხედველობის, იმდროინდელი მეცნიერების სხვადასხვა დარგის, კულტურის, მითოლოგიის შესწავლის თვალსაზრისითაც, სხვა ასეთი წიგნი (თუ წიგნთა კრებული), რომელშიც ასე ნათლად მოჩანს ირანელი ხალხის ისტორიული და კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხური, ჩვენ არ მოგვეპოვება. იგი დიდი მნიშვნელობის ძეგლია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი შესწავლა არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს.

ფიქრობენ, რომ ავესტის უძველესი რედაქცია, რომელიც 21 წიგნისაგან შედგებოდა, დაიკარგა ალექსანდრე მაკედონელის შემოსევების დროს, როცა ცეცხლს

მისცეს ქალაქ პერსეპოლისში მდებარე ირანელ მეფეთა სასახლე, სადაც, გადმოცემით, ხარის ტყავზე (პერგამენტი) ორ ცალად დაწერილი ავესტის ტექსტი ინახებოდა. აქედან ერთი ცალი ცეცხლმა შთანთქა, ხოლო მეორე თითქოს ბერძნებმა წაიღეს თავიანთ სამშობლოში და იგი ბერძნულად თარგმნეს. ავესტა და, ზოგადად, ზოროასტრული ლიტერატურა მასობრივად განადგურდა არაბთა შემოსევებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ ავესტა სისტემატურად არ წარმოგვიდგენს სამყაროს შექმნასა და მის სრუქტურას. ეს მომენტი ზოროასტრიზმისა შეავსო სხვა რელიგიურმა წიგნებმა, სადაც მკაფიოდაა წარმოდგენილი მაზდეანური კოსმოგონია და კოსმოლოგია.

ავესტას ნაწილებიდან, როგორც ვთქვით, ერთ-ერთი უძველესია იასნაში შემავალი საგალობლები – გათები, რომელნიც ზარატუსტრას ეკუთვნის. მისი ქართულენოვანი თარგმანი ეკუთვნის ძველი ირანული და სანსკრიტი ენების ერთ-ერთ დიდ სპეციალისტს, პროფესორ გიორგი ახვლედიანს. ამ კუთხით ქართული სამყარო ამაყად უდგას გვერდით იმ ენებს, რომლებზეც ავესტას ეს არქაული ნაწილი ორიგინალიდანაა ნათარგმნი.

სასანიდების ხანაში (III–VIIIსს.) ირანში ფალაურ ენაზე იქმნებოდა ერთგვარი რჯულდებითი წიგნები, რომლებშიც გადმოცემული იყო ზოროასტრული კოსმოგონია, კოსმოლოგია, ანთროპოლოგია, ეთიკა, ესქატოლოგია. ამ პერიოდს განეკუთვნება დენქარდი (დინ – რჯული, ქარდ – მოქმედება). ის მაზდეანებისათვის ავესტის გვერდით ერთგვარი სახელმძღვანელო წიგნია. მასში მოცემულია ავესტის ისტორია, განხილულია დოგმატური, ფილოსოფიური, ეთიკური და რიტუალური საკითხები. ვხვდებით საინტერესო ცნობებს სასანიანთა ეპოქის ავესტის შემადგენლობის შესახებაც. ამით წარმოდგენა გვექმნება ავესტის დაკარგულ ნაწილებზე. მაგალითად, ავესტის გაცნობა არ გვიქმნის ნათელ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორი იყო ზოროასტრელთა ასტროლოგიური შეხედულებანი. ასეთი ნაწილი კი, სადაც გადმოცემული ყოფილა აღნიშნულ შეხედულებათა შესახებ, „დენქარდის" ცნობით, ავესტაში ნამდვილად არსებულა.

მეორე წიგნი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, იყო „ბუნდაჰიშნი" (IXს.). იგი „ქვეყნის გაჩენას", „საფუძვლის ჩაყრას" ნიშნავს. აღნიშნულ თხზულებაში, მართლაც, ქვეყნის შექმნის ისტორიაა მოთხრობილი. „ბუნდაჰიშნი" ისეთ ძველ გადმოცემებს ეყრდნობა, რომლებიც სხვა წყაროებში არაა შემონახული. იგი საინტერესო ცნობებს იძლევა კოსმოსის სტრუქტურისა და ბუნების შესახებ. მართალია, „ბუნდაჰიშნი" პოსტსასანური წარმოშობისაა, მაგრამ იგი აშკარად ეფუძნება ძველ წყაროებს.

ავესტასა და მასზე არსებული კომენტარების გარდა ირანში არსებობდა დიდი რაოდენობით რელიგიური ლიტერატურა, სადაც ზოროასტრიზმის ისტორიისა და დოქტრინის შესასწავლად არაერთი მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული. მათი გაცნობა, აგრეთვე, გვეხმარება ზოროასტრიზმის მიმდევარი ადამიანის ფსიქოლოგიის აღსაქმელად. ზოგ მათგანში მოცემულია პაექრობითი ხასიათის მსჯელობანი სხვადასხვა ფილოსოფიურ საკითხზე, რომლებიც ზოროასტრული რელიგიისთვის არსებით ასპექტებს შეიცავდნენ. ზოროასტრული რელიგიური ლიტერატურის უმრავლესობა შექმნილია საშუალო სპარსულ – ფალაურ ენაზე. არსებობს აგრეთვე მაზდეანური ძეგლების არაბული თარგმანები.

ხალიფა ალ-მამუნის (819-833) დროიდან ჩვენამდე მოაღწია თხზულებამ – „ამბავი წყეული აბალიშისა", რომელშიც წმინდა კაცი, მაზდეანური რელიგიის ღრმა მცოდნე, ბრძენი მოგვი ათურ ფარნაბაღი ეკამათება ერეტიკოს აბალიშს. იგი ეჭვის ქვეშ აყენებდა როგორც მაზდეანური რელიგიის არსსა და დოგმებს, ისე პრაქტიკულ მხარეს. მაგალითად, აცხადებდა – თუმცა აჰურამაზდას მიერაა შექმნილი წყალი და ცეცხლი, მაგრამ ისინი შეიცავენ გამანადგურებელ ძალას. აბალიში არ ცნობდა არც

ლოცვას, მიძღვნილს საღვთო ცეცხლისადმი, წმინდა სარტყელს და ა. შ. მისი შეხედულებების მაზდეანური პოზიციიდან განქიქება აქ კარგადაა წარმოჩენილი.

ზოროასტრული შინაარსის წიგნთა შორის შესაძლოა დავასახელოთ კითხვა-პასუხით დაწერილი თხზულება „რელიგიური განსჯა". იგი შეიცავს პასუხს 92 კითხვაზე: კეთილი საქმე და ცოდვა, ტრადიციები და ქურუმული მოვალეობები, ცერემონიები და სამართალი, ურთიერთობა კეთილ და ბოროტ არსებებს შორის, ბედისწერის პრობლემები და სხვ. მისი ავტორია ფარსისა და ქერმანის ზოროასტრული სამღვდელოების უხუცესი მანუშჩიჰრი.

ამ ჟანრის ნაწარმოებთა შორის ყურადღებას იპყრობს „ეჭვის გამქარვებელი განმარტებები". ტექსტის ავტორია მოგვი მარტანფარრახი. მან მოუყარა თავი პოლემიკას სხვა რელიგიური თვალსაზრისის წარმომადგენლებთან — მუსლიმებთან, ებრაელებთან, ქრისტიანებსა და მანიქეველებთან.

კითხვა-პასუხის ფორმითაა დაწერილი მცირე ენციკლოპედია „განრიგებანი ზეციური სიბრძნისა". მასში ბრძენი სვამს 62 კითხვას და იღებს საჭირო პასუხებსა და განმარტებებს. მაგალითად, ბრძენი ეკითხება ციურ გონს: როგორ უნდა შეინახო სხეული, რომ ზიანი არ მივაყენოთ სულს და როგორ მოვუაროთ სულს, რომ არ დავაზიანოთ სხეული? ამ კითხვაზე ციური გონი აძლევს ვრცელ პასუხს, რომელშიც, სხვათა შორის, შემდეგია ნათქვამი: „ბატონებთან უნდა გამოიჩინო მორჩილება, ერთგულება და თქვა სიმართლე". აგრეთვე, ზეციური გონი ურჩევს მაზდეანს: „ნუ იქმ ცილისწამებას, ვერაგობას, რადგან ამით სულს ზიანს მოუტან".

პაექრობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ძეგლს — „ამბავი იოშტი ფრიანისა". ნაწარმოების გმირი ახალგაზრდა, რელიგიურ საქმეებში კარგად განსწავლული კაცია, რომელსაც აქვს ჭიდილი ბოროტ ჯადოქარ ახტთან. იგი აძლევს იოშტს ამოსახსნელად ვერაგულ და რთულ შეკითხვებს გამოცანების სახით. კეთილი, ზებუნებრივი ძალის ჩარევის შედეგად იოშტი წარმატებით ართმევს თავს ამ გამოცანებს და საბოლოოდ ამარცხებს ჯადოქარს. ო. კლიმას დაკვირვებით, ეს სიუჟეტი მოკლედაა მოცემული ავესტაში (V იაშტა) და საშუალო სპარსული ლეგენდა არის ავესტის ამ ფრაგმენტის გამოძახილი.

ზოროასტრული ფენა შეიძლება დავინახოთ ფალაური მწერლობის ისეთ ძეგლშიც, როგორიცაა „ფინიკის ხე და თხა". იგი უნდა შექმნილიყო პართიულ ხანაში და მოგვიანებით ჩაიწერა სასანურ ეპოქაში. ამ პოეტურ ციკლში მოცემული პაექრობისას უფრო დიდია ცხოველის როლი, ვიდრე მცენარისა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან ზოროასტრიზმი თავიდანვე ქადაგებდა პირუტყვის მოშენებას, რაც კეთილ საქმედ მიიჩნეოდა.

ცნობილია, რომ ზოროასტრიზმი მყისიერად არ აღმოფხვრილა ირანელის ცნობიერებაში არც მაშინ, როცა ირანულ სივრცეში ისლამმა მძლავრად იფეთქა. სასანიდების დაცემის შემდგომ პერიოდში არ შეწყვეტილა ინტერესი ზოროასტრული წარსულისადმი. ეს კულტურის არაერთ ასპექტში გამოვლინდა. საკუთრივ მწერლობაში იგი აისახა იმ ტენდენციაში, რომელიც ზოროასტრული თემატიკის დამუშავებასა და გარდაქმნაში მდგომარეობდა. ირანელი არასდროს ივიწყებდა ძლევამოსილ წარსულს. ორმაგი მენტალიტეტის ყველაზე მეტყველი მაგალითია ხაყანის (XIII ს.) ცნობილი ყასიდა „მედაინის ნანგრევები", რომელიც ხალხის ღრმა გულისნადებს გადმოგვცემს. მედაინი იყო ძველი სპარსული ქალაქის, ქტესიფონის, სახელწოდება. ხაყანი ერთობ მართლმორწმუნე მუსლიმი გახლდათ, მაგრამ ქტესიფონის არაისლამური წარსულის ცრემლითა და ოხვრით გახსენება უცნაურად სულაც არ ეჩვენებოდა. სასანიდების შემდგომ აღმოცენებული სამანიდების დინასტიის ზეობისას შუა აზიაში მოღვაწეობდა პოეტი დაყიყი, რომელსაც ფრანგი ირანისტი ჯ. დარმსტეტერი ძველი რელიგიის ერთ-ერთ უკანასკნელ აღმსარებლად თვლიდა. მან დაიწყო ირანის ძველი ლეგენდარული ისტორიის გალექსვა, რომელიც შემდგომ ფირდოუსმა

განაგრძო. დაყოყის 1000-მდე სტრიქონი დარჩა, რომელთა თემატიკა უპირატესად ზოროასტრისა და გოშთასფის სახელებთანაა დაკავშირებული და ისინი ფირდოუსმა თავის პოემაში ჩართო მათივე ავტორის თხოვნით, ვისი აჩრდილიც სიზმარში გამოეცხადა მას. ფირდოუსის გენიალური ეპიკური ქმნილება „შაჰ-ნამე" (მეფეთა წიგნი) შეიცავს ზოროასტრული ირანული სამყაროს მატიანეს. აქ ერთმანეთს ენაცვლება ლეგენდარული და რეალურად მოღვაწე მეფეთა ქრონიკები. ზოროასტრული მოძღვრება სინათლისა და წყვდიადის ურთიერთბრძოლის შესახებ „შაჰ-ნამეში" წარმოდგენილია, როგორც ირანისა და მისი მოწინააღმდეგე თურანის სამეფოს დაპირისპირების ასპარეზი, სადაც ირანი აჰურამაზდას ძლიერების მედროშეა, ხოლო თურანი – აჰრიმანის ბოროტი საქმეების პანორამა. ზოროასტრული ტრადიციების მიმართ მიდრეკილება ჩანს აბასიდების სამეფო კარზე მოღვაწე ირანელებში. აქ რუზჰებ იბნ მუკაფამ არაბულ ენაზე თარგმნა და ამ გზით კაცობრიობას შემორჩა ცნობილი ფალაური ძეგლები, რომელთა ავტორებიც მაზდეანური რელიგიის მიმდევრები იყვნენ. ზოროასტრული თემატიკა დაამუშავეს აღმოსავლეთ ხორასანში მოღვაწე პოეტებმა – გორგანმა („ვისი და რამინი") და უნსურმა („ვამეყი და აზრა"). საინტერესოა მოჰამად ჯარირ თაბარის (847-931) მოღვაწეობაც, რომელმაც ირანის ვრცელი ისტორია ყურანის კომენტარებს ამოუყენა გვერდით და ამგვარად ჩაუყარა საფუძველი კავშირს ორ ირანს – ისლამამდელსა და ისლამისშემდგომს – შორის.

ზოროასტრიზმი აქემენიდების მმართველობის ხანაში

ირანის ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფო, რომელმაც სიძლიერეს მიაღწია, იყო ელამის სამეფო, ხოლო ირანელ ხალხთაგან აქტიურ პოლიტიკურ ასპარეზზე პირველები მიდიელები გამოვიდნენ. ელამი წინააზიური სამყაროს ერთ-ერთ უძველეს სახელმწიფოს წარმოადგენს. იგი იყო დამაკავშირებელი რგოლი ირანსა და წინა აზიის კულტურულ ცენტრებს შორის. ელამის სახელმწიფო წარმოიშვა III ათასწლეულის დასაწყისში და ორი ათას წელზე მეტ ხანს იარსება. მისი დედაქალაქი სუზა XIX საუკუნის შუა წლებში ცნობილმა ფრანგმა მოგზაურებმა – ფლანდენმა და კოსტამ – აღმოაჩინეს. ელამური ენისა და ელამელების ეთნიკური ვინაობის შესახებ მეცნიერებაში განსხვავებული და ზოგჯერ ერთმანეთის გამომრიცხავი აზრებია გამოთქმული. უკანასკნელ ხანებში კვლავ წინა პლანზე წამოიწია მოსაზრებამ, რომელიც ელამურ ენას ძველი ინდოეთის ერთ-ერთი ტომის – დრავიდების ენას უკავშირებს. რაც შეეხება მიდიელებს – ისინი ირანულენოვანი ხალხები იყვნენ. მიდიის სახელმწიფო მდებარეობდა ირანის ჩრდილო-დასავლეთით და მისი დედაქალაქი გახლდათ ეკბატანა (ახლანდელი ჰამადანი). მიდიისაგან ირანის ტერიტორიაზე დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა სამხრეთით მდებარე პერსიდა (ფარსი), რომელსაც ძვ. წ. VII საუკუნიდან აქემენიანთა სამეფო გვარი განაგებდა. ამ დინასტიამ სახელი მიიღო მისი დამაარსებლის – აქემენისაგან. აქემენისა და მისი შვილის, ტეისპას, შემდეგ აქემენიდების ორი შტო წარმოიქმნა. ვიდრე აქემენიდები მთელ ირანზე გაბატონდებოდნენ და მძლავრ იმპერიას შექმნიდნენ, განაგებდნენ ხსენებულ ფარსის (იგივე პერსიდა) პროვინციას. ამ ეტაპზე მათი მეფე იყო კიროს I. ამავე შტოს ეკუთვნოდა ასევე კამბიზე I, რომელიც აქემენიდური სპარსული სახელმწიფოს ფუძემდებლის, კიროს II-ის, მამა იყო. ჰეროდოტეს ცნობით, კამბიზე I-ს ცოლად ჰყავდა მიდიის მეფე ასტიაგის ასული მანდანე.

ჯერ კიდევ არაა დადგენილი, როდის გამოჩნდნენ პერსიდას ტერიტორიაზე სპარსელები. სპარსული და მიდიური ენები ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან.

სიტყვა სპარსეთი (პერსია, პერსიდა) უკავშირდება მიდიურ-ირანულ სიტყვას parsav, რომელიც განაპირას, გვერდს, გარე მხარეს აღნიშნავდა. მართლაც პერსიდა მიდიის მიმართ განაპირა მხარეს წარმოადგენდა. მიდიელებთან შედარებით სპარსელები განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ.

კიროს II დიდი (558-530წწ.) იყო აქემენიდური იმპერიის პირველი მმართველი. მან დაიპყრო მიდია, ლიდია, იონიის ზოგი ქალაქი და მთელ ირანზე გაბატონდა. 538 წელს იგი თავისი არმიით ბაბილონისაკენ დაიძრა. ამავე წლის 14 ივლისს მან ბაბილონი თითქმის უბრძოლველად აიღო, ამით მიიღო ბაბილონის მეფის ტიტული, რითაც ხაზი გაუსვა, რომ ის ბაბილონური პოლიტიკის გამგრძელებელი იყო. აშენებდა ტაძრებს, გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდა ქურუმებს, ვაჭრებსა და ყველას, ვინც ბრძოლაში მის მხარეზე გადავიდოდა. ამასთან, კიროს II-მ ნება მისცა ებრაელ ლტოლვილებს, რომლებიც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა ბაბილონში გადაასახლა, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, ბრძანა, აღედგინათ იერუსალიმის ტაძარი (ეს მოთხრობილია ძველი აღთქმის I ეზრას წიგნში). კიროს დიდი სპარსელ რიგით მეომრებს ათავისუფლებდა გადასახადებისგან, რის გამოც ისინი არასოდეს გამოსულან მეფეების წინააღმდეგ. ძვ. წ. 530 წელს კიროს II დაიღუპა. ის ისტორიაში შევიდა, როგორც ბრწყინვალე პოლიტიკოსი და შესანიშნავი სარდალი.

კიროს II-ის შემდეგ სპარსეთის უზარმაზარი იმპერია მემკვიდრეობით ხვდა მის შვილს – კამბიზეს (530-522წწ.), რომელიც აგრძელებდა მამის დაპყრობით პოლიტიკას. შუა აზიის შემომტკიცების შემდეგ მთელ აღმოსავლეთში დარჩა ერთადერთი ძლიერი მეტოქე ეგვიპტის სახით. 526 წელს კამბიზე ეგვიპტეს შეესია. ლაშქრობის წინ მან მოაკვლევინა თავისი ძმა ბარდია. ამით მან ჩამოიცილა ტახტის მოსალოდნელი მოცილე. ბარდიას მკვლელობა იმდენად საიდუმლოდ მოხდა, რომ მის შესახებ თითქმის არავინ იცოდა. კამბიზემ გაიმარჯვა ეგვიპტეზე. დაუნდობელი ხასიათის მიუხედავად, მან არავის მიაყენა ზარალი, თვით ეგვიპტის მეფესაც კი (ჰეროდოტე). კამბიზემ მიიღო ეგვიპტის მეფის ტიტული. ეგვიპტეში ყოფნისას მის ყურამდე ირანიდან მოაღწევს ხმა, რომ ბარდია ცოცხალია და მისი მეთაურობით მთელი ირანი – აჯანყებული. კამბიზე ტოვებს ეგვიპტეს, მიეშურება ირანში, მაგრამ 522 წელს სირიაში საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში იღუპება. ბარდიას სახელს ამოფარებულმა მაგმა გაუმატამ, ანუ ცრუბარდიამ, მოკლე ხანში აამხედრა ირანი. მან შეძლო ხალხის დარწმუნება, რომ იგი კამბიზეს ძმა ბარდიაა. მის წინააღმდეგ გამოდის აქემენიდების სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენელი დარიოსი (ტეისპა – არიარამნი – არშამი – ვიშტასპი – დარიოსი). დარიოსი 522 წლის 29 სექტემბერს მომხრეებითურთ მოკლავს ცრუბარდიას და ირანის სათავეში მოვა დარიოს I-ის სახელით (522-486).

დარიოს I-ს ბევრი დაპყრობილი ქვეყანა (ბაბილონი, ეგვიპტე, ასურეთი) განუდგა, მაგრამ მან კვლავ შეძლო მათი დამორჩილება. დარიოს I-მა მოჭრა ოქროს მონეტა, შექმნა მმართველობის მტკიცე სისტემა, ქვეყანა დაყო ადმინისტრაციულ ოლქებად – სატრაპიებად. ჰეროდოტეს ცნობით, იმპერიაში იყო 20 სატრაპია. 490 წელს სპარსელები მარათონის ველზე დამარცხდნენ ბერძნებთან ბრძოლაში. 486 წელს დარიოს I გარდაიცვალა.

ირანის ტახტი დაიკავა დარიოსის ძემ – ქსერქსე I-მა (486–465). მის სახელს უკავშირდება ომები საბერძნეთთან. სპარსელები შეიჭრენ ევროპაში და ცვალებადი წარმატებებით იბრძოდნენ, ერთხანს მათ ათენიც დაიკავეს, საბოლოოდ კი ბერძნებმა სპარსელები განდევნეს. ქსერქსე I-მა მოშალა ბაბილონში ღვთაება მარდუქის კულტი. მას მიაწერენ კალენდრის რეფორმასაც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური რეფორმა იყო, კერძოდ, აჰურამაზდას კულტის სავალდებულო თაყვანისცემის დაწყება ირანში. ამასთან, იგი კრძალავს ადგილობრივი ღვთაებების, ე. წ. დეევების, თაყვანისცემას.

ძვ. წ. 465 წელს ქსერქსე უფროს ვაჟთან ერთად შეთქმულებამ იმსხვერპლა.

მისი ორი ვაჟი – არტაქსერქსე და ვიშტასპი – იწყებს ბრძოლას ტახტისათვის, რომელიც 462 წელს ვიშტასპის დაღუპვით მთავრდება. ტახტზე ადის არტაქსერქსე I (462-424წწ.). იგი ნახსენებია ძველი აღთქმის წიგნ „ესთერში". მის დროს ირანს ჩამოსცილდება ეგვიპტე.

ძვ. წ. 424 წელს არტაქსერქსე I გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი ერთადერთი ვაჟი ქსერქსე II, რომელიც ერთ წელს მეფობდა (424წ.). მისი მეფობა არ მოეწონა სპარსულ დიდკაცობას, გადააყენეს და მის ნაცვლად ტახტზე დასვეს არტაქსერქსეს უკანონო შვილი სეკუნდიანე (სოგდიანე), რომლის მეფობაც ერთ წელიწადს გაგრძელდა. ამის შემდეგ დიდებულები ტახტზე სვამენ არტაქსერქსეს კიდევ ერთ უკანონო შვილს, რომელიც დარიოს II-ის სახელს იღებს. დარიოს II-ის (423-404წწ.) იმპერია კრიზისში შედის. პროვინციებში ხშირია აჯანყებები. მისი სიკვდილის შემდეგ ირანი არეულობამ მოიცვა. მას თანდათან ჩამოშორდა ხორეზმი (აღმოსავლეთ ირანი), ეგვიპტე. გაძლიერდა ბერძენთა შეტევები. აქემენიდების ერთ-ერთი უკანასკნელი მეფე იყო არტაქსერქსე III (538-338წწ.). მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, მისი მეფობის ბოლო წლები მშფოთვარეა. იგი შეთქმულების მსხვერპლი ხდება. მას კლავს საჭურისი ბაგოი. მის შემდეგ ტახტზე ადის ოარსი, რომელმაც, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო შეთქმულებას, რის შედეგადაც დაიღუპა მაკედონიის მეფე ფილიპე. ამ უკანასკნელს სპარსელები უახლოეს და ყველაზე პოტენციურ მეტოქედ თვლიდნენ. დიდკაცობას ოარსი ყველაზე დამოუკიდებელ მეფედ ესახებოდათ და იგი 336 წელს მოკლეს, ასევე, ამოწყვიტეს მისი ოჯახი. ტახტზე დასვეს აქემენიდების შტოს გვერდითი წარმომადგენელი დარიოს III (336-330წწ.). დარიოს III-ის მეფობის პერიოდი აქემენიდური ირანის სახელმწიფოს დანგრევის ხანაა. იგი ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამ დააჩქარა, რომელმაც ბოლო მოუღო აქემენიდურ დინასტიას და გადაწვა სპარსელ მეფეთა სატახტო რეზიდენცია – პერსეპოლისი. პოლ ვალერის თქმით, „სპირიტუალური პერსეპოლისი ისევე გაპარტახდა, როგორც მატერიალური სუზა. მართალია, ყველაფერი არ დაღუპულა, მაგრამ ყველაფერმა შეიგრძნო სიკვდილის ცივი სუნთქვა" („სულის კრიზისი").

აქემენიდები იყვნენ იმ დინასტიის წარმომადგენლები, რომელთა მმართველობის პერიოდში ირანმა მიაღწია დიდ წარმატებას. ზოროასტრიზმის გავრცელება სწორედ მათი ზეობის ხანას განეკუთვნება. რა რელიგიის მიმდევრები იყვნენ საკუთრივ აქემენიდები? ლონდონის უნივერსიტეტის ირანული რელიგიების პროფესორი მერი ბოისი აქემენიდების რელიგიას ზოროასტრულად მიიჩნევდა. იგი ეყრდნობოდა იმ მოსაზრებას, რომ ყველა რელიგია, რომლის პანთეონსაც სათავეში უდგას აჰურა მაზდა, უკავშირდება ზარატუსტრას მოძღვრებას და, შესაბამისად, ზოროასტრიზმს მიეკუთვნება. მ. ბოისი წერს, რომ ბერძნები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ სპარსელებს ძვ. წ. VI საუკუნიდან, არ აღნიშნავენ რაიმე ცვლილებებს მათს რელიგიაში აქემენიდების ზეობის პერიოდში. ეს მიუთითებს, რომ აქემენიდების დინასტიის ყველა წარმომადგენელი ზოროასტრელი იყო. ზოგი მეცნიერი (ალ-ბირუნი, ვ. ჰენინგი, ბ. გაფუროვი, ე. ჰერცფელდი) ზარატუსტრას, საერთოდ, აქემენიდების ხანაში მოღვაწედ მიიჩნევდა. ქვემოთ მოცემულია აქემენიდური ირანის მძლავრი მეფეების ხანაში ზოროასტრიზმის განვითარების სურათი.

კიროს II აქემენიდური ირანის პირველი ძლევამოსილი მეფეა. მისი სახელით არაა მოღწეული მდიდარი წარწერები, მაგრამ ისტორიული და ბიბლიური მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ღრმად რელიგიური პიროვნება იყო. ძველ აღთქმაში კიროს II წარმოგვიდგება, როგორც უზენაესი ღმერთის მადიდებელი, რასაც ზოროასტრული რწმენა ხელს არ უშლიდა. ზემოთ ვახსენეთ, რომ მან ბაბილონის დამორჩილებისთანავე ტყვეობაში მყოფ ებრაელობას ნება დართო, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ და აეგოთ დანგრეული სოლომონისეული ტაძარი იერუსალიმში. კიროსი მოქმედებდა უფლის სახელით, ხოლო მისი კეთილგანწყობა ებრაული

რელიგიის მიმართ ბიბლიური წინასწარმეტყველების (ესაია, იერემია, დანიელი) აღსრულება გახლდათ. ბიბლია გვაუწყებს, რომ „სპარსეთის მეფის, კიროსის მეფობის პირველ წელს, რათა აღსრულებულიყო იერემიას პირით თქმული უფლის სიტყვა, აღძრა უფალმა სული კიროსისა, სპარსეთის მეფისა და მან გამოაცხადა მთელ თავის სამეფოში და წერილობითაც განაცხადა და თქვა: ასე ბრძანებს კიროსი, სპარსეთის მეფე: დედამიწის მთელი სამეფონი მომცა მე უფალმა, ცათა ღმერთმა, და მიბრძანა ავუშენო მას სახლი იერუსალიმში" (I ეზრა 1:1-2). კიროსმა არა მხოლოდ ნება დართო ებრაელებს ტაძრის აშენებისა, არამედ მითრიდატე მეგანძურის ხელით დაუბრუნა მათ ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმიდან წამოღებული რელიგიური ჭურჭელი. კიროს დიდი ტაძრის მშენებლობის ხარჯებსაც სპარსეთის სამეფოს საგანძურიდან იღებდა. ამ კეთილგანწყობას იერუსალიმის ტაძრის მიმართ მისი მემკვიდრეებიც აქტიურად აგრძელებდნენ. ყოველივე ამის გამო კიროსი მადლმოსილ მმართველად არის მიჩნეული. წმინდა წერილში იგი ხოტბითაა მოხსენიებული. ესაია წინასწარმეტყველი მრავალი საუკუნით ადრე მიანიშნებდა იმ მოვლენებზე, რასაც მოიმოქმედებდა კიროსი: „ვინც ამბობს კიროსზე: მწყემსი ჩემია, და ჩემს ყველა სურვილს ის აღასრულებს! და რათა ითქვას იერუსალიმზე: „აშენდება!" და ტაძარზე: „დაფუძნდება!" (ესაია 44:28). იქვე კიროსი მოხსენიებულია, როგორც ცხებული, რომელიც მხსნელად მოევლინა ბაბილონელთაგან დამონებულ ისრაელის ხალხს და სამოცდაათწლიანი ტყვეობის შემდეგ თავისუფლება დაუბრუნა: „ასე ეუბნება უფალი თავის ცხებულს, კიროსს: რომლის მარჯვენაც მე მიჭირავს, რომ დამორჩილდნენ ხალხები შენს წინაშე; და მე სარტყელს შევხსნი მეფეებს წელზე, რათა გავაღო შენს წინაშე კარები და ჭიშკრები აღარ დაიკეტოს. მე შენს წინ წავალ და ოღრო-ჩოღროებს გავასწორებ, სპილენძის კარებს შევლეწავ და რკინის ურდულებს დავამტვრევ და მოგცემ შენ სიბნელის საუნჯეთ და დაფარულ საგანძურებს, რათა იცოდე, რომ მე ვარ უფალი, შენთვის სახელის მწოდებელი, ისრაელის ღმერთი. ჩემი მსახურის, იაკობის და ისრაელის, ჩემი რჩეულის გულისათვის მოგიხმე შენ შენი სახელით, პატივი დაგდე, თუმცა არ მიცნობდი" (ესაია 45:1-4). წინასწარმეტყველების მოყვანილი აღგილიდან საცნაურდება, რომ კიროსისათვის უცხო იყო ჭეშმარიტი ღმერთის რწმენა იმ დრომდე, ვიდრე ღმერთმა თვითონ არ გამოუცხადა მას თავისი თავი.

ირანულ გადმოცემებში კიროსი არაერთი საგმირო ამბითაა ცნობილი. შვედი ირანისტი გ. ვიდენგრენი აღნიშნავს, რომ მართალია, კიროსზე არსებულ გადმოცემებში შერწყმულია სხვა წინააზიური ლეგენდების ელემენტები, მაგრამ მისი ფესვები საკუთრივ ირანულია. ჰეროდოტეს ცნობით, კიროსს უდაბურ მთაზე, ღარიბი მწყემსის ქოხში, ზრდიდნენ. აღზრდის ასეთი ტრადიცია უცხო არ იყო ირანელებისთვის. აქემენიანი მეფეები უშუალოდ მონაწილეობდნენ ომებში და გამოირჩეოდნენ უბრალოებით: საკუთრივ მიდიური და სპარსული ტრადიციები იმაში გამოიხატებოდა, რომ მეფეს ჯარზე დაყრდნობით ეკავა შეუზღუდავი დესპოტის მდგომარეობა, მაგრამ, ამავე დროს, არ თაკილობდა მიწის მუშის უბრალო სამუშაოს. ისინი ხშირად ამაყობდნენ საკუთარი ხელით გაშენებული ბაღებით. შესაძლოა, ამის ერთგვარი გამოძახილი იყო აქემენიდ მეფეებთან მიღებული წესი – ტახტზე ასვლის შემდეგ კიროსის ტანსაცმლის ჩაცმა და გლეხური საჭმლის ჭამა.

კიროს II-ის მმართველობისას ირანის დედაქალაქი გახდა პასარგადი (ფასარგადი). პასარგადი მდებარეობდა ფარსის პროვინციაში. თავდაპირველად განზრახული ჰქონდათ აქ სასახლეების აშენება, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრეს. პასარგადი გაშენებული იყო ქვით მოკირწყლულ ბაქანზე, შემორჩენილია ციხესიმაგრის ნაშთი – ალიზის აგურისაგან ნაგები მძლავრი კედლები. აქვე ყოფილა 44,5 მეტრი სიგრძისა და 34,5 მეტრი სიგანის დიდი დარბაზი, რასაც სვეტების ორი მწკრივი ამშვენებდა. შემორჩა ასევე კიროსის სასახლის ნანგრევები. პასარგადში დაცულია კუბის ფორმის ქვის ორი ნაჭერი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „თახთეიე თავუსს",

ანუ „ფარშევანგის ტახტს" უწოდებს. ისინი, აგრეთვე, ზოროასტრული ტაძრის ნანგრევებად მიაჩნიათ. ეს ქვები შიგნიდან ამოღარულია. დიდი ქვის სიმაღლე 2,25 მეტრია, ხოლო საფუძვლის ერთი მხარის სიგრძე – 2,12 მეტრი. ამ ქვას წინ კიბე აქვს. ეს ფაქტი მეტყველებს ზოროასტრული რიტუალების კვალზე კიროსის მეფობის დროს. იქვე შეინიშნება სხვა ტაძრის ნანგრევებიც. პასარგადი პროფესორ რ. ფრაის აზრით, ადრეაქემენიდური ხელოვნების დამახასიათებელი ნიმუშია, სადაც ასურული მდიდარი რელიეფებისგან განსხვავებით, გვხვდება ქვის დეკორატიული სვეტები.

პასარგადის უმნიშვნელოვანესი ძეგლია მეფე კიროსის აკლდამა. მისი სიმაღლე საძირკვლიდან 11 მეტრია. აკლდამას პატარა და ვიწრო კარი აქვს. ოქროსგან ნაკეთი სარკოფაგი ძვირფასი ნივთებით ყოფილა შემკული. კიროსის სხეული, რომელსაც ბალზამირება ჩაუტარეს, ამ აკლდამაში დაასვენეს, რომელიც დღესაც ამაყად დგას პასარგადში. ზოგი მეცნიერი კიროსის დაკრძალვის ფაქტს იყენებს იმ არგუმენტად, რომ იგი შორს იდგა ზოროასტრიზმისგან, რომლისთვისაც დასაფლავების ამგვარი წესი უცხო იყო. ამის საწინააღმდეგოდ შესაძლოა მოვიყვანოთ ის, რომ არა მხოლოდ აქემენიდები, არამედ არშაკიდები და სასანიდებიც მისდევდნენ მეფეთა ბალზამირებას და სამარხებში დაკრძალვას.

კამბიზე – კამბიზემ გააგრძელა მამის საქმიანობა და იმპერიის საზღვრები გააფართოვა. მის დროს ირანელებმა დაიმორჩილეს ეგვიპტე. ბერძენი ავტორების ცნობები კამბიზეს შესახებ ხშირ შემთხვევაში რეალურ სურათს არ ასახავს. ზოროასტრიზმთან მისი დამოკიდებულების შესახებ არ მოიპოვება მდიდარი ინფორმაცია. შეიძლება დავასახელოთ ის ფაქტი, რომ კამბიზემ შემოიღო შემდეგში მაზდეანური რელიგიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი – ქორწინების ნება ახლო ნათესავებს, დასა და ძმას შორისაც. საკუთრივ კამბიზე დაქორწინებული იყო ორ ღვიძლ დაზე. ამ ცნობას ჰეროდოტეც ადასტურებს. მისი მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კამბიზეს მეფობამდე ეს ტრადიცია ირანელებს არ ახასიათებდათ. იგი ირანულ სამყაროში კამბიზეს დროიდან იკიდებს ფეხს. სისხლით ნათესავებს შორის ქორწინებას ნეგატიურად აფასებდა არა მხოლოდ ქრისტიანობა, არამედ ისლამიც. თვალსაჩინოებისათვის გამოდგება ფ. გორგანის ცნობილი პოემის – „ვისი და რამინის" – გახსენებაც, რომელიც ფალაურ სიუჟეტზეა აგებული და მასში გვხვდება და-ძმის ქორწინება. ამ ნაწარმოებს ისლამურ ირანში არ მოუპოვებია დიდი პოპულარობა, რასაც ხელნაწერთა სიმცირეც მოწმობს.

დარიოს I – მეფე დარიოსი დაქორწინდა კამბიზეს ქვრივ ატოსუზე და ცრუბარდიას დამხობისთანავე ავიდა ირანის სამეფო ტახტზე. მისი მეფობის დროს იერუსალიმში დასრულდა ტაძრის მშენებლობა. მან განამტკიცა კიროსის ბრძანების კანონიკურობა და დააჩქარა ტაძრის აგების დასრულება: „და ვიძლევი განკარგულებას, რომ თუ ვინმე შეცვლის ამ ბრძანებას, გამოიღონ ძელი მისი სახლიდან, ზედ ჩამოკიდონ იგი... და ღმერთმა, რომლის სახელიც იქ არის დავანებული, დაამხოს ყოველი მეფე და ხალხი, რომელიც ხელს აღმართავს ამ ბრძანების შესაცვლელად, ან ამ ღვთის სახლის დასაზიანებლად, რომელიც იერუსალიმშია. მე, დარიოსი, ვიძლევი ბრძანებას: ზედმიწევნით შესრულდეს!". დარიოსი აქტიურად იბრძოდა იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლიდა ტაძრის დასრულებას. იგი საყურადღებოა იმ ნიშნით, რომ მისი მოღვაწეობის დროიდან აღინიშნება აპურამაზდას კულტის ტრიუმფალური აღორძინება.

დარიოს I ავტორია ცნობილი წარწერისა ბეჰისტუნის კლდეზე (ძველსპარსულად ბაგა-სტანა, ანუ ღმერთების ადგილი). ესაა აქემენიდებს შორის ყველაზე ვრცელი წარწერა. შინაარსობრივად იგი წარმოადგენს ისტორიულ ქრონიკებს. სპარსულ ტექსტს თან ახლავს პარალელური წარწერები ელამურ და ბაბილონურ ენებზე. ამ წარწერის ტექსტში დარიოს I გვევლინება აპურამაზდას თაყვანისმცემლად: „იტყვის მეფე დარიავაჰუ: მე აპურამაზდას ნებით ვარ მეფე. აპურა მაზდამ მე მიბოძა

სამეფო (5), „აცხადებს მეფე დარიავაჰუ: ესაა, რაც აღსრულებულ იქნა ჩემგან, აჰურამაზდას ნებით ერთსა და იმავე წელიწადს, მას შემდეგ, ოდეს მეფედ დავჯექ, 19 ბრძოლა გადავიხადე. აჰურა მაზდას ნებით მოვიგე ისინი. 9 მეფე დავატყვევე" (52), „აცხადებს მეფე დარიავაჰუ: ვინც სცემს თაყვანს აჰურამაზდას, ძალისაებრ მისისა, ცოცხალიცა და მკვდარიც ნეტარებას ეწევა, პოვებს იგი ამ სოფლის ლხენას და საუკუნო სამკვიდრებელის ბედნიერებას" (73).

დარიოსის წარწერები, სადაც იგი აჰურამაზდას კულტის მიმდევრად გვევლინება, შემორჩენილია აგრეთვე პერსეპოლისში – მის მიერ აგებულ სამეფო ქალაქში. აქ, ტაჩარას სახელით ცნობილ სასახლეში, ნაპოვნია წარწერა, სადაც დარიოსი თვით წარმატებულ მშენებლობასაც აჰურამაზდას წყალობად თვლის: „მე ვარ დარიოსი, დიდი ხელმწიფე, მეფეთა მეფე, მეფე ქვეყნების, ამ მიწა-წყლის მპყრობელი ერთი. ვიშტასპას ვაჟი, აქემენიდი. აცხადებს მეფე დარიავაჰუ: აჰურამაზდას ნება-სურვილით, აქ ამიგია ეს ძვირფასი სასახლე ჩემი".

სუზაში აღმოჩენილი წარწერები ბუნებრივად აგრძელებს დარიოსის პიროვნების, როგორც აჰურამაზდას ერთგული მსახურის, წარმოჩენას: „მაღალმა ღმერთმა აჰურამაზდამ, უზენაესმა ღვთაებებს შორის, დარიავაჰუ გაახელმწიფა. მანვე უბოძა სამეფო ესე, – ქვეყანა კარგი, კარგეტლიანი, კარგცხენიანი, კეთილი ხალხით", ასევე, სუზაშია აღმოჩენილი შემდეგი წარწერა: „იტყვის ხელმწიფე დარიავაჰუ – ჩემი შემწეა აჰურამაზდა, და მეც ვეკუთვნი აჰურამაზდას. აჰურამაზდას ვეთაყვანები, ვემსახურები თაყვანისცემით, დაე, მეოს მეყოს აჰურამაზდა!".

ქსერქსე I – პირველი აქემენიდები, თაყვანს სცემდნენ რა აჰურა მაზდას, არ ზღუდავდნენ სხვა ხალხთა კულტებს. მხოლოდ ქსერქსე I-ის დროს იცვლება აქემენიდების დამოკიდებულება არაირანული პროვინციების ადგილობრივი კულტების მიმართ და იწყება ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ქსერქსე ცდილობს ყველასათვის საკალდებულო გახადოს აჰურამაზდას თაყვანისცემა. პერსეპოლისში ნაპოვნია ქსერქსეს ანტიდევური წარწერა, რომელშიც დაგმობილია ცრუ ღმერთების თაყვანისცემა. დევა ინდურ რელიგიებში აღნიშნავს ღმერთს, ხოლო ირანულ სამყაროში ცრუ ღმერთის მნიშვნელობა აქვს. ეს დაპირისპირება აიხსნება არიული ტომების განყოფით (ძვ. წ. II ათასწლეული) და, შესაბამისად, ინდური და ირანული რელიგიური თვალსაზრისების დაპირისპირებით. გათებში, როგორც ზემოთ ითქვა, დევები (დაევები) უიგივდებიან ბოროტ არსებებს.

თუ დარიოსის წარწერა მოგვითხრობს ურჩი მთავრების დამორჩილებაზე, ქსერქსე უკვე სახელმწიფო რელიგიის განმტკიცებაზე ზრუნავს. ქსერქსეს წარწერის ეროვადერთი იდეაა აჰურამაზდას ჭეშმარიტ ღმერთად აღიარება და მრავალეროვანი იმპერიის ტერიტორიაზე არსებული სხვა რელიგიური კულტების უარყოფა. წარწერის ტექსტში ქსერქსე მოიხსენიება, როგორც ხშაიარშა, რადგან მისი სახელი ძველ სპარსულ ენაზე ამგვარად წარმოითქმებოდა. იგი აღნიშნავს, რომ აჰურამაზდა შემოქმედი ღმერთია და მისი შემწეობით ქსერქსემ ყველა ხალხში მშვიდობა და წესრიგი დაამყარა: „აჰურამაზდაა ღმერთი ჭეშმარიტი! შემქმნელი ამა ქვეყნისა, ამ ცის შემოქმედი, კაცის დამბადებელი, ვისაც კაცთათვის მოუცია კეთილდღეობა. ვინც ხშაიარშა ხელმწიფედ დამსვა, ერთი – მრავალთა მეუფედ, ერთი – მრავალთა მბრძანებლად. მე ვარ ხშაიარშა, დიადი მეფე, მეფე მეფეთა, მპყრობელი მრავალტომიან საბრძანებელთა, შორს გადაშლილი მიწა-წყლის მფლობელი. დარიავაჰუ მეფის ძე, აქემენიანთ გვარისა, სპარსი, ძე სპარსელისვე, არიელთ მოდგმის, არიელი ჩამომავლობით!" ქსერქსეს თქმით, მან პართიელები, სოღდელები, კაპადოკიელები, ელამელები, ბაქტრიელები, ეგვიპტელნი, ბაბილონელები და სხვა ხალხები დაუმორჩილა აჰურამაზდას თაყვანისცემას. მისი სიტყვით, „უწინ ამ ხალხებში ცრუ ღმერთებს სცემდნენ თაყვანს. ხოლო მე, აჰურამაზდას წადილისამებრ, დავამხე წარმაროული სალოცავები! და ვბრძანე: კერპებს არ ეთაყვანოთ-მეთქი! და იქ, სადაც ადრე ცრუ ღმერთებს ჰმსახურებდნენ, მე ღვთისმოსაემა, ვადიდე აჰურამაზდა და ართა!" ქსერქსე მომავალ

თაობებს აფრთხილებს, რომ არ გადაუხვიონ აჰურამაზდას რჯულიდან და მოწიწებით აღასრულონ მისი კანონები. რელიგიის ერთგულს ელოდება ნეტარება: „აჰურამაზდას განწესებული რჯულის დამცველნო! აჰურამაზდას და ართას მადიდებელო! მოგენიჭება შენ ლხენა ამქვეყნიური, და ცხონდები საუკუნო სასუფეველში!..”

აქემენიდების მმართველობის პერიოდში ზოროასტრიზმი ფართოდ ვრცელდება. არტაქსერქსე II აჰურამაზდას კულტის გვერდით უკვე სავალდებულოდ აცხადებს ანაჰიტას და მითრას კულტებს. ამ ღვთაებათა სახელები მისი მემკვიდრეების დროსაც გვხვდება. ეპიგრაფიკული ძეგლების უმრავლესობა შესრულებულია ძველ სპარსულ, ელამურ და ბაბილონურ ენებზე, ხოლო მოგვიანებით საერთაშორისო ურთიერთობებში იმძლავრა არამეულმა ენამ.

აქემენიდურ ირანში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე განმსჭვალული იყო რელიგიური სულისკვეთებით, თუმცა, მართებულია ე. ჰერცფელდის დაკვირვება, რომლის თანახმად – „ირანულ ხელოვნებაში სარწმუნოებრივი ელემენტი თითქმის სრულიად დაჩრდილულია, რაც თვით სარწმუნოების მეტად განყენებულ ხასიათს უნდა მიეწეროს”. გაოცებას იწვევს აქემენიდ მეფეთა საფლავები, რომელთა ნაწილი მდებარეობს ნაყშე-რუსტამში (სპ. როსტომის ნახატი – უკავშირდება ლეგენდარული ირანელი გმირის, როსტომის, სახელს). ნაყშე-რუსტამი ჰადი აბადის მთის მონაკვეთია. აქ განლაგებულია დარიოს I-ის, ქსერქსეს, არტაქსერქსესა და დარიოს II-ის აკლდამები. ისინი კლდეში რამდენიმე მეტრის სიმაღლეზეა გამოკვეთილი. გაოცებას იწვევს, თუ როგორ მოახერხეს იმ ხანაში თვალუწვდენელ სიმაღლეზე ასეთი გრანდიოზული ძეგლების გამოკვეთა. ოთხივე აკლდამა, რომელთაც ჯვრის მსგავსი ფორმა აქვთ, ერთმანეთის გვერდითაა გამოკვეთილი. თითოეულის სიმაღლეა 25,5 მეტრი. აკლდამათა ზედა ნაწილში გამოსახულია ესა თუ ის მეფე, რომელიც მარცხენა ხელით მშვილდს დაყრდნობია, ხოლო მარჯვენა ხელი წინ, ცეცხლსაკურთხევლისაკენ გაუშვერია. დაახლოებით არტაქსერქსეს აკლდამის პირდაპირ მოთეთრო ქვისგან ნაგები ოთხკუთხა კოშკისმაგვარი ნაგებობაა, რომელსაც ზარატუსტრას ქაბას უწოდებენ. მასზე აღმოჩენილია სასანიდების ხანის წარწერები.

დარიოს I-ის მიერ აშენებული ახალი დედაქალაქი პერსეპოლისი მდებარეობდა რაზაჰის მთის მახლობლად. ეს სახელწოდება ბერძნულ ენაზე ნიშნავს სპარსთა ქალაქს. საკუთრივ სპარსელები მას უწოდებენ თახთე-ჯემშიდს (ირანის მითიური მეფის, ჯემშიდის, ადგილსამყოფელს). პერსეპოლისი განკუთვნილი იყო საზეიმო რიტუალების ჩასატარებლად. აქ წელიწადში ერთხელ, გაზაფხულზე, იმართებოდა ირანელთა ახალი წლის – ნოეროზის დღესასწაული და, სავარაუდოდ, მეფეთა კურთხევაც. აქედან გამომდინარე, მისი არქიტექტურა გარკვეულ სიმბოლურ ნიშნებს შეიცავდა. ქალაქი საუცხოო კირქვით გაშენებული იყო 12-მეტრიანი ხელოვნური სიმაღლის ბაქანზე. პერსეპოლისში ასვლა შესაძლებელია ე. წ. საპარადო კიბეებით, რომლებიც ქვედა მოედნიდან ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მიემართება – ერთი – ჩრდილოეთით, მეორე – სამხრეთით. კიბეები გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ყოველი მათგანი ერთმანეთს 64-ე საფეხურზე უერთდება ჰატარა სივრცით. ესაა შესასვენებელი ადგილი. 110-ე საფეხურზე ორივე მხარეს კიბე სრულდება. საპარადო კიბეებზე ასვლისთანავე მნახველის წინაშე იშლება 450 მეტრი სიგრძისა და 300 მეტრი სიგანის ტერასა სხვადასხვა სიმაღლეზე აგებული ქვის ნაგებობათა ნანგრევებით.

პირველი ნაგებობა, რომლისკენაც მიემართებოდა გზა, იყო დიდი კარიბჭე, ანუ ქსერქსეს ჭიშკარი. იგი ცნობილია ყველა ერის ჭიშკრის სახელით, რადგან მხოლოდ ამ გზით მიემართებოდნენ აქემენიდ მბრძანებლებთან დამორჩილებული ქვეყნების წარმომადგენლები. ამ ჭიშკრის ჭერი 14 მეტრის სიმაღლის ქვის სვეტებს ებჯინებოდა. ჭიშკართან ცხოველის ორი უზარმაზარი სკულპტურული გამოსახულებაა გამოკვეთილი, რომლის ტანი და ფეხები ხარისას ჰგავს, ხოლო თავი – ლომისას. ქსერქსეს ჭიშკარზეა ამოკვეთილი ზემოთ ხსენებული ანტიდევური წარწერა.

ქსერქსეს ჭიშკრის აღმოსავლეთით რამდენიმე მეტრზე შეიმჩნევა ნანგრევები სვეტებიანი ნაგებობისა, რომელიც აპადანას, ანუ მისაღები დარბაზის, სახელითაა ცნობილი. ეს სასახლე განსაკუთრებულია პერსეპოლისის კომპლექსში. მისი ფართობი 10 000 კვადრატულ მეტრზე მეტია. ნაგებობის ყოველი დეტალი გვიჩვენებს, რომ ხუროთმოძღვრებს მთელი ენერგია და ცოდნა ამ თავის დროზე უნიკალური ძეგლის შექმნაში ჩაუქსოვიათ. აპადანა სამართლიანად ითვლება ძველი სამყაროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საოცრებად. სასახლიდან ამჟამად მხოლოდ 13 სვეტია დარჩენილი. იგი რთულ ნაგებობას წარმოადგენდა. შედგებოდა მთავარი დარბაზისაგან და მიშენებული ჰქონდა ქვის ორმხრივი ტრიუმფალური კიბე. კიბის საყრდენი კედელი 81,7 მეტრია. მასზე ამოკვეთილია დამარცხებული ქვეყნების წარმომადგენლები ურიცხვი ხარკით (მიდიელები, ჰერათელები, ეგვიპტელები, პართიელები, სომხები, სოღდელები, ბაქტრიელები, ფინიკიელები, კაპადოკიელები, ინდოელები...). მათ ხელთ უპყრიათ სამკაულები, საჭურველი, ჭურჭელი.

აპადანის პირდაპირ (აღმოსავლეთით) პერსეპოლისის კიდევ ერთი გრანდიოზული ნაგებობა — ასსვეტიანი დარბაზი იდგა. იგი დარიოსის შვილის, ქსერქსეს, დარბაზად იყო მიჩეული, თუმცა მასზე აღმოჩნდა ბაბილონური ლურსმული წარწერა, რომლის თანახმად იგი ქსერქსეს მემკვიდრის — არტაქსერქსეს, ნაგებობაა.

ასსვეტიანი დარბაზი პერსეპოლისის კომპლექსის ყველა დარბაზზე დიდი იყო და ოთხკუთხა ნაგებობას წარმოადგენდა. მისი ასი სვეტი ათ მწკრივად იყო განლაგებული, რომელთაგან თითოეული 12 მეტრს აღწევდა.

აპადანას სამხრეთით მდებარე თითქმის შავი ფერის ქვის ნაგებობა ცნობილია სარკეებიანი დარბაზის სახელით. იგი პერსეპოლისის სხვა ნაგებობებთან შედარებით უკეთაა შემონახული. სარკეებიანი დარბაზის ნამდვილი სახელი, სამხრეთის ჭიშკრის კედელზე ამოტვიფრული წარწერის თანახმად, არის „ტაჩარა". სარკეებიანი მას იმიტომ ეწოდა, რომ მისი ცენტრალური დარბაზის ფანჯრების ქვის საპირეები სარკესავით პრიალებდა (ძველსპარსულად ტაჩარა — სასახლე). ვარაუდობენ, რომ სასახლის ეს ნაწილი აიგო აპადანას შემდეგ, დაახლოებით ძვ. წ. 512 წელს. ტაჩარაში ყურადღებას იპყრობს დეკორატიული ხელოვნება, რელიგიური ატრიბუტების გამოსახულებანი, ბარელიეფებზე ამოკვეთილ ფანტასტიკურ ცხოველებთან შეჭიდებული მეფე, ლომსა და ხარზე ნადირობის სცენა.

პერსეპოლისის კომპლექსს განეკუთვნება, ასევე, იქვე, რაჰმათის მთის ფერდობზე, გამოკვეთილი აქემენიდური დინასტიის უკანასკნელი მეფეების — არტაქსერქსე II-ისა და არტაქსერქსე III-ის აკლდამები. კომპოზიციურად ისინი თითქმის იმავე სტილშია აგებული, როგორც ნაყშე-რუსტამის აკლდამები. არქეოლოგიური გათხრების წყალობით, რომლებსაც აწარმოებდნენ ამერიკის უდიდესი ექსპედიციები ე. ჰერცფელდის, ე. შმიდტისა და სხვათა ხელმძღვანელობით, პერსეპოლისში მრავალი ძვირფასი ნივთი გამოვლინდა. მათ შორის აღსანიშნავია 289 გრამი წონის ფრთოსანი ხარის გამოსახულებიანი ოქროს ფირფიტა, ქვისგან გამოკვეთილი ძაღლის სკულპტურა, ვერცხლის ლანგრები, მძივის მარცვალი ბაბილონური წარწერით, რომელიც ნაბუქოდონოსორს საჩუქრად მიურთმევია მარდუქისთვის და სხვა მრავალი ნივთი. სუზაში აღმოჩენილი წარწერით ირკვევა, რომ აქემენიანთა კულტურის შექმნაში, სპარსელების გარდა, მონაწილეობდნენ უცხოელი ოსტატები — იონელი ქვისმთლელები, ეგვიპტელი ოქრომჭედლები. ფირუზი მოჰქონდათ ხორეზმიდან, სპილოს ძვალი — ინდოეთიდან, ხის ჯიშები — ლიბანიდან.

ე. ჰერცფელდის თქმით, „ის, რაც აქემენიდებმა თავიანთ რეზიდენციებში შექმნეს — ბაბილონს, სუზას, პერსეპოლისს, პასარგადს და ეკბატანას — მათი კულტურის უნივერსალურ ხასიათს ამჟღავნებს. როგორც რელიგიაში, აქაც გადაქსოვილია საკუთარი, ადგილობრივი და მთელი ძველი აღმოსავლეთი. პერსეპოლისი მოგვაგონებს ათასწლეულების სიმფონიის მქუხარე დასასრულს. და იმ ცეცხლში, რომელიც ალექსანდრემ ამ შედევრს წაუკიდა, დაიღუპა ახლო აღმოსავლეთის ძველი მსოფლიო მთლიანად".

აქემენიდების ხანაში ჩანასახის სახით უკვე არსებობდა სწავლება ზარვანის (ზურვანის, ზერვანის) შესახებ. ავესტაში გამოყენებული სიტყვა „ზარვანი" სიტყვა-სიტყვით ნიშნავს დროს (იასნა, 72.10; ვიდევდატი, 19.13). თანდათანობით ირანელთა შორის გაჩნდა ზარვანის, როგორც განუსაზღვრელი დროის, შესახებ სწავლება. რელიგიური მოძღვრების – ზარვანიზმის გაჩენა აქემენიდების მმართველობას განეკუთვნება. ძველი ირანელების რელიგიური ცნობიერების თანახმად (იქნება ეს ზოროასტრიზმი თუ ზარვანიზმი), დროს, საერთოდ, ორი არსებითი ასპექტი აქვს: 1. დაუსაბამო და უსასრულო დრო, ანუ მარადისობა; 2. შემოფარგლული და შეზღუდული დრო, ანუ <დრო ხანგრძლივი მბრძანებლობისა>, რომელსაც ქმნის უმაღლესი ღვთაება აჰურამაზდა მარადიული დროის ანალოგიით. შეზღუდული დრო შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ზარვანის (მარადიული დროის) გამოცხადება.

აქემენიდების დინასტიის ზეობისას ადგილი უნდა ჰქონოდა რელიგიური ცხოვრების კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას – ზოროასტრული კალენდრის შექმნას. ზუსტი მონაცემები ზოროასტრული კალენდრის წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ არ არსებობს. ს. ტაყიზადეს გამოთვლით, იგი ძვ. წ. 441 წლიდან უკვე ფუნქციონირებდა აქემენიდურ ირანში. ეს არტაქსერქსე I-ის მეფობის ხანაა. ზოგი მეცნიერი ამ კალენდრის წარმოშობას შედარებით გვიანდელ პერიოდს უკავშირებს, თუმცა, ამ უკანსკნელთა შეხედულებით, კალენდრის შექმნა არ სცილდება ძვ. წ. I საუკუნეს.

ეს კალენდარი წარმოადგენს ასტრონომიული და კალენდარული მზის წელიწადის თანაფარდობას. მასში დროის საზომს დღის და ღამის რეგულარული მონაცვლეობა წარმოადგენს. ზოროასტრელთა წარმოდგენით, ერთი კალენდარული დღე (დღე-ღამე) მოიცავს პერიოდს მზის ორ ამოსვლას შორის, ე.ი. განთიადიდან განთიადამდე. ზოროასტრული წელიწადი 12 თვისგან შედგება და შეესაბამება 12 ზოდიაქოში მზის მოძრაობა-გადაადგილებას. ასეთ შემთხვევაში მიიღებოდა წლის დანაკლისი 5 დღე, რომელსაც „კეთილი ხუთეული" ეწოდებოდა. იგი კალენდარს ემატებოდა წლის ბოლოს ან შუაში, სასანელთა დროს კი ამ ხუთი დღისაგან 6 წელიწადში ერთხელ იქმნებოდა დამატებითი თვე. ყოველი თვე, ზოროასტრული კალენდრის მიხედვით, კვირათაგან შედგება და 2 ნაწილად იყოფა. კვირის დღეთა რაოდენობა ღვთაებრივ ჰეპტადას განასახიერებს. სახელწოდებანი დღეებისა და თვეებისა თეოფორულია და ზოროასტრული პანთეონის ღვთაებათა სახელებს წარმოადგენს. თვეების სახელწოდებანი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ვოჰუ მანა, სპენტა არმატი, ფრავაში, აშა ვაჰიშტა, ხაურვატატი, თირი, ამერეტატი, ხშათრა ვარია, მითრა, აპა (წყალი), ათარი (ცეცხლი). სასანიდურ ხანაში თვეთა სახელწოდებანი შემდეგნაირი გახდა: ფარავარდინი, არდვაჰიშტი, ხორდადი, თირი, ამურდადი, შაჰრივარი, მიჰრი, აბანი, ადური, დაი, ბაჰმანი, სპანდარმადი.

აქემენიდების ხანას ეკუთვნის აგრეთვე ზოროასტრული დღესასწაულების დაარსება, რომელთა აღნიშვნაც მკაცრად განსაზღვრულ დღეს სრულდებოდა. როგორც ზემოთ ითქვა, აქემენიდები პერსეპოლისში ზეიმობდნენ ნოვრუზის (სპარსულად – ახალი დღე) – ზოროასტრული ახალი წლის დადგომის დღესასწაულს. იგი აღინიშნებოდა გაზაფხულის ბუნიობისას, ფარვარდინის თვის ჰორმოზის დღეს (ზოროასტრული კალენდრის პირველი თვის პირველი დღე). ზოროასტრული ტრადიციით ამ დღესასწაულის დაწესება ლეგენდარული ჯემშიდის მეფობას, მის მიერ ოქროს ტახტის გაკეთებასა და მასზე ამაღლებას უკავშირდება. სავარაუდოდ, ამ დღესვე ხდებოდა ახალი მეფის კურთხევაც. აღსანიშნავია სადეს დღესასწაული, რომელიც ბაჰმანის თვის მე-10 დღეს აღინიშნებოდა. ამ დროს მძლავრობდნენ აჰრიმანული ძალები სიცივისა და ზამთრის სახით და მათ განსაგდებად ცეცხლს ანთებდნენ ხოლმე. ფირდოუსის „შაჰ-ნამეს" მიხედვით, ამ დღესასწაულის დაწესება მეფე უშანგს მიეწერება, რომელიც ცეცხლის აღმომჩენად ითვლებოდა.

ზოროასტრიზმი არშაკიდების მმართველობის ხანაში

ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილი იმპერია მისი სიკვდილისთანავე სწრაფად დაიშალა. იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდა ცალკეული ელინისტური სახელმწიფოები, რომელთაც ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრები მართავდნენ. ირანის ტერიტორია მოექცა სელევკიდების ელინისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში. სელევკიდებმა ირანის ტერიტორიაზე მრავალი ქალაქი დააარსეს. კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩამოყალიბდა ბაქტრიის ბერძნული სახელმწიფო.

ძვ. წ. III ს-ის 40-იან წლებში ირანში გაძლიერდნენ ჩრდილოეთით მცხოვრები პართიელები და მალე მოიპოვეს მთელ ქვეყანაზე ჰეგემონია. პართიული დინასტიის ფუძემდებელი იყო არშაკ I (ძვ. წ. 250/248–247), რის გამოც მან არშაკიდების სახელი დაიმკვიდრა. არშაკიდების ეპოქის ირანული სახელმწიფო გადაჭიმული იყო ინდოეთიდან მესოპოტამიამდე. ამ დინასტიის მეფეთა მოღვაწეობისას ზოროასტრიზმმა კვლავ განიცადა აღმავლობა, შესაძლოა, უფრო მეტად, ვიდრე აქემენიდების ხანაში. მითრიდატე I-დან დაწყებული პართიელი მეფეები უშვებდნენ საკუთარ მონეტებს, რომელსაც ჭრიდნენ ბერძენი ოსტატები.

არშაკიდების პართიული დინასტიის დროს ირანელებმა ელინისტური კულტურის ბევრი ელემენტი შეითვისეს. აღმოჩენილია ამ ეპოქის ბერძნულენოვანი წარწერები.

არშაკიდების პართიული დინასტია მივიწყებულია. არაბი და ირანელი ავტორების ადრეულ თხზულებებში ირანის ამ პერიოდის სრული იგნორირება უნდა აიხსნას იმით, რომ მათ ეჭვის ქვეშ დააყენეს ხსენებული დინასტიის ეროვნულობა და არშაკიდი მეფეები აქემენიდების ტახტის უზურპატორებად მიიჩნიეს. ზოგადად, ზოროასტრიზმის გვერდით არშაკიდების დროის ირანში სხვა ბევრი კულტიც არსებობდა, მაგრამ მათს რაობაში გარკვევა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ცნობილი ამერიკელი მეცნიერი რ. ფრაი, საკმაოდ რთულია.

ზოროასტრიზმი სასანიდების მმართველობის ხანაში

III საუკუნის დამდეგისათვის ირანი, ფაქტობრივად, დაშლილი იყო ცალკეულ სამთავროებად, რომელთა გამგებლები აღარ ცნობდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას და არ ემორჩილებოდნენ მეფეს. განუწყვეტელი შინააშლილობა ასუსტებდა ირანს და ხელს უწყობდა ცალკეული არისტოკრატიული გვარების გაძლიერებას. ამ პერიოდში განსაკუთრებით დაწინაურდა ირანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პროვინცია ფარსი, აქემენიდთა სამშობლო. ფარსის გამგებელმა არდაშირმა, პაპაკის ძემ, შეძლო დაქსაქსული ფარსის გაერთიანება და მისი ტერიტორიის გაზრდა. იგი აღარ დაკმაყოფილდა მოპოვებული გამარჯვებით და შეეცადა მთელი ირანის გაერთიანებას. გადაწყვეტი ბრძოლა არშაკიდების დინასტიის უკანასკნელ მეფე არტაბან V-სა და სასანელთა საგვარეულოს პირველ წარმომადგენელს შორის მოხდა დაახლოებით 226 წელს. ამ ბრძოლაში არტაბან V დაეცა და ძალაუფლება არდაშირის ხელში გადავიდა. ამით დაიწყო ირანში სასანიდების მძლავრი დინასტიის მმართველობა, რაც არაბთა შემოსევებამდე გაგრძელდა. ირანელი მეცნიერის, მოჰამადალი ნოდუშანის, სიტყვებით, „ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და ძლევამოსილი დინასტია მსოფლიო ისტორიაში. ძველი სამყაროს ქვეყნებიდან მხოლოდ რომმა შეძლო მასთან გატოლება".

თუ კამათს იწვევს აქემენიდთა რელიგიური მსოფლმხედველობა ან იგრძნობა

წყაროთა სიმცირე არშაკიდების ხანის ზოროასტრიზმის შესახებ, აუჭვმიუტანლად უნდა ვაღიაროთ, რომ სასანიდების პერიოდი ზარატუსტრას რელიგიის ტრიუმფია. სასანელთა ეპოქაში იწყება განსაკუთრებული ინტერესი წარსულისადმი, ძველი ადათ-წესების, ნაციონალური ლეგენდებისა და ტრადიციების აყვავება; ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც ის ფაქტი გახლდათ, რომ ზოროასტრული რელიგია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გავრცელებული იყო ირანში, ახლა სახელმწიფო რელიგიად იქცა, ხოლო ზოროასტრული იერარქიული წრე გავლენიან სტრუქტურად, რომელიც ერეოდა სახელმწიფოს ცხოვრების ყველა სფეროში. ეს სიმბოლიზებული იყო ცნობილ გამოთქმაში: „ტახტი საყრდენია საკურთხეველის და საკურთხეველი იცავს მას".

სასანიდების დროს ზოროასტრიზმი გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად. სასანიდები, რომლებიც თავს აქემენიდების ჩამომავლებად თვლიდნენ, ყველანაირად ცდილობდნენ ზოროასტრიზმის განმტკიცებას. ამ დინასტიის წარმოშობის შესახებ ცნობებს გვაწვდის არაბი ისტორიკოსი ტაბარი (Xს.). მის ქრონიკაში მოცემულია პირველივე მონარქის — არდაშირ I-ის (226–241) — ბიოგრაფია. ამ წყაროს მონაცემებით, არდაშირი იყო ისტახრიდან. ნადირობასა და მხედრობაში გაწაფული პაპამისი სასანი ანაჰიტას ტაძრის უხუცესი გახლდათ. მისი ვაჟი პაპაკი, მამა არდაშირისა, აღსაზრდელად მიბარებული ჰყავდა ისტახრის მეფე გოზიჰრის საჭურისს — თირეს. არდაშირს ბავშვობაშივე უწინასწარმეტყველეს მთელი ირანის დაპყრობა. მან დაამარცხა მეფე გოზიჰრი, სისხლის მორევში ჩაახრჩო არშაკიდების მთელი საგვარეულო და ქვეყნის სათავეში მოვიდა.

არდაშირ I-ის დროს განეკუთვნება იდეა ქვეყნის განმტკიცებაში ერთიანი მძლავრი რელიგიის არსებობის აუცილებლობაზე. ფალაურ ენაზე მოიპოვება ისტორიული ხასიათის თხზულება „არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი". ეს ნაწარმოები ბოლომდე ვერ ასახავს რეალობას, ზოგი ცნობა ლეგენდარულია, მაგრამ საყურადღებო ინფორმაციასაც შეიცავს. იგი უნდა შექმნილიყო VI-VII საუკუნეების მიჯნაზე და როგორც სათაურიც გვამცნობს, მოგვითხრობს არდაშირისა და მისი მემკვიდრეების ამბავს. მასში არდაშირის მთელი ბრძოლა მმართველობისათვის რელიგიურ საბურველშია გახვეული. ამ ძეგლის თანახმად, მეფე არდაშირი ჩვენ წინაშე წარმოჩნდება, როგორც სხვა რელიგიის მიმდევართა გამანადგურებელი.

ზოგადად, სასანიდების ეპოქაში მყარად იცავდნენ მომავალი თაობის ზოროასტრული პრინციპებით აღზრდას. ა. ქრისტენსენის ცნობით, ჰორმიზდ IV-ის (579–590) მეფობაში ვაუმა წარჩინებული ოჯახიდან — მიჰრაგუშნასპმა, ნიზიბიიდან მიიპყრო მეფის ყურადღება იმით, რომ იგი კარგად იყო აღზრდილი, შესანიშნავად იცოდა ზოროასტრული რელიგიის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. არისტოკრატი ვაუების აღზრდაში წამყვანი კომპონენტი იყო თეოლოგიური განათლება, ზოროასტრული რელიგიის მოძღვრების შესწავლა. ამის უტყუარ მოწმობას ვხვდებით „დენქარდში" (IX,50), რომელშიც ლაპარაკია „ავესტის" ცოდნაზე. ფალაურ ენაზე დაწერილი „ფანდნამაკი ზარათუშთ" ცხადყოფს, რომ 15 წლის ვაუმა თავისუფლად უნდა იცოდეს რელიგიის დოგმები „ავესტისა" და მისი კომენტარების მიხედვით. 20 წლის ასაკში უნდა ჩააბაროს მკაცრი გამოცდა ჰერბადებს. ამ საკითხებზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის ფალაური ტექსტი „ხოსროვ კავადის ძე და ყრმა" („ხოსროვ-ი კავადან"). მასში ვაჟი აცხადებს, რომ მან სრულყოფილად, ვითარცა ნამდვილმა ჰერბადმა, შეისწავლა ზოროასტრული რელიგიის დოგმები: „იასნა და ვიდევდატი ჰერბადივით ზეპირად შევისწავლე და ყოველ ადგილს ზენდის საშუალებით ვარკვევდი", — ამბობს ამ ძეგლის პერსონაჟი.

არდაშირ I-ის დროს ზოროასტრული რელიგიის უმაღლესი ქურუმი იყო ტანსარი. ჩვენამდე მოაღწია ცნობილმა ნაწარმოებმა — „დიდი მობადის ტანსარის წერილი ტაბარისტანის მეფისადმი". ფალაური ენიდან იგი ითარგმნა არაბულად და შემდეგ სპარსულად. ტაბარისტანი მდებარეობდა ჩრდილო ირანში. მისი გამგებლის

– გუშნასპის – ერთ-ერთ წერილზე პასუხი ხსენებული ძეგლის სახითაა მოღწეული. ტანსარი ზოროასტრული რელიგიის განახლებული ტრადიციების დამცველია და სასანიდების მოკავშირე. გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად ტანსარი გაიგივებულია ამავე ხანებში მოღვაწე კარტირთან – ზოროასტრული რელიგიის უმაღლეს ქურუმსა და რეფორმატორთან. ამ იდენტიფიკაციის საფუძველს იძლევა საშუალო სპარსული წერილობითი ძეგლების მასალა, რომელშიც ასახულია ტანსარის მოღვაწეობა. ამ შეხედულებას უარყოფდნენ ისეთი დიდი ავტორიტეტები, როგორებიც არიან მ. ბოისი და ე. ჰერცფელდი. რ. ფრაი არ გამორიცხავდა ამის შესაძლებლობას, მაგრამ მაინც იჩენდა სიფრთხილეს.

ხსენებული კარტირი შაპურ I-ის კარზე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. მის სახელს უკავშირდება ზოროასტრიზმის აღორძინება. კარტირის სახელით შემორჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლები მოგვითხრობს მის საქმიანობაზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ნაპოვნია ნაყშე-რუსტამში, ზარატუსტრას ქაბაზე. მისი შინაარსი გვაუწყებს, რომ გარკვეულ ქვეყნებში მეფის ბრძანებით დააწესეს ცეცხლის ტაძრები და დასვეს ქურუმები, აგრეთვე, განახორციელეს სხვა მკაცრი ღონისძიებები. წარწერის ტექსტი ამგვარია: „და მე კარტირმა, იმთავითვე ღმერებისა და მეუფეთა სამსახურში და სულისა ჩემისა გამო ბევრი შრომა და ტანჯვა განვიცადე, ჩემი წყალობით მრავალნი ცეცხლნი (ე. ი. ცეცხლის ტაძრები) და მოგვნი ირანის მთელ ქვეყანაში... ასურისტანში... მეშანში, ატრუპატაკანში, სპაჰანში, რეიში, კერმანში, საკასტანში, გურგანში... მერვში, გერათში... აპარშაჰრში, ვიდრე პეშევარამდე გაიფურჩქნენ. და აგრეთვე არა ირანის ქვეყნებში ცეცხლნი და მოგვნი, ვინც კი იყვნენ არა ირანში, იქ, სადაც შაპურის, მეფეთა მეფის ცხენებმა და ხალხმა (ე. ი. მეგობრებმა) მიაღწიეს – ქალაქი ანტიოქია და ქვეყანა სირია და ის, რაც სირიის პროვინციაშია, ქალაქი ტარსი და ქვეყანა კილიკია და ის, რაც კილიკიის პროვინციაშია, ქალაქი კაისარა და ქვეყანა კაპადოკია და ის, რაც კაპადოკიის პროვინციაშია, ვიდრე საბერძნეთის ქვეყნამდე, ქვეყანა არმენია და იბერია, და ალბანია და ბალასკანი, ვიდრე ალბანთა (თუ ალანთა?) კარამდე – იქ სადაც შაპურმა, მეფეთა მეფემ, ცხენებითა და ხალხით თვით... ნგრევა და ხანძარი მოახდინა, იქ მეფეთა მეფის ბრძანებით მოგვნი, ვინც კი ამ ქვეყნებში იყვნენ, გავაერთიანე მაგუსტანში (ე. ი. მოგვთა თავშეყრის ადგილზე)". კარტირის მსგავსი რეფორმების შედეგი იყო ის, რომ ბაჰრამ I-მა (274–276) სიკვდილით დაასჯევინა მანი, ირანში ახალი რელიგიის – მანიქეიზმის – ფუძემდებელი.

კარტირის გამოსახულება ნაპოვნია ნაყშე-რაჯაბში არსებულ ერთ-ერთ ბარელიეფზე. აქვე მდებარეობს ბარელიეფი, რომელზეც გამოსახულია არდაშირი და მისი ძე შაპურ I (242–273) იმ მომენტში, როცა აჰურამაზდა სამეფო გვირგვინს გადასცემს არდაშირს. იქვე შესრულებული წარწერა გვამცნობს: „ზარატუსტრას მოძღვრება აღგვილი იყო პირისაგან მიწისა. მე, მეფეთ მეფემ (მისი) მოძღვრება აღვადგინე". სხვა ბარელიეფზე აჰურამაზდა სამეფო კვერთხს გადასცემს შაპურ I-ს. კარტირის მოღვაწეობის კვალს ვხედავთ ბაჰრამ II-ის (276–293) დროსაც. სარი-მეშჰედში ნაპოვნ წარწერაზე კარტირი წარმოგვიდგება, როგორც ურწმუნოთა ზარატუსტრას სარწმუნოებაზე მომქცევი.

საზოგადოდ, სასანიდების დროს ქურუმთა წრე დიდი ზეგავლენით სარგებლობდა. მათ წინააღმდეგ გალაშქრება უპირობოდ აღიქმებოდა ერესად. თუმცა ირანულ სამყაროში იყო შემთხვევები, როცა რელიგიური იერარქიის წინააღმდეგ ბრძოლა სოციალურ საბურველში ეხვეოდა. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება სასანიდური პერიოდის ცნობილი მოვლენები, რაც მაზდაკელთა მოძრაობას უკავშირდება. მაზდაკიზმი იყო რელიგიური მოძრაობა, რომელმაც სახელი მიიღო თავისი ფუძემდებლის – მაზდაკისგან. მაზდაკიზმი ასევე აღიარებდა, რომ მსოფლიო პროცესს საფუძვლად უდევს ბრძოლა ნათელ და ბნელ ძალებს შორის; **პირველი გონიერების**

სათავეა, მეორე – ქაოსის. ამ ბრძოლაში სიკეთის გამარჯვება გარდაუვალია. მაზდაკიზმში არის მოწყალების გაღების აუცილებლობის, ქონების თანასწორობის იდეები. ეს მოძღვრება ხალხს მოუწოდებდა, ებრძოლათ სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ და ძალით მიეღწიათ „ღვთის ბოძებული" საყოველთაო თანასწორობისთვის. მაზდაკის იდეებმა განსაკუთრებით იფეთქა ირანში V საუკუნის 90-იან წლებში. მაზდაკელთა მოძრაობას მხარს უჭერდა მეფე კავად I, რომელიც ცდილობდა ქურუმთა უფლებების შეზღუდვას. სამეფო კარიდან მხარდაჭერის შემდეგ ეს რელიგიური მოძრაობა უფრო გააქტიურდა. 496 წელს ქურუმებმა კავად I ჩამოაგდეს, თუმცა მან ორი წლის შემდეგ მოახერხა ტახტის დაბრუნება. ამ პერიოდში მაზდაკის მომხრეებმა მნიშვნელოვანი ადგილები დაიკავეს. სახელმწიფოში ერთ-ერთი პირველი ფიგურა გახდა საკუთრივ მაზდაკი. მის მიმართ მეფის კეთილგანწყობა შეიძლება შევადაროთ შაპურ I-ის დამოკიდებულებას „ნათლის მოციქულ" მანისადმი III საუკუნეში. მაზდაკელები იტაცებდნენ მდიდართა ქონებას და ღარიბებს ურიგებდნენ. VI საუკუნის 20-იან წლებში კავად I შეურიგდა დასუსტებულ ქურუმებსა და არისტოკრატიას, ხოლო მისი ვაჟი ხოსრო I (531–579) მამის ფარული მხარდაჭერით მაზდაკელთა წინააღმდეგ გამოვიდა. VI საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს მაზდაკელთა მოძრაობა ჩაახშვეს.

ზოროასტრიზმის განმამტკიცებელი იყო ძლეეამოსილი სასანიდი მეფე ხოსრო ანუშირვანი (531–579).

ზოროასტრიზმი ირანის ისლამიზაციის შემდგომ და შუა საუკუნეებში

652 წელს არაბთა შემოსევების შედეგად დაიღუპა უკანასკნელი სასანიდი მეფე იეზდიგერდ III (632–652). არაბებმა ირანის დიდი ნაწილი დაიკავეს შუა აზიის ჩათვლით. დაიწყო მოსახლეობის ისლამიზაცია. IX საუკუნიდან ირანში გაძლიერდა ნაციონალური მოძრაობა. წარმოიშვა დამოუკიდებელი დინასტიები, რომელთაგან აღმავლობას მიაღწიეს სამანიდებმა (819–999). მათი დედაქალაქი იყო ბუხარა (თანამედროვე უზბეკეთში). მართალია, ირანელებმა გადაიგდეს არაბთა უღელი, მაგრამ მიიღეს დამპყრობთა რელიგია – ისლამი. მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა ზოროასტრიზმის ერთგული. ზოროასტრელთა დიდი ნაწილი ინდოეთში გადასახლდა. ამგვარად აღმოჩნდა ზოროასტრიზმი ტრადიციულ სამშობლოში დაკნინებულ მდგომარეობაში. გარკვეული ნაწილი ზოროასტრელებისა ამ დროს ჩამოდის თბილისში, სადაც მათ დააარსეს თავიანთი ტაძარი (ათეშგა).

ირანელები დიდ როლს თამაშობდნენ ომეიადების (661–750) არაბული სახელმწიფოს კულტურულ ასპარეზზე. არაბების განათლებული ფენა ინტერესს იჩენდა ძველი ირანული ცივილიზაციის მიმართ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყურანი ზოროასტრელებს ქრისტიანების გვერდით წიგნის ხალხად აღიარებდა. სწორედ პოსტსასანიდურ ხანაში მიიღო საბოლოო სახე ზოროასტრიზმის მნიშვნელოვანმა რელიგიურმა წიგნებმა – ბუნდაჰიშნიმ და დენქარდმა.

სხვადასხვა დინასტიის დროს დამოკიდებულება ზოროასტრელების მიმართ იცვლებოდა. ზოგი კეთილგანწყობას ამჟღავნებდა, ზოგი კი მტრობდა. ასე იყო თუ ისე, ამ რელიგიამ თანამედროვეობამდე მოაღწია.

საკუთრივ ირანის ტერიტორიაზე ზოროასტრელები ძირითადად ცხოვრობენ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ორ დიდ ქალაქში – იაზდისა და ქერმანში, თუმცა მათი მცირე ნაწილი ბინადრობს თეირანშიც. ზოროასტრელების უმეტესობა, რომლებმაც ისლამი არ მიიღეს, ინდოეთში გადასახლდა, სადაც პარსების სახელით არიან ცნობილნი და ბომბისა და მის მიმდებარე რეგიონში ცხოვრობენ. ირანის ქალაქები – იაზდი და ქერმანი ძველი დროიდან იყო ზოროასტრული რელიგიის ცენტრი. 1878 წლის აღწერილობით, ქერმანში 1341 ზოროასტრული ოჯახი აღირიცხებოდა. იაზდი გაშენებულია ნახევრად უდაბნოს ზონაში და აქ მუდამ არსებობდა წყლის პრობლემა. პირველი ევროპელი, რომელმაც მოინახულა იაზდი, იყო მარკო პოლო. იგი მას ახასიათებდა, როგორც მშვენიერ ქალაქს.. სხვა მოგზაურები იაზდის მიუდგომელ ციხესიმაგრად მიიჩნევდნენ. დღესდღეობით, ათწლეულების შრომის შედეგად, იგი ირანის ერთ-ერთი ოაზისია. მის ცენტრში მდებარეობს ზოროასტრული მოქმედი ტაძარი, განპირას – ზოროასტრული საკულტო ნაგებობების ნაშთები, ხოლო მთაზე ე. წ. დუძილის კოშკია. იმის მიუხედავად, რომ ქერმანისა და იაზდის ზოროასტრელებს ჰქონდათ ერთი რელიგია, სხვადასხვა მიზეზის გამო, მათს სარწმუნოებრივ სწავლებებში შეიმჩნეოდა სხვადასხვაობა.

ყველა ზოროასტრელის სახლს წარმოადგენდა სპეციალური ოთახი, სადაც ინახებოდა წმინდა ცეცხლი. მასში არავინ იძინებდა. იგი განკუთვნილი იყო რელიგიური რიტუალებისათვის. ქერმანის ზოროასტრული ტაძრები შენდებოდა გამოუწვავი აგურით. ეს გუმბათოვანი ნაგებობები განლაგებული იყო მთავარ ქუჩაზე. შენობის სამხრეთით კარი გადახურულ დარბაზში გადიოდა, რომელსაც ბოლოში ჰქონდა პატარა ეზო. იქვე იყო გრძელი ოთახი, სადაც სწავლობდნენ ზოროასტრელთა შვილები. იაზდიში კულტმსახურებისას ყოველთვის იყურებოდნენ მზის მსარეს, საითაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ხოლო ქერმანელი ზოროასტრელები მუდამ – ჩრდილოეთით. ამ ქალაქებში ზოროასტრელთა ყველა საქმეს განაგებდა ზოროასტრული თემები, რომელთაც სათავეში კულტმსახურები ედგნენ.

ინდოელი ზოროასტრელები გუჯარეთის შტატში ძირითადად ვაჭრობას ეწეოდნენ. ისინი შევიწროებას არ განიცდიდნენ. მათ ნელ-ნელა გაწყვიტეს კავშირი ირანელ ზოროასტრელებთან. მათ შორის კონტაქტები იშვიათი იყო. XIX საუკუნის II ნახევარში ინდოელმა პარსებმა, რომელთაც განათლება ევროპაში მიიღეს და საკუთარი რელიგიის ფილოსოფიურ ასპექტში განხილვა დაიწყეს, ბომბეიში დაბრუნებისას გამოთქვეს სურვილი, დაეარსებინათ პარსების ასოციაცია, რომელიც შეისწავლიდა ზოროასტრიზმს და დაუბრუნებდა მას თავდაპირველ ტრადიციებს. ზოროასტრიზმის მეცნიერული შესწავლის ორგანიზატორი იყო ხორშიდ ქამა, რომლის სახელიც მიიღო შემდეგში ინდოეთის ორიენტალისტიკის ინსტიტუტმა. ამავე პერიოდს მიეკუთვნება „უმწეო ირანელი ზოროასტრელების დახმარების საზოგადოება", რომელიც შემოწირულობების საფუძველზე შეიქმნა. მას ხელმძღვანელობდა ჰუშანგ ჰატარია. ისიც ზოროასტრული თეოლოგიის კარგი მცოდნე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჰუშანგ ჰატარია ცხოვრობდა ინდოეთში, დაინტერესებული იყო ირანის ისტორიით. ის შეეცადა ჩასულიყო ირანში, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. საბოლოოდ, მან მაინც მოახერხა იქ ჩასვლა. ხსენებულმა საზოგადოებამ იგი ირანში გაუშვა, როგორც თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი. მას თან ჰქონდა შეწირულობა ხალხის დასახმარებლად, სკოლების ასაშენებლად. იმ დროს ინდოეთი ინგლისს ექექემდებარებოდა და, სავარაუდოდ, ინგლისის მთავრობა დაინტერესებული იყო ჰატარიას ირანში გამგზავრებით. მათ სურდათ, ინდოელი პარსების დახმარებით შეეღწიათ ირანის ბაზარზე. თვითონ ჰატარია ინგლისის აგენტი იყო. 1854 წელს ის ჩავიდა ქერმანში, აღწერა მოსახლეობა, აღადგინა ტაძრები, რის შესახებაც ერთ-ერთ

ტაძარში წარწერაც შემორჩა. იგი ცდილობდა, დაეახლოებინა იაზდისა და ქერმანის ზოროასტრელები. მას შემდეგ, რაც ირანში გაუქმდა ზოროასტრელებისთვის ქვეყნიდან გასვლის კანონი, ირანელმა ზოროასტრელებმაც დააგროვეს ვაჭრობის შედეგად კაპიტალი. ზოროასტრელი იერარქების წინააღმდეგობის მიუხედავად, ირანელი მოზარდების დიდი ნაწილი განათლებას ინდოეთში იღებდა. ამ პერიოდში ქერმანსა და იაზდიში გაიხსნა ორი ზოროასტრული სკოლა.

XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე ხდება შედარებით შეძლებული ზოროასტრელების გადასახლება თეირანში. ღარიბი ზოროასტრელებიც ხშირად მიდიოდნენ სამსახურის საძიებლად სხვადასხვა პროვინციაში. მდიდარ ირანელ მუსულმანებს ზოროასტრელები აჭყავდათ ბაღების მოსავლელად. გასული საუკუნის დასაწყისში ზოროასტრელთა მდგომარეობის უკეთესობისკენ შეცვლის მანიშნებელია ის, რომ ერთი ზოროასტრელი ვაჭრის მკვლელობის შემდეგ, რომელიც მუსლიმმა ჩაიდინა, შიიტების უმაღლესი რელიგიური წარმომადგენელი ირანის ისტორიაში პირველად თანაგრძნობის წერილს უგზავნის ზოროასტრ მობედს და ჰპირდება, რომ მკაცრად დასჯის დამნაშავეს. ეს ფაქტი ადასტურებს შიიტური სამღვდელოების დამოკიდებულების შეცვლას ზოროასტრული უმცირესობის მიმართ.

1925 წელს ირანის სათავეში მოვიდა ამ ქვეყნის ისტორიაში უკანასკნელი – ფეჰლევიანთა დინასტია. რეზა ფეჰლევის (1925–1941) დროს გატარდა მთელი რიგი რეფორმები ზოროასტრელთა სასარგებლოდ. ირანის ჟურნალ-გაზეთებში რეგულარულად იბეჭდებოდა ზოროასტრიზმის სადიდებელი სტატიები, წინარეისლამური ირანული დინასტიების ქება. რეზა ფეჰლევის კორონაციაზე დამზადდა ლითოგრაფია, სადაც ახალი მეფე ზარატუსტრასთან ერთად გამოსახული იყო აქემენიდი მეფეების – კიროსისა და დარიოსის – გვერდით. თეირანის უნივერსიტეტში 1934 წლიდან ისწავლებოდა ავესტა, ზოროასტრული ფილოსოფია და ეთიკა. ინტენსიურად იკვლევდნენ ფალაურ ტექსტებს. ფეჰლევიანთა ეპოქაში შენობებს ამკობდნენ ზოროასტრული სიმბოლიკით, ემბლემებით. ოფიციალურად შემოიღეს მზის კალენდარი; ახალი წელი აღინიშნებოდა ძველი ტრადიციული წესებით. 1934 წელს ირანში აღინიშნა დიდი პოეტის, ფირდოუსის, 1000 წლის იუბილე, რომლის დღეებშიც ზოროასტრული წარსულისადმი ინტერესი არ შენელებულა (საქართველოდან მონაწილეობდა ცნობილი ორიენტალისტი ი. მარი).

70-იანი წლების დასაწყისისთვის ირანში ცხოვრობდა დაახლოებით 36 ათასი ზოროასტრიზმის მიმდევარი. აქედან 4000 ცხოვრობდა ქერმანში, 15000 – იაზდიში, დანარჩენი – სხვა ქალაქებში. 1979 წლის თებერვალში უკანასკნელი მეფე რეზა მოჰამედ ფეჰლევი ემიგრაციაში წავიდა. რეფერენდუმის შედეგად მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რესპუბლიკურ წყობას. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ზოროასტრელები ქრისტიანებსა და ებრაელებთან ერთად რელიგიურ უმცირესობად გამოცხადდნენ და მათს საკუთარ საკულტო ტერიტორიებზე რელიგიური წესების შესრულების თავისუფლად აღვლენის გარანტია მიეცათ.

1976 წლისათვის, მ. ბოისის მონაცემებით, მთელ მსოფლიოში 129000 ზოროასტრელი ცხოვრობდა. ირანისა და ინდოეთის გარდა, ზოროასტრიზმის მიმდევრები დღეს გვხვდებიან პაკისტანში, შრი-ლანკაზე, სინგაპურში, ჩინეთში (ჰონკონგი, შანხაი), დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში.

ზოროასტრიზმი წარმართული სამყაროს ფონზე ერთგვარი პროგრესული რელიგიაა. კერპების აკრძალვა, ღვთაებათა მეტაფიზიკური ხასიათი, მესიანისტური იდეები ამის ნათელი დასტურია. ზოროასტრიზმი სახელმწიფო რელიგია ირანში ხდება სასანიდების ქვეყანაში მოსვლისას; ეს არის პერიოდი, როდესაც რომის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ცხადდება. რომის იმპერიისა და სასანიდური ირანის დაპირისპირება ხშირად რელიგიურ ნიშნებს ავლენდა.

ირანში ქრისტიანობა II საუკუნიდან უკვე გვხვდება. იქ მოციქულთა მოღვაწეობაზე მოგვითხრობს აპოკრიფული თხზულებები. ამ საკითხებზე არსებობს ცნობილი ირანელი მეცნიერის – ს. ნაფისის – შრომა „ქრისტიანობა ირანში".

ბიზანტია, ბუნებრივია, ყველანაირად ცდილობდა მეზობელ იმპერიაში ქრისტიანული ეკლესიის განმტკიცებას. ბერძნები კარგად აცნობიერებდნენ, რომ სარწმუნოებრივი იგივეობა ორ ქვეყანას შორის მშვიდობის მყარი გარანტია იქნებოდა. ირანში მიმდინარე პროცესები, რასაკვირველია, განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო რომისთვის. ეს არცაა გასაკვირი, რადგან რელიგიური ხასიათის პაექრობებში ირანი ცდილობდა, დახმარება გაეწია ოფიციალური საიმპერატორო კარისა და ეკლესიისგან დევნილი ადამიანებისთვის, რომელნიც ხშირ შემთხვევაში ერეტიკულ შეხედულებებს იზიარებდნენ. ამით ირანი, თავის მხრივ, ცდილობდა არეულობის შეტანას ბიზანტიური ყოფის წიაღში. მართალია, ვერ დავასახელებთ ირანელ მეფეებს, რომელთაც ქრისტიანობა მიიღეს და სამოციქულო მისია იტვირთეს საკუთარ ხალხში, მაგრამ სასანიდებს შორის მოიძებნებიან მონარქები, რომელთა კეთილგანწყობა ქრისტიანობის მიმართ ხელს უწყობდა ეკლესიის განმტკიცებასა და გამრავლებას. პოლიტიკური თუ რელიგიური დაპირისპირების მიუხედავად, ამ ორ იმპერიას შორის ჰარმონიული კონტაქტების ფაქტებიც დასტურდება. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ირანის მეფის ან ბიზანტიის იმპერატორის ტასტის მემკვიდრეების რეგენტებად გამოცხადება. მაგალითად, ზოგიერთი წყაროს მონაცემებით, იმპერატორ არკადიუსს თავისი მცირეწლოვანი შვილის, თეოდოსიუსის, მეურვედ დაუსახელებია ირანის მეფე იეზდიგერდი. მსგავს მოვლენას ვხვდებით მავრიკიუსისა და ხოსრო II-ის ურთიერთობის დროსაც.

ქრისტიანობის კუთხით საინტერესოა იმპერატორ კონსტანტინე დიდის პარალელურად ირანში მეფე შაპურ II-ის (309-379) მოღვაწეობა. მის დროს ირანში ქრისტიანობა სწრაფად იკიდებდა ფეხს, რაშიც განუსაზღვრელი იყო ბერძნების ღვაწლი. მეფე შაპური – მაზდეანური რელიგიის ერთგული მიმდევარი, თავისი მეფობის დასაწყისში ქრისტიანებს არ დევნიდა, რადგან კონსტანტინე დიდთან მშვიდობიანი უთიერთობის შენარჩუნება სურდა. მაზდეანური ქურუმობა ცდილობდა მეფის ამ კეთილგანწყობის შეცვლას. კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ, იმპერატორ კონსტანცისთან სპარსელთა ომის პერიოდში, მეფე შაპური დაარწმუნეს, რომ მის ქვეშევრდომ ქრისტიანებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ერთმორწმუნე ბერძნებთან და აწვდიდნენ მათ ყველაფერს, რაც ომში წარმატებისთვის იყო საჭირო. ამის შემდეგ მეფემ ქრისტიანთა სასტიკი დევნა დაიწყო. მთელი ირანის მასშტაბით იმდენი ქრისტიანი აღმოჩნდა, რომ სპარსელები გაოცებას ვერ მალავდნენ. განსაკუთრებით დიდი იყო მათი რიცხვი სამხრეთით მდებარე ისტორიულ ქალაქ სუზაში. მეფის სასახლეც სავსე იყო ქრისტიანებით. ქრისტიანული აღმსარებლობისთვის ეწამნენ არა მხოლოდ სამეფო კართან დაახლოებული არისტოკრატიული წრის წარმომადგენლები, არამედ მეფის ოჯახის წევრებიც. მართლმადიდებელი ეკლესია წმინდანთა დასში მოიხსენიებს მეფე შაპურ II-ის შვილებს – გავედაის და კაზდოიას, რომელნიც, ასევე, საკუთარი მამის მიერ წარმოებულ დევნას ემსხვერპლნენ. საზოგადოდ, ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული კრებულები, წმინდანთა ცხოვრების როგორც სვინაქსარული, აგრეთვე მეტაფრასული კრებულები შაპურ I-ის დროს ქრისტიანული სარწმუნოებისთვის აღსრულებულ ასობით წმინდანზე მიანიშნებს. შაპურ II-ის ზეობის მეორე ნახევარში ქრისტიანობა უტოლდებოდა ბიზანტიასთან მეგობრულ კავშირს, ეს კი საკმარისი პირობა იყო ამ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის გასააქტიურებლად. მაგალითისთვის გამოდგება ირანში

მოღვაწე ეპისკოპოსი სვიმეონი, რომელიც დაადანაშაულეს ბერძნებთან ურთიერთობაში და აღმსარებლობის ნიადაგზე წამებით მოკლეს. ეს მოხდა ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში. ისტორიული წყაროები გვამცნობს, რომ იმ დღეებში ათასზე მეტი ქრისტიანი აღესრულა.

ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში საინტერესოა სასანიდურ ირანში მეფე იეზდიგერდ I-ის (399-421) მოღვაწეობა. ქრისტიანი მღვდელმთავრის მიერ მისი განკურნების შემდეგ მონარქმა პრივილეგიებიც კი მიანიჭა ქრისტიანულ თემებს. 409 წელს იეზდიგერდ I-მა ქრისტიანებს ოფიციალურად მისცა ღვთისმსახურების აღსრულებისა და ეკლესიების აღდგენის უფლება. ზოგიერთი ისტორიკოსი იეზდიგერდ I-ის ამ აქტს უწოდებს მილანის ედიქტს სირიული ეკლესიისათვის. 410 წელს ქტეზიფონში ჩატარდა საეკლესიო კრება, რომელზეც შეიქმნა ირანის ქრისტიანული ეკლესია და აირჩიეს ქტეზიფონის ეპისკოპოსი, რომელმაც მიიღო კათალიკოსის წოდება.

სასანიდური ირანი, როგორც აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფო, ბიზანტიაში უდიდეს ინტერესს იწვევდა. ბიზანტიურ ნარატიულ წყაროებში დიდი ადგილი უჭირავს ირანში მიმდინარე მოვლენებს. ქრისტიანი ქრონისტები ზოგჯერ საეჭვო, მაგრამ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ირანში არსებულ რელიგიურ სურათზე და მკვეთრად გამოყოფენ ბიზანტიელი მისიონერების ღვაწლს ამ საქმეში. ერთ-ერთი ასეთი გადმოცემა სპარსეთა სრული გაქრისტიანების შესახებ გვხვდება ფრედეგარიუსის ქრონიკაში. ეს ამბავი რეალობას ბოლომდე ვერ გვიხატავს, რადგან მასში მოხსენიებული პიროვნებები იმ პერიოდის ირანის ისტორიაში არ გვხვდებიან, თუმცა ბიზანტიის მხარეს დასახელებული პირები შეესაბამებიან სინამდვილეს. აღნიშნული ქრონიკის მონაცემებით, 588 წელს ირანის დედოფალმა თავის ოთხ შვილთან ერთად დატოვა ირანი და მივიდა იოანესთან, კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსთან; მან გამოთქვა ნათლისღების სურვილი. იგი მონათლა იმპერატორ მავრიკიუსის მეუღლემ. უფრო მეტად მნიშვნელოვანია ტექსტის შემდეგი ნაწილი, რომლის თანახმადაც დედოფლის საძებნელად გამოგზავნილი ირანის მეფის ელჩობა იღებს ქრისტიანობას. აქვეა ცნობა, რომ ანტიოქიაში კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსმა წმინდა იოანემ მონათლა თვითონ ირანის მეფე და მასთან ერთად 60000 ირანელი. ეს ამბავი ეხება ჰორმიზდ IV-ის (579-590) მმართველობის პერიოდს, რომელიც მართლაც გამოირჩეოდა ტოლერანტული დამოკიდებულებით ქრისტიანობის მიმართ. ამ მონაცემთა განზოგადების საფუძველზე შესაძლოა მტკიცედ ითქვას, რომ ირანში ქრისტიანობის არსებობის შესასწავლად ბიზანტიური წყაროები პირველხარისხოვან დოკუმენტებს წარმოადგენს. აქვე უნდა ითქვას, რომ ირანში ქრისტიანობის გარცელების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ნესტორიანულ ქრონიკებშიც. ზოროასტრიზმიდან ქრისტიანობაზე გადავიდა ხოსრო I ანუშირვანის (531–579) დროს მაზდეანი ქურუმის ცოლი გოლინდუხა. ამ უკანასკნელის რწმენაში განმტკიცებაზე იზრუნა ბიზანტიის იმპერატორის, მავრიკიუსის, ელჩმა – არისტობულემ.

ბიზანტიელი მისიონერების სასანიდურ ირანში მოღვაწეობაზე გვესაუბრება, აგრეთვე, სირიული ქრონიკები. ამ მონაცემებით, 590 წელს ირანში მომხდარი არეულობის შემდეგ, როდესაც ბიზანტიის იმპერატორი მავრიკიუსი დაეხმარა ირანის მეფე ხოსრო II-ს (591-628), თავისი ქრისტიანი ცოლის პატივსაცემად ირანში წმინდა სერგისა და ყოველდაწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ორი ტაძარი ააშენა, რომლებიც აკურთხა ანტიოქიის პატრიარქმა – ათანასემ.

საქართველოში ზოროასტრიზმს თავდაპირველად არ ახასიათებდა ძალისმიერი მეთოდებით გავრცელება. აღმოსავლეთ საქართველოს რიგ ადგილებში აღმოჩენილია ზოროასტრული სალოცავების კვალი. მათი ბევრი ტრადიცია დამკვიდრებულია ყოველდღიურ ცხოვრებაში, რასაც მოწმობს ეთნოგრაფიული მასალა. V-VI საუკუნეების ქართული წყაროები მოწმობს, რომ მაზდეანები ავიწროვებდნენ ქრისტიანებს, სიკვდილით სჯიდნენ გაქრისტიანებულ ქართველებს. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ ადგილას აღმოჩენილია ზოროასტრული ტაძრების ნაკვალევი (უფლისციხე, ციხიაგორა, ნეკრესი, თბილისი). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაფიქსირებულია ზოგი ზოროასტრული ტრადიციის გადმონაშთი.

მანიქეიზმი

მანიქეიზმი აღმოსავლური წარმოშობის რელიგიაა, რომელშიც მკაფიოდ აირეკლა ელინისტური სამყაროს არსებითი ასპექტები – სხვადასხვა რელიგიურ-ფილოსოფიური სწავლების ათვისება. იგი ჩამოყალიბდა III საუკუნის ირანში და ფართოდ გავრცელდა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე როგორც აზიაში, აგრეთვე ევროპასა და ჩრდილო აფრიკაში. მეცნიერებაში არსებობდა კამათი იმის თაობაზე, თუ როგორ განესაზღვრათ იგი; ზოგი მანიქეიზმს ქრისტიანული ეკლესიის წიაღში არსებულ ერთ-ერთ ერესად მიიჩნევდა, ზოგი კი – დამოუკიდებელ რელიგიად. დღეს ის განიხილება, როგორც რელიგია, რომელსაც გააჩნდა საკუთარი სისტემური სწავლება და მკაცრად ორგანიზებული იერარქია. შესაძლებელია ამა თუ იმ მსოფლმხედველობის რელიგიად აღქმა, თუ იგი მოგვეველინება, როგორც ახალი ტიპის მოძღვრება და ცხოვრების წესი. ამ ნიშნით კი, მიუხედავად ეკლექტიზმისა, მანიქეიზმი ჯერ კიდევ ი. კესლერმა (1502–1574) სამართლიანად გამოაცხადა დამოუკიდებელ რელიგიად ბუდიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის გვერდით. იგივე შეხედულება გაიზიარა XX საუკუნის დასაწყისში ა. ჰარნაკმა.

მანიქეიზმი წარმოშობისთანავე სწრაფი ტემპით გავრცელდა. მისი მიმდევრები ცხოვრობდნენ ჩინეთიდან ესპანეთამდე. მარტივი გონებისათვის მიმზიდველი კოსმოგონიური, კოსმოლოგიური, ანთროპოლოგიური, სოტერიოლოგიური და ესქატოლოგიური კონცეფციები, რაც ამ რელიგიას ახასიათებდა, ადვილად ახერხებდა აღმსარებელთა წრის გაფართოებას.

მანიქეიზმი ჩამოყალიბდა III საუკუნის ირანში. ამ რელიგიამ სახელი მიიღო თავისი ფუძემდებლის – მანისგან, რაც სირიულ ენაზე „ცოცხალს" ნიშნავს. ვ. ბურკიტი მიანიშნებდა ამ რელიგიის მკვეთრად გამოხატულ პესიმისტურ ელფერზე. ეს შენიშნა შ. პიუეშმაც. მისი აზრით, მანიქეიზმი, გნოსტიციზმის მსგავსად, დაიბადა შიშის გრძნობისგან, რომელიც თან ახლავს ადამიანს სამყაროში ცხოვრებისას. ადამიანი მუდმივად ხედავს და საკუთარ თავზე განიცდის იმ შემაძრწუნებელ მოვლენებსა და ბოროტებას, რითაც აღსავსეა გარემომცველი ყოფიერება. ამიტომ მას უჩნდება სურვილი, თავი დააღწიოს ამქვეყნიურ ცხოვრებას, ამის განხორციელებას კი იგი სხეულებრიობისაგან გათავისუფლებაში ხედავს. აღნიშნული შეხედულებით, მანიქეიზმის წარმოშობაში ყურადღება გამახვილებულია ადამიანის ექსისტენციალურ გრძნობებზე, რომელნიც ბადებენ ყველა ეპოქის არსებით კითხვებს: რა მისია ენიჭება ადამიანს სამყაროში? რატომ ზეიმობს უსამართლობა? სად უნდა ეძიოს ადამიანმა ხსნა?

ბუნებრივია, ეს პრობლემები იდგა მანის წინაშეც. ადამიანი, რომელმაც სათავე დაუდო ერთ-ერთ რელიგიას, აცნობიერებდა ცხოვრებისეულ კითხვებზე პასუხის გაცემის აუცილებლობას. მანი, როგორც ნოვატორი, თავის მიერ შექმნილ მოძღვრებას უხვად კვებავდა სხვადასხვა რელიგიური და ფილოსოფიური დოქტრინით. ყოველივე ამან განაპირობა ახალი რელიგიის ეკლექტიკური ხასიათი, თუმცა ექლექტიზმი არ უნდა აღვიქვათ, როგორც სხვადასხვა დოქტრინის მექანიკური შეერთება.

წყაროები

მანიქეველთა რელიგიის შესასწავლად წერილობითი წყაროების სამი დიდი ჯგუფი გამოიყოფა: 1. ეკლესიის მამათა ანტიერეტიკული შრომები; 2. არაბი ავტორების თხზულებები; 3. მანიქეველთა ნაწერები.

ქრისტიანული წყაროების ნუსხა და ანალიზი მოგვცა პ. ალფარიკმა. მას განხილული აქვს ბერძნულ, ლათინურ, სირიულ და არაბულ ენებზე არსებული ერე-

სიოლოგიური ხასიათის შრომები. საკუთრივ ყველაზე ადრეული ანტიმანიქეური თხზულება, რომელიც მიეკუთვნება III საუკუნის მიწურულს, შექმნილია არა ეკლესიის წიაღში, არამედ ნეოპლატონიკოს ალექსანდრე ლიკოპოლიელის მიერ. ეს ფილოსოფოსი, რომელიც ეგვიპტეში მოღვაწეობდა, საკმაოდ ღირებულ ინფორმაციას იძლევა ადრეული მანიქეიზმის მსოფლმხედველობრივ საკითხებზე. ცნობილია, რომ ფილოსოფიის ისტორიაში ნეოპლატონიზმი იყო მიმართულება, რომელიც მკვეთრად იცავდა მონიზმის პრინციპებს და შეუპოვრად ებრძოდა ყველა იმ თეორიას, რომელშიც ბოროტების სუბსტანცია იყო დაშვებული. ჩანს, ალექსანდრე ლიკოპოლიელმა ადრევე იგრძნო მანიქეიზმის სახით ნეოპლატონიზმისთვის შექმნილი იდეოლოგიური საფრთხე, რის გამოც მიზნად დაისახა მისი განქიქება. რაც შეეხება IV საუკუნის წყაროებს, მათ შორის მთავარ ყურადღებას იქცევს ანტიმანიქეური სულისკვეთებით განმსჭვალული თხზულება „არქელაოსის საქმენი". ხსენებული ძეგლი მანიქეველთა მოძღვრებას წარმოაჩენს ქრისტიანი თეოლოგის პოზიციიდან. ავტორი ინიღბება ჰეგემონის ფსევდონიმით და მოგვითხრობს რელიგიური პაექრობის შესახებ, რომელსაც თითქოს ადგილი ჰქონდა ქრისტიან ეპისკოპოს არქელაოსსა და მანის შორის. ამ ძეგლის მიხედვით, ეპისკოპოსისა და მანის შეხვედრა განაპირობა შემდეგმა მოვლენამ: შუამდინარეთის ერთ-ერთ ქალაქში ცხოვრობდა წარჩინებული ადამიანი მარცელი. იგი ქრისტიანთა მიმართ კეთილგანწყობას ამჟღავნებდა და ყველანაირად ეხმარებოდა მათ, რის გამოც ადგილობრივ მაცხოვრებელთა შორის პატივისცემა დაიმსახურა. მის შესახებ შეიტყო მანიმ, რომელიც ანთებული იყო სურვილით — ფართოდ გაევრცელებინა საკუთარი მოძღვრება. მან მიზნად დაისახა მარცელის ყურადღების მიპყრობა. იგი იმედოვნებდა მარცელის წყალობის ქვეშ მყოფ ადამიანთა გადაბირებას. მანიმ შუამდინარეთში მაცნე, სახელად ტურბონი, გააგზავნა და წერილი გაატანა. წერილში მანი განმარტავდა თავისი რელიგიის ძირითად ასპექტებს. საპასუხო წერილით მარცელმა შინ მიიპატიჟა მანი, რათა მას ყველას წინაშე გადმოეცა ახალი სწავლება. ვიდრე მარცელი ადგილობრივ ეპისკოპოს არქელაოსთან ერთად უცდიდა მანის ჩამოსვლას, ტურბონმა დაწვრილებით გადასცა იქ მყოფთ მანიქეიზმის არსი. როდესაც მარცელთან მივიდა მანი, მასთან კამათი გამართა არქელაოსმა. ძეგლის დიდი ნაწილი სწორედ ამ პოლემიკის გადმოცემას ეძღვნება. შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ დამარცხდა პაექრობაში მანი, რომელიც ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში გაიქცა და იქ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ადგილობრივი პრესვიტერის დასახმარებლად ეპისკოპოსი არქელაოსი იქაც ჩადის, ახლად გამართულ შეხვედრაზე საბოლოოდ ამხელს მოწინააღმდეგის ბოროტმეზღაპრეობას. ამავე ძეგლში მოთხრობილია მანის ცხოვრების სხვა დეტალებიც — მისი წარმომავლობა და საქმიანობა. ეს ყველაფერი, ჰეგემონის თქმით, ეპისკოპოსმა არქელაოსმა შეიტყო მანის მოწაფე სისინიოსისაგან.

ამგვარია ხსენებული ძეგლის ზოგადი შინაარსი. წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით, იგი აშკარად ტენდენციური კუთხითაა დაწერილი. ავტორის მიზანია, ზედმეტად მუქ ფერებში წარმოგვიდგინოს მანის პიროვნების ნეგატიური მხარეები, გვიჩვენოს მისი ზნეობრივი მანკიერებები. „არქელაოსის საქმენი" გახდა ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი ეკლესიის მამათათვის ანტიერეტიკული ტრაქტატების შექმნისას. მასში გადმოცემული ცნობები უხვად გამოიყენა წმინდა ეპიფანე კვიპრელმა თავის თხზულებაში — „პანარიონი" ანუ „წამლების ყუთი" (თავი 66). ეპიფანე კვიპრელის გზით აღნიშნული ძეგლის გავლენა ემჩნევა გვიანი პერიოდის ქრისტიან ერესიოლოგთა შრომებს. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა მანის ცხოვრების განსხვავებული ვერსია, რომელსაც სინამდვილესთან საერთო ნაკლებ მოეპოვება. ეს საკითხი ღრმადაა გაშუქებული ე. სმაგინას წერილში — „მანის ცხოვრების ქრისტიანული ვერსიის წარმოშობა". ზუსტად უცნობია, თუ სად შეიქმნა „არქელაოსის საქმენი". თ. ნოელდეკე ვარაუდობდა, რომ თხზულება პირველად უნდა გამოჩენილიყო ეგვიპტეში ან

მცირე აზიაში; ა. ჰარნაკი მისი დაწერის ადგილას სირიას მიიჩნევდა. საკუთრივ ძეგლში არ გვხვდება არანაირი დეტალი, რაც მის ეგვიპტურ ან სირიულ წარმოშობაზე მიგვანიშნებდა. ის ფაქტი, რომ მასში მოთხრობილი ისტორია შუამდინარეთში მიმდინარეობს, უფრო მის სირიულ გენეზისზე უნდა მეტყველებდეს. ამავე ნიშნით მისი პირვანდელი ენა უნდა ყოფილიყო სირიული, თუმცა ჩვენს დრომდე ძეგლი შემორჩა ბერძნული და, ნაწილობრივ, ლათინური თარგმანებით. საბოლოოდ არაა დადგენილი არც მისი შექმნის თარიღი. საზოგადოდ, მიიჩნევა, რომ იგი უნდა დაწერილიყო VI საუკუნის I ნახევარში. შ. პიუეში მას მიაკუთვნებს ნიკეის კრების (325) შემდგომ წლებს. ა. კაციმ „არქელაოსის საქმეები" 296–303 წლებით დაათარიღა, თვლიდა რა დიოკლეტიანეს (284–305) მიერ ანტიმანიქეური ბრძოლის გამოძახილ დოკუმენტად. როგორც ცნობილია, დიოკლეტიანეს მიერ 296 წელს გამოიცა ედიქტი მანიქეველთა წინააღმდეგ. მასში ხაზგასმითაა თქმული, რომ ეს მოძღვრება იმპერიაში შემოიჭრა სპარსეთიდან, რომელმაც თავის სამშობლოშივე ბევრი ბოროტება მოიტანა. იმპერატორი მოითხოვდა მანიქეური წიგნების დაწვას, აგრეთვე, მანიქეველი სასულიერო პირების სასამართლოებზე გადაცემასა და მაღაროებში სამუშაოდ გაგზავნას.

როგორც ითქვა, ეპიფანე კვიპრელმა (+403) თავის ფუნდამენტურ ნაშრომში – „პანარიონი", ანუ „წამლების ყუთი" – განიხილა მანიქეველთა მოძღვრება. ესაა IV საუკუნის ერთ-ერთი მთავარი ქრისტიანული წყარო მანიქეიზმზე. ამავე ეპოქას განეკუთვნება ეფრემ ასურისა (IVს.) და ნეტარი ავგუსტინეს (354–430) თხზულებები, რომელთა მნიშვნელობაც მანიქეიზმის კვლევის ისტორიაში განსაკუთრებით ღირებულია. ეს მამები არა მხოლოდ პაექრობითი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი, არამედ ყველა დანარჩენ საეკლესიო მოღვაწეზე მეტად უკავშირდებოდნენ მანიქეურ სამყაროს. ეფრემ ასური ორიგინალში, სირიულ ენაზე ეცნობოდა მანიქეველთა წმინდა წიგნებს; რაც შეეხება ნეტარ ავგუსტინეს, ახალგაზრდობაში თვით იყო მანიქეველი მსმენლის რანგში. ამ პერიოდში მას საშუალება ჰქონდა მოესმინა მანიქეველი მქადაგებლებისათვის და ღრმად გასცნობოდა მათს ლიტერატურას. ამან განაპირობა, რომ ქრისტიანული ნათლისღების შემდეგ ნეტარმა ავგუსტინემ 388–405 წლებში დაწერა რამდენიმე ანტიმანიქეური ნაშრომი. მათში მოცემულია ინფორმაცია მანიქეველთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სწავლებაზე; აქვე ცნობებს ვპოულობთ ცალკეულ მანიქეველ ეპისკოპოსებსა და პრესვიტერებზე. სხვა ავტორებიდან აღსანიშნავია კირილე იერუსალიმელი (+366), რომელიც თავის „კატეხიზმოში" (თ. 6) მოკლედ შეეხო მანიქეველობას. ამ რელიგიას განიხილავენ ტიტუს ბოსტრელი და სერაპიონ თმუისელი.

V საუკუნის ავტორებიდან ყველაზე მეტი ცნობა მანიქეიზმზე შემოგვინახა ნეტარმა თეოდორიტე კვირელმა (393–466) თავის ერესიოლოგიურ შრომაში – „ელინთა ბოროტსღაპრობების შეჯამებანი". ამავე საუკუნეს მიეკუთვნება ლათინურენოვანი ძეგლი „უარყოფის ფორმულა", რომელშიც ქრისტიანული კუთხით განქიქებულია მანის სწავლება. მანიქეველებს ეხება ამავე დროის სომეხი მოაზროვნე ეზნიკ კოლბელი. VI საუკუნეში სევეროს ანტიოქიელმა თავის „ჰომილიებში" გადმოგვცა მანიქეიზმის თეოლოგიური ასპექტები, სადაც იმოწმებს შესაბამის ადგილებს საკუთრივ მანის წიგნებიდან. აქვე უნდა დავასახელოთ ლეონტი ბიზანტიელისა (475–543) და ტიმოთე კონსტანტინეპოლელის შრომები. VIII საუკუნეში სირიელი მწერალი თეოდორე ბარკონაი „სქოლიოებში" ფრიად საინტერესო ცნობებს გვაწვდის მანიქეველებზე და მასაც მოაქვს ციტატები მანის ზოგი წიგნიდან. მანიქეიზმის შესახებ წერდნენ აგრეთვე ქრისტიანი არაბი თეოლოგები – იოანე დამასკელი – ქრისტიანული ღვთისმეტყველების სისტემატიკოსი და მისი მოწაფე თეოდორე აბუკურა, რომლის ტრაქტატები ქართულ ენაზე თაგმნა არსენ იყალთოელმა და მოათავსა მის მიერ შედგენილ რჯულდებითი ხასიათის კრებულ „დოგმატიკონში". IX საუკუნის ქრისტიანი ავტორებიდან უნდა დავასახელოთ პეტრე სიცილიელი და ფოტი პატრიარქი. ეს

უკანასკნელი ავტორია შრომისა – „ახალი მანიქეველობის, იმავე პავლიკიანელობის წინააღმდეგ“. მასში ფოტი პატრიარქი მანიქეიზმს ეხება იმდენად, რამდენადაც მას მიიჩნევდა იმჟამად ბიზანტიაში გავრცელებულ პავლიკიანელთა მოძრაობის იდეურ წინამორბედად. რაც შეეხება პეტრე სიცილიელის ნაშრომს, იგი ეპიფანე კვიპრელის „პანარიონს“ ეყრდნობა.

ევროპული მეცნიერების ისტორიაში პირველად მანიქეველობით დაინტერესდა ფრანგი პროტესტანტი ი. დე ბოსობრი. XVIII საუკუნეში მან დაწერა ნაშრომი, რომელშიც მანიქეველობა შუა საუკუნეებში პროტესტანტიზმის ერთგვარ გამოვლენად მიიჩნია.

წყაროთა II ჯგუფში, როგორც ვახსენეთ, ერთიანდება მაჰმადიან ავტორთა არაბულენოვანი თხზულებები. მათი დაწვრილებითი ანალიზი მოცემული აქვს კ. კესლერს. მაჰმადიანი ავტორებიდან ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს ცნობილი შუაზიელი განმანათლებელი ალ-ბირუნი. თავისი ეპოქის ეს ენციკლოპედიურად განსწავლული მეცნიერი თხზულებებში „ინდოეთი“ და „გარდასული თაობის ძეგლები“ ცნობებს გვაწვდის არა მხოლოდ მანიქეველთა მოძღვრების შესახებ, არამედ მოგვითხრობს მანის ცხოვრების დეტალებსაც. საკმაოდ დაწვრილებით გადმოგვცემს მანის ბიოგრაფიას ასევე იბნ ან-ნადიმი, რომელიც ძველი წყაროებიდან ყველაზე ახლოს დგას რეალურ სურათთან. ხსენებული ავტორი ეკლესიის ზოგიერთ მამასაც იმოწმებს. იბნ ან-ნადიმის შრომას დაეყრდნო XIX საუკუნეში გ. ფლიუგელი, როდესაც მან ლაიფციგში გამოსცა წიგნი „მანი. მისი სწავლება და ნაწერები“ (1862).

წყაროთა მესამე ჯგუფს საკუთრივ მანიქეველთა წრეში შექმნილი ლიტერატურა განეკუთვნება. გასული საუკუნის დასაწყისში მეცნიერებმა მიაგნეს დიდი რაოდენობით როგორც წერილობთ, აგრეთვე სხვადასხვა სახის მატერიალურ კულტურას, რომელთაც მანიქეიზმის კვლევის ისტორიაში ისეთივე დიდი როლი ითამაშეს, როგორც მოგვიანებით ნაგ-ჰამადის ტექსტების აღმოჩენამ – გნოსტიციზმის შესწავლაში ან ყუმრანის ხელნაწერებმა – ბიბლიოლოგიაში. 1902-1916 წლებში გერმანიის არქეოლოგიურმა ექსპედიციებმა ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში, უიღურთა რეგიონში, ქალაქ ტურფანის მისადგომებთან, ერთ-ერთი მონასტრის გათხრებისას მიაგნეს სხვადასხვა მოცულობის ხელნაწერთა ფრაგმენტებს. შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ხელნაწერები შეიცავდა ფალაურ, პართიულ, სოღდურ, უიღურულ და ჩინურ ენებზე შექმნილ მანიქეველთა თხზულებებს. ტურფანში ექსპედიცია მივლინებული იყო ოთხგზის. მოგვიანებით მოახდინეს ყველა ხელნაწერის სისტემატიზაცია. ე. ბენვენისტმა, მ. ბოისმა, ვ. ჰენინგმა და სხვებმა შეადგინეს ამ უმდიდრესი კოლექციის კატალოგები. ტურფანის კოლექცია განსხვავებული შინაარსის ტექსტებს შეიცავს. აქ გვხვდება ფრაგმენტები მანისა და მისი მოწაფეების წიგნებიდან, აგრეთვე, ლოცვები, ჰიმნები, რიტუალური ტექსტები, ჰაგიოგრაფიული და ისტორიული ჟანრის ძეგლები. ხელნაწერთა უმრავლესობა დათარიღდა VIII საუკუნით. ეს იყო დრო, როდესაც ცენტრალურ აზიაში მანიქეიზმმა გავრცელების პიკს მიაღწია.

ტურფანის კოლექციიდან პირველად 1904 წელს გამოქვეყნდა საშუალო სპარსულ ენაზე შესრულებული ტექსტები ფ. მიულერის მიერ. მოგვიანებით ფალაურ ტექსტებზე მუშაობდნენ და მათს მეცნიერულ პუბლიკაციას აწარმოებდნენ ფ. ანდრეასი და ვ. ჰენინგი. მანიქეური ტექსტების მეცნიერული კვლევის ისტორიაში განსაკუთრებით დიდია ამ უკანასკნელის როლი. დასავლეთის წამყვან სამეცნიერო ჟურნალებსა და წელიწდეულებში მისი ბევრი გამოკვლევა იბეჭდებოდა ინგლისურ და გერმანულ ენებზე. 1954 წელს ლონდონის უნივერსიტეტის ირანულ რელიგიათა კათედრის გამგემ, მ. ბოისმა, გამოსცა ტურფანის კოლექციის პართიული ჰიმნები, ხოლო 1975 წელს – ფალაური ტექსტების ფრაგმენტები. უიღურული მანიქეური ტექსტები დაბეჭდეს ა. ლე კოკმა, ვ. ბანგმა, ა. ციმემ. პ. ამუსინმა 1965 წელს გამოსცა მანიქეველთა ვრცელი სინანულის ლოცვის ძველი თურქული ვერსია. ე. შავანმა და

პ. პელიომ — მანიქეველთა დიდი ჩინური ტრაქტატი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია პელიოს ტრაქტატის სახელწოდებით. ჩინური ჰიმნები გამოაქვეყნეს ე. ვალდშმიტმა და ვ. ლენცემ. ხსენებული პუბლიკაციები მოწმობს, რომ ტურფანის კოლექციამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მანიქეიზმის საფუძვლიან შესწავლაში.

საკუთრივ მანის წიგნებიდან ჩვენამდე მცირე ნაწილმა მოაღწია. მანი წერდა სირიულ ენაზე, მხოლოდ „შაპურაკანი" შეიქმნა ფალაურად. მისი მცირერიცხოვანი ფალაური ფრაგმენტები 1925 წელს გამოაქვეყნა ფ. ბურკიტმა თავის წიგნ „მანიქეველთა რელიგიაში".

ყველაზე გვიან მანიქეველთა ტექსტებიდან იპოვეს ხელნაწერი, რომელიც ცნობილია „კელნის კოდექსის" სახელწოდებით. 1968 წელს კელნის უნივერსიტეტმა შეიძინა ას გვერდზე მეტი მოცულობის ბერძნულენოვანი ხელნაწერი, რომელიც მინიატურებით იყო შემკობილი. ხელნაწერი V–VI საუკუნეებით დათარიღდა. მასში აღწერილი იყო მანის ცხოვრება. სავარაუდოდ, ეს ტექსტი ბერძნულად რომელიმე სხვა ენიდან უნდა ეთარგმნათ. იგი რამდენჯერმე გამოიცა შესაბამისი სამეცნიერო აპარატით. XX საუკუნის 20-იან წლებში კ. შმიდტმა ეგვიპტეში მიაგნო კოპტურ ენაზე შესრულებულ უძველეს მანიქეურ თხზულებას — „თავები". ამით დასაბამი მიეცა კოპტურად არსებული სხვა ხელნაწერების მოძიებას, რომელთა მნიშვნელობაც ამ რელიგიის გასაცნობად არ ჩამოუვარდება ტურფანის კოლექციას. მანიქეველთა კოპტურენოვანი ბიბლიოთეკის შემადგენლობა დღეისათვის ასეთია: 1. ტრაქტატი „თავები"; 2. „ცოცხალი სახარება"; 3. მანიქეური ფსალმუნების ხელნაწერი; 4. მანიქეური ჰომილიები; 5. მანის წერილები (უკიდურესად დაზიანებული); 6. მანის ცხოვრების აღწერა (შემორჩა 9 ფურცელი). 1995 წელს ავსტრალიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ეგვიპტეში მანიქეველთა შესაკრებელის ადგილას მიაგნო კოპტურად შესრულებულ ახალ მანიქეურ ტექსტებს. რამდენიმე მანიქეური ჰიმნი ითარგმნა ქართულ ენაზეც.

მანიძეიზმის წარმოშობა

მანის ცხოვრების აღწერაში თანამედროვე მკვლევართა დიდი ნაწილი სანდოობის თვალსაზრისით უპირატესობას ანიჭებს არაბულ და მანიქეურ წყაროებს. წყაროებში ხშირია განსხვავება თარიღებში, რომლებიც მანის დაბადებას, მისიონერულ მოღვაწეობასა და გარდაცვალებას უკავშირდება. ზოგ მათგანში თარიღები მოცემულია ირანის მეფეთა, ზოგშიც — რომის იმპერატორთა ზეობის წლების მიხედვით. სხვადასხვა დროს მანის ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპის ზუსტი დროით განსაზღვრას ცდილობდნენ ვ. ჰენინგი და ო. კლიმა. ეს უკანასკნელი ავტორია მანის ყველაზე ვრცელი ბიოგრაფიისა, რომელიც 1962 წელს დაიბეჭდა პრაღაში. მანის მოღვაწეობა მოუხდა ირანის სასანიდი მეფეების — შაპურ I-ის (242-273), ჰორმიზდ I-ისა (273-274) და ბაჰრამ I-ის (274-276) — მეფობის ხანაში.

ალ-ბირუნის ცნობის თანახმად, რასაც უმრავლესობა იზიარებს, მანი უნდა დაბადებულიყო 216 წლის 14 აპრილს ბაბილონში. ამ დროის ირანი გამოირჩეოდა რელიგიური პლურალიზმით. ზოროასტრიზმის გვერდით გავრცელებული იყო ქრისტიანობა, იუდაიზმი, მითრაიზმი, გნოსტიციზმი; აღმოსავლეთის პროვინციებში ინდოეთიდან მასობრივად შეიჭრა ბუდიზმი. საშრეთ მესოპოტამია ხანგამოშვებით ექვემდებარეოდა რომაელთა ან ირანელთა მმართველობის ქვეშ. მანის დაბადების დროს ბაბილონი ემორჩილებოდა რომს. მხოლოდ 218 წელს მოახერხა არტაბანმა მისი დაბრუნება. მანის მამას უნდა რქმეოდა პატიკი, დედას კი — მარიამი.

ზოგი წყარო (არაბული, ტურფანის კოლექციის ჩინური ფრაგმენტები) მანის მამას სამეფო ჩამომავლობას (არშაკიდების დინასტია) მიაწერს. ო. კლიმამ ეს შეხედულება არ გაიზიარა და ფიქრობდა, სამეფო წარმომავლობა მანის მოგვიანებით მიაწერესო. იგი მიანიშნებდა, რომ სამეფო ხაზიდან იყვნენ აგრეთვე ბუდა, ზარატუსტრა და იესო ქრისტე. ო. კლიმას თანახმად, ტრადიცია რელიგიათა ფუძემდებლებს ხშირად ხვევდა ამგვარ საბურველში.

არანაირი ფაქტი არ მიუთითებს მანის დიდებულ წარმოშობაზე. არაფრით არ დასტურდება ჩინური ვერსია მის მდიდრულ სასახლეში დაბადების შესახებ. ცნობილია, რომ მანიმ მთელი სიცოცხლე მოხეტიალე მქადაგებლის ცხოვრებით გაატარა. რაც შეეხება მის შემდგომ გამოჩენას შაპურ I-ის კარზე და იქ მიღწეულ წარმატებებს, ცხადია, არშაკიდების გვარის წარმომადგენელი ამას ვერ მიაღწევდა. ტურფანის კოლექციის ერთ-ერთი მოღწეული ფრაგმენტით ჩვენ თვალწინ იშლება მანის პაექრობა ბაჰრამ I-თან. აქ მოცემულია მეფის შეკითხვა მანისადმი: „რატომ არ განმიცხადა ღმერთმა თავისი ჭეშმარიტება მე, დიდებულ მეფეს, და განგიცხადა შენ, მდაბიოს?", რომელზეც მიიღო შემდეგი სახის პასუხი: „მე აგრეთვე სამეფო წრიდან ვარ". ესეც ამტკიცებს, რომ მანის ცხოვრებას მოგვიანებით ლეგენდარული წარმოდგენები დაუკავშირეს.

მანის დაბადებიდან მალევე პატიკმა რწმენა შეიცვალა (ადრე იგი ზორაასტრიზმს აღიარებდა). იგი გამხდარა ერთ-ერთი გნოსტიკური შეფერილობის მქონე თემის წევრი. თვით მანიმ ამ წიაღში დაჰყო ოცდაოთხ წლამდე. ან-ნადიმის თანახმად, ეს თემი ცხოვრობდა ქალაქ მესენასთან (თანამედროვე ბასრა), სამხრეთ მესოპოტამიაში. კელნის კოდექსის მიხედვით, მისი წევრები „ნათელღებულებად" იწოდებოდნენ. ან-ნადიმი მათ „ჯანბანილებად" სახელდებს. ისინი ყოველდღიურად ასრულებდნენ წყალში განბანვის რიტუალს. ზოგი მკვლევარი მათ აიგივებს ელქასიტების სექტასთან, რომლის შესახებ ცნობები დაცულია ეპიფანე კვიპრელთან, ორიგენესა და იპოლიტე რომაელთან. ელქასიტები მართლაც მიმართავდნენ ხშირ ნათლისღებას, რაც, მათი აზრით, ეხსახურებოდა ადამიანის პერიოდულ განწმენდას ცოდვებისგან. ისინი, იუდეველთა მსგავსად, შაბათობით მკაცრად იცავდნენ უქმობის წესს, იესო ქრისტეს კი ანგელოზად მიიჩნევდნენ. კელნის კოდექსის ცნობით, პატიკი და მანი ამ თემში სხვებიეთ მკაცრ ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდნენ, მისდევდნენ ვეგეტარიანელობას, არ სვამდნენ ღვინოს. მათს სათავეში იდგა სინედრიონი, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ პრესვიტერები. მანის მამა პატიკი მათი შინამმართველის რანგში იმყოფებოდა. მოგვიანებით ჩამოყალიბებულმა მანიქეველთა მოძღვრებამ და იერარქიამ მათი დიდი ზეგავლენა განიცადა. მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი, როდესაც მოინდომეს ამ რელიგიური თემის რომელიმე ცნობილ გნოსტიკურ დაჯგუფებასთან გაიგივება. არ შეიძლება ისინი ურყევად მიეჩნიოთ ელქასიტებად. ი. პედრსენი მათ ბარდესანიტების განშტოებად მიიჩნევდა, ჰ. შედერი და ბევრი სხვა მეცნიერი ამ თემის წევრებს მანდეველებთან აიგივებდა, ზოგის ვარაუდით კი, შესაძლებელია ეს რელიგიური დაჯგუფება არაა აღწერილი არც ერთი ერესიოლოგის მიერ.

მიიჩნევენ, რომ პირველი შინაგანი ფერისცვალება მანიმ განიცადა თორმეტი (ან ცამეტი) წლის ასაკში. მას გამოეცხადა ე. წ. „ღვთაებრივი ორეული" (ანგელოზი ატ-ტაუმი), არაბული წყაროებით — ტყუპისცალი, კელნის კოდექსით — თანამგზავრი და განუცხადა მისი დანიშნულება — დედამიწაზე ექადაგა ჭეშმარიტება და ყველგან გაევრცელებინა ერთი რელიგია. შესაძლებელია, რეფორმისტული აზრები მანის ადრეულ ასაკში დაებადა, მაგრამ გავიდა კიდევ თორმეტი წელი, ვიდრე ის თავის პირველ ქადაგებას წარმოთქვამდა. ეს მოხდა 240 წელს, როდესაც მანის შეუსრულდა ოცდაოთხი წელი. იმჟამად ირანს უკვე მართავდა სასანიდური დინასტიის პირველი წარმომადგენელი არდაშირი. მანის განზრახული ჰქონდა დაეტოვებინა ის რელიგიური

წრე, სადაც გაიზარდა და მამასთან ერთად მოღვაწეობდა. კელნის კოდექსი დაწვრილებით აღწერს, თუ რა რეაქცია ჰქონდათ პრესვიტერებს მანის ქადაგებებზე. თავდაპირველად, როგორც მანიქეური ტრადიცია გადმოგვცემს, მანი არავითარ უცხო მოძღვრებას არ ასწავლიდა. იგი მიანიშნებდა, რომ ყველანაირი სხეული ბიწიერია და მათი განბანვით გაწმენდა შეუძლებელია. პრესვიტერებმა ახლადგამოჩენილი მოციქული თემიდან მოკვეთეს. მანის თან გაჰყვა მამამისი პატიკი და ორი ყრმა – სიმეონი და აბიზასი, რომლებიც მისი პირველი მიმდევრები და მოწაფეები გახდნენ.

მანი თანამგზავრებთან ერთად ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ქტეზიფონისკენ გაემართა. ასე დაიწყო მისი მისიონერული მოგზაურობა, რომლის პირველი მნიშვნელოვანი შედეგი იყო მეფე შაპურ I-ის კარზე მისი გამოჩენა. ან-ნადიმთან ვხვდებით ცნობას, რომ მანიმ შაპურთან დაჰყო ორმოცი წელი, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ აქ ტექსტის გადამწერს შეცდომა მოსვლია. ვიდრე ის და მეფე ერთმანეთს შეხვდებოდნენ, მანი უბრალო მოსახლეობაში ქადაგებდა. იგი ტრიალებდა იუდაისტურ და ქრისტიანულ წრეებში. თავდაპირველად მისი მოღვაწეობა ტრიუმფალური არ ყოფილა. ახალ მოძღვრებას გამოუჩნდნენ როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგენიც. ქტეზიფონიდან მანი კვლავ ჩრდილოეთით გაემართა. იგი მივიდა მიდიის ქალაქ განძაკში, სადაც დაიწყო საკუთარი მოძღვრების გავრცელება. განძაკიდან გზა სამხრეთისკენ გააგრძელა, საიდანაც, ტურფანის კოლექციის ერთ-ერთი ტექსტის ცნობით, ეახლა ვარუჩანის მეფეს. ვარუჩანი გაიგივებულია იბერიასთან. თუ ამ ცნობას დავეყრდნობით, გამოდის, რომ მანიქეური მისია ეწვია იბერიას, სადაც იმხანად მეფობდა ამაზასპი.

კელნის კოდექსის ცნობით, მანი გაემგზავრა ქალაქ ფარაბში, იქიდან კი – ინდოეთში. ინდოეთში გამგზავრების პარალელურად მანიმ მისია დასავლეთშიც გაუშვა, რომის იმპერიის ტერიტორიაზე. ხსენებულ რომაულ მისიას პატიკი თაოსნობდა. ერთწლიანი მივლინების შემდეგ იგი კვლავ მანისთან დაბრუნდა, რომელიც ინდოეთიდან ახალი ჩამოსული იყო. ინდოეთში ყოფნისას მანის მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე მდინარე ჰინდის ხეობის მიმდებარე ტერიტორია უნდა მოევლო. ტურფანის ხელნაწერები მოგვითხრობს ინდოეთიდან მომავალი მანის თურანში მოღვაწეობაზე.

მანი ინდოეთიდან დაბრუნდა 242 წელს, როდესაც გარდაიცვალა არდაშირ I და გამეფდა შაპურ I. ჩანს, მანისთვის შაპურის რჯულშემწყნარებლობითი პოლიტიკა უფრო საიმედო იყო, ვიდრე წინამორბედი მეფის კეთილგანწყობა. ირანში დაბრუნებულმა მანიმ ერთხანს დაჰყო ქალაქ რევ-არდაშირში, საიდანაც კვლავ გააგზავნა ახალი მისიონერული ჯგუფი საქადაგებლად, რომელსაც ხელმძღვანელობდა მისი მოწაფე ადდა. მან თან წაიღო მანის წიგნები – „ცოცხალი სახარება" და „ცხოვრების საგანძური". ეს მეტყველებს, რომ მანიმ ხსენებული წიგნები რევ-არდაშირში დაწერა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მათ პატიკსაც გაატანდა დასავლეთში. რევ-არდაშირიდან პატიკი მეორე მისიონერულ მოგზურობაში გაემართა ინდოეთში.

მანის პირველი ქადაგება შაპურ I-ის წინაშე, არაბული წყაროების მიხედვით, შედგა მეფის ტახტზე აღსაყდრების დღეს. უეჭველია, რომ ახალგაზრდა მქადაგებლის სიტყვებმა შთაბეჭდილება მოახდინა მეფეზე. შაპურ I არა მხოლოდ კეთილგანეწყო მის მიმართ, არამედ ნება დართო, ახალი რელიგია ექადაგა სამეფო კარზე. მეფემ ასევე გამოყო მცველები, რომელნიც თან უნდა ხლებოდნენ მანის ირანის ყველა კუთხეში. შესაძლებელია, რომ შაპურ I მეფობის პირველ წლებში მანის პიროვნებაში ჭვრეტდა სპარსული სახელმწიფოს ახალი რელიგიის გამფორმებელს. არაბული წყაროებით, მანი სამეფო კარზე ათ წელს მოღვაწეობდა. საბოლოოდ, შაპურ I გაციედა მანის იდეების მიმართ, რამაც ეს უკანასკნელი აიძულა დაეტოვებინა სამეფო გარემოცვა. ო. კლიმა მანისა და მეფეს შორის განხეთქილების თარიღად ასახელებს 252\253 წლებს. მანის შაპურ I-ის კარზე ყოფნისას შეიქმნა „შაპურაკანი" –

ერთადერთი წიგნი, რომელიც მან საგანგებოდ დაწერა ფალაურ ენაზე მეფე შაპურ I-ის პატივსაცემად. მის ვარდა მანიმ სირიულ ენაზე დაწერა „ცოცხალი სახარება", „ცხოვრების საგანძური", „საიდუმლოთა წიგნი", „გიგანტების წიგნი". შაპურ I-ის კარზე ყოფნისას მანი აქტიურად დადიოდა ირანის ქალაქებში და ეწეოდა მანიქეური რელიგიის პროპაგანდას. იგი იმყოფებოდა პართიაში, ქადაგებდა ქალაქ ნისიბინში. ბოლომდე უცნობია, თუ რამ გამოიწვია მეფე შაპურ I-ის გულგრილობა მანის მიმართ. ყველაზე სავარაუდოა, რომ მეფესა და მანის შორის შუღლი გააღვივა ზოროასტრულმა ქურუმობამ, განსაკუთრებით კი – უმაღლესმა მობედმა – კარტირმა.

273 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა შაპურ I. მანიმ გადაწყვიტა, გამოცხადებულიყო მის ვაუსა და მემკვიდრესთან, ჰორმიზდთან, ქტეზიფონში. ზოგი მკვლევარი ამ პერიოდს უკავშირებს მანის პოლემიკას ეპისკოპოს არქელაოსთან. კოპტური წყაროების მონაცემებით, მეფე ჰორმიზდი, რომელიც გამეფიდან ერთი წლის მერე გარდაიცვალა, არ იყო მანის მიმართ ცუდად განწყობილი. სამეფო ტახტისთვის ერთმანეთს წაეპაექრნენ შაპურ I-ის ვაუები – ბაჰრამი და ნარსე. საბოლოოდ, უფროსი ძმა ბაჰრამი გახდა ირანის მეფე, რასაც ხელი კარტირმაც შეუწყო. ზოროასტრელი ქურუმები მანის ხაფანგს უგებდნენ ბაჰრამ I-ის წინაშე. ამ ყოველივეში საბედისწერო როლი ითამაშა სწორედ კარტირმა. ბოლოს მეფემ თავისთან იხმო მანი. მათ შორის გაიმართა დიალოგი. ბაჰრამმა დაადანაშაულა მანი შფოთის დანერგვაში და ბრძანა მისი ბნელ საკანში დამწყვდევა, სადაც, კოპტური წყაროებით, ოცდაექვსი დღე დაჰყო. ტურფანის კოლექციის წყაროები ისევე, როგორც კოპტური, გვაწვდის ცნობას, რომ მანი აღესრულა საპყრობილეში. ციხეში მანისთან მიდიოდნენ მოწაფეები (ჩანს, ახერხებდნენ მცველებთან გარიგებას). მანიმ მათ მისცა უკანასკნელი მითითებები, დანიშნა 12 მოწაფე და 72 ეპისკოპოსი, მანიქეურ იერარქიულ წრეს სათავეში ჩაუყენა ერთგული მოწაფე – სისინიოსი, ამავდროულად, ყველას მოუწოდა გაძლიერებისა და გამხნევებისაკენ. ოცდაექვსი დღის შემდეგ მანი გარდაიცვალა. აზრთა სხვადასხვაობაა მანის გარდაცვალების ზუსტი თარიღის შესახებ. ვ. პენინგის ვარაუდით, იგი აღესრულა 274 წლის 2 მარტს; ო. კლიმა მანის სიკვდილის დღედ მიიჩნევს 276 წლის 20 მარტს, სოლო შ. პიუეში – 277 წლის 26 თებერვალს. მეფის ბრძანებით მანის თავი მოჰკვეთეს და ბელაბადის ჭიშკარზე გადმოკიდეს. ბოლო წუთებში მასთან იმყოფებოდა მოწაფე უზზა და ორი რჩეულის რანგში მყოფი მანიქეველი. სამმა მსმენლის რანგში მყოფმა მანიქეველმა მისი სხეული დაიტირა და განბანა. მანის კვერთხი მის ორ წიგნთან ერთად ერთ-ერთმა მანიქეველმა წაიღო უცნობ პროვინციაში.

მანის ციხეში აღსრულებაზე საუბრობს მხოლოდ მანიქეური წყაროები. ამ საკითხში ისინი ერთსულოვნებით გამოირჩევიან. ბერძნული და სირიული წყაროები მიუთითებს, რომ მანი უშუალოდ მეფის ბრძანებით დაისაჯა. ხსენებული მასალები განსხვავებულად აღწერს მანის სიკვდილით დასჯას. ავტორთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მას ცოცხლად გააძრეს ტყავი („არქელაოსის საქმენი", კირილე იერუსალიმელი, თეოდორიტე კვირელი, თეოდორე ბარკონაი, ეზნიკ კოლბელი, ატ-ტაბარი, ალ-ისპაჰანი, ალ-ბირუნი). ზოგი ცნობით, მანი შუაზე გააპეს (ევტიქი, ან-ნადიმი). ე. სმაგინა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მანიქეველებისთვის სიკვდილით დასჯა არ იყო სამარცხვინო. აქედან გამომდინარე, მკვლევარი მიიჩნევს, რომ თუ მანი მართლაც სიკვდილით იქნა დასჯილი, ამის თაობაზე მანიქეური წყაროები არ გაჩუმდებოდა.

განსხვავებულად გადმოგვცემს მანის ბიოგრაფიას ანტიმანიქეური ხასიათის ლეგენდა. ეს ცნობები, როგორც ზემოთ ვახსენეთ, აისახა ძეგლში – „არქელაოსის საქმენი". შემდეგში მას დაეყრდნო ეპიფანე კვიპრელი თავის შრომაში – „პანარიონი". თითქმის ყველა საეკლესიო მოღვაწე იმეორებს ეპიფანე კვიპრელთან დაცულ ინფორმაციას (გამონაკლისია ნეტარი ავგუსტინე). ამ გადმოცემის თანახმად, მანიქეიზმის პროტაგონისტად ითვლება განსწავლული მისანი სკვითიანოსი, რომელმაც

თავისი რელიგიური იდეები პითაგორელთა სწავლებას დაუკავშირა და ეს ყველაფერი წიგნების სახით გადმოსცა. სკვითიანოსი გრძნეულთა დახმარებით ცდილობდა გაფრენას, რაც ვერ განახორციელა. იგი ერთ-ერთი შენობის გუმბათიდან გადმოვარდნის შედეგად გარდაიცვალა. მისი წიგნები დარჩა ქვრივ ქალს; მან წიგნები გადასცა ვინმე კურბიკოსს, რომელმაც დაირქვა მანი. იგი შეჰპირდა ირანის მეფეს სნეული უფლისწულის განკურნებას, მაგრამ ვერ შეძლო. მეფის ვაჟი გარდაიცვალა, რაც მანის დაბრალდა. იგი შუამდინარეთში გაიქცა, სადაც პოლემიკა გამართა ეპისკოპოს არქელაოსთან. ეპიფანე კვიპრელის თანახმად, პაექრობაში დამარცხების შემდეგ მანი ქალაქის გარეუბანში გაიქცა, სადაც ეკამათა სიწმინდით გამორჩეულ მოხუც ტრიფონს. იგი მასთანაც შერცხვენილი დარჩა, არქელაოსი კი იქაც მივიდა, კვლავ გამართა მანისთან დავა და საბოლოოდ შეარცხვინა. მანი ისევ ირანში დაბრუნდა, იქ კი მეფემ შეაპყრობინა. მისი ბრძანებით მანის ცოცხლად გააძვრეს ტყავი. ეს ისტორია აშკარად ტენდენციურია და რეალურ სურათს არ გვაძლევს.

მანიქეიზმის გავრცელება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მანიქეიზმის სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებ, ჯერ კიდევ მანის სიცოცხლეში დაიწყო. მანი მოწაფეებს მისიონერული მიზნით უგზავნიდა როგორც აღმოსავლეთით, ისე – დასავლეთით.

ჩვენს დრომდე მანის არაერთი მოწაფის სახელმა მოაღწია. ანტიმანიქეური ტენდენციის ლეგენდა ასახელებს მანის სამ მოწაფეს – თომას, ადდასა და ჰერმას. მათგან ორი მანიქეურ წყაროებშიც დასტურდება: დასავლური მისიის ხელმძღვანელი ეპისკოპოსი მარ-ადდა და თომა, რომელსაც მიეწერება რამდენიმე მანიქეური ფსალმუნის ავტორობა. ფსალმუნებში მოხსენიებულია ზოგი სხვა მოწაფის სახელიც. აქ ჩვენ ვხვდებით სისინიოსს, მანის მემკვიდრესა და საქმიანობის უშუალო გამგრძელებელს. კელნის კოდექსით, მანის მოწაფეთა შორის იხსენიება ინნა. ტურფანის კოლექციის ერთი ფრაგმენტი ასახელებს გაბრიაბს, სომხური მისიის ხელმძღვანელს. ალექსანდრე ლიკოპოლიელის ცნობით, ეგვიპტეში პირველი მანიქეველი მქადაგებელი იყო პაპოსი. მისი მოწაფე მარ-ამმო გაგზავნილი იყო ცენტრალურ აზიაში და ქადაგებდა ქუშანში, მარ-გაბრიაბ მოღვაწეობდა სომხეთში.

პეტრე სიცილიელი თავის ანტიმანიქეურ ტრაქტატში ჩამოთვლის მანის თორმეტ მოწაფეს: „თორმეტი იყვნენ ანტიქრისტე მანესის მოწაფენი: სისინიოსი, მისი მემკვიდრე, თომა, რომელმაც თავად შექმნა მანიქეური სახარება, ბუდდა, ჰერმასი, ადანტოსი, რომელსაც გზავნიდა საცდურის საქადაგებლად ქვეყანაში; მანესის განმმარტებელნი მისი მემატიანეებიც გახდნენ: ჰერაქსი, ჰერაკლიდესი, აფთონიოსი; სამიც სხვა მოწაფე ჰყავდა: აგაპიოსი, რომელმაც დაალაგა შვიდწიგნედი, ძარუასი, და გაბრიაბიოსი". როგორც ზემოთ ვახსენეთ, მანის სიკვდილის შემდეგ მანიქეველებს სათავეში ჩაუდგა სისინიოსი. ეს უკანასკნელი ათწლიანი მმართველობის ბოლოს მეფე ბაჰრამ II-ის (276-293) მიერ დაწყებული დევნის მსხვერპლი გახდა. სისინიოსთან ერთად დაიღუპა რამდენიმე მანიქეველი პრესვიტერიც. მანიქეურ ეკლესიას სათავეში ჩაუდგა მანის სხვა მოწაფე – ინნა. გადმოცემით, მანიმ სნეულებისგან განკურნა მეფე, რასაც ვერ ახერხებდნენ სხვები. ამის გამო მანიქეველთა დევნა სამ წელს შეჩერდა, მოგვიანებით კი კვლავ განახლდა.

დასავლეთში მანიქეველი მქადაგებლები ჯერ კიდევ მანის სიცოცხლეში გამოჩნდნენ. რომის იმპერიაში თვით მანიმ გაგზავნა საკუთარი მამა პატიკი, რომელიც ადდასთან ერთად ეგვიპტეში იმყოფებოდა. IV საუკუნეში მანიქეური თემები უკვე არსებობდა ჩრდილო აფრიკაში, მცირე აზიაში, საბერძნეთში, ილირიაში, იტალიაში, გალიასა და ესპანეთში.

ნეტარი ავგუსტინეს დროს კართაგენში მოღვაწეობდა განსწავლულობით ცნობილი ეპისკოპოსი ფაუსტუს მილეველი. მას დაწერილი ჰქონდა ჩვენს დრომდე მოუღწეველი თხზულება, რომელშიც მანიქეველთა რელიგიის საფუძვლები ყოფილა გადმოცემული. ნეტარმა ავგუსტინემ მის გასაბათილებლად დაწერა 33 წიგნისგან შემდგარი ვრცელი თხზულება „ფაუსტუსის წინააღმდეგ". ნეტარი ავგუსტინეს ეპოქა მანიქეიზმის დასავლეთში გავრცელების მწვერვალია. ამ მოვლენებმა შეაშფოთა არა მხოლოდ ქრისტიანული ეკლესია, არამედ საიმპერატორო კარიც. მანიქეველთა წინააღმდეგ პირველი ბრძანება 297 წელს გაუგზავნა იმპერატორმა დიოკლეტიანემ (284-305) აფრიკის პროკონსულ იულიანეს. მასში იმპერატორი მოითხოვდა მანიქეველი პრესვიტერის სიკვდილით დასჯასა და მისი წიგნების განადგურებას. ცნობილია, რომ მანიქეველთა წინააღმდეგ დერეტები გამოსცეს იმპერატორმა კონსტანტინემ (326), ვალენტიმ (372), თეოდოსიმ (381). ამ რეპრესიებმა შედეგად მოიტანა ის, რომ VIII საუკუნეში მანიქეველები მხოლოდ ჩრილო აფრიკაში გვხვდებოდნენ. ჩრდილო აფრიკაში, განსაკუთრებით კი – ეგვიპტეში მანიქეველები ყოველთვის ცხოვრობდნენ. ალექსანდრე ლიკოპოლიელი მოწმობს, რომ აქ აქტიურად მოღვაწეობდნენ თომა და პაპოსი. III საუკუნის მიწურულს მიეკუთვნება ერთი პაპირუსი, რომლის ტექსტიც გვესაუბრება ალექსანდრიაში არსებულ ორ მანიქეურ მონასტერზე.

მანიქეველების ირანში არსებობა სასანიდების მმართველობას ბოლომდე გასდევს. მათი რელიგიური ცენტრი იყო ჯერ ბაბილონი, X საუკუნიდან კი – სამარყანდი. მანიქეური თემები გვხვდებოდა ცენტრალურ აზიაში. ტრადიცია იქ მანიქეიზმის გავრცელებას მიაწერს მანის მოწაფე მარ-ამოს. VII საუკუნიდან ცენტრალური აზიის მანიქეველთა ოფიციალური საკულტო ენაა სოღდური. VII-VIII საუკუნეებში სოღდელმა ვაჭრებმა მანიქეიზმი შეიტანეს ჩინეთში. 694 წელს ერთ-ერთი მანიქეველი პრესვიტერი მიიღო თვით ჩინეთის იმპერატორმა. 732 წლის საიმპერატორო ბრძანებით ყველა უცხოელს, რომელიც ჩინეთში ცხოვრობდა, მათ შორის – მანიქეველებსაც, მიეცათ საკუთარი რელიგიის თავისუფლად ქადაგების უფლება. 768 და 771 წლებში გამოიცა კიდევ ერთი ბრძანება, რომლის თანახმად მანიქეველებს ნება დართეს ტაძრების აშენებისა. ჩინეთში მანიქეველთა დევნა დაიწყო IX საუკუნიდან. 1120 წელს უკვე გამოდის ახალი ბრძანება მანიქეური ტაძრების დანგრევის თაობაზე. XIV საუკუნიდან ჩინეთში არსებული მანიქეური თემები თანდათან ქრება სამოღვაწეო ასპარეზიდან. ამ ქვეყანაში მანიქეიზმი შეერწყა ბუდიზმსა და დაოსიზმს. ორი მანიქეური წიგნი დაოისტურ კანონშიც კი შევიდა.

მანიქეიზმის გავრცელების ისტორიაში განსაკუთრებით საინტერესოა ამ რელიგიის გავრცელება უიღურებში. უიღურები იყვნენ ცენტრალურ აზიაში მოსახლე თურქული ტომები. VII საუკუნეში ისინი ჩინეთის მბრძანებლობის ქვეშ მოექცნენ. 646 და 661 წლებში მათ აჯანყებაც კი მოაწყვეს ჩინეთის წინააღმდეგ, მაგრამ იგი წარმატებული არ ყოფილა. 745 წელს უიღურთა ბელადმა იაღბუმ მოახერხა ცენტრალიზაცია და თავი ხაყანად გამოაცხადა. ასე შეიქმნა პირველი უიღურული სახელმწიფო. მისმა მემკვიდრეებმა შეძლეს საკუთარი მიწა-წყლის გაფართოება, ქვეყნიდან ტიბეტელების განდევნა და ჩინეთის წინააღმდეგ გალაშქრებაც. 759 წელს უიღურთა სახელმწიფოს სათავეში მოვიდა ბუღა ხაყანი, რომელმაც ხანგრძლივი ლაშქრობების შემდეგ შეძლო ჩრდილო ჩინეთის დაპყრობა. მან ჩინეთში წარმოებული ბრძოლების დროს გაიცნო მანიქეველი ბერები და მიიღო მათი რელიგია, ამის შემდეგ მანიქეველები თავის ქვეყანაში მიიწვია და მანიქეიზმი უიღურთა შორის გაავრცელა. ამ დროიდან მანიქეიზმი უიღურთა სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია გახდა. ეს არის უნიკალური მომენტი ამ რელიგიის ისტორიაში. ასე გაგრძელდა 840 წლამდე; ხსენებულ წელს უიღურთა სახელმწიფო გაანადგურეს ყირგიზმა ტომებმა. მათ ხელთ იგდეს ქვეყნის დედაქალაქი და მოსახლეობის დიდი ნაწილი მოკლეს. გადარჩენილი უიღურული ტომების ნაწილი შეეფარა ტურფანს და ჩინეთის სხვა ქალაქებს,

ნაწილიც – მონღოლურ ტომებს. ჩინეთში დასახლებულმა უიღურებმა მოგვიანებით კვლავ მოახერხეს სახელმწიფოს შექმნა და თავიანთ ძველ რელიგიას – მანიქეიზმს დაუბრუნდნენ. მანიქეიზმმა უიღურთა მებრძოლი სული შეასუსტა. ამის საპირისპიროდ განვითარდა მეცნიერება, ხელოვნება, ვაჭრობა. ისინი დიდ ყურადღებას უთმობდნენ თავიანთი რელიგიური რიტუალების აღორძინებასა და გავრცელებას. ამის უტყუარი საბუთია ტურფანში აღმოჩენილი უმდიდრესი მანიქეური კოლექცია. უიღურებმა სოდდელებისგან გადაიღეს და შექმნეს საკუთარი ანბანი. მათ ჰქონდათ განვითარებული საქალაქო ცხოვრება. უიღურთა ქალაქებს მჭიდრო სავაჭრო კონტაქტები ჰქონდა ჩინეთთან. ადრეულ შუა საუკუნეებში ცენტრალურ აზიაში მათ პრიორიტეტი ენიჭებოდა სავაჭრო ურთიერთობებში. საქვეყნოდ იყო განთქმული უიღურთა იარაღი, ფარმაცევტული მასალა, სიასამურის ტანსაცმელი. მანიქეველი უიღურები თავიანთ ენაზე თარგმნიდნენ არა მხოლოდ მანიქეურ თხზულებებს, არამედ ბუდისტურ ძეგლებს, ირანული და ინდური ლიტერატურის ნიმუშებს. ძირითადად, მანიქეიზმის შედეგი იყო ის, რომ უიღურები ველად ყველაზე განათლებული და ცივილიზებული თურქული ტომები იყვნენ.

მანიქეველთა დოქტრინა

მანიქეური მოძღვრება ჩამოაყალიბა და მას სისტემური სახე მისცა თვით მანიმ, რომელიც საკუთარ თავს დედამიწაზე ჭეშმარიტების მომტანს უწოდებდა. მანიქეურ ტექსტებში მანის ეწოდება „სინათლის მოციქული". აღსანიშნავია, რომ მოციქულის წოდება მხოლოდ მანის მიემართება და არც ერთი მისი მოწაფე ამ სახელს არ ატარებს. მანიქეური ტრადიციის თანახმად, მოციქული მიწიერ სამყაროში მოვლინებამდე უზენაესი ნათლის სამეფოში ბინადრობდა, სადაც აფორმებდა მომავალი საყოველთაო რელიგიის იერარქიასა და სტრუქტურას. მისმა სულმა ხორცი შეისხა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის საჭიროება გარდაუვალი გახდა. მოციქული გარკვეულ ასაკამდე ცხოვრობდა სხვა ადამიანების გვერდით. მოგვიანებით უზენაესი სინათლის ღვთაება მას უგზავნის ზეციურ ორეულს, რომელმაც გაანათლა ის და განუცხადა მისია. მანიქეველები ასწავლიდნენ, რომ ყოველ ისტორიულ პერიოდში დედამიწაზე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი მოციქული. მიწიერი ხელისუფალნი მას ყოველთვის დევნიან, მისი სიკვდილი კი ხშირად მოწამეობრივია. სიკვდილის მერე იგი უბრუნდება თავის ზეციურ სამშობლოს. მოციქული შეუძლებელია შეცდეს, ის სრულყოფილია. ბუნდოვანია, მოციქულები ერთი და იმავე ზეციური სულის განხორციელებანი იყვნენ თუ განსხვავებული პიროვნებები? ასევე, გაურკვეველია, მოციქულები წინასწარმეტყველებითა და სხვა ნიჭებით თავიდანვე იყვნენ დაჯილდოებულნი თუ ეს ყველაფერი მათ ორეულისგან მიენიჭათ. მანიქეურ ტექსტებში არსებობს მოციქულთა ჩამონათვალის ორი სხვადასხვა ნუსხა. ერთი შედარებით მცირეა, მეორე – მოკლე. ქვემოთ მოცემულია ორივე ვარიანტი:

I. ადამი-სეითი-ენოში-ენოქი-ნოე-სემი-ბუდა-ზარატუსტრა-იესო-პავლე-ელქასი-მანი;

II. ბუდა-ზარატუსტრა-იესო-მანი.

მანიქეურ წრეებში მეორე ვარიანტი უფრო მიღებული იყო. საკუთრივ მანის მიეწერება ფრაზა: „აღმოსავლეთი დამოძღვრა ბუდამ, დასავლეთი – იესო ქრისტემ, ირანი – ზარატუსტრამ, ხოლო მე ვარ მეოთხე მოციქული ნალისა და მოვედი, რათა დავმოძღვრო მთელი მსოფლიო". ამ უკანასკნელ ჩამონათვალს იმეორებს ასევე „შაპურაკანი". გიგანტების წიგნსა და ტურფანის ფრაგმენტებში მ 42, მ 101 პირველ

ადგილზეა სეითი. „ფსალმუნებში" ვხვდებით შემდეგ ნუსხას: ადამი-სეითი-ენოში-ენოქი-ნოე-სემი. კიდევ უფრო მეტ სხვაობას ამჟღავნებს ჩინური წყაროები. აქ ბუდას და იესოს წინ უსწრებს ლაო-ძი. წყაროთა შეჯერებით იკვეთება მოციქულთა ჩამონათვალის ორი სახე: 1. ძველი აღთქმის პერსონაჟები + იესო და მანი; 2. მსოფლიო რელიგიათა ფუძემდებელნი + მანი.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ მოციქულთა რეინკარნაციის შესახებ თეორია ძველი ტრადიციისაა. პერსონიფიცირებული სიბრძნე, როგორც თანამგზავრი, წარმოდგენილია სოლომონის იგავთა არაკანონიკურ წიგნში, აგრეთვე — ანაქსიმანდრეს პოემაში. არსებობს კაბალისტური სწავლება ადამის სულის რეინკარნაციაზე მოსესა და დავითში. სეითიანელების გნოსტიკური სექტა სეითს მიიჩნევდა კოსმიურ ქრისტედ. მანდეველები აბელის, სეითის, ენოშისა და ნოეს შემდეგ მოციქულთა რიგს აგრძელებდნენ იოანე ნათლისმცემლით. ზოგი მანიქეური წყარო მანის წინამორბედ მოციქულთა შორის ასახელებს პლატონსა და ჰერმესს. გარდა მოციქულისა, მანის ეწოდებოდა ასევე „პარაკლეტოსი", ანუ ნუგეშინისმცემელი. იგი იმ ნუგეშისმცემლად აღიქმებოდა, იესო ქრისტემ წინასწარ რომ აუწყა თავის მოწაფეებს (იოანე 14:16). მანის პარაკლეტოსობაში მის მიმდევრებს ეჭვი არასოდეს შეჰპარვიათ. მანიქეველი ფელიქსი ამბობდა: „მანიმ ჩვენ გვასწავლა სამყაროს დასაბამი; როგორ, რატომ ან ვის მიერ შეიქმნა იგი. მანვე აგვიხსნა დღისა და ღამის მიზეზიც, განგვიმარტა მზისა და მთვარის მიმოქცევა. არაფერი ამდაგვარი არ განუცხადებია არც პავლესა და არც სხვა რომელიმე მოციქულს: აი, რატომ გვგონია, რომ მანი პარაკლეტოსი უნდა იყოს".

მანი ფიქრობდა, რომ მის მიერ შექმნილი ახალი რელიგია შეცვლიდა ყველა ძველ რელიგიას; ბუნებრივია, იგი აცნობიერებდა იმ სირთულეებს, რომლებიც თავს იჩენდა ახალი მოძღვრების გავრცელებისას. მანი აცხადებდა, რომ ყველა დანარჩენი რელიგიის საკრალური წიგნები, მათ შორის — ქრისტიანული რელიგიის წმინდა წერილი — ფსალმუნები, სახარებები, აპოკალიფსები თავმოყრილი იყო მის მოძღვრებაში. მანიქეველებს სწამდათ, რომ როგორც მდინარეები მიისწრაფვის ერთმანეთისკენ, რათა შეიქმნას საერო დინება, ასევე მანის ნაწერებში თავს იყრის ძველი ეპოქის ყველანაირი სიბრძნე. გარკვეულწილად ეს ასეც იყო, ვინაიდან მანიქეველობა ეფუძნებოდა ქრისტიანობას, ზოროასტრიზმს, ზარვანიზმს, გნოსტიციზმს, მანდეიზმს, მითრაიზმს. ამის გათვალისწინებით ჩვენ წინაშე წარმოდგება ფერადი მოზაიკის მსგავსი რელიგიური სისტემა, რომელიც თავის თავში მოიცავს სხვადასხვა მოძღვრების ელემენტებს. ამის გამო მანიქეველთა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენის მხრივ ძნელია პრიორიტეტის მინიჭება ქრისტიანობისა თუ ზოროასტრიზმისათვის. ერთი რამ უდავოა: ეს რელიგია მკვეთრად აბსტრაქტული ხასიათისაა. ყველაზე მეტად მანიქეიზმზე გავლენა იქონია გნოსტიციზმმა. ზოგჯერ მას განიხილავენ, როგორც მსოფლიო გნოსტიკურ რელიგიას, რომელმაც შეითვისა გნოსტიკოსთა განსხვავებული სწავლებები და მოგვცა გრანდიოზული სურათი. მანი განიცდიდა ცნობილი გნოსტიკოსების — მარკიონისა და ბარდესანესის — გავლენას. მათს ბევრ შეხედულებას იგი ეთანხმებოდა, ნაწილს კი არ იზიარებდა. გნოსტიციზმის პარალელურად იგი ეყრდნობოდა ზოროასტრიზმსაც.

მანიქეიზმი თავისი სწავლებით ყურადღებას ამახვილებდა ადამიანთა მიწიერი ცხოვრების სირთულეზე. ადამიანი იბადება ტანჯვით, მისი ყოფიერება სავსეა განსაცდელით და მრავალი დაბრკოლების გადალახვა უხდება. ეს ყველაფერი მძიმედ მოქმედებს მის სულიერ მდგომარეობაზე. ადამიანი ხშირ შემთხვევაში ხდება გაუცხოებული და იდრიკება ბოროტებისკენ. რატომ ხდება ასე? ადამიანის სული ჩამოვარდნილია მის სხეულში, სხეულებრივ ახირებებს კი მუდმივად თან ახლავს სიძნელეები. სხეულებრივი ყოფნა ამ სამყაროში დროის თვალსაზრისით შემოფარგლულია და აღსავსეა კაეშანით. ამის გამო ადამიანს უჩნდება დაუოკებელი სურვილი — იხსნას საკუთარი თავი იმ სამყაროსგან, რომელშიც ბოროტება ბოგინობს.

მას სურს იპოვოს, უფრო სწორად კი – ახლიდან მოიპოვოს მდგომარეობა, როდესაც იგი საკუთარი თავის მფლობელი იქნება. თავისუფლება შეუძლებელია იქ, სადაც სულზე ბატონობს სხეული, დრო და მატერია. ხსენებული ფაქტორების გამო ადამიანის სული შეზღუდულია და ადვილად ვარდება სევდაში. ამ მდგომარეობაში ადამიანს უჩნდება კითხვა – რა მიზანი აქვს მის ამქვეყნად მოვლინებას? პასუხის ძიებაში იგი აუცილებლად მივა ღმერთამდე, რომელიც ადამიანურ ცნობიერებაში სამართლიანობასა და ბედნიერებას უკავშირდება. ღმერთს არ შეიძლება სურდეს ასეთი ბოროტებითა და ტანჯვით აღსავსე სამყარო. აქ იჩენს თავს გნოსტიკოსებისთვის დამახასიათებელი აზრი: ღმერთი აბსოლუტური სიკეთეა და იგი ამ ქვეყნიერებისგან მიღმიერია. სამყარო, რომელშიც ადამიანებს უხდებათ ცხოვრება, შექმნა არა ამ ყოვლადსახიერმა ღმერთმა, არამედ ბოროტმა დემიურგმა, რომელიც თავისი ნეგატიური პრინციპების მიხედვით მართავს მას.

მანიქეველთა დოქტრინაში თავს იჩენს უძველესი აღმოსავლური შეხედულება კოსმოსში არსებულ ორ დაპირისპირებულ ძალაზე, რომელთაგან ერთი განასახიერებს სიკეთესა და სინათლეს, ხოლო მეორე – ბოროტებასა და წყვდიადს. პირველი მათგანი ზოგჯერ ზარვანად იწოდება. ეს სახელი მანიმ ირანელთა უძველესი სახელწოდებიდან აიღო. წყვდიადის სამეფოს გამგებელი თავისი არსით უიგივდებოდა ქრისტიანული თეოლოგიის დაცემულ ანგელოზს.

ნათელი საწყისი, თავის ყველა ნაწილსა თუ გამოვლენაში საკუთარი თავის ერთარსი, ცალკეულ ჰიპოსტასთა, ემანაციათა, ანგელოზურ არსებათა და მათს ადგილსამყოფელთა მთელ სისტემად განიტოტება. სივრცეში განფენილობის თვალსაზრისით ის სამ სხვადასხვა სფეროდ იყოფა. ამათგან ყველაზე მაღალი სფერო სინათლის მთელი სამყაროს უზენაესი მბრძანებლის, მამისა და მეუფის – კეთილი ღმერთის სამკვიდროა, ღმერთისა, რომელსაც ხუთი „სხეულებრივი" (თვინიერება, ცოდნა, გონიერება, იდუმალება, გონება) და ხუთიც „სულიერი" (სიყვარული, რწმენა, ერთგულება, კეთილშობილება, სიბრძნე) ატრიბუტი მიეწერება. ამ ატრიბუტებს ასოებიც ჰქვიათ ფიგურალურად, რადგანაც ღმერთის სუბსტანცია უშუალოდ გრძელდება მათში. მომდევნო სფეროს მთლიანად ავსებს სხივოსანი ეთერი, რომელიც ზუსტად იმავე ატრიბუტებით ხასიათდება, რომლებიც მიეწერება ღმერთს, რაც მათს სუბსტანციურ იგივეობაზე მიგვანიშნებს. ბოლოს, ყველაზე ქვემოთ, მესამე სფერო ე. წ. „დაუბადებელ მიწას", სინათლის მთელი სამყაროს ამ ერთგვარ მტკიცე საძირკველს თუ საყრდენს უჭირავს, რომელიც, თავის მხრივ, ხუთი სხვადასხვა ნაწილისა თუ ასოსაგან, ანუ, ფილოსოფიური ტერმინი რომ მოვიშველიოთ, ელემენტისაგან, ითხზვის: ჰაერის მშვიდი სუნთქვა, ქარი, შუქი, ცეცხლი და წყალი. დაუბადებელი მიწა ათასგვარი სიკეთითაა შემკული: მოლივლივე ნათელში დანთქმულ საგანთა მშვენიერება, ფორმათა სინატიფე და დახვეწილობა, მაცოცხლებელი ჰავა, მომხიბლავი ჭალაკები, ზურმუხტოვანი ველ-მინდვრები, ხილით დახუნძლული ბაღები. მისი მბრძანებელია ნათელი ღმერთი, თორმეტი პირველშობილი „სიდიადით" გარშემორტყმული: მათ მოსდევენ უფრო დაბალი რანგის „სიდიადენი", ბოლოს კი – სულების, ღვთაებებისა თუ ანგელოზების ლეგიონები.

სინათლის სამკვიდროს მკვეთრად უპირისპირდება ბნელეთის საბრძანებელი. ეს პირქუში სამყარო ხუთი სხვადასხვა სფეროსა თუ „მღვიმისაგან" შედგება, რომელთა თანმიმდევრობაც დაღმაფალი რიგით ასეთია: კვამლის, ბობოქარი ქარის (გრიგალის), ყოვლისმმუსვრელი ცეცხლის, მავნე წყლისა და წყვდიადის მღვიმე. ხსენებული სტიქიები მატერიალურ სამყაროში დასაბამს აძლევს როგორც ცოცხალ არსებათა გარკვეულ რიგს, ასევე – ლითონებს. წყვდიადის სტიქია დასაბამს აძლევს ქვეწარმავლებს. მისი დემონები საკუთარი სხეულიდან ქმნიან ტყვიას და კალს; მატერიალური სამყაროს შექმნის შემდეგ წყვდიადის დემონი გახდა პლანეტა სატურნი. წყალი ბნელეთის სუთი სტიქიიდან ერთ-ერთია. მან სათავე მისცა თევზებს.

წყლის დემონთა სხეულიდან წარმოიშვა ვერცხლი; თავად წყლის დემონი კი გახდა პლანეტა მერკური. ცად აზიდული წყლის ღრუბლებისაგან მომდინარეობს ყინვა, თოვლი, სეტყვა და ქარიშხალი. მანიქეველთა წარმოდგენით, წყლის დემონის ბოროტი სული შთააგონებს ადამიანებს, მიიღონ მათი ცრუ მოძღვრება, რაც ნათლისღებით განწმენდაში გამოიხატება. ქარის სტიქიონმა წარმოშვა ფრინველები. მისმა დემონმა საკუთარი სხეულიდან შექმნა რკინა, მისგანვე იღებს სათავეს მძაფრი სუნის მქონე მცენარეულობა. სამყაროს შექმნისას იგი გახდა პლანეტა მარსი. ცეცხლის სტიქიონი, რომელიც დედამიწაზე მხურვალე სურნელებით ვლინდება, ოთხფეხა ცხოველების შემქმნელია. მისმა დემონმა, რომელსაც ლომის იერი ჰქონდა, თავისი სხეულიდან წარმოშვა სპილენძი, სამყაროს შექმნის შემდეგ კი იგი გახდა პლანეტა ვენერა. კვამლის სტიქია მატერიალურ სამყაროში ვლინდება მლაშე სურნელებით. მან შექმნა ორფეხა დემონები, საკუთარი სხეულიდან კი – ოქრო. სამყაროს შექმნის შემდეგ კვამლის სტიქიონის დემონი გახდა პლანეტა იუპიტერი. მანიქეველთა ხსენებული ასტრალური წარმოდგენები ახლოს იყო ზოროასტრული რელიგიის სწავლებასთან.

ეს ორი სამეფო – სინათლისა და სიბნელისა, სიკეთისა და ბოროტებისა – უშუალოდ ეხება და ესაზღვრება ერთიმეორეს. ორივე უსაზღვროა და უსასრულო, მაგრამ ეს უსაზღვროება ყოველმხრივი არაა. პირველი უსასრულოდ განიფინება ზევით, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ და უკან, მაგრამ ქვემოდან ზღვარდადებულია სიბნელის სამეფოთი, რომელიც, თავის მხრივ, შემოსაზღვრულია ზემოდან და უსასრულოა ყველა სხვა მიმართულებით. ამ ორ სამეფოს შორის შუალედური ადგილი უჭირავს რეალურ სამყაროს, სადაც ერთმანეთშია არეული სინათლე და სიბნელე, სიკეთე და ბოროტება, რასაც კოსმიური დრამა – ორი მტრული საწყისის დაუსრულებელი ორთაბრძოლა განაპირობებს. სინათლის სამეფოსათვის ტრაგიკული აღმოჩნდა ამ დრამის პირველი აქტი – ბრძოლის დასაწყისი. ბნელეთის მოციქულები – გულხარბი, ქედმაღალი და მძვინვარე დემონები, რომლებიც მანამდე ერთმანეთს ნთქავდნენ, პირველად გაერთიანდნენ თავიანთი მთავრის – სატანის მეთაურობით და თავს დაესხნენ მათს უახლოეს მეზობელს – სინათლის სამეფოს მიწას. მაშინ სინათლის მეუფემ ზეციურ ძალებს კი არ უხმო მტერთან საომრად, რომლებიც სიკეთისა და აღმშენებლობითი საქმიანობისთვის იყვნენ შექმნილნი და ნგრევის, ხოცვისა და განადგურების არაფერი გაეგებოდათ, არამედ საგანგებოდ შექმნა „სიცოცხლის დედა", ამ უკანასკნელმა კი – მამის თანაარსი „პირველი კაცი", რომელმაც სინათლის წმინდა სტიქიონებით – ჰაერის მშვიდი სუნთქვით, ქარით, შუქით და წყლით ნაქსოვი პერანგი მოირგო ტანზე აბჯრად, შუბისა და ფარის ნაცვლად კი ცეცხლი იპყრო ხელთ და ასე ეკვეთა ბნელეთის მთავარს, თავის მხრივ სიბნელის სამეფოს უწმინდური სტიქიონებით – კვამლით, გრიგალით, ყოველისმმუსვრელი ცეცხლით, მავნე წყლითა და წყვდიადით რომ აღჭურვილიყო. შეტაკებისას გამარჯვების სასწორი ბნელეთის მთავრისაკენ გადაიხარა. მაშინ „პირველმა კაცმა" გადაწყვიტა, ხერხი ეხმარა: თავისი თავიცა და ნათელი სტიქიონებიც, ანუ ელემენტები, შესაჭმელად მიეცა ბნელეთის მოლაშქრეთათვის, რათა თვინიერების საწყისით დაეცხრო უკეთურთა სიშმაგე და გაენეიტრალებინა მათი ბოროტება, მაგრამ ამ თავგანწირვამ ნაყოფი არ გამოიღო, რადგანაც დემონებმა შთანოქმით კი შთანთქეს სინათლის ელემენტები, მაგრამ თავიანთი შხამი შეურიეს მათს ბუნებას, რამაც ისევე იმოქმედა „პირველი კაცის" გონებაზე, როგორც ცოფიანი ძაღლის კბენამ. ცნობამიხდილმა იმდენი მაინც შეძლო, რომ ზეცას შეჰღაღადა და მამას სთხოვა შველა. მაშინ სინათლის მეუფემ „პირველი კაცის" სახსნელად შექმნა ტრიადა: „სინათლის მეგობარი", „სინათლის მეგობარმა" – „დიადი ბანა", ამ უკანასკნელმა კი – „სიცოცხლის სული". „სინათლის მეგობარი" პირველი ჩავიდა ბრძოლის ველზე და დემონთა შხამისგან გაწმინდა „პირველი კაცი", მაგრამ ის კი ვერ მოახერხა, რომ თავის ზეციურ სამშობლოში დაებრუნებინა

იგი. მაშინ „სიცოცხლის სულმა" სმამაღლა უხმო სატანის ტყვეს, რომელიც კვლავ ღმერთად იქცა, მერე ხელი გაუწოდა დაცემულს, წამოაყენა და ბნელეთის უფსკრულიდან კვლავ სინათლის სამეფოში დააბრუნა, მაგრამ ბნელეთის მოციქულთა ხელში დარჩა ფასდაუდებელი ნადავლი — „პირველი კაცის" საჭურველი: ხუთი წმინდა ელემენტი, რომელთაგანაც ეს საჭურველი იყო დამზადებული, ნაწილობრივ დემონებმა შთანთქეს, ნაწილობრივ კი ბნელეთის სამყაროს უწმინდურ ელემენტებს შეერივნენ და ასე წარმოიქმნა ე. წ. ემპირიული ელემენტები. ყველაფერი, რაც კარგი, სასარგებლო და სასიკეთოა მათში, წმინდა ელემენტებისეულია, ყოველივე მავნე და უკეთური კი უწმინდური ელემენტებისგან იღებს დასაბამს. ასე, მაგალითად, ცეცხლისთვის ნიშნეულია სითბო, სინათლე, გამწმენდი ძალა, მაგრამ ის, იმავდროულად, ყოველისშთანმთქმელიცაა; იგივე ითქმის სხვა ელემენტებზეც. ამრიგად, ბნელეთის ძალებმა თავისას მიაღწიეს და ნაწილობრივ დაეუფლნენ ღვთაებრივ სუბსტანციას, მაგრამ სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. „პირველი კაცი" სიბნელის სამეფოს ფსკერამდე ჩავიდა, რათა უწმინდურ ელემენტთა ფესვები გადაეჭრა და, ამგვარად, გამრავლების საშუალება მოესპო მათთვის, რის შემდეგაც კვლავ დაუბრუნდა გაფახდილი ბრძოლის ასპარეზს — სინათლის სამყაროს მიწას და თავის ანგელოზებთან ერთად ბნელეთის ელემენტებისაგან მის გაწმენდას შეუდგა.

უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო სინათლისა და ბნელის ნაზავიდან გამოეყოთ წმინდა ელემენტები და სინათლის სამეფოსათვის დაებრუნებინათ ისინი. ამ მიზნით, თვით ნაზავისა და ბრძოლაში დატყვევებულ ბნელეთის ლაშქრის არქონტთა (თავკაცთა) ნაწილებისაგან „სიცოცხლის დედამ" შექმნა ახალი სამყარო — ადამიანთა დღევანდელი საცხოვრისი. ემპირიული ელემენტები მიწის შესაქმნელ მასალად გამოიყენა, არქონტთა ნაწილს ტყავი გააძრო და ათი ცის თაღად გადაჭიმა, ხოლო მათი მიწაზე მიმოფანტული ძვლები მთებად და კლდეებად იქცა. დანარჩენ დატყვევებულ არქონტებს ბორკილები დაადვა და იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი ნათელი ჰქონდა შთანთქმული, სინათლის სამეფოს სხვადასხვა სფეროს ცას მიაჯაჭვეს. შემდეგ წმინდა ცეცხლის ნაშთისაგან „სიცოცხლის დედამ" შექმნა მზე, წმინდა წყლის ნაწილაკებისაგან კი — მთვარე და „ორი ვეება ხომალდი, დღისით და ღამით რომ სერავენ ციურ ოკეანეს. ამნაირად შექმნილი სამყარო თითქოს ერთგვარი ხელოვნური მანქანაა, გამიზნული ნათლისა და ბნელის ნაზავიდან სინათლის ელემენტების გამოსაყოფად, მათს შესაკრებად და გასაწმენდად. ამ მიზნით ცის თაღზე დამაგრებულია მარად მბრუნავი გიგანტური ბორბალი თორმეტი ვეება სათლითურთ (ზოდიაქოს თანაკარსკვლავედები), რომლებიც ისრუტავენ უსასრულო სივრცეში მორიალე სინათლის ნაწილაკებს და „განსაწმენდად მთვარის ზედაპირზე ღვრიან, ხოლო მთვარე მის მიერ გადარჩეულსა და სათანადოდ გადამუშავებულ ნაწილაკებს მზეს უგზავნის გაწმენდის პროცესის დასამთავრებლად. ამის შედეგად, მთვარე თანდათანობით რომ ივსება სინათლის ნაწილაკებით, თოთხმეტი დღის განმავლობაში იმატებს, ხოლო როცა მზეს უგზავნის მათ, დროის იმავე პერიოდის მანძილზე ნელ-ნელა ცხრება.

სამყაროული მანქანა ისე სრულყოფილად მუშაობდა, რომ სიბნელის სამეფო კატასტროფის წინაშე დადგა: ეტყობოდა, საერთოდ ვეღარ შეინარჩუნებდა სანუკვარ ნადავლს. მაშინ სატანამ „საყოველთაო მობილიზაცია" გამოაცხადა. მისი ბრძანებით მაღალი რანგის ყველა დემონი თანაეყო თავის მეუღლეს, მათი ნაშიერნი კი ბნელეთის მთავარმა შთანთქა, რის შედეგადაც სატანის არსებაში კონცენტრირებული აღმოჩნდა მის მიერ შთანთქმულთა როგორც ბნელი, ისე ნათელი საწყისიც და ყოველივე ეს მან გადასცა თავის მეუღლეს, რომელთან პირველი თანაყოფის შემდეგად გაჩნდა ადამი, მეორე თანაყოფისას კი ევა მოევლინა ქვეყანას. აქედან იღებს დასაბამს ადამიანის მრჩობლი (ორადი) ბუნება: მის არსებაში ერთმანეთს ერწყმის

სინათლის სამეფოს ნაშიერი სული თავისი სიწმინდით, სიკეთით და ბნელეთის ნაშიერი სხეული თავისი ხრწნილებით, სიბილწით, ვნებებით. პირველქმნილ ადამიანებს ბნელეთის სამეფოს არქონტებმა სამოთხეში მიუჩინეს ბინა, სადაც მათ შეეძლოთ ეგემათ ყოველი ხის ნაყოფი, გარდა ცნობადის ხისა. ადამი ერთხანს ინარჩუნებდა სიწმინდეს და უბიწოებას, მაგრამ ბოლოს აცდუნა ევამ, რის შედეგადაც ქედი მოიდრიკა ბნელეთის ძალთა წინაშე, თავისი სული სამუდამოდ დაუკავშირა მატერიალურ საწყისს და საუკუნო ტანჯვა-წამებისათვის გაწირა ადამიანთა ურიცხვი თაობა, კაცთა მთელი მოდგმა.

როგორ ესმოდათ მანიქეველებს სამყაროს ესქატოლოგიური ფინალი? კოსმიური პროცესი დასრულდება ერომანეთში შერეულ ელემენტთა განცალკევებით, მაგრამ დასაბამიერი მდგომარეობის მთელი სისრულით აღდგენა მაინც შეუძლებელი იქნება: „პირველი კაცის" მიერ ფესვებგადაჭრილი სიბნელის სამეფო ძველებურად ვეღარ იმძლავრებს და ვეღარც სინათლის სამეფოს დაემუქრება, მაგრამ ეს უკანასკნელი მთლიანად მაინც ვერ დაიბრუნებს ბნელეთის მიერ მიტაცებულ წმინდა ნაწილაკებს, რომელთა გარკვეული რაოდენობა ცოდვილთა სულების სახით განწირულია იმისთვის, რომ სამუდამოდ ბნელეთის ტყვეობაში დარჩეს, მაგრამ ეს იქნება შემაკავებელი ფაქტორი ბნელეთის ძალთა ბოროტებისათვის.

თუკი მანიქეველები მთელი ყოფიერების დასაბამად აღიარებდნენ ორ საწყისს, დროის თვალსაზრისით გამოყოფდნენ სამ ციკლს: წარსულს, რომელშიც ადგილი ჰქონდა სინათლისა და წყვდიადის სამეფოთა ურთიერთბრძოლას, აწმყოს, რომელშიც უშუალოდ ცხოვრობს კაცობრიობა და მომავალს, როდესაც ბოლო მოეღება განხეთქილებას. სამყაროს ისტორიის ამ სამ ციკლზე საუბარია ბევრ მანიქეურ წყაროში. ნეტარი ავგუსტინე მანიქეველი ფელიქსის წინააღმდეგ დაწერილ შრომაში მათ უწოდებს დასაწყისს, შუალედსა და დასასრულს. ერთ-ერთ ჩინურ ტრაქტატში ისინი გაფორმებულია შემდეგნაირად: 1. წარსული დრო – როდესაც არ იყო ცა და მიწა, არამედ იყო მხოლოდ წარუვალი სინათლე და სიბნელე; 2. შუალედური დრო, როდესაც ბნელეთმა შთანთქა სინათლე, ხოლო სინათლეს მოუხდა ბნელეთისაგან თავის დაცვა, ამავე ციკლში სული მიისწრაფვის გათავისუფლდეს სხეულისაგან; 3. მომავალი დრო – როდესაც დასრულდება გაყოფა, სინათლე კვლავ დაუბრუნდება სინათლეს, სიბნელე კი – ბნელეთს. აქ შესაძლებელია პარალელი მოეძებნოს ზოროასტრულ მოძღვრებას, რომელშიც, აგრეთვე, არსებობდა დროის სამ ციკლად აღქმა.

თავიანთი დუალიზმის გასამართლებლად მანიქეველები მკვეთრად მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან ბიბლიის ორ ძირითად ნაწილს – ძველსა და ახალ აღთქმას, რომელთაგანაც პირველს ბნელეთის მოციქულთა ქმნილებად მიიჩნევდნენ, ხოლო მეორეს – სინათლის სამყაროს კეთილი მეუფის ღვთაებრივ გამოცხადებად. მათი აზრით, ძველი აღთქმა დემონურობის ნიშნით იყო აღბეჭდილი და გასაგებია, ვინც იქნებოდა მასში გაცხადებული ღმერთი: რა თქმა უნდა, ბნელეთის მთავარი, რის დასტურადაც მანიქეველები გაფაციცებით დაეძებდნენ ძველი აღთქმის ტექსტში რელიგიურსა თუ ლოგიკურ შეუსაბამობებს და ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში ხაზგასმით აღნიშნავდნენ საღმრთო წერილისათვის დამახასიათებელ ანთროპომორფიზმს, ზნეობრივ ცნებათა პრიმიტიულ სიტლანქესა და სიმდაბლეს; ამნაირი მანიპულაციები მით უფრო უადვილდებოდათ, რომ მანიქეველები ხელაღებით უარყოფდნენ ძველი აღთქმის სიმბოლურ ხასიათს, არასდიდებით არ უნდოდათ, ელემენტარული ანგარიში გაეწიათ ენის ბუნებრივი ხატოვნებისათვის და თვით აშკარა მეტაფორებსაც კი ყოველგვარი ალეგორიულობისაგან განყენებულად, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით აღიქვამდნენ. ახალი აღთქმა სინათლის სამყაროს, კეთილი მეუფის ღვთაებრივ გამოცხადებად მიიჩნეოდა, მაგრამ სახარებისეულ იესო ქრისტეს არანაირი კავშირი არ ჰქონდა მათს წარმოდგენებთან იესო ქრისტეზე.

მანიქეიზმის ქრისტოლოგია იესოს სამ გამოვლინებას ცნობდა: 1. „იესო ბრწყინვალე" – ანუ მაცხოვარი ნათლისა, რომელმაც დასაბამში მოუტანა ადამს

„მხსნელი გნოზისი"; 2. ტანჯული იესო, რომელიც წარმოადგენს მატერიაში დატყვევებული სინათლის კრებით სახეს, ანუ იმ წმინდა ელემენტებს, რომლებითაც აღიჭურვა „პირველი კაცი" ბნელეთის ძალებთან საომრად და რომლებიც ამ უკანასკნელებმა დაატყვევეს. ეს სტიქიონები მოიაზრებოდა, როგორც „პირველი კაცის" თანაარსნი, მისი სუბსტანციის უშუალო გაგრძელება და ამიტომაც ძნელი არ იყო, „ძეობის" ჰიპოსტასად დაესახათ ისინი. დემონების მიერ დატყვევებული სინათლის სტიქიონები (ანუ, მანიქეველთა ტერმინოლოგიით, „პირველი კაცის" ძე — იესო ქრისტე) მთელი სამყაროს — ციური სხეულების, ადამიანების, ცხოველების, მცენარეებისა და თვით ქვების სულად იქცა. მატერიაში დანთქმული სინათლის ნაწილაკები — აი, ვინ არის, მანიქეველთა კონცეფციით, „ტანჯული ქრისტე"; 3. „იესო მესია", ანუ წინასწარმეტყველი და მოციქული, ძე ღვთისა, რომელმაც მოჩვენებითად მიიღო ადამიანური ბუნება და ეწამა ჯვარზე. იესო ქრისტეს ამ დოკეტისტურ გაგებას ჯერ კიდევ ადრეულ გნოსტიკოსებთან ვხვდებით. მაცხოვრის განკაცებაზე, როგორც ზმანებაზე, საუბრობდნენ მენანდრე, სატორნილი, ბასილიდე, კერდო და მარკიონი. იესო ქრისტეს ცხოვრების ისტორია, სხვა მოციქულთა მსგავსად, მანიქეველთა წარმოდგენით, რეინკარნაცია იყო მატერიაში სულის ჩამოსვლისა და კვლავ ამაღლების შესახებ.

მანიქეიზმის კულტი

მანიქეიზმი, როგორც სისტემურად ჩამოყალიბებული რელიგია, ფლობდა განვითარებულ კულტმსახურებას, რიტუალების ერთობლიობას, განაჩინებდა მიმდევრებისათვის სავალდებულო ეთიკურ კოდექსს.

მანიქეველთა მორალი შესაბამისობაში მოდიოდა მათს თეორიულ მსოფლმხედველობასთან. ამ რელიგიის მიხედვით, ადამიანთა დანიშნულებაა, გადაარჩინონ თავიანთ თავში არსებული სინათლის ნაწილი. ადამიანს თავისი მოქმედებით ძალუძს შებორკოს ბოროტების გამოვლენა ან გზა გაუხსნას მას. ხშირ შემთხვევაში ადამიანი უადვილებს ბოროტებას გამარჯვებას და ამას ახორციელებს სულიერი რეგრესის სარჯზე, რაც უზნეო და გარყვნილი ცხოვრების წესში გამოიხატება. კაცობრიობაში სინათლის ელემენტების მფლობელნი ადამისა და ევას ვაჟის — სეითის — შთამომავლებად ითვლებოდნენ. მათ ბნელეთის ძალებით მოცულ ადამიანებთან კონტაქტიც ეკრძალებოდათ. ნეტარი ავგუსტინეს ცნობით, თუკი მანიქეველი არამანიქეველს სამოწყალოდ მიაწვდიდა პურს, ეს, მათი აზრით, იმას მოასწავებდა, რომ „სინათლის ნაწილაკები" კიდევ უფრო ღრმად დანთქმულიყო მატერიის პირქუშ ღილეგში („მანიქეველთა ზნეობისათვის" 15, 36).

მანიქეველთა რელიგიური იერარქია შემდეგნაირად გამოიყურებოდა: უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე იდგა ეკლესიის თავი, რომელიც თავდაპირველად მანის ერთ-ერთი მოწაფე იყო. მის შემდეგ მოდიოდა ეპისკოპოსთა რიგი. გადმოცემით, მანიმ თვითონვე დანიშნა 72 ეპისკოპოსი. ეპისკოპოსი სათავეში ედგა რომელიმე ქვეყნის ან ქალაქის მანიქეველთა თემს. მას მოსდევდნენ პრესვიტერები. ისინი ზედამხედველობდნენ რელიგიური წეს-ჩვეულებების უბიწოდ დაცვას და განმარტავდნენ სარწმუნოებრივ საკითხებს. მეოთხე და მესუთე იერარქიულ საფეხურს ქმნიდნენ საკუთრივ აღმსარებლები, რომელთაგან ერთნი რჩეულებად იწოდებოდნენ, მეორენი კი — მსმენლებად. რჩეულნი, ანუ იგივე სრულქმნილნი, ასკეტური ცხოვრების წესით გამოირჩეოდნენ. ისინი იღებდნენ მხოლოდ მცენარეულ საზრდოს, რომელიც სინათლის ყველაზე მეტ ნაწილაკს შეიცავდა. მათ ეკრძალებოდათ ხორცის ჭამა და ღვინის სმა ისევე, როგორც ქორწინება, მიწათმოქმედება, ვაჭრობა და, საერთოდ,

საზოგადოებრივი საქმიანობა. ისინი ხშირად ქმნიდნენ მონასტრული ტიპის დამოუკიდებელ საცხოვრებლებს, სადაც მკვიდრდებოდნენ. „რჩეულთაგან" განსხვავებით, „მსმენლებს" შეეძლოთ, ღვინოც ესვათ და ხორციც ეჭამათ, ექორწინათ, ევაჭრათ და ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში მიეღოთ მონაწილეობა.

მანიქეველები კულტის გარეგნული ფორმების მიმართ გულგრილობას იჩენდნენ. ისინი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ რიტუალებს, ილაშქრებდნენ კერპთაყვანისმცემლობისა და მსხვერპლშეწირვის წინააღმდეგ. მათი წარმოდგენით, მანიქეიზმი იყო სპირიტუალური რელიგია, რომელშიც წამყვანი როლი გულსა და აზროვნებას ენიჭებოდა. აქედან გამომდინარე, ადამიანს ევალებოდა ძირითადი ყურადღება გადაეტანა შინაგანი სამყაროს გარდაქმნაზე, რაც ხსნის უპირობო გზად მიიჩნეოდა.

ყოველივე ზემოთქმული არ მიანიშნებს იმაზე, რომ მანიქეველებთან არ არსებობდა ღვთისმსახურების პრაქტიკული მხარე. მათი კულტი გნოსტიკოსთა აშკარა ზეგავლენას განიცდიდა. გნოსტიკოსებს ჰქონდათ რიტუალები, რომელთაც ჩვენთვის უცნობ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მანიქეველებს, სხვა რელიგიათა მიმდევრების მსგავსად, ჰქონდათ საგანგებო შესაკრებელი შენობები, სადაც ლიტურგიული საჭიროებისთვის იკრიბებოდნენ. პირველი მანიქეური შესაკრებლები ჩვენს დრომდე არ შემორჩენილა. მანიქეველებს ჰქონდათ ორი სახის შენობა თაყვანისცემისთვის: ტაძრები და მონასტრები, როგორც ამას ჩინური წყაროები ადასტურებს. ტაძრების გვერდით არსებობდა აგრეთვე საცხოვრებელი კომპლექსი, სადაც რჩეულებს თავშესაფრის პოვნა შეეძლოთ. მანიქეური ტაძრების ნანგრევები აღმოჩნდა ცენტრალურ აზიასა და ჩინეთშიც. ერთ-ერთი მანიქეური მონასტერი ხუთი დარბაზისგან შედგებოდა: ზოგი მათგანი წიგნებისა და ფრესკებისთვის იყო განკუთვნილი, ზოგიც – შეკრებებისა და სასწავლო პროცესებისათვის. აქვე აღმოჩნდა საკრალური დატვირთვის კვადრატული კვარცხლბეკი, ქრისტიანული ტაძრის წმინდა ტრაპეზის მსგავსი. ამავე მონასტრის ტერიტორიაზე აღმოჩნდა მდიდარი ორნამენტებით შემკული წიგნები, ფერადი ნახატები და მანის სურათი, რომელიც ქებისა და დიდების ობიექტად აღიქმებოდა. ვინაიდან მანიქეური ტაძრები მდიდრულად იყო მოხატული, თვით მანის აღმოსავლეთში ჯადოქარი მხატვრის სახელი ჰქონდა. ამას მოწმობს IX საუკუნის სპარსელი პოეტის, რაბიას, ერთი ლექსის ფრაგმენტი: „ყოჩაღ, ნიავო, გაქებ და გლოცავ, მანის ნახატის რომ გეატკბობ ცქერით!"

მანიქეველთა რელიგიური რიტუალები მრავალ იდუმალ მომენტს შეიცავს. არამანიქეური წყაროები მათ სიყალბესა და ცილისწამების მიზნით შექმნილ ბევრ ამბებს მიაწერს. აქედან გამომდინარე, როდესაც მანიქეური რიტუალების გაცნობა გვსურს, უპირველესად მათს მონაცემებს უნდა დავეყრდნოთ. ზოგიერთი რიტუალი აღბეჭდილი იყო მაგიური ნიშნებით. მათი ენიგმატურობა გამოისატებოდა ორგიებში, სადაც ბუნდოვანებით მოცული მითების მისტერია თამაშდებოდა. მანიქეველები არ ფლობდნენ ნათლისღების რიტუალს წყლის საშუალებით, თუმცა წყალს, როგორც მატერიალური სამყაროს ერთ-ერთ სტიქიას, ისინი იყენებდნენ, რაც ხელნაწერთა ინფორმაციით დასტურდება. ზოგ მანიქეურ ტექსტში ვხვდებით გამოთქმას – „ნათლობა ზეთით", რაც ზეთისცხების მნიშვნელობით უნდა გვხვდებოდეს. რჩეულთა შორის სრულდებოდა რიტუალი, როდესაც იღებდნენ განსაკუთრებულ საკვებს. მათი წარმოდგენით, ეს იყო გზა ღვთიურ სულთან მისაახლებლად. სხვაობა მანიქეურ და ქრისტიანულ ლიტურგიულ პრაქტიკას შორის იმდენად აშკარაა, რომ მათს მსგავსებაზე საუბარიც კი მიზანშეუწონელია.

მანიქეურ კულტში მუსიკა დიდ პატივში იყო. მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა ბევრი რიტუალური მსახურება. მუსიკას ციური სამეფოს ექოდ მიიჩნევდნენ; მას სხეულისაგან სულის გამოყვანის ფუნქცია ეკისრებოდა, თითქოს მუსიკის მოსმენისას სული სხეულს წყდებოდა. ძირითად ინსტრუმენტებად გამოიყენებოდა ფლეიტა და ჩანგის მსგავსი შუაზიური სიმებიანი საკრავი. ხშირ შემთხვევაში მუსიკალურ

ჰანგებზე ასრულებდნენ ჰიმნებს, რომელთაც იგივე ფუნქცია ენიჭებოდათ. ამ თავისებურ ფსალმუნებს შესრულების სპეციფიკური სისტემა ჰქონდა. ხმის ცვლის სისტემა მითითებული იყო ხელნაწერებში. აქვე იყო მინიშნება, რა დროს უნდა შესრულებულიყო კოლექტიური გალობა და როდის — ინდივიდუალური. ზოგი მეცნიერის ვარაუდით, მანიქეურ ტაძრებში შევხვდებოდით საგანგებო გუნდს, რომელშიც ერთი ასრულებდა სიმღერის ნაწილს, დანარჩენები კი აბოლოებდნენ. ძირითადი შემსრულებელი შედარებული იყო ადამიანს, რომელიც წნავდა კალათს, ხოლო სხვები კი მათ, ვინც ამ კალათში ყვავილებს აწყობდნენ. არსებობდა სხვადასხვა ტიპის საგალობელი. მათი ნაწილი სადიდებელი იყო, ნაწილი — საგედრებელი ხასიათის. დიდების ჰიმნები მიემართებოდა სინათლის მეუფეს, დიდებულ გონებას, პირველ ადამიანს, იესო ქრისტეს, მანის; არსებობდა სამგლოვიარო ჰიმნებიც. მანიქეველთა რიტუალებზე შეიმჩნეოდა ედესის ქრისტიანული ეკლესიის ბევრი ელემენტის ზეგავლენა. ცენტრალურ აზიაში მოპოვებული ილუსტრაციების ანალიზით ირკვევა, რომ სხვადასხვა რანგის მანიქეველი თავისებურ სამოსელსა და ვარცხნილობას ატარებდა.

მანიქეიზმი და ქრისტიანობა

ქრისტიანული ეკლესია მძლავრ წინააღმდეგობას უწევდა მანიქეიზმის გავრცელებას. ზემოთ უკვე დავასახელეთ ეკლესიის მამები, რომლებიც თავიანთ ნაწერებში ამხელდნენ მათს შეხედულებებს. ანტიმანიქეური განწყობა შეიმჩნევა არა მხოლოდ პოლემიკურ ძეგლებში, არამედ ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებებშიც („ლავსაიკონი", ათანასე ალექსანდრიელის „ანტონი დიდის ცხოვრება"). იმის გამო, რომ მანიქეველები, ახალი აღთქმისგან განსხვავებით, ძველ აღთქმას ბნელეთის მთავრის ქმნილებად რაცხდნენ. წმინდა იოანე ოქროპირი განაჩინებდა: „ძველისა მის და ახლისა შჯულისა ერთი არს რჯულისმდებელი — უფალი ჩუენი იესო ქრისტე. არა ვითარცა უღმრთონი იგი მანიქეველნი გმობენ და სხუასა იტყუიან ძველისა მის შჯულისმდებელსა და უწყალოებასა სწამებენ მას არა ღირსნი იგი წყალობისა. ხოლო ჩუენ უწყით, ვითარმედ ორისავე მეუფე და რჯულისმდებელი ქრისტე არს, თანაარსი და თანადაუსაბამოი, ძე უხილავისა ღმრთისაი".

მანიქეველები ავრცელებდნენ მათს წიაღში შექმნილ აპოკრიფულ ლიტერატურას. მთელ მახლობელ აღმოსავლეთში იყო ცნობილი ე. წ. „თომას სახარება", რომლის კოპტური ტექსიც 1945 წელს გამოვლინდა. ჟ. დორესის მითითებით, ეს თხზულება II საუკუნეზე გვიან არ უნდა შექმნილიყო, თუმცა კირილე იერუსალიმელი წერდა: „ახალი აღთქმიდან მხოლოდ ოთხი სახარება უნდა იკითხებოდეს. დანარჩენები აპოკრიფულები და ზიანის მომტანნი არიან. მანიქეველებმაც დაწერეს „სახარება თომასი", რომელიც თუმცა შეფერილია სახარების წოდების სურნელით, მაგრამ მარტივთა სულებს რყვნის... არავინ წაიკითხოს „თომას სახარება"... რამეთუ იგი არ არის თორმეტი მოციქულიდან არც ერთის, არამედ მანის სამი ეშმაკეული მოციქულიდან ერთის". ამავე აპოკრიფის შესახებ პეტრე სიცილიელი აღნიშნავდა: „ნურვინ იკითხოს „თომას სახარება", რადგან ეს უკანასკნელი ეკუთვნის არა თორმეტ მოციქულთაგანს, არამედ ანტიქრისტე მანესის თორმეტ ბოროტ მოწაფეთაგანს". იგივე ავტორი ზოგადად მანიქეველთა ლიტერატურას ამგვარად აფასებდა: „ნუ წაიკითხება... ნურც ერთი წიგნი, გამოსული ამათგან, რომელნიც ღვთისმოსავნი არ არიან, მრავალთა განსახრწნელად და საკუთარი სულის წარსაყმედელად. ჩვენი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის მიერ ანათემაქმნილია მათი ყველა წიგნი, უსაწმინდარო შეგონებათა შემცველი და ყოველგვარი მკრეხელობით სავსე და ყოველი

ლოცვა, რომელსაც ესენი წარმოთქვამენ, უფრო საეშმაკო და საცთური. ხოლო მათთან ერთად, რომელთაც ეს წიგნები წარმოადგინეს, როგორც ბევრი დიდი ბოროტების მომგონთა და დამღუპველთა, შერისხულია ყოველი მათგან დამოწაფებული".

განსაკუთრებით მკაცრად ამხელდა საეკლესიო მოძღვრება მანიქეველთა დუალიზმს: როგორც ვნახეთ, ისინი ბოროტების სუბსტანციურობას აღიარებდნენ. ბოროტება მათთვის სიკეთის სამეფოს პარალელურად დაუსაბამოდ აღიქმებოდა. ცხადია, ქრისტიანული თეოლოგია სამყაროში არსებულ ბოროტებას არ მიიჩნევდა დაუსაბამოდ და მისი არსების ჭეშმარიტ გაგებას იძლეოდა. მანიქეველები, მართალია, უარყოფდნენ ძველი აღთქმის ღირებულებას, მაგრამ ცდილობდნენ, ეპოვათ მასში თავიანთი მოძღვრების დამადასტურებელი ადგილები. ასეთად მიიჩნეოდა „დაბადების" მეორე მუხლში ნახსენები „ბნელი", რომელსაც ბნელეთის სამეფოსთან აიგივებდნენ. სწორედ ამის გამო წმინდა ბასილი დიდი ყურადღებას ამახვილებდა, რომ ზოგი უმართებულოდ განმარტავდა „ბნელს", როგორც ბოროტ ძალას – თავის თავში სუბსტანციურობის მქონეს. იგი აღნიშნავდა, რომ ბნელი სხვა არაფერია, თუ არა იმის აღნიშვნა, რომ ჰაერი ჯერ კიდევ გაუნათებელი და ბნელი იყო. ბნელი არ გულისხმობს ბოროტებას: „ბოროტების ძებნას ნურც შენ გარეთ დაიწყებ და ნურც იმას წარმოიდგენ, რომ მისი ბუნება დასაბამიდანვე არსებობდა, არამედ, დაე, ყველამ უწყოდეს, რომ ბოროტება დასაბამს თავის თავს თვითონვე უდებს". ბოროტების სუბსტანციურობა ასევე უარყოფილია წმინდა დიონისე არეოპაგელის შრომებში. ამ ავტორთან ბოროტების ყოველგვარი მნიშვნელობა მოხსნილია. აქედან გამომდინარე, უარყოფილია აზრი, რომ ბოროტება ბნელეთის სამეფოს სახით მუდმივად არსებობდა და ქმნილებთა ნაწილი მისგან მომდინარეობდა. არეოპაგიტიკაში ხაზგასმითაა თქმული, რომ „სახიერებაი არს, რომლისგან ყოველი დაიბადა და არს, ვითარცა მიზეზისაგან ყოველთა მომყვანებელისა". იოანე დამასკელი განაჩინებდა: „საიდან არის ბოროტება? მართლაც, შეუძლებელია, რომ ბოროტებას სიკეთისაგან ჰქონდეს წარმოშობა. ამიტომ ვამბობთ, რომ ბოროტება სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის ნაკლებობა და ბუნებისეულისაგან არაბუნებისეულისკენ გადახრა, რადგან არაფერია ბუნებით ბოროტი. მართლაც, ყოველიე, რაც შექმნა ღმერთმა, კარგია ძალიან იმგვარად, რაგვარადაც წარმოიქმნა. ამიტომ დარჩებიან რა იმ სახით, რა სახითაც შეიქმნენ, ძალიან კარგნი არიან, მაგრამ ნებსით განუდგებიან რა ბუნებისეულს და წავლენ რა ბუნების გარეგანისაკენ, ბოროტებაში იქნებიან". ნეტარი ავგუსტინე ასევე წერდა, რომ „ბოროტება სხვა არა არის რა, თუ არა სიკეთის უქონლობა, სიკეთის დამცრობა და დაკნინება სრულ გაქრობამდე".

ეკლესიის მამებთან მოცემულია მანიქეველთა მიერ სხეულის უარყოფის განქიქებაც და ნაჩვენებია მატერიის ღირებულება.

მანიქეიზმთან საქართველოს კონტაქტი შეიმჩნევა დღიდან მისი წარმოშობისა. ქართველი მეცნიერები ამ რელიგიით ინტერესდებოდნენ სხვადასხვა მოაზროვნის მსოფლმხედველობათა გასარკვევად (მთავარეპისკოპოსი მობიდანი, ევსტათი მცხეთელი, შოთა რუსთაველი). მანიქეიზმის წინააღმდეგ ქრისტიანული თეოლოგიის ბრძოლა აშკარაა XII-XIII საუკუნეების საქართველოშიც. ქართველი მოაზროვნეები არგუმენტირებულად უარყოფდნენ მათს ბევრ შეხედულებას, ქართულ ენაზე თარგმნიდნენ ანტიმანიქეური ხასიათის პოლემიკურ ძეგლებს (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. თეიმურაზ უიარაღო, „მანიქეველობა და ქრისტიანობა", თბილისი, 2004, გვ. 69-89).

ბაჰაიზმი

ბაჰაის რელიგია თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგიაა. მისი წარმოშობა და დამოუკიდებელ რელიგიად გაფორმება დაკავშირებულია ირანულ სამყაროსთან. ბაჰაიზმი განვითარების ადრეულ ეტაპზე იყო ისლამის შიიტური მიმდინარეობის ერთ-ერთი გვიანდელი განშტოება, რომელიც ტიპურ ისლამურ ერეტიკულ მოძღვრებად მიიჩნეოდა, მაგრამ მოგვიანებით მან შიიზმისაგან სრული ფილტრაცია განიცადა. ბაჰაიზმი საინტერესო მოვლენაა თანამედროვე ეპოქაში ახალი რელიგიის წამოყალიბების, ახალი მსოფლმხედველობის გავრცელების სურათის აღსაქმელად.

ბაჰაიზმი დღეს მსოფლიო რელიგიაზე სამართლიან პრეტენზიას აცხადებს. მანიქეიზმის მსგავსად, მასაც ბევრი სწავლება აქვს შეთვისებული სხვადასხვა რელიგიისგან, მაგრამ მისი ოფიციალური დოქტრინა დამოუკიდებელია. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიული გავრცელების მხრივ მას ქრისტიანობის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს.

ბაჰაის მიმდევრები მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანაში ცხოვრობენ. გაერთიანებულნი არიან 169 ეროვნულ და 17 000-ზე მეტ ადგილობრივ საბჭოში. აქვთ საკუთარი სასწავლო დაწესებულებები, საფინანსო ფონდები, რადიოსადგურები, სასაფლაოები, გამომცემლობები, სადაც მათი ლიტერატურა 800 ენასა და დიალექტზე იბეჭდება. იმის მიუხედავად, რომ ბაჰაისტთა საერთო რაოდენობა 6 მილიონს არ აღემატება, მასში 2000-ზე მეტი ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელია გაერთიანებული.

ბაჰაის რელიგიის მიმდევრებს საკუთარი წარმომადგენლობა ჰყავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მათი ოფიციალური წარმომადგენლები მუდმივად იმყოფებიან ნიუ-იორკში, ჟენევასა და ნაირობში (გაეროს ეკოლოგიური პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით). ბაჰაისტების მეთვალყურეები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არიან წარგზავნილნი, მათ შორის – ევროპარლამენტშიც. ისინი გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ მსოფლიო პოლიტიკის გლობალურ პროცესებზეც, თანამშრომლობენ მრავალ არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

ამ რელიგიის მეცნიერული შესწავლისას უპირველესად უნდა დავეყრდნოთ მეცნიერთა იმ ნაწილს, რომელთა გამოკვლევებში ობიექტურად არის გაშუქებული მათი მოძრაობა, სწავლება, სოციალური პროგრამები და ა. შ. საკუთრივ ბაჰაისტური აღმსარებლობის მქონე ავტორები ხშირ შემთხვევაში ხასიათდებიან მიკერძოებით, ფაქტების გაყალბებით. მათი მოწინააღმდეგე მაჰმადიანი ავტორები ასევე ბევრ შეცდომას უშვებდნენ. ეს შეიძლება ავხსნათ იმ გარემოებითაც, რომ შესაძლოა ისინი შიშობდნენ, არ დაედანაშაულებინათ ბაჰაის იდეებისადმი სიმპათიაში. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ლონდონში გამოიცა ე. ბრაუნის საყურადღებო შრომები. მანვე მოახდინა ბაჰაიზმის რელიგიური წიგნების პუბლიკაცია ევროპაში. დღეისათვის ამ რელიგიის შესახებ არსებობს მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა.

ბაჰაიზმის წარმოშობა და განვითარება

ბაჰაიზმის აღმოცენება ირანში ბაბიდების რელიგიურ მოძრაობასთანაა დაკავშირებული. მისი ფესვების გასაცნობიერებლად საჭიროა, წარმოდგენა გექონდეს შიიზმში არსებულ მაჰდის (მესია) შესახებ სწავლებაზე. ისლამის შიიტურ განშტოებაში სასულიერო იერარქია, განსხვავებით სუნიტური წრეებისაგან, მკვეთრად გამიჯნულია საერო ხელისუფლებისაგან. შიიტებს ღრმად სწამთ, რომ მათი უმაღლესი

რელიგიური ლიდერები – იმამები ღვთაებრივი ადამიანები არიან და უმაღლეს ცოდნას ფლობენ. მათ უნდა დაემორჩილოს ყველა, რადგან მათი სიტყვა ღვთის სიტყვას წარმოადგენს და მათი ბრძანებაც ღვთაებრივია. შიიტთა რწმენით, არ არის აუცილებელი, ადამიანთა შორის მუდმივად იმყოფებოდეს წინასწარმეტყველი, მაგრამ იმამი, რომელიც რელიგიის დამცველია, მუდმივად უნდა არსებობდეს საზოგადოებაში. შიიტები წინასწარმეტყველ მუჰამედის შემდეგ 12 იმამს აღიარებენ, რომელთაგან უკანასკნელი გაიგივებულია მესიასთან (მაჰდი).

იმამთა ცხოვრება გაიდეალებულია. მათი საფლავები შიიტებისათვის უწმინდესი ადგილებია. მეთერთმეტე იმამის შვილი მეთორმეტე იმამი აბდულ-კასიმი, რომელსაც საუკუნის იმამსაც უწოდებენ, დაიბადა ჰიჯრიდან 255 ან 256 წელს (რაც შეესაბამება 869-870 წლებს) სამარაში. იგი მამის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იზრდებოდა და რამდენიმე დაახლოებული შიიტის გარდა, არავისთან ჰქონია ურთიერთობა. მამის გარდაცვალებიდან მალე აბდულ-კასიმი უკვალოდ გაქრა. ამ მოვლენით დაიწყო ე. წ. „დიდი გაუჩინარება", ანუ „თვალთაგან დაფარვა". ეს პროცესი კაცობრიობაში გაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე ღვთის ნებით იგი კვლავ არ განცხადდება ადამიანთა წინაშე. აბდულ-კასიმის მამის (მე-11 იმამი) წინასწარმეტყველებით, „როცა ქვეყანა აივსება ტანჯვითა და ძალადობით და მის აღსასრულამდე მხოლოდ ერთი დღე დარჩება, მაშინ ალლაჰი გააგრძელებს იმ დღეს, სანამ არ გამოჩნდება ჩემი შემკვიდრე მაჰდი (მესია), რომელიც აავსებს მსოფლიოს სამართლიანობით".

შიიტთა მსოფლმხედველობაში მოძღვრება მე-12 გამქრალი იმამის შესახებ ერთ-ერთი ცენტრალური სწავლებაა, ზოგადად შიიტთა რწმენა კი 5 პოსტულატისგან შედგება – 1. ერთი ღმერთის რწმენა; 2. ღვთის სამართლიანობის რწმენა; 3. წინასწარმეტყველთა რწმენა; 4. იმამთა რწმენა; 5. აღდგომის რწმენა. იმამთა მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო შიიტთა შორის ხშირი იყო სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფების წარმოშობა, რომელთა უმრავლესობა ორთოდოქსი შიიტი იერარქიის მხრიდან ერეტიკულ მოძრაობად აღიქმებოდა. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე შიიტთა შორის გავრცელდა შაიხიტების სექტა, რომლის დამაარსებელი იყო ბაჰრეინის მკვიდრი შაიხ აჰმად ახსაი (1743-1828). შაიხიტების რელიგიურ ჯგუფში გაერთიანებული შიიტები მიიჩნევდნენ, რომ იმამთა სიკვდილის შემდეგ შესაძლებელი იყო მათი სულების დაბრუნება დედამიწაზე რჩეულ ადამიანთა სახით. უმთავრესი ნიშანი, რაც მათ ტრადიციული შიიზმის მიმდევრებისგან განასხვავებდა, იყო ის, რომ ისინი მაჰდის (მესიის) უმოკლეს დროში დაბრუნებას წინასწარმეტყველებდნენ, მისი მოსვლა და ხალხის წინაშე განცხადება კი უნდა მოემზადებინა მაჰდისა და ადამიანთა შორის შუამავალ ჰიროვნებას. იგი უნდა ყოფილიყო „სრულყოფილი შიიტი", მაჰდის ნების მაუწყებელი და აღმასრულებელი. როგორც ვხედავთ, იმდენად დიდი იყო შიიტურ მოსახლეობაში მე-12 გამქრალი იმამის მოლოდინი, რომ წარმოიშვა სწავლება მისი გზის მომამზადებლის შესახებ. მას ერქმეოდა ბაბი, რაც არაბულ ენაზე ნიშნავს „კარს" (ანუ იგი უნდა ყოფილიყო შუამაეალი, ე. ი. „კარიბჭე" მაჰდისა და ადამიანთა წინაშე). ამრიგად, შაიხიტები საზოგადოებრივ ცნობიერებას მესიის რჩეულის მოსვლისათვის ამზადებდნენ. შაიხ აჰმად ახსაის სიკვდილის შემდეგ (დაკრძალულია მედინაში) მისი მემკვიდრე გახდა ჰაჯი საიდ რეშთი (1793-1843). მისი მოღვაწეობის ხანაში შაიხიტების სწავლება მთელ ირანში გავრცელდა. იგი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მის მიმდევართა შორის მაღალი რანგის ბევრი საერო და სასულიერო პირი იყო. 1843 წელს იგი გარდაიცვალა ისე, რომ მემკვიდრე არ დაუსახელებია. მან სიკვდილის წინ გამოაცხადა რამდენიმე ნიშანი, რომლის მიხედვითაც მის მოწაფეებს უნდა ამოეცნოთ მაჰდისა და ადამიანთა შორის შუამავალი. მისი დანაბარების თანახმად, მოწაფეები უნდა წასულიყვნენ მის მოსაძებნად.

შირაზში ჩასულმა ერთ-ერთმა მოწაფემ იქ ნახა ის, ვინც თავი „ბაბად" გამოაცხადა, ირწმუნა მისი და ამის შესახებ სხვებსაც შეატყობინა. შაიხიტების დიდმა

ნაწილმა ბაბი თავის წინამძღვრად აღიარა, ნაწილმა კი იგი არ მიიღო. ე. ბრაუნის განმარტებით, „მან (მირზა ალი მუჰამედმა) გამოაცხადა, რომ როგორც ალი იყო კარი, რომლის მეშვეობით ადამიანები წინასწარმეტყველის ცოდნის ქალაქში შედიოდნენ, მის მსგავსად ისიც კარია, რომლითაც ადამიანები მეთორმეტე იმამის ცოდნას აღწევენ. ამ დოქტრინის თანახმად, მან ბაბის გამორჩეული ტიტული მიიღო, რომლის მიხედვითაც მის მიმდევრებს ბაბიდები ეწოდათ".

ბაბის 18 მოსწავლე მის სწავლებას ირანის პროვინციებში ავრცელებდა. ბაბიზმმა სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანთა ყურადღება დაიმსახურა. ხელისუფლებასთან დაპირისპირების გამო ბაბიზმის დევნა გარდაუვალი იყო. 1850 წლის 9 ივლისს თავრიზში ბაბი სიკვდილით დასაჯეს. ამის მიუხედავად, ბაბიზმის მიმდევრები აქტიურ მოღვაწეობას განაგრძობდნენ. ნეობაბიდთა ლიდერი და ახალი იდეოლოგიის ავტორი გახდა მირზა ჰუსეინ ალი ნური (1817-1892). იგი უფრო ცნობილი იყო სახელით – ბაჰაულა, რაც „ღვთის ბრწყინვალებას" ნიშნავს.

ბაჰაულა ბავშვობიდან გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭით. მას შემდეგ რაც მან ბაბიზმის იდეები მოდერნული სახით განავითა, დევნის ობიექტი გახდა (ბაჰაიზმი ირანში დღემდე იდევნება); ბაჰაულა ნიჭიერი ადამიანი იყო და ადვილად ახერხებდა ზეგავლენის მოპოვებას გარემოზე. ბაჰაულას მთავარი წიგნია „ქითაბ აკდა" („უწმინდესი წიგნი"). XX საუკუნეში ბაჰაიზმი ევროპის, აზიისა და ამერიკის მრავალ ქვეყანაში გავრცელდა და ასი ათასობით მიმდევარი გაიჩინა.

ბაჰაიზმის სწავლება და სტრუქტურა

„რელიგიის არსია, მოწმობდე, რაც აღმოაჩინა უფალმა და მიჰყვე იმას, რაც გვამცნო უზენაესმა თავის უძლიერეს მოძღვრებაში. ყოველივე დიდების წყარო ისაა, რომ მიიღო, რაც გვაჩუქა ღმერთმა და დაეთანხმო იმაში, რაც მან განსაზღვრა", – წერდა ბაჰაულა.

ბაჰაის მოძღვრების მიხედვით, სამყაროს შემოქმედი ღმერთია, რომელიც მარადიული ყოფიერებიდან მომდინარეობს. სამყაროში ყველაფერი მისი დიდების გამოვლენაა. კითხვაზე, შეიძლება თუ არა ღვთის შემეცნება, ბაჰაულა უარყოფითად პასუხობს, თუმცა, მეორე მხრივ, ქმნილებათა შემოქმედზე მინიშნება ამის დასტურად ესახება. ბაჰაიზმის მიხედვით, ღმერთი ერთადერთი ზებუნებრივი არსებაა სამყაროში. იგი ყველაფრის შემქმნელია, რაც უხილავ და ხილულ სამყაროში არსებობს. ღმერთი აბსოლუტური სიკეთეა, ამიტომ მას არც სატანა და არც დემონები არ შეუქმნია. ისინი არ არსებობენ, ანუ ბოროტება არ არის პერსონიფიცირებული. სიტყვა დემონი ბაჰაისტთა მიერ ადამიანის ქვენა გრძნობებისა და ზრახვების აღსანიშნავად გამოიყენება. თვით სიტყვა „ანგელოზსაც" სიმბოლური დატვირთვა აქვს; იგი სუფთა და სრულყოფილ სულებს აღნიშნავს, რომლებმაც უკვე დატოვეს ეს ქვეყანა და სხვა სამყაროში გადაინაცვლეს. ღმერთი ბუნებაზე აღმატებული არსებაა, რომელსაც სრულყოფილი თვისებები აქვს. მან არა მარტო შექმნა ეს სამყარო, არამედ განაგებს კიდეც. მას შესაძლოა ეწოდოს სხვადასხვა რელიგიის მიერ გამოყენებული სახელი (ვიშნუ, ალლაჰი...), მაგრამ არ შეიძლება მისი სახელის მოხსენიება წინასწარმეტყველის სახელით.

ადამიანებს, რომელთაც ღმერთისგან დაევალათ ჭეშმარიტების განცხადება, ბაჰაიზმში წარგზავნილები ეწოდებათ. ყველა ეპოქას შესაბამისი წინასწარმეტყველი ეძლევა, რომელიც პასუხობს აუცილებელ მოთხოვნებს. ბაჰაისტურ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრი არსებობს წარგზავნილთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც მოევლინენ ქვეყნიერებას: ესენი არიან – კრიშნა, აბრაამი, მოსე, ზარატუსტრა, ბუდა,

იესო ქრისტე, მუჰამედი, ბაბი და ბაჰაულა. ზოგიერთ ვარიანტში ამ ნუსხაში აბრაამის ნაცვლად ნოეს წერენ. წარგზავნილები სხვა ადამიანებისგან იმით განსხვავდებიან, რომ მათი სულები ღმერთმა სამყაროს შექმნამდე გააჩინა. ეს სულები ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელ უმაღლეს ზეციურ სფეროებში მკვიდრობენ. მათი საერთო მიზანი ადამიანთა გაერთიანება, მათთვის მაღალი მორალური პრინციპების სწავლება და კაცობრიობის პროგრესისთვის ხელის შეწყობა იყო.

ყოველი შემდგომი გამოვლენა ინახავდა ჭეშმარიტებას, რომელიც ადამიანებს მის მოსვლამდე ეუწყათ და ახალ იდეებს აუწყებდა მათ, რაც ეხმარებოდათ, უფრო ღრმად შეემეცნებინათ ჭეშმარიტება. აქედან გამომდინარე, ბაჰაისტები თვლიან, რომ ცალ-ცალკე არსებული ყველა რელიგია ერთი ღვთაებრივი რელიგიის ნაწილებს შეადგენს. ბაჰაულა დროის მიხედვით დედამიწაზე უკანასკნელ წარმოგზავნილად ითვლება.

ბაჰაიზმის სწავლების მიხედვით, წინასწარმეტყველთა ორი კატეგორიაა. ერთნი აფუძნებენ ახალ ციკლს, მოაქვთ ახალი კანონები. ისინი ჭეშმარიტების სარკეები არიან. მეორე კატეგორიის წინასწარმეტყველები ადამიანებს გადასცემენ იმას, რაც პირველი სახის წინასწარმეტყველთაგან მიიღეს.

ბაჰაულას სწავლების თანახმად, სამყაროს არ აქვს დასაწყისი დროში. სამყარო – ეს უწყვეტი ემანაციაა პირველმიზეზისაგან. სამყაროს შექმნა არ არის „რაღაცის შექმნა არაფრისაგან", იგი ელემენტების შეხამებაა, რომლებიც ადრე გაბნეულნი იყვნენ, ხოლო შემდეგ შეერთდნენ, ანუ ხილვად ფორმაში გამოჩნდნენ, როცა ადრე დაფარულნი იყვნენ.

ღვთის შემეცნების შესაძლებლობა მხოლოდ ადამიანს აქვს, რადგან მასშია სული – ღვთის გამოვლენა. სული მცენარეთა სამყაროში – ეს აღმოცენების ძალაა, ცხოველთა სამყაროში კი გრძნობათა ერთობლიობას წარმოადგენს. ადამიანში გონებით დაჯილდოებული სულია და გონება მხოლოდ ადამიანის სულის უნარია.

ადამიანის სული, ცხოველთა სულისაგან განსხვავებით, უკვდავია: „თუკი ვიფიქრებთ, რომ სხეულის გარდაცვალებას სულის სიკვდილი მოსდევს, ეს იგივე იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ გალიის დამტვრევა მასში მყოფი ჩიტის სიკვდილსაც გამოიწვევდა... ჩვენი სხეული გალიას ჰგავს, სული – ჩიტს".

ამგვარად, ბაჰაისტთა სწავლება სულის შესახებ სუთი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: სული ადამიანის არსის შემადგენელი ზებუნებრივი ნაწილია, იგი არ არის დამოკიდებული სხეულზე, სული ერთი მთლიანი წარმონაქმნია (და არა უმცირეს ნაწილაკთა ერთობლიობა, როგორც ბუდიზმშია), ყველა ადამიანის სული ღვთის მიერ არის შექმნილი, ადამიანის სული უკვდავია.

თუმცა ბაჰაის მიმდევრები არ უარყოფენ წმ. წერილში ქრისტეს მიერ მოხდენილ სასწაულებს, სკეპტიკურად უდგებიან მათ. ისინი ამბობენ, რომ მატერიალურ სასწაულებს ხალხისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მაგალითად, თუ ბრმას თვალები აეხილება, დროთა განმავლობაში იგი მაინც დაკარგავს მხედველობას და, ბოლოს და ბოლოს, მაინც დაბრმავდება, რადგან გარდაცვალებასთან ერთად ყველა გრძნობა და უნარი წაერთმევა. ამიტომაც, მათი აზრით, ბრმისათვის მხედველობის დაბრუნების არავითარი საჭიროება არ არსებობს, რადგან იგი მას მაინც დაკარგავს. თუ გარდაცვლილის სხეული აღდგება, ამის ბოლო შედეგი მაინც გარდაცვალება იქნება, სწორედ ამის გამო აღიარებენ სულიერ და ღვთაებრივ ცხოვრებაში დამკვიდრების აუცილებლობას, რადგან ეს ცხოვრება უსასრულოდ არ გრძელდება. ამიტომ მისი არსებობა არარსებობის ტოლფასია. ამ არგუმენტის გასამყარებლად მათ მოჰყავთ სახარების სიტყვები: „ხორცისგან შობილი ხორცია და სულისგან შობილი სული" (იოანე 3:6).

ბაჰაისტები უარყოფდენ ქრისტეს აღდგომას და მას ალეგორიულად განმარტავდნენ: ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მოციქულები შფოთმა და მღელვარებამ მოიცვა, ამიტომ ქრისტეს მოძღვრება სამი დღის განმავლობაში უხილავი გახდა, შეიძლება

ითქვას, დაიკარგა. ამ დროს ქრისტეს სხეული (ანუ მოძღვრება) იყო როგორც სხეული სულის გარეშე. მესამე დღეს, როცა მოციქულებმა მოიკრიბეს ძალები და გადაწყვიტეს ღვთაებრივი მოძღვრების გავრცელება, ამის შედეგად ქრისტეს არსი კვლავ გაბრწყინდა და მისმა რელიგიამ სიცოცხლე შეიძინა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქრისტეს საქმე იყო როგორც სხეული სულის გარეშე, ხოლო შემდეგ სულმა კვლავ მოიცვა იგი, რასაც, ბაჰაისტების აზრით, ქრისტეს აღდგომა ჰქვია. ამავე სახით ხდება სხვა სასწაულთა ახსნა-განმარტებაც.

ბაჰაულა ამბობს, რომ ამქვეყნიური ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი არსებობის ემბრიონული სტადია და რომ ადამიანის სულის გათავისუფლება სხეულისაგან ახლად დაბადების მსგავსია, რომლის დროსაც ის გადადის უფრო სრულყოფილ და თავისუფალ ცხოვრებაში.

ბაჰაისტები აღიარებენ სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობას, მაგრამ ისინი მას სხვაგვარად განმარტავენ. ბაჰაულა და აბდ ალ-ბაჰა ამბობდნენ, რომ სამოთხისა და ჯოჯოხეთის აღწერას, რომელიც ბიბლიაშია მოყვანილი, სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და არა პირდაპირი. მათი მოძღვრების თანახმად, სამოთხე — ეს სრულყოფილების მდგომარეობაა, ხოლო ჯოჯოხეთი — არასრულყოფილების. სამოთხე არის თანხმობა ღვთის ნებასთან, ჯოჯოხეთი კი — თანხმობის არყოფნა. სამოთხე სულიერი ცხოვრების მდგომარეობაა, ჯოჯოხეთი — სულიერი სიკვდილისა. სული ნეტარებას განიცდის ღმერთთან ყოფნისას, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში — ტანჯვას.

ბაჰაისტები მიიჩნევენ, რომ თუკი მართალთა ყოფნა სამოთხეში მარადიულია, ჯოჯოხეთში ცოდვილთა მდგომარეობა მხოლოდ დროებითია. მათი აზრით, ჯოჯოხეთში ცოდვილის სულის ხელახალი აღზრდის პროცესი მიმდინარეობს და მას შემდეგ, რაც ზნეობრივად აღორძინდება იგი, მიუახლოვდება ღმერთს და, მართალთა მსგავსად, სამოთხეში აღმოჩნდება. მაგრამ, მათი სწავლების მიხედვით, რაც უფრო ბევრ ცოდვას ჩაიდენს ადამიანი ამ ცხოვრებაში, მით უფრო დიდხანს გრძელდება იმ ქვეყნად მისი სულის გამოსწორების პროცესი.

საზოგადოდ, ბაჰაისტები მიიჩნევენ, რომ ბაჰაულამ საფუძველი დაუდო მომავლისთვის განსაზღვრულ ხალხთა გამაერთიანებელ იდეოლოგიას, რომელსაც თან სულიერი საწყისების უწყვეტი ხაზი უნდა შეენარჩუნებინა. ბაჰაიზმის ძირითადი პრინციპები გადმოცემულია შემდეგნაირად: 1. კაცობრიობის ერთობა; 2. დაცვა და ხელმძღვანელობა სულიწმიდის მიერ; 3. რელიგიათა საერთო საფუძველი; 4. რელიგია უნდა იყოს ერთობის საფუძველი; 5. რელიგია თანხმობაში უნდა იყოს მეცნიერებასა და გონებასთან; 6. ჭეშმარიტების დამოუკიდებელი ძიება; 7. ცრურწმენებისგან გათავისუფლება; 8. გენდერული თანასწორობა; 9. საყოველთაო მშვიდობა; 10. საყოველთაო განათლება; 11. საერთაშორისო ენა; 12. ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტა; 13. საერთაშორისო სამართალი.

თანამედროვე სამყაროში ბაჰაისტი შეიძლება გახდეს ადამიანი, რომელსაც 15 წელი შეუსრულდა, აღიარებს ბაჰაის რწმენის დებულებებს და მონაწილეობს მისი ადგილობრივი თემის საქმიანობაში. ამის თაობაზე სურვილით მან ადგილობრივ სასულიერო საბჭოს უნდა მიმართოს, რომელიც ბაჰაის რელიგიის ორგანიზაციულ სტრუქტურაში პირველ საფეხურს წარმოადგენს. ადგილობრივი სასულიერო საბჭოები 9 წევრს აერთიანებს. ბაჰაიზმში მეორე საფეხურზე ნაციონალური საბჭო დგას. უმაღლეს ორგანოდ ითვლება „სამართლიანობის მსოფლიო სახლი". მისი ცენტრი ისრაელის ქალაქ ხაიფაშია, სადაც გამართულ კრებაზე დელეგატებს 5 წლის ვადით ირჩევენ.

ბაჰაიზმის იდეოლოგიაში ძირითადად სოციალური თემატიკა დომინირებს. მათი მთავარი მიზანი გლობალიზაციის ქადაგებაა: ბაჰაის მიმდევრები თვლიან, რომ კაცობრიობამ თავისი განვითარების პროცესში იმ სტადიას მიაღწია, როდესაც მისი გაერთიანება არა მხოლოდ შესაძლებელია და სასურველი, არამედ აუცილებელი

და გარდაუვალიც. კაცობრიობამ გაიარა ბავშვობისა და სიყრმის სტადია და შევიდა სიმწიფის ფაზაში. ეს ითვალისწინებს როგორც საზოგადოების ძირეულ და ხარისხობრივ ცვლილებას, ისე მისი წევრების ცვლილებებსაც. სხვა დანარჩენი იდეები ამ გლობალურ პრინციპს ექვემდებარება და მისი რეალიზაციის საშუალებებს წარმოადგენს. მართლაც, ბაჰაისტები აქტიურად მოღვაწეობენ განათლების, ეკოლოგიისა და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში.

თავისი მოღვაწეობისას ბაჰაულამ საერთოდ გააუქმა ღვთისმსახურების ინსტიტუტი და აკრძალა წმინდა ნიშნების შექმნა, ვინაიდან გმობდა ასკეტიზმსა და მონაზვნობას, რელიგიურ სასჯელს, კათედრიდან ქადაგებასა და ხელზე ამბორს ზუსტად ისევე, როგორც აზარტულ თამაშებს, ნარკოტიკებსა თუ ალკოჰოლურ სასმელს. იგი მონოგამიასა და ოჯახის მთლიანობას ქადაგებდა. ბაჰაულას მოძღვრების მიხედვით, მომწიფდა ის დრო, როდესაც კაცობრიობის განვითარებაში ახალი, შეგნებული ერთობის ხანა უნდა დადგეს. ამის მისაღწევად იგი საჭიროდ თვლიდა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, პოლიტიკური და ეკონომიკური შეზღუდულობების გადალახვასა და გაუქმებას, ასევე – საერთაშორისო დამხმარე ენის დამკვიდრებას, გენდერულ თანასწორობას, განათლების საყოველთაო სისტემის შემოღებას, ჭეშმარიტების დამოუკიდებელ ძიებას, ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების საერთაშორისო კოდექსის შემუშავებასა და მსოფლიო ერების კონფედერაციული მთავრობის შექმნას.

ინდური რელიგიები

შესავალი

ინდური რელიგიების ქვეშ უპირველესად მოიაზრება ინდუიზმი მთელი რიგი განშტოებებით და ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია – ბუდიზმი, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული. უძველესი და მრავალფეროვანია ინდური ცივილიზაცია. მის ჩამოყალიბებაში სხვადასხვა ეთნოსი იღებდა მონაწილეობას. აქ განვითარდა მდიდარი ტრადიციების მქონე კულტურა, რამაც განაპირობა ინდურ აზროვნებაში მძლავრი რელიგიური ნაკადის არსებობა.

ინდუიზმი ზოგადი სახელია ძირითადი ინდური რელიგიისა, რომლის ფესვებიც უძველეს ინდოევროპელთა რელიგიურ წარმოდგენებში უნდა ვეძიოთ. მან განვითარების ეტაპები გაიარა. ინდუიზმის ისტორიაში გამოხატულია მისი ტრანსფორმაციის რთული გზა. უძველეს პერიოდში უნდა გამოიყოს ინდუიზმის ვედური პერიოდი, როცა იწყება მითოლოგიური და რელიგიურ-საკულტო დანიშნულების ტექსტების სისტემატიზაცია. ესაა ხანა, როცა ოპტიმისტური სულისკვეთებით აღსავსე ინდოელები ადიდებდნენ საკუთარ ღმერთებს და ნაკლებად ფიქრობდნენ ღრმა თეოლოგიურ საკითხებზე. ამის შემდეგ იწყება ბრაჰმანიზმის ეპოქა, როდესაც უპიროვნო და თვისებებსმოკლებულ ღმერთ ბრაჰმაზე სწავლება ცენტრალურ ადგილს იჭერს ინდოელებში. ბრაჰმანიზმის ხანაში მუშავდება მეტაფიზიკური საკითხები, რაც განვითარებული რელიგიის სწავლებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ბრაჰმანიზმის წიაღში წარმოშობილმა უპანიშადებმა ნიადაგი მოამზადა ინდოეთში ორთოდოქსული ფილოსოფიური სკოლების აღმოცენებისათვის, რომელთა მოძღვრებებიც რელიგიური საბურველისგან ვერ გათავისუფლდა და არც ყოფილა ამის მცდელობა. ბრაჰმანიზმი გადაიზარდა ინდუიზმში. ინდოეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მისი მიმდეგარია. ინდუიზმი, როგორც ვახსენეთ, არაა ერთფეროვანი; იგი სხვადასხვა განშტოებისგან შედგება.

დასავლეთის სამყაროს მიერ ინდური რელიგიების ისტორიის კვლევა იწყება იმ დროიდან, როდესაც ინდოეთის სუბკონტინენტზე გაჩნდნენ პორტუგალიელი და ინგლისელი კოლონიზატორები და მისიონერები. XIX საუკუნიდან ევროპის მთელ რიგ უნივერსიტეტებში აქტიურად დაიწყო ინდური ენების, ლიტერატურისა და რელიგიების შესწავლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინგლისელი ინდოლოგის, მაქს მიულერის (1823-1900), გამოკვლევები, რომლებშიც მან არაერთი საკითხი გააშუქა. საკუთრივ ინდოეთში ჩატარებული სამუშაოდან გამოირჩევა ს. რადჰაკრიშნანის, ჯ. ნერუსა და სხვათა სამეცნიერო თუ პოპულარული ნაშრომები.

ინდუიზმი დღეს გავრცელებულია ინდოეთში, შრი-ლანკაზე, ბჰუტანში, ბანგლადეშში, პაკისტანში, ნეპალში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, სინგაპურში, კ. ბალიზე (ინდონეზია), კ. მავრიკზე, ფიჯის, გაიანის (ყოფილი ბრიტან. გვიანა) კ-ებზე, დიდი ბრიტანეთის ინდურ დიასპორაში და ა. შ. ხშირად ინდუიზმს აკუთვნებენ აგრეთვე ჯაინიზმსა და სიქიზმს, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში მათ, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელ რელიგიებად მიიჩნევენ.

ინდოეთის სახელმწიფო უძველეს პერიოდში მოიცავდა თანამედროვე ინდოეთისა და პაკისტანის ტერიტორიებს; თვით ინდოელები ოდითგანვე თავიანთ ქვეყანას „ბჰარატს", ხოლო საკუთარ თავს „ბჰარატიას" უწოდებენ, ფორმა „ind̲ia"-ს კი უცხოთათვის იყენებენ. როდესაც თავიანთ ეროვნულ წარმომავლობას ხაზს უსვამენ, მაშინ ინდოეთის კონკრეტულ რეგიონსა და, შესაბამისად, ენას მიუთითებენ, მაგალითად, „მე ბენგალიელი ვარ", ე. ი. ბენგალიის მკვიდრი, „მე ტამილელი ვარ" და ა. შ. ეს ადასტურებს, რომ ინდოეთი უნიტარული ტიპის ქვეყანაა. ძველ ქართულ წყაროებში ტოპონიმი „ინდოეთი" გათანაბრებული იყო ეთიოპიასთან. სიტყვა „ჰინდო" იქცა მავრის, შავკანიანის სინონიმად (ბიბლიის ძველი ქართული თარგმანები, „ამირანდარეჯანიანი", „ვეფხისტყაოსანი", ნათარგმნი ჰაგიოგრაფია).

ინდოეთი ძველად მრავალ სახელმწიფოებრივ ერთეულს აერთიანებდა – „ჰარაპას", „ჰედეროზიას", „ჩეგივასტას", „რაჯპუტანას", „მაგადჰას", „ჩოლას", „კალინგას" ისევე, როგორც დღეს ინდური ეთნოსის მატარებელი ქვეყნები, ინდოეთის გარდა, არის – პაკისტანი, ბანგლადეში, შრი-ლანკა, ნეპალი. ინდოეთში რასობრივად ორი ხალხის არსებობა შეიმჩნევა. დიდი ნაწილი მოსახლეობისა ინდოევროპული ენების ოჯახის ინდური ენების ქვეჯგუფზე მოლაპარაკე არიელების შთამომავალნი არიან, რომლებიც აქ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მოვიდნენ და შავკანიანი ინდოელები, რომლებიც გენეტიკურად დამსგდური დრავიდული ტომების მემკვიდრეებს წარმოადგენენ.

ინდოეთის ტერიტორიაზე არიელების მოსვლა უკავშირდება იმ პერიოდს, როდესაც უძველესი ინდოევროპელები განსახლებას იწყებენ როგორც დასავლეთით, ასევე – აღმოსავლეთით. ამავე დროს მიეკუთვნება ინდოევროპული ფუძეენის დაშლა დიალექტებად, რომლებმაც სხვადასხვა ინდოევროპულ ენას დაუდეს სათავე. ტერმინი „არიელები" იხმარება აღმოსავლეთის მიმართულებით განსახლებული ინდოევროპელების მიმართ (იგულისხმებიან ირანელები და ინდოელები). მათი ნაწილი დამკვიდრდა ირანის ტერიტორიაზე, ნაწილმა კი უფრო აღმოსავლეთით გააგრძელა სვლა და საბოლოოდ ინდოეთში, მდინარეების – ჰინდისა და განგის – დაბლობებამდე მიაღწია. აქვე გავიმეორებთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ ხალხთა დიდი ტალღის მოძრაობაზე ხსოვნა, რაც ესოდენ კარგად აისახა ინდოელებთან, ირანელების მეხსიერებაში არ შემონახულა (ამის შესახებ იხილეთ ამავე წიგნის თავი – ირანული რელიგიები). ინდოეთში მოსულ არიელებს აქ დახვდათ საკმაოდ მაღალგანვითარებული დრავიდული ტომების მიერ შექმნილი ე. წ. ჰარაპა მოჰენჯო დაროს ცივილიზაცია. დრავიდების წარმომავლობა და მათი პირველი ზუსტი ადგილსამყოფელი მეცნიერებაში უცნობია, ანუ არც ისინი წარმოადგენენ ამ ადგილების ავტოხთონურ მოსახლეობას, თუმცა უმრავლესობას მიაჩნია, რომ დრავიდები ხმელთაშუა ზღვისპირეთიდან მოვიდნენ ინდოეთში. საკუთრივ ინდოეთში არიელების მოსვლის მერე შევიწროვებული დრავიდთა მიგრაციები ჯერ ინდოეთის ჩრდილოეთით დაიწყო, ხოლო შემდეგ სამხრეთის მიმართულებით განვითარდა, რომელთა უდიდესი ნაწილი დღემდე იქ არის დამკვიდრებული და მხოლოდ მცირე ნაწილი გაიფანტა კუნძულ ცეილონზე (აწინდელი შრი-ლანკა). დრავიდთა ჩამომავალი ინდოელები ლაპარაკობენ დრავიდული ენების ოჯახში შემავალ ენებზე, რომლებიც საკმაოდ განსხვავდებიან ინდოევროპული ენებისგან (დრავიდულ ენებს განეკუთვნება ტამილური, ტელუგუ, კანადა ენები). უძველესი კულტურები, რომლებიც უშუალოდ დრავიდულია, აღმოჩენილია ჰარაპასა და მოჰენჯო-დაროში, რომელთა არქეოლოგიური შესწავლა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო. ვიდრე დრავიდული ეთნოსის რელიგიურ თავისებურებებს შევეხებით, უნდა ვახსენოთ გერმანელი ენათმეცნიერი ჰანც ფეინრიხი, რომელმაც წერილში – „იბერიულ-კავკასიური ენები და დრავიდული ენები"

(*თსუ, მიმომხილველი,* 1973) – პირველმა ივარაუდა ქართული სამყაროს კონტაქტები დრავიდულთან. ჰ. ფეინრიხი ორი გამოჩენილი დრავიდოლოგის – ჰ. გელდერნის და ფ. ჰემანდორფის – ნაშრომების განზოგადების შედეგად ვარაუდობს, რომ დრავიდები თავდაპირველად წინა აზიის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ჰ. ფეინრიხის აზრით, „დრავიდული და იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახების შედარება არ უნდა იყოს საფუძველმოკლებული". ავტორი კონკრეტული მასალის განხილვის ფონზე ასკვნის, რომ „მსგავსება იბერიულ-კავკასიურ და დრავიდულ ენებს შორის სისტემური ხასიათისაა".

არიელებს ინდოეთში მოსვლისას დახვდათ მაღალგანვითარებული დრავიდული კულტურა (ჰარაპა, მოჰენჯო დარო). დრავიდული კულტურა ისეთივე ძველია, როგორც ეგვიპტელებისა და შუმერებისა. მდინარე ჰინდის ხეობაში აღმოჩენილია პიქტოგრაფიული დამწერლობის უძველესი ნიმუშები, რომლებიც დღემდე არაა წაკითხული და მსგავსებას პოულობს მესოპოტამიაში აღმოჩენილი დამწერლობის უძველეს ნიმუშებთან. დრავიდებთან აღმოჩენილია მამაკაცის გამოსახულებიანი ბეჭედი, რომელშიც სწავლულთა ნაწილი შივას ნიშან-თვისებებს ხედავს, რაც ამ ღვთაების დრავიდულ ძირებზე უნდა მიანიშნებდეს. საერთოდ, დრავიდების ბევრი ღვთაება და, განსაკუთრებით, რელიგიური პრაქტიკის ნაწილი უნდა გადასულიყო არიელების პანთეონსა და საკულტო ცხოვრებაში, თუმცა, დრავიდული და მოსული არიელების რელიგიური შეხედულებები სხვადასხვა სიბრტყეშია განსახილველი. დრავიდების საქალაქო კულტურა მკვეთრად განსხვავდება ვედებში აღწერილი სამეურნეო კულტურისგან. არიელები იყენებდნენ ცხენს, დრავიდები არ იცნობდნენ მას, არიელები თაყვანს სცემდნენ ძროხას, დრავიდები – ხარს, დრავიდები ეთაყვანებოდნენ დედაქალღმერთს, იყენებდნენ კერპებს, ხოლო არიელთა პანთეონი ძირითადად მამრი ღვთაებებისგან იყო დაკომპლექტებული. როგორც ზემოთ ვახსენეთ, არც დრავიდები არ არიან ინდოეთის თავდაპირველი მკვიდრნი. არიელების მოსვლამდე ისინი გაცილებით ადრე მოვიდნენ აქ და შეავიწროვეს დამხვდური პროტოავსტრალოიდები, რომელნიც, მატიანის თანახმად, დახელოვნებულები იყვნენ მაგიასა და გველთა თაყვანისცემაში, მოსული დრავიდები კი, არიელთა მოწმობით, იყვნენ ქალაქთა მაშენებელნი, ზღვაოსანნი და ლითონის მომპოვებელი ხალხები, თაყვანისმცემელნი დედაღვთაებებისა და დემონთა, რომელთაც ცხოველებთან ერთად ადამიანებსაც წირავდნენ მსხვერპლად. დრავიდთა შემდგომ აქ არიელები მოდიან. მათი თანაცხოვრება მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, მაგრამ დრავიდები მაინც შევიწროვდნენ და, საბოლოოდ, არიული ფენომენის დომინირება აშკარავდება. არიულ რელიგიაზე დრავიდულს გავლენა უნდა ჰქონოდა. ინდოელ მეცნიერ ს. ჩატერჯის მიაჩნია, რომ ინდურ რელიგიაში მნიშვნელოვანი ნაწილი არაარიული წარმომავლობისაა. იგი აღნიშნავს, რომ კარმის იდეა, სულთა რეინკარნაციის თეორია (მეტემფსიქოზი), იოგების პრაქტიკა და ზოგი სხვა რამ დრავიდული სამყაროდან უნდა იყოს შემოსული არიელებში. ამ ყველაფრის ათვისება ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო.

ვედები

წინა ქვეთავში საუბარი იყო ინდოეთის მიმართულებით არიელების მიგრაციაზე, არიელები კარგად ვიცით, ირანელებისა და ინდოელების (აღმოსავლეთით წასული ინდოევროპელები) საერთო სახელწოდებაა (სანსკრიტზე „არია" კეთილშობილს ნიშნავს). ირანელებისა და ინდოელების საერთო ჯგუფის გაყოფა ივარაუდება II ათასწლეულის შუა წლებისთვის. I ათასწლეულისთვის ინდოელები ჩნდებიან მდინარე ჰინდის აუზში, ხოლო ირანელები ირანის ზეგანზე. აქემენიდები თავიანთ

წარწერებში ხაზს უსვამენ არიულ წარმოშობას, საკუთარ თავს უწოდებენ არიელს, ანუ კეთილშობილს. თვით სახელწოდება ირანი ამ ტერმინიდან მომდინარეობს. იგი შეკვეცილი ფორმაა სრული ეპითეტისა, რომელიც მიანიჭეს თავიანთ ახალ სამშობლოს მოსულმა ირანელებმა („არიანა" – კეთილშობილი ქვეყანა).

ინდოეთში მოსულმა არიელებმა თან მოიტანეს საკუთარი რელიგიური ტრადიციები, ჰიმნები, საგალობლები, მითები. მოგვიანებით მათ დაიწყეს ამ ყველაფრის სისტემატიზაცია. ასე შეიქმნა ვედები (სანსკრიტზე „ვედა" – ცოდნა) – უძველესი ინდური რელიგიური ხასიათის წიგნები. ვედებში გაერთიანებულია 4 მთავარი წიგნი: რიგვედა, სამავედა, იაჯურვედა, ატჰარვავედა. ვედებმა განვითარების 4 ეტაპი განვლო: უძველესი ნაწილია სამჰიტები. მას მოსდევს ბრაჰმანები, არანიაკები და ბოლოს უპანიშადები. ვედები არამხოლოდ ინდური რელიგიის ყველაზე მნიშვნელოვანი და არქაული წყაროა, იგი წარმოადგენს უპირველეს მასალას უძველესი ინდოევროპული რელიგიის გასაცნობად. ვედების შექმნა სახალხო მგოსანთ – რიშიებს – მიეწერებათ.

რიგვედა უპირველესია ვედებს შორის როგორც თავისი მნიშვნელობით, აგრეთვე – სიძველით. XIX საუკუნის დიდი ინგლისელი ინდოლოგის, მაქს მიულერის (1823-1900), ვარაუდით, რიგვედას პირველი ჰიმნები ძველი წელთაღრიცხვის 1500 წელს განეკუთვნება. ზოგი თანამედროვე მკვლევარი რამდენიმე ჰიმნის გაცილებით ადრეულ ხანაში შექმნას ვარაუდობს. რიგვედაში 1028 ჰიმნია. იგი იყოფა 10 მანდალად, ანუ ციკლად. დიდი ხნის განმავლობაში რიგვედას ჰიმნები დაცული იყო ქურუმთა წრეში მომღერალ მგოსანთა (რიშიების) შორის და ზეპირად გადაეცემოდა თაობებს, რიგვედას წერილობითი ტრადიცია არ გააჩნდა. საუკუნეების განმავლობაში ეს უზარმაზარი კრებული ვრცელდებოდა ზეპირად, ტექსტები დაისწავლებოდა აბსოლუტური სიზუსტით, წარმოთქმისა და რიტმის ყველა ნიუანსის დაცვით, სწორედ ამის წყალობით არსებობს მხოლოდ ერთი ტექსტი, რომელიც არ იკითხება სხვადასხვაგვარად. პირველი ცნობა რიგვედას ჩაწერის შესახებ კაშმირში ეკუთვნის მე-11 საუკუნის ავტორს – აბუ ალ-რეიჰან მუჰამად ბირუნის. მაგრამ ჩაწერის შემდგომაც რიგვედა ზეპირად გადაიცემოდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ინდუიზმში ზეპირ სიტყვას უპირატესობა ენიჭებოდა ხელნაწერთან. ეს ტრადიცია დღესაც ცოცხალია.

რიგვედა სხვადასხვა რელიგიური ხასიათის ცნობის შემცველი უნიკალური წყაროა. რიგვედას გარეშე წარმოუდგენელია არა მარტო ინდური და ინდოევროპული კულტურისა და რელიგიის, არამედ წინა და მცირე აზიის ცივილიზაციათა ისტორიაც. რიგვედა, როგორც ითქვა, ინდოევროპულ ენებზე არსებული ძეგლებიდან უძველესია. იგი შეიქმნა ე. წ. ვედურ სანსკრიტზე (სანსკრიტი ენის ადრეული ეტაპი). სწორედ სანსკრიტი ენის შესწავლასთანაა დაკავშირებული ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის ჩამოყალიბება, ხოლო ვედური მითოლოგიის გაცნობამ საფუძველი დაუდო ხალხთა შედარებითი მითოლოგიის შესწავლას. რიგვედა შეიქმნა არიელების ინდოეთში მისვლის შემდეგ. მასში ხშირადაა საუბარი არიელთა მიერ ადგილობრივ ხალხთა დაპყრობის შესახებ, რომელთაც ისინი უწოდებენ დაბლებს, უცხვიროებს, უღმერთოებსა და უცნაურ ენაზე მოლაპარაკეთ. არიელები იბრძოდნენ ცხენებშებმული ეტლებით. მათ აითვისეს დრავიდების ცივილიზაციის ზოგი ასპექტი, რაც ვედებშიც აისახა. ეს უპირველესად გადმოცემა წარმოდგენაში, რომლის თანახმად ღმერთი ცოდნას ჩვენებათა საფუძველზე უცხადებს ნათელხილვით დაჯილდოებულ ღვთიურ ბრძენთ, ე. წ. რიშიებს. რიგვედაში მოხსენიებულნი არიან უძველესი ღმერთები, როგორც საერთონი ინდოირანული, ასევე ინდოევროპული სამყაროსთვის და საკუთრივ ინდურ ნიადაგზე შობილნი, უძველესი კოსმოგონიური და კოსმოლოგიური მითები.

სამავედა შეიცავს საგალობლებს, რომლებიც განკუთვნილი იყო მსხვერპლშეწირვის აღსრულების ჟამს. იაჯურვედა იყოფა 2 ნაწილად: თეთრი და შავი იაჯურვედა. თეთრი იაჯურვედა შეიცავს საკულტო ქადაგებებსა და შელოცვებს, ხოლო

შავი იაჯურვედა – მათს განმარტებებს. იაჯურვედაში ყოველ წვრილმანსაც კი უდიდესი სიმბოლური დანიშნულება აქვს. ატჰარვავედა მაგიური ტექსტების, შელოცვების, წყევლის ფორმულირებების კრებულია.

ღვთაების აღმნიშვნელი ტერმინი „დევა" ზმნურ ფორმაში ნიშნავს ბრწყინვას, ხოლო არსებითი სახელით – ცას. ეს გვიჩვენებს, რომ ღმერთები იყვნენ ნათელი, გასხივოსნებული არსებები. ღმერთების მნიშვნელოვანი ჯგუფი ადიტიებად იწოდებოდა მათი დედის, დიადი ქალღმერთის – ადიტის – სახელის მიხედვით. სხვადასხვა ტრადიციით მისი შვილების რიცხვი შვიდი ან თორმეტია. მის შვილებს შორის გამოირჩევიან ინდრა, ვიშნუ, მითრა, ვარუნა, ტვაშტარი და ინდური პანთეონის სხვა მნიშვნელოვანი ღმერთები. ზოგადად, ყველაზე აშკარა პარალელი, რაც ინდურ რელიგიურ პანთეონს აახლოებს სხვა ინდოევროპელი ხალხების წარმოდგენებთან, არის სწავლება ღმერთებისა და ნახევრადღმერთების ბრძოლაზე. ამ მითიურ ისტორიაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ ღმერთები, ხოლო ნახევრადღმერთები (ასურები) დამარცხდნენ. მსგავსი ისტორიის შემცველია ბერძნული მითოლოგია, სადაც ბრძოლა ღმერთებსა და გიგანტებს შორის პირველთა წარმატებული გამარჯვებით დასრულდა. როგორც ელინთა გადმოცემებშია შენახული ხსოვნა ამა თუ იმ ღმერთის წვლილზე გიგანტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე ინდური რელიგია მოგვითხრობს, თუ რომელმა ღვთაებამ რა როლი ითამაშა ასურების დასამარცხებლად.

ვედური რელიგიური პანთეონი

ინდრა – ინდრა იყო გმირი ღმერთი, ადიტის მეშვიდე შვილი. შობისას მან ლამის იმსხვერპლა დედა – ნაადრევად ხელში გამოვიდა დღის სინათლეზე. ინდრა გამოირჩეოდა ბრძოლით დემონურ ძალებთან. ყველაზე დიდი გმირობა, რაც მან ჩაიდინა, იყო გველეშაპ ვრიტრას მოკვლა და მდინარეთა დინების გათავისუფლება. ყველა მდინარის შესრუტვის შემდეგ ვრიტრა ქვეყნიერებას შთანთქმით ემუქრებოდა. ღმერთებმა საშველად სწორედ ვრიტრას მიაშურეს. ვრიტრა და ინდრა ბრძოლის ველზე მარტონი აღმოჩნდნენ. ერთიერთს ერიტრამ შთანთქა ინდრა და დაიძინა. მაშინ შივამ ვრიტრას მოქნარება მოჰგვარა და დაამოქნარა თუ არა, ინდრამ თავი დააღწია მის წიაღს, შივასგან ძალამომატებულმა ძლიერად დაჰკრა თავში ლახტი – ვაჯრა და გაუპო თავი. ამრიგად გათავისუფლდა მდინარეები. ინდრამ მისი სხეული ორად გაკვეთა, ერთი ნაწილი ცისკენ წავიდა და მთვარე (ჩანდრა) გახდა, ხოლო მეორე დემონური ნაწილისგან ცოცხალ არსებათა შიგანი შეიქმნა (კოსმოგონიური ასპექტი). ინდრას სახით ჩვენ წინაშეა ნატურალისტური ღვთაება – სტიქიურ ძალთა განსახიერება. ინდრას მსხვერპლად სწირავდნენ მცენარეთაგან დამზადებულ სასმელს, რასაც სომას ეძახდნენ. ინდური სიტყვა „სომა" იგივეა, რაც ირანული ჰაომა და ინდურად ნაწურს ნიშნავს. იგი ღმერთების სასმელად მოიაზრებოდა. თავად ინდრა ბავშვობაში მისით იკვებებოდა.

როგორც ვნახეთ, ინდრას ბრძოლა მითიურ არსება ვრიტრასთან გარკვეული კოსმოგონიური აზრის გადმოცემით ისაზღვრება. ინდრას თანდათან დაეკისრა არა მხოლოდ მთავარი ღმერთის ფუნქცია, არამედ სამყაროს წარმოშობის მითშიც მისი სახელი ფიგურირებს. ერთ-ერთი კოსმოგონიური გადმოცემის თანახმად, თავდაპირველად წყლისგან აღმოცენებულ სამყაროში არ არსებობდა დაპირისპირება. არ იყო არც ცა, არც მიწა, არც დღე, არც ღამე, არც სინათლე, არც წყვდიადი. ამ დროს იშვა ინდრა, რომელმაც დაიწყო დაპირისპირებულ საწყისთა შექმნა. ინდრას ქმედების შედეგად სამყარომ, რომელსაც თავდაპირველად მთის სახე ჰქონდა, ამოაფრქვია ორი საწყისი – წყალი და ცეცხლი.

რიგვედაში ინდრას ეძღვნება 250 ჰიმნი. ერთ-ერთ ჰიმნში შემდეგნაირადაა იგი განდიდებული მისივე საგმირო საქმეების მიხედვით:

„ინდრავ, როს მოჰკალ პირმშო ურჩხულთა,
შენ ყველა გრძნეულს აჯობე გრძნებით,
მზე საჩინო ჰყავ, ცა და ცისკარი
და არვინ იყო მეტოქე შენი".

ინდრას აღმატებული სახელი განეკუთვნება. ძველ ინდურ პანთეონში იგი ყველაზე ანთროპომორფულია. ვედებში აღწერილია მისი სახე, სამოსელი, ხმა, თვისებები (მრისხანება, სიმამაცე, გონებამახვილობა, სიბრძნე).

ბრიჰასპატი — ეს ღვთაება წარმოდგენილია, როგორც ღმერთთა ოქროსფერი, კაშკაშა ქურუმი, ლოცვათა მეუფე, რომელსაც ექვსი ბაგე და ექვსი სხივი აქვს. არიულ წარმოდგენებში ბრიჰასპატი დემონთა მძლეველი, კლდეების გამანადგურებელი, გზის გამყვანი, სიმდიდრის მიმნიჭებელია.

აგნი — აგნი (სანსკრიტზე — ცეცხლი) ბრიჰასპატის ძეა. აგნი შუამავალია ადამიანებსა და ღმერთებს შორის, რასაც ის მსხვერპლშეწირვისას ახორციელებს. მისი ადგილი სამყაროს ცენტრად იყო წარმოდგენილი: „სადაც აგნის ცეცხლი ანთია, იქ სამყაროს ჭიპია", — ნათქვამია უპანიშადებში. იგი იბადება ორი საგნის ხახუნის შედეგად, რაც ჩასახვის პროცესს განახორციელებს. მისი მშობლები ცა და მიწაა. ის ესწრება საქორწინო რიტუალს, როგორც მისი წარმმართველი და მფარველი. აგნი, მსხვერპლშეწირვის მთავარი და აუცილებელი მონაწილე, „ღმერთების ბაგედ" იწოდება. იგია ჭეშმარიტება, რომელიც ყოველი ქმნილების გულის სიღრმემდე აღწევს. არაფერია ქვეყანაზე ისეთი, რაც მისთვის საიდუმლო იყოს. ამიტომ ღმერთები მას ხშირად აგზავნიან დაკარგულის საძიებლად. ამ დროს აგნი მშვენიერი ქალწულის ან მტრედის სახეს იღებს. როდესაც ქალღმერთი კალი შექმნეს ღმერთებმა, აგნიმ მას თვალი მისცა. მის ეტლში ცეცხლოვანი ცხენებია შებმული. ქვემოთ მოყვანილია რიგვედადან აგნისადმი მიძღვნილი ჰიმნის ფრაგმენტი:

„შენ დღისა შუქთან იშვები, აგნი,
შენ შუქმფინარე, შვებით მბრწყინავი
შენ წყალთა შიგან, შენ ქვათა შიგან,
შენ ტყეთა შიგან იშვები, აგნი.
...შენა ხარ, აგნი, კეთილნაზარდი;
შენა ხარ ძალი უზეშთაესი.
ეგ სასურველი ელვა და ფერი
ყველა მშვენებას ერთბაშად აჩენს.
...ყველა უკვდავი შენშია, აგნი,
რომელთა ვერვინ ვერ ეცრუება,
პირითა შენით უღებენ გემოს
მათთვის სხურებულ სამსხვერპლო სასმელს..."

ასურებთან ბრძოლაში სახელოვან ღმერთთა რიგს განეკუთვნება ვიშნუ — ინდური რელიგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღვთაება, რომელსაც დღესაც მყარი პოზიცია უჭირავს ინდუიზმში. ვიშნუმ მიიღო მშვენიერი ქალის სახე, რაჟამს ასურებს გამოსტყუა ამრიტა — უკვდავების სასმისი; ვიშნუს მუდამ სთხოვენ ღმერთები დახმარებას: „ოი, დიდებულო, შენ ხარ ჩვენი თავშესაფარი, შენშია ჩვენი ხსნა". ვიშნუსთან დაკავშირებულია ე. წ. ავატარას ცნება. ავატარა არის ინდური ღვთაების (ძირითადად ვიშნუს) გარდამოსვლა დედამიწაზე, მისი მოვლინება ადამიანის ან სხვა მოკვდავი არსების სხეულში, მისი განხორციელება ადამიანების სახსნელად, სამართლიანობის აღსადგენად. ცნობილია ვიშნუს 10 ავატარა — თევზის, კუს, ტახის, ლომკაცის, ჯუჯას, მებრძოლი ქურუმის, რამას (ღვთაებრივი მეფე), კრიშნას,

ბუდას, კალკონის სახით მისი მოვლენა სხვადასხვა პერიოდში. მაგალითად, ტახად-ქცეულმა ვიშნუმ ეშვებით ამოიტანა დედამიწა, რომელიც ქვესკნელის წყლებში იძირებოდა. ვიშნუს ავატარა შესაძლოა რომელიმე ღვთაებაც ყოფილიყო. მარკანდეას მითში ვიშნუს ავატარებად გვევლინებიან რამა, კრიშნა, კალკონი და ა. შ. ვიშნუს მრავალი სახელი აქვს, რაც მის გამოვლინებებს ნიშნავს. მას 4 ხელი აქვს – ერთში დისკო (ჩაკრა) უპყრია, მეორეში – ნიჟარა, მესამეში – ლახტი, მეოთხეში – ლოტოსი ან მშვილდი. რიგვედაში ვიშნუ განსაკუთრებითაა ხოტბაშესხმული:

„მსურს განვადიდო ვიშნუს გმირობა,
რომელმან ქვეყნის სივრცე გაზომა
ზენა სამყოფნი ვინც განამტკიცა
ფართოდ მავალმა ნაბიჯით სამით
...მას ერთს უჭირავს სამივ სოფელი,
ზეცა და მიწა, ყოველი არსი".

ვიშნუს კულტიდან აღმოცენდა ინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი განშტოება – ვიშნუიზმი.

ასურებთან ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანა აგრეთვე შივამ – ინდური რელიგიური პანთეონის ერთ-ერთმა ცენტრალურმა პერსონაჟმა. მისი სახელი რიგვედაში არ ჩანს, მაგრამ მან სწრაფად დაიმკვიდრა ადგილი მოწინავე ღვთაებებს შორის (ბრაჰმას და ვიშნუს გვერდით). იგი დამანგრეველ საწყისს გამოხატავს (ბრაჰმა აშენებს, ვიშნუ ინახავს, შივა ანგრევს), მაგრამ ზოგ გადმოცემაში შივა სამყაროს მთლიანობის დამცველია. მან თავად ჩაყლაპა ოკეანეში წარმოშობილი შხამი და იხსნა ქვეყნიერება დაღუპვისაგან. შივას ცოლად ჰყავდა მთების მშვენიერი ასული უმა, რომელსაც ერთხელ ღვთაება კუბერამ მარცხენა თვალი თავხედურად დაადგა. კუბერა მწარედ დაისაჯა ამ საქციელისთვის: შეურაცხყოფილმა უმამ ამოუწვა მას მარცხენა თვალი თავისი ცეცხლოვანი რისხვით. ამის შემდეგ კუბერა რვაასი წლის განმავლობაში ცალთვალა იყო და მხურვალედ ინანიებდა თავის საქციელს. ბოლოს შივამ აპატია მას და მეგობრობაც შესთავაზა. შივას მესამე თვალი აქვს. ეს თვალი მას გაუჩნდა მაშინ, როდესაც ცოლი (არა უმა, არამედ პარვატი) მიეპარა უკნიდან და ხელებით თვალები დაუფარა. სასტიკია მისი მესამე თვალი: მან ფერფლად აქცია სიყვარულის ღმერთი კამა, რომელიც სიყვარულის ისარს უმიზნებდა მას, რათა მჭვრეტელურ ცხოვრებას მოეწყვიტა იგი. შივას ოთხი ხელი აქვს; იგი განთქმულია, როგორც მოცეკვავე ნათარაჯა – „როკვის მეფე" და ასეც გამოხატავენ მას. შივას როკვა კოსმიური ენერგიის განსახიერებაა. შივა ერთ-ერთ ცოლთან ერთად მისგან მოკლული ასურის – აპასმარას – გვამზე ცეკვავს. თავისი ცეკვით მან ათი ათასი განდეგილი დაიმორჩილა. ისინი ჯერ წინააღმდეგობას უწევდნენ მას, შექმნეს სასტიკი ვეფხვი და მიუსიეს, მაგრამ შივამ ვეფხვი დაამარცხა, გაატყავა და მისგან მოსასხამი გაიკეთა (ამრიგად, შივა ვეფხისტყაოსანიცაა); ბოლოს განდეგილებმა და მათს კვალზე ღმერთებმაც აღიარეს მისი ძალა და ავტორიტეტი. ერთ-ერთი ვერსიით, მდინარე განგი შივას თმებიდან გადმოდინდა დედამიწაზე და დამშრალი ოკეანე აავსო. შივას კულტიდან აღმოცენდა უმნიშვნელოვანესი განშტოება ინდუიზმისა – შივაიზმი.

ასურებთან ბრძოლაში, რაც უნდა საკვირველი იყოს, ინდრაზე, ვიშნუსა და შივაზე წარმატებული არის კალი (ინდ. „შავი"). ეს ქალღმერთი ღმერთების რისხვისგან იშვა. როცა ასურებმა ღმერთები დაამცირეს და განდევნეს, განდევნილი ღმერთების რისხვისგან წარმოშობილ ცეცხლოვან ღრუბელში, რომელმაც სამყარო გაანათა, ჩაისახა მრისხანე კალი, რომელსაც თითოეულმა ღმერთმა თავისი ძალა მისცა: შივამ – სამკაპი, აგნიმ – შუბი, ინდრამ – ვაჯრა (ლახტი), ვარუნამ – მარყუჟი, სურიამ – სხივები და ა. შ. ლომზე ამხედრებული ქალღმერთი გაემართა ასურებთან საბრძოლველად. კალიმ, ათასხელიანმა, მუსრი გაავლო ასურებს, მოკლა

მათი წინამძღოლი მასიშა და აღუდგინა ღმერთებს სამყაროზე მეუფება. კალის ინდუიზმში უპირისპირდებოდა პარვატი – სათნოებისა და ბრწყინვალების ღვთაება.

სურია – იგი არის მზის ღმერთი (ინდ. „მზე"); რიგვედაში სურია ყველაზე კონკრეტულად განასახიერებს მზეს. მას რიგვედაში 10 ჰიმნი ეძღვნება, მაგრამ ყველგან არ ჩანს ნათლად, საქმე მზეს ეხება თუ მის პერსონიფიკაციას – ღვთაება სურიას, რომელიც ნაკლებად ანთროპომორფულია. სურია, როგორც მზე, მითრა-ვარუნას თვალად გაიგებოდა. თავის ნათელს იგი ყველას თანაბრად უნაწილებს. სურიას ხსივებს წარმოსახავენ შვიდი ტაიჭის სახით, რომელთაც მისი ეტლი მიჰყავთ. სურია აკავებს ზეცას და იწოდება ბურჯად ზეცისა. ხშირად იგი წარმოდგენილია ფრინველის ან მფრინავი ზღარბის სახით. უსამართლოდ შევიწროვებული სურია, ერთ-ერთი მითის თანახმად, ქვეყნიერების გადაბუგვას განიზრახავს თავის სიმხურვალით და ასეც მოიქცეოდა, რომ მისთვის ბრაჰმასგან მიგზავნილ მეეტლეს თავისი სხეულით არ დაეფარა დედამიწა მზის დამღუპველი სხივებისგან. ქვემოთ მოყვანილია რიგვედას ერთ-ერთი ჰიმნი სურიასადმი:

„მოაბრძანებენ სხივები მზესა,
ყოველისა მცნობელს ღმერთსა სურიას,
რომელიც მოდის ჭვრეტად ყოველთა...
...შენ ყველას სწორად მოეფინები,
ნათელმყოფელო მზეო – სურია,
და თეთრად სივრცეს შენ ასხივოსნებ...
...შენ ის თვალი ხარ, რომლითაც წმინდა
ვარუნა განჭვრეტს საქმეებს კაცთა
ღმერთი, რომლისთვის ხარ სახედველი..."

საავიტარი – იგი იყო ღვთაება აგნის ზეციური ფორმა. მისი სახელი სიტყვასიტყვით სანსკრიტზე ნიშნავს დამბადებელს. ის მთლიანად ოქროსია, ბრწყინავს, ყველა ქმნილება ემორჩილება მის აღთქმას (ე.წ. ვრატას). საავიტარი ძალიან ახლოსაა მზის ღვთაება სურიასთან, რომელსაც ზოგჯერ ენაცვლება კიდეც. ზოგიერთ ჰიმნში ის წარმოდგენილია სურიას მამად. საავიტარი მზის ცხოველმყოფელ ძალას განასახიერებს. იგი აშკარად ადგილობრივ ინდურ ტრადიციაზე აღმოცენებული ღვთაებაა. რიგვედა შემდეგნაირად განადიდებს საავიტარს:

„ბურჯი ზეცისა და მეუფე ყოველი არსის,
შორითმხედველი, შუმოსილი ოქროს სამოსით,
ვინც ყოვლისმომცველ მზერით განფენს სივრცეს და ავსებს,
მადლის გამჩენი საავიტარი, ღირსია ქების..."

რიგვედაში თითქმის მუდამ ერთმანეთის გვერდით იხსენიებიან ღვთაებები მითრა (სანსკრიტ. ფორმით „მიტრა") და ვარუნა. ვარუნა იყო ოკეანის ღმერთი, ადიტის ძე. იგი მორალურ კანონთა ღვთაებად ითვლებოდა. მითრა ნიშნავს მეგობარს და ერთ-ერთი საინტერესო პერსონაჟია ვედური პანთეონიდან (მის შესახებ დაწვრილებით იხ. ამავე წიგნის თავი – მითრაიზმი). ვარუნა და მითრა ერთად განასახიერებენ მაგიურ-იურიდიულ ფუნქციას, მაგრამ მათ შორის შეიმჩნევა ერთგვარი დაპირისპირებაც:

ვარუნა	მითრა
∧	∧
ღამისეული	დღისეული
შორეული	ახლობელი
მთვარესთან დაკავშირებული	მზესთან დაკავშირებული
წყალთან დაკავშირებული	ცეცხლთან დაკავშირებული
ინდივიდუალური	კოლექტიური
მაგიური	იურიდიული

უშასი – განთიადის ღვთაება, ცისკრის ვარსკვლავად მოიაზრებოდა. რიგვედაში მას 20 ჰიმნი ეძღვნება და სხვა ჰიმნებშიც ხშირად იხსენიება. უშასი წარმოდგენილია ბრწყინვალე სამოსით შემოსილი მშვენიერი ქალწულის სახით. იგი მზის ამოსვლამდე გამოდის ალისფერცხენებშებმული მოელვარე ეტლით. უშასთან დაკავშირებულია ციურ მოვლენათა გარკვეული რეგულირება, იგი ცხოვრობს მყარ მთაზე, ზრუნავს გზებზე, მფარველობს მომღერლებს, ითვლება ძროხების გამჩენად. უშასი სურიას ასულადაც ითვლებოდა და მეუღლედაც. აგნისა და ინდრასთან მას აკავშირებს რთული დამოკიდებულება. იგი მათი მსგავსია, ამავე დროს, ინდრა მას უმტვრევს ეტლს, რაც ასტრონომიულ ასპექტში ცისკრის ვარსკვლავის გაქრობად და მზის გამოჩენად გაიგებოდა. უშასი წარმოადგენს რიგვედის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ სახეს. მისადმი მიძღვნილი ჰიმნების უმეტესობას ახასიათებს საკმაოდ მარტივი ენა, ეპითეტების სიუხვე. ვედური პერიოდის შემდეგ უშასი ქრება ინდუისტური პანთეონიდან, თუმცა მისი კვალი იკონოგრაფიაში კიდევ დიდხანს დარჩა. ქვემოთ მოყვანილია ფრაგმენტი რიგვედიდან, სადაც განდიდებულია უშასი:

„რაწამს იელვე, მყის აფრინდნენ ჩიტები ბუდით
და კაცნიც მყისვე წარხდნენ ჭამად ჭამადის თვისის,
სახლეულთათვის შენ მდიდარი მოგაქვს საუნჯე:
უშასო, ღმერთო, უბოძებდე მლოცველთა შენთა!"

რიგვედაში გვხვდება საინტერესო წყვილი ღვთაების – აშვინების – სახელი. ეს ტყუპი ძმები განეკუთვნებიან ციურ ღმერთებს და დაკავშირებულნი არიან დილის რიჟრაჟსა და საღამოს ბინდთან. ისინი იღვიძებენ უშასის მიერ. აშვინები ცხენებშებმული ოქროს ეტლით (მათი სახელი სწორედ ცხენოსანს ნიშნავს) დაჰქრიან ეთერში და დღის განმავლობაში მთელ სამყაროს დაივლიან. სამწევრიანი დაყოფა მათი ეტლისა – სამკარიანი, სამბორბლიანი და სხვა ასახავს წარმოდგენას სამყაროს სამნაწილიანი სტრუქტურის შესახებ. აშვინები გვევლინებიან სწრაფ მხსნელებად. მათ გარკვეული დამოკიდებულება აქვთ თაფლთან: ისინი აძლევენ ფუტკარს თაფლს, თაფლია მათს კვერთხში. მათი ეპითეტი ნასტი ("განმკურნებელი") ორობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი. შესაძლებელია, აქ გვქონდეს ინდოევროპულ ტყუპთა კულტის გამოვლინება (შდრ. ბერძ. დიოსკუროს – "ზევსის შვილები". აშვინებიც ხომ დიაუსის, ცის, შვილებად ითვლებიან და დაკავშირებულნი არიან გათენებასა და დღე-ღამის ცვლასთან. პარალელები ლატვიურ ფოლკლორშიც მოიპოვება). ქვემოთ მოყვანილია ფრაგმენტი რიგვედას ჰიმნიდან აშვინებისადმი:

„აშვინნო, ოდეს შეაბამდეთ თქვენს ეტლსა ძლიერს,
ცრემლით და არსით აპურებდეთ მეფობას ჩვენსას,
მედგარ ბრძოლაში სულსა ჩვენსა განამტკიცებდეთ,
ჩვენმცა მიგვეღოს ასპარეზზე ბრძოლისას ნიჭი!

ვედურ ღვთაებებს ძველი ინდოელები მსხვერპლად სწირავდნენ სომას (ირანული ჰაომა). სომა გახლდათ ინდურ-ირანულ სამყაროში გავრცელებული მცენარე. ეს დაბალი, უფოთლო ბუჩქნარი წვნიანი ტეროებით უმეტესად გავრცელებული იყო მაღალმთიან რაიონებში, კერძოდ – ირანში, ავღანეთსა და ჰიმალაის მთებში. სომას წვენს წირავდნენ მსხვერპლად ღმერთებს. რიგვედას ჰიმნები, მიძღვნილი სომასადმი, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მისი მომზადების რიტუალზე. სომას ღეროებს ალბობდნენ წყალში, შემდეგ გაღვივებულ ღეროებს ჭყლეტდნენ, საწნეხი ქვებით წურავდნენ ცხვრის მატყლის საწურში, შეურევდნენ წყალს ან უმეტესად რძეს, მაწონს ან ქერის ნაყენს და ასხამდნენ ხის ჭურჭელში, სადაც ის უნდა დადუღებულიყო. მთელი ეს რიტუალი სრულდებოდა ჰიმნების თანხლებით.

დანარჩენი ღვთაებებიდან, რომლებიც ინდუიზმის პანთეონში მნიშვნელოვან ღვთაებებად არიან მიჩნეულნი, უნდა დავასახელოთ:

განეშა – შივასა და პარვატის შვილი. იგი ინდუიზმში პოპულარული ღვთაებაა

და წარმატებისა და სიბრძნის განსახიერებაა. მითი განეშაზე მოგვითხრობს, რომ ერთხელ განრისხებულმა შივამ მას თავი მოჰკვეთა. შემდეგ მეუღლის – პარვატის – მუდარას ყური უგდო, ტყეში პირველ შემხვედრ ცხოველს – სპილოს თავი მოკვეთა, განეშას მხრებზე დაუსვა და გააცოცხლა. „ბრძენი" ცხოველის თავით დაჯიდოებული განეშა დიდი მხედართმთავარი გახდა. დღესაც ინდუისტები რაიმე საქმის დაწყების წინ განეშას მსხვერპლად სწირავენ ბრინჯს, ქოქოსის კაკალს, ერბოს ან ტკბილეულს, რათა საყვარელმა ღვთაებამ თავისი სიბრძნე და წარმატება არ მოაკლოს მათ. განეშა სპილოსთავიანი ადამიანის სახით გამოიხატება ინდუისტურ ტაძრებში.

ლაკშმი – ინდუიზმში ბედნიერების ღვთაება, ვიშნუს მეუღლე და მისი განუყრელი თანამგზავრია. ლაკშმი ვიშნუს მუდამ თან ახლავს და მაშინაც არ შორდება, როცა ვიშნუ თავისი მიხიის აღსასრულებლად ქვეყანას ერთ-ერთ ავატარად ევლინება. მშვენიერი ქალღმერთი განისვენებს ლოტოსის ყვავილზე და აწეული ხელით ლოცავს თავის თაყვანისმცემლებს, ხოლო უბეში ჩადებული ოქროთი სავსე ქოთნიდან მას მონეტები უცვივა. მისი უხვად შემკული ტაძრები ყოველთვის სავსეა სიმდიდრისა და ბედნიერების ურიცხვი მაძიებლებით.

ბრაჰმანიზმი

ინდუიზმის განვითარების პირველი პერიოდი შესაძლოა განვსაზღვროთ, როგორც ვედური პერიოდი, ხოლო მომდევნო ფაზა უმაღლესი ღვთაების – ბრაჰმას – სახელის შესაბამისად, იწოდება ბრაჰმანიზმის ხანად. ვედური ღვთაებები, რომლებიც განასახიერებდნენ ბუნების მოვლენებს, თანდათან გადავიდნენ უკანა პლანზე და ადგილი დაუთმეს ყველგანმყოფ ერთიან ღმერთზე – სამყაროს ზეგრძნობად სულზე – რწმენას. ეს პირველსაწყისი ცნობილია ბრაჰმას სახელით. ბრაჰმას წარმოშობა მითიურად ოქროს კვერცხს უკავშირდება, რომელიც მან თავისი ფიქრის ძალით გამოტეხა. კვერცხის ორი ნაჭუჭისგან მან შექმნა ცა და მიწა (კოსმოგონიური ასპექტი). ამის შემდეგ იქმნება სამყაროს ხუთი ელემენტი – წყალი, მიწა, ცეცხლი, ჰაერი, ეთერი, შემდეგ ყველა ქმნილება, რაც კი სამყაროშია – საგანი, არსება თუ მოვლენა. მის სამყოფლად ითვლებოდა ყველაზე მაღალი სფერო, მეშვიდე ცა – ბრაჰმას ადგილი (ბრაჰმალოკა). ეს ის ადგილია, სადაც სიკვდილის შემდეგ მართალთა სულები ნეტარებდნენ.

როგორი იყო წარმოდგენები ბრაჰმასთან დაკავშირებით? აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ღვთაება, როგორც უმაღლესი სული, ყოველთვის წარმოადგენდა ინდური რელიგიის ღერძს, უბრალოდ, მოხდა მისი წინ წამოწევა, რაჟამს ინდოელის გონებამ გამოავლინა მონოთეიზმისკენ სწრაფვა. ბრაჰმა წარმოდგენილი იყო სამყაროს არსად, თავის თავში ყოველივეს გამაერთიანებლად. ადრეულ ინდუიზმში გაჩნდა ცნება – ბრაჰმანი, რაც გაიგებოდა უმაღლეს ყოფიერებად, აბსოლუტად, შემოქმედებით დასაბამად. ბრაჰმა, როგორც უზენაესი ღმერთი, შემოქმედი მიიჩნეოდა ბრაჰმანის გამოვლენად. ბრაჰმანი უფრო ფილოსოფიურ-ეთიკური მხარე იყო ინდური აზროვნებისა, ხოლო ბრაჰმა – რელიგიურ-პრაქტიკული, კლასიკურ ინდუიზმში კი ისინი მკვეთრად არ გაემიჯნენ ერთმანეთს და ხშირად ერთნაირადსს გაიგებოდნენ.

უპანიშადებში მოცემულია ბრაჰმას დახასიათების მხოლოდ უარყოფითი პრედიკატები. შეუძლებელია გამოითქვას, თუ რა არის იგი. ის თვისებებსმოკლებული ღმერთია. ბრაჰმა ყველა არსის გამაერთიანებელია. ამ კუთხით ბრაჰმანიზმი პანთეიზმის ნიშნებსაც ავლენს. ბრაჰმა წარმოადგენს სამყაროს დიად სულს, მაგრამ უკიდურესად ტრანსცენდენტურს. მისგან იღებენ დასაბამს თვით სხვა ღვთაებებიც.

აღსანიშნავია, რომ ბრაჰმას გვერდით, რომელიც თავისი განყენებულობის გამო მასებისთვის შორეული იყო, უფრო ანთროპომორფულები გახდნენ ვიშნუ და შივა. ეს ცნობილი ინდური სამეული – ტრიმურტი – აღიქმებოდა სამწევრიან ღმერთად: ბრაჰმა – შემქმნელი, ვიშნუ – შემნახველი და შივა – გამანადგურებელი ღვთაება.

სამყაროსა და ადამიანის წარმოშობა, ინდური რელიგიური წარმოდგენებით, ბრაჰმანიზმში განხორციელდა, როგორც ღმერთ ბრაჰმას გადმოღვრა სამყაროზე; ამას სხვაგვარად ღმერთის თვითგახსნაც შეიძლება ვუწოდოთ. როგორც გავარვარებული რკინიდან იფრქვევა ათასობით ნაპერწკალი, ასევე გამოდის ყველა არსება ბრაჰმასგან და ისევ მას უბრუნდება, როგორც ობობა ქსელს აბამს, ბრაჰმაც საკუთარი თავისგან სათავეს უდებს არსებებს, მსგავსად აბრეშუმის ჭიისა; მაგრამ რაში სჭირდება ბრაჰმას ეს ემანაცია? მის შესახებ წარმოიშვა თეორია მაიაზე, როგორც გრძნეულ ძალაზე, რომელიც ბრაჰმაზე გადმოიტანდა მაცდუნებელ სიზმარს სამყაროს სახით, სინამდვილეში კი სამყარო არ არსებობს. ის მხოლოდ გვეჩვენება არსებულად და ეს მოჩვენებითი ყოფიერება არის სწორედ მაია. აქედან მივდივართ ერთგვარ აკოსმიზმამდე. ასეთი წარმოდგენა სამყაროზე, როგორც ღვთაების არაჭეშმარიტ გამოვლინებაზე, აისახა მთელი თავისი თვისებებით ინდოელთა რელიგიურ ცხოვრებაში. აქედან არსებობს აზრი არსებულთა არარაობაზე, ეჭვი სიცოცხლისადმი და სწრაფვა მიწიერის განრიდებისკენ, რათა დაბრუნებოდნენ ჭეშმარიტ ღვთაებრივ ყოფიერებას. ეს პრაქტიკულად განსაკუთრებით აისახა იოგას სკოლაში, სადაც გრძნობადი საგნებისგან განრიდება და მჭვრეტელობითი ასკეტიზმი მთავარ პრინციპად მიიჩნეოდა. მაია იქცა მოჩვენებითი ყოფნის, გრძნეული სახეცვლილების აღმნიშვნელად. ვიშნუიზმში იგი ვიშნუსგან მომდინარე სამყაროს მოჩვენებითობაა. ამრიგად, სამყაროს არსებობა ბრაჰმას ცხოვრების ერთი დღე იყო, რის შემდეგაც იგი ნადგურდებოდა და მერე კვლავ იქმნებოდა ახალი სამყარო; ე. ი. სამყაროთა ურთიერთმონაცვლეობის იდეა ბრაჰმანიზმში ცენტრალური სწავლებაა.

ბრაჰმას არსი, მასთან დაკავშირებული ღვთაებები, ვიშნუს ავატარები, მითიური ღმერთების გაერთიანების თავისებური პროცესი და კაცობრიობის ისტორიის პერიოდებად დაყოფის იდეა ეარგადაგადმოცემული მითში – „მარკანდეიას ხილვანი". მარკანდეია, მითის თანახმად, ბახლდათ ბრძენი, რომელმაც მოიხილა მრავალი წმინდა ადგილი და ათასი წელი მოგზაურობდა დედამიწაზე; თავადაც განდეგილი დროს მჭვრეტელობაში ატარებდა, თუმცა ავდა სორცს სულის ასაღორძინებლად. ამ ყველაფრის სანაცვლოდ მან სამყაროს შექმნის საიდუმლოს გაგება ისურვა. მოინდომა თუ არა ეს, ანაზდეულად ამ სამყაროს მიღმა აღმოჩნდა, სადაც წყვდიადი და უკიდეგანო წყლები იყო. მან იხილა ღვთაება, კვლავ მატერიალურ სამყაროში აღმოჩნდა და განაგრძო მოგზაურობა; და აი, ათასწლოვანი განწმენდის შემდეგ მარკანდეიამ ბანანის ხეზე მძინარე უმშვენიერესი პატარა ბიჭუნა იხილა, რომელმაც მარკანდეიას მიმართა, ვითარცა ბავშვს. ამაზე მარკანდეია განრისხდა, რადგან ყველასგან პატივისცემას იყო მიჩვეული. მის განწყობაზე პატარა ბიჭმა გაიღიმა და უთხრა: „შვილო ჩემო, ვარ პურუშა, შენი უშუალო წინაპარი; მე ვარ ვიშნუ; მე ვარ, ვისაც ეკუთვნის ეს სამყარო, ვინც გააჩინა იგი, ვის წიაღშიც არის მოქცეული. ყველაფერი, რაც ამ სამყაროშია – მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ზღვა და ხმელეთი, ჩემი გამოვლინებებია. ბევრჯერ ჩამოვსულვარ მიწაზე სხვადასხვა სახის ბოროტებისგან მის გადასარჩენად. მე ვიყავი ის დიდი თევზი, რომელმაც მანუს კიდობანი უვნებლად გამოატარა წარღვნის წყლებში; მე ვიყავი ის კუ, რომელმაც ღმერთებს უკვდავების სასმისი ამრიტა მოუპოვა... მე ვქმნი, როგორც ბრაჰმა, ვინახავ, როგორც ვიშნუ და ვანადგურებ, როგორც შივა. შენ ამაყობ, მარკანდეია, შენი მრავალი ათასი წლით, მაგრამ იცოდე, რომ ბრაჰმას ერთი დღე თორმეტი ათას წელს ითვლის... ბრაჰმას ერთ დღეს გრძელდება სამყაროს არსებობა. გაივლის ეს წლები და დაიძინებს ბრაჰმა, ჩამოწვება ბრაჰმას ღამე, გაუჩინარდება მთელი სამყარო, ბრაჰმას

გამოღვიძებისთანავე კი დადგება ახალი დღე – ბრაჰმა ახალ სამყაროს შექმნის. არაერთგზის გაუჩინარებულა სამყარო და კვლავ წარმოქმნილა ბრაჰმას ძილიდან და ასე გაგრძელდება მუდამ... და ეს ყველაფერი ჩემშია, მარკანდეია". ამავე თხრობაში ცხადი ხდება, რომ იგი იყო რამა, კრიშნა, ბოლოს კი იგი იქნება კალკონი – ქვეყნიერების განმკითხავი, სამყაროს დაღუპვის ჟამის მაუწყებელი.

კაცობრიობის ისტორიის ყოველი ციკლი 12 000 წლისაა. იგი 4 ხანად (იუგად) იყოფა: ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და „ბნელ ხანად". პირველ იუგაში ადამიანები კეთილნი, სამართლიანობის მოყვარულნი, კანონების დამცველები არიან. შემდეგ სამართლიანობა ნელ-ნელა იკლებს, ვიდრე ცოდვაში დანთქმული ქვეყნიერება „ბნელ ხანაში" სრულ დაღუპვამდე არ მივა. მაგრამ ეს არ არის საერთოდ სამყაროს დასასრული: „ყოველივე ისევ თავიდან დაიწყება", სამყაროს დაღუპვისა და კვალად განახლების ციკლი განუწყვეტლივ მეორდება. მარკანდეიას მითის ტექსტიდან ჩანს, თუ როგორ ერთიანდება ბრაჰმაში ყველა ღმერთის ძალა (ვიშნუს ავატარების ჩათვლით), როგორ ქმნის სამყაროს მარადიული ბრაჰმა, აწესრიგებს მას დროში, რომელიც სადღაც იწყება, ამოიწურება და მთავრდება და მისი განახლება ხდება მარადიულად.

ბრაჰმანიზმის ხანა ინდოეთში აღინიშნება საზოგადოების მკაცრი კასტური დაყოფით (კასტა, ანუ ვარნა – სოციალური საფეხური). ბრაჰმას რელიგიური მსახურები – ქურუმები იყვნენ ბრაჰმანები; მათ ევალებოდათ კულტმსახურება. სხვათა მიერ ჩატარებული კულტი უმოქმედოდ ითვლებოდა, რამაც განაპირობა რელიგიის იერარქიული სადავეების ბრაჰმანების ხელში მოქცევა. შემდეგი კასტა იყო ქშატრიების, ანუ მეომართა, მესამე კასტა – ვაიშიების, ანუ ხელოსნების, და მეოთხე – შუდრიების, ანუ მონების. კასტების თაობაზე ქვემოთ უფრო ვრცლად იქნება საუბარი.

ბრაჰმანისტული თეოლოგია, რომელიც საფუძვლად დაედო ინდუიზმის დოქტრინას, ძირითადად გადმოცემულია უპანიშადებში. სიტყვა „უპანიშადა" ზმნური სახელია და ეტიმოლოგიურად ნიშნავს „ახლოს ჯდომას" (იგულისხმება სულიერი წინამძღოლის ფეხთან ჯდომა). ტერმინ უპანიშადების არა მარტო მოკლედ და ლაკონიურად განმარტება, არამედ მისი ჟანრის განსაზღვრაც ჭირს. იგი ორასამდე ნაწარმოებს აერთიანებს (ტრადიციით 108), ზოგი რამდენიმე, ზოგიც ასეულობით გვერდის შემცველია. უპანიშადები, ფაქტობრივად, ვედების დასრულებაა. რიგვედაში მოცემული იყო ერთი უზენაესი საწყისის ძიება, უპანიშადებში კი – სწავლება ამ აბსოლუტურ საწყისზე. რიგვედაში გადმოცემულია ყოფიერების საწყისის პრობლემა: „არცა არაარსი და არც არსი არ იყო მაშინ, არც ჰაერი და არც ზეცა... სად რა იძვროდა, ან რა იყო მისი მფარველი? რა წყალი იყო, ან რა სიღრმე და უფსკრული ვინ უწყის ესე, რომ ნამდვილი გვაუწყოს ჩვენცა, ამბავნი ქმნილის, ვითარება შესაქმის ამის", – მსგავსი ფილოსოფიური კითხვების დასმით რიგვედას ჰიმნი ცდილობს არყოფნიდან ყოფნად გადაქცევის იდუმალი საკითხი გადაჭრას, თუმცა ბრაჰმანის ცნების დადგენა უპანიშადებში გაფორმდა.

ტაიტარა უპანიშადაში მამასა და შვილს შორის იმართება დიალოგი. მამა ცდილობს, კითხვა-პასუხით დაადგინოს აბსოლუტის, ანუ ღმერთის, ცნება. პირობა ასეთია: ის (აბსოლუტი) უნდა იყოს ისეთი, „საიდანაც ყველაფერი გამომდინარეობს და შემდეგ ყოველივე მასში ბრუნდება". რამდენადაც გარე სამყაროს ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე მატერიაა, შვილი აბსოლუტად სწორედ მას მიიჩნევს. მამა ურჩევს, არ იჩქაროს და პასუხის დროს კარგად დაფიქრდეს. ის მართალია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ემპირიულ სინამდვილეში, გარშემო მატერიალური საგნების მრავალფეროვნებაა, რომლებიც წარმოიშობა და ისპობა, ჩნდება იმის ილუზია, თითქოს ისინი მუდმივად არსებობენ. მაგრამ მათ გარდა ხომ არის სიცოცხლის ფენომენი, რომელიც მატერიით სრულიად არ აიხსნება. ცნობიერება არის აბსოლუტი. ცნობიერება არის ბრაჰმანი. ბრაჰმანი აბსოლუტია. „ის, საიდანაც ეს არსებები იბადებიან, ის, სადაც

ისინი დაბადების შემდეგ ცხოვრობენ, ის, სადაც სიკვდილის შემდეგ ბრუნდებიან – სწორედ ეს „ის" არის ბრაჰმანი. ყველაფერი მისგან გამომდინარეობს და მასვე უბრუნდება (ეს თეორია ენათესავება ნეოპლატონიზმის შეხედულებას ემანაციაზე). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრაჰმას, როგორც ღვთაების, ფილოსოფიურ-ტრანსცენდენტური გაგებაა ბრაჰმანის ცნება.

„ბრაჰმანი „არც დიდია, არც პატარა, არც მოკლე, არც გრძელი, არც წითელი (როგორც ცეცხლი), არც ზეთივით დენადი, არც ფერადი, არც მუქი; ის არ არის ქარი, სივრცე, არ უკავშირდება არაფერს, არა აქვს სუნი, გემო... არაფერი აქვს შიგნით და გარეთ", – ნათქვამია უპანიშადებში. სხვა ადგილას კი იგი საპირისპირო მეთოდით არის დახასიათებული. ბრაჰმანი ყველაფერია: „იგი განმსჭვალულია გონით, მისი ხატი ნათელია, იგია ჭეშმარიტება, სივრცე და შემცველი ყველა მოქმედების... იგია მთლად სურვილი" (ეს შეხედულებები ენათესავება წმინდა დიონისე არეოპაგელის მიერ საფუძვლადდადებულ ე. წ. უარყოფით და დადებით თეოლოგიებს).

ერთის (ბრაჰმანის) განვითარებით წარმოიშობა მრავალი ფორმა და ამ მრავალი ფორმის შემეცნებით შევიმეცნებთ ერთს (ბრაჰმანს). ე. ი. ცალკეული მოვლენები და საგნები არის არა მექანიკური ნაწილები ბრაჰმანისა, არამედ როგორც განვითარებული ბრაჰმანი.

ბრაჰმანის გვერდით უპანიშადებში დიდი ადგილი ეთმობა ატმანის ცნების განსაზღვრას. თუკი ბრაჰმანი პირველადი ობიექტური რეალობის აღმნიშვნელია, ატმანი არის სულის, გონის, მეს, საერთოდ სუბიექტური მეობის გამომხატველი ცნება. უპანიშადებში ნათქვამია: „პირველჟამად ყოველი იყო ოდენ ატმანი, პურუშას სახით". პურუშა გაიგებოდა, როგორც პირველი ადამიანი, რომლის სახითაც ატმანი ქმნიდა კოსმიურ ელემენტებს.

უძველესი დროიდან ბრაჰმანიზმში შემუშავდა სწავლება სიკვდილის შემდგომ ადამიანის სულის სხვა სხეულში ტრანსმიგრაციაზე. მეტემფსიქოზის თეორიის თანახმად, ცნება კარმა გამოხატავდა ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრებისას ჩადენილი ქმედებების გავლენას მის შემდგომ ცხოვრებაზე. ზემოთაც აღინიშნა, რომ მატერიალური სამყარო ინდუიზმში, რაც პრაკრიტის ცნებით გამოიხატებოდა, მოჩვენებითად ცხადდებოდა. ამიტომ ასკეტიზმი ამ რელიგიაში იმთავითვე მოუწოდებდა ადამიანებს, მატერიალური კეთილდღეობისკენ სწრაფვისგან თავი შეეკავებინათ. მატერიალური კეთილდღეობა (ართა) არამც და არამც არაა ადამიანის მიზანი. იგი ცხოვრებისეული ოთხი ძირითადი ასპექტიდან დჰარმის (ღვთიური კანონის აღსრულების) და კამას (ეროტიული ვნების) გვერდით ერთ-ერთია და მოკშათი (ამქვეყნიური ცხოვრებისგან გათავისუფლებით) მთავრდება.

ბრაჰმანიზმში არსებული სწავლება ბრაჰმანზე (აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ განსხვავებებს მსგავს ცნებებში: ბრაჰმანი – უმაღლესი ყოფიერება, აბსოლუტი, შემოქმედებითი დასაბამი; ბრაჰმა – უმაღლესი ღვთაება, ბრაჰმანის გამოვლენა; ბრაჰმანები – ვედების ადრეული საფეხური; ბრაჰმანთა კასტა – ქურუმთა ფენა), ატმანზე, კარმაზე, სულთა რეინკარნაციაზე, ასკეტიზმსა და სხვა მნიშვნელოვან რელიგიურ თემაზე დამუშავდა ინდურ ფილოსოფიურ სკოლებში, რომლებიც სოკოებივით ერთდროულად აღმოცენდნენ ძვ. წ. VI საუკუნიდან. ექვსი ორთოდოქსული ფილოსოფიური სკოლა (ვედანტა, ნიაია, იოგა, ვაიშეშიკა, სანქია, მიმანსა) ძირითადად ეფუძნებოდა ვედებს და უპანიშადებში დამუშავებულ თეოლოგიურ დოქტრინას.

ბრაჰმანიზმი, როგორც ინდუიზმის ადრეული ფორმა, შუა საუკუნეებში მნიშვნელოვნად იქნა გადამუშავებული გავლენიანი მოაზროვნეების მიერ. მათ შორის გამოირჩევიან შანკარა და რამანუჯა. შანკარა უკიდურესად უპირისპირებდა ერთმანეთს ღვთაებრივ არსს, ანუ ჭეშმრიტ ყოფიერებას, და არაჭეშმარიტ გრძნობად სამყაროს, ილუზიას, მოჩვენებას (გავიხსენოთ მოძღვრება მაიას შესახებ); რამანუჯა ზომიერი პოზიციის დაცვით მათ შორის კავშირის დანახვას ცდილობდა. მისი ეს პოზიცია განავითარა მადჰავამ (XIIIს.).

XIX-XX საუკუნეებში ინდუიზმი გაიცნო დასავლეთ ევროპამ და ამერიკამ. ჩიკაგოში ვივეკანანდას მიერ წაკითხული ლექციების წყალობით, ინდუიზმისადმი აღძრული ინტერესი არ დაშრეტილა. ინგლისის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისას შეიმჩნეოდა ინდუიზმის პოლიტიზირებაც. ინდუიზმის უდიდესი მოაზროვნეები გასულ საუკუნეში – ს. რადჰაკრიშნანი, მ. განდი, ჯ. ნერუ და სხვები ცდილობდნენ ინდუისტური მსოფლმხედველობა ყველასათვის გასაგები გამხდარიყო და მას უდიდეს აქსიოლოგიურ შეფასებას აძლევდნენ.

ინდუიზმმა განავითარა სატაძრო კულტი. ინდოეთის, ბანგლადეშის, ბჰუტანის, შრი-ლანკას, პაკისტანის, სინგაპურის და სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე უხვად შევხვდებით მდიდარი ორნამენტებით, რთული არქიტექტონიკით ნაგებ ინდუისტურ ტაძრებს. ისინი სხვადასხვა ღვთაებისადმია მიძღვნილი. ზოგი მათგანი საკმაოდ ძველია და განსაკუთრებულ მოწიწებას აღძრავს ინდუისტებში. მაგალითად, შესაძლოა დავასახელოთ კანდარია მაჰადევა – უდიდესი, ყველაზე ორნამენტული და კარგად შემონახული შუა საუკუნეების ინდუისტური ტაძარი ინდოეთში, ხაჯურაჰოში. კანდარია მაჰადევას ტაძარი აიგო დაახლოებით 1050 წელს. მისი მთავარი ქიმი 31 მ. სიმაღლისაა და შივას წმინდა მთა მერუს განასახიერებს. მის ირგვლივ 84 მინიატურული გუმბათია. ტაძარი იუნესკოს მსოფლიო კულტურის მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

ყოველ სახლში არის ღვთაებათა გამოსახულებებით მორთული საკურთხეველი, რომელიც ოჯახს მფარველობს. ინდუიზმის მიმდევრები ორჯერ, მზის ამოსვლისას და ჩასვლისას ლოცულობენ. განწმენდის რიტუალი სხვადასხვა სახით სრულდება: პირში წყლის გამოვლება, თავზე წყლის პკურება და ა. შ. ამ ყველაფერს თან ლოცვა ახლავს. ღვთაებისადმი ტაძარში ძღვნის სახით მიაქვთ ანთებული ლამპარი, სანთელი, ხილი, ყვავილები ან ნელსაცხებელი. ტაძრებში ხშირია ძროხის ქანდაკებაც, რადგან ეს ცხოველი სამყაროს სიმბოლოდ მიიჩნევა.

ბავშვს დაბადებისთანავე წარუდგენენ ხოლმე ღმერთებს. ასეთ დროს გურუ ახალშობილს პირში უდებს თაფლისა და გამდნარი კარაქის ნაზავს. სახელს მეექვსე დღეს არქმევენ ბავშვს. 4 წლის ასაკში იგი ღვთაებისადმი იწირება, რის ნიშნადაც თავს პარსავენ. რელიგიური ნიშნითაა აღბეჭდილი ასევე ქორწინების რიტუალიც, რაც რამდენიმე დღეს გრძელდება.

ინდუიზმის დღესასწაულები ფართოდ აღინიშნება და საყოველთაო ზეიმის ხასიათს ატარებს. დღესასწაულები სხვადასხვა ღვთაებას ეძღვნება. ამ დროს პროცესია იწყება ტაძრიდან და ტაძარშივე სრულდება. ამ ზეიმთა უმრავლესობაზე ღვთაებათა გიგანტურ გამოსახულებებს ასეირნებენ.

ინდუიზმი და ინდური ეპიკური ტრადიცია

ინდური ეპოსის ორი უმნიშვნელოვანესი ძეგლი – „მაჰაბჰარატა" და „რამაიანა", „მეხუთე ვედა" – წმინდათაწმინდა ქმნილებებად მიიჩნევა ინდურ სამყაროში. ინდოეთში დღემდე მოიძებნებიან მთქმელები, რომლებიც ზეპირად მოუთხრობენ მსმენელებს ფრაგმენტებს ამ ეპიკური თხზულებებიდან. ეს პოემები იქმნებოდა ძვ. წ. IV–III საუკუნის მიჯნაზე და საბოლოოდ იმ სახით, როგორითაც ჩვენ ვიცნობთ, ჩამოყალიბდა ძვ. წ. I საუკუნეში. ტრადიციის თანახმად, ამ ორივე პოემაში, „მაჰაბჰარატაში" განსაკუთრებით, აღწერილია რეალური ისტორიული ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა, სპეციალისტების აზრით, XI–X საუკუნეებში ქრისტეშობამდე (ბ. ოლდენბურგი, პ. მაკდონელი, ა. შრედერი, ლ. რენუ და სხვები). თვით პოემაში ხშირად იხმარება ტერმინი „იტიჰასა" – „ეს ასე იყო". „მაჰაბჰარატადანაა" ცნობილი გამოთქმაც: „ის, რაც კი არსებობს სადმე ამქვეყნად, არის აქაც და ის, რაც აქ არ არის, არ არსებობს არსად", რომელიც შემდეგ აფორიზმად იქცა.

რეალური ამბავი, რომელიც საფუძვლად დაედო „მაჰაბჰარატას" – ეს იყო დიდი ომი ძალაუფლებისთვის, რომელიც თავდაპირველად დაიწყო ბჰარატთა გვარის ორმა შტომ – პანდუსა და კურუს შთამომავლებმა და რომელშიც, ფაქტობრივად, ინდოეთის მთელი მოსახლეობა იყო ჩაბმული. „მაჰაბჰარატა" იმ სახით, რომლითაც ჩვენ მას ვიცნობთ, შეიცავს დაახლოებით ასი ათას წყვილ სალექსო სტრიქონს (შლოკა) და შედგება 18 წიგნისგან (პარვა); ეს წიგნები განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც მოცულობით, ისე – შინაარსით. ეპოსში ბევრია ჩანართი ეპიზოდი. მათს რიცხვს მიეკუთვნება მითები: წარღვნის შესახებ, ვიშნუს მიწიერ ავატარებზე, მითი იმის შესახებ, თუ როგორ ჩაასხეს ოკეანეში ღმერთებმა უკვდავების წყალი, მითი მდინარე განგის ზეციდან ჩამოსვლაზე და ა. შ. „მაჰაბჰარატას" XII და XIII წიგნები მთლიანად ბჰიშმას, პანდავებისა და კურავების უხუცესი წევრის რჩევა-დარიგებებს მოიცავს. ამ წიგნებში დაწვრილებითაა განხილული, თუ რა მოვალეობა ეკისრება მეფეს, რათა ის იყოს ჭეშმარიტად სამართლიანი და მოუტანოს სარგებლობა ხალხს. ბჰიშმასათვის მოვალეობის გრძნობა – უპირველესი დჰარმაა. „მე მზადა ვარ უარვყო სამივე ქვეყანა ან თუნდაც მეფობა ღმერთებს შორის და ისიც კი, რაც ყოველივე ამაზე უფრო მაღლა დგას, მაგრამ დჰარმა (ე. ი. მოვალეობა, წესი, კანონი) – არასოდეს", – ამბობს ბჰიშმა და ეს მოვალეობის გრძნობა მკვეთრად გამოხატულია მთელ პოემაში.

„მაჰაბჰარატაში" ჩამოყალიბებულია კლასიკური ფორმულირება საზოგადოების კასტებად (ვარნებად) დაყოფაზე. ბრაჰმანიზმში მიღებული ეს კლასიფიკაცია თეორიული, ხატოვანი კუთხით სწორედ ამ რელიგიური ხასიათის ეპოსშია მოცემული. „მაჰაბჰარატას" ტექსტში ბჰიშმა საუბრობს ვარნათა რაობაზე. ეპოსში ნათქვამია, რომ ვარნები ღმერთების დაწესებულია. ამის დამადასტურებლად მოტანილია ჯერ კიდევ ვედებში აღწერილი ვარნების წარმოშობა: ბრაჰმანები შეიქმნენ ბრაჰმას ბაგეთაგან, ქშატრიები – ბრაჰმას ხელებისგან, ვაიშიები – თეძოებისგან და შუდრები – ფეხის ტერფებისგან. ყველაზე უმაღლესი ფენა საზოგადოებისა – „მაჰაბჰარატას" მიხედვით, ბრაჰმანთა ვარნაა. ის ემსახურება ღმერთებს, მისი წევრები არიან წმინდა გონებისა და საქმის ერთგულნი, მათი ნიშანია სატტვა – წმინდა საქმე, ხოლო მისი სიმბოლო – თეთრი. ფერი. მეორე ვარნას შეადგენენ ქშატრიები – მეომრები, რომელთა ფენას მიეკუთვნებიან მეფეებიც (რაჯები) და კარისკაცები. მათი ნიშანია – რაჯას – გზნება და ფერი – წითელი. ვაიშიების ვარნა საშუალო ფენის წარმომადგენლები არიან – ხელოსნები, მიწათმოქმედნი, ვაჭრები. ამ ვარნაში არეულია ბრაჰმანებისა და ქშატრიების ნიშანი, ამიტომ მათი ფერი ყვითელია, წითელისა და თეთრის ნარევი, ძველ ინდოელთა წარმოდგენით. ბოლოს შუდრები – მომსახურე ფენა, რომელთა ფერი შავი სიბნელის, უმეცრების, ტამასის სიმბოლოა. ვარნა „მაჰაბჰარატაში" აღწერილია, როგორც შთამომავლობითი ინსტიტუტი: ადამიანი, დაბადებული რომელიმე ვარნაში, რჩებოდა ამ ვარნის წარმომადგენლად სიცოცხლის ბოლომდე. სხვა ვარნაში გადასვლა შეუძლებელი იყო. ინდური ტრადიციით, ამა თუ იმ ვარნაში დაბადება განპირობებული იყო წინარე ცხოვრებაში ჩადენილი საქმეების შედეგით. ისევეც წესიერ, ღვთის მოსაწონ ცხოვრებას ეწოდა, მეორედ დაბადებისას უმაღლეს ვარნაში გადაინაცვლებდა, ან შეიძლება სულაც ცხოველად ან ჭიად მოვლენოდა ქვეყანას (გავიხსენოთ წინა თავიდან მოძღვრება კარმაზე). „მაჰაბჰარატაში" ბჰიშმა ასევე მსჯელობს სიკეთეზე, ბოროტებაზე, სულთა გარდასახვაზე.

„მაჰაბჰარატას" ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნია „ბჰაგავადგიტა" – „საღვთო სიმღერა". აქ კრიშნასა და არჯუნას საუბარში დაპირისპირებულია პირადული და უნივერსალური წარმოდგენები ადამიანის დანიშნულებაზე, მორალზე, მოვალეობის გრძნობაზე. კრიშნა ამ ეპიზოდში არჯუნას მეუფლეა (ძველ ინდურ რელიგიასა და ფილოსოფიაში ეტლში მჯდომი ინდივიდუალური სულია, ხოლო მეეტლე – მისი გონებაა, უმაღლეს, ჭეშმარიტ აზრს, ცოდნას ზიარებული). იმ დიდი ომის წინ, გათენებისას, არჯუნა სთხოვს თავის მეეტლეს, კრიშნას, გაიყვანოს ის ორი მტრული ბანაკის

მიჯნაზე და აქ შეძრწუნებული არჯუნა ხედავს ორივე ბანაკში ჯერ კიდევ მშვიდად მძინარე „მამებს, პაპებს, ბიძებს, შვილებსა და ნათესავებს თავის განთქმულ, ღმერთების ნაბოძებ მშვილდ-ისარს და უარს ამბობს ბრძოლაზე, რომლის შედეგადაც დაიღვრება მოძმეთა სისხლი. „არ მინდა მოვკლა ისინი, უმჯობესია, მე მოვკვდე ამ ომშიო", – ეუბნება ის კრიშნას და კრიშნა საპასუხოდ იწყებს თავის შეგონებას, რომელიც „ბჰაგავადგიტას" ძირითად არსს წარმოადგენს. კრიშნას აზრით, არჯუნა მსჯელობს მხოლოდ თავისი ვიწრო თვალთახედვის მიხედვით, ხედავს მოვლენებს მხოლოდ თავისი პირადი, ინდივიდუალური „მეს" თვალსაწიერზე. მას ავიწყდება, რომ უაზროა დარდი დაბადებისა და სიკვდილის გამო, რადგან ერთნაირად ამაოა და წარმავალი სიცოცხლე და გარდაცვალება, ბედნიერება და უბედურება. მხოლოდ სულია მარადიული და არავის ძალუძს მისი მოკვლა. ადამიანის სიკვდილი, გარდაცვალება მარტოოდენ მისი სულის გარდასახვაა და რა საჭიროა მაშინ დარდი მისი სიკვდილის გამო? მით უმეტეს, თუ ეს ბრძოლაში მოხდება. ასეთ სახელოვან ბრძოლაში მოკლული ხომ პირდაპირ ზეცას მიემგზავრება. ჭეშმარიტი ქშატრიის მოვალეობაა სახელოვანი, საგმირო საქმის აღსრულება ბრძოლის ველზე. თუ იხ იმარჯვებს, დიდება მოსავს მის სახელს და საქმეს, ხოლო თუ კვდება – მისი სული გაიხარებს ღმერთთა სამყოფელში. ბრაჰმას მიერ დაწესებული უპირველესი დჰარმა მოვალეობის გრძნობაა, ქშატრიას ვალდებულება კი ომია და მისი უგულებელყოფა – ღვთისგან დაწესებული კანონის დარღვევაა. არჯუნა ქშატრიაა და უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა. არსებობს სამი გზა, – ასწავლის კრიშნა, – ინდივიდუალური, ვიწრო „მედან" გამომდინარე აღქმის დასაძლევად: გზა ცოდნისა, სიყვარულისა და მოქმედებისა, რომელსაც კრიშნა ყველაზე მაღლა აყენებს. კურუს ველი, სადაც იშლება ბრძოლის მოქმედება, „მაჰაბჰარატაში" „დჰარმის ველადაა" წოდებული და ამ დჰარმის, სიკეთის მაუწყებელი პოემაში კრიშნაა, ვიშნუს მიწიერი სახე და მისი ნების აღმსრულებელი.

„ბჰაგავადგიტაში" მოცემულია კოსმოლოგიური შეხედულებები, რომლის მიხედვით ბრაჰმანი, როგორც აბსოლუტური ყოფიერების მქონე, ყველა საგანსა და არსებაშია. ღმერთი ადამიანშიცაა, ქვაშიც და ჭექა-ქუხილშიც. ბრაჰმანის შეცნობა მისი აბსოლუტური მნიშვნელობით გონებისთვის შეუძლებელია. ის შესაძლოა მხოლოდ გამოვცადოთ იმ ზეცნობიერ მდგომარეობაში, რომელსაც წმინდანები აღწევენ და რომელსაც სამადჰი, ანუ ღმერთთან შეერთება, ეწოდება. ასეთი მდგომარეობის მიღწევის მეთოდები „ბჰაგავადგიტაში" დაწვრილებით არის აღწერილი. როცა გარეგან სამყაროსთან ყოველგვარი გრძნობითი კონტაქტი წყდება, ადამიანი ინტუიციის, სულიერი დისციპლინისა და მედიტაციის მეშვეობით გონების შიგნით, საკუთარ თავში მიმართვისა და ატმანის, იმანენტური ღვთაებრიობის შეცნობის უნარს იძენს. „ბჰაგავადგიტაში" საუბარია ბრაჰმას, ვიშნუსა და შივას ფუნქციებზე, სამყაროს გაქრობაზე, როცა ის პოტენციურობის ფაზაში გადადის და ელოდება მომდევნო ქმნადობას. „ბჰაგავადგიტას" VIII თავში ეს პროცესია აღწერილი. გამოხატვის ფაზას კრიშნა ბრაჰმას დღეს უწოდებს, პოტენციურობის ფაზას – ბრაჰმას ღამეს. ამ ციკლებს დაქვემდებარებულ სამყაროთა ბინადარნი ყოველი მომდევნო კოსმიური დღისა და ღამის დადგომასთან ერთად გამუდმებით ხელახლა იბადებიან და ქრებიან. ინდუიზმი მრავალ ღვთაებრივ ინკარნაციას აღიარებს (მათ შორის არიან კრიშნა, ბუდა და ქრისტე) და კიდევ მრავლის მოსვლას წინასწარმეტყველებს:

„ბოროტეულთა მლეწველად, მკველელად, მართალთა შემწედ და მათდა მხსნელად,
ეამიდან ეამად მე ვიბადები სჯულიერების დამდგენად, მცველად".

თუმცა ინდუიზმსა და ბუდიზმში ღვთაებრიობის ერთზე მეტი ინკარნაციაა შესაძლებელი, ქრისტიანებისთვის კი ერთზე მეტი ინკარნაცია არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

სანსკრიტზე შექმნილი მეორე დიდი ეპიკური პოემა „რამაიანაც" საკრალურ

წიგნად ითვლება. „მაჰაბჰარატას" მსგავსად, ისიც ქრისტემდე IV–III საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ინდური გადმოცემით, მისი შექმნა თვით ღვთაება ბრაჰმას სურვილი ყოფილა. ინდოეთში, ზეგავლენის მხრივ, „რამაიანას" მეტოქე არ ჰყავს.

"რამაიანას" მთავარი გმირი – რამა ღვთაება ვიშნუს ერთ-ერთი ავატარაა. სწორედ მისი თავგადასავალია მოთხრობილი ეპოსში, რომლის წაკითხვა ან მოსმენა სულიერ განწმენდას მოასწავებდა. წიგნის შესავალში ნათქვამია: „ვინც ამ წმინდა, ცოდვათა წარმხოცელ, ღვთაებრივი ვედას სადარ რამას ამბავს წაიკითხავს, ყველა ცოდვისგან განიწმინდება...". ტრადიციულად „რამაიანა" შვიდ წიგნად იყოფა. განსაკუთრებით პირველ და მეშვიდე წიგნებში წარმოგვიდგება რამა ვიშნუს მიწიერ სახედ.

დასასრულ, უნდა დავასახელოთ ე. წ. პურანები – ძველი ინდური წმინდა ტექსტების ორი დიდი კრებული: „დიდი პურანა" და „მცირე პურანა", მათში მოთხრობილია მითიურ გმირთა და მეფეთა, განსაკუთრებით, ვიშნუს ორი დიდი ავატარის – რამასა და კრიშნას, ამბავი. ტექსტების გადამუშავება მოხდა ახ. წ. I ათასწლეულში.

ჯაინიზმი და სიძიზმი

თავდაპირველად ჯაინიზმი ცხრა ინდური ფილოსოფიური სკოლიდან ერთ-ერთი გახლდათ. მოგვიანებით იგი რელიგიაში გადაიზარდა. ამ სკოლის მიმდევრები მიიჩნევდნენ, რომ სამყაროში შესამჩნევია სულიერი ამაღლებისა და დაცემის პერიოდები. სწორედ ამ უკანასკნელის დროს გვევლინებიან სამყაროს მხსნელებად წმინდა ჯინები – „ძლევამოსილნი". იმავე ტრადიციის თანახმად, ამჟამად დაცემის ხანაა და ამ პერიოდში მოქმედი 24 ჯინიდან უკანასკნელი იყო მაჰავირა („დიდი გმირი"), ისტორიული პირი, ჯაინიზმის ფუძემდებელი, რომელიც, სავარაუდოდ, გარდაიცვალა ძვ. წ. 477/476 წელს. იგი ბუდას უფროსი თანამედროვე ყოფილა ქშატრიების კასტიდან, ერობაში ვარდჰამანა რქმევია. მას 30 წლის ასაკში მიუტოვებია ოჯახი, ტყეში დაუყვია 14 წელს და შემდეგ 30 წლის მანძილზე ავრცელებდა საკუთარ მოძღვრებას. მას ჰყავდა 11 მოწაფე, რომლებიც წლების განმავლობაში ზეპირად გადასცემდნენ მასწავლებლის მოძღვრებას. მაჰავირა ჯაინიზმში განიხილება, როგორც „მოკშა" – გათავისუფლებული სურვილებისგან, რომელმაც მიიღო „ჯინის" – გამარჯვებულის წოდება. ძვ. წ. IV საუკუნეში ჯაინისტები გაიყვნენ ორ ნაწილად: დიჰამბარებად და შვეტამბარებად. დიჰამბარები მკაცრი ასკეტიზმით გამოირჩეოდნენ. სხვაგვარად მათ „ჰაერით მოსილნი" ეწოდებოდათ. ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ, არ შეხებოდნენ ცოცხალ არსებებს და პირაკრულნი დადიოდნენ, რათა დაეცვათ აჰიმსას პრინციპი. ჯაინისტების მეორე ნაწილი – შვეტამბარები, ანუ „თეთრად მოსილნი", ზომიერ პოზიციას იცავდნენ და ერთგულად მისდევდნენ კანონიკურ ტექსტებს, რომელიც მაჰავირას ქადაგებების სახით მისმა მოწაფეებმა 14 წიგნად ჩაწერეს. საბოლოოდ, ვალაბჰის კრებაზე ჯაინიზმი რელიგიად გამოცხადდა.

ჯაინიზმის მოძღვრება ემყარება 4 ფუნდამენტურ პრინციპს: 1. ადამიანი გაორებული ბუნებისაა, რადგან შედგება მატერიისა და სულისგან; 2. ადამიანი არაა სრულყოფილი, მაგრამ შეუძლია და მოვალეცაა, ისწრაფოს სრულყოფისკენ; 3. მას შეუძლია და ვალდებულიცაა, სულიერ ცხოვრებას დაუმორჩილოს მატერიალური ცხოვრება; 4. ინდივიდუმი წყვეტს განვითარების (სრულყოფის) საკითხს და პასუხს აგებს თავის ყველა კეთილ თუ ბოროტ ქმედებაზე.

ჯაინიზმის მიმდევართათვის ღმერთი არის მხოლოდ და მხოლოდ სხეულისგან გათავისუფლებული სული. ის არაა შემოქმედი და რადგანაც მატერიასთან კავშირში არ იმყოფება, ამდენად, მას არ ძალუძს მატერიალური სამყაროს ცხოვრებაში

ჩარევა. სწორედ ამიტომ ზოგჯერ ჯაინიზმს ათეისტურ რელიგიადაც განიხილავენ, ვინაიდან არ აქვს სწავლება პიროვნული ღმერთის შესახებ. ჯაინიზმის მოძღვრება დუალისტურია. მასში ცენტრალური ადგილი უჭირავს მოძღვრებას კარმის შესახებ. ჯაინისტების აზრით, სული (ჯივა) თავისი ბუნებით აბსოლუტურად სრულყოფილია, მაგრამ კარმა, რომელიც სულს თან დაჰყვება, ხელს უშლის ამ თვისებების გამოვლინებაში. ამრიგად, კარმა დამღუპველია, მაგრამ, ამავე დროს, დადებითიცაა, როგორც შემოქმედი საწყისი, რადგანაც განსაზღვრავს სულისა და მატერიის კავშირის ფორმებს ცხოვრების მარადიულ გზაზე. თუ ვინმე შეძლებს გაითავისუფლოს თავი მავნე კარმებისგან, ის გახდება ყოვლისმცოდნე ბრძენი და წმინდანი, შეიძენს ზებუნებრივ ძალას და მთლიანად დაიმორჩილებს სხეულს. კარმისგან მთლიანად გათავისუფლებული სული აღწევს სრულ ხსნასა (მოკშა) და თავისუფლებას მატერიალური ელემენტებისგან (ნირვანა).

მეტ-ნაკლებად ასკეტურია მორწმუნე ჯაინისტის ცხოვრება, რომელსაც საფუძვლად ეგოცენტრიზმი უდევს. ასეთი ცხოვრების მიზანი პირადი ხსნაა, რომელსაც აღწევს მხოლოდ საკუთარი ძალებით. ჯაინიზმის თანახმად, თითოეული ადამიანი თავისი ბედნიერების შემოქმედია, ოღონდაც ამ ბედნიერებას იგი სიცოცხლეში, მიწაზე კი არ აღწევს, არამედ შორეულ მომავალში, მრავალი გარდასახვის დასრულების გზით. ჯაინიზმის მიმდევრებში, გარდა ჩვეულებრივი ადამიანებისა, გვხვდებიან საგანგებო განდეგილებიც. განდეგილი ჯაინისტი ჯაინისტური წრის უზენაესი წევრია. ის მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა. განდეგილის უპირველესი აღთქმის მიხედვით, ცოდვად ითვლება ცოცხალი არსების მოკვლა (აჰიმსა). აჰიმსას დარღვევის შემთხვევაში ისინი ხშირად და ხანგრძლივად მარხულობენ, ეკრძალებათ ბანაობა, კბილების გახეხვა, ღამით ცეცხლის დანთება, რომ მწერები არ დაიხოცნონ ალზე. ჯაინისტების ასკეტიზმის უმაღლესი ფორმაა ნებაყოფლობითი სიკვდილი შიმშილით. ჯაინისტები მკაცრად იცავენ თავიანთ რელიგიურ პრინციპებს. ამის გამო ირჩევენ მეტ-ნაკლებად შესაფერის საქმიანობას. უმეტესად არიან ვაჭრები, მოსამსახურეები, მასწავლებლები, მევახშეები, ოქრომჭედლები, მოხელეები. თანამედროვე ინდოეთში ჯაინიზმის მიმდევრები მოსახლეობის მხოლოდ 0,4% შეადგენენ (დაახლ. 3,5 მილიონი კაცი). იგი ინდოეთის ფარგლებს მიღმაც გავრცელებულია.

ინდოეთში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული რელიგიაა სიქიზმი. იგი აღმოცენდა ინდოეთში, პენჯაბში, როგორც ბჰაქტის (სახალხო-რელიგიური მოძრაობა ინდოეთში XII–XIII საუკუნეებში) ერთ-ერთი განშტოება. მისი დამაარსებელია გურუ (რელიგიური თემის წინამძღვარი) ნანაკი (1469-1539). სიქიზმი მონოთეისტური რელიგიაა. მას საფუძვლად უდევს იდეა ერთი ღმერთისა (ღვთაებრივი საწყისის), რომელიც გამოხატულია ყოველივე არსებულში. სიქიზმი აღიარებს ყველა ადამიანის თანასწორობას (კასტური მდგომარეობის მიუხედავად) ღმერთის წინაშე. უარყოფს რთულ წეს-ჩვეულებებსა და ასკეტიზმს, ღვთაებისადმი თაყვანისცემის გარეგნულ ფორმებს. ადრეული სიქიზმი გამოხატავდა ქალაქის მოსახლეობის ვაჭარ-ხელოსანთა წრეების იდეოლოგიას. ნანაკის მემკვიდრეების დროს სიქების მიმდინარეობა ორგანიზაციულად განმტკიცდა. მესამე გურუმ – ამარ დასმა (1552-1572) – გურუს ხელისუფლება მემკვიდრეობითი გახადა. მე-5 გურუ არჯუნამ (1581-1606) შეადგინა სიქების საღმრთო წიგნი. სიქიზმის დემოკრატიზმმა განაპირობა მისი პოპულარობა უბრალო მოსახლეობაში. მე-10 გურუს – გოვინდ სინგჰის (1675-1708) – დროს სიქების თემში გატარდა სერიოზული რეფორმები. ამ უკანასკნელმა გურუმ გააუქმა გურუს მემკვიდრეობითობის პრინციპი, დადგინდა ზოგი გარეგნული ნიშანი, რითაც სიქები უნდა განსხვავებულიყვნენ დანარჩენი მოსახლეობისგან. ყოველ სიქს მიენიჭა „სინგჰის" (სანსკრიტ. „ლომი") კეთილშობილი ტიტული. XVIII ს-ის დასაწყისში პენჯაბში სიქები მეთაურობდნენ დიდი მოგოლების იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებას. მათ ერთ დროს დამოუკიდებელი ინდური სახელმწიფოც შექმნეს, მაგრამ 1849

წელს ინგლისელებმა ორი ომის შემდეგ სიქების სახელმწიფო დაიპყრეს.

სიქიზმის წმინდა წიგნს ჰქვია „ადიგრანთი", რომელიც მეხუთე გურუმ – არჯუნამ – დაწერა. იგი ინახება სიქების რელიგიურ ცენტრში, ქალაქ ამრისტარში, ე. წ. „ოქროს ტაძარში". აღნიშნული ტაძარი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მნახველებზე. აბრაამისტული რელიგიების მსგავსად, სიქებსაც ერთი უზენაესი, უსახელო, ტრანსცენდენტური ღმერთის სწამთ. მას ხშირად სანსკრიტი ენიდან აღებული სიტყვით – „პარამატმანი" („ზესული") მოიხსენიებენ. მათთან მიღებულია სიქიზმის დამაარსებლის – ნანაკისა – და მის შემდეგ მოღვაწე ცხრა გურუს თაყვანისცემა. ყველაფრის მიუხედავად, სიქიზმში გვხვდება ინდუიზმიდან ნასესხები სულის უკვდავების, კარმის, დჰარმის იდეები. სიქიზმში დღესასწაულად ითვლება 26 ნოემბერი – გურუ ნანაკის დაბადების დღე.

სიქი მამაკაცები თითქმის არ იპარსავენ წვერსა და თმას, ამიტომ ყოველთვის ატარებენ პაგრის (ჩალმა), რაშიც ჩაწნულ თმას მალავენ. ასევე, მათი განუყრელი ატრიბუტია ლითონის სამაჯური, სავარცხელი და პატარა ხანჯალი. ზემოთ ნახსენები სიქების წოდება „სინგჰი" (ლომი) სიქების სიმამაცეს უსვამს ხაზს. სიქის ცხოვრებაში 4 უმნიშვნელოვანესი რიტუალია – სახელის შერჩევა, ყრმობაში შესვლა, ქორწინება და გარდაცვალების შემდეგ კრემაცია.

ინდოელი ხალხის ბრიტანეთთან დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ეპოქიდან მოყოლებული სიქები, რომლებიც თავიანთ სარწმუნოებას ეროვნებასთან აიგივებენ, პენჯაბის ინდოეთისგან დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან. სიქმა სეპარატისტებმა 1984 წელს მოკლეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი.

სიქების (სიქ – მოწაფე) უმრავლესობა ეროვნებით პენჯაბელია. ცხოვრობენ უმთავრესად პენჯაბის (ინდოეთის ჩრდილოეთით მდებარე შტატი, პაკისტანის მოსაზღვრე რეგიონი) შტატში, თუმცა მათი ცალკეული ჯგუფები გაბნეულია ინდოეთის მთელ ტერიტორიაზე, ძირითადად მსხვილ ქალაქებში, ასევე – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, კუნძულ ფიჯიზე და სხვა რეგიონებში. ამ რელიგიის მიმდევართა რიცხვი დაახლოებით 25 მილიონი ადამიანია.

ბერძნული რელიგია

შესავალი

ბერძენთა როლი კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში განუზომელია. მას შემდეგ, რაც მცირე აზიაში, იონიის კუნძულებსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ეს ინდოევროპული წარმოშობის მოდგმა განსახლდა, სწრაფად მოხდა ბერძნული ეთნოსის კულტურული ჰეგემონიის დამყარება. ბერძენთა (ელინთა) რელიგია საუკუნეების განმავლობაში ასაზრდოებდა არა მხოლოდ ბერძნულ, არამედ მეზობელი ხალხების სულიერ ცხოვრებას. ამ რელიგიის წიაღში მომწიფდა მრავალი პროგრესული შეხედულება, რაც მონოთეიზმის მყარ ნიადაგს ქმნიდა. ამის დადასტურებაა ახალი წელთაღრიცხვის გარიჟრაჟზე ბერძნულ სამყაროში ქრისტიანული მარცვლის გაღვივება, რამაც მაცხოვნებელი რელიგიის საოცრად მზარდი გავრცელება გამოიწვია.

ისევე, როგორც მრავალი ინდოევროპელი ხალხი (ირანელები, ინდოელები...), ბერძნებიც არ არიან იმ ადგილის თავდაპირველი მკვიდრნი, სადაც ისტორიულად ცხოვრობდნენ. მეცნიერებაში წარმოებდა დავა იმის გარშემო, თუ როდის და საიდან მოვიდნენ თვით ბერძნები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. რატომ ისმის ბერძენთა აუცილებელი გადმოსახლების საკითხი ისტორიულად ცნობილ მათს ტერიტორიაზე? რატომ არის გამორიცხული, რომ მათი წინაპრები ოდითგანვე ამ ადგილებში ცხოვრობდნენ? ამ შემთხვევაში ბერძენთა არაავტოქთონობის დამამტკიცებელი ძირითადი არგუმენტი ლინგვისტური ხასიათისაა. თანამედროვე ენათმეცნიერების აღმოცენების პირველიეე წლებიდან მოყოლებული სრულიად უცილობლად არის მიჩნეული, რომ ბერძნული ინდოევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნის. ამას ადასტურებს მისი ორგანული კავშირი ამ ჯგუფის სხვა ენებთან, რაც ბგერათა კანონზომიერი შესატყვისობების საფუძველზე გამოელენილ მრავალ ლექსიკურსა თუ გრამატიკულ შეხვედრაში ვლინდება. ე. ი. ოდესღაც ბერძენთა წინაპრებს უცხოვრიათ იქ, საიდანაც ნელ-ნელა დაწყებულა იმ ინდოევროპული ტომების განსახლება, რომელთაც თანდათანობით ჩამოაყალიბეს ბერძნულ, ხეთურ, ირანულ, ინდურ, სომხურ, ბალტიკურ, სლავურ, რომანულ, გერმანიკულ და სხვა ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხები. სად იყო ეს ოდინდელი წინარე სამშობლო – ზოგნი მას ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ათავსებენ, ზოგნი – არალისა და კასპიის ზღვებს შორის ან სამხრეთ ურალის სტეპებში. თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის უახლესი თეორიის მიხედვით, ინდოევროპელთა თავდაპირველი სამშობლო წინა აზიაში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, უნდა ვივარაუდოთ. როდის უნდა შემოსულიყვნენ ბერძნები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე? ერთნი ბერძენთა წინაპრებს აქ უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ხედავენ. უფრო პოპულარულია თეორია, რომლის თანახმად ელინთა წინაპრები ამ მხარეში ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან მკვიდრდებიან. თვით ბერძნები აღიარებენ, რომ ისინი აქ სხვა ადგილიდან მოვიდნენ და რომ მანამადე მათი ტერიტორიები წინარებერძნულ ტომებს – პელასგებს, ლელეგებს, კარიელებს, ეტეოკრეტელებსა და სხვებს ეჭირათ, რომელთა გამაერთიანებელი ცენტრი უნდა ყოფილიყო მინოსური კრეტა. ამ ტომთა ენები არ ყოფილა არათუ ბერძნული, არამედ არც ეკუთვნოდნენ ენათა ინდოევროპულ ოჯახს. ესეც ბერძენთა არაავტოქთონურ წარმომავლობას უჭერს მხარს. მიღებული აზრია, რომ ბერძნები ისტორიულ ასპარეზზე ნამდვილად ჩანან უკვე ძვ. წ. XVI საუკუნიდან მაინც. მათი დამკვიდრება თანდათანობით იწყეებდა მანამდე აქ მოსახლე ხალხების ბერძნებთან ასიმილაციას, რაც არ იყო მექანიკური პროცესი. ელინთაგან შევიწროებული წინაბერძნული მოსახლეობის ერთი ნაწილი, როგორც ამას თვით ბერძენი ავტორებიც გვიდასტურებენ, აიყარა და გადასახლდა ეგეოსის ზღვის სხვა კუნძულებზე და მცირე აზიის სანაპირო ზოლში, სხვებმა კი განიცადეს ასიმილაცია და ბერძნულ ეთნოსს შეერწყნენ.

ვიდრე უშუალოდ გადავალთ ბერძნული რელიგიური პანთეონის გაცნობაზე, უნდა შეეეხოთ წინარებერძნული ტომების რელიგიურ სურათს, რადგან იგი გარკვეულწილად ინარჩუნებდა ზეგავლენას მოსული ელინების მსოფლმხედველობის ცალკეულ ასპექტებზე. წინარებერძნულ რელიგიურ სამყაროს შესაძლოა ვუწოდოთ მინოსური რელიგია, რადგან კუნძულ კრეტაზე აღმოცენებული არქაული მინოსური ცივილიზაცია მთელი ეგეიდის სულიერ ცენტრად რჩებოდა, ვიდრე აქ არ დაიწყო ინდოევროპული ბერძნული ტომების მიგრაცია.

მინოსური რელიგია

მინოსური რელიგიის ქვეშ, როგორც ვახსენეთ, იგულისხმება წინარებერძნული ხალხების რელიგიური შეხედულებები, რომელთა ცენტრალური საცხოვრებელი კუნძული კრეტა იყო, თუმცა ისინი მახლობელ მცირე კუნძულებზეც სახლობდნენ. II ათასწლეულის დასაწყისისთვის აქ შეიმჩნევა დიდი ნახტომი კულტურული ცხოვრების ასპარეზზე. ეს გრძელდება ძვ. წ. XV საუკუნემდე, როდესაც მინოსური კულტურა მძლავრი ბუნებრივი კატასტროფების შედეგად, ფაქტობრივად, წყვეტს თავის განვითარებას. ყველა წიგნში კრეტული კულტურის შესახებ ცენტრალური ადგილი უჭირავს ცნება „მინოსურ სასახლეს". მართლაც, წინარებერძნული მოსახლეობა კრეტაზე გამორჩეული იყო გრანდიოზული სასახლეების მშენებლობის ტრადიციით, რომელთა შორის კნოსოს სასახლე გამოირჩეოდა. იგი წარმოადგენდა მთელი კუნძულის რელიგიური და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრს. მას ეჭირა უზარმაზარი ფართობი და მრავალრიცხოვანი ნაგებობების მთელ სისტემას ქმნიდა. როგორც ვახსენეთ, მიწისძვრების სერიამ ფატალური შედეგები მოუტანა მინოსურ ცივილიზაციას. ამ ყველაფერს თან ახლდა ვულკანური ამოფრქვევები. მართალია, მოსახლეობა გარბოდა კონტინენტურ ნაწილზე, მაგრამ ახალ აღორძინებას უწინდებური მასშტაბებით ვეღარ აღწევდნენ. აქ უფრო და უფრო ფართოდ მოდიოდნენ ინდოევროპელი ბერძნები, რომლებთან შერევას ვერ გადაურჩნენ მინოსური კულტურის მატარებელი ხალხები.

მინოსური კრეტა არ ყოფილა იზოლირებული ცივილიზაცია. იგი მჭიდრო ძაფებით იყო დაკავშირებული ხმელთაშუა ზღვის აუზის მრავალ სხვა ქვეყანასთან. თავის მხრივ, ძლიერი და სწრაფი ფლოტის წყალობით კრეტელებს ხელეწიფებოდათ, საკმაოდ ფართო არეალის ფარგლებში გაეერცელებინათ თავიანთი დახვეწილი კულტურის გავლენა. კრეტის ირგვლივ განლაგებული მრავალი კუნძული თვით წარმოადგენდა მინოსური კულტურის ერთგვარ ფილიალს და ერთდროულად გამავრცელებელს ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის მთელ რეგიონებში. ერთ-ერთი ასეთი კუნძული იყო თერა, მინოსური კრეტის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი. ამ კუნძულზე აღმოჩენილია უნიკალური მხატვრობა, რომელზეც ცისფერი მაიმუნებიც კია გამოსახული.

მართალია, სტიქიურმა კატაკლიზმებმა გაანადგურა კრეტის მინოსური კულტურა, მაგრამ იგი გახდა აქ მოსული ბერძნების კულტურაზე ზეგავლენის წყარო. მხოლოდ მინოსური კულტურის დაღმასვლის შემდგომ გამოვიდნენ ბერძნები აქტიურ ისტორიულ ასპარეზზე. მინოსურ კულტურას ბერძნულისგან მრავალი რამ განასხვავებდა. რელიგიის კუთხით აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მინოსური კულტურა, მიუხედავად რელიგიის საკმაოდ მყარი პოზიციებისა, ძირითადად ამქვეყნიური ცხოვრებისაკენ იყო ორიენტირებული, რაც ძველაღმოსავლურ კულტურებში არ შეიმჩნევა.

მინოსური რელიგიის შესწავლისას ვერ ვითვალისწინებთ მათს წიაღში არსებულ წერილობით მასალას, რადგან გაშიფრული არაა. ძნელია ზუსტად განსაზღვრა,

თუ რა ადგილი ეჭირა მინოსურ რელიგიაში ხეების, ქვისგან გამოკვეთილი სიმბოლოების კულტებს, გამოქვაბულებს – როგორც კულტმსახურების ადგილებს. ასევე რთულია მინოსურ რელიგიურ წარმოდგენებში ხარის კულტის ადგილის განსაზღვრაც. მან თავი იჩინა ბერძნულ მითებში ლაბირინთში დაბუდებული მინოტავრის შესახებ ამბავში. მინოსური რელიგიის ძირითად ღვთაებას დედაქალღმერთი წარმოადგენდა. მასთან დაკავშირებულ მსახურებაში, როგორც ჩანს, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა რიტუალურ ცეკვას, რომელიც ექსტაზის გზით ღვთიურ სფეროსთან შეხების საშუალებად გაიაზრებოდა. მაგრამ ღმერთების იკონოგრაფიული გამოსახულებების სიმცირე ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მინოსური რელიგია არ იყო პოლითეისტური. მხოლოდ შესაბამისი წერილობითი წყაროების გაშიფვრას შეუძლია გადაწყვიტოს ეს საკითხი საბოლოოდ. მინოსური დამწერლობა კი (A-ხაზოვანი დამწერლობა) ჯერჯერობით გაუშიფრავია ისევე, როგორც ბუნდოვანია, თუ საიდან მოვიდნენ კრეტელები.

მიწისძვრისგან დანგრეული კრეტის ერთ-ერთი ტაძრის ნანგრევებში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მამაკაცის ჩონჩხი. იგი საკურთხეველზე იწვა და, სავარაუდოდ, მიჯაჭვული იყო. ძვლებს შორის ·ჩარჭობილი ჰქონდა 40 სმ. სიგრძის დანა, რომლითაც იგი მსხვერპლად შეწირეს.

მინოსური რელიგიური ცხოვრების ირგვლივ გამოთქმულია ორი უკიდურესი პოზიცია. ერთის მიხედვით, მინოსური ცივილიზაციის თითქმის ყველა ნაგებობა, მათ შორის – დიდი სასახლეებიც, ყველა ფრესკული გამოსახულება კრეტაზე დაკავშირებულია კულტის სამყაროსთან და აქტიურად არის ჩართული რელიგიური ფუნქციის აღსრულებაში. მეორე თვალსაზრისის თანახმად, მინოსური კულტურა არ იცნობდა სპეციალურ სატაძრო ნაგებობებს და ადამიანები თავიანთ რწმენასა და ღვთაებრივ სფეროსთან კონტაქტის გზას გამოხატავდნენ უშუალოდ ბუნებაში, ე. წ. წმინდა გამოქვაბულებში, წმინდა ჭალებსა თუ მცენარეებთან.

მიკენური რელიგია

მიკენური კულტურა ბერძნული ცივილიზაციის პირველი ეტაპია. ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ბერძნები უეცრად აღმოჩნდნენ დიდი წინაბერძნული კულტურის, რომლის ცენტრსაც მინოსური კრეტა წარმოადგენდა, მემკვიდრეები. მათ შეითვისეს როგორც წინამორბედი კულტურის მიღწევები, ასევე, თვით დაუდეს დასაბამი ახალ ცივილიზაციას.

მიკენური პერიოდის ბერძნული რელიგიის შესწავლისას გასათვალისწინებელია როგორც არქეოლოგიური მასალა, ისე – წერილობითი წყაროებიც. რელიგიისადმი მხოლოდ არქეოლოგიური მიდგომის ერთ-ერთი აშკარა ხარვეზი იყო მინოსური და მიკენური რელიგიის აღრევა. საილუსტრაციოდ შესაძლოა გავიხსენოთ ერთ-ერთი ცნობილი წიგნის სათაური „მინოსურ-მიკენური რელიგია" (ნილსონი, 1927წ.). მინოსურში ჩვენ ვგულისხმობთ წინაბერძნული ტომების მიერ შექმნილ რელიგიურ ტრადიციებს, რაც უმეტესწილად განვითარდა კრეტასა და მიმდებარე კუნძულებზე, ხოლო მიკენურში საკუთრივ ბერძნული ტომების მიერ შექმნილ რელიგიურ სისტემას, რომელიც ბერძნული ცივილიზაციის უადრეს ეტაპად მიიჩნევა. მიკენისა და პილოსის ნანგრევები ბერძენთა ხელით ნაგები უძველესი არქიტექტურული ნაგებობებია. მიკენურ რელიგიას ღრმად ამჩნევია წინარებერძნული, არაინდოევროპული წარმოშობის ღვთაებათა კვალი. თითქმის ყველა ცნობილი ბერძნული ღვთაება, რომელნიც შემდეგ ოლიმპოელი ღმერთების ჯგუფში გაერთიანდნენ, მეტ-ნაკლებად სახეცვლილი ვარიანტით გვხვდებიან მიკენურ დოკუმენტებში. ფაქტობრივად,

ზევსი არის ერთადერთი ღმერთი, რომელიც საკუთრივ ბერძნულ ნიადაგზე იშვა. შემდეგ ქვეთავში ვნახავთ, რომ მისი სახელის ვარიაციული ფორმები დასტურდება სხვა ინდოევროპული ტომების მეტყველებაში. ზევსი უნდა ყოფილიყო მოწმენდილი ცის ღვთაება და კონტინენტურ საბერძნეთში მისი ხსენება უძველესმა ბერძნებმა შემოიტანეს. დანარჩენი ღმერთების სახელთა ეტიმოლოგიის გაშიფვრისას რელიგიის ისტორია გვერდს ვერ აუვლის ენათმეცნიერულ მონაცემებს, თუმცა მათზე დაყრდნობა ხშირად იძლევა ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს. უმეტეს შემთხვევაში, მიკენური დოკუმენტები არ გამოყოფს ღმერთის სახელს განსაკუთრებით. ამრიგად, მეცნიერების წინაშე დგებოდა საკითხი, ღმერთის იყო ესა თუ ის სახელწოდება თუ ადამიანისა? მიკენურ დოკუმენტებში მაინც განირჩევა ზევსის, პოსეიდონის, ჰერას, ჰერმესისა და სხვათა სახელები. ზოგი სახელის ბუნდოვანება ბადებს აზრს, რომ არსებობდნენ ჩვენთვის უცნობი მიკენური ღმერთებიც.

მიკენურ დოკუმენტებში ჩანს პოსეიდონის განსაკუთრებული მდგომარეობა. ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით, ის იყო უზენაესი ღმერთი, რომელიც ყოველწლიურად იღებდა შეწირულობებს. ამ ჩანაწერის თანახმად, ცამეტ მიწათმფლობელს შეწირული აქვს ხორბალი პოსეიდონისა და სამი უცნობი ღმერთისადმი, მაგრამ ყველაზე მეტი – პოსეიდონისათვის. გარდა ხორბლისა, მას სწირავდნენ ხარებს, ცხვრებს, თხებს, თაფლს, მატყლს, ქსოვილებს, ღვინოს. მსხვერპლშეწირვის რიტუალის აღწერისას ჩვენ ვხვდებით ტერმინ „მოახლეს". ესენი არიან, უეჭველია, ღვთაების მოახლენი, „ღვთისმსახურები". წარწერებში მოხსენიებული დღესასწაულებიდან მხოლოდ ორის სახელია ამოკითხული, თუმცა აქ ორაზროვნება არ გამოირიცხება. პილოსის ერთ-ერთ ფირფიტაზე ფიქსირდება არტემისის სახელი, სადაც მამაკაცთაგან ერთი მოიხსენიება, როგორც მისი მსახური. იმავე პილოსში აღმოჩენილი ერთ-ერთი ფირფიტის ჩანაწერი შესაძლოა აიხსნას, როგორც „საიდუმლო ზიარების" ცერემონია. როგორც წესი, თვით ცერემონიის დეტალები არ იწერებოდა, მაგრამ ხდებოდა ხოლმე შეწირული ნივთების აღნუსხვა სპეციალურ დავთარში. შესაწირთა შორის, გარდა მარცვლეულის, ზეთისა და პირუტყვისა, ნახსენებია მატყლიც. მატყლი იყო ნედლეული შალის ქსოვილისთვის. ქსოვილებიც დამოწმებულია შესაწირთა ნუსხებში, მაგრამ ძნელია, ვიმსჯელოთ, ეძღვნებოდა თუ არა მიკენურ ღვთაებებს, კლასიკური ღმერთების მსგავსად, საკულტო ტანსაცმელი.

მიკენური სამარხების გვერდით აღმოჩენილია ადამიანთა ძვლები, სავარაუდოა, რომ ეს იყო შეწირულ მსხვერპლთა ძვლები. ამ ვარაუდის დასამტკიცებლად მეცნიერებაში არ არსებობს საკმარისი საბუთები. ასეთი რამ რომც ყოფილიყო ფეხმოკიდებული, კლასიკურ პერიოდში იგი აღარ გვხვდება. ადამიანის მსხვერპლშეწირვის ფაქტებს ადასტურებს ჰომეროსის ტექსტი. მიკენის გარდაცვლილ მბრძანებლებს მდიდრულ განძს ატანდნენ საფლავში: ოქროს გვირგვინებს, ნიღბებს, სამკერდე ნიშნებს, სხვადასხვა ფორმის ოქროს ფიალებს, სამაჯურებს.

მიკენური პერიოდის ქვის საკულტო ფიგურები არ არის ცნობილი. როგორც ჩანს, საკულტო გამოსახულებანი მეტწილად ხისგან მზადდებოდა და, ალბათ, ამიტომაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. ანტიკური წყაროები გვიმოწმებს, რომ უძველეს პერიოდში არსებობდა ხის ქანდაკებები. სავარაუდოა, რომ ხის საკულტო ქანდაკებები ჰქონდათ მიკენელებსაც.

ჯ. ჩედვიკის მართებული შენიშვნით, „ყველაზე დიდ სიძნელეებს არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი „უტყვი" ნივთების ინტერპრეტაციის დროს რელიგიის სფეროში ვაწყდებით. ყველა მუზეუმში უხვადაა რელიგიური ხასიათის ბრინჯაოს ხანის ნივთები. ნებისმიერი ადამიანის გამოსახულება შეიძლება ღვთაების გამოსახულებად მივიჩნიოთ და ნებისმიერი გაურკვეველი დანიშნულების არქიტექტურული ძეგლი – ტაძრად". ამით ხაზგასმულია მიკენური რელიგიის შესწავლის ცდის საფრთხე საკუთრივ მატერიალური ძეგლების განხილვის ფონზე, თუ პარალელურად არ დავეყრდნობით წერილობით მონაპოვარსაც.

ბერძნული რელიგიის წყაროები

ბერძნული რელიგიის შესასწავლად არსებობს მდიდარი წერილობითი წყაროები. მათში სისტემური, ზოგჯერ გაბნეული სახით მოცემულია ბერძნული რელიგიის შესასწავლად აუცილებელი მითიური ისტორიები, ცალკეულ ღვთაებებთან დაკავშირებული ამბები, რიტუალები. ზოგადად, ბერძნული კულტურა იმდენად იყო აღბეჭდილი რელიგიური სულისკვეთებით, რომ როგორც ხელოვნების, ასევე წერილობითი ძეგლები (მხატვრული ეპოსის ჩათვლით) ატარებდა რელიგიურ ხასიათს. ბერძენთა ღვთაებებისა და უძველესი მითიური ისტორიების (ტროას ომი, ოდისევსის მოგზაურობა) გასაცნობად უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ჰომეროსის (ძვ.წ. VIIIს.) ეპიკურ პოემებს – „ილიადასა" და „ოდისეას". ორივე მათგანი ელინთა უძველესი ლიტერატურული ძეგლია და ზღვა ინფორმაციას შეიცავს არქაულ რელიგიურ სამყაროზე. ჰომეროსის შემდეგ უნდა დავასახელოთ ჰესიოდე, რომლის პოემა „თეოგონია" ბერძნული ღვთაებების წარმოშობისა და მათი ფუნქციების თაობაზე არსებული მასალის უნიკალური სისტემატიზაციაა. საზოგადოდ, ანტიკური მხატვრული ლიტერატურა (ტრაგიკოსები, აპოლონიოს როდოსელი, რომაელი პოეტები) მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის მითების, რელიგიური კულტებისა და დღესასწაულების შესახებ. წერილობითი ძეგლებიდან უნდა დავასახელოთ პავსანიასის, დიოდორე სიცილიელის, სტრაბონის, პლატონის, პინდარეს, პლუტარქეს და სხვა ცნობილი მოთოგრაფოსების, ისტორიკოსების, გეოგრაფების, ფილოსოფოსების თხზულებანი.

გარდა წერილობითი წყაროებისა, საკმაოდ მრავლადაა შემორჩენილი ტაძრების ნანგრევები, რომელთა შესწავლაც გვეხმარება ელინთა რელიგიის გაცნობაში. სხვადასხვა ღვთაების ქანდაკებები, საკულტო დანიშნულების ნივთები, რელიგიური ჭურჭელი და ნივთიერი მასალა, რომლებიც მრავლადაა აღმოჩენილი ძველი საბერძნეთის ამა თუ იმ რეგიონში, დღეს დაცულია ათენის, კორინთოს, ბერლინის, პარიზისა და ლონდონის უმდიდრეს მუზეუმებში.

წერილობითი წყაროების შესახებ საუბრისას ჩვენ, პირველ რიგში, დავასახელეთ ჰომეროსი და ჰესიოდე. მათთან უკვე გვხვდება საბერძნეთის სახელწოდება – ელადა. ჰომეროსი ამ სიტყვით საბერძნეთის ლანდშაფტს აღნიშნავდა, ბერძენთა მეორე დიდი პოეტი ჰესიოდე ელადას მთლიანად საბერძნეთს უწოდებდა, ხოლო ელინებს – ბერძენთა სხვადასხვა ტომს.

ბერძენთა თეოგონია და კოსმოგონია

ბერძნებთან სამყაროს შექმნა უკავშირდებოდა ღმერთების სახელს ისევე, როგორც ყველა ხალხის უძველეს რელიგიურ ცნობიერებაში. ბერძენთა რელიგიური პანთეონი ერთ-ერთი გამორჩეულია ღვთაებათა სიმრავლით, მათ შორის განაწილებულია სხვადასხვა ფუნქცია, მაგრამ ელინი ადამიანის წინაშე ჯერ საკუთრივ მათი წარმოშობა უნდა ახსნილიყო. ამგვარად, მოწესრიგდა და სისტემური სახით იქნა გადმოცემული ღმერთებისა და მათ მიერ კოსმოსის ფორმირების მითიური ისტორია. საინტერესოა მათი გაცნობა არა მხოლოდ ბერძენთა რელიგიის კუთხით, არამედ ზოგადად უძველესი ინდოევროპული რელიგიური ძირების აღსაქმელადაც.

ბერძენთა წარმოდგენით, თავდაპირველად არსებობდა უკიდეგანო ქაოსი – უსინათლო სივრცე, შემდეგ კი იშვნენ გეა – დედამიწა, ბნელი ტარტაროსი, რომელიც ღრმად იყო მოქცეული მიწის ქვეშ და ეროსი – სიყვარულის ღვთაება. ქაოსიდან გაჩნდნენ ერებოსი – წყვდიადი და ნიქსი – შავი ღამე, რომელთა შეწყვილებით იშვა ჰემერა – დღე. გეამ შვა ურანოსი – ცა, რათა მას დაეფარა დედამიწა ყოველი მხრიდან.

ღმერთთა პირველი მმართველი თაობის შექმნა ურანოსსა და გეასთან არის დაკავშირებული. ცა – მამრი ღმერთი და დედამიწა – მდედრი ღმერთი შეერთდნენ, რის შედეგადაც გეამ ქმარს უშვა თორმეტი შვილი – ექვსი ვაჟი: ოკეანოსი, კოიოსი, კრიოსი, ჰიპერიონი, იაპეტოსი, კრონოსი და ექვსი ქალი: თეია, რეა, თემისი, მნემოსინე, ფოიბე, თეტისი. ურანოსმა გეასგან ნაშობ თავის შვილებს ტიტანები უწოდა. მათ ხშირად ასევე ურანიდებად მოიხსენიებენ. გეამ შვა ასევე სამი კიკლოპი – შუბლზე ერთთვალიანი არსებები და სამი ასხელიანი გოლიათი. ურანოსმა მოიძულა გეას მიერ ნაშობი მისი შვილები და არც ერთს არ აძლევდა დღის სინათლის ხილვის საშუალებას – ყველა დედის წიაღში ჰყავდა გადამალული. გეა მძაფრად განიცდიდა ამას და ერთ დღეს შექმნა მტკიცე ლითონი – ადამანტი, რომლისგანაც ნამგალი დაამზადა. მან თავისი ნახელავი შვილებს აჩვენა და შეეცადა მათში მამის საწინააღმდეგოდ ბრძოლის სურვილი აღეძრა. ამ მოწოდებას უმრწემესი ძე კრონოსი აჰყვა და სწორედ მაშინ, როდესაც ურანოსი გეასთან სასიყვარულო განცხრომას ლამობდა, სამალავიდან კრონოსმა ნამგლის სწრაფი მოქნევით მოჰკვეთა მამას ნაყოფიერების ასო, რომელიც ძლიერად მოისროლა უკან. ურანოსის მოკვეთილი ასო ზღვაში ჩავარდა, სადაც მას წყლის ქაფი მოეკიდა და ამ ქაფიდან იშვა ქალღმერთი აფროდიტე (აფროსი ბერძნულად ქაფს ნიშნავს). ამ ქალღმერთმა შემდგომში ოლიმპოს უზენაეს ღმერთთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. ამავდროულად, სამყაროში ნელ-ნელა გაჩნდნენ ახალი ღმერთები – გეასა და ტიტანების ნაშობნი. მაგალითად, ტიტანთა – ჰიპერიონისა და თეიას – შეწყვილებით მოევლინა სამყაროს ჰელიოსი – მანათობელი მზე, სელენე – მთვარე და ეოსი – განთიადი; ოკეანოსის ასულის, სტიქსისგან, იშვნენ ძელოსი – სწრაფვისა და შურის ღმერთი და ნიკე – გამარჯვების ქალღმერთი და ა. შ. ამგვარად ივსებოდა კოსმოსი ღმერთებით, რომელთაც განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი ჰქონდათ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ სამყაროს მოევლინა მმართველ ღმერთთა ახალი თაობა.

ღმერთთა მეორე დიდი თაობის ცენტრში ურანოსის დამამარცხებელი, მისივე ძე კრონოსი აღმოჩნდა, რომელსაც ცოლად ჰყავდა საკუთარი და – რეა. მათი მმართველობა დიდხანს გაგრძელდა. ამ პერიოდში დედამიწაზე ცხოვრებას იწყებენ ადამიანები. მათი ცხოვრება აღსავსე იყო ნაყოფიერებითა და კეთილდღეობით, ხოლო მათი გარდაცვალება – საოცარი, ნეტარი გარდასახვა. მათთვის უცხო გახლდათ უსამართლობა, ომი, უსარგებლო დავა, რის გამოც ოქროს ხანის ადამიანებად იწოდებოდნენ. სამაგიეროდ, მძიმე იყო კრონოსისა და რეას შვილთა ხვედრი. თავის დროზე ურანოსმა უწინასწარმეტყველა ღმერთთა ახალ მეუფეს, რომ მას ძალაუფლებას საკუთარი შვილი წაართმევდა. კრონოსს ძალიან ეშინოდა ამის და როგორც კი რეა აჩენდა შვილს, კრონოსი მათ ყლაპავდა. რეამ რჩევისათვის თავის მშობლებს, გეასა და ურანოსს, მიმართა. ყურად იღეს ურანოსმა და გეამ სასოწარკვეთილი რეას თხოვნა და ურჩიეს, სამშობიაროდ წასულიყო კუნძულ კრეტაზე. რეა ასეც მოიქცა და კრეტაზე ღრმა გამოქვაბულში შვა თავის ძე – ზევსი, თავად კი დიდი ქვა გაახვია ჩვარში და ის გადასცა ქმარს, რომელმაც ახალშობილის ნაცვლად სწრაფად გადაყლაპა იგი. ამგვარად მოტყუვდა კრონოსი და მისგან მალულად იზრდებოდა ზევსი ნიმფების მზრუნველობის ქვეშ. ბოლოს დადგა ჟამი კრონოსისთვის სამაგიეროს მიზღვევისა. ზევსმა ეშმაკობით აჯობა მამას, რომელმაც ჯერ ზევსის მაგივრად გადაყლაპული ქვა ამოაგდო, შემდეგ კი რიგ-რიგობით სხვადასხვა დროს გადაყლაპული შვილები – ზევსის და-ძმანი. მათ მადლიერების ნიშნად აღიარეს, რომ ამიერიდან ზევსს ეკუთვნოდა სამყაროს მმართველობა. მაგრამ ტიტანთა მმართველობა არ აპირებდა უბრძოლველად მიეცათ ღმერთთა ახალი თაობისთვის ძალაუფლება. ისინი სასტიკად დაუპირისპირდნენ ზევსსა და მის მომხრეებს.

ახლოვდებოდა შეტაკების ჟამი კრონოსისა და ზევსის მომხრეებს შორის. ზევსი ცდილობდა ახლად მოპოვებული ძალაუფლების განმტიცებას სხვა უკვდავი

ღმერთების გადმობირების ხარჯზე, ამიტომ მან ოლიმპოს მთაზე მოიხმო ისინი და მიმართა: „უკვდავო ღმერთებო, თქვენ იცით, რომ უნდა დაიწყოს სასტიკი ბრძოლა ტიტანებსა და ოლიმპოს მფლობელთა შორის, ბრძოლა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, თუ ვის დარჩება ძალაუფლება სამყაროში. ვინც ჩემთან ერთად წამოვა ტიტანების წინააღმდეგ საბრძოლველად, ვპირდები, რომ არ ავყრი უფლებებს და შევუნარჩუნებ ყველა პატივს, რომელსაც ის ადრე ფლობდა უკვდავთა შორის. ხოლო თუ კი ვინმეს კრონოსის მმართველობის დროს არ ჰქონდა არც უფლებები და არც პატივი, იგი აუცილებლად მიიღებს მათ ჩემგან". ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ჩაფიქრებული ღმერთების ნაწილმა განიზრახა, ზევსის ბანაკს შეერთებოდა. მაგალითად, ტიტანმა ოკეანოსმა ცნო ზევსის უზენაესობა და თავის შვილებს ურჩია, მისი ერთგულნი ყოფილიყვნენ. ასე ამოუდგა ზევსს მხარში ოკეანოსის ასული სტიქსი თავისი ძეებით. ზევსმა არ დაუვიწყა ეს სტიქსს და იგი ღმერთთა უმთავრეს საფიცრად აქცია. სამაგიეროდ, ზევსს არ მიემხრო ტიტანი იაპეტოსი. დაიწყო ხანგრძლივი ომი ტიტანებსა და კრონოსის შვილებს შორის. ოლიმპოელთა (ანუ კრონოსის შვილების, რომელნიც ზევსის ირგვლივ იყვნენ გაერთიანებულნი) გამარჯვება განაპირობა გეას რჩევის გაზიარებამ, რომ ოლიმპოს მკვიდრთ გაეთავისუფლებინათ ტარტაროსში ურანოსისგან დამწყვდეული კიკლოპები და ასხელიანი გოლიათები (როგორც ზემოთ ვნახეთ, ისინი გეას შვილები იყვნენ). კრონოსის შვილებმა ისინი გაათავისუფლეს ტარტაროსისგან. მადლიერების ნიშნად კიკლოპებმა ზევსს მრისხანე იარაღი – ელვა და მეხი აჩუქეს, პოსეიდონს – სამკბილა, ხოლო ჰადესს – უჩინმაჩინის ქუდი. კიკლოპთა დახმარებით იძლივნენ ტიტანები, რომლებიც სამუდამოდ ჩაამწყვდიეს ტარტაროსში. ტარტაროსი მარადიული გარსით დაიფარა, რაც ტიტანებს გათავისუფლების ყოველგვარ იმედს უკარგავდა. ზევსმა დასაჯა ყველა, ვინც ღვთაებრივი ომისას ტიტანებს ემხრობოდა, მათ შორის – ტიტან იაპეტოსის ძე ატლასიც, რომელსაც ამიერიდან მუდმივად უნდა დაეჭირა ცის თაღი, რათა იგი არ დამარცხებოდა დედამიწას. სამაგიეროდ აღაზევა მომხრეები. მან გამარჯვება ზეიმით აღნიშნა, სადაც ოთხცხენშებმული ეტლითა და მეხით ხელში გამოცხადდა (უმეტესად ზევსს ამგვარად გამოსახავდნენ). გაიმართა მშვენიერი შეჯიბრებანი (ამის კვალობაზე დაფუძნდა ოლიმპიური ასპარეზობანი). ამ გამარჯვების მთავარი არსი იყო ის ფაქტი, რომ სამყაროს სათავეში მოვიდა ღმერთთა მესამე და ამასთანავე უმტკიცესი თაობა: კრონოსის ზეობა შეცვალა ზევსის მეუფებამ. პირველად ზევსმა სამი კოსმიური სკნელი გაანაწილა: პოსეიდონს ზღვის მეუფება მისცა, ჰადესს უხილავი ბნელეთის, თავად კი ირგუნა ცისა და მთელი სამყაროს მმართველობა.

ზევსი ხდება უნივერსალური ღმერთი – კოსმოკრატორი. ზევსისგან დასაბამს არაერთი სხვა ღვთაება იღებს. ზევსის პირველი ცოლი გახლდათ ოკეანოსის ასული მეტისი (აზრი). როგორც ზოგი წყარო გვამცნობს, თავის დროზე მეტისმა დაუმზადა ზევსს ის ჯადოსნური ნაყენი, რომლის დალევის შემდეგ კრონოსმა გადაყლაპული შვილები კვლავ უკან ამოიღო. მათი ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. გეამ და ურანოსმა კრონოსის ძეს ურჩიეს, როგორც კი მეტისს მისი პირველი შვილის გაჩენის დრო მოუწევდა, ზევსს გადაეყლაპა იგი, რადგან მისი შვილი ერთობ გონიერი იქნებოდა. ამიტომ რაუამს მეტისის მშობიარობის დრომ მოაღწია, ზევსმა იგი გადაყლაპა, გარკვეული ხნის შემდეგ კი ზევსის თავიდან იშვა ქალღმერთი ათენა, რომელმაც თავისი სიბრძნის წყალობით საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ზევსს საკუთარი დის – დემეტრესგან – ეყოლა მშვენიერი ასული პერსეფონე, რომელმაც თვით პირქუში ჰადესიც კი მოხიბლა და მიწისქვეშეთის დედოფლობა ხვდა წილად. ტიტან კოიოსის ასულმა ლეტომ უშვა ზევსს აპოლონი – ყველაზე მძლავრი ზევსის შვილთაგან, სინათლის ღმერთი, მფარველი მისანთა, ხელოვანთა, და არტემისი – ნადირობის, ტყის ცხოველთა მფარველი ქალღმერთი. ზევსის საბოლოო მეუღლის ადგილი დაიკავა მისმა დამ – ჰერამ, რომლისგანაც ზევსს შეეძინა არესი – ომის

ღმერთი. ზევსის თავიდან ათენას დაბადებამ განარისხა ჰერა და მან თავისით შვა ჰეფესტო – ცეცხლის, მჭედლობისა და ხელოსნობის ღმერთი. ზევსს ატლასის ერთ-ერთი ასულისგან ეყოლა ასევე ჰერმესი – ღმერთთა შიკრიკი, მოგზაურთა მფარველი, მიცვალებულთა სულების გამცილებელი. ზევსს შვილები ჰყავდა ასევე მოკვდავი ქალებისგანაც. განსაკუთრებით ცნობილია სემელესთან კავშირის შედეგად შობილი დიონისე – ღვინის, ნაყოფიერებისა და ექსტაზის ღვთაება და ალკმენესაგან გაჩენილი გმირი ჰერაკლე, რომელიც მამამ სიკვდილის შემდეგ გააღმერთა. ზევსი ცდილობდა, არ გაეზიარებინა მამის ბედი. იაპეტოსის შვილის, პრომეთეს, მისნობის შედეგად შეიტყო ვინაობა იმ ქალღმერთისა, რომელთან ქორწინებითაც მას მეტოქე ღვთაება შეეძინებოდა და თავიდან აიცილა ეს ქორწინება.

ზევსის უზენაესობის დროს გამოიკვეთა ელინთა 12 უმთავრესი ღმერთის სახელი. მათ ხშირად ოლიმპოელ ღმერთებსაც უწოდებენ ხოლმე. ესენი არიან: ზევსი, ჰერა, ათენა, პოსეიდონი, დემეტრე, აპოლონი, არტემისი, ჰერმესი, არესი, აფროდიტე, ჰეფესტო, ჰესტია. მათ შორის ზოგჯერ მოიხსენიებენ ჰადესსა და დიონისეს, თუმცა ამ უკანასკნელმა უარი თქვა, დამკვიდრებულიყო ოლიმპოს მთაზე. ამათ შორის ათენა, აპოლონი, არტემისი, ჰერმესი, არესი, ჰეფესტო ზევსის შვილებად გვევლინებიან.

ამგვარია უზოგადესი სურათი ბერძნული კოსმოგონიისა და თეოგონიისა. იგი მოწესრიგებული, სისტემური სახითაა მოცემული წყაროებში, უპირატესად – ჰესიოდეს „თეოგონიაში". ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილოთ ზემოთ მოთხრობილი თეოგონიური ისტორიის ცალკეული ასპექტები:

როგორც ვნახეთ, ბერძენთა წარმოდგენით, თავდაპირველად არაფერი არ იყო. ყოველივე გაჩნდა, მათ შორის – ქაოსიც. იგი გაიაზრებოდა ცარიელ ადგილად, ღიაობად, რომელიც, ამასთანავე, სამყაროს მთელი შემდგომი განვითარების პოტენციურ შესაძლებლობას შეიცავდა. მკაფიო არაა ის, გეა, ტარტაროსი და ეროსი თავისთავად წარმოიშვნენ, თუ ისინი ქაოსიდან შობილებად უნდა ჩავთვალოთ. გეა – დედამიწა, ალბათ, ერთდროულად პირველ ღმერთადაც უნდა მივიჩნიოთ, რადგან ქაოსს, როგორც წესი, არ მოიხსენიებენ ღმერთად. არაა ცნობილი ტერმინ ტარტაროსის წარმომავლობა. ფიქრობენ, რომ იგი წინაბერძნული ან აღმოსავლური ენებიდან უნდა იყოს ნასესხები. რაც შეეხება ეროსს, ის მომდინარეობს ზმნისგან „ერამაი" (მიყვარს). წყვდიადი და ღამე უკვე ნამდვილად ქაოსის შვილებად მიიჩნევა. მათ შორის თვისობრივი მსგავსებაა – სიბნელე, მაგრამ არის არსებითი განსხვავებაც: ერთი წარმოადგენს სინათლის ოპოზიციას, ხოლო მეორე – მხოლოდ დღისას. რაც შეეხება ურანოსს – ცას, იგი გეას წარმოქმნილია.

ბერძნული რელიგიის მიხედვით, ღმერთების პირველი თაობა, რომელიც მართავს სამყაროს, ურანოსისა და გეასგან იღებს სათავეს. ისინი ღმერთთა პირველი თაობის წარმომადგენელნი არიან. მათს შვილებს ურანიდებად მოიხსენიებენ, ხოლო თვით ურანოსი ყველას ტიტანს უწოდებდა. გამოირჩევა თორმეტი მთავარი ტიტანი. შესაძლოა ტიტანები თავდაპირველად განასახიერებდნენ ბუნების სტიქიებს ან მნათობებს. ტიტანი ოკეანოსი გაიაზრებოდა, როგორც წყლის უნაპირო დინება, რომელიც დედამიწას უელის გარშემო. ჰიპერიონი და მისი მეუღლე თეია მიიჩნეოდნენ დიდ მნათობთა სამყაროსთან დაკავშირებულ ღვთაებრივ ძალებად, თუმცა ბერძნულ ტრადიციაში ჰიპერიონს ხშირად აიგივებდნენ ჰელიოსთან. ტიტანთაგან ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურაა ასევე იაპეტოსი. დიდი ხანია არსებობს აზრი ბერძნული იაპეტოსისა და ბიბლიური იაფეტის შესაძლო ურთიერთკავშირის შესახებ. ამ ვარაუდს ამგვარად ასაბუთებენ: ა) სახელების მსგავსება, ბ) იაპეტოსის ძმა კრონოსი ახდენს მამის კასტრაციას. ზოგი გადმოცემით, შესაძლოა იგივე გაუკეთა იაფეტის ძმა ქამმა მამამისს, ნოეს, გ) ორივე გარკვეულწილად უკავშირდება წარღვნას: იაფეტი მამამისის, ნოეს, ხოლო იაპეტოსი შვილიშვილის, დევკალიონის, მეშვეობით, დ) იაფეტი წინაპარია მესოპოტამიიდან ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები ხალხებისა. იაპეტოსიც

გაიაზრება, როგორც აზიური ღვთაება. მის ძეს, პრომეთეს, სწორედ ამ მხარეში ჰყავს თაყვანისმცემლები.

ტიტანთა შორის გამოირჩეოდნენ კრონოსი და რეა, რომლებიც ღმერთების მეორე თაობის წარმომადგენლები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ზევსამდე არსებულ ღმერთებს შორის კრონოსი ყველაზე მეტად ცნობილი იყო, დღეს ძნელია, რაიმე ითქვას მისი ფუნქციისა და სახელის წარმომავლობის შესახებ. ანტიკური პოპულარული ეტიმოლოგიით კრონოსი იგივეა, რაც ხრონოსი, ანუ „დრო". ბერძნული რელიგიური ტრადიცია მის მიმართ გაორებული იყო. ერთი მხრივ, კრონოსი მიიჩნეოდა, როგორც შვილების დაუნდობელი მამა, ზევსისა და ოლიმპიელთა მტერი, მეორე მხრივ კი, როგორც ადამიანთა ყველაზე ბედნიერი არსებობის, ე. წ. ოქროს ხანის შემქმნელი ღმერთი. რაც შეეხება რეას, მისი კულტი წინარებერძნულია და მას უძლიერესი დედაღვთაების ფუნქციები გააჩნდა. ფრიგიაში მას აიგივებდნენ ერთ-ერთ აზიურ ქალღმერთ კიბელესთან, რის საფუძველზეც ამ ქალღმერთს რეა-კიბელეს სახელითაც მოიხსენიებდნენ. კრონოსისა და რეას მმართველობის ხანას განეკუთვნება ასევე ადამიანთა გამოჩენა ასპარეზზე. მათს შექმნაზე ინფორმაცია ბუნდოვანია. ყოველ შემთხვევაში, კრონოსის დროს ისინი უკვე არსებობდნენ. გვაქვს ზოგიერთი ცნობა, რომელთა თანახმად ადამიანების შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის პრომეთეს. კრონოსის ზეობისას ოქროს ხანის წარმოდგენებს შესაძლოა პარალელი დაეძებნოს კაცობრიობის გარკვეულ პერიოდებად დაყოფის ირანულ და ინდურ წარმოდგენებთან.

როგორც ვნახეთ, კრონოსისა და რეას მმართველობა იცვლება ღმერთთა მესამე და საბოლოო მონაცვლეობით. დინასტიური პრინციპი აქაც დაცულია. კრონოსს ცვლის მისივე ძე, მალულად შობილი და გაზრდილი ზევსი, რომელმაც საბოლოოდ დაიმკვიდრა ბერძენთა უნივერსალური ღმერთის ადგილი. ღმერთების თაობათა შორის ომი და ამ ომში უმცროსი თაობის გამარჯვება საერთო სიუჟეტია ძველი აღმოსავლეთის ბევრი ხალხისთვის (ხურიტული მითი „სიმღერა ულიქუმზე", ბაბილონური „ენუმა ელიში"). ოლიმპოელ ღმერთთა ბრძოლა ტიტანებთან, რაც ტერმინ ტიტანომაქიით აღინიშნებოდა, არსებითად წარმოადგენს ორ, ძველსა და ახალ თაობათა შორის დაპირისპირებას, რომელიც ამ უკანასკნელის ამბოხებით დაიწყო. ქვას, რომელიც კრონოსმა ამოაგდო პირიდან, საკმაოდ დიდხანს, თვით ახ. წ. მეორე საუკუნეშიც კი, აჩვენებდნენ დელფოში ჩასულებს. როგორც ჩანს, ეს იყო მეტეორული წარმოშობის ქვა, რომელიც სწრაფად იქცა რელიგიური ინტერპრეტაციის ობიექტად. ტიტანთა დამარცხების შემდეგ ზევსი ხდება უპირველესი ღმერთი, ოლიმპიური პანთეონის ცენტრალური ფიგურა.

ზევსი არის ბერძენთა ერთადერთი ღმერთი, რომლის სახელი აშკარად ინდოევროპულ ეტიმოლოგიას ატარებს. ინდოელთა ცის ღმერთს ერქვა „დიაუს პიტარ". ლათინური იუპიტერი წარმოადგენს დიესპიტერის ვარიანტს. ლათინურში „დეუს" აღნიშნავს „ღმერთს", „დიეს" – „დღეს", ხოლო ბერძნულში „ეუდია" – „მშვენიერ ამინდს". ზევსის თავდაპირველი ინდოევროპული ფუნქცია, ალბათ, უნდა გაიაზროთ, როგორც „ცის ნათელი". საბერძნეთში იგი უპირატესად ამინდის ღმერთად იქცა, შემდეგ, ნელ-ნელა შეითვისა სხვა ფუნქციები და ბოლოს გახდა უზენაესი ღმერთი. ასეთად წარმოგვიდგება იგი ჰომეროსიდან მოყოლებული, თუმცა შესაძლოა ზევსის უზენაესობა მიღებული ყოფილიყო მიკენურ პერიოდშიც. ზევსი ყველგან აღიარებული იყო, მას მთელ საბერძნეთში ეთაყვანებოდნენ. ზევსს გააჩნდა სამართლიანობისა და წესრიგის ფუნქციები. ორფეევსს მიეწერებოდა სიტყვები: „ზევსი დასაბამია, ზევსი არის შუა, ზევსისგან დასრულდება ყოველიეე". დოდონაში ქურუმები ამგვარად მიმართავდნენ მას: „ზევსი იყო, ზევსი არის, ზევსი იქნება". ამგვარად მომზადდა ბერძნულ აზროვნებაში ნიადაგი ერთი ღმერთის ტრანსცენდენტურობის თაობაზე, რამაც განაპირობა მაღალი ფილოსოფიური იდეების განვითარება.

ღმერთებისა და გიგანტების ბრძოლა – ბერძნული რელიგიის ისტორიაში მნიშვნელოვანი მომენტია ღმერთებისა და გიგანტების ბრძოლა. თუკი ტიტანებისა და ოლიმპოელების ბრძოლას ჰქონდა ღმერთების ძველსა და ახალ თაობათა შორის ბრძოლის ხასიათი, ოლიმპოელი ღმერთების ბრძოლა გიგანტებთან შესაძლოა შეფასდეს, როგორც დაპირისპირება ღმერთებისა ნახევრადღმერთებთან. ამ მითოლოგიურ ციკლსაც ადვილად დაეძებნება პარალელი უძველეს ინდოევროპულ რელიგიურ წარმოდგენებთან, რომლებიც სხვა ხალხთა გადმოცემებშიც დაფიქსირდა გარკვეული ვარიაციებით (გავიხსენოთ ღმერთებისა და ასურების დაპირისპირება ინდურ რელიგიაში, რაც აისახა ვედებში). ვინ იყვნენ გიგანტები? – გეას შვილები, რომელნიც მან ჩრდილოეთ საბერძნეთში მოავლინა. ისინი საოცარი სიძლიერით გამოირჩეოდნენ. გარეგნულად ზოგი მათგანი ადამიანისგან არ განირჩეოდა. ზოგს ტანი ჰქონდა ადამიანის, ხოლო ფეხების ნაცვლად გველის კუდი ება. სხვები ამა თუ იმ ცხოველისა და ადამიანის ნაჯვარის სახით წარმოგვიდგებოდნენ. ღმერთებისგან მათ განასხვავებდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ისინი არ იყვნენ უკვდავნი, ანუ შესაძლებელი იყო მათი მოკვლა. გიგანტები ღმერთების წინააღმდეგ აღძრა მათმა მშობელმა გეამ, რომელიც მართალია დაეხმარა ზევსს კრონოსის დამარცხებაში, მაგრამ განრისხდა ტიტანთა ტარტაროსში ჩამწყვდევის გამო. გეას შვილებმა, ოლიმპოს მკვიდრთა წინააღმდეგ ამხედრებულმა ვეება გიგანტებმა განიზრახეს, დაემხოთ ღმერთების ძლიერება. მათ დაუშინეს ცასა და ოლიმპოსს კლდეები და ცეცხლი. გიგანტებისგან მოგვრილი საფრთხე აშკარა იყო. ისინი განუსაზღვრელ ძალას ფლობდნენ, რითაც გეამ აღჭურვა, თუმცა ამ უკანასკნელს აზრად არ მოუვიდა ის, რომ შესაძლო იყო ღმერთებს დახმარებისათვის ადამიანები გამოეყენებინათ. მართლაც ამ მომენტიდან იკვეთება ღმერთების გვერდით გმირი ადამიანის სახე, რომელიც თავისი გონიერებით, სიმამაცით, გამჭრიახობით აღწევს გამარჯვებებს. ზევსმა დახმარებისთვის მიმართა თავის ძეს, ჰერაკლეს, რომელიც მოკვდავი ქალისგან ჰყავდა. სწორედ ჰერაკლე დაამარცხებს ერთ-ერთ გიგანტს, ალკიონევსს. გიგანტ პორფირიოსს, რომელმაც ჰერას წინააღმდეგ გაილაშქრა, ზევსი მიეშველება, მაგრამ აქაც დასჭირდება გმირ ჰერაკლეს დახმარება, რომელმაც ისრით განგმირა გიგანტთა მეთაური.

გიგანტების წინააღმდეგ ბრძოლაში მეტ-ნაკლებად ყველა ოლიმპოელმა ღმერთმა მიიღო მონაწილეობა (ისევე, როგორც ინდურ რელიგიაში ყველა ღმერთი ებრძვის ასურებს) – აპოლონმა (ჰერაკლეს დახმარებით დაამარცხა გიგანტი ეფიალტესი), დიონისემ, ჰეფესტომ, პოსეიდონმა, ათენამ (დაამარცხა გიგანტი პალასი, რომლის ტყავითაც ფარი გაიკეთა და ამიერიდან იწოდებოდა ათენა-პალასად). ჰერმესმა ჰადესისგან ითხოვა უჩინმაჩინის ქუდი და ასე დაამარცხა გიგანტი ჰიპოლიტოსი, არტემისმა კი ისრებით განგმირა გიგანტი გრატიონი. ოლიმპოელებმა დაამარცხეს საშინელი მტერი, მაგრამ გიგანტების განადგურების მერე მათ ახალი საფრთხე მოელინათ ურჩხულ ტიფონის სახით. ტიფონი კილიკიაში შვა გეამ. მას ასი გველის თავი ჰქონდა და თითოეული განსხვავებულ ხმებს გამოსცემდა. ტიფონმა საზარლად შეუტია ოლიმპოელებს. ისინი სხვადასხვა ცხოველად გარდაისახნენ და დაიმალნენ, მხოლოდ ათენას არ უცველია სახე. მისგან შერცხვენილმა ზევსმა დაიბრუნა ძველი იერი და შეებრძოლა ტიფონს, რომელსაც საბოლოოდ სძლია. ბერძენთა აზრით, ტიფონისგან გაჩნდა ამქვეყნად გამანადგურებელი ქარები. ამგვარად იქნა უკუგდებული გიგანტებისა და მათ შემდგომ ტიფონისგან აღძრული საფრთხე.

გიგანტები ღმერთების სისხლის მატარებლად მიიჩნეოდნენ. ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ გეას ეს შურისმაძიებელი შვილები ბევრი რამით ჰგავდნენ ღმერთებს, თუმცა უკვდავება არ ჰქონდათ მინიჭებული. სახელის – გიგანტის – ეტიმოლოგია უცნობია. მასში აშკარად გამოიყოფა ფუძე „გიგ" და კუთვნილების სუფიქსი – ანტ. ყველაზე ლოგიკური იქნებოდა, მათი სახელი გაგვეაზრებინა, როგორც „მიწის შვილები", „მიწისანი". გვიანდელი პერიოდის ბერძნები ცდილობდნენ გიგანტების არსში

გარკვევას. ზოგი მათ ველურ და ბუმბერაზ ხალხად წარმოიდგენდა. ყველა წყაროს შეჯამებით, ბერძნებმა გიგანტებში განაზოგადეს ყოველივე ის, რაც შეიძლებოდა ველურ და ძლიერ არსებებს ჰქონოდათ. ამგვარი არსებების შესახებ წარმოდგენები მრავალ ხალხში დასტურდება. ღმერთებისა და გიგანტების ბრძოლაში აშკარად წარმოჩინდება ცივილიზაციისა და უხეში ძალის დაპირისპირების მარადიული თემა.

ბერძენთა რელიგიური პანთეონი და მისტერიები

ბერძენთა რელიგიური პანთეონის გადატვირთულობასა და მრავალფეროვნებაზე წინა ქვეთავიდან საკმარისი დასკვნების გამოტანის საშუალება გვეძლევა. იქვე ითქვა, რომ საბოლოოდ გამოიკვეთა თორმეტი მთავარი ღმერთი, რომელთა სათავეშიც იდგა ზევსი. ოლიმპოელი ღმერთები სრულ ბრწყინვალებაში სუფევდნენ. მათ ურთიერთგაგება ახასიათებდათ, თუმცა ზოგჯერ კამათობდნენ კიდეც. ზევსს მარტო ტიტანები ან გიგანტები როდი უპირისპირდებოდნენ. ხშირი იყო შეთქმულება მის წინააღმდეგ საკუთრივ ღმერთების მხრიდანაც, მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევაში კრონოსის ძე გამარჯვებული გამოდიოდა. ბერძენთა ღმერთები სარგებლობდნენ ფართო შესაძლებლობებით, უკვდავებით, მოკვდავთა ცხოვრებისადმი მკაცრი კონტროლით. ისინი იბადებოდნენ, მაგრამ აღარ კვდებოდნენ. არცთუ იშვიათად ავლენდნენ ადამიანურ გრძნობებს (სიყვარული, ეჭვი, გულუბრყვილობა...). ღმერთების სამკვიდრებელი იყო არა მხოლოდ ოლიმპოს მაღალი მთა, არამედ ზოგჯერ მთელი რიგი ქალაქები, მხარეები, კუნძულები, სადაც ამა თუ იმ ღმერთს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. ოლიმპოელი ღმერთები გამოირჩეოდნენ გულუხვი ნადიმებით. ამგვარი ლხინისას მერიქიფეებად გვევლინებოდნენ ჰებე – სიჭაბუკის ქალღმერთი და განიმედე – მშვენიერი ყმაწვილი, რომელიც ზევსმა შეიყვარა და უკვდავება მიანიჭა. ისინი ღმერთებს ამბროსიით – რჩეული საკვებითა და ღვთაებრივი სასმლით – ნექტარით უმასპინძლდებოდნენ. ყველაფრის მიუხედავად, თვით ღმერთებიც ემორჩილებოდნენ ბედისწერის გარდაუვალ კანონებს (განსხვავებით მესოპოტამიური ღმერთებისაგან). მთელ საბერძნეთში (როგორც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ასევე მცირე აზიაში და კუნძულებზე) ადამიანები ღმერთების ღრმა რწმენასა და პატივისცემას გამოხატავდნენ: აგებდნენ მათი სახელობის ტაძრებს, საკურთხეველებს, აღავლენდნენ ლოცვას, მსხვერპლშეწირვას, მართავდნენ მათდამი მიძღვნილ საყოველთაო თუ საკრალურ მსახურებას (მისტერიებს).

თორმეტი ოლიმპოელი ღმერთის იდეა, როგორც ჩანს, ეხმიანებოდა ძველაღმოსავლურ, განსაკუთრებით ბაბილონურ წარმოდგენებს. ჰეროდოტეს ცნობით, პირველებმა ეგვიპტელებმა დაყვეს წელიწადი 12 ნაწილად და მათვე დააწესეს 12 ღმერთის სახელი. რიცხვი 12 მართლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ძველი სამყაროს წარმოდგენებში რიცხვთა სიმბოლიკის შესახებ. 12 იყო სრულქმნილი ციკლი, კოსმოსური წესრიგი. ძველ რომში 12 ოლიმპოელი ღმერთის სახელი დაუკავშირდა 12 თვესა და ზოდიაქოს წრის 12 თანავარსკვლავედს. ბერძნული ღვთაებები ხშირად უიგივდებოდნენ ხოლმე პლანეტებს, რომლებიც, თავის მხრივ, ძველაღმოსავლური ასტროლოგიური წარმოდგენების კვალად უიგივდებოდნენ რაიმე აბსტრაქტულ მოვლენას, მაგალითად, ზევსი – პლანეტა იუპიტერს, რომელიც განასახიერებდა კანონიერებას, აფროდიტე – პლანეტა ვენერას (სიყვარული), კრონოსი – სატურნს (მშვიდობა), სელენე – მთვარეს (ჯადოქრობა), ჰერმესი – მერკურს (სიბრძნე) და ა. შ.

თორმეტ ოლიმპოელ ღმერთს შორის მრავალი აღმოჩნდა ისეთი, რომელიც წინაბერძნული ტომების რელიგიურ ცნობიერებაში ასრულებდა მნიშვნელოვან

როლს. არსებითად, ზევსის გარდა, თითქმის არც ერთი ოლიმპოელის სახელი არ გვიჩვენებს ბერძნულ ან ინდოევროპულ ეტიმოლოგიას. ამის ახსნა შემდეგნაირად შეიძლება: ბერძნულენოვანმა ტომებმა მოახდინეს ეგეიდის უძველესი მოსახლეობის ასიმილაცია. ელინებმა შეითვისეს მათი კულტურა, რელიგიური წარმოდგენები. საკუთარი უზენაესი ღმერთი, ზევსი ჩასვეს წინაბერძნული სამყაროს რელიგიურ და მითოლოგიურ სისტემაში და იგი აქციეს უფროს ღმერთად.

1. ჰერა – ოლიმპოელი ღვთაებების სათავეში დგას, როგორც ზევსის მეწყვილე. იგი აშკარად ატარებს უძველესი წარმოშობის დედაღვთაების ნიშნებს. მისი სახელის ზუსტი ეტიმოლოგია, მიუხედავად ვარაუდების არსებობისა, უცნობია. ჰერას სახელი უკვე ფიგურირებს მიკენურ ტექსტებში, რაც მიგვანიშნებს, რომ იგი საკმაოდ ადრე მოხვდა ბერძნულ პანთეონში. ჰერას ზოომორფულ წარსულზე უნდა მეტყველებდეს მისი ეპითეტი „ხარისთვალება" და ისიც, რომ მას მსხვერპლად სწირავდნენ ძროხას, ხოლო არგოსში საერთოდ ძროხის სახით სცემდნენ თაყვანს. მიუხედავად არქაულობისა, ჰერამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ბერძნულ რელიგიაში, როგორც ჭეშმარიტად ბერძნულმა ღვთაებამ. იგი მრავალი ქალაქისა და გმირის მფარველად ითვლება. ჰერა წყალობს იასონს არგონავტების ლაშქრობისას, ხოლო ტროას ომში იგი აქაველების შემწეა. ოლიმპოს უზენაესი ღმერთქალი ქალთა შემწყნარებელი ღვთაება იყო. ქორწინების დღეს ქალწულები ლოცვას აღავლენდნენ ჰერასადმი. იგი ზრუნავდა დედებზე და იფარავდა ქვრივებს. ჰერა ქორწინების მფარველ ღვთაებად ითვლებოდა, ამიტომ ცნობილი იყო ეპითეტით – ჰერა გამელია. ჰერას თითქმის ყველა ტაძარში ჰქონდა ტაძარი ან საკურთხეველი, რომლებსაც ჰერაიონებს უწოდებდნენ. ოლიმპიაში, სადაც ჰერას უძველესი ტაძარი მდებარეობდა, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იმართებოდა ქალწულთა აგონიები, დიდი ბერძნული ზეიმები. უძველეს ხანებში მის განსახიერებად ითვლებოდა ხის კუნძი ან ბოძი, მოგვიანებით მას გამოსახავდნენ დიდებული სილამაზის ქალბატონად. კრეტაზე ზეიმობდნენ ჰერასა და ზევსის „წმინდა ქორწინებას". რომაულ რელიგიაში ჰერას განასახიერებდა იუნო. ზევსს ჰერასგან ჰყავდა არესი, ჰეფესტო და ჰებე.

2. აფროდიტე – ერთობ პოპულარული ოლიმპოელი ღვთაება. მასთან დაკავშირებულია მრავალფეროვანი მითები, რომლებიც გადმოცემულია სხვადასხვა ბერძენი და რომაელი ავტორის მიერ. მისი დაბადების ორი ვერსიიდან ცნობილი და მიღებულია მეორე, რომლის თანახმად ამ ღვთაების წარმოშობა უკავშირდება ზღვის ქაფს.

აფროდიტეს სახელი არ მოიხსენიება მიკენურ დოკუმენტებში. მკვლევართა ერთსულოვანი აღიარებით, ამ ტერმინის ჰესიოდესთან წარმოდგენილი ხალხური ეტიმოლოგია (ბერძნულად „აფროს" – ქაფი) არ უნდა იყოს მისაღები. ჩანს, ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ სემიტური ასტარტე ან სხვა რომელიმე მედიტერიანული ქალღმერთის სახელი ელინიზებული ფორმით. მეცნიერებაში არ არის თანხმობა იმის თაობაზეც, თუ სად და როდის უნდა შემოსულიყო აფროდიტეს კულტი საბერძნეთში. დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნევდნენ, რომ იგი წარმოადგენდა ძველი სემიტური ღვთაების – იშთარ-ასტარტეს – ბერძნულ ვარიანტს და ელინურ პანთეონში მისი შემოსვლა პოსტმიკენური ეპოქით უნდა განსაზღვრულიყო. ამ ქალღმერთის ფინიკიურ წარმომავლობაზე თავად ჰეროდოტეც მიუთითებდა. პარალელები ამ შემთხვევაში უხვად დაიძებნება. ორივე ქალღმერთი მოიხსენიება ზეციურად. ასტარტეს კულტისათვის დამახასიათებელია მტრედთა შეწირვა, რაც მხოლოდ აფროდიტესთვისაა ნიშანდობლივი; იშთარი ერთდროულად მებრძოლი ღვთაებაა ისევე, როგორც აფროდიტე. მათს მსგავსებაზე მიუთითებს ისიც, რომ ორივე სატაძრო პროსტიტუციას უკავშირდება, ასევე, ორივე კულტისათვის დამახასიათებელია ბისექსუალობა.

აფროდიტესეული სიყვარულის ძალა კოსმიური ხასიათისაა. იგი ითვლება

ნაყოფიერების, მარადიული გაზაფხულის, სიცოცხლის ღვთაებად. ამას მოწმობს მისი ზედწოდებები. აფროდიტეს ყვავილებია ვარდები, იები, იაკინთები. ჰერას მსგავსად, ისიც ითვლებოდა ქორწინებისა და მშობიარობის მფარველ ქალღმერთად. მისი საკულტო ადგილები იყო კვიპროსი და კითერა, ასევე, კრეტა, ბეოტია, სიცილია. რომში აფროდიტეს ეწოდებოდა ვენუსი. უძველეს დროში მას წარმოსახავდნენ გრძელი სამოსით, ზოგჯერ კი – ნახევრად შიშველს. მისი საყოველთაოდ აღიარებული ქანდაკება შექმნა ათენელმა მოქანდაკე პრაქსიტელესმა (ძვ. წ. IV ს.), რომლის ორიგინალი დაიკარგა, მაგრამ შემორჩა უამრავი ასლი. აფროდიტეს შვილებიდან უნდა დავასახელოთ ჰერმაფროდიტოსი – ორსქესა არსება, როგორც იდეა მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლისა, რაც იმ ეპოქაში ყალიბდებოდა.

3. ჰესტია – ოჯახური კერიის მფარველი ღვთაება. მისი ფუნქცია აშკარაა საკუთრივ სახელის ეტიმოლოგიით. estia „კერიას", „ოჯახს", „საკურთხეველს" აღნიშნავს. იგი მფარველობს მარადიულ ცეცხლს, იმ საწყისს, რომელიც აერთიანებს ღმერთთა სამყაროსა და ყოველ ოჯახს. ეს მარადქალწული და ზნეკეთილი ღვთაება შეურყვნელი კოსმოსის სიმბოლოა. ჰესტია თავიდანვე მიიჩნიეს რა ცეცხლის განსახიერებად, ვერ დაუკავშირეს მითოლოგიურ სიუჟეტებს, ამიტომ მას ძუნწად მოიხსენიებენ ბერძენი ავტორები, იშვიათად გვხვდება ჰესტიას ქანდაკებები და ფერწერული ნიმუშები. მისი კულტი ფართოდ გავრცელდა რომში, სადაც მას ვესტას უწოდებდნენ.

ჰესტია სარგებლობდა საყოველთაო სიყვარულით არა მხოლოდ იმიტომ, რომ იყო ყველაზე კეთილი, სამართლიანი და გულმოწყალე მაღალ ღმერთთა შორის, არამედ იმის გამოც, რომ ოჯახის ბედნიერებაც მისი მფარველობის ქვეშ მოიაზრებოდა. ჰესტიას ცეცხლი იმდენად წმინდა იყო, რომ ჩაქრობისთანავე უმალ ანთებდნენ. იგი არ უნდა განელებულიყო, ამიტომ ვერ შორდებოდა კერიას ჰესტია და ვერ მონაწილეობდა სხვა ღვთაებრივ საქმეებში.

4. დემეტრე – ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების ღვთაება, რომლის სახელთანაა დაკავშირებული სახელოვანი ელევსინის მისტერიებიც. იგი კრონოსისა და რეას ასულია, ზევსის და. მის უძველეს ქთონურ წარმომავლობაზე სახელიც მიუთითებს: დე-მეტერ, რაც ბერძნულად სიტყვასიტყვით ნიშნავს „დედამიწას" (meter – დედა, da, de, ge – მიწა). არის სხვაგვარი ეტიმოლოგიის ცდებიც. დემეტრე, როგორც ჩანს, უძველესი მედიტერანული ღვთაების ბერძნული ეკვივალენტი იყო, რასაც ადასტურებს უახლესი გათხრები. მისი საკულტო სახელებია „კარპოფორა" („ნაყოფთა მომძღვნელი"), „თესმოფორა" („კანონმდებელი"), ქლოე („ბალახი", „მწვანილი"), „სიტო" („პური", „ფქვილი"). დემეტრემ ასწავლა ადამიანებს ხვნა-თესვა. ქვემოთ მოთხრობილია დემეტრესთან დაკავშირებული მითები, რომლებსაც ელინურ სამყაროში ღრმა ალეგორიული განმარტება ჰქონდა. ისინი ელევსინურ მისტერიებს დაედო საძირკვლად.

მითის თანახმად, დემეტრეს ზევსისგან ჰყავდა ულამაზესი ასული პერსეფონე. ზევსმა ჰადესს – ქვესკნელის ღვთაებას – აღუთქვა ცოლად პერსეფონე, სიცოცხლით აღსავსე ქალწული, რასაც ეწინააღმდეგებოდა მისი დედა. ერთხელ პერსეფონე მონდორში გავიდა, სადაც აკრძალული ჰქონდა ყვავილების კრეფა, ვინაიდან მათს სურნელში ფარული ვნება იმალებოდა. მაშინ მიწამ აღმოაცენა ულამაზესი ყვავილი, ოქროს ფერებით გაბრწყინებული, ალივით მოელვარე. პერსეფონე მიუახლოვდა ყვავილს, მისმა სურნელმა გააბრუა, თვალში ბინდი ჩაუყენა. ამ დროს მიწა გაიხსნა, საიდანაც შავმა ცხენებმა ოქროს ეტლი ამოუშვა, რომელსაც მიცვალებულთა მბრძანებელი ჰადესი მართავდა. მან მოიტაცა პერსეფონე. გონზე მოსულმა ქალწულმა მშველელს მოუხმო, მაგრამ მისი ხმა არავის გაუგია. ქვესკნელში გაუჩინარდა ეტლი, მხოლოდ მზემ, ღმერთმა ჰელიოსმა მოჰკრა მას თვალი. თუმცა იყო კიდევ ერთი,

ვის ყურსაც მისწვდა პერსეფონეს სმა – ეს იყო მისი დედა, ღვთაება დემეტრე. იგი ოლიმპოდან ჩამოვიდა დედამიწაზე და დაიწყო შვილის ძებნა. ყველას ეკითხებოდა მის ამბავს, მაგრამ ვერც ადამიანი და ვერც ფრთოსანი სანუგეშოს ვერაფერს ეუბნებოდა. ცხრა დღე და ღამე დაეძებდა დემეტრე პერსეფონეს მღვიმეებში, ფუღუროებში, ნანგრევებში. მეათე დღეს ჰელიოსს მიაკითხა, რომელმაც ამცნო:

– დემეტრე შენს მწუხარებას მეც განვიცდი, რაშიც დამნაშავეა ზევსი. მან შენი შვილი ცოლად აღუთქვა ჰადესს, თავის ძმას. სწორედ ჰადესმა მოიტაცა პერსეფონე და ახლა იგი ნისლით მოცული უკუნეთის დედოფალია. უნდა დაძლიო კაეშანი, დიადო ღმერთქალო. ნუთუ შენს ძმას სიძედ იუკადრისებ? იგი განაგებს იმ სამყაროს, რომელიც წილად ხვდა.

კიდევ უფრო შეწუხდა დემეტრე, ზევსზე განრისხდა. მიატოვა ოლიმპოს ღმერთების ნათელი საბრძანებელი, უბრალო მოკვდავის სახე მიიღო და დიდხანს დაეხეტებოდა ქალაქიდან ქალაქში. გაუდაბურდა დედამიწა, ფოთლები დაჭკნა, ყანები დაცარიელდა და გახმა ვენახი, ჩაკვდა სიცოცხლე. დაღუპვა ელოდა ადამიანთა მოდგმას, მაგრამ არაფერი ესმოდა და ვერაფერს ხედავდა საყვარელი ასულის დაკარგვით შეწუხებული დემეტრე.

ბოლოს ქალღმერთი ელევსინს მიადგა. ქალაქის მახლობლად წყაროსთან ჩამოჯდა. ქვას, რომელზეც იგი იჯდა, „მწუხარების ქვა" უწოდეს შემდეგ. ბოლოს წყაროსთან ელევსინის მეფე კელეოსის ასულები მოვიდნენ და ქალს დარდის მიზეზი ჰკითხეს. დემეტრეს კაეშნის მიზეზი არ გაუმხელია, თუმცა ისე მოეწონათ მეფის ასულებს, რომ მათი ახალშობილი ძმის ძიძობა შესთავაზეს, რაზეც დემეტრემ თანხმობა განაცხადა. ამგვარად აღმოჩნდა უბრალო ქალის სახელს ამოფარებული ოლიმპოელი ღვთაება კელეოსის სასახლეში, სადაც გრძნეული საშუალებებით ფარულად ზრდიდა მეფის ძეს. იგი ბავშვს ღამღამობით საიდუმლოდ გახურებულ ღუმელში აწვენდა, რათა მოკვდავთა ყველა თვისება, რაც მასში იყო, ალს დაეფერფლა. ბავშვი დღითიდღე იზრდებოდა. ღმერთების მსგავსად, უკვდავებასაც ეზიარებოდა, რომ ერთ ღამეს მისი ღუმელში ჩაწვენისათვის თვალი არ შეესწრო კელეოსის ცოლს. მან ეს ყველაფერი ყრმის საზიანოდ მიიჩნია და შეიცხადა. მისი შეშფოთების პასუხად დემეტრემ ამაყად განაცხადა: ადამიანებს როდი შეგიძლიათ ბედნიერების ან უბედურების წინასწარგანჭვრეტა. რაც ჩაიდინე უგუნურებით, მას ვერარ გამოასწორებ. მე შემეძლო შენი შვილი უკვდავი გამეხადა, ახლა კი სიკვდილს ვერ გაექცევა, თუმცა გარდაუვალი პატივით შეიმოსება, რადგან ჩემს მუხლებზე ეძინა. მე დემეტრე ვარ, ყველასგან პატივდებული ღვთაება. ახლა ვბრძანებ, ამიგოთ ტაძარი და მის კედლებში აღმიმართოთ საკურთხეველი. დღესასწაულსაც დავაწესებ, რათა თაყვანი მცენ წესის მიხედვით.

თქვა თუ არა ქალღმერთმა ეს სიტყვები, მარადიული, დაფარული სილამაზე გამოასხივა, მიმოაფრქვია ოლიმპიური სურნელება და გაქრა. დედოფალი გონს რომ მოეგო, ღვთაების ნების აღსრულება ბრძანა. მალე ააგეს დიდებული ტაძარიც და საკურთხეველიც. დემეტრე გამოცხადდა ამ ტაძარში და ძვირფას ასულზე დარდით აღსავსე განმარტოებით, ღმერთთაგან მოშორებით დაბინავდა მასში. ღმერთები ოლიმპოდან შიკრიკთა მეშვეობით ამაოდ ცდილობდნენ მის ოლიმპოზე დაბრუნებას. დემეტრე მკაცრად აცხადებდა ყველას წინაშე, არ დავბრუნდები ოლიმპოზე, ხოლო მიწაზე ერთი ნაყოფიც არ აღმოცენდება, ვიდრე ჩემს ქალიშვილს არ ვიხილავ.

მაშინ ზევსმა თავის ძმა ჰადესს სწრაფი ჰერმესი მიუგზავნა, რათა მას დაეთმო პერსეფონე. პირქუშმა ჰადესმა თანხმობა განაცხადა, მაგრამ განშორებისა ამ ბროწეულის ნაყოფიდან რამდენიმე მარცვალი გადააყლაპა მას, რითაც სამუდამოდ დაუკავშირა აჩრდილთა საუფლოს. იგი დროებით დაემშვიდობა პერსეფონეს, რომელიც ეტლით სწრაფად მიჰგვარეს დემეტრეს. სიხარულით აღსავსე დემეტრემ ასე მიმართა თავის ასულს: ჩემო ასულო, ზღვათა სივრცეებს აღემატება ჩემი სიხარული.

მსურს ჩემთან დარჩე მარად, შენი მამის ღრუბელთმეუფე ზევსის საბრძანებელში, მაგრამ თუ ჰადესში იგემე რაიმე ხილი, წლის ერთ მესამედს ისევ ქვესკნელში გაატარებ ორს ჩემთან ერთად. გაზაფხულის ჟამს, ყვავილები რომ დაფარავენ შავ დედამიწას, სწორედ მაშინ მოევლინები ამ ქვეყანას, ვით ცისიერთა და მიწიერთა გასაოცარი მშვენება.

გაიხარა დიდმა დემეტრემ, მიწას ნაყოფიერება დაუბრუნა. ამწვანდა და ნაყოფიერი გახდა მთელი ქვეყანა, ბუნება ზეიმობდა. რამდენადაც დიდი იყო მისი სიხარული, იმდენად უფრო მძიმე იყო მწუხარება ძვირფას ასულთან განშორების ჟამს. ისინი ისევ ეთხოვებოდნენ ერთმანეთს, თითქოს შეხვედრა აღარ ეწერათ. იმ დღიდან მოყოლებული, შვილთან გამოთხოვების ჟამი რომ მოაწევს, დემეტრე ისევ ტოვებს ხოლმე ველებს, მინდვრებს, ბაღებს, ვენახებს, დგება ზამთარი, ბუნება კვდება, რათა კვლავ აღორძინდეს, როდესაც ჰადესის უსიხარულო სამეფოს წიაღიდან თავის დედას უბრუნდებ პერსეფონე. მას კი მოჰყვება გაზაფხული.

როდესაც დემეტრე ელევსინს ტოვებდა, რათა ოლიმპოს სავანეს დაბრუნებოდა, მთელი სამეფო ოჯახი იხმო და თესლიდან მცენარის აღმოცენების უდიდესი საიდუმლო გაანდო, თანაც დასძინა: უწმინდესია ეს საიდუმლო, არ უნა გათქვათ, უკვდავთა დიდი წყალობის წილ დადუმდება ბაგე. ვინც საიდუმლოს ეზიარება, ბედნიერი იქნება სამარადჟამოდ!

მიმრჩილების ნიშნად ყველამ მდაბლად დაუხარა თავი. მეფე კელეოსი შეევედრა მუდამ იხარე! გვიბოძე წარმატება და თანხმობა, აღმოაცენე ბალახი და ხე მსხმოარე, გამოზარდე პირუტყვი, მიეცი ვაშლს წვენი, თავთავს – სიმწიფე, ქვეყანას – სიტკბო, რათა მოიმკას მან, ვინც დათესა.

მამას შემდეგ ყოველწლიურად, სექტემბერში, ათენიდან ელევსინისკენ მიემართებოდა პროცესია. ქურუმები, წარჩინებულნი, მოქალაქენი, მონანი თუ უცხოელნი მისდევდნენ ურმებს, რომლებითაც მიჰქონდათ საიდუმლო სიწმინდეები, ღმერთთა უძველესი გამოსახულებები და სიმბოლოები. ხანგრძლივი მარხვის მერე საიდუმლოს ზიარებულნი იწყებდნენ წესის აღსრულებას. სულ ბოლოს მათთვის იხსნებოდა ბჭე ტელესტერიონისა. ეს იყო თეატრის მსგავსი დიდი დარბაზი. მას სამი მხრიდან გარს ერტყა კლდეში ნაკვეთი სავარძლის მწკრივები, ხოლო სცენაზე იდგმებოდა დრამა, რომელიც დემეტრეს ტანჯვის „ეტაპებს" წარმოადგენდა. ნარგიზების გვირგვინით პერსეფონე ჰადესთან ერთად იჯდა სამეფო ტახტზე მიწისქვეშეთის სულთა გარემოცვაში. წარმოდგენის ბოლოს ციერნი სიხარულით ესალმებოდნენ დედასთან დაბრუნებულ შვილს.

ზემოთ მოთხრობილ მითში, სადაც დემეტრესა და პერსეფონეს ამბავია გადმოცემული, აისახა სიკვდილისა და სიცოცხლის მარადიული ბრძოლა: წლის იმ ორი მესამედის მანძილზე, როდესაც დემეტრესთან არის მისი ასული, ბუნება ხარობს. წლის ერთ მესამედს პერსეფონე ჰადესში ატარებს, შესაბამისად, ბუნება კვდება. მიწის ნაყოფიერება არ მოიაზრება მსხმოიარე სამყაროს სიკვდილის გარეშე. ბროწეული, რომელსაც იგემებს პერსეფონე, ნაყოფიერების სიმბოლოა, მაგრამ ამ ხილის მფლობელი ხეკვდილის ღვთაება ჰადესია. საბერძნეთში იმართებოდა დემეტრეს სადიდებელი საყოველთაო დღესასწაულები – თესმოფორიები. ამ ზეიმების დროს დემეტრესა და პერსეფონეს ერთად სცემდნენ თაყვანს, როგორც ნაყოფიერების ძალის მომნიჭებელ ღვთაებებს. მათ „ორ ღმერთქალად" მოიხსენიებდნენ და იფიცებოდნენ „ორ ღმერთქალის" სახელით.

დემეტრესადმი მიძღვნილი მთავარი წმინდა ადგილი იყო ელევსინში, სადაც სექტემბრის თვეში, ცხრა დღის განმავლობაში, იმართებოდა ელევსინური მისტერიები. ეს იყო დემეტრეს, გლოვის სიმბოლური წარმოსახვა. ამ მისტერიებს ზიარებულებს სწამდათ, რომ გრძნობდნენ ცოცხალი და მკვდარი სამყაროს იდუმალ კავშირს, რაც იწვევდა ამათს სულიერ განწმენდას (მისტერიის არსზე იხილეთ ამავე

წიგნის ქვეთავი – ორფიზმი). ათენის ძველ საგვარეულო ოჯახებს მემკვიდრეობით ენიჭებოდათ ელევსინურ მისტერიებში მონაწილეობისა და საიდუმლოს შენახვის უფლება. მაღალ ღვთაება დემეტრეს უშენებდნენ დიდებულ ტაძრებსა და საკურთხეველებს. მას მსხვერპლად სწირავდნენ ხარებს, ღორებს, ფიჭას, ხორბალს, ყაყაჩოს. რომში დემეტრეს კულტი შეერწყა იტალიური ღვთაების – კერესის – კულტს. მხატვრები და მოქანდაკენი დემეტრეს წარმოსახავდნენ მაღალ, მშვენიერ ქალად, რომელსაც ამკობდა დიდებული თმა.

ჰადესის მიერ პერსეფონეს მოტაცების ამბავში სიმბოლურად აისახა, თუ როგორ გადავიდა მამაკაცთა ხელში მიწათმოქმედების ფემინისტური მისტერიები. პერსეფონე თავის თავში აირეკლავს ძველაღმოსავლური წარმომავლობის მომაკვდავი და კვლავ გაცოცხლებული ღვთაებების (თელიფინუ, ინანა-იშთარი) კვალს. დემეტრეს სურვილი, დაეტოვებინა მიწა მოსავლის გარეშე, მითის ერთ-ერთი გავრცელებული ვარიანტია. ეს არის სიმბოლური წარმოსახვა ბუნების კვდომისა, რომელიც აღდგომილი წონასწორობის შემდეგ ისევ უნდა აღორძინდეს. არქაულ ეპოქაში არსებობდა ტაბუ წითელი ფერის საკვებზე, რომელიც მხოლოდ მიცვალებულთათვის იყო განკუთვნილი. ამის გამოვლენაა პერსეფონეს მიერ ბროწეულის მარცვალთა მიღება ქვესკნელში.

დავუბრუნდეთ კვლავ ელევსინის მისტერიებს. მათ შესახებ მწირმა ინფორმაციამ მოაღწია და ეს გასაგებია. ელევსინების მონაწილენი თავიდანვე დებდნენ ფიცს, რომ არავის უამბობდნენ ნანახსა და გაგონილს. მკვლევრები ცდილობდნენ, მოღწეულ ინფორმაციათა ანალიზის საფუძველზე გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ ამ იდუმალებით მოცულ ზეიმზე. დადგენილია, რომ ძვ. წ. VI საუკუნეში ათენში ელევსინურმა მისტერიებმა ოფიციალური სტატუსი მიიღო, თუმცა მათი სათავე შორეულ წარსულშია საძიებელი. ძველების აზრით, საიდუმლო ზიარებები ეგვიპტიდან შემოიტანა ლეგენდარულმა პოეტმა ორფევსმა (დაწერილებით იხილეთ ქვეთავი – ორფიზმი).

მისტერიის ძირითადი პირობა იყო ე.წ. რელიგიური დუმილი, რაც არის მიზეზი მის შესახებ მცირე ინფორმაციის არსებობისა. მისტერიულ ზიარებას, რომელსაც წინ უძღოდა საკულტო ცერემონიები, თავისი საფეხურები ჰქონდა, ერთიანად კი იგი აღიქმებოდა, როგორც მეტაფიზიკური ბედნიერება, საიდუმლო ჭეშმარიტების განჭვრეტა. მკვლევართა შეხედულებით, ელევსინური მისტერიები იძლევა საშუალებას, წარმოვიდგინოთ რიტუალის ერთგვარი ფორმულა: მარხვა ზიარებამდე, მსვლელობა ჩირაღდნებით და რიტუალური ნაყენის შესმა.

მეცნიერთა უმეტესობის აზრით, მისტერიები ცხრა დღესა და ღამეს გრძელდებოდა, რაც დაკავშირებული იყო დემეტრეს ხეტიალისა და ძიების ცხრა დღესთან. პირველ დღეს ქურუმ ქალებს მიჰქონდათ წმინდა საგნები (მათ შორის – კალათი) ელევსინში. მეორე დღეს ზეიმის მონაწილენი იკრიბებოდნენ ათენში, როდესაც რეალურად იწყებოდა მისტერია. მესამე დღეს მისტესები, რომელთაც ჰყავდათ მისტაგოგოსი (საიდუმლოთა მოძღვარი), განიბანებოდნენ ზღვაში გოჭთან ერთად, რომელსაც შემდეგ საკუთარი თავის მაგიერ კლავდნენ (ასოციაცია – პერსეფონეს ჩასვლა ჰადესში) და მარხვითა და გალობით ემზადებოდნენ ზეიმისათვის. რამდენიმე დღის განმავლობაში სრულდებოდა რიტუალები მსხვერპლის შეწირვით. შემდეგ პროცესია მიემართებოდა ელევსინისაკენ. გზად თამაშდებოდა გროტესკი; მისტესები წარმოადგენდნენ სანახაობას დაცინვითა და უწმაწური ჟესტებით (მინიშნება მითზე – დამწუხრებული დემეტრეს გართობა). პირველი ვარსკვლავის გამოჩენისას მისტესები წყვეტდნენ მარხვას, სვამდნენ ნაყენს. ამ რიტუალის აღსრულება ხდებოდა ტელესტერიონში, სადაც უამრავი ხალხი იყრიდა თავს. შემდეგ იწყებოდა საიდუმლო ქმედება. აქ ყველაფერი საიდუმლოებით იყო მოცული. სინათლისა და სიბნელის მონაცვლეობა, მიწისქვეშეთის სიმბოლოები, დიდი კოცონი – ყოველივე ეს ქმნიდა სიკვდილთან

მიახლებისა და ხელმეორედ დაბადების განცდას. ამით სრულდებოდა მისტერიების კიდევ ერთი საფეხური, მეორე წელს კი მისტესები დაიშვებოდნენ ეპოპტესებად (მზირებად). ისინი ღვთაებრივ საიდუმლოს ეზიარებოდნენ. ბოლო დღეს სრულდებოდა წმინდა ქორწინების რიტუალი, სადაც ქურუმი ქალი და უზენაესი ქურუმი განასახიერებდნენ ზევსსა და დემეტრეს. მათი შეერთების სურათი დაფარული იყო ყველასგან. და ბოლოს კულმინაციური მომენტი: უზენაეს ქურუმს – ჰიეროფანტესს – შემოჰქონდა მოჭრილი თავთავი, რაც, მკვლევართა უმეტესობის აზრით, ახალი სასიცოცხლო ძალის სიმბოლოდ აღიქმებოდა. ბოლო სამი დღე იყო ხელახლა დაბადებულ და საიდუმლოსთან ზიარებულ ადამიანთა დაბრუნება ყოველდღიურ ყოფაში. ისინი სახეცვლილნი და ნეტარნი იყვნენ, რამეთუ მისტერიის არსს სიკვდილის წინაშე შიშის მოხსნა წარმოადგენდა.

5. ათენა – სიბრძნისა და სამართლიან ბრძოლათა ღვთაება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალღმერთია ოლიმპოელთა შორის. მნიშვნელობით იგი არა მხოლოდ უტოლდება ზევსს, არამედ ზოგჯერ აღემატება კიდეც. ათენა თავისი სიძველით მინოსურ კულტურას უკავშირდება. ზოგი მეცნიერის აზრით, იგი შეიძლება ყოფილიყო მინოსური სასახლის ქალღმერთი. ათენას ზოომორფულ წარსულზე მიუთითებს მისი ატრიბუტები – გველი და ბუ. მის მთავარ იარაღად ითვლებოდა ეგისი – თხის ტყავისგან დამზადებული ფარი, რომლზეც გველთმება მედუზაა გამოსახული, ხოლო ათენას წმინდა მცენარედ – ზეთისხილი. სავსებით ნათელია, რომ ქალაქ ათენისა და ქალღმერთ ათენას სახელი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მეცნიერები კამათობდნენ კიდეც იმის თაობაზე, თუ რომელი იყო პირველადი. ათენა ითვლებოდა ხელოსანთა და ხელოვანთა მფარველად. მას მიეწერება ფლეიტის გამოგონება, მანვე ასწავლა აპოლონს მასზე დაკვრის ხელოვნება. ათენა იყო სიბრძნის ღვთაება, რომელიც გვიანანტიკურობაში იქცა კოსმიური გონების განუყოფლობისა და მსოფლიო სიბრძნის სიმბოლოდ.

ათენას ფუნქციები ხშირად ბიპოლარულია. იგი გვევლინება იარაღაღკაზმულ ღვთაებად, აგრეთვე, მშვიდობიანი საქმეების მფარველად. მან გამოიგონა უღელი ხარებისთვის, ლაგამი – ცხენებისთვის, ადამიანებს უძღვნა ხომალდები ზღვაში. მისი, როგორც მშენებლისა და მნგრეველის, ფუნქცია კარგად აისახა იმ ხის ცხენში, რომლის აგებასაც ტროას დამხობა მოჰყვა. ათენას კულტი გავრცელებული იყო მთელ საბერძნეთში, თუმცა, ბუნებრივია, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ათენში. ათენას რომაულ რელიგიაში შეესაბამება ღვთაება მინერვა. ფიდიასის მიერ (ძვ. წ. V ს.) სპილოს ძვლითა და ოქროთი შესრულებული ცნობილი უზარმაზარი ქანდაკებიდან, რომელიც ათენის აკროპოლისზე მდებარე პართენონის ტაძრის მშვენება იყო, ჩვენამდე შემორჩა მხოლოდ ასლები.

დაბადების ვერსიათაგან ყველაზე გავრცელებული სწორედ ისაა, რომელიც ათენას ზევსის თავიდან ამოსულად წარმოგვიდგენს. მითების თანახმად, ათენა ჰერაკლესთან ერთად იბრძოდა გიგანტების წინააღმდეგ. მისი საყვარელი გმირი იყო ოდისევსი, რომელსაც მან ახოვანება და ძალა მიანიჭა.

6. აპოლონი – სინათლის ღვთაება, ყოველთვის მიიჩნეოდა ოლიმპოელ ღმერთთა შორის ყველაზე ბრძენად, მაგრამ, როგორც ჩანს, წარმომავლობით იგი მცირეაზიურ ან წინაბერძნულ სამყაროს უკავშირდება. არის აზრი, რომ ზევსის კულტის საბოლოო დამკვიდრებამდე აპოლონი იყო უდიდესი და უძლიერესი ღმერთი. მისი სახელი ჯერჯერობით არ დასტურდება მიკენურ დოკუმენტებში. აპოლონის ერთ-ერთი ეპითეტი „თურაიოსი" თავისი მნიშვნელობით კარს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად იგი სახლის ზღურბლის, ქალაქის კარიბჭისა და ქვეყნის მისადგომთა მცველი ღვთაება იქნებოდა. აპოლონის ინტეგრაცია

ბერძნულ პანთეონში საკმაოდ ორგანულად მოხდა. მან მარადჭაბუკი ღმერთის სახით დაიმკვიდრა ადგილი და სწორედ ამიტომ მისი პლასტიკური თუ ფერწერული გამოსახულებები ყოველთვის გამოსახავს მას ახალგაზრდა ჭაბუკის სახით. გვხვდება ასევე მისი გროფონის სახით გამოხატვაც. მის სახელთან არაერთი საკულტო ადგილია დაკავშირებული. განსაკუთრებით ცნობილი იყო დელოსი და დელფო. მოგვიანებით აპოლონს მზესთან აიგივებდნენ. მას აგრეთვე მიეწერებოდა ხელოსნობის მფარველობა და ტომთა მამამთავრობა. ის არის როგორც ჭირის მომავლინებელი, ასევე – მკურნალი ღვთაებაც. აპოლონს უკავშირდება მითი, თუ როგორ დაარსდა დელფოს სამისნო:

აპოლონის დედას, ლეტოს, დევნიდა საზარელი ურჩხული პითონი, რომელსაც აპოლონმა ერთ პირქუშ ხეობაში მიაკვლია. როდესაც პითონი ბუნაგიდან გამოსრიალდა, აპოლონმა მას ოქროს ისრები სტყორცნა. დაჭრილი პითონი დელფოსაკენ გასრიალდა და დედამიწის – გეას – სამისნოს შეაფარა თავი. აპოლონმა გაბედა და ღვთაებრივი უფსკრულის პირას ამოხადა უსახურჭ სული. აღშფოთებულმა გეამ ეს ამბავი ამცნო ზევსს, რომელმაც მოუწოდა აპოლონს, განწმენდილიყო დაღვრილი სისხლისგან, ხოლო შემდეგ პითონის პატივსადებად დაეარსებინა პითიური ასპარეზობანი. აპოლონმა ამ ადგილას მართლაც დააწესა პითიური შეჯიბრებანი, ხადაც ურჩხული განგმირა. იქვე დააარსა დელფოს ტაძარი და სამისნო. ამიერიდან იქ უნდა შეეტყო ხალხს ზევსის შეუვალი ნება. საამისოდ ქურუმები უნდა მოეხმო აპოლონს ამ კლდოვან მხარეში. დაფიქრდა ღმერთი. მოულოდნელად თვალი მოჰკრა ზღვად მცურავ ხომალდს. აპოლონი დელფინად გარდაისახა და მეზღვაურები დელფოსკენ წარმართა. როდესაც გაოგნებული მეზღვაურები ხმელეთს მიადგნენ, სინათლის ღმერთი მათ წინაშე წარსდგა და ასე მიმართა: „ამიერიდან ვეღარ იხილავთ თქვენს სამშობლოს, სანატრელ მხარეს. აპოლონი ვარ. თქვენ გელოდებათ ჩემი დიადი ტაძარი, პატივმოუკლებელი. მსხვერპლი შესწირეთ ნეტარ ღმერთებს". კრეტელი მეზღვაურები დაემორჩილნენ. აფრა დაუშვეს და კლდოვან ნაპირზე გადმოვიდნენ. გაჰყვნენ აპოლონს, რომელმაც მათ უჩვენა თავისი დიდებული ტაძარი და წმინდა ბომონი.

დელფოს სამისნოს დიდება ძვ. წ. VIII ს-დან განსაკუთრებით იზრდება. იგი იქცევა ბერძენთა საერთო რელიგიურ და პოლიტიკურ ცენტრად. დელფოს სამისნოს სახელი გასცდა ელინურ სამყაროს. აქ მოდიოდნენ წინასწარუწყების მოსასმენად. სამისნოში აპოლონის წმინდა სამფეხზე იჯდა ქურუმი ქალი პითია და ღმერთის ნებას აუწყებდა მოსულებს. როგორც წესი, მისი უწყება ორაზროვნებით ხასიათდებოდა, რაც მისი ინტერპრეტაციის დიდ შესაძლებლობებს ქმნიდა. ამით ქურუმებს საშუალება ეძლეოდათ, გარკვეული ზეგავლენა მოეხდინათ მთელი საბერძნეთის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე.

დელფოში ტარდებოდა აპოლონისადმი მიძღვნილი დღესასწაულები. პითიური ასპარეზობანი თავისი დიდებულებით მხოლოდ ოლიმპიურ თამაშობებს თუ ჩამოუვარდებოდა. დელფოში უამრავი შესაწირი მიდიოდა, რამაც დროთა განმავლობაში იგი ხელოვნების ნიმუშთა საგანძურად აქცია

7. არტემისი – ნადირობის, ტყეთა, ბუნების მფარველი ღვთაება, აპოლონის ტყუპისცალი, რომელიც ზევსს იმავე ლეტოსგან შეეძინა. უძველესი დროიდან მოდის არტემისის კულტი, როგორც ხეთა და მცენარეული სამყაროს ღვთაებისა. მის საკულტო ცხოველებად ითვლებოდა ირემი და დათვი. თუ აპოლონი მზესთან ასოცირდებოდა, არტემისი მთვარესთან იყო დაკავშირებული და მას ხშირად სელენესთან აიგივებდნენ. სახელ არტემისის ახსნის მრავალი ვერსია არსებობს. მისი ცნობილი ტაძარი მდებარეობდა ეფესოში. არტემისის მთავარი სიმბოლოები იყო ფინიკის პალმა, ირემი და ფუტკარი. რომაულ რელიგიაში იგი ცნობილი იყო დიანას სახელით.

8. არესი — ულმობელი ომების ღმერთი, რადიკალურად განსხვავებული ათენასაგან. ჰეროდოტეს ცნობით, არესი გაიგივებულია რომელიღაც სკვითურ ღვთაებასთან. ოლიმპიურ პანთეონში არესი ძნელად დამკვიდრდა, თუმცა ზევსის ძედ წარმოსახეს. ჰომეროსთან იგი ბობოქარი, ომისმოყვარე ღმერთია. საბერძნეთში მისი კულტი ნაკლებად იყო გავრცელებული. ერთადერთი ტაძარი მის სახელზე თებეშია დადასტურებული. რომში იგი მარსთან გააიგივეს, რომელიც, ასევე, ომის ღვთაება გახლდათ.

9. ჰერმესი — ბერძნული პანთეონის ამ ერთ-ერთ საინტერესო ღვთაებას წილად ხვდა ღმერთთა შიკრიკობა, სულთა თანხლების ფუნქცია. მისი სახელი დასტურდება მიკენურ დოკუმენტებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ბერძნულ პანთეონში ადრევე უნდა შესულიყო. ჰერმესის სახელი უკავშირდება ბერძნულ სიტყვა „ჰერმას", რაც ქვების გროვას, ქვის სვეტს ნიშნავს. ჰერმები ძველად საფლავებსა და გზაჯვარედინებზე იდგმებოდა. მოგვიანებით მოხდა მათი გაფეტიშება. ჰერმა გზის, კარიბჭისა და საზღვრების მფარველად აღიქმებოდა. მისი შერყვნა დიდი მკრეხელობა იყო. თავის მხრივ, ამ სიტყვის ეტიმოლოგია უცნობია, რაც ჰერმესის წინაბერძნულ წარმომავლობაზე მიუთითებს. უძველეს ხანაში ცნობილი იყო მნიშვნელოვან ადგილთა შემოფარგვლის ტრადიცია. ადამიანი გარკვეული ფუნქციის მქონე ადგილის მონახულების შემდეგ ტოვებდა ქვას იქ თავისი ყოფნის აღსანიშნავად. შესაბამისად, ქვათა გროვამ, აღმართულმა სვეტებად, გარკვეული პერიოდიდან საყოველთაოდ გავრცელებული ხასიათი მიიღო. სვეტმა თანდათან ოთხკუთხედის ფორმა შეიძინა და მასზე გაჩნდა წვერებიანი კაცის თავი. ასეთ მონუმენტს თავიდან შეერქვა ჰერმესი. მეცნიერებაში ჯერ კიდევ არაა დადგენილი, თუ როგორ მოხდა ამგვარი ფეტიშის გარდასახვა ოლიმპოელ ღმერთად.

გარდა შიკრიკობისა, ჰერმესს ბერძნულ რელიგიაში მრავალი ფუნქცია ეკისრებოდა. იგი მფარველობდა ვაჭრებს და ვაჭრობას. აქედან გამომდინარე, ბედნიერების მომნიჭებელ ღვთაებადაც აღიქმებოდა. ამის გამო დაარქვეს მოულოდნელად ბოძებულ ან ნაპოვნ ნივთს ჰერმაიონი — ჰერმესის ძღვენი. ღვთაებას მუდამ თან დაჰქონდა ოქროს კვერთხი — კერიკეონი. ამის გამო უწოდეს მას ქრისორაპისი — ოქროსკვერთხოსანი. ამ კვერთხით ხელში აღასრულებდა ჰერმესი თავის უწმინდეს საქმიანობას — მიცვალებულთა სულებს აცილებდა ჰადესში. ამიტომ მას უწოდებდნენ ასევე ფსიქოპომპოსს — სულთა გამცილებელს. ჰერმესი სხვადასხვა გმირს (ოდისევსი, პრიამოსი) დახმარებას უწევს ჰომეროსის ეპოსში. იგი იბრძოდა გიგანტების წინააღმდეგაც.

ჰერმესის წმინდა ფრინველია წერო. მას მსხვერპლად სწირავდნენ ღორს, თიკანს, თხას, ცხვარს, ასევე — ცხოველთა ენას, რადგან მჭევრმეტყველების მფარველ ღვთაებადაც აღიქმებოდა. ჰერმესს პატივს მიაგებდნენ დღესასწაულზე, რომელიც გაზაფხულზე იმართებოდა და მაშინ ხალხს სანოვაგით სავსე კალათა მიცვალებულთა სულებისთვის შინიდან გარეთ გამოჰქონდა. ყველას ეგონა, რომ ამ დღეს უბრუნდებოდა ყოველი სული საკუთარ კერიას. დღის ბოლოს იწყებოდა სულთა განდევნა. თავდაპირველად იგი ხნიერი, მოგვიანებით ახალგაზრდა, ყმაწვილის სახით გამოისახებოდა. რომში ჰერმესი ღვთაება მერკურთან გააიგივეს.

10. დიონისე — ღვინისა და ექსტაზის ღმერთი. მის არსში გამოიკვეთა ანტიკური ხანის ადამიანის მისწრაფება, მიახლებოდა ღვთაებას და განეცადა ნეტარება. დიონისეს სახელი დაფიქსირებულია მიკენურ დოკუმენტებში. ტრადიციულად მის სახელს ხსნიან, როგორც „ზევსის შვილს". დიონისეს ბერძნებთან მრავალი დღესასწაული ეძღვნებოდა. საკმაოდ ადრეული უნდა იყოს ამ დღესასწაულებში მსხვერპლშეწირვის ორგიასტული, მისტერიული მომენტების და ე.წ. იდუმალებით

მოცული კულტების დამკვიდრება. მსხვერპლშეწირვა უძველეს ხანაში დიონისეს ტაძრის მახლობლად ტარდებოდა. შუაგულ მოედანზე, მიწაზე სამსხვერპლო იდგა. ხალხი მის ირგვლივ ფერხულს უვლიდა. ერთი მათგანი დიონისეს განსადიდებელ სიმღერას – დითირამბს მღეროდა. იმ ადგილს, სადაც ხალხი ფერხულს უვლიდა, ორქესტრა (საცეკვაო მოედანი) ერქვა. სამსხვერპლოსა და ორქესტრას წინ მაყურებლებისთვის ხის რკალისებური ტერასები იდგა. მაყურებლისთვის განკუთვნილ ასეთ ადგილს თეატრონი (სახილველი) ეწოდებოდა. ხალხი თეატრონიდან ადევნებდა თვალყურს მსხვერპლშეწირვის პროცესსა და ცეკვას. დითირამბებს თხის ქურქებშემოსილი ქოროს წევრები ასრულებდნენ, რის გამოც მათ ეწოდათ „ტრაგოი" – „ანუ თხები, ხოლო მათს სიმღერას – „ტრაგედია". მათი დანიშნულება დიონისეს განდიდება იყო. მსხვერპლშეწირვის შემდეგ ტარდებოდა სხვადასხვა სახის სანახაობა (ეტლით სრბოლა, კრივი). შემდეგ იწყებოდა საზეიმო მსვლელობა. მსვლელობის მონაწილენი უმეტესწილად მთვრალები იყვნენ. მათთვის დიონისე თრობის, თავაშვებულობის ღვთაება იყო. საკმაოდ ადრეული პერიოდიდან ჩანს დიონისეს კულტის დაკავშირება ე. წ. ეროტიულ სფეროსთან. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ ღვინით თრობა და ხორციელი ტრფობა განუყოფელი ხდებოდა. დიონისეს კულტი იმდენად ძლიერი იყო, რომ მან, გარკვეული თვალსაზრისით, დიონისური რელიგიაც კი შექმნა, რომელმაც ასახვა ჰპოვა დიონისურ მისტერიებში. დიონისური მისტერიების ბაკქური ხასიათი, სიშლეგე, საოცრად აგზნებადი მდგომარეობის შექმნას უწყობდა ხელს.

მიუხედავად ასეთი პოპულარობისა, ოლიმპოს თორმეტ ღმერთს შორის დიონისე გვიან დამკვიდრდა (ზოგ ჩამონათვალში არც ფიგურირებს). თამამად შეიძლება ითქვას, რომ 12 ღმერთს შორის მან დაიმკვიდრა ჰესტიას ადგილი, რაც ძვ. წ. V ს-დან უნდა მომხდარიყო. დიონისეს ხშირად უპირისპირებდნენ აპოლონს, რამეთუ დიონისეს თვლიდნენ დაბალი ფენების, ხოლო აპოლონს – საგვარეულო არისტოკრატიის მფარველ ღვთაებად. თანამედროვე ეპოქაში, ამ ორი ღვთაების მითოლოგიური და რელიგიური ფუნქციების თავისებურებებიდან გამომდინარე, ფ. ნიცშემ წამოაყენა „გენიალური, მაგრამ საკმაოდ სუბიექტური" თეორია ბერძნულ ცივილიზაციაში ორი პოლარული საწყისის (სტიქიის) – აპოლონურისა და დიონისურის არსებობის თაობაზე. პირველი, ნიცშეს აზრით, განასახიერებდა წესრიგს, სინათლეს, რაციოს, ხოლო მეორე – სიშმაგეს, ორგიასტულ სულს, არეულობას.

ოლიმპიურ და დიონისურ რელიგიებს შორის ის არსებითი განსხვავება იყო, რომ პირველი იმქვეყნიურ ცხოვრებას წარმოადგენდა, როგორც უხორცო აჩრდილების სამეფოს; იგი არ ჰპირდებოდა მოკვდავთ სიკვდილის შემდეგ არც შვებას, არც დასჯასა და არც სულის აუცილებელ უკვდავებას, მეორე კი – ამის საპირისპიროდ, სულის უკვდავებას აღიარებდა: სული ან უნდა განხორციელებულიყო (დასჯა) სხვა ცოცხალ არსებად, ან არა და გათავისუფლებულიყო (ჯილდო) დაბადებათა წრებრუნვისაგან, მაშასადამე, აღარ დაქვემდებარებოდა „სიცოცხლის ბორბალს". უკანასკნელ შემთხვევაში სული აღწევდა ღვთაებრივ ცხოვრებას, აბსოლუტურ ნეტარებას.

11. ჰეფესტო – ცეცხლისა და სამჭედლო ხელოვნების ღმერთი, მცირეაზიური წარმომავლობის ღვთაებაა. იგი ოსტატია და ხელოვანი, მაგრამ, ამავდროულად, ბრძენი სინათლე, ეთერი და ცეცხლი. იგი განასახიერებდა მეტალურგიისა და მჭედლობის კულტით ცნობილ ერთ-ერთ აღმოსავლურ ღვთაებას. რომში იგი ღვთაება ვულკანუსს გაუიგივდა.

ჰეფესტო, სხვა ოლიმპოელი ღმერთებისგან განსხვავებით, კოჭლი და შეუხედავი ღვთაებაა. იგი ღმერთებს უმასპინძლდება ნექტარითა და ამბროსიით და უშვნებს მათ სასახლეებს. იგი ფიგურირებს არგონავტების მითშიც. მას ყველაზე მეტად თაყვანს სცემდნენ ათენში და კუნძულ სამოსზე.

12 პოსეიდონი — ზღვების მეუფე, რომელიც ძირითადად წყლის სივრცეში სუფევდა, მაგრამ არცთუ იშვიათად სტუმრობდა ოლიმპოს მთასაც. უძველეს პერიოდში მისი კულტი უკავშირდებოდა მიწას, ცხენებს, მოგვიანებით კი — მთლიანად ზღვას. მას უკავშირებდნენ ბუნებრივ კატასტროფებსაც. იგი ეხმარებოდა მეთევზეებსაც. პოსეიდონი, რომელიც ზევსის ძმა იყო, B-ხაზოვან ძეგლებში პილოსის ერთ-ერთ მთავარ ღვთაებადაა მიჩნეული. იგი გარკვეული თავნებობით გამოირჩეოდა, ეწინააღმდეგებოდა სხვა ღმერთების სურვილს, დაბრუნებულიყო ოდისევსი სამშობლოში და ათი წლის განმავლობაში აბრკოლებდა მას.

რიტუალი

რიტუალი, როგორც რელიგიური ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტი, არც ბერძნული რელიგიისთვის წარმოადგენდა სიუცხოვეს. ყველაზე უფრო გავრცელებული იყო რიტუალები, რომლებიც მსხვერპლშეწირვის ფორმით სრულდებოდა. ისინი საოცარი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა — დაწყებული სისხლიანი მსხვერპლშეწირვით და დამთავრებული ყველაზე უფრო მშვიდობიანით — ხილის შეწირვით. რიტუალებს შორის მნიშვნელოვანი იყო ე. წ. განწმენდის რიტუალები, რაც, ძირითადად, რაღაც ნამოქმედარის ჩამორეცხვას, მისგან განთავისუფლებას გულისხმობდა. იგი შეიძლება განხორციელებულიყო განბანვით, გარეცხვითა და სხვა საშუალებით.

მრავალი რიტუალი დაკავშირებული იყო სპეციალურ წმინდა ადგილებთან: ტაძართან, ჭალასთან. ამგვარი ადგილები, ადამიანთა რწმენით, მჭიდრო კავშირში უნდა ყოფილიყო ღვთაებასთან. ტრადიციის მიხედვით, ტაძრის ადგილმდებარეობა შესაძლოა უკავშირდებოდა გადმოცემას, რომ ღმერთი ამ კონკრეტულ ადგილთან რაღაც მიმართებას აჩვენებდა, თუმცა ტაძრები ასევე აგებული შეიძლება ყოფილიყო ქალაქის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილასაც, ცენტრალურ მოედანზეც კი. ამის კარგი მაგალითია პართენონი. საკრალური ადგილები ქალაქგარეთ, ჭალაშიც შესაძლოა ყოფილიყო. ასეთი ფუნქციის ადგილები, მაგალითად, დელფოში იყო. დროთა განმავლობაში ბერძნებმა დაიწყეს ღვთაებათა საკულტო ქანდაკებების შექმნაც.

ბერძნული ტაძრის არქიტექტურული ტიპი უკვე არქაულ ეპოქაში ჩამოყალიბდა. მას ჰქონდა მართკუთხედის ფორმა. საკურთხეველი ტაძარს ძირითადად ჰქონდა გარეთ და არა შიგნით, თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც. ზოგიერთ ტაძარში აღმოჩენილია ოთხკუთხა ფორმის კერა ცეცხლისთვის, რაც გვაფიქრებინებს აქ გარკვეული რიტუალის აღსრულების შესაძლებლობას. აშკარად განსხვავებული ფორმისა და ფუნქციის იყო მისტერიებთან დაკავშირებულ საკულტო ნაგებობები. საკუთრივ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კუნძულებზე და მცირე აზიაში შემონახულია არაერთი დიდი ტაძარი, ზოგი საკმაოდ კარგ მდგომარეობაში, რომლებიც ეძღვნებოდა სხვადასხვა ღვთაებას. ცნობილია არტემიდეს ტაძარი ეფესოში, რომელიც ძველი მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთია, ასევე, ათენის აკროპოლისი (ითარგმნება, როგორც „ზედა ქალაქი"). ათენის აკროპოლისზე აგებული იყო პართენონი (ქალწულის ტაძარი), ქალაქის მფარველი ქალღმერთის — ათენას — პატივსაცემად; ერეხთეიონი, რომელმაც სახელწოდება ათენას აღზრდილის, მიწიერი მეფის — ერეხთესგან — მიიღო და გამარჯვების ქალღმერთის, ნიკეს, სახელზე აგებული შედარებით მომცრო ტაძარი.

რიტუალების ჩატარება და მსხვერპლშეწირვა საკრალურ ადგილებში ქურუმთა პრეროგატივა, გახლდათ. რა გამოარჩევდა ქურუმს სხვა მოქალაქეებისგან? რელიგიურ სფეროში ეს იყო განსაკუთრებული ცოდნის მიღება, ამ ინფორმაციის დამახსოვრება და გადაცემა თავისი კასტისათვის. ზოგჯერ ეს ცოდნა შეიძლებოდა

დაკავშირებული ყოფილიყო ქურუმთა გარკვეულ ოჯახებთან. ქურუმს საზოგადოებაში გამორჩეული ადგილი ეკავა და მის მიმართ განსაკუთრებულ მოკრძალებას იჩენდნენ. მისი ამოცანა იყო ყველა წესის დაცვით ჩაეტარებინა სახელმწიფო თუ კერძო მსხვერპლშეწირვის რიტუალი, რომლის დროსაც ის, თუკი ცხოველის შეწირვა ხდებოდა, სამსხვერპლოს რაღაც ნაწილს იღებდა. ქურუმი გარკვეულ სისტემატურ მუშაობას ატარებდა შესაბამის პერსონალთან, რომელიც მზად უნდა ყოფილიყო ნებისმიერი დონის რელიგიური ცერემონიალის აღსასრულებლად. არქაულ და კლასიკურ პერიოდში ძალზე იშვიათი იყო შემთხვევა, როცა ქურუმი განსაკუთრებული მოხელის ფუნქციასაც ასრულებდა. ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული ქურუმის ფუნქციამ სულ უფრო და უფრო პომპეზური ხასიათი მიიღო. მას ჰქონდა სპეციალური მეწამული სამოსი, ოქროს გვირგვინი. გარკვეული ატრიბუტიკა ქურუმს უკვე ჰომეროსის ეპოქაშიც უნდა ჰქონოდა, რაზეც მეტყველებს თუნდაც „ილიადას" შესავალი — აპოლონის ქურუმი ქრისესი მიდის აქაველებთან ოქროს კვერთხით, რომელზედაც დამაგრებული იყო თავსაკრი.

არ არსებობს ერთიანი პრინციპები, რომელთა მიხედვითაც ხდებოდა ბერძნულ სამყაროში პიროვნების ქურუმად ზიარება. მაგრამ ერთი ფაქტია, რომ თანდათანობით, როგორც ჩანს, ძველაღმოსავლური რელიგიების გავლენით ქურუმის, როგორც ღმერთის წარმომადგენლის, სტატუსი, სულ უფრო და უფრო იზრდება. თუკი გავითვალისწინებთ, რომ საბერძნეთში ოფიციალურ რელიგიასთან ერთად არსებობდა სხვადასხვა მისტერიალური რელიგიაც, ნათელი გახდება, რომ საკმაოდ დიდი იყო სასულიერო მოხელეების რაოდენობა. ერთ შემთხვევაში ისინი იყვნენ ჩირაღდნის მატარებლები, მეორეში — მსხვერპლის გამნაწილებელნი. წყაროები ასახელებს სპეციალურ ე.წ. ბავშვთა ქურუმებსაც, რომელნიც თვალს ადევნებდნენ ბიჭებისა და გოგონების ჩამოყალიბებას, ვიდრე სრულწლოვანები გახდებოდნენ. საკულტო ფუნქციონერთა ერთ ნაწილს ევალებოდა ღმერთების გამოსახულებებზე ზრუნვა, სხვებს — სატაძრო ნაგებობებზე. არსებობდა სამისნო ცენტრებიც, რომელთა შორის დელფოს სამისნო პირველობას არ თმობდა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული საზოგადოების ერთი ნაწილი მთლიანად იყო ჩართული რელიგიურ ცხოვრებაში, როგორც ფუნქციონერი, ანუ თავად ეს საზოგადოება საჭიროებდა რელიგიას, მისი ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელ ნაწილს.

ელინური დღესასწაულების დროს, შესაძლოა ითქვას, რომ ერთიანდებოდა მითი და რიტუალი. გარდა ამისა, დღესასწაული ღვთაების სახის გამოკვეთას ემსახურებოდა. ამ დროს ხდებოდა სპეციალური მითების გადმოცემის, საგანგებო რიტუალების შესრულების ინტენსიფიკაცია, რომელიც დაკავშირებული იყო ამა თუ იმ ღმერთთან. რასაკვირველია, ზოგჯერ დღესასწაული პირდაპირ ღმერთს არ მიემართებოდა და ამა თუ იმ მოვლენასთან ჰქონდა კავშირი, მაგალითად, გამარჯვებასთან ან რაიმე ტრაგედიასთან რომელიმე პოლისის ცხოვრებაში. იმას, თუ რამხელა როლს ასრულებდა დღესასწაულები, გვიჩვენებს მათი დიდი რაოდენობა პოლისის ცხოვრებაში. არ არსებობდა ისეთი არც ერთი თვე, რომ არ ჩატარებულიყო სამი ან ოთხი ზეიმი. საბერძნეთში ქრონოლოგიის ათვლა ხდებოდა ოლიმპიური თამაშების დაარსების დღიდან (ძვ.წ. 776). შესაბამისად, თუკი ვინმე გულისხმობდა ოლიმპიური თამაშების მეორე წელს, ეს იქნებოდა 775 წელი. ბერძნული დღესასწაულები, მათი მრავალფეროვნების მიუხედავად, გარკვეულ კლასიფიკაციას ექვემდებარებოდა. ძირითადად, უნდა გამოიყოს პანპოლისური და ლოკალური დღესასწაულები, ანუ პოლისის ქვედანაყოფებთან დაკავშირებული დღესასწაულები.

ფუნქციების მიხედვით, დღესასწაულები შეიძლება დაახლოებითი სამგვარად დავაჯგუფოთ:

მსხვერპლშეწირვის პოლისური დღესასწაულები;

განმუხტვის დღესასწაულები, რაც ხშირად ექსტაზის სახით გამოიხატებოდა,

მაგალითისათვის შესაძლოა დაგვესახელებინა დიონისიები;

განწმენდის დღესასწაულები;

განახლების დღესასწაულები, რომლებიც წესრიგის განახლების ინსცენირებას ახდენდა და, ჩვეულებრივ, ე. წ. ახალ ცეცხლთან, ანუ ჩირაღდანთან, იყო დაკავშირებული;

წმინდა ქალთა დღესასწაულები, რომლებშიც მამაკაცთა მონაწილეობას ტაბუ ჰქონდა დადებული;

ინიციაციის დღესასწაულები, რომლებიც ერთი ასაკობრივი კატეგორიიდან მეორეში გადასვლის თუ რაღაც მისტერიალურ ცოდნასთან ზიარების მომენტებს შეიცავდნენ და ა. შ.

რელიგიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა პოლისთან, თუმცა მას შეიძლება ჰქონოდა ზეპოლისური ხასიათიც. განსაკუთრებით ეს ეხება სამ ფორმას: 1. დივინაცია. იგი გულისხმობს ნათელხედვას. ამ მხრივ ბერძნებს ჰქონდათ თავიანთი აღიარებული, საერთო ელინური სამისნოები, მაგალითად, დელფო. 2. განკურნება. ამ შემთხვევაშიც შესაძლოა ვილაპარაკოთ საერთო ელინურ ცენტრებზე, როგორიც იყო ასკლეპიოსთან დაკავშირებული ცენტრები მთელ საბერძნეთში. 3. მისტერიები. ოფიციალური რელიგიის პარალელურად ბერძენთა ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა მისტერიალური რელიგიები, რაც, პირველ რიგში, მათი სპეციფიკით იყო განპირობებული. თუკი ოფიციალური სახელმწიფო რელიგია ძირითად რწმენასა და რიტუალების კეთილსინდისიერად აღსრულებას ეფუძნება, მისტერიალური რელიგია ღვთაებასთან ზიარების საიდუმლო ცოდნის წყალობით ადამიანს საშუალებას აძლევდა, ემპირიულად დარწმუნებულიყო იმაში, რომ ღვთაებრივი ძალა არსებობს, ანუ ინდივიდუალურად შესულიყო კონტაქტში ამ ძალასთან. განსაკუთრებით ცნობილი იყო დემეტრესადმი მიძღვნილი ელევსინის მისტერიები, რომელთა მონაწილე, ფაქტობრივად, ყველა ზრდასრული ათენელი ხდებოდა. მისთვის დამახასიათებელი იყო ის, რომ ამ მისტერიების ჩატარება კონკრეტულ ადგილსა და შენობასთან იყო დაკავშირებული. ამისგან განსხვავებით, ჩატარების ადგილით არ ყოფილა შეზღუდული დიონისური და ორფიკული მისტერიები.

რასაკვირველია, რელიგიურ ცხოვრებაში უმთავრესია ღმერთის რწმენა. ძნელი სათქმელია, თუ როგორ ჰყავდათ წარმოდგენილი ბერძნებს ღმერთები მიკენურ ეპოქაში. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ძველი აღმოსავლეთის ტრადიციის მსგავსად, ღმერთები აქაც ცხოველების სახით იყვნენ წარმოდგენილნი. ბერძნული ეპიკური პოეზიის წყალობით ანტიკურ საბერძნეთში დამკვიდრდა ღმერთის ანთროპომორფული, ანუ ადამიანის სახით წარმოდგენა. მართალია, არც ჰომეროსი, არც ჰესიოდე და მათი მიმდევრები არ გვიმტკიცებენ, რომ ღმერთებს სწორედ ადამიანების სახეები ჰქონდათ, პირიქით, ჰომეროსის მიხედვით, ადამიანებმა არ იციან ღმერთთა ნამდვილი სახე, მაგრამ როდესაც მხატვრულ კულტურაში სურდათ ღმერთის წარმოდგენა, იგი უმრავლეს შემთხვევაში ადამიანის სახით იყო წარმოჩენილი.

ბერძნული რელიგიური რიტუალებიდან უნდა შეეეხოთ ქორწინებასთან დაკავშირებულ რიტუალს, რომელიც რელიგიური ხასიათის იყო. ქორწინების წინა საღამოს ტარდებოდა მოსამზადებელი რიტუალები, რომლებიც განწმენდის ფუნქციას ატარებდა. საპატარძლოს სახლში აღევლინებოდა ვედრება და ქორწინების მფარველ ღმერთებს, განსაკუთრებით – ზევსს, ჰერას, არტემისს, აპოლონს, მსხვერპლს სწირავდნენ. ქალთა თავის სათამაშოებს, პირად ნივთებსა და თმის კულულებს უძღვნიდ არტემისს, ზოგან – აფროდიტეს. ეს იყო სწრაფვა ქალწულობის მფარველი არტემისის რისხვის აცილებისკენ. ქალი და ვაჟი განიბანებოდნენ საკულტო აბაზანაში. ქორწილის დღეს ქალის მამის სახლში იმართებოდა მსხვერპლშეწირვა და საზეიმო ნადიმის რიტუალი. ნადიმის ბოლოს ქალს პირბადეს ხსნიდნენ და იგი იღებდა სიძის გამოგზავნილ საჩუქრებს. სიძის სახლში ქალს გადასცემდნენ კომშს ან

ფინიკს – ნაყოფიერების სიმბოლოს. ქალი გარს უვლიდა კერიას, რასაც ჰქონდა როგორც განმწმენდი, ასევე – მაგიური ფუნქცია. ამგვარად, იგი უკვე მიღებული იყო ქმრის ოჯახში. ამ რიტუალის განუყოფელ კომპონენტს წარმოადგენდა ქალისთვის თავზე კაკლისა და ლეღვის ჩირის დაყრაც და მის მიერ ქოთნის გატეხვა. სპარტაში საპატარძლოს თავს პარსავდენ, კაცის ტანსაცმელს ცვამდნენ და უშვებდნენ სიძესთან, რომელიც მას სიბნელეში უცდიდა სარეცელზე. როგორც აღინიშნა, ქორწინება რელიგიური აქტი იყო და, შესაბამისად, მასთან დაკავშირებული რიტუალის ყველა დეტალს თავისი დატვირთვა ჰქონდა.

ბერძნულ რელიგიაში, ბუნებრივია, სხვა ხალხთა რელიგიის მსგავსად, დრეობობდა სწავლება სიკვდილის შემდგომ ცხოვრებაზე. ეს წარმოდგენები, მსგავსად დაკრძალვის ტრადიციებისა, რელიგიური ნიშნებით გამოირჩეოდა, თუმცა ბერძნებს ეგვიპტელებივით ჰქონდათ საიქიო სამყაროზე პესიმისტური წარმოდგენებიც. ჰომეროსი აქილევსს ათქმევინებს, რომ მას ურჩევნია სააქაოში ღარიბი კაცის მოჯამაგირე იყოს, ვიდრე საიქიოში ყველა სულზე იმეფოს. სოკრატეც ორჭოფულ პოზიციას იკავებს, მიუხედავად იმისა, რომ სულის უკვდავებას ასწავლიდა. პლატონის „სოკრატეს აპოლოგიაში" სასამართლოზე იგი ამბობს: „ახლა კი წასვლის დროა, ჩემთვის სასიკვდილოდ, თქვენთვის კი სიცოცხლის გასაგრძელებლად. მაგრამ ჩვენ შორის ვინ ეწევა უკეთეს საქმეს, ეს უცნობია ყველასათვის, გარდა ღმერთისა".

მიკენური ეპოქიდან მოყოლებული დაკრძალვის რიტუალი არაერთგზის შეიცვალა. მიკენურ ეპოქაში, ჰომეროსის მიერ აღწერილი დაკრძალვის რიტუალებისგან განსხვავებით, ცხედარს არ წვავდნენ, არამედ მას მიწას აბარებდნენ. მიკენურ საბერძნეთში აღმოჩენილია საინტერესო სამარხის ტიპები. ელინებთან უცხო არც კრემაცია იყო. ჰომეროსთან მოთხრობილია, როგორ ხდებოდა მიცვალებულის დატირება და შემდეგ გვამის დაწვა. მიცვალებულის დამარხვა აუცილებელი იყო, რადგან ამ რიტუალის გარეშე გარდაცვლილის სული ვერ აღწევდა ჰადესამდე. „ილიადაში" აღწერილია, თუ როგორ სთხოვს პატროკლეს სული აქილევსს დაკრძალვას.

დროთა განმავლობაში ბერძნულენოვან სამყაროში დაკრძალვის რიტუალი უფრო ლაკონიური და ნაკლებპომპეზური გახდა. სამგლოვიარო პროცესიაში მხოლოდ ნათესავები და მიცვალებულის მეგობარი მამაკაცები მონაწილეობდნენ. საფლავთან შესაწირად მიჰქონდათ საჭმელი, სასმისი, ასევე – საცხებლები საგანგებო კერამიკული ჭურჭლით. მებრძოლებს, ძირითადად, საერთო საფლავში კრძალავდნენ. ძველ საბერძნეთში ჩაისახა ეპიტაფიების ტრადიცია, საფლავებზე ქვის დადგმის ჩვეულება.

ორფიზმი

ელინისტური რელიგიების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია მისტერიების განვითარება. მისტერიები გარცელებული იყო საბერძნეთში, ეგვიპტეში, რომში, მცირე აზიაში. სხვადასხვა ელინური ღვთაება თავისი დანიშულებით ერწყმოდა ეგვიპტურ ღმერთებს და ამ სინკრეტიზმის საფუძველზე განვითარებული თეოლოგიური კონცეფციები საფუძველს უყრიდა ახალი რიტუალების, მითების, კულტის განვითარებას. ორფიზმი ბერძნული წარმოშობის რელიგიური მიმდინარეობაა, რომელიც მისტიკური ყაიდის მოძღვრებაა. დროთა განმავლობაში მან შეითვისა სხვა რელიგიური მოძღვრებებიც და უკვე ელინიზმის ხანაში ფართო აღიარება ჰპოვა.

ორფიზმი უკავშირდება ორფევსის სახელს. გადმოცემით, ორფევსი ბავშვობიდან გამოირჩეოდა ყველასგან, მისი აღზრდა დედამ ბრძენ კენტავრ ქირონს მიანდო. ვერავინ უკრავდა ქნარსა და კითარაზე ორფევსზე უკეთ. იგი საარაკო მგოსანი გახლდათ, სიყმაწვილეში გამოირჩეოდა საოცარი სილამაზით. როდესაც ის სიმღერას იწყებდა, ირგვლივ ყოველივე საამურად ექცეოდა მის ტყვეობაში. მალე უცნაური მომღერალი სადღაც დაიკარგა. იმასაც ამბობდნენ, გარდაიცვალაო. სინამდვილეში ორფევსი სამოთრაკიაში გაემგზავრა, მერე ეგვიპტეს ეწვია. იქ ეზიარა მისტერიათა სიბრძნეს და შეიცნო ადამიანთათვის დაფარული საიდუმლოებანი. კენტავრ ქირონის რჩევით, ორფევსი თან ახლდა არგონავტებს კოლხეთში მოგზაურობისას. ზღვაზე ყოფნისას ის აღაფრთოვანებდა ყველას საუცხოო ჰიმნებით, რომლებშიც ადიდებდა გმირებს, ღმერთებს, განსაკუთრებით აქებდა აპოლონს. ორფევსის ისტორიაში საინტერესოა მისი ჰადესში სტუმრობა. ეს გამოიწვია ორფევსის უსაყვარლესი მეუღლის, ნიმფა ეერიდიკეს, გარდაცვალებამ. იმ ქვეყნად უდროოდ წასული ცოლის სანახავად მან ჰადესს მიაშურა, რომლის მცველი მოაჯადოვა თავისი არაჩვეულებრივი ჰანგით. საქიროში თვით ჰადესი და პერსეფონეც კი მოიხიბლნენ ორფევსის სიმღერით – „ორფევს, წაიყვანე შენი მეუღლე და ბედნიერი იყავი, ოღონდ ერთი პირობა უნდა შეასრულო: სანამ ჩემს სამეფოს არ დატოვებ, უკან არ მოიხედო, თორემ ვეღარასოდეს ვეღარ იხილავ ევრიდიკეს", – უთხრა ჰადესმა მგოსანს. ასეთი პატივი არც ერთ მოკვდავს არ ღირსებია. სიმღერით გაუყვა ორფევსი სამზეოსკენ მიმავალ გზას. ევრიდიკეს სული უხმოდ მიჰყვებოდა მეუღლეს. დაეჭვდა ორფევსი, ვაითუ აღარ მომდევსო ქალი და უკან მიიხედა. სამგზის გაისმა ტკაცანი და უკანასკნელად მოჰკრა თვალი მეუღლის აჩრდილს ორფევსმა. მალე ევრიდიკე სამუდამოდ გაქრა. ჰადესიდან დაბრუნებული ორფევსი უსაშველო მწუხარებამ შეიპყრო. იგი შვიდი დღის განმავლობაში იჯდა მდინარის პირას და მეუღლეს მისტიროდა. თავადაც მოჩვენებას დაემსგავსა. მალე მოაღწია მისმა აღსასრულმაც. დიონისეს მსახური ქალები – მენადები განრისხებულები იყვნენ, რომ მგლოვიარე ორფევსი არ იზიარებდა მათს მხიარულებას, არ მონაწილეობდა დიონისესადმი მიძღვნილ ორგიებში. მენადებს ისიც აღიზიანებდათ, რომ ევრიდიკეს სიკვილის მერე წლებმა განვლო, ორფევსი კი ყოველდღე მას მისტიროდა. ერთხელ დიონისეს მსახურ ქალებს თავიანთი ღმერთის პატივსაცემად ორგია გაემართათ. ილხინეს და სასმელიც ბევრი დალიეს. როდესაც ექსტაზში შევიდნენ, იქვე მყოფ ორფევსს მოჰკრეს თვალი. ჭკუაარეული ქალები მგოსანს მისცვივდნენ და უწყალოდ დაგლიჯეს. შემდეგ ორფევსის სხეულის ნაწილები მიმოფანტეს. ზოგი გადმოცემით, ორფევსის თავი და ქნარი კუნძულ ლესბოსზე გაირიყა, სხვა ლეგენდის თანახმად კი, მუზებმა შეკრიბეს მისი სხეულის ნაწილები და მიწას მიაბარეს. იგი ყველამ დაიტირა, თვით ხეებმა და ქვებმაც. ისიც შეუნიშნავთ, რომ ორფევსის საფლავის ახლოს ბულბულები უფრო ტკბილად გალობდნენ.

ორფევსის მითიური ისტორია ცნობილია სხვადასხვა ანტიკური წყაროს მეშვეობით (პავსანიასი, აპოლლოდოროსი, პლატონი, აპოლონიოს როდოსელი, დიოდოროს

სიცილიელი, ჰიგინუსი, ოვიდიუსი, „ორფიკული არგონავტიკა"). არსებობს ორფევსის სიკვდილის რამდენიმე ვერსია: ორფევსი მსახურ ქალებს თვით დიონისემ დააგლეჯინა, რადგან განრისხებული იყო მასზე. საქმე ისაა, რომ ორფევსი თავისი ჰიმნებით აპოლონს ადიდებდა და დიონისეს არ სცნობდა. ყველას უხსნიდა ადამიანის მსხვერპლად შეწირვის უაზრობას. სხვაგვარი შეხედულებით, ორფევსი მოკლა ღმერთების ელვამ. ღმერთები იმიტომ განრისხდნენ, რომ მან გაბედა მრავალი საიდუმლოს გათქმა. იმასაც მოგვითხრობენ, რომ თრაკიელმა ქალებმა ადრევე ჩაიფიქრეს ორფევსის მოკვლა იმიტომ, რომ თავადაც დახეტიალობდა და მათი ქმრებიც აიყოლა. ესენი ბრბოდ დიდხანს დაჰყვებოდნენ ორფევსს. ქალებს ქმრების ეშინოდათ, მაგრამ ერთხელ სიმთვრალისას ორფევსი მოკლეს. ქმრებმა მენადები ობობას ტვიფრით დადადეს. ბრიტანეთის მუზეუმში ინახება ლარნაკი დადაღული მენადეს გამოსახულებით. მაკედონელები აჩვენებდნენ, სად დაგლეჯეს მენადებმა ორფევსი. იმ ადგილას აღმართული იყო ქვის ბოძი, რომელზეც მარმარილოს ურნა იდგა, ამ ურნაში კი ორფევსის ძვლები ყოფილა (პავსანიასი). ზოგი ვერსიით, ევრიდიკეს დაკარგვის შემდეგ ორფევსმა თავისი სიყვარული ჭაბუკებზე გადაიტანა და აფროდიტე განრისხა (პლუტარქე, „რატომ არ ჩქარობს ღმერთი შურისძიებას", 12). ორფევსს მრავალი წიგნის ავტორობას მიაწერდნენ. პლატონს ორფევსი რეალურ პიროვნებად მიაჩნდა. იგი ჩამოთვლის ორფევსის შემდეგ ნაწარმოებებს: „ტელეტები", „ჰიმნები", „ქრესმოდიები", „თეოგონია", „ლითიკა". „კრატილოსი". პლატონი იმოწმებს ციტატას ორფევსის თხზულებიდან. ჰეროდოტე აღნიშნავდა ორფიკოსთა დოქტრინის მსგავსებას ეგვიპტელთა წესებთან. პავსანიასი აღწერს ორფევსის ქანდაკებას, რომელიც მარმარილოსა და სპილენძისაგან გაკეთებული ცხოველების ფიგურებითაა გარშემორტყმული. ეს ცხოველები ორფევსს უსმენდნენ.

ორფევსის რეალურობაში ეჭვი ჯერ კიდევ ანტიკურ ავტორებს ეპარებოდათ. მეცნიერებაში საკითხი ასე დაისვა: ა) ორფევსი მითიური პიროვნებაა; ბ) უნდა განვასხვაოთ მითიური და რეალური ორფევსი. რაც შეეხება ორფევსზე არსებულ ამბებს, მათში რამდენიმე საკვანძო მომენტი გამოიყოფა: 1. მუსიკის ძალით ზემოქმედება (ორფევსი მუზათა შთამომავალი და მათი ნებიერია); 2. ჰადესში ჩასვლა; 3. მენადების მიერ ორფევსის დაგლეჯა. ცნობილია, რომ ბერძნები მუსიკალურ ნაწარმოებს ასრულებდნენ მხოლოდ სიტყვიერი თანხლებით. მუსიკას, როგორც ასეთს, არ ჰქონდა თვითმყოფადი მნიშვნელობა. ამიტომ, როდესაც გადმოგვცემენ, რომ ორფევსის დაკრულზე ქვები და ხეები იძვროდნენო, აქ მუსიკის სიდიადე კი არ იგულისხმება, არამედ მისი მაგიური ზემოქმედების ძალა, ე. ი. მუსიკა, ბგერა მაგიური ზემოქმედების საშუალებაა. წარმართული რელიგიების კვლევა ადასტურებს, რომ მაგია (მაგიური მანიპულაციები) წინ უსწრებდა მითოსური სისტემების ჩამოყალიბებას. ამრიგად, „მუსიკით ზემოქმედების" მითოლოგემა შეიძლება ორფევსის მითის ერთ-ერთ ყველაზე არქაულ და პრობლემურ საკითხად ჩავთვალოთ. გამოითქვა მოსაზრება, რომ ორფევსის ლირის შვიდი სიმიდან თითოეული შეესაბამებოდა ადამიანის სულის ერთ-ერთ რომელიმე მდგომარეობას. აქვე ყურადღებას შევაჩერებთ ორფევსის თრაკიულ წარმოშობაზე. თრაკიას განსაკუთრებული ყურადღება უჭირავს ძველ საბერძნეთში. ბერძნები თრაკიას წმინდა მხარედ, მუზების სამშობლოდ მიიჩნევდნენ. თრაკიის მთების უმაღლეს მწვერვალებზე იყო ურანოსის, ცრონოსისა და ზევსის უძველესი სალოცავები. სწორედ აქედან გაცხადდა ბერძენთათვის პოეზიის, კანონმდებლობისა და ხელოვნების ღვთაებრივი წესები. ბერძნული მითების მიხედვით, მოკვდავთაგან რამდენიმემ შეძლო ჰადესში ჩასვლა და ცოცხლად უკანვე დაბრუნება. ესენი იყვნენ ორფევსი, ჰერაკლე და ოდისევსი. თითოეულის ჩასვლას ჰადესში თავისი მოტივაცია გააჩნია, თუმცა მითისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია ფაქტი – ჩასვლა და ამოსვლა. მეცნიერთა აზრით, საიქიოში ჩასვლა და ამოსვლა (ე. ი. სკნელებში მიმოქცევა) მხოლოდ „განდობილთა" („ზიარებულთა")

ხვედრია. რაც შეეხება ორფეევსის დაგლეჯას, მასზე მოგვითხრობს ასევე ესქილე, რომლის ტრაგედიის შინაარსმა ალექსანდრიელი სწავლულის – ერატოსთენესის (ძვ. წ.III ს.) – თხზულებით მოაღწია. იქ ნათქვამია, რომ ორფეევსი დიონისეს არ ცნობდა და უზენაეს ღმერთად მიიჩნევდა ჰელიოსს, რომელსაც აპოლონს უწოდებდა, ამიტომ დიონისემ იგი დაფლეთინა.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ორფეევსის დაგლეჯა რიტუალური მსხვერპლშეწირვის ტიპური ნიმუშია. ამ დაგლეჯის სხვადასხვა მოტივაცია არსებობს. საყურადღებოა, რომ ლარნაკწერისა და ლიტერატურული წყაროების ინფორმაციები ერთმანეთისგან განსხვავდება. მხატვრობაში ორფეევსს თავს ესხმიან ქვებით, კეტებით, ნაჯახებითა და სხვა იარაღით. რა თქმა უნდა, ფერწერაში წარმოდგენილი მოტივი გვიანდელია. „ჩაქოლვას" წინ უსწრებდა დაგლეჯა – σπραγμός, რაც ღვთაებრივი რიტუალის ნაწილია. გამოითქვა მოსაზრება, რომ ორფეევსის მითი ძალიან ძველია და შეიძლება არც აღმოცენებულა ბერძნულ ნიადაგზე. საყურადღებოა მსჯელობა ორფეევსის სიკვდილის ვერსიებზე: ერთი ვერსიით, იგი იყო მეფე-ქურუმი, რომელიც მოკლეს მუხნარში ელვით მზის ბუნიაობის დროს. ამ მსჯელობაში აშკარაა ფრეზერის გავლენა. მეორე ვერსიით, ორფეევსი მენადებმა დაგლიჯეს. ამ მითოლოგემას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბევრი მეცნიერი თვლის, როგორც რიტუალურ აქტს. გამოითქვა მოსაზრება, რომ ორფეევსი თავად არის დიონისე. გრეივსი იმოწმებს პროკლეს კომენტარებს პლატონის „სახელმწიფოსთვის" და წერს: „ორფეევსი იყო დიონისური რიტუალის მთავარი ფიგურა და გაიზიარა კიდეც ღვთაების ბედი". ამასთან დაკავშირებით ყურადღებას გავამახვილებთ აპოლოდოროსის ცნობაზე, რომლის მიხედვით ორფეევსი იყო დიონისეს მისტერიების ავტორი. საკითხი რთულდება, როდესაც დიონისესა და მზის კულტის მიმართების პრობლემა დგება. სავარაუდოა, რომ მზის ახალი კულტი (რომელიც აპოლონს შეერწყა), ეგვიპტელმა ქურუმებმა შემოიტანეს ეგეოსის ზღვით ძვ. წ. XIV საუკუნეში, ამიტომაც იყო ორფეევსი ეგვიპტეში. როგორც ჩანს, ორფეევსის სახეში ხდება ორი კულტის თავისებური შერწყმა. ის, რომ დაგლეჯილი ორფეევსის თავი დიონისეს სალოცავში ამოჩნდება, ხოლო ლირა – აპოლონის ტაძარში, სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს. საყურადღებოა, რომ ორფიკოსი ქურუმები ეგვიპტურ სამოსს ატარებდნენ და სამსხვერპლო ხარის უმ ხორცს ჭამდნენ. ერთი მოსაზრებით, ორფეევსის მითოლოგემის წარმოშობა ივარაუდება მოსეს ეპოქაში, ჰომეროსამდე 5 საუკუნით ადრე.

ზოგადად, ამგვარი ორფეევსთან დაკავშირებული ისტორია და მისი სამეცნიერო ვარაუდების ანალიზისეს არის გადმოცემათა ერთობლიობა, რომელიც საფუძვლად დაედო რელიგიურ კულტს – ორფიზმს. ორფიზმი მისტერიალური რელიგიაა. მისი გავრცელება ელინიზმის ეპოქაში არ შეჩერებულა. ორფიზმის გავლენა ძლიერია გვიანანტიკურობის პერიოდის ჩათვლით. მას ნაკლებად აქვს კავშირი საკუთრივ ორფეევსის პიროვნებასთან. ორფეევსის ბიოგრაფიული დეტალების შტრიხებში არსებული ფილოსოფიურ-თეოლოგიური პრობლემატიკა გახდა ორფიკული დოქტრინის ძირითადი ბაზა.

ბერძენთა გაგებით, მისტერია არის საიდუმლო ცერემონია, რომლის დროსაც ცხადდება ღვთაებრივი სიმბოლოები, ნათელი ეფინება დაფარულ საიდუმლოს – სიკვდილ-სიცოცხლის მიმართებას, ადამიანი შეიცნობს ღვთაების არსს. თუ თავდაპირველად განსაკუთრებულ როლს ელევსინის მისტერიები თამაშობდა, შემდეგში თანდათანობით მეტი პოპულარობა მოიპოვა ორფიკულმა მისტერიამ, რომელიც დაახლ. ძვ. წ. VII საუკუნისათვის შევიდა ელადაში ეგვიპტიდან, თრაკიასა და თესალიიდან. კულტის მამამთავარი – ორფეევსი – ბუნდოვანი ფიგურაა. მისი მითოსური არსებობის დრო არგონავტების ეპოქას უკავშირდება. ამ ორფეევსთან ნაკლებად აქვს საერთო კულტის ფუძემდებელ ორფეევსს. ამ უკანასკნელის ირგვლივ უნდა გამოიკვეთოს მითიური დანაშრევებისაგან გაფილტრული სახე.

ორფევსი სამოთრაკიასა და ეგვიპტეში ეზიარა მისტერიების სიბრძნეს. იგი ოცი წლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. მას, უკვე განდობილს, ახალი სახელი დაერქვა – ორფევსი (ფინიკიურად „ნათლით განმკურნავი"). ჩვენ არ ვიცით, რა ერქვა ორფევსს განდობამდე სამშობლოში. თრაკიაში დაბრუნებული ორფევსი ადის კავკასიონის მთაზე აგებულ ზევსის ტაძარში და თავისი მჭევრმეტყველებით თრაკიელთა დიდი ნაწილის მიმხრობას ახერხებს. მალე მისი გავლენა გავრცელდა მთელ საბერძნეთში. ორფევსმა დაადგინა ზევსის უზენაესობა თრაკიაში და აპოლონისა – დელფოში. დააწესა მისტერიები, რომლის საფუძველი იყო ზევსის რელიგიისა და დიონისეს რეორგანიზებული რელიგიის შერწყმა, ე. ი. სოლარული და ლუნარული კულტების მორიგება, რომლებიც ადრე სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ დაპირისპირებულნი. ორფევსის სწავლებაში განდობილნი იღებდნენ სულიერი ჭეშმარიტების წმინდა ნათელს.

ორფიკოსთა სწავლების უზენაესი ჭეშმარიტებაა შემდეგი – ერთიანი არსი ბატონობს ყველგან – ზეცაში, მიწაზე და მიწისქვეშეთში. აქედან პირველი საიდუმლო: ზევსია ყველაფერი. ღმერთი ერთია და ის მხოლოდ თავის თავს ჰგავს. იგი მართავს სამყაროს. ღმერთები განსხვავებულნი არიან და უთვალავნი, რამვთუ ღვთაებრივი მუდმივია და არ აქვს დასასრული. ყველაფერი მომდინარეობს ციური ცეცხლიდან, პირველქმნილი შუქიდან. ერთის ნაწილების ღვთაებრივი ქორწინებიდან იქმნება ცეცხლიც, წყალიც, მიწაც, ეთერიც, დღეც, ღამეც, ტიტანებიც, ღმერთებიც, ადამიანთა მოდგმაც.

მეორე საიდუმლო – ზევსი არის დემიურგი. დიონისე\\აპოლონი, მისი ვაჟი – ნათელი სული, ცხოველი გონება. როდესაც დიონისე ტიტანებმა დაგლიჯეს, ათენამ მისი გული ზევსს მიართვა, რომელიც მზედ იქცა. დახოცილი ტიტანების სისხლისგან იშვა კაცობრიობა. რადგანაც ადამიანთა მოდგმა, ნებსით თუ უნებლიეთ, რაღაცით დაუკავშირდა ღმერთის ვნებას, იგი უკვე ცოდვილია. ამასთან, რაკი ღვთაების სისხლის თუნდაც ერთი წვეთია ადამიანი, მას კიდევ აქვს შანსი, მიემსგავსოს ღმერთს. ადამიანები, მიწის მიზიდულობით დათრგუნულები, ბრმად დაეხეტებიან. ოდენ განდობილებმა იციან, რა არის მიწაზე, რა არის ზეცაში. განდობილები ადამიანთა სულების მხსნელები არიან. ისინი მაგნიტივით იზიდავენ ადამიანთა სულებს, თავად მათ კი – ღმერთები. ღმერთი კვდება და ცოცხლდება ჩვენში.

მესამე საიდუმლო: ღმერთის ხილვა ოდენ „სულის თვალებით" შეიძლება.

მეოთხე საიდუმლო: ადამიანის სული უკვდავია. ამქვეყნად არსებობის ბნელი და ხანგრძლივი წრებრუნვის შემდგომ განდობილთა სულები გამოვლენ წრიდან, გაერთიანდებიან ერთ არსებად და შევლენ ღმერთის ნათელში. ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც გზას გვინათებს მიწაზე, ჩვენშია. ტაძარი ლამპრად იქცევა, ზეცაში მოკაშკაშე ვარსკვლავად. ასე იზრდება ჭეშმარიტების ნათელი.

მეხუთე საიდუმლო: სიყვარული უდიდესი ძალაა, რომელიც ადამიანს ყველაფერს დააძლევინებს. ზიარებულები მისტერიის ექსტაზში ერთმანეთის სულის სიღრმეს შეიცნობენ, სიცრუე სრულიად გამორიცხულია. სული ივსება ერთადერთი გრძნობით, რომელსაც სიყვარული ჰქვია. ურთიერთსიყვარული, ცოდვათა მონანიება, აღსარება, სიმართლის გზით სიარული, მარხვა და ხორციელი მოთხოვნების დათრგუნვა – აი, მისტერიაში განდობილთა ცხოვრების წესი, მიზანი კი სულის განწმენდა და ღმერთის ნათელში შესვლაა. დიონისე განდობილთა მზეა, აპოლონი – ნათელი. განდობილებს ეძლევათ მედიტაციის უფლება. ჰიეროფანტესი დაუფლებულია მაგიისა და თეურგიის ხელოვნებას, რადგანც ღმერთი მხოლოდ სუფთა სულების საშუალებით მოქმედებს, სუნთქავს და გამოვლინდება. უფრო მეტიც, სუფთა სულები არიან ღმერთის ამონასუნთქი, მისი მარადიული გონის სხივები. ექსტაზის მიღწევა საკმაოდ ძნელია. ამ დროს ადამიანს ეხუთება სული და ეკარგება ხმა. უმეტესობა ვერ უძლებს, ზოგს გონება ერევა, ვინც ბოლომდე უძლებს, მას შინაგანი ხედვა ეხსნება.

ორფიზმი ანტიკურობაშივე იქცა სერიოზული კვლევის ობიექტად. ძ.წ. 520 წლისათვის ბერძენმა სწავლულმა ონომაკრიტოსმა ჰიპარქოსის დავალებით გამოსცა ორფევსის თხზულებები. VI საუკუნისთვის ამ ჰიმნებს რიტუალური დანიშნულება მიენიჭა, რადგან ღმერთისგან შთაგონებულად ითვლებოდა. ორფიზმის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ იტალიაში აღმოჩენილ უძველეს ორფიკულ დოკუმენტებს. ორფიზმით დაინტერესდნენ დიდი ქრისტიანი მამებიც. ცხადია, აქ ვერ წარმოვადგენთ საკითხის კვლევის ისტორიას. შემოვიფარგლებით ძირითადი პოსტულატების დაფიქსირებით.

ყველა მისტერიასა და რელიგიურ სექტას ჰქონდა საერთო ნიშნები, როგორც ორგანიზატორული, ისე კონცეპტუალური ხასიათისა. კავშირში გასაწევრიანებლად საჭირო იყო მრავალსაფეხურიანი გზის გავლა. ადეპტს (მისტერიაში განდობის მსურველს) გამოცდის „ჩაბარება" მოეთხოვებოდა; მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ შეიძლებოდა განდობის რიტუალის აღსრულება. ეს საფეხური ყველა მისტერიისათვის უნივერსალურია, თუმცა არის განსხვავება საფეხურების რაოდენობაში (მაგალითად, მითრას მისტერიაში შვიდი საფეხური იყო გასავლელი). თავდაპირველად განდობილს ჰქვია მისტესი („ის, ვისი ბაგენიც დაბეჭდილია", „მდუმარე"), ბოლომდე განდობილს — ეპოპტესი („დამკვირვებელი", „მზირი", „შემცნობელი"). ყველა საფეხურზე აუცილებელია რთული წესების დაცვა. აკრძალვები ეხება კვებას, ჩაცმას, პირად ცხოვრებას. ყველაზე მთავარი მოთხოვნაა საიდუმლოს გაუთქმელობა.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ პლატონი ორფევსს მიაწერდა ნაწარმოებს — სათაურით „ტელეტაი". მასში წარმოდგენილი ყოფილა ორფიკოსთა ცხოვრების წესი, დოქტრინა: ადამიანის სული სხეულის ტყვეა, სხეული სულის სამარეა. ხსნა განდობაში, ზიარებაშია. ბედნიერება ჭეშმარიტი რწმენით მიიღწევა; დაბოლოს, ადამიანი ისჯება არასწორი ქცევისა და მცდარი აზრებისათვის. ჩვენი სული უკვდავია და განისჯება. იგი პასუხს აგებს ჩადენილი საქმეებისთვის მას მერე, რაც დატოვებს სხეულს.

სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული ჩადის ჰადესში და იქ წარსდგება ღმერთების სამსჯავროზე. ორფიკული ჰიმნები, ეგვიპტური „მიცვალებულთა წიგნის" მსგავსად, მორწმუნეებს ასწავლიდა, როგორ მომზადებულიყვნენ ამ გამოცდისათვის. თუ ადამიანს ძალიან მძიმე ცოდვები ჰქონდა ჩადენილი, მას მკაცრი სასჯელი ელოდა. ორფიზმის უფრო მკაცრი ფრთა ამ სასჯელს სამუდამოდ მიიჩნევდა, მეორე ფრთა კი მეტემფსიქოზის (ხელახლა დაბადების) იდეას ქადაგებდა. ყოველი ახალი დაბადება სულს აძლევს შანსს, არ გაიმეოროს წინა ცხოვრებაში დაშვებული შეცდომები და გახდეს უკეთესი. ეს წრებრუნვა გრძელდება მანამ, სანამ არ მიიღწევა სასურველი სიწმინდე. განწმენდილი სული „ნეტართა კუნძულებზე" ხვდება, ან უერთდება ღმერთს. ამრიგად, ორფიზმი ჩამოყალიბდა რელიგიად, რომლის პრინციპი იყო რწმენის საშუალებით ადამიანის ხასიათის გამოწრთობა.

ანტიკური მისტერიები საფუძვლიანად შეისწავლეს ვილამოვიცმა, რეინაჰმა, ნილსონმა, ჰარისონმა, როდემ, გრუპემ, ლინფორტმა, ბოიანსემ, გარდნერმა, გათრიმ და სხვებმა. ვ. ბურკერტმა საერთო დასკვნები ასე ჩამოაყალიბა: 1. „მისტერიული რელიგიები" განვითარდა ადრეანტიკურობაში. 2. „მისტერიული რელიგიები" ორიენტალისტურია სტილითა და სულით. 3 „მისტერიული რელიგიები" სპირიტუალურია. ისინი აღემატებიან პაგანიზმის რელატიურ ხედვას, ეძიებენ რა მაღალ სულიერებას.

ზემოთქმული ბადებდა ქრისტიანობასთან პარალელის გავლების სურვილს. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სერიოზული მეცნიერი კატეგორიულად მიუთითებს: ამგვარ მსგავსებაზე საუბრის მცდელობაც კი საფუძველშივე მცდარია. ა. ლოხვევის აზრით, პარალელის გავლება ორფიკოსთა შეხედულებებსა და ქრისტიანობას შორის სრული სიბეცე და გულუბრყვილობაა. ანტიკურობა და ქრისტიანობა ერთმანეთისგან სრულად განსხვავებულ მსოფლმხედველობრივ სიბრტყეზე განიხილება. საკმარისია, მიუთითოთ, რომ ორფიკოსთა რწმენაზე სულთა რეინკარნაციის

შესახებ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქრისტიანობასთან. ქრისტიანობაში ეს თეორია გვხვდებოდა ორიგენესა და მის მიმდევართა თეოლოგიაში და დაიგმო. სამაგიეროდ, იგი სერიოზულ ადგილს იჭერს თეოსოფიაში, რაც, თავის მხრივ, პრინციპულად განსხვავდება ქრისტიანობისგან.

ორფიკოსთა მიმართება ღმერთთან და ღმერთებთან ბუნებრივად ბადებს ცნობილ ფილოსოფიურ პრობლემას – ერთისა და მრავლის ურთიერთმიმართების საკითხის დასმას, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად გაიაზრებოდა. ერთი რამ ნათელია – ორფიკოსებისათვის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენდა, ერთი მხრივ, რწმენა უხილავი ღმერთისა და სულის უკვდავებისა. მეორე რიგის საკითხი იყო ღმერთთან ურთიერთობის მომენტი. ორფიკოსთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სიწმინდეს, განწმენდას (კათარსისს) არა ერთჯერადად, სადღესასწაულო სამზადისისას, არამედ καθαροσ βιοσ – „სუფთა ცხოვრების" წესს. რიტუალური სიწმინდის დაცვა სულის უკვდავების მიღწევის აუცილებელი მოთხოვნა იყო.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ძველი ქრისტიანი ავტორები გაკვირვებულები იყვნენ „მისტერიული რელიგიების" მთელ რიგ კონცეფციებსა და ქრისტიანობას შორის გარეგნული მსგავსებით. ორფიზმის ანალიზისას მეცნიერებაში აზრთა სერიოზულ სხვადასხვაობას იწვევს ე. წ. „დიონისურისა" და „აპოლონურის" მიმართების საკითხი (დიონისესა და აპოლონის დაპირისპირება და ერთიანობა ბერძნული სამყაროს ერთ-ერთი ცენტრალური მსოფლმხედველობრივი საკითხია).

ორფიკოსთა „საძმოებს" არ ჰქონდათ ეკლესიური ორგანიზაციები. ისინი ჩვეულებრივად ცხოვრობდნენ, მაგრამ სხვებისგან გამოირჩეოდნენ იმით, რომ ატარებდნენ თეთრ სამოსს, თავს იკავებდნენ ხორცის ჭამისგან და სხვა ასკეტურ წესებს იცავდნენ. ისინი მხოლოდ რიტუალის დროს შეირთმევდნენ სამსხვერპლო ხარის უმ ხორცს, რომელიც სიმბოლურად აღიქმებოდა, როგორც დაგლეჯილი დიონისეს სხეულის ნაწილები. განდობილნი ამგვარად ერწყმოდნენ ღვთაებრივ სუბსტრატს.

ორფიზმის გავლენა განიცადეს პითაგორელებმა. მოგვიანებით ორფიკული სწავლებიდან რამდენიმე პოსტულატი მიიღო პლატონმა: სხეულისა და სულის დაპირისპირება, პურიტანული ტენდენცია, უკვდავების რწმენა. ორფიკოსთა გავლენა განიცადეს სტოიკოსებმა და ალექსანდრიელმა ნეოპლატონიკოსებმაც, რომელთაც ხელთ ჰქონიათ ვრცელი ორფიკული ლიტერატურა.

ორფიზმი იყო სრულიად ახალი ტიპის მსოფლმხედველობა და მასში თუკი მოიძებნებოდა ოლიმპიური რელიგიის ელემენტები, ისინი მთლიანად რეორგანიზებულია და ახალ კონცეფციას ესადაგება.

ვ. ივანოვის შენიშვნით, „ორფიზმის განვითარება უძველესი ხანიდანვე წარმოადგენდა წყალდამრეცს, საიდანაც ყველა ნაკადი მსოფლიო ქრისტიანობის რეზერვუარში ჩაედინებოდა. ქრისტიანობამ თავის წიაღში მიიღო ისინი, მაგრამ არ შეზავებია მათ, როგორც ზღვის მლაშე წყალი არ ეზავება მასში ჩამდინარე მტკნარ წყალს".

რომაული რელიგია

ეტრუსკული რელიგია

ეტრუსკები ცხოვრობდნენ თანამედროვე იტალიის ტერიტორიაზე. ძველი მსოფლიოს ეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ხალხი ინდოევროპელები აშკარად არ იყვნენ. მათი ენა, შუმერულის მსგავსად, ამოუცნობია და არ მიეკუთვნება ჩვენთვის ცნობილ არც ერთ ენათა ოჯახს. ეტრუსკების წარმოშობას, ენას, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, რელიგიას იკვლევს ეტრუსკოლოგია. ამ დარგის განვითარება დაკავშირებულია XIX–XX საუკუნეებთან. ეტრუსკოლოგიის შემსწავლელი უძლიერესი ცენტრებია რომში, ფლორენციაში, პარიზში, ბრიუსელში; წარმატებულია ქართველი მეცნიერების მოღვაწეობაც. ანტიკური ავტორებიდან ეტრუსკების წარმომავლობასა და მათს ცხოვრებაზე სხვადასხვა ღირებულების ცნობა მოგვეპოვება ჰომეროსი ახსენებს პელაზგებს, რომლებიც მკვლევართა ნაწილის მიერ ეტრუსკების მონათესავე ხალხებად არიან მიჩნეულნი. ეტრუსკებზე გვესაუბრებიან ჰეროდოტე და არისტოტელე. ისინი მათს კართაგენელებთან ნათესაობაზე მიანიშნებენ. ძვ. წ. I საუკუნის ავტორი დიოდორე სიცილიელი გვამცნობს, თუ რამდენი რამ ფადაიღეს რომაელებმა საკუთრივ ეტრუსკებისგან. ამავე დროს მოღვაწე მეორე ავტორი დიონისე ჰალიკარნასელი კი კატეგორიულად უარყოფდა ეტრუსკების კავშირს პელაზგებთან და მათ ადგილობრივ და არა მოსულ ხალხად მიიჩნევდა. ხსენებული ავტორი მიუთითებს ეტრუსკების დახელოვნებულობაზე მაგიაში: „მარჩიელობის რთული მეცნიერების შესწავლისა და ღმერთების ნება-სურვილების ამოცნობისათვის ეტრუსკებს ჰქონდათ საგანგებო სკოლები", – წერდა იგი. ეტრუსკულ რელიგიაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ციცერონი და ლივიუსი.

1822 წელს პერუჯას მახლობლად აღმოჩნდა ქვაზე გაკეთებული ეტრუსკული წარწერა, რასაც შედეგად მოჰყვა რიგი ეტრუსკელების სამარხთა აღმოჩენა. პარალელურად მიმდინარეობდა ეტრუსკული ენის შესწავლა და მისი ნათესაური კავშირის დადგენა სხვა ენებთან. მეცნიერთა ნაწილი მას მიიჩნევდა ენათა ინდოევროპული ოჯახის წევრად. XIX საუკუნის დანიელი მეცნიერი ვ. ტომსენი ამ ენას იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს მიაკუთვნებდა. XX საუკუნეში მდიდარი მასალით შეიესო პარიზის ლუვრის, ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმები; გაგრძელდა ეტრუსკული ენის შესწავლა, ახალი დაკვირვებების შედეგად შეიქმნა ფუნდამენტური მონოგრაფიები და სერიული გამოცემები. საქართველოში აღსანიშნავია რისმაგ გორდეზიანისა და ეკა ავალიანის გამოკვლევები.

ეტრუსკები, როგორც ძველი მსოფლიოს ცივილიზაციის წიაღში მოღვაწე ხალხები, არ იყვნენ დაზღვეულები სხვა ხალხთა კულტურის ზეგავლენისგან. არსებობს მოსაზრება ეტრუსკების იტალიაში მცირე აზიიდან მიგრაციაზე. როგორიც არ უნდა იყოს მეცნიერული ჰიპოთეზები მათს მიგრაციაზე, ფაქტია, რომ აპენინის ნახევარკუნძულზე (თანამედროვე იტალია) ძვ. წ. I ათასწლეულის VIII საუკუნეში მდინარეებს – არნოსა და ტიბრს – შორის აღმოცენდა ეტრუსკული კულტურა. ძვ. წ. VII საუკუნიდან ეტრუსკული საზოგადოება განვითარების მხრივ უფრო მაღალ საფეხურზე ადის. ხელოვნებაში შეიმჩნევა მდიდარი ორიენტალური სტილი. ეტრუსკულ ქალაქებს ჰქონდა საიმედო კედლები და ორიგინალური დაგეგმარება.

ეტრუსკებს ეს სახელი რომაელებმა უწოდეს, საკუთრივ ისინი კი თავიანთ თავს უწოდებდნენ „რასენას". ეტრუსკები დიდ როლს ასრულებდნენ ახლად დაარსებულ რომში, მაგრამ შემდეგში, იქ რესპუბლიკური წყობის დამკვიდრებამ და იტალიაში ბერძენი ვაჭრების გააქტიურებამ გამოიწვია მათი კულტურული და პოლიტიკური დაქვეითება. საბოლოოდ რომმა შეძლო ძველი ეტრუსკული ქალაქების სრული დამორჩილება.

ტრადიციის თანახმად, ეტრუსკების საკრალური სიბრძნე, რომელიც მათ ლეგენდარულმა გრძნეულებმა – ტაგესმა და ნიმფა ვეგოიამ – გაანდეს, დაფიქსირებული იყო ეტრუსკების წმინდა წიგნში – Disciplina Etrusca-ში. აღნიშნული წიგნი მოიცავდა მცირე ზომის თავებს. არსებობდა ასევე სპეციალური სახელმძღვანელო – Libri Acheronti, რომელშიც იყო ცნობები იმქვეყნიურ სამყაროსა და სულებზე. მაკრობიუსის ცნობით, ეტრუსკ სწავლულს – ტარკვინიუს პრისკუსს, შეუდგენია სახელმძღვანელო – წიგნი „ხეებზე წინასწარმეტყველებისათვის", რასაც იყენებდნენ მომავლის განსაჭვრეტად.

ეტრუსკების ამა თუ იმ ქალაქში არ უნდა არსებულიყო ერთიანი კულტმსახურება. ცნობილია 40 სხვადასხვა ეტრუსკული ღმერთის სახელი. ციურ ღმერთთა ჯგუფში შედიოდა 12 ღმერთი, 6 მდედრი და 6 მამრი ღვთაება, მათ შორის უმაღლესი სტატუსი ჰქონდათ ტინსა და ველტუმნუს. ღვთაება ტინი თავისი უზენაესობით ბერძნულ ზევსსა და რომაულ იუპიტერს შეესაბამებოდა. ტინი ეტრუსკული სამყაროს შემოქმედი, უზენაესი ღვთაება იყო. მას მიეწერებოდა სამყაროს შექმნა და ადამიანები მისგან მომდინარე სულით იყვნენ არსებულნი. ტინს განასახიერებდა ერთდროულად მოხუცი და უწვერული ყმაწვილი ხელოვნების ნიმუშებზე. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ტინ-ველტუმნა სინკრეტული ღვთაებაა. შესაძლოა მას კავშირი ჰქონდა მედიტერანული დიდი დედაქალღმერთის კულტთან. ეტრუსკებთან ვხვდებით ასევე ელინური ღმერთების სახელებსაც: აპლუ (აპოლონი), ტურმისი (ჰერმესი), არტიმი (არტემიდა); მათს სახელებს ხშირად ვხვდებით შესაწირ საგნებზე და ბრინჯაოს სარკეების მითოლოგიური სიუჟეტების აღწერისას. ეტრუსკული ქალღვთაებები ადამიანების ბედს განაგებდნენ.

ეტრუსკული რელიგიური პანთეონი მრავალშრიანია. როგორც ცნობილია, უძველეს ფენას წარმოადგენს დიდი დედაქალღმერთის მედიტერანული სუბსტრატი, უფრო გვიანდელს მამრობითი ღვთაებების სუბსტრატი, უახლესი შრე წარმოდგენილია იტალიკურ-ბერძნულ ღვთაებათა სინკრეტული პლასტით. ეტრუსკების რელიგიის მთელმა რიგმა ასპექტებმა ზეგავლენა მოახდინა რომაულ რელიგიაზე. განსაკუთრებით ძლიერი იყო მაგიური ხელოვნების გავლენა. რომში ეტრუსკ მაგებს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. ეტრუსკებში გავრცელებული იყო მკითხაობა, რომელიც ხორციელდებოდა ფრინველების ფრენაზე დაკვირვებით.

რომაული რელიგია

რომის ისტორიაში უნდა გამოვყოთ 3 პერიოდი: 1. მეფეთა ხანა; 2. რესპუბლიკის ხანა; 3. იმპერიის ხანა.

რომის დაარსება მითიურ ისტორიას უკავშირდება. ვესტას ქურუმ ქალებს ოცდაათი წლის განმავლობაში ეკრძალებოდათ გათხოვება, თუ ამ პირობას დაარღვევდნენ, მაშინ მათ ცოცხლად დამარხავდნენ. მითიურმა მეფემ ამ პირობის დამრღვევი ქალი რეა სილვია სასიკვდილოდ გაიმეტა, რომელსაც სარეცელი ღვთაება მარსთან გაეყო. მეფეს თავისი ქალიშვილი შეეეჭვდრა, არ მოეკლა მასთან თანაშეზრდილი რეა სილვია. ამულიუსმა გადაწყვეტილება შეცვალა და რეა სილვია ხაროში ჩააგდო, ბავშვებს კი მდინარე ტიბრში გადაუძახა. მდინარემ გადაგდებული ტყუპები ნაპირზე ლეღვის ხესთან გამორიყა. ბავშვები კოდალამ და ძუ მგელმა გამოკვებეს, მერე ისინი მწყემსმა ფაუსტულუსმა ნახა, შინ მიიყვანა და თავის ცოლთან ერთად გაზარდა. ბავშვებს რომულსი და რემა დაარქვეს.

ტყუპები წამოიზარდნენ, რაზმი შეკრიბეს და ამულიუსი მოკლეს; შემდეგ მათ თავიანთი გადარჩენის ადგილას ქალაქის დაარსება განიზრახეს, მაგრამ ჯერ

ღმერთების ნიშანს დაელოდნენ. დაელოდნენ და მოეელინათ კიდეც: რემას — ექვსი ძერა, რომულსს კი — თორმეტი. რემას შეშურდა და ძმას დაცინვა დაუწყო. შეჰყვნენ კამათს და რომულსმა რემა მოკლა, ქალაქი დააარსა და თავისი სახელი — რომი დაარქვა. ამის შემდეგ ახლად დაარსებულ ქალაქში ხალხი ნელ-ნელა დასახლდა და დაიწყო რომის გაძლიერება. რომის დაარსების თარიღად მიიჩნეოდა 754 წლის 21 აპრილი.

რომულსის შემდეგ რომის მეორე მეფე გახდა ნუმა პომპილიუსი (იმეფა 43 წელს). რომაული გადმოცემით, მას მიაწერება რომაული რელიგიის ფორმირება. ნუმა პომპილიუსს დაუწესებია რელიგიური კულტი, მსხვერპლშეწირვის წესები, ქურუმთა კოლეგიები, ააშენა ტაძრები, შემოიღო წლის თორმეტ თვედ და და თვეების დღეებად დაყოფა. შემდეგი მეფე გახლდათ ტულუს ჰოსტილიუსი, მომდევნო კი — ანკუს მარკიუსი (ნუმა პომპილიუსის შვილიშვილი). უკანასკნელი მეფე ტარკვინიუსი განიდევნა და დაიწყო რომაული რესპუბლიკის ხანა, ასე გაგრძელდა ოქტავიანე ავგუსტუსამდე (ძვ. წ. I ს.), როცა რომი იმპერია გახდა.

რომულსისა და რემას მითის გარდა, არსებობს ქალაქ რომის დაარსების სხვა მითიური წყაროებიც. რემას დაკრძალვის ადგილად ითვლებოდა ავენტინუსი, რომელსაც შემდგომში რემორია ეწოდა. მგელი კი, რომელმაც რომულსი გაზარდა, საკრალურ ცხოველად იქცა. რომაელები მას უძღვნიდნენ ლუპერკალიების რიტუალს (მგლის დღესასწაული), რომელიც, შესაძლებელია, ინიციაციას უკავშირდებოდა. მგლებს მიაწერდნენ სხვადასხვა საოცარ მაგიურ თვისებას, ითვლებოდა, რომ ძუ მგელი ქორწინდებოდა ყველა ნათესავის თანდასწრებით და თუ მეუღლე მოუკვდებოდა, მისი ხსოვნის ერთგული რჩებოდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ზოგიერთ ადამიანს მგლად გადაქცევა შეეძლო. რომის წმინდათაწმინდა სალოცავად ითვლებოდა ლეღვის ხე, რომლის ქვეშაც ძუ მგელი რომულსსა და რემას კვებავდა. ლეღვის ხის დაჭკნობა ქალაქისათვის დიდ საფრთხეს მოასწავებდა.

ფავნუსი — მწყემსების მფარველი რომაული ღვთაებაც თავდაპირველად მგლის სახით იყო წარმოდგენილი. მისი მეტსახელი იყო სწორედ ლუპერკუსი — „მგლების განმდევნელი". ხსენებული ლუპერკალიის დღესასწაული 15 თებერვალს აღინიშნებოდა. იგი იტალიაში გვიანობამდე, ახალი წელთაღრიცხვის 494 წლამდე, აღინიშნებოდა.

საზოგადოდ, უძველესი რომაული რელიგიის შესახებ ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება (წყაროები ძვ. წ. I საუკუნისა და ახ. წ. I საუკუნისაა). მათი რელიგიური წარმოდგენები დროთა განმავლობაში თანდათან იცვლებოდა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ რომაელებს თავდაპირველად ღმერთები კი არ ჰყავდათ, მხოლოდ ღმერთების სიმბოლოები ჰქონდათ. რომაელების მიერ უძველეს დროში შექმნილი ღმერთების პრიმიტიული გამოსახულებები, რომლებიც პატარა თიხის ფიგურების სახითაა ცნობილი, უკვე არსებობდა ძვ. წ. I ათასწლეულიდან.

ზოგი მეცნიერი (ა. გრანიე) ყარაუდობს, რომ რომაელებს პრიმიტიული მითოლოგია ჰქონდათ, რომელმაც განვითარება ვერ ჰპოვა; ჯ. ფრეზერი ცდილობდა, უძველესი რომაული წარმოდგენების ძირები მოენახა საკუთრივ ინდოევროპელთა უძველეს შეხედულებებში. ჟ. ბაიე უარყოფდა რომაულ რელიგიაზე ეტრუსკულ და ბერძნულ ზეგავლენას, რაც ძირითადად არ გაზიარებულა. რომაულმა მითიურმა ტრადიციამ ბევრი ისტორიული გმირის გამითიურება მოახერხა. რომაული მითების საუკეთესო სისტემატიზაცია მოცემულია ვერგილიუსის (ძვ. წ. I ს.) „ენეიდაში". ყველაზე მეტად რომაულმა ღვთაებებმა ბერძნული ღვთაებების გავლენა განიცადეს. ეს პროცესი ძვ. წ. VI საუკუნიდან უნდა დაწყებულიყო.

ბერძნები ღმერთების ქანდაკებებთან თავისუფლად მიდიოდნენ, რომაელები კი ღმერთებს სახეს არ უჩვენებდნენ, თავზე ჩამოფარებული ევედრებოდნენ, ეშინოდათ, ღმერთი არ გამოცხადებოდათ. რომის იმპერიის ეპოქაში რომაულმა საზოგა-

დოებამ უფრო და უფრო გამოიჩინა სიმპათია აღმოსავლური ღვთაებებისადმი (ამაზე დაწვრილებით იხილეთ ამავე წიგნის ნაწილი – ელინისტური ეპოქის რელიგიები, ქვეთავი – აღმოსავლური ღვთაებები რომში). პოპულარული გახდა ორიენტალური წარმოშობის რელიგიურ-ფილოსოფიური, მისტიკური ყაიდის ასტროლოგიური მიმდინარეობები. ოფიციალურ აღიარებას პოულობს მითრაიზმი, საბოლოოდ კი იმპერიაში ქრისტიანობა იმარჯვებს.

რომაული ღვთაებები და დღესასწაულები

რომში იმდენი ღმერთი იყო, რომ ზოგჯერ რომაელებმა არ იცოდნენ, ამა თუ იმ შემთხვევაში რომელი ღმერთისთვის უნდა მიემართათ. მათ ასევე უჭირდათ უძველესი ღვთაებების სქესის გარკვევა. რომაელები ღვთაებრივ ძალას უწოდებდნენ „ნუმენს".

ფაქტობრივად, რომაულ რელიგიაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ჯერ ეტრუსკების, შემდეგ ბერძნების და ბოლოს აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიებმა და კულტებმა. რომაულ რელიგიაში საოცარი სიჭრელე შეიმჩნევა. არ შეიძლება არ დავასახელოთ რომში გავრცელებული ე. წ. პოლიტიკური მაგია, წმინდა სამართალი და წარსულის წვდომა. ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობდნენ სპეციალური ქურუმები, რომელთაგან ერთნი კვერთხის, ხოლო ზოგიერთნი ცხოველთა შიგნეულზე დაკვირვების საშუალებით ეხმარებოდნენ ადამიანებს, მიეღოთ მინიშნება იმაზე, რაც ღვთაებრივი სფეროდან მოდის და ღვთაებრივ დეტერმინირებასთანაა დაკავშირებული. ძვ. წ. 300 წლიდან იქმნება ქურუმთა, ანუ პონტიფექსების, კოლეგია, რომელსაც სახელმწიფო რელიგიის მთავარი პირი, პონტიფექს მაქსიმუსი ედგა სათავეში. გარკვეულ პერიოდში ეს თანამდებობა კეისრებმა შეითვისეს.

რომაულ რელიგიაში ერთ-ერთი მთავარი ღმერთია იანუსი – კარიჭეებისა (შესასვლელისა და გამოსასვლელის) და ყოველივე დასაწყისის (წლის პირველი თვის, თვის პირველი დღის, ადამიანის სიცოცხლის) ღმერთი.

რომაელები კარს ერთ-ერთ წმინდა ადგილად მიიჩნევდნენ. კარს იანუა ერქვა, გასასვლელს კი – იანუსი. იანუსი ყველა საქმეში მონაწილეობდა. იგი ყოველ დილას აღებდა ცის კარს და საღამოს კეტავდა. რომაელები ყოველი თვის დასაწყისს კალენდას უწოდებდნენ (აქედანაა წარმომდგარი ჩვენთვის ყველასთვის ცნობილი კალენდარი). იანუსს ეძღვნებოდა წლის პირველი თვე – იანვარი, მისი მთავარი დღესასწაული წლის პირველი დღე იყო. ამ დღეს ქურუმები ღმერთს თეთრ ხარს წირავდნენ. იანუსს უწოდებდნენ „ღმერთების ღმერთს" და „კეთილ შემოქმედს". მას კარის დასაცავად ხელში ეჭირა გასაღები და ოქროს კვერთხი.

რომაული რელიგიური გადმოცემების მიხედვით, იანუსის აშენებულად ითვლებოდა ყველა ტაძარი. როგორც ჩანს, არქაულ პერიოდში არსებობდა მითი იანუსის მიერ სამყაროს შექმნაზე. დასაწყისისა და დასასრულის ხსენებულ ღმერთს მისტიკურ მნიშვნელობასაც მიაწერდნენ. პირველ ნაბიჯს საქმისთვის მუდამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. რომაელთა წარმოდგენით, ახალი საქმის დამწყები ახალ სივრცეში, ახალ ბჭეში გადიოდა. იანუსი გამოისახებოდა ორსახიან ღმერთად, ზოგჯერ კი – ორსქესიანად. რომაელებმა იანუსს თორმეტი საკურთხეველი აღუმართეს წელიწადის თვეების მიხედვით, წელიწადის დღეების მიხედვით კი 365 თითითა და ზოგჯერ ოთხსახა წვერებიანი კაცის სახით გამოსახეს, რომლის ერთი სახე აღმოსავლეთისკენ, მეორე კი დასავლეთისკენ იყურებოდა. იანუსს წელიწადის 365 დღის აღსანიშნავად ერთ ხელზე – 300 (CCC) და მეორეზე 65 (LXV) ეწერა. თავდაპირველად რომაული წელიწადი მარტიდან იწყებოდა, შემდგომში – იანვრიდან. იანუსი ბოლომდე დარჩა რომაული რელიგიის ერთ-ერთ ყველაზე ამოუცნობ ღმერთად.

ვესტა — იანუსის მსგავსად, ერთ-ერთი მთავარი რომაული ღვთაებაა. იგი კერიისა და კერიის ცეცხლის მფარველად მიიჩნეოდა. ზოგჯერ თავად ცეცხლსაც ვესტას უწოდებდნენ.

ვესტას ტაძარში ენთო მარადიული ცეცხლი, მას ღმერთქალის ქურუმები (ვესტალისები) ეელებოდნენ თავს. ცეცხლის ჩაქრობა უბედურებას მოასწავებდა. რომაელები თვლიდნენ, რომ ცეცხლს მასავით უბიწო, სუფთა მსახურები უნდა ჰყოლოდა. ვესტას უმწიკვლო ქურუმ ქალებს დიდ პატივს სცემდნენ და მათ, თავის მხრივ, დიდი უფლებები ჰქონდათ: შეეძლოთ სასამართლოებში გადამწყვეტი სიტყვის თქმა და სიკვდილმისჯილთა გათავისუფლებაც. თუკი იანუსი სამყაროს დასაწყისად და დასასრულად გაიგებოდა, ვესტა იყო სამყაროს ცენტრი, ამ ნიშნის გამო მისი ტაძარი წრიული ფორმის იყო. ვესტას ქურუმი ქალების გამორჩევა რთული პროცესი გახლდათ. ოციდან ექვს გოგონას ირჩევდნენ. მათ ოცდაათი წელი ქალღმერთისთვის უნდა შეეწირათ. გოგონებს თმებს ჭრიდნენ და ვესტასთვის მსხვერპლის შესაწირად წმინდა ხეზე ჰკიდებდნენ, მერე თეთრ ტანსაცმელში გამოაწყობდნენ. ვესტას ქურუმი ქალები პირველ ათ წელს სწავლობდნენ, მეორე ათწლეულის განმავლობაში ღმერთს ემსახურებოდნენ და მომდევნო 10 წელს სხვებს ასწავლიდნენ. მხოლოდ ამის მერე შეეძლოთ გათხოვილიყვნენ. ვესტას ქურუმ ქალს, რომელიც უბიწოების ფიცს დაარღვევდა, ცოცხლად მარხავდნენ — მას ორმოში უშვებდნენ, თან მცირეოდენ საკვებს აწვდიდნენ და ორმოს თავს ახურავდნენ. ვესტას გამოსახულებები იშვიათად გვხვდებოდა.

იუპიტერი — იგი მიიჩნეოდა ღმერთებისა და ხალხის მეუფედ. თავდაპირველად იუპიტერი სინათლის ღმერთი იყო, ამიტომაც მას ეძღვნებოდა თითოეული თვის სავსე მთვარის დრო. რომაელთა წარმოდგენით, იუპიტერი აგზავნიდა დედამიწაზე ელვას, გრგვინვით გამოხატავდა თავის ნებას. ელვანაცემი ადგილი წმინდა ადგილად ითვლებოდა და ქურუმი შემოღობავდა, რომ არავის გაეევლო, იქ სამსხვერპლოს აღმართავდა და ცხვარს შესწირავდა.

იუპიტერი ღმერთების მბრძანებლად, სამყაროს სულად და გონად, ყველაფრის წარმომშობ და თავის თავშივე დამბრუნებელ ეთერად წარმოიდგინებოდა. მისი მთავარი ტაძარი რომის ცენტრში, კაპიტოლიუმის ბორცვზე, მდებარეობდა. რომაელები ომის შემდეგ ყველაზე ძვირფას ძღვენს ამ ღმერთს სწირავდნენ.

თავდაპირველად იუპიტერს, უძველესი რომაელი ღმერთების მსგავსად, ადამიანური სახე არ ჰქონდა. მისი სიმბოლო კაპიტოლიუმის წმინდა ხე იყო. იუპიტერს მუხის სულად, ზოგჯერ კი ქვად წარმოიდგენდნენ. ეტრუსკების, შემდგომში კი ბერძნების გავლენითაც მიიღო იუპიტერმა ადამიანის სახე. რომაელები იუპიტერს ბერძენ ზევსთან აიგივებდნენ. მას წვერებიან და გრძელთმიან მოხუცად გამოსახავდნენ. იუპიტერი იჯდა ტახტზე, ერთ ხელში ეჭირა კვერთხი — ადამიანებსა და ღმერთებზე უზენაესი გამარჯვების სიმბოლო, მეორეში კი ელვა ან გამარჯვების ქალღმერთი ვიქტორია, მის ფერხთით, ჩვეულებრივ, არწივი იჯდა ხოლმე.

იუნო — ქალღმერთ იუნოს იუპიტერის ცოლად მიიჩნევდნენ. თავდაპირველად იუნო ნაყოფიერებისა და მთვარის ქალღმერთი იყო, შემდგომში კი უზენაესი ღმერთის მეუღლეს იუნო რეგინა (დედოფალი) ეწოდა. ამ ქალღმერთს ხელთ ელვა ეპყრა. იგი ქალებს, ოჯახურ ცხოვრებას, ფეხმძიმობის პროცესს, მშობიარობას მფარველობდა. რომაელებმა იუნო ბერძენთა ჰერასთან გააიგივეს.

მინერვა — უზენაესი ღმერთების კაპიტოლიუმში შედიოდა მინერვაც. სამივე ღმერთი — იუპიტერი, იუნო და მინერვა — რომს მფარველობდნენ. მინერვას რომაელები დიდ პატივს მიაგებდნენ. კაპიტოლიუმის ტაძარი იუნოსა და იუპიტერთან ერთად მასაც ეკუთვნოდა.

ეს ქალღმერთი რთვას, ქსოვას, ღებვას, მეწარმეობას, სახლებისა და გემების მშენებლობას, ჭურჭლის გამოწვასა და იარაღის კეთებას მფარველობდა; ხელს უწყობდა და ეხმარებოდა მუსიკოსებს, ფერმწერებს, მოქანდაკეებს, პოეტებს, ექიმებს.

ქალღმერთის დღესასწაული ხუთ დღეს გრძელდებოდა. პირველ დღეს მინერვას პურს, ზეთსა და თაფლს სწირავდნენ, მეორე, მესამე, მეოთხე დღეს გლადიატორთა ბრძოლები იმართებოდა, მეხუთე დღეს კი მეწაღეების დარბაზში მას მსხვერპლს სწირავდნენ და ბუკს აკურთხებდნენ. ეს ბუკი მინერვას ეძღვნებოდა. მებუკეებს და ფლეიტაზე დამკვრელებს ქალღმერთი მფარველობდა. მებუკეებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ქალაქის ცხოვრებაში – ისინი საზეიმო ცერემონიაში, დაკრძალვებსა და სხვადასხვა რიტუალში მონაწილეობდნენ.

მინერვა გაიგივებული იყო ბერძენთა ათენასთან. რომაელებს მინერვა და ათენა ერთი ქალღმერთის ორ სხვადასხვა სახელად მიაჩნდათ. რომაელებისთვისაც მინერვა იუპიტერის თავიდან დაბადებული სიბრძნისა და ომის ქალღმერთი იყო.

ერთ-ერთ უძველეს იტალიკურ ღმერთ სატურნუსს რომაელები ოქროს საუკუნის ღმერთად მიიჩნევდნენ. სატურნუსისადმი მიძღვნილ სატურნალიების დღესასწაულზე კარნავალური თავაშვებულობა სუფევდა, ბატონები და მსახურები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ეს დღესასწაული რომაელებს „ოქროს საუკუნეს", საყოველთაო თავისუფლებასა და თანასწორობას აგონებდა.

ელინისტური ეპოქის რელიგიები

ელინიზმის განსაზღვრება

ელინიზმის ცნების ქვეშ მოიაზრება ძველი და ახალი წელთაღრიცხვების გასაყარზე აღმოსავლური და დასავლური კულტურების ურთიერთშეხვედრის შედეგად წარმოშობილი პოლიტიკურ-კულტურული სივრცე, რომელიც, ფერადი მოზაიკის მსგავსად, თავის თავში მოიცავდა სხვადასხვა ხალხის სულიერ პლასტებს. კაცობრიობის წარსულში ელინიზმის დასაწყისი უკავშირდება ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობითი ომების შემდგომ პერიოდს. ელინურში იგულისხმება საკუთრივ ბერძნული კულტურა, ხოლო ელინისტური გულისხმობს ბერძნული (დასავლური) კულტურის თანაზიარობას აღმოსავლურთან. სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „ელინიზმი" დაამკვიდრა გერმანელმა მეცნიერმა ი. დროიზენმა 1836 წელს. გვიანდელი ელინიზმის ხანა ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნემდე გრძელდება.

ელინიზმის ეპოქა კულტურის ყველა დარგისათვის საინტერესო ვითარებას ასახავს. ეს არის კერძო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ფილოსოფიის, მათემატიკის, ისტორიის აღორძინებისა და წინსვლის დრო. ელინიზმი არანაკლებ საინტერესოა რელიგიების ისტორიაში. ელინიზმის ხანაში აღმოსავლური რელიგიური კულტები, სხვადასხვა ლოკალური ღვთაება, თეოლოგიური მოძღვრებები ფართოდ იჭრება დასავლეთისა და ჩრდილო აფრიკის ხალხთა სულიერ ცხოვრებაში. საფუძველი ეყრება აღმოსავლურ ყალიბზე მოჭრილ დასავლურ, ახალი ტიპის რელიგიურ დოქტრინებს. ელინისტური სამყაროს ფილოსოფიურ სკოლებში (პლატონის აკადემია, პერიპატეტიკოსები, ნეოპლატონიზმი, ნეოპითაგორიზმი, სტოიციზმი) საგანგებო ყურადღება ეთმობა თეოლოგიური ხასიათის საკითხთა გაშუქებას. ელინიზმის ხანის ადამიანი საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ცხოვრების ექსისტენციალურ პრობლემებზე, რაც დასაბამი ხდება პესიმისტური სულისკვეთებით განმსჭვალული მისტიკური რელიგიების წარმოშობისა (გნოსტიციზმი, მანიქეიზმი). ელინისტურ რელიგიებს აქვთ ენიგმატურ დატვირთვამდე აყვანილი კულტი; მათს სამწერლობო ტრადიციაში ჩნდება საკრალური წიგნები; იმპერიები განამტკიცებს მძლავრ ცენტრალიზებულ რელიგიას და დევნის დანარჩენ კულტებს. ყველა ელინისტური რელიგიისთვის დამახასიათებელია ეკლექტიზმი – ამ ცნების სხვადასხვა გაგებით. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ხანა, როცა რომმა თაყვანი სცა ინდოარიულ მითრას, ბერძნული ჰერმესი შეიჭრა ეგვიპტეში, ხოლო ებრაელებმა მონოთეიზმი გააცნეს აღმოსავლეთის შორეულ ერებს. ელინიზმის ამ მახასიათებლების სიმბოლურ გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გაშენებული ქალაქი ალექსანდრია – აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა შეყრის ცენტრი, სადაც რელიგიური, კულტურული, ფილოსოფიური და სამეცნიერო ცხოვრება დუღდა. ალექსანდრიის სახელგანქმული ბიბლიოთეკა პერიოდულად ივსებოდა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი იშვიათი ხელნაწერებით.

ელინიზმის ეპოქა შესაძლოა დაიყოს ორ ჰერიოდად: 1. ადრეული ელინიზმი – ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან ახ. წელთაღრიცხვის I–II საუკუნეებამდე; 2. გვიანდელი ელინიზმი – II–V საუკუნეები, ანუ ელინისტურ-რომაული პერიოდი. ადრეული ელინიზმის დასასრული დაკავშირებულია ოქტავიანე ავგუსტუსის ხეობისას (ძვ. წ. 31 წ.) რომის იმპერიის ჩამოყალიბების პროცესთან, საერთოდ, ელინიზმის დასასრულად შესაძლოა მივიჩნიოთ 529 წელი, როცა ათენში დაიხურა ნეოპლატონური აკადემია.

ელინიზმი არ არის ცალმხრივი პროცესი, ანუ მის ქვეშ არ იგულისხმება ბერძნული კულტურის გავლენა აღმოსავლეთის ხალხებზე. ის გულისხმობს უკუპროცესსაც, ბერძნულ-რომაული კულტურის თავისებურ ორიენტალიზაციასაც, აღმოსავლური სულიერი სამყაროს ღირებულებათა გავლენას ბერძნულ მსოფლმხედველობაზე.

რომაულ სამყაროს ელინიზმის დასაწყისში თითქმის არ გააჩნდა საკუთარი კულტურული ღირებულებანი. ყოველივე ეს რომმა ბერძნულიდან ისესხა და გაითავისა. რომს ჰქონდა საბერძნეთთან მიმართებაში თავისი უპირატესობა სამხედრო და პოლიტიკური ორგანიზაციის განვითარების მაღალი ფორმის სახით, რაც ნათლად გამოჩნდა ძვ. წ. 146 წელს, როცა რომმა მაკედონია და საბერძნეთი დაიპყრო. ხოლო როდესაც ძვ. წ. 30 წელს რომაელებმა ეგვიპტეც შემოიერთეს, ამით დასაბამი მიეცა ახალ ერას – რომის რესპუბლიკა იმპერიად გადაიქცა. იმპერიის ხანის რომის რელიგიური პანთეონი აშკარად მეტყველებს ელინისტური ეპოქის რელიგიური ვითარების სურათზე.

ელინიზმის პერიოდის რელიგიებში ასპარეზზე გამოდიან ცალკეული თეოლოგები, რომლებიც ინდივიდუალურ სამწერლობო მოღვაწეობას ეწევიან. ზოგადად, ელინისტური თეოლოგია ეკლექტიკურ ნიშნებს ატარებს. ეკლექტიზმი თავის თავში აერთიანებს განსხვავებულ კულტურულ სივრცეებში წარმოშობილ მსოფლმხედველობათა ცალკეულ ასპექტებს და მათი თავისუფალი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. ამის ნათელსაყოფად ქვემოთ წარმოდგენილია ბერძენი ნეოპითაგორელების, ებრაელი მოაზროვნის, ფილონ ალექსანდრიელისა, და ქრისტიანი თეოლოგის, ორიგენეს, მსოფლმხედველობათა მოკლე მონახაზი, რაც ელინისტური ეკლექტიზმის ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ნეოპითაგორელები თავიანთ ნააზრევში აღმოსავლური სიბრძნის დიდ გავლენას განიცდიდნენ. ისინი მანტიკის ხელოვნებასაც დაუფლებულნი იყვნენ. ამ მისტიკური სკოლის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია აპოლონიოს ტიანელი (I ს.). ის თავის მიზნად მონიზმისკენ სწრაფვას, მონოთეიზმის დანერგვის აუცილებლობას მიიჩნევდა, რომის იმპერიისთვის არასასურველად თვლიდა პაგანისტური ტაძრების შენებას. აღმოსავლურ სიბრძნესა და ფილოსოფიას ზიარებული აპოლონიოს ტიანელისთვის უცხო არ იყო სხვადასხვა ღმერთის პატივისგება და შეწყნარება, იგი რელიგიურობის პოზიციიდან ტოლერანტობის თვალსაზრისზე იდგა, მაგრამ I ს ჭეშმარიტ რელიგიად ის მიაჩნდა, ერთი ღმერთის დოგმას რომ იცავდა, ისეთი ღმერთისა, რომელმაც, მისი განმარტებით, შექმნა მთელი სამყარო და ადამიანი. აპოლონიოსი სულისა და სხეულის დამოკიდებულების ახსნაში პითაგორულ-პლატონურ თვალსაზრისს ავითარებდა და ამტკიცებდა, რომ უკვდავი სული დროებითაა გამოკეტილი სხეულის საპყრობილეში, რომლისაგან გათავისუფლების პირობაა ცოდვებისაგან განწმენდა და რელიგიური რწმენის საფუძველზე სულის სრულყოფილების მიღწევა. ნეოპითაგორელები სულთა რეინკარნაციას არ უარყოფდნენ.

ფილონ ალექსანდრიელი (ძვ. წ. 20 – ახ. წ. 49) ელინისტური ეპოქის ტიპური მოაზროვნეა. იგი, მართალია, აღიარებდა ჭეშმარიტების ერთადერთობას, მიიჩნევდა, რომ მისი გამოთქმის შესაძლებლობა ორი გზით – საღმრთო წიგნებისა და ფილოსოფიის ენაზე, ან ებრაული რელიგიისა და ბერძნული ფილოსოფიის საშუალებით შეიძლებოდა. იგი განიცდიდა პლატონის, პითაგორას, სტოელების გავლენას. ეს იყო ადამიანი, რომელმაც მიზნად დაისახა ებრაული რელიგიის დაახლოება ანტიკურ აზროვნებასთან. ფილონს სურდა, ეჩვენებინა ფილოსოფიისა და ძველი აღთქმის წიგნთა არსის სინთეზირების შესაძლებლობა. ამისთვის მან ალეგორიული მეთოდი მოიმარჯვა, რომლის წინამორბედი იყო საბერძნეთში სტოელების სიმბოლოების თეორია და მათ მიერ ბერძნული მითების ახსნის წესი. ფილონის ნაზრევის სხვადასხვა ასპექტს შორის ელინისტურ სულისკვეთებას გამოხატავს მისი ფილოსოფიის მისტიკური მხარე. ამასთან, მისტიკური ჭვრეტა, ექსტაზი, გამოცხადება ადამიანური არსებობის უმაღლეს მიზანს წარმოადგენს. ფილონის აზრით, ადამიანისათვის არსებითია სულის შინაგანი ღვთაებრიობა და ამის გამუღავნებისა და გარკვევისათვის არსებობს რელიგიური სრულყოფის განსხვავებული საფეხურები, რომელიც იწყება „ასკეტური" ღვთაებრიობით, ე. ი. სათნოებაზე ვარჯიშით (რომლის სიმბოლოდ

წარმოდგენილია იაკობი), შემდეგია სათნოების ცოდნაზე დაფუძნებული რელიგიურობა (აბრაამის სიკეთე), მათზე მაღალია თვით ღმერთის სიკეთისგან უშუალოდ გამომდინარე სათნოების ზიარება (ისააკის სიკეთე).

თავისი უმაღლესი და საბოლოო მიზანი სიკეთეს მარტო ღმერთში აქვს და ყოველი ადამიანი ამისაკენ უნდა ისწრაფვოდეს. ეს ის საბოლოო პუნქტია, რომელშიც რომელიმე წმინდანს, სათნოების ეტალონს კი არ უთანაბრდები ან ემსგავსები, არამედ როდესაც ღმერთთან უშუალო მიმართებაში დგები. თუ რელიგიურობის წინა სამ საფეხურზე საჭიროა სწავლა, მეცნიერება, სათნოების ცოდნა, მეოთხე საფეხურზე ყოველივე ეს იხსნება, რადგან ადამიანი რაციონალურის საზღვრებს გარეთ გადის, ზერაციონალურში მაღლდება და არაცნობიერ მდგომარეობაში, ექსტაზში მყოფი ღმერთისაგან უმაღლეს ნათელს იღებს, უშუალოდ ჭვრეტს ღმერთს თავის ერთიანობაში. ეს ღმერთის წვდომის განსაკუთრებული აქტია. თუ შემეცნების დროს ჩვეულებრივ თვალს გვტაცებს რაღაც ხილული, ყურს ვუგდებთ ხმებს, სუნს შევიგრძნობთ ან გემოს ვგრძნობთ, ეს სრულიად მოხსნილია ადამიანური სულის ღვთაებრივ საუფლოში ამაღლების დროს. აქ ადამიანი მთლიანად ეძლევა ღმერთის ჭვრეტას. ასეთი უნარი ყველას არა აქვს მიმადლებული, ეს მხოლოდ წინასწარმეტყველთ, „უწმინდესებსა" და ყოვლისმხილველ ადამიანებს შეუძლიათ, რადგან უფალმა მათ გაანდო თავისი საქმენი.

ელინისტური ეკლექტიზმის ნათელი მაგალითია ქრისტიანი თეოლოგი ორიგენე (185-253), რომელიც ალექსანდრიაში ხელმძღვანელობდა პირველ კატეხიზატორულ სასწავლებელს. მან სიმბოლურ-ალეგორიული კუთხით განმარტა მთელი ბიბლია. მას ეკუთვნის ფრაზა – „ბიბლია ესაა სიმბოლოების ტყე, რომელშიც ღმერთი სეირნობს". ორიგენემ ზედმეტად დააახლოვა ქრისტიანული თეოლოგია პლატონის ფილოსოფიასთან, აგრეთვე, განიცადა სტოიციზმის გავლენა. იგი ცდილობდა სამების დოგმატი ლოგიკური გზით აეხსნა, რის გამოც თავიდან ვერ აიცდინა ნეოპლატონიკოსებისათვის დამახასიათებელი სუბორდინაცია. მათი გავლენით ორიგენემ უარყო სხეულთა ღირებულება და ყოველგვარი მატერია ცოდვით დაცემის შედეგად მიიჩნია. ორიგენესეული ანთროპოლოგია მეტემფსიქოზის ტვიფარითაა დაღდასმული. ორიგენე ასწავლიდა, რომ სულები განსხეულებამდე უკვე არსებობდნენ სხვა სხეულებში, ანუ ცნობდა სულთა მიგრაციის თეორიას, რაც სრულ წინააღმდეგობაშია ქრისტიანობასთან და ნათესაობას პოულობს ინდურ რელიგიებთან (ბრაჰმანიზმი, ბუდიზმი), თუმცა ორიგენეს ამ შეხედულების მთავარი წყარო უნდა ყოფილიყო პითაგორიზმი და პლატონის ფილოსოფია. ორიგენე აღიარებდა საყოველთაო, ე. წ. დიად აღდგომასაც, როცა ყველა არსება წმინდა სულიერებით, სხეულებრიობის სრული გაქრობით დაუბრუნდებოდა ღვთაებრივ წიაღში დასაბამიერ ერთობას, მათ შორის – დაცემული ანგელოზებიც (აპოკატასტასის თეორია). ამ განახლებულ სამყაროში, ორიგენეს თეოლოგიაზე დამყარებით, კვლავ იქმნებოდა ახალი დაცემის საშიშროება, რაც გამოიწვევდა მოვლენების გამეორებას. ეს მოწმობს, რომ ორიგენე სამყაროების ციკლურ მოძრაობასა და ურთიერთმონაცვლეობას არ გამორიცხავდა, რაც სტოელების მოძღვრების ერთ-ერთი არსებითი ასპექტი გახლდათ. ორიგენეს ზემოთ ჩამოთვლილი შეხედულებები, აგრეთვე, ვარსკვლავთა სულიერად მიჩნევა და სხვა ცთომილებები დასაბამი გახდა ორიგენეს საბოლოდ ანათემირებისა, რაც 553 წელს კონსტანტინეპოლის V საეკლესიო კრებაზე განხორციელდა. ორიგენეს მცდელობამ ქრისტიანობის გარეშე სწავლებებთან დაახლოებისა, სასურველი ნაყოფი არ გამოიღო, თუმცა დიდია რიცხვი ეკლესიის ისტორიაში როგორც ორიგენეს მოწინააღმდეგეებისა, ასევე – მომხრეებისაც. ორიგენეს თეოლოგიაში იყო პოზიტიური მხარეებიც, რაც ქრისტიანობამ შეითვისა და გამოიყენა.

ელინისტური ეპოქიდან რომში გავრცელდა აღმოსავლური ღვთაებები და მათთან დაკავშირებული კულტები. აღმოსავლური ღვთაებები ხშირად ერთმანეთს ერწყმოდა და შემდეგ კი არცთუ იშვიათად ერგებოდა რომაულ ღვთაებებს. რომში გავრცელებული იყო სირიული, ეგვიპტური, ანატოლიური ღვთაებები. მათს ფართოდ გაჭრას დასავლეთში ხელს უწყობდა რომაული ლეგიონერების სწრაფი მიგრაცია აზიაში, ასევე, სავაჭრო კონტაქტების აღორძინება და, რაღა თქმა უნდა, რომაული ხასიათი – მიდრეკილება ყოველგვარი უცხოსკენ, მაგიისკენ, ეკლექტიკური ფილოსოფიისკენ და მისტერიების ტრფიალი.

რომში საკმაოდ გავრცელებულნი იყვნენ ეგვიპტური ღვთაებები. მათ შორის გამოირჩეოდა ისიდა. ამ ეგვიპტური ქალღვთაების პოპულარობას იმპერიაში მოწმობს მისადმი მიძღვნილი წარწერების სიმრავლე, ასევე, ლათინურ ენაზე შემონახული ჰიმნები, რომლებიც I-III საუკუნეებს განეკუთვნება. ისიდა თავდაპირველად არ გავრცელებულა ტრიუმფით, ვინაიდან მასთან დაკავშირებული საიდუმლო მისტერიები რომაულ საზოგადოებაში გარკვეულ ეჭვებს ბადებდა. მოგვიანებით ქალღმერთისადმი კეთილგანწყობა თვით იმპერატორებშიც შეიმჩნევა. აპულეუსი გვაწვდის ცნობას, რომ ისიდასადმი მიძღვნილი ცერემონიის შემდეგ ქურუმები სახელმწიფოსადმი მიძღვნილ ლოცვებს კითხულობდნენ. ამ ეგვიპტელი ღვთაების ერთგულ იმპერატორად გვევლინება კალიგულა (37-41), რომელმაც მის სახელზე ტაძარი ააშენა. მას მფარველობდნენ ნერონი და დომიციანე. ანალოგიური ვითარება II საუკუნეშიც გაგრძელდა. ისიდა ფიგურირებს ანტონიუს პიუსის ბრინჯაოს მონეტის რევერსზე. იმპერატორი კომოდუსი, ასევე, მონეტებზე ისიდასა და ანუბისთან ერთად გამოისახებოდა. ისიდას აღზევების პიკია კარაკალას (198-217) მმართველობის დრო. მან მრავალი ტაძარი აუგო ისიდას. იმპერატორი ალექსანდრე სევერუსი (222-235) მის სახელზე აგებულ საკურთხეველებს მისტერიული ემბლემებით რთავდა. რომში ისიდას კულტის მიმდევართა რიცხვის ზრდა აშკარა იყო. I საუკუნეში მისი 3 ტაძარი არსებობდა, უკვე I-II საუკუნეების მიჯნაზე 17 ტაძარია ცნობილი, ხოლო III საუკუნისთვის – 24. IV საუკუნიდან ისიდას კულტის დაკნინება იმ ტენდენციის გამოვლინება იყო, რომელიც ქრისტიანობის ფონზე პაგანიზმის დაკნინებაში გამოიხატებოდა.

რომში გავრცელებული აღმოსავლური ღვთაებებიდან ყურადღებას იქცევს საკმაოდ ეკლექტიკური ღვთაება სერაპისი, რომლის წარმოშობაც ეგვიპტეში პტოლემაიოსების მმართველობის ხანას უკავშირდება. სერაპისის სახეში ერთიანდებოდა სხვადასხვა ძველი ღვთაების თვისება. ცნობილია მისი რამდენიმე ფუნქცია. ალექსანდრიული ცივილიზაციის განვითარების უამს იგი ოსირისის კულტს ჩაენაცვლა. ამ ღვთაების სახელში სემანტიკურად ულერს წმინდა ხარის – აპისის – სახელი და ასევე ოსირისისა. ბერძნები სერაპისში ცნობდნენ პლუტონს, რომელიც, ოსირისის მსგავსად, მიცვალებულთა ღმერთად იყო მიჩნეული. ალბათ, ამის გამო სერაპისის გამოსახულება ხშირად გვხვდება სამარხებში. იგი მკურნალობის ღვთაებადაც მიიჩნეოდა, გაიგივებული იყო დიონისესთანაც. ვიდრე რომში შევიდოდა, სერაპისი გაიჭრა ანტიოქიასა და პალესტინაში. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე, ელინიზმის საერთო სურათიდან გამომდინარე, სერაპისი შეისისხლხორცა რომის რელიგიურმა ატმოსფერომ. მის მიმართ კეთილგანწყობა კალიგულამ გამოხატა, რაც მომდევნო ხანაში გაგრძელდა. სერაპისისადმი მიძღვნილი ტაძრები (სერაპეუმები) იმპერიის ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი. კარაკალამ ააგო ერთ-ერთი უზარმაზარი სერაპეუმი. ეს საკულტო კერა ერთდროულად ეძღვნებოდა სერაპისს, ზევსსა და ჰელიოსს, რაც სერაპისის კოსმიურ ძლიერებასთან გაიგივებაზე მეტყველებს. სერაპისის კულტის დაღმასვლა IV საუკუნის დასაწყისიდან შეიმჩნევა.

რომში საკმაოდ ფეხმოკიდებულია მცირე აზიიდან შესული ღვთაებებიც, მათ

შორის – კიბელა, რომელიც ნაყოფიერებას უკავშირდებოდა და მასთან მჭიდრო კონტაქტში მყოფი ატისი. მათს სახელებს იმპერიაში უცნაური ელფერის ორგიები დაუკავშირდა. ამ ღვთაებების დღესასწაული გაზაფხულზე იმართებოდა. მითიური გადმოცემით, დიადმა დედაქალღმერთმა კიბელამ, რომელიც ბუნების ნაყოფიერებას განასახიერებდა, დაკარგა თავისი მიჯნური, რომელმაც სასოწარკვეთილებისას თავი დაისაჭურისა. მისმა სისხლმა მიწა გაანაყოფიერა. კიბელა მწუხარებას მიეცა, მაგრამ ზევსის ნებით ჭაბუკი გახრწნას გადაურჩა. მას მისი მსგავსი საჭურისი ქურუმები ემსახურებოდნენ. ამ მითის გათამაშებისას გალიაში ექსტაზში მყოფნი ღვთაებას მამაკაცურ ორგანოებს სწირავდნენ მსხვერპლად. ამგვარი სისხლიანი სახის მიუხედავად, კიბელასა და ატისის კულტები მაინც მყარად იდგა რომში, სადაც არსებობდა კიბელას საკურთხეველი და ტარდებოდა მასთან დაკავშირებული ყველა რიტუალი. რაც შეეხება კიბელას სატრფო ატისს, ის ზოგჯერ სოლარული წარმოშობის ღვთაებად მიიჩნევა. არსებობს ატისის მრავალი ფიგურა. ცნობილია წმინდა ცეკვის შემსრულებელი ატისის გამოსახულებები. ისინი რომის იმპერიის მთელი მასშტაბითაა აღმოჩენილი.

საინტერესოა ნაყოფიერების ღვთაება საბაძიოსი, რომელიც ზოგჯერ სოლარულ ღვთაებადაც აღიქმება. საბაძიოსი მზის სხივებით გამოიხატებოდა. იგი სხვა ღვთაებებს ადვილად ერწყმოდა. საბაძიოსის წმინდა ცხოველი იყო გველი. მისი რომის იმპერიაში გამოჩენა II საუკუნისთვისაა სავარაუდო. საბაძიოსის კულტის ნაკვალევი აშკარაა იტალიასა და გალიაში.

რომში საკმაოდ ძლიერი იყო ფინიკიური წარმოშობის ნაყოფიერების ღვთაება ადონისი. ის მცენარეთა მფარველადაც მოიაზრებოდა. ადონისის სამშობლო იყო ქალაქი ბიბლოსი, სადაც მისი ტაძარიც არსებობდა. ადონისი ჯერ იონიის კუნძულებზე შეიჭრა და მალე დაიკავა თავისი ადგილი ბერძენთა რელიგიურ პანთეონში. ადონისი ზოგჯერ იგივდებოდა ატისთან, ხანდახან კი – მერკურთან. მისთვისაც დამახასიათებელი იყო ელინიზმისათვის ნიშანდობლივი მისტერიები. ადონისის გაცოცხლების რიტუალი შესაძლოა, ბიწიერებით გამოირჩეოდა. ორიგენე ვარაუდობდა, რომ ადონისი სირიელების თამუზი იყო.

ქრისტიანობა და პაგანიზმი

ქრისტიანობა რომში მოციქულთა მისიონერული მოღვაწეობის შედეგად სწრაფად გავრცელდა I საუკუნის 40-იანი წლებიდან. ახალ რელიგიას საიმპერატორო კარი სასტიკად დევნიდა. აღსანიშნავია, რომ რომაელები თავიანთი არსებობის მანძილზე არ შეიმჩნეოდნენ არც რელიგიურ ომებსა და არც სხვა რწმენის ადამიანთა დევნაში. მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კანონებისადმი ერთგულება და რელიგიური წესების: მსხვერპლშეწირვის, ლოცვებისა და რიტუალების ისე შესრულება, როგორც რომის სახელმწიფო მოითხოვდა. ქრისტიანები ამას არ აკეთებდნენ. იმპერატორ ტრაიანესა (98-117) და ბითვინიის მმართველის, პლინიუსის, მიმოწერიდან ვგებულობთ ცალკეულ დეტალებს. ქრისტიანები, რომლებსაც დაასმენდნენ, მიჰყავდათ ქალაქის მმართველთან: თუ ისინი რომაულ ღმერთებს აღიარებდნენ და იმპერატორის გამოსახულებას გუნდრუკსა და ღვინოს შესწირავდნენ, ათავისუფლებდნენ, თუ არა და მკაცრად სჯიდნენ. ქრისტიანები სახელმწიფოსთვის საშიშ ფენომენად აღიქმებოდნენ. მათი პირველი დიდი დევნა აწარმოა იმპერატორმა ნერონმა (54-68). რომში გაჩენილი ხანძარი, რომელმაც ქალაქის დიდი ნაწილი გაანადგურა, მან ქრისტიანებს დააბრალა. ამ უკანასკნელთაგან ვინც უარს აცხადებდა წარმართებთან

რელიგიურ კონტაქტზე და კატაკომბებში მალულად იკრიბებოდა, მავნე ძალად ეჩვენებოდათ. ამ დროს მრავალი ქრისტიანი აწამეს, მათ შორის – წმინდა მოციქულები პეტრე და პავლე. მეორე დიდი დევნა ქრისტიანულ ეკლესიას თავს დაატეხა დომიციანემ (81-96). ანტონიუსების დინასტიის დროს ქრისტიანთა დევნა ზოგჯერ სასტიკ ხასიათს იღებდა. ამ პერიოდში ბევრი ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ემსხვერპლა რელიგიურ რეპრესიებს. ამ დინასტიის წარმომადგენლებისგან საინტერესოა იმპერატორი ანტონიუს პიუსი (138-161). მის რეფორმებს შორის აღსანიშნავია მონების მოკვლის აკრძალვა, იუდეველთათვის წინდაცვეთის უფლების დაშვება და ქრისტიანთა დევნის შეწყვეტა, თუმცა ქრისტიანთა მარტვილობის ცალკეული ფაქტები მაინც ფიქსირდებოდა. ამ ყველაფერს ქრისტიანობა ხვდებოდა სიხარულით, რადგან მიწიერ სამყაროსთან შედარებით ზეციური ღირებულებები ქრისტიანებში პრიორიტეტს არ კარგავდა. მათ კარგად ახასიათებს ერთ-ერთი ადრეული ძეგლი: „რაც არის სული სხეულში, ქრისტიანებიც იგივე არიან ამ სამყაროში და როგორც სული განეფინება სხეულის ნაწილთა შორის, ასევე ქრისტიანებიც – ქვეყნიერების ქალაქებში. სული ხორცში მკვიდრობს, მაგრამ არ არის ხორცისაგან. ქრისტიანებიც თუმცა ამქვეყნად სახლობენ, ამქვეყნისანი არ არიან. უხილავია სული, ხილულ სხეულში შეკრძალული, ქრისტიანები ამქვეყნად იმყოფებიან, უხილავად ჰგიეს მათმიერი ღვთისმსახურება, სძაგს სული ხორცს და ებრძვის მას, თუმცა ვერაფერს აკლებს, რადგან სული სიამისაგან განაკრძალებს თავს. ქრისტიანებიც სძაგს ქვეყნიერებას, მაგრამ ვნებას ვერ მოაწევს მათზე, რადგანაც ისინიც განუდგებიან სიამეებს... ქრისტიანები პყრობილნი არიან ამ სამყაროში, როგორც ციხეში, მაგრამ სწორედ მათ უპყრიათ ეს სამყარო'' („ეპისტოლე დიოგნეტესადმი'').

ქრისტიანობა წარმართობას ამხელდა როგორც ზეპირი ქადაგების გზით, ისე – წერილობით. აპოლოგეტები იცავდნენ საკუთარ რელიგიას წარმართთა შემოტევებისგან, არგუმენტირებული გზით ცდილობდნენ მათი აზრების გაბათილებას. ისინი ასაბუთებდნენ კერპთაყვანისმცემლობისა და სხვა პაგანისტური კულტების უფუნაროობას. კერპების საწინააღმდეგოდ აპოლოგეტი თეოფილე ანტიოქიელი წერდა: „ყოველივე ეს ხრწნადი ნივთისაგან არ არის ქმნილი? ნუთუ რკინისა და ცეცხლისაგან არ გამოჭედეს ისინი? ნუთუ ქვისმთლელმა არ გამოაქანდაკა ერთი მათგანი, მეორე – სპილენძის ოსტატმა, მესამე – ვერცხლისმჭედელმა, ხოლო მეოთხე – მექოთნემ? ნუთუ ყოველი ნივთი, რომელიც ხელოსანმა ამგვარად გამოკვეთა, სხვათა სახით არ იყო შექმნილი? ნუთუ იმავე ნივთისაგან დამზადებულ ჭურჭლებს ხსენებული ხელოსნები ღმერთთა მსგავსად ვერ გარდაქმნიან? ნუთუ არ ძალუძს ადამიანის ხელს, კვლავ ჭურჭლად აქციოს თქვენი სათაყვანო კერპი? განა არ არიან ისინი ყრუ, ბრმა, უსულო და უგრძნობელი, უძრავი თუ ყოვლითურთ ლპობადი და ხრწნადი? მათ თქვენ ღმერთებად უხმობთ, მათვე ემონებით და ეთაყვანებით, ემსგავსებით კიდეც სავსებით''.

ქრისტიანობის გავრცელებისას ანტიკური ფილოსოფიური სკოლები არსებობას განაგრძობდა. ქრისტიანობაში მაცხოვრის მიერ მოტანილი სწავლება გამოცხადდა ერთადერთ ჭეშმარიტ ფილოსოფიად. ანტიკურ სკოლებში ზოგი თეოლოგი ცნობდა ჭეშმარიტების მარცვლების არსებობას და მათს გარკვეულ ღირებულებას აღიარებდა. ზოგი აპოლოგეტი ცდილობდა მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი მათსავე საპირისპიროდ გამოეყენებინა. თეოფილე ანტიოქიელის თქმით, „ამაო და ფუჭი დიდება შეიყვარა ყველა მათგანმა; ვერც თვით შეიცნეს ჭეშმარიტება, ვერც სხვებს უწინამძღვრეს ჭეშმარიტებისკენ; მათივე სიტყვები ამხილებს მათ, რადგანაც ურთიერთსაწინააღმდეგოს ამბობდნენ ისინი და თვითვე არღვევდნენ თავიანთ მტკიცებებს, რაც ნიშნავს – არა მხოლოდ ერთიმეორე დაამხეს მათ, არამედ ზოგმა თავისი მოძღვრებაც გააქარწყლა. ასე რომ, მათი დიდება უღირსებად და უგუნურებად გადაიქცა; ამიტომაც გონივრულად მოაზროვნენი კიცხავდნენ მათ. მართლაც ჯერ

ღმერთების შესახებ იმსჯელეს მათ, შემდეგ კი უღმერთობა იქადაგეს, ასევე; ჯერ სამყაროს შექმნა აღიარეს, საბოლოოდ კი თავისთავადი არსებობა მიანიჭეს ყოველივეს და თუმცა განგების შესაბამისად თქვეს სიტყვა, იქვე დაგვმოძღვრეს, რომ უგანგებო იყო სამყარო".

პაგანიზმის შესახებ დაწერილი შრომებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კლიმენტი ალექსანდრიელის „შეგონებანი ბერძნებისადმი". ავტორი ქრისტიანთა წმინდა წერილს მიიჩნევს იმ ფენომენად, რომელმაც „გარდაქმნა ყოველივე შექმნილი მელოდიურ წყობად და ურთიერთშეხამებულად ააჟღერა ელემენტთა უწესრიგობა იმისათვის, რომ მთელი სამყარო ყოფილიყო თანაშეწყობილი მასთან". ამავე ძეგლში მაცხოვარ იესო ქრისტეზე ნათქვამია, რომ იგი მთელ სამყაროზე აღმატებული მელოდიური და წმინდა სიბრძნეა. კლიმენტი ალექსანდრიელმა ქრისტიანობა არა მხოლოდ ჭეშმარიტ ფილოსოფიად, არამედ მისტერიულ სიბრძნედ გამოაცხადა. პაგანისტური რელიგიისა და ანტიკური ფილოსოფიის განქიქების ფონზე იგი ამბობდა: ქრისტიანთა ღმერთი „არ ემორჩილება სიტყვიერ გამოხატვას, მსგავსად სხვა საგნებისა, არამედ განუწყვეტელი ძიებით და შემდგომი ურთიერთობით იშვება სულში უეცრად, ვითარცა ნათელი, ანთებული გამოტყორცნილი ნაპერწკლით". კლიმენტის მსგავსი მოაზროვნეები საძირკველს უყრიდნენ პატრისტიკული და სქოლასტიკური თეოლოგიის აღორძინებას, რომელიც შუა საუკუნეებში გაბატონებული ფილოსოფიის პრივილეგიიით იყო აღჭურვილი.

ანტიკური აზროვნების ფინალი აღმოჩნდა 529 წელი, როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე დიდმა დახურა ათენის ნეოპლატონური აკადემია. აკრძალა ანტიკური ფილოსოფიის სწავლება და ოლიმპიური თამაშები, როგორც ანტიკური მსოფლმხედველობის დემონსტრირება. ათენელმა ფილოსოფოსებმა სირიას მიაშურეს. ქრისტიანობის ეს ნაბიჯი რადიკალურად არ უნდა განვიხილოთ. ანტიკური აზროვნების პოზიტიური მხარეები ყოველთვის რჩებოდა ქრისტიან ავტორთა ინტერესის ობიექტად.

მითრაიზმი

მითრაიზმი ელინისტური სამყაროს რელიგიაა, რომელიც საინტერესო სურათს ქმნის რელიგიების ისტორიაში. ღვთაება მითრა ინდოირანული წარმოშობისაა, მაგრამ დროთა განმავლობაში პოპულარული ხდება მცირე აზიის ხალხებშიც. ელინისტური პერიოდიდან მითრასთან დაკავშირებული კულტი დამოუკიდებელ რელიგიურ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა და მითრაიზმის სახით რომშიც შეიჭრა. რომაული პერიოდი ამ რელიგიის ტრიუმფალური გავრცელების ხანაა. III–IV საუკუნეთა მიჯნაზე მითრაიზმი და ქრისტიანობა სიძლიერით თანაბრდება. მათი დაპირისპირებისას ქრისტიანობამ გაიმარჯვა. თუმცა მითრას კულტი არც ამის შემდეგ გამქრალა მყისიერად. მისი მიმდევრები დიდხანს გვხვდებოდნენ დასავლეთში. მითრასთან დაკავშირებით უნდა გამოვყოთ 3 მომენტი: 1. მითრა, როგორც არიული ღვთაება, რომელიც ინდური და ირანული რელიგიური პანთეონების ერთ-ერთი ღვთაებაა; 2. მითრას ინდური და ზოროასტრული პანთეონიდან გამოყოფა და მცირე აზიაში დამოუკიდებელ ღვთაებად გავრცელება; 3. მითრაიზმის განვითარება.

მითრა აღმოსავლური წარმოშობისაა. მისი სახელი ძველ არიელებში უკვე ფიქსირდება. აქედან გამომდინარე, მითრა ფიგურირებს როგორც ძველ ინდოელთა რწმენაში, ისე – ძველ ირანელთა რელიგიურ წარმოდგენებშიც, კერძოდ – ზოროასტრიზმში. ძველი ინდური რელიგიური ძეგლების – ვედების მიხედვით, მითრა სხვა ძირითად ღვთაებებთან ერთად დიადი ქალღმერთის – ადიტის – უსაზღვრო სივრცის შვილია და მზესთან იგივდება (მოგვიანებით ირანში სინათლის ღმერთის კეთილმყოფელი მზის იდეა გამოისახებოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული ვაუკაცის სახით, რომელიც კაცობრიობის მხსნელი იქნებოდა). რიგვედაში მითრა მთავარ ღვთაება ვარუნასთან ერთად თითქმის განუყრელად მოიხსენიება, მას ვარუნა-მითრას ან მითრა-ვარუნას უწოდებენ, რომელიც ნათელისა და ბრწყინვალე ცის ღვთაებად იყო აღიარებული და მიიჩნეოდა ყოველგვარი სიკეთისა და სიცოცხლის წყაროდ. ეს ტყუპი ღვთაება ყოვლისმცოდნე და მხილველია. ორივე ერთ ეტლში ზის, ერთს ფიქრობენ, ცრუსა და მატყუარას სასტიკად დევნიან და სამყაროსაც ერთად განაგებენ. მზე ვარუნა-მითრას თვალად ითვლებოდა და მისივე გამოხატულების სიმბოლო იყო. ცალკე ვარუნა, ადიტის ძე, ოკეანის ღმერთია, რომელსაც სამფლობელო ოკეანეში აქვს. ვარუნასაგან განცალკევებით მითრას რიგვედაში ერთადერთი ჰიმნი ეძღვნება. მასში მკვეთრადაა გამოხატული ამ ღვთაების დიადი ბუნება და ფუნქციები: „მითრა თანხმობას ამყარებს ხალხში, მითრას ეყრდნობა მიწაც და ზეცაც, მითრას მჭვრეტელსა თვალმოუხუჭავს, ხამს ცრემლოვანი შევწიროთ მსხვერპლი!" ამ სიტყვებითა და ჰიმნის სხვა ფრაგმენტებით ადვილია მითრას არსში გარკვევა. სანსკრიტის ენაზე მითრა „მეგობარს" (მამრობითი სქესის), „კავშირს" (საშუალო სქესის) ნიშნავს, ავესტაში კი „ხელშეკრულების", „კონტაქტის", „ფიცის" აღმნიშვნელია. ფალაურ ენაზე მითრა მოიხსენიება, როგორც „მიჰრი"; იგი ირანულ სამყაროშიც მჭიდროდ უკავშირდებოდა მზეს. მას ეძღვნებოდა ზოროასტრული კალენდრის მეშვიდე თვე. „ბუნდაჰიშნის" მიხედვით, მითრას სიმბოლოდ იის ყვავილი აღიქმებოდა. იგი არცთუ იშვიათად მოიხსენიება მთავარი ღვთაების – აჰურა მაზდას – გვერდით. პლუტარქეს მიხედვით, უკვე ძველ სპარსეთში მითრა იყო შუამავალი აჰურამაზდასა და აჰრიმანს შორის. აღსანიშნავია, რომ ავესტას უძველეს ნაწილებში არაფერია ნათქვამი მითრას შუამავალ როლზე. მისი ფუნქციების გაზრდა თანდათან მოხდა. იგი აღიქმებოდა აჰურამაზდას მიერ წარგზავნილ მხედართმთავრად, ხოლო ვარსკვლავები – მის არმიად. მითრა მიქროდა საომარი ეტლით, ოქროს მუზარადით, ვერცხლის ჯაჭვის პერანგით, სამართლიანობით, გამარჯვებით, წმინდა სწავლებით დემონების დასამხობად, სამყაროსა და კაცობრიობის მავნე გავლენისაგან განსაწმენდად. აქემენიდების ხანაში მითრას სახელის აღორძინება უკავშირდება არტაქსერქსე II-ის (ძვ. წ. 404–358 წწ.) სახელს.

ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მითრას კულტის გენეზისი ის დროა, როცა ინდოევროპულ ენათა ერთობისათვის ერთი ღვთაებისადმი თაყვანისცემა იყო დამახასიათებელი. ინდოევროპელების რელიგია თავდაპირველად ანიმისტური იყო. შემდეგ ღვთაება მითრას ანიმისტური ბუნების ტრანსფორმაცია მოხდა. მან პიროვნული ღვთაების შტრიხები შეიძინა, მოგვიანებით კიდევ ერთი ფუნქცია გაითავისა – მჭიდროდ დაუკავშირდა ზეცას, სინათლეს, განსაკუთრებით – მზეს. მითრას მზესთან დაკავშირება ირანულ სამყაროში უნდა მომხდარიყო. მის სოლარულ ფუნქციებზე მინიშნება ავესტაშიცაა. მას მიემართება ეპითეტები – მანათობელი, ბრწყინვალე, საკუთარი სინათლით გაბრწყინებული, მარად ფხიზელი გუშაგი (ისევე, როგორც მზე), რომელიც ყურადღებით დარაჯობს აჰურამაზდას ქმნილებებს. პართიულ და სოღდურ მანიქეურ ტექსტებში მესამე მოციქული – მზის ღვთაება, რომელმაც უნდა დაასრულოს დატყვევებული სინათლის გათავისუფლების პროცესი, მითრასთან დაკავშირებულ სახელს ატარებს.

ელინიზმის ხანიდან მითრას სახელი ირანული სამყაროს გზით ცნობილი ხდება მცირე აზიის ხალხებში, კავკასიაში, ჩრდილო აფრიკაში. აუცილებელია, გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ წარმართები დიდად არ წყალობდნენ ზოროასტრიზმს. შესაძლოა ითქვას, რომ მითრა გამოეყო ზოროასტრულ რელიგიურ პანთეონს და დამოუკიდებელი სახით შეიჭრა სხვა ხალხთა რელიგიურ ცნობიერებაში. ელინისტურ ხანაში ყალიბდება მითრაიზმი – მითრასთან დაკავშირებული კულტის სისტემატიზაცია, იერარქიული სტრუქტურის მოწესრიგება, მითრაისტული თეოლოგიის ჩამოყალიბება. ამ რელიგიაში მითრა კაცობრიობის წარსულში დედამიწაზე რეალურად მაცხოვრებელი ღვთაებაა, რომელიც მიღმიერი სამყაროდან მოევლინა ადამიანებს. მითრაისტების მიხედვით, ღვთაების დაბადება უკავშირდება 25 დეკემბერს, როდესაც დღის ხანგრძლივობა მატულობს და მზე მეტ სინათლესა და სითბოს იძლევა. მის დაბადებას ხან წყალზე მოლივლივე ოქროს კვერცხს უკავშირებენ, ხან – კლდეს. ცნობილია მითრას გამოსახულება. აქ მას აქვს ყრმის სახე, რომელიც ჩირაღდნით ხელში ამოიზარდა ქვიდან. მის მრავალ ღვაწლს შორის გამოყოფენ ერთ-ერთ საგმირო შემთხვევას: მითრამ მოკლა ხარი, რომელიც ხალხს აწუხებდა, გამოადინა კლდიდან წყალი და წყურვილისგან იხსნა ადამიანები, რომლებიც, აგრეთვე, გადაარჩინა ყოვლისშემმუსვრელი ცეცხლისგან. მითრა თვალყურს ადევნებდა საქონელს, ზრუნავდა მათს მოელაზე და მწყემსავდა (მის ამ ფუნქციას არიელთა გადმოცემებში აქვს ძირები). ამქვეყნიური მოღვაწეობის ფინალში მითრამ მეგობრებს გამოსათხოვარი ვახშამი გაუმართა, შემდეგ კი ზეცად ამაღლდა. ამ რელიგიის მიმდევრებს სწამდათ, რომ სამყაროს აღსასრულისას მითრა კვლავ მოევლინებოდა დედამიწას კაცთა მოდგმის განსასჯელად, როდესაც მართლებს გამოაცალკევებდნენ უსამართლოთა კრებულისაგან. მითრაიზმში მიღებული იყო მკვდართა აღდგომის რწმენაც.

მითრაიზმში სულის უკვდავებაზე სწავლება აღბეჭდილია მეტემფსიქოზის ნიშნებით. ამის წყარო შესაძლოა იყოს ელინისტურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული პითაგორელთა და პლატონიკოსთა სწავლებები, თუმცა არც ინდური გავლენაა გამორიცხული. მითრაიზმის შეხედულებით, სული თავდაპირველად ცხოვრობს მერვე ცაზე. იქიდან ის ჩამოდის პლანეტაზე ადამიანის სხეულში; ადამიანის სიკვდილის შემდეგ უკან ბრუნდება და თუ მართალი პიროვნება იყო, ადვილად ააღწევს მერვე ცამდე. მანამდე მან უნდა გაიაროს შვიდი სფერო. თითოეულ მათგანს აქვს თავისი კარი, რომელსაც ზეციური მცველები ჰყავთ. სულმა უნდა იცოდეს საღვთო ლოზუნგები, რომელთა წარმოთქმაც საწინდარია დაუბრკოლებელი წინსვლისა. თითოეულ სფეროში სული ტოვებს ერთ რომელიმე ამქვეყნიურ თვისებას, რომელიც მიწიერი ცხოვრების დროს შეიძინა. ამრიგად განიწმინდება იგი ყოველივე ქვეყნიურისაგან და ააღწევს მერვე ცამდე, სადაც იგი იცხოვრებს მარადიულ, უსასრულო

ნათელში და დატკბება ნეტარებით. სიკვდილის უამს, როდესაც სული ტოვებს სხეულს, იგი ხდება ანგელოზთა და დემონთა დავის საგანი. სანამ მერვე ცამდე ავა, სული წარდგება მითრას წინაშე. მას ასპარეზი მერვე ცისკენ სავალად იმ შემთხვევაში ეძლევა, თუ სიკეთე ჭარბობდა მის საქმეებში. ამის საპირისპირო ვითარებისას სული ჯოჯოხეთში, აჰრიმანის სამეფოში სხვადასხვაგვარ სატანჯველს მიეცემა. როგორც ვხედავთ, მითრაიზმში წინა პლანზეა წამოწეული ტრანსცენდენტური ღმერთის რწმენა, ხოლო მითრა მასთან დამაკავშირებელი რგოლია.

ზოგადად, მითრაიზმში სულის უკვდავების სიმბოლოდ აღიარებულია ჰაომას წმინდა მცენარე. მისგან მომზადებული წვენიც ღვთიურ სასმელად მიიჩნეოდა. ეს უძველესი ინდოარიული წარმოდგენაა. ჰაომას თავდაპირველად ალბობდნენ წყალში. ქურუმი მის ირგვლივ კითხულობდა საკრალურ ტექსტს. შემდეგ ჰაომას ნაყავდნენ როდინში. გამოწურულ სითხეში ყრიდნენ ქერის მარცვლებს და რამდენიმე დღეს ამგვარად ტოვებდნენ ასაფუებლად. ჰაომას სასმელს ჰქონდა აღმგზნები ძალა. ითვლებოდა, რომ იგი მეომრებს ეხმარებოდა შიშის დაძლევაში. ჯერ კიდევ ავესტას თანახმად, ჰაომა წვიმის სახით ჩამოდიოდა დედამიწაზე, აღწევდა მცენარეებში, შემდეგ უბრუნდებოდა ზეცას, მას სვამდნენ ღმერთები. ზოროასტრიზმში ჰაომას უძღვნიდნენ აჰურა მაზდას, ხოლო მითრაიზმში – მითრას.

მითრას ბიოგრაფიის ზემოხსენებულ სიუჟეტებზეა აგებული ამ რელიგიის იკონოგრაფიული გამოსახულებები. ყველაზე გავრცელებულია მითრას წარმოჩენა იმ ეპიზოდში, როცა იგი ხარს კლავს. პონტოში აღმოჩენილ მონეტებზე ეს ღვთაება მეომრის სახით გვხვდება. რომში აღმოჩენილი ერთ-ერთი ქანდაკება გვიჩვენებს გამარჯვებულ მითრას ჩირაღდნითა და მახვილით ხელში. ხშირად მითრა წარმოჩენილია ლომისთავიან ადამიანად. ზოგ ბარელიეფზე გამოსახულია სცენა, სადაც მითრა ცალი ფეხით აკავებს დაცემულ ხარს, მარცხენა ხელით ხარის თავს იჭერს, ხოლო მარჯვენა ხელით ყელში უყრის დანას. ხარის ჭრილობიდან მომდინარე სისხლს სვამდნენ ძაღლი, გველი და კიბორჩხალა. სცენას ორივე მხრიდან ამკობდ მზისა და მოვარის გამოსახულებები.

მცირე აზიაში მითრა შევიდა, როგორც ელინიზებული ღვთაება. მისი ერთგული თაყვანისმცემელი იყო პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი, რომელიც თავს მითრას შვილად თვლიდა. მითრას კულტის მანიფესტაცია ჩანს ფრიგიაში, ლიდიაში, კილიკიაში, კაპადოკიაში, სომხეთში. ეს ღვთაება დომინირებს ტრაპეზუნტშიც. წმინდა ევგენის ცხოვრებაში მოთხრობილია, რომ მან ღამით აქ მაღალი ბორცვიდან ჩამოაგდო მითრას ქანდაკება, რის შემდეგაც ქალაქის მაცხოვრებელთა მოქცევა დაიწყო. მითრას გამოსახულებანი აქ მონეტებზეცაა დაფიქსირებული. ბოსფორში მითრა შეერწყა ატისს. ამ არიულ ღვთაებას უკავშირდება ძველ სომხეთში არსებული წარმართული ტაძრები. დონ კასიუსის ცნობით, სომხეთის მეფე ტირიდატე რომში ეახლა ნერონს და იგი მის წინ მუხლებზე დაეცა ისევე, როგორც თავისი ღმერთის, თვით მითრას წინაშე.

აღმოსავლეთში მითრას გავრცელების შემდგომ ყალიბდება მითრაიზმი, როგორც ახალი ტიპის რელიგია. ელინისტურ პერიოდში იგი მთელ მცირე აზიაში გავრცელდა და მხოლოდ ამის მერე შევიდა რომში, იქიდან კი – დასავლეთ ევროპაში.

თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც მითრასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მუშაობს, მის გავრცელებას რომის იმპერიაში ძლევამოსილ ლეგიონებს უკავშირებს. ასეთ ლეგიონებს შორის მოაზრებულია XV ლეგიონი, თუმცა არსებობს სხვადასხვა მოსაზრება რომში მითრაიზმის შესვლასთან დაკავშირებით. პლუტარქე აღნიშნავდა, რომ რომაელები ამ ღვთაების გაცნობას კილიკიელ მეკობრეებს უნდა უმადლოდნენ, რომელთაც თავის დროზე პომპეუსი ებრძოდა. სწორედ მათ შეიტანეს მითრას კულტი რომში. მეცნიერთა ნაწილი ამ ცნობას ეჭვშიუტანლად იღებდა. მოგვიანებით, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის შედეგად მეცნიერე-

ბაში ახალი ჰიპოთეზები გაჩნდა. ფ. კუმონის მტკიცებით, მითრას ყველაზე ძველ მიმდევრებს შეეძლოთ, გადასულიყვნენ და დასახლებულიყვნენ რომის მახლობლად, რასაც რომაელთა მიერ იერუსალიმის აღებას უკავშირებს. რ. ტურკანი არ იზიარებს მკვლევრის თვალსაზრისს, ვინაიდან, როგორც აღნიშნავს, ამ ფაქტის დამადასტურებელი არც არქეოლოგიური და არც ეპიგრაფიკული ძეგლები არ მოგვეპოვება. მისი აზრით, მითრას კულტის გავრცელების საკითხში სომხეთთან კონტაქტს შეეძლო ეთამაშა როლი და ნერონის დროს შესულიყო ეს ღვთაება რომში. რ. გრუსეს მიხედვით, რომში ამ არიული ღვთაების შესვლა კაპადოკიის გავლით ხდებოდა. რომში მითრას კულტის შესვლის ოფიციალურ თარიღად ლათინურ ლიტერატურაში აღიარებულია 80 წელი. როგორც ზემოთ ვახსენეთ, იქ მითრაიზმის შეტანაში დიდი როლი უნდა შეესრულებინათ ლეგიონებს. რომის ლეგიონებში მითრას პოპულარობის მიზეზი მითრას არსში უნდა ვეძიოთ. უკვე აღვნიშნეთ, მითრა ავესტაში „ერთგულებას", „ფიცს" ნიშნავს. იგი მიიჩნეოდა გამარჯვების სიმბოლოდ, რომელიც ანადგურებს ფიცის დამრღვევთ. მითრა ყოველთვის წარმატებულია, მისი დამარცხება კი — შეუძლებელი. არიული ღვთაების სწორედ ამ თვისებამ დაიპყრო მცირე აზიის მებრძოლი ხალხის გონება. მითრა შეითვისეს იქ განლაგებულმა რომაულმა გარნიზონებმაც. რომაელები ისედაც გამოირჩეოდნენ სხვა ხალხთა ღმერთებისადმი ტრფიალით. მებრძოლი მითრა არათუ ლეგიონებმა მიიღო, არამედ მეომართა საყვარელ ღმერთადაც იქცა — „მზის ღმერთის, უძლეველი მითრას" სახელზე იდგმებოდა სამსხვერპლოები ლეგიონებში, იგებოდა ტაძრები. იმ ლეგიონთა შორის, რომელთაც მითრას კულტი გაავრცელეს რომის იმპერიაში, გამოიყოფა მეთხუთმეტე ლეგიონი.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ რომის იმპერიაში მითრაიზმი ჩნდება კლასიკური ფორმით, რომელსაც გავლილი ჰქონდა ელინისტური სინკრეტიზმი. ტიბერიუსიდან (14—37წწ.) მოყოლებული მითრა ჩნდება იტალიის ზოგიერთ ადგილას. ნერონმა (54—68წწ.) პირველმა შეიტყო მითრაიზმის შესახებ; ანტონიუსების პერიოდიდან იწყება ამ რელიგიური კულტის სწრაფი აღზევება. ევსები კესარიელი გვაწვდის ცნობას ადრიანეს (117—138წწ.) ხანის მითრაიზმზე. ანტონიუს პიუსმა (138—161წწ.) ოსტისში ტაძარი აუგო მითრას. მარკუს ავრელიუსის დროიდან მითრა რომში აიყვანეს იმ ადგილას, სადაც ახლა წმინდა პეტრეს ტაძარი დგას. კომოდუსი (180—192წწ.) მთელი გულმოდგინებით იღებდა მონაწილეობას მითრას რიტუალებში. სეპტიმიუს სევეროსმა (193—211წწ.) ავენტინზე ააგო მითრას ტაძარი და ეს ღვთაება საბოლოოდ გახადა რომის საზოგადოების საყვარელი კულტი. ამ იმპერატორის დედა იულია დომნა და მისი წრე თავგამოდებულ პროპაგანდას უწევდა მითრაიზმს. რომში მიწისქვეშა აკლდამები გადააკეთეს მითრას კულტმსახურებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ რომში სხვა აღმოსავლური ღვთაებების კულტებიც არსებობდა, მითრა მაინც რჩებოდა იმპერიის ცენტრალურ რელიგიურ ღერძად. მითრაიზმს მფარველობდა იმპერატორი კარაკალაც (198—217წწ.). როდესაც გორდიანე III-მ (238—244წწ.) სპარსეთის წინააღმდეგ ჩაატარა კამპანია, მოჭრა მონეტა, რომელზეც გამოსახული იყო ხარის შემწირველი მითრა. ის ფაქტიც საყურადღებოა, რომ ამ დროის სპარსეთი მაზდეანობის აღორძინების არეალია, სადაც მითრას გარკვეული ადგილი ეკავა. 274 წელს იმპერატორი ავრელიანე (270—275წწ.) ატარებს რელიგიურ რეფორმას. იგი 274 წლიდან 25 დეკემბერს, მზის ბუნიობის დღეს — მზის დაბადების დღედ აცხადებს. მზის ღვთაება, დაკავშირებული მითრასთან, იმპერიის მთავარ ღვთაებად ცხადდება. ამ ხელისუფლის ზეობა არის რომში მითრაიზმის ძლიერების ზენიტი. ავრელიანემ აღმართა მითრას ტაძარი მარსის ველზე და ქურუმთა მთელი წყება დაუდგინა მომსახურედ. ამ ეპოქაში ვიენაში შენდება მითრაუმი „წმიდა ღმერთისა და უძლეველი მითრასადმი". ამ რელიგიის სასარგებლოდ მოქმედებდნენ ასევე გალერიუსი (293—311წწ.) და ლიციინიუსი (308—324წწ.). მითრა გამოსახული იყო კონსტანტინე დიდის (306—337) ადრეულ მონეტებზე.

საკუთრივ რომიდან მითრაიზმი ვრცელდება მთელ აპენინის ნახევარკუნძულზე. ეს არიული ღვთაება შეიჭრა ანტიუმში, პალერმოში, სირაკუზაში. იტალიიდან მითრას კულტი გადადის გალიაში, იქიდან კი – ბელგიასა და ბრიტანეთში. მარკუს ავრელიუსის, კომოდუსისა და სეპტიმიუს სეეროსის პერიოდიდან მითრას საკურთხევლები გვხვდება რაინის და დუნაის პროვინციებში. მითრა მაკედონიაშიც ჩანს შესული; რაც შეეხება საბერძნეთს, აქ ბერძენ-სპარსელთა ომებიდან მოყოლებული იგი პოპულარობით ვერ ისარგებლებდა. ეგვიპტეში მითრაიზმი სამ მნიშვნელოვან ქალაქში გვხვდება. ესენია – მემფისი, ფაიუმი და ალექსანდრია. კომოდუსის პერიოდიდან ეს ღვთაება გვხვდება ლიბიაშიც. ტერტულიანეს შრომებიდან ვგებულობთ, რომ ეს კულტი იყო ასევე კართაგენში. 190 წლისთვის მითრამ მაროკომდეც მიაღწია. პროვინცია, რომელიც რომის იმპერიაში ამ კულტის მიმართ გულგრილი დარჩა, საბერძნეთის გარდა, იყო ესპანეთი. აქ თუ იგი სადმე გვხვდება, რ. ტურკანის აზრით, აფრიკის გზით უნდა მომხვდარიყო. არცთუ იშვიათად მითრა სხვადასხვა ღვთაებას ერწყმოდა. ამა თუ იმ ადგილას იგი იგივდებოდა სერაპიოსთან, აპოლონთან, მერკურთან, საბაძიოსთან, ატისთან.

მითრაიზმის გავრცელებისა და აღორძინების პიკია III საუკუნის ბოლო და IV საუკუნის დასაწყისი. ქრისტიანობასა და იუდაიზმთან ერთად ამ დროს მან რომის იმპერიის რელიგიურ ცხოვრებაში წარმმართველი ადგილი დაიკავა. კონსტანტინე დიდის ოჯახის წევრთა ნაწილი მითრაიზმს აღიარებდა, თუმცა მისი ზეობის ხანაში ქრისტიანობა იმპერიის სახელმწიფო რელიგია გახდა. ამ პერიოდიდან მძაფრია მითრაიზმის დაჯახება ქრისტიანობასთან. 361 წელს ქ. ალექსანდრიაში მოკლეს პატრიარქი გიორგი, რომელმაც მითრას სამლოცველოს ნანგრევებზე ქრისტიანული ეკლესიის აგება განიზრახა. მითრაიზმს მხარს უმაგრებდა იულიანე განდგომილის (355–363) პოლიტიკა. ამ ფაქტორმა აღნიშნული რელიგიის სასარგებლოდ ვეღარ იმოქმედა. 387 წელს იმპერატორმა გრაციანემ მითრაისტთა სარწმუნოებრივ კორპორაციებს ჩამოართვა ყოველგვარი კაპიტალი და ამით საბოლოოდ შეარყია მათი აღზრდა და მომავალი. მითრაიზმის მიმდევრები გარკვეულ ადგილებში მაინც გვხვდებოდნენ.

მითრას ჯერ კიდევ ირანში ეძღვნებოდა საზეიმო რიტუალები და დღესასწაულები. დურისის (ძვ. წ. 340–276) ცნობით, მითრასთან დაკავშირებულ დღესასწაულებს თან ახლდა მისტერიები. წელიწადში ერთხელ მითრას მიმდევრებს ეკრძალებოდათ ღვინო და ცეკვა. მხოლოდ მეფეს ჰქონდა დალევისა და ორგიული ცეკვის უფლება. ძველი სპარსული კალენდრის მეშვიდე თვის 15 რიცხვიდან იწყებოდა მითრას შვიდდღიანი დღესასწაული.

ეპიგრაფიკული ძეგლებისა და არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მითრას თაყვანისმცემლების უდიდესი ნაწილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწორედ ღვთაებასთან დაკავშირებულ მისტიკურ და მორალურ შთაგონებებს (გამოცხადებებს). სამწუხაროდ, მითრას მოგვებსა და რიტუალურ ცერემონიებზე წყაროებში მცირე ცნობები მოგვეპოვება. მითრას მისტერიების განვითარება მითრაიზმის რომაულ ხანას განეკუთვნება. მათზე სტრაბონიც დუმს.

მითრაიზმში არსებობდა სხვადასხვა დღესასწაული. ისინი ძირითადად მითრას ეძღვნებოდა. ამ დღესასწაულებში ხშირად თვით მონარქიც იღებდა მონაწილეობას. ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ მითრას დაბადებას 25 დეკემბერს აღნიშნავდნენ. ამ დღეს ქურუმთა ფენა აღასრულებდა მსახურებას, რომელიც გამოხატავდა მზის კოსმოგონიური შობის საიდუმლოს. მეორე მნიშვნელოვანი დღესასწაული ემთხვეოდა ზაფხულის ბუნიობას. ამ დროს მზე შედიოდა ხარის ზოდიაქურ ვარსკვლავში და მას მსხვერპლად სწირავდნენ ხარს. მითრას მსხვერპლად სწირავდნენ თეთრ ცხოველებს, დაუმუშავებელ მიწაზე მოყვანილ ველურ ბრინჯს, ანადუღარ რძეს, ორთქლზე მოხარშულ ხორცს. მითრას სამსხვერპლო ცხოველად ითვლებოდა მამალი, როგორც განთიადისა და მზის, დღის დადგომის მაუწყებლის სიმბოლო. ამ რელიგიაში

საკრალურ ცხოველებად მიიჩნეოდა ასევე ძაღლი და ზღარბიც – მავნე ქვემძრომების გამანადგურებელი.

მითრაიზმში ძალიან რთული იყო ხელდასხმის რიტუალი. ხელდასხმისთვის გამორჩეულ კანდიდატს ჩაუტარებდნენ განწმენდის სხვადასხვა წესს, რომლებიც სრულდებოდა ცეცხლის, წყლის, მათრახის საშუალებით. ხელდასასხმელი პირები ზამთრის სიცივეში დადიოდნენ თბილი შესამოსელის გარეშე, ცხოვრობდნენ განმარტოებით. მითრაიზმში არსებობდა 80 სახის გამოცდა, რომელიც 50-დღიანი მარხვით მთავრდებოდა. ყველა გამოცდა მას ღრმა მიწისქვეშეთში უნდა გაევლო, რაც უარყოფით ფსიქოლოგიურ აურას ქმნიდა. ამ გამოცდას ბევრი ვერ უძლებდა. ვინც ყველაფერს გადაიტანდა, ღირსი ხდებოდა სხვა პატივის მიღებისა. მას აძლევდნენ მზისა და მთვარის ემბლემას. მხოლოდ ამის შემდეგ აკურთხებდნენ. თავდაპირველად დააყენებდნენ უფსკრულის წინ, აქ ერთი არასწორი ნაბიჯიც კი შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო. იგი ხელის ცეცებით მიდიოდა გამოქვაბულის ბნელ ლაბირინთში, ხედავდა მხოლოდ წმინდა კოცონს, რომელიც ენთო სიღრმეში და ანათებდა მის გზას. ამავდროულად, ესმოდა მხეცების გმინვა. უცებ იღებოდა კარი და ის აღმოჩნდებოდა ველური მხეცების გარემოცვაში. ქურუმები, რომლებიც გადაცმულნი იყვნენ ლომების, ვეფხვების, ავაზების, მგლების ფორმებში, საშინელი ღრიალით ესხმოდნენ თავს, სადაც ჭრილობაც შეეძლო მიეღო. ამის შემდეგ გამოსაცდელი ადამიანი გადადიოდა მეორე გამოქვაბულში, სადაც იყო საშინელი წყვდიადი, ისმოდა ჭექა-ქუხილის ხმები და ანათებდა ელვა. ხელდასასხმელი კანდიდატი რომ შედარებით დამშვიდებულიყო, მიჰყავდათ მეორე შენობაში, სადაც ისმოდა მშვიდი მუსიკა. ამის მერე, როდესაც ის დაწყნარდებოდა, მასთან მოირბენდა სამი ქურუმი. ერთი მათგანი ხელახალი შობის ნიშნად მას მკერდზე ესროდა ცოცხალ გველს, რაც მარადიულობის სიმბოლო იყო. შემდეგ იღებოდა კარი და ის შეჰყავდათ საიდუმლო ოთახში, საიდანაც მოისმოდა კვნესა და სასოწარკვეთილი ხმები. აქ იგი ხედავდა ადამიანთა ტანჯვას. შემდეგ მოისხამდა მანტიას, რომელზეც გამოსახული იყო ზოდიაქოს ნიშნები. ამ დროს იმყოფებოდა ფარდის უკან, რომლის გახსნისთანავე მას მიესალმებოდნენ, როგორც „მითრას ლომს". შემდეგ ხვეული ლაბირინთით მიჰყავდათ და ასე მიაღწევდა ძვირფასი ქვებით გაბრწყინებულ ტაძრამდე. ეს მისტერიები აღნიშნავდა ცხოვრების ბოროტებისა და განსაცდელებისგან თავის დაღწევას, წყვდიადიდან სინათლეში გადასვლას.

მითრაიზმში იყო ქურუმთა შვიდი ფენა: 1. „ყორანი" – მზის მოაზბე. ის მზის შესახებ ამოწმებდა მათთან, ვინც ტაძრის გარეთ იყო. 2. „ახალგაზრდული" – მითრაუმში შემავალი სულების მისტიური ქორწინების სიმბოლო. 3. „მებრძოლი" – განასახიერებდა ხელდასასხმელის ტანჯვას. 4. ცეცხლოვანი, გამწმენდელი „ლომი". 5. „სპარსელი" – ხელში ეჭირა ნამგალი და ცელი. როგორც ჩანს, ის იყო იმქვეყნიური სამყაროს ერთ-ერთი მოსამართლე. 6. ჰელიოდრომი – მზის მოციქული, მზის სხივების შარავანდედით მოსილი ჩირაღდნიანი მეეტლე, რომელსაც ხელდასხმულთა სულები გამოჰყავს ჯოჯოხეთიდან. 7. „მამა" – ციური ღვთაებრიობის მიწიერი გამომხატველი. მისი მჭვრეტელობითი უნარი უტოლდებოდა მითრას მჭვრეტელობით უნარს. მას ჰქონდა სიბრძნის საიდუმლო სიმბოლოები – სატურნის ნამგალი, კვერთხი და ბეჭედი.

არსებობდა მსგავსება მითრაისტულ და ქრისტიანულ მსახურებებს შორის. მითრაისტები პურსა და ღვინოს იყენებდნენ კულტმსახურებისას, რასაც ადარებდნენ ქრისტიანულ ევქარისტიას. ისინი მიმართავდნენ, ასევე, განწმენდას წყლის მეშვეობით. მითრაიზმთან ქრისტიანობის მსგავსებაზე წერდა ქრისტიანობის მიმართ ნეგატიურად განწყობილი ცელისუსი, რის გამოც მას დაუპირისპირდა ორიგენე. ამ უკანასკნელმა მკაცრად უსაყვედურა ცელისუსს, რომ მან მითრას კულტი ქრისტიანობას შეადარა. ორი რელიგიის მსგავსებას თავისებურად ხსნიდა აპოლოგეტი

ტერტულიანე. იგი წერდა, რომ ეშმაკის შთაგონებით წარმართები ბაძავდნენ ქრისტიანთა ქმედებებს. აქედან გამომდინარე, საჭიროა ფრთხილი და საღი მსჯელობა, წყაროთა ფართო სპექტრის გაშუქება, როდესაც საქმე ეხება ორი რელიგიის კულტმსახურების პარალელურ ასპექტებს.

ამ არიული ღვთაების კვალი აშკარაა საქართველოშიც. ამაზე ნათლად მეტყველებს მითრასთან დაკავშირებული თეოფორული სახელების სიმრავლე ქართულ ონომასტიკონში: მირ (ძვ. ირან. მითრა), მირდატი (ძვ. ირან. მითრადატა), მირიანი, მირვანი (ფალ. მიჰრან), მირანდუხტი (დუხტ – ასული) და ა. შ. ს. მაკალათიას მიაჩნდა, რომ მითრა ქართული ზადენის იგივეობრივია. ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებით მკვლევარი იქამდე მიდის, რომ ქრისტიანობის წინამორბედ კულტთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებულმა მითრაიზმმა თავისი გავლენა ჰპოვა არმაზისა და ზადენის კულტში, განსაკუთრებით კი – ზადენის ღვთაებაში. ამის დასტურად მას მიაჩნია ქართულ სიტყვიერებაში შემონახული მითრაისტული რწმენისთვის დამახასიათებელი მოვლენები, რომლებშიც წითელი ზოლივითაა გატარებული დაუსრულებელი ბრძოლის იდეა კეთილ და ბოროტ ძალებს შორის. გ. ლორთქიფანიძე მიანიშნებდა იკონოგრაფიულად არმაზის მითრასთან უფრო მეტ სიახლოვეზე, ვიდრე აჭურამაზდასთან. მითრას კულტის შესახებ ქართლში მეტყველებს არქეოლოგიური მონაპოვარიც. ასე, მაგალითად, ძვ. წ. III–II საუკუნეებით დათარიღებული თასები, რომლებიც აღმოჩნდა ზღუდერის სამაროვანში. მათზე გამოსახულია ზვარაკად გამზადებული ცხენი, რომელიც ცეცხლის სამსხვერპლოს წინაშე დგას. ეს კარგად ნაცნობი თემაა მითრაიზმისთვის. ანალოგიური თასები ნაპოვნია ბორსა და მცხეთაში. ღვთაება მითრა მთავარი ღვთაება იყო უფლისციხის კულტმსახურებისა, როდესაც ეს ქალაქი მნიშვნელოვან პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა ქართლის სამეფოში. სვეტიცხოვლის გალავანთან აღმოჩენილია რიტუალური ჭურჭელი, რომლის ეერცხლის ყურზე ღვთაება მითრას სახე და მისი ატრიბუტებია ამოკვეთილი. დასავლეთ საქარველოში დაფიქსირებულია უძველესი და ფრაზად საინტერესო სალოცავი, რომელსაც მირსობას უწოდებდნენ. ეს წარმართული ფესვების მქონე საკულტო ადგილი კავშირში უნდა ყოფილიყო მითრას კულტთან. მითრას სახელი უნდა ფიგურირებდეს ძველ ქართულ კალენდარშიც, სადაც თვეს 19 თებერვლიდან 20 მარტამდე ეწოდებოდა მიჰრაკანი, ე. ი. მითრას თვე.

გნოსტიციზმი

გნოსტიციზმი (ბერძნ. გნოზისი – ცოდნა) არის უაღრესად რთული სტრუქტურის რელიგია, რომელიც ძირითადად გვხვდებოდა I–III საუკუნეებში. თანამედროვე სამყაროში მის სწავლებას ეყრდნობა ისეთი რელიგიური მსოფლმხედველობითი სისტემები, როგორებიცაა ანთროპოსოფია და თეოსოფია.

გნოსტიციზმი იყო ერთგვარად გასაიდუმლოებული რელიგია, რომლის მიმდევრები განცხადებულად არ ქადაგებდნენ. მათი სწავლების გავრცელება ემთხვევა ადრეული ეკლესიის პერიოდს, რამაც განაპირობა ქრისტიანი მოღვაწეების დაუცხრომელი ბრძოლა მის წინააღმდეგ. ისინი პოლემიკური ხასიათის თხზულებებში აქტიურად ამხელდნენ გნოსტიკოსთა აზრებს. ამან ხელი შეუწყო იმ აზრის ჩამოყალიბებას, რომ გნოსტიციზმი, რომლის ქვეშ სხვადასხვა გნოსტიკური სექტა მოიაზრებოდა, ქრისტიანულ მწვალებლობად შეერაცხათ. მეცნიერული შესწავლის საფუძველზე ცხადი გახდა, რომ გნოსტიციზმი არ იყო მარტოოდენ ქრისტიანული მწვალებლობა. იგი წარმოადგენდა რთულ რელიგიურ მიმდინარეობას, სადაც არაქრისტიანული, ანუ წარმართული, კულტებიდან მომდინარე მრავალი მომენტი მჭიდროდ უკავშირდებოდა ქრისტიანულს, ე.ი. წარმოადგენდა პაგანიზმის ქრისტიანიზაცის. როგორც მიუთითებს ჰ. იონასი, „გნოსტიკოსთა მოძღვრებაში ებრაული, ირანული, ბაბილონური, ეგვიპტური და სხვა აღმოსავლური ტრადიციები ერთმანეთშია არეული და ისინი შეზავებულია ბერძნულ კონცეპტებთან უკიდურესად თავისუფალი სახით". მკვლევართა აზრით, ქრისტიანულ გნოსტიციზმს წინ უძღოდა წარმართული. ჟ. ქვისპელი აღნიშნავს: „გნოსტიციზმი უპირველესად არის არა მხოლოდ ქრისტიანული ერესი, არამედ ცალკე რელიგია, რომელიც ცნობილია ცალკეული ძეგლებიდანაც, როგორებიცაა „ჰერმეტიკული კორპუსი" და „ქალდეური ორაკულები", ასევე – ებრაული მისტიციზმის უძველესი წყაროებიდან, რომლებსაც შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ძვ. წ. II-I საუკუნეებამდე".

ისტორიულად ყველაზე მნიშვნელოვანია ქრისტიანობის დროს არსებული გნოსტიციზმი, რომლის სისტემები დასტურდება II საუკუნეში და რომელიც გადაიზარდა მანიქეიზმში – გნოსტიკურ მსოფლიო რელიგიაში.

ცალკეულ გნოსტიკურ სექტებს ერთმანეთისაგან ცოტად თუ ბევრად განსხვავებული მოძღვრება ჰქონდა, თუმცა ყველა მათგანს აერთიანებდა რამდენიმე არსებითი მომენტი; უზოგადესი სახით და დიდი პირობითობით გნოსტიკოსების მოძღვრება ასე ჩამოყალიბდება:

დასაბამიდან არსებობს უზენაესი უხილავი და მიუწვდომელი მამა, რომლის თანაარსია მისივე „აზრი" ბარბელო, ანუ ბარბელონი, უზენაესი დედა.

ამ ორი პრინციპის ურთიერთობა თანმიმდევრულად წარმოშობს ზეციურ ძალებს – ეონებს, რომელთა რიცხვი გნოსტიკოსთა შორის სხვადასხვაგვარია. ზეციური „შესაქმე" შეიცავს ისეთ ეონებს, როგორებიცაა „გონება", „ცოდნა", „სიცოცხლე" და სხვ. მათ შორისაა ორი „უფრო კონკრეტული" (ჰ. იონასი) ეონი: კაცი, ანუ ანთროპოს, და სიბრძნე, ანუ სოფია. პირველი მათგანი ზოგჯერ უზენაეს მამასთანაც არის გაიგივებული (ამ შემთხვევაში იგი იწოდება, როგორც უზენაესი პირველი კაცი), ხოლო მეორე წარმოადგენს ზეციურ არსებებს შორის ყველაზე ახალგაზრდას, ყველაზე გვიან შექმნილ ეონს. იგი ზეციური სამყაროს უდაბლეს საფეხურზე დგას. აღნიშნულ ეონთა (ვალენტინუსის აზრით, 30 ეონის) ერთიანობა შეადგენს ზეციური სამყაროს „სისავსეს", ანუ „პლერომას".

უდაბლეს საფეხურზე მდგომი ეონი სოფია გადაწყვეტს, მიბაძოს უზენაეს მამას და დამოუკიდებლად შექმნას რაიმე. მისგან წარმოიშობა არასრულყოფილი ძალა იალდაბაოთი, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის 7 მთავარს, ანუ არქონტს და მთელ ხილულ სამყაროს. იალდაბაოთი, გნოსტიკოსთა აზრით, არის ებრაელთა ღმერთი

იაჰვე, ბოროტი დემიურგი, რომელიც მისი შემქმნელი ზეციური არსების ნაწილს ფლობს. ზოგი გნოსტიკური მოძღვრების მიხედვით, იალდაბაოთის სამფლობელო – ბნელეთი დასაბამიდანვე არსებობდა, რომელმაც დაბლა დაშვებული ეონი სოფია დაატყვევა. ბნელეთის მიერ დატყვევებული ზეციური ძალა ცდილობს დაუბრუნდეს პლერომას და ზევით წარმართავს სრბოლას. იგი წყვდიადში მისი სხეულიდან მოწყვეტილ ნათელს დატოვებს და წინ წაწვდილი, ოვალური ფორმის მიღებით ხილულ სამყაროს ქმნის.

ისტორიული არსებობა სათავეს იღებს ზეციური სისავსიდან სინათლის ნაწილის დაკარგვის შემდეგ. უზენაესი ერთობა დაირღვა. მის აღსადგენად აუცილებელია დაკარგულის კვლავ მოპოვება. ზეციური სამყაროს სიმტკიცის გასაძლიერებლად ამ დროს დაიბადება ახალი ეონები: „ჯვარი", „ეკლესია" და „იესო ქრისტე". სოფია, რომელმაც სინათლის ნაწილი დაკარგა, განდევნილია პლერომატული ერთობიდან და ხილული სამყაროს გარშემო ტრიალებს. ამ დროს იალდაბაოთი, რომელსაც თავისი თავი ერთადერთ ღმერთად მიაჩნია, მოულოდნელად გაიგებს, რომ არსებობს უზენაესი მამა და მისგან გამობრწყინებული ანარეკლის მიბაძვით შვიდ არქონტთან ერთად ქმნის ადამს, რომელსაც ზეციური სამყაროდან მოვლენილი ძალების რჩევით შთაუნერგავს სოფიასაგან მიღებული სინათლის ნაწილს. გაცხოველებული ადამი შურს აღუძრავს დემიურგს, რომელიც სინათლის ნაწილის უკან დაბრუნების მცდელობისას შექმნის ევას. ადამი და ევა მოჩვენებითი ფუფუნების მქონე სამოთხეში ბინადრობენ. გველი მათ აზიარებს სიკეთისა და ბოროტების ცნობის ხეს, ანუ „ცოდნას", „გნოზისს", რომელიც გულისხმობს გამოფხიზლებას, საკუთარი უზენაესი წარმომავლობის გახსენებას.

განბრძნობილ ადამსა და ევას განრისხებული იალდაბაოთი სამოთხიდან განდევნის. სოფიას მიერ სინათლის ნაწილის ძიება სამოთხის გარეთ გადაინაცვლებს. პირველი შვილები კაენი და აბელი, შესაბამისად, ხორციელებისა და მშვინვიერების სიმბოლოები არიან. მხოლოდ მესამე შვილი სეთი, ანუ სეითი, ფლობს სინათლის ნაწილს და გნოსტიკოსთა მიერ წარმოდგენილია, როგორც სულიერთა, პნევმატიკოსთა ხაზის სათავე კაცობრიობის ისტორიაში. ხსნის იდეა სწორედ აქ იჩენს თავს. სოფია ცდილობს, სინათლის ნაწილის მფლობელ კაცთა გამოღვიძებას, მათს გადარჩენას, რაც, ამავე დროს, თვით მისი გადარჩენის საწინდარია. ირანული სამყაროდან მომდინარე აზრი „ხსნილი მხსნელის" შესახებ გნოსტიკური მოძღვრების არსებითი ნიშანია. „ევას სახარების" შემორჩენილ ნაწყვეტში ვკითხულობთ: „მან მომიგო მე და მიხრა: მე ვარ შენ და შენ ხარ მე და სადაც ხარ შენ, იქ მეც ვარ და მე გაბნეული ვარ ყველა საგანში; და როცა კი ისურვებ შენ, შემკრიბე მე და ჩემი შეკრებისას შენ შეკრებ შენსავე თავს".

სინათლის ნაწილთა მფლობელთა გამოღვიძება შეიძლება მხოლოდ გამოცხადების გზით. ზეციური სამყაროდან მოვლენილი მხსნელი (ეს მხსნელი, ჩვეულებრივ, ქრისტეს უიგივდება) რჩეულებს მიანიჭებს „ცოდნას", ანუ „გნოზისს", მათი უზენაესი წარმომავლობის შესახებ, აგრეთვე, გაუცხადებს იმ მაგიურ სახელებსა და სიტყვებს (პაროლებს), რომელთა წარმოთქმითაც გნოსტიკოსის სული შეუფერხებლად გაივლის შვიდი მთავრის, ანუ არქონტის, ცას და პლერომატულ ერთობაში დამკვიდრდება.

სამყაროს ესქატოლოგიური აღსასრული, გნოსტიკოსთა აზრით, გულისხმობს ხორციელთა რასის – კაენის შთამომავალთა ცეცხლში მთლიან მოსპობას, აბელის შთამომავლობის – მშვინვიერების გადარჩენას იმ შემთხვევაში, თუ ისინი ნივთიერებისკენ არ მიდრკებიან. გადარჩენის დროსაც ისინი პლერომაში ვერასდროს შეაღწევენ, მარადიულად დამკვიდრდებიან ქვედა სფეროში, რომელიც, გნოსტიკოსთა შეხედულებით, დემიურგის, ანუ იალდაბაოთის, საბოლოო სამყოფელი იქნება; სულიერები კი – სეითის შთამომავლები, იგივე გნოსტიკოსები, სოფიასთან ერთად სამუდამოდ მიუბრუნდებიან უზენაესი მამის წიაღს.

ამგვარია მეტად პირობითად გნოსტიკოსთა მოძღვრების უზოგადესი სახე. მიუხედავად იმისა, რომ წმიდა მამები საკმაოდ ვრცლად ახასიათებდნენ აღნიშნული მოძღვრების ცალკეულ მომენტებს, ბევრი რამ ბოლო დრომდე მაინც გაურკვეველი და ბუნდოვანია.

გნოსტიციზმი მხილებულია საეკლესიო მოღვაწეთა შემდეგ თხზულებებში: წმ. ირინეოს ლიონელის (III ს.) „მხილება და დამხობა ცრუ ცოდნისა", წმ. იპოლიტე რომაელის (II–III ს.) ავტორობით ცნობილი „ყველა წვალების უარყოფა", კლიმენტი ალექსანდრიელის (II–III ს.) „ხალიჩები", ორიგენეს (II–III ს.) „კელისუსის წინაღმდეგ", ევსები კესარიელის (III-IV ს.) „საეკლესიო ისტორია", ეპიფანე კვიპრელის (IV–V ს.) „პანარიონი", ეფრემ ასურის (IV ს.) ზოგი ჰომილია, თეოდორიტე კვირელის (IV–V ს.) „ერეტიკული თქმულებების კომპენდიუმი", ავგუსტინეს (IV-V ს.) „ერესების შესახებ", თეოდორ ბარ კონაის (VIII ს.) „სქოლიოთა წიგნი" და სხვები. ყველა ერთად შეადგენდა იმ ვრცელ აპოლოგეტურ-პოლემიკურ კორპუსს, რომლითაც ადრეული ეკლესია დაუპირისპირდა გნოსტიციზმს და ამხილა იგი. ეკლესიის მამათა შრომებში დასასიათებულია ცალკეული გნოსტიკური სექტები: ოფიტები, ნაასენები, ბარბელოგნოსტიკოსები, სეთიანელები და სხვ. მოცემულია ცნობილი გნოსტიკოსების – სიმონ მოგვის, ნიკოლას, მენანდრეს, სატორნილის, ბასილიდეს, კარპოკრატეს, ვალენტინუსის, მარკიონის და სხვათა მოძღვრების ანალიზი.

XIX საუკუნის შუა წლებში დიდი გამოხმაურება მიიღო კოპტურად შემორჩენილი გნოსტიკური ძეგლის – „პისტი სოფიას" – ლათინური თარგმანის გამოქვეყნებამ, რომელიც 1895 წელს ითარგმნა ფრანგულად, ხოლო 1905 წელს გერმანულად გამოიცა კ. შმიდტის მიერ, რომელიც კიდევ ერთ გნოსტიკურ ტექსტს შეიცავდა. ამავე წლებში კ. შმიდტმა გამოავლინა გნოსტიკური თხზულებების შემცველი ახალი პაპირუსი. სამწუხაროდ, მისმა გამოცემამ ძალიან დაიგვიანა. ხელნაწერი 1954 წელს გამოაქვეყნა ვ. ტილმა.

ეკლესიის მამათა შრომები და ზემოაღნიშნული ორი გნოსტიკური თხზულება, ასევე პლოტინის ტრაქტატი „გნოსტიკოსთა წინააღმდეგ" და პორფირისეული „პლოტინის ცხოვრების" XVI თავი წარმოადგენდა ქრისტიანული გნოსტიციზმის შესახებ დაცულ ყველა იმ წყაროს, რომლებიც სხვადასხვა კუთხით შეისწავლეს ფ. ბაურმა, ჰ. მანსელმა, ვ. ანცმა, ა. ჰარნაკმა, ე. ამელინომ, ა. ჰინგელფელდმა, ვ. ბუსეტმა, ე. დე ფეიმ, ფ. ლეგმა, რ. რაიცენშტაინმა, ჰ. იონასმა და სხვებმა. მკვლევართა ცალკეული დასკვნები დღეისათვის შესაძლოა მოძველებული იყოს, მაგრამ აღნიშნული მეცნიერული შრომების ისტორიული მნიშვნელობა მეტად დიდია. ქრისტიანული გნოსტიციზმი XX საუკუნის 40-იანი წლებისათვის ძირითადად შესწავლილი იყო. ამ წლების აღმოჩენამ თითქოს ლოგიკურად დაასრულა მეცნიერთა დაუცხრომელი ძალების ორსაუკუნოვანი გზა.

1945 წელს ზემო ეგვიპტეში, ნაგ-ჰამადის მახლობლად, ქენობისკიონში, აღმოაჩინეს 13 ტომად დაყოფილი 49 გნოსტიკური თხზულება კოპტურ ენაზე. ხელნაწერები IV-V საუკუნეებით დათარიღდა და მათი შემცველი ტექსტები, რომელთა ბერძნული ორიგინალები არ შემონახულა, მკვლევართა დაუცხრომელი კვლევა-ძიების საგნად იქცა. აღნიშნული აღმოჩენა, სპეციალისტთა შეფასებით, გნოსტიციზმის შესწავლის ისტორიაში სენსაციურია. რაზეც აქამდე წმინდა მამათა შრომებში დაცული ექსცერპტებით მსჯელობდნენ, სრული ტექსტების სახით გამოვლინდა მკვლევართა წინაშე. მართალია, გნოსტიკური წიგნების უმრავლესობა დღეისათვის კვლავ დაკარგულია, მაგრამ ის, რაც ნაგ-ჰამადაში აღმოჩნდა, გნოსტიციზმის უტყუარ სურათს გვაძლევს.

ნაგ-ჰამადაში შემდეგი თხზულებები იქნა ნაპოვნი:

1. იოანეს აპოკრიფი, ანუ იოანეს დაფარული წიგნი;
2. დიადი უხილავი სულის წმინდა წიგნი, ანუ ეგვიპტელთა სახარება;
3. ნეტარი ეუგნოსტის ეპისტოლე;
4. იესოს სიბრძნე;
5. მაცხოვრის სიტყვისგება;
6. იოანეს დაფარული წიგნი (იგივეა, რაც 1-ლი);
7. დიადი უხილავი სულის წმინდა წიგნი (იგივეა, რაც მე-2);
8. ნეტარი ეუგნოსტის ეპისტოლე (იგივეა, რაც მე-3);
9. პავლეს აპოკალიფსი;
10. იაკობის აპოკალიფსი;
11. იაკობის აპოკალიფსი (წინასგან განსხვავებული);
12. ადამის აპოკალიფსი თავისი შვილის – სეითისადმი;
13. აპოკალიფსი, რომლის სათაურიც დაკარგულია;
14. ზოროასტრის მსჯელობა;
15. პეტრეს ეპისტოლე ფილიპესადმი;
16. უსათაურო აპოკალიფსი, რომელიც სეითს მიეწერება;
17. უსათაურო ეპისტოლე;
18. ტრაქტატი ეპისტოლეს ფორმით;
19. უსათაურო ტრაქტატი;
20. პეტრეს საქმენი;
21. ჰერმესისა და თოთის ჭეშმარიტი სიტყვისგება;
22. დიადი ძალის აზრი;
23. უსათაურო ჰერმეტიკული ტრაქტატი;
24. უსათაურო სეთიანური ტრაქტატი;
25. უსათაურო ჰერმეტიკული ტრაქტატი;
26. ლათინური ასკლეპიოსის მსგავსი ჰერმეტიკული ტრაქტატი;
27. დიადი სეითის მეორე ტრაქტატი;
28. პეტრეს აპოკალიფსი;
29. სილვანოსის სწავლანი;
30. სეითის სამი სტელა;
31. გნოზისის განმარტება;
32. უზენაესი უცხო, ანუ „ალოგენეს" (იგივეა, რაც მე-4);
33. მესოსის გამოცხადება;
34. წმინდა წიგნი, დაწერილი სეითის მიერ;
35. სეთიანური აპოკალიფსი ეპისტოლეს ფორმით;
36. იოანეს დაფარული წიგნი (უფრო ვრცელი, ვიდრე 1-ლი და მე-6);
37. თომას სახარება;
38. ფილიპეს სახარება;
39. არქონტთა ჰიპოსტასი, ანუ ნორეას წიგნი;
40. უსათაურო აპოკალიფსი;
41. განმარტება სულის შესახებ;
42. თომას წიგნი;
43. დემონოლოგიური შინაარსის თხზულება;
44. მისტიკური უსათაურო ტრაქტატი კოსმოსის შესახებ;
45. იაკობის აპოკალიფსი (მე-10-სა და მე-11-ისგან განსხვავებული);
46. ჭეშმარიტების სახარება;
47. რეგინოსის მსჯელობა აღდგომის შესახებ;
48. უსათაურო ტრაქტატი;
49. პეტრე მოციქულის ლოცვა.

გამოვლენილმა ტექსტებმა ცხადი გახადა, რომ გნოსტიციზმი უზარმაზარი სამყაროა, რომელშიც არეკლილია ელინისტური ეპოქის კულტურათა ერთიმეორესთან შეჯახების, მსხვრევისა და ერთიმეორეში განზავების სურათი. მისი წინაქრისტიანული სახე შეიცავს იუდაისტური, ირანულ-ბაბილონური, ეგვიპტური, ბერძნული მისტერიებისა და მაგიური რიტუალების ყველა ნიშანს. რაც შეეხება ქრისტიანობის შემდეგდროინდელ გნოსტიციზმს, აქ უმთავრეს ადგილს ქრისტეს შესახებ მოძღვრება იჭერს.

ქრისტიანული გნოსტიციზმი, მსგავსად პავლესა და იოანეს თეოლოგიისა, სიახლოვეს ამჟღავნებს მისტერიულ რელიგიებთან. მათი არსებითი ნიშანია ხსნის იდეა, რაც მხსნელის მიერ აღსრულდება; „ხსნა" გულისხმობს „გნოზისის", ცოდნის მიღებას. ესაა „გამოცხადებითი სიბრძნე" და არა ფილოსოფიურ-რელიგიური „სრულყოფის" გზა. როგორც შენიშნულია, გნოსტიციზმში „ხსნა წარმოადგენს საიდუმლო გამოცხადებას". ამგვარი „გამოცხადება" მიეცემათ მხოლოდ რჩეულებს.

სიტყვა „გნოზისი", საიდანაც აღებულია გნოსტიკოსთა სახელწოდება, მიუთითებს, რომ ამ სახელწოდების მატარებელმა „იცის", მაგრამ „იცის" არა სწავლისა და ცოდნის თანდათანობითი შეძენის გზით, არამედ (დავუკვირდეთ) „იცის, რადგანაც გამოცხადება მიეცა მას". გნოსტიკოსს არ „სწამს", რადგანაც „რწმენა", მისი აზრით, „ცოდნაზე" (რომელიც გამოცხადებით მიიღება) დაბლა დგას და ცოდნა, რომელსაც გნოსტიკოსი ფლობს (ესაა „ცოდნა წარუვალი სიდიადის შესახებ"), არის, ამავე დროს, იგივე ხსნა, ანუ ვინც „იცის", ვინც „გამოცხადება" მიიღო, ის უკვე ხსნილია.

„ცოდნა" არ ეხება მატერიას, იგი პნევმურია, სპირიტუალურია, სულიერია. ამგვარი „გნოზისის" მეშვეობით გნოსტიკოსმა „იცის", რომ იგი დაიბადა სულიერ არსებად, ცხოვრობდა სულიერ სამყაროში, მაგრამ დაცემის გამო ეზიარა მშვინვიერებასა და ხორცს.

ადამიანები, როგორც საერთოდ ყველაფერი, გნოსტიკოსთა აზრით, სამად იყოფა: 1 – სულიერებად, ანუ სპირიტუალურებად; 2 – მშვინვიერებად; 3 – მატერიალურებად, ანუ ნივთიერებად.

მხსნელი (იესო ქრისტე), გნოსტიკოსთა ერთი ნაწილის შეხედულებით, მხოლოდ ღვთიურია და კაცური ბუნება მოჩვენებითად აქვს შემოსილი (დოკეტიზმი), მეორე ნაწილის აზრით კი, მხსნელი თავდაპირველად დაიბადა, როგორც ადამიანი, რომელშიც ჩასახლდა ღვთიური აზრი (ებიონიზმი). ორივე შემთხვევაში მხსნელი (იგივე ქრისტე) გამოცხადებას აძლევს რჩეულებს, მოწაფეებს და აღვიძებს მათში დაბადებამდე არსებულ ღვთიურ ნაპერწკალს. შემდეგში გამოცხადებით განათლებული მოწაფეები, ანუ გნოსტიკოსები, მხსნელებად ევლინებიან სხვათ, რომლებიც ღვთიურ ნაპერწკალს ატარებენ. თუ დავაზუსტებთ, ღვთიური ნაპერწკლის, საკუთარ თავში ღვთიური ძალის აღმოჩენა, ანუ „თვითცნობა", არის ის „სიბრძნე", რომელიც მხსნელის (ჩვეულებრივ, ქრისტეს) მიერ გაეცხადება რჩეულს. აქედან ცხადია, რომ მხსნელის დანიშნულებაა იმ ნაპერწკლის გაღვიძება, რომელსაც რჩეული ატარებს. ამდენად, გნოსტიციზმი თვითშემეცნების, უფრო ზუსტად – „თვითცნობის", „თვითგაღვიძების" შესახებ მოძღვრებაა. „გნოსტიკოსი", „გნოზისის" (ცოდნის, გამოღვიძების, სიბრძნის) მფლობელი, ფერგიუსონის თქმით, არის ღვთიური ნაპერწკლის მქონე არსი, რომელიც დაეცა, ნივთიერ სამყაროში გაუცხოვდა და საჭიროებს საღვთო ხმას, რათა გაიღვიძოს და აღდგეს დაკარგული დიდებით". ამგვარი „თვითგათავისუფლება" სწორედ ძილიდან თავის დაღწევით იწყება. რჩეულნი „საიდუმლოებაში" ზიარებისთანავე ხსნილი არიან. საბოლოო ხსნა, ანუ აპოკატასტასი, კვლავ აღდგინება, სულიერის დამკვიდრება და მატერიის, წყვდიადის მთლიანი დამარცხებაა.

ამგვარია გნოსტიკოსთა უზოგადესი თეოლოგია. რაც შეეხება მათ მიერ შემუშავებულ სამყაროს სურათს, რომელიც უაღრესად იერარქიულია და უმაღლეს, გამოუთქმელ ერთამდე ამაღლებისას, მაგალითად, ბასილიდეს აზრით (III ს.), 365 ცის გავლას გულისხმობს, ამ ეტაპზე აქ არ განვიხილავთ. კვლავ აღვნიშნავთ, რომ

გნოსტიკოსთა ყველა დაჯგუფება „ძველი აღთქმის" ღმერთს მიიჩნევს ერთ-ერთ დაბალ საფეხურზე მდგომ ანგელოზად, რომელიც ქმნის სამყაროს სულიერი, ანუ სპირიტუალური, ნაწილის სატუსაღოდ და ბორკილად. ამქვეყნიური სამყარო გნოსტიკოსებისათვის ჯოჯოხეთია, ხოლო მიწიერი სხეული – „სამარე", რომელშიც ღვთიური ნაპერწკალია დაფლული. გნოსტიკოსი, რომელმაც ერთხელ უკვე გამოიღვიძა, თავის თავში აღმოაჩენს საკუთარი ხსნის მარცვალს. აღსანიშნავია, რომ მატერიალური სამყაროს მთლიანი უარყოფით გნოსტიკოსები თითქოს „საიდუმლოში" ზიარების საკრამენტულ გზასაც უარყოფდნენ, მაგრამ „საკრამენტული" ზიარება მათთან გვხვდება და სათავე ქრისტიანული ლიტურგიაა. გნოსტიკოსთა საკრამენტალიზმი მისტერიული რელიგიების კვალსაც ატარებს (ზოგ გნოსტიკურ რიტუალს რაიმე შესატყვისი ქრისტიანობაში არ მოეპოვება). ამასთან, საგულისხმოა, რომ გნოსტიკური რიტუალები მაგიური ხასიათისაა. საკრამენტალიზმი გნოსტიციზმში განპირობებულია შემდეგი მიზეზით: გნოსტიკოსთა აზრით, ჭეშმარიტება არ შეიძლება მატერიალურ სამყაროში გაცხადდეს სიმბოლოების გარეშე. ხილულ სამყაროში აზრი ცხადდება სახეებით. საკრამენტი, ამდენად, მაგიურობასთან ერთად სიმბოლურ ნიშნებს შეიცავს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა „ფილიპეს სახარება", რომლის მიხედვითაც ინიციაცია 5 საკრამენტით განისაზღვრება. ამგვარი ინიციაციის დამაგვირგვინებელია „საქორწილო ოთახის" საკრამენტი (5), რომლის დროსაც ადგილი უნდა ჰქონოდა „ფიზიკურ ამბორს". იგი წარმოადგენდა სულის ზიარების შეერთების ნიშანს თავის ანგელოზთან. ასეთი შეერთება განასახიერებდა „პლერომატულ" ქრისტეს, ანუ საღვთო სისავსის შეერთებას სიბრძნესთან, რომელიც მატერიამ გარყვნა. ამიტომაა, რომ გნოსტიციზმის უფრო დეტალურ განხილვამდე აქვე გთავაზობთ ერთ გნოსტიკურ ეპიგრაფს: „ეს მკვდარი არ არის სხვა მოკვდავთა მსგავსი. იგი მკვდარია და ცოცხლობს და ჭეშმარიტად ხედავს უხრწნელ ნათელს. ცოცხალთა თვალწინ იგი ცოცხალია. ვისაც იგი მკვდარი ჰგონია, თვით არის ნამდვილი მკვდარი. მიწავ, რად გიკვირს და რატომ ძრწი ამ მკვდრისათვის". სიმონ მოგვს (Ს.) მეძავი ელენეს მხსნელად მიაჩნდა თავი. „ფილიპეს სახარება" ამავე აზრს დებს იესოსა და მარიამ მაგდალინელის ურთიერთობაში. რამდენადაც „სძალის" ამბორი მიანიშნებს სრულ „გნოზისთან" ზიარებას, სრული გამოცხადების მიღებას, ამდენად, ნათლისღება გნოსტიკური საკრამენტალიზმის პირველ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს. ამგვარი აზრი უნდა ასახავდეს II საუკუნის გნოსტიციზმისა და არა თავდაპირველის მდგომარეობას. ესაა ეპოქა, როცა საკრამენტის სიმბოლურობა მაგიურობას აჭარბებს. პირველი საუკუნის გნოსტიკური რიტუალების განმსაზღვრელი სწორედ მაგია უნდა ყოფილიყო. მათი საკრამენტული სახე თავდაპირველად ვერ დაიშლებოდა საფეხურებად და ერთიმეორის მიმყოლ საკრამენტებად. გნოსტიკური საკრამენტალიზმი და გამოცხადებითი სიბრძნე I საუკუნეში ერთმანეთის იდენტურად წარმოგვიდგება. მათი დაშორება და „მაგიურის" „სიმბოლურში" გადასვლა გვიანდელი მოვლენაა და გნოსტიციზმის მასობრივი გავრცელებიდან იღებს სათავეს.

საჭიროა, გავითვალისწინოთ, თუ განვითარების როგორი გზა განვლო ზოგადად ქრისტიანულმა გნოსტიციზმმა. მისი აყვავების ხანა იყო II-III საუკუნეები, როცა უმთავრესი გნოსტიკური მითები მთლიანად შეეხამა ეპოქის მისტიკურ განწყობილებასა და სხვადასხვა აღმოსავლურ კულტურას, რომლებიც რომის იმპერიაში იჭრებოდა. თავისი წარმოშობით ქრისტიანული გნოსტიციზმი სირიას უკავშირდება. მისი ნიშნები გვხვდება სიმონ მოგვთან. წმ. ირინეოს ლიონელის თანახმად, სიმონი ასწავლიდა, რომ იგი ებრაელებს მოევლინა ძე ღვთისად, სამარიაში – როგორც მამა ღმერთი, ხოლო სხვა ხალხებს გამოუჩნდა სულიწმიდის სახით. სიმონი თავის თავს აღიარებდა მხსნელად, დიდ ღვთიურ ძალად, რომელმაც მოსაჩვენებლად მიიღო ადამიანის სახე, რათა დაკარგული ღვთიური ნაპერწკალი (მისი მოძღვრების თანახმად, „პირველი აზრი" ეხსნა მატერიის ტყვეობისაგან. მან საძიებელი, დაკარგული

ღვთიური აზრი იპოვა მეძავ ქალში, რომელსაც ელენე ერქვა და იხსნა იგი. სიმონის მიმდევრებში ელენეს, როგორც ხსნილი ღვთიური აზრის, კულტი ძირითადია. სიმონის კოსმოლოგია, ზოგადად, ასე წარმოგვიდგება: ყველაფრის წყარო არის ცეცხლი, ანუ უსაზღვრო ძალი, რომელიც ორგვარია თავისი არსებობით — დაფარული და ცხადი. დაფარული, ე.ი. „მამა", ცხადდება „მდედრში" — „პირველ აზრში". ეს უკანასკნელი შეიგრძნობა, როგორც ნამდვილად არსებული, ხოლო „მამა" მიიღწევა მხოლოდ გონებით. „პირველი აზრი" არის წყარო ყველაფრისა, რაც არსებობს. „დედა", რომელიც პოტენციურად „მამას" შეიცავს, ანუ ურთიერთმოქმედებს მასთან შინაგანად, გამოასხივებს ექვს „ძირს" — ეონს, რომელთაგანაც იქმნება კოსმოსი. მიუთითებენ, რომ სიმონთან გნოსტიციზმის ისტორიაში პირველად გვხვდება ემანაციის, გამოსხივების შესახებ მოძღვრება. „პირველი აზრის" დატყვევებას ირინეოს ლიონელის (II ს.) ერთი მითიური ჰიმნი ასე აღგვიწერს: „დასაბამად „მამამ" განიზრახა, შეექმნა ანგელოზები და მთავარანგელოზები. მისი „აზრი", რომელმაც უწყოდა „მამის" სურვილი, გამოიშალა მისგან, დაეშვა ქვენა ზღვრამდე და გამოასხივა, „შვა" ანგელოზები და ძალნი, რომელთა მიერაც შეიქმნა სამყარო. მაგრამ „შობის" შემდეგ „აზრი დაატყვევეს" შობილებმა შურის გამო, რამეთუ არ სურდათ ყოფილიყვნენ ვინმესგან შობილნი. „მამა" სრულიად უცნობი იყო მათთვის, მაგრამ „მამის" „აზრი" დაატყვევეს ძალებმა და ანგელოზებმა, რომელნიც მისგან გამოსხივდნენ. „აზრი" განიცდიდა ყოველგვარ დამცირებას მათგან, რადგანაც არ შეეძლო მიქცეულიყო მამისკენ. ამასთან, იგი დაატყვევეს ადამიანის სხეულში და საუკუნეთა მანძილზე გადადიოდა სხეულიდან სხეულში და განიცდიდა დამცირებას. უკანასკნელად განსხეულდა მეძავში. იგი იყო დაკარგული ცხვარი, რომლის გამოც „მამა" მოვიდა, რათა გაეთავისუფლებინა „აზრი" ბორკილებისაგან და მიეცა კაცთათვის ხსნა — მათთვის, ვინც ცნობდა მას, რამეთუ, როცა ანგელოზებმა უკუწარმართეს სამყარო, სურდათ რა პირველობა, იგი მოვიდა ყველაფრის აღსადგენად. კაცთა წინაშე კაცად გამოჩნდა, თუმცა კაცი არ იყო. იგი ეწამა თითქოს იუდეაში, თუმცა მას არ განუცდია წამება.

სიმონს მიეწერება ერთი თხზულების ავტორობა, რომელსაც ეწოდება „დიადი გაცხადება". მასში არეკლილია ზოროასტრიზმის, ორფიზმის, პლატონიზმის, ეგვიპტური რელიგიური მოძღვრებების კვალი. ამდენად, ძნელია გაზიარება რ. გრანტის აზრისა იმის შესახებ, რომ გნოსტიციზმი უმთავრესად ებრაელთა აპოკალიპტური იმედების მსხვრევის ნიადაგზე წარმოიშვა. კოპტურ ხელნაწერებში დაცული მასალების სიმრავლე სხვაგვარად წარმოაჩენს აღნიშნულ საკითხს.

სიმონ მოგვი ქრისტიანული გნოსტიციზმის სათავეებთან დგას. მისი სწავლება ჩანასახის სახით ამ რელიგიის ყველა ნიშანს შეიცავს. ეს ნიშნებია: მხსნელის იდეა, რომელიც მოივლინა ამქვეყნად ღვთიური ნაპერწკლის გადასარჩენად. ეს ნაპერწკალი მხოლოდ ზოგიერთშია, კერძოდ იმათში, რომელთაც შეუძლიათ მხსნელის ცნობა, ანუ გამოცხადების მიღება. სამყარო იერარქიულია. ქვეყნის შემოქმედი დემიურგი არის ბოროტი; შექმნილი სამყარო ღვთიური ნაპერწკლის სატუსაღოა და, ამდენად, ჯოჯოხეთია, ხოლო სხეული არის სულის სამარე. ვინც გამოცხადებას მიიღებს, შეიცნობს საკუთარ თავში ღვთიურ ნაპერწკალს, ხსნილია. ამგვარი ხსნა გარკვეულ საკრამენტულ კულტს უკავშირდება, რომელიც შემდეგ სიმონის მიმდევრებში არსებითი მომენტი გახდა.

სიმონთან ერთად I საუკუნეს განეკუთვნებიან ნიკოლაიტებისა და დოსითეოზიანელების (გნოსტიკური სექტები) მამამთავრები — ნიკოლა და დოსითეოზი, აგრეთვე — მენანდრე (სიმონის მოწაფე), სატორნილი, კერდო, კერინთოსი, მკვდარი ზღვის გნოსტიკური სექტა და სხვა. ყველა სირიულ სამყაროს უკავშირდება. ამდენად, ქრისტიანული გნოსტიციზმის სირიული წარმოშობა უეჭველია. ადრიანეს (110-138) დროს გნოსტიციზმი სირიიდან ეგვიპტეში ინაცვლებს. სწორედ ალექსანდრიაში გამოჩნდებიან გნოსტიკური ერესის უდიდესი წარმომადგენლები: ბასილიდე, კარპოკრატე, ვალენტინუსი.

საბოლოოდ, გნოსტიციზმი რომისკენ ინაცვლებს. თუ რას უნდა გამოეწვია ამგვარი გადანაცვლება, გაურკვეველია. რაც ვიცით, ეს არის ის, რომ მხოლოდ გნოსტიციზმის რომაული პერიოდი აღძრავს ეკლესიის მამებში დიდ შეშფოთებას და სათავეს უდებს ეკლესიისთვის ამ საშიში მოძღვრების წინააღმდეგ წმინდა მამათა ცხარე პოლემიკას. ქალაქში ვალენტინუსი შექმნის ძლიერ ჯგუფს, რომელიც მისი რომიდან წასვლის შემდეგ ორად გაიყოფა: იტალიელებად და ორიენტალებად. ამავე ხანებში რომში შემოდის ერთი ქალი მარკელინა, რომელსაც შემოაქვს ქრისტეს, პავლეს, ჰომეროსისა და პითაგორას ფრესკული გამოსახულებები და კარპოკრატელთა მოძღვრება. რომში პოპულარობით სარგებლობს გნოსტიკოსი კერდო, რომლის მოწაფე მარკიონი საყოველთაო სახელს მოიხვეჭს. მის წინააღმდეგ არაერთი პოლემიკური ნაშრომი მოიპოვება პატრისტიკულ მემკვიდრეობაში. ამ დროს იქმნება უამრავი სექტა, რომელთაგან ზოგიერთი პირველი საუკუნის ტრადიციას იჩემებს ან შედარებით ახალია (ნაზორეველები, ელქაზიტები, კაენიტები, ოფიტები, ნაასენები, მარკიონიტები და სხვ.).

მესამე საუკუნის გნოსტიციზმის ისტორია ბუნდოვანია, თუმცა იგი მთელი სმელთაშუა ზღვის სამყაროს არის მოდებული. ამგვარი ბუნდოვანება განაპირობა გნოსტიკური სექტების საიდუმლო ხასიათმა და იმ რეპრესიებმა, რომლებიც III საუკუნის შუა წლებიდან მუსრს ავლებს ზოგადად ქრისტიანულ სამყაროს. ამ საუკუნის კარგად ცნობილი წარმოშობის რელიგიაა მანიქეიზმი, რომელიც, სხვა სექტებისაგან განსხვავებით, გაცხადებულად იქადაგებოდა. III საუკუნის შემდეგ გნოსტიციზმის კვალი იშვიათი ხდება. ამიტომაა, რომ მისი მეცნიერული ისტორია არსებითად II-III საუკუნეებით არის შემოსაზღვრული. ასეთია გნოსტიციზმის განვითარების ზოგადი ხაზი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სიმონს მიაკუთვნებენ „დიადი გაცხადების" ავტორობას. ამგვარი ხასიათის თხზულებები გნოსტიკურ სექტებში ბევრი გვხვდება. მაგალითად, ვალენტინელთათვის უპირველესი მნიშვნელობის იყო „ჭეშმარიტების" სახარება", რომლის ავტორადაც ისინი ვალენტინეს მიიჩნევდნენ. ნიკოლაიტები იყენებდნენ „სრულყოფის სახარებას", ხოლო ერთი სექტა, რომელიც საკუთრივ „გნოსტიკოსების" (არ აგვერიოს ზოგადად გნოსტიკოსებში) სახელს ატარებდა, პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა ორ წიგნს: „ევას სახარებასა" და „ფილიპეს სახარებას". კაენიტები ძირითადად კითხულობდნენ „იუდას სახარებასა" და „პავლეს ამაღლებას", ბარბელოგნოსტიკოსები („ბარბელო" – წინასწარ არსებული მამიდან გამოსხივებული მდედრობითი ძალი) – „იოანეს საიდუმლო წიგნებს", ფიბიონელები, სტრატიოტელები და სხვა წვრილი ჯგუფები ავრცელებდნენ „აპოკალიფსებს", რომელთაც მიაწერდნენ ადამს, სეითს, მარიამს. მაგალითად, სეითიანელების სექტა სეითს მიაწერდა „შვიდი გამოცხადების" ავტორობას, ხოლო მოსეს აკუთვნებდა ერთ თხზულებას, რომელსაც „აბრაამის აპოკალიფსი" ეწოდებოდა. გნოსტიკოსებში პოპულარული იყო სეითის დად მიჩნეული ქალი ნორეა, ანუ ჰორეა, რომელსაც მიაწერდნენ სხვადასხვა აპოკალიპტური წიგნის ავტორობას. გავრცელებული იყო თხზულება „ალლოგენეს", ანუ „უცხო". არქონტიკელები, რომლებიც სეითიანელთა განშტოებას წარმოადგენდნენ, თავიანთი საიდუმლო წიგნებიდან ასახელებდნენ „სიმფონიას", „მარტიადეს, ანუ მარტიანეს, აპოკალიფსებს", „ესაიას ამაღლებას" (თხზულება ფართოდ იყო ცნობილი) და სხვ.

ყურადღების ღირსია ცნობილი გნოსტიკური თხზულება – „პისტის სოფია", რომლის განხილვაც ქვემოთაა მოცემული. 1765 წელს ბრიტანეთის მუზეუმმა შეისყიდა კოპტურად ნაწერი პერგამენტი, რომელიც პალეოგრაფიულად V საუკუნეს მიეკუთვნება. ხელნაწერში დაცული ტექსტების ლათინური თარგმანი 1951 წელს დაიბეჭდა. თვით ტექსტი, რომელიც საჰიდიკურ დიალექტზეა შესრულებული, ადრინდელი ხელნაწერებისგან გამონაკრებს წარმოადგენს. იგი 1905 წელს მეცნიერულად

გამოსცა კ. შმიდტმა. ხელნაწერში შესული ტექსტებიდან II ასეთ ზედწერილს ატარებს: „პისტის სოფიას მეორე წიგნი". აქედან გამომდინარე, პირველი ტექსტი უნდა იყოს „პისტის სოფიას პირველი წიგნი". სახელწოდება „პისტის სოფია" შემდეგში ზოგადად ეწოდა მთლიან ხელნაწერს. გარდა აღნიშნული ძეგლებისა, ახლად აღმოჩენილ ხელნაწერებში დიდი რაოდენობით გვხვდება სრულიად უცნობი აპოკალიფსები და სახარებები, მაგალითად, „იესოს სიბრძნე", „მხსნელის სიტყვა-მიგება", „პავლეს აპოკალიფსი", „იაკობის აპოკალიფსი", „სილვანოსის შეგონებანი", „რეგინოსი აღდგომის შესახებ", „პეტრე მოციქულის ლოცვა" „განმარტება სულის შესახებ" და ბევრი სხვა. დავუბრუნდეთ კვლავ „პისტის სოფიას", რომელიც შემდეგ შინაარსს შეიცავს: შესავალი ნაწილი მოგვითხრობს, რომ იესომ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ 11 წელი დაჰყო მოწაფეებთან და აზიარა ისინი ზეციურ საიდუმლოებებს. მოქმედება მიმდინარეობს ზეთისხილის მთაზე, სადაც მოწაფეების თვალწინ იესო ძლიერი „ძალის", სინათლის გამოსახულების მიერ (რომელიც მასზე დაეშვება) ამაღლდება ზეცად. დაბრუნებისას იგი განუმარტავს მოწაფეებს, რომ სინათლის გამოსახულება (შესაძლოა იგულისხმებოდეს შარავანდედი) არის „სინათლის სამოსელი", მისი ზეციური ბუნება, რომელიც მან განსხეულებისას დატოვა (აქვე აღვნიშნავთ, რომ ქრისტიანულ თეოლოგიაში „სინათლის სამოსელი" არის ალეგორია ნათლისღების სპეტაკი სამოსლისა, რომელსაც ზიარებული შეიმოსავს ემბაზიდან ამოსვლის შემდეგ. ამგვარი კუთხითაა იგი წარმოჩენილი ორიგენესთან, გრიგოლ ნოსელთან). ამასთან, იესო აუწყებს მოწაფეებს, რომ მან განსხეულებამდე ამქვეყნად მოსვლისას თან მოიზიდა თორმეტი ძალი, რომლებიც გამოიყვანა „სინათლის განძსაცავის 12 მხსნელისგან" და ჩანერგა ისინი 12 მოციქულის დედაში; ასე რომ, მოციქულები იშვნენ, მათ მოიღეს ეს „ძალები" ნაცვლად სულებისა, რომლებსაც სხვები იღებდნენ „ეონთა" მმართველებისაგან, ზოდიაქოს 12 ნიშნის განმგებელთაგან. იესო აღწერს, როგორ გამოუჩნდა იგი ზოდიაქური სამყაროს მთავრებს გაბრიელ ანგელოზის სახით და იპოვა იქ „ელია წინასწარმეტყველის სული", რომელიც „სინათლის ქალწულის" მეშვეობით ჩანერგა ელისაბედში – იოანე ნათლისმცემლის დედაში, ამასთან, მიანიჭა იოანეს ქალი, რომელიც გამოსწურა „იაო კეთილს". როგორც ვხედავთ, იოანეს წინამორბედობა მისი შობისთანავე განსაზღვრული იყო. შემდეგ იესო აღწერს თავის განსხეულებას. იგი გაბრიელის სახით ჯერ გამოეცხადება მარიამს (მის მშობელს), შემდეგ კი ჩანერგავს მასში „პირველ ძალს", რომელიც მან მიიღო „ბარბელოსგან", ანუ მისი ზეციური სხეულისგან („ბარბელოს" სხვა გნოსტიკურ ტექსტებში სხვა მნიშვნელობა აქვს). განსხეულებისას მას მიენიჭა „დიდი საბაოთ სახიერის" ძალი. იესო ისევ უბრუნდება ზეთისხილის მთიდან ზეცად ამაღლებას და „ნათლით შემოსვას". მოწაფეებს უმეღავნებს, რომ ნათლის „სამოსელში" მან 5 „საიდუმლო" სიტყვა ნახა წაწერილი, რომლებიც მიეკუთვნება ზეციურ ენას. ამით ზეციური ძალები მიმართავენ იესოს, დაუბრუნდეს იმ სიდიადეს, რომელიც განსხეულებისას დატოვა. „პისტის სოფიას" დანარჩენი ნაწილი წარმოადგენს კითხვა-მიგებას ყოველივე იმასთან დაკავშირებით, რაც ზემოთაა ნათქვამი. კითხვა-მიგებისას მოყვანილია დავით წინასწარმეტყველის „ფსალმუნები" და სოლომონის აპოკრიფული „გალობები". ამ დროს საბოლოოდ ცხადი ხდება წიგნის დანიშნულება. იგი არის იმ ე. წ. სიდიადის „გამოცხადება", რომელიც გნოსტიკოსს ელოდება და იესომ „საიდუმლოს" სახით მოიტანა მიწაზე რჩეულ ადამიანთა გამოსახსნლად. როდესაც ყველა პნევმური, ანუ სულიერი (πνεϖματικοσ), კაცი მოიცილებს მატერიალურ სხეულს, ისინი ამაღლდებიან სამყაროების გავლით უკანასკნელ ცამდე, სადაც იესოსთან ერთად წარმართვენ სამყაროს, თუმცა მარიამ მაგდალინელი და იოანე (სავარაუდოდ, იოანე მახარებელი) ყველა დანარჩენზე უფრო მაღლა ავლენ. ნეტარებათა საუფლოში ყოფნისას ისინი ახალ „საიდუმლოებებს" ეზიარებიან, რასაც შედეგად მოჰყვება ის, რომ ათასწლეულის დასასრულს საბოლოოდ შეერთდებიან იესოსთან და

ღვთის, ანუ გამოუთქმელი ერთის, ნაწილები გახდებიან. ისინი, რომლებიც „მცირე საიდუმლოებას" ეზიარნენ, ანუ ბოლომდე ვერ იტვირთვს მთელი საიდუმლო და ვერ გახდნენ მთლიანად სულიერები, სიკვდილის შემდეგ იმ ცამდე ამაღლდებიან, რომლის „საიდუმლოც" მიიღეს, ხოლო ისინი, რომლებიც კიდევ უფრო მცირე „საიდუმლოს" ეზიარნენ, კვლავ მიწაზე დაბრუნებიან და ჩასახლდებიან „მართალთა" სხეულებში, რომ უფრო სრულყოფილად შეაღწიონ დაფარულში. რაც შეეხება იმათ, ვინც დიდი „საიდუმლოება" მიიღო, სიკვდილის შემდეგ დაუყოვნებლივ ამაღლდება და თავზარს დასცემს ციურ ძალებს უჩვეულო სინათლის გამოსხივებით.

ფ. ლეგის შენიშვნით, „პისტის სოფიაში" დაბალი „საიდუმლო" უნდა გულისხმობდეს ნათლისღებასა და ევქარისტიას, რაც ყველა გნოსტიკური დაჯგუფების წევრისთვისაა ხელმისაწვდომი, ხოლო მეორე მთავარი „საიდუმლო" სწორედ გამოცხადებითი სიბრძნეა, რომელიც მხოლოდ ორეულებს მიენიჭება. ამგვარ საიდუმლოსთან ზიარებული, იესოს სიტყვებით, „არის კაცი ამ სამყაროში, მაგრამ არ არის ამ სამყაროსგან ქმნილი, და ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ, რომ ის კაცი ვარ მე (ე. ი. ქრისტე) და მე ვარ ის კაცი, და როცა დაინგრევა ეს სამყარო და ყოველივე ერთად შეიკრიბება და სრულთა სულები შემოკრბებიან, როცა მე გამოვჩნდები მეუფედ უზენაესი ცის შუაგულში... მაშინ ყველა ის კაცი, ვინც მიიღო გამოუთქმელი ერთის საიდუმლო, იქნება მეუფე ჩემთან და დაჯდება ჩემ მარჯვნივ და მარცხნივ სასუფეველში. ჭეშმარიტად გეტყვით თქვენ, ის კაცები ვარ მე და მე ვარ ის კაცები... იქნებით მეუფე ჩემთან ერთად. ამისთვის მე არ დაეზოგე თავი ჩემი, არც შევიკდიმე, მეწოდებინა თქვენთვის მეგობარნი და თანამდგომელნი, რამეთუ ვხედავ, იქნებით თანამეუფენი ჩემნი სასუფეველში. ყოველივე ეს გაუწყეთ მე თქვენ, რამეთუ ვიცი, მოგენიჭებათ ჩემგან გამოუთქმელი ერთის საიდუმლო და ეს საიდუმლო ვარ მე და მე ვარ ეს საიდუმლო".

გნოსტიკურ ტექსტებში „საიდუმლოს" შესახებ მოძღვრება უმთავრესია. „პისტის სოფიას" გარდა, საყურადღებოა კიდევ ერთი თხზულება – „დიდი ტრაქტატი საიდუმლოს შესახებ", თხზულებაში საუბარია ეონთა, ცათა, უხილავ არსებათა აგებულებაზე, დანიშნულებაზე. იესო, რომელიც ცათა მოძღვრებას უცხადებს მოწაფეებს, შემდეგი სიტყვებით მიმართავს მათ: „ეს საიდუმლოებანი, რომლებიც გაგეცხადებათ თქვენ, დაიმარხეთ და არ აუწყოთ არავის ულირსს; არც მამას, არც დედას, არც ძმას, არც დას, არც სხვა რომელიმე ნათესავს, არ გასცეთ იგი არც ჭამადისათვის, არც სასმელისათვის, არც ქალისთვის, არც ოქრო-ვერცხლისთვის. არ გაუმჟღავნოთ იგი არც ქალს, არც კაცს, რომელსაც კი სწამს 72 არქონტის, ანდა რომელიც მათ ემსახურება. არ გაუმხილოთ იგი არც მათ, რომლებიც თაყვანს სცემენ რვა დიდ არქონტს, რამეთუ მათი ღმერთი ბოროტია...".

საიდუმლოს დამარხვის შესახებ ბრძანების შემდეგ იესო მოწაფეებს დაუწესებს სამი სახის ნათლისღებას: 1. წყლით; 2. ცეცხლით; 3. სულით. იესოს თქმით, მხოლოდ მათ შემდეგაა შესახლებული სპირიტულური ცხების საიდუმლოსთან ზიარება და „სინათლის განძთსაცავის" დაფარული სიბრძნის განცდა. ამის შემდეგ იესო მოწაფეებს გზავნის ღვინის ჭურჭლისა და ვაზის რქის მოსაძიებლად. ისინი შეამკობენ საკურხეველს ღვინის თასებით, ვაზის რქებით, აგრეთვე – სხვადასხვა მცენარითა და სურნელოვანი ნივთიერებებით, რომლებზეც იესოს მიერ დაწვრილებით იყო მინიშნებული. მოწაფეები იმოსებიან ტილოთი. მათს ხელებზე ამოტვიფრულია „შვიდი ხმის" მისტიკური რიცხვი. ხელთ უპყრიათ წინასწარ განსაზღვრული მცენარეები. მხსნელის მიერ წარმოთქმული მაგიური ლოცა (la priere magique) ასე მთავრდება: „გარადამოვიდნენ ხელები და ნათელსცენ მოწაფეთა ჩემთა წყლითა მით, რომელიც არის ცხოვრება შვიდთა ქალწულთა სინათლისათა, რათა მიეტევოს მათ ცოდვანი და განიწმინდონ უსჯულოებისგან და დაიმკვიდრონ სასუფეველი სინათლისა. უკეთუ შეისმინე ლოცვა ჩემი და უკეთუ გებრალვის მოწაფენი ჩემნი...

მოეც სასწაული (ნიშანი), რათა მოვიდეს (მელქისედეკი) და მოიღოს წყალი განმაცხოველებელი ნათლისღების ჭურჭლით". ნიშანი, რომელსაც იესო ითხოვს, გამოვლინდება შემდეგნაირად: მარჯვნივ მდებარე ჭურჭელში ღვინო წყლად იქცევა და მოწაფეები იესოს გარშემო შემოიკრიბებიან. იესო მათ ნათელს სცემს. შემდეგ ანალოგიური რიტუალებით დააწესებს ნათლისღებას ცეცხლითა და სულიწმიდით. საბოლოოდ, მხსნელი მოწაფეებს საიდუმლო ნიშნებსა და სიტყვებს ასწავლის, რაც გრძელი რიტუალის სახითაა წარმოდგენილი. როგორც ვხედავთ, საკრამენტული კულტი, რომელიც ძირითადად ნათლისღებას გულისმობს, გნოსტიკოსთა საიდუმლო მოძღვრებასთან ზიარებაა. მოწაფეები შედიან სინათლის სასუფეველში, ანუ აღდგომას განიცდიან ნათლობისთანავე. სპირიტუალური ცხების მიმღები მოწაფეები თვით ხდებიან მხსნელები. კიდევ ერთხელ შეიძლება დავასკვნათ, რომ გნოსტიციზმის თანახმად, გნოსტიკოსები არიან ის რჩეული ადამიანები, რომლებიც ფლობენ მხსნელის მიერ მხოლოდ მათთვის გაცხადებულ საიდუმლო სიბრძნეს, „გნოზისს" (γνωζις), რომელთან ზიარებაც მაგიური საკრამენტალიზმით (მისი პირველი საფეხური ნათლისღებაა) ხორციელდება. „გნოზისთან" ზიარებული ზიარებულია ქრისტესთან, ანუ თვით ხდება მხსნელი. მისთვის ყველა საიდუმლო გაცხადებულია, როგორც ქრისტეში, ისევე მასში დამარხულია ყველა საიდუმლო. ამგვარი განბრძნობა, განღმრთობა მაგიური საკრამენტული კულტით დაუყოვნებლივ ენიჭება გნოზისის, საღვთო ცოდნის მაძიებელს.

აქვე ზოგადად მომოვიხილავთ ნაგ-ჰამადის კოლექციის კიდევ ერთ თხზულებას, რომლის სახელწოდებაა „დიადი ძალის აზრი", იგივე „სრულქმნილი გონება – გრგვინვა" და იგი, მკვლევართა აზრით, ღრმად გვიხატავს გნოსტიციზმის მთავარ მსოფლმხედველობრივ ასპექტებს. მ. რაი შეუპირისპირებს რა ერთურთს „გრგვინვის" ცალკეულ პასაჟებს, ბიბლიის ნაწყვეტებს, ისიდას არეთალოგიურ წარწერებს, ინდურ, ირანულ, მანდეურ ტექსტებს, ჰერაკლიტეს ფრაგმენტებსა და ნაგ-ჰამადის II კოდექსის მეოთხე და მეხუთე თხზულების ორ პასაჟს, მკვლევარი, საბოლოოდ, ცდილობს, პასუხი გასცეს, თუ რას წარმოადგენს ეს დოკუმენტი. მისი დაკვირვებით, ეს გნოსტიკური ძეგლი მიზნად ისახავს, ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ ღვთაება „მთლიანად ზღვარგადასულია სამყაროსთან მიმართებაში მისი კოსმოლოგიური, სოციალური, ეთიკური, რელიგიური ღირებულებებით". მასში გამოკვეთილია გნოსტიკოსის დანიშნულება – ქვეყნიურ ღირებულებათაგან განდგომა. ნაგ-ჰამადის გნოსტიკური ტექსტების უბადლო მცოდნემ – ჟ. ქვისპელმა – ეს თხზულება განიხილა გნოსტიკურ იდეათა ისტორიისა და არაორთოდოქსული იუდაიზმის მითოლოგიის თვალსაზრისით. შენიშნა რა ტექსტში ელინისტური გარემოს გავლენის კვალი, ჟ. ქვისპელმა ორიგინალის შექმნის სავარაუდო დროდ და ადგილად ძვ. წ. I საუკუნე და ალექსანდრია მიიჩნია. ტექსტის დასაწყისშივე ვკითხულობთ: „წარმოგზავნილ ვარ ძალითა და მოვედი მათთან, ვინც ფიქრობს ჩემზე. აღმომაჩინეს იმათ შორის, დამეძებს ვინაც. მზერა მიბოძეთ, ჩემზე ვინაც დაფიქრებულხართ! ხოლო ვინც მისმენს, ისმინოს ჩემი". ამას მოსდევს ერთგვარი თვითგამორკვევა. მსგავსი გამოთქმები გახლავთ პირველი რგოლი გრძელი ჯაჭვისა, რომელიც განმარტავს, თუ რატომაა აუცილებელი აქ გადმოცემული ცოდნა მსმენლისათვის.

ზოგადად, გნოსტიკოსებში მრავალი სახის რელიგიური რიტუალი იყო გავრცელებული. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამა თუ იმ გნოსტიკურ რიტუალს ახსნა ძნელად მოუპოვება. ზოგიერთ მათგანში გვხვდება ფორმულირებები, რომლებიც სხვადასხვა რიტუალს უკავშირდება, მაგრამ მათი ზუსტი არსის გაგება შეუძლებელია. ირინეოს ლიონელი ასახელებს მარკოზიანელების დაჯგუფებას. მისი მიმდევრებიც ატარებდნენ ნათლობებსა და ზეთისცხებას. გნოსტიკოსებში გვხვდებოდა რიტუალი, რომლის მიხედვით გარდაცვლილს აპკურებდნენ ზეთს ან წყალნარევ ბალზამს. ამით მის სულს ეხმარებოდნენ გაუჩინარებაში, რომ აღარ შეჰხვებოდნენ მიწიერი არქონტები.

ზოგიერთმა გნოსტიკურმა ერესმა წინა რელიგიებიდან შემოინახა უცხო რიტუალები. ასეთია, მაგალითად, ქვეწარმავლის კულტი ოფიტებში. ისინი ცოცხალი ქვეწარმავლის ირგვლივ თავიანთი აღაპისათვის განკუთვნილ პურს დებდნენ იმ მიზნით, რომ ქვეწარმავალი მას შეეხებოდა. იგი, ცხადია, განასახიერებდა არა კაცთა მოდგმის მაცდუნებელს, არამედ ზეციურ დრაკონს, რომელმაც გაანათლა ადამი. ეპიფანე კვიპრელი იხსენებს გნოსტიკოსთა შორის გავრცელებულ რამდენიმე მაგიურ რიტუალს, აგრეთვე იმას, თუ როგორ ცდილობდა ზოგი გნოსტიკოსი მის ჩათრევას თავიანთ ორგიებში. ავსორცულ ჩვევებთან დაკავშირებით გნოსტიკოსთა შორის არ იყო ერთსულოვნება. გნოსტიციზმის ძირითადი ხაზი მიიჩნევდა, რომ ხორცი ვერაფრით ვერ შეასრულებდა გადამრჩენის როლს.

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ სხვადასხვა გნოსტიკურ დაჯგუფებას ერთმანეთისგან მიჯნავდა საკუთარი სწავლება, მაგრამ ზოგადი თეოლოგია ყველასთვის საერთო იყო. ბევრი მათგანის ფესვები ქრისტიანული ეკლესიის წიაღში პოულობდა დასაბამს. ასეთი იყო სიმონ მოგვის მიერ დაარსებული გნოსტიკური ხაზი. ნიკოლაელთა ფუძემდებლის – ნიკოლაოსის – მსგავსად, რომელიც მოციქულთა მიერ გამორჩეულ შვიდ დიაკვანს შორის ირაცხებოდა, სიმონი უადრესი გნოსტიციზმის წარმომადგენელია. სიმონიანელების თაობაზე ისევე, როგორც სხვა გნოსტიკური წრეების, განსაკუთრებით ვრცლად საუბრობს ეპიფანე კვიპრელი. ეპიფანეს უწყებით, სიმონმა დააწესა სამარცხვინო მისტერიები, რომელნიც ქალთა და კაცთა ბუნებრივი სიბილწეების შეზავებას გულისხმობდა. სიმონს სამარიაში ქადაგებისას დაემოწაფა მენანდრე, ხოლო ამ უკანასკნელს – სატორნილი. სატორნილის პარალელურად ეგვიპტეში გნოსტიკურ იდეებს ავრცელებდა ბასილიდე – ბასილიდელების მესაძირკვლე. ბასილიდე ასწავლიდა, რომ ხილული სამყარო ანგელოზებმა შექმნეს. ქრისტეს მოვლინებას იგი ზმანებად რაცხდა. მსხნელის ჯვარცმაზე მას, სხვა გნოსტიკოსებისგან განსხვავებით, ორიგინალური შეხედულება ჰქონდა. ბასილიდე ასწავლიდა, რომ ევნო არა იესო ქრისტე, არამედ სიმონ კვირინელი, რომელიც ჯვრის ატარებდა ეამს გარდაისახა იესოდ, ხოლო იესო – სიმონად და ამ გზით იესომ საკუთარი თავის ნაცვლად სიმონი გასცა ჯვარზე საცმელად. როდესაც ჯვარზე აკრავდნენ სიმონს, მის წინ უხილავად იდგა იესო, რომელიც დასცინოდა სიმონის ჯვარმცმელებს. იგი უვნებლად ავიდა ზეცად, განვლო რა ყოველნი ძალნი და მიუბრუნდა მამას. ბასილიდეს ეს შეხედულებები ნათესაობას პოულობს ისლამურ თეოლოგიასთან. ცნობილია, რომ ყურანის IV სურაში დახატულია იესო ქრისტეს უვნებლად ამაღლება ცად. შესაბამისი აიების სიუჟეტური ქარგა ჰგავს ბასილიდელების შეხედულებას.

მანდეიზმი

მანდეველების რელიგია თავისი წარმოშობით მჭიდროდ უკავშირდება გნოსტიკურ სამყაროს. მისი მიმდევრები დღესაც გვხვდებიან. მათი რიცხვი 14 ათას კაცს არ აღემატება. ისინი ცხოვრობენ მდინარეების – ტიგროსისა და ევფრატის – სანაპიროებზე, თანამეროვე ერაყის სამხრეთით, უძველესი ხუზისტანის ტერიტორიაზე. მანდეველთა რელიგიის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ გნოსტიკოსებისთვის დამახასიათებელი ბევრი ნიშანი. მათს წყაროებში მოიპოვება საყურადღებო ცნობები გნოსტიციზმისა და ადრეული ქრისტიანობის შესახებ.

მანდეველების წერილობითმა ტრადიციებმა მრავალჯერ მიიპყრო ევროპელი ორიენტალისტებისა და რელიგიის ისტორიის სპეციალისტების ყურადღება. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეიქმნა რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევა მანდეური ენისა და რელიგიური მწერლობის შესახებ. მანდეური ენის სახელით ცნობილია არამეული ენის ბაბილონური დიალექტი, რომელიც ყოველდღიურ მეტყველებაში გამოიყენებოდა III–VIII საუკუნეებში. 1875 წელს ქ. ჰალეში დაიბეჭდა გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის – თ. ნოელდეკეს – „მანდეური ენის გრამატიკა". ამ წიგნმა დიდი დაინტერესება გამოიწვია სამეცნიერო წრეებში. XX საუკუნის 20-იან წლებში ხელმისაწვდომი გახდა მ. ლიდსბარსკის მიერ შესრულებული მანდეური ლიტერატურის ძეგლთა თარგმანები. ამ პერიოდიდან აქტიური მუშაობა გაიშალა სხვადასხვა ძეგლის პუბლიკაციასთან დაკავშირებით. მანდეველთა წიგნები ფართოდ იქნა გაცნობილი, რაც საფუძველი გახდა მდიდარი ინფორმაციული ველის შექმნისა მანდეველთა უძველეს რელიგიაზე. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მანდეიზმი დღეს მოქმედი ერთადერთი რელიგიაა, რომელიც ელინიზმის სამყაროში იღებს დასაბამს და მიეკუთვნება გნოსტიკური ტიპის რელიგიურ სისტემებს. XIX საუკუნეში იყო მცდელობა, მოეპოვებინათ და შეესწავლათ ზეპირი ტრადიციები, რაც უფრო გასაგებს გახდიდა ტექსტებს. მკვლევართა ნაწილმა გარკვეული ძვრა მისცა ამ საკითხს. გამოვლინდა პირველწყაროები, რომელთა მეშვეობით ფარდა აეხადა მთელ რიგ ნიშნებს, ამ რელიგიის სხვადასხვა დოქტრინას.

მანდეიზმის რელიგიური ლიტერატურა შეიცავს ჰიმნებს, ლიტურგიებს, მაგიურ ტექსტებს, ლეგენდებს. ჰიმნები განმსჭვალულია სპირიტუალური ესთეტიზმით და მათში ყველაზე მეტად შეიგრძნობა სწავლებათა უძველესი ფენა. პროზაული ტექსტები ერთი შეხედვით ქაოტურია. ბევრი ადგილი ბუნდოვანია. საზოგადოდ, მანდეური რელიგიის თეოლოგიური მესაძირკვლეები არ არიან ღრმად მოაზროვნეები, მაგრამ მათს ნააზრევში შეიმჩნევა ღრმა ეგზალტაციური შრე. რელიგიური პოეზიის ბევრი მშვენიერი ნიმუში ანონიმურია. მათს საცხოვრებელ რეგიონში ისლამის შეჭრამ გამოიწვია გარკვეულ აღმსარებლებში ნოვატორული იდეების გაჩენა. ისლამი, რომელიც პატივს მიაგებდა ე. წ. „წიგნის ხალხებს", მანდეველებს საშუალებას აძლევდა, საკუთარი თავი ამ უკანასკნელი კატეგორიისთვის მიეკუთვნებინათ.

მანდეიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია „დიდი საცავი", ანუ „განძი" (გინზა რაბბა), რომელიც კომპილაციური ხასიათისაა და სხვადასხვა ამოკრებილ ტექსტს შეიცავს. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი აერთიანებს 18 პატარა მითოლოგიურ-კოსმოლოგიურ სწავლებას, მეორე ნაწილი კი განიხილავს სულის მდგომარეობასა და მის სწრაფვას სინათლეზე გაბატონებისაკენ. ამ მიზეზით მეორე ნაწილს უწოდებენ „სულების წიგნს". „განძის" დამატება ანუ „მეფეთა წიგნი" 37 მითოლოგიური შინაარსის ტექსტს აერთიანებს. ამ რელიგიისთვის მნიშვნელოვანი წიგნია ასევე ე. წ. „კოლასთა". მასში მოცემულია ხიმღერები, ჰიმნები, დარიგებანი. აღნიშნული ჰიმნები სრულდებოდა მუსიკის თანხლებით კულტმსახურებისას. მათი თარგმანი და ანალიზი 1921 წელს მოგვცა მ. ლიდსბარსკიმ გამოკვლევაში – „მანდეველების ლიტურგია", ხოლო ე. დროვერმა 1985 წელს ინგლისურ ენაზე მისი სრული თარგმანი გამოაქვეყნა. მასვე ეკუთვნის ხელდასხმისა და ქორწინების რიტუალების თაობაზე არსებული გამოკვლევები. მანდეურ ტექსტებს მიეკუთვნება „საიდუმლო გრაგნილი", რომელსაც აქვს მცირე დანართი რიტუალებზე. მისი ხელნაწერი ილუსტრირებულია. ნახატები კუბისტური სტილითაა შესრულებული. მათში ჩადებულია ასტროლოგიური კოდი, რაც საკრალურობაზე მიანიშნებს. ჩამოთვლილი ტექსტები

ძალიან ძველია. უძველესი ხელნაწერი შესრულებულია ტყვიის ფირფიტაზე, ზოგიც – თიხაზე. მათში ასევე მოიპოვება ცნობები უძველესი მესოპოტამიის შესახებ.

მანდეიზმში სასულიერო ფენა საეროს მოგვიანებით გამოეყო. იერარქებს დიდი პრივილეგია ჰქონდათ და ხალხზე ზეგავლენით სარგებლობდნენ. კულტმსახურება გარკვეულ ადგილებში სრულდებოდა. ეს იყო პატარა შენობები, სადაც იმართებოდა რიტუალები. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დღესასწაულებს. ამგვარ დღეებში ტაძარს წმენდდნენ და რთავდნენ. ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი იყო ე. წ. „სულთა ლიტურგია", რომელიც სრულდებოდა კვირა დღეს. მსახურება ორი მთავარი ნაწილისგან შედგებოდა. თითოეულის დამთავრებისას ქურუმი მარჯვენა ხელს იწვდიდა, სიმბოლურად სამართლიანობისა. ამ ყველაფერს თან ახლდა ლოცვები და ჰიმნები. მანდეველებს გააჩნდათ ნათლისღების პრაქტიკაც. ეს უკანასკნელი სრულდებოდა წყალში. მისი მთავარი მიზანი ცოდვებისაგან განწმენდა იყო, ასევე – დაპირისპირება დემონურ ძალებთან და დაახლოება ნათელთან – უზენაეს ღმერთთან. მათი თვალთახედვით, ვერც ერთი მანდეველი ვერ მოხვდება სინათლის სამყაროში ნათლობის გარეშე. ნათლისღებით განწმენდა უნდა მომხდარიყო ბავშვობის ასაკიდან, რადგან ცოდვა უკვე ვლინდება ყრმაში დაბადებიდან ხუთი დღის მერე და ასაკობრივ ზრდასთან ერთად ძლიერდება. ნათლობის გარდა, ამ რელიგიაში არსებობდა ორი მთავარი რიტუალი, რომლებშიც წყალი ასრულებდა მნიშვნელოვან ფუნქციას. ერთი იყო განბანვა სხეულისა, ხოლო მეორე – ე. წ. „ჩაძირვა". ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ წყალი მანდეველებში წამყვან სარიტუალო ელემენტს წარმოადგენდა. მათი ნათლისღების ტრადიცია ფრიად განსხვავებულია ქრისტიანობისგან. ამრიგად, ძნელია გაზიარება შეხედულებისა, რომ მას ფესვები სირიულ-ნესტორიანულ ეკლესიაში აქვს. მანდეიზმში თავისებური იყო მიცვალებულის დაკრძალვის წესიც. გარდაცვლილს თავი აუცილებლად ჩრდილოეთისკენ უნდა ჰქონოდა. გარდაცვალებიდან მესამე დღეს, შუადღისას, სრულდებოდა რიტუალი, რომლის დროსაც ხდებოდა სულის საბოლოო განშორება სხეულისაგან და იწყებოდა მოგზაურობა 45 დღის განმავლობაში. რიტუალის ჩატარებისას პურს პატარა ნაწილებად ყოფდნენ და მას კულტმსახურები ყურძნის წვენთან ერთად იღებდნენ. ბოლოს მიცვალებულს საკულტო ნაგებობასთან მარხავდნენ. აქვე სრულდებოდა ლოცვითი თხოვნები, რათა წინაპართა სულები დაკავშირებოდა ახალგარდაცვლილის სულს.

მანდეიზმის თეოლოგია ნაკვალევია გნოსტიკური დუალიზმისა. მსოფლიო სინათლე მკვეთრად უპირისპირდება მსოფლიო წყვდიადს. მსოფლიო სინათლე მთელი სისავსით დამკვიდრებულია უზენაეს ღმერთში, რომელიც სხვადასხვა სახელს ატარებს. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ „დიდი სიცოცხლე", „ნიშანი სიდიადისა". მსოფლიო სინათლე წარმოიშვა უზენაესი არსისგან. ის არის წყარო ცხოვრებისა. ეს აკავშირებს ერთს მეორესთან, მეორეს – მესამესთან, რაც ქმნის ცხოვრებას. წყვდიადი შექმნილია სინათლის მსგავსად, მაგრამ იგი, სინათლისგან განსხვავებით, შედგება ქაოსისგან. წყვდიადი, რომელიც ზოგჯერ სახელდებულია შავ წყაროდ, მიისწრაფვის ყველგან გაბატონებისკენ. ასეთი მტრული დამოკიდებულება სინათლისა და სიბნელისა, სიცოცხლისა და სიკვდილისა, გადადის ე. წ. მეორე ცხოვრებაში, რომელიც, თავის მხრივ, საწყისია ახალი, მესამე და მეოთხე ცხოვრებისა.

მართალია, მანდეიზმის მიხედვით ადამიანი კოსმოგონიის გვირგვინია, მაგრამ პირველი ადამიანის – ადამის – შესახებ საუბრისას აქცენტი კეთდება მის ქმნადობაში სინათლის განსაკუთრებულ როლზე. სინათლე ყველაფრის საწყისია. ეს არის მანდეველთა მსოფლმხედველობის მთავარი თემა. მსგავსადვე წარმოიშვა პირველი ქალი – ევა და პირველი შვილები. პირველქმნილი უცოდველი ადამიანები მოიხსენიებიან, როგორც „სინათლის ღრუბელნი"; ეს სიმბოლოა ლაღი და ნეტარი ცხოვრებისა, მაგრამ რაჟამს მას მიატოვებენ, იპყრნი ხვდებიან მიწიერ, ტანჯულ ცხოვრებაში. ხდება სული და ხორცი ერთმანეთს უპირისპირდება, რაც გარდუვალი სიკვდილით სრულდება. სულის განშორება სხეულთან საკმაოდ რთულადაა წარმოდგენილი; ხდება დაახლოებით 8 სადარაჯოს გავლა. უკანასკნელი სადარაჯოს გავლის შემდეგ მოდის სიკვდილი და სული ეყრება მატერიალურ საწყისს. ადამიანის უნებელი გადარჩენისთვის საჭიროა ცხოვრების სწორი გზა, რომელიც ფესვებს პოულობს იუდაისტურ ეთიკაში, რაც გამორიცხავს მკაცრ ასკეტურ პრაქტიკას.

ანთროპოსოფია

ანთროპოსოფია არის რელიგიური მიმდინარეობა, რომელმაც თავისი მოძღვრების საყრდენ ქვაკუთხედად აქცია ისეთი რელიგიები, როგორებიცაა გნოსტიციზმი და მანიქეიზმი. ანთროპოსოფიის ფუძემდებელია რუდოლფ შტაინერი (1861-1925). გარდა გნოსტიციზმისა და მანიქეიზმისა, ანთროპოსოფია (ბერძნ. ანთროპოს – ადამიანი, სოფია – სიბრძნე) გარკვეულწილად იყენებს ზოროასტრიზმის, ინდუიზმის, ჰერმეტიზმის, ალქიმიისა და კაბალას ცალკეულ დებულებებს. რ. შტაინერს ეკუთვნის მრავალი წიგნი და ლექცია. თავის რიტუალებში შტაინერი იყენებდა ინდუისტურ მედიტაციებს, გნოსტიკოსთა რიტუალურ ცეკვებს. ანთროპოსოფია აღმოცენდა თეოსოფიურ წრეში, მაგრამ შემდეგ დამოუკიდებლად განვითარდა.

ანთროპოსოფიურ საზოგადოებას წარმომადგენლობა ჰყავს მრავალ ქვეყანაში. რ. შტაინერისა და მისი მიმდევრების წიგნები უზარმაზარი ტირაჟით იბეჭდება სხვადასხვა ენაზე, მათ შორის – ქართულადაც. ანთროპოსოფიის მიმდევრები ცდილობენ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ აქვთ პედაგოგიკის საკუთარი მეთოდები, რომლებსაც პრაქტიკაშიც ნერგავენ. ანთროპოსოფია მიიჩნევს, რომ მის მოძღვრებას ქრისტიანობასთან არაფერი აქვს საპირისპირო, მაგრამ მაძიებელი ადამიანის გონება შტაინერისტებთან კონტაქტისას უმალ მიხვდება, რომ საქმე აქვს ცრუ მისტიციზმით გაჟღენთილ ერთ-ერთ ეკლექტიკურ მოძღვრებასთან, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ მადლსა და სულიერ ესთეტიზმს. ანთროპოსოფიულ საზოგადოებებს გააჩნია საკუთარი სოციალური პროგრამები, აგრეთვე – პედაგოგიური მეთოდი (ე. წ. „ვალდორფის სკოლები"). ანთროპოსოფიაში (ზოგჯერ იხსენიებენ, როგორც შტაინერიზმს) მოიძებნება სწავლება კოსმოსზე, ღვთაებრივ სამყაროზე (უხვად იყენებს პაგანისტურ კულტებს), ადამიანის სულზე, მორალურ ღირებულებებზე, მარადიულ ცხოვრებაზე. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი არაა ანთროპოსოფიის დაწვრილებითი ანალიზი. მისი ეკლექტიკური სახის საილუსტრაციოდ ყურადღებას გავამახვილებთ ანთროპოსოფიაში იესო ქრისტეს შესახებ არსებულ სწავლებაზე.

ანთროპოსოფიურ სწავლებებში იესო ქრისტეს პიროვნების გაგება ერთ-ერთი არსებითია. საკუთრივ რ. შტაინერი განმარტავდა სახარებასაც (ცხადია, გნოსტიკური სულისკვეთებით). მან თვითონაც დაწერა ე. წ. „მეხუთე სახარება", რომელიც, სხვათა შორის, ნაკლებ ცნობილია. მასში შტაინერმა იესო ქრისტე ზარატუსტრას განხორციელებად გამოაცხადა. შტაინერი პრეტენზიას აცხადებს „მეხუთე სახარებით იმ ხარვეზების შევსებაზე, რომელიც დანარჩენ ოთხ სახარებაშია".

ანთროპოსოფიული ქრისტოლოგია

შტაინერი როცა იესო ქრისტეს შესახებ საუბრობს, იგი, როგორც წესი, „ქრისტე იესოს" იხსენიებს. ამით შტაინერი, ფაქტობრივად, იესოსა და ქრისტეს ყოფს. მისი აზრით, სახარებებიდან, როგორც სულიერ წყაროთაგან, მომდინარეობს, რომ დაიბადა არა ერთი, არამედ ორი იესო-ძე. ერთის დაბადებისა და წარმოშობის შესახებ საუბრობს მათე, ხოლო მეორისა – ლუკა. შტაინერის თანახმად, ეს ერთადერთი ლოგიკური საშუალებაა ორივე სახარების გადმოცემათა წინააღმდეგობის დასაძლევად.

შტაინერი მათეს სახარების იესო-ძეს სოლომონისეულს უწოდებს, ლუკას სახარებისას კი – ნათანისეულს – თითოეულის გენეალოგიის საფუძველზე: ჯერ წარმოდგენილია დავითის ძე სოლომონი, შემდეგ კი დავითის ძე ნათანი. ორივე

იესო-ძის მშობლებია: მარიამი და იოსები. მათეს იესო ზარატუსტრას ინკარნაციაა, ლუკას იესო კი – ბუდასი.

შტაინერი განიხილავს მათეს სახარების იესოს და აცხადებს, რომ მასში გვაქვს ქრისტესდაბადებამდელი უბრძენესი ადამიანის – ზარატუსტრას – ძალა. ზარატუსტრამ არა მარტო შინაგანი არსების ბირთვი, არამედ თავისი ასტრალური და ეთერული სხეულები „მთელი თავისი არსებით" ისე აღავსო, რომ იგი შენარჩუნებულ იქნა და მათი რეინკარნაციისას ორივე მოწაფემ მიიღო: ასტრალური სხეული – ეგვიპტელმა ჰერმესმა, ანუ თოთმა, ეთერული სხეული – მოსემ. თავად ზარატუსტრამ საკუთარი „მე" სოლომონის იესო-ძეს გადასცა.

შტაინერის თანახმად, ყოველივე ეს საფუძვლად უდევს იმ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც ამჟამად, რბილად თუ ვიტყვით, მათეს სახარებაში მოგვეძევება.

ანთროპოსოფიის მიხედვით, სულ სხვა პიროვნებაა დასაბამში ლუკას სახარებაში მოხსენიებული იესო. ნათანის იესო ბუდას ძალითაა განმსჭვალული, როცა იგი ბეთლემში იბადება. როგორც სოლომონის იესოსთან, აქაც სხეული განსაკუთრებულადაა მომზადებული. შტაინერი წინაპართა მთელ წყებაზე თავისებურად უთითებს, მშობლებს უნდა შესძენოდათ ბავშვი, ერთობ განსაკუთრებული. ბავშვში, რომელიც მშობლებს ეყოლათ და რომელთაც ლუკას სახარების მიხედვით იოსები და მარიამი ჰქვიათ, დიდი ინდივიდუალური ძალა ჩავიდა. რა ინდივიდუალობა იყო ეს? ეს იყო მთავარი წყვილის – ადამისა და ევას – ძალები, რომელთაც თაობათა ცვლაში არ უშვებდნენ. იესო-ძე, ბეთლემში შობილი, დაბადებიდანვე უცნაურად ლაპარაკობდა, რისი გაგებაც მხოლოდ დედას შეეძლო და იგი არც ერთ ენას არ ჰგავდა.

ორივე იესო-ძე რამდენიმე თვის განსხვავებით დაიბადა. ლუკას სახარების იესო იყო დედისერთა, ხოლო იესოს, რომლის შესახებაც მათეს სახარება გვაუწყებს, და-ძმა ჰყავდა. ორივე ბავშვი იზრდებოდა მშობლებთან უშუალო ახლობლობასა და მეგობრულ დამოკიდებულებაში. თორმეტ წლამდე არ მომხდარა რაიმე განსაკუთრებული. ლუკას იესო მშობლებმა იერუსალიმს წაიყვანეს. სახარებაში იუწყებიან, თუ როგორ ზის თორმეტი წლის ყმაწვილი, რომელიც მშობლებს დაეკარგა, სწავლულთა შორის და კამათობს მათთან, როცა მშობლები მას იპოვიან, განცვიფრდებიან. ამ დროისთვის ზარატუსტრას „მეობა" სოლომონის იესო-ძის სხეულიდან გამოიჭრა და ნათანის იესოში გადასახლდა, რომელიც ამიტომ ჩანს გარდაქმნილი. მშობლებმა იგი ვეღარ შეიცნეს, ისინი მის სიტყვებს ვეღარ იგებდნენ. ამ მოვლენის შემდეგ ორივე ოჯახში უდიდესი ცვლილებები ხდება. საკუთარი „მეს" მიერ დატოვებული იესო კვდება, მამამისი უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. ახლა მეორე იესოს დედაც კვდება და ორივე ოჯახის ნაშთი ერთიანდება. შტაინერის თანახმად, შეიქმნა ისეთი ოჯახური მდგომარეობა, რომელიც ჩვენს სახარებაში გვხვდება: ერთი ოჯახი, რომლის წევრებია იოსები, მარიამი და იესოს და-ძმანი.

„სულიერ სფეროში „მეს" გადასახლებით" ბუდიზმისა და ზოროასტრიზმის შერწყმა მოხდა – ძველ ინიციაციათა ორი ფორმისა, რომლებიც ქრისტიანულ ხელდასხმაშია შენარჩუნებული და ამ უკანასკნელს წინ უსწრებენ.

თორმეტი წლის ასაკიდან ვიდრე ნათლისღებამდე იესო უძლიერესმა შინაგანმა ბრძოლამ მოიცვა. დიდი იდეები და მორალური იმპულსები აღმოცენდა მასში. ამ პერიოდში მას შინაგანი ხმა ესმოდა („ბათ-კოლ"-ი). იგი განიცდიდა ამ შინაგანი ხმის შეზღუდულობას. მან შეიცნო იუდეველთა რელიგიის უუნარობა. იმხანად იესო ბევრს მოგზაურობდა. ეცნობოდა ადგილებს პალესტინასა და მის ფარგლებს გარეთ. იგი ეზიარა მითრას კულტს. საკუთარი წინასწარმეტყველური უნარის წყალობით მან შეძლო აღმოეჩინა დემონები მსხვერპლშეწირვისას. შთამბეჭდავი შემთხვევა ჰქონდა იესოს 24 წლის ასაკში. იგი წარმართული კულტის ქურუმად გაამწესეს ხალხში. თავისი მსხვერპლშეწირვის რიტუალის დაწყებისას იესომ გრძნობა დაკარგა, მზის ყოფიერების სფეროში გადავიდა. აქ მან ე. წ. „მაკროკოსმიური

მამაო ჩვენო" მიიღო. ამ „ლოცვის" ტექსტი გნოსტიკური ელფერის მატარებელია. იესო დაბრუნდა მიწიერ ცხოვრებაში. იოანეს ნათლისღებამდე დარჩენილი წლები ესეელთა ორდენთან გაატარა. აქ იგი ახლოს გაეცნო იოანეს. აქ გამოეცხადა იესოს ბუდა და ელია. შედგა „სულიერი დიალოგი" ბუდასა და იესოს შორის.

როცა იოანემ იორდანეში იესო მონათლა, მასში ქრისტე-არსება ჩავიდა. „იესო განმსჭვალული იყო ქრისტე-არსებით („მეხუთე სახარება", გვ.84). შტაინერი წერს: „ის, თუ როგორ აღწერენ ნათლისღების ამბავს სახარებანი, ამ ფაქტის უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს – იესოს პიროვნებამ შეძლო საკუთარ სამშვინველში ქრისტე, ლოგოსი მიეღო ისე, რომ იგი მასში ხორცად იქცა. ქრისტეს მიღების მომენტიდან იესო ნაზარეველის „მე" უკვე ქრისტეა, სოლო გარე პიროვნება – ლოგოსის მატარებელი. იოანეს ნათლისღებაში სწორედ ეს მოვლენაა აღწერილი – ქრისტე გახდა იესოს „მე" („ქრისტიანობა, როგორც მისტიური ფაქტი და უძველესი მისტერიები", გვ. 147).

ჯვარზე სიკვდილისას ქრისტე-არსება კვლავ ეთიშება იესო-სხეულს. მოწაფეები ქრისტეს „წამებისა და გარდაცვალების პერიოდში „სიზმრის მდგომარეობაში" ცხოვრობენ". მათთან ერთად ცხოვრობს ქრისტე-არსება. ქრისტე-არსება საბოლოოდ შედის დედამიწის აურაში ამაღლებისას, რომელიც, საზოგადოდ, „მიწიერი სვლა" იყო. სამებობისას იღვიძებენ მოწაფეები თავიანთი სიზმრის მდგომარეობიდან და გრძნობენ გარდასახვას.

როცა შტაინერი იესო ქრისტეს სიკვდილსა და ამაღლებაში მის წმინდა ქმედებებზე ლაპარაკობს, იგი ამას უმეტესად „გოლგოთის მისტერიას" უწოდებს. გოლგოთის მისტერია „სულის მოვლენაა", რომელიც დედამიწაზე გათამაშდა. შტაინერის თქმით, „გოლგოთის მისტერია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოხდა, როგორც რეალური ფაქტი, ჩვენი ერის დასაწყისში, იმგვარი ბუნებისაა, რომ ადამიანურ სამშვინველებს არ ძალუძთ მისი სრულად გაგება მომზადების გარეშე". („მიქაელის მსახურება", გვ.52). შტაინერის თანახმად, მას შემდეგ, რაც ადამიანი ასტრალური სხეულით ცოდვილი გახდა, დაიწყო მომზადება ამ მოვლენისათვის. კაცობრიობის უძველეს პერიოდში არსებული მისტერიები, უპირველეს ყოვლისა, ინახავდა და გადასცემდა მომავალი წმინდა მოვლენის მოლოდინს – საწინასწარმეტყველო ადგილებში, მითრას კულტის მითებსა და იმ რელიგიებში, რომლებიც ზარატუსტრას და ბუდას შემდგომ წარმოიქმნა. განსაკუთრებით ელოდა მომავალ ქრისტეს ებრაელი ერი. ამას მოწმობს ძველი აღთქმის ტექსტები, ესეელთა და სხვა პატარა ჯგუფების მიერ დაგროვილი ცოდნა. რელიგიის ყველა ფორმას აქვს ცოდნა მომავალი დიდი განმკურნებლის, მზიური სულის, ქრისტე-არსების შესახებ. ისინი ქრისტეს ირგვლივ იმ კოსმიური მოვლენების ანარეკლია, რომლებიც იესო ნაზარეველის ინკარნაციამდე მოხდა და ყველა რელიგიური ფორმა ცნობს გოლგოთის მისტერიას.

შტაინერი თავის წიგნში – „ქრისტიანობა, როგორც მისტიკური ფაქტი და უძველესი მისტერიები" – აღწერს ამ მზადებას. იესოსა და რელიგიის ისტორიის სხვა გამოჩენილ პირთა ცხოვრების წესს შორის ანალოგიამ უნდა გვიჩვენოს, რომ იესოს ცხოვრება „ტიპური" ცხოვრება იყო, რომ ეს უკანასკნელი რელიგიის ისტორიის წინარე ფორმებშია ჩაქსოვილი, – ამბობს შტაინერი. ლექციაში – „ქრისტეს შემეცნება ანთროპოსოფიის მეშვეობით" (1922) – იგი ამბობდა: „ღმერთებს, რომლებსაც შეეძლოთ ადამიანთათვის შობის საიდუმლოება ესწავლებინათ, გარკვეული თვალსაზრისით ესმოდათ, რომ დედამიწა თანდათან სცილდება მათ მიერ მასში ჩადებულ ძალებს და რომ ადამიანთა სამშვინველებს სიკვდილი ემუქრება. ამიტომ ღმერთებმა ქვეყანაზე მოავლინეს ქრისტე, რათა ამ უდიადეს ღმერთს ადამიანური სიკვდილი შეეცნო და შემდეგ საკუთარი ღვთაებრივი ძალით გაეთელა. ღვთაებრივის აღსრულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთებმა საკუთარი ბედისწერისთვის გოლგოთის მისტერია კოსმოსის ევოლუციაში შეიტანეს, როგორც ღვთაებრივი მოვლენა

და გოლგოთის მისტერიის აღსრულება დაუშვეს. მაშინ, როდესაც ყველა მოვლენა ადრე ღვთაებრივ-სულიერ სამყაროებში ხორციელდებოდა, ახლა ღმერთი დედამიწაზე გარდამოვიდა და, ზეგრძნობადი მოვლენა, მიწიერი სახის მიღებით, დედამიწაზე აღსრულდა. ამდენად, ის რაც გოლგოთაზე განხორციელდა, დედამიწაზე გადმოტანილი სულიერი მოვლენა იყო. ამაში მდგომარეობს ქრისტიანობის ის უმნიშვნელოვანესი მისია, რომლის შესახებაც ადამიანები იგებენ ხელდასხმის თანამედროვე მეცნიერების საშუალებით".

ამასთან დაკავშირებით, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუდასა და იესოს შედარება XIX საუკუნიდან სალონური რელიგიური საუბრების მოვლენა იყო. გამომდინარე რუდოლფ ზაიდელის ნაშრომებიდან [„იესოს სახარება ბუდას თქმულებასა და ბუდას მოძღვრებასთან მიმართებებში", 1882 წლის გვიანი პერიოდის გამოცემებთან ერთად; „ბუდას ლეგენდა და იესოს ცხოვრება სახარების მიხედვით", მეორე გამოცემა [1897] და მისი მომდევნო პოპულარული წიგნებიდან, ამგვარი მსჯელობა იმ დროისათვის, რომელიც აქამდე არ იცნობდა არანაირ კონტაქტებს საკუთარი რელიგიების მქონე შორეულ ქვეყნებთან, მიმზიდველად გამოიყურებოდა. ამ დრომ – ლიბერალურ ბიურგერთა შორის თავისი ლიბერალური თეოლოგიით – სიამოვნებით გაათანაბრა ქრისტიანობის თავისებურებები საყოველთაო რელიგიური გრძნობისა და ადამიანური პროგრესის სასარგებლოდ.

შტაინერისათვის, მაგალითად, მოგვთა ამბავი, რომლებიც ვარსკვლავს მისდევენ ქრისტეს ძებნაში, დასტურია იმისა, თუ როგორ ცოცხლობდა აღმოსავლეთის ზარატუსტრას რელიგიის ხელდასმულთა შორის ქრისტეს მოლოდინი, თუ როგორ შეიცნეს იქ ხელდასმულთ ის, რომ ახლა მისი მოსვლის მომენტი დადგა. შტაინერის თანახმად, ეკლესიამ დაკარგა გოლგოთის მისტერიის გაგება. იგი ანთროპოსოფიის შექმნას ქრისტიანობის ახალი ერის დასაწყისად აცხადებს.

მისი აზრით, „ანთროპოსოფიული მსოფლმხედველობა ელინდება, როგორც ქრისტიანობის ანდერძის აღსრულება. იმისათვის, რომ ადამიანი ჭეშმარიტ ქრისტიანობამდე მივიდეს, მომავალში მან სულიერი მოძღვრება უნდა მიიღოს, რომლის მოცემაც ანთროპოსოფიურ მსოფლმხედველობას ძალუძს".

ამრიგად, ანთროპოსოფია მიიჩნევს, რომ გოლგოთის მისტერიის ჭეშმარიტი მცველია, მხოლოდ მას ძალუძს, მოგვცეს ჭეშმარიტი გაგება. მხოლოდ მის რიგებშია შესაძლებელი ქრისტეს წმინდა საქმის ყველაზე ნათლად და შეცნობილად აღქმა.

როგორც ვხედავთ, ანთროპოსოფიაში იესო ქრისტეს სახე განსაკუთრებულ ფანტასტიკურ ასპექტში წარმოგვიდგება. მანამდე არავის მოსვლია აზრად სახარებებში მოთხრობილი იესო ქრისტეს შობის ისტორია სხვადასხვა პიროვნების შესახებ არსებულ ინფორმაციად მიეჩნია. შტაინერი აცხადებდა, რომ „მეხუთე სახარება" უმაღლეს სამყაროებში იხილა. ამ მეხუთე სახარებით ხდება ბიბლიის ტექსტების განმარტება. თუკი ეს პრინციპი ანთროპოსოფიური ეგზეგეტიკის ამოსავალი დებულებაა, ქრისტიანობისთვის უშინაარსო იგავია. ბუნებრივია, ადამიანი, რომელიც იოანე ოქროპირისა და კირილე ალექსანდრიელის განმარტებით თხზულებებს ეცნობა, „მეხუთე სახარებას" არ გამოიყენებს.

ანთროპოსოფიაში იესო არის რთული გზით შეკრული სხეული, რომელშიც ქრისტე იოანეს ნათლისცემის დროს განსხეულდება. შემდეგ ორივე მათგანი ერთიანდება ქრისტიანობამდელი რელიგიების დამაარსებლების – ზარატუსტრასა და ბუდას – ორი ინკარნაციის სახით. ამის საპირისპიროდ უნდა ვთქვათ, რომ იესო ქრისტე იყო განკაცებული ღმერთი. ღმერთის იმგვარ საიდუმლოთა გაგება, როგორიცაა განკაცება, გამოხსნა, აღდგომა მხოლოდ რწენით შეიძლება და არა რაციონალურად. რწმენა არის მორწმუნე ადამიანის ღმერთამდე მისვლის გარანტია. ასე რომ, არ არსებობს რწმენაზე მაღლა მდგომი არავითარი ცოდნა, როგორც ამას ოდესღაც გნოსტიციზმი მიიჩნევდა.

რუსი ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი წერდა: „ადამიანთან ჩვენი დამოკიდებულება განისაზღვრება ჩვენი დამოკიდებულებით ქრისტესთან. ადამიანი მიდის აბსოლუტურ თვითცნობიერამდე მხოლოდ ქრისტე-ღმერთკაცით. თეოსოფიური ქრისტოლოგია ისეთნაირია, რომ მას მივყავართ ადამიანის უარყოფასთან. თეოსოფია ან გაყინულია ქრისტიანობამდელ, ინდურ ცნობიერებაზე და იესო ქრისტეში ხედავს ერთ-ერთ დიდ მოძღვარს, ანდა გაჩერებულია ნატურალისტურ ქრისტოლოგიაზე და ქრისტეში ხედავს კოსმოსურ იმპულსს... შტაინერის მიხედვით, არსებობს ორი ყრმა იესო. ქრისტე, როგორც ლოგოსი, კოსმოსური აგენტი, გარდასხეულდება ზოროასტრიდან იესოში. შტაინერის ქრისტოლოგია თავისებური მოდერნიზებული აღდგენაა ძველი ერესებისა: ერთი მხრივ, მანიქეველობისა, მეორე მხრივ, ნესტორიანელობისა, რომლისთვისაც ორი ბუნება ქრისტეში განცალკევებული რჩებოდა. შტაინერი უარყოფს ქრისტეს ღმერთადამიანურობის საიდუმლოს, მის მთლიან სახეს. ქრისტე არ არის პიროვნება, არამედ იმპულსი, კოსმოსური აგენტია. ასეა შტაინერთან, ხოლო სხვა თეოსოფებთან იესო ქრისტე გათანაბრებულია ბუდასთან, ზოროასტრსა და სხვა დიდ ხელდასხმულებთან. თეოსოფია და ანთროპოსოფია ქრისტეს ხედავს არა ღმერთში, არა ღვთაებრივ სამებაში, არამედ ბუნებაში, კოსმოსურ პროცესში. ქრისტე ამ ცნობიერებისათვის ღვთაებრივი კი არ არის, არამედ კოსმოსური. კოსმოსური უსასრულობა ნთქავს ქრისტეს სახეს. მაგრამ იგი ნთქავს ასევე ადამიანურ სახესაც... თეოსოფია ქრისტიანობისაგან განსხვავდება, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ქრისტიანობა არის მადლის რელიგია, თეოსოფიას კი მადლი არა აქვს".

ებრაული რელიგია მეორე ტაძრის ხანაში

ბაბილონის ტყვეობა

ებრაელები ძველი აღთქმის რელიგიის მიმდევრები არიან. ეს იყო ერი, რომელშიც ღმერთი ამზადებდა მაცხოვრის მოვლინებას, რომლის მიერ განცხადებული რჯული საყოველთაო ჭეშმარიტი რელიგია იქნებოდა. მონოთეიზმის მიუხედავად, ებრაელები ხშირად იჩენდნენ უცხო ღვთაებებისა და რჯულით აკრძალული კულტების მიმართ ლტოლვას. ამგვარი განდგომების ფატალური შედეგი იყო ბაბილონის ტყვეობა – ებრაელი ერის ტრაგიკული ფურცელი.

მეფე სოლომონის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებში მომხდარი უთანხმოების გამო ერთიანი ისრაელის სახელმწიფო ორად გაიყო. ჩრდილოეთით ათი ტომი შევიდა ისრაელის სახელმწიფოს შემადგენლობაში, სამხრეთით კი შეიქმნა იუდას (იუდეის) სამეფო. როდესაც ისრაელის მეფეთა და მოსახლეობის უზნეო ყოფამ ზღვარს მიაღწია, მათ სასჯელად ასურეთის სამეფო მოევლინათ. როცა ისრაელმა ასურეთს ყოველწლიური ხარკის გადახდა შეუწყვიტა, ასურეთის მეფემ აიღო ისრაელის დედაქალაქი სამარია, გაანადგურა ჩრდილოეთის სამეფო და მისი მოსახლეობა გადაასახლა (ძვ. წ. 722-721წწ.). ამის შემდეგ მალე ასურელებმა ეგვიპტეც დაამარცხეს, ხოლო 701 წელს მათმა ძლევამოსილმა მეფე სანხერიბმა ალყაში მოაქცია იერუსალიმი, რადგან იუდას მეფე ხიზკიამ ასევე შეწყვიტა ასურელებისთვის ხარკის გადახდა. ხიზკია ღმერთს შეევედრა ქალაქის გადარჩენას (IV მეფეთა 19). მომდევნო ასწლეულში ასურეთის იმპერია შეარყია დაპყრობილი ხალხების ამბოხმა. ძვ. წ. 612 წელს ასურეთის დედაქალაქი ნინევია მიდიელებმა აიღეს, რითაც დაეცა მისი ძლიერება. ამის შემდეგ იწყება ბაბილონის აღზევება. ძვ. წ. 605 წელს ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა ეგვიპტელები დაამარცხა და ამით ახალი იმპერია შორეულ დასავლეთამდე გადაიჭიმა. იუდას მეფე იეჰოიაკიმი ერთი იმ მრავალთაგანი იყო, რომელნიც იძულებულნი იყვნენ, ნაბუქოდონოსორისათვის ხარკი ესადათ. ეგვიპტელთა გამძვინვარებულმა შეტაკებამ ბაბილონელებთან ძვ. წ. 601 წელს ებრაელებს ბაბილონელების წინააღმდეგ აჯანყება შთააგონა. ამ აჯანყების ჩასახშობად ნაბუქოდონოსორმა თავისი ლაშქარი გააგზავნა. ძვ. წ. 597 წელს, მალევე, რაც იუდას მეფე იექონია გახდა, იუდას სამეფო დაიმორჩილეს. მეფე და ქვეყნის მრავალი წარჩინებული ტყვედ წაიყვანეს ბაბილონში. ეს გახლდათ ე. წ. ბაბილონის პირველი ტყვეობა.

დამპყრობთა პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი იყო დამორჩილებულ ხალხთა დასუსტება, რათა თავიდან აეცილებინათ ახალი ამბოხებები. მიუხედავად ამისა, ათი წლის შემდეგ ნაბუქოდონოსორის მიერ ტახტზე აყვანილმა მარიონეტულმა მეფე ციდკიამ დახმარებისთვის ეგვიპტეს მიმართა. ბაბილონელები იუდაში შეიჭრნენ და იერუსალიმს ალყა შემოარტყეს. ალყა 18 თვეს გაგრძელდა. საბოლოოდ ქალაქის კედელი შეანგრიეს. 586 წელს ქალაქი დაეცა. მეფე ციდკიაჰუ (სედეკია) დაატყვევეს და თვალები დასთხარეს. ყველაფერი, რაც ფასეულობას წარმოადგენდა ტაძრის საგანძურის ჩათვლით, ბაბილონში წაიღეს. იერუსალიმი და მისი ტაძარი ნანგრევებად აქციეს, ბინადარნი კი გადაასახლეს. მხოლოდ მცირე ნაწილი ღარიბი ებრაელებისა ქვეყანაში დატოვეს მიწის დასამუშავებლად. ტყვეობამდე ორასი წლის განმავლობაში წინასწარმეტყველები ებრაელებს რჯულის ერთგულად დაცვას შეახსენებდნენ, რასაც ხალხი გულგრილად ეკიდებოდა. ამის გამო ჯერ ისრაელი, შემდეგ კი ბაბილონელთა ხელით იუდეაც დაეცა. განადგურებულ იუდეაში ნაბუქოდონოსორმა მმართველად გედალიაჰუ დანიშნა. იგი შეეცადა, ქვეყანა სამართლიანად ემართა, მაგრამ ებრაელთა ნაწილმა არ სცნო ბაბილონის მიერ დადგინებული. მათ გედალიაჰუს წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს და მოკლეს. გედალიაჰუსთან დაახლოებულნი

დაფრთხნენ და ეგვიპტეში გაიქცნენ. ძვ. წ. 582 წელს ბაბილონელებმა ტყვედ წაიყვანეს მოსახლეობის დარჩენილი ნაწილიც და იუდეა სამარიის პროვინციას შეუერთეს.

ბაბილონის ტყვეობა ერის უდიდესი მარცხი იყო. ებრაული რელიგიის უმთავრესი სიწმინდე წარმართთა სათარეშოდ იქცა, საბოლოოდ კი ცეცხლით მოისრა. წინასწარმეტყველი იერემია ამგვარად გოდებდა განადგურებულ ქალაქსა და მის დატყვევებულ მოსახლეობაზე: „როგორ მარტოდ დამჯდარა ერთ დროს ხალხმრავალი ქალაქი! შეიქმნა როგორც ქვრივი ერთ დროს უდიდესი ხალხთა შორის, ოლქებში მთავარი, დღეს მოხარკე გახდა... სიონის გზები მგლოვიარეა, რადგან არავინაა ზეიმზე მომსვლელი. აოხრდა მისი ყველა ჭიშკარი, ხვნეშიან მისი მღვდლები, კვნესიან მისი ქალწულები და მასაც სიმწარე აქვს" (გოდება 1:1-4).

ბაბილონში ებრაელები ცხოვრობდნენ განსაკუთრებულ უბნებში. ტყვედ წაყვანილებს შეეძლოთ, ეშენებინათ სახლები, თავი ერჩინათ, დაეცვათ საკუთარი ადათ-წესები და რელიგია. სამშობლოში დაბრუნება მათ აკრძალული ჰქონდათ, მაგრამ ცუდად არ ექცეოდნენ. მაგალითად, სამეფო ოჯახის წევრები ბაბილონის მეფის კარზე ცხოვრობდნენ, ზოგი კი, ვთქვათ, დანიელი, სახელმწიფო სამსახურში მაღალ თანამდებობასაც აღწევდა. ხელმარჯვე ებრაელი ხელოსნები ნაბუქოდონოსორის პირადი დავალებით სხვა ოსტატებთან ერთად მუშაობდნენ. ყველაფრის მიუხედავად, ბევრ ისრაელიანს სამშობლოში დაბრუნების სურვილი არ უქრებოდა.

სპარსეთი და სპარსელების ბატონობა

ჩვენ ვერ დავასახელებთ ძველ აღთქმაში მეორე ერს სპარსელების გარდა, რომელიც ებრაელებისა და მათი რელიგიის ასაღორძინებლად ძალ-ღონეს არ იშურებდა. ძველი აღთქმის წმინდა წერილი დაუნდობლად ილაშქრებს ეგვიპტელთა რელიგიის წინააღმდეგ, ამხელს ქანაანელთა ღვთაებების უსუსურობას. ბაბილონელებმა ფერფლად აქციეს სოლომონის ტაძარი, ბერძნებმა შებილწეს ებრაელთა სიწმინდეები, რომაელებმა მძიმე უღელი დაადეს ხალხს; მხოლოდ სპარსელები იყვნენ ძველი სამყაროს ის ხალხი, ვინც საკუთარი ფასეულობების დაცვაზე არანაკლებ იზრუნა ებრაელთა სულიერი საუნჯის განსამტკიცებლად. სპარსული იმპერია, რომლის სათავეში ძლევამოსილი აქემენიდური დინასტია მოვიდა, მახლობელ აღმოსავლეთში შეცვლის ბაბილონელთა ჰეგემონიას. მეფე კიროსის უდიდეს ღვაწლზე ჯერ კიდევ ესაია წინასწარმეტყველი მიანიშნებდა რამდენიმე საუკუნით ადრე. სპარსელებმა არა მხოლოდ დააბრუნეს ტყვეობაში მყოფი ებრაელები ისრაელში, არამედ ხელი შეუწყვეს სოლომონის დანგრეული ტაძრის აღდგენას.

აქემენიდების სპარსული იმპერია ინდოეთამდე იყო გადაჭიმული. მეფე კიროს II (558-530) ქრისტემდე 539 წელს ბაბილონში შეიჭრა და ქალაქი აიღო. იგი მთელ იმპერიას დაეუფლა. კიროსმა სპარსეთის ახალი იმპერია სატრაპიებად დაყო. სპარსელები დამორჩილებულ ხალხებს თავიანთი ადათ-წესებისა და რელიგიის დაცვის უფლებას აძლევდნენ. ამ პოლიტიკის შესაბამისად, ძვ. წ. 538 წელს კიროსმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმად ებრაელებს შეეძლოთ იერუსალიმში წასვლა და ღვთის ტაძრის აღდგენა. ებრაელები მოამარაგეს ფულითა და ყველაფრით, რაც საჭირო იყო. კიროსმა მათ დაუბრუნა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელიც, რომელიც ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმის ტაძრიდან წაიღო. ეს მოვლენები დაწვრილებით არის მოთხრობილი ბიბლიის I ეზრას წიგნში: „სპარსეთის მეფის, კიროსის მეფობის პირველ წელს, რათა აღსრულებულიყო იერემიას პირით თქმული უფლის სიტყვა, აღძრა უფალმა სული კიროსისა, სპარსეთის მეფისა, და მან გამოაცხადა მთელ

თავის სამეფოში, და წერილობითაც განაცხადა და თქვა: „ასე ბრძანებს კიროსი, სპარსეთის მეფე: დედამიწის მთელი სამეფონი მომცა მე უფალმა ცათა ღმერთმა, და მიბრძანა აეუშენო მას სახლი იერუსალიმში, იუდაში რომ არის. ვინ არის თქვენ შორის მისი ხალხიდან, ღმერთი იყოს მასთან, და ავიდეს იერუსალიმს, იუდაში რომ არის, და ააშენოს უფლის, ისრაელის ღმერთის, სახლი. ეს არის ღმერთი, რომელიც იერუსალიმშია! და ყველა დანარჩენს: ყველგან, სადაც ის ცხოვრობს, ხელი გაუმართონ იმ ადგილის კაცებმა ვერცხლით, ოქროთი და საქონლით, ნებაყოფლობით ძღვენთან ერთად, უფლის სახლისთვის, რომელიც იერუსალიმშია! და ადგნენ იუდასა და ბენიამინის სახლთა თავკაცები, მღვდლები და ლევიანები, ყველანი, ვისაც კი სული აღუძრა ღმერთმა, რათა ამოსულიყვნენ იერუსალიმში უფლის სახლის ასაშენებლად. და ყველამ, ვინც მათ გარშემო იყო, ხელი გაუმართა მათ ვერცხლის ჭურჭლით, ოქროთი და საქონლით და ძვირფასეულობით, გარდა ყველაფერ იმისა, რაც ნებაყოფლობით შესწირეს. ხოლო მეფე კიროსმა გამოიტანა უფლის სახლის ჭურჭელი, რომელიც ნაბუქოდონოსორმა წამოიღო იერუსალიმიდან და დააწყო თავის ღმერთების სახლში, და გამოიტანა იგი კიროსმა, სპარსეთის მეფემ მითრიდატე მეგანძურის ხელით და თვლით ჩააბარა შეშბაცარს, იუდას მთავარს" (I ეზრა 1-8).

განდევნილთა პირველმა ტალღამ ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში ჩამოაღწია. იერუსალიმში დაბრუნებულთა ხელმძღვანელობა თავის თავზე აიღო ზერუბაბელმა (იუდას ბოლო მეფის შთამომავალმა). დაიწყო ტაძრის აღდგენითი სამუშაოები, რამაც რამდენიმე წელს გასტანა და ბოლოს მოხდა მისი სატფურება. სპარსეთის მეფე არტაქსერქსეს (464-423) დროს კიდევ ორი ნაკადი დაბრუნდა. ჯერ ჩავიდა ებრაული ნაკადი მღვდელ ეზრას მეთაურობით. მის სახელს უკავშირდება ძველი აღთქმის წიგნთა სისტემატიზაცია და რჯულის გაწმენდა. ამის შემდეგ მალე კიდევ ერთმა ებრაელმა ნეემიამ გაიგო, რაც იერუსალიმში ხდებოდა და ძალიან შეწუხდა. ნეემია, რომელიც მეფე არტაქსერქსეს ღვინის მწდე იყო, უფლებამოსილი გახდა იერუსალიმში წასვლისა. ქალაქში დაბრუნებისას მან დააო[illegible] ლიერა ქალაქის ნანგრევები და შეუდგა კედლის აღდგენით სამუშაოებს, რაშიც ცალკეული ოჯახები ჩართო. ებრაელთა მტრები ყველანაირად ცდილობდნენ კედლის მშენებლობის შეჩერებას. სამარიტელებმა მეფე არტაქსერქსეს წერილიც კი მისწერეს და ებრაელებს ღალატი დააბრალეს. 52 დღის შემდეგ უფლის შეწევნით კედლების მშენებლობა დასრულდა და მისი სატფურება მოხდა. სპარსელებმა ნეემია იუდეის გამგებლად დატოვეს და იგი ქვეყანას თორმეტი წელი მართავდა. ეზრასთან ერთად ის სათავეში ედგა ებრაელ თემს, რომელსაც ღვთისადმი ერთგულების სულისკვეთებით წვრთნიდნენ. ეზრამ და ნეემიამ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარეს. ნეემიამ შეცვალა პრაქტიკა, რომლის მიხედვით ღარიბი ისრაელიანი შიმშილისაგან თავდასახსნელად მიწას მდიდარს მიაგირავებდა, ხოლო ასულებს მონებად ჰყიდდა. ეზრა აქტიურად ეწეოდა რჯულის განმარტებას. თემის მეთაურებმა ერის სახელით ხელი მოაწერეს წერილობით ვალდებულებას, რომ შემდეგში ებრაელები ღვთის ყველა განკარგულებას დაიცავდნენ (ამ რეფორმებზე დაწვრილებითაა ინფორმაცია ძველი აღთქმის I ეზრას და ნეემიას წიგნებში).

ამ დროიდან მოყოლებული ებრაელებს მეფე აღარ ჰყავდათ და მათი მეთაური ხდებოდა მღვდელმთავარი. მას ეხმარებოდა ბიბლიური რჯულის მცოდნე „მწიგნობართა" ახალი ფენა, რომელსაც შეეძლო მცნებების ახსნა. ებრაელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმ ფაქტს, რომ მეზობელი ერებისგან გამოირჩეოდნენ, რასაც ხაზს უსვამდა განსაკუთრებით სამი რამ: 1. შაბათის მკაცრი დაცვა; 2. წინადაცვეთის წესი; 3. კანონები საკვებზე. ელინიზმის ხანამდე ებრაული სახელმწიფო სპარსეთის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციას წარმოადგენდა, რომელიც კიროს დიდის მიერ ბაბილონის დაპყრობით ძვ. წ. 539 წელს წარმოიშვა და რომლის სათავეშიც იდგა აქემენიდების დინასტია (ამ დინასტიის შესახებ დაწვრილებით იხ. ამავე წიგნის

თავი – ზოროასტრიზმი, ქვეთავი – ზოროასტრიზმი აქემენიდების მმართველობისას). როგორც უკვე ვახსენეთ, ბაბილონელებისგან განსხვავებით, სპარსელები ხელს უწყობდნენ ნაციონალურ-ტერიტორიულ წარმონაქმნთა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას და სხვათა რელიგიებს პატივს სცემდნენ. ისინი იერუსალიმის ტაძრის შენახვის ხარჯებსაც იღებდნენ (კიროსი, დარიოსი, არტაქსერქსე).

სპარსელების მმართველობის ხანის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი სწორედ სოლომონისეული ტაძრის ხელახალი აშენება იყო. პირველი ტაძარი იერუსალიმში მეფე სოლომონმა ააგო (III მეფეთა 5-7). იგი სიგრძით 27 მეტრი იყო, სიგანეში – 9 მეტრი, სიმაღლეში კი – 13,5 მეტრი. მღვდლები ტაძარში დიდი გალერეის გავლით შედიოდნენ. შემდეგ განლაგებული იყო მთავარი სენაკი – წმინდა ადგილი. იქ იდგა სამსხვერპლო საკმეველთათვის, ტაბლა საწინაშეო პურებისათვის და ხუთი წყვილი სასანთლე. საკრალურად ითვლებოდა აღთქმის კიდობანი, რომელიც „წმიდათა წმიდაში" ინახებოდა. ტაძრის კედლები მოპირკეთებული იყო ყვავილებითა და პალმებით, ქერუბიმები კი – მოჩუქურთმებული კედარის ხით, რომელიც ოქროთი იყო მოვარაყებული. ტაძრის შიგნით ღია ქვის წყობა არსად გვხვდებოდა. მაღალი სარკმლებიდან საკურთხეველში მკრთალი სინათლე აღწევდა, რომელსაც ოდნავ აძლიერებდა ანთებული სანთლების შუქი. რაც შეეხება „წმიდათა წმიდას" – ღვთის სამყოფელ ადგილს, მას სარკმელი არ ჰქონდა. იქ ყოველთვის წყვდიადი სუფევდა. გუნდრუკს ტაძრის შიგნით აკმევდნენ, ხოლო სამსხვერპლო ცხოველებს ეზოში კლავდნენ. მხოლოდ მღვდლებსა და ლევიანებს ჰქონდათ შენობაში შესვლის უფლება.

სოლომონის ეს დიდებული ტაძარი, რომელიც უზენაესი ღმერთის სამსახურებლად აიგო, ნაბუქოდონოსორის შემოსევების შედეგად სრულიად განადგურდა. ამის შემდეგ სამოცდაათი წლის განმავლობაში ტაძრის ტერიტორია გაპარტახებული იყო. კიროსის ედიქტის მერე, რაც ებრაელებმა სამშობლოში დაბრუნების ნება მიიღეს, უპირველეს ყოვლისა, ტაძრის ახლიდან აშენება განიზრახეს. პირვანდელი ენთუზიაზმი სამარიტელთა ინტრიგის შედეგად ჩაქრა. სამარიტელები თავის დროზე გადასახლებულ ისრაელის მკვიდრთა სამოსახლოებზე ჩამოსახლებული ასურელების ჩამომავლები იყვნენ, რომელთაც ებრაული რელიგიის ზოგი ასპექტი გაითავისეს (წმინდა წერილიდან ისინი მხოლოდ თორას ცნობდნენ). ტყვეობიდან დაბრუნებულ ებრაელებსა და სამარიტელებს შორის საშინელი სიძულვილი სუფევდა. სამარიტელები ებრაელებს მეამბოხე ერად რაცხდნენ და სპარსელების მათდამი კეთილგანწყობის შეცვლას ცდილობდნენ. ამის გამო ტაძრის აღდგენითი სამუშაოები ერთხანს შეჩერდა. ებრაელთა გაპასიურებას ამხელდნენ ამ პერიოდში მოღვაწე წინასწარმეტყველები – ზაქარია და ანგია. საბოლოოდ, ტაძრის მშენებლობა დარიოსის ზეობის ხანაში გაგრძელდა და დასრულდა კიდეც. ტაძრის სატფურება საზეიმო ვითარებაში შესრულდა: „და იუდას უხუცესნი აშენებდნენ და ხელი ემართებოდათ თანახმად ანგია წინასწარმეტყველისა და ზაქარია ყიდოს ძის წინასწარმეტყველებისა. ააშენეს და გაასრულეს ისრაელის ღმერთის ბძანებისამებრ და კიროსის, დარიოსის და არტაქსერქსეს – სპარსეთის მეფეების განკარგულებისამებრ. და დასრულდა ეს სახლი ადარის თვის მესამე დღეს; ეს იყო მეფე დარიოსის მეფობის მეექვსე წელი. და ისრაელის ძეთ, მღვდლებმა, ლევიანებმა და დანარჩენმა გადანასახლებმა ხალხმა სიხარულით აღასრულეს ღვთის სახლის სატფურება. და შესწირეს ღვთის ამ სახლის სატფურებისათვის ასი მოზვერი, ორასი ვერძი, ოთხასი კრავი და თორმეტი ვაცი – მთელი ისრაელის ცოდვათა განსატევებლად, ისრაელის ტომთა რიცხვის მიხედით" (I ეზრა 6:14-17). აღდგენილმა ტაძარმა 500 წელს იარსება. იგი ზუსტად იმეორებდა სოლომონის ტაძრის დაგეგმარებას, მაგრამ დიდებულებით ჩამოუვარდებოდა მას. ეს პერიოდი ძველი აღთქმის ებრაული რელიგიის ისტორიაში მეორე ტაძრის ხანადაა ცნობილი. როგორც ვნახეთ, ძლევამოსილი სპარსელი მეფეების წვლილი მის გამშვენებასა და აღორძინებაში განუზომელია.

სპარსელების ნებართვის მიუხედავად მრავალი ებრაელი ისრაელში არ დაბრუნებულა და იმპერიის სხვადასხვა მხარეში დარჩა. ძველი აღთქმის ესთერის წიგნი მოგვითხრობს, თუ როგორ შეირთო მეფე არტაქსერქსემ ცოლად ებრაელი ქალი ესთერი. ამ ბრძენმა ქალწულმა ბიძის – მორდექაის – დახმარებით საკუთარი ერი გენოციდისგან იხსნა, რასაც ებრაელების მოძულე სახელმწიფო პირი ჰამანი ცდილობდა. წარმატების შემდეგ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ აღზევდება ებრაელი მორდექაი სპარსელი მეფის კარზე, ხოლო, საზოგადოდ, ებრაელები მთელ იმპერიაში პრივილეგიებს მოიპოვებენ. ესთერის მიერ მოპოვებული გამარჯვების შედეგად დაარსდება ებრაული რელიგიის კიდევ ერთი დღესასწაული ფურიმი („წილი"). იგი ერის გადარჩენის სიმბოლოდ იქცა და მხიარულ ატმოსფეროში აღინიშნებოდა. ებრაულ რელიგიას მეორე ტაძრის ხანაში, ბუნებრივია, შენარჩუნებული ჰქონდა უდიდესი დღესასწაულები: 1. პასექი (ზეიმობდნენ ნისანის თვის 14 რიცხვში. ამ დღეს ყველა ოჯახს მსხვერპლად უნდა შეეწირა ბატკანი. ერთი კვირის განმავლობაში ჭამდნენ უსაფუარო პურს); 2. პირველნაყოფთა დღესასწაული; 3. შვიდელთა დღესასწაული (აღინიშნებოდა პასექიდან 50 დღის შემდეგ. მსხვერპლად წირავდნენ ორ დიდ კვერს, რომელიც ახლად მოწეული ფქვილისგან მზადდებოდა); 4. ბუკისცემის დღესასწაული (ბაბილონის ტყვეობის შემდეგ ბუკისცემის დღესასწაულს განიხილავდნენ, როგორც ახალი წლის რელიგიურ დღესასწაულს); 5. შენდობის დღე (ამ დღეს მღვდელმთავარი შედიოდა ტაძრის „წმიდათა წმიდაში"); 6. კარვობის დღესასწაული ესთერის დროს დაარსდა ხსენებული ფურიმის დღესასწაული, ოდნავ მოგვიანებით კი – სატფურების (ლამპრობის) დღესასწაული.

განთესილობაში მყოფმა ებრაელებმა, ვინაიდან იერუსალიმის ტაძარს მოწყვეტილნი იყვნენ, სხვადასხვა ადგილას რელიგიური ცენტრები – სინაგოგები დაარსეს.

პტოლემაიოსების მმართველობის ქვეშ

ძლევამოსილი აქემენიდების სპარსული იმპერია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს ემსხვერპლა. ძვ. წ. 334 წელს ალექსანდრემ დაამარცხა უკანასკნელი აქემენიდი მეფე დარიოს III. ბერძნულმა არმიამ ზედიზედ დაიპყრო მცირე აზიის სახელმწიფოები. ალექსანდრემ აიღო ეგვიპტე, სადაც ქურუმთა წრემ იგი აღიარა ღვთაება ამონის ვაჟად. 332 წელს მათ ტვიროსი დაიკავეს და მალე იერუსალიმსაც მიადგნენ. ალექსანდრეს არ დასჭირდა ქალაქის დაპყრობა, ვინაიდან კარიბჭესთან შეეგებნენ ტაძრის მსახურნი და უხუცესები, რომელთაც აჩვენეს დანიელის წინასწარმეტყველების წიგნი და მისი მოსვლა წინასწარმეტყველების ლოგიკურ განვითარებად მიიჩნიეს. ალექსანდრემ მათ პატივი მიაგო. მოგვიანებით მან დაიპრო შუა აზია, ინდოეთი. ძვ. წ. 324 წლიდან ახალი იმპერიის დედაქალაქად ბაბილონი გამოცხადდა. ალექსანდრე მაკედონელი დამორჩილებულ ხალხებს თავიანთი რელიგიების თავისუფლად აღმსარებლობას არ უშლიდა.

ახალგაზრდა ალექსანდრეს გარდაცვალებისთანავე მის მიერ შექმნილი იმპერია სწრაფად დაიშალა. ალექსანდრეს მემკვიდრეებმა – დიოდოხოსებმა საფუძველი ჩაუყარეს იმპერიის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოების წარმოქმნას. საყოველთაო ელინიზაციის პროცესი ყველა ხალხს შეეხო. ბერძნული ენა უმთავრეს რეგიონებში პრიორიტეტს ინარჩუნებდა. ელინიზაციას წინ აღუდგნენ ებრაელები თავიანთი რელიგიით.

ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეების მიერ შექმნილი ელინისტური სახელმწიფოებიდან უნდა დავასახელოთ სირიაში ჩამოყალიბებული სელევკიდებისა და ეგვიპტის პტოლემაიოსების სახელმწიფოები.

ისრაელი, რომლის დედაქალაქიც კვლავ იერუსალიმი იყო, თავდაპირველად მოექცა პტოლემაიოსების მმართველობის ქვეშ. ეს დინასტია, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მეფობდა ეგვიპტეში. მისი დამაარსებელი იყო პტოლემაიოს I — ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი მხედართმთავარი. იგი მეფობდა ეგვიპტეში ძვ. წ. 305-283 წლებში. პტოლემაიოს I-ის შთამომავლები, რომლებიც ასევე ამ სახელს ატარებდნენ, ეგვიპტეს ძვ. წ. 64 წლამდე მართავდნენ. ისინი რომაელებთან შეჯახებამ დასცა, თუმცა ისრაელზე ძალაუფლება პტოლემაიოსებმა გაცილებით ადრე დაკარგეს, როდესაც ძვ. წ. 198 წელს ისინი სელევკიდებთან ბრძოლაში დამარცხდნენ.

პტოლემაიოსების დინასტიის წარმომადგენლები სხვა რელიგიების მიმართ ტოლერანტობით ხასიათდებოდნენ. ისინი თავიანთ იურისდიქციაში შემავალ ერებს სარწმუნოების მხრივ არ ზღუდავდნენ, თვით კი გამოირჩეოდნენ ცოდნისა და კულტურის აღორძინების მცდელობით. ამის ნათელი დასტურია ალექსანდრიის ბიბლიოთეკა. ალექსანდრიაში საკმაოდ დიდი ებრაული დიასპორა ცხოვრობდა. ამ ქალაქში ებრაული თემების სიმრავლე მათი რელიგიისადმი პტოლემაიოსების ინტერესს აძლიერებდა. პტოლემაიოსების დროს ითარგმნა ძველი აღთქმა ებრაული ენიდან ბერძნულ ენაზე (სეპტუაგინტა). ამის შესახებ ინფორმაცია დაცულია ფილონ ალექსანდრიელთან, იოსებ ფლავიოსთან, იუსტინე მარტვილთან, ეპიფანე კვიპრელთან, იოანე ოქროპირთან.

სელევკიდები და მაკაბელთა აჯანყება

სელევკიდების სირიის სამეფო (არსებობდა ძვ წ. 312-64 წლებში) იყო ელინისტური სახელმწიფო დასავლეთ აზიაში, რომელიც, პტოლემაიოსთა მსგავსად, წარმოიშვა ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოს ნანგრევებზე. მას სახელი ეწოდა დამაარსებლის — სელევკე I ნიკატორისა და მისი შთამომავლების, სელევკიდების — მიხედვით. ტერიტორიულად მოიცავდა სირიას, მესოპოტამიას, მცირე აზიის ნაწილს და ერთ დროს სპარსეთს. სატახტო ქალაქი იყო ანტიოქია, სახელმწიფო ენა კი — ბერძნული. სამეფო დინასტიას, როგორც ითქვა, სათავე დაუდო სელევკე I ნიკატორმა. იგი თავის დროზე ალექსანდრე მაკედონელის ცხენოსანი ჯარის უფროსი იყო. გამეფდა ძვ. წ. 312 წელს. სელევკე I ნიკატორი 281 წელს მოკლეს და მისი შთამომავლები მართავდნენ სახელმწიფოს. სელევკიდებმა ძვ. წ. 198 წელს დაამარცხეს პტოლემაიოსები და ისრაელი მათს შემადგენლობაში შევიდა. ამ დროს მათს სახელმწიფოს მართავდა ანტიოქოს III, დიდად წოდებული (223-187). მან წარმატებით დაიმორჩილა აღმოსავლეთის ქვეყნები ინდოეთამდე. იგი ისევე, როგორც სელევკიდები, დაპყრობილი ხალხების მიმართ აგრესიით გამოირჩეოდა. ცდილობდა თავისი გამგებლობის ქვეშ შემავალი ხალხების რელიგიათა უნიფიკაციას. სელევკიდი მეფეები შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდნენ და ხაზს უსვამდნენ თავინთ ღვთაებრიობას. ისინი სახელმწიფოს რთული ბიუროკრატიული აპარატის მეშვეობით განაგებდნენ. საკუთარი სახელმწიფო სპარსეთის მსგავსად სატრაპიებად დაყვეს, რომელთაც სტრატეგოსთა მეშვეობით მართავდნენ. ანტიოქე III ცდილობდა სხვა ხალხთა რელიგიების დასუსტებას და ავიწროებდა ყველა ერის სარწმუნოებას. იგი რომაელებთან ბრძოლაში დამარცხდა. ის ერთ-ერთი ტაძრის გაძარცვისას მოკლეს. როდესაც მისი ვაჟი სელევკე IV დაიღუპა, რომელიც იერუსალიმის ტაძრის გაძარცვას ცდილობდა, რათა საგანძური ჯარის ხარჯებს მოხმარებოდა, 175 წელს გამეფდა ანტიოქე IV, ელინთა მიერ ღმერთად აღიარებული. იგი გამოირჩეოდა მკაცრი მმართველობით, რისი შედეგიც იყო იუდეაში აჯანყების დაწყება.

ანტიოქე IV ეპიფანემ, რომელსაც მაკაბელთა I წიგნში ცოდვილი ფესვი ეწოდება, გაილაშქრა ეგვიპტის პტოლემაიოსთა წინააღმდეგ. იგი ურიცხვი ლაშქრით შეიჭრა ეგვიპტეში. ანტიოქე IV-მ 170 და 168 წლებში გამარჯვება მოიპოვა ეგვიპტეზე, თუმცა უკან დაიხია, რადგან პტოლემაიოსთა დასახმარებლად რომაელები დაიძრნენ. უკან დაბრუნებისას (168) მან ისრაელზე გაილაშქრა და იერუსალიმს მიადგა. ანტიოქე IV-მ სასტიკად დაარბია იერუსალიმის ტაძარი. არც მკვლელობებს მოერიდა და ტაძრის დიდძალი ქონება თავის ნადავლს დაუმატა. მან ისარგებლა იუდეაში მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ორთოდოქსი იუდეველების არსებობით და ამ საბაბით იერუსალიმის ტაძარი გაძარცვა, იქ ზევსის სამსხვერპლო ააგო და ღორები შესწირა. ყველა მორწმუნე ებრაელის თვალში ტაძარი წაიბილწა. ანტიოქე IV-ს სურდა, იერუსალიმში ყოფილიყო მღვდელმთავარი, რომელიც მას ელინიზაციის პროცესში დაეხმარებოდა. იმხანად მღვდელმთავარი იყო ონია, რომელიც რჯულის ერთგულებით გამოირჩეოდა და მტკიცედ იცავდა ტაძრის ქონებას. ანტიოქე IV-ს გამეფებისთანავე ეახლა ონიას ძმა იასონი და დაჰპირდა ტაძრის ქონებას, რის გამოც მეფემ გადააყენა ონია და დანიშნა იასონი. ეს უკანასკნელი თვისტომთა შორის ელინური ჩვევების გავრცელებას შეუდგა. ქალაქში აგებდა წარმართთა სასწავლო და რელიგიურ ცენტრებს და ხალხს ელინური სამოსის ტარებას აიძულებდა. „ეს იყო ელინურობის უკიდურესი გამოვლენა და უცხოურობის შემოჭრა უღვთო და ცრუ მღვდელმთავრის იასონის მკრეხელური მოქმედების მეოხებით" (II მაკ. 4:13). ისრაელში ფეხი მოიკიდა წარმართულმა თამაშებმა და ასპარეზობებმა. საბოლოოდ, ანტიოქე IV-მ უნდობლობა გამოიჩინა იასონის მიმართ და მღვდელმთავრად დანიშნა მენელაოსი, ქვეყნის გამყიდველი სიმონის ძმა. სწორედ ამ სიმონის გზით შეიტყვეს სელევკიდებმა ინფორმაცია იერუსალიმის ტაძრის განძეულობაზე. მენელაოსის წაქეზებით მოკლეს ყოფილი მღველმთავარი ონია. იასონი შეეცადა ძალაუფლების დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ დაღვარა თვისტომთა სისხლი. იგი ეგვიპტეში გაიქცა, სადაც უპატრონოდ გარდაიცვალა. ანტიოქე IV-მ ეგვიპტი ბრძოლიდან დაბრუნების შემდეგ მენელაოსის დახმარებით გაძარცვა ტაძარი.

ებრაელები საშინელ განსაცდელში ჩაცვივდნენ. ორი წლის მერე ანტიოქე IV-ის გაგზავნილმა ლაშქარმა კვლავ მოაოხრა იერუსალიმი. ცეცხლში გახვეულ ქალაქს წარმართები დაეპატრონნენ. ებრაელები პატარა ჯგუფების სახით თავს აფარებდნენ იუდეის უდაბნოებს და უარს ამბობდნენ წინააღმდეგობის გაწევაზე. მაკაბელთა წიგნებში აღწერილია, თუ როგორ ნერგავდა ანტიოქე IV ერთიან პაგანისტურ რელიგიას. იგი ბრძანებდა, რომ „ყველას დაეგდო თავისი წეს-ჩვეულება". მრავალი ებრაელი აჰყვა ამ სასტიკი მეფის მუქარას და მოსეს რჯულის დარღვევა მასობრივად აღინიშნა. საყოველთაო სახე მიიღო კერპთაყვანისცემამ, შაბათის დარღვევამ, უწმინდურის ჭამამ, დღესასწაულთა შერყვნამ, წმინდა საგნების შებილწვამ. აღიმართა საკერპოები და ბომონები, სადაც ხდებოდა ღორების მსხვერპლშეწირვა და ნაკერპავის ჭამა. აიკრძალა წინადაცვეთაც. რომელ ახალშობილსაც წინადაცვეთდნენ, წინადამცვეთელებთან ერთად კლავდნენ. რჯულის წიგნებს ცეცხლში წვავდნენ (I მაკ. 1). მაკაბელთა მეოთხე წიგნი აღწერს, თუ როგორ აწამეს შვიდი ძმა მას შემდეგ, რაც უარი თქვეს რჯულით აკრძალული ხორცის ჭამაზე. ყველა მათგანი უშიშრად შეეგება სიკვდილს და ბოლოს მათი დედაც აღესრულა. მსგავსმა ამბებმა საყოველთაო სახე მიიღო მთელი ისრაელის მასშტაბით. ამ პერიოდში ძლიერდება სამარიტელებთან დაპირისპირებაც. ისინი ანტიოქე IV-ს უჭერდნენ მხარს. მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ ებრაელებში აჯანყებამ იფეთქა.

აჯანყების ლიდერი გახდა მღვდელი მატათია, რომელიც ქალაქ მოდეინში ცხოვრობდა. იგი ჰასმონთა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო და, ბუნებრივია, როგორც მღვდელი, ლევის შტოს ეკუთვნოდა. მას ჰყავდა ხუთი ვაჟი — იოანე, სიმონი, იუდა, ელეაზარი და იონათესი. მატათიამ 168 წელს უარი განაცხადა მოდეინში

კერპებისადმი მსხვერპლშეწირვაზე და ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდა. ამბოხებულებთან ერთად იგი ქალაქგარეთ გავიდა. მათი საბრძოლო სულისკვეთება გამოიხატა ლოცვაში, რომლის დასაწყისი ებრაული სიტყვების ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, მათ მაკაბელები ეწოდათ. მატათიასა და მისი ვაუების თაოსნობით აჯანყებულებმა კერპები დაამხეს და წარმართებს შეუტიეს. აღსასრულის წინ მატათიამ მეამბოხეთა თავკაცობა შვილებს, განსაკუთრებით კი – იუდა მაკაბელს, ჩააბარა. მან ებრაელებს ანდერძად დაუტოვა წარმართთა წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება და რჯულის დაცვა. იუდა მაკაბელმა ძმებთან ერთად მრავალი ებრაელი ამოიყენა გვერდში. ანტიოქე IV-ის მიერ მათ წინააღმდეგ გაგზავნილი მხედართმთავრები მარცხს განიცდიდნენ. იმხანად ანტიოქე IV დაკავებული იყო თავის მორჩილებაში მყოფი სხვა ამბოხებული ხალხების აჯანყების ჩახშობით. სპარსეთიდან დაბრუნებული კვლავ იერუსალიმისკენ გაემართა, მაგრამ საშინელი ფიზიკური ტკივილებით გზაში გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან აღიარა, რომ მისი ტანჯვა გამოწვეული იყო ჭეშმარიტი ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლის გამო. მის ნაცვლად ტახტზე ავიდა მისი ძე – ანტიოქე ევპატორი. იერუსალიმიდან წარმართების განდევნის შემდეგ იუდა მაკაბელმა ძვ. წ. 165 წელს გაწმინდა ტაძარი და მოახდინა მისი სატფურება. ყოველივე ამის აღსანიშნავად დღესასწაულიც დააარსა. მას „ლამპრობის დღესასწაული" უწოდეს, ვინაიდან საღამოს ჟამს სახლებსა და სინაგოგებს ჩირაღდნებით ანათებდნენ (ეს დღესასწაული იხსენიება იოანეს სახარებაშიც: 10:22). მაკაბელების წინააღმდეგ ბრძოლა ანტიოქე IV-ისთვის რთული აღმოჩნდა. მღვდელმთავარი მენელაოსი შეეცადა ანტიოქე IV-ს მიმხრობოდა და იგი იერუსალიმის წინააღმდეგ დაძრა. მართლაც, ანტიოქე IV ქალაქს მიადგა. მენელაოსს ამოქმედებდა ანგარება, რაც მხედართმთავარ ლისიას მეშვეობით ანტიოქე IV-ისთვის ცნობილი გახდა და ამ უკანასკნელმა მენელაოსი სიკვდილით დაასჯევინა. სულ მალე თვით ანტიოქე ევპატორი და ლისია მოკლა რომიდან წამოსულმა ერთ-ერთმა სელევკიდმა – დემეტრიოსმა, რომელსაც გამეფებისთანავე ეახლა მღვდელმთავარი ალკიმიოსი და სთხოვა იუდა მაკაბელის – ჰასმონთა გვარიდან გამოსული მეამბოხის – თავიდან მოშორება. მეფემ იერუსალიმში გააგზავნა მთავარსარდალი ნიკანორი, რომელიც იუდა მაკაბელს დაუზავდა და იერუსალიმში მშვიდად განაგრძო ყოფნა. ალკიმიოსი კვლავ ეახლა დემეტრიოსს და ახლა უკვე ნიკანორი დაადანაშაულა ღალატში. მეფემ სასწრაფოდ მოსთხოვა ნიკანორს იუდას შეპყრობა. ნიკანორი იძულებული გახდა, ბრძოლა ეწარმოებინა. იუდა მაკაბელის წინამძღოლობით ხალხი კვლავ დაირაზმა წარმართთა წინააღმდეგ. ნიკანორი ბრძოლაში დაიღუპა. მას მკლავი მოჰკვეთეს და იერუსალიმის ტაძრის წინ გამოკიდეს. ამ გამარჯვების აღსანიშნავად დაადგინეს დღესასწაული, რომელსაც ადარის დღესასწაული ეწოდა (იგი ფურიმის დღესასწაულს ერთი დღით უსწრებდა წინ). იუდა მაკაბელმა ელჩობის გზით მეგობრული ურთიერთობა დაამყარა იმხანად გაძლიერებულ რომთან, თვით კი გმირულად დაეცა ერთ-ერთი ბრძოლისას. იგი ძმებმა პატივით დაკრძალეს მოდეინის საგვარეულო სამარხში.

ჰასმონთა დინასტია და რომაელთა მმართველობის დასაწყისი

მაკაბელთა აჯანყებამ ჰასმონთა საგვარეულოს დაწინაურება ბუნებრივად განაპირობა. იუდას სიკვდილის მერე მეთაურობა მისმა ძმა სიმონმა ითავა. მალე იგი თავის ორ ვაუთან ერთად წარმართებმა მოკლეს და ერს სათავეში სიმონის ძმა იოანე ჰირკან I ჩაუდგა. ჰასმონებს ებრაელთა ნაწილი დაუპირისპირდა, რადგან ისინი ლევის შტოდან იყვნენ, მეფობის აღდგენას კი იუდას ხაზიდან ელოდნენ. მათს

აღშფოთებას ისიც იწვევდა, რომ სიმონის მეუღლე არაებრაელი ტყვე ქალი იყო. სწორედ ამ იოანე ჰირკან I-ის დროიდან იწყება ისრაელის ისტორიაში ჰასმონთა დინასტიის პერიოდი, რომელიც ჰეროდე დიდის გამეფებამდე გაგრძელდა. იმხანად ასპარეზზე გამოვიდა ფარისეველთა რელიგიური პარტია. ისინი განსაკუთრებით გამოხატავდნენ უკმაყოფილებას ქვეყანაში ლევის შტოს წარმომადგენელთა გამეფებით, მაგრამ იოანესთან დაპირისპირებასაც ვერ ახერხებდნენ.

იოანე ჰირკან I ძლიერი პიროვნება იყო (ზეობდა ძვ. წ. 135-104). ჩვენს ერამდე 108 წელს მან დაანგრია სამარიტელთა ტაძარი გარიზიმის მთაზე, რამაც საბოლოოდ წარმოშვა სიძულვილი ებრაელებსა და სამარიტელებს შორის. იოანე ჰირკან I-ის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძე იუდა არისტობულე. მისი ცოლი იყო ალექსანდრა სალომეა. იუდამ სულ ერთი წელი იცხოვრა, მაგრამ ფარისეველთა რისხვა დაიმსახურა იმით, რომ თავი მეფედ გამოაცხადა. მანამდე ჰასმონები ეთნარქის ტიტულს ჯერდებოდნენ. იუდა არისტობულეს სიკვდილის შემდეგ მისმა ცოლმა გააამეფა თავისი მაზლი, იოანე ჰირკან I-ის შვილი – იანეოს ალექსანდრე და ცოლადაც გაჰყვა მას. იანეოს ალექსანდრემ მღვდელმთავრობაც მიითვისა და ხალხის წყრომა დაიმსახურა. მან გააცნობიერა ებრაელთა რელიგიური გრძნობების შელახვა და სიკვდილის წინ ფარისეველებისგან შენდობა ითხოვა. ფარისეველებმა მისი გვამი შეიწყნარეს და პატივითაც კი დაკრძალეს. ამის მერე მისი შვილების მცირეწლოვანობის გამო გამეფდა იანეოს ალექსანდრეს ცოლი – ალექსანდრა სალომეა, რომელმაც ათი წელი მართა ქვეყანა. მას დარჩა ორი ვაჟი – არისტობულე და იოანე ჰირკან II. მათ ძალაუფლება გაიყვეს. არისტობულე გახდა მეფე, ხოლო იოანე – მღვდელმთავარი. ამ უკანასკნელს მღვდელმთავრობისას აღეძრა სურვილი მეფობის მითვისებისაც და დაუპირისპირდა ძმას. ამ წინააღმდეგობის გაღრმავებას ხელი შეუწყო იოანესთან დაახლოებულმა პირმა – ანტიპატრმა. მან ურჩია იოანე ჰირკან II-ს, დახმარება რომაელებისთვის ეთხოვა. ძვ. წ. I საუკუნისათვის რომი უკვე მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო. ძვ. წ. 63 წელს იოანე ჰირკან II-ის დახმარებით რომაელი მხედართმთავარი პომპეუსი იერუსალიმში შევიდა. ამიერიდან რომაელებმა ისრაელი თავის გამგებლობას დაუმორჩილეს. არისტობულე იერუსალიმიდან გაიქცა. რომაელთა გზით გამეფდა იოანე ჰირკან II, თუმცა ქვეყანას, ფაქტობრივად, მართავდა ანტიპატრი. იოანე ჰირკან II მას უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ანტიპატრი იყო არა ებრაელი, არამედ იდუმიელი (ედომელი). მას ჰყავდა ვაჟი, რომელიც ცნობილია ჰეროდე დიდის სახელით. მან ცოლად მოიყვანა ჰასმონთა დინასტიის წარმომადგენელი. ჰეროდე და მისი ცოლიც ებრძოდნენ არისტობულეს, რომელიც საბოლოოდ მოწამლულ იქნა.

საზოგადოდ, ძალაუფლების განმტკიცებისას ჰეროდე დიდი სისასტიკით გამოირჩეოდა ებრაელთა მიმართ. მას რომშიც კი უჩივლეს იულიუს კეისართან, თუმცა მან იგი მეფედ დაამტკიცა (მეფობდა ძვ. წ. 37-4). ჰეროდე დიდი ეჭვიანობით გამოირჩეოდა, ყველგან შეთქმულება ელანდებოდა. მან საკუთარი ცოლიც მოკლა, როგორც ჰასმონთა ერთ-ერთი ბოლო შთამომავალი. იგი ებრაელებს იმ მიზეზითაც სძულდათ, რომ მის ათ ცოლს შორის ერთ-ერთი მალთასი სამარიტელი იყო. მამამისის გარდაცვალების შემდეგ იგი ისრაელის ერთპიროვნული მმართველი გახდა. საზოგადოდ, ჰეროდე დიდი იღწვოდა იერუსალიმის გამშვენებისათვის. მან ქალაქიდან 11 კილომეტრის მოშორებით ააგო ჰეროდიუმი, ორმაგი გალავნით გარშემორტყმული ციხესიმაგრე. მის დროს იშვა ბეთლემში მაცხოვარი. ჰეროდესთან ჩავიდნენ აღმოსავლეთიდან მოსული მოგვები, რომელთაც სურდათ ენახათ ახალშობილი უფალი. მისი ბრძანებით, ბეთლემის მისადგომებთან უმოწყალოდ დახოცეს სამ წლამდე ყრმები. ჰეროდეს სიკვდილის მერე მეფობა მისმა სამმა ვაჟმა – არქელაოსმა, ანტიპამ და ფილიპემ – გაინაწილა. აქვე უნდა ითქვას, რომ რომაელებმა არქელაოსის სიკვდილის შემდეგ იუდეაში თავიანთი პრეფექტი დააყენეს, რომელსაც პროკურატორი ეწოდა.

ებრაული რელიგიის ისტორიაში ყველაზე საინტერესო ფაქტი ჰეროდე დიდის მეფობაში იყო ამ უკანასკნელის მიერ ძვ. წ. 19 წელს დაწყებული ახალი ტაძრის მშენებლობა იერუსალიმში. საერთოდ, ჰეროდე რჯულში კარგად ერკვეოდა. მას სურდა, რომ ერთდროულად ქვეშევრდომთა თანალმობაც დაემსახურებინა და ტაძრის დიდებულებით რომაული სამყაროც გაეოცებინა. მთავარი შენობა დამთავრდა დაახლ. 9 წელს ჩვენს ერამდე, მაგრამ სხვა სამუშაოები კიდევ დიდხანს გაგრძელდა. იმავე გეგმით აშენებული მესამე ტაძარი აჭარბებდა თავის წინამორბედებს ზომით. ის ორჯერ უფრო მაღალი იყო სოლომონის ტაძარზე. დიდი ნაწილი მოოქროვილი გახლდათ. ახალ ტაძარს უზარმაზარი ბაქანი (14 ჰექტარი) ჰქონდა, რომლის ნაწილი დღესაც შემორჩენილია. აქ იკრიბებოდნენ მლოცველები და მსხვერპლსაც აქ სწირავდნენ. მთავარი შესასვლელი სამხრეთიდან იყო. მის შემდეგ მდებარეობდა წარმართთა ეზო, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეეძლო შესვლა, მაგრამ ეზოს სიღრმეში უკვე მხოლოდ ებრაელები შედიოდნენ. მომდევნო ეზო „ქალთა ეზო" იყო. ეს ტაძარიც, სოლომონის მეორე ტაძრის მსგავსად, ახ. წ. 70 წელს რომაელებმა დაანგრიეს.

რელიგიური პარტიები

ელინიზმის ხანაში ისრაელში ფეხს იკიდებს რელიგიური პარტიების წარმოქმნა. ამა თუ იმ რელიგიური პარტიის მიმდევართა საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე ზეგავლენა საკმაოდ შესამჩნევი იყო. საზოგადოდ, მეორე ტაძრის ხანა მოსეს ეპოქაში ჩამოყალიბებული ძველი აღთქმის რჯულის მეტ-ნაკლები ტრანსფორმაციით გამოირჩევა. ეს პერიოდი კლასიკური იუდაიზმის ფესვებად უნდა მივიჩნიოთ.

პტოლემაიოსებისა და სელევკიდების ბატონობის დროს ბერძნულმა კულტურამ და ბერძნული აზროვნების წესმა ღრმად გაიდგა ფეხი ებრაულ გარემოშიც. ელინიზაციის მომხრე პარტიის წევრები სადუკეველებად იწოდებოდნენ. ეს რელიგიური ჯგუფი რიცხვობრივად დიდი არ იყო; სადუკეველნი, როგორც წესი, სამღვდელო ოჯახებს განეკუთვნებოდნენ. ისინი მხარს უჭერდნენ ჰასმონთა მეფე-მღვდელმთავრებს, უფრო მოგვიანებით — რომაელებს. სამწუხაროდ, სადუკეველთა შესახებ ინფორმაცია მწირია, რამდენადაც მისი დიდი ნაწილი სადუკეველთა მოწინააღმდეგეთაგან მომდინარეობს, მაგრამ ცნობილია, რომ ისინი კატეგორიულად უარყოფდნენ „ზეპირ რჯულს", რომელიც ფარისევლებმა დამატებით დაურთეს ძველი აღთქმის „წერილობით რჯულს". მათ არ სწამდათ მკვდართა აღდგომის, რადგან ამის თაობაზე პირდაპირ უწყებას თორაში ვერ პოულობდნენ.

უფრო მრავალრიცხოვანნი იყვნენ ფარისევლები. სიტყვა „ფარისეველი" ნიშნავს „განცალკევებულს". ფარისევლები მკაცრ რელიგიურ პარტიას ეკუთვნოდნენ. სექტა აღმოცენდა, დაახლ. ძვ. წ. II საუკუნეში. მისი წევრები, ძირითადად, რიგითი ებრაელები ხდებოდნენ (არასამღვდელონი), რომელთაც სურდათ მოსეს რჯულის ზედმიწევნით დაცვა, მაგრამ ვრცელი განმარტებანი, რომლებსაც რჯულს ურთავდნენ, ხშირად მცნებათა შესრულებას ძალზე ართულებდა. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ამისა შაბათის მუშაობის აკრძალვა იყო. შრომის ქვეშ ფარისევლები მოიაზრებდნენ ადამიანის თითქმის ყოველგვარ მოქმედებას: 1 კმ-ზე მეტი მანძილის ფეხით გავლას, სიმძიმის აწევას სახლში ცეცხლის ანთებაც კი შაბათისთვის დაუშვებლად მიიჩნეოდა. ფარისეველთა მკაცრი მითითებანი ადამიანებს აგულიანებდა, იმდენად ბეჯითად ეზრუნათ რჯულის ზედმიწევნით დაცვაზე, რომ ხშირად იკარგებოდა მისი არსებითი მხარის შეგრძნება. ამის მიუხედავად, ფარისეველთა ზრახვები თავდაპირველად კეთილსინდისიერი იყო. მათ სწამდათ, რომ თავიანთი წესებით რჯულის ირგვლივ ზღუდეს აგებდნენ. მაცხოვრის შობისას მათი რიცხვი 6000 კაცს

არ აღემატებოდა. მრავალი ფარისეველი მეტად კეთილმორწმუნე იყო, მაგრამ მათ სძულდათ ისინი, ვისაც არ შეეძლო ან არ სურდა მათი დამთრგუნველი მითითებების დაცვა. ყველა არაფარისეველი განურჩევლად ირიცხებოდა ცოდვილებში. ფარისეველი იყო ნიკოდიმოსი, რომელიც იესო ქრისტეს ფარული მიმდევარი გახდა. პავლე მოციქულიც თავიდან ამ სექტას ეკუთვნოდა.

ხასიდების ჯგუფი საკმაოდ ადრინდელია. ისინი ორგანიზებულობით არ გამოირჩეოდნენ. ხასიდები იყვნენ ის ებრაელები, რომლებიც იბრძოდნენ ბერძნული კულტურის, ელინიზაციის პროცესის გავლენის წინააღმდეგ. ძვ. წ. II საუკუნეში ხასიდების ნაწილი მაკაბელებს შეუერთდა, რომლებიც შეიარაღებულები იბრძოდნენ ბერძნების წინააღმდეგ. მეორე ნაწილი ენდობოდა რა ღმერთს, ეწინააღმდეგებოდა შეიარაღებულ ბრძოლას, მაგრამ ყველა ერთად ერთგული მიმდევარი იყო რჯულისა და ბევრი მათგანი შემდგომში ფარისევლებსა და ესეელებს შეერწყა.

ხასიდებისგან განსხვავებით, ზელოტები შედარებით გვიან ჩამოყალიბდნენ. ისინი უარს ამბობდნენ რომაელებისთვის ხარკის გადახდაზე და ემზადებოდნენ ომისათვის, რომელსაც, მათი აზრით, დედამიწაზე ღვთის სასუფეველი უნდა დაემყარებინა. მათ რამდენიმე ავჯანყება მოაწყვეს; ერთ-ერთი მათგანი რომაელთა მიერ 70 წელს იერუსალიმის დანგრევით დამთავრდა. იესო ქრისტეს მოწაფე სიმონ კანანელი ზელოტი იყო.

მას შემდეგ, რაც ბევრმა ებრაელმა წარმართებთან ბრძოლაზე უარი განაცხადა, ცხოვრების მშვიდ და პასიურ წესზე გადასვლა არჩია. მათ შექმნეს ესეელების სექტა, რომელიც მკვდარი ზღვის სექტის სახელითაც არის ცნობილი (ისინი მკვდარი ზღვის სანაპიროებზე დასახლდნენ). ესეელები სამყაროსაგან თავისი განსაკუთრებული გამოცალკევებულობითა და ჩაკეტილობით გამოირჩეოდნენ. მის წევრთა რაოდენობა არასოდეს აღემატებოდა რამდენიმე ათას კაცს; ესეელების იდეოლოგია აღმოცენდა ძვ. წ. II საუკუნეში, რომელიც ებრაულ რელიგიაზე ბერძნულის გავლენას ვერ ეგუებოდა. ესეელები უფრო მკაცრებიც კი იყვნენ ფარისევლებზე, რომელთაც ბრალად დებდნენ „მსუბუქ განმარტებათა სწავლებას". სავარაუდოდ, ესეელთა მოძრაობას ეკუთვნოდა ყუმრანის თემი, რომელთა წიაღშიც შეიქმნა მკვდარი ზღვის გრაგნილები (აღმოაჩინეს 1947 წელს). ყუმრანელები თავიანთ თავს „ნათლის შვილებს" უწოდებდნენ. მათ მესიის მოსვლა ძირითადად პოლიტიკური მნიშვნელობით ესმოდათ. მათს წიაღში ბევრი მესიანისტური და აპოკალიპტური ხასიათის ძეგლი იქმნებოდა. ყუმრანელთა წრეში შექმნილი აპოკალიფსური ელფერის აპოკრიფებიდან ძირითადია „ენოქის წიგნი", „იუბილეთა წიგნი", „მოსეს მიძინება" და „თორმეტი პატრიარქის ანდერძი".

მესიის საყოველთაო მოლოდინი

მაცხოვრის განკაცებას დედამიწაზე წინ უსწრებდა მთელი იმდროინდელი მსოფლიოს მასშტაბით მესიის საყოველთაო მოლოდინი. ძველი აღთქმის თითქმის ყველა წიგნი განმსჭვალული იყო წინასწარმეტყველებით მხსნელის მოვლინების თაობაზე. ებრაელთათვის იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო მეფე დავითის შთამომავალი, ღვთისაგან ცხებული. „ცხებული" ძველ ებრაულ ენაზე იყო „მაშიახ", ძველბერძნულად კი – „მესია", ანუ „ქრისტე". მოელოდნენ, რომ იგი აღადგენდა კონკრეტულ სახელმწიფოს, მაგრამ არა ძველი, არამედ იდეალური, უტოპიურ-სამართლიანი სამეფოს სახით. მესიის მოვლინების რწმენა განსაკუთრებით განმტკიცდა ძვ. წ. VI საუკუნიდან. ბევრს მიაჩნდა, რომ მესიის მოსვლამდე სამყაროს ხელმეორედ მოევლინებოდა

ელია წინასწარმეტყველი, რომელიც ცოცხლად ამაღლდა ზეცად. სხვა ხალხებში არსებული მესიის მოსვლის რწმენა ძირითადად აღბეჭდილი იყო ზნეობრივი ასპექტით. ებრაელები, რომელნიც ელინიზმის ხანიდან მასობრივად მკვიდრდებოდნენ სხვადასხვა ქვეყანაში, მესიანისტურ იდეებს იქ მაცხოვრებელ ხალხებსაც აცნობდნენ. უპირველესად სწორედ ამის შედეგად არაებრაული სამყაროც, მართალია, განსხვავებული სიმძაფრით, მაგრამ მაინც ელოდა მესიის მოსვლას. ამ მხრივ ყველაზე უფრო გამოირჩეოდნენ ისრაელის მეზობლად მოსახლე სემიტურენოვანი ტომები. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების გასაყარზე ებრაული თემები სახლობდნენ სირიაში, სპარსეთში, იბერიაში, საბერძნეთში, ფრიგიაში, ესპანეთში. ავგუსტუსის დროს რვა ათასი ებრაელი ცხოვრობდა რომში, რომლებიც იქ პომპეუსმა გადაასახლა. მართალია, ისინი ცდილობდნენ, თავი მოეზღუდათ გარემომცველი ხალხებისაგან, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს ებრაული სარწმუნოებრივი სწავლებების გავრცელებას. მესიას ელოდნენ პალესტინაში სამარიტელებიც. ეს აშკარაა იოანეს სახარების მოწმობით (თ. 4). დანიელის წიგნი, რომელიც მთლიანად შეიცავს მაცხოვრის მოლოდინს, ინტერესს იმსახურებდა წარმართებშიც. იუდეველთა ხშირი გადასახლებები იწვევდა იმას, რომ ელინისტური სამყაროს ყოველ მხარეში სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა ძველაღთქმისეული იდეები. იუდეველნი სხვა ქვეყნებში რომ დასახლდებოდნენ, ცდილობდნენ, ახლად მოქცეულნი ორთოდოქსული იუდაიზმისაკენ მიეზიდათ, მაგრამ, გარდა ამისა, სხვადასხვა ადგილზე წარმოიქმნა განსხვავებული, მეტნაკლებად განცალკევებული ჯგუფები და მიმართულებები, რომელნიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდნენ. ყოველ მათგანს ახასიათებდა არა მხოლოდ ზოგადად ესქატოლოგიური რწმენა, არამედ მოლოდინი ხსნისა, გათავისუფლებისა, რომელსაც მოიტანდა კონკრეტული პიროვნება.

იუდაიზმი

იუდაიზმი ებრაელი ერის რელიგიაა, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში პირველი მონოთეისტური რელიგიაა და აბრაამისტული რელიგიების ჯგუფს განეკუთვნება. მისი დოქტრინის უპირველესი წყაროა ძველი აღთქმის წმინდა წერილი. მისი ფესვები უნდა მოვძებნოთ ბაბილონის ტყვეობის შემდგომ, მეორე ტაძრის პერიოდში. მას შემდეგ, რაც ებრაელთა უმრავლესობამ იესო ქრისტე არ ცნო მესიად, ჩამოყალიბდა იუდაიზმის კლასიკური რელიგია.

რომაელების მიერ იერუსალიმის აღებისა (ახ. წ. 70 წ.) და ებრაელების ისტორიული სამშობლოდან გაფანტვის შემდეგ საუკუნეების განმავლობაში ისინი ცხოვრობდნენ სხვადასხვა ქვეყანაში ებრაული თემების სახით. ებრაელები ახერხებდნენ საკუთარი ნაციონალური წარმომავლობის შენარჩუნებას მაშინაც, როცა მშობლიურ ენაზე არ საუბრობდნენ. სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ და გაფანტულობამ განაპირობა ის, რომ დაახლოებით 2000 წლის მანძილზე იუდაიზმის პრაქტიკული მიმდევრობა მონოლითური არ ყოფილა. მას არ ჰყოლია ცენტრალური სულიერი მმართველობა, თუმცა იუდაიზმის უმთავრესი პრინციპი – რწმენა ტრანსცენდენტური ღმერთისა, რომელიც არის სამყაროსა და ადამიანის შემქმნელი, მუდამ შენარჩუნებული იყო.

იუდაიზმის უპირველესი ნიშანია მონოთეიზმი: სამყაროს შემქმნელი და კაცობრიობის გამკითხველი ღმერთის რწმენა. აღმოსავლეთის უძველეს ხალხებში ძირითადად გაბატონებული იყო პოლითეიზმი, მათი თეოლოგიური და კოსმოლოგიური წარმოდგენები მითიურობითა და პრიმიტიულობით იყო აღსავსე. მათგან განსხვავებით, იუდაიზმი იმთავითვე ხაზს უსვამდა ერთი ღმერთის იდეას და სასტიკად გმობდა პოლითეიზმის ნებისმიერ გამოვლენას. მკვლევრებს, რომლებიც მეცნიერულად სწავლობენ ამ რელიგიის ძირებს, უჭირთ მონოთეიზმის აღმოცენების პერიოდის დადგენა.

მონოთეისტური რწმენა, ძველი აღთქმის თანახმად, სათავეს იმ პირველი გამოცხადებიდან იღებს, რომელიც ებრაელთა მამამთავარმა აბრაამმა მიიღო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის მესოპოტამიის ქალაქ ხარანში ცხოვრობდა. ღმერთი მას კვლავ გამოეცხადა უკვე ქანაანში დასახლებულს და აღუთქვა, რომ მისი წიაღიდან მრავალრიცხოვანი ხალხი გამოვიდოდა და ქანაანის მიწაზე დამკვიდრდებოდა. აბრაამის, ისაკის, იაკობისა და მისი 12 ვაჟის თავგადასავალი არის ამ ერის გენეზისის ხანა. ძველ აღთქმაში „დაბადების" წიგნი ისე მთავრდება, რომ ებრაელები, როგორც ერი, ჯერ კიდევ არ არიან ასპარეზზე გამოსულნი. ებრაელების ერად ჩამოყალიბება მოხდა ეგვიპტეში, სადაც შიმშილს გარიდებული იაკობი გადასახლდა ერთ დროს თავის ვაჟებთან ერთად. აქ გამრავლდნენ ისინი, მაგრამ უნდა დაბრუნებულიყვნენ იმ მიწაზე, რომელიც ღმერთმა აღუთქვა მათ, ვითარცა სამკვიდრებელი. ეს უნდა ყოფილიყო ქანაანის მიწაწყალი, ნაყოფიერი და წარმტაცი ქვეყანა, სადაც იმჟამად სხვადასხვა ქანაანური ტომი მკვიდრობდა. სწორედ მაშინ, როდესაც ებრაელებს ემუქრებოდა გენოციდი ეგვიპტელთა ვერაგი პოლიტიკის შედეგად, ღმერთმა მოხედა თავის რჩეულ ხალხს და განიზრახა მათი ეგვიპტიდან გამოყვანა აღთქმული ქვეყნისკენ. ეს განხორციელდა წინასწარმეტყველისა და რჯულისმდებელის – მოსეს – მეთაურობით, რომელმაც დიადი სასწაულებითა და ნიშნებით შეძლო მისიის შესრულება. მთელ პროცესში ამ ხალხთან იგრძნობოდა უხილავი ღმერთის ხელი, იმის მიუხედავად, რომ ამ პატივის ფონზე ერი არცთუ დიდად გამოხატავდა მადლიერებას ღვთისადმი. ხშირი იყო „მონოთეიზმისადმი" ღალატი სხვადასხვა კერპის აღმართვის გამო, დრტვინვა, უსაფუძვლო შიში, უსასოობის გამოჩენა, გულგრილობა სარწმუნოებაში.

ქანაანისაკენ გზად მავალმა ერმა სინას მთაზე მიიღო რჯული. ეს იყო ღმერთის აღთქმა რჩეული ხალხისადმი. მათს წიაღში სამომავლოდ უნდა მოვლენილიყო

მესია, რომლის მიერ მოტანილი რჯულიც საყოველთაო იქნებოდა კაცობრიობისათვის. ეს რჯული იყო სულიერი კოდექსი, რომლის თანახმადაც უნდა ეცხოვრათ ებრაელებს სამომავლოდ. იგი შეიცავდა ზნეობრივ და საკულტო ნორმებს. მასში უმთავრესია ე. წ. დეკალოგი – ათი მცნება – მორალური ცხოვრების მოკლე მოწოდება. სინას მთაზე ღმერთი ეუბნება ერს: „ჩემი უნჯი იქნებით ყველა ხალხს შორის, რადგან ჩემია მთელი ქვეყანა" (გამ. 19:5). მაგრამ ეს არ იყო აღზევება და პრივილეგიების მინიჭება ამ მცირე ხალხისთვის, როგორც ეს შეიძლება მოგვეჩვენოს. რჩეულობა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა მათ. წმინდა ნიშნავდა, რომ ისინი არ უნდა შერეოდნენ მრავალღმერთიანობის აღმსარებელ ხალხებს, რათა არ შეებღალათ ერთი ღმერთის რწმენა. მათ უნდა ეცხოვრათ იმ კანონებისა და წესების მიხედვით, რომელთაც ღმერთი უწესებდა.

აღთქმულ ქვეყანაში დამკვიდრებისა და სახელმწიფოებრივი ისტორიის ადრეული სტადია აღწერილია ძველი აღთქმის იესო ნავეს ძის და მსაჯულთა წიგნებში. მსაჯულთა ხანა შეცვალა მეფობის პერიოდმა, როდესაც სამოელის მოღვაწეობის ხანაში დადგინდა ებრაული სახელმწიფოს პირველი მეფე – საული, ბენიამინის ტომიდან. წინასწარმეტყველების თანახმად, ჭეშმარიტი სამეფო ხაზი უნდა განვითარებულიყო იუდას შტოდან (პატრიარქ იაკობის მე-4 ძე), რის-გამოც საულის მეფობა შეიცვლება დავითის მეფობით. დავითი, ძე იესესი, გახლდათ ებრაელთა ძლევამოსილი მეფე, ამავდროულად, წინასწარმეტყველი. მისი მოღვაწეობის დროს იერუსალიმი ხდება ქვეყნის დედაქალაქი. პოლიტიკური სიძლიერე გრძელდება დავითის მემკვიდრის – სოლომონის – ზეობის დროსაც. ამ უკანასკნელმა, რომელიც ერთიანი ებრაული სახელმწიფოს უკანასკნელი მეფე გახლდათ, განახორციელა დავითის სურვილი და იერუსალიმში, სიონის მთაზე, ააშენა დიდებული ტაძარი – ერთი უზენაესი ღმერთის სადიდებლად. ამიერიდან ღვთისმსახურება ამ ტაძარში უნდა აღსრულებულიყო, სადაც იუდეველთა უმთავრესი სიწმინდეებიც დაბინავდა.

სოლომონის სიკვდილის შემდეგ ერთიანი ებრაული სახელმწიფო შუაზე გაიყო და წარმოიშვა ჩრდილოეთით – ისრაელის, სამხრეთით – იუდეის სამეფოები. დავითისა და სოლომონის დინასტიური ხაზი შენარჩუნდა სამხრეთით, ხოლო ჩრდილოეთის პირველი მეფის – იერობოამ I-ის – შემდეგ ხშირი იყო დინასტიური ცვლილებები. ისრაელის სამეფოს ებრაელობა უმეტესად მიიდრიკა პოლითეიზმისკენ, სამხრეთში ზოგი პოზიტიური მონარქი ცდილობდა კერპთაყვანისმცემლობის ელემენტებთან ბრძოლას და ჭეშმარიტი რჯულის განმტკიცებაზე ზრუნავდა.

ამ დროს გამოვიდნენ ასპარეზზე წინასწარმეტყველნი. ღმერთსა და ერს შორის არსებულ ამ შუამავალთა ქადაგებები აფრთხილებდა ადამიანებს მოსალოდნელ სასჯელებზე. მათი წიგნები შეიცავს მესიანისტურ და ესქატოლოგიურ მოძღვრებებს. მტრის ხელით ჯერ განადგურდა ცოდვებით დამძიმებული ისრაელის სამეფო, მოგვიანებით კი – იუდეისა. ძვ. წ. 587 წელს იუდეამ არსებობა შეწყვიტა ბაბილონელთა შემოსევების შედეგად, განადგურდა იერუსალიმის ტაძარი, მოსახლეობა ტყვედ წაიყვანეს. ტყვეობა გაგრძელდა 70 წელს. ამ პერიოდის დასრულების შემდეგ სპარსელების მიერ ტყვეობიდან გათავისუფლებულმა ერმა აღადგინა იერუსალიმის დანგრეული ტაძარი. დაიწყო ტყვეობის შემდგომი, ე. წ. მეორე ტაძრის ხანა იუდეველთა ისტორიაში (ძველი აღთქმის ამ პერიოდის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ამ სახელმძღვანელოს წინარე თავი – ძველი აღთქმის რელიგია მეორე ტაძრის ხანაში). ძვ. წ. II საუკუნიდან ბერძნებისგან შევიწროებულ იუდეურ რელიგიას შედეგად მოჰყვა რელიგიური პარტიების წარმოშობა. გამოიკვეთა ფანატიურად მგზნებარე, პასიური და ლიბერალი რელიგიური დაჯგუფებები. მაკაბელთა აჯანყების შედეგად მოსული ჰასმონთა დინასტია თავის არსებობას ასრულებს რომის ბატონობის დამყარების გამო. ახ. წ. I საუკუნის 70 წელს იმპერატორ ვესპასიანეს ვაჟმა ტიტემ აიღო მოაჯანყე იერუსალიმი და მეორე ტაძარიც განადგურდა. ებრაელები

მასობრივად დაიფანტნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვა თემში.

ებრაელთა რწმენით, ტაძარი დანგრეული უნდა დარჩენილიყო მანამ, ვიდრე ღმერთი მესიად არ მოავლენდა დავითის თესლის ადამიანს, რომელიც ისრაელს დაუბრუნებდა ძველ დიდებას და იერუსალიმის ტაძარსაც ააშენებდა.

სინას მთაზე მიღებული რჯული აისახა მოსეს ხუთწიგნეულში. თორა იუდაიზმისთვის ყველაზე საკრალური წყაროა. მის გვერდით დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ, ზნეობრივ და საწინასწარმეტყველო წიგნებასაც, რაც ჯამში ქმნის წმინდა წერილს (ტოლფასია ქრისტიანული ბიბლიის პირველი ნაწილისა – ძველი აღთქმა). თორა ხშირად ზეპირად ვრცელდებოდა და მოგვიანებით ჩაწერეს. ასე გაჩნდა ზეპირი თორას გვერდით წერილობითიც. ჩაწერილ თორას ეწოდა მიშნა. ახ. წ. მე-7 საუკუნემდე მიმდინარეობდა თორის რაბინული ინტერპრეტაცია, რასაც თალმუდი ეწოდა.

მიუხედავად მონოთეიზმის პირველადობისა, რაბინულ (იგივე ორთოდოქსულ) იუდაიზმში, ბიბლიის მკვლევართა მტკიცებით, თორას ზოგი ნაწყვეტი იმაზე მიუთითებს, რომ ადრეულ ისრაელიანებს სხვა ღმერთებიც ჰყავდათ, თუმცა გამოკვეთილია რწმენა ერთიანი ღმერთისა, რომელიც შემოქმედი და მოვლენათა წარმმართველია. სწავლულთა შორის არსებობს შემდეგი აზრი – ებრაელებმა მხოლოდ ელინიზმის ხანაში ირწმუნეს, რომ სამყაროს ერთადერთი ღმერთი ჰყავს, რომელიც მთელი კაცობრიობის ღმერთიცაა და მისი გამოცხადების საბუთი თორა უნივერსალურ ჭეშმარიტებას შეიცავს. თითქოსდა ეს გამოიხატება, ერთი მხრივ, უცხოელთა იუდაიზმით დაინტერესების ზრდაში (ბერძნებსა და რომაელებს იუდეველები ყველაზე ფილოსოფიურ ხალხად თვლიდნენ), ხოლო მეორე მხრივ, ებრაელთა მზარდ დაინტერესებაში ბერძნული ფილოსოფიით, რომელიც უნივერსალური ჭეშმარიტების დადგენისაკენ მიილტვოდა და, ამგვარად, შესაძლოა, მონოთეიზმის იდეამდეც მიიყვანა აზროვნება. ეს დებულებები ბუნებრივია, საკამათო დეტალებს აღძრავს.

ამ თეორიის მიხედვით, ელინისტურ ხანაში ებრაელები საკუთარ რელიგიურ პარტიკულარიზმსა და ამავე რელიგიის უნივერსალიზმს შორის არსებულ კონფლიქტს შეეჭიდნენ (რადგან თორას განკარგულებათა შესრულება მხოლოდ ებრაელებს ევალებათ, მაგრამ თვით თორა უნივერსალურ ჭეშმარიტებას შეიცავს). ეს გამოიხატა მთელ რიგ რელიგიურ რწმენებსა და წესებში, რაც განასხვავებდა ებრაელებს სხვა ხალხებისგან.

იუდაიზმი თვლის, რომ ის ღმერთი, რომელიც ებრაელთა ეთნარქებს გამოეცხადა მათი ისტორიის გარიჟრაჟზე, მთელი კაცობრიობის ღმერთია, სამყაროს შემოქმედი. ისინი მესიას დღესაც ელიან (არ ცნეს მესიად განკაცებული მაცხოვარი იესო ქრისტე). ეს მესია, რომელსაც ელიან, უნდა იყოს მთელი კაცობრიობის მხსნელიც. საბოლოო ადგილი, სადაც ხალხები უნდა შეეგებონ მესიას, სიონის მთაა იერუსალიმში. დავითის შემდგომ სამეფოს გაყოფა და ხალხის გაფანტულობა ერის ისტორიას ხარვეზად დარჩა, დავითის მეფობა კი – სანიმუშო და სანატრელ ხანად, ამიტომაც სამეფოს გამთლიანებისა და გაფანტული ხალხის კვლავ შემოკრების მოლოდინი დავითის სახელს დაუკავშირდა. მის შთამომავლობაში უნდა დაიბადოს მესია („ცხებული"), რომელიც ისრაელს ძველ დიდებას დაუბრუნებს, როგორც მწყემსი შემოიკრებს დედამიწის ზურგზე ცხვარივით გაფანტულ ხალხს, რჯულს (რელიგიას), რომელსაც ზურგი შეაქციეს. ერთი ესპანელი პოეტი შუა საუკუნეებში სვამდა კითხვას: რატომ არ მოდის იესეს ძე? იგივე კითხვა ძალაშია დღემდე: „იდიდოს და იწმინდოს მისმა დიადმა სახელმა სამყაროში, რომელიც შეიქმნა მისი ნებით. გაამეფოს თავისი მეფობა და აღმოაცენოს თავისი ხსნა, მოაახლოოს თავისი ცხებული თქვენს სიცოცხლეში, თქვენს დღეებში, მთელი ისრაელის სახლის სიცოცხლეში, დაუყოვნებლივ, უახლოეს ჟამს. წარმოთქვით: ამინ!" – ეს სიტყვები ესმით ყოველი შაბათის მწუხრზე სინაგოგაში შეკრებილებს.

იუდაიზმის ანთროპოლოგიის თანახმადაც, ადამიანი შექმნილია ღვთის ხატად და მსგავსად. იგი თავისუფალია თავისი ნების აღსრულებაში. მართალია, იუდაიზმი ამბობს, რომ ადამიანის გარკვეული ასპექტები (თვისებები, ნიჭი, პოტენცია, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვ.) დაბადებიდანვე განსაზღვრულია ღვთის მიერ, მაგრამ ამ მონაცემთა წრეში ადამიანი სავსებით დამოუკიდებელია ზნეობრივ არჩევანში. ამიტომ თვლის, რომ ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია თავის საქციელზე. ამ პუნქტში იუდაიზმი თანხვდება ქრისტიანულ ანთროპოლოგიას.

იუდაიზმი მხოლოდ რელიგია არაა, არამედ ყოფის (ცხოვრების) წესი. ჰავდალას (გამიჯვნის), იუდაისტური მსოფლხედვის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპით, სინამდვილე ერთფეროვანი არ არის: „უფალო, ჩვენო ღმერთო,— ლოცულობს იუდეველი შაბათის გასვლის ჟამს,— შენ ბრძანე, რომ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან წმინდა და სადაგი, ნათელი და ბნელი, ისრაელი და სხვა ხალხები, მეშვიდე დღე და საქმიანობის ექვსი დღე. როგორც გამოგვაცალკევე, უფალო, ღმერთო ჩვენო, ქვეყნიერების ხალხებისგან, ისევე გვიხსენი ბოროტი სატანისაგან...”

იუდეველს სწამს, რომ ჰავდალას წესის განუხრელი დაცვა, განსაკუთრებით შაბათის წმინდაყოფა, მესიის მოსვლასა და ისრაელის ხსნას დააჩქარებს. ამქვეყნიური ცოდვებისათვის ადამიანს საიქიოში სასჯელი მოელის, მაგრამ სასჯელი უფრო განწმენდის პროცესია, ვიდრე საბოლოო დასჯის. იუდაიზმში მიუღებელია სამუდამო ჯოჯოხეთის არსებობა. იუდაიზმი თვლის, რომ ადამიანს არ ძალუძს ისეთი ცოდვის ჩადენა, რომლისთვისაც მარადიულ სასჯელს დაიმსახურებს. ცოდვილის სული სალხინებელში იწმინდება, რათა ღმერთთან სიახლოვის ღირსი შეიქმნას. ყველა ადამიანი თავისი ამქვეყნიური ცხოვრებით ღმერთთან სიახლოვის ხარისხს იმსახურებს. იუდაიზმი აღიარებს მკვდართა აღდგომასაც, თუმცა ამ თემაზე გარკვეული აზრი იუდაიზმში არ არსებობს.

იუდაიზმის დღესასწაულები მისი ისტორიის გარდამტეხ მიჯნებთან არის დაკავშირებული. სამმა ძირითადმა დღესასწაულმა ბუნება და ისტორია მოიცვა. პირველი და უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია პასექი, ებრაულად „ფესახ”, რომელიც გაზაფხულის დადგომასთან ერთად ეგვიპტიდან — „მონობის სახლიდან” ებრაელთა გამოსვლას აღნიშნავს. ამ დღიდან იწყება მათი ისტორია. ეს სასწაული მსჭვალავს ებრაელთა ისტორიულ შეგნებას. ფესახიდან ორმოცდაათი დღის შემდეგ დგება შებუთი, ანუ „კვირეული”, როცა ყოველ ისრაელიანს ღმერთთან მსხვერპლად მიაქვს თავისი შრომის პირველმოწეული ნაყოფები (მცენარე იქნება თუ პირუტყვის მონაგები). ამავე დროს, ეს ის დღეებია, როცა ისრაელიანი იხსენებს რჯულის გამოცხადებას სინას მთის ძირში, როცა მან თავისი მისია მიიღო. მესამე დიდი დღესასწაულია სუქოთი, ანუ „კარვობა”, როცა ისრაელიანი ოჯახები უდაბნოში საგანგებოდ მოწყობილ კარავში შვიდ დღეს ატარებენ ცხოვრების ორმოცწლიანი პერიოდის გასახსენებლად: ამ დროს ხდებოდა ერად ჩამოყალიბება. ამავე დროს ეს მოსავლის აღებისა და დაბინავების დღესასწაულია.

ამ სამი დიდი დღესასწაულის გარდა, იუდაიზმის მიმდევარი დღესასწაულობს ახალი წლის დადგომას, რომელიც სხვადასხვა წელს სხვადასხვა რიცხვზე მოდის (როჰ ჰაშანა), მას მოსდევს „შენდობის დღე” (იომ ქიფური). კიდევ დღესასწაულობენ ფურიმის, ანუ წილისყრის, დღესასწაულს, როდესაც სპარსეთის იუდეველმა დედოფალმა ესთერმა იხსნა თავის ერი გენოციდისგან.

იუდაიზმის მრწამსი მოკლედ ასეთია: არსებობს არარაობისგან სამყაროს შემქმნელი ღმერთი, რომელიც ერთია, უსხეულო, უხილავი, მარადიული; ღმერთი ხედავს თითოეული ადამიანის ფიქრებსა და საქმეებს; ყოველი ადამიანის ლოცვა უშუალოდ მისადმი აღწევს. ღმერთი სწყალობს კეთილთ და სჯის უკეთურთ; არსებობს უკანასკნელი სამსჯავრო; მოვა მესია და მკვდრები აღდგებიან.

ეს არის იუდაიზმის ძირითადი პრინციპები. მაგრამ იუდაიზმის თავისებურება, სხვა რელიგიებისგან განსხვავებით, ის არის, რომ არ არსებობს ერთიანი მოძღვრება,

რომელიც ამ პრინციპების ერთადერთ ინტერპრეტაციას მისცემდა მორწმუნეს. ერთნი, ორთოდოქსები, ფიქრობენ, რომ პრინციპები უცვლელია და აბსოლუტური. მეორენი, რეფორმატორები, ამბობენ, რომ ისინი დროთა ვითარებაში იცვლება. მესამეთათვის (ლიბერალები) პრინციპები მხოლოდ მითითებებია, რომელთა შესრულებადაცვა ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული. ადამიანს შეუძლია აირჩიოს, რომელს გაჰყვეს და რომელს – არა.

ორთოდოქსული იუდაიზმი იმ აზრზე დგას, რომ თორა ღმერთმა შეადგინა, შემდეგ კი მოსეს უკარნახა და ამიტომ თორას კანონები უცვლელია. ორთოდოქს ებრაელთა უმეტესობა ებრაული თეოლოგიის ერთ-ერთ ფორმას აღიარებს, რომელიც მოშე ბენ მაიმონის სარწმუნოების ცამეტ პრინციპს ეყრდნობა. ორთოდოქს იუდეველთა შორის არსებობს რამდენიმე გავლენიანი ორგანიზაცია, რომელთა შორისაც აქ დავასახელებთ ხაბად ლუბავიჩის მოძრაობას. ეს გავლენიანი საქველმოქმედო-რელიგიური ორგანიზაციაა, რომლის ცენტრიც ნიუ-იორკში მდებარეობს. ეს მოძრაობა მე-18 საუკუნეში წარმოიშვა. ყველა ხასიდი ებრაელის მსგავსად, ხაბად ლუბავიჩის წევრებიც მისდევენ უძველეს ტრადიციებს. დღეს მსოფლიოს სამოცდაათზე მეტ ქვეყანაში 4000-ზე მეტი ხაბადის ცენტრი არსებობს. როგორც ამ ორგანიზაციის ვებგვერდი გვამცნობს, მათი მისია „ინტერნეტქსელის გამოყენებით ყველა ებრაელის გაერთიანებაა, რათა მათ 3300-წლიანი ტრადიციები გააცნონ და ისინი იუდეველურ რწმენასა და რიტუალებთან ღრმა კავშირში აღზარდონ". მათი ფილოსოფია ამგვარია: „ქვეყნად ყველაფერი ღვთიური ნებით შეიქმნა. ყველა თანამედროვე ტექნოლოგია შესაძლებელია და უნდა იყოს კიდეც გამოყენებული იმისათვის, რომ ქვეყანა უკეთესი გავხადოთ, იუდეველების შემთხვევაში კი იმის გამო, რომ იუდაიზმი რაც შეიძლება ფართოდ გავრცელდეს – არც ერთი ებრაელი არ უნდა დაიკარგოს თავისი ხალხისთვის, არც ერთი ებრაელი არ უნდა გრძნობდეს თავს მარტო". ხაბად ლუბავიჩის მოძრაობა აქტიურ საგანმანათლებლო-საქველმოქმედო მოღვაწეობას საქართველოშიც ეწევა.

კონსერვატიული იუდაიზმი მე-19 საუკუნიდან განვითარდა აშშ-სა და ევროპაში. იგი გამოძახილი იყო იმ ცვლილებებისა, რომელიც განათლებამ და ებრაელთა უფლებრივად გათანასწორებამ გამოიწვია. ამ მიმდინარეობას ახასიათებდა უცვლელი მორჩილება ტრადიციული ჩვეულებებისა და კანონებისადმი. ტრადიციული რაბინული სწავლულობის აღიარება თანამედროვე განათლებასთან ერთად და რელიგიურ ტექსტთა კრიტიკულად შესწავლა. კონსერვატიული იუდაიზმის მიხედვით, ებრაული კანონი უცვლელი არ ყოფილა – იგი ყოველთვის ცვალებად პირობებთან შეგუებით ვითარდებოდა. კონსერვატორი ებრაელების აზრით, თორა ღმერთისაგან შთაგონებულ წინასწარმეტყველთა მიერ დაწერილი საღვთო საბუთია, მაგრამ ისინი უარყოფენ ორთოდოქსულ შეხედულებას, რომ თორა ღმერთმა მოსეს უკარნახა.

პროგრესული იუდაიზმი მრავალი მოძრაობისგან შედგება, რომლებსაც რამდენიმე ქვეყნის ებრაელთა შორის მრავალი მიმდევარი ჰყავს. მაგალითად, რეფორმისტული იუდაიზმი, რომელსაც ზოგ ქვეყანაში ლიბერალურს უწოდებენ, წარმოიშვა მე-19 საუკუნის გერმანიაში. სხვა მიმდინარეობებისგან მისი განმასხვავებელი თვისებაა უარყოფა იმისა, რომ ებრაული კანონების შესრულება აუცილებელი რელიგიური ვალდებულებაა. რეფორმისტების აზრით, იუდაიზმის საკითხებში გაცნობიერებული თითოეული ებრაელი უნდა სარგებლობდეს ავტონომიით, რომლის ფარგლებშიც თვითონ გადაწყვეტს, თუ სად მიაჩნია თორას ტექსტი დამაჯერებლად და რომელი კანონები შეასრულოს. რეფორმისტებმა უარყვეს თორას გზით ნაკარნახევი რიტუალური წესები და ყოფა-ცხოვრების შემბოჭავი ბევრი ამკრძალავი კანონი. სამაგიეროდ, ხაზი გაუსვეს წინასწარმეტყველთა მოწოდებას ზნეობრივი სისპეტაკისკენ. რეფორმისტულმა იუდაიზმმა თავისი ლოცვანიც გამოიმუშავა იმ ენებზე, რომლებზეც სხვადასხვა ებრაელი საუბრობს, თუმცა ბოლო დროს აღადგინეს ებრაულ ენაზე ლოცვის ტრადიცია.

ჰუმანისტური იუდაიზმი პატარა არარელიგიური მოძრაობაა, რომლის მტკიცებით ებრაული ვინაობა ებრაელთა ისტორიით განისაზღვრება და არა წმინდა ტექსტებით. რაბინ შერვინ უაინის მიერ დაარსებული ეს მიმდინარეობა უფრო ჩრდილო ამერიკაშია ცნობილი, მაგრამ მიმდევრები ჰყავს ევროპაში, სამხრეთ ამერიკასა და ისრაელშიც.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღწერილ ყოველ მიმდინარეობას ისრაელშიც მისდევენ, ამ ქვეყნის ებრაელები თავიანთ ვინაობას სხვა კატეგორიით საზღვრავენ, რომლითაც ადამიანები მორწმუნეობის დონის მიხედვით იყოფიან. ისრაელში სამი ასეთი ძირითადი სექტორია: სეკულარისტი, ტრადიციონალისტი და ხარედი ებრაელები.

შუა საუკუნეებში განვითარდა ებრაული ფილოსოფია და მისტიკური თეოლოგია. შუა საუკუნეების უდიდესი ებრაელი თეოლოგები და ფილოსოფოსები იყვნენ: საადია ბენ იეშუა, ისააკ ბენ სოლომონ იზრაელი, შელომო იბნ გებიროლი, იეჰუდა ჰალევი, მოსე მაიმონიდე. თანამედროვე ეპოქაში ჰ. კოჰენი, ე. ფრომი, მ. ბუბერი, ი. ლევინასი, ა. ჰეშელი და სხვები. შუა საუკუნეებში შეიქმნა იუდაიზმის ცნობილი მისტიკური წიგნი – კაბალა. იგი შეიცავს როგორც ებრაულ გადმოცემებს, აგრეთვე – ირანულ, პლატონურ, პითაგორულ სწავლებებსაც. კაბალა ორი წიგნისგან შედგება: „ჰაიეცირა" („შესაქმე") შეიქმნა IX საუკუნეში და „ზოჰარი" („ციალი") – XI საუკუნეში. კაბალას ავტორიტეტულობის მინიჭების მიზნით ზეციური წარმომავლობა მიაწერეს. თითქოს ეს წიგნი ადამს მიეცა, როგორც ცოდვით დაცემის შემდეგ იმედის ნიშანი. ჰეგელი, რომელიც კაბალას წარმოშობის მითის ამ ვარიანტს გადმოგვცემს, კაბალას ებრაული მეტაფიზიკის პირველ გამოვლინებად მიიჩნევს. მისი თქმით, მანამდე ებრაელი მოაზროვნეები მხოლოდ ამქვეყნიური არსებობისა და მისი გარანტირების პრობლემებით იყვნენ დაკავებულნი. კაბალაში მოცემულია ებრაული ანბანის 22 ასოსა და პითაგორელთა ათი რიცხვის მისტიკური გაგება, ხაზგასმულია ღმერთის ტრანსცენდენტურობა, სამყაროს ემანაცია, სწავლება პირველ თაურკაცზე – ადამ კადმონზე, რომელიც ფიგურირებს წინასწარმეტყველ ეზეკიელის ხილვაში – სინათლის წრეებით გარშემორტყმული. კაბალამ განსაზღვრა იუდაიზმში მისტიკურ-ეზოტერული ხაზის არსებობა.

იესო ქრისტეს, როგორც ქრისტიანული რელიგიის ფუძემდებლის, მიწიერი ცხოვრება დიდ ინტერესს იწვევდა იმ ხალხთა შორის, რომლებიც ახალი სარწმუნოების მიმდევრები ხდებოდნენ. ახალ დროშიც, როდესაც კრიტიკული თვალით დაიწყეს ეჭვმიუტანლად ცნობილი მოვლენების გადასინჯვა, დაიწყო სახარებათა შინაარსის შევსება სხვადასხვა წყაროთი.

განმანათლებელთა ეპოქის დასავლეთ ევროპაში აშკარად იგრძნობა რწმენის კრიზისი. ეს გამოიხატა ღირებულებათა გადაფასებაში იმ ყველაფრის მიმართ, რაც საუკუნეთა განმავლობაში საკრალურად ითვლებოდა სკეპტიკურ დამოკიდებულებაში. უკვე XVIII საუკუნიდან გაძლიერდა ე. წ. „ბიბლიური კრიტიკა", რომლის წარმომადგენლებიც წმინდა წერილის შინაარსს ფილტრავდნენ ღვთაებრივი მადლისგან. ამ დროიდან დაიწყო სახარებათა ნარატიული თხრობის „ისტორიული მეთოდით" გადასინჯვა. ადამიანის რაციონალურმა პრეტენზიებმა ვერ დაიტია უფლის განკაცების თუ აღდგომის საიდუმლოებანი. ზოგადად, ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი სულისკვეთება კარგად აქვს გადმოცემული გერმანელ მწერალ თომას მანს თავის რომან „დოქტორ ფაუსტუსში". ერთი გმირის თქმით, „ეს იყო დრო „ღვთისათვის გონივრული პატივის მიგებისა" და ღვთისმეტყველთა იმ თაობისა, რომელმაც ბიბლიიდან ყველაფერი მოძველებულად გამოაცხადა, რაც ზნეობრივ სრულქმნას არ ემსახურებოდა და გვაგრძნობინა, რომ ეკლესიის ისტორიასა და მოძღვრებაში მარტოოდენ შეცდომების კომედიას ხედავდა. ვინაიდან მათ, ცოტა არ იყოს, ღრმად შეტოპეს, წარმოიქმნა შუამავალი თეოლოგია, რომელიც ცდილობდა, ორთოდოქსიასა და გონივრულ არგუმენტთა შემოტევის გამო სულ უფრო და უფრო გავერანებულ ლიბერალიზმს შორის შუა, ოღონდ უფრო კონსერვატიზმისაკენ გადაწეული ადგილი დაეჭირა... ამ დროისთვის პროტესტანტული თეოლოგია „ლიბერალურად ანგარიშს უწევდა საერო ისტორიულ მეცნიერებას, მის ისტორიულ-კრიტიკულ მ–ოდსა და მეცნიერულ კრიტიკას „მსხვერპლად სწირავდა" უმნიშვნელოვანეს დოგმებს, სასწაულთა რწმენას, ქრისტეს შესახებ მოძღვრების საგრძნობ ნაწილს, იესოს მკვდრეთით აღდგომასა და კიდევ ბევრ სხვა რამეს. მაგრამ ის რა მეცნიერებაა, რომელიც გონებასთან ასე მწყრალად არის".

გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსი გ. ფ. ჰეგელი (1770-1831) თავისი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში აქტიურად იყო დაინტერესებული რელიგიის საკითხებით. ქრისტიანობის კვლევამ იგი მიიყვანა ერთობ უცნაურ შეხედულებამდე, რომელიც, თავის მხრივ, დასაბამი გახდა მსგავსი იდეოლოგიისა. ჰეგელმა გამოაქვეყნა წიგნი „იესოს ცხოვრება", რომელიც ახალი აღთქმის ერთგვარ კომპენდიუმს წარმოადგენს, ოღონდ ერთი ნიშნით: მასში არ არის მოთხრობილი უფლის სასწაულები, გამოკვეთილი არაა მაცხოვრის ღვთაებრივი ბუნება და არც მკვდრეთით აღდგომაზეა საუბარი. აშკარაა, რომ ჰეგელისათვის იესო ქრისტე იყო ისტორიული პიროვნება – მორალისტი და მქადაგებელი.

ცხადია, რომ ჰეგელის შემდგომი ფილოსოფია განმსჭვალული იყო იმ სულისკვეთებით, რომლის თანახმად ღვთის განკაცება შეუძლებელი იყო. ამან გამოიწვია ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში რწმენის კრიზისი ევროპის მასშტაბით და მისგან თავის დაღწევის გზების ძიება. 1827 წელს პროტესტანტულ ჟურნალში დაიბეჭდა ანონიმური წერილები ჰეგელის, როგორც სპინოზისტისა და ათეისტის, წინააღმდეგ. 1829 წელს გამოვიდა ჰეგელიანელი გოშელი, რომელმაც სცადა მოერიგებინა ერთმანეთთან ცოდნა და ქრისტიანული რწმენა. ამისათვის იგი მოითხოვდა ცოდნასთან წარმოდგენისა და რწმენის შერწყმას ისე, რომ რელიგიურ წარმოდგენებს მათი უფლებები შეენარჩუნებინა. რწმენა და ცოდნა ერთიანია, ცოდნა რწმენას ატარებს თავის თავში, ხოლო რწმენა – ცოდნას. გოშელმა ამით მემარჯვენე ჰეგელიანელთა

თვალსაზრისი გამოთქვა და ამ მიმართულების ლიდერი გახდა. მან მკვეთრად დააყენა საკითხი, რომელიც ჰეგელის გარდაცვალების დღიდანვე ჰეგელიანელების კვლევის ცენტრი გახდა — საკითხი რელიგიისა და ფილოსოფიის, რწმენისა და ცოდნის დამოკიდებულების შესახებ. ამ ზოგადმა საკითხმა კონკრეტულად ღმერთის პიროვნულობის, ქრისტეს — როგორც ღმერთკაცის და სულის უკვდავების სახე მიიღო.

ჰეგელის შეხედულებებიდან ამოიზარდა გერმანიაში იესო ქრისტეს პიროვნების მიმართ ორგვარი დამოკიდებულება: ერთნი მას მიიჩნევდნენ ისტორიულ პიროვნებად, რომელიც ცხოვრობდა I საუკუნის პალესტინაში, ხოლო მეორენი არარსებულ, გამოგონილ პერსონაჟად აცხადებდნენ.

1835 წელს გამოვიდა დ. შტრაუსის წიგნი „იესოს ცხოვრება", რომელიც მეტად გაბედულ გამოწვევას წარმოადგენდა თეოლოგიისა და ორთოდოქსიის წინააღმდეგ. შტრაუსის ახალმა აზრებმა ყუმბარასავით იფეთქა ქრისტიანულ წრეებში, უჩვეულოდ აამოძრავა ჰეგელიანელები და დასაბამი მისცა ქრისტიანული რელიგიის რადიკალურ კრიტიკას. დ. შტრაუსი აშკარად დაუპირისპირდა გოშელის მიერ მოცემული რელიგიის ინტერპრეტაციას და საფუძველი ჩაუყარა მემარცხენე, ანუ ახალგაზრდა ჰეგელიანელობას. მემარჯვენეები რელიგიას აყენებდნენ ფილოსოფიაზე მაღლა და ამ უკანასკნელს მას უქვემდებარებდნენ, მემარცხენეები ფილოსოფიური შემეცნების სუვერენობას ამტკიცებდნენ და რელიგიის უარყოფით პანთეისტურსა და ათეისტურ დასკვნებს აკეთებდნენ.

შტრაუსის მიხედვით, იესოს ზებუნებრივი წარმოშობისა და სასწაულების ახსნა ლოგიკური გზით შეუძლებელია, სახარებათა მთელი შინაარსი ისტორიული მეთოდით უნდა აიხსნას. ჰეგელიანელი როზენკრანცი იზიარებდა შტრაუსის მოსაზრებას ბუნებასთან სასწაულების ცნებათა შეუთავსებლობის შესახებ, მაგრამ მას აბსოლუტური იდეის (ე. ი. ღმერთის) გამოვლენა ინდივიდში (იესო ქრისტე) შესაძლებლად მიაჩნდა. შტრაუსის აზრით, რელიგიისა და სახარებათა მთელი შინაარსი არ შეიძლება აიხსნას და დასაბუთდეს ფილოსოფიურად, ცნებათა კავშირებით, არამედ ამისათვის ისტორიული მოვლენების კვლევის მეთოდია საჭირო. სახარებათა შინაარსის ჭეშმარიტობის შემოწმება უნდა დაექვემდებაროს კრიტიკულ-ისტორიულ მეთოდს და არა მათს რაციონალისტურ ინტერპრეტაციას.

შტრაუსის შეხედულებით, მთელი მოთხრობა იესოს ცხოვრებასა და მის სასწაულებზე ადამიანთა რელიგიური კოლექტივის არაცნობიერი შემოქმედების პროდუქტია. სახარებათა ავტორები ერთეული ინდივიდები კი არა ადამიანთა გვარია, რომელიც ღმერთის ბუნებას გამოთქვამს ალეგორიებით, მითებით, ხოლო გარკვეულ ისტორიულ მოვლენებთან მათი კავშირი სიმბოლური, პირობითია. ღმერთის განხორციელება შეუძლებელია ერთ ინდივიდში, იგი ადამიანთა გვარის, მოდგმის, როგორც სასრულისა და უსასრულოს, ადამიანურისა და ღვთაებრივის ერთიანობაში ხორციელდება. შტრაუსის წინაშე ჰეგელის ფილოსოფიის ერთი ძირითადი პრობლემა დგას: აბსოლუტური იდეის, ანუ ღმერთისა და პიროვნების დამოკიდებულების პრობლემა. მან ეს პრობლემა, ჰეგელთან შედარებით, ცალმხრივად გადაწყვიტა. აბსოლუტი შეუძლებელია ადამიანის პიროვნებაში განხორციელდეს, ღმერთი — იესო ქრისტეში, უსასრულო — სასრულში, არაცნობიერი — ცნობიერში.

კიდევ უფრო გაძლიერდა თეიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ბრუნო ბაუერის მიერ. მან მემარჯვენე ჰეგელიანელობით დაიწყო, დ. შტრაუსის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ შემდეგ მემარცხენე ჰეგელიანელების ლიდერი გახდა. 1841-1842 წლებში გამოვიდა ბრ. ბაუერის წიგნი „სინოპტიკოსებისა და იოანეს სახარებათა ისტორიის კრიტიკა", სადაც დ. შტრაუსის საწინააღმდეგო აზრი იყო გამოთქმული იესო ქრისტეს პიროვნების შესახებ. ბაუერის შეხედულებით, რელიგიური წარმოდგენები კოლექტივის ცნობიერებაში არაცნობიერი გონის შედეგი კი არ არის, არამედ — სუბიექტის ცნობიერი მოღვაწეობისა, ე. ი. სახარებები და მათში მოთხრობილი სასწაუ-

ლები ერთეულ პიროვნებათა, კერძოდ – სახარებათა ავტორების გონების პროდუქტია. სახარებათა ისტორია არ არის მითებისაგან, ალეგორიებისაგან შედგენილი, არამედ ცნობიერი ტენდენციური სიცრუისაგანაა შეთხზული. აქედან გამომდინარე, ბაუერი მიიჩნევდა, რომ იესო ქრისტე რეალობაში საერთოდ არ არსებობდა და იგი სახარებათა ავტორებმა გამოიგონეს. სინამდვილეს განაგებს არა ობიექტური გონი ღმერთის სახით, არამედ მხოლოდ სუბიექტი თავისი კრიტიკული, სინამდვილის გარდამქმნელი და მამოძრავებელი გონებით.

1863 წელს გამოქვეყნდა ფრანგი ორიენტალისტის – ერნესტ რენანის (1823-1892) წიგნი „იესო ქრისტეს ცხოვრება". ეს იყო ერთ-ერთი ცბიერი ცდა ისტორიაში, რათა „დამაჯერებელი სტილითა და არგუმენტებით" ყოფილიყო გადმოცემული მაცხოვრის მიწიერი ცხოვრება. რენანის წიგნში, ჰეგელის კვალად, იესო გამოყვანილია I საუკუნის პალესტინის მკვიდრად, რომლის მორალურ ქადაგებებს გაუჩნდნენ მიმდევრები, ბოლოს კი ებრაელებმა მოკლეს. რენანის წიგნი მთლიანად სახარების საწინააღმდეგო სულისკვეთებით არის განმსჭვალული. მასში მრავალი ფაქტი ეჭვითაა დანახული, თხრობას კი ნოვატორობის ელფერი დაკრავს. ეს წიგნი ქართულ ენაზე თარგმნა და გამოსცა იაკობ ეკალაძე-ცინცაძემ. 1908 წელს თბილისში გამოვიდა ალექსი ბერის (შუშანია) წიგნი „განხილვა ერნესტ რენანის მოსაზრებათა ქრისტეს ცხოვრების შესახებ". ავტორმა მასში ორთოდოქსული პოზიციიდან განაქიქა რენანის აბდაუბდა, გვიჩვენა მისი სიყალბე და არამეცნიერული ხასიათი.

წმინდა ალექსი ღვთისკაცი წერდა: „მთელ რენანის მოსაზრებათა შორის იესოს ცხოვრების შესახებ გატარებულია ერთი მთავარი აზრი. რენანი ცდილა ჩამოეშორებინა იესოსათვის ღვთაებრივი სახე და ამ საზომით არჩევს იგი იესოს ცხოვრებას. ამით აიხსნება იმ შემთხვევათა არევ-დარევა, აზრთა დამახინჯება და წინააღმდეგობა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ხვდება რენანის ნაშრომის გულწრფელ მკვლევარს. რენანი უარყოფს ყოველივე იმას, რაც იესოს ზესთა ბუნებრიობას ღაღადებს და ამახინჯებს, ან თავისებურად ხსნის".

ქრისტიანობის გენეზისის მკვლევრები ცდილობდნენ I საუკუნის რომაელ მემატიანეთა ცნობებში ეპოვათ იესო ქრისტეს შესახებ „გარეშე" პირთა ე. წ. „დაუინტერესებელ" მოწმეთა ცნობები. სამწუხაროდ, ადრეული იმპერიის მთელი აქტუალური ისტორიოგრაფია, ტაციტუსსა და სვეტონიუსამდე, დაკარგულია (ერთადერთი გამონაკლისია ველეუს პატერკულის კონსპექტური ნაშრომი, რომლის მონახაზიც საკმაოდ ადრეულ ხანაში – 29 წელსაა გაკეთებული).

ტაციტუსი ქრისტიანობას მოიხსენიებს რომის ცნობილი ხანძრის აღწერისას, რომელსაც ნერონის დროს, 64 წელს, ჰქონდა ადგილი. ქალაქში გავრცელდა ხმები, თითქოს ხანძარი წინასწარგანზრახული იყო: „და აი, ნერონმა, ჭორები რომ გაეფანტა, მოძებნა დამნაშავენი და უმოწყალოდ დასაჯა ისინი, ვინც თავიანთი სიბილწით საყოველთაო სიძულვილი მოიპოვა და ვისაც ბრბო ქრისტიანებს უწოდებდა. ქრისტე, ვისი სახელის მიხედვითაც ეწოდათ მათ ასე, ტიბერიუსის დროს დასაჯა პილატე პონტოელმა, მაგრამ დროებით დათრგუნულმა მისმა მავნე ცრურწმენამ თანდათან კვლავ გამოუონა ზედაპირზე და არა მარტო იუდეაში, საიდანაც წამოვიდა ეს ბოროტება, არამედ რომშიც, სადაც ყოველი მხრიდან შემოდის ყველაფერი ბილწი, სამარცხვინო და პოულობს თავის მიმდევრებს". ამის შემდეგ ისტორიკოსი აღწერს ქრისტიანთა დასჯის პროცესებს, რომელნიც სანახაობასავით იყო გაფორმებული. არ არსებობს არავითარი საფუძველი, ეს ადგილი ტაციტუსის შრომიდან მივიჩნიოთ ნაყალბევად ან ინტერპოლაციად. სხვა საქმეა, როგორ ინფორმაციას შეიცავს იგი. ტაციტუსის მოყვანილი ფრაგმენტი ინფორმაციაა უფრო ქრისტიანული მოძრაობის დასაწყისზე, ვიდრე საკუთრივ იესო ქრისტეზე. ტაციტუსი წერდა 116-117 წლებში. ამ დროს იმის შესახებ, რომ ქრისტიანობა ჩაისახა იუდეაში, მისი გამავრცელებული იყო ვინმე „ქრისტე", შემდეგ რომაელ ხელისუფალთა მიერ დასჯილი და რომ მის დასჯაში რაღაც როლი

ითამაშა პროკურატორმა პილატე პონტოელმა, შეიძლებოდა მოეთხრო პირველსავე შემხვედრ ქრისტიანს (ტაციტუსის ამხანაგი პლინიუს უმცროსი ხომ ბითვინიაში პირადად მონაწილეობდა ქრისტიანთა დაკითხვაში). ტაციტუსის „ანალები" უფრო ღირებული წყაროა ქრისტიანობის ისტორიისთვის.

იგივე შეიძლება ითქვას სვეტონიუსის ცნობაზე იმპერატორ კლავდიუსის შესახებ: „იუდეველებს, რომელთაც გამუდმებით აღელვებდათ ქრისტე, იგი რომიდან დევნიდა". ამ „ქრისტეს" გამო, რომელზედაც სვეტონიუსმა მეტი არაფერი იცის, კლავდიუსის დროს რომის ებრაულ თემებში დიდი არეულობა სუფევდა.

იოსებ ფლავიუსის „იუდეველთა სიძველენში" ცალკე თავი ეთმობა იესოს (XVIII, 63-64). ეს ადგილი წაკითხვისთანავე იწვევს მკვლევრის გაკვირვებას: თავიდანვე თვალში მოგვხედება განცხადებანი იესოს ღვთაებრიობასა და მესიანისტურ ღირსებებზე, რომლებიც არ შეიძლება ეკუთვნოდეს ისეთ მორწმუნე იუდეველს, როგორიც იყო იოსები, არამედ მხოლოდ მორწმუნე ქრისტიანს, რისგანაც იგი ძალიან შორს იყო. ცხადია, ეს თავი გადაკეთებულია და სავსეა ქრისტიანი გადამწერის ინტერპოლაციებით, მაგრამ მართებული იქნება, იგი მთლიანად ერთ დიდ ინტერპოლაციად მივიჩნიოთ? თუ უნდა ვეცადოთ, გამოვაცალკევოთ მისგან სარწმუნო ელემენტები, სხვა ფენები კი უკუვაგდოთ? ეს საკითხი უახლოეს ხანებამდე ძალიან მწვავე, მაგრამ საკმაოდ უშედეგო დისკუსიის საგანი იყო, სანამ 1971 წელს სემიტოლოგმა შ. პინესმა მკაცრი ფილოლოგიური ანალიზის შედეგად არ დაამტკიცა, რომ პირველადი, ორიგინალური ტექსტი შემონახულია შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ხელნაწერებში, „იუდეველთა სიძველენის" ადრეული თარგმანის (ორიგინალიდან სირიულ ენაზე) წყალობით, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გადაკეთებული ქრისტიანთა მიერ. ეს სირიული თარგმანი, იოსების ცნობით, იესოზე მეცნიერებას შემოუნახა მისივე ციტატამ (არაბულ ენაზე) X საუკუნის ქრისტიანი ისტორიკოსის, აღაპიას, „მსოფლიო ისტორიაში" (ქითაბ ალ-უნვანი) იოსებზე პირდაპირი მითითებით. ჩვენთვის საინტერესო ადგილი იქ ასე იკითხება:

„ამ დროს იყო ბრძენი კაცი, სახელად იესო. მისი ცხოვრების წესი სანაქებო იყო, იგი განთქმული იყო კეთილშობილებით; იუდეველთაგან და სხვა ხალხთაგან ბევრი დაემოწაფა მას. პილატემ იგი ჯვარს აცვა და მოკლა; თუმცა მისმა მოწაფეებმა არ უარყვეს თავიანთი მასწავლებელი. ისინი ყვებოდნენ, თითქოს იგი გამოეცხადა მათ ჯვარცმიდან მესამე დღეს და იყო ცოცხალი. შესაბამისად, იგი იყო სწორედ მესია, რომელზეც წინასწარმეტყველნი სასწაულებს იუწყებოდნენ..."

ქრისტიანი რედაქტორის მიერ გადაკეთებული ბერძნული ტექსტისგან განსხვავებით, აქ არაა აღწერილი სასწაულები, იუდეველი უხუცესები არ არიან დადანაშაულებულნი იესოს სიკვდილში; რაც შეეხება იესოს აღდგომასა და მესიანისტურ ღირსებას, მთლიანად მის მოწაფეთა სინდისზეა დატოვებული. ესაა ქრისტიანობისადმი არა მტრული, მაგრამ უცხო ხმა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არავითარი საფუძველი აღარ არსებობს, რომ მთელი მონაკვეთი ამ სახით არ განვიხილოთ, როგორც ნამდვილი ტექსტი იოსებ ფლავიუსისა (იმ უმნიშვნელო დეფორმაციების გამოკლებით, რომელიც ტექსტმა განიცადა ჯერ ბერძნულიდან სირიულ, შემდეგ კი — სირიულიდან არაბულ ენაზე თარგმნისას).

იოსებ ფლავიუსის მეორე მთავარი თხზულება „იუდეის ომი" დაწერილი იყო ორ ვარიანტად: ბერძნულად — რომაელი მკითხველისთვის და არამეულად — იუდეველთათვის. შემონახულია მხოლოდ რომაული ვარიანტი, სადაც არც ერთხელ არ არის მოხსენიებული ქრისტიანობა, რაც თავისთავად გასაგებია: ფლავიუსების ოფიციალურ ისტორიოგრაფს, რომელიც ბერძნულენოვან მკითხველს არწმუნებდა იმპერიის ისტორიულ სიმართლესა და იუდეის პოლიტიკურ უბრალოებაში, არ სჭირდებოდა, ემსჯელა ამ საკითხებზე.

ქრისტიანობა დედამიწაზე მოიტანა არა რომელიმე მოციქულმა ან წინასწარმეტყველმა, არამედ — თვით განკაცებულმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ. მის მიერ

მოტანილი სარწმუნოება ქვეყნიერებაზე გაავრცელეს მოციქულებმა, როდესაც სხვადასხვა მხარეში დააარსეს წმინდა ეკლესია, პავლე მოციქულის თქმით, ჭეშმარიტების სვეტი და სიმტკიცე. ქრისტიანობა უპირველესად პაგანისტური რელიგიების საწინააღმდეგოდ ქადაგებდა ერთი არსის მქონე ღმერთის სამპიროვნულობასა და ძე ღმერთის გამომხსნელობით მისიაზე. რისთვის იყო საჭირო ძე ღმერთის განკაცება? როგორც ვიცით, ადამიანის შეცოდების შემდეგ გამრავლებული კაცობრიობა ცოდვის თანაზიარი გახდა. იგი ცოდვისგან გამოისყიდა სწორედ მაცხოვარმა. იესო ქრისტე იყო უკანასკნელი სისხლიანი მსხვერპლი, რომლის ჯვარცმით, აღდგომითა და ამაღლებით დაითრგუნა სიკვდილი, მოხდა პიროვნებისა და ღმერთის შერიგება. მაცხოვრის განკაცებით ადამიანში გამთლიანდა ღვთის ხატება და მსგავსება.

ქრისტიანობის უპირველესი წერილობითი დოკუმენტია საღვთო წერილი – ახალი აღთქმა – ძველი აღთქმის ლოგიკური დაბოლოება. ახალი აღთქმა არის კრებული ტექსტებისა, რომლებიც ეკლესიამ გამოყო მსგავსი თხზულებებიდან და როგორც სულიწმიდის ნაყოფი, ღვთივსულიერად სცნო. ახალი აღთქმა, რომელიც სეპტუაგინტასთან გაერთიანდა, ქრისტიანულ ბიბლიად ჩამოყალიბდა. ახალი აღთქმის წიგნთა დაკანონება ძირითადად II საუკუნეში მოხდა, მაგრამ დასრულდა IV საუკუნეში. მასში შედის 27 წიგნი: 4 სახარება, მელთაც მოჰყვება „მოციქულთა საქმეები", 21 ეპისტოლე (მათ შორის 14 ეკუთვნის პავლე მოციქულს) და იოანე მოციქულის გამოცხადება, ანუ აპოკალიფსი – ესქატოლოგიური ხასიათის თხზულება.

კანონიკური სახარებები მოგვითხრობს იესო ქრისტეს მოღვაწეობის რეალურ ფაქტებზე. მათში ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტები არაა გაყალბებული, სასწაულის ფენომენი უმართებულო კუთხით წარმოჩენილი და ა. შ. იესო ქრისტეს სახელი, რომელიც სხვადასხვა მხარეს განხდა, ხშირად იქცეოდა ამა თუ იმ მსოფლმხედველობის ინტერპრეტაციის საგნად. პირველ საუკუნეებში დაიწერა არაერთი აპოკრიფი, რომლებიც ავტორიტეტულობის მინიჭების გამო მოციქულთა სახელებს იყო ამოფარებული. ისინი ბევრად სხვაობს კანონიკური ტექსტებისაგან. ცხადია, სასწაულებრივი ელემენტი არც კანონიკური სახარებებისთვის არაა უცხო, მაგრამ უნდა განვასხვაოთ მითოლოგიური ხასიათის სასწაულები და რეალურად შესაძლო მოვლენები: მაგალითად, „ებრაელთა სახარებაში" ვკითხულობთ, რომ იესო სულიწმიდამ თმის ერთი ბეწვით გადმოსვა ჰაერიდან თაბორის მთაზე, ხოლო დროით კანონიკურ სახარებებთან ახლოს მდგარ „პეტრეს სახარებაში" ჯვარი თვითონ მიდის და მეტყველებს. აპოკრიფებში ურწმუნოება დაუყოვნებლივ ისჯება: მონა, რომელიც ნადიმზე თომა მოციქულს შეურაცხყოფს, პურობის დამთავრებამდე უკვე დაგლეჯილი აღმოჩნდება; ბიჭს, რომელიც გააფუჭებს პატარა იესოს მიერ გაკეთებულ საგუბარს, მაშინვე სნეულება შეიპყრობს.

ქრისტიანობამ დააკმაყოფილა ადამიანის უმთავრესი მოთხოვნა – გასცა პასუხი ცხოვრების საზრისს – რა არის ადამიანის არსი და მიზანი. ესაა პიროვნების მარადიული მყოფობა ღმერთთან, განღმრთობის რთული, მაგრამ უფლის თანადგომით ნეტარი პროცესი.

დასასრულ, ქვემოთ მოვიყვანთ ფრაგმენტებს დიდი რუსი თეოლოგის, დეკანოზ ალექსანდრე მენის, წერილიდან – „ქრისტიანობა":

„ქრისტიანობაში გამოვლინდა კოლოსალური ძალა რაღაც ახლისა. ეს ახალი მხოლოდ დოქტრინა არ იყო. იგი საუკუნეების მიერ მკვიდრად დაფუძნებული ცხოვრების წესის გარღვევაც გახლდათ თვისობრივად სრულიად ახლებური ცხოვრებით. კაცობრიობის უდიდესი მასწავლებლები – „უპანიშადების" ავტორი, ლაო ძი, კონფუცი, ბუდა, მუჰამედი, სოკრატე, პლატონი – ჭეშმარიტებას აღიქვამდნენ, როგორც მაღალი მთის მწვერვალს, რომელიც დიდი გაჭირვებით უნდა დაიპყრო. მართლაც, ჭეშმარიტების დაუფლება იოლი არაა. იგი სწორედ რომ მწვერვალია, რომელზეც სუნთქვაშეჭირვებული უნდა აბობღდე, წვეტიან ქარაფებს ჩაებღაუჭო, დროდადრო უკან მოიხედო და მიხვდე, რომ მთავარი ციცაბო აღმართი ჯერ კიდევ წინაა...

ქრისტიანობა არის ახალი ცხოვრება (და არა ახალი ეთიკა). ამ ახალ ცხოვრებას ადამიანი ღმერთთან უშუალო შეხებამდე მიჰყავს. სწორედ ესაა ახალი კავშირი, ახალი აღთქმა. ამავდროულად, ის საიდუმლოებაცაა. რატომ იზიდავს კაცობრიობას ასე ძალუმად იესო ქრისტეს პიროვნება? ვიცით, თუ რაოდენ დამდაბლებული შემოვიდა იგი ამ ცხოვრებაში. ადგილი არ ჰქონდა ბრძენთათვის დამახასიათებელ ეზოთერულ იდუმალებას ან აღმოსავლური ფილოსოფიის პოეტურ ეგზოტიკურობას. ყოველი მისი სიტყვა იყო სადა, ნათელი, იგავნი ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მაგალითებია...

ისევ და ისევ, რას ნიშნავს რწმენა იესო ქრისტესი? რწმენა იმისა, რომ ის ცხოვრობდა მიწაზე, არ არის რწმენა — ეს ცოდნაა. მის თანამედროვეებს ახსოვდათ იგი, ევანგელისტებმა მისი არსებობის სარწმუნო საბუთი დაგვიტოვეს, დღევანდელი ისტორიკოსიც დაგეთანხმებათ, რომ ნამდვილად იყო ასეთი პიროვნება. სხვადასხვა პროპაგანდისტის მცდელობა იმის თაობაზე, რომ ქრისტე მხოლოდ მითია, დიდი ხანია მტვერივით წარიხვეტა... მაშ, რა არის რწმენა იესო ქრისტესი, თუკი მისი არსებობის აღიარება ან რწმუნება იმისა, რომ იგი სხვა სამყაროდან მოგვევლინა, სიმართლეა, მაგრამ საბოლოოდ მაინც თეორიაა და სხვა არაფერი. აქ უნდა გავიხსენოთ ის რწმენა, რომელიც დეკლარირებულია ძველ აღთქმაში: ნდობა ყოფიერების მიმართ. ის ნდობა იშვა მაშინ, როდესაც აბრაამმა თანხმობა აღუთქვა ღმერთს, უფრო სწორად, უთქმელად, ქედმოხრით მიენდო მის ნებას...

თუკი ჩვენ ერთხელ კიდევ დავეკითხებით საკუთარ თავს, რაში მდგომარეობს ქრისტიანობის არსი? პასუხი უნდა იყოს შემდეგი: ქრისტიანობის არსი ღმერთკაცობრიობაა, დროით განსაზღვრული ადამიანის სულის შერწყმა დაუსაბამო ღვთაებრივ სულთან, ეს არის გვამის განწმენდა, რამეთუ ოდეს ძემ კაცისამ გაითავისა ჩვენი ტანჯვა, სიხარული, გარჯა, სიყვარული, ჩვენი ბუნება, გარემო, დედამიწა ახალ საფეხურზე განსპეტაკდა. ქრისტიანობა განწმენდა, ბოროტების დათრგუნვა, ცოდვის დაძლევაა. ეს არის ღმერთის გამარჯვება. იგი დაიწყო აღდგომის ღამეს და გრძელდება აწ და უკუნისამდე".

ისლამი

თანამედროვე სამყაროში ისლამი ერთ-ერთი დიდი მსოფლიო რელიგიაა. მისი მიმდევრების რიცხვი რვაას მილიონს აჭარბებს. იგი წარმოიშვა არაბეთის ნახევარკუნძულზე VII საუკუნეში და სწრაფად იწყო გავრცელება. ამ რელიგიის ფუძემდებელია მექელი პიროვნება მუჰამედი, რომელმაც მისი მიერ ქადაგებული რელიგიის პირველ მიმდევრებად საკუთარი გარემოცვის წევრები აქცია. ისლამის უმთავრესი წიგნია ყურანი, როგორც მუსლიმთა საღვთო სიტყვა. ამ ტექსტში დაცული მოძღვრება არის ისლამის უპირველესი რჯულდებითი წყარო. ისლამი უნდა განვიხილოთ მკაცრ მონოთეისტურ რელიგიად, რომელმაც იმთავითვე პრეტენზია განაცხადა ზენაციონალობასა და საყოველთაო ჭეშმარიტებაზე. ისლამის შესწავლასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია არაბული წარმართული რელიგიის ცოდნა, ასევე – მუჰამედის ბიოგრაფიის ცალკეული დეტალები, ისლამის აღმოცენების თავდაპირველი პერიოდი. ბუნებრივია, ისლამის გაცნობისას უნდა ჩამოგვიყალიბდეს ცოდნა ამ რელიგიის დოგმატურ და საკულტო მოძღვრებაზე, წმინდა წიგნებზე და ა. შ.

დღეს მსოფლიოს ისლამური ქვეყნები პირობითად შეიძლება გავაერთიანოთ ეთნოლინგვისტური კლასიფიკაციით. ამ მხრივ გამოიყოფა არაბული (სემიტური), ინდოირანული (ინდოარიული), თურქული და მალაიური ჯგუფები. არაბული ისლამური სახელმწიფოები (ქვეყნები, სადაც ცხოვრობენ არაბები და საუბრობენ არაბულ ენაზე) ძირითადად მდებარეობს მახლობელ აღმოსავლეთსა და აფრიკაში (საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, პალესტინის ავტონომია ისრაელში, ომანი, კატარი, ბაჰრეინი, ქუვეითი, იემენი, იორდანია, სირია, ერაყი, ლიბანი, ალჟირი, მაროკო, ლიბია, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა, ტუნისი...); ინდოირანული ეთნოსების შემცველი ქვეყნებია: ირანი, ავღანეთი, ტაჯიკეთი, პაკისტანი. თურქულენოვანი ისლამური სახელმწიფოებია: თურქეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი. მალაიურ ჯგუფში შედის მალაიზია და ინდონეზია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ისლამი აბრაამისტული ტიპის რელიგიებს განეკუთვნება.

აბრაამი სამ რელიგიას მიაჩნია სულიერი ხაზის სათავედ. შუამდინარეთის ურიდან წამოსული ამ სემიტის ცხოვრება მოთხრობილია ბიბლიის „დაბადების" წიგნში. მას, ვიდრე ვაჟი ეყოლებოდა სარასგან, ეგვიპტელ მხევალ აგართან შეეძინა შვილი, რომელსაც ისმაილი უწოდა. სწორედ ისმაილის ჩამომავლებად ითვლებიან არაბები. არაბული ენა ებრაულთან ერთად განეკუთვნება სემიტური ენების ოჯახს. აბრაამის უმცროსი ვაჟის, ისააკისაგან, წარმოიშვა ებრაელი ერი. ქრისტიანობაში აბრაამი ძველი აღთქმის მართალ მამამთავართა რიგში მოიხსენიება; მოციქული პავლე საუბრობს მასზე, როგორც რწმენით გამართლებულზე.

არაბული ტომების ცენტრალურ ქალაქს არაბეთის ნახევარკუნძულზე მექა წარმოადგენდა. იგი იყო, აგრეთვე, მთავარი საკულტო ადგილი არაბული პაგანიზმისა. აქ მდებარეობდა ქააბას ტაძარი წარმართულ ღვთაებათა მთელი კომპლექსით. მექის მფარველი ღვთაების – ჰუბალას – გარშემო იდგა 360 კერპი. ქააბას ტაძრის აღმოსავლეთით მოთავსებული იყო შავი ქვა. საერთოდ, ქვების, როგორც მარადიულობის სიმბოლოთა, კულტი, ფართოდ იყო გავრცელებული წინაისლამურ არაბეთში. ამდენად, მექის მოლოცვა საპატიო საქმედ ითვლებოდა და ისლამმაც თითქმის უცვლელად გადმოიღო მისი ფორმა და შინაარსი.

არაბეთის ნახევარკუნძულზე ისლამის გამარჯვების შემდეგ ქააბას ტაძრის ირგვლივ გაანადგურეს ყველა კერპი, მაგრამ დარჩა შავი ქვის კულტი, რომელიც ჰაჯის რიტუალის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, თუმცა ისლამმა მას თავისებური ინტერპრეტაცია მისცა: თითქოს იგი ალლაჰმა აჩუქა ადამს, როცა მიწაზე გაძევებულმა მექას მიაღწია. შავი ქვა თავდაპირველად იყო თეთრი იაგუნდი, მაგრამ მოგვიანებით გაშავდა ადამიანთა ცოდვების გამო, რათა მათ არ დაენახათ

სამოთხე, რომელიც მის სიღრმეში ჩანდა. შავი ქვა ქააბაში ადამმა მოათავსა, შემდეგ ის გადაიტანეს მექის მახლობლად ალ-კუბაისის მთის სამალავში. როდესაც იბრაჰიმმა (ბიბლიურმა აბრაამმა) აღადგინა ქააბა, ანგელოზმა ჯიბრაილმა გადმოიტანა ქვა სამალავიდან და ის იბრაჰიმს გადასცა.

ქააბას ტაძრიდან 20 მეტრში გათხრილი იყო ცნობილი ზემზემის ჭა. ამ ჭიდან წყლის დალევა და განბანვა ჯერ კიდევ ისლამამდე არაბების აუცილებელი რიტუალი გახლდათ. მას ისმაილის ჭასაც უწოდებენ, რადგან, მუსლიმების წარმოდგენით, ზემზემი ალლაჰის მითითებით გაჭრა ანგელოზმა ჯბრაილმა და წყალი ამოადინა ჩვილი ისმაილის ფეხებთან, რომელიც წყურვილისგან იტანჯებოდა.

ისლამის ფუძემდებლის – მუჰამედის – ცხოვრება დაკავშირებულია არაბული სამყაროს წმინდა ქალაქებთან – მექასა და მედინასთან. ბავშვობაში დაობლებული მუჰამედი ბიძების გარემოში იზრდებოდა. მას იზიდავდა მარტოობა და რელიგიური იდეები, თუმცა ამისათვის შესაფერისი განათლება არ ჰქონია. მდიდარ ქვრივზე – ხადიჯაზე – დაქორწინებით მუჰამედმა გზა გაიკაფა ვაჭრობასა და მოგზაურობებში. მალე მან ქადაგება დაიწყო ერთიანი უზენაესი ღმერთის შესახებ. მუჰამედის თქმით, ეს ის ღმერთი იყო, რომლისაც ებრაელებსა და ქრისტიანებსაც სწამდათ. მუჰამედს გამოუჩნდნენ როგორც მომხრეები, ასევე – მოწინააღმდეგეები, რამაც გამოიწვია მის მიერ მშობლიური ქალაქის – მექას – დატოვება და მედინაში გადასახლება. ესაა ე. წ. ჰიჯრა – ისლამური წელთაღრიცხვის დასაბამი (622 წ.). მოგვიანებით მუჰამედი ტრიუმფით დაბრუნდა მექაში. მისმა მონოთეისტურმა მოძღვრებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ახალი რელიგია არაბი ერის კონსოლიდაციის საწინდარი გახდა. წინასწარმეტყველად აღიარებული მუჰამედი დიდებით შემოსილი გარდაიცვალა 632 წელს. მისი სიკვდილის შემდეგ სწრაფად დადგა ისლამური თემის – უმმას მეთაურობის საკითხი, რაც მალე გადაიზარდა ისლამური სამყაროს ორ ბანაკად გაყოფაში.

სუნიზმი და შიიზმი

არაბულად ტერმინი „შიია" ნიშნავს ერთ მიმდევარს ან მთელ ჯგუფს. იგი ყურანშიცაა გამოყენებული. მაგალითად, აბრაამი ცხადდება ნოეს შიიად. მოგვიანებით, ამ ტერმინის ქვეშ ალის მიმდევრები იგულისხმებოდნენ. შიიტები მიიჩნევენ, რომ წინასწარმეტყველ მუჰამედის მემკვიდრე იმამები უშუალოდ მისი ოჯახიდან უნდა ყოფილიყვნენ. შიიტურმა ისლამმა არ ცნო მუჰამედის შემდეგ სამი ხალიფას – აბუ ბექრის, ომარისა და ოსმანის – კანონიერება და მუჰამედის უშუალო მემკვიდრედ მისი სიძე, მეოთხე ხალიფა ალი აღიარა. ამის გამო შიიზმში ალის განსაკუთრებულობაა ხაზგასმული. წინა პლანზეა წამოწეული ის წყაროები, რომლებშიც ალის ავტორიტეტი მაღლდება. მაგალითად, იბნ ასაქირი მოგვითხრობს, რომ მუჰამედმა ალის უთხრა შემდეგი სიტყვები: „ვფიცავ იმის თავს, ვისაც ჩემი სიცოცხლე ხელთ უპყრია და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანი და მისი შიიტები იქნებიან ბედნიერნი მკვდრეთით აღდგომის დღეს". იბნ ალ-ათირი მოგვითხრობს, თუ როგორ მიმართავს წინასწარმეტყველი ალის: „ო, ალი! შენ და შენი შიიტები მიაღწევთ ღმერთს და იქნებით კმაყოფილებით აღსავსე და შენი მტრები სიბრაზით საკუთარ კანში ვეღარ დაეტევიან". მსგავსი გამონათქვამები შიიტებს ალის ერთგულ მიმდევრებად წარმოაჩენს. შიიტებს სწამთ, რომ ალი იყო პირველი იმამი და მის შემდეგ გაგრძელდა იმამატის ინსტიტუცია ალისა და ფატიმას შთამომავლობაში, რომელიც ღმერთმა გამოარჩია, ხოლო წინასწარმეტყველმა გააცნო. მაგალითად, ზამახშარი თავის რაბი ალ-აბრარში მოგვახსენებს, რომ წინასწარმეტყველმა თქვა: „ო, ალი! როდესაც მოვა

მკვდრეთით აღდგომის დღე, მე ღმერთი დამიჭერს. შენ დაგიჭერ მე და შენ დაიჭერ შენს შთამომავლებს". შიიტები აღნიშნავენ, რომ ალი თვით მუჰამედმა აღიარა თავის მემკვიდრედ. გადმოცემით, წინასწარმეტყველი მასზე ამბობდა: „სიბრძნე ათ ნაწილად იყოფა. ცხრა ნაწილი მინიჭებულია ალისადმი და ერთი ნაწილიც მოიხმარება დანარჩენი ხალხის მიერ".

შიიტები ალის, როგორც მუჰამედის კანონიერი მემკვიდრის, აღიარებას იმ ფაქტშიც ხედავენ, რომ ალი წინასწარმეტყველის ოჯახის წევრი (სიძე) იყო. მუჰამედს მიეწერება ფრაზა: „ორი მემკვიდრე დავტოვე: პირველი, ღვთის წიგნი, რომელიც თოკის მსგავსად გაჭიმულია ზეცასა და დედამიწას შორის და მეორე – ჩემი ოჯახი".

როგორც ითქვა, შიიტები იმამის ინსტიტუტს წინასწარმეტყველების გაგრძელებად მიიჩნევენ. იმამი არაბულად ნიშნავს – ლიდერს. შიიტების გაგებით, იმამი არის ადამიანი, რომელსაც ევალება პოლიტიკური და რელიგიური საკითხების მოგვარება ისლამურ ერებში. უფრო ზუსტად, იმამს ღმერთი ნიშნავს მკაფიო დანიშნულებით, რომ მიეახლოს მუსლიმ საზოგადოებას, განუმარტოს და დაიცვას რელიგია და კანონი და გაუძღვეს ამ საზოგადოების საქმეებს.

იმამი არის ღმერთის წარმომადგენელი დედამიწაზე და მუჰამედის სამართალმემკვიდრე. მას უნდა ჰქონდეს წმინდა ცოდნა ყურანის ეგზოტერული და ეზოტერული მნიშვნელობის შესახებ. სუნიტურ ისლამში ტერმინ იმამს ხალიფას ეკვივალენტად მიიჩნევენ. ფაქტობრივად ეს ტერმინები იდენტურად მოიაზრება.

შიიტური ისლამი ასწავლის, რომ მუჰამედის საქმის გამგრძელებელი იყო 12 იმამი.

1. იმამი ალი – მუჰამედის ბიძაშვილი და სიძე, ფატიმას ქმარი. მან პირველმა აღიარა ისლამი. ზემოთ უკვე ვახსენეთ შიიტურ წყაროებში დაცული მისი გამორჩეულობა. ალი დაიბადა 600 წელს და 63 წლის ასაკში ქალაქ ქუფაში მოწამეობრივად აღესრულა. დაკრძალულია ქ. ნაჯაფში. მისი იმამობა 4 წელსა და 9 თვეს გაგრძელდა.

2. იმამი ჰასანი – იმამ ალის პირმშო გახლდათ. ალის მოწამეობის შემდეგ 10 წელს იცოცხლა და 48 წლისა მუავიას ბრძანებით მოწამლეს. იგი ქ. მედინაში განისვენებს.

3. იმამი ჰუსეინი – ალის ვაჟი, ჰასანის ძმა. იგი ებრძოდა მუავიასა და მის ვაჟს – იეზიდს, რადგან ეს უკანასკნელი თავისი უმეცრებით ისლამს ფეხქვეშ თელავდა. იმამმა ჰუსეინმა იეზიდის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა. 682 წელს ქერბალაში (ერაყი) იმამი ჰუსეინი ამ უკანასკნელის ხელით მოწამეობრივად აღესრულა. მისი სიკვდილის ხსოვნიდან აღმოცენდა აშურას დღესასწაული, როდესაც შიიტები თვითგვემას მიმართავენ და გაბმულად კითხულობენ იმამი ჰუსეინის მოწამეობრივ აღსასრულს. ამას თან ახლავს მორწმუნეთა სამგლოვიარო შეძახილები.

4. იმამი ზეინალ აბიდინი – იგი იმამ ჰუსეინის ძე იყო. ქერბალას მოვლენების დროს სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ იეზიდმა ტყვედ წაიყვანა. ეწამა 715 წელს.

5. იმამი ბაგირი – იმამ ზეინალის ძე. გარდაიცვალა 736 წელს.

6. იმამი სადიკი – იმამ ბაგირის ვაჟი. სადიკი ზედწოდებაა, სახელად კი ჯაფარი ერქვა. მისი ცხოვრება თანხვდება აბასიდების დროს, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინებას.

7. იმამი მუსა ქაზიმი – იმამ სადიკის ძე. გარდაიცვალა 800 წელს. იგი გამოირჩეოდა დიდი ზნეობით და საუკეთესო მოსწავლეები აღზარდა. ცნობილია, რომ მას აბასიდების ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდისათვის უთქვამს: „მე ხალხთა გულებს დავეპატრონე, ხოლო შენ მათს სხეულებზე მეუფებო".

8. იმამი რეზა – იმამ ქაზიმის შვილი. ხელისუფლებაში ალ-მამუნის მოსვლის შემდეგ იგი მამუნმა მედინადან ხორასანში მიიპატიჟა, რათა ხორასნის გამგებლად დაენიშნა. იმამი რეზა დათანხმდა, რადგან საშუალება ეძლეოდა, გავლენა მოეხდინა მართვაზე. იგი დაკრძალულია ხორასანში, ქ. მეშჰედში (ირანი). მისი საფლავი შიიტური სამყაროს უდიდესი სიწმინდეა.

9. იმამი ჯავადი – იმამ რეზას ვაჟი. ბავშვობიდან განთქმული იყო თავისი გონიე-

რებით. ხალიფა ალ-მამუნმა მას თავისი ასულიც მიათხოვა. იცოცხლა მხოლოდ 25 წელს.

10. იმამი ჰადი – ისლამური აზრის დამცველი; მისი მოწაფეების სახელები ჰადისებს შემორჩა. ეწამა 875 წელს.

11. იმამი ასკარი – მამამისის მსგავსად, ისიც იდევნებოდა ხელისუფლების მხრიდან. ეწამა 875 წელს. დაკრძალულია ქ. სამარაში.

12. იმამი მეჰდი – იმამ ასკარის შვილი. მას მუჰამედი ერქვა, ხოლო მეჰდი ერთ-ერთი შერქმეული სახელია. დაიბადა 870 წელს და ექვს წლამდე უხილავი იყო. მას მხოლოდ ოთხი ადამიანი უკავშირდებოდა. 12 წლის ასაკში, შიიტების რწმენით, იგი უკვალოდ გაქრა და კვლავ მოევლინება სამყაროს მისი აღსასრულის წინ, რათა დაამყაროს სამართლიანობა. ეს მომენტი ამეღავნებს შიიზმის განსაკუთრებულ ესქატოლოგიურ ხასიათს, განსხვავებით სუნიზმისაგან.

შიიტებს სჯერათ, რომ მეთორმეტე იმამი ისევ ცოცხალია, მაგრამ გაუჩინარებულია და მიმდინარეობს მზადება მისი ხელახალი მოვლინებისთვის.

შიიტებისთვის უდიდესი წმინდანია მუჰამედის ქალიშვილი და იმამ ალის ცოლი – ფატიმა. ა. ყარამალექი თავის წიგნში – „ისლამური აზრი" – გვაწვდის ფატიმას ეპითეტებს: ზეჰრა (ნათელი), მარზია (ღმერთი მისგან მადლიერი), რაზია (იგი ღვთისგან მადლიერი). იმამ სადიკის თქმით, როგორც ზეცა ჰფენდა ნათელს მიწას, ასევე წმინდა ფატიმა აცისკროვნებდა ზეცას. იგი მამამისს იმდენად უყვარდა, რომ მოციქული მას „უმმი აბიჰას", ანუ „მამამისის დედას", უწოდებდა. ალი ფატიმას გამოცხადებებსაც იწერდა, რომელიც „სუჰუფი ფატიმას", ანუ „ფატიმას ფურცლების", სახელითაა ცნობილი და შიიტთა რწმენით, მეთორმეტე იმამთანაა. ფატიმა მამამისის გარდაცვალებიდან 75 დღის შემდეგ 18 წლისა მიიცვალა. მისი საფლავის ადგილი უცნობია.

შიიტებმა ყურანს დაუმატეს ერთი სურა „ორი მნათობის" სახელით. მათ ღრმად სწამთ, რომ რეალურად არსებული იმამები სარწმუნოებრივ საკითხებში გაცილებით დიდი ავტორიტეტით არიან მოსილნი, ვიდრე – წერილობითი გადმოცემები. ისინი არ ცნობენ სუნას – ყურანის დანართს, რაც სუნიტებისთვის ავტორიტეტულ წყაროდ მიიჩნევა. შიიტები, ასევე, შეუძლებლად მიიჩნევენ საერო და სასულიერო ხელისუფლების გაერთიანებას. აღიარებენ მხოლოდ იმ ჰადისებს, რომლებიც გვამცნობს მუჰამედის გამონათქვამებს ალისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ. მისაღებად მიაჩნიათ დროებითი ქორწინების ინსტიტუტი, რაც გარკვეულ გარიგებადაა მიჩნეული.

სუნიზმი აღიარებს სუნიტად იმ მუსლიმს, რომელიც ცნობს მუჰამედის შემდგომ ოთხ კანონიერ ხალიფას. ამასთან, იგი აუცილებლად უნდა ეკუთვნოდეს ოთხი სუნიტური სამართლებრივი სკოლიდან (ჰანიფიტური, მალიქიტური, შაფიიტური და ჰანბალიტური) ერთ-ერთს. ეს სკოლები შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა და დღემდე მათი მოქმედების არეალი დიდია.

ყველაზე მრავალრიცხოვან შიიტურ სახელმწიფოდ მიიჩნევა ირანი, ხოლო ყველაზე დიდი სუნიტური სახელმწიფო ინდონეზიაა.

ისლამის საკულტო სწავლება

ისლამი მოითხოვს საკულტო ქმედებებს, რომელთა შესრულებაც მორწმუნე მუსლიმისთვის სავალდებულოა. უპირველესი ნიშანი, რითაც მუსლიმი თავის რელიგიურ მრწამსს გამოხატავს, არის საჰადა, ანუ ე. წ. დამოწმებაა: „ვადასტურებ, რომ არ არის სხვა ღმერთი, გარდა ალაჰისა, და მუჰამედია მოციქული მისი". ამ ფორმულის ხშირი გამეორებით მორწმუნე ადასტურებს თავისი რწმენის შეუვალობასა და სიმტკიცეს.

ყოველი მუსლიმი, რომელიც მოწიფულობის ასაკს მიაღწევს, ვალდებულია, დღეში ხუთჯერ ილოცოს (სალათ), ლოცვის დაწყებამდე კი ვალდებულია, ჩაატაროს

განწმენდის, განბანვის რიტუალი (ვუდუ). შემდეგ ის უნდა დადგეს სახით მექისკენ და გამოხატოს ზრახვა, რომ იმ დროის ლოცვა უნდა აღავლინოს ღმერთთან მისაახლოებლად. ეს ზრახვა შენარჩუნებული უნდა იყოს მთელი ლოცვის განმავლობაში. რეალური ლოცვა იწყება მაშინ, როდესაც მლოცველი ახსენებს ღმერთს; ალაჰუ აქბარ (ღმერთი დიადია). ამ ფრაზით ის შედის ლოცვისთვის საჭირო მდგომარეობაში, რომელშიც რჩება ლოცვის დასრულებამდე. ყველა ლოცვა ორი ან ოთხი ნაწილისგან შედგება, მათ რაქა ეწოდება და მისი თითოეული ნაწილი მოიცავს: ა) ციტირებას ყურანის დასაწყისიდან და კიდევ ერთი თავიდან; ბ) ქედის მოხრას და ამ მდგომარეობაში ღმერთის ქებასა და შესხმას. გ) ორ მეტანიასა (საჯდაჰს) და ღმერთის დიდებას.

ლოცვები მთავრდება დამოწმებით, რომ ღმერთი ერთია, მას არ ჰყავს ბადალი და მუჰამედი მისი მსახური და მოციქულია დედამიწაზე.

სავალდებულო ლოცვა სრულდება განთიადისას, მზის ამოსვლის შემდეგ, ნაშუადღევს, მზის ჩასვლის წინ და ჩასვლისას. ისლამის წმინდა დღეა პარასკევი. ამ დროს მთავარ მეჩეთში სრულდება საპარასკეო ლოცვა, რომელსაც იმამი ხელმძღვანელობს. სხვა ლოცვების წარმოთქმა შეიძლება როგორც მეჩეთში, ასევე – სახლშიც, საგანგებოდ მოწყობილ ადგილას – პატარა ხალიჩაზე. აკრძალულია ლოცვა უსუფთაო ადგილებში, სასაკლაოებზე, არაფხიზელ მდგომარეობაში.

ღვთისმსახურების შემდეგი აქტი არის მარხვა რამადანის თვეში, ისლამური კალენდრის მეცხრე თვეს. ამ თვეში მუსლიმები თავს იკავებენ ჭამისგან, დალევისა და თავიანთ მეუღლეებთან განთიადიდან მზის ჩასვლამდე სქესობრივი კონტაქტისგან. მარხვას ეთიშებიან ავადმყოფები, მოგზაურები, მოხუცები. იგი წრფელი გულით უნდა შესრულდეს. ისლამური სწავლებით, მარხვა ხალხს ახსენებს, რომ ისინი იღებენ ღვთის წყალობას, რაც გამოიხატება საკვებში, რომელსაც მიირთმევენ ყოველდღიურად. მარხვა ეხმარება მდიდარს, დაინახოს, თუ რას გრძნობს ღარიბი შიმშილისას.

ყოველი ზრდასრული მუსლიმი, რომელსაც ფინანსური მდგომარეობა უწყობს ხელს, ვალდებულია, ერთხელ მაინც მოიაროს მექა ისლამური კალენდრის მეთორმეტე თვეს, რომელსაც „დუ ჰიჯა" ეწოდება. ყველაზე მნიშვნელოვანი მეჩეთი მსოფლიო მუსლიმებისთვის არის მასჯიდ ალ-ჰარამი, რომელიც ქაბის სავანეა და მექაში მდებარეობს. მუსლიმები სახით ქაბისაკენ დგანან ლოცვის დროს. ქაბა კუბის ფორმის კონსტრუქციაა, აგებული წინასწარმეტყველ აბრაამისა და მისი ვაჟის, ისმაელის, მიერ მანამდე ადამ წინასწარმეტყველის აგებული ტაძრის საფუძველზე. მექაში პილიგრიმობა არის სიმბოლური აღდგენა იმ გზისა, რომელიც უმთავრესმა მონოთეისტმა აბრაამმა განვლო უხსოვარ დროს.

პილიგრიმობა მექაში ადამიანს აძლევს დიდ გამოცდილებას ისეთ საკითხებში, როგორებიცაა სრული მიუკერძოებლობა, ძმობა, თანასწორობა. ყოველ წელს ასი ათასობით მუსლიმი სხვადასხვა ქვეყნიდან ტოვებს სახლ-კარს, საქმეს და მიემგზავრება მექასკენ, რომელიც უდაბნოში მდებარეობს (საუდის არაბეთი). იქ ყველას ერთნაირად აცვია და იშლება მუსლიმთა შორის სოციალური ნიშნით სხვაობა. მოლოცვა, ანუ ჰაჯის რიტუალი (არაბ. ჰაჯუჯუნ – პილიგრიმი), რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ვსაა არა მარტო ქაბას ტაძრის, არამედ – ზემზემის ჭის, საჰასა და მერვას გორაკების მოლოცვაც.

მოწყალების გაღება ისლამური კულტის აუცილებელი ნაწილია. ზაქათი, ანუ სავალდებულო ქველმოქმედება, არის არა ჩუქება, არამედ სხვისი წილის გაცემა. მათ, ვისი ქონება, საქონელი, მარცვლეული, ოქრო-ვერცხლი აჭარბებს რაღაც გარკვეულ რაოდენობას, ზაქათით უნდა გადაუხადოს უფრო შეჭირვებულ ნათესავებს, ობლებს, ღარიბებს და ა. შ. ზაქათი შეიძლება დაიხარჯოს საკვებზე, თავშესაფრებზე, ბავშვთა სახლებზე. ზაქათი ღმერთისთვის კეთდება. ისლამის თანახმად, იგი ხელს უწყობს სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას და წმენდს სულს.

დასასრულ, უნდა შევეხოთ ე. წ. ჯიჰადის (ჰაზავათი) საკითხს. ჯიჰადი ისლამში განიხილება, როგორც საღვთო ომი. ყველა მუსლიმმა უნდა იბრძოლოს და იღვაწოს ღმერთისთვის სხვადასხვა გზით და დაიცვას ისლამის რელიგია მტრებისგან. ისლამი ასწავლის, რომ რეალურად ჯიჰადი ყოველთვის არსებობდა ადამიანის შექმნის დღიდან მოყოლებული. იგი იყო ბრძოლა კეთილსა და ბოროტს, ღმერთსა და სატანას შორის. შიიტების რწმენით, ეს ბრძოლა მეტ-ნაკლებად გაგრძელდება მანამ, ვიდრე დედამიწაზე არ დამკვიდრდება სამართლიანობა, რომელსაც მართავს ალ-მაჰდი.

მნიშვნელობა არ აქვს, რით აღსრულდება ჯიჰადი – კალმით, სიტყვით, იარაღითა თუ სხვა საშუალებით. ის ყველა შემთხვევაში წმინდა განზრახვით უნდა განხორციელდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კეთდება ღმერთისთვის. ჯიჰადის არასწორმა გაგებამ გამოიწვია ჩვენს ეპოქაში ფანატიკური ისლამური დაჯგუფებების აღმოცენება, რომელთა მიერ პრაქტიკაში ტერორიზმი და ძალადობა დაინერგა.

ყურანი

ყურანი ისლამის წმინდა წიგნია. მასზეა დაფუძნებული ამ რელიგიის ზნეობრივი, დოგმატური და სამართლებრივი ნორმები. მისი ეტიმოლოგია უკავშირდება არაბულ ზმნას – კითხვას (არაბ. კარაყა – წაიკითხა; ნამყო დრო, მესამე პირი, მხოლობითი რიცხვი, მამრობითი სქესი).

მუსლიმური ტრადიციის თანახმად, ყურანის ტექსტი უფალმა ხალხს გარდამოუვლინა უშუალოდ, ანგელოზ ჯიბრაილის (გაბრიელის) საშუალებით, მუჰამედისათვის შთაგონების სახით, რომელიც ამ ღვთაებრივ შთაგონებებს, თავის მხრივ, ქადაგებებით გადასცემდა თანატომელებს, მექის მაცხოვრებლებს, ხოლო მოგვიანებით – მედინელებს. ყურანის 53-ე სურაში მუჰამედი ამტკიცებს, რომ მან ნახა ალლაჰი, რომელიც „ჰორიზონტზე გამოჩნდა", „მიუახლოვდა და დაეშვა თავისი მონისაკენ", აღმოჩნდა მისგან „ორი მშვილდის მანძილზე ან უფრო ახლოს" და „გაუხსნა მას ის, რაც გაუხსნა". ამგვარად, მუსლიმური ტრადიციის თანახმად, ყურანი – ესაა ჩანაწერი ღვთიური ზეშთაგონებისა, რომელიც ესმოდა მუჰამედს, ღვთის სიტყვაა, გარდმოვლენილი მოციქულის საშუალებით.

მეცნიერებაში ყურანის ავტორობის შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულება. ზოგი მეცნიერი ყურანს მიიჩნევს რამდენიმე პირის კოლექტიური შემოქმედების შედეგად, რომლებიც ქმნიდნენ მას მრავალი ათწლეულის განმავლობაში. ყურანის შინაარსისა და სტილის ანალიზის საფუძველზე ისინი გამოთქვამენ ვარაუდს მისი რამდენიმე შრის (ფენის) არსებობის შესახებ. სხვები თვლიან, რომ ყურანის შემქმნელი იყო მუჰამედი და რომ იგი მუჰამედის ქადაგებების კრებულია.

ყურანი შედგება 114 სურისგან (თავები), სურები – აიებისგან (მუხლები). პირველ სურას ეწოდება „გამხსნელი" და შედგება ექვსი აიასგან. მასში განდიდებულია სამყაროს შემოქმედი – სამსჯავროს დღის მბრძანებელი. შემდეგი სურები (2 – „ძროხა", 3 – „იმრანის სახლეული", 4 – „ქალები", 5 – „მაგიდა", 6 – „საქონელი", 7 – „ზღუდეები", 8 – „ნადავლი", 9 – „მონანიება"...). შედარებით ვრცელია და ზოგი მათგანი 150-ზე მეტი აიასგან შედგება. ბოლოს მოცემულია საკმაოდ მცირე სურები (105 – „სპილო", 109 – „ურწმუნონი", 114 – „კაცნი") და სულ რამდენიმე აიას შეიცავს. სურები იყოფა მექისა და მედინის სურებად. მათი კლასიფიკაცია მოგვცა თ. ნოელდეკემ.

მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ ომარი შიშობდა, რომ წმინდა წერილის ტექსტი მთლიანად არ დაკარგულიყო და დაარწმუნა აბუ ბაქრი (დაახლ. 633წ.), ებრძანებინა ზეშთაგონებების შეკრება. თავიდან აბუ ბაქრი მერყეობდა, რადგან

წინასწარმეტყველს ამის შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ ბოლოს მან დათმო და მიმართა ახალგაზრდა ზეიდ იბნ საბითს, რათა მას შეეკრიბა ყველაფერი რისი პოვნაც შეეძლო (იგულისხმება ჩაწერილი ფრაგმენტები) და ისიც, რაც მუჰამედის თანამოღვაწეთა მეხსიერებაში იყო შემონახული. ეს ნაწყვეტები ზეიდ იბნ საბითმა გააერთიანა, გადაწერა ცალკეულ ფურცლებზე და აბუ ბაქრს გადასცა. ეს იყო ყურანის პირველი ჩანაწერი, რომელსაც არ მიუღია ოფიციალური აღიარება.

აბუ ბაქრის გარდაცვალების შემდეგ ყურანის პირველი ჩანაწერი ხალიფა ომარის საკუთრება გახდა, რომელმაც, გადმოცემის თანახმად, ის თავის ქალიშვილს, მუჰამედის ერთ-ერთ ქვრივს, ჰაფსას, უანდერძა. იმხანად ეს არ იყო ერთადერთი რედაქცია. მასალის სხვა გადამუშავებები მიეწერება მუჰამედის ოთხ თანამოღვაწეს: უბეია იბნა ქააბას, აბდალაჰ იბნ მა'სუდს, აბუ მუსა აბდალაჰ ალ-აშარის და მიყიდად იბნ ამრს. ამ ჩანაწერების ტექსტები, როგორც აღმოჩნდა არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ისინი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან და ზეიდის მიერ გაკეთებული ჩანაწერებისაგან როგორც სურების შემადგენლობით, რაოდენობითა და მიმდევრობით, ასევე – არსით და აზრობრივად. ეს განსხვავებები წარმოშობდა უთანხმოებას მორწმუნეთა შორის. ხალიფა ოსმანმა (დაახლ. 650წ.) გადაწყვიტა ყურანის საბოლოო რედაქციის დადგენა. მან მიმართა პირველი დამუშავების ავტორს, ზეიდ იბნ საბითს, და დაჰხმარეები მიუჩინა. ზეიდმა მის მიერ ჩაწერილი მასალა შეავსო მოციქულთან სხვა ახლოს მდგომი პირების ნაამბობზე დაყრდნობით, რომელთაც მოსმენილი ჰქონდათ მოციქულის ქადაგებები. გადმოცემის თანახმად, ზეიდი და მისი თანაშემწეები ძალიან კეთილსინდისიერად მუშაობდნენ. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, გაეგოთ ბუნდოვანი ადგილების აზრი და ძალიან წინდახედულად მოქმედებდნენ ტექსტში დამატებებისა და შესწორებების შეტანის დროს.

ოსმანს სურდა, რომ შემუშავებული ვერსია საერთო მუსლიმური გამხდარიყო, ამიტომ მან ტექსტი კანონიკურად გამოაცხადა და ყველა სხვა არსებული ჩანაწერი, რომლებიც შემონახული იყო თიხისა და სპილენძის ფირფიტებზე, ძვლებსა თუ პალმის ფოთლებზე, გაანადგურებინა. მისი ბრძანებით დაამზადეს კანონიზირებული ტექსტის ოთხი ასლი, რომლებიც გაიგზავნა სახალიფოს ოთხ უმნიშვნელოვანეს ცენტრში – მექაში, დამასკოში, ქუფასა და ბასრაში.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყურანის რედაქციამ, რომელიც ხალიფა ოსმანის ბრძანებით შესრულდა, არ განიცადა შემდგომში ცვლილებები. ეს გამოიხატებოდა ყურანის სურებად და აიებად დაყოფაში, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მათში დიაკრიტიკული ნიშნები დაისვა. დიაკრიტიკული ნიშნები შემოიღეს არა უადრეს 702 წლისა, როცა ეს სამუშაო ირაკ ბენ იუსუფ ალ-ჰაჯაჯმა (660-714) შეასრულებინა. ამ დროამდე ყურანის კითხვაში არსებითი განსხვავებები შეიძლებოდა გამოეწვია იმასაც, რომ ძველ არაბულ დამწერლობაში არ აღინიშნებოდა ასოთა გაორმაგება, გრძელი და მოკლე ხმოვნები, რის გამოც გაუგებარი იყო, ესა თუ ის ზმნა წარსულ დროში გამოიყენებოდა თუ აწმყოში და ა. შ. ყურანის სურების დასათაურებაც გაცილებით გვიან მოხდა. X-XI საუკუნეებისთვის ჩამოყალიბდა ყურანის კითხვის შვიდი წესი, რომელთაგან დღემდე არსებობს ორი: პირველი – ეგვიპტეში შემუშავებული, ხოლო მეორე – ჩრდილო აფრიკაში.

ყურანის ტექსტების შემონახული უძველესი ხელნაწერი თარიღდება VII საუკუნის დასასრულით ან VIII საუკუნის დასაწყისით, ე. ი. განეკუთვნება ალ-ჰაჯაჯის დავალებით შესრულებული რედაქციის პერიოდს. უძველეს ხელნაწერს წარმოადგენს ე. წ. ყურანის ოსმანისეული რედაქციაც (უფრო სწორად, ზეიდ-ოსმანის), რომელიც ღვთისმეტყველთა შორის საუკუნეების განმავლობაში ითვლებოდა პირველწყაროდ, საიდანაც ასლები კეთდებოდა. გადმოცემის თანახმად, ხალიფა ოსმანი სწორედ ამ ხელნაწერის კითხვის დროს მოკლეს ალის მომხრეებმა. ოსმანისეულ ხელნაწერს უკვე აქვს დიაკრიტიკული ნიშნები, მაგრამ მასში ჯერ კიდევ არ არის

არაბულ დამწერლობაში მიღებული სხვა ნიშნები.

ყურანი, ბუნებრივია, დაწერილია არაბულ ენაზე (სემიტური ენების ოჯახი) და არაბულად შექმნილი პირველი პროზაული ძეგლია.

მას არ ახასიათებს სისტემურობა, მოვლენათა თხრობის თანმიმდევრულობა. ამის გამო, – აცხადებდა ფრანგი ორიენტალისტი ე. რენანი, – „ბოლო სურათა გამოკლებით, ყურანის ხანგრძლივად კითხვა აუტანელი პროცესია". თ. ნოელდეკე მიანიშნებს, რომ „ყურანში პოეზია რიტორიკითაა ჩანაცვლებული". აღმოსავლეთმცოდნეების ნაწილი მიანიშნებდა ყურანის გარკვეულ ესთეტიკურ ღირებულებაზე.

ისლამი, როგორც აბრაამისტული რელიგია, აღიარებს მუჰამედამდე არსებული წინასწარმეტყველების ტრადიციას.

„ვინც იწამა და არ შებღალა თავისი რწმენა უსამართლობით, ისინი უსაფრთხოდ არიან და ადგანან სწორ გზას. ეს ჩვენი საბუთია, რომელიც ვუბოძეთ იბრაჰიმს თავისი ხალხის წინააღმდეგ. ვამაღლებთ ხარისხებით, ვისაც ვისურვებთ. შენი უფალი ბრძენია, მცოდნე. და ვუბოძეთ მას ისჰაკი და იაკუბი. ყველანი დავაყენეთ სწორ გზაზე და ადრე ნოეც დავაყენეთ სწორ გზაზე, ხოლო მისი შთამომავლობიდან დაუდი და სულაიმანი და აიუბი და იუსუფი და მუსა და ჰარუნი და ამგვარად ვაჯილდოებთ კეთილისმყოფელს და ზაქარია იაჰი და 'ისა და ილიასი – ყველანი ალალ-მართლები არიან და ისმა'ილი და ალ-იასა'ი და იუნუსი და ლუტი – ისინი, ყველანი ავირჩიეთ სამყაროთაგან და ძმათაგან – ჩვენ ავირჩიეთ ისინი და ვატარეთ სწორი გზით" (ყურანი, 6:82-87).

წარმოდგენილ აიებში 18 წინასწარმეტყველია ჩამოთვლილი, რომლებიც 4 ჯგუფში ერთიანდებიან. პირველი ჯგუფია: აბრაამი (იბრაჰიმ), აბრაამის ძე – ისააკი (ისჰაკ) და ისააკის ძე – იაკობი (ია'კუბ). ყურანის მიხედვით, აბრაამი იყო პირველი, ვისაც წმინდა წერილი გარდამოევლინა (ყურანი, 87:17-19), თუმცა, კომენტარებში აღნიშნულია, რომ ამ წმინდა წერილს ჩვენამდე არ მოუღწევია. მეორე ჯგუფში შედიან: ნოე (ნუჰ), დავითი (დაუდ), სოლომონი (სულაიმან), იობი (აიუბ), იოსები (იუსუფ), მოსე (მუსა) და აარონი (ჰარუნ). ისინი, ყველანი, ეწოდნენ აქტიურ ცხოვრებას და ყურანში „სიკეთის მქმნელებად" იწოდებიან. მესამე ჯგუფი – ზაქარია, იოანე ნათლისმცემელი (იაჰია), იესო ქრისტე ('ისა ალ-მასიჰ) და ელია (ილიას) – შედგება არა აქტიური ადამიანებისგან, არამედ – ჭეშმარიტების მქადაგებლებისგან, რომლებიც განმარტოებით ცხოვრობდნენ. ისინი „ალალ-მართლებად" მოიხსენიებიან და, შეიძლება ითქვას, იესო ქრისტეს გარშემო არიან გაერთიანებულნი, რადგან ზაქარია იყო იოანე ნათლისმცემლის, იესოს წინამორბედის მამა. იესო იოანე ნათლისმცემელს, როგორც ელიას, ისე მიმართავდა: „იგია ელია, რომელიც უნდა მოვიდეს" (მათე, 11:14). მეოთხე ჯგუფი – ისმაილი (ისმა'ილ), ელიშა (ალ-იასა'), იონა (იუნუს), ლოთი (ლუტ) – აერთიანებს ადამიანებს, რომლებიც შეებრძოლნენ მრავალ უსამართლობას და არ გადაუხვევიათ ალაჰის მიერ ნაჩვენები გზისათვის. მათგან ყველაზე მთავარი არის ისმაილი, რომელიც არაბთა მამამთავრადაა აღიარებული.

ისლამი აგრეთვე უარყოფს იესო ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებას, მის მამასთან ერთარსობას. ისლამი იესო ქრისტეს მხოლოდ მოციქულად მიიჩნევს, რაც უკვე საკმარისი პირობაა ქრისტიანულ თეოლოგიასთან მისი რადიკალური დაპირისპირებისა.

საინტერესოა, საიდან უნდა სცოდნოდა ისლამის ფუძემდებელ მუჰამედს ინფორმაცია სახარების შესახებ და რა წყაროებით სარგებლობდა, როდესაც მსჯელობა ეხებოდა იესო ქრისტეს? მის დროს არ არსებობდა ბიბლიის ან ახალი აღთქმის სრული არაბული ვერსია, თუმცა შესაძლებელია მონასტრებსა და ეკლესიებში ჰქონდათ წმინდა წერილის ცალკეული, ძირითადად ლიტურგიისთვის აუცილებელი ადგილების თარგმანები. იბნ ისჰაკ ალ-მუტალიბის (VIII ს.) იმ ცნობის პასუხად კი,

რომელიც ამ თვალსაზრისის მოწინააღმდეგედ მოჰყავთ ხოლმე და რომლის მიხედვითაც მუჰამედის პირველი ცოლის, ხადიჯას, ბიძაშვილი ვარაკა იბნ ნავ ალი ქრისტიანი იყო და საღვთო წერილს იცნობდა, მკვლევრები აცხადებენ, აღნიშნული ცნობა შესაძლოა იმის დასტური იყოს, რომ ვარაკა იბნ ნავ ალი სირიულ ენაზე კითხულობდა (ან უკითხავდნენ) სახარებასო, მაგრამ, ამას გარდა, ისიც ფაქტია, რომ ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცულია არაბული ოთხთავის ერთი ძველი ხელნაწერი, რომელიც, უკანასკნელი გამოკვლევის მიხედვით, VIII საუკუნის დასასრულით თარიღდება.

ბიზანტიის იმპერია ყველანაირად ცდილობდა აქ ქრისტიანობის გავრცელებას. არაბეთის ნახევარკუნძულზე ქრისტიანობის ყველაზე დიდ ცენტრად ქალაქი ნაჯრანი ითვლებოდა. ამ ქალაქში რამდენიმე ეკლესიაც იყო აგებული. არსებობს მონათხრობი, რომლის თანახმად მუჰამედი ბიძამ, 'აბდ ალ-მუტალიბმა, ერთხელ სირიაში ქრისტიან ბერ ბაჰირას გააცნო. ამ უკანასკნელმა ყმაწვილში მომავალი წინასწარმეტყველი ამოიცნო და სთხოვა ბიძამისს, ბავშვს გაფრთხილებოდა. ევროპელი მკვლევრები მას მოგვიანო ხანის მუსლიმთა ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევენ. მუჰამედზე, აგრეთვე, დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა ხადიჯას ზემოხსენებულ ბიძაშვილს – ვარაკა იბნ ნავ ალის, რომელიც არწმუნებდა მოციქულს, რომ მასზე ზეგარდამოვლენილი აიები შეიძლება შეედარებინათ იმისათვის, რაც მუსას (მოსეს) ღვთისგან ებოძა.

ყურანში მხოლოდ იესო ქრისტეს მიემართება ეპითეტი – სიტყვა. მის თაობაზე მუსლიმ თეოლოგებს შორის არსებობდა სხვადასხვა შეხედულება: 1. ისევე, როგორც ადამიანები ღვთის სიტყვის მეოხებით ჭეშმარიტების გზაზე დგებიან და გზააბნევას გადარჩებიან ხოლმე, იესოს არსებობითაც ჭეშმარიტების გზით წარემართნენ; ამდენად, იესო ადამიანთა დამოძღვრასა და განათლებაში, მათი სრულქმნილების გზით წაყვანისას ღვთის სიტყვის თანაზიარია. 2. ისა (ასე ეწოდება იესოს ყურანში) ჯერ კიდევ აკვანში იწვა, როცა უფალმა გამოცხადება მისცა და მ[illegible]ველების უნარი უბოძა. ყურანის სურა ამბობს: „ჭეშმარიტად მე ვარ მონა ალაჰისა, მან მიბოძა მე წიგნი და დამადგინა წინასწარმეტყველად" (სურა XIX, აია 30). იესოს ეს თავისებურება, რომ ამქვეყნად მოვლინებისთანავე გამოცხადება ებოძა და ლაპარაკი დაიწყო, გახდა საფუძველი იმისა, რომ მისთვის ღვთის სიტყვა ეწოდებინათ.

იოანეს სახარებაში მაცხოვარს, აგრეთვე, ეწოდება „სიტყვა", მაგრამ თავისი ჭეშმარიტი შინაარსითა და არა იმგვარი ინტერპრეტაციით, რომლის საფუძველზეც იესო ქრისტე ქმნილებამდე ეშვება. იოანეს სახარების მიხედვით, სიტყვა არის ძე ღმერთი. იესო ქრისტე უკვე განკაცებული მაცხოვარია. ვიდრე შობამდე ძე ღმერთი არასდროს არ იწოდება იესო ქრისტედ (აქ იგულისხმება მარიამისაგან შობამდე). სიტყვა მხოლოდშობილს ნიშნავს ისევე, როგორც მისი სახელებია ნათელი, პური, კარი, ცხოვრება, აღდგომა. სიტყვა უწოდა მახარებელმა, რათა ეჩვენებინა უვნებელი შობა მამისგან. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ აზრი სიტყვის გარეშე? როგორც კი აზრი მოდის, მაშინვე სიტყვა არის მასთან. ამით განცხადდა ძის მამასთან ერთარსობა.

ყურანის მიხედვით, იესო შექმნილია მსგავსად სხვა ყველაფრისა, ისევე, როგორც მის მიერ შექმნილი თიხის ჩიტები, რომლებიც ალლაჰის ძლიერებით ნამდვილ ფრინველებად გადაიქცნენ. მუჰამედს ზეპირი გზით უნდა სცოდნოდა აპოკრიფული „თომას სახარების" ის ადგილი, სადაც იესო გამოძერწავს 12 ბეღურას და მათ სიცოცხლეს მიანიჭებს. ყურანში ამ აპოკრიფულ შინაარსს ერთადერთი ფუნქცია აქვს: ალლაჰის ძლევამოსილებას ადასტურებს. მართალია, ჩიტები იესომ გამოძერწა და გააცოცხლა, მაგრამ ეს ყველაფერი უფლის ნებით მოხდა. აღნიშნული ნარატივი თავისებური მაგალითია ყურანისა და ისლამის მიმართებისა იესო ქრისტეს ფენომენთან. აქ მკაცრი მონოთეისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე უარყოფილია იესოს ღვთაებრიობა და, შესაბამისად, წმინდა სამების დოგმატი. ყურანში იესო,

როგორც აღინიშნა, შექმნილია პირველმქმნელის – ალლაჰის – მიერ. იგი მხოლოდ მოციქულია, რომელსაც უფლის დანაბარების ადამიანებამდე მიტანა ევალება. მაშასადამე, ყველა სასწაული, რომელსაც იესო მოიმოქმედებს, ალლაჰის ნებართვით ხდება. იესოც ისევეა შექმნილი, როგორც ის ჩიტები, მის მიერ თიხისგან გამოძერწილნი, ალლაჰმა კი, რომელმაც ამ ჩიტებს შთაბერა სული, თავის დროზე ზუსტად ასევე გააცოცხლა იესო, რომელზეც ყურანში ნათქვამია: „'ისას (იესოს) იგავი ალ-ლაჰისათვის იგივეა, რაც იგავი ადამისა, რომელიც მან მიწისგან შექმნა. შემდგომ უთხრა მას: – „იყავნ!" – და იქმნა" (სურა III, აია 59). საინტერესოა შემდეგი ადგილი: „და აჰა, მან შექმნა თიხისაგან ჩიტის ქანდაკი, ჩემი ნებით და ჩაჰბერა მასში სული და იქმნა მოფრენილად, ჩემი ნებით" (სურა V, აია 110). ორჯერ გამეორებული „ჩემი ნებით" არაა უბრალო ტავტოლოგია. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ იესომ თიხის ქანდაკი უფლის ნებით შექმნა, სული შთაბერა და ჩიტმა ფრენა დაიწყო, ანუ გაცოცხლდა ღმერთის ნებით.

ყურანის მიხედვით, ქრისტიანთა ერთ-ერთი მთავარი შეცდომა არის ის, რომ მათ იესო ღმრთეებამდე აამაღლეს და ჭეშმარიტ ღმერთს, სამყაროს შემოქმედს, ალლაჰს, ჩაუზიარეს, 'ისა მასიჰი კი ალ-ლაჰის ერთ-ერთი მოციქული გახლდათ და ღვთის თანაზიარობა თვითონ არასდროს დაუჩემებია. პირიქით, ყურანში იგი მუდმივად მკაფიოდ აცხადებს, რომ ღვთის ერთი ჩვეულებრივი მონათაგანია და არაფერი უთქვამს ხალხისთვის იმის მეტი, რისი თქმაც ალლაჰისაგან ჰქონდა ნაბრძანები. ამის შესახებ ლაპარაკია „მაგიდის სურის" 116-ე და 119-ე აიებში. ამ მონაკვეთის თანახმად, განკითხვის დღეს ალლაჰი იესოს ჰკითხავს: „განა შენ უთხარი ხალხს, აგვირჩიეთ მე და დედაჩემი ორ ღვთაებად თვინიერ ალ-ლაჰისაო?" ამ შეკითხვას კი იესო შემდეგნაირად პასუხობს: „დიდება შენდა! არასოდეს ყოფილა მეთქვას ის, რისი უფლებაც არ გამაჩნია". იქვე დასძენს: „და ეს რომ მეთქვა, გეცოდინებოდა კიდეც. შენ უწყი გულში რა მიდევს, მე კი არ ვიცი შენი ზრახვანი. ჭეშმარიტად შენ ხარ დაფარულთა ზემეცნიერი" (სურა V, აია 116). იესოს ღვთაებრიობის უარყოფას უკავშირდება მისი ჯვარცმის უარყოფაც. ყურანში ნათქვამია:

„და მათი სიტყვების გამო – ჩვენ მოვკალითო ალ-მასიჰ 'ისა იბნ მარიამი – მოციქული ალ-ლაჰისაო. მაშინ, როცა არც მოუკლავთ და არც ჯვარზე უცვიათ, არამედ მათ ასე მოეჩვენათ. ისინი კი, ვინც უთანხმდებოდნენ ამის თაობაზე, ეჭვში არიან მასზე და არა აქვთ მის შესახებ ცოდნა, გარდა ვარაუდების მიყოლისა. ის კი ნამდვილად არ მოუკლავთ! არამედ აამაღლა ალ-ლაჰმა თავისთან და ალაჰი ძლევამოსილია, ბრძენთა-ბრძენი" (სურა IV, აია 157-158).

ამ საკმაოდ ბუნდოვან აიებს უკავშირდება შემდგომდროინდელი ისლამური თეოლოგიის დაბეჯითებული მტკიცება, რომ განსხვავებით ქრისტიანებში მიღებული თვალსაზრისისგან, იესო არც მოუკლავთ და, მით უმეტეს, არც ჯვარზე გაუკრავთ, არამედ ალლაჰმა თავის წიაღში ცოცხლად აამაღლა.

დამოწმებული აიების ბუნდოვანება მათი თამამი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ტრადიციული მუსლიმური შეხედულებით, ამ მონაკვეთის აზრი ის არის, რომ იესო არ მოუკლავთ და არც ჯვარზე გაუკრავთ. არამედ ჯვარცმისას მათ ღმერთმა იესოს სახით მოაჩვენა ერთი კაცი, იესო კი საკუთარ წიაღში ცოცხლად აიყვანა. ერთი რიგაიათის ვერსიით კი, ეს ჯვარცმული კაცი უნდა ყოფილიყო სიმონ კვირინელი.

საინტერესოა, რომ აზრი იესოს ნაცვლად სიმონ კვირინელის ჯვარცმაზე გვხვდებოდა ბასილიდელების გნოსტიკურ სწავლებაში. ბასილიდესა და მისი მიმდევრების შესახებ ცნობებს გვაწვდის ეპიფანე კვიპრელი. ბასილიდე ამბობდა, რომ ივნო არა იესომ, არამედ სიმონ კვირინელმა, რომელიც ჯვრის აკიდების ჟამს გარდაისახა იესოდ, ხოლო სიმონი იესოდ და ამ გზით მან (იესომ) თავისი თავის ნაცვლად სიმონი გასცა ჯვარზე საცმელად. როდესაც ჯვარს აცვამდნენ სიმონს, მის წინ უხილავად

იდგა იესო, რომელიც დასცინოდა სიმონის ჯვარმცმელებს. იგი აღდგა ზეციურთა მიმართ, ჯვარცმისათვის გასცა სიმონი, თვით კი უვნებლად აღვიდა ზეცად. სიმონი ჯვარს ეცვა და არა ქრისტე, – ასკვნის ბასილიდე. ჯვარცმის უამს, მისი თქმით, იესო აფრინდა ცაში, განვლო ყოველნი ძალნი და კვლავ მიუბრუნდა იგი თავის მამას.

როგორც ვნახეთ, ეგვიპტეში გავრცელებული ბასილიდელების მოძღვრება ზედმიწევნით ჰგავს ყურანის მონათხრობს იესოს ზეცაში უვნებლად აღყვანებაზე.

ყურანში იესო ქრისტეს მიეწერება კანონიკურ სახარებებში მოთხრობილი მოვლენები (სნეულთა განკურნებანი, მკვდართა აღდგინება), აგრეთვე აპოკრიფულ სახარებებში მოთხრობილი ისტორიები (ფრინველთა გაცოცხლება) და საკუთრივ მუჰამედის ფანტაზიით შექმნილი ამბები. ამ უკანასკნელ კატეგორიას განეკუთვნება „მაგიდის სურის" შემდეგი ადგილი: „აი, თქვეს მახარებლებმა: ო, 'ისა იბნ მარიამ, შეუძლია შენს უფალს, რომ ზეგარდამოავლინოს მაგიდა ციდანო? მიუგო: გეშინოდეთ ალ-ლაჰისა, თუ ხართ მორწმუნენი! უთხრეს: გვინდა, რომ ვჭამოთ მისგან, გული დავირწმუნოთ, გავიგოთ, რომ მართალს გვეუბნები და ვიყოთ მოწმენი მისიო. თქვა 'ისა იბნ მარიამმა: მეუფეო და უფალო ჩვენო, ზეგარდამოავლინე მაგიდა ციდან, რომ იყოს დღესასწაული ჩვენთვის, დღესასწაული ჩვენი წინაპრებისა და შთამომავლობისთვის და სასწაული შენგან; სარჩო გეიბოძე ჩვენ, რამეთუ შენ ხარ საუკეთესო სარჩოს მომცემი. ბრძანა ალ-ლაჰმა: მე გარდმოგიბოძებთ თქვენ მას (მაგიდას), იმას, ვინც არ ირწმუნებს თქვენს შემდეგ, დავსჯი სასჯელით, რითაც ჯერ არავინ დამისჯია სამყაროთაგან" (სურა V, აია 112-115).

მოყვანილი ფრაგმენტიდან ირკვევა, რომ შემწეებმა იესოს, მის მიერ ალლაჰის ნებით ჩადენილი მრავალი სასწაულის (ჩიტის გამოცოცხლება, ბრმათა და კეთროვანთა გამოჯანსაღება) მიუხედავად, კიდევ ერთხელ მოსთხოვეს სასწაულის ქმნა უფლის ძალით.

როგორც ვნახეთ, ისლამის რელიგიაში იესო ქრისტეს პიროვნება მოციქულის რანგს არ სცილდება. მართალია, აქ აღიარებულია მისი უბიწოდ ჩასახვა ქალწულ მარიამში, მაგრამ უარყოფილია იესოს ღვთაებრიობა. ისლამური თეოლოგიიდან გამომდინარე, განკითხვის დღეს ალლაჰის სამსჯავროზე აბრაამისტულ რელიგიათა აღმსარებელნი, რომელთა შორის მუჰამედის მიერ მოტანილი ისლამიც იგულისხმება, ყველა თავისი წმინდა წერილისა და რწმენის ხარისხის შესაბამისად განისჯება. თუმცა, როგორც არაერთგზის ითქვა, იქ, სადაც დაკარგულია იესო ქრისტეს ჭეშმარიტი სახე, ყოველგვარი ცხოველმყოფელი მადლი იკარგება.

რაც შეეხება ქალწულ მარიამს, ვისგანაც ხორციელად იშვა იესო ქრისტე. ყურანში მასთან დაკავშირებული რამდენიმე პასაჟია გამოსაყოფი: იგი წარმოჩენილია, როგორც მუჰარრარი, ანუ „გათავისუფლებული", რომელიც მისი მეურვის, ზაქარიას, მიერ საგანგებოდ აგებულ „მიჰრაბში" ცხოვრობდა. მუსლიმი თეოლოგები მიიჩნევენ, რომ მიჰრაბი მიწისქვედა ნაგებობა იყო და მიწის ზედაპირზე მხოლოდ მისი სახურავი ჩანდა. მას დატანებული ჰქონდა პატარა კარი, რომლის გაღების შემდეგ მიჰრაბში კიბე ეშვებოდა. ყურანი მოგვითხრობს, რომ მიჰრაბში შესული ზაქარია მარიამის წინ ყოველთვის ხედავდა სარჩოს და ეკითხებოდა, თუ საიდან ჰქონდა მას ეს, რაზეც მარიამი პასუხობდა: ეს ალაჰისგანაა. ჭეშმარიტად ალაჰი მისცემს სარჩოს უანგარიშოდ, ვისაც ინებებს (შდრ. ყურანი, სურა III, აია 38). მიჰრაბის ხანაში ხდება მარიამის ხარება. III სურაში, რომელსაც ეწოდება „იმრანის სახლეული", ვკითხულობთ: „და აი, უთხრეს ანგელოზებმა: ო, მარიამ, ალაჰმა გამოგარჩია შენ, განგწმინდა და გამოგარჩია სამყაროთა ქალებში. ო, მარიამ, წრფელად დაემონე შენს უფალს, თაყვანი ეცი და მუხლი მოუყარე მუხლმომყრელებთან ერთად". ხარების ისტორია უფრო ვრცლადაა მოთხრობილი „მარიამის სურაში": „და გაიხსენე წიგნში მარიამი. აჰა, იგი განმარტოვდა თავის აღმოსავლეთის მხარეს და მათგან კრეტსაბმელით მოიფარა. და წარეუგზავნეთ მას ჩვენი სული, რომელიც მას სრულქმნილ

კაცად გამოეცხადა. უთხრა (მარიამმა): მე საშველად მივაშურებ მოწყალეს შენგან, თუკი შენ ხარ ღვთის მოშიშიო. მიუგო: არამედ, მე ვარ მოციქული შენი უფლისა, რათა გიწყალობო სათნო ყრმაო. უთხრა: საიდან მეყოლება მე ყრმა, როცა კაცი არ შემხებია და არა ვყოფილვარ გარყვნილიო. უთხრა: ამგვარად თქვა შენმა უფალმა: ეს ადვილიაო ჩემთვის. და აჰა, დავადგენ მას სასწაულად ხალხისათვის და მოწყალებად ჩვენი წიაღიდან. საქმე უკვე გადაწყვეტილია!" (XIX, 16-21).

იესო ქრისტეს მხოლოდ მოციქულად მიჩნევას ემსახურება ისლამის წიაღში აღმოცენებული არაერთი რელიგიური წიგნი. ამ მხრივ მუსულმანები აქტიურად მოღვაწეობენ დღესაც. 1991 წელს აშშ-ის ქალაქ მაიამიში გამოიცა აბდ არ-რაჰმან აბდ ალ-ხალიკ იუსუფის წიგნი „თვით ბიბლია მოწმობს, რომ იესო ალაჰის მონა და წინასწარმეტყველია". მასში ყურანზე დაყრდნობით ავტორი უარყოფს იმას, რომ იესო არის ძე ღვთისა. იგი თვლის, რომ ეს სახარებაში მოგვიანებით ჩაამატეს. ასევე, სიცრუედ მიაჩნია მას იესოს შეპყრობა, ჯვარზე გაკვრა და ძმრის დალევა, რამეთუ ალაჰი არ მისცემდა მტერს თავისი წინასწარმეტყველის დამცირების უფლებას. ალაჰმა იხსნა ყველა მისი წინასწარმეტყველი, შეეწია მათ და თავისუფლება უბოძა, მათ შორის, იესოსაც. მართლმორწმუნენი შეიძლება აწამონ, ჯვარს აცვან და სხვა მრავალი ტანჯვა მიაყენონ, მაგრამ ეს ალაჰისაგან მოვლენილი გამოცდაა. თუკი ალაჰი მტერს მისი წინასწარმეტყველის დაჩაგვრის უფლებას მისცემდა, უბრალო მომაკვდავთ და თვით მორწმუნეებსაც კი ღმერთის უძლეველობაში ეჭვი შეეპარებოდათ და წინასწარმეტყველებსაც ღვთის გზავნილებად აღარ მიიღებდნენ. ამით ავტორი ამტკიცებს, რომ ქრისტე არ უწამებიათ და ალაჰმა იგი ცოცხალი ზეცად აამაღლა.

აღნიშნული წიგნის ბოლოს ავტორი შენიშნავს, რომ დღევანდელი ბიბლიის მცირედ ცდომილებას ორი ფაქტი ადასტურებს: 1. ხშირად სახარების ერთ მოთხრობაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრია გატარებული, რაც ვერ აიხსნება; 2. ყურანი არის ღვთის მიერ ბოძებული ბოლო წმინდა წიგნი, უკანასკნელი ნება, რომელიც, ამავე დროს, სიახლის მასწავლებელიცაა. საინტერესოა, რის საფუძველზე აცხადებს ავტორი სახარებისეულ ამბებს ურთიერთსაწინააღმდეგოდ. ქრისტიანებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ წმინდა წერილში არაფერია წინააღმდეგობრივი. ავტორი ვერანაირი არგუმენტით ვერ ასაბუთებს ვერც იმას, რომ ყურანი ღვთისგანაა ბოძებული.

ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი თხზულება, რომელიც ყურანის განმარტებას ეძღვნება, არის „თაფსირი", რომლის ავტორობაც მუკათილ იბნ სულაიმანს მიეწერება. ამის შემდეგ ყურანის განმარტება ბევრმა მუსლიმმა თეოლოგმა დაისახა მიზნად.

სუფიზმი

„შენ კი, რომელიც არსად იწყები,
გვითხარი მაინც, სად მიგვიძღვები?"
მევლანა

სუფიზმი ისლამის წიაღში ჩამოყალიბებული მისტიკური მიმდინარეობაა. მისი წარმოშობა უკავშირდება VIII–IX საუკუნეებს. სუფიზმის წარმომადგენლები თავიანთ თავს „არიფებს" ანდა „სუფიებს" უწოდებდნენ. თვით მიმდინარეობის სრული სახელია „თასავვუფი", „ირფანი", „სუფიზმი". ტერმინ „თასავვუფის" ყველაზე მართებული ეტიმოლოგია, ალბათ, არაბულ სფა ძირს უკავშირდება, რაც მატყლის, უხეში შალის სამოსელს აღნიშნავს. ადრეული ხანის მუსლიმი განდეგილები, რომლებმაც მერე სხვადასხვა სუფიურ საძმოში მოიყარეს თავი, ასე იმიტომ იწოდებოდნენ,

რომ ძირითადად უხეში შალის სამოსელი ეცვათ და მათი ჩაცმულობა სავსებით შეესაბამებოდა ასკეტიზმისა და მეუდაბნოეობის იმ მოდელს, რომელსაც ეს ადამიანები ამკვიდრებდნენ. ისლამური მისტიციზმის მეორე ტრადიციული სახელწოდება ირფანი (ან სპარსული წარმოთქმით – ერფანი) არაბული 'არაფა ძირიდან მომდინარეობს და შემეცნებას აღნიშნავს. ეს სახელწოდება, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება სუფიების იმ აღიარებულ დებულებას, რომლის თანახმად ღვთის შესამეცნებლად საჭიროა გონების სრული იგნორირება. შემეცნების ერთადერთ წყაროდ სუფიები გულს, გრძნობის მამოძრავებელ ძალას აღიარებენ. უფრო ზუსტად, მათთვის ცნობილი იყო ის საიდუმლო, რომ ორსულობის ათი დღის თავზე ჩნდება მანათობელი, მფეთქავი წერტილი, რომელიც ემბრიონის ერთმანეთისაგან ჯერ კიდევ გაუთიშველ გულსა და გონებას წარმოადგენს. უხეშად რომ ვთქვათ, ეს არის გული, რომელიც, ამავე დროს, ტვინია და ტვინი, რომელიც, იმავდროულად, გულია. სუფიური შემეცნების იარაღი სწორედ ეს გაუთიშველი გრძნობა-გონებაა.

სუფიზმში, როგორც მისტიკურ მიმდინარეობაში, ღვთის შემეცნების გზა – „ტარიკათი" რამდენიმე (ტრადიციულად შვიდი ან ცხრა) საფეხურისაგან შედგება და ამ საფეხურებს, თავის მხრივ, „ვადიის", ანუ ხეობას, უწოდებენ. ღვთის საძიებელ გზაზე შემდგარი კაცი, „მურიდი", თავდაპირველად „ტალაბის" – წადილის, სურვილის ხეობას გაივლის და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს მწვერვალისკენ, მეშვიდე საფეხურის, ანუ ფანა'ს ხეობისკენ. ეს მოგზაურობა მრავალ სუფ ავტორს აქვს აღწერილი. ისინი ძირითადად ალეგორიული ფორმით გადმოსცემდნენ თავიანთ გამოცდილებას და ირიბად მიგვანიშნებდნენ მთავარ სათქმელზე. სუფიური გაერთიანების სათაეში იდგა მურშიდი (წინამძღოლი), შეიხი (მეთაური) ან ფირე თარიყათი (სავალი გზის მოხუცი). სწორედ მურშიდს ემორჩილებოდა ესა თუ ის საძმო, რომელიც სუფიური სავალის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულ ვადიიში მყოფ საძმოს წევრებს კონკრეტულ მითითებებს აძლევდა და თავიანთი რთული არჩევანის სრულყოფაში ეხმარებოდა.

სუფიზმი თავდაპირველად ორთოდოქსული ისლამური წრეების მიერ იდევნებოდა, ამრეზით განიხილებოდა მისი ცალკეული დებულებები. სუფიზმში, განსხვავებით ისლამისაგან, რომელიც ყურანს ეფუძნებოდა, ღმერთი სხვაგვარად განიხილებოდა. სუფიური წარმოდგენით, სამყარო ღმერთის ემანაციაა. ამქვეყნად ყველა არსება თუ საგანი თავის თავში ღვთის სინათლის მატარებელია, რადგანაც ამ სინათლიდან მოწყვეტილ ერთ ნაპერწკლად აღიქმება. ეს დანაწევრებული ნაპერწკლები მუდმივად თავიანთი საწყისისაკენ მიისწრაფვიან, რათა კვლავაც პირველმიზეზს შეუერთდნენ და შეერწყან, მოიპოვონ სისრულე და ნეტარება. ამქვეყნად ადამიანის ტრაგიზმის საფუძველსაც სწორედ ეს განშორება, დიდი სინათლიდან მისი ჩამოსხეპა ქმნის, რადგან ამ მეტაფიზიკური განშორებიდან იღებს სათავეს პიროვნების მარტოობისა და გაუცხოების ის მტანჯველი განცდა, რომელიც მას მთელი ცხოვრების მანძილზე დაჰყვება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სუფიათათვის ისახება ღვთისა და ადამიანის ურთიერთობის უნიკალური მოდელი, სადაც ღმერთი სატრფოა (მაშუკ), ადამიანი – მეტრფე (აშიკ), ხოლო მათი დამაკავშირებელი გრძნობა არის სიყვარული (იშკ). ამ სქემის მიხედვითაა აგებული მდიდარი აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული) პოეზიის ნიმუშები. ამის გამოა, რომ სატრფო ძირითადად მამრობითი სქესისაა. ეს განსაკუთრებით აისახება არაბულ პოეზიაში, ვინაიდან არაბული ენა განარჩევს გრამატიკულ სქესს, განსხვავებით სპარსულისაგან.

მსოფლიოს უდიდესი ორიენტალისტები იკვლევდნენ სუფიზმის გენეზისისა და რაობის საკითხებს. ზოგი ფიქრობდა, რომ იგი უნდა წარმოშობილიყო ზოროასტრიზმის გავლენით (ფ. ტოლუკი) ან ზოროასტრულ-მანიქეური იდეების საფუძველზე (რ. დოზი). სხვანი სუფიზმის წარმოშობას უკავშირებდნენ ადრეულ ქრისტიანულ სამყაროში განვითარებულ ასკეტიზმსა და მისტიციზმს (ა. მერქსი, ე. ბროუნი, დ. მაკდონალდი,

ასინ პალასიოსი, ა. ვეზნიკი, მ. სმიტი), ხოლო რამდენიმე მკვლევარი (რ. ჰარტმანი, მ. ჰორტენი) სუფიზმის ფესვებს ინდუიზმში, ვედანტას ფილოსოფიასა და ბუდიზმში ხედავდა. ზოგიერთი მეცნიერი, საერთოდ, ქრისტიანულ-ბუდისტურ თეორიას ავითარებდა (ა. ფონ კრემერი). ისლამის ცნობილმა ისტორიკოსმა ი. გოლდციერმა წამოაყენა უფრო რთული თეორია. იგი სუფიზმს ორ ძირითად ელემენტად ჰყოფდა: ასკეტიზმად და მისტიციზმად. მისი აზრით, ასკეტიზმზე აღმოსავლურქრისტიანული ზეგავლენა იგრძნობა, ხოლო სუფიური მისტიციზმი ადრეულ საფეხურზე ემყარებოდა ნეოპლატონიზმს, შემდეგ განიცადა ბუდისტური ფილოსოფიის ზეგავლენა. არსებობს სუფიზმის წარმოშობის ე. წ. ისლამური თეორიაც, რომლის ავტორებიც (რ. ნიკოლსონი, ლ. მასინიონი) უარყოფენ სუფიზმის ჩასახვისას ყოველგვარი გარეგანი ფაქტორის ზემოქმედებას. მათი შეხედულებით, სუფიზმი შეიქმნა მხოლოდ ისლამურ ნიადაგზე, ხოლო ხსენებულ მსოფლმხედველობათა გავლენები გვიანდელია. ასეა თუ ისე, ღვთაებრივი ემანაციის თეორია აშკარად ნეოპლატონიზმის ნაკვალევითაა აღბეჭდილი. აგრეთვე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სუფიზმი ჯამში კრებითი სახელია და იგი მრავალ ორდენს აერთიანებს, სადაც ყველას საკუთარი პრინციპები აქვს.

გერმანელი ორიენტალისტი ანა მარია შიმელი მიუთითებდა სუფიზმის განსაზღვრების სირთულეზე. ამ მხრივ მეცნიერებაში არსებული ვითარება ჯელალ ედ-დინ რუმის სუფიური პოემის – „მასნავიე მანავის" – ერთ იგავს ახსენებს, სადაც მოთხრობილია ამბავი რამდენიმე ბრმა ადამიანისა, რომლებიც გზაზე სპილოს გადააწყდებიან. ისინი ხელით სინჯავენ უცხო საგანს და თითოეული დასკვნას იმის მიხედვით აკეთებს, სპილოს სხეულის რა ნაწილსაც ეხება. ერთი ამტკიცებს, რომ მათ წინ ტახტი ან ტახტრევანია, მეორე ამბობს, რომ სარწყავი მილია, მესამეს ჰგონია, რომ რაღაც მტკიცე ბურჯებთან დგანან, მაგრამ არც ერთ მათგანს სწორი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რა საგანი, რა ცხოველია მათ წინაშე. ანა მარია შიმელის ეს საინტერესო ასოციაცია ძალზე მარჯვედ ეხმიანება არსებულ რეალობას, რადგან სუფიზმის მრავალშრიანობას მკვლევრები ამჯობინებენ, მისი რომელიმე მხარე, რომელიმე მიმართულება შეისწავლონ. აქ გასათვალისწინებელია საკუთრივ სუფიების აზრი, რომ ის, რაც სიტყვებით გამოითქმის, სუფიზმი არაა. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მისტიკოსისათვის სამყარო თავისი ყოფიერების ყველა საფეხურით ღმერთის დიდებას ღაღადებს, ყველა უსულო და სულიერი საკუთარ ენაზე უგალობს ჰიმნს უფალს. ამგვარად, ყველა ხმა ქმნის სამყაროში ერთ ვრცელ ძირითად ჰიმნს, უფლისადმი აღვლენილს (რ. ნიკოლსონი).

ჯალალ ედ-დინ რუმი (1207–1273) მევლავიანთა ცნობილი სუფიური ორდენის ფუძემდებელია. მისი მიმდევრები თურქეთში ჩვენს ეპოქამდე გვხვდებოდნენ. დღესაც პოპულარულია მათი მუსიკალური კომპოზიციები და დერვიშული, მისტიკური ცეკვები, რომლებიც წრიულად სრულდება. ჯალალ ედ-დინ რუმის ცხოვრებაში (იგი იკონიაში მოღვაწეობდა ოჯახთან ერთად, სადაც შუა აზიიდან ჯერ კიდევ მამამისი წავიდა და დამკვიდრდა) სულიერი გადატრიალება მოახდინა მოხეტიალე დერვიშმა – შამსე თაბრიზმა, რომელიც მოულოდნელად გაქრა (სავარაუდოდ, აგზნებულმა ბრბომ მოკლა). მისი სიკვდილის შემდეგ რუმიმ თავის სატრფიალო-მისტიკური ყაზალები შამსე თაბრიზის სახელით გამოაქვეყნა. მოგვიანებით შეიქმნა მისი სუფიური პოემა „მასნავიე მანავი", რომელსაც „სუფიზმის ენციკლოპედიად" სახელდებენ. თურქეთში, ირანსა და შუა აზიაში რუმის მევლანად მოიხსენიებენ (ჩვენი ბატონი). იგი წერდა სპარსულ ენაზე, თუმცა მოეძებნება ნაწერები არაბულ, თურქულ, ბერძნულ ენებზეც. „მასნავიე მანავთან" ერთად მას ეკუთვნის პროზაულ ქადაგებათა კრებული „ფიხი მა ფიხი".

ჯელალ ედ-დინ რუმის გარდა, სუფიზმის მიმდევრები იყვნენ უდიდესი სპარსელი პოეტები – აბუ საიდი, ომარ ხაიამი, ქემალ ხოჯენდი, საადი, ჰაფეზი, სანაი, აბდორაჰმან ჯამი და სხვები, რომელთა პოეზიაც უღრმეს ალეგორიულ პასაჟებს შეიცავს და ხშირად გაუგებარი იყო ფართო მასებისთვის.

დიდი სპარსელი პოეტის, ათარის (1136–1229), სიტყვებით, „ღვთიური სილამაზე შეიძლება იხილო მაშინ, როცა ის თავის თავშია. ამიტომ ღმერთმა ბრძანა სარკის შექმნა, რათა ადამიანებს ეხილათ თავიანთი სილამაზე". იბნ ელ არაბი წერდა: „იცოდე, ღვთიური სილამაზე არის ყველა საგანში. არსებობს მხოლოდ და მხოლოდ სილამაზე, რადგან ღმერთმა შექმნა სამყარო თავისი სახის მიხედვით და მიმსგავსებით. სწორედ ამიტომ არის მთელი ქვეყანა მშვენიერი". მევლანასათვის „მთელი ქვეყანა მეცნიერებითა და სილამაზით პირთამდე აღვსილი ხელადაა". უდიდესი უზბეკი პოეტისა და მოაზროვნის – ალიშერ ნავოის (1441–1501) – თქმით, „ვინც ღმერთს განჭვრეტს, ის ნათლად შეიცნობს ცისა და დედამიწის არსთა არსს. როცა ადამიანი მოისურვებს, მას მიეახლოს, მაშინ ის ყველგან და ყველაფერში აღიქვამს თავის შეყვარებულს (ღმერთს)".

XII–XIII საუკუნეებში მაინც გამოიკვეთა ორი მიმართულება – ზომიერი და უკიდურესი სუფიზმი. ზომიერი სუფიზმის წარმომადგენელია წარმოშობით ირანელი (ქ. ტუსიდან) ფილოსოფოსი ალ-ღაზალი, რომლის თხზულებათა ლათინური თარგმანების წყალობით მისი ზეგავლენა აშკარა იყო შუა საუკუნეების დასავლურ თეოლოგიაზე (რ. ლული, მაისტერ ეკჰარტი). ალ-ღაზალი (1059-1111) 11 წლის განმავლობაში ეწეოდა მოხეტიალე დერვიშის ცხოვრებას. მისი მთავარი ნაშრომებია: „ფილოსოფოსთა არათანამიმდევრულობა" (თაჰაფუთ ალ-ფალასიფა), „ნეტარების ელექსირი", „სინათლის ნიში". ამ უკანასკნელში მოცემულია ყურანის იმ აიების კომენტარი, რომელსაც სუფისტები თავიანთი მოძღვრების საყრდენად თვლიან. მასში ლაპარაკია იმაზე, რომ ალაჰი არის ცისა და მიწის სინათლე. მისი სინათლე ჰგავს კედლის ნიშაში ჩადგმულ ლამპრის შუქს. ამ ცეცხლის ზეთი კი იმ კურთხეული ხისგანაა, რომელიც არც აღმოსავლეთში იზრდება და არც დასავლეთში. ძირითადად და ყველაზე ფასეულად ღაზალს შინაგანი განცდის საფუძველზე მიღებული ცოდნა მიაჩნდა. ეს ცოდნა, მისი აზრით, სულ სხვაგვარად გვიჩვენებდა სამყაროს და ნამდვილი რწმენის ჭეშმარიტი გასაღები იყო.

პითაგორადან მოყოლებული ბევრი მოაზროვნე განასხვავებდა ეზოტერულ და ეგზოტერულ მოძღვრებებს. ღაზალსაც საყვედურობდნენ, რომ ქადაგებდა ერთს საჯაროდ, ხოლო ფარულად, ვიწრო წრეში სულ სხვას ასწავლიდა. ასეთი ორმაგობა საერთოდ დამახასიათებელია სუფიზმისათვის. ფიქრობდნენ, რომ მათი მოძღვრების წმინდა სახით დაცვა ცოტას თუ შეუძლია. ალ-ღაზალი ამგვარებს „სრულყოფილ ადამიანებს" („ინსაინ ქამილ") უწოდებდა.

უკიდურესი, ანუ პანთეისტური, სუფიზმის იდეოლოგად გვევლინება ანდალუზიის მკვიდრი იბნ ელ-არაბი (1165-1240), რომლის ფილოსოფიური სისტემა ფართოდ გავრცელდა.

სუფიზმში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სიმბოლიზმს. იდრის შაჰი – ლონდონის „კულტურის კვლევის ინსტიტუტის" დირექტორი თავის გახმაურებულ წიგნში – „სუფიზმი" – აღნიშნავდა, რომ თვითონ სუფიზმის აღმნიშვნელი ცნება (შალი, ბამბა) უკვე სიმბოლური, კოდური სახელია. შალისგან, ბამბისგან რაიმე იქსოვება, ნაქსოვი კი იწვევს ობობას ქსელის მოგონებას, რამაც მუჰამედი და მისი თანამგზავრი აბუ ბექრი იხსნა მდევრებისაგან. ობობამ გამოქვაბულში მათი შესვლისთანავე გამოქსელა შესასვლელი. მდევრებმა ეს იმის მოწმობად მიიჩნიეს, რომ გამოქვაბულში დიდი ხნის განმავლობაში არავინ შესულიყო. სიმბოლური აზროვნება სუფიზმში ლოგიკური სფეროს გარეთ სწრაფვას აღნიშნავდა.

სუფიური ეთიკა ადამიანისაგან მოითხოვდა საკუთარი „მეს" ჩახშობასა და იმის შეგნებას, რომ ჭეშმარიტი „მე" „ჩემში" არსებული ღმერთია. ეს უდრის აბსოლუტის წვდომას და მასთან შერწყმას. ამის მისაღწევად არსებობს ერთადერთი გზა – სულიერი ექსტაზი, რომელიც ადამიანს თავს ავიწყებს და გამოჰყავს იგი მაცდუნებელი, მოჩვენებითი რეალობის ტყვეობიდან. ასეთი თავდავიწყება სუფიზმის უპირველესი

მოთხოვნაა. ზემოთაც ვახსენეთ, რომ ირანულ სუფიურ ლიტერატურაში ღმერთი წარმოდგენელია, ვითარცა „მშვენიერი სატრფო", ხოლო ადამიანი – მისგან განშორებულ „მეტრფედ". აქვე დავსძენთ, რომ მისტიკურმა ექსტაზმა ამავე მწერლობაში მიიღო „ღვინის" სიმბოლური სახე. ამ სამი პირობითი წერტილის შეერთებით იქმნება მარტივი სქემა, სამკუთხედი, რომელიც გამოხატავს მისტიკოსთა პოეზიის არსს. სატრფოსგან (ღმერთისგან) განშორებული პოეტი (ადამიანი) ეძალება ღვინოს (სულიერ ექსტაზს), რათა მასში ჩაახშოს ამ განშორებისაგან გამოწვეული სევდა და მიაღწიოს სანეტარო შეერთებას (ღმერთთან). აქედან მომდინარეობს სუფიური პოეზიისათვის დამახასიათებელი განშორების მოტივი და ამ საკითხის ჰედონისტურ პლანში გადაწყვეტა.

ისლამი და ტერორიზმი

თანამედროვე მსოფლიოში აშკარად შეიმჩნევა ისლამოფობია. ეს განსაკუთრებით საინტერესოა იმის ფონზე, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იგი ყველაზე მზარდი რელიგიაა პლანეტაზე. ხშირად ისლამი იგივდება ძალადობასთან, შეუწყნარებლობასთან, ანტიკულტურულ მისწრაფებებთან. ამ ტენდენციას ხელი შეუწყო უკანასკნელ ათწლეულებში მსოფლიოში მომრავლებულმა ტერორისტულმა აქტებმა, რომელთა დიდი ნაწილი ფანატიკური ისლამური დაჯგუფებების მიერ რელიგიური კუთხით განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრესული მაჰმადიანი თეოლოგები უარყოფენ ისლამისა და ტერორიზმის შეხამების ნებისმიერ მცდელობას, ტერორიზმი არცთუ იშვიათად განიხილება „ისლამურ" პრობლემად.

„ტერორი" შიშს, ხოლო „ტერორიზმი" – დაშინებას ნიშნავს. ოქსფორდის განმარტებით ლექსიკონში ტერორიზმი გაგებულია, როგორც „მმართველობა დაშინების გზით" (Governance by intimidation). ამის საწინააღმდეგოდ, დღეს ტერორიზმს მმართველთა დაშინების აზრით უფრო ხმარობენ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ოფიციალურად გამოყენებული განსაზღვრების თანახმად, ტერორიზმი არის „სუბნაციონალური ჯგუფების ან ფარული აგენტების მიერ წინასწარ მოტივირებული ძალადობა, რომელიც „ფართო აუდიტორიაზე" ზეგავლენის მოხდენას ისახავს მიზნად". ყველაზე მოკლე განსაზღვრება ტერორიზმის ცნობილ მკვლევარს – ა. შმიდს – ეკუთვნის: „ტერორიზმის აქტი = ომის დანაშაულის მშვიდობისდროინდელი ეკვივალენტი". ამ ავტორის მონოგრაფიაში ტერორიზმის სულ ცოტა 109 ვარიანტია მოცემული, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოითქვა. ეს მეტყველებს ტერორიზმის ფენომენის სირთულესა და მრავალწახნაგოვნობაზე. ყველაზე ვრცელი ბოლოდროინდელი გამოკვლევა, რომელიც გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებას მიმოიხილავს, 1866-გვერდიან სამტომეულს წარმოადგენს.

ტერორიზმის განვითარების ბოლო ეტაპებს ის შემაშფოთებელი თავისებურებები ახასიათებს, რომ გავრცელდა ე. წ. თვითმკვლელობითი ტერორიზმი, რომლის დროსაც მიზანი მიღწეულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ სამიზნესთან ერთად ტერაქტის შემსრულებელიც – ე. წ. „შაჰიდი" იღუპება. დღეს ტერორიზმის პრობლემა ვერ აიხსნება მხოლოდ ს. ჰანტინგტონის ცნობილი კონცეფციით ცივილიზაციათა შეჯახებაზე.

ტერორიზმს უძველესი ისტორია აქვს, თუმცა ის, როგორც სოციალური პრობლემა, მხოლოდ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში პოულობს ქრესტომათიულ ფორმასა და გაცნობიერებას. ტერორიზმი განსაკუთრებით მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში განვითარდა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მიაღწია პიკს, რის გამოც მას „შავ ჭირს" ადარებენ და ჩვენი საუკუნის ნომერ პირველ პრობლემად ჩამოყალიბებას უწინასწარმეტყველებენ.

ტერორიზმი შესაფერისი მენტალიტეტის მქონე სოციუმის გარეშე ვერ იარსებებდა. ტერორიზმის ერთ-ერთ ეთნოტრადიციულ ძირს წარმოადგენს სისხლის აღების ადათი, ე. წ. ვენდეტა. ისლამურ სამყაროში არსებული ფანატიკური წრეები ცდილობდა წმინდა წიგნებსა და სწავლებებში მოეძებნა არამუსლიმანთა წინააღმდეგ ნებისმიერი ბრძოლის გამართლება. ტერორისტული ცნობიერების მომზადებას ხელს უწყობდა რელიგიური სტერეოტიპები, კულტურული იზოლაცია და ქსენოფობია. ტერორიზმის მასაზრდოებელ გარემოს დღესაც ისეთი საზოგადოებები წარმოადგენს, სადაც „ჩვენ" და „ისინი" გამიჯნულია სტერეოტიპული ბარიერებით, ჭარბობს ეთნონაციონალიზმი, რელიგიური ფუნდამენტალიზმი, არაა გაცნობიერებული ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები. XXI საუკუნისთვის ტერორიზმის მასაზრდოებელი ფაქტორები უმთავრესად გეოპოლიტიკური და სოციალური ხასიათისაა და მათ გვერდით რელიგიური ფაქტორის სახით გვევლინება ის, რაც სინამდვილეში რელიგიურ ფანატიზმსა და საზოგადოებისთვის მისი იდეოლოგიის სახით თავზე მოხვევას წარმოადგენს. მსოფლიოს არც ერთი რელიგია არ ქადაგებს ძალადობას, მით უმეტეს – არ ამართლებს არასაომარ ვითარებაში მშვიდობიან მოსახლეობაზე განხორციელებულ ძალადობას. ახლო აღმოსავლეთში „ჰამაზის", „ჰეზბოლას" და სხვა დაჯგუფებების ქმედებანი ვერ აიხსნება მხოლოდ მუსლიმთა რელიგიური ომის – „ჯიჰადის" – ფარგლებში: აქ საქმე უფრო რელიგიური ფაქტორის გამოყენებას ეხება. არსებული დაპირისპირება დღემდე გადაუჭრელი ეთნოტერიტორიული რეგიონული კონფლიქტის შემადგენელი ნაწილია, სადაც რელიგიური მხარე მნიშვნელოვან, მაგრამ არა გადამწყვეტ როლს თამაშობს.

თანამედროვე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციებისთვის რთული და კარგად დამუშავებული სტრუქტურაა დამახასიათებელი, რომელიც მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი და საინფორმაციო ცენტრების მუშაობას მოგვაგონებს. თითოეული ოპერაცია უმკაცრესი კონსპირაციის პირობებში დიდი ხნის განმავლობაში მზადდება; მაგ., კენიაში აშშ-ის საელჩოზე ალ-ქაიდას მიერ 1998 წელს განხორციელებული თავდასხმა, როგორც გაირკვა, ხუთი წლის განმავლობაში მზადდებოდა.

იმ ქვეყნებში, რომელთაც „საერთაშორისო თანამეგობრობას", „განვითარებულ ქვეყნებს" ან „დასავლეთს" მივაკუთვნებთ (თუმცა მათ შორის იაპონიაცაა და სამხრეთი კორეაც), ტერორიზმი ცალსახადაა აღქმული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, ხოლო ტერორისტი – კანონგარეშე მყოფად და ნაციონალობის არმქონე კრიმინალად, რომელსაც კანონი მთელი სიმკაცრით უნდა სჯიდეს. სხვა ქვეყნებში ტერორისტების მიმართ დამოკიდებულება არაერთმნიშვნელოვანია.

ტერორიზმი, როგორც წესი, მოტივირებულია გარკვეული, რეალურად არსებული გადაუჭრელი პრობლემით, რომლის გადასაწყვეტად ან შურის საძიებლად ხორციელდება ტერორისტული აქტი. შესაბამისად, საზოგადოების ნაწილში სავსებით შესაძლებელია გავრცელდეს კონკრეტული ტერორისტებისადმი სიმპათიის ემოცია. მიუხედავად ამისა, ტერორიზმის გამართლება არავითარი მიზეზით არ შეიძლება, ვინაიდან ის კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულს წარმოადგენს, მას უპირისპირდება და კაცობრიობის ერთობლივად გადასაწყვეტ პრობლემას წარმოადგენს. ასეთი შეფასების საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ ტერორისტული აქტი არასოდეს ხორციელდება მათ მიმართ, ვინც პასუხისმგებელია პრობლემის შექმნაზე და შეგნებულად ირჩევს სამიზნედ უმწეო ადამიანებს. ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ და სისხლიან ტერაქტად უდავოდ ითვლება 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და ვაშინგტონში პენტაგონზე განხორციელებული თავდასხმა, რომლის შედეგად დაიღუპა 3000-ზე მეტი ადამიანი, ხოლო მატერიალურმა ზარალმა 20 მილიარდ დოლარს მიაღწია.

დღევანდელ მსოფლიოში ტერორიზმი ასოცირდება უმთავრესად ისლამურ ფუნდამენტალიზმთან. აქედან ხშირად კეთდება უმართებულო სტერეოტიპული

გადასვლა არაბებზე, როგორც ტერორისტული მენტალიტეტისა და აგრესიული მუსტის მატარებელ ხალხზე. ამერიკელები (და მათთან ერთად მილიონობით სხვა ხალხი მთელ მსოფლიოში) ბინ ლადენს და ალ-ქაიდას უყურებენ, როგორც თანამედროვე სამყაროსათვის სრულიად არაადეკვატურ ან ანომალიურ მოვლენას, შორეული ისტორიული წარსულის რეციდივს, რომელთანაც დაახლოებით ისევეა შეუძლებელი დიალოგი, როგორც ტელეეკრანზე მოსაუბრე ადამიანისთვის ხელის ჩამორთმევა. არაბთა და სხვა მუსლიმი ერების გარკვეული ნაწილის თვალში, ასევე, მილიონობით ადამიანისათვის მსოფლიოში, ამერიკა წარმოადგენს უცხო, მტრულ და მათი განვითარებისა და თვითმყოფადობის დამთრგუნველ ძალას (ასეთი სურათის ჩამოყალიბებაში უდიდესი ფაქტორის როლს თამაშობს, მათი აზრით, ამერიკის მხრიდან არაბთა ტრადიციული მეტოქის – ებრაელთა სახელმწიფოს ცალსახა მხარდაჭერა, მიუხედავად იმისა, სამშვიდობო თუ კონფლიქტების გამაღვივებელ პოლიტიკას ატარებს ისრაელი არაბთა მიმართ).

მნიშვნელოვანია, რომ 11 სექტემბრის აქტები, ტერორიზმის გამამართლებელი მუსლიმი ფუნდამენტალისტების თვალში, ალაჰის კურთხევით განხორციელებული დარტყმა იყო არა იმდენად ადამიანთა მასობრივი მოსპობის მიზნით (ეს თანმხლები ეფექტი იყო), არამედ ამერიკის ძლიერების აუტანელი სატანური სიმბოლოების განადგურების გამო, როგორებიცაა მსოფლიო სავაჭრო ცენტრი, პენტაგონი, კონგრესი და თეთრი სახლი (თუმცა ბოლო ორ შემთხვევაში მიზანი მიღწეული ვერ იყო); ე. ი. ამ ტერაქტებისა და ტერორიზმის მხარდამჭერთა წრეებში მათს აღქმას რელიგიური დატვირთვა გააჩნია.

ოფიციალური ისლამური საზოგადოებების მიერ ტერორიზმი მუდამ იგმობა. საილუსტრაციოდ მოგვყავს ქ. დოჰას (კატარი) მუსლიმი სწავლულის – შეიხ იუსუფ ალ-კარდავის – სიტყვები: „ისლამი შემწყნარებლობის რელიგია, აღმატებულად მოიაზრებს ადამიანის სულს და განიხილავს უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ თავდასხმას უაღრესად სერიოზულ ცოდვად... მე კატეგორიულად ვილაშქრებ იმ მუსლიმის წინააღმდეგ, რომელიც მიმართავს ამგვარ თავდასხმას. ისლამი მუსლიმს არასოდეს არ მისცემს უფლებას მოკლას უდანაშაულო და უმწეო".

2000 წელს გაეროში ირანის პრეზიდენტი მ. ჰათამი გამოვიდა ცივილიზაციათა შორის დიალოგის წინადადებით. ისლამური სამყაროდან წამოსულ ამ იდეას მრავალი პროგრესული ძალა გამოეხმაურა. ეს იდეა დღესაც აქტუალურია და მისი ეგიდით ბევრი კულტურული პროგრამა განხორციელდა.

მ. ჰათამის თქმით, „მეოცე საუკუნე უმაგალითოა კაცობრიობის ისტორიაში წარმოებული ომების სისასტიკით და შევიწროებისა და ჩაგვრის უსასრულოდ მრავალი მაგალითით. ეს საუკუნე ფილოსოფოსთა იდეებისა და სახელმწიფო მოღვაწეების საქმიანობის საერთო პროდუქტია. შეუძლებელი იქნებოდა საუკუნის სისხლიანი და შემაძრწუნებელი მოვლენების შეჩერება პოლიტიკურ აზროვნებაში საფუძვლიანი ცვლილებების, საერთაშორისო ურთიერთობების ამჟამინდელი მდგომარეობის შეცვლისა და მისი ახალი პარადიგმის, როგორიცაა ცივილიზაციათა და კულტურათა შორის დიალოგი, შემოღების გარეშე".

ჩინური რელიგიები

ჩინეთი თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი ქვეყანაა, როგორც ტერიტორიით, ასევე მოსახლეობით (დიდი ხანია გადააჭარბა მილიარდს). განუზომელია ჩინელების მიღწევები ცივილიზაციის სხვადასხვა დარგში, უმდიდრესი ჩინური კულტურის ზეგავლენა მსოფლიო ხალხებზე. ამ ყველაფერს განამტკიცებს საკუთრივ ჩინეთის უძლიერესი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ძლიერება. დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობის მიუხედავად, ჩინეთი ითვლება გარესამყაროსგან ერთგვარად დაცულ ტერიტორიად, სადაც უცხო კულტურის შეჭრა ადვილი არაა. იგი ტრადიციულ ფესვებზე დამყნობილი გრანდიოზული სახელმწიფოა. ჩინეთი ითვლება ქაღალდის, დენთის, კომპასის, რელიეფური ბეჭდვის სამშობლოდ. მაღალგანვითარებული იყო ჩინური ასტრონომია და მედიცინა, სამთო საქმიანობა და საფეიქრო გამოგონებანი.

ორიენტალისტიკის დარგი, რომელიც სწავლობს ჩინეთს, გახლავთ სინოლოგია. სინოლოგია შეისწავლის ჩინელების ეთნოგენეზისის, ჩინური ენისა და დიალექტების საკითხებს, აგრეთვე – ჩინურ ლიტერატურას, ხელოვნებას, ფილოსოფიას, ტრადიციებს, სამართალს. სინოლოგიის უძლიერესი ცენტრები, საკუთრივ ჩინეთისა და მისი მოსაზღვრე აზიური ქვეყნების გარდა, გახლავთ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი.

ჩინეთის ტერიტორიაზე ადამიანის ნაკვალევი საკმაოდ ადრეული პერიოდიდანაა დაფიქსირებული. უძველეს ჩინეთში გავრცელებული იყო ტოტემიზმი. ტოტემი, როგორც ცნობილია, ეწოდება ისეთ მცენარეს ან ცხოველს, რომლის მიმართაც არქაულ ადამიანს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. მისი წარმოდგენით, მას შეეძლო ბოროტი ძალების დამარცხება. ტოტემად მიჩნეულ ცხოველებზე ნადირობა აკრძალული იყო. რაც შეეხება შამანიზმს, იგიც ჩინური რელიგიური წარმოდგენების უძველეს ნაწილად იქცა.

ჩინეთს აღმოსავლეთით აკრავს ყვითელი, აღმოსავლეთ ჩინეთისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვები, სანაპიროზე ბევრია კუნძული, რომელთაგან უდიდესია ტაივანი. დასავლეთითა და ჩრდილოეთით ჩინეთს ესაზღვრება ავღანეთი, ბჰუტანი, ნეპალი, ინდოეთი, ბირმა, ლაოსი, ვიეტნამი, ჩრდილო კორეა. ჩინეთის ტერიტორია მრავალფეროვანია. სანაპირო ზოლი მდიდარია უბეებითა და ყურეებით, ხშირია მაღალ მთათა სისტემები, მაგალითად, ჩინეთ-ტიბეტის მთები, ვაკეები, ტყეები, უდაბნოები, ნახევრადუდაბნოები, ტროპიკული ტყეები, ტბები, მდინარეები. ქვეყანაში, ჩინელების გარდა, ცხოვრობენ კორეელები, ტიბეტელები, უიღურები, ყაზახები და სხვა ხალხები. უდიდესი ქალაქებია: ბეიჯინგი (პეკინი), შანხაი, ნანკინი, ტიანძინი, გუანჯოუ, ჰონკონგი.

ჩინეთში ორი დიდი მდინარე მიედინება: ჩრდილოეთში – ხუანხე, ე.წ. ყვითელი მდინარე და სამხრეთში ცისფერი მდინარე – იანძი. ქრისტეშობამდე თითქმის 5 ათასი წლის წინ აქ წარმოიშვა პირველი ჩინური კულტურა. იანძის ხეობის მოსახლეობა ეწეოდა მიწათმოქმედებას, მოჰყავდა ბრინჯი. ხუანხეს ხეობის მოსახლეობა კი, ძირითადად, ფეტვს ანიჭებდა უპირატესობას, რადგან ჩრდილოეთ ჩინეთი საკმაოდ ცივი იყო ბრინჯის მოსაყვანად. ჰენანის პროვინციის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდების, იანშაოს, მიხედვით, სადაც 1921 წელს ძველ ნამოსახლარს მიაკვლიეს, ყვითელი მდინარის კულტურას იანშაოს კულტურა უწოდეს, რომლის აყვავების ხანად მიჩნეულია ძვ. წ. 5000 და 3000 წლებს შორის პერიოდი. იანშაოს კერამიკა გეომეტრიული ორნამენტებითაა დამშვენებული. აქ გვხვდება, აგრეთვე, თევზების, ფრინველების, ცხოველების გამოსახულებები, რომელთაც მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა (ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მოტანა შეეძლო). ეს უძველესი რელიგიური შეხედულებებიც ტოტემური ხასიათისაა. ხუანხეს, ანუ ყვითელი მდინარის, ხეობა ჩინური ცივილიზაციის სათავედ ეჭვმიუტანლადაა მიჩნეული.

იანძი სიგრძით (6300კმ.) აღემატება აზიის ყველა სხვა მდინარეს. როდესაც

შანხაის მახლობლად ქრისტეშობამდე 5000 წლის წინანდელი არქეოლოგიური ძეგლები აღმოაჩინეს (კერამიკული ჭურჭელი, მოსახატი იარაღები), ნათელი გახდა, რომ ყვითელი მდინარის ხეობის გარდა, სამხრეთ იანძის ხეობაც ჩინეთის კულტურის აკვანს წარმოადგენდა.

ქრისტეშობამდე 5000 წლის წინ სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში განვითარდა ლიანჯოუს კულტურა. 1995 წელს აქ არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ნეფრიტისგან დამზადებული სხვადასხვა სამკაული, ნივთები, რომლებსაც დაკრძალვისას თან ატანდნენ მიცვალებულს. ამ ნივთებს შორის იყო ნეფრიტისგან დამზადებული ფირფიტები და ცულები. მათზე გამოსახავდნენ შიშისმომგვრელ, მისტიკურ ცხოველებს, რომლებსაც რელიგიური რიტუალებისთვის იყენებდნენ. ძვ. წ. 2200 წელს ლიანჯოუს კულტურამ არსებობა შეწყვიტა. ეს კულტურა, მეცნიერთა აზრით, ადიდებული იანძის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო.

ძვ. წ. 1766-1122 წლებში ჩინეთში ბატონობდა შანის დინასტია. ეს იყო უძველესი დინასტია ჩინეთის ისტორიაში. ამ დროს ჩამოყალიბდა უძველესი ჩინური რელიგიური წარმოდგენები, მითები და ტრადიციები, რომლებიც სისტემური სახის სწავლებებად ვერ გაერთიანდა. აქედან გამომდინარე, შანის დინასტიის დროინდელი ჩინელების რელიგიაზე ცნობები მწირია.

შანის დინასტიის მეფეები მართავდნენ ჩრდილოეთ ჩინეთის ვრცელ ტერიტორიას. თაყვანს სცემდნენ წინაპართა კულტს. სამისნო ძვლების საშუალებით ისინი უკავშირდებოდნენ ცასა და თავიანთ წინაპრებს. შანის მეფე იყო შუამავალი ცასა და მიწას, წინაპრებსა და მის თანამედროვეებს შორის. სამისნო ძვლებისთვის იყენებდნენ მსხვილფეხა საქონლის ბეჭის ძვლებს, ასევე – კუს ბაკანს. ძვლებზე გაჩენილი ხვრელები, ბზარები აღიქმებოდა, როგორც წინაპართა პასუხები მათს შეკითხვებზე. ძვლებზე გაშიფრული წარწერები ჩვეულებრივი ყოფითი შეკითხვები გახლდათ. მაგალითად, იწვიმებს ამ საღამოს? გაანაყოფიერებს მდინარე ჩვენს მინდვრებს? იქნება თუ არა ომი? და ა. შ.

XX საუკუნის დასაწყისში, არქეოლოგიური გათხრების დროს, ქალაქ ანიაგის მახლობლად აღმოაჩინეს შანის რეზიდენცია, ქალაქი ინი. აქ თორმეტი მეფიდან თერთმეტის სამარხი აღმოჩნდა. მეფეები განისვენებდნენ ლაკით დაფარულ ხის კუბოებში, რომლებიც 12მ. სიღრმის სამარხში იყო განთავსებული. იქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭურჭლისა და ეტლის ნაშთები. ეგვიპტელთა მსგავსად, ძველ ჩინელთა წარმოდგენითაც, განსვენებულს იმ ქვეყნად იგივე მოთხოვნილება ჰქონდა, რაც ამქვეყნად. ამიტომ მას არა მარტო სამკაულს, იარაღსა და საჭმელს ატანდნენ თან, არამედ მთელ მის მომსახურე პერსონალს – დაცვისა და ჯარისკაცების ჩათვლით. ამის დასტურია შანის დინასტიის სამარხებში აღმოჩენილი ცხენებისა და ადამიანების ჩონჩხები.

შანის დინასტიის შემდეგ ჩინეთში ზეობდა ჯოუს დინასტია (1122-221 წლები). ჯოუს პერიოდში შეწყდა ქვეყანაში ადამიანთა მსხვერპლშეწირვა და სამარხში ჩატანების რიტუალი. ამის ნაცვლად დაკრძალვის რიტუალის დროს, მსახურობის სცენებს წარმოადგენდნენ ხოლმე.

ჯოუს დინასტიის მეფეები თავიანთ თავს შანის დინასტიის მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ. მათთვის მისაბაძი იყო შანის სახელმწიფოებრივი კანონები. ისინი მკაცრად იცავდნენ პატრიარქალური ოჯახის წესებს, მორჩილების, იერარქიულობის საფეხურებს. კიდევ უფრო გაღრმავდა წარმოდგენები ცის შესახებ. ცა, იგივე ტიან, განმსაზღვრელია ადამიანთა ბედისა, არსთა გამრიგეა. ცის კულტს უპირველესი ადგილი ეკავა ჩინურ წარმოდგენებში. სულებში პირველხარისხოვანი ადგილი ეჭირა ცის სულს, ანუ ცის ღმერთს („შან-დი" იგივე ტიანს ნიშნავდა). უძველეს ჩინურ გადმოცემებში იგი წარმოდგენილია, როგორც ანთროპომორფული ღვთაება, მიწიერი იმპერატორის მსგავსი.

ჩინელთათვის სამყაროში სრულქმნილია ცა. შედარებით ნაკლებ სრულქმნილია მიწა. ამით სამყაროს ორნაირ დასაბამს გამოყოფენ: მატერიის უძრაობასა და

მატერიის მოძრაობას, რაც სიცოცხლესა და მარადიულ წრებრუნვას ქმნის. ძალა არის ცა, მატერია – მიწა, ცა – „მბრძანებელი და მეუფე ქვეყნიერების". იგი სამყაროს უმაღლესი არსებაა. ხილული ცა კი სიმბოლოა იმ უხილავი ცისა, რასაც ჩინელები ღვთაებად, უმაღლეს არსებად წარმოიდგენენ. ცის ამგვარი გააზრება, როგორც სინოლოგები ხსნიან, მთლიანად არც სულიერებას ემყარება – ანუ ცა არ არის კერძო არსება, მაგრამ არც მთლიანად განყენებული იდეაა სამყაროს არსისა. მიუხედავად ამისა, ცას მიეწერება გონიერი (ანუ იგივე სულიერი) თვისებებიც და ის უმაღლესი სრულქმნილებაც, რაც თვისებადია ბუნებისა და ადამიანისათვის. ცას უწოდებენ ყოვლისმხილველს, ყოვლისმძლეს, უბიწოს, მას აღიარებენ სამყაროს შემქმნელ ძალად, მისგან გამომდინარეობს ცხოვრების კანონები, იგი იწყალებს და სჯის ადამიანებს, ზვერავს და თვალყურს ადევნებს ადამიანის ცხოვრებას, ამოძრავებს ისტორიას. ცა განასახიერებს სამყაროს წესრიგს. ის გამოუთქმელია და მიზეზია სამყაროს წრებრუნვითი მოძრაობისა.

ჯოუს პერიოდში გაგრძელდა შანის ეპოქაში ჩამოყალიბებული წინაპართა კულტი, რომლის არსიც ეფუძნებოდა გარდაცვლილთა (უფრო სწორად, მათი სულების) ზემოქმედების აღიარებას შთამომავალთა ცხოვრებასა და მათ ბედზე. სულებთან ადამიანთა კავშირი მკაცრად იყო განსაზღვრული და მათ შორის შუამავლად ითვლებოდა იმპერატორი, რომელიც ცის მეუფების ნება-სურვილს აღასრულებდა. წინაპრისადმი მსხვერპლშეწირვა იმავე გვარის ადამიანს უნდა შეესრულებინა. ერთ-ერთ უძველეს ჩინურ წყაროში ნათქვამია, რომ წინაპრის სული, თუ მას სხვა თემისა და გვარის წარმომადგენელი წირავს მსხვერპლს, არ იღებს შესაწირს. შანის დინასტიის დროს, როგორც ვახსენეთ, მიღებული იყო იმპერატორისადმი ადამიანების მსხვერპლშეწირვაც, აკლდამაში მონების თანდაყოლაც, რაც ჯოუს ეპოქაში მოიშალა. ჯოუს პერიოდში გაბატონებულთა აკლდამებში მარხავდნენ არა მოკლულ მონებს, არამედ – ქანდაკებებს, რომელნიც ადამიანთა მაგივრობას აღასრულებდნენ. თანდათან წინაპართა კულტი უკვდავებისა და იმქვეყნიური ცხოვრების რწმენის საფუძველი ხდებოდა. მოგვიანებით, ჩინეთში ბუდიზმის შესვლასთან ერთად, ფართოდ გავრცელდა მეტემფსიქოზის, ანუ სულთა გარდასახლების, თეორია.

ჩინური ტრადიციით სამყაროს საფუძვლად ედო 5 ელემენტი – ცეცხლი, წყალი, მიწა, ხე და ლითონი. მათთან ძლიერი იყო წარმოდგენა ინისა და იანის შესახებ. ინი და იანი, ჩინელთა აზრით, ურთიერთსაპირისპირო და ურთიერთშემავსებელ ძალებს წარმოადგენდა, რომელთა გავლენას განიცდის ყველა საგანი და ცხოვრების ყველა სფერო. ინი განასახიერებდა პასიურ, მდედრობით საწყისს, იანი – აქტიურს, მამრობითს.

ჯოუს დინასტიის ზეობის დროს ჩინეთში წარმოიშვა ექვსი ფილოსოფიური სკოლა, რომელთაგან ორი – დაოიზმი და კონფუციანელობა – რელიგიებად განვითარდა. მათ შესახებ ქვემოთ საგანგებოდ იქნება მსჯელობა.

ძლიერი მმართველობის მიუხედავად, ჯოუს დინასტია თანდათან დასუსტდა. ჩინეთი მცირე პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა. ე. წ. „გაზაფხულისა და შემოდგომის" პერიოდში (ძვ. წ. 722-481) მათი რაოდენობა 170-ს აღწევდა, საბოლოოდ 7-ზე დავიდა და ბოლოს მომძლავრებულმა ცინის დინასტიამ ისინი დაიმორჩილა. ეს მოხდა ძვ. წ. 221 წელს. ამრიგად, ცინის დინასტია ჩინეთის ისტორიაში რიგით მესამე იყო. სახელი ცინი ისევე იწერება, როგორც ჩინი და ვარაუდობენ, რომ შესაძლოა აქედან წარმოიშვა სახელი ჩინეთი. ამ დინასტიის სახელოვანი წარმომადგენელი გახლდათ 9 წლის ასაკში გამეფებული იმპერატორი ჯენგი, რომელმაც ქრისტეშობამდე 221 წელს ჩინეთის გაერთიანებითა და მის სათავეში მოსვლით მიიღო ცინ შიხუანდის, ანუ იმპერატორის, ტიტული, რაც ნიშნავდა „ღვთაებას, რომელიც ცის ბრწყინვალებას ასხივებს". ასე გახდა იგი „ცისქვეშეთის" მბრძანებელი. „ცისქვეშეთში" ჩინელები გულისხმობდნენ როგორც მთელ ქვეყნიერებას, ასევე –საკუთრივ ჩინეთის ვრცელ მიწა-წყალს. ცინ შიხუანდიმ თავი ჩინეთის პირველ იმპერატორად

გამოაცხადა, რითაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ წინამორბედ დინასტიათა მეფეებს იგი არ ცნობდა. ამით გამოიკვეთა მისი ამპარტავნული სულისკვეთება, რაც სხვა საქმეებმაც დაამოწმა. ამ ეპოქის ჩინეთზე უნიკალური ცნობები მოგვცა სიმა ციანმა (ძვ. წ. 145-88წწ.). სიმა ციანი, რომელიც ცინის დინასტიის შემდგომ აღზევებული ხანის დინასტიის მემატიანე იყო, ავტორია თხზულებისა „ისტორიული ჩანაწერები" („შიძი"). მასში პირველადაა მოცემული ჩინეთის ისტორია კანონზომიერად, მოვლენათა მაღალმეცნიერული, საღი თვალთახედვით შეფასება და ანალიზი. სიმა ციანი წერს იმპერატორ ცინ შიხუანდის შესახებ: „დიდი ცხვირი, ერთმანეთთან ახლოს ჩამჯდარი გრძელი და ვიწრო თვალებით, ძლიერი მკერდით ის ჰგავდა არწივსა და ქორს, ხოლო ხმით – ძაღლის ყმუილს. ის არ გამოირჩეოდა არც სიკეთით, არც მეგობრულობით, მას ვეფხვისა და მგლის გული ჰქონდა".

ცინ შიხუანდი – ცინის დინასტიის ძლევამოსილი მონარქი, ჩინეთის ისტორიაში შევიდა, როგორც ბოროტი მმართველი. მან ორი სამარცხვინო რამ ჩაიდინა, რაც ისტორიამ არ აპატია. მისი ბრძანებით დაიწვა წიგნსაცავში დაცული ყველა ძველი წიგნი, მათ შორის – კონფუცის წიგნები. ცინ შიხუანდის სურდა, ჩინეთის ისტორია მისი ტახტზე ასვლით დაწყებულიყო. მისი ბრძანებით, ყველა სწავლული, ვინც წინააღმდეგობა გაუწია, ქალაქგარეთ ცოცხლად დამარხეს. ამ დესპოტური ქმედებების პარალელურად მან გაატარა რეფორმა და შექმნა ახალი დამწერლობა, რომელიც 3000 იეროგლიფისგან შედგებოდა. ეს დამწერლობა დღევანდელი ჩინური დამწერლობის საფუძველია. იმპერატორმა შექმნა ერთიანი საკანონმდებლო სისტემაც. მან ფულის, ზომისა და წონის ერთეულების უნიფიცირებაც მოახდინა. ცინ შიხუანდიმ ქვეყანა მცირე სამთავროებად დაყო. ამრიგად, ჩინეთი პოლიტიკურად გააერთიანა და ეკონომიკურად გააძლიერა. იმპერატორის რეზიდენცია ქალაქ სიანის მახლობლად, სიანიანში მდებარეობდა. იმპერატორის მიერ გაყვანილი გზები, რომლებიც დედაქალაქს ყველგან აკავშირებდა, ცნობილ რომაულ გზებს ხარისხით ბევრად აღემატებოდა. იმპერატორის პირადი, ექსისტენციალური განცდა სიკვდილის წინაშე წარმოაჩენს მიღმა სამყაროს ზღვარზე მყოფი მაძიებელი ადამიანის სახეს. თუკი შუმერულ რელიგიაში ნახევრადმითიური მეფე გილგამეში ეძიებს უკვდავებას და სიკვდილის ფენომენის შეცნობას, ჩინურ რელიგიაში ჩვენ ვხედავთ რეალური იმპერატორის ანალოგიურ ძიებებს ცინ შიხუანდის სახით.

ხანშიშესულ იმპერატორს სიკვდილზე ფიქრიც კი აძრწუნებდა. მას ყველა სძაგდა, ვინც კი სიკვდილს ახსენებდა. უამრავ ექსპედიციას აგზავნიდა „უკვდავების ელექსირის" საპოვნელად. მისი სულის უკვდავსაყოფად, ანუ იმქვეყნიური ცხოვრებისათვის, მისი ბრძანებით დაიწყეს დიდებული, გრანდიოზული აკლდამის აგება. სიმა ციანი აღწერს აკლდამის დიდებულებას. მისი ჭერი ცის პეიზაჟებით იყო მოხატული. დარბაზი მუდმივად ნათდებოდა ზღვის ქალწულების ფიგურების ფორმის ჭრაქებით, აკლდამაში მექანიკური მოწყობილობის ვერცხლისწყლის შადრევანი მუდმივად მოძრაობდა. ცინ შიხუანდი გარდაიცვალა ქრისტეშობამდე 210 წელს. თავიდან ამ ამბავს საიდუმლოდ ინახავდნენ. ორი თვის შემდეგ იგი მდიდრულად დაკრძალეს. სამგლოვიარო პროცესიას წინ მიუძღოდა ქურუმი, დემონებისა და ბოროტი სულების განდევნის მიზნით. სამარხი მიწის ზედაპირიდან 50 მეტრის სიღრმეში მდებარეობდა. ქურუმებს დაკრძალვის რიტუალის ჩატარება ევალებოდათ. სიმა ციანი წერს: „მას შემდეგ, რაც პირველი იმპერატორი კუბოში ჩააწვინეს, სამარხის ყველა კარი ჩაიკეტა. ასე რომ, ყველა შიგ მყოფი სამუდამოდ მოსწყდა გარე სამყაროს. შემდგომ აკლდამაზე ხეები და ბალახი დარგეს, რომ ბუნებრივ ბორცვს დამსგავსებოდა. მისი შვილის ბრძანებით, მამამისის უშვილო ცოლებიც კი მასთან ერთად ცოცხლად დამარხეს". აკლდამა, რომელთან შედარებით ეგვიპტისა და სამხრეთ ამერიკის პირამიდები პატარები გამოჩნდება, დღემდე გაუხსნელია.

ცინის დინასტიის დროს, იმპერატორ ცინ შიხუანდის ზეობის ხანიდან მოყოლებული, ჩინეთს, გარდა „ცისქვეშეთისა", ეწოდებოდა „შუა იმპერიაც". ასე უწოდებდნენ

ჩინელები თავიანთ ქვეყანას მაშინ, როცა, მათი წარმოდგენით, სამყარო კვადრატული იყო და მის წმინდა ცენტრში ჩინეთი მდებარეობდა. იმპერატორი იყო შუამავალი ცას, მიწასა და ადამიანს შორის. ჩინეთის – შუა იმპერიის სიმბოლოს დრაკონი წარმოადგენდა. მისტიკური არსება – დრაკონი, წყაროებში ნახსენებია, როგორც ირმისრქიანი, დემონისთვალება, გველის კისრით, თევზის ქერცლით, ხარის ყურებითა და არწივის ბრჭყალებით შემკული არსება. როგორც მიწის დრაკონი, ის მბრძანებლობს წყაროებსა და მდინარეებზე, როგორც წყლის დრაკონი, წარმოქმნის ნისლსა და წვიმას, როგორც ცის დრაკონი, იცავს ციურ სასახლეში მცხოვრებ ღმერთებს. ასე რომ, არ იყო გასაკვირი, როცა იმპერატორები განიხილებოდნენ, როგორც ხორცშესხმული დრაკონები. მათი „დრაკონის სხეული" „დრაკონის ტანსაცმელში" იმოსებოდა და „დრაკონის ტახტიდან" მართავდა სამყაროს.

იმპერატორმა ცინ შიხუანდიმ მომთაბარე ტომებისაგან თავდასაცავად ააგო საყოველთაოდ ცნობილი ჩინეთის დიდი კედელი, რომელიც 6000 კმ. სიგრძისაა და ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრებს გასდევს. კედლის სიმაღლეა 8 მეტრი, ხოლო სისქე – 5-6 მეტრი. მას დატანებული აქვს კოშკები, რომლებსაც მტერზე სათვალთვალოდ იყენებდნენ. ამ კედლის აშენებით ჩინეთი კიდევ უფრო მოიზღუდა გარემომცველი სამყაროებისგან. იმპერატორმა ცინ შიხუანდიმ ძვ. წ. 214 წელს გასცა ბრძანება მის აშენებაზე და ჩრდილოეთში ასიათასობით გლეხი ჩააყვანინა. მუშახელს უზარმაზარი ჯარი აკონტროლებდა. კედლის აშენება 7 წელიწადში დასრულდა და მის აგებას მილიონზე მეტი ადამიანი შეეწირა. იყო შემთხვევები, როდესაც იმპერატორის ბრძანებით რიგ ადამიანებს კედელში ატანდნენ, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ადამიანების მაგიური ნიშნით მსხვერპლშეწირვა ჯოუს შემდგომ პერიოდშიც ხდებოდა.

ცინ შიხუანდის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანაში არეულობა დაიწყო. ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთმა მეამბოხემ, ლიუ ფანგმა, გაიმარჯვა და თავი იმპერატორად გამოაცხადა (ქრისტეშობამდე 202 წ.). მან ხანის დინასტია დააფუძნა და სიანი ქვეყნის დედაქალაქად გამოაცხადა. ხანის დინასტია შანის, ჯოუსა და ცინის შემდეგ რიგით მეოთხე დინასტიაა ჩინეთის ისტორიაში. ხანის დინასტიის ბატონობა მოიცავს ძვ. წ. 206 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 220 წლამდე პერიოდს. ეს ეპოქა ჩინეთის ისტორიაში შევიდა, როგორც ხელოვნების აყვავების, კეთილდღეობისა და სიმშვიდის ეპოქა. ძლიერებას ხანის დინასტიამ უ ტის 54-წლიანი მმართველობის დროს მიაღწია (ძვ. წ. 141-87). საიმპერატორო კარზე მხოლოდ კონფუცის მიმდევრები მოღვაწეობდნენ. მათთვის უცხო არ იყო თავშეკავებულობა, ტრადიციებისადმი, წესრიგისადმი ლტოლვა. ჩინელებმა ხანის დინასტიის დროს გადაინაცვლეს ცენტრალურ აზიაში, მიაღწიეს კორეასა და ინდონეზიას. ჩინეთში აყვავდა ვაჭრობა, რაც აბრეშუმის გზად წოდებული საქარავნო გზის გაყვანით აღინიშნა. ინდოეთიდან შემოიჭრა ბუდიზმი.

უძველესი ტრადიციისამებრ, ჩინელები, ძველეგვიპტელთა მსგავსად, წარჩინებულ ადამიანთა დაკრძალვისას მიცვალებულებს საფლავში ძვირფას ნივთებს ატანდნენ. მათი რწმენით, ისინი იმ ქვეყნადაც ისევე უზრუნველყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ, როგორც ამქვეყნად. დღემდე შემონახული გაუძარცვავი სამარხები წარმოდგენას გვიქმნის სამეფო ოჯახის წევრების, იმდროინდელი არისტოკრატული წრისა და დიდებულების ცხოვრების შესახებ. უბრალო ადამიანების სამარხები ნაკლებად არის შემორჩენილი. 1972 წელს აღმოაჩინეს ხანის დინასტიის იმპერატორ ტაის მეუღლის, სინის, აკლდამა. ეს დედოფალი სიცოცხლეში სრულ ფუფუნებაში ცხოვრობდა. მისი აკლდამის აღმოჩენამ ისეთივე როლი შეასრულა სინოლოგიაში, როგორც ტუტანხამონის გაუძარცვავი აკლდამის პოვნამ – ეგვიპტოლოგიაში. სინის ცხედარი ერთმანეთში ჩადგმულ ოთხ კუბოში იყო მოთავსებული და 1400-ზე მეტი ნივთი ჰქონდა თან ჩატანებული. სინის ჩაყოლებული ჰქონდა 162 მოსამსახურის ფიგურა, ასევე, ორკესტრის მუსიკოსების ხისგან გამოთლილი ფიგურები თავიანთი ინსტრუმენტებით.

მბრძანებელ ტაის ცოლის კუბოზე გადაფარებული იყო 2მ. სიგრძის აბრეშუმის დროშის ნაჭერი. მასზე ასახულია ჩინური კოსმოსი, იმქვეყნიური სამყარო, რომელიც გარდაცვლილთა სულებს ელოდება. სურათის ქვედა ნაწილში გამოსახულია ფიგურა, რომელშიც, შესაძლოა, ქვესკნელის ღმერთი მოიაზრებოდა. აქ ჩანს რიტუალიც — როგორ დასტირიან ახლობლები გარდაცვლილს. მათ გვერდზე დგას ადამიანის სახის მქონე ორი ფრინველი, სავარაუდოდ, ქალღმერთი. ერთ-ერთი დრაკონის თავზე, ნეფრიტის ფირფიტაზე გამოხატულია ტაის ცოლი, მის ზემოთ ბუსმაგვარი ფრინველი და ცაში მიმავალი გზა, რომელსაც ჩარდახის ფორმა აქვს. შესასვლელს ორი დარაჯი იცავს. ისინი სულის მობრძანებას ელოდებიან. ფენიქსი და სხვა ჯადოსნური არსებები ჰაერში დაფრინავენ. მათ ხანგრძლივი სიცოცხლისა და უკვდავების სიმბოლოებად მიიჩნევდნენ. ეს ყველაფერი საინტერესო მასალაა ჩინური რელიგიური წარმოდგენების შესახებ იმქვეყნიურ სამყაროზე.

ხანის დინასტიის შემდეგ ქვეყანაში შინააშლილობა დაიწყო. ჩრდილოეთში რამდენიმე წვრილი სამეფო წარმოიქმნა. მათგან ცნობილია ჩინური სამეფო, რომელსაც ვეის დინასტია მართავდა. მისი იმპერატორები ბუდიზმის თავგამოდებული დამცველები გახლდნენ. ამ არეულობის ხანას მოჰყვა სუის დინასტიის გაბატონება (581-618), რომლის ხანმოკლე მმართველობის დროს ქვეყანაში უამრავი რეფორმა გატარდა. სუის დინასტია ტანის დინასტიამ (618-907) შეცვალა. ტანის დინასტიის ზეობისას ჩინეთი განსაკუთრებით გაძლიერდა. ტანის იმპერატორები მკაცრ ცენტრალიზებულ პოლიტიკას ეწეოდნენ. ამ დროს ქვეყანა აღმავლობას განიცდიდა, რაც იგრძნობოდა ვაჭრობისა და კულტურის სწრაფ აღმავლობაში. ტანის დინასტიის 300-წლიანი მმართველობა მოგვიანებით ჩინეთის ისტორიაში შევიდა „ოქროს ხანად". ტანის დინასტიის დროინდელი ჩინეთის დედაქალაქი ასევე სიანი იყო. იმპერატორ ხუანცუნის მმართველობის ხანაში (712-756) ეს ქალაქი კულტურის ცენტრად იქცა. ამ დროს მოღვაწეობდნენ გენიალური ჩინელი პოეტები — ლი ბო, დუ ფუ, ბო ძიუ ი, რომელთა ლირიკამ ჩინური პოეზია აღმოსავლეთის სხვა ხალხთა უდიდეს ლიტერატურას გაუთანაბრა. ტანის პერიოდის ჩინეთი ჩაკეტილობიდან დაადგა გახსნის, ღიაობის გზას. აბრეშუმის გზით ისინი ამყარებდნენ ურთიერთობას დასავლეთ აზიასთან. საბოლოოდ, ტანის დინასტიის ზეობას მოჰყვა შინააშლილობა, რასაც ბოლო მოეღო სუნის დინასტიის გაბატონებით (960-1279). ტანისა და სუნის მშვიდობიანი პერიოდი მონღოლთა შემოსევებმა დაასამარა. ჩინეთი დალაშქრა ჯერ ჩინგიზ ყაენმა, შემდეგ მისმა შვილმა უგედეიმ და ბოლოს — შვილიშვილმა ხუბილაიმ. ამ უკანასკნელმა ჩინეთის დედაქალაქად გამოაცხადა ბეიჯინგი (პეკინი) და მას „დადუ", „დიდი ქალაქი" უწოდა. ხუბილაიმ უარი თქვა თავისი ხალხის ბევრ ტრადიციაზე და ამით ხაზი გაუსვა, რომ თავს ჩინეთს აკუთვნებდა. ხუბილაიმ დააფუძნა მონღოლური იუანის დინასტია, რომელმაც 1368 წლამდე იარსება. მან გაითავისა ჩინური ტრადიციები და სახელმწიფო სტრუქტურა. ის მეცნიერებისა და ხელოვნების დიდი მფარველი გახლდათ. პეკინში მან ააგო იმპერატორის სასახლე ტა-მინგტინი. ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო, რომელმაც ეს ქალაქი მოინახულა, აღფრთოვანებით აღწერდა მის დიდებულებას თავის წიგნში, რომელიც 1477 წელს გამოიცა ნიურნბერგში და განაცვიფრა იმდროინდელი ევროპა. მართალია, მონღოლთა პერიოდში არ შეწყვეტილა ვაჭრობის განვითარება, მაგრამ იუანის დინასტია დაემხო 1368 წელს, მონღოლები ქვეყნიდან გაიქცნენ.

იუანის დინასტიის დამხობის შემდეგ ჩინეთში გაბატონდა მინის დინასტია (1368-1644). მისი ფუძემდებელი იყო ჯუ იუანჯანი, რომელმაც მონღოლთა განდევნა წარმატებით მოახერხა. მინის დინასტიის ყველაზე ბრწყინვალე ხანა მესამე იმპერატორის, იუნ ლის (1402-1424), დროს დაიწყო. მან დედაქალაქი ნანკინიდან პეკინში (ბეიჯინგი) გადაიტანა, იქ ააგო საიმპერატორო სასახლე, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია. იგი 7 კმ. სიგრძის კედლით იყო შემოღობილი და მსოფლიოში ყველაზე

დიდ რეზიდენციად ითვლებოდა. ამ კომპლექსში შედიოდა უამრავი საყახლე, კოშკი, საცხოვრებელი შენობა, ეზო, პავილიონი და ტბა. ყველა შენობის სახურავი ყვითელი ფერის იყო, რაც იმპერატორის ფერად მიიჩნეოდა. საიმპერატორო ქალაქის ცენტრში მდებარეობდა კვადრატული ფორმის სასახლე, ე.წ. „აკრძალული ქალაქი". იქ უნებართვოდ შესული ადამიანი სიკვდილით ისჯებოდა. მინის დინასტიის წარმომადგენლები შლიდნენ ქვეყნიდან მონღოლთა ნაკვალევს, აგრეთვე, ზღუდავდნენ ევროპელ მისიონერებსა და კოლონიზატორებსაც, რომლებიც ნელ-ნელა მიადგნენ ჩინეთის სანაპიროებს. საბოლოოდ, ჩინეთში აჯანყება დაიწყო მინის მმართველობის წინააღმდეგ. აჯანყებას ძირითადად მეთაურობდნენ მანჯურიელები, რომლებიც ჩინურენოვანი ხალხები იყვნენ. აჯანყება წარმატებით დამთავრდა. 1644 წელს მინის დინასტიის უკანასკნელმა იმპერატორმა ჩუნჯენმა თავი ჩამოიხრჩო. დაარსდა მანჯურიელთა ცინის დინასტია, რომელმაც 1911 წლამდე იარსება. ამ დინასტიის ყველაზე სახელოვანი წარმომადგენელი გახლდათ მე-6 იმპერატორი ციანლუნი (1736-1796), განათლებული მმართველი, რომლის მიერ შეგროვებული 1 მილიონზე მეტი ხელოვნების ნიმუში დღესაც ბეიჯინგისა და ტაივანის მუზეუმებშია თავმოყრილი. მანჯურიელთა ბატონობის დროს ქვეყანაში ხშირი იყო ამბოხებები. ოპიუმით ვაჭრობის აკრძალვას მოჰყვა ომი ინგლისთან. 1911 წელს რევოლუციური იდეები მთელ ჩინეთს მოედო, უკანასკნელი იმპერატორი პუი მცირეწლოვანი გადააყენეს.

1912 წლიდან გამოცხადდა ჩინეთის რესპუბლიკა. II მსოფლიო ომის დროს ქვეყნის დიდი ნაწილი ოკუპირებული იყო იაპონიის მიერ. 1949 წელს ქვეყანაში სახალხო რევოლუციის გამარჯვების შედეგად გამოცხადდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. სახელმწიფო იდეოლოგია დაფუძნებული იყო მარქსიზმზე, რამაც გამოიწვია რელიგიური წრეების შევიწროვება, მატერიალისტური და ათეისტური მოძღვრებების გაბატონება. ჩინური მარქსიზმი განსხვავდებოდა სხვა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მარქსიზმისგან. მაო ძე დუნის იდეები (მაოიზმი) ნერგავდა კულტურულ, იდეოლოგიურ დიქტატურას, რაც ახშობდა თავისუფალ აზროვნებას, პროგრესული ლიტერატურის, ხელოვნების წინსვლას. ჩინეთს არ ექვემდებარებოდა (დღესაც ამგვარი ვითარებაა) ტაივანი, რომელიც თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აცხადებს. ჩინეთისაგან 1997 წლამდე, დიდ ბრიტანეთთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა ქ. ჰონკონგი (სიანგანი). იგი დღეს ჩინეთს ეკუთვნის, თუმცა დამოუკიდებლად აწარმოებს ეკონომიკას და სარგებლობს ფართო ავტონომიით. ჩინეთი, მიუხედავად იმისა, რომ 1971 წლიდან არის გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი, ხშირადაა ადამიანის რელიგიური უფლებების დარღვევის მქონე სახელმწიფოთა რიგებში. დღემდე დევნილია ქვეყნიდან ტიბეტელი ლამაისტების სულიერი ლიდერი დალაი ლამა, ჩინელ კათოლიკეებს უძნელდებათ ოფიციალურ ვატიკანთან კავშირი, მკაცრად კონტროლდება რელიგიური და ფილოსოფიური ლიტერატურის პროპაგანდა. თავისი უმდიდრესი წარსულის გამო ჩინეთი მაინც პლანეტის უძლიერესი ქვეყანაა. XXI საუკუნის დასაწყისიდან ჩინეთი არნახული ტემპით ვითარდება ეკონომიკის, მილიტარიზმის, პოლიტიკური ზეგავლენის მხრივ. შეიმჩნევა ტენდენცია, რომ იგი აშშ-თან ერთად გადაიქცევა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოდ.

დაოსიზმი

დაოსიზმის ფესვები იკარგება ძვ. წ. VI საუკუნეში ჩინეთში წარმოშობილი 6 ფილოსოფიური სკოლიდან ერთ-ერთში, რომელსაც დაოიზმი ეწოდებოდა. ამ სკოლის ფუძემდებელი გახლდათ ლაო-ძი, რომელიც ჯოუს ეპოქაში, დაახლოებით ძვ. წ. VI საუკუნეში მოღვაწეობდა. მის შესახებ მწირი ბიოგრაფიული ცნობები გაგვაჩნია. ბევრი წყარო მას მაგიასა და ეზოთერულ მოძღვრებებში განსწავლულ პიროვნებად ხატავს. ხშირია მის ცხოვრებაში სასწაულების შემცველი გადმოცემები. ლაო-ძის მიეწერება ავტორობა ცნობილი წიგნისა – „დაო დე ძინი", თუმცა არსებობს საწინააღმდეგო ცნობაც, რომ ამ წიგნის ავტორები ლაო-ძის მოწაფეები არიან. ჩვეულებრივ, „დაო დე ძინი" ქართულად ნათარგმნია, როგორც „წიგნი გზისა და სათნოების შესახებ", თუმცა იეროგლიფი „დაო" სხვადასხვაგვარად განიმარტება. იგი შედგება 2 ნაწილისაგან: თავი და სვლა. მაშასადამე, პირველადი მნიშვნელობა არის გზა, რომელზეც დადიან ადამიანები. როგორც ვხედავთ, ეზოტერულ მოძღვრებებში ფართოდ გავრცელებული სიმბოლო (გზა) ლაო-ძის ამ ნაწარმოების სათაურშივეა გამოყენებული. „დაო დე ძინი" არის ფართო რელიგიურ-ფილოსოფიური ტრაქტატი. ამ წიგნის არსზე მკვლევართა სხვადასხვა აზრი არსებობდა. დაო (ტაო) გაიგებოდა სამყაროს პირველწყაროდ, რომლისგანაც იშვა და იმართება ყველაფერი, ტერმინი „დე" კი ადამიანში აღმოცენებული ბუნებრივი სიკეთე და სათნოებაა, რომელიც, საბოლოო ჯამში, იდუმალი დაოს მეშვეობით სულდგმულობს და ძალმოსილებს.

დაოიზმის იდეოლოგიიდან აღმოცენდა დაოსიზმი, როგორც ერთ-ერთი ჩინური რელიგია. ახ. წ. II საუკუნეში ჯან დაო-ლინიმ ბუდიზმის გავლენით შექმნა დაოისტური რელიგიის ორგანიზაცია. V საუკუნის დასაწყისში კოუ ციან-ჯიმ შეიმუშავა დაოსიზმის თეოლოგია და რიტუალი. ეს რელიგია განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდა ტანის დინასტიის ხანაში.

დაოსიზმში განვითარებულია სწავლება უძველესი ჩინური გადმოცემისა ინისა და იანის შესახებ. ეს ორი ძალა ეწინააღმდეგება ერთმანეთს და ამით ცხოვრების რიტმს წარმართავს: ინი ცივია, გაუმჭვირვალე და მდედრობითი, იანი კი – ცხელი, ნათელი და მამრობითი. ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალა ერთმანეთს აწონასწორებს. ადამიანმა თავისი დაო უნდა იპოვოს და არ დაარღვიოს ის ჰარმონია, რომელიც ამ სამყაროში სუფევს. დაოსიზმი ეთაყვანება მთების, მდინარეების, ქარების სიმძლავრეს, სხვადასხვა ღვთაებას. მას ბევრი მიმდევარი ჰყავდა უბრალო მოსახლეობაში. ყოველ სოფელში იდგა მაცხოვრებელთა მფარველი მიწის ღვთაების ტაძარი.

დაოსიზმში განვითარდა საკულტო ადგილების გამორჩევა, წმინდა ტექსტების გამოყოფა სხვა ნაწერებიდან. ადამიანებს მოუწოდებდა მარხვისკენ, მედიტაციისკენ, სიწმინდისკენ. მისი მიმდევრები პილიგრიმობისთვის დადიოდნენ რთულად მისასვლელ ადგილებში, კუნძულებზე, მთებზე. აქ მათ ღვთაებებისადმი შესაწირი მიჰქონდათ. დაოსიზმის ხუთი წმინდა მწვერვალიდან ერთ-ერთის, ტაისანის მთის (შანდუნის პროვინცია) წვერისაკენ მიმავალ გზაზე მორწმუნეები საკმევლიან ჩხირებს ანთებენ და ბილიკის მთელ სიგრძეზე მიწაში არჭობენ. ბუდიზმის გავლენით დაოსიზმის ზოგი მიმდევარი განდეგილი ხდებოდა და დაოისტურ მონასტრებს აარსებდა.

საყოველთაოდ ცნობილია ცის დაოისტური ტაძარი ბეიჯინგში (პეკინი). იგი მე-14 საუკუნეში ააგო იმპერატორმა იუნ ლიმ, როგორც საკუთარი ტაძარი, სადაც მას შეეძლო ელოცა კარგი მოსავლისთვის და გამოესყიდა თავისი ხალხის ცოდვები. მეტად საინტერესოა ტაძრის არქიტექტურა. ყველაფერი, რაც ცასთან სიმბოლიზირდება, მრგვალი ფორმისაა, ხოლო რაც დედამიწასთან– კვადრატული ფორმის.

კონფუციანელობა, როგორც ერთ-ერთი ჩინური ფილოსოფიური სკოლა, ჩამოყალიბდა ძვ. წ. VI საუკუნეში, როდესაც ჩინეთში ბატონობდა ჯოუს დინასტია. მოგვიანებით იგი რელიგიაში გადაიზარდა და ჩინეთში გავრცელებული 3 ძირითადი რელიგიიდან ერთ-ერთია. მისი ფუძემდებელია კონფუცი (მისი ჩინური სახელია ქუნ წ, თუმცა, ტრადიციის გათვალისწინებით, ქვემოთ მაინც კონფუცის გამოვიყენებთ, რაც ლათინიზირებული ვარიანტია, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის ფონეტიკური სამყარო მეტ-ნაკლებად ემთხვევა ჩინური ენის ფონეტიკურ სისტემას).

კონფუცი (ქუნ წ) დაიბადა ძვ. წ. 551 წელს ჩინეთის აღმოსავლეთ მხარეში. მისი მშობლები ასაკით შეუფერებელნი იყვნენ (მამა გაცილებით უფროსი იყო დედაზე), რაც თანამედროვეების მხრიდან სამართლიანობის დარღვევად აღიქმებოდა. კონფუცის სამი წლის ასაკში გარდაეცვალა მამა და დედამისი უკიდურეს სიდუხჭირეში ჩავარდა. იგი მკაცრი, ტრადიციების მოყვარული ქალი ყოფილა, რაც პატარა კონფუციის სულიერ ატმოსფეროს უქმნიდა. ამის გამო კონფუცი დროის დიდ ნაწილს მსხვერპლშეწირვის მაგიდაზე, მსხვერპლის შეწირვისთვის განკუთვნილი ხის ჭურჭლით თამაშს ანდომებდა, რითაც ცდილობდა, დედისთვის მიებაძა. 17 წლის ასაკში მას დედაც გარდაეცვალა. დაბალი სოციალური სტატუსი არ აძლევდა საშუალებას, მოხელის თანამდებობა მიეღო. ერთადერთი გამოსავალი განათლების მიღებაში მდგომარეობდა. დაიწყო ხელოვნების შესწავლა. განათლებულად ითვლებოდა ჩინელი, თუ ის ფლობდა კულტურის ექვს დარგს: 1. რიტუალების შესრულების ცოდნას; 2. მუსიკის აღქმის უნარს; 3. მშვილდის ფლობის უნარს; 4. ეტლის მართვის ოსტატობას; 5. კითხვის უნარს; 6. მათემატიკის ცოდნას. მისი პირველი თანამდებობა არისტოკრატიის ბეღელში წვრილი მოხელეობა იყო. 19 წლისა დაოჯახდა. 27 წლის ასაკში მსახურება დაიწყო მთავარ საკერპოში (მსხვერპლშეწირვის ცერემონიების აღსრულების დაწესებულებაში დამხმარედ). 30 წლისამ თავის სახლში გახსნა კერძო სკოლა. ერთ პერიოდის მოგზაურობდა და ბოლოს სამშობლოში დაბრუნდა. დიდი დრო დაუთმო ჯოუს დინასტიის სარიტუალო სისტემის შესწავლას. მოწაფეებს არ არჩევდა სოციალური ნიშნით. ბევრმა მისმა მოსწავლემ სხვადასხვა ადგილას ღირსეული მოხელის თანამდებობა მიიღო. მისი მონარქის მიერ ამქვეყნიური გასართობებით გატაცების შემდეგ მიატოვა უმაღლესი თანამდებობა და მოხეტიალე ცხოვრება დაიწყო, ბოლოს კვლავ სამშობლოში დაბრუნდა და მასწავლებლობა განაგრძო. გარდაიცვალა სამოცდაცამეტი წლის ასაკში. მისი სიბრძნე მისმა მოსწავლეებმა შემოინახეს ძეგლის – ლუნ იუის (განსჯა და საუბრები) სახით. კონფუციმ თავისი ცხოვრების გზა ასე შეაფასა:

– თხუთმეტი წლისამ ჩემი ფიქრები სწავლისაკენ მივმართე;
– ოცდაათი წლისამ მყარი საყრდენი შევიქმენი;
– ორმოცი წლისას აღარ დამრჩა ეჭვის მიზეზი;
– ორმოცდაათი წლის ასაკში ვიცოდი ცის მოწოდება;
– სამოცი წლისამ მოვმართე ჩემი სმენა;
– სამოცდაათი წლისა კი წესების დაურღვევლად მივდევ გულის ძახილს.

კონფუცი იყო უდიდესი მორალისტი და ბრძენი. იგი განიხილავდა ადამიანთა სამ ჯგუფს – თავშეკავებულებს, თავაშვებულებსა და ჩერჩეტებს. მან ადამიანური ბუნება ამგვარად დაახასიათა: სიმდიდრე, გვარიშვილობა, დიდგვაროვნება – აი რისკენ ისწრაფვის ადამიანი დღენიადაგ. თუ არ დაუწესდა მას დაო (იგივე ტაო – რაც კონფუციასთან განმარტებულია, როგორც პრინციპების, იდეებიის კომპლექსი), იგი ვერ გაექცევა ვერც სიღარიბესა და ვერც უნიათობას. გაუთავებელი ლტოლვა სიმდიდრისა და დიდგვაროვნებისაკენ, ადამიანისათვის სიღარიბეში აღმოჩენა და საძაგელ ადამიანად ყოფნა ერთი და იმავე ფასეულობების მატარებელია. ჩამოთვლილი

თვისებები კონფუციმ მიაკუთვნა ადამიანის ბიოლოგიურ-ბუნებრივ ბუნებას, რომლებიც განსაზღვრავს არა მარტო ცალკეული ინდივიდების ქცევას, არამედ ხალხთა დიდი გაერთიანებების (კოლექტივების), საბოლოო ჯამში, ეთნოსის ქცევასაც. მისთვის მთავარი იყო ადამიანის ფარული ბუნების შეცნობა, რაც ამ უკანასკნელზე ზემოქმედების შესაძლებლობას მისცემდა მას საჭირო მიმართულებით. კონფუცი ადამიანებს განიხილავდა სამ განზომილებაში და, შესაბამისად, ადამიანებსაც ყოფდა სამ კატეგორიად, კერძოდ: წიუნ წ (სრულყოფილი მამაკაცი), ჟენ (ადამიანი) და სიაო ჟენ (პატარა ადამიანი). პირველი და მესამე ჩინური აზროვნებისთვის ახალი ცნებები იყო.

წიუნ წ-ს (სრულყოფილი მამაკაცი, რომელიც ღირსეულ მოხელესთანაა გაიგივებული) კონფუცის სწავლებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი იდეალური ადამიანის ეტალონია, თვალსაჩინო, მისაბაძი სხვა კატეგორიების წარმომადგენელთათვის. ღირსეული მოხელის საქციელი სამართლიანობის გრძნობიდან გამომდინარეობს, რაც გამოიხატება გარკვეული ქცევის წესების დაცვაში (სიტყვაძუნწობა, სამართლიანობა...); კონფუცის სწავლების თანახმად, სრულყოფილი მამაკაცი იღებს შესაბამის სოციალურ სტატუსს, რითაც, ასევე, უკავშირდება ხალხსა და სახელმწიფოს მართვის მეთოდებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მმართველი ავტომატურად ხდებოდა წიუნ წ. ამ უკანასკნელის მოსაპოვებლად კონფუცი განსაკუთრებით გამოყოფდა ორ თვისებას: ჟენ-ს – კაცთმოყვარეობას და ვენ-ს – კულტურას. კაცთმოყვარეობა (ჟენ) ნიშნავს ადამიანის იმ მდგომარეობას, რომელსაც იგი ამყარებს ნებისმიერ სიტუაციაში ყოფნისას, ანუ ყოველთვის იქცევა ისე, როგორც მოიქცეოდა სასურველი სტუმრის მასპინძლობის დროს. კაცთმოყვარეობაში, პირველ რიგში, მამაშვილური მოწიწება (სიაო), ნათესავების, უფროსებისა და წინაპრებისადმი სიყვარული და პატივისცემა იგულისხმება. მოხუცებული მშობლების მხოლოდ დაპურება არაა საკმარისი, არამედ მუდმივად მათი მორჩილება, სიყვარულის გამომჟღავნება და სიცოცხლის ბოლომდე მშობლის მიერ განვლილი გზის გაგრძელება, რაც თაობებს შორის მჭიდრო კავშირს, შედეგად კი თაობების მიერ ტრადიციების მიმღეობის უწყვეტობას უზრუნველყოფს. კონფუცის დროიდან მოყოლებული ვენ-ი იძენს ლიტერატურის, კულტურის მნიშვნელობას. კონფუცი წინააღმდეგი იყო ადამიანის ცალმხრივი განვითარებისა, კერძოდ, თუ ადამიანში ჭარბობს სიამაყე, ველურობა ან პირიქით, ზედმეტად განსწავლულია, წიგნიერია და მთელი ძალებით ეუფლება ვენს, უჭირს ჩვეულებრივ ადამიანებს შორის ცხოვრება, კარგავს სიცოცხლისუნარიანობას. კონფუცის კარგად ესმოდა, რომ საზოგადოება შეუძლებელია შედგებოდეს მხოლოდ წიგნიერი ადამიანებისაგან. მათ თავისი ბუნებრივი თვისებები და ვნებები უნდა შეუხამონ შეძენილ ცოდნას. კონფუციისათვის ადამიანის უფლებები და მოვალეობები განუცალკევებელია.

ადამიანის მეორე ტიპს – სიაო ჟენს (პატარა ადამიანი) – ხშირად იყენებს ტერმინ წიუნ წ-სთან, როგორც მისი უარყოფითი მნიშვნელობის გამომხატველს. მას აქვს როგორც ეთიკური, ასევე სოციალური დატვირთვა. სიაო ჟენის კატეგორიის ადამიანების აზრები მიმართულია ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, კერძოდ – სწრაფვა დიდგვაროვნებისა და სიმდიდრისკენ. ამიტომ ასეთი ადამიანებისათვის ერთ-ერთ მახასიათებელს, შესაძლოა მთავარსაც, წარმოადგენს ლი – სწრაფვა სარგებლიანობისაკენ. სიაო ჟენს არ შეუძლია სხვა ადამიანებთან შეთანხმებულად ცხოვრება, მოუთმენელი და ადვილად ფეთქებადია, ამასთან ერთად, ის თავგასული და მხდალიცაა. რაც შეეხება მის სოციალურ ბუნებას, კონფუცის თავის სწავლებაში ასე ჰყავს დახასიათებული: თუ სრულყოფილი ადამიანი ზრუნავს მორალზე, სიაო ჟენი ფიქრობს მიწაზე. სრულყოფილი იღწვის კანონის აღსრულებისთვის მაშინ, როცა სიაო ჟენი კეთილდღეობისა და სარგებლის (ლი) მიღებას ცდილობს. აღსანიშნავია, რომ კონფუცი არ ჰკიცხავს სიაო ჟენს, ის მხოლოდ მიჯნავს წიუნ წ-სა და სიაო ჟენის საქმიანობის სფეროებსა და

უფლება-მოვალეობებს. სრულყოფილი ადამიანის უფლება-მოვალეობანი დაკავშირებულია მორალის სრულყოფასთან, სიკეთის ქმნასთან (მორალი, ზნეობა, ეთიკა – ტე), მაგრამ ვინმემ ხომ უნდა იზრუნოს სარჩო-საბადებელზე. სრულყოფილი ადამიანისათვის მიუღებელია სახნავ ველ-მინდვრებზე ზრუნვა, მისი მოვალეობაა ადამიანების მართვა. როგორც სიაო ჟენ, ასევე წიუნ წ შესაძლებელია იყვნენ ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენლები (ამ თვალსაზრისით კონფუციის სწავლება გაცილებით ჰუმანურია, ვიდრე ინდუიზმისა, რომელიც ადამიანებს წარმომავლობის მიხედვით ყოფს კასტებად).

კონფუცი იხილავს ადამიანის მესამე ტიპსაც – ჭუნგ ჟენ-ს (ადამიანი საშუალო ფენიდან), რომელსაც კულტურული და ზნეობრივი თვალსაზრისით შუალედური საფეხური უჭირავს წიუნ წ-სა და სიაო ჟენს შორის.

კონფუცი უდიდეს ყურადღებას ამახვილებდა ოჯახის ფენომენსა და იქ მორჩილების აუცილებლობაზე. მან ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფოც ოჯახია.

კონფუცი ჩინურ ტრადიციაში არსებული 5 საწყისის შესახებ წარმოდგენას სიმბოლურ შესატყვისებს უძებნიდა: ხე – ინდივიდი, ცეცხლი – ხალხი, მიწა – სახელმწიფო, ლითონი – უზენაესი ძალაუფლება, წყალი – კულტურა.

კონფუცის მოძღვრებაში უკიდურესი სიახლე არაფერი იყო. იგი ადამიანთა თანაცხოვრებისა და სახელმწიფოში წესრიგის დამყარების ერთადერთ გზას წარსულის, ოქროს ეპოქის, ტრადიციებთან დაბრუნებაში ხედავდა. ომიანობის დროს კონფუცი ქადაგებდა მოყვასისადმი სიყვარულსა და პატივისცემას. წინაპართა პატივისცემას სახელმწიფოსა და ოჯახის მხრიდან ის ადამიანთა ჰარმონიული თანაცხოვრების აუცილებელ და მნიშვნელოვან წინაპირობად მიიჩნევდა. კონფუცი მოითხოვდა ტრადიციული რიტუალების დაცვას და თვლიდა, რომ ბავშვები ამით თავიანთი მშობლებისა და წინაპრებისადმი პატივისცემას გამოხატავდნენ. იგი სახელმწიფოს მოწესრიგების საფუძველს ოჯახის შიგნით ურთიერთობათა მოწესრიგებაში ხედავდა. კონფუცის მოძღვრების დიდაქტიკური ნაწილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღზრდას.

კონფუცის გარდაცვალების შემდეგ მისი მოძღვრება 8 განშტოებად გაიყო. მათგან მნიშვნელოვანია მხოლოდ ორი: იდეალისტური სკოლა – მენძი და მატერიალისტური სკოლა – სუნძი. ორივე სკოლა ძვ. წ. III საუკუნეში ჩამოყალიბდა. მათი შემქმნელები იყვნენ, შესაბამისად, მენძი და სუნძი. მათ შორის განსხვავება ყველაზე მეტად ანთროპოლოგიაში იჩენს თავს, თუმცა კონფუციის ყველა მიმდევარი ბოროტების დაძლევის გზას ზნეობრივ სრულყოფაში ხედავდა.

რელიგიად განვითარებულმა კონფუციანელობამ ბევრი ელემენტი შეითვისა სახალხო ჩინური რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისგან. აქ განვითარდა წინაპართა კულტი, მაგია, ასტრალური წარმოდგენები. დღეს ჩინეთის გარდა იგი კორეასა და იაპონიაშიც გეხვდება, თუმცა მისი ზეგავლენა სუსტია. კონფუციანელობა ჩინეთში, დაოსიზმისა და ბუდიზმის გვერდით, ტრადიციულ რელიგიათა რიგს განეკუთვნება.

იაპონური რელიგია

იაპონელთა ეთნოგენეზის საკითხი დღემდე საკამათოდ რჩება. მის შესახებ მრავალი თეორია არსებობს, მაგრამ საბოლოო დასკვნის სახით მიღებული არც ერთი არაა. ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში იაპონიის კუნძულებზე კორეის სრუტის გავლით შეიჭრნენ ე. წ. პროტოიაპონური ტომები. მათი ურთიერთშერევის პროცესი ადგილობრივ მოსახლეობასთან V საუკუნემდე გრძელდებოდა. VI–VII საუკუნეებში იაპონიის მოსახლეობამ შეითვისა კორეული და ჩინური კულტურის ელემენტები. დღესდღეობით იაპონია, ეთნიკური შემადგენლობის მხრივ, მსოფლიოს ერთ-ერთი ერთგვაროვანი ქვეყანაა. მოსახლეობის 99%-ს იაპონელები შეადგენენ. ცხოვრობენ ასევე კორეელები და ჩინელები, ხოლო ევროპელების რიცხვი ძალზე მცირეა.

იაპონელებზე პირველი ცნობები შემოინახა ჩინურმა წყაროებმა, რომლებიც ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება. VII საუკუნეში ჩნდება იაპონური ქრონიკები, რომლებიც მითებისა და ისტორიული ქრონიკების კრებულებს წარმოადგენენ. ამ კრებულებს ეწოდებათ „კოძიკი" („უძველესი ჩანაწერები" – 712წ.) და „ნიჰონ სიოკი" („იაპონური ანალები" – 720წ.).

იაპონელთა ნაციონალური რელიგიის – შინტოიზმის თანახმად, ისინი დასაბამს იღებენ მზის ქალღმერთ ამატერასუსგან. მისი შთამომავალი იყო ლეგენდარული იმპერატორი ძიმუ. იგი იმპერატორი გახდა 660 წელს და საფუძველი ჩაუყარა იაპონელ იმპერატორთა უწყვეტ დინასტიას.

იაპონიაში იმპერატორის რწმენა ისევე, როგორც ერთ დროს ეგვიპტეში ფარაონების აუტორიტეტი, შეუვალი იყო. ეს თვითშეგნება ვერ ამოშალა ვერც კონფუციანელობამ და ვერც ბუდიზმმა. ბუდიზმი იაპონიაში შეიჭრა ინდოეთიდან VI საუკუნეში. ის და შინტოიზმი მშვიდობიანად არსებობდა ერთმანეთის გვერდით. ბუდიზმი გავრცელდა იაპონური საზოგადოების ყველა კუნჭულში. რაც შეეხება კონფუციანელობას, ის ჯერ კორეიდან IV–V საუკუნეებში, ხოლო შემდეგ უშუალოდ ჩინეთიდან VI საუკუნეში შეიჭრა. კონფუციანელთა სწავლება მორჩილებაზე, წესრიგზე, იერარქიულ დაქვემდებარებაზე ახლობელი აღმოჩნდა იაპონური მენტალიტეტისთვის. XII–XIV საუკუნეებში ყალიბდება სამურაების ინსტიტუტი. თავდაპირველად მიწები ჰქონდათ, მაგრამ შემდეგში მათ მიწები ჩამოართვეს და დაიწყეს ხეტიალი ქვეყნის მასშტაბით საარსებო წყაროს მოსაპოვებლად. შექმნეს მორალის კოდექსი „ბუსიდო", რომელიც თანდათან საზოგადოების დაუწერელ კანონად იქცა.

1611-1614 წლებში გამოიცა მითითებანი, რომლებიც კრძალავდა ქრისტიანულ რელიგიას და მიზნად ისახავდა ქვეყნიდან იეზუიტების განდევნას. 1624 წლიდან ქვეყანაში ნელ-ნელა ეკრძალებათ შესვლა ესპანელებს, პორტუგალიელებს. პარალელურად იაპონელებსაც არ ჰქონდათ უფლება ქვეყნის დატოვებისა. 1639 წელს საბოლოოდ აკრძალეს ქრისტიანობა. ასე მიაღწია იაპონიამ თვითიზოლაციას დანარჩენი სამყაროსგან. ამ ჩაკეტილობის პერიოდში არაერთი იაპონური წესი შემუშავდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქვეყანაში დაიწყო რესტავრაციის პროცესი, რასაც მოჰყვა გარკვეული ცვლილებები ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. იაპონიის განლაგება კუნძულებზე და გარე სამყაროსგან იზოლაცია არ შეიძლებოდა არ ასახულიყო ხალხის ბუნებაში. 1945 წელს, როცა იაპონია ომში დამარცხდა და იმპერატორმა სრული კაპიტულაცია მოახდინა, ბევრმა იაპონელმა ეს ფაქტი კატასტროფად აღიქვა. მათ თავზარი დასცა იმპერატორისა და, შესაბამისად, იაპონელი ერის ღვთაებრივი წარმოშობის იდეის უარყოფამ. ყველაფრის მიუხედავად, იაპონელებმა მრავალი ძველი რელიგიური და ტრადიციული შეხედულება შეინარჩუნეს. ამას თვალნათლივ ადასტურებს იაპონური ეროვნული ხასიათის შესწავლის მასალები. **ეს შესწავლა იაპონიაში 1953 წლიდან რეგულარულად (5 წელიწადში ერთხელ) ხდება მათემატიკური სტატისტიკის ინსტიტუტში.**

იაპონელები საუბრობენ იაპონურ ენაზე (დღეს მათი რიცხვი 120 მილიონს აჭარბებს). მართალია, იაპონური დამწერლობა ჩინური იეროგლიფური დამწერლობის სისტემას ეფუძნება, მაგრამ ისინი არ არიან მონათესავე ენები. იაპონური ენა, კორეულის მსგავსად, განცალკევებით დგას. დღეს იაპონურ პრესაში გამოყენებულ იეროგლიფთა რიცხვი 4-5 ათასს აღწევს, ხოლო სპეციალურ ლიტერატურაში – 8-10 ათასს.

ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ იაპონელთა ნაციონალური რელიგიის – შინტოიზმის მიმოხილვაზე, უპრიანი იქნება, შევეხოთ იაპონელთა უძველეს რელიგიურ შეხედულებებს, რომლებიც დღესაც გვხვდება.

იაპონელებში ა'მკარად შეიმჩნევა ზოომორფიზმის გადმონაშთები. საუკუნეების განმავლობაში მათში არსებობდა მელიის კულტი. იაპონელთა რწმენით, მელიის არსში გაცხადებულია ღვთაება ინარის სული. ინარის საგანგებო ტაძრებია აგებული, სადაც თითქოს იკრიბებიან მელიის ბუნების ადამიანები. დოლების რიტმული ხმებისა და წმინდა მსახურთა მოწოდებების წყალობით „მელიის ბუნების" თაყვანისმცემელი მრეველი ტრანსის მდგომარეობაში ვარდება. მორწმუნეებს სჯერათ, რომ ინარი შთაბერავს მათ თავის ძალას, ამიტომაც „მელიის ბუნების" ადამიანებს თავიანთი თავი მომავლის განმჭვრეტელ ჯადოქრებად და წინასწარმეტყველებად მიაჩნიათ. უძველესი დროიდანაა ცნობილი მგლის თაყვანისცემაც. მგელი ითვლებოდა ოკამის მთების სულად. ადამიანები ეთაყვანებოდნენ ოკამის და სთხოვდნენ მას დაცვას სხვადასხვაგვარი განსაცდელისგან. მეთევზენი დღემდე სთხოვენ მას ზურგის ქარს. ბევრი მგელს შესთხოვდა დახმარებას სტიქიური უბედურებების დროს და ავადმყოფთა განკურნებასაც.

იაპონიის ზღვისპირეთში შემორჩა კუს თაყვანისცემა. მეთევზეები ახლაც ზღვის ღვთაებად (კამი) თვლიან მას, რომელზეც დამოკიდებულია წარმატება. ცნობილია გველებისა და მოლუსკების თაყვანისცემაც. წმინდად ითვლება ტანისი – მდინარეებისა და გუბურების მოლუსკი. ზოგს მიაჩნია, რომ ტანისისადმი მოწიწება იაპონიაში ჩინეთიდან შეიჭრა. არის ადგილები იაპონიაში, სადაც დღევანდლამდე სწამთ პატარა თევზის – ოკოძეს – წმინდანობა. მას ლეგენდებში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს. იგი ითვლება მთის კამის წარმოგზავნილად. როცა მეთევზეები გაჭირვებაში ვარდებიან, ზღვის კამის აღუთქვამენ ოკოძეს შეწირვას, თუ ის შეიწყალებს და გადაარჩენს მათ. იაპონიაში უძველესი დროიდან წმინდად ითვლებოდა ასევე ზვიგენი (სამე) – ის იყო ღვთაებრიები ძალით დაჯილდოებული არსება, ე. ი. კამი. მასზეც მრავალი ლეგენდა არსებობს. ითვლება, რომ ზვიგენს თევზის ქარავანი მოსდევს; თუ მეთევზეს გაუმართლებს და ზვიგენს შეხვდება, უხვი ნადავლით დაბრუნდება. იაპონიაში, განსაკუთრებით, სოფლად, სახლის შესასვლელის წინ შეიძლება ეკიდოს გამხმარი კიბორჩხალა; მას თვლიან ავგაროზად, რომელიც ოჯახს ბოროტი სულებისგან იცავს. ყვებიან, რომ ერთხელ კიბორჩხალა სანაპიროს იმ ადგილებში გამოჩნდა, სადაც ადრე არ ენახათ. ადამიანებმა იგი დაიჭირეს, გაახმეს და ხეზე ჩამოკიდეს. ამის შემდეგ ავი სულები ამ ადგილს გვერდს უვლიდნენ. დღემდე არსებობს გადმოცემა, რომ როცა მინამოტოსა და ტაირას გვარებს შორის შინაფეოდალური ომი ატყდა და ეს უკანასკნელი დაეცა, მისი მეომრები ზღვაში დაიღუპნენ, ისინი იქ კიბორჩხალებად იქცნენ.

ცხოველთა ცალკეული სახეობების თაყვანისცემასთან ერთად იაპონიაში არსებობს მთების, მთის წყაროების, ქვების, ხეების თაყვანისცემაც. მაგალითად, იაპონელები აღმერთებენ მტირალ ტირიფს (იანაგი), მის მოქნილ წვრილ ტოტებს, რომლებიც ქარის სულ მცირე მოძრაობაზეც კი ირხევიან. ისინი იაპონელებში ესთეტიკურ გრძნობებს აღძრავდნენ, ამა თუ იმ პოეტის შთაგონების წყაროც გამხდარან. ტირიფს იაპონელები ბედნიერებისა და წარმატების მომტან ხედ აღიქვამდნენ. ტირიფისგან აკეთებენ ჩხირებს საჭმლისთვის და მათ მხოლოდ ახალი წლის ზეიმზე ხმარობენ. იაპონიაში ძალზე პოპულარულია ბუდისტური წმინდანი ძინძო. ის ცნობილია, როგორც ბავშვთა და მოგზაურთა მფარველი, ხანგრძლივი სიცოცხლის უზრუნველმყოფელი.

მკვლევარნი შემდეგნაირად ყოფენ იაპონელთა ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს: სამეურნეო კულტები (დაკავშირებული ძირითადად სოფლის მეურნეობასა და მეთევზეობასთან); განკურნების კულტები (სნეულებათა განკურნების უზრუნველყოფა); მფარველი კულტები (გარედან შემოსული უბედურებებისგან, ეპიდემიებისგან დასაცავად); ოჯახური კერიის მფარველი კულტი (სახლის დასაცავად ხანძრისგან, ოჯახში სიმშვიდის შესანარჩუნებლად); წარმატებებისა და აყვავების კულტი (რომელსაც მოაქვს სიმდიდრე და ცხოვრებისეული სიკეთე); ბოროტ სულთა დამაფრთხობელი კულტი (მიმართული სხვადასხვა უწმინდურის, ავსულის წინააღმდეგ). ეს საკულტო ტრადიციები დღესაც გვხვდება იაპონელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

შინტოიზმი

შინტოიზმი (ღმერთების გზა) იაპონელთა ნაციონალური რელიგიაა. იგი უძველეს დროში წარმოიშვა, ზუსტი ეპოქის განსაზღვრა ძნელდება. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ შინტოიზმი ჩინური გავლენის გარეშე აღმოცენდა და განვითარდა. ჩვეულებრივ, იაპონელი არ ცდილობს ჩაწვდეს შინტოს არსსა და წარმოშობას. მისთვის ეს არის ისტორიაც, ტრადიციაც და ცხოვრებაც. შინტოიზმი შეიცავს უძველეს იაპონურ რწმენა-წარმოდგენათა ნაკვალევს – ასტრალურ კულტებს, სტიქიათა, ცხოველთა გაღმერთებას. შინტოიზმის მიზანი იაპონიის უძველესი წარსულის და იაპონელთა ღვთაებრივი წარმოშობის განმტკიცებაა. შინტოს მიხედვით, იმპერატორი (მიკადო) ციურ სულთა შთამომავალია, ხოლო თითოეული იაპონელი – მეორე რანგის სულთა (კამი) შთამომავალი. იაპონელებისთვის კამი ნიშნავს წინაპრებს, გმირებს, სულებს და ა. შ. სამყარო კამის მირიადებითაა დასახლებული. ღვთისმოსავი იაპონელი ფიქრობს, რომ სიკვდილის მერე იგი ერთ-ვროი კამი გახდება.

შინტოიზმი ქადაგებს წინაპართა კულტსა და ბუნების თაყვანისცემას. შინტოიზმში არაა სხვა მცნება, გარდა საყოფაცხოვრებო წესდებებისა: სისუფთავის დაცვა და საგანთა ბუნებრივ წესრიგს მიყოლა. მას აქვს მორალის ერთი საერთო წესი: „მოიქეცი ბუნების კანონთა შესაბამისად, ამასთან, ანგარიში გაუწიე საზოგადოებრივ კანონებს". შინტოისტების წარმოდგენებით, იაპონელებს ინსტინქტურად ესმით სიკეთისა და ბოროტების არსი, ამიტომაც მათთვის საზოგადოებრივი ვალდებულებების დაცვაც ინსტინქტურია. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ „იაპონელები მხეცებზე უარესნი იქნებოდნენ. მათ ხომ არავინ ასწავლის, როგორ უნდა მოიქცნენ"

შინტოიზმში თითქმის ყველა მონასტერს თავისი წიგნი აქვს, მაგრამ ძირითად წიგნებად „კოძიკი" და „ნიჰონგი" მიიჩნევა, თუმცა მათ არ აქვთ ისეთივე მნიშვნელობა შინტოიზმში, როგორც ყურანს – ისლამისთვის. „კოძიკი",– წერს ნ. ი. კონრადი,– ყოველი იაპონელისთვის მშობლიური და ახლობელი წიგნია. მისკენ ილტვის ყველაფერი ის, რაც ძირეული ეროვნული სულის მატარებელია. „კოძიკი" გასაღებია იაპონიისა, თვით იაპონელებისა. მისი საშუალებით ჩვენ შევიცნობთ „ღმერთების საუკუნესაც" და ისევ მისი მეშვეობით წარმატებით ეუახლოვდებით „ჭეშმარიტად იაპონურს თვით თანამედროვე იაპონიაშიც".

„წიგნში,– სამართლიანად აღნიშნავს ნ. ი. კონრადი,– გაერთიანებულია ორი იდეა: სისხლით მონათესავე ტომების ერთიანობისა და პოლიტიკური ძალაუფლებისა. პირველის გამოხატულებაა ტომების განფენა დროის მიხედვით, რასაც უკავშირდება წარსულთან მისი მიმართება და, საერთოდ, ყველაფრის დაბადების ერთობლიობა, ტომის შემადგენლობაში ყოველივე უცხოს ჩართვა და დამორჩილება; გენეალოგიური ხაზის გატარება მთავარ პირთა წყებაში – ღმერთები, ბელადები, მეფეები – როგორც ტომის ერთიანობის გამოვლინებაში. მეორის გამოხატულებაა პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელება".

იაპონიაში შინტოისტური გადმოცემა ასწავლის, რომ თავდაპირველად სამყაროში ქაოსი სუფევდა, მაგრამ მერე ყველაფერი მოწესრიგდა: გაიყო ცა და დედამიწა; განცალკევდა მდედრობითი და მამრობითი საწყისები: პირველი – ქალღმერთ იძანამის, ხოლო მეორე – მისი მეუღლის, იძანაგის, სახით. მათ ეყოლათ მზის ქალღმერთი ამატერასუ, მთვარის ღმერთი ცუკიიომი და ქარის ღმერთი სუსანოო. ამატერასუ და სუსანოო ერთმანეთთან იწყებენ ბრძოლას. ამატერასუ იმარჯვებს და ცაში მკვიდრდება, სუსანოო კი განიდევნება დედამიწაზე, ქვეყანაზე, რომელსაც ჰქვია იძუმო. სუსანოოს შვილი ოკუნინუსი, იძუმის მმართველი ხდება. ამატერასუ ამას ვერ ეგუება და აიძულებს ოკუნინუსის მმართველობა მის შვილიშვილს, ნინიგის, გადასცეს. ეს უკანასკნელი ჩამოდის ციდან და იძუმოს სახელმწიფოს მართვას იწყებს. ძალაუფლების ნიშნად მას ეძლევა სამი წმინდა ნივთი – სარკე (ღვთაებრიობის სიმბოლო), მახვილი (ძლიერების სიმბოლო) და იასპი (ქვეშევრდომთა ერთგულების სიმბოლო). ნინიგიდან წარმოიშვა ძიმუ-ტენო (ტიტული ტენო ნიშნავს უმაღლეს ხელისუფალს, იმპერატორს, ის სამეფო კარმა შემოინახა ჩვენს დრომდე); იგი არის პირველი მითიური იმპერატორი იაპონიისა, რომელმაც სათავე დაუდო იმპერატორთა დინასტიას – მიკადოს. სარკე, მახვილი და იასპი უძველესი დროიდან დღევანდლამდე საიმპერატორო კარის ემბლემას წარმოადგენს. ძიმუ-ტენო, იაპონელი ისტორიკოსების მონაცემებით, ძვ. წ. IV–III საუკუნეებში მეფობდა და გარდაიცვალა 307 წელს.

მიკადო იაპონელთა წარმოდგენაში არავითარ კლასს არ უკავშირდება. მიკადოს „ღვთაებრივი წარმოშობა" მას მთელ ხალხთან ანათესავებს და ხდის ერის, როგორც ოჯახის, უფროსად. მიკადოს იდეა იაპონელთა ცნობიერებაში დღესაც არ გამქრალა, თუმცა, რასაკვირველია, მისი მარეგულირებელი ძალა შესამჩნევად დასუსტდა. თანამედროვე იაპონელები არ ანიჭებენ ამ იდეას სერიოზულ მნიშვნელობას, მაგრამ ქვეცნობიერად მაინც თაყვანს სცემენ. ამის დამადასტურებელია სხვადასხვაგვარი წეს-ჩვეულება, რომლებიც იმპერატორის ოჯახის პატივსაცემად შინტოისტურ ტაძრებში სრულდება (ზოგი მონაცემით, ასეთი წესი ათასზე მეტია).

შინტოიზმმა იაპონელებს საგნებზე, ბუნებასა და ურთიერთობებზე განსაკუთრებული შეხედულება ჩამოუყალიბა. ეს შეხედულება ხუთ კონცეფციაზეა დაყრდნობილი.

პირველი კონცეფცია ამტკიცებს, რომ ყველაფერი სამყაროს თვითგანვითარების შედეგია: სამყარო თავისთავად გაჩნდა, იგი სრულყოფილია. ყოფიერების მარეგულირებელი ძალა, შინტოს დოქტრინის მიხედვით, თვით სამყაროდან მოდის და არა რომელიღაც ღვთაებრივი არსებიდან, როგორც ეს ქრისტიანებსა და მუსლიმანებს სწამთ. სამყაროს ამდაგვარ გააზრებაზე არის დაფუძნებული იაპონელის რელიგიური შეგნება. იაპონელს აოცებს ევროპელის შეკითხვა: „რა სარწმუნოების ხართ?" ან უფრო მეტიც: „გწამთ თუ არა ღმერთი?".

მეორე კონცეფცია ხაზს უსვამს სიცოცხლის ძალას. მითოლოგიის თანახმად, პირველი სქესობრივი დაახლოება ღმერთებს შორის მოხდა, ამიტომაც იაპონელის შეგნებაში ინტიმი და მორალური დანაშაული არასდროს უკავშირდება ერთმანეთს. მოცემული პრინციპის თანახმად, რაც ბუნებრივია, ყველაფერს პატივი უნდა მიეგოს. უპატივცემულობის ღირსია მხოლოდ „უწმინდური", თუმცა ყველანაირი „უწმინდურის" განწმენდაც შესაძლებელია. ზუსტად ამისკენაა მიმართული შინტოისტურ ტაძართა რიტუალები. ისინი ადამიანებში ბადებენ შეგუების, ადაპტაციის მიდრეკილებებს. ამის გამო იაპონელი მზად არის თითქმის ყველანაირი მოდერნიზაციის მისაღებად მას მერე, რაც იგი განიწმინდება, გასწორდება და შეეწყობა იაპონურ ტრადიციებს.

მესამე კონცეფცია ამტკიცებს ბუნებისა და ისტორიის ერთიანობას. შინტოისტური თვალსაზრისით, სამყარო არ იყოფა ცოცხალ და არაცოცხალ ნაწილებად – ყველაფერი ცოცხალია: მცენარეებიც და ნივთებიც. ყოველ ბუნებრივსა და ადამიანშიც ცხოვრობს ღვთაება კამი. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ადამიანი – ეს თვით კამია,

ანდა, უფრო სწორად, კამი იბუდებს მასში და საბოლოოდ ადამიანს ძალუძს გახდეს კამი და ა. შ. შინტოს თანახმად, კამის სამყარო საიქიო სასუფეველი კი არ არის, რომელიც ადამიანთა სამყაროსგან განსხვავდება. კამი შენივთებულია ადამიანებთან და ამიტომაც მათ არ სჭირდებათ ხსნის ძებნა სადღაც სხვა სამყაროში. ხსნა მიიღწევა ყოველდღიურ ცხოვრებაში კამისთან შერწყმით.

მეოთხე კონცეფცია დაკავშირებულია მრავალღმერთიანობასთან. შინტო აღმოცენდა ბუნების კულტებიდან, ადგილობრივი საგვარეულო და სატომო თაყვანისცემი ღვთაებებიდან. მაშინ არავითარ ერთ ღმერთზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. შინტოს პირველყოფილმა შამანურმა და ჯადოქრულმა წეს-ჩვეულებებმა მხოლოდ V-VI საუკუნეებში მიიღო ერთიანი სახე, როდესაც საიმპერატორო კარმა კონტროლი დაუწესა შინტოისტური ტაძრების საქმიანობას. VIII საუკუნის დასაწყისში შეიქმნა საიმპერატორო კარზე შინტოს საქმეების გამგებელი საგანგებო საბჭო, ხოლო XI საუკუნეში შედგა შინტოს ღმერთების სია (მაშინ შინტოს პანთეონი 3132 ღმერთს ითვლიდა, შემდეგში ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა).

შინტოს მეხუთე კონცეფცია დაკავშირებულია ეროვნულ-ფსიქოლოგიურ საფუძვლებთან. ამ კონცეფციის თანახმად, შინტოს ღმერთებმა (კამი) წარმოშვეს არა საერთოდ ადამიანები, არამედ მხოლოდ იაპონელები. ამასთან დაკავშირებით იაპონელის შეგნებაში სიცოცხლის პირველივე წლებიდან მტკიცდება წარმოდგენა იმაზე, რომ ის შინტოს ეკუთვნის. აქედან კი ქცევის რეგულაციის ორი უმთავრესი ფაქტი გამომდინარეობს: ჯერ ერთი, კამი დაკავშირებულია მხოლოდ იაპონელებთან და მეორეც, სასაცილოა, როცა სხვა ეროვნების პიროვნება კამის ეთაყვანება და შინტოს მიმდევარია (შინტოიზმი მკვეთრი ნაციონალური რელიგიაა).

არაიაპონელის ამგვარი საქციელი იაპონელების მიერ აღიქმება, როგორც უაზრობა. ამასთან ერთად, შინტო თვით იაპონელებს არ ბორკავს, მათ ნებისმიერი სხვა რელიგია შეუძლიათ აღიარონ და შემთხვევითი არ არის, რომ თითქმის ყველა იაპონელი შინტოიზმის პარალელურად თავს რომელიმე სხვა რელიგიური დოქტრინის მიმდევრად თვლის. თუ შევაჯამებთ იმ იაპონელთა რაოდენობას, რომლებიც სხვადასხვა კონცეფციას ეკუთვნიან, მივიღებთ რიცხვს, რაც ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობას გადააჭარბებს.

შინტოიზმში საკულტო მოქმედებანი კონკრეტული ტაძრის, ღვთაების თაყვანისცემაში გამოიხატება. შინტოისტური ტაძრების რიტუალები ადგილობრივი ღვთაების პატივსაცემად იმართება. ცერემონიების სიმარტივე, რომელიც ადამიანებისაგან მხოლოდ ძღვენსა და მწირ რიტუალებს ითხოვს, ასწლეულების მანძილზე შინტოს სიმტკიცის უმნიშვნელოვანეს მიზეზად იქცა. მეცნიერები თვლიან, რომ იაპონელისათვის ტაძარი, რიტუალები და ყოველწლიური ფერად-ფერადი დღესასწაულები ცხოერების აუცილებელ ნაწილებად იქცა. მას მისდევდნენ მისი მამები, წინაპრები, ამასვე მისდევს თვითონაც, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, უბრალოდ, იქცევა ისე, როგორც დაწესებულია, როგორც იქცევა ყველა მისი ნათესავი და თვისტომი.

შიუხედავად ცალკეული ტაძრების წეს-ჩვეულებებს შორის არსებითი განსხვავებებისა, ზოგიერთი საერთო ნიშანი მაინც ჩამოყალიბდა. ეს დაკავშირებულია ცენტრალური ხელისუფლების გარკვეულ მცდელობასთან, შეეტანათ წესრიგი საკულტო პრაქტიკაში და შინტო სახელმწიფო რელიგიად ექციათ. ასეთი მცდელობა იყო, მაგალითად, მეიძის (1868) რესტავრაციის შემდეგ. ხელისუფლების ცდა კრახით დასრულდა, მაგრამ რაღაც გარკვეული კანონზომიერება მაინც იქნა მიღწეული. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა შინტოს მსახურთა (კანუსი) მომზადების სისტემის შექმნაში. ამ მსახურთ შემდეგ ტაძრებში საკულტო მოქმედებები უნდა განეხორციელებინათ. 1868 წლიდან 1945 წლამდე კანუსის უმეტესობა ინიშნებოდა ხელისუფლების ბრძანებულებით, შემდგომში ამას მუნიციპალიტეტი ახორციელებდა. ბევრ შემთხვევაში კანუსის თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა. 1946 წელს კონსტიტუციით მოხდა რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა.

ტაძარში სრულდება სხვადასხვა სახის ღვთისმსახურება. მორწმუნენი საკურთხეველის წინ დგებიან. საგანგებო დატიხრულ ყუთში მონეტას ჩააგდებენ, იჩოქებენ, რამდენჯერმე ტაშს შემოკრავენ და ლოცვას წარმოთქვამენ (ან თავისთვის ჩურჩულებენ).

ტაძარში დღესასწაული მაცური წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ზოგან კი ორჯერ იმართება. ჩვეულებრივ, იგი უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებას, მოსავლის აღებას, აგრეთვე, რომელიმე ღირსსახსოვარ თარიღს ტაძრის ან ადგილობრივი ღვთაების ისტორიიდან. დღესასწაული დიდი ზეიმით აღინიშნება. მსახურნი მის შესახებ ატყობინებენ არა მარტო მათ, ვინც ტაძარში დადის ხოლმე, არამედ მთელ ოლქს. იკრიბება ხალხი, რომელიც მონაწილეობს ცერემონიებსა და გართობებში, მაცურის ახლავს ფერადოვანი კარნავალიც.

მიუხედავად ღვთაებათა თაყვანისცემაში არსებული განსხვავებისა, შინტოისტური ტაძრების შიდა მოწყობილობა ერთნაირია. თითოეული ტაძრის საფუძველს შეადგენს საკურთხეველი, სადაც იდგმება შინტოი (წმინდანი, ღვთაება). მას ესაზღვრება ჰაიდენი — სამლოცველო დარბაზი. ტაძრებში ღვთაების გამოსახულებანი არ არის, თუმცა ზოგიერთი მორთულია ლომებისა და სხვა ცხოველების გამოსახულებებით.

იაპონიაში გავრცელებული სხვა რელიგიები

შინტოიზმის გარდა იაპონიაში ყველაზე გავრცელებული რელიგიაა ბუდიზმი (იაპონური ვარიანტი — ძენ-ბუდიზმი), რომელზეც საგანგებოდ იქნება მსჯელობა ბუდიზმთან დაკავშირებულ ქვეთავში. ჩინეთიდან და, ნაწილობრივ, კორეიდან შეიჭრა იაპონიაში უძველესი ჩინური რელიგიები — კონფუციანელობა და დაოსიზმი. კონფუციანელობა არ აღმოჩნდა ისეთი გავლენიანი, როგორც ბუდიზმი. ამის მიუხედავად, იმპერატორ სიოტოკუს (573-621) დროს მიღებულ 17 მუხლისგან შემდგარ კონსტიტუციაზე კონფუციანური იდეების გავლენა აშკარაა. კონფუციანელობა არ იყო ფართოდ მიღებული რელიგია. მხოლოდ XVI ს-ის მეორე ნახევარსა და XVII ს-ის დასაწყისში, როცა ჩინელ ფილოსოფოსთა ნაშრომები იაპონურად ითარგმნა, კონფუციანელობამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა. იაპონელმა მოაზროვნეებმა კონფუციანელობაში დაინახეს მოძღვრება, რომელსაც შეუძლია ჩაერთოს ჭეშმარიტად იაპონურ სინამდვილეში და არა სისტემა, რომელსაც გარედან ახვევდნენ თავს. იაპონიაში კონფუციის მოძღვრების მქადაგებელი ჰატორი უნაკიტი წერდა: „კონფუცი მხოლოდ ჩინელი ბრძენი არ არის, ის აღმოსავლელი ბრძენია". იაპონელთა ცხოვრების წესზე აშკარა იყო დაოსიზმის გავლენაც.

რაც შეეხება ქრისტიანობას, როგორც ზემოთ ვახსენეთ, იაპონელები მას XVI საუკუნეში გაეცნენ, როცა 1548 წელს ესპანელ ვაჭრებთან ერთად იქ სამი კათოლიკე მღვდელიც ჩავიდა და ღვთისმსახურების უფლება მიეცათ. თავდაპირველად ქრისტიანობა თავისუფლად გავრცელდა, ხოლო მოგვიანებით მის წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყო და XVII საუკუნის შუა ხანებში აღარც გვხვდებოდა. მისი გავრცელების მეორე პერიოდი მხოლოდ ორასი წლის შემდეგ გაგრძელდა. 1859 წელს დაარსდა პირველი ქრისტიანული პროტესტანტული მისია. იოკოჰომოაში 1872 წელს აიგო კათოლიკური ეკლესია. ქრისტიანობის ეს მეორე აღმავლობაც განიცდიდა გარკვეულ დევნას ხელისუფლების მხრიდან.

დღეს ქრისტიანთა რიცხვი იაპონიაში მილიონს აღწევს. აქედან 357 ათასი კათოლიკეა. მრავლადაა პროტესტანტული დაჯგუფებები. ცხოვრობენ მართლმადიდებლებიც. არსებობს იაპონიის ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც 3 ავტონომიური ეკლესიიდან ერთ-ერთია.

აღსანიშნავია, რომ იაპონელთა უმეტესობა ვერ წვდება ქრისტიანობის სიღრმეებს. მათს პრაგმატულ გონებას არა აქვს მიდრეკილება აბსტრაქტულ-მისტიკური მოძღვრების შეცნობისკენ. ისინი რაღაც უნდობლობითა და შიშით ეკიდებიან მას.

იაპონურ სინამდვილეში სხვადასხვანაირი ფაქტორის ზეგავლენით, უმეტესწილად კი იდეალების დაკარგვისას, იქმნება ახალი რელიგიები. ზოგი მათგანი ეყრდნობა იაპონიის ისტორიის რომელიღაც მოვლენას. ახალ რელიგიათა დოქტრინებს საფუძვლად დაედო შინტოს, ბუდიზმის ან ქრისტიანობის, ანდა ყოველი მათგანის ეკლექტიკური ნაერთის გარკვეული დოგმატები. ყველა სინკო-სიუკიო („ახალი რელიგიები") შეიძლება გაავერთიანოთ „რელიგიური თანხმობის", ნეოშინტოისტურ, მეტაბუდისტურ და ნეოკონფუციანურ ჯგუფებად.

„რელიგიური თანხმობის" სინკო-სიუკიოში გამოირჩევა, უპირველეს ყოვლისა, ის სექტები, რომლებიც მონოთეიზმს ქადაგებენ. ისინი ცნობენ ერთიან ღმერთს, რომელსაც სამყაროს შემქმნელად მიიჩნევენ. ამ რელიგიათა შორის აღსანიშნავია სეიტიო-ნო იე („ზრდის სახლი"), რომელიც 1930 წელს აღმოცენდა. ქრისტიანობიდან შეითვისა მან ტრანსცენდენტური, კეთილი ღმერთის იდეა, ხოლო ბუდიზმიდან – მედიტაციისა. იაპონიაში არსებობს ამ რელიგიის 45 ეკლესია და ორიათასამდე თავშეყრის სახლი. ეკლესიებში ღვთისმსახურება იწყება ერთ-ერთი წმინდა ტექსტის კითხვით. შემდეგ მქადაგებელი წარმოთქვამს სიტყვა ტანიგუტის – ამ რელიგიის ფუძემდებლის მოძღვრების შესახებ, რის შემდეგაც დამსწრენი ერთიმეორეს უყვებიან ამბებს სასწაულებრივ განკურნებათა თაობაზე. დასასრულ, იმართება ძადანკაი (ჩაის დროს საუბარი), მლოცველნი, ჩვეულებრივ, განჭვრეტის პოზაში (სინსოკანი) სხედან. ამ სექტის მიმდევართა რიცხვი დაახლოებით 1,5 მილიონია.

უნდა დავასახელოთ ასევე იტოენი – რელიგია, რომელსაც 2 მილიონამდე მიმდევარი ჰყავს. მას იმდენად არა რელიგიას, რამდენადაც ცხოვრების წესს უწოდებენ. იტოენის სამლოცველო სახლს (სულთა დარბაზი) სამი საკურთხეველი აქვს – ბუდისტური, ქრისტიანული და ოჰიკარი (სინათლის საკურთხეველი). იტოენის მიმდევრები ქადაგებენ ალტრუიზმსა და მოყვასისადმი უანგარო სამსახურის ამაღლებულ იდეებს.

ნეოშინტოისტურია რელიგია ტენრიკიო (ღვთაებრივი სიბრძნის რელიგია), რომელიც 1838 წელს შეიქმნა. იაპონიაში ამ რელიგიის მიმდევრები 2 მილიონამდე არიან. მათ 15 ათასზე მეტი ტაძარი აქვთ. ამ რელიგიის მთავარი ღვთაებაა ტენრიო-ნომიკოტო (ღვთაებრივი სიბრძნის ღმერთი), რომელსაც ხშირად ოია-გამის (მამა ღმერთს) უწოდებენ. ტენრიკიო მასობრივ პროპაგანდას ეწევა ხალხში. ამ რელიგიას აქვს საკუთარი უნივერსიტეტი, აზიური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, საუკეთესო ბიბლიოთეკა, თავშესაფრები, სკოლები.

წარმოშობით მეტაბუდისტური რელიგიები ბუდიზმის დოქტრინებიდან ამოდის, მაგრამ ძირითად ბუდისტურ დოგმებს რამდენადმე სხვაგვარად ხსნიან, რის გამოც ბუდისტური ორგანიზაციები მათ მტრულად ეკიდებიან. მეტაბუდისტური მთავარი სექტებია სოკა-გაკაი და რისიო კოსეი კაი. მათ შესახებ ბუდიზმზე არსებულ ქვეთავში ვისაუბრებთ.

იაპონიაში არსებობს ნეოკონფუციური სექტებიც. ისინი თავიანთ ადეპტებს ასწავლიან, რომ „ზეციური გზა" მიწიერ და მიღმა სამყაროში ყოფიერების საყოველთაო ფორმაა. ეს გზა ყველა ხალხისათვის ერთია. ადამიანი, ზეციური გზის თანახმად, უნდა ცხოვრობდეს ღვთისმოსაობის, თავაზიანობის, რწმენისა და მოყვასის სიყვარულის პრინციპებით. მორწმუნეებს ხშირად ურჩევენ, ილოცონ, თაყვანი სცენ წინაპრებს.

ბუდიზმი

ბუდიზმი ძვ. წ. VI საუკუნეში ინდოეთში წარმოიშვა და იგი 9 ფილოსოფიური სკოლიდან (ინდურ ტრადიციაში ამ სკოლებს 9 მარგალიტად მოიხსენიებენ) ერთ-ერთი იყო. ჯაინიზმისა და ჩარვაკების სკოლასთან ერთად ბუდიზმი განიხილებოდა, როგორც არაორთოდოქსული სკოლა, რომელიც მკაცრად გმობდა საზოგადოების კასტებად დაყოფის იდეას. ეს ფილოსოფიური მსოფლმხედველობა მალევე გადაიზარდა რელიგიაში. მასში მდიდარი კულტი განვითარდა, გავრცელდა ინდოეთის ფარგლებს გარეთ და დღეს ქრისტიანობისა და ისლამის გვერდით ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიაა.

ამ რელიგიის ფუძემდებლის ცხოვრება დაცულია მრავალ ბუდისტურ ლეგენდაში. ბუდას ბიოგრაფიული დეტალების შემცველი თხზულებები, ე. წ. ბუდისტური ჯატაკები მისი ცხოვრების შემდეგ შეიქმნა, თუმცა მათში გადმოცემული ინფორმაცია შეუვალია მორწმუნეთათვის. ბუდას ცხოვრებას აღტაცებაში მოჰყავდა არაბუდისტი მსმენელიც.

ბუდიზმის ფუძემდებელი სამეფო ოჯახიდან გახლდათ. მამამისი იყო მეფე შუდჰოდანა – შაკია მუნების ტომიდან, რომელიც გაუტამას საგვარეულოს ეკუთვნოდა. მისმა მეუღლე მაიამ (გავიხსენოთ, რომ „მაია" ილუზიას ნიშნავს ინდუიზმში) სიზმარში უცნაური ამბავი იხილა. მას ეზმანა თეთრი სპილო, რომელიც ფერდში შეუვიდა. სიდჰარტაც, ასე დაარქვეს ბავშვს, დედის ფერდიდან დაიბადა, დედა კი გარდაიცვალა. სასწაულებრივი შობა დამახასიათებელია განსაკუთრებული მომავლისა და დანიშნულების მქონე ადამიანისათვის. ასეთი იყო სიდჰარტა, რაც ნიშნავს „მოწოდების აღმსრულებელს". ბრძენკაცებმა წინასწარ ამცნეს უფლისწულის მამას, რომ ბავშვს ელოდა მეფობა, ოღონდ – არაამქვეყნიური. მამას არ სურდა, რომ მისი ძე რელიგიურ მოღვაწეობას შედგომოდა. ასტროლოგების წინასწარმეტყველების თანახმად, ბავშვს არ უნდა ენახა 4 რამ – სიბერე, ავადმყოფობა, სიკვდილი და ასკეტიზმი. ამის გამო სიდჰარტა იზრდებოდა ჩაკეტილ სასახლეში, ბედნიერად. არ უწყოდა, რომ ქვეყნად არსებობდა ტანჯვა, რადგან უმალავდნენ ავადმყოფს, მოხუცსა და მიცვალებულს. იგი 16 წლისა დააქორწინეს.

დაახლოებით 29 წლის ასაკში უფლისწული სიდჰარტა, რომელმაც დატოვა მუდმივი ადგილსამყოფელი თავის სასახლეში, მოულოდნელ, მისთვის უჩვეულო სანახაობებს წააწყდა. მან დაინახა წელში მოხრილი, უთმო არსება, რომელიც ჯოხს დაყრდნობილი ძლივს დააბიჯებდა. უფლისწულმა იკითხა, ვინ არის ეს ადამიანი, თუკი საერთოდ ადამიანიაო. მეეტლემ უთხრა, რომ ეს მოხუცი იყო და რომ ყველა ასეთი გახდებოდა, თუ იცოცხლებდა. შეძრწუნებული უფლისწული სახლში დაბრუნდა. გისოსებთან შეხედა კიდევ უფრო უცნაურ, კეთრით დამახინჯებულ და გაძვალტყავებულ არსებას. იკითხა, ვინ არის ეს ადამიანი, თუკი საერთოდ ადამიანიაო. ეს სნეულია, უპასუხა მეეტლემ, ყველა ასეთი გახდება, თუ იცოცხლებსო. ექვსი დღის შემდეგ იგი კვალავ გავიდა სასახლიდან და შეხედა ადამიანს, რომელიც მძინარე ეგონა, მას კი სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. იგი სხვებს მიჰყავდათ. უფლისწული დაინტერესდა, ვინ არისო. მეეტლემ მიუგო, რომ ეს მიცვალებული იყო და ყველა ასეთი გახდებოდა, თუ დიდხანს იცოცხლებდა.

უფლისწული სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. სამი საზარელი ჭეშმარიტება შეიტყო : სიბერის, ავადმყოფობისა და სიკვდილის. იგი მეოთხედ გავიდა სასახლიდან. შეხედა თითქმის შიშველ კაცს, სახეზე გასაოცარი სიმშვიდის გამომეტყველება ჰქონდა. იკითხა, ვინ არისო. უთხრეს, ეს ასკეტია, კაცი, რომელმაც ყველაფერზე უარი თქვაო.

უფლისწულმა, რომელიც ასეთი სიხალისით ცხოვრობდა, გადაწყვიტა ყველაფერი მიატოვებინა. ამ დროს ამცნეს, რომ ვაჟი შეეძინა. მან შესძახა: „ხუნდები დადებულია". ეს ნიშნავს, რომ მას ვაჟიშვილი ცხოვრებასთან აკავშირებდა, ამიტომაც

სახელად დაარქვა ხუნდი. სიდჰარტა წავიდა თავის ჰარამხანაში, შესცქეროდა ნორჩ ქალებს და მახინჯ, კეთროვან მოხუცებად აღიქვამდა. უფლისწული გაეშურა თავისი მეუღლისაკენ. მას ჩვილთან ერთად ეძინა. სიდჰარტას უნდოდა, რომ ეკოცნა, მაგრამ მიხვდა, თუ აკოცებდა, ვეღარ წავიდოდა, ამიტომ შებრუნდა და წავიდა.

იგი ეძებდა მასწავლებლებს. სურდა ამოეცნო სიბერის, სნეულებისა და გარდაცვალების საიდუმლონი. გაეცნო ვედებს, ბრაჰმანისტულ მოძღვრებას. ვერ დაკმაყოფილდა მათში ამოკითხულით. მრავალი განსაცდელის გადატანის შემდეგ მოხდა მისი გასხივოსნება – ბუდჰად გარდაქცევა.

ერთხელ, საღამო ჟამს, უფლისწული იჯდა შემეცნების ხის ქვეშ, სწორედ იმ ხის ქვეშ, რომელიც მასთან ერთად გაჩნდა. დემონმა და მისმა ლაშქარმა, ცხოველებისა და მეომრებისგან შემდგარმა, უფლისწულს ისრები დაუშინა, მაგრამ უფლისწულს მოხვდა თუ არა, ისრები ყვავილებად გადაიქცა. მას ვერაფერი დააკლეს. გულხელდაკრეფილი უფლისწული გაუნძრევლად იჯდა და ჭვრეტას მისცემოდა. იგი გასხივოსნებას მიუახლოვდა. ჭვრეტის ღამე გაგრძელდა; ღამეც რომ მიიწურა, სიდჰარტა უკვე აღარ იყო სიდჰარტა, არამედ – ბუდა (ბუდჰა – გასხივოსნებული). მან მიაღწია ნირვანას.

ამის შემდეგ ბუდამ გადაწყვიტა ექადაგა მოძღვრება. წამოდგა ფეხზე: თავისი თავი იხსნა და ახლა სხვები უნდა ეხსნა. მისი პირველი მსმენლები ბენარესში ყოფილან მისი ხუთი მომამავალი მოწაფე და ორი ირემი. ამის შემდეგ იგი 40 წელს ეწეოდა მქადაგებლობას. გადმოცემით, მას შეეძლო გამხდარიყო უკვდავი, მაგრამ თავად აირჩია სიკვდილის მომენტი, როცა უკვე უამრავი მოწაფე ჰყავდა.

ბუდა, მოწაფეებით გარშემორტყმული, გარდაიცვალა მჭედლის სახლში. სასოწარკვეთილი მოწაფეები მან გაამხნევა და მათ თავისი მოძღვრება დაუტოვა.

ბუდას მოძღვრების მთავარი არსი ჩამოყალიბდა იმ დღიდან, როცა მოხდა მისი გასხივოსნება. ბენარესის პარკში წარმოთქმული ქადაგება უკვე შეიცავდა იმ სწავლებას, რომელიც ბუდისტური დოქტრინის ქვაკუთხედად იქცა. მისი პირველი ქადაგება ასე იწყებოდა:

„ბჭენი ხსნისა დაე განცხადდეს ყველასთვის! ადამიანებო, განიხვენით ყურნი თქვენნი და მისმინეთ მე: გზა ხსნისა ნაპოვნია! მე გმოძღვრავთ თქვენ და თუ ჩემი სწავლის მიხედვით იცხოვრებთ, მიიღებთ იმას, რის გამოც კეთილშობილნი ჭაბუკნი ტოვებენ სამშობლოს და მიდიან უცხო ქვეყნებში გასანათლებლად. თქვენ პირისპირ იხილავთ ჭეშმარიტებას".

ბუდას თანახმად, ჭეშმარიტება არის ოთხი (ოთხი კეთილშობილი ჭეშმარიტება):

1. არსებობს ტანჯვა. ყველაფერი ტანჯვაა წუთისოფელში. მთელი სიცოცხლე გადის მორალურ, სულიერ ან ფიზიკურ ტანჯვაში. დაბადება ტანჯვაა, სწავლება ტანჯვაა, სიყვარული ტანჯვაა, სიყვარულის საგანთან განშორება ტანჯვაა, სიყვარულის ვერმიხვდომა ტანჯვაა, სიბერე, სიკვდილი ტანჯვაა...

2. არსებობს ტანჯვის მიზეზი. ეს არის წყურვილი ყოფნისა, არსებობისა, სიცოცხლისა, რასაც ადამიანი მიჰყავს დაბადებიდან დაბადებისკენ. ტანჯვას იწვევს სურვილები, ვნებები, სწრაფვანი სურვილთა დასაკმაყოფილებლად და სხვა.

3. არსებობს ტანჯვისგან ხსნის გზა: გათავისუფლება ყოველგვარი სურვილისგან.

4. ეს არის გზა სანსარადან ნირვანასაკენ. ეს უკანასკნელი 8 საფეხურისგან – ბილიკისგან, შედგება: ა) მართალი სარწმუნოება, რწმენა, რომ სიცოცხლე ტანჯვაა; ბ) მართალი განზრახვა, რათა მოვიქცეთ ამ ოთხი ჭეშმარიტების შესაბამისად; გ) მართალი სიტყვა, ანუ მართალი განზრახვის გამოხატვა მართალი სიტყვით; დ) მართალი საქმე, ანუ მართალი ქცევა, როგორც მართალი სიტყვის რეალიზაცია, რათა ერთი იყოს სიტყვა და საქმე იმ ოთხი ჭეშმარიტების შესატყვისად; ე) მართალი ცხოვრება: არავის ავნო, არ მიაყენო ზიანი ცოცხალ არსებას; ვ) მართალი სწრაფვა: მისწრაფებანი, ტენდენციები იმ ოთხი ჭეშმარიტების კვალდაკვალ; ზ) მართალი

მეხსიერება: ადამიანს მუდამ უნდა ახსოვდეს, თუ კიდევ რა რჩება გაუკეთებელი ჭეშმარიტი ცხოვრების გზაზე; თ) მართალი თვითდაუნჯება: მეხსიერებაში, ხსოვნაში აღარ უნდა ინახებოდეს მიწიერი ცხოვრების შთაბეჭდილებები, რადგან მიწიერი ცხოვრება ილუზიაა.

ტანჯვათა მოსპობის გზა მოიცავს აგრეთვე ხუთ მცნებას (პანჩა-შილა): 1. არა კლა არც ერთი ცოცხალი არსება; 2. არ მოიპარო; 3. არ იმრუშო; 4. არ იცრუო; 5. არ ილოთო.

მხოლოდ აღნიშნულ ჭეშმარიტებათა და მცნებათა მეოხებით მიაღწევს ადამიანი ნირვანას.

ნირვანა არის სრული სიმშვიდე: არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ თაეისებური ყოფნა, უფრო ზე-ყოფნა, როცა ყოველი შეგრძნება ნულოვან წერტილშია მოქცეული. პირველი მოკვდავთაგანი, ვინც მიაღწია ნირვანას, იყო ბუდა, რომელიც ისე არ მომკვდარა, როგორც მოკვდაენი კვდებიან. ორმოცი წლის ხეტიალისა და ჭეშმარიტებათა ქადაგების შემდეგ, ოთხმოცდახუთი წლის ასაკში, იგი წავიდა ნირვანაში, რასაც ბუდისტები ამგვარად სახელდებენ: მაჰა-პარი-ნირვანა, ანუ „დიდი გადასელა ნირვანაში". გადმოცემით, ბუდას ასე მიუმართავს თავისი მოწაფეებისათვის: „ახლა კი, ბერებო, მეტს ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ ყოველი ქმნილება დასაღუპავად. არის განწირული. მთელი ძალით ესწრაფეთ ხსნას". ხსნა სწორედ ნირვანაშია. იქ წყვეტს მოქმედებას კარმის კანონი. გავიხსენოთ, თუ რას იქმოდა პიროვნება სააქაოში, იმით განისაზღვრება მომავალი. ზნეობრივი ცხოვრების ხარისხი განაპირობებს ხელახალი დაბადების სახეს. ადამიანს, წინარე ცხოვრებაში მოპოვებული მადლის კვალდაკვალ, შეუძლია დაიბადოს მცენარედ, ცხოველად, სხვადასხვა კასტის წევრად. იდეალი კი დაბადება-სიკვდილის ციკლიდან გასელა და ნირვანას მიღწევა, ე. ი. ბუდად („გასხივოსნებულად") გარდასახვაა.

ბუდისტური მოძღვრება ზეპირად ვრცელდებოდა. ბუდისტების მესამე კრების შემდეგ, ძვ. წ. III საუკუნეში – პატალიპუტრაში შეიქმნა აუცილებობა ზეპირად არსებული მოძღვრების ჩაწერისა. ეს განხორციელდა პალი ენაზე და არა სანსკრიტზე, კუნძულ შრი-ლანკაზე (უწინდელი ცეილონი). ამ ჩანაწერს ეწოდა ტრიპიტაკა. ნაწერები სამ კალათაში ყოფილა ჩალაგებული და, შესაბამისად, სამ ნაწილად იყოფოდა: პირველში მოცემული იყო ყოფაქცევის წესები და დარიგებანი, მეორეში – ბუდას ქადაგებები და იგავები, მესამეში კი – ბუდიზმის ფილოსოფიური და მეტაფიზიკური ნაწილი. გარდა ამისა, შეიქმნა უამრავი ე. წ. ჯატაკი – ბუდისტური გადმოცემების კრებულები, სხვადასხვა რელიგიური ძეგლი, რომელთაგან აღსანიშნავია „დჰამაპადა" – ბუდისტური დოქტრინის მოკლე ფორმულირებების შემცველი წიგნი.

ადრეული ბუდიზმი პასუხს არ სცემს კითხვაზე, თუ როგორ წარმოიშვა სამყარო. რაც არსებობს, მუდამ არსებობდა, ყველაფერი მუდმივ ცვალებადობაშია. სამყარო მხოლოდ ილუზიაა, ერთადერთი რეალური, ჭეშმარიტი არსებობა აქვს ნირვანას, რისკენაც უნდა ისწრაფოს ადამიანმა. აქედან გამომდინარე, ბუდიზმი უარყოფდა მეტაფიზიკურ საკითხებზე მსჯელობას, მათს განხილვას. თავად ბუდას თქმით, ადამიანი, რომელიც ფიქრობდა მეტაფიზიკურ პრობლემებზე, წააგავს იმ კაცს, ვისაც შხამიანი ისარი ესროლეს და იმის მაგიერად, რომ ეს ისარი ამოეღო სხეულიდან, იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ ვინ ესროლა და რისგან იყო ისარი დამზადებული. ბუდას მიერ ჩამოყალიბებულია 10 მეტაფიზიკური კითხვა, რომლებზე პასუხიც უსარგებლოდ და შეუძლებლადაა მიჩნეული: 1. მარადიულია სამყარო; 2. ის არაა მარადიული; 3. სამყაროს აქვს დასასრული; 4. სამყარო უსასრულოა; 5. სული და სხეული იგივეობრივია; 6. სული და სხეული განსხვავებულია; 7. ჭეშმარიტების შემმეცნებელი უკვდავია; 8. ჭეშმარიტების შემმეცნებელი მოკვდავია; 9. ჭეშმარიტების შემმეცნებელი ერთდროულად მოკვდაეიცაა და უკვდავეიც; 10. ჭეშმარიტების შემმეცნებელი ან უკვდავია, ან მოკვდავი. ამ საკითხებზე მსჯელობის ნაცვლად ბუდიზმი ადამიანს ურჩევს, იფიქროს უმთავრესზე, ტანჯვისგან ხსნაზე.

ბუდიზმში, ქრისტიანობის მსგავსად, უარყოფილია ბოროტების წინააღმდეგ ბოროტებითვე ბრძოლა. აქაც მოქმედებს უმაღლესი ზნეობრივი პრინციპი მოწინააღმდეგის მიმართ კეთილგანწყობისა. ბუდიზმში, სხვა რელიგიების მსგავსად, არ იყო წინა პლანზე წამოწეული სიკვდილის შემდგომ ადამიანის ბედის პრობლემა. მთავარი იყო გარდასახვათა წრებრუნვიდან თავის დაღწევა, ზომიერი ყოფიერება. ერთი ბუდისტური იგავი გვიამბობს – ერთ წარჩინებულ ქალს მხოლოდშობილი ვაჟი გარდაეცვალა. მშობელს არ სურდა ამ ფაქტთან შერიგება და როგორც ურჩიეს, დახმარებისთვის ბუდას მიმართა. ბუდამ სასომიხდილ ქალს დაავალა, მდოგვის მარცვალი მომიტანე იმ სახლიდან, სადაც არავინ მომკვდარაო. ქალმა ასეთო ოჯახი ვერ ნახა, ყველას ჰყავდა მიცვალებული ოდესღაც. ქალის გონება განათდა და მიხვდა, რომ მისი ვაჟი მკვდარი იყო, გოდება – უქმი, მწუხარება – უგუნურება. ბუდამაც უთხრა: უგუნურებაა, გიყვარდეს ის, რაც წარმავალია, რაც ჩვენს ხელთ არ არის და რაც საპნის ბურთივით იკარგება... ქალმა შეიგნო ჭეშმარიტი სიცოცხლის არსი. ანუ, როგორც ვხედავთ, აქ არ არსებობს ადამიანის ცოდვით დაცემის, გამოსყიდვის, აღდგომის სწავლება. სახარებისეულ ისტორიაში იესო ქრისტე – განკაცებული ღმერთი აღადგენს ნაინელი ქვრივის მხოლოდშობილ ძეს, ბუდა კი ცდილობს, ქალში მწუხარება გაფანტოს დამშვიდებით, კანონზომიერების გაცნობიერებით.

ტერმინი ნირვანა, როგორც ადამიანის განსაკუთრებული ექსტაზური განცდა, სანსკრიტზე ნიშნავს დაახლოებით ჩაქრობას („არაწვა"). ამ ტერმინის შემქმნელი ბუდა არ იყო, თუმცა მსოფლიომ ეს სიტყვა ბუდიზმიდან გაიგო. ამ ცნებას იყენებდნენ იოგას სკოლაში. იოგები მიმართავდნენ ადამიანისთვის დროებითი სულიერი ამაღლების მიღწევას, ბუდიზმმა კი მიზნად დაისახა ამ მდგომარეობის მუდმივობა. ბუდა ხშირად განუმარტავდა თავის მოწაფეებს, რომ ისევე, როგორც ოკეანის წყლისთვის უმთავრესი ნიშანია „მარილის გემო", მისი მოძღვრების უარსებითესი ნიშანია ადამიანური ტანჯული ცხოვრებისგან კაცობრიობის ხსნა. ნირვანა ზოგ ბუდისტურ სკოლაში იქცა იმქვეყნიური სამყაროს, სიკვდილის შემდგომი ცხოვრების აღმნიშვნელ ტერმინად, ადრეულ ბუდიზმში კი იგი აქვე, ამ სამყაროში, მისაღწევი ვითარება გახლდათ. ბუდისტური ნირვანა ადამიანური განსჯის ენით გამოუთქმელი ექსტაზური მდგომარეობაა. იგი გასაგებია ბოლომდე მათთვის, ვინც უშუალოდ თავის თავზე გამოცდის მას. საკუთრივ ბუდა ერიდებოდა მოწაფეებთან მის პირდაპირ განმარტებას, მიმართავდა ანალოგიებს, შედარებებს. მაგალითად, ბუდა ამბობდა, რომ მან ნირვანასკენ სწრაფვისას დაამარცხა დემონ მარას ცდუნებანი და იგრძნო უხილავ სამყაროსთან კავშირი, რაჟამს მთები შეიძრნენ. გავიხსენოთ, რომ ნირვანაგანცდილი ბუდა ამქვეყნად კიდევ ოთხ ათეულ წელს ცხოვრობდა.

ბუდიზმში ნირვანას ექსტაზი მოიაზრება ადამიანთა ამქვეყნიური ცხოვრების უმაღლეს მიზნად, რომელშიც შერწყმულია ინტელექტის, გრძნობისა და ნების ადამიანური უნარები. ნირვანა ამ უნართა უმაღლესი ეგზალტირებული გამოვლენაა. ნირვანა არაა წამიერი. იგი ადამიანის მეტამორფოზაა, საბოლოო ხსნაა. ამქვეყნიური ყოფიერება – „ბჰავა-ჩაკა" (ყოფიერების ბორბალი) სურვილების გროვაა, რომელთაგან თავის დაღწევა ოთხი კეთილშობილი ჭეშმარიტების აღმოჩენის შედეგად ნირვანასკენ გზის გაკაფვაა. ერთ-ერთი ბუდისტური ტექსტის თანახმად, ნირვანას წინ უსწრებს ოთხი მოსამზადებელი პერიოდი: შილა, სამადჰი, პრაინა, დჰიანა. მეოთხე საფეხურზე ხდება ადამიანის ეგოისტური „მეს" დაკარგვა.

ნირვანას სხვადასხვაგვარმა ინტერპრეტაციამ, მასთან დაკავშირებულმა ბუნდოვანმა წარმოდგენებმა განაპირობა ბუდიზმის ისტორიაში სხვადასხვა განშტოების წარმოქმნა. ბუდიზმი, სხვა მსოფლიო რელიგიათა მსგავსად, არაა ერთგვაროვანი და მისი მიმდევრები სხვადასხვა ბუდისტურ ხაზში ერთიანდებიან. ბუდიზმი მაინც ვერ ასცდა რელიგიისთვის აუცილებელ მეტაფიზიკურ საკითხებს. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა იმ დროიდან, როდესაც ძვ. წ. III საუკუნეში ინდოეთის მეფე აშოკამ ბუდიზმი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

ბუდიზმში წარმოიშვა ორი დიდი მიმართულება: ჰინაიანა (მცირე ბორბალი), ანუ თერავადა, და მაჰაიანა (დიდი ბორბალი).

ჰინაიანა (თერავადა) ბუდიზმში ორთოდოქსულ მიმდინარეობად ითვლება. იგი ახლოს დგას ადრეულ ბუდიზმთან. ჰინაიანა გათვლილი იყო ინდივიდუალურ ადამიანზე. ამ მოძღვრების თანახმად, ყველას არ შეეძლო ნირვანას მიღწევა და ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრს წარმოადგენდა. ჰინაიანაში ბუდა განიხილებოდა, როგორც ამ რელიგიის ფუძემდებელი, და უარყოფილი იყო მის ღვთაების რანგში განხილვა. ჰინაიანა აღიარებს, რომ ადამიანი საკუთარი თავის მხსნელი უნდა იყოს და ახორციელებს ბუდას მოწოდებას: „იყავი საკუთარი თავისთვის გზის მანათობელი". ჰინაიანას მცირე ბორბალს უწოდებენ სწორედ იმიტომ, რომ იგი ინდივიდუალურ ადამიანზე გათვლილი მიმართულებაა. ზოგ წყაროში შეიძლება სახელდებული იყოს როგორც „მცირე ეტლი". ჰინაიანა ბუდისტებისგან მოითხოვდა ბუდას გზაზე შედგომას. ადამიანის ხსნა არაა ღმერთის რწმენასა და ლოცვა-ვედრებაში, არც სხვა პირთა დახმარების იმედი არ უნდა გვქონდეს, არამედ – მხოლოდ საკუთარი თავის რწმენა. მეფე აშოკამ ბუდიზმის ჰინაიანას ფორმა გაავრცელა საკუთარ სამეფოში. მისი სიკვდილის შემდეგ ეს მოძღვრება გავრცელდა ცეილონზე, რომელიც ჰინაიანას ცენტრად იქცა, აქედან კი შევიდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებში.

მაჰაიანა შედარებით მოგვიანებით ჩამოყალიბდა. მას დიდ ბორბალს, სხვაგვარად – ფართო ეტლს უწოდებდნენ. მაჰაიანას ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ჩრდილო ინდოეთის კუშანების სახელმწიფოს ხელისუფალმა კანიშკამ. მისი თაოსნობით გავრცელდა მაჰაიანა. მაჰაიანა ბუდისტური დოგმატებისადმი უფრო თავისუფალ დამოკიდებულებას ავლენდა და მასში ახალი დამატებები შეჰქონდა. მისი მიმდევრები ყურადღებას აქცევდნენ მიწიერ ცხოვრებას და ბუდისტური დოგმების გავრცელებას ხალხისათვის გასაგებ ენაზე. ამ მოძღვრების საფუძველზე შეიქმნა ე. წ. ბოდჰისატვების ფენა, იმ ადამიანთა ერთობლიობა, რომელნიც მიახლოებულნი იყვნენ ბუდასთან, ე. ი. ხსნის მიზანთან. ბოდჰისატვა ხდებოდა პიროვნება, რომელიც „ავისებურად ეზიარებოდა ნირვანას და არ ტოვებდა მიწიერ ცხოვრებას, რათა სხვებსაც მიხმარებოდა მის მიღწევაში. ისინი ხალხის დამხმარეების როლში გვევლინებოდნენ. მაჰაიანაში თანდათან მომრავლდნენ ბუდას გვერდით პატარა ბუდები. მაჰაიანაში მთავარი ყურადღება ექცეოდა არა ერთეული ადამიანის ხსნას, არამედ – ადამიანთა გადარჩენას. მაჰაიანა ფართოდ გავრცელდა ინდოეთის ფარგლებს გარეთ – ჩინეთში, იაპონიაში, კორეაში, ვიეტნამსა და სხვა ქვეყნებში. იაპონელი მეცნიერი დ. სუძუკი წერდა: „მაჰაიანა – ეს ბუდიზმია, რომელმაც პროგრესული სულისკვეთებით შთაგონებულმა იმდენად გააფართოვა თავისი პირველდაწყებითი თვალსაწიერი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ისე, რომ ბუდას მოძღვრების ძირითად დებულებებთან წინააღმდეგობაში არ მოსულიყო".

ბუდიზმის ადრეულ საფეხურზეევე აღმოცენდა ასკეტიზმის მონაზვნური სახეობა. ბუდისტურ მონასტრებში გაერთიანებული ბერები, ერისკაცებისგან განსხვავებით, ასრულებდნენ ხუთ დამატებით მცნებასაც: 1. მარხვა (შუადღის შემდეგ); 2. გართობა-სანახაობებზე უარის თქმა; 3. მორთვაზე, ნელსაცხებლებზე უარის თქმა; 4. მდიდრული საწოლის უარყოფა; 5. ოქრო-ვერცხლის საჩუქრად მიღება. მათ სარჩო უნდა მოეპოვებინათ მოწყალების გზით.

ბუდიზმმა ინდუიზმის გარკვეული გავლენა განიცადა. თვით ბუდამაც მოგვიანებით დაიკავა ადგილი ინდუისტურ პანთეონში. ბუდიზმი, როგორც მწიგნობრული რელიგია, ხელს უწყობდა მდიდარი ბუდისტური ხელოვნების განვითარებას ინდოეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, სადაც კი ეს რელიგია მკვიდრდებოდა. უძველეს პერიოდში ჩამოყალიბდა ბუდიზმის იკონოგრაფიული ტრადიციები. ბუდისტური ტაძრები იგებოდა კლდეში, ასევე – დასახლებულ ადგილებში. ბუდას წმინდა რელიკვიების დასაცავად შენდებოდა ნიშები (სტუპები), ბუდისტური პაგოდები ფართოდ გავ-

რცელდა ჩინეთში, კორეასა და იაპონიაში. აქვე ჩამოყალიბდა ხის ტაძრების ტიპები. ბუდისტურ სიუჟეტებზე იქმნებოდა მდიდარი ფერწერა. ქვის გრანდიოზული ტაძრები იგებოდა ტაილანდში, ლაოსში, კამბოჯაში, ინდონეზიაში, ტიბეტში. რაც შეეხება ბუდას გამოსახულებას, ადრეულ ხანაში მის ნაცვლად გამოისახებოდა გარკვეული ბუდისტური სიმბოლოები. საკუთრივ ბუდას გამოსახულება გაჩნდა ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში. მაჰაიანას გავრცელებამ ბუდისტური იკონოგრაფია გაამდიდრა ბუდამდელი ადგილობრივი ღმერთების გამოსახულებებით. ბუდას უძველესი ქანდაკებები დაცულია დასავლეთის დიდ მუზეუმებში (მაგალითად, ლონდონში ბრიტანეთის მუზეუმსა და ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმებში). ცნობილია ბუდას მწოლიარე ქანდაკებები, რომლებიც მის ნირვანაში ჩაძირვის სიმბოლოს გამოხატავენ.

ბუდიზმის გავრცელება და თანამედროვე მდგომარეობა

ინდოეთი — ინდოეთი ბუდიზმის სამშობლოა. სწორედ აქ, ჩრდილოეთ ინდოეთში, ქ. ბენარესთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ კაპიტალავასტში, დაიბადა მეფის ძე შაკიების გვარიდან, რომელიც შემდეგში გახდა ბუდა. ინდოეთშივე წარმოიშვა ბუდიზმის ორი დიდი შტო — ჰინაიანა და მაჰაიანა. მეფე აშოკა იყო პირველი მონარქი, რომელმაც ბუდიზმი სახელმწიფოებრივი რელიგიის რანგში აიყვანა. ადრეულ შუა საუკუნეებში ინდოეთში დაარსდა რამდენიმე ბუდისტური მონასტერი. ინდურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები, რომლებიც თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ, ფართო სამონასტრო მშენებლობას მისდევდნენ. ამის მაგალითია ავღანეთში ბამიანის ბუდისტური კომპლექსი, რომელიც ვანდალურად განადგურდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში თალიბების მიერ.

ინდოეთიდან ვრცელდებოდა ეს რელიგია აზიის სხვადასხვა სახელმწიფოში. ამ ქვეყნებში ბუდისტური მისიები დიდ წარმატებებს აღწევდა, საკუთრივ ინდოეთში კი ბუდიზმი გაძლიერებული ინდუიზმის ფონზე უფრო და უფრო სუსტდებოდა.

XX საუკუნეში ინდოეთმა ტიბეტიდან ლევნილი არაერთი ბუდისტი შეიფარა, მათ შორის — ტიბეტელების სულიერი ლიდერი დალაი ლამა, რომელიც დღესაც ინდოეთში ცხოვრობს. ინდოეთის ბუდისტების (მათი რაოდენობა ქვეყანაში დაახლოებით 6 მილიონია) უმეტესობა თერავედას მიმდევარია.

შრი-ლანკა — შრი-ლანკას (უწინ ამ კუნძულს ერქვა ცეილონი) სახელმწიფომ უდიდესი როლი შეასრულა ბუდისტური კულტურის ჩამოყალიბებასა და შენახვაში, სადაც ბუდიზმი მეფე აშოკას დროიდან გავრცელდა. ამ კუნძულზე პალი ენაზე ჩაწერეს პირველი ბუდისტური ძეგლი „ტრიპიტაკა". აქაა ცნობილი ალუვიჰარას მონასტერი. საუკუნეების განმავლობაში ბუდისტური სამონასტრო ცხოვრება მშვიდ ვითარებაში არსებობდა. ბევრი ევროპელი ბუდიზმს შრი-ლანკაზე მოხვედრის შედეგად გაეცნო.

1918 წელს შრი-ლანკაზე ჩატარდა ბუდისტური კონგრესი. ქვეყანაში შექმნილია მრავალი ბუდისტური ასოციაცია. მოსახლეობის 70% ბუდისტია (თერავედას მიმართულების). შრი-ლანკაზე 6 ათასამდე მონასტერი და ტაძარია, სადაც დაახლოებით 53 ათასი მონაზონი მოღვაწეობს.

ჩინეთი — ხანის დინასტიის დაცემის შემდეგ ჩინეთში არეულობა სუფევდა. ვიდრე ქვეყანაში ტანის დინასტია გაბატონდებოდა, პატარა სამეფოები ერთმანეთში ქიშპობას განაგრძობდნენ. ბუდიზმი ამ დროს ინდოეთიდან უკვე შესული იყო ჩინეთში და კონფუციანელობასა და დაოსიზმთან ერთად მნიშვნელოვან როლს

ასრულებდა ჩინელების სულიერ ცხოვრებაში. ჩინეთში ბუდიზმს უფრო მეტი დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე – მხოლოდ რელიგიას. მან მოიცვა ქვეყნის კულტურისა და ცხოვრების ყველა სფერო. ჩინელები, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ მხარის მმართველები, მიიჩნევდნენ, რომ ბუდიზმი მათს ტრადიციებს კიდევ უფრო გაამდიდრებდა.

ჩრდილოეთის ვეის დინასტიის (386-534) პირველი იმპერატორი ტაუ ამ მოძღვრების ერთგული მიმდევარი იყო. მისი ბრძანებით აშენდა დღესდღეობით ყველაზე ცნობილი იუნგანგის ტაძარი, რომელიც გამოაკვეთინა უძოუს მთის კლდეში. მასში 51000 (ადრე 100000) ბუდას ქანდაკება დგას. მათი სახეები ვეის დინასტიის იმპერატორებს წააგავს. მათგან ყველაზე დიდი 17 მ. სიმაღლის ბუდას ქანდაკებაა, რომლის მონოლითური ყური 3 მეტრია, ფეხი 4,6 – მ., ხოლო შუათითი – 2,3მ. ტაძარში დგას ბუდას მომცრო 12000 ფიგურა.

ტაუს შემდეგ ვეის დინასტიას 50 წლის განმავლობაში იმპერატორი ვენჩენი მართავდა, რომელმაც ბერ ტან იაოს უბრძანა, მის სახელზე კლდეში ნაკვეთი ტაძარი აეგო. აქ უნდა განთავსებულიყო ბუდას ქანდაკებები. ვენჩენის სურვილის თანახმად, ერთ-ერთი ფიგურა ტაუს უნდა მსგავსებოდა. „ვეის წიგნში" ვკითხულობთ: „იმპერატორი ბრძენი და კეთილგანწყობილი პიროვნებაა, რომელიც წმინდა გზას მიუყვება". ამგვარად, ტაუ ბუდას რანგში აიყვანეს. მისთვის, როგორც უმაღლესი არსებისათვის, ბუდიზმის ყველა მიმდევარს თაყვანი უნდა ეცა. ჩამოყალიბდა ბუდა-იმპერატორის ტიტული. იმპერატორის ავტორიტეტი და ბუდიზმი ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა და შედეგად მბრძანებელმა განუსაზღვრელი ძალაუფლება მოიპოვა. იმპერატორმა ვენჩენმა ბუდიზმი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და ბუდას სახელზე მრავალი ტაძარი – პაგოდა (იგივე პოგოდა) ააგო.

სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებული ბუდიზმი ყველა მოქალაქისგან მის აღიარებას მოითხოვდა, მაგრამ გლეხები, ვაჭრები, ხელოსნები და ჯარისკაცები არ იყვნენ ბერები, რომლებიც მრავალ საათს მედიტაციაში, წმინდა ტექსტების კითხვაში გაატარებდნენ. მათ სჭირდებოდათ ისეთი რელიგია, რომლის აღმსარებლობაც დიდ ძალისხმევას არ მოითხოვდა. ჩრდილოეთ ვეის დინასტიის მე-6 იმპერატორი სიაოვენი (471-499), რომელიც 5 წლისა ავიდა ტახტზე, ბუდიზმის ერთგული მიმდევარი იყო. როგორც იმპერატორი, ის თავად იღებდა მონაწილეობას ბუდისტურ რიტუალებში, ამიტომ აღიქმებოდა არა ბუდას განსახიერებად, არამედ ღვთისმოშიშ მორწმუნედ. ბუდიზმმა უბრალო ადამიანების ოჯახშიც შეაღწია და სოციალური განსხვავებულობის რღვევას შეუწყო ხელი. ასე გავრცელდა ბოდჰისატვას კულტი. ბოდჰისატვა იყო ადამიანი, რომელიც ხდებოდა ბუდა – გასხივოსნებული, მაგრამ რჩებოდა დედამიწაზე, რომ სხვა ადამიანები ეხსნა. ბოდჰისატვა სრული თავისუფლებისკენ, ხსნისკენ მიისწრაფვოდა და გასხივოსნებული ბუდა ხდებოდა. მას სახეზე თანამგრძნობი ღიმილი დაჰკრავდა. ეს ღიმილი ტანჯული ადამიანებისადმი გულთბილ დამოკიდებულებას გამოხატავს. ადამიანი მისდამი მარტივად ლოცულობს: „ილოცე ბოდჰისატვასთვის, რომელიც შორეულ მომავალში მოვა და ხსნას მოგვიტანს". ეს მარტივად აღსაქმელი იყო. მას არ ამძიმებდა ბუდისტური მოძღვრების რთული მსოფლმხედველობა და ტექსტები. ეს იყო უბრალო ადამიანთა ლოცვა. დღემდე ბუდიზმი ჩინელი ხალხის საყვარელი რელიგიაა.

ტუნჰუანის მახლობლად, აბრეშუმის გზის საზღვართან, მდებარეობს მოკაოს გამოქვაბულები. მდინარის ხეობიდან 1600 მეტრის სიმაღლეზე დღემდე შემონახულია კლდეში გამოკვეთილი 492 სხვადასხვა ზომის გამოქვაბული. ისინი ბერებისთვის იყო როგორც საცხოვრებელი, ასევე – ხელოვნების კერა. აქ შემორჩენილია კედლის ფერწერისა და ქანდაკებების უამრავი ნიმუში, რომლებიც სხვადასხვა საუკუნეში მცხოვრები ბუდისტი ბერების შემოქმედებისა და აზროვნების შედეგია. ამ გარემოს ბუდიზმისა და მისი აღმსარებელი ბერების მრავალი თაობის კვალი ამჩნევია. აქ აღმოაჩინეს 50000 ხელოვნების ნიმუში, წიგნები, ხელნაწერები, სხვადასხვა

ენაზე თარგმნილი ბუდისტური ტექსტები, ასევე – ძველებრაულ ენაზე დაწერილი ძველი აღთქმა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩინეთში ერთმანეთისგან განსხვავებული კულტურები იყრიდა თავს.

ბუდიზმი ჩინეთში ცვალებადი დამოკიდებულებით სარგებლობდა. იყო დრო, როდესაც იგი იკრძალებოდა. მისი აღორძინება ტანის დინასტიასაც (618-907) უკავშირდება. VII საუკუნეში ბუდისტ ბერ სიუან ძაოს დიდი სურვილი ჰქონდა, ბუდას სამშობლოში, ინდოეთში, გამგზავრებულიყო. იქ მას ბუდას მოძღვრების შესწავლა და ბუდისტური ნაწერების ჩინეთში ჩატანა უნდოდა ბუდიზმის გასავრცელებლად. ამას გარდა, საჭირო გახდა ბუდისტური ტექსტების ჩინურად თარგმნა. ამ მიზნით 629 წელს ბერი ჩინეთის იმდროინდელ დედაქალაქ ჩანიანიდან იწყებს ხანგრძლივ მოგზაურობას. სიუან ძაო აბრეშუმის გზით 17 წელს მოგზაურობდა ბუდას სამშობლოში. ათასი კილომეტრი მან ფეხითა და ცხენით დაფარა, გადაიარა დედამიწის ყველაზე მაღალი მთები, როგორიცაა ჰიმალაი, მოიარა ინდოეთის მთელი სუბკონტინენტი. ბერმა ჩინეთში 657 გრაგნილი ჩაიტანა. ბუდისტური მოძღვრების თარგმნას მან ასევე 17 წელი მოანდომა.

უკანასკნელი დინასტიის, ცინის, ჩათვლით, რომელიც 1644 წელს დააფუძნეს, ბუდიზმმა მხარდაჭერა მოიპოვა საიმპერატორო კარზეც. მე-6 იმპერატორის, ციანლუნის, ბრძანებით, ბუდას უამრავი ტაძარი ააგეს. ამავე იმპერატორის სურვილით, იგი ბერების სამოსში გამოსახეს.

სხვადასხვა დროს იყო შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ მონარქის მიერ გამოიცემოდა ანტიბუდისტური დეკრეტები. ბუდისტების განსაკუთრებული შევიწროება აღინიშნა „კულტურული რევოლუციის" დროს, როდესაც დახურეს მრავალი ბუდისტური მონასტერი. დღეს ბუდიზმი ჩინეთში ერთ-ერთი გავრცელებული რელიგიაა.

ტაივანი – ჩინეთიდან გავრცელდა ბუდიზმი კუნძულ ტაივანზეც (ჩინეთს არ ემორჩილება). იქ არსებობს ბუდისტური ასოციაციის ფილიალი. კუნძულზე 4 ათასზე მეტი ბუდისტური ტაძარია. აღსანიშნავია ტაივანზე მდებარე სატაძრო კომპლექსი ფოგუანშანი (ბუდას სინათლის ტაძარი). ის საერთაშორისო ბუდისტური ცენტრია, სადაც განლაგებულია ტაძრები, მონასტრები, კოლეჯები, კულტურული ადგილები, წიგნის მაღაზიები, საინფორმაციო ცენტრები... იქ სამკურნალოდ ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ჩადის. სწორედ ამ საერთაშორისო ბუდისტურ ცენტრშია გამოცემული უნიკალური ბუდისტური ენციკლოპედია (10 ტომი, 23 ათასი სტატია, 5 ათასი ფოტოსურათი). ბოლო 20 წლის განმავლობაში აქ ათასობით ბუდისტური წიგნი დაიბეჭდა, განხორციელდა უამრავი აუდიოგამოცემა. ქვეყანაში მოქმედებს ბუდისტური კვლევის ინსტიტუტიც.

კორეა – კორეაში ბუდიზმი IV საუკუნეში ჩინეთიდან გავრცელდა. ბუდიზმის აყვავების ხანა აქ X-XV საუკუნეებია. იგი კონფუციანელობასთან ერთად ვრცელდებოდა.

1945 წლის შემდეგ, როცა კორეა შუაზე გაიყო, ჩრდილო კორეაში ბუდიზმი, ფაქტობრივად, აიკრძალა, სამხრეთ კორეაში კი მიაღწია დიდ პოპულარობას. დაარსდა ახალი ბუდისტური მონასტრები. სეულში არსებობს ბუდისტთა მსოფლიო ფედერაციის კორეის რეგიონალური ცენტრი. დღეს ქვეყანაში მოქმედებს 18 ბუდისტური სკოლა.

მიანმა (ბირმა) – ამ ქვეყნის შესახებ ცნობები ანტიკურ ავტორებთანაც გვხვდება. შუა საუკუნეებში აქ იმყოფებოდა მარკო პოლოც. აქაური ბუდისტები მიიჩნევენ, რომ ჯერ კიდევ მეფე აშოკამ ინდოეთიდან მიანმაში საგანგებო მისია გამოაგზავნა სონასა და უტარას მეთაურობით. ბუდისტები იყვნენ ქალაქ პეგუში. V–XV საუკუნეებში ეს ტერიტორია შედიოდა ქმერთა სახელმწიფოს შემადგენლობაში, სადაც ინდუიზმისა და მაჰაიანისტური ბუდიზმის მიმდევრები ჭარბობდნენ. 1287 წელს, როდესაც ბირმა მონღოლებმა დაიპყრეს, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მრავალი ბუდისტური მონასტერი დაინგრა.

1948 წლის შემდგომ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ბუდიზმი მასობრივად აღორძინდა. აქ გავრცელებულია თერავედას სისტემა. ფუნქციონირებს თერავედას 9 სკოლა. ბირმელები ამაყობენ, რომ მათი ქვეყნის მიწა-წყალზე ჩატარდა ბუდისტების მე-6 კრება. ბირმულ ბუდისტურ ტაძრებსა და სტუპებს ანალოგი არ მოეძებნება მთელ მსოფლიოში. მთავარი ტაძარია შვედაგონი (შედგება 72 ნაწილისგან, აგებულია XVI ს-ში). საოცრებაა ქვეყნის ძველი დედაქალაქი პაგანი, რომელიც დაფარულია ბუდისტური არქიტექტურული ძეგლებით. ქვეყანაში დღეს 37 მილიონი ადამიანი აღიარებს ბუდიზმის თერავედას სისტემას. „იყო ბირმელი, ნიშნავს, იყო ბუდისტი", – ამბობენ მიანმაში.

ტაილანდი – ტაილანდი მდიდარი ბუდისტური ტრადიციების ქვეყანაა. აქაც გავრცელებულია თერავედას სისტემა. ადგილობრივი ტრადიცია მიიჩნევს, რომ ტაილანდში ბუდისტური მისია თვით მეფე აშოკამ გააგზავნა. არქეოლოგიური მოწმობებით დგინდება, რომ აქ ბუდისტური თემები უკვე ცხოვრობდნენ II საუკუნეში. VII საუკუნიდან ქვეყანაში შემოდის ტაის ტომები, რომლებიც ტაი ენაზე ლაპარაკობდნენ.

ქვეყნის მთავარი სიწმინდეა მწოლიარე ბუდას ქანდაკება ვატ პოს ტაძარში (ბანგკოკი). დედაქალაქშივეა ლაუვარდოვანი და ოქროს ბუდას ტაძრები.

ქვეყანაში 32 ათასზე მეტი მონასტერია და 400 ათასზე მეტი ბერი. მოსახლეობის 93% (52 მილიონი კაცი) მისდევს თერავედას. ბანგკოკში ფუნქციონირებს ორი ბუდისტური უნივერსიტეტი. აქვეა საერთაშორისო ორგანიზაცია „მსოფლიო ბუდისტური საძმოს" ცენტრი და სხვა გავლენიანი ბუდისტური ორგანიზაციები.

კამბოჯა – კამბოჯაში ბუდიზმის გავრცელება II–IV საუკუნეებს ემთხვევა. ქვეყანაში თერავედას სისტემაა გაბატონებული. ბუდიზმი კამბოჯაში სახელმწიფო რელიგიაა და მას მოსახლეობის 87% აღიარებს (7 მილიონი კაცი). ბუდისტური განათლების მიღების კერაა პნომპენის ბუდისტური უნივერსიტეტი. ბუდისტური წარსულის მშვენებაა ანგკორის არქიტექტურული ანსამბლი.

ლაოსი – ლაოსშიც ბუდიზმი უძველესი დროიდან გავრცელდა. 1928 წლიდან ბუდიზმი აქ სახელმწიფო რელიგიაა. ქვეყანაში 2500-ზე მეტი მონასტერია. მოსახლეობის დიდი ნაწილი მისდევს თერავედას.

ტიბეტი – ტიბეტი იყო ქვეყანა ცენტრალურ აზიაში, რომელიც დღეს ჩინეთის შემადგენლობაშია. იგი დღესაც პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე შეუსწავლელ და მიმზიდველ ადგილად ითვლება.

ბუდიზმი ტიბეტის რაიონებში უკვე V საუკუნიდან ვრცელდება ინდოეთიდან. ბუდიზმამდე ტიბეტელები აღიარებდნენ სხვადასხვა სახის ანიმისტურ შეხედულებებს. მათი უძველესი რწმენით, ბუნება დასახლებული იყო სულებით. შამანთა დახმარებითა და მსხვერპლშეწირვით ისინი ცდილობდნენ აეი სულების განდევნასა და კეთილი სულების წყალობის მოპოვებას. ამ მხრივ მათთან განვითარებული იყო სხვადასხვა რიტუალური წეს-ჩვეულება, მედიტაციები და ა. შ. ტიბეტის მმართველის, სრონძან გამბოს (629-649), დროს ბუდიზმი ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ ცნობილი, თუმცა, გადმოცემის თანახმად, ჯერ კიდევ IV საუკუნეში ტიბეტში მოხვდა პირველი ბუდისტური სიმბოლო: ციდან ჩამოვარდა ოქროს სკივრი, რომელშიც იდო წმინდა წიგნი და პატარა კოლოფი მანტრით. არავის შეეძლო მათი გაშიფვრა ტიბეტში, გარდა სრონძან გამბოსი. მისი ორი ცოლი, რომელთაგან ერთი ნეპალიდან ყოფილა, მეორე კი – ჩინეთიდან, ბუდიზმის მიმდევრები იყვნენ. მათ მზითვად ჰქონიათ მოტანილი ტიბეტის დედაქალაქ ლჰასაში ბუდას ქანდაკებები.

მომდევნო საუკუნეში ბუდიზმი ფართოდ გავრცელდა ტიბეტში, სადაც იგი შეერწყა ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებს. ტიბეტელების უძველესმა რელიგიურმა შეხედულებებმა განიცადა სინთეზი ბუდიზმთან და ასე ჩაეყარა საფუძველი ბუდიზმის ყველაზე ორიგინალურ მიმდინარეობას – ლამაიზმს. VIII საუკუნიდან იგი ტიბეტის ოფიციალური რელიგიაა. დროდადრო თავს იჩენდა ანტიბუდისტური

ტენდენციები, მაგრამ მათ არსებითი გავლენა ტიბეტის სულიერ ცხოვრებაზე არ მოუხდენიათ. XI საუკუნეში ტიბეტური ბუდიზმის სხვადასხვა სკოლის სწავლება გაერთიანდა მოძღვრებაში, რომელსაც ეწოდება ტანტრიზმი, იგივე ვაჯრაიანა.

ტანტრიზმი თავის თავში შეიცავს მისტიკურ სწავლებებს. მან თავისებურად გაითავისა მაჰაიანას ფილოსოფიური და კოსმოლოგიური სწავლებანი. ტიბეტელი გურუები (ლამები) მათს ხალხს ასწავლიდნენ. ტანტრიზმის იდეების შემცველი მრავალი ხელნაწერი ერცელდებოდა ტიბეტში, იქმნებოდა ახალი რელიგიური ძეგლები. ტანტრიზმი იყენებდა მაგიურ სწავლებებსა და ფორმულირებებს. მაგალითად, მანტრა – ეს იყო შესვენების გარეშე წარმოთქმული მაგიური ფრაზა, რომელსაც დაწერილს ტიბეტელები ხშირად თან დაატარებდნენ. ტანტრიზმში შემუშავდა ასევე მაგიური გამოსახულება, რომელსაც მანდალა ეწოდებოდა.

მანდალა – ესაა გეომეტრიული ელემენტების კომბინაცია, რომელიც ტიბეტურ ბუდიზმში სამყაროს სიმბოლურ სურათს წარმოსახავს („მანდალა" სანსკრიტზე „წმინდა წრეს" ნიშნავს). როგორც წესი, მანდალას ძირითადი ფიგურა კვადრატში ჩახატული წრეა, მისი წარმოსახული ცენტრი – ესაა მზე ან „ზეციური კარიბჭე", რომელიც ზეშთაგონებით ამოძრავებულმა სულიერებამ უნდა გაიაროს და სწორედ მასზეა ფოკუსირებული მანდალას მჭვრეტელთა მედიტაცია. ამასთანავე, მანდალას გრაფიკული კომპონენტები ისეა კომბინირებული, რომ ამ საკრალურ წარმოსახვით სამყაროში შეღწევა იოლი არ უნდა იყოს და მაქსიმალურად გაუხანგრძლივდეს მოგზაურობა აბსოლუტის მაძიებელ სულს (ამგვარ მანდალას, რომელიც უშუალოდ მედიტაციისთვის გამოიყენება – „იანტრას" უწოდებენ). ამასთანავე, მანდალა, როგორც კოსმიური წესრიგის გრაფიკული გამოსახულება (კოსმოგრამა), ხშირად განაპირობებს ბუდისტური ტაძრების კონფიგურაციას, ხოლო თვით საკულტო რიტუალში აუცილებელი ატრიბუტის როლი აქვს მინიჭებული. რაც შეეხება ამ საკრალური ფიგურის ფსიქოლოგიურ ასპექტს, იუნგს მიაჩნდა, რომ მანდალა ფსიქოლოგიური შეუთავსებლობის დაძლევის მარადიული სურვილის არქეტიპული სიმბოლოა. სხვანი თვლიან, რომ ეს გრაფემა „მეს" მიღმიერი სულიერი მოგზაურობის ვიზუალური ხატია.

ტანტრიზმში არსებობს სწავლება დროის ბეჭედზე, რასაც კალაჩაკრა უწოდება. მასში გაერთიანებულია ასტროლოგიური შეხედულებები და სანსარას სამოცწლიანი კარმული ციკლების შესახებ სწავლება. კალაჩაკრის თაობაზე იდეასთან კავშირშია გადმოცემა ლეგენდარული ქვეყნის შესახებ, რომელსაც ტიბეტურ წყაროებში შამბალა ეწოდება. პირველად ამ ქალაქს ასახელებს „კალაჩაკრა-ტანტრა" (VI ს.). შამბალა მიიჩნევა შორეულ მთებში მდებარე მისტიკურ ქვეყნად, საიდანაც თავის დროზე უნდა მოეველინოს ქვეყანას მეხუთე ბუდა. ბევრი დღესაც ეძებს ჰიმალაისა და ალთაის მთებში ამ ადგილს.

ტიბეტურ ბუდიზმში არსებობს მკაცრი იერარქიული სტრუქტურა. რელიგიის სათავეში დგას დალაი ლამა (ტიბეტ. ლამა – ოკეანესავით დიადი). მისი ტრადიცია ინერგება XVI საუკუნიდან. მას თაყვანს სცემენ, როგორც განსხეულებულ ბუდას, უდიდეს ავტორიტეტს. ლამაიზმის თანახმად, დალაი ლამა არ კვდება, იგი 9 თვის თავზე რომელიმე ბავშვში გარდასახლდება. ტიბეტში არსებობს ცერემონია, როგორ იპოვონ ეს ბავშვი. ჩინეთის მიერ ტიბეტის ოკუპაციის შემდეგ დალაი ლამები ცხოვრობენ ინდოეთში. ამჟამინდელი დალაი ლამა XIV-ის რეზიდენცია მდებარეობს ინდოეთში, ქალაქ დჰარმასალაში. 1989 წელს მას გადასცეს ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები ცდილობენ დალაი ლამას დაბრუნებას ტიბეტში, დედაქალაქ ლჰასაში, სადაც მდებარეობს პოტალა – დალაი ლამების რეზიდენცია, უზარმაზარი სასახლე – ერთიანი ტიბეტის სიმბოლო. ტიბეტის ცნობილი ლამაისტური მონასტრებია გალდანი, გუმბუმი და ლავრანი.

ტიბეტური ბუდიზმი აღიარებს მაჰაიანას გავლენით ჩამოყალიბებულ სწავლებას სხვადასხვა ბუდას შესახებ. ტიბეტური პანთეონი შეიცავს შემდეგ ბუდათა

რგოლს: ადიბუდა – სამყაროს შემქმნელი, მაიტრეი – მომავალი სამყაროს შემქმნელი, ბუდა ამიდა – სამოთხის მისტიკური გამრეგე და სხვა. ბუდისტური მაგიური წარმოდგენები, სულთა მეტემფსიქოზის თეორია და სხვა სწავლებები გადმოცემულია ტიბეტურ ენაზე არსებულ ე. წ. „ტიბეტურ მკვდართა წიგნში". აქვე დავსძენთ, რომ ტიბეტური დამწერლობა დევანაგარას საფუძველზე შემუშავდა VII საუკუნეში.

ტიბეტური ბუდიზმი გავრცელდა მონღოლეთში, ბურიატებში, ყალმუხებში.

იაპონია – იაპონიაში ბუდიზმი ჩინელმა და კორეელმა ბერებმა შეიტანეს. იაპონელთათვის უფრო მისაღები გახდა ბუდიზმის მაჰაიანისტური მიმდინარეობა. დაიწყო მაჰაიანური ტაძრების აღმოცენება. ჩამოყალიბდა სხვადასხვა იაპონური ბუდისტური სექტა, რომელთა შორის ყველაზე გავლენიანი გახლდათ ძენი. დღემდე ბუდიზმის იაპონიაში გავრცელებულ ვარიანტს ძენ-ბუდიზმად მოიხსენიებენ.

ძენი ისევე, როგორც ტანტრიზმი, ოდნავღა თუ ჰგავს კლასიკურ ბუდიზმს. ამ მოძღვრებით დღეს განმსჭვალულია იაპონელთა დიდი ნაწილის ყოველდღიური ცხოვრება, იაპონელთა ხელოვნება, სოციოლოგია, ფსიქოლოგია. იაპონური სიტყვა „ძენი" მომდინარეობს სანსკრიტული სიტყვისგან „დჰიანა", რომელმაც ჩინური ტრანსკრიფციით „ჩან" ფორმა მიიღო, რის შემდეგაც იაპონური ენის ფონეტიკური კანონების წყალობით იქცა ძენად. იაპონელები ამტკიცებენ, რომ ძენი ბუდიზმის ჭეშმარიტად იაპონური სახესხვაობაა და მართლაც მისი შინაარსი ნამდვილად იაპონურია.

კლასიკური ბუდიზმისგან განსხვავებით, რომელიც სურვილებზე უარის თქმას ქადაგებს, იაპონური ბუდიზმი მათდამი ზომიერ დამოკიდებულებას აღიარებს. იაპონური ბუდიზმის მიხედვით, მხოლოდ არარეალური სურვილებია შფოთვისა და მოუსვენრობის მიზეზი. „შინაგანი განათება" (იაპონურად – სატორი) არ უკავშირდება ცხოვრებისეულ სიამეთა უარყოფას. სატორის მიღწევის შემდეგ ადამიანმა უნდა განაგრძოს ცხოვრებით ტკბობა. იაპონელთა პრაგმატულმა გონებამ ბუდიზმი სიცოცხლის ტრფიალ რელიგიად აღიქვა.

ძენის მიმდევრების აზრით, ძენის არსი შეიძლება მხოლოდ შეიგრძნო, განიცადო, გონებით მისი შეცნობა შეუძლებელია.

XX საუკუნიდან ძენის ფენომენი დასავლეთში კვლევისა და ინტერესის სერიოზულ ობიექტად იქცა. ამ მოძღვრების პოპულარიზაციას ხელს უწყობდნენ თვით იაპონელი მოაზროვნეები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები. ძენის ფსიქოლოგიური არსის ამოხსნას მიეძღვნა დაისეცუ სუძუკის შრომები, რომლებშიც განხილულია ისეთი მოვლენა, როგორიცაა შინაგანი გაცისკროვნება – განათება. გასული საუკუნის 40-იან წლებში გამოვიდა კიოტოს უნივერსიტეტის პროფესორის – მასიმი სიკასიგის – ფუნდამენტური ნაშრომი ძენის ვარჯიშების შესახებ. აღნიშნულ წიგნში მან სცადა, მეცნიერულად აეხსნა ძაძენის (მედიტაცია მჯდომარე პოზაში) მეთოდიკა. სიკასიგამ მიაქცია ყურადღება მედიტაციის პროცესში პოზის, სუნთქვის, ყურადღების თავმოყრის ზემოქმედებას ორგანიზმზე, და ჩამოაყალიბა ორგანიზმში ფიზიოლოგიური ცვლილებების შეფასების სისტემა. 1951 წელს კოძი სატომ გამოსცა წიგნი „პიროვნების ფსიქოლოგია", რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი ძენის მეთოდიკის საფუძველზე პიროვნული თვისებების ფორმირების შესახებ. ძენის ფენომენით დაინტერესდა კ. იუნგი. მან შეისწავლა, თუ როგორ ვლინდება ძენის თავისებურებანი იაპონელთა ქცევაში და შეეცადა, გარკვეულიყო იმ დაბრკოლებათა არსში, რაც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთგაგების სფეროში არსებობს. კ. ჰორნი და ე. ფრომი დაინტერესდნენ ძენის ფსიქოლოგიით დ. სუძუკისთან საუბრის შედეგად. იაპონელმა მეცნიერმა მათ გააცნო თავისი შრომები და უჩვენა ძენის წვრთნის პროცედურები. დ. სუძუკის თანაავტორობით ე. ფრომმა გამოსცა წიგნი „ძენ-ბუდიზმი და ფსიქოლოგია". 60-იანი წლებიდან დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში შეიმჩნევა ინტერესის გაძლერება ძენ-ბუდიზმისადმი. აშშ-ში გავლენიან წიგნებად ითვლება ე. მოპინის „ძენ-ბუდიზმი – ფსიქოლოგიური მიმოხილვა"

(1962), „ინდივიდური სხვაობანი და ძენის მედიტაცია" (1965). ლონდონში, ფსიქოლოგთა XIX ყრილობაზე, კ. სატომ საზოგადოებას წარუდგინა ძენი, როგორც აღზრდის სრულყოფილი სისტემა, რომელშიც თავს იყრიდა აღმოსავლეთის ყველა მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური დოქტრინა.

იაპონიაში ძენის ორი მთავარი სკოლაა: რინძაი და სოტო. ამ სკოლების მეთოდიკა ურთიერთგანსხვავებულია. სოტოს სკოლა წვრთნის პროცესში ყურადღებას ძირითადად ძაძენის შესწავლას უთმობს.

ძაძენი არის მედიტაცია მჯდომარე პოზაში. ამგვარი მეთოდიკა თავისი სხვადასხვა ვარიაციით მთელ აღმოსავლეთშია გავრცელებული. ტრადიციული ბუდისტური იკონოგრაფიით, ბუდა მუხლმორთხმული ზის და რაღაცის განჭვრეტას ცდილობს. ასევე უნდა მოიქცნენ მისი მიმდევრებიც — ძაძენი გულისხმობს გარკვეული პოზის დაჭერასა და სუნთქვის მოწესრიგებას (დაყენებას). ამგვარი პროცედურა დამახასიათებელია ინდოელი იოგებისათვის და სამხრეთ-აღმოსავლეთის სხვადასხვა მედიტაციური სკოლისათვის. ძაძენში ორი ძირითადი პოზა გამოიყენება: კეკაფუძა (მთლიანი ლოტოსი) და ხანკაფუძა (ნახევარლოტოსი).

სატორი ძენ-ბუდიზმში განიხილება, როგორც ჭეშმარიტი „მეს" გამოღვიძება. სატორის მდგომარეობას ადამიანი აღწევს ფსიქოლოგიური წვრთნითა და რელიგიურ კულტთან დაკავშირებული პრაქტიკის საშუალებით. ძაძენის მიზანი მხოლოდ ნათელხილვა არაა. საჭიროა უფრო ღრმა ნათელხილვის განცდა, რომლის დროსაც ფერმკრთალდება დისკურსული გონება და ადამიანში იღვიძებს ბუდას გონი, სული და მისი გული.

იაპონიაში საბრძოლო ხელოვნების სახეობანი — კიუდო (მშვილდოსნობა), კენდო (ფარიკაობა), აიკიდო (თავდაცვა), კარატე (უიარაღოდ ბრძოლა) — გაჯერებულია ძენ-ბუდიზმის იდეებით. ძენ- ბუდიზმის გავლენა შესამჩნევია არა მარტო იაპონურ ფერწერაზე, პოეზიაზე, არქიტექტურაზე, არამედ ყვავილებისგან თაიგულების გაკეთების ტრადიციაზე, ჩაის სმის ცერემონიალზე. მხატვარი, ძენის დოქტრინით, უნდა ასახავდეს არა საგნების ასლს, არამედ ცხოვრების სულს. დ. სუზუკის აზრით, ძენის გავლენა პოეზიაზე უფრო დიდია, ვიდრე ფილოსოფიაზე. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ადამიანებში პოეზია ძირითადად ფსიქიკის ქვეცნობიერ, ემოციურ სტრუქტურებზე მოქმედებს. სწორედ ეს სფეროა ძენის მოქმედების ასპარეზი.

იაპონიაში ბუდიზმის გავრცელებიდან ვითარდება იკებანა — ყვავილთა შეკონვის ხელოვნება. VI საუკუნიდან იაპონიის ბუდისტურ ტაძრებში დაიწყეს დიდი თაიგულების განლაგება. ისინი ჰარმონიულად ეხამებოდნენ ტაძრის დიდებულ გარემოს. ყვავილთა შეხამების იაპონურ სისტემაში, რომელიც ძენის საფუძველზეა აგებული, მთავარი ყურადღება ექცევა დინამიზმის ფაქტორს. შეხამებამ უნდა გადმოსცეს განვითარება დროის მიხედვით. მაგალითად, მთლიანად გაშლილი ყვავილი, გამხმარი ფოთლები გადმოსცემს წარსულს, ნახევრად გაშლილი ყვავილები და მწვანე ფოთლები — აწმყოს, კოკრები — მომავალს. ყვავილების სიმბოლიკაც ძენ-ბუდიზმიდან იღებს სათავეს. იაპონური ტრადიციით, ფიჭვი და ვარდი გამოსახავს მარადიულ ახალგაზრდობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბამბუკი — აყვავებასა და მშვიდობას, ქრიზანთემა და ორქიდეა — სიხარულს.

იაპონიაში არსებობს ლეგენდა, რომ ერთხელ ბოდჰიდჰარმამ (ჩინეთში ბუდიზმის პირველი პატრიარქი) ძილის მოძალება იგრძნო. გაბრაზებულმა მოიგლიჯა ქუთუთოები და მიწაზე დაყარა. ამ ადგილზე აღმოცენდა უჩვეულო ბუჩქი წვნიანი ფოთლებით; მოგვიანებით მოწაფეებმა ამ ფოთლების ცხელი წყლით დაყენება დაიწყეს — სასმელი მათ სიფხიზლეს უნარჩუნებდა. იაპონიაში შეიქმნა ჩაის სახლები (ტიასიცუ). ჩაის ცერემონიალის — ტიანოუს ცნობილი ოსტატები ძენ-ბუდიზმის მიმდევრები იყვნენ. ჩაის სახლები არ იყო დიდი ზომის. ესეც ბუდისტურ გადმოცემებს ეფუძნებოდა, რადგან, ლეგენდის თანახმად, პატარა ზომის ოთახში ეტეოდა

ოდესღაც ბუდას 84 ათასი მოწაფე. ამ ალეგორიას საფუძვლად უდევს ბუდიზმის თეორია, რომელიც უარყოფს „სულიერად განათებულთა" წონასა და ზომას. ჩაის სახლის კედლებზე გვხვდება გრაგნილები, რომლებზეც არქაული კალიგრაფიით შესრულებულია ძენ-ბუდისტური სტილის წარწერები.

XII საუკუნეში იაპონიაშიც გავრცელდა ერთ-ერთი ბუდისტური სექტა – ძიოდო. ტიბეტურ ბუდიზმზე საუბრისას ვახსენეთ, რომ მაჰაიანაში არსებობდა სხვადასხვა ბუდას თაყვანისცემის ტრადიცია. ერთ-ერთი ასეთი ბუდა გახლდათ ბუდა ამიდა (სამოთხის გამრიგე). ძიოდო თავგამოდებით ქადაგებდა ამიდიზმს, თუ ბუდა ამიდას მიმართ ათჯერ იქნება გამეორებული ლოცვითი ფორმულა, ძიოდოს მიმდევრების აზრით, მათ ამიდა გამოეცხადება და ტანჯვას შეუმსუბუქებს.

ნეპალი – ნეპალის ტერიტორია მიჩნეულია ბუდიზმის წარმოშობის კერად. დღეს ქვეყანაში მოსახლეობის 89% ინდუიზმის მიმდევარია და დაახლოებით 7% აღიარებს ბუდიზმს. ამის მიუხედავად, ეს რელიგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში. ნეპალის გზით გავრცელდა ძველად ბუდიზმი ინდოეთიდან ტიბეტსა და ჩინეთში. ნეპალის ტერიტორია უმეტესად ინდურ სახელმწიფოთა განმგებლობაში რჩებოდა. კატმანდუში არის მსოფლიო მნიშვნელობის ბუდისტური მონასტრები, სადაც არაერთი ბუდისტური სიძველე ინახება.

ვიეტნამი – ვიეტნამში ბუდიზმი ვრცელდება II–V საუკუნეებში. აქ გავრცელებულია ბუდიზმის მაჰაიანისტური სისტემა. VI საუკუნეში ქვეყანაში უკვე არსებობდა ბუდისტური სკოლა. XII საუკუნეში ვიეტნამის ტერიტორიაზე არსებულმა ჩანის სახელმწიფომ ბუდიზმი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. მოსახლეობის 52% დღეს (35 მილიონი კაცი) ბუდიზმის აღმსარებელია.

XX საუკუნიდან ბუდიზმის გავლენა დასავლეთის სულიერ ცხოვრებაზე მკვეთრად შესამჩნევია. ამ რელიგიას მიმდევრები მოეპოვება დასავლეთ ევროპაში, აშშ-ში. იქმნება გავლენიანი ბუდისტური ორგანიზაციები და პერიოდული გამოცემები.

ცენტრალური ამერიკის რელიგიები

მაიას ხალხების რელიგია

მაიას ტომთა მიერ შექმნილი ცივილიზაცია ტოლს არ უდებს ძველი ეგვიპტელების, ბაბილონელებისა და ჩინელების ცივილიზაციას. მაიას ჩამომავლები დღესაც ცხოვრობენ ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. ცნობილია, რომ უძველეს პერიოდში დიდი ცივილიზაციები მდინარისპირა რეგიონებში აყვავდა (ჩინური კულტურა დაირწა იანძისა და ხუანხეს სანაპირო ველებზე, ეგვიპტური – ნილოსის ირგვლივ, მესოპოტამიური – ევფრატისა და ტიგროსის შუა წელზე, ინდური – ჰინდისა და განგის დაბლობებზე). ანალოგიური ვითარება არ გვაქვს პრეკოლუმბამდელ ამერიკულ ცივილიზაციასთან მიმართებაში. ამერიკულ ცივილიზაციებს აქამდე დამკვიდრებული ეერც ერთი თეორია ვერ მიუსადაგეს. აცტეკების, ინკებისა და ყველაზე განვითარებული მაიას ცივილიზაცია მდინარის ცივილიზაცია არ ყოფილა. ჰონდურასისა და გვატემალის გაუვალ ჯუნგლებში აღმოჩენილ უძველესი კულტურის ნაშთებს არც ერთი მდინარე არ ესაზღვრება. მაიას ცივილიზაცია არც მიწათმოქმედთა და არც მესაქონლეთა ცივილიზაცია გახლდათ. არადა, როგორც წესი, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ცივილიზაციის წარმოშობის მეორე წინამძღვრად ითვლებოდა. ეს ხალხი, რომელიც უზუსტეს ასტრონომიულ დაკვირვებებს აწარმოებდა და ურთულეს მათემატიკურ გამოთვლებს ახდენდა, გუთანსაც კი არ იცნობდა და მიწას მეტად პრიმიტიული ხერხებით ამუშავებდა. ეს გახლდათ ერთ-ერთი იმ მცირე ცივილიზაციათაგანი, რომელიც არ იცნობდა შინაურ საქონელს და არასოდეს ენახა ბორბალი.

მეცნიერებს დღემდე ვერ უპოვიათ პასუხი კითხვაზე, საიდან და როდის მოვიდა ეს ხალხი. ერთადერთი, რისი ხმამაღლა თქმაც შეიძლება, ის არის, რომ მაიას ცივილიზაციამ არსებობა სულ მცირე 2000 წლის წინ დაიწყო და ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში არნახულ წარმატებებს მიაღწია. მკვლევრები მაიას ცივილიზაციას ფორმალურად ორ ნაწილად – ძველ და ახალ სამეფოდ ყოფენ. ამგვარი დაყოფა შემთხვევითი არ არის და არც მხოლოდ ქრონოლოგიური საფუძველი აქვს. მაიას ძველი სამეფო ტერიტორიულად არ ემთხვევა ახალს, თუმცა იმას, რომ ორივე ერთი და იმავე ცივილიზაციის პირმშოა, საერთო ენა, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, წეს-ჩვეულებები, ნაგებობათა სტილი და მრავალი სხვა ფაქტორი ადასტურებს. თუ ქალაქებს ჩიჩენ-იცას, კოპანს, ტიკალს, იშქუნასა და პალენკს ხაზით შევაერთებთ, მაიას ცივილიზაციის მიახლოებით საზღვრებს მივიღებთ. ძველი სამეფოს დაარსების თარიღი ჯერ კიდევ უცნობია, თუმცა, ვარაუდობენ, რომ მას ახალი წელთაღრიცხვის VII საუკუნემდე უნდა ეარსება. მაიას ძველი სამეფო სამკუთხედის მოყვანილობის ტერიტორიაზე იყო გაშენებული. მისი უძველესი ქალაქი გახლდათ ვაშაქტუნი, რომელიც დღემდე გვატემალას ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარეობს. მაიას ძველი სამეფო ათეულობით ქალაქს აერთიანებდა. საინტერესოა, რომ ძველი სამეფოს უკანასკნელ პერიოდში წარმოქმნილი ყველა ქალაქი სამკუთხედის სიღრმეში მდებარეობს. მაია, ალბათ, ერთადერთი ხალხი იყო ამქვეყნად, რომლის სახელმწიფო ცენტრიდან პერიფერიისკენ კი არა, პერიფერიიდან ცენტრისკენ იზრდებოდა. ახალი სამეფოს დასაწყისი ძველის დასასრულს ემთხვევა. როგორც კვლევები ადასტურებს, მაიას ხალხი ძველი სამფლობელოდან აყრილა და ჩრდილოეთით გადასახლებულა, სადაც ახალი და ძველზე არანაკლებ დიდებული სახელმწიფო შეუქმნია, რომლის დედაქალაქიც ულამაზესი ჩიჩენ-იცა გამხდარა. წლების მანძილზე პასუხგაუცემელი რჩებოდა კითხვა, რამ აიძულა ეს უდიდესი კულტურის ხალხი, აყრილიყო, მიეტოვებინა უზარმაზარი და უმშვენიერესი შენობა-ნაგებობები, ქალაქები, მთლიანად სახელმწიფო და გაუვალ და უკაცრიელ ჯუნგლებში ახალი სახელმწიფოს მშენებლობა წამოეწყო. არაერთი ჰიპოთეზა და ვარაუდი გამოითქვა ამ საოცარი გადასახლების მიზეზის ასახსნელად. ერთი მათგანის თანახმად, მაიას ხალხი თავიანთი ქალაქებიდან დამპყრობლებს განუდევნიათ. მაგრამ ვინ

იყვნენ და საიდან მოვიდნენ ეს დამპყრობლები? ამ დროს მაიას სამეფო ძლიერების მწვერვალზე იმყოფებოდა და მეზობელი ხალხებიდან ძლიერებით მასთან ახლოს ვერავინ მივიდოდა, თანაც მიტოვებულ ქალაქებში დაპყრობის არავითარი კვალი არ შემორჩენილა. გადასახლების მიზეზად ბუნებრივი კატასტროფაც დასახელდა, თუმცა ძველ სამეფოს ნანგრევებზე არც რაიმე კატასტროფის კვალი აღმოუჩენიათ. იქნებ რაიმე საშინელი ეპიდემია გავრცელდა? მაგრამ არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ შორეულ გზას ერთ დროს მრავალრიცხოვანი და ძლევამოსილი ხალხის გაუბედურებული, საცოდავი ნაშთი დაადგა. პირიქით, ხალხი, რომელმაც ჩიჩენ-იცა ააგო, მეტად ძლიერი და ღონიერი უნდა ყოფილიყო. არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც სხვებზე უფრო ახლოს უნდა იყოს სიმართლესთან და რომელსაც ბოლო დროს სულ უფრო და უფრო მეტი მეცნიერი ემხრობა. ამ ჰიპოთეზის დასაბუთება თავად მაიას ხალხის ცხოვრების წესშია. მაია ქალაქის მკვიდრი ხალხი იყო, გაბატონებული კლასისა (ქურუმები) და გლეხებისგან შედგებოდა. უბრალო მოსახლეობა შემოსავლის დიდ ნაწილს ქურუმთათვის იღებდა, თავისთვის კი მესამედი რჩებოდა. მათი მიწათმოქმედება მეტად პრიმიტიული ხასიათის იყო (წვავდნენ ტყეებს, თხრიდნენ ორმოებს), რამაც გამოიწვია მიწის გამოფიტვა. მაიას ხალხიც იძულებული გახდა, დიდებული ქალაქები, მტკიცედ ნაგები სასახლეები მიეტოვებინა და ახალ, დაუსახლებელ ადგილას ახალი სახელმწიფოს მშენებლობა დაეწყო.

ცენტრალურ ამერიკაში ევროპელების მოსვლის შემდეგ მაიას ხალხში არსებული ბევრი წერილობითი ძეგლი განადგურდა. XVI საუკუნეში ესპანელი ბერის, დიეგო დე ლანდას, თაოსნობით, დაუნდობელი აუტოდაფე მოუწყვეს მაიას ხალხის წერილობით მემკვიდრეობას, თუმცა ლანდა თავისი მისიონერული ხასიათის წიგნში მათი რელიგიის ბევრ ელემენტს გვამცნობს. ძველი მაიას ლიტერატურა განვითარების მაღალ დონეზე იდგა. მათი წიგნები, ანუ კოდექსები, როგორც მათ ხშირად უწოდებენ, წარმოადგენდა ქაღალდის ერთ კაბადონს, რომელიც დამზადებული იყო მცენარეული ბოჭკოსგან. სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ მაიას სამი ასეთი კოდექსი შემორჩა. 1739 წელს ვენაში აღმოაჩინეს და მოგვიანებით დრეზდენის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ შეიძინა ე. წ. „დრეზდენის კოდექსი", რომელიც ძირითადად ასტრონომიულ გაანგარიშებებს შეიცავს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ესპანეთში იპოვეს ნაწყვეტები მაიას კიდევ ორი მანუსკრიპტიდან; ორივე ერთი და იმავე კოდექსის ნაწილები აღმოჩნდა. ისინი ინახება მადრიდის არქეოლოგიისა და ისტორიის მუზეუმში. მესამე კოდექსი დაცულია პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. აქვე უნდა ითქვას, რომ მაიას დამწერლობის დიდი ნაწილი, რომელიც იეროგლიფური ხასიათისა იყო, დღემდე არაა წაკითხული მეცნიერების მიერ.

მაიას ცივილიზაციის გაცნობით გაჩნდა უამრავი ჰიპოთეზა ამ ხალხის რაობასა და გენეზისზე. უძველესი დროიდან არსებობდა გადმოცემა მითიური სახელმწიფოს – ატლანტიდის – თაობაზე, რომელიც კუნძულზე მდებარეობდა (პირველად ახსენა ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა დიალოგ „კრიტიაში"). ატლანტიდა გამქრალი ცივილიზაციის სიმბოლოდ იქცა. მეცნიერები, არქეოლოგები, ფილოსოფოსები, გეოგრაფები, ეზოტერული დოქტრინების შემოქმედნი ცდილობდნენ მის მიგნებას, ბევრმა კი მაიას ცივილიზაციის ატლანტიდასთან დაკავშირება სცადა. ინგლისელმა ფილოსოფოსმა ფ. ბეკონმა თავის უტოპიურ ნაშრომს უწოდა „ახალი ატლანტიდა". 1882 წელს გამოვიდა ი. დონელის წიგნი „ატლანტიდა – წარღვნამდელი სამყარო", რომელშიც პლატონის თხრობა ატლანტიდაზე რეალობადაა მიჩნეული. ავტორი ამტკიცებს, რომ კუნძული ნამდვილად არსებობდა ოდესღაც ატლანტიდის ოკეანეში და ბარბაროსობიდან ცივილიზაციაზე გადასვლა სწორედ ატლანტიდაზე მოხდა. დონელის წიგნს მოჰყვა ფრანგი ისტორიკოსის, ო. ლე-პლონჟონის, ნაშრომი, რომელსაც საფუძვლად დაედო ცენტრალურ ამერიკაში მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებანი და იუკატანზე ჩიჩენ-იცაში გათხრების შედეგები. მისი ვრცელი სათაური – „მაიასა და კიჩეს წმინდა საიდუმლოებანი და მათი კავშირი ეგვიპტის, საბერძნეთის, ქალდეისა და ინდოეთის საიდუმლოებებთან" – მოწმობს ავტორის ღრმა რწმენას, რომ მაიას კულტურას, მსგავსად ევრაზიის ძველი ცივილიზაციებისა, აქვს წარმოშობის ერთი და იგივე წყარო – ატლანტიდა.

1881 წელს ინგლისელმა მეცნიერმა ალფრედ მოუდსლიმ დაიწყო გამოკვლევები, რომლებიც მოასწავებდა მაიას არქეოლოგიის დაბადებას. მან 13 წელი ცენტრალური ამერიკის ჯუნგლებში გაატარა მეტად მნიშვნელოვანი პრობლემების შესასწავლად. სად გადიოდა მაიას ცივილიზაციის ზუსტი გეოგრაფიული საზღვრები? რა მონაცემები არსებობს სასაზღვრო კონტაქტების შესახებ მაიასა და ამერიკის სხვა კოლუმბამდელ ცივილიზაციებს შორის? ხომ არ არის იქ მითითებები ისტორიის ზიგზაგისებურად სვლის მიზეზებზე (უეცარ აყვავებაზე, დაცემასა და კვლავ აღორძინებაზე, რომელიც მცირე ხნით გამოყოფს ცივილიზაციის აყვავების პერიოდს მისი საბოლოო დაღუპვის პერიოდისაგან) ისევე, როგორც ძველი სამყაროს სხვა ქვეყნებში? ენერგიული მკვლევარი მოუდსლი ცენტრალური ამერიკის ვრცელი ტერიტორიის მრავალ კუთხეში იყო. მან თავისი აღმოჩენების დასაბუთებისათვის პირველად გამოიყენა ახლადგაჩენილი ფოტოგრაფიის ხელოვნება. 1892 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტმა ცენტრალურ ამერიკაში მოაწყო ექსპედიციები მკვლევრისა და ფოტოგრაფის – თ. მალერის – ხელმძღვანელობით. ამ მეცნიერმა აღმოაჩინა მაიას კულტურის ოლქები, განსაკუთრებით, იუკატანის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში და მდინარე უსუმასინტას ხეობაში, რომლებიც მეცნიერებისათვის ადრე სრულიად უცნობი იყო. ოცი წლის შემდეგ მაიას არქეოლოგია, რომელიც სწრაფად ვითარდებოდა, ახალ საფეხურზე ავიდა.

მ. ჯეიკმენმა წიგნში – „მაიას წარმოშობა და ისტორია" (ლოს-ანჯელესი, 1945) – დასვა შემდეგი კითხვები: „როგორ შეძლო მაიამ თავისი ცივილიზაციის მაღალი დონის შენარჩუნება, რომელიც შექმნის მომენტიდანვე უკვე საკმაოდ მომწიფებული იყო? სად ვეძიოთ მათი ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების ჩანასახები? სადაა ის პრიმიტიული წარმოდგენები, რომლებიც საფუძვლად დაედო უფრო სრულყოფილ გამოგონებებს ასტრონომიისა და მათემატიკის დარგებში? სად არის ის მარტივი სქემები, რომლებიც გადავიდა შემდგომ მეტისმეტად რთულ კალენდარში, რომელსაც ძალუძდა წარსული და მომავალი დროის მილიონი წლის ათვლა? სად არის ის უმარტივესი ნიშნები, რომელთა საფუძველზეც მაიას ქურუმებმა შექმნეს იეროგლიფური დამწერლობა?" ამგვარმა კითხვებმა მეცნიერების წინაშე გააძლიერა ინტერესი მაიას ცივილიზაციისა და რელიგიის შესასწავლად, რაც დღემდე აქტიურად გრძელდება.

ძველი სამეფოს აყვავების ხანა უნდა ყოფილიყო ჩვენი წელთაღრიცხვის IV–IX საუკუნეები, როდესაც სუფევდა საყოველთაო მშვიდობა. მაიას ქალაქები არსებითად უზარმაზარ ტაძრებს წარმოადგენდა. აქ თაყვანს სცემდნენ ბუნების იდუმალ ძალებს. მაიას ქალაქები მკვეთრად გამოირჩეოდა ჯუნგლებისაგან გამოტაცებული ფართობების ფონზე. აქ აღმართული იყო თოვლივით თეთრი, კაშკაშა პირამიდები, ტაძრები, სასახლეები და შენობები. ისინი მდიდრულად იყო მორთული რელიგიური სიმბოლოებითა და იმ ღმერთების ქანდაკებებით, რომლებსაც უძღვნიდნენ ამ ტაძრებს. ბევრ შენობას მკვეთრად შეღებილი ფასადი ჰქონდა, დანარჩენები კი იმ ბუნებრივი მასალის ფერის იყო, რომელსაც მათი მშენებლობისათვის იყენებდნენ. ძირითადი შენობები იდგა ხელოვნურად აგებულ ბორცვებზე. ყოველი რელიგიური ცენტრის მშენებლობას მრავალი წლის მძიმე შრომა სჭირდებოდა. უპირველეს ყოვლისა, ასუფთავებდენ დიდ მონაკვეთებს ჯუნგლებში, რომლებიც ძნელი დასამორჩილებელი იყო. მათი სიჯიუტე იქ მცხოვრები ადამიანების სიჯიუტეს არ ჩამოუვარდებოდა, ამიტომ ადგილის მოსწორებისა და ხელოვნური ბორცვების აშენების კოლოსალური სამუშაოების შესრულების დროს ადამიანები ებრძოდნენ გაუვალ ტროპიკულ მცენარეებს. ქურუმობა, რომელთა მმართველობა შეუზღუდავი იყო, ცდილობდა შეეღწია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ქურუმები სწავლობდნენ სიმბოლიკასა და ღმერთების ნება-სურვილის ზნეობრივ გამოხატულებებს, აგრეთვე – ხერხებს მათი გულის მოსაგებად. მაიას ცივილიზაცია რელიგიის სიძლიერის თვალსაჩინო მაგალითია. რეალურ ხელისუფლებას მაიას საზოგადოებაში ქურუმები განაგებდნენ. ისინი განუყოფლად ბატონობდნენ ქალაქებში. ქურუმთა ხელში იყო აგრეთვე მეცნიერების განვითარებაც, რაც რელიგიურ ხასიათს ავლენდა. ეს ნათლად გამოვლინდა მათემა-

ტიკისა და ასტრონომიის დარგში, რადგანაც ცოდნის ეს სფეროები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქურუმებისათვის, ამიტომ, მათი აზრით, მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ზებუნებრივ ძალებთან. ისინი ყველანაირად ხელს უწყობდნენ მეცნიერების განვითარებას. ყველაფერი ასტრონომიით იწყებოდა. მისი პრინციპების დაუფლება მაიას ინტელექტუალური უნარის ნათელი დადასტურებაა. ისინი დაუცხრომლად სწავლობდნენ დროის სხვადასხვა ასპექტს, რათა გაეგოთ მისი არსი და შეემეცნებინათ მათი იდუმალი გავლენა ადამიანებისა და იმპერიების ბედზე. ამ შრომების საფუძველზე აღმოცენდა კალენდრის სისტემა, რომელიც მოიცავდა მილიონ წელს. მაიას ხალხს ეგონა, რომ ერთმანეთის შემცვლელ თანმიმდევრულ ციკლებს – დღეებს, თვეებს, წლებს თან ახლავს ღმერთების მოწყალება ან რისხვა. ყოველი ღმერთი წარმოადგენდა გარკვეული ღვთაებრივი რიცხვის მფარველს (პატრონს) და შესაბამის აღნიშვნას იღებდა იეროგლიფებში. დროის მონაკვეთები ითვლებოდა „ტვირთად", რომლებიც საკუთარი ზურგით დააქვთ ცის მცველებს.

თუ რომელიმე გარკვეული ციკლის ტვირთს „იღებდა" ბოროტი ღმერთი, შეიძლება ამას ცუდი შედეგები მოჰყოლოდა და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ „დროის ტვირთი" არ გადაეცემოდა უფრო კეთილ ღმერთს. გარკვეული თვისა თუ წლის სიკეთე ან სიავე სავსებით დამოკიდებული იყო ღვთაების ხასიათზე. ეს უცნაური რწმენა ნაწილობრივ ხსნის ქურუმების უდიდეს გავლენას საზოგადოებაში. მაიას ხალხს, ალბათ, ეგონა, რომ ქურუმი-შუამავლების გარეშე შეუძლებელია ღმერთების ბოროტ განზრახვათა წინასწარი გაგება, მხოლოდ ქურუმ-ასტრონომებს შეეძლოთ ეხსნათ ადამიანები ღმერთის ნება-სურვილის არასწორი გაგებით გამოწვეული კატასტროფისაგან. მარტოოდენ ქურუმებს, რომლებიც ერკვეოდნენ ღმერთების სხვადასხვა თვისებასა და დროისა და სივრცის გზებზე მათს უთავბოლო ხეტიალში, შეეძლოთ აეხსნათ დროის რომელ მონაკვეთებს განაგებდნენ კეთილი ღმერთები და რომელს – ბოროტები. ამრიგად, მაიას ხალხი დროს სწავლობდა ბედნიერი თუ უბედური ციკლების ძიებისათვის, იმედოვნებდა, რომ მომავლის გაგების შემდეგ შეძლებდნენ ბედის წარმართვას უფრო ხელსაყრელი მიმართულებით.

მაიას კალენდარი ძველი სამყაროს კალენდრებს შორის ყველაზე ზუსტია. ის სტრუქტურითა და განმარტებით საოცრად რთული იყო და შედგებოდა რამდენიმე დამოუკიდებლად მბრუნავი „ბორბლისაგან", რომლებიც ითვლიდა ურთიერთკავშირში მყოფ დროის ციკლებს. მაიას ქვეყანაში არსებობდა წლის გაზომვის ორი სისტემა: „ცოლკინი", ანუ საღვთო წელი, რომელიც შედგებოდა 260 დღისაგან; სამოქალაქო წელი – „ჰააბი", შემდგარი თვრამეტი თვისაგან. თითოეულ თვეში 20 დღე იყო; მათ ემატებოდა ხუთდღიანი დამატებითი თვე, რაც, საერთო ჯამში, შეადგენდა 365-დღიან წელიწადს. „ჰააბი" გამოიყენებოდა ჩვეულებრივი კალენდარული ათვლისას მაშინ, როდესაც უფრო მოკლე „ცოლკინი" დაკავშირებული იყო რელიგიურ წეს-ჩვეულებებთან. ყოველ თვესა და დღეს საკუთარი სახელი და გარკვეული იეროგლიფი ჰქონდა.

მაიას კალენდართან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი გამოცანის ამოხსნისას მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს ქურუმი-ასტრონომების გასაოცარ ტექნიკურ მიღწევებს. სწორედ მათმა წარმატებებმა უზრუნველყო კალენდრის შექმნა. მრავალი საუკუნის განმავლობაში ისინი გულდასმით აღრიცხავდნენ და იწერდნენ მონაცემებს ციური სხეულების მოძრაობის – „ღმერთების გუნდის დაუსრულებელი ხეტიალის შესახებ". ვარსკვლავებს აკვირდებოდნენ კოშკებიდან და მაღალი ბაქნებიდან წინასწარ დახაზული სამიზნებელი ხაზებით. შედეგებს გულდასმით აღნიშნავდნენ რუკებზე. მათს საფუძველზე შემდგარი იყო ზუსტი ცხრილები მზისა და მთვარის დაბნელების წინასწარმეტყველებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პლანეტა ვენერას გადაადგილებას, ამიტომაც აღმოცენდა ვენერას საოცრად იდუმალებით მოცული კულტი. მაიას ქვეყნის ასტრონომებმა კარგად იცოდნენ, რომ გარეგნულად უმნიშვნელო შეცდომები კალენდრის შედგენის დროს შეიძლება გამოუსწორებლად გაზრდილიყო. მათი ასტრონომიული დაკვირვების სიზუსტე ისეთია, რომ შეცდომების ხარისხი მინიმუმამდეა დასული. იმისთვის, რათა თავიდან აეცილებინათ

კოსმოსური ხასიათის გადახრები და ცდომილება ნაკიანი წელიწადის გამო, მაიას ქვეყნის ქურუმებს კალენდარში შესწორებები შეჰქონდათ. სხვადასხვა სისტემის კალენდრების, აგრეთვე, 365-დღიანი სამოქალაქო წელიწადის 260-დღიან სარიტუალო წელიწადთან ურთიერთშეთანხმების აუცილებლობა დამატებით სიძნელეებს ქმნიდა. მაიას ხალხი აბსოლუტურად უმწეო იქნებოდა ამ მოვლენათა ზღვაში საიმედო მათემატიკური სისტემის გარეშე. არითმეტიკულ გაანგარიშებათა ჩაწერა, როგორც ჩანს, ორი ხერხით ხდებოდა: მთავრული ფორმის გრეხილი ნიშნებითა და უფრო გავრცელებული ხაზებისა და წერტილების სისტემით. მაიას ქვეყანაში რიცხვთა ოცობითი სისტემა არსებობდა, ნულის პრინციპი კი მათემატიკაში მაიას ხალხის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა. ამ აბსტრაქტულ ცნებამდე ვერ მივიდნენ ძველი სამყაროს ყველაზე მოწინავე ცივილიზაციებიც კი, ინდოეთის გარდა. შემდეგ ნულის პრინციპი და რიცხვთა ინდური გამოსახულებები მოხვდა არაბებში არ-რაზის მიერ თარგმილი ტრაქტატის წყალობით და არაბების გზით — ევროპაში. მაიას ხალხებში ნული გამოსახული იყო ნიჟარის გაშლილი ხელის ან მისი სხვადასხვა დეტალის სახით.

როგორც ვხედავთ, მაიას ხალხის ცივილიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო რელიგია. კვლევებმა დაადასტურა, რომ რელიგიურ შეხედულებათა განვითარება ხელიხელჩაკიდებული მიდიოდა კალენდრის, მათემატიკისა და დამწერლობის განვითარებასთან ერთად. მაიას ხალხის ხუროთმოძღვრება და ქვის ქანდაკება რელიგიური სახეებისა და გამონათქვამების განსახიერებისა და შენახვის პრაქტიკული საშუალება გახდა. მაიას რელიგიის მკვლევარი სილვანუს მორალი გასულ საუკუნეში წერდა, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნისთვის (კლასიკური პერიოდის დასაწყისში) მაიას ხალხთა რელიგია „...გადაიქცა მაღალგანვითარებულ კულტად... ეს რელიგია თავისი ხასიათით უკიდურესად ეზოტერული (მისტიკური) იყო, მას ნერგავდა და თავისი ინტერესებისთვის იყენებდა კარგად ორგანიზებული ქურუმობა, რომელიც შედგებოდა ასტრონომების, წინასწარმეტყველებისა და კულტის მსახურთაგან". იეროგლიფური ტექსტების ანალიზითა და თვითმხილველთა ჩანაწერებით მეცნიერებმა ბევრი რამ გაიგეს მაიას ხალხის ღმერთებზე, მითოლოგიასა და რელიგიურ წეს-ჩვეულებებზე.

მაიას ხალხების კოსმოლოგია სამყაროს შექმნას მიაწერს ღმერთ ჰუნაბ კუს. ამ ღმერთის „მოვალეობანი" იმდენად მნიშვნელოვანი იყო, ხოლო მისი სამფლობელოები ისე წმინდა, რომ ის თითქმის არ ერეოდა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ჰუნაბ კუს გარდა მაიას ხალხების პანთეონში არსებობდა მრავალი სხვა ნაკლებმნიშვნელოვანი ღმერთი, რომელთა ფუნქციები და ხასიათი სხვადასხვაგვარი იყო. მათ მიეწერებოდა ადამიანებისათვის დამახასიათებელი თვისებები, კარგიცა და ცუდიც. ყველა მათგანს ადამიანის სახე ჰქონდა, რისი წყალობითაც ადვილად შეიძლებოდა მათი ცნობა იეროგლიფურ წარწერებში. მაიას ხალხის პანთეონს მეთაურობს ღმერთი იცამნა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, იყო ვაუი უძლიერესი ჰუნაბ კუსი. ის გამოსახულია მოხუცის სახით, უკბილო პირით, ჩაცვენილი ლოყებითა და დიდი ცხვირით. იცამნა სიძლიერით მხოლოდ თავის მამას ჩამოუვარდებოდა. მას თვლიდნენ წიგნებისა და დამწერლობის შემქმნელად და სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ — დღის მბრძანებელს, ღამის მბრძანებელსა და ზეცის მბრძანებელს. ჩვეულებრივ, იცამნას ახლავს მეუღლე — მთვარის ქალღმერთი იშჩელი. სხვა მნიშვნელოვან ღვთაებად ითვლებოდა ჩაკი — სამყაროს ოთხივე მხარის მბრძანებელი, რომელსაც მხვნელ-მთესველნი შესთხოვდნენ წვიმას თესვის დროს, რადგანაც მიწის ნაყოფიერებასაც ის განაგებდა. მიწათმოქმედებაზე გავლენის მიხედვით მას მეტოქეობას უწევდა სიმინდის ახალგაზრდა ღმერთი. მას თხელი სახე ჰქონდა. სიმინდის ტაროების თავსარქმელი ეხურა ან გველის გამოსახულების მდიდრული გვირგვინი ედგა. ის მიწათმოქმედების უცვლელი მფარველი იყო. არანაკლებ მნიშვნელოვანი ღმერთები იყვნენ პირქუში აჰ პუჩი — სიკვდილის მბრძანებელი, რომლის ჩონჩხისმაგვარი გამოსახულება სიმბოლურად გამოხატავდა სიკვდილის საშინელ საიდუმლოს და მისი თანაშემწე — შავი მბრძანებელი, რომლის რისხვა ომებსა და სხვა ბოროტებებს იწვევდა. ერთ-ერთი ნუსხა შეიცავს სხვადასხვა ღმერთის 166 სახელს.

მაიას ხალხების ცხოვრებაში უდიდეს როლს ასრულებდნენ სხვა ღმერთებიც – ქარისა და ციური სხეულების მბრძანებლები, აგრეთვე – ნაყოფიერებისა და თვითმკვლელობის ქალღმერთები.

იმის გამო, რომ მაიას ხალხები თვლიდნენ, თითქოს მსოფლიო შედგება ცამეტი „ზედა" და ცხრა „ქვედა" სამყაროსგან, ყოველ მათგანს დანიშნული ჰყავდა მფარველი ღმერთი. არსებობდა კიდევ კალენდართან დაკავშირებული სხვადასხვა ღმერთი, ქალღმერთი (დღეების, თვეებისა და წლების მფარველნი) და მთელი დასი ნაკლებმნიშვნელოვანი სულებისა. მაიას ხალხის ღმერთების ხასიათსა და ქცევაში აშკარად ვლინდება დუალიზმი, რომელსაც მორლი განიხილავს, როგორც „ადამიანის ბედისათვის დაუსრულებელ ბრძოლას კეთილ და ბოროტ ძალებს შორის. კეთილი ღმერთები იწვევდნენ ჭექა-ქუხილს, ელვასა და წვიმას, ანაყოფიერებდნენ სიმინდს და უზრუნველყოფდნენ კარგ მოსავალს. ბოროტ ღმერთებს, რომელთა დამახასიათებელი თვისებები იყო ნგრევა და სიკვდილი, მოჰქონდათ გვალვები, ქარიშხალი და ომები. ამ ორი ურთიერთსაწყისის ბრძოლა გამოხატულია მაიას კოდექსებში, სადაც წვიმის ღმერთი ჩაკი უვლის ახალგაზრდა ხეს, მის ზურგს უკან კი ეჭ პუჩი – სიკვდილის ღმერთი ამტვრევს სხვა ხეს".

მაიას ხალხს, ძველი ხალხების მსგავსად, სჯეროდა, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული ან მშვიდ ნეტარებაშია, ან სამარადისო სატანჯველში (ადამიანის საქმიანობის ხასიათისა და რელიგიური იდეალებისადმი მისი ერთგულების ხარისხის მიხედვით). სამარადისო ნეტარება ელის იმას, ვინც ის დაიმსახურა, ცოდვილები კი ჩავარდებიან მიწნალში – მაიას ხალხების ქვესკნელში – დემონებით დასახლებულ მუდმივი სიცივისა და შიმშილის სამეფოში. თვითმკვლელობა, უფრო კი თავის ჩამოხრჩობა მაიას ხალხში თავგანწირვის უდიდეს აქტად ითვლებოდა. ის უზრუნველყოფდა უკვდავების ყველა სიკეთეს.

გვიანდელ პერიოდში, განსაკუთრებით, აცტეკების გავლენით, მაიას ტომებში გავრცელდა ადამიანის ღვთაებებისადმი მსხვერპლშეწირვა. ეს სისხლიანი ჩვეულება სისასტიკით გამოირჩეოდა. იგი მაიას ხალხში X საუკუნის მერე უნდა გავრცელებულიყო. მსხვერპლშეწირვა ხდებოდა ტაძრის ეზოში ან პირამიდის თავზე. ქურუმი მსხვერპლად შესაწირ ადამიანს დანას ურჭობდა ნეკნებს შორის. მერე მისი გვამიდან გულს იღებდნენ, სისხლს კი კერპს ცხებდნენ, რომლის წინაშეც მოხდა მსხვერპლშეწირვა.

მაიას ხალხის დედაქალაქი, როდესაც ისინი ძველი ტერიტორიიდან ჩრდილოეთით გადასახლდნენ, ჩიჩენ-იცა გახდა. სიტყვა „ჩი" სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „ნაპირი", „ჩე" ნიშნავს „ჭას". ამგვარად, სახელწოდება შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც „იცების ჭის ნაპირი". იგი ე. ტომპსონმა აღმოაჩინა XIX საუკუნეში. მის შემდეგ მრავალმა მეცნიერმა გულდასმით შეისწავლა იგი და მისი რეკონსტრუქციაც მოახდინა.

ქალაქის უმთავრეს ნაგებობებს ოთხწახნაგა პირამიდები წარმოადგენს, რომელთა შორის ყველაზე დიდი და განსაცვიფრებელი ელ კასტილიოა. მას 9 საფეხური აქვს, თავზე კი კუკულკანის – ფრთოსანი გველის – ტაძარი ადგას. სწორედ მას ეთაყვანებოდნენ მაიას ხალხები. მას სწირავდნენ მხვერპლად ქალწულებს, რათა ბარაქიანი მოსავალი მიეღოთ (სამსხვერპლო ჭები აქ ჯერ კიდევ ე. ტომპსონმა აღმოაჩინა). ქალები თავიანთი ფეხით მიდიოდნენ სამსხვერპლოსკენ – ღრმა და ბნელი ჭისკენ – სენოტისკენ და უძვირფასესი სამკაულით შემკულნი, უყოყმანოდ ხტებოდნენ მასში. სენოტში აღმოჩენილი ნივთების უმრავლესობა ოქროსა და სპილენძის შენადნობებისგან დამზადებული სამკაულები გახლდათ. აქვე იყო ნეფრიტის საკიდრები, ოქროს დისკოები, ნიღბები, სამშვენისები... აღსანიშნავია, რომ ყველა ნივთი დამტვრეული აღმოჩნდა. ე. ტომპსონი და მის კვალად სხვა მეცნიერებიც ვარაუდობდნენ, რომ მათ საგანგებოდ ტეხდნენ, რათა მსხვერპლად შეწირულის სულს საიქიო ცხოვრებაში გამოსდგომოდა.

აქვეა სახელგანთქმული მეომართა ტაძარი თავისი სვეტებითა და პირამიდებისკენ მიმავალი კიბით.

ჩიჩენ-იცას ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს ე. წ. ობსერვატორია

– მრგვალი შენობა, რომლის ფანჯრებიც ისეა გაჭრილი, რომ თითოეული მათგანიდან რომელიმე განსაზღვრული ვარსკვლავი მოჩანს.

ჩიჩენ-იცა უაღრესად განვითარებული ქალაქი გახლდათ. მან კაცობრიობას უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა დაუტოვა, რომელიც სათანადოდ დღემდე არ არის შეფასებული.

ცივილიზაციის ხუთი ძირითადი მონაპოვრიდან (ცეცხლის დამორჩილება, მიწის დამუშავება, ლითონის იარაღების გამოყენება, ცხოველთა მოშინაურება, ბორბლის გამოგონება) მაიას ხალხები მხოლოდ პირველ ორს ცნობდნენ. მაიას გარდა, კამბოჯის ქმერები და იავას კუნძულზე ტაძრების მშენებელი ხალხები იყვნენ ისინი, ვინც შექმნა მაღალი ცივილიზაცია ნესტიან ტროპიკებში.

ასეთი გახლდათ მაია, უძველესი და უმდიდრესი ცივილიზაცია. ერთადერთი, რომლის ხალხებმაც, მიუხედავად უამრავი ძნელბედობისა, დღემდე შეინარჩუნეს ენა, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები, თუმცა დრომ და ესპანელი დამპყრობლების ბარბაროსულმა შემოსევებმა კულტურისა და მეცნიერების სფეროში მიღწეული მათი წარმატების ნაშთიც კი აღგავა პირისაგან მიწისა.

აცტეკების რელიგია

აცტეკები ცხოვრობდნენ მექსიკის ტერიტორიაზე და ლაპარაკობდნენ ნაუატლი ენაზე (იუტოაცტეკურ ენათა ოჯახი). XII საუკუნეში ისინი ჩრდილოეთიდან მოვიდნენ მეხიკოს ველზე, სადაც დასახლდნენ და აითვისეს აქ მობინადრე უძველესი მოსახლეობის – ტოლტეკების – მაღალი კულტურა და XIV საუკუნეში დააარსეს ქალაქი ტენოჩტიტლანი (ახლანდელი ქალაქი მეხიკო). მათ ნელ-ნელა მოახერხეს სხვა პატარა ქალაქ-სახელმწიფოების დამორჩილება. 1510-1521 წლებში აცტეკთა სახელმწიფო დაემხო ე. კორტესის მეთაურობით შემოჭრილი ესპანელების მიერ.

აცტეკები, მაიას ხალხთა მსგავსად, განვითარებული ხალხი იყო. მათგან შეითვისეს ევროპელებმა ცნობილი კულტურები – სიმინდი, პომიდორი, თამბაქო, ვანილი, ბამბა, კაკაო, ანანასი, წიწაკა, სხვადასხვა ჯიშის ლობიო. შინაური ცხოველებიდან მათ მხოლოდ ძაღლი ჰყავდათ; აცტეკების კულტურა დაფუძნებული იყო მეხიკოს ველის ძველი მოსახლეობის ტრადიციებზე (იეროგლიფური დამწერლობა, მზის კალენდარი, მაღალგანვითარებული ხელოვნების ნიმუშები, რომლებსაც აღფრთოვანებაში მოჰყავდა რენესანსის ეპოქის მოღვაწეები – ბ. ჩელინი, ა. დიურერი და სხვ.). აცტეკების დედაქალაქი ტენოჩტიტლანი, რომელსაც ესპანელებმა იმთავითვე შეარქვეს „დასავლეთის ვენეცია", მდებარეობდა ტესკოკის ტბის კუნძულზე. იგი განთქმული იყო ტაძრებით, სადაც გამოსახავდნენ ღმერთებისა და მეომრების საზეიმო სვლას. შემორჩენილია აცტეკთა საკულტო დანიშნულების ქვის ქანდაკებები, მიცვალებულთა ნიღბები და ა. შ. მაღალ დონეზე იყო განვითარებული მედიცინა და ასტრონომია.

აცტეკების კულტურა დამოუკიდებლად ვითარდებოდა. იგი მოწყვეტილი იყო კონტინენტის დანარჩენი სამყაროსაგან, არ შეეძლო ესარგებლა სხვა ხალხების გამოცდილებით და მთლიანად თავის თავზე იყო დამოკიდებული. აქედანაა უცნაური და თითქოს აუხსნელი პროპორციები განვითარებაში. მაღალგანვითარებული ოლქების გვერდით გვხვდება საოცარი ჩამორჩენილობა. ხელოვნებაში აცტეკებმა ბევრი რამ გადაიღეს მაიასა და ტოლტეკებისაგან. მათი კალენდარი ყოველი ორმოცდათორმეტწლიანი ციკლის ბოლოს ელოდა ქვეყნის შესაძლო აღსასრულს, რადგანაც ქურუმებს არ შეეძლოთ ეწინასწარმეტყველათ, რომელი ორმოცდათორმეტწლიანი პერიოდის ბოლო მოუტანდა ადამიანებს დაღუპვას, აცტეკები ყოველთვის მოელოდნენ უბედურებას. ყოველი ორმოცდათორმეტი წლის შემდეგ სრულდებოდა სამგლოვიარო რიტუალი; როდესაც ისინი ხედავდნენ, რომ ახალი ციკლი მშვიდობიანად

გაგრძელდა, საყოველთაო მხიარულებას ეძლეოდნენ. უცნაურია აცტეკების წარმოდგენები ძვირფასეულობა'ზე. სპილენძი უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე ვერცხლი. ღირებულებით ყველა'ზე ბოლოს ოქრო მოდიოდა.

აცტეკების დამწერლობა იეროგლიფური იყო. მისი უკანასკნელი მცოდნეები XVII საუკუნეში გაქრნენ. თანამედროვე მეცნიერებს, მიუხედავად დიდი მონდომებისა, მხოლოდ ციფრების ამოკითხვა შეუძლიათ.

1843 წელს ამერიკელმა მეცნიერმა – უილიამ პრესკოტმა – ნიუ-იორკში გამოსცა წიგნი „მექსიკის დაპყრობა". ეს იყო პირველი მცდელობა, კულტურული კაცობრიობა გაცნობოდა აცტეკების წარსულს, მათს ენას, ტრადიციებს, რელიგიას.

აცტეკების რელიგია პოლითეისტური იყო. მათ სწამდათ, რომ ღმერთები ბუნების ძალებსა და ადამიანებზე ბატონობდნენ. ღმერთებს ადამიანის სახით გამოხატავდნენ, მაგრამ გროტესკულობას ანიჭებდნენ; სოგჯერ მათ მახინჯი, ხან კი რომელიმე მხეცის სახე ჰქონდათ. ღმერთები იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ მარტო მათს ჩამოთვლას ცალკე თავი დასჭირდება. აცტეკების რელიგიური დედაქალაქი გახლდათ ჩოლულა, სადაც მდებარეობდა ცნობილი ღმერთის – კეცალკოატლის – ტაძარი. ამ ღვთაებას უკავშირდებოდა მითიური გადმოცემა, რომლის თანახმად მექსიკის ტერიტორიაზე ოდესღაც ოკეანის გაღმიდან თეთრი დამპყრობლები მოვიდოდნენ.

დიდი პატივისცემით იყვნენ შემოსილნი მზის ღმერთი და მისი მეუღლე მთვარის ქალღმერთი. მზის ამოსვლას ქურუმები ჰიმნებითა და მსხვერპლის შეწირვით ხვდებოდნენ. მზის დაბნელება დიდ უბედურებად ითვლებოდა.

მართალია, მთავარი ღვთაება და ყოველგვარი სიცოცხლის საწყისი მზის ღმერთი ტეოტლი იყო, მაგრამ მაინც ყველა'ზე მეტ პატივს მიაგებდნენ ომის მრისხანე ღმეროს – უიცილოპოტლჩს. აცტეკების რწმენით, ეს იყო მრისხანე ღმერთი, რომელიც დაბადებისთანავე ახლობლების სისხლით შეიბღალა. მან თავები მოჭ�თა თავის ძმებსა და დას. მისი დედა იყო საშინელი ურჩხული.

აცტეკების რელიგიაში არსებობდა სპეციალური ღმერთი, რომელიც ადამიანთა მსხვერპლად შეწირვას იფარავდა – შიპეტოტეკი. მის პატივსაცემად ქურუმები ემაწყილებს ცოცხლად აძრობდნენ ტყავს და ოცი დღის განმავლობაში ჰქონდათ ტანზე მოსხმული. ველურობის მწვერვალი იყო რიტუალი, რომელიც ცეცხლის ღმერთს უკავშირდებოდა. ქურუმები ტაძარში დიდ კოცონს აჩაღებდნენ, აშიშვლებდნენ სამხედრო ტყვეებს და ცოცხლად ერიდნენ ცეცხლში. არ ელოდებოდნენ, ვიდრე ისინი ბოლომდე დაიწვებოდნენ, ამოჰყავდათ უბედური ადამიანები ცეცხლიდან, გაიდებდნენ მხარ'ზე და მათთან ერთად კოცონის ირგვლივ ასრულებდნენ რიტუალურ ცეკვას. მხოლოდ ამის შემდეგ ხოცავდნენ მათ სამსხვერპლო ქვა'ზე. აცტეკების რელიგია ბავშვებსაც არ ინდობდა. გვალვის დროს ქურუმები ხოცავდნენ პატარა ბიჭებსა და გოგონებს, რომ წვიმის ღმერთის გული მოეგოთ. აცტეკებს რიტუალური კანიბალიზმის შემთხვევებიც ჰქონდათ: ქურუმები მსხვერპლის გულს ჭამდნენ.

ზუსტად არაა ცნობილი, რამდენ ადამიანს წირავდნენ მსხვერპლად აცტეკების სამეფოში. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ოცი ათასიდან – ოცდაათ ათასამდე, თუმცა ამ ციფრებს ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, მაგრამ უეჭველია, რომ რიცხვი ძალიან დიდი უნდა ყოფილიყო. ამას ამტკიცებს ათეულ ათასობით თავის ქალით ავსებული პავილიონები, რომლებიც ესპანელებმა ყველა დაპყრობილ ქალაქში აღმოაჩინეს, განსაკუთრებით კი – უკვე ნახსენებ ტენოჩტიტლანში, სადაც ას ოცდათექვსმეტი ათასი თავის ქალა დაითვალეს. ისტორიული ფაქტები მეტყველებს, რომ ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა აცტეკებმა მხოლოდ XIV საუკუნის დასაწყისში დაიწყეს.

ინკების რელიგია

ინკების უზარმაზარ სახელმწიფოს ეკავა თანამედროვე პერუს, ბოლივიის, ეკვადორისა და ჩილეს ტერიტორია. ინკები ლაპარაკობდნენ კეჩუას ენათა ოჯახში შემავალ ენაზე. შუა საუკუნეებში მათ მოახერხეს პოლიტიკური გაერთიანება. ინკებში მაღალ დონეზე იყო განვითარებული მეურნეობა და მშენებლობა. სახელმწიფოს მეთაური ითვლებოდა უზენაეს პიროვნებად, მზის შვილად, ცოცხალ ღმერთად. მას განუზომელი ძალაუფლება ჰქონდა. მსგავსებასთან ერთად, დიდია სხვაობა ინკებისა და აცტეკების რელიგიაში. მნახველებზე დღემდე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ინკების მიერ დაარსებული და შემდეგ მიტოვებული ქალაქი – მაჩუ პიკჩუ. ეს ქალაქი აღმოაჩინა და გამოიკვლია იელის უნივერსიტეტის ექსპედიციამ ჰ. ბინემის ხელმძღვანელობით 1911-15 წლებში. მაჩუ პიკჩუში შემორჩენილია ტაძრები, ობსერვატორია, კლდეში გამოკვეთილი კიბეები.

ინკების მთელ იმპერიაში თაყვანს სცემდნენ მთავარ ღმერთს – მზეს, რომელიც იძლეოდა მოსავალს, სიცოცხლეს, კეთილდღეობას. აცტეკებთან მთავარი ომის ღმერთი იყო, იქ დღენიადაგ იღვრებოდა სისხლი, უსაზღვრო იყო ადამიანთა მსხვერპლშეწირვა. ეს ყველაფერი ინკებთანაც გვხვდებოდა, მაგრამ არ იყო მთავარი. პერუს მიწა-წყალი მდიდარი იყო ოქროთი, მაგრამ იგი სიმდიდრედ არ ითვლებოდა. ოქრო მიიჩნეოდა ღმერთის წილხვდომილ წმინდა ლითონად. მას მხოლოდ ღმერთის საამებლად აგროვებდნენ. ინკებს ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა, მაღალგანვითარებული ხელოსნობა, სამკურნალო ტრადიციები. მათს ასტრალურ წარმოდგენებში არსებობდა ცნობა ორი მზის შესახებ. ი. ერდიოდის თქმით, „ინკების მათემატიკური და ასტრონომიული ცოდნის შესახებ ცოტა რამ ვიცით, მაგრამ მათი კალენდარი, რომელიც მოიცავს თხუთმეტი ათას წელს, იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ამ მეცნიერებებსაც ფლობდნენ".

ინკების რელიგია რთულია და ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, ძალზე ძნელია მათში გარკვევა. ისინი თაყვანს სცემდნენ მზის ღმერთს – ვირაკოჩას. მითებში ვირაკოჩა გამოყვანილია, როგორც ღირსეული ბელადი, რომელიც თავისი მოღვაწეობის დასასრულს სადღაც ზღვის იქით გადაიკარგა. ვირაკოჩა გამოისახებოდა ანთროპომორფული სახით, ხოლო მისი ტაძარი მდებარეობდა ინკებამდელი კულტურის უძველეს ცენტრში – ტაიუნაკოში. მზის ტაძარი იდგა ინკების დედაქალაქ კუსკოში. ტაძარს განაგებდა ქურუმთა ჯგუფი, რომელსაც სათავეში უფროსი ქურუმი ედგა. მზის გამოსახულების სიმბოლო იყო ოქროს დისკო, ხოლო თავად ინკი – ქვეყნის მეთაური – მზის შვილად და უმაღლეს ქურუმად ითვლებოდა. მზის ღმერთის გარდა, ინკებს ჰყავდათ წყვილი ღვთაებანი: პაჩაკამაკი და პაჩამამა, რომელნიც მფარველობდნენ ნაყოფიერებას და ითვლებოდნენ წვიმის, ქუხილისა და ზღვის ღმერთებად. ინკები დიდ პატივს მიაგებდნენ თავიანთ ლეგენდარულ და ღვთაების რანგში შერაცხულ წინაპარს – მანკო კაპაკს, რომელიც მიჩნეული იყო მზის შთამომავლად.

ჩრდილო ამერიკის ინდიელთა რელიგია

ჩრდილო ამერიკის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ტომებს ქ. კოლუმბმა უწოდა „ინდიელები", რადგან ფიქრობდა, რომ მის მიერ აღმოჩენილი ტერიტორია ინდოეთი იყო. ამერიკელი ინდიელები აქ, სავარაუდოდ, აზიიდან გადმოსახლდნენ უხსოვარ ხანაში. ისინი ხშირად ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ენებზე საუბრობენ, რომლებიც ძალზე რთულია. ინდიელების ენები დიდ ჯგუფებად, ე. წ. ენობრივ ოჯახებად არის დაყოფილი. უმნიშვნელოვანესი ჯგუფებია: ალგონკინი (რომელიც ყველაზე ფართოდაა გავრცელებული), ათაბასკური, ირიკეზული, სიოუქსები,

მუსკოგი, უტო-აცტეკური. ინდიელთა ტომები მთელი ჩრდილო ამერიკის ვრცელ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ – მისისიპის ველებიდან ატლანტიკის სანაპირომდე გადაჭიმულ ტყეებში, დიდი ტბების სანაპირო რაიონებსა თუ კანადის თვალუწვდენელ, წიწვოვან ტყეებში. ისინი ეწეოდნენ ნადირობას, მეთევზეობას, შემგროვებლობას, ჰქონდათ მიღწევები მეურნეობაში, იარაღების გამოყენებაში. ინდიელები ქალაქებსაც აშენებდნენ. მისისიპის ველზე არქეოლოგებმა ქალაქ კაჰოკიას ნაშთი აღმოაჩინეს, სადაც დაახლოებით შვიდასი წლის წინ ათი ათასამდე ინდიელი ცხოვრობდა. აქვე აღმოჩნდა 33 მ. სიმაღლის რელიგიური ტაძარი.

ინდიელთათვის მზე, როგორც სინათლის, სიცოცხლისა და სითბოს მომნიჭებელი, ზებუნებრივი ძალა იყო, რომელსაც ალგონკინები – მანიტუს, ხოლო სიოუქსები ვაკანს უწოდებდნენ. მონადირე ტომებს შორის ფართოდ იყო გავრცელებული საკუთარი მფარველი სულის რწმენა. პრერიის ჰავნეების ტომის ბავშვებს ასწავლიდნენ, როგორ მოეპოვებინათ მფარველი სული. საამისოდ მოზარდი რამდენიმე დღით უდაბურ ადგილას განმარტოვდებოდა, სადაც იგი ლოცულობდა, სანამ, ბოლოს და ბოლოს, ყვავის, არწივის, თახვის ან მგლის ჩვენება არ გამოეცხადებოდა. საჭიროების შემთხვევაში ამ მფარველ სულებს თავისებური მელოდიით ან მოწოდებით უხმობდნენ. ძირითადად, ეს ხდებოდა ნადირობის, სნეულების ან უბედური შემთხვევის დროს. მფარველი სულის მოსაპოვებლად ახალგაზრდა ინდიელები აგროვებდნენ ავგაროზებს. ისინი მაგიური ძალის მატარებელნი იყვნენ. ეს შეიძლება ყოფილიყო ფრთები, ცხოველის კბილები ან სულაც რომელიმე ფრინველის ბრჭყალები. განსაკუთრებით ძლიერი მფარველი სული ტომის მკურნალებს, შამანებს ჰყავდათ. ეს იყო დათვის სული. მისი დახმარებით შამანებს უჩვეულო საქმეების ჩადენა შეეძლოთ, მაგალითად, ნადირის მახეში შეტყუება ან ამინდზე ზემოქმედება.

ვაკეზე მცხოვრებ ინდიელთა მრავალი ტომის უმნიშვნელოვანეს ზეიმად ითვლებოდა მზის ცეკვა. ინდიელებს სჯეროდათ, რომ მზის ცეკვის ზეიმის წყალობით ცა და დედამიწა, მასზე მცხოვრები ყველა სულიერი არსებით, მთვარითა და ვარსკვლავებით, წვიმითა და ცისარტყელით, განახლდებოდა, ისინი კი ახალ სასიცოცხლო ენერგიას მიიღებდნენ. თავდაპირველად ინდიელები რიტუალების ქოხს აგებდნენ. მას სახურავი არ ჰქონდა, ხოლო მის ცენტრში სწორი ხის სვეტი იდგა. იგი სიმბოლურად აკავშირებდა ცასა და დედამიწას. ამ ქოხში მშიერი მამაკაცები ოთხი დღის განმავლობაში ცეკვავდნენ საზეიმოდ მორთულნი. ცეკვის რიტმს დოლები წარმართავდა. ინდიელები მანამ უყურებდნენ ცას, ვიდრე უზენაესი ძალის აღქმის მდგომარეობას არ მიაღწევდნენ, რის შემდეგაც ამ ძალას ტომის დაცვასა და დახმარებას შესთხოვდნენ.

სავარაუდოდ, თამბაქოს მოწევაც მზის თაყვანისცემის ერთ-ერთი ნიშანი იყო. ბელადი ჩიბუხს ჯერ მზისკენ – სიცოცხლის საწყისისკენ მიმართავდა, შემდეგ მიწისკენ, მერე საზეიმოდ ჰორიზონტის ოთხივე მხარისკენ, სულ ბოლოს ჩიბუხით ჰაერში წრეს შემოხაზავდა და თავისი სხეულისკენ შეაბრუნებდა.

თითქმის ყველა ინდიელს სწამდა საიქიო არსებობის. ვაკეზე მცხოვრები ჩეიენები დარწმუნებულები იყვნენ, რომ გარდაცვლილთა სულები „დიადი სულის" სამფლობელოში ადიოდნენ, სადაც ბედნიერი ცხოვრება ელოდათ. იროკეზებს სწამდათ, რომ მიცვალებულთა სულები გარკვეული დროის განმავლობაში ცოცხალთა სიახლოვეს ლანდების სახით რჩებოდნენ. მაისში ტომის ქალები მიცვალებულთა დღესასწაულს აღნიშნავდნენ.

კელტური რელიგია

ბერძნები „keltoiG-ს უწოდებდნენ ალპების ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს. როგორც ბრიტანული ენციკლოპედია გვეუბნება, ტერმინების – „კელტისა" და „კელტურის" – არასწორმა ხმარებამ გამოიწვია მრავალი გაუგებრობა. ჩვეულებისამებრ, კელტებს უწოდებდნენ კელტურად მოლაპარაკე ხალხებს ადრინდელ საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში, რომლებიც შავგვრემნები და ტანმორჩილნი იყვნენ, ხოლო ძველი დროის მწერლები კელტებად მოიხსენიებდნენ ევროპის მკვიდრ გოლიათური აღნაგობის ქერა და ცისფერთვალება ხალხს. ასე რომ, არის როგორც ანთროპოლოგიური, ასევე გეოგრაფიული განსხვავება სკანდინავიურსა და ე. წ. ხმელთაშუა ზღვის კელტებს შორის.

დასავლეთისაკენ კელტებმა ილაშქრეს ბრიტანეთის კუნძულებამდე. ესენი იყვნენ ბრიტანები და გოიდელები. ბრიტანები დამკვიდრდნენ ინგლისსა და უელსში, ხოლო გოიდელები დაახლოებით IV საუკუნეში ქრისტემდე დაფუძნდნენ ირლანდიაში, სადაც მალე დაიკავეს მმართველი კასტის პოზიცია. ირლანდიის უძველეს მოსახლეობას „პიქტებს" უწოდებდნენ. ზოგი მკვლევრის ვარაუდით, ეს პიქტები უძველესი იბერიული მოდგმის მონათესავე ხალხები იყვნენ. აი, ამ ორი ეთნიკური ერთეულისაგან წარმოდგა შემდგომი ირლანდიური მოსახლეობა. კელტური ენა უძველესი ინდოევროპული ენაა.

კელტებს დიდი როლი აქვთ შესრულებული ევროპული ცივილიზაციის ისტორიაში. მათ ჰქონდათ საკმაოდ მაღალგანვითარებული მეტალურგიული კულტურა. შუა საუკუნეების ევროპული ლიტერატურის თითქმის ყველა პერსონაჟი და მოტივი, რომელნიც ფიგურირებენ რაინდულ რომანებში, კელტური თქმულებებიდან მომდინარეობს. მეფე არტური თავისი თორმეტი რაინდითურთ, მერლინი, ტრისტანი და იზოლდა კელტური წარმოშობის გმირები არიან. რაც შეეხება გერმანულ ჩრდილოურ მითოლოგიასა და საგებს, აქაც კელტური ძირებია საძებნელი, ვინაიდან სკანდინავიელი ხალხებიც ძველთაგანვე ენათესავებოდნენ კელტებს. ამიტომ გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას – შუა საუკუნეების ევროპული სიტყვიერების პირველწყარო ძველი კელტური სიტყვიერებაა. კელტური მითების ფორმირება ხდებოდა მაშინ, როდესაც რელიგია და მითოსი განუყოფელი იყო ერთმანეთისგან.

კელტი ხალხის ქურუმთა ფენას, რომლებიც მათს რელიგიურ წესებს აღასრულებდნენ, დრუიდები ეწოდებოდათ. ისინი ფარული კასტის დონეზე იყვნენ ორგანიზებულნი და საკმაო სიახლოვეს ამჟღავნებდნენ სამეფო ძალაუფლებასთან. დრუიდული პრაქტიკები ევროპული ტომების კულტურის ნაწილი იყო. თანამედროვე დრუიდებს, რომელთაც სურთ, კვლავ მოიყვანონ პრაქტიკაში დრუიდიზმი, ნეოდრუიდები ეწოდებათ, ხოლო მათს მიმდევრობას – ნეოდრუიდიზმი.

დრუიდებზე წყაროები მწირია, მითუმეტეს, რომ დრუიდები საკუთარ ცოდნას თაობიდან თაობას ზეპირად, წერილობითი წყაროების გარეშე გადასცემდნენ.

სიტყვა „დრუიდის" წარმომავლობის თაობაზე დიდი ხნის განმავლობაში გაცხარებული კამათი და აზრთა სხვადასხვაობა იყო გამართული. კლასიკურ ტექსტებში სახელი დრუიდი მხოლოდ მრავლობით რიცხვში გვხვდება. ფორმა „dryadae" ბერძნული ძირის უნდა იყოს. იგი ხისა და წყლის ნიმფების სახელს – დრიადებს, უკავშირდება, თუმცა ბოლო დროს მეცნიერთა ნაწილი ძველ ავტორებს ემყარება. მაგალითად, პლინიუსი ამბობს, რომ სიტყვა დრუიდი მომდინარეობს ძველბერძნული „დრუს"-დან, რაც ორიგინალში მუხას ნიშნავს, სიტყვის მეორე მარცვალს კი უძველეს ინდოევროპულ წარმომავლობას უძებნიან ძირიდან „wid", რომელიც ცოდნას უკავშირდება. ასეთ სიტყვებთან სიახლოვე სავსებით ლოგიკურია, რადგან დრუიდთა დიდი ნაწილი ევროპის მუხნარებში სახლობდა, სადაც ტაძრები ჰქონდათ აგებული და მუხა დრუიდებისათვის წმინდა ხედ ითვლებოდა (თუმცა არსებობს სხვა ვერსიაც,

რომლის მიხედვით დრუიდების სახელი მათს ლეგენდარულ გრძნეულ დედოფალს – დრუიდესს – უკავშირდება).

კელტებთან დრუიდები იყოფოდნენ სამ საფეხურად (კასტად) – ოვატებად, ბარდებად და საკუთრივ დრუიდებად.

ოვატები სწავლულები იყვნენ, რომლებიც იმ დროის ზუსტ მეცნიერებებს ფლობდნენ – მედიცინას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ვარსკვლავთმრიცხველობას (რომელშიც შედიოდა ასტრონომია და ასტროლოგია).

ბარდები იყვნენ პოეტები, რომლებიც ლექსებს თხზავდნენ და მათ განსაკუთრებული რიტმული რეჩიტატივით (წამღერებით) ასრულებდნენ. მთლიანობაში ეს იყო ინდური მანტრების მსგავსი პოეზია (შემდეგში სიტყვა „ბარდი" სხვა ენებშიც გავრცელდა).

რაც შეეხება დრუიდებს – ისინი ცოდნით, მორალითა თუ სულიერებით ოვატებზეც და ბარდებზეც მაღლა იდგნენ. დრუიდებს ევალებოდათ კელტთა რელიგიური ცხოვრების წარმართვა, რიტუალების ჩატარება, ღვთიური კანონების დაცვა. ესენი იყვნენ ღვთისმსახური ქურუმები.

დრუიდები გმირული თქმულებებისა და მითოლოგიური პოემების შემნახველნი იყვნენ, რომელთაც ახალგაზრდობას ზეპირად გადასცემდნენ. დაცულია ცნობები დრუიდების ასტრონომიული ცოდნის შესახებაც, რომელიც ხეებს უკავშირდებოდა. მათი ზოდიაქო შედგებოდა 22 ნიშნისაგან და მათ ხეების სახელები ერქვათ. დრუიდები ტყეს წმინდა ადგილად თვლიდნენ, ამიტომ ყველა რიტუალს სწორედ ტყეში აღასრულებდნენ, ხოლო კალენდრის თვეებს ასევე ხის სახელები ეწოდებოდა. დრუიდები მსგავსებას ამჩნევდნენ ხეებსა და ადამიანებს შორის და ამტკიცებდნენ, რომ ყველა ადამიანს, როგორც ხეს, აქვს თავისი განსაკუთრებული ხასიათი, ღირსება, ნაკლი და თითოეული მათგანი საჭიროებს სიცოცხლისათვის გარკვეულ პირობებს.

დრუიდები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ზამთარ-ზაფხულის პირისპირ დგომას და გაზაფხულ-შემოდგომის ბუნიობას. ამ დღეებში ისინი აწყობდნენ საზეიმო მსვლელობებს და თავიანთ ღმერთს მსხვერპლად სწირავდნენ თეთრ ხარებს. დრუიდების ასტროლოგიის საფუძველი დედამიწის მიმართ მზის მდებარეობაა. ადამიანის ბედს, მის მომავალს, ხასიათსა და უნარს განსაზღვრავს ის, თუ რამდენადაა დაშორებული მზე და დედამიწა ერთმანეთისაგან. სწორედ ამიტომ, თითოეულ ნიშანს მოქმედების ორი პერიოდი ჰქონდა და როგორც უკვე ვთქვით, ეს ნიშნები ხეებია.

დრუიდები ყველაზე წმინდა ხედ მუხას მიიჩნევდნენ, თუმცა მათთვის ასევე წმინდა იყო ფითრი (ნახევრადპარაზიტული ბუჩქი, რომელიც ხეზე იზრდება). დრუიდები თვლიდნენ, რომ თითოეული ადამიანი ისევე, როგორც ხე, დადებითი ან უარყოფითი თვისებების მატარებელია და ყოველი მათგანი მოითხოვს ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებს. მათს კალენდარსა და ასტროლოგიურ ციკლში სულ 22 ხე იყო და აქედან 4 უკავშირდებოდა ბუნიობებსა და პირისპირდგომებს: 21 მარტს გაზაფხულის ბუნიობას მართავს მუხის ხე. 24 ივნისის ზაფხულის ბუნიობას არყის ხე მართავს; 23 სექტემბერს შემოდგომის ბუნიობის სიმბოლოა ზეთისხილის ხე.; 21 დეკემბერს ზამთრის ბუნიობის ხეა წიფელი. დანარჩენი თვრამეტი ხე წლის დარჩენილ პერიოდს მართავს. სხვათა შორის, ჩვ. წ. I საუკუნეში ალექსანდრიელი სწავლულები არა მხოლოდ აღტაცებულნი იყვნენ დრუიდებით, არამედ მათ ადარებდნენ ბერძენ ფილოსოფოსებს, სპარსელ მოგვებსა და ინდოელ ჰიმნოსოფისტებს (იოგებს). მართალია, შუა საუკუნეებში ინტერესი დრუიდების შესახებ გარკვეულწილად მინავლდა, თუმცა XVII საუკუნიდან ისევ ახალი ძალით დაიწყო დრუიდული ცოდნის კვლევა-ძიება.

ანტიკური პერიოდის ცნობილმა მკვლევარმა ჯონ ობრიმ (XVIIს.) პირველმა წამოაყენა ვერსია, რომ ცნობილი სტოუნჰენჯის ამშენებლები სწორედ დრუიდები იყვნენ. ამ იდეას მხარი დაუჭირა უ. სტიუკლიმ. იგი თვლიდა, რომ „დრუიდები არა

მხოლოდ მეგალითური ეპოქის შესანიშნავი არქიტექტორები, არამედ ძველი აღთქმის ჭეშმარიტი პატრიარქალური შემსრულებლებიც იყვნენ". სტოუნჰენჯი მდებარეობს დიდ ბრიტანეთში, ქალაქ სოლზბერისთან. აქ მიწაში ვერტიკალურად ჩასობილი თლილი ქვები, რომლებსაც თავზე ქვის ფილები ადევს, ქმნის წრეს, რომლის დიამეტრია 30 მ., წრეში 5 ტრილიტია (ზემოდან ფილაგადაფარებული 2 ქვა), რომლებიც, თავის მხრივ, საკურთხეველის ქვის გარშემოა განლაგებული. სტოუნჰენჯი უძველესი ტაძარია, რომელიც, ალბათ, მზის კულტს უკავშირდება. სხვათა შორის, დრუიდებს მიაჩნდათ, რომ ადამიანის სული უკვდავია და ის გარდასხეულებას განიცდის, ანუ აღიარებდნენ მეტემფსიქოზის თეორიას. მის შესახებ ცნობებს ცნობილი რომაელი მხედართმთავარი გაიუს იულიუს კეისარი გვაწვდის თავის წიგნში – „გალიის ომის კომენტარები".

პირველი კონფერენცია დრუიდების ცივილიზაციის შესახებ ლონდონში 1717 წელს ინგლისელი ჯონ ტოლანდის თაოსნობით გაიმართა. მან დრუიდების „ახალი დაბადების" შესახებ განაცხადა. პირველი დრუიდული ორდენი, რომელსაც „ანტიკური დრუიდების ორდენი" ეწოდებოდა, 1781 წელს ჩამოყალიბდა. დღესდღეობით არა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში, არამედ მთელ მსოფლიოში საკმაოდ ბევრი დრუიდული ორდენი თუ ორგანიზაცია არსებობს. ისინი სამ მილიონამდე წევრს ითვლიან. ასე რომ, დრუიდები დღესაც არსებობენ და ინარჩუნებენ საკუთარ იერსახეს, რიტუალებსა თუ ცხოვრების წესს. ცნობილ ჰელოუინსა და მოსავლის აღების სხვა რიტუალებს სწორედ დრუიდული წარსული აქვს.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, დრუიდობისთვის ადამიანს 20 წლის განმავლობაში უნდა ესწავლა მაგიურ ტბასთან, სადაც ისინი სწავლობდნენ ასტრონომიას, მაგიას, პოეზიასა და უცხო ენებს.

ბევრი თვლის, რომ დრუიდები მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. ძველ რომსა და საფრანგეთში მამაკაცთა და ქალთა მაგიური სკოლა განცალკევებული იყო. სწორედ ეს შეიძლება დავასახელოთ იმის მიზეზად, რომ ხალხს დრუიდები მხოლოდ მამაკაცები ჰგონია. კელტურ საზოგადოებაში ქალი დრუიდები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ და ისტორიაში ამის რამდენიმე მაგალითი გვხვდება. მართალია, ქალი ვერ ახერხებდა გაეკეთებინა მამაკაცის საქმე, რომელიც მეზღვაურობას, ჯარისკაცობასა და ფერმერობას გულისხმობდა, მაგრამ დრუიდულ ტომებში გენდერული თანასწორობა იყო დაცული.

დრუიდები აკმაყოფილებდნენ ხალხის რელიგიურ მოთხოვნებს. იმისათვის, რომ მიეღწიათ ასეთი საპატიო მდგომარეობისათვის, მათ თავიდან უნდა გაეელოთ ბარდების სტადია. დრუიდები ყოველთვის შემოსილნი იყვნენ თეთრებით – სისპეტაკისა და სიწმინდის ნიშნად. ეს იყო ფერი, რომლითაც სარგებლობდნენ მზის სიმბოლიკისათვის. მთავარი ქურუმის ხარისხის მისაღწევად ქურუმს აუცილებლად უნდა გაეელო დრუიდების ორდენის 6 ხარისხი (სხვადასხვა ხარისხის დრუიდები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ კაპიუშონის ფერით, რადგანაც ყველანი თეთრ ტანსაცმელს ატარებდნენ). ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ მთავარი დრუიდის ტიტული მემკვიდრეობითი იყო და მამიდან შვილზე გადადიოდა, მაგრამ, უმრავლესობის აზრით, ეს თანამდებობა არჩევითი უნდა ყოფილიყო, რჩეული კი იყო ორდენის ყველაზე განათლებული წევრი, რომელიც უმაღლეს საფეხურზე იდგა.

დრუიდებს ჰქონდათ ოქროს სკიპტრა და მუხის ფოთლების გვირგვინი, რომლებიც მათი მდგომარეობის სიმბოლოს წარმოადგენდნენ. ორდენის ახალგაზრდა წევრები სუფთად იყვნენ გაპარსულები და უბრალოდ ჩაცმულები. დრუიდების განათლების სისტემა ბრიტანეთში უფრო სრულყოფილი იყო, ვიდრე მათი კოლეგებისა კონტინენტზე, ამიტომაც ბევრი გალელი ჭაბუკი იგზავნებოდა ბრიტანეთში ფილოსოფიური განათლების მისაღებად და საერთო მომზადებისათვის.

დრუიდები ცხოვრობდნენ ძალიან თავშეკავებულად. სწავლობდნენ ჭეშმარიტ მეცნიერებებს, ამჯობინებდნენ სრულ საიდუმლოებებს და ახალ წევრებს იღებდნენ მხოლოდ დიდი ხნის გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ. ორდენის წევრი

ცხოვრობდა მხოლოდ ისე, როგორც მონასტრებში, გაერთიანებული იყო ასკეტების ჯგუფებში, როგორც აღმოსავლეთში. მართალია, მათგან არავინ ითხოვდა ცელიბატის დაცვას, მაგრამ მაინც სულ ცოტა თუ იყო დაქორწინებული. ბევრი დრუიდი ერთიანდებოდა და ცხოვრობდა გამოქვაბულებში, ქოხებში, ქვისგან აგებულ უშნო სახლებში. აქ ისინი ლოცულობდნენ და აზროვნებდნენ. გამოდიოდნენ მხოლოდ რელიგიური რიტუალების შესრულების დროს.

ჯ. კლარკი თავის წიგნში – „ათი დიდი რელიგია" – დრუიდების რწმენას შემდეგნაირად აღწერს: „დრუიდებს სწამდათ სამი სამყაროს არსებობა და ერთი სამყაროდან მეორეში გადასახლება. მათ სჯეროდათ, რომ უმაღლეს სამყაროში ბატონობს ბედნიერება, უმდაბლესში – უბედურება, ხოლო საშუალო სამყარო – ეს არის ჭეშმარიტი სამყარო. გადასახლება სამყაროდან სამყაროში არსებობს სასჯელისათვის, წასახალისებლად (ჯილდოდ) და აგრეთვე სულის განწმენდისათვის. ჭეშმარიტ სამყაროში, – ამბობდნენ ისინი, – სიკეთე და ბოროტება ისეა გადახლართული ერთმანეთში და გაწონასწორებული, რომ ადამიანს შესაძლებლობა აქვს არჩევანის გაკეთების. ვალიური ტრიადები გვიამბობს, რომ არსებობს სამი სახის მეტემფსიქოზი: შეაგროვონ ერთ სულში ყველა საგნის თვისება, გამოიყენონ ყველა არსების ცოდნა და იბატონონ სატანაზე; არსებობს სამი სახის შემეცნება: ყველა საგნის ბუნება, მიზეზი და გავლენა; არსებობს სამი რამ, რომელიც ყოველთვის კლებულობს: სიბნელე, ტყუილი და სიკვდილი; არსებობს სამი რამ, რომელიც გამუდმებით მატულობს: სინათლე, სიცოცხლე და ჭეშმარიტება".

ყველა სხვა ხალხების მსგავსად, კელტებშიც მისტერიული სწავლება, რომელსაც დრუიდები ფლობდნენ, იყოფოდა ორ ნაწილად: ყველაზე მარტივს მორალური კოდექსით ასწავლიდნენ უბრალო ხალხს, ეზოტერულ ნაწილს კი, – მხოლოდ განდობილებს. იმისათვის, რომ ორდენის წევრი გამხდარიყო, კანდიდატი კარგი ოჯახიდან უნდა ყოფილიყო და, ამავე დროს, ჰქონოდა მაღალი, მორალური თვისებები. სანამ კანდიდატი არ გაივლიდა ხასიათის სიმტკიცის მრავალ გამოცდას, მანამადე მას არანაირ საიდუმლოს არ გაანდობდნენ. გამოცდები იმდენად რთული იყო, რომ ცოტა კანდიდატი თუ ჩააბარებდა მათ წარმატებით; კანდიდატებს ჩააწვენდნენ კუბოში, რომელიც სიმბოლიზირებული იყო მზის ღმერთის სიკვდილთან და გაუშვებდნენ გაშლილ ზღვაში. ასეთი გამოცდისას ბევრი მათგანი იღუპებოდა და მხოლოდ ცოტა თუ აღწევდა უკან. ამის შემდეგ ისინი გაივლიდნენ მესამე ხარისხს (დრუიდების მისტერიას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამი ხარისხი ჰქონდა), ცხადდებოდნენ ხელახლა დაბადებულად და მათ ანდობდნენ ჭეშმარიტების საიდუმლოს, რომელსაც დრუიდები უძველესი დროიდან ინახავდნენ. ამ ინიცირებული წევრებიდან ბევრი შემდეგში ბრიტანული რელიგიური და პოლიტიკური სამყაროს ცნობილი მოღვაწე გახდა. დრუიდები ბრიტანეთში, გალიასა და ირლანდიაში სულის უკვდავებას ქადაგებდნენ. როგორც უკვე ვახსენეთ, მათ სწამდათ სულთა რეინკარნაცია და ნაწილობრივ აღდგომაც. მათი სწავლებით, ყველა ადამიანი უნდა გადარჩეს, ოღონდ ბევრ მათგანს არაერთხელ მოუწევს დედამიწაზე დაბრუნება მანამ, სანამ საკუთარი თავიდან არ განდევნის ბოროტების ელემენტებს.

მანამდე, ვიდრე კანდიდატს გაანდობდნენ დრუიდების საიდუმლო დოქტრინას, ის ვალდებული იყო, ფიცი დაედო საიდუმლოს შენახვის შესახებ. ეს დოქტრინა განცხადებული ხდებოდა მხოლოდ უღრანი ტყის შუაგულში, სიბნელეში. ასეთ ადგილებში, ადამიანთა დასახლებებიდან შორს, ნეოფიტებს ანათლებდნენ სამყაროს წარმოშობის შესახებ, ღმერთების თაობაზე, ასწავლიდნენ ბუნების კანონებს, სამედიცინო ოკულტიზმისა თუ ციური სხეულების საიდუმლოებებს, მაგიის რუდიმენტებს. დრუიდებს ჰქონდათ სადღესასწაულო დღეების უზარმაზარი რიცხვი. მაგალითად – სამაინი – ირლანდიელ კელტთა მთავარი დღესასწაული, რომელიც 1 ნოემბერს აღინიშნებოდა. ამ დღეს დრუიდები აღვივებდნენ საღვთო ცეცხლს და აქრობდნენ ყველა სხვა სახის ცეცხლს. ზოგი ვარაუდობს, რომ დრუიდების საიდუმლო სწავლება

საზრდოობდა პითაგორას ფილოსოფიით. ახალი და სავსე მთვარე ითვლებოდა წმინდა პერიოდად.

დრუიდები წმინდად მიიჩნევდნენ T-ს მსგავს ნიშანს, რომელსაც მუხის ტოტისგან ამზადებდნენ. დრუიდები ასევე თაყვანს სცემდნენ მნათობებს, განსაკუთრებით, მთვარეს, რომელიც მათში დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

დრუიდების ღმერთებიდან უნდა დავასახელოთ მახა – ომის ქალღმერთი, ლუგი – სინათლის ღმერთი, რომელიც აპოლონის კელტურ პარალელად შეიძლება მივიჩნიოთ, აგრეთვე ხუ – კელტების წარმოდგენით, პირველი ყოვლისშემძლე ღმერთი, რომელიც გამოგზავნილი იყო ბრიტანეთში იმ ქვეყნიდან, რომელსაც ვალიურ ტრიადებში უწოდებენ ზაფხულის ქვეყანას (დღევანდელი კონსტანტინეპოლის ადგილმდებარეობა). ძუნწი ცნობებიც კი დრუიდების საიდუმლო ინიციაციის შესახებ განსაზღვრულად მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს მსგავსება დრუიდების მისტერიებსა და საბერძნეთისა და ეგვიპტის სკოლებს შორის. აღსანიშნავია მზის ღმერთი – ხუ, რომელიც მოკლულ იქნა და მრავალი უცნაური რიტუალისა და მისტიკური გარდასახვის შემდეგ აღდგა და დაუბრუნდა ცხოვრებას.

დრუიდების ტაძრების აღწერისას ჩ. ჰეკეტორნი თავის წიგნში – „ყველა დროის და ხალხის საიდუმლო საზოგადოებები" – წერს: „მათს ტაძრებში ინახება წმინდა ცეცხლი, ხოლო ეს ტაძრები კი მდებარეობს მუხის ჭალაში. ტაძრებს ჰქონდა სხვადასხვა ფორმა, მაგალითად, კვერცხის, საიდანაც, ტრადიციის მიხედვით, გაჩნდა არა მარტო მთელი სამყარო, არამედ მრავალი ხალხი და ჩვენი წინაპარიც. იყო მრგვალი ტაძრები, რადგანაც წრე ითვლებოდა სამყაროს სიმბოლოდ, იყო გველის ფორმის ტაძრებიც, იმიტომ, რომ გველი იყო ოსირისის – დრუიდების ხუს სიმბოლო. გვხვდებოდა ჯვარცმის ფორმის ტაძრებიც, რადგან ჯვარი აღორძინების სიმბოლოდ ითვლებოდა. ფრთების ფორმის ტაძრები, რაც სიმბოლიზირებული იყო ღვთაებრივი სულის გაფრენასთან".

კელტების რელიგიაში აისახა ინდოევროპელების უძველესი ტრადიციები და მითოლოგიური გადმოცემები, ხოლო მათი რიტუალები მისტერიული რელიგიებისთვის დამახასიათებელ ყველა ელემენტს შეიცავდა.

ქართული წარმართული რელიგია

ქართული წარმართული რელიგიის შესახებ არსებობს ათეულობით მონოგრაფია და სამეცნიერო სტატია, რომლებიც ემყარება წერილობით წყაროებს, არქეოლოგიურ მასალასა და ეთნოგრაფიულ კვლევას. მეცნიერთა წინაშე ძირითად საკითხად რჩებოდა ქართველთა წარმართულ პანთეონში შემავალი ღვთაებების წარმოშობა, რომლის შესახებაც მკვლევართა ვარაუდები და დასკვნები არაერთგვაროვანია. მოსაზრებების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ მეცნიერთა სამი განსხვავებული ჯგუფი: 1. ისინი, ვინც ქართულ წარმართულ პანთეონს აქემენიდური ირანის რელიგიასთან აკავშირებდა; 2. ვინც ხეთურ-ხურიტულ რელიგიაში ხედავდა ქართული წარმართული პანთეონის ღვთაებებთან საერთოს; 3. ვინც ბერძნულ-რომაულ პანთეონთან ავლებდა პარალელს.

ქართული წარმართული პანთეონის შესახებ უპირველესი წყაროა ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება". ეს თხზულება ქართველთა წინაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებზე ინფორმაციულ ხასიათს ატარებს და მხოლოდ ღვთაებათა სახელებითა და იმ ცნობებით შემოიფარგლება, თუ რომელი მეფის დროს შეიქმნა ესა თუ ის კერპი და სად მდებარეობდა ის. თხზულებაში ნახსენებია ღვთაებები: გაც, გაიმ, არმაზი. „მოქცევაი ქართლისაიში" შემავალ წმინდა ნინოს ცხოვრებასთან დაკავშირებულ თხზულებაში კიდევ ერთი ახალი ღვთაების სახელი შემოდის, რომელიც ლეონტი მროველთან არ იხსენიება – ეს ქალდეველთა ღვთაება ითრუჯანია, რომელიც ღვთაება არმაზს ემტერება.

ქართველთა წარმართული რწმენა-წარმოდგენების შესახებ წერილობითი ცნობები დაცულია ჯუანშერთან, ასურელ მამათა ცხოვრებებში, სომხურ საისტორიო წყაროებში.

ქართული წარმართული პანთეონის შესწავლა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო (თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე, მ. კოვალევსკი, ა. ხახანაშვილი). 1901 წელს გამოვიდა ნ. მარის ნაშრომი „წარმართული საქართველოს ღვთაებები" (რუსულ ენაზე). მკვლევარი ქართულ წარმართულ პანთეონში შემავალი ღვთაებების ნაწილს აქემენიდურ სამყაროსთან აკავშირებდა, 1924 წელს გამოცემულ ნაშრომში კი ქართული წარმართული პანთეონის ღვთაებების ირანულ სამყაროსთან კავშირს უარყოფდა და ხეთურ პანთეონთან ავლებდა პარალელს.

აღნიშნული საკითხების კვლევა მოცემულია ს. მაკალათიას, ლ. მელიქსეთბეგის, შ. ამირანაშვილის, გ. მელიქიშვილის, მ. ანდრონიკაშვილის, ა. აფაქიძის, ი. სურგულაძის, გ. ლორთქიფანიძის, გ. გიორგაძის, ე. კოჭლამაზაშვილის, მ. გველესიანის, ვ. ვაწაძისა და სხვათა გამოკვლევებში.

უკანასკნელ წლებში მკვლევართა შეხედულებები გადაიხარა ქართულ წარმართულ რელიგიაზე ირანული კომპონენტის გავლენის შესახებ. აღნიშნული სახელმძღვანელოს ქვეთავში, რომელიც ხეთურ რელიგიას ეხება, აღნიშნულია, რომ ხეთურ-ლუვიური და, ზოგადად, მცირეაზიური სამყაროს გავლენა ქართულ პაგანიზმზე მკვლევართა მიერ მრავალი არგუმენტით მყარდებოდა, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ეპოქა, როდესაც ქართლის სახელმწიფოებრიობას ეყრება საფუძველი, მჭიდროდაა დაკავშირებული ჯერ მიდიის, შემდეგ კი აქემენიდური ირანის გაძლიერებასთან. ირანული რელიგიური წარმოდგენების ნაკვალევი აშკარაა ქართულ წარმართულ რელიგიურ კულტებში, რაც ნივთიერი მასალითაც მტკიცდება.

ქართული წარმართული პანთეონის მეთაევე ღმერთებად მოიაზრება არმაზი და ზადენი. მათ ბევრი საერთო აქვთ სპარსულ აჰურამაზდასა და მითრასთან არა მარტო ეტიმოლოგიურად, არამედ – თავიანთი ღვთაებრივი ფუნქციებისა და აღწერილობის მიხედვით. წარმართი ქართველების რწმენა-წარმოდგენებში ცნობილია ზოროასტრული დუალიზმიც – ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, რაც

„წმინდა ნინოს ცხოვრებაშიც" აისახა – წერილობითი წყარო ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ „სოფლის მპყრობელ" ღვთაებას – ითრუჯანსა და არმაზს – იხსენიებს. ითრუჯანი, სიცრუისა და ბოროტების ღმერთი დრუჯია, რაზეც არა მარტო ამ სახელის გამოყენანა მიგვანიშნებს ღვთაება (ი)თრუჯ(ანი)ს სახელიდან, არამედ ისიც, რომ ქართულ წერილობით წყაროს ის არმაზ-აჰურამაზდასთან დაპირისპირებულად ჰყავს წარმოდგენილი. როგორც ჩანს „დ" ასოს ჩაენაცვლა „თ", რის შედეგადაც მივიღეთ დრუჯის ქართული ფორმა – ითრუჯანი.

„ღმერთნი მამათა ჩვენთანი გაც და გაიმ", ანუ ქართველთა წინაპრების კერპები – ქართლში (მცხეთა) მათს შემოყვანას ლეონტი მროველი აზოს სახელს უკავშირებს, რომელიც წარმოშობით არიან ქართლიდან იყო. გაცისა და გაიმის ეტიმოლოგიური პარალელი სხვა ხალხების რელიგიებში არ მოიძებნება, ქართულ წერილობით წყაროში კი ამ ორი კერპის მოხსენიებამ, როგორც „ღმერთნი მამათა ჩვენთანი", განამტკიცა აზრი მათს ადგილობრივ წარმართულ ღმერთებად მიჩნევაზე. საინტერესოა, რომ ფარნავაზი, რომელიც ქართლში არმაზის თაყვანისცემას ამკვიდრებს, არ სპობს ქართველთა წინაპრების ღმერთებს. უფრო მეტიც, „წმინდა ნინოს ცხოვრების" ავტორი მათ არმაზის გვერდით მდგომებად მოიხსენიებს. გაც და გაიმ, თავიანთი ღვთაებრივი ფუნქციებით, წერილობით წყაროში დაცული აღწერილობის მიხედვით, მითრას თანამდევ ღვთაებებს – სროშასა და რაშნუს მოგვაგონებენ. გამორიცხული არაა, რომ არმაზის სახით ჩვენ წინაშე იყოს მითრა თავის ორ თანამდევ ღვთაებასთან ერთად. გაცსა და გაიმს ელინიზმის პერიოდშიც არ დაუკარგავთ თავიანთი თავდაპირველი ღვთაებრივი ფუნქციები და ნიშან-თვისებები, რადგანაც ისინი კარგად მოერგო მითრას თანამდევი ღვთაებების ფუნქციებს.

ქართული წერილობითი წყაროები კიდევ ორ ღვთაებას ასახელებს: ლეონტი მროველი მეფე საურმაგს მიაწერს ორი კერპის – აინინასა და დანინას – შექმნას – „და მან შექმნა ორნი კერპნი, აინინა და დანინა, და ამართნა გზასა ზედა მცხეთისასა". ამ ორი ღვთაების შემქნელად ქართლის ცხოვრების ძველ სომხურ თარგმანშიც მეფე საურმაგი სახელდება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ორი კერპის ნაცვლად აქ ლაპარაკია აინინასა და დანინას ოთხ გამოსახულებაზე. ამ კერპების საურმაგისეულ წარმომავლობაზე წერს ასევე „მოქცევაი ქართლისაი". ქართული წარმართული პანთეონის ამ ორი ღვთაების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ყველაზე მეტად გასაზიარებელია ის შეხედულება, რომ ეს ღვთაებები შუამდინარულ სამყაროსთან ასოცირდება და ეტიმოლოგიურად ახლოს დგასს მესოპოტამიურ ღმერთებთან. ქალღმერთ იშთარის თაყვანისცემა ქართველურ ტომებში შუამდინარეთისა და მცირე აზიის ცივილიზაციებთან კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის შედეგია. იშთარის კულტი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო ძველ აღმოსავლეთში (იხ. ამავე სახელმძღვანელოს ქვეთავი – „შუმერული რელიგია"). ამ ქალღმერთის ფუნქციები გადაიღო მცირეაზიურმა კიბელამ, ბერძნულმა არტემიდამ და ირანულმა არდვისურა ანაჰიტამაც. ქართველური ტომების რწმენა-წარმოდგენებში ეს კულტი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ არსებობა ქართველთა წარმართულ პანთეონშიც განაგრძო აინანას სახელით. საქართველოში აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა ექსპონატებმა იშთარისა და არდვისურა ანაჰიტას გამოსახულებებით და მათი პარალელური მასალების შოძიებამ გაამყარა დასკვნა, რომ ელინისტურ ეპოქაში, ქართლში, იშთარის კულტის არდვისურა ანაჰიტას კულტით ჩანაცვლება უნდა მომხდარიყო. როგორც ვიცით, ასეთი პროცესი ელინისტურ სამყაროში ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ქართველთა წარმართული პანთეონი თავისი მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ერთი რომელიმე კულტურული არეალის დასახელება მის ერთადერთ წყაროდ არ შეიძლება. ქართულ წარმართულ პანთეონში ვხვდებით როგორც ადგილობრივ, ასევე – შუამდინარულ და ირანულ ღვთაებებს,

რაც ქართველური ტომების ძველაღმოსავლურ ცივილიზაციებთან კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობებით უნდა იქნას ახსნილი. ქართველთა წარმართული პანთეონის ძირითად ბირთვს ირანიდან შემოსული ღვთაებები შეადგენდა. თუ როდიდან გაჩნდნენ ეს ღვთაებები ქართველური ტომების რწმენა-წარმოდგენებში, ამაზე პასუხს ლეონტი მროველთან ვნახულობთ, რომლის მიხედვითაც ქართველურ ტომებს ურთიერთობა უწევდათ ჯერ მიდიასთან, შემდეგ აქემენიდებსა და პართიელებთან. ირანულ სამყაროსთან ქართველების ურთიერთობა არ ნიშნავდა იმას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა ტომის მთავარ ღვთაებებს ზოროასტრიზმის ღმერთები წარმოადგენდნენ. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ არიან ქართლიდან მოსულ აზოს თავისი ღმერთები – გაც და გაიმ მოჰყავს თან, ხოლო ქართველთა წარმართულ პანთეონში ზოროასტრულ ღმერთებთან ერთად არსებობას იშთარის კულტიც განაგრძობს. რაც შეეხება ზოროასტრული პანთეონის ღვთაებების წინ წამოწევას და ქართველთა წარმართულ პანთეონში მეთაევე პოზიციების დაკავებას, ქართული წერილობითი წყარო ამას ფარნავაზის სახელს უკავშირებს. პასუხს კითხვაზე, თუ რატომ არ მოხდა რომელიმე ქართველური ტომის ღვთაების წარმართული პანთეონის სათავეში მოსვლა, ისევ ქართულ წერილობით წყაროში ვნახულობთ, რომლის მიხედვით ფარნავაზი დედით სპარსელებს ენათესავებოდა და, შესაბამისად, სპარსელების რელიგიაც მისთვის ნაცნობი იქნებოდა. ფარნავაზის მიზანი დაქსაქსული ქართველი ტომების გაერთიანება იყო. რელიგიური რეფორმის ერთ-ერთი მიზეზი ესეც უნდა გამხდარიყო. საჭირო იყო ისეთი ღვთაების მოქცევა ახლადშექმნილი სამეფოს რელიგიური პანთეონის სათავეში, რომელიც ერთნაირად ნაცნობი იქნებოდა სხვა ქართველური ტომებისათვის და არ იგულისხმებდა ერთი რომელიმე ტომის გაბატონებას სხვებზე. ასეთ ღვთაებად ფარნავაზმა არმაზი მოიაზრა.

ზემოთაც ვახსენეთ, რომ მეცნიერებს, რომლებიც ქართველთა წარმართული პანთეონის საკითხს იკვლევდნენ, ღვთაებათა წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდათ. მათი ნაწილი ღვთაებებს ხეთურ-ლუვიურ სამყაროსთან აკავშირებდა, ნაწილიც – ზოროასტრულ პანთეონთან; იყო მცდელობები მათი დაკავშირებისა ბერძნულ-რომაულ ღმერთებთან. აზრთა ასეთი სხვადასხვაობა ქართულ წერილობით წყაროებში არსებულმა ბუნდოვანმა და მწირმა ცნობებმა წარმოშვა. ქართული წარმართული რელიგიის კვლევა მხოლოდ ერთი კუთხით არ შეიძლება წარიმართოს. ქართველთა წარმართულ პანთეონში შემავალ ღვთაებებს ბევრი აქვს საერთო როგორც შუამდინარეთისა და მცირე აზიის ხალხთა რწმენა-წარმოდგენებთან, ისე – ზოროასტრიზმთანაც, ნაწილი ღვთაებებისა კი ადგილობრივი ქართველური ტომების ღმერთებია.

ქართველთა წარმართული პანთეონი ძველი აღმოსავლეთის ხალხთა და ქართველური ტომების რწმენა-წარმოდგენების სინთეზია ელინიზმის ეპოქაში.

აბსტრაქცია (ლათ. abstractio მოცილება, მოშორება) – რაიმე საგნის ან მოვლენის არაარსებითი ნიშნების უგულებელყოფა და არსებითი ნიშნების გამოყოფა აზროვნებაში; განყენება, განზოგადება.

ადაპტაცია (ლათ. adaptation შეგუება, შეწყობა) – ორგანიზმის ან რაიმეს შეგუება გარემო პირობებთან არსებობის შესანარჩუნებლად.

ავატარი – ინდუიზმში ღვთაება ვიშნუს დედამიწაზე მოვლინება სხვა ქმნილების სახით.

აკოსმიზმი – სამყაროს რეალურობის უარმყოფელი თეორია.

ალეგორია – (ბერძნ. allegoria) – აზრის არაპირდაპირი გზით, იგავურად გამოხატვა.

ალტრუიზმი – (ფრანგ. altruisme) – უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისთვის.

ალქიმია – (არაბ. al-kimiya) – მისტიკური მოძღვრება, რომელიც ცდილობდა უბრალო ლითონების ოქროდ გადაქცევას.

ანაბიოზი – (ბერძნ. anabiosis) – სასიცოცხლო პროცესების შენელება.

ანდროგინი (ბერძნ. androgynos ორსქესოვანი) – არსება, რომელსაც საპირისპირო სქესის ნიშნები აქვს.

ანთროპოლოგია (ბერძნ. antropos ადამიანი) – მოძღვრება ადამიანის შესახებ.

ანთროპომორფიზმი – ღვთაების წარმოდგენა ადამიანის სახის მქონედ.

აპოკალიფსი (ბერძნ. apokalypsis გამოცხადება) – ახალი აღთქმის ბოლო წიგნი, რომელშიც მოცემულია წინასწარმეტყველება სამყაროს აღსასრულზე.

აპოკატასტაზი – სწავლება, რომლის თანახმად, ყველა ქმნილება, საბოლოოდ ღმერთს უბრუნდება.

აპოკრიფი (ბერძნ. apokryphos დაფარული) – თხზულება, რომელიც ავტორიტეტულობის მინიჭების მიზნით მიეწერებოდა რომელიმე ბიბლიურ პერსონაჟს, ხოლო ეკლესია ნაეალბეკად თელიდა.

ასიმილაცია – (ლათ. assimilation) – რომელიმე ხალხის ეროვნული თავისებურებების მოშლა და გათქვეფა სხვა ხალხში.

ასკეტიზმი – თავშეკავება ქვეყნიური სიამეებისგან, ვნებათა დათრგუნვა.

ასტრალური – მნათობებთან, პლანეტებთან დაკავშირებული.

ატრიბუტი - საგნის ან მოვლენის ძირითადი, დამახასიათებელი ნიშანი.

ბიპოლარული – ორპოლუსიანი.

გენოციდი – (ბერძნ. genos გვარი, ტომი და ლათ. caedo ვკლავ) – მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მოსპობა რასობრივი, ნაციონალური ან რელიგიური მოტივებით.

გრიფონი – ჰიბრიდული მითოლოგიური არსება, რომელსაც თავი და ფრთები არწივის, ხოლო ტანი ლომის აქვს.

დეკალოგი – ათი მცნება.

დინამიზმი – რისამე მოძრაობა, ცვალებადობა; მოქმედების სიჭარბე.

დოკეტიზმი – ცრუ სწავლება, რომლის თანახმად ქრისტე ჯვარზე მოჩვენებითად ეკნო, ტკივილი არ განუცდია.

ებიონიზმი – ცრუ სწავლება, რომლის თანახმად ქრისტეს სული დაუკავშირდა უბრალო ადამიანის სხეულს.

ეგზალტაცია (ლათ. exelatio)–უკიდურესად აგზნებული ან აგფრთოვანებული მდგომარეობა.

ეგზეგეტიკა – ბიბლიის განმარტება.

ეგოცენტრიზმი – ინდივიდუალიზმის გამოვლენის უკიდურესი ფორმა, საკუთარი პიროვნებით გატაცება.

ეკვივალენტი – რისამე ტოლფასი, თანაბარღირებულებითი რამ.

ეკლექტიზმი (ბერძნ. eklektos ამორჩეული) – სხვადასხვაგვარ შეხედულებათა, თეორიათა ნებისმიერი, უპრინციპო შეერთება.

ელასტიკური – დრეკადი, მოქნილი.

ემანაცია – თეორია, რომლის თანახმად სამყარო ღმერთისგან ვლინდება, მისგანაა გამოსხივებული.

ემპირიული – ცდისეული, ცდაზე დაფუძნებული.

ენიგმატური (ბერძნ. ainigma გამოცანა) – საიდუმლოებით მოცული, გამოუცნობელი.

ესქატოლოგია – მოძღვრება სამყაროს აღსასრულის, ბოლო ჟამის შესახებ.

ექსოგამია (ბერძნ. exo გარეშე gamos ქორწინება) – ჩვეულება, რომლის მიხედვით აკრძალულია ქორწინება ერთი და იმავე გვარის ან თემის წარმომადგენელთა შორის.

ექსტაზი – უკიდურესი აღტაცება, თავდავიწყებამდე მისული აღფრთოვანება, აღტყინება.

ვენდეტა – სისხლის აღების ადათი.

ზოომორფიზმი – ცხოველების გაღმერთება; ღვთაების ცხოველის სახით გამოხატვა.

თეურგია (ბერძნ. theos ღმერთი და ergon საქმე) – მაგიის სახეობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებლად მიაჩნდათ ამბების მიმდინარეობის შეცვლა ღმერთებისა და სულების ნებაზე ზემოქმედებით.

იდეოგრამა – (ბერძნ. Idea ცნება gramma ასო) – პირობითი წერილობითი ნიშანი, რომელიც (ასოსგან განსხვავებით) აღნიშნავს არა ბგერას, არამედ ცნებას.

იერატიკული – დამწერლობა გაკრული ხელით, რომელიც შექმნეს ძველმა ეგვიპტელებმა იეროგლიფებისგან.

ინერტული (ლათ. Iners უმოძრაო) – უსიცოცხლო, დუნე, უმოქმედო.

ინიციაცია (ლათ. Initation საიდუმლოთა შესრულება) – გარკვეულ რელიგიებში მოზარდთა ან გარკვეულ პირთა განდობა, დალოცვა, რის შედეგადაც ისინი ითვლებოდნენ ამა თუ იმ წრის სრულუფლებიან წევრებად.

ინტეგრაცია (ლათ. Integratio აღდგენა) – ნაწილების გაერთიანება ერთ მთელად.

ინცესტი – სისხლის აღრევა.

კომბინაცია – გარკვეული სახის შეერთება, შეხამება, ურთიერთშეფარდება.

კონსერვატული – რასაც დრომოჭმულის დაცვა ახასიათებს.

კონსოლიდაცია – განმტკიცება, გაერთიანება, შემჭიდროება.

კოსმოგონია – მოძღვრება სამყაროს წარმოშობაზე.

კოსმოლოგია – მოძღვრება სამყაროს შესახებ.

კრემაცია – მიცვალებულის გვამის დაწვა.

ლუნარული – მთვარესთან დაკავშირებული.

მაგნეტიზმი – მოძღვრება სხეულთა მაგნიტურ თვისებათა შესახებ.

მანიპულაცია – რაიმე რთული მოქმედება, რთული ხერხი.

მატრიარქატი – საზოგადოება, სადაც ქალს გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა.

მეგალითი (ბერძნ. megas დიდი lios ქვა) – უზარმაზარი ქვებისგან აღმართული ნაგებობა.

მედიტაცია – ჭვრეტა, დაფიქრება.

მედიტერანული – ხმელთაშუა ზღვასთან დაკავშირებული.

მეტაფიზიკა – ის, რაც ბუნების მიღმაა, გონებისთვის მიუწვდომელი, უხილავი.

მეტეორი – გავარვარებული სხეული კოსმოსური წარმოშობისა, რომელიც სწრაფად მოძრაობს დედამიწის ატმოსფეროში.

მეტემფსიქოზი – (ბერძნ. metempsychosis სულების გადასახლება) – სწავლება სიკვდილის შემდეგ სულის სხვა სხეულში გადასახლების შესახებ.

მისტერია (ბერძნ. mysteria საიდუმლოებანი) – საიდუმლო რელიგიური წესების შესრულება ძველ რელიგიებში.

მონიზმი (ბერძნ. monos ერთი) – მოძღვრება, რომელიც სამყაროს საფუძვლად აღიარებს ერთ საწყისს.

მონოგამია (ბერძნ. monos ერთი gamos ქორწინება) – ქორწინება, როდესაც დასაშვებია მხოლოდ ერთი თანამეწყვილე; ერთქორწინება.

ნარატივი – თხრობითი.

ნოვატორი (ლათ. novator განმაახლებელი) – პიროვნება, რომელსაც სიახლე შეაქვს რაიმე დარგში.

ორგია – წრეგადასული დროის ტარება, ბაკჰანალია, გარყვნილებით თანმხლები ლხინი.

ორიენტალური – აღმოსავლური.

პაგანიზმი – წარმართობა.

პარიტეტული – მხარეთა თანასწორობაზე დაფუძნებული.

პარტიკულარიზმი – (ლათ. particularis ნაწილობრივი) – სახელმწიფოს ზოგი ნაწილის მისწრაფება განცალკევებისკენ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ.

პატრიარქატი – საზოგადოება, სადაც მამაკაცს გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს.

პიქტოგრაფია (ლათ. pictus დახატული და ბერძნ. graphe ვწერ) – დამწერლობის სახეობა, რომელშიც ცნებების გადმოცემა ხდება ნახატების საშუალებით, ხატოვანი დამწერლობა.

პლურალიზმი – მოძღვრება, რომელიც სამყაროს საფუძვლად მრავალ საწყისს აღიარებს.

პოსტულატი – მტკიცება, რომელიც აღიარებულია რაიმე თეორიის ამოსავალ დებულებად დასაბუთების გარეშე.

პრეროგატივა – თანამდებობის პირის განსაკუთრებული უფლება, უპირატესობა.

პურიტანული – ზნეობის მოჩვენებითად დამცველი.

რაციონალური – გონივრული, მიზანშეწონილი.

რეგრესი – უკუსვლა, დაქვეითება, პროგრესის საწინააღმდეგო.

რევერსი – ლითონის ფულის ან მედლის უკანა მხარე, ზურგი.

რეინკარნაცია – სულთა გარდასახლების თეორია, იხ. მეტემფსიქოზი.

რეციდივი – (ლათ. recidivus რაც მეორდება) – თითქოს გამქრალი მოვლენის დაბრუნება, გამეორება.

რუდიმენტი – რაიმე გამქრალი მოვლენის ნაშთი, კვალი.

საკრამენტული – (ლათ. sacramentum კურთხევა) – რელიგიურ კულტთან დაკავშირებული, წმინდა, საღმრთო, რიტუალური.

სიმეტრია – რაიმე მთელის ნაწილების თანაბარზომიერი, პროპორციული განლაგება ცენტრის, შუაგულის მიმართ.

სოლარული – მზესთან დაკავშირებული.

სოტერიოლოგია – მოძღვრება სულის ცხონების შესახებ.

სტატიკური – წონასწორობაში მყოფი, უძრავი.

სუბორდინაცია – დაქვემდებარება უმცროსისა უფროსისადმი.

სუბსტანცია – რისამე საფუძველი, არსი.

სუბსტრატი – რაიმე მოვლენათა საერთო საფუძველი.

სქოლასტიკა – ფილოსოფიისა და თეოლოგიის შეერთება შუა საუკუნეებში.

ტაბუ – რაიმე მოქმედების, სიტყვის, საგნის აკრძალვა.

ტავტოლოგია – ერთი და იმავე განსაზღვრების, მსჯელობის გამეორება სხვა, აზრობრივად ახლო მდგომი სიტყვებით.

ტელეპათია (ბერძნ. tele შორს pathos გრძნობა) – მოვლენა, რომელიც გამოიხატება ერთი პირის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გადაცემაში მეორე პირისთვის შორ მანძილზე.

ტრანსი – ფსიქიკური აშლილობის ფორმა, როდესაც ადამიანს ცნობიერება დაბნელებული აქვს და ავტომატურად ასრულებს რთულ მოქმედებას.

ტრანსფორმაცია – გარდაქმნა, სახეცვლილება.

ტრანსცენდენტური – მიღმიერი, უხილავი, იმატერიალური.

უნიტარული – მთლიანი, ერთიანი, გაერთიანებული.

ფსიქაგოგი – სულთა გადამყვანი, გამცილებელი.

ქიმერა – მითიური არსება, ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული.

ჰედონიზმი – მოძღვრება, რომლის თანახმად ცხოვრების მიზანს წარმოადგენს სიამოვნება.

ბიბლიოგრაფია

1. აბაკელია ნ. – მითისა და რიტუალის მიმართებისათვის, ჟ. „ენა და კულტურა, 2001, 2. გვ. 5–20.
2. აბაშიძე ბ. – ქართული მითოლოგიის საკითხები, 1991.
3. აბზიანიძე ზ, ელაშვილი ქ. – სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტ. 1, თბილისი, 2006.
4. ავალიანი ე. – ეტრუსკოლოგიის ნარკვევები, თბილისი, 2005.
5. ავესტის გათები, თარგმანი ძვ. სპარსული ენიდან გ. ხელედიანისა, თბილისი, 1979.
6. ალადაშვილი ა. – უპანიშადებში აბსოლუტის (ბრაჰმანი) გაგებისათვის, ჟ. „მაცნე" – ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია, 1991, 2, გვ. 32–39.
7. ალექსიძე ლ. – ორფიკული დრო, ახალგაზრდა ფილოსოფოსთა პრობლემური სემინარის სესიის მასალები, 1984, გვ. 15–27.
8. ამუსინი ი. – მკვდარი ზღვის ხელნაწერები, თბილისი, 1987.
9. ასმანი ჟ. – მონოთეისტური რელიგიების არატოლერანტობის შესახებ, ჟ. „არჩევანი", 2007, 3.
10. ასურული ლოცვები, თარგმანი ასურული ენიდან ზ. კიკნაძისა, ჟ. „ახალი თარგმანები", 1992, 1, გვ. 26-38.
11. ბადეევინი ი. – ანთროპოსოფია, ჟ. „რელიგია", 1994, 6-8, გვ. 6-122.
12. ბარდაელიძე ვ. – ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი, 2006.
13. ბაჰაულა – იდუმალი სიტყვები, თბილისი, 1998.
14. ბენდუქიძე ნ. – მითი გველეშაპის შესახებ, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990, გვ. 225-229.
15. ბერაია ლ. – მითის ლოსევისეული გაგებისათვის, ჟ. „რიწა", 1995, 1-2, გვ. 147-152.
16. ბერიაშვილი მ. – სამყაროული წესრიგის მითოსური კონცეფციისთვის, ჟ. „ენა და კულტურა", 2005, 5–6, გვ. 11-20.
17. ბერდიაევი ნ. – თეოსოფია და გნოზისი, ჟ. „რელიგია", 1994, 6-8.
18. ბერძნული მითების სამყარო ათ ტომად, რ. გორდეზიანის რედაქციით, თბილისი, 2005.
19. ბჰაგავადგიტა, თარგმნა და კომენტარები დაურთო ლ. რამიშვილმა, თბილისი, 2006.
20. გაბიძაშვილი ო. – რელიგიათმცოდნეობა. თბილისი, 2004.
21. გათრი უ. – ბერძენი ფილოსოფოსები, თბილისი, 1983.
22. გალენკემპი ჩ. – მაია – გამქრალი ცივილიზაციის საიდუმლო, თბილისი, 1981.
23. გამრეკელი გ. – რაზე მოგვითხრობენ „მაჰაბჰარატა" და „რამაიანა", ჟ. „მართვე", 1986, 3, გვ. 66-69.
24. გელოვანი ნ. – ქალი და ხელისუფლება შიიზმში, ჟ. პერსპექტივა – XXI, VIII (2), გვ. 139-151.
25. გიორგაძე გ. – ათასი ღვთაების ქვეყანა, თბილისი, 1988.
26. გიორგაძე გ. – ანითას ტექსტი, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1990, გვ. 173-176.
27. გიორგაძე გ. – ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1999.

28. გოლემანი დ. – ბუდას მოძღვრება მედიტაციაზე და ცნობიერების მდგომარეობაზე, ჟ. „საუნჯე", 1990, 2, გვ. 294-310.
29. გორდეზიანი რ. – ბერძნული ცივილიზაცია, ნაკვეთი I, თბილისი, 1988.
30. გრინი ლ. – ძველი აფრიკის უკანასკნელი საიდუმლოებანი, თბილისი, 1987.
31. დარსანია ნ. – ამენხოტეპ IV სარწმუნოებრივი რეფორმა, თბილისი, 2005.
32. დაღუნდარიძე ნ. კუანვენი ლ. – ადამიანის ფენომენი კონფუცის სწავლებაში, ჟ. „პერსპექტივა" – XXI, VIII (2), გვ. 139-151.
33. დრუიდების ჰოროსკოპი. ჟ. „ცისკარი", 1990, 6. გვ. 142-152.
34. ეგვიპტური მითოლოგიის ლექსიკონი, თბილისი, 2005.
35. ეგვიპტური „მკვდართა წიგნი", ჟ. „ახალი თარგმანები", 1995, 1, გვ. 47-72.
36. ელიადე მ. – მითის ასპექტები, ჟ. „საუნჯე", 1988, 6, გვ. 302-309.
37. ელიადე მ. – მითოსი – პარადიგმული მოდელი, ჟ. „კლდეკარი", 1996, 1, გვ. 191-199.
38. ერგემლიძე ნ. – სახარების ძე ღვთისა და ყურანის მონა ღვთისა, ჟ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1995, 1-6, გვ. 5-12.
39. ესლემონტი ჯ. – ბაჰაულა და ახალი ერა, თბილისი, 1993.
40. ვარშავსკი ა. – ქალაქები საიდუმლოს გვიმხელენ, თბილისი, 1976.
41. ვაწაძე ვ. – იბერიის სამეფოს წარმართული ღვთაებები, თბილისი, 2007.
42. ვესენსკი ვ. – ლეგენდებისა და სინამდვილის კვალდაკვალ, თბილისი, 1988.
43. ვივეკანანდა – ლექციები გიტას შესახებ, ჟ. „ახალი თარგმანები", 2005, 5, გვ. 206-234.
44. ზურაშვილი მ. - ქართველთა მითო-რელიგიური წარმოდგენები და მათი სოციალური არსი, თბილისი, 2006.
45. თათარაშვილი თ. – პაგანისტური მისტერიები და ქრისტიანული მისტაგოგია, ჟ. „მნათობი", 2007, 2, გვ. 115-119.
46. ივანოვი ვ. – ორფიკული დიონისე, ჟ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1992, 5-6, გვ. 40-48.
47. იოიოტი ჟ. - წინაფილოსოფიური აზროვნება ეგვიპტეში,ჟ. „საუნჯე" 1998, 2, გვ. 297-291.
48. იოსებ ფლავიუსი – მოთხრობანი იუდაებრივისა ძველსიტყვაობისანი, ტ. II, თბილისი, 1988.
49. იმამი ალის გამონათქვამები, თბილისი, 2007.
50. იმედგაცრუებული ადამიანის საუბარი თავის სულთან,ჟ. „მნათობი", 1988, 9, გვ. 67-70.
51. იუნგი კ. გ. – აპოლონური და დიონისური საწყისები, ქუთაისი, 2007.
52. ირლანდიური საგები. თბილისი, 1971.
53. ისლამის ენციკლოპედია, შედგენილი გ. ჯაფარიძის მიერ, თბილისი, 1999.
54. კაზემზადე – ბაჰაის ისტორიის ნარკვევი, თბილისი, 1997.
55. კეკელიძე კ. – ქრისტიანიზმი და მითრაიზმი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1945 გვ. 342-353.
56. კეშელავა თ. – ირანის რელიგიის ისტორიიდან, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, 2008, ტ. V, გვ. 112-118.
57. კიკნაძე ზ. – გილგამეშის ეპოსი, თბილისი, 1962.
58. კიკნაძე ზ. – საუბრები ბიბლიაზე, თბილისი, 1969.
59. კიკნაძე ზ. – შუამდინარული მითოლოგია, თბილისი, 1978.
60. კიკნაძე ზ. – შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, თბილისი, 1984.

61. კოპალეიშვილი ვ. – მითებიდან კალენდრებამდე, თბილისი, 1991.
62. კოტრელი ლ. - ანტიკურობის საოცრებანი, თბილისი, 1987.
63. კოტრელი ლ. – ცივილიზაციათა სამკვედლო, ჟ. „საუნჯე", 1994, 1-2, გვ. 259-301; 1996, 1-2, გვ. 262-284.
64. კრამერი ს. – ისტორია იწყება შუმერით, თბილისი, 1988.
65. კრეტა-მიკენის ხელოვნება, ჟ. „ფრესკა", 1982, 12, გვ. 22-23.
66. ლაო ძი – დაო დე ძინი, თბილისი, 1990.
67. ლობჟანიძე გ. – მარიამთან დაკავშირებული ნარატივი ყურანში, ჟ. „პერსპექტივა – XXI", 2003, V, გვ. 64-67.
68. მაკალათია ს. – ღვთაება მითრას კულტი საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1927, III, გვ. 179-193.
69. მალინოვსკი ბ. – მაგია, მეცნიერება, რელიგია, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, თბილისი, 2007, III, გვ. 259-311.
70. მანი უ. – მითოსი და სიმბოლო, როგორც რელიგიის არსებითი ელემენტები, ჟ. „მნათობი", 1991, 1, გვ. 146-153.
71. მახარაძე ი. – ზაქარია და იოანე ნათლისმცემელი ყურანში, ჟ. „პერსპექტივა – XXI", 2003, V, გვ. 68-71.
72. მახარაძე ი. – ყურანის რედაქციები, ჟ. „პერსპექტივა XXI", II, გვ. 43-50.
73. მატიე მ. – ძველი ეგვიპტის ხელოვნება, 1986, 4, გვ. 313-320.
74. მენი ა. - ქრისტიანობა, ჟ. „საუნჯე", 1991, 3, გვ. 290-295.
75. მიულერი – მაჰმადი და მისი მოღვაწეობა, ქუთაისი, 1914.
76. მშვილდაძე მ. – რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ. წ. აღ. I–III საუკუნეები, თბილისი, 2005.
77. მუჰამედის შეგონებანი, თბილისი, 2007.
78. ნადირაძე ე. – მსოფლიოს რელიგიები, 2008.
79. ნადირაძე ჯ. – ადამიანი და პირამიდა, თბილისი, 1978.
80. ნურალოვი ვ. – პედაგოგიური კულტურა აცტეკების უძველეს ცივილიზაციაში, ჟ. „სკოლა და ცხოვრება", 1987, 12.
81. ნურალოვი ვ. – ძველი მაიას აღზრდის კულტურა, ჟ. „სკოლა და ცხოვრება", 1987, 1, გვ. 64-71.
82. ოუენსი კ. - ძენ-ბუდიზმი, ჟ. „საუნჯე", 1991, 2, გვ. 282-317.
83. პაპუაშვილი ნ. – მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბილისი, 2002.
84. პარენი ბ. – პრეფილოსოფიური აზროვნება მესოპოტამიაში, ჟ. „ახალი თარგმანები", 1992, 1, გვ. 154-176.
85. პრონიკოვი ვ. ლადანოვი ი. – იაპონელები, თბილისი, 1991.
86. პროპი ვ. – ზღაპრის მორფოლოგია, თბილისი, 1984.
87. პლუტარქე - ისისი და ოსირისი, ჟ. „საუნჯე", 1984, 5, გვ. 269-303.
88. რატიანი ნ. – რიტუალის ასახვა ძველბერძნულ ლიტერატურაში, თბილისი, 2001.
89. რელიგიის თავისუფლება, თბილისი, 2004.
90. სავიტრი, ეპიზოდი „მაჰაბჰარატადან", თარგმანი და კომენტარები ე. ალექსიძისა, თბილისი, 1986.
91. სიხარულიძე ქ. - კავკასიური მითოლოგია, თბილისი, 2006.
92. სოლოვიოვი ვ. – მუჰამედი, თბილისი, 2005.
93. ტატიშვილი ი. – ხეთური რელიგია, თბილისი, 2004.
94. უიარაღო თ. - მანიქეველობა და ქრისტიანობა, თბილისი, 2004.

95. უპანიშადები. თარგმანი და კომენტარები ლ. ალიმონაკისა, თბილისი, 1995.
96. ფანჯიკიძე თ. – ანიმიზმი, ჟ. „სკოლა და ცხოვრება", 1983, 8, გვ. 57-63.
97. ფანჯიკიძე თ. – ტოტემიზმი, ჟ. „სკოლა და ცხოვრება", 1983, 3, გვ. 60-63.
98. ქრისტიანობის წარმოშობა, ჟ. „სკოლა და ცხოვრება", 1990, 8. გვ 32-45.
99. ქურციკიძე შ. – ზოროასტრული რელიგიური სისტემა, ჟ. „მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების სერია", 1997, 1-4, გვ. 19-35.
100. ყარალაშვილი რ. – ჩინეთის დიდი კედლის მიღმა, თბილისი, 1989.
101. ყურანი, თარგმანი და კომენტარები გ. ლობჟანიძისა, თბილისი, 2006.
102. შარაშენიძე ჯ. – შუმერები და მათი კულტურა, თბილისი, 1983.
103. შაჰიდი ს. – ცხოვრება მუჰამედისა, თარგმანი ნ. ბართაიასი, 2008.
104. შომალი მ. – შიიტური ისლამი, თბილისი, 2007.
105. ჩარექიშვილი ნ. – წარმოდგენები ქვესკნელსა და საიქიო ცხოვრებაზე ხეთებთან, ჟ. „აღმოსავლეთი", 2002, 2, გვ. 25-26.
106. ჩედვიკი ჯ. – მიკენური სამყარო, თბილისი, 1989.
107. ჩხენკელი თ. – ინდური ლოტოსი, თბილისი, 2006.
108. ცერცვაძე ლ. – მითის ფროიდისეული გაგება, ჟ. „ხელოვნება", 1991, 7, გვ. 11-122.
109. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, გ. მელიქიშვილის რედაქციით, თბილისი, 1988.
110. ძველეგვიპტური ლირიკა, თბილისი, 1969.
111. ძველი ეგვიპტური მითები, ჟ. „ცისკარი", 1969, 9, გვ. 116-124.
112. ძველი შუამდინარული პოეზია, თბილისი, 1987.
113. წერეთელი მ. – აჭურამაზდა და მისი ეპითეტები საშუალო სპარსული ძეგლების მიხედვით, ჟ. „მაცნე - ენისა და ლიტერატურის სერია", 1985, 1, გვ. 118-123.
114. ჭელიძე მ. გორდეზიანი რ. – ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია, თბილისი, 2001.
115. ჭელიძე მ. – მითოსიდან ფილოსოფიური აზროვნებისაკენ, თბილისი, 1977.
116. ხათამი მ. – ისლამი, ცივილიზაციათა დიალოგი და კაცობრიობის მომავალი, თბილისი, 2005.
117. ხიდაშელი მ. - სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბილისი, 2001.
118. ხვედელიძე მ. – რა – ერთადერთი და მრავალი, თსუ შრომები, 2003, ტ. 349, გვ. 16-35.
119. ხუბაშვილი ლ. – ქრისტიანობის ელემენტები ბრიტანელი და გალი დრუიდების მისტერიებში, თსუ შრომები, 2001, ტ. 338, გვ. 95-104.
120. ხუციშვილი გ. – ტერორიზმი, თბილისი, 2003.
121. ჯაპავა ლ. – ჯაჰილის პერიოდის წარმართული ელემენტები ისლამური ჰაჯის რიტუალში, ჟ. „პერსპექტივა – XXI", 2002, IV, გვ. 156-158.
122. ჯოხაძე მ. – ძველეგვიპტური რელიგიურ-პოლიტიკური ცენტრები, თბილისი, 2002.
123. ჰეგელი გ. – ისტორიის ფილოსოფია, თბილისი, 2001.
124. ჰეგელი გ. – ესთეტიკა, თბილისი, 1973
125. ჰეივუდი ე. – პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი, 2004.
126. ჰეიერდალი ტ. – აღდგომის კუნძულის საიდუმლოება, თბილისი, 1985.
127. ჰერცფელდი ე. – კულტურული ურთიერთობები მახლობელ აღმოსავლეთში, თბილისი, 1931.

128. бойс М. — Зороастрийцы. С—Пб. 2003.
129. Гамкрелидзе Т. Иванов В. — Индоевропейский язик и индоевропеицы. Т. 1984.
130. Дорошенко Е. — Зороастрийы в Иране. М. 1982.
131. Индийская Мифология — энциклопедия. М 2005.
132. Картер Г. — Гробница Тутанхамона. М. 1959.
133. Крюкова В. — Зороастризм. С—Пб. 2005.
134. Менъ А. — Магизм и единобожие. М. 2005.
135. пишел Р.—— Будда его жизнь и учение. 2004.
136. семотюк О. — Буддизм. харков 2005.
137. Финикийская мифологя. С—Пб. 1999.
138. Фраи Р. — Наследие Ирана. И. 2002.
139. Чунакова О. — Пехлевский словарь. М. 2004.
140. Хосроев А. — Александрийское христанство. М. 1991.
141. Armour R. A. - Gods and miths of ancient Egipt, Cairo - New-york, 2006.
142. Benveniste E. - The persian religion according to the chief Greek texts, Paris, 1929.
143. Boyce M. - A history of zoroastrianizm, Vol. 1-3. Leiden/koeln, 1975, 1982, 1991.
144. Burkitt F. - The religion of the manichees, Cambridge, 1925.
145. Christensen A. - L'iran sous les Sasanides, Copenhague, 1944.
146. Cumont F. - Les religions orientales dans le paganisme romain, paris, 1929.
147. David R. - religion and magic in ancient Egypt, London, 2002.
148. Dundua T. - Christianity and Mithraism, Tbilisi, 1999.
149. Erman A. - La religion des egiptiens, Paris, 1937.
150 Flusser D. - The spiritual history of the dead sea sect, Tel-aviv, 1989.
151. Goetze A. - The hittites, Baltimore, 1966.
152. Hawkins B. - Asian religions, New-york, 2004.
153. Hening W. - Zoroaster and his world, Princeton, 1947.
154. Hinz W. - Zarathustra, Stuttgart, 1961.
155. Historie des Religions, T. 1-6, Paris, 1999.
156. Hudson T. - The gods and symbols of ancient Mexico and the Maya, Singapore, 2003.
157. James E. - Mith and ritual in the anciens near east, London 1958.
158. Jonas H. - Gnostic religion, Boston, 2001.
159. Kramer S. - Sumerian mytology, Philadelphia, 1944.
160. Nyberg G. - Die Religionen des alten Iran, Leipzig, 1938.
161. Osman A. - Moses and Akhenaten, London, 2002.
162. Pinch G. - Magic in ancient Egypt, London, 2006.
163. Puech H-Ch. - Le manicheisme. Son fondateur, sa doctrine, Paris, 1949.
164. Rose E. - Die Manichaische Christologie, Wiesbaden. 1979.
165. Rudolph K. - Gnosis, The Nature and history of Gnosticism, Edinburgh, 1984.
166. Urton G. - Inca myths, london, 1999.
167. The world's religions, The new lion handbook, Singapore, 2005.
168. Turcan R. - Mithra and Mithracisme, Paris, 1993.
169. Widengren G. - Die Religionen Irans, Stuttgart, 1965.
170. Zaehner R. C. - Zurvan a Zoroasterian dilemma, Oxford, 1955

Summary

The book you have opened is a texst-book of the history of religions. It is the most profound work on this subject ever written in the Georgian language which gives the analysis of all the known old and new religious beliefs. You will find all the necessary information about their origin, doctrines, cults, holy books. It gives account of the contemporany circumstances in which they fulfill their ministry and duties. The book is provided with a long bibliography and is intended for students and also, for a wide circle of people.